K 213 980
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრიეთ

ოქროქეთი ხელოვნი

3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქვს მას ძალი მოზარდობისა
და აღორძინებისა
და მშობელობისაი.

ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი

და მან განგრაგნა წიგნი იგი წინაშე
ჩემსა და იყვნეს მას შინა დაწერილ:
„გოდება, გმინვა და ვაება“.

ე ზ ე კ ი ე ლ ი, 2, 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან სანიკიძე

ოქროქეო ხელოვნი

ეპოქათა
ისტორიულ ეტიკეტის
თავმაღლასავალი

წიგნი
მესამე

სპეგ-2000
შეკოწმებულია

თბილისი, „მერანი" 1991

9(ᲥᲐ22)
საქართველოს ისტორია

63.3 (2Г)
Ь 262

„უქარქაშო ხმლები“ გათვალისწინებული იყო სამ წიგნად, მაგრამ საისტორიო მასალების ახალმა კვლევა-ძიებამ ავტორს უკარნახა ცალ-ცალკე დაეწერა III და IV წიგნები.

წინამდებარე III წიგნი მოიცავს XVII საუკუნის საქართველოს თავგადასავალს.

რედაქტორი ლამარა თურმანიძე

К 213.980

4702017200—180
Ь——————89
М 604 (08) — 91

© გამომცემლობა „მერანი“
კოოპერატივი „წყარო-89“

საქართველოს
მრეწველობა
ბიბლიოთეკა

კარი მერვე



აზმა პირველი

მორლვეული კარიბჭეები

ნაჯვარი სისხლი

> რამეთუ სისხლი არს სული.
>
> მეორე სჯულის კანონი, 12, 23.

პიეტრო დელა ვალე რომის პაპს — ურბანუს მერვეს:

„უნეტარესო მამაო!

ქვეყანა, რომელსაც დღეს ჰქვია საქართველო, შეიცავს ყველა იმ მხარეს, რომელთაც ძველი ხალხები უწოდებდნენ კოლხეთს და იბერიას; იგი მიითვლის აგრეთვე სომხეთსა და ალბანეთის ნაწილებს... ამ სახით საქართველოს უჭირავს სულ ის ქვეყანა, რომელიც იწყება შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირიდან და აღწევს თითქმის კასპიის ზღვამდე... მთელი ეს ქვეყანა დღეს ხმარობს მხოლოდ ერთს მისს საკუთარ ენას, რომე-

ლიც ყველა იქ მცხოვრები ხალხების საზოგადო ენაა. ქართველებს, განსაკუთრებით თავადაზნაურობას, ფრანგი წარჩინებულების მსგავსად, უფრო სოფლებში ცხოვრება მოსწონთ, ვიდრე ქალაქებში. აღმოსავლეთის ბარბაროსულ ხალხთაგან განსხვავებით, ქართველებს, ჩვენ, ევროპელთა მსგავსად, ჰყავთ თავისი თავადაზნაურობა, რომელსაც ჰსცნობენ და არჩევენ მდაბიო ხალხისაგან... თავად-აზნაურები, ვამბობ მე, არ ჰსცხოვრობენ ქალაქებში. მათი აზრით, ქალაქებში უნდა იცხოვრონ მდაბიო ადამიანებმა — ხელოსნებმა, ვაჭრებმა, აღებ-მიცემობის საქმოსნებმა. ეს აზრი ისე გავრცელებულია ქართველებში, რომ იმისთანებსაც, რომელნიც არ არიან აზნაურები, ეძაგებათ ქალაქში ცხოვრება და ხელოსნობისა და ვაჭრობის ვარჯიში. როგორც ხელოსნობას, ისე ვაჭრობას ქართველები უთმობენ უცხო ქვეყნელებს, მაგალითად, სომხებს და ებრაელებს, რომელნიც ბლომად არიან მათს ქვეყანაში... თვითონ კი თავის ცხოვრებას ატარებენ ომში და მიწათმოქმედებაში... სოფლის მამული, ბევრი თუ ცოტა, თითქმის ყველას აქვს. ამიტომაც ძველი ბერძნები საფუძვლიანად უწოდებდნენ ქართველებს „გეორგოსს“, რაც მიწის მუშაკს ჰნიშნავს... ამ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ჯორჯიას და იქაურები კი საქართველოს, უწინ ჰფლობდა მხოლოდ ერთი მეფე, ხოლო ახლა...“.

. . . . . .

დამდგარა მეჩვიდმეტე საუკუნე.

ისევ ატუზულა მარად დაულევნელი სიკვდილის აჩრდილი ქართულ კერასთან.

ისევ ბოროტობს მრუდე ქარი ქართულ ცისგვამში.

მცხეთის წმინდა მიწას შერთვია მამა-შვილი — ლუარსაბ და სვიმონ დიდ-მოწამენი, უპირველესი გმირები მრავალგვემული სამშობლოისა, უიღბლო ეპიგონები ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალისა.

ავთვისებიანი ოსმალური მარწუხები ჩაჰფრენია და ჩასჭიდებია საქართველოს და სრულიად კავკასიას.

საქართველო არის ისევ დაწიწკნილი და „დაპანტული“ ცალკე „საქართველოებად“.

ქართლში მეფედ ზის ძე სვიმონ დიდისა--გიორგი მეათე (1600—1605 წწ.).

კახეთში — ისევ ალექსანდრე მეორე (1574—1605 წწ.).

იმერეთში — როსტომ კონსტანტინეს ძე (1590—1605 წწ.).

ოდიშ-აფხაზეთში — მანუჩარ დადიანი (1590—1611 წწ.).

გურიაში — მამია მეორე გურიელი (1600 — 1625 წწ.).

სამცხეში — აღარავინ ქართველთაგანი, რამეთუ ეს დიდებული ქართული ქვეყანა, სამშობლო დიდი რუსთველისა, ოსმალეთს თავის პროვინციად უქცევია, „გურჯისტანის ვილაიეთად“ მოუნათლავს და მის გამგებლად ოსმალო ფაშა დაუნიშნავს.

თვითონ ოსმალეთის სასულთნოს ტახტზე ზის მეჰმედ III (1595—1603 წწ.), რომელსაც იმჟამინდელ მსოფლიოში უპირველეს ხელმწიფედ მიაჩნია თავისი თავი.

აკი მის წინაშე ცახცახებენ ევროპელი გვირგვინოსნები.

აკი რუსეთსაც ამოუკვეთა ფეხი კახეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან თურქეთის სულთანმა.

აკი ოსმალთა „საკუთრებად“ ქცეულა საქართველო და სრულიად კავკასია.

აკი თვითონ ერანისა და მესოპოტამიის უმეტესი ნაწილიც ოსმალთა სამბრძანებლო სამანებში მოქცეულა!

მაგრამ...

მაგრამ ნურავის დაავიწყდება, რომ ერანის ტახტზე დაბრძანებულა შაჰ აბასი — ბადალი ლეგენდარული კიროს დიდისა, სპარსთა სახელმწიფოს ოდინდელი დამაარსებლისა.

მას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი სიტყვა, — სიტყვა, რომელმაც მსოფლიო უნდა შეარყიოს.

მალე კი იტყვის.

მალე იტყვის, რამეთუ მას გვერდით უდგას ქართველი — ალავერდი-ხან უნდილაძე.

. . . . . .

ნაჯვარი სისხლი დაედინება შაჰ აბასის ძარღვებში — სისხლი ქართველ-მესხისა და თურქმან-ყიზილბაშისა.

ხოლო, ნაჯვარი სისხლი მრავალმღელვარე, მრავალსახე და ზომიერებადარღვეული ხასიათებით აღსავსე სულს დაჰბადებს ხოლმე.

ალბათ ამიტომ დაბუდებულა „ერანის ლომის“ სულში ესოდენ ერთიმეორის მომტერე თვისებანი: ნიჭიერება და უგუნურება, სიქველე და სიბოროტე, სიმამაცე და სიმხდალე, ვაჟკაცური პირდაპირობა და ლაჩრული მუხანათობა, უშურველობა და შურიანობა, ანგარიშიანი წინდახედულობა და ანგარიშგაუწყობელი სიბეცე, „კაცთმოყვარული“ გულმოწყალება და მარად შემართული ავზნიანი კაცთმძულვარება, ნათელგონიერი განსჯა-გარკვევა და ბნელთაბნელი ეჭვიანობა, უტყუარი მართლმსაჯულება და ყოვლად გაუმართლებელი სისხლის დამაქცევარი უსამართლობა.

დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ბრძოლის ველზე და საჭიდაო „მეიდანზე“ მავანი მხედრისა თუ ფალავანის ჭეშმარიტი ვაჟკაცობა.

მაგრამ მაინც ადამიანის „დახვეწილი“ წამების ხილვა უფრო ატკბობდა.

საგანგებო ჯალათთა დასტები ჰყავდა შაჰ აბასს — „თაჯიბიუკ“ და „ჩი-იან“. სისხლისფერი ხალათები ემოსათ, სისხლისფერი წოწოლა ქუდები ეხურათ, წეროსა და ბუს ფრთებით გაწყობილი. შემზარავი შესახედაობისა იყვნენ - - ტანად ბუმბერაზნი, მიმრეც-მომრეცნი, ნამდვილი დევები, პირად საზიზღარნი, ლოშქრიან-დორბლიანნი, სისხლიანი გადმოკარკლული თვალებით, ყურებამდე ჩახეული ლაშებით, ალესილი კბილებით, მქშინავი ნესტოებით, ზარდამცემი ხმითა და ამაზრზენი სიმყრალით.

გადაჭარბებულ ჰიპერბოლად ნუ ჩათვლი, ჩემო მკითხველო, თვითონ შაჰ აბასის თანამედროვე ისტორიკოსის (გუნაბადი) მონათხრობს: თაჯიბიუკელი და ჩი-იანელი ჯალათები პირდაპირ სჭამდნენ ადამიანის ხორცს, — ერთიმეორეს ხელიდან ჰგლეჯდნენ სიკვდილმისჯილს, ერთიმეორეს ასწრებდნენ კბილებით მოეკბიჩათ განწირულის ცხვირი, ყური, ლოყა, ძუძუმკერდი თუ საწულო-სავაჟკაცო ასონი, და მანამ სჭამდნენ, სა-

ნამ ნახევრად შეჭმული კაცის სხეულს სული არ გაეყრებოდა.

„მომხიბლავი სანახაობა“ იყო ამნაირი ხორცთაგლეჯა და ადამიანის ცოცხლად შეჭმა შაჰ აბასისთვის.

ჯალათებისა და ჯაშუშების სუნთქვით სუნთქავდა ერანის სასახლე და სრულიად ერანის სახელმწიფო. შაჰის ყური „დიდის ტრფიალებითა და გატაცებით“ ისრუტავდა ყოველგვარ ჭორს, დაბეზღებას, ცილისწამებას. ეჭვიან შაჰს ცუდად რომ ვინმე დასიზმრებოდა, ესეც კმაროდა სიზმრად ნახულის სასიკვდილო განჩინებისთვის. მცირედი ეჭვის გამოისობით შაჰი არ დაინდობდა არც დიდნამსახურს, არც მისთვის თავდადებულსა და ნაამაგარს, არც უახლოეს სისხლიერ ნათესავს — არც ძმას, არც შვილს და არც ძირს.

შაჰის ტახტზე იგი ერანის გამოჩენილმა სარდალმა - მურშიდ-ყული-ხანმა აიყვანა. დიდ დროს არ გაუვლია და, რომელიღაც ჯაშუშმა „მცირე რამ სიტყვა“ ჩააწვეთა და მაშინვე, გამოუძიებლად და განუსჯელად, ცოფით ატანილმა აბასმა ერთგული მურშიდ-ყული-ხანი ჯალათებს დააგლეჯინა და შეაჭმევინა.

შაჰ აბასს ყველაზე უფრო ის მოსწონდა და უხაროდა, როცა მისი ბრძანებით მამას შვილი უნდა მოეკლა, ან შვილს — მამა. სანახაობა „მდარედ“ ეჩვენებოდა, როცა მამა-შვილი ერთმანეთზე ხელს არ აღმართავდნენ და მათთვის წესი ისევ ჯალათებს უნდა აეგოთ.

ქვემოთ მკითხველი მრავლად იხილავს შაჰ აბასის სადიზმის შემაზრზენ სურათებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერანის არმიის მთავარი ძარღვი არის ქართველთა მხედრობა.

პ ი ე ტ რ ო დ ე ლ ა ვ ა ლ ე

სპარსეთში, შაჰიდან დაწყებული და უმდაბლესი ქვეშევრდომით დამთავრებული, იშვიათად შეგხვდებათ ადამიანი, რომელსაც დედა ან მამა ქართველი არ ჰყავდეს; ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქართული სისხლი არ ერიოს ძარღვებში.

ჟ ა ნ-ბ ა ტ ი ს ტ ტ ა ვ ე რ ნ ი ე

ისფაჰანში, სპარსეთის მაშინდელ სატახტო ქალაქში, ქართველები უფრო „სჩანდნენ“, ვიდრე თვითონ სპარსელები.

კიდევაც ამბობდნენ ხშირად:

ისფაჰანი საქრისტიანო სამეფო ქალაქია, რადგან იქ უფრო ბევრი ქართველი ცხოვრობს, ვიდრე მთელს საქართველოშიო.

თვითონ შაჰ აბასს დიდად ეამაყებოდა, რომ მის ძარღვებშიც ქართული სისხლი დაედინებოდა.

თავი მოსწონდა ქართული ენის სრულქმნილი ცოდნით.

ერანის „საზეპურო ერში“ (მაღალ საზოგადოებაში) ქართულად ლაპარაკობდა.

ამიტომ ერანის იმ „მაღალმა საზოგადოებამაც“ ძალიან „შეიყვარა“ და შეითვისა ქართული ენა.

უცხოელი — აზიელი თუ ევროპელი — ელჩების მიღების დროს შაჰ აბასი ხშირად ქართულად იწყებდა ლაპარაკს, კარისკაცებიც ქართულად აჰყვებოდნენ და ელჩებიც იძულებული ხდებოდნენ რაღაცნაირად „ჩაწვდომოდნენ“ ერანის ამ ახალ, უცნაურ „სახელმწიფო ენას“.

ქართველები უ ყ ვ ა რ დ ა შაჰ აბასს, — უყვარდა იმიტომ, რომ ქართველები ძლიერები იყვნენ და ერთგული, „თავგადამკვდარი“ სამსახური იცოდნენ.

ქართველები ს ძ უ ლ დ ა შაჰ აბასს, — სძულდა იმიტომ, რომ ქართველები ძლიერები იყვნენ და არასოდეს ბოლომდე არ შეეძლოთ „უცხო თესლთა“ მბრძანებლობის დათმენა.

ქართველების ე შ ი ნ ო დ ა შაჰ აბასს, — ეშინოდა იმიტომ, რომ ქართველები ძლიერები იყვნენ და არასოდეს არავინ იცოდა, როდის შემართავდნენ ისინი შურისმგებლურ უქარქაშო ხმლებს მტერთა მათთა შესამუსრავად.

და ქართველების დ ი დ ი ი მ ე დ ი ჰქონდა შაჰ აბასს, — იმედი ჰქონდა იმიტომ, რომ ქართველები ძლიერები იყვნენ და მათი თანადგომით შეეძლო დაკნინება-დამხობის გზაზე შემდგარი ერანის გამობრუნება, კვლავ გამძლავრება, აღორძინება და აღზევება.

მაშ — კიდევაც უყვარდა და კიდევაც სძულდა, კიდევაც ეშინოდა და კიდევაც იმედოვნებდა, — ასეთი „ერთიმეორის გამომრიცხველი განწყობილებანი“ მარტო „ნაჯვარი სისხლის“ ბრალი აღარ უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ისევ და ისევ ქართველთა სიძლიერეს, მათდამი „ანგარიშის გაწევას“, მათ „საჭიროებისამებრ გამოყენებას“ უკავშირდებოდა.

ძლიერნი არიან ქართველნი, ძალიან ძლიერნი!

და რამდენად სასიხარულოა შაჰ აბასისთვის, რომ ქართველები არიან აგრეთვე... სუსტნი!

ხოლო, ს ი ს უ ს ტ ე მათი არის ის, რომ ქართველები ც ა ლ კ ე უ ლ ა დ ა რ ი ა ნ ძ ლ ი ე რ ნ ი, ცალ-ცალკე, თითოეულად, სამან-სამანად, ხოლო ერთმანეთის გვერდით დგომა ძალიან უჭირთ, — ისე უჭირთ, როგორც ბუმბერაზ ხეებს ტყეში ერთმანეთთან მიჯრით ცხოვრება.

მაშ, ორივე კარგად იცის შაჰ აბასმა — სიძლიერეც და სისუსტეც ქართველებისა და... თავთავის დროზე ორივეს კარგად გამოიყენებს...

განსაკუთრებით „გათათრებული ქართველობა“ მოსწონდა შაჰ აბასს, ხოლო ქრისტიანულ ქართველობას ვერასგზით ვერ ურიგდებოდა.

ვერ ურიგდებოდა და ვერ ითმენდა, რადგან ცბიერმა შაჰმა ძალიან კარგად იცოდა: ქრისტიანობა ქართველი ხალხის დამოუკიდებელი არსებობის ნიშანსვეტი იყო, მათი სახელმწიფოებრიობის, მათი კულტურის, მათი „თავისთავადობისა“ და „სხვად-ყოფნის“ საფარველიც და საფუძველიც.

ასეთივე თვალით უცქერდა შაჰ აბასი სომხებს და სომხეთს:

„გათათრებული სომხები“ მოსწონდა, ქრისტიანი სომხების გახსენებაზე გული უსაზღვრო მძულვარებით აღევსებოდა.

მაინც ასეთი რა შეიქნა ამ თითო მუჭა ქართველთა და სომეხთა ქრისტიანიზმი?!

არსად აზიაში ქრისტიანის ჭაჭანება არ ისმის ამ ორი „მეტიჩარა ხალხის“ გარდა!

ასე იყო დასაბამითგან და ასეა დღესაც!

მთელს კონტინენტზე ეს ორი ხალხი იჩემებს შეშის (ხის ჯვარის) თაყვანისმცემლობას და ამნაირი „ახირებულობითა“ და „აკვიატებით“ დღემდე ორივე ახერხებს თავისი „განსაკუთრებულობისა“ და „სხვანაირობის“ შენარჩუნებას!

ვიღაც ნამსჭვალევი ნაზარეველი ებრაელის თაყვანისცემა ევროპის საქმეა, ხოლო აზია — დიდი ისლამის „მშობლიური სამყარო“ — თავის წიაღში ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაითმენს ქრისტიანულ „უცხო სხეულებს“!

ვერ დაითმენს თუნდაც იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს ჩრდილოეთიდან დიდმა ქრისტიანულმა სახელმწიფოებმაც გადმოჰყო ხელი აზიისაკენ, — მანდ ჩემი თანამორწმუნე და ქრისტესმიერი ძმები ცხოვრობენ და მათი მფარველობაც ქრისტესმიერ მოვალეობად მაწევს კისრადო!

ერთი სიტყვით, ბოლო უნდა მოეღოს ამ „უცხო სხეულს“— ქრისტიანიზმს — აზიაში!

ქართველები და სომხები ერთხელ და სამუდამოდ უნდა „განზავდნენ“ და „განსახოვანდნენ“ სრულიად აზიის ერთსახოვან ისლამიტურ ხალხთსაბრუნავში!..

ყველაფერი ასე უნდა მოხდეს, მაგრამ საქართველოსთან ომის გარეშე ეს „დიდი საქმე“ არ გადაწყდება. ხოლო საქართველოსთან ომი თაობების ჟლეტას მოითხოვდა ყოველთვის...

არა, ჯერჯერობით შაჰ აბასს საქართველოსთან ომი კი არა, ქართველთა თანადგომა, „თანაძმობა“ და „თანამოყვრობა“ სჭირდება. ჯერ მან „გათათრებული ქართველობა“ უნდა იკმაროს და მისი მხარდაჭერით „უახლოესი ამოცანები“ განასრულოს: ერანის საომარი აღორძინება და თურქეთთან ანგარიშის გასწორება.

ისედაც, — ისტორია კარნახობს შაჰ აბასს: თურქეთ-ერანის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში თითქმის ყოველთვის ის მხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე იმარჯვებს, ვის მხარეზედაც აღმოჩნდება საქართველო.

ამიტომ საქართველოსთან „ძმობა“ სჭირდება ჯერჯერობით შაჰ აბასს.

ჯერჯერობით!

ხოლო შემდგომ... ყველაფერი მოესწრება და მოეწყობა...

. . . . . .

შაჰ აბასმა გამეფებისთანავე სატახტო ქალაქი ჩრდილოეთიდან — ყაზვინიდან — სამხრეთისაკენ — ისფაჰანში გადაიტანა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ შაჰი თურქმან-ყიზილბაშ გვარტომობას ზურგს აქცევდა და ძველთაძველ მკვიდრ „ფარსის“ ტომთა დაწინაურებას აპირებდა.

ეს მართლაც ასე მოხდა. შაჰ აბასი დარწმუნდა, რომ ერანის დაქვეითებისა და დაკნინების მიზეზი ყიზილბაშური სამხედრო-ფეოდალური წყობილება იყო. ყიზილბაში ფეოდალები თავიანთი, „საკუთარი“ ჯარებით თვითნებურად, თუნდაც შაჰისაგან დაუკითხავად მოქმედებდნენ, ერთმანეთს ებრძოდნენ, სახელმწიფოს შიგნით მომტერე ფეოდალზე ლაშქრობდნენ, ერანულ ქალაქებსა და სოფლებს ძარცვავდნენ, ანგრევდნენ, აწიოკებდნენ; ხშირ შემთხვევაში ისინი თვითონ ხელმწიფეს საომარ წვევაზე უარის თქმასაც უბედავდნენ.

ყიზილბაში ფეოდალები ყიზილბაშური ტომების მეთაურები იყვნენ და თავიანთ სატომოში ყოველი მათგანი ცალკე დამოუკიდებელ მბრძანებლად გრძნობდა თავს. მათ შორის დიდი ქიშპი და მტრობა სუფევდა. ყოველი მათგანი სასახლის კარზე დაწინაურებასა და შაჰის „მარჯვენა ხელად“ გადაქცევას მიესწრაფოდა. ეს „მიკრომონარქები“ თავიანთი სატომო ჯარებით გამუდმებით ერეოდნენ სასახლის კარის შინაურ საქმეებში, მონაწილეობდნენ მრავალრიცხოვან უფლისწულთა ტახტისმაძიებლურ ინტრიგებში და დინასტიურ სისხლთა თხევაში.

შაჰ აბასმა მტკიცე, შეუვალი ნებით დათრგუნა ყიზილბაშური არისტოკრატია და მის ნაცვლად უმაღლეს სამხედრო და სახელმწიფო თანამდებობებზე მკვიდრ ერანელთა („ფარსელთა“) და გათათრებულ ქართველთა ოჯახისშვილები დააწინაურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ გარდაქმნებს დიდი ფული სჭირდებოდა და შაჰ აბასმა დასაყრდენ ძალად ვაჭართა და ხელოსან-მწარმოებელთა საზოგადოებრივი შრეებიც მოიშველია. მან ბევრი შეღავათი და სარგებლობა მიანიჭა სავაჭრო და საქალაქო წრეებს. მათთან საქმიან ურთიერთობაში შეუდგა შაჰი ერანული პროვინციების აყვავებას — გზების, ხიდების, არხების, სავაჭრო ქარვასლებისა და სრა-სასახლეების აშენებას.

ერანი ნივთიერად ღონიერდებოდა და კულტურულად მაღლდებოდა.

მაგრამ მთავარი მაინც სამხედრო რეფორმა იყო.

შაჰ აბასმა გადაწყვიტა ძირფესვიანად შეეცვალა ერანის მთელი საომარი განწესრიგება, ყაიდა და ნაქცეურობა.

და ესოდენ დიდი საქმის მეთაურობა და ხელმძღვანელობა მიანდო ისევ ქართველს — ყრმობიდან გათათრებულ ალავერდი-ხან უნდილაძეს.

ქართველ სამხედრო რეფორმატორს შაჰმა თანაშემწეებად ინგლისელები დაუნიშნა — ავანტიურისტი და „ფათერაკების მაძიებელი“ ძმები ანტონ და რობერტ შერლები.

უნდილაძემ ყიზილბაშ-მომთაბარული ლაშქარი შეამცირა, 60 000 მეომრიდან 30 000-ზე დაიყვანა და მის გვერდით ახალი, მკაცრად ჩაწესრიგებული, მაღალი საომარი წრთვნით გაწაფული და თოფ-ზარბაზნებით (10 000 ხელთოფი და 500 ზარბაზანი) აღჭურვილი მხედრობა შექმნა.

„შაჰისევანი“, ანუ „შაჰის მეგობარი“ — ასე დაარქვა შაჰ აბასმა ამ ახალ ჯარს.

„შაჰისევანი“ არსებითად მარტო სამხედრო კი არა, სატომო გაერთიანებაც იყო. ამ „ახალმა ტომმა“, თავისი მაღალი წარჩინებითა და უფლებებით, სავსებით დააკნინა და დაასიკვდილა ძველი ყიზილბაშური სატომო გაერთიანებანი.

შაჰ აბასი ზოგიერთი ყიზილბაშური მოდგმის სავსებით განადგურებასაც არ მოერიდა. მაგალითად, თექელუს ტომის ყიზილბაშობა დედაბუდიანად ამოაწყვეტინა.

„შაჰისევანის“ ტომის მეთაურიც და მთავარსარდალიც ერთდროულად იყო თვითონ შაჰ აბასი.

მაგრამ აბასი აქ არ შეჩერებულა.

მან იცოდა, რომ ოდესღაც სპარსეთის დიდმა ხელმწიფემ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარიოს I-მა (ძვ. წ. 521—485 წწ.) მუდმივი ჯარი შექმნა 10 000 რჩეული მეომრისაგან. „უკვდავნი“ უწოდა დარიოსმა იმ მეომრებს. თანამედროვე სახელით რომ მოვნათლოთ, — ეს იყო იმდროინდელი „გვარდია“, რომელსაც ეკისრებოდა მეფის „ღვთაებრიობისა“ და მისი სასახლის დაცვა, ომის დროს ყველაზე რთულ შთანაფიქრთა განსრულება, ქვეყნის შიგნით სავარაუდებელ აჯანყებათა ჩახშობა, საერთო წესრიგისა და მშვიდობიანობის მოვლა-შენახვა.

სწორედ ამნაირ „რჩეულ უკვდავთა გვარდია“ შექმნა (უნდილაძის რჩევითა და განრიგებით) შაჰ აბასმა და უწოდა მას „ღ უ ლ ა მ თ ა“ („შაჰის მონათა“), ანუ ყ უ ლ ი ს ჯარი — 10 000 რჩეული მხედარი.

ხოლო ღულამთა „გვარდია“ თითქმის მთლიანად ყრმობიდანვე ტყვედ წაყვანილი და გათათრებული ქართველებისგან შედგებოდა. აქვე, ქართველთა გვერდით აქა-იქ ირიცხებოდნენ გამაჰმადიანებული სომხები და ჩერქეზები.

ღულამთა მთავარსარდლად, ანუ ყ უ ლ ა რ ა ღ ა ს ა დ შაჰმა დანიშნა თვითონ ალავერდი-ხან უნდილაძე.

მაშასადამე, ალავერდი-ხან უნდილაძე ერანში დამკვიდრდა, ვითარცა „ვიცე-კოროლი“ (როგორც უყვარდათ თქმა ევროპელებს). იგი იყო შაჰის პირველი მრჩეველი, პირველი ვეზირი, მთავარი სპასალარი, „კლასიკური ერანის“ — ფარსის ბეგლარბეგი და შაჰის „გვარდიის“ დამაარსებელიც და ყულარაღასიც.

(დაიმახსოვრე, ჩემო მკითხველო, ამიერიდან მთელი ას ოცდახუთი წლის მანძილზე სპარსეთის რჩეული ჯარების მთავარსარდალი, „როგორც წესი“, ყოველთვის იქნება ქართველი).

აურაცხელი სიმდიდრის პატრონი იყო უნდილაძე. 100 000 ეკიუ მარტო ფარსის საბეგლარბეგოდან შემოსდიოდა. ამას გარდა, მეორე პროვინცია, გულფაიგანი, „სახარჯოდ“ ჰქონდა ქართველ ყულარაღასს.

უნდილაძეს და შემდგომში მის შთამომავლობას ეკუთვნოდა უამრავი ქარვასლა, ფუნდუკ-დუქანი და ბაზარი. მის ხელს ეპყრა საქარავნო და სამხედრო გზები ერანისა და ისფაჰანისა.

უნდილაძე და შემდგომში მისი მონაგარი ერანში აგებდა გზებს, ხიდებს, წყალსადინარებს, კაშხალებს, ქარვასლებს, საფოსტო სადგურებს, მეჩეთებსა და მედრესეებს. დღესაც მოჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეპს ისფაჰანში ალავერდი-ხან უნდილაძის ნაშენები უზარ-მაზარი ხიდი.

ალავერდი-ხანის ცოლმა, ქართველმა ქალმა, საკუთარი ფუ-ლადი სახსრებით შუაგული ერანის მთები მრავალგან უღელ-ტეხილებით გადასტეხა, გზები გაიყვანა, მდინარეებზე და ხევ-ხუვებზე ხიდები გასდო.

დიდი „კულტურტრეგერიც“ ყოფილა უნდილაძე (და შემ-დგომში მისი ნაგრამი). კულტურულ აღმშენებლობას ელტვო-და შეუსვენებლივ: აშენებდა, აჩუქურთმებდა, აქანდაკებდა, ხატავდა.

ისფაჰანში ჩეჰელ-სუთუნის სასახლის კედლები ბრწყინვალე ფრესკებით მოახატვინა.

იქვე ქართული წარწერაც „შეაპარა“ ქართველყოფილმა.

ეტანებოდა ერანულ, არაბულ, ბერძნულ და... ქართულ მწიგნობრობას.

უყვარდა ფირდოუსი, ჰომეროსი, პლატონი, არისტოტელე და... ლოცულობდა რუსთველზე.

. . . . . .

მაშ ღულამთა გვარდია — ქართველთა მხედრობა, ქართვე-ლი მთავარსარდლით სათავეში — „მთავარი ძარღვია“ ერანის საომარი ძალებისა!

ძალიან ენდობოდა შაჰ აბასი გათათრებულ ქართველებს.

ძალიან ენდობოდა, რადგან სჯეროდა:

გათათრებული ქართველი ქრისტიან ქართველისათვის ყო-ველ თათარზე უარესია!

. . . . . .

„მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, ხოლო მე უნდილაძეს ვემორჩილები“ — იტყოდა შაჰ აბასი და ყურებამდე გადამ-ტკავლულ ულვაშებს გაუწყრებოდა.

შაჰ აბასი თურქეთთან ომის გასაახლებლად უკვე მზად იყო. მაგრამ ჯერხნობით კახეთში დატრიალებულმა ამბებმა მიიპყრო მისი ყურადღება.

მკითხველს ახსოვს წინასწრობილად ნათქვამი: ალექსანდრე კახთა მეფეს ხუთი ვაჟი ჰყავდა — ერეკლე, დავითი, გიორგი, კონსტანტინე და როსტომი.

როსტომი ყმაწვილობაშივე მოკვდა. ერეკლე თურქეთში „გაიქცა" (იგულისხმე — მამამ გაგზავნა საიდუმლოდ) და იქვე გარდაიცვალა. კონსტანტინე ერანს ჰყავდათ მძევლად წაყვანილი.

ასე რომ — კახეთის ტახტის დასაუფლებლად, მოხუცი მამის აღსასრულის შემდგომ, ერთმანეთს ექიშპებოდნენ დავითი და გიორგი.

თვითონ ალექსანდრე, როგორც ეტყობა, გიორგის მხარეს იჭერდა.

არც ერთი მათგანი კი არ ფიქრობდა, რომ შაჰ აბასი კახეთის ტახტისათვის ამზადებდა უკვე სავსებით გათათრებულ კონსტანტინეს.

1601 წელს შამახიის თურქმა ფაშამ ალექსანდრეს ხარკის გადახდა მოსთხოვა; წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა ხონთქრის მოხელე. ალექსანდრე მუქარას შეუშინდა და თურქებს მოთხოვნილი ხარკი პირწმინდად გაატანა.

ამან ძალიან შეაშფოთა შაჰ აბასი. როგორ თუ ჩემმა ქვეშევრდომმა ხონთქრის მოხელეს ხარკი გაუგზავნაო! ეს ხომ იმას ნიშნავს, ალექსანდრე კახთა მეფე თურქეთის ყმობაში აპირებსო შესვლას!

შაჰ აბასს არ სურდა ანგარიში გაეწია სინამდვილისათვის: კახეთი თურქეთს და ერანს თავისად მიაჩნდა ცალკეულად, ხოლო თვითონ კახთა მეფე რუსეთის მფარველობის ქვეშ იგულებდა თავს.

ალექსანდრე მეფეს სპარსელები ეშმაკსა და მოხერხებულ „ბებერ მგელს" ეძახდნენ. მაგრამ შაჰ აბასთან მისი „ეშმაკობა" და „ილათიანობა" ბალღურ მიამიტობად თუ გამოჩნდებოდა.

შაჰმა რისხვა გულს დაიქვავა და კახეთში კონსტანტინე-მირზა გამოგზავნა ძვირფასი ძღვენით. გათათრებული შვილი მამას ეახლა, შაჰის „წყალობა-საბოძვარი“ მიართვა, მისი სახელით „დიდი სიყვარულითაც“ მოიკითხა და ბოლოს ეს მოახსენა: მომავალ გაზაფხულზე ერანის დიდი მბრძანებელი ურიცხვი მხედრობით მიეშურება თავრიზის, განჯის, შამახიის, დარუბანდისა და ერევნის დასალაშქრავად და დასაპყრობადო!

მთავარიც სწორედ ეს იყო.

დაე, ყველა თრთოდეს და კრთოდეს, ვინც კი, ნებით თუ უნებლიედ, ერანთან „ძმობას“ თურქეთთან, ან სხვა რომელიმე „მესამე ქვეყანასთან“ (რუსეთს გულისხმობდნენ) ყმობას ამჯობინებს!

გარედან „ტკბილად მოტანილ“ მუქარას კახეთის სასახლის კარზე შინაური ტრაგედია მოჰყვა. კონსტანტინე-მირზა სასახლიდან ახალი ფეხგადგმული იყო, რომ მამამისი ალექსანდრე მეფე ლოგინად ჩავარდა „რაღაც“ მძიმე ავადმყოფობით ხელდარეული.

შვილებმა, დავითმა და გიორგიმ, მამის სიკვდილს აღარ დაუცადეს და ტახტის დასაუფლებლად თავიანთი „დასებით“ ერთმანეთს დაეტაკნენ.

უფროსი უფლისწულის — დავითის მომხრენი უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ და გიორგიმ თურქეთში გასაქცევად შეკაზმა ცხენი.

დავითის „თანამოდასენი“ თურქეთს შეუშინდნენ, გიორგის ფეხებში ჩაუვარდნენ და ძმასთან შერიგება სთხოვეს.

გიორგიმ ჯერჯერობით დათმო, დავითის მეფობა სცნო და თვითონ საუფლისწულოს დასჯერდა.

მოულოდნელად ალექსანდრე მეფე სიკვდილს გამოექცა და ფეხზე დამდგარმა ისევ შეაბიჯა სამეფო სადარბაზოში.

მაგრამ დავითმა მეფობის დათმობა აღარ მოისურვა და მამას სამეფო ინსიგნიები — დროშა, გვირგვინი, ზოსტერ-სარტყელი და ხმალი — მკაცრი სიტყვით გამოსთხოვა.

მკითხველს ახსოვს ავგიორგი, რომელმაც 1511 წელს კახეთის ტახტისათვის თავისი მამა მოკლა — მეფე ალექსანდრე I.

ხოლო ახლად გამეფებული დავითი პატივმოყვარეობით, სიფიცხითა და ავზნიანობით ძალიან ჰგავდა ავგიორგის. ამნაირი ბუნების კაცს მართლა შეეძლო მამის მოკვლა.

(ვაითუ, ცუდად იყო დაცდილი კახეთის ტახტზე სახელი „ალექსანდრე“ — აუცილებლად შვილს რომ უნდა მოეკლა იგი!).

შეშინდა მოხუცი მეფე და გაუგზავნა მოძალადე შვილს სამეფო დროშა, გვირგვინი, ზოსტერი და ხმალი.

მეფობა აიყარა, ბერის ჩოხა ჩაიცვა და ალავერდის მონასტერს მიაშურა.

ახალმა მეფემ თავი დამშვიდებულად იგრძნო.

მაგრამ ისევ აიშალნენ დავით მეფის მოწინააღმდეგე თავადები, შეუჩნდნენ გიორგი ბატონიშვილს: ოღონდ შენ გვიბრძანე, დავითს ყელს გამოვჭრით და მეფედ დაგსვამთ, თუ არა და, არც შენ დაგინდობთ სასიკვდილოდო.

გიორგიმ ჯერ უარი თქვა: ძმას ხატზე და ჯვარზე შევფიცე და ახლა როგორღა ვუღალატოო!

მაინც არ ეშვებოდნენ თავადები. საარაგვოს დიდი მფლობელი ნ უ გ ზ ა რ ე რ ი ს თ ა ვ ი ც მიიმხრეს და მისი ძალმოსილებით დაიმედებული გიორგი მეფე ძმის წინააღმდეგ აამხედრეს.

ერთ დღეს ქართლის მეფე გიორგი მეათეს მიეწვია ტფილისში სტუმრად კახელი ნათესავები — დავით მეფე და მისი ძმა გიორგი ბატონიშვილი.

ორივე ძმა თავთავისი ამალით გამოცხადდა ნადიმზე.

რამდენიმე დღე ინადიმეს და ინადირეს.

უკანასკნელ დღეს სანადიმო სუფრაზე დავითმა შენიშნა, რომ გიორგი ღვინოს იპარავდა და თანაც ლამაზ სახეზე რაღაც მღელვარების დაღიც აღბეჭდვოდა.

სტუმარმასპინძლობა დასრულდა.

უკვე ღამდებოდა, როცა სტუმრები ტფილისიდან გავიდნენ და კახეთის გზას დაადგნენ.

დავით მეფე წინ მიდიოდა თავისი ამალით.

გიორგი და მისი მომხრენი ფეხს ითრევდნენ და უკან რჩებოდნენ.

თურმე ახლა უნდა აღსრულებულიყო მათი განაზრახი: ცოტა კიდევ ეცლიათ და როცა ნაღვინებ მეფეს გზა და ღამე მოეწთავდა, უეცრად უნდა დასცემოდნენ და მის ამალასთან ერთად აეკუწათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გიორგის მხლებლებს ერთი კაცი ჩამოშორდა და გაუჩინარდა — ბ ა რ ა მ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი. დავით მეფეს წამოეწია და აცნობა მისი ძმის განზრახვა.

შემოტრიალდა დავით მეფე და ჯიქურ დაეტაკა შეთქმულებს.

— ძმაო, ძმის მოსაკლავად იარაღი აგისხამს და აჰა, აქა ვარ და, თუ ვაჟკაცი ხარ, შემომკარი! — შესძახა დავითმა გიორგის.

წახდა გიორგი.

მისი ამალაც დაიბნა და დადედლდა.

დავითმა თავისიანებს ანიშნა და ყველანი შეიპყრეს.

დავითმა ძმა თორღას ციხეში ჩააგდო და ჩაჰკეტა. მისი მომხრენი ჭოეთის ციხეში ჩაჰყარა, რამდენიმე დღის შემდეგ იმათგან თორმეტი აარჩია და ამავე ციხის კედლებზე გადასჩეხა, ხუთს თავები დააყრევინა, დანარჩენები ბნელსა და მყრალ ჯურღმულებში ჩააქვესკნელა.

ბერად შემდგარი ალექსანდრე ალავერდის ტაძრად იდგა და მისი ოჯახის უბედურებას ცხარე ცრემლით დასტიროდა.

დავითი გრძნობდა, მამა მის საქციელს აუგად რომ იხსენიებდა და მოხუცის სიკვდილს მოუთმენლად ელოდა. ალექსანდრე კი სიკვდილს ასე იოლად არ აპირებდა. შვილს ისედაც ეჩვენებოდა, რომ ბებერი მამა უკმაყოფილო წარჩინებულთა „მომავალი საიმედო გმირი“ უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ეჭვით დასნეულებული დავით მეფე მოხუცი მამისგან შეთქმულებასაც გამოელოდა.

დავითმა ალავერდის ტაძარში სიარულს მოუხშირა. მამაზე თვალს ფხიზლად იჭერდა. ხოლო მამა შვილს გაურბოდა.

ერთხელ გაანჩხლებულმა დავით მეფემ ზედ ტაძრის შესასვლელში ალექსანდრეს ერთი უახლოესი კაცი თავის მხლებლებს ხმლებით ააჩეხვინა.

გაცოფებულმა ალექსანდრემ ცოდვილი შვილი საშინელი წყევლით გადასცა ხატზე.

მამა-შვილის მტრობა ისევ „რუსეთის საკითხმა“ გაანელა.

ალექსანდრეს, სანამ იგი ბერად შედგებოდა, მოსკოვში მორიგი ელჩობა ჰყავდა გაგზავნილი, ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა დ ა ლ ე ვ ა ნ ი ს მოთავეობით. რუსეთის მაშინდელ მეფეს, ბორის გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუნოვს, ალექსანდრე ისევ ჯარს სთხოვდა, მტრად გადაკიდებული ჩრდილოელი მეზობლის -- საშამხლოს დასაპყრობად.

ელჩები მოსკოვიდან სწორედ მაშინ მობრუნდნენ, როცა კახეთში ახალი მეფე, დავითი, შემონაზვნებულ მამასთან ესოდენ დანასისხლობაში ჩავარდნილიყო.

სოლომონსა და ლევანს მოსკოვიდან ბორის გოდუნოვის ელჩებიც ჩამოჰყვნენ — ნ ა შ ჩ ო კ ი ნ ი და ლ ე ო ნ ტ ი ე ვ ი.

დავითმა სტუმრებს ოჯახური ორომტრიალის ამბავი დაუმალა და მამამისი მათან შესახვედრად მოიწვია.

ალექსანდრეს მისგან დაწყებული დიდი „ჩრდილოური საქმისაგან“ გულგრილად გვერდის ავლა არ შეეძლო და რუს სტუმრებს დიდის ამბით შეხვდა.

ბორის გოდუნოვი კახეთის მეფეს ჯარით დახმარების მორიგ პირობას უთვლიდა, სამაგიეროდ იგი კახეთის სამეფო კარისაგან ახალ ერთგულების ფიცს ითხოვდა.

ქართველებმაც ხელახლა შეუთვალეს ერთგულება რუსთ ხელმწიფეს.

ამჯერად ერთგულების ფიცს ხელი მოაწერეს: მეფე დავითმა, მისმა მცირეწლოვანმა ძემ თ ე ი მ უ რ ა ზ მ ა და ალექსანდრე მეფედ ყოფილმა.

ის იყო, რუსი ელჩები კახეთიდან უნდა გაბრუნებულიყვნენ, რომ შიკრიკებმა ამბავი მოიტანეს: ნუგზარ ერისთავს დარიალის კარი დაუკეტნია და კახელთაგან არც სტუმარს და არც მასპინძელს გატარებას არ უპირებსო.

დავითმა ლაშქარი შეჰყარა და არაგვისაკენ გაემართა. ნუგზარი დაფრთხა და მოლაპარაკება ითხოვა. კახთა მეფემ მკაცრად მოითხოვა ერისთავის მორჩილება და მძევლად მისი შვილის გაგზავნა. ნუგზარი დათანხმდა. კახეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობაც აღიარა, დარიალიც გახსნა და თავისი ძე ზ უ რ ა ბ ი მძევლად გაგზანვა გრემის სასახლეში.

1602 წლის 16 ოქტომბერს დავით მეფე რუს ელჩებს უკანასკნელად შეხვდა და რუსეთისაკენ სწრაფად გასტუმრებას შეჰპირდა. მაგრამ იმავე დღეს მოულოდნელად ავად გახდა და 21 ოქტომბერს გარდაიცვალა.

ოთხი თვეც ვერ მოათია სამეფო ტახტზე.

დარჩა ქვრივი დედოფალი --- ქ ე თ ე ვ ა ნ ი (აშოთან მუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რან-ბატონის ასული, უმრწემესი და მკითხველისათვის ცნობილი დედისიმედისა — ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლისა), ძე — თ ე ი მ ურ ა ზ ი და ასული — ე ლ ე ნ ე.

ტახტი, კაცმა რომ თქვას, ცამეტი წლის თეიმურაზს ეკუთვნოდა, მაგრამ პაპამისმა მონაზვნის ჩოხა მაშინვე გაიძრო და ისევ მეფობას დაუბრუნდა.

ხელახლად გამეფებულმა ალექსანდრემ შვილი, გიორგი ბატონიშვილი, თორღას ციხიდან გამოუშვა და მასთან ერთად ისევ „რუსეთის საქმეს“ მიუბრუნდა.

ჩრდილო კავკასიიდან შიკრიკებმა ამბავი მოიტანეს: დაპირებული რუსის ჯარი, საშამხლოზე რომ უნდა ელაშქრა, არსად ჩანსო.

ალექსანდრე გაბრაზდა და საყვედურებით აავსო ნაშჩოკინი და ლეონტიევი.

ელჩებმა „მოვლენათა განსჯა“ სცადეს, მაგრამ მეფემ აღარ მოუსმინა მათ.

მერე ისევ მოლბა და ჩრდილოელი სტუმრები დიდის პატივით და „ფიცის წიგნით“ გაისტუმრა.

ეს მერამდენედ იცვლებოდა „წყალობის სიგელი“ რუსეთიდან და „ფიცის წიგნი“ კახეთიდან!

კვლავ გაატანა ალექსანდრემ რუს ელჩებს თავისი დესპანები — ბერძენი არქიმანდრიტი კ ი რ ი ლ ე ქ ს ა ნ თ ო პ უ ლ ო და მდივანი ს ა ბ ა.

გამობრუნდნენ ქართველი ელჩები. ისევ გამოაყოლა ბორის გოდუნოვმა თავისი დიპლომატები — ტ ა ტ ი შ ჩ ე ვ ი და ი ვ ა ნ ო ვ ი. ამათ ალექსანდრეს დიდი საჩუქრები მოართვეს და „ახარეს“: რუსთა ჯარი ემზადება საშამხლოზე სალაშქროდ და, როგორც კი ჩრდილოეთიდან რუსები ამხედრდებიან, სამხრეთიდან შენ გაეშურეო შენის კახელებით!.

მაგრამ ყოველგვარი პოლიტიკური განაზრახი და მონახაზი სავსებით უნდა აშლილ-დაშლილიყო ევროპა-აზიის კავკასიურ გზაკვანძთა გასწვრივ, რადგან...

რადგან შაჰ აბასი უკვე აღმჯდარიყო სალაშქრო უნაგირზე!

. . . . . .

იმჟამად კიდევ ერთი, — მკითხველისათვის დიდად საყურადღებო ამბავი მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მეფის ქვრივმა დედოფალმა ქეთევანმა გადაწყვიტა, რომ კახეთის სასახლის კარზე დატრიალებული უბედურებანი მისი შვილებისთვის, თეიმურაზისა და ელენესთვის, დიდი ხიფათის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. მართლაცდა, — რაკი პაპამ შვილიშვილს „კანონიერი ტახტი“ წაართვა და თავისი შვილიც გიორგი ციხიდან გამოუშვა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოხუცი ალექსანდრე მეფობას გიორგის დაუტოვებდა, ხოლო გიორგი შეეცდებოდა თავისი ძმისწული თეიმურაზი, ვითარცა „კანონიერი ტახტის მემკვიდრე“, როგორმე თავიდან მოეშორებინა (სასახლის კარზე კარგად იციან „თავიდან მოშორების“ საშუალებანი...).

ქეთევანს მისი დაობლებული ოჯახის ქომაგად საერთოდ აღარავინ ეგულებოდა კახეთში. დავითის მომხრე თავადები, ალექსანდრესა და გიორგის შიშით, სპარსეთში გადახვეწილიყვნენ და შაჰ აბასის „მწყალობელი კალთისათვის“ შეეფარებინათ თავი.

ერთადერთი, ვინც ქეთევანს „ყველასგან უშიშრად“ ერთგულებდა, იყო ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი-ომანიშვილი (ეს ბოლო გვარი მამის — ომანის — საპატიოდ დაირქვა).

ბრწყინვალე ვაჟკაცი იყო ქაიხოსრო, ახოვანი და პირმშვენიერი, ნიჭიერი სარდალი და მამაცი მხედარი, ღვთივმომადლებული პოეტი („ომანიანის“ ავტორი). იგი მზად იყო სიცოცხლე გაეწირა „საოცარი, ღვთაებრივი ქეთევანისთვის“.

მაგრამ ქეთევანი გაურბოდა მაღალზნეობრივი რაინდის სამსახურსა და სიახლოვეს, რადგან... უკვე კანტიკუნტად ისმოდა ავი ენის სისინი...

თეიმურაზისა და ელენეს გულისათვის ერთბაშად რუსმა და სპარსელმა ელჩებმა გამოიდვეს თავი. ისედაც, ტატიშჩევსა და ივანოვს დავალებული ჰქონდათ საქართველოში შეერჩიათ საცოლე ბორის გოდუნოვის ვაჟისათვის და საქმრო ასულისათვის. ელენე და თეიმურაზი პირდაპირ „ზედგამოჭრილი“ სადედოფლო და სასიძო იქნებოდნენ რუსეთის ტახტისათვის.

მაგრამ შაჰ აბასის ელჩი მაჰმად-ბეგი არ თმობდა: თეიმურაზი და ელენე სპარსეთს უნდა წავიყვანოო უთუოდ, რადგან შაჰს სურს თეიმურაზი იშვილოს და ელენე ცოლად შეირთოს!

„მოყვრობის სასწორი“ სპარსეთმა გადასწონა.

ქეთევანმაც ამ სათნო და ჭკვიანმა ქალმა, სხვა გამოსავალი ველარ იპოვნა და, მამამთილ-მაზლის შიშით, შვილები ლომის პირში ჩაჰყარა: მოიხმო შერმაზან ჩოლოყაშვილი (კიდევ ერთი ჩოლოყაშვილი, რომელსაც ის ენდობოდა), ფიცის ქვეშ ჩააბარა ორივე შვილი — თეიმურაზი და ელენე — და გაატანა ერანს, შაჰ აბასთან შესავრდომებლად და შესაფარებლად!

სხვა რაღა უნდოდა შაჰ აბასს?!

თავისი ნებით მოდიოდნენ საქართველოდან „იოსებ მშვენიერის მსგავსი ჭაბუკები და მთვარის სახის მქონე ქალწულნი“. რაც მთავარია, ახლა მას ორი კახელი უფლისწული ჰყავდა თავის „ქართულ საბუდარში“ . . ბიძა-ძმისწული, კონსტანტინე და თეიმურაზი. პირველი უკვე სავსებით „გაეთათრებინა“ შაჰ აბასს. მეორესაც, იმედია, მალე გაათათრებდა!

პირველი შეხვედრისთანავე ძალიან დაუყვავა და მოუალერსა აბასმა თეიმურაზს. ქართულად გამოელაპარაკა, ქართულად გამოჰკითხა ყოველივე.

ლექსების შეთხზვა შესძლებია ქართველ „მირზას“.

მამაც თურმე „პოეტი“ ჰყოლია, — დავითს „ქილილა და დამანა“ უთარგმნია ქართულად.

თურმე დედამისიც „პოეტობს“, — „ანბანთქება“ დაუწერია ქეთევანს.

(თვითონაც პოეტობდა „ერანის ლომი“).

ძალიან ჭკვიანი და დამჯერე იქნება ეს მეოცნებე ქართველი ყრმაო, — იფიქრა შაჰმა.

პირველი დღიდანვე ხელმწიფემ „კეთილად შეიწყნარა და პატივსა უყოფდა თეიმურაზს და ასწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა“.

თეიმურაზიც დიდის გატაცებით ერთვოდა „სპარსული ენის სიტკბოსა და მუსიკობასა“.

1603 წელს შაჰ აბასმა ომი აუტეხა ოსმალეთის სულთანს. ორი ურჩხულის რკინა-ჭიდილი ამჯერად, მცირე შესვენებებით, 1639 წლამდე გაგრძელდა.

ამ ომში შაჰ აბასის თავიდათავი ამოცანა ეს იყო: დაებრუნებინა თურქეთისაგან წართმეული ერანული მიწები და ამიერკავკასია მთლიანად; გამორჩევით, საქართველო დაეპყრო ისე მტკიცედ, რომ აღარასდროს მისი დაუფლების იმედი აღარ დარჩენოდათ არც მოსისხლე ოსმალეთს და არც „მეგობარ“ რუსეთს.

პირველად ერანელები და თურქები ერთმანეთს დაეტაკნენ 1603 წლის ზაფხულში, სოფელ სუფიანთან, სალმასის ოლქში. თურქები დამარცხდნენ და უკუიქცნენ. შაჰი ჭენებით დაედევნა, თავრიზს დაეძგერა, აქაური ბეგლარბეგი ალი ფაშა ზარხოში ტყვედ ჩაიგდო და თვრამეტდღიანი ალყის შემდგომ ქალაქსაც დაეუფლა.

თავრიზიდან არაქსისაკენ წამოემართა შაჰ აბასი, მდინარე გადმოლახა, ჯულფა აიღო, ნახიჭევანიც მიაყოლა და 16 ნოემბერს ერევანთან დასცა ბანაკი.

ერევანში დიდძალი თურქობა იდგა. ციხეც ძლიერ გაემაგრებინათ და გაემაგრებინათ მტრის მოსაგერიებლად.

შაჰმა ერევანს ალყა შემოარტყა. „ეს ალყა გაგრძელდა სრულად ცხრა თვე და ათი დღე“.

პირველმა იერიშებმა უნაყოფოდ ჩაუარა „ლომს“. სპარსული ჯარების წინ ადგილობრივი სომხური მოსახლეობა გაირეკა და თურქთა ზარბაზნებს უსაზმნოდ შეაჟლიტა.

დეკემბრის მიწურულს შაჰ აბასმა სულთან მეჰმედ III-ის სიკვდილი შეიტყო. თურქეთის ტახტზე გარდაცვლილის შვილი ასულიყო - თოთხმეტი წლის ა ჰ მ ე დ I (1603- 1617 წწ.). სახელმწიფო საქმეების მოთავეობა თურმე აჰმედის დედას აუღია ხელთ.

გაიხარა შაჰ აბასმა, — სადედაკაცოდ გამხდარა ოსმალთა ქვეყანაო.

მაგრამ ორი კვირის თავზე ახალი ამბავი ჩამოუტანეს აეშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბმა სტამბოლიდან: **გურჯი მეჰმედ ფაშა** დაუწინაურებიათ ოსმალთა სატახტოში — სასახლის აღად დაუნიშნავთ და იდუმალ მისთვის მიუნდვიათ თურმე სახელმწიფოს მოვლა-პატრონობა. ყრმობისას საქართველოდან გატაცებული და გამაჰმადიანებული ქართველი ყოფილა **მეჰმედ** ფაშა, დიდად ჭკვიანი და მაშაცი ვაჟკაცის სახელი ჰქონია დავარდნილი მთელს თურქეთში.

უუჰ, ეს ქართველები!..

და შაჰ აბასმა ალექსანდრე მეორესა და გიორგი მეათეს შემოუთვალა, — თქვენ-თქვენი კახელებითა და ქართლელებით სასწრაფოდ მომეშველეთო.

ალექსანდრეს ჩამოსაყვანად მისი შვილი კონსტანტინე-მირზა გაგზავნა, ხოლო გიორგისთან — თავისი უახლოესი ღულამი, გათათრებული ქართველი **თამაზ-ყული-ხანი**.

გიორგი მაშინვე წავიდა ერევანს ქართლელთა ჯარით, შაჰს ეახლა, მასთან „საუბრით განდიდებული შეიქნა, ხელმწიფური წყალობით შეიმოსა და ყველასაგან გამორჩეული გახდა“.

ხოლო ალექსანდრე აგვიანებდა. სულ ცოტა ხნის წინათ ისევ „შეეშალა“ კახეთის მეფეს, თურქეთის საამებლად და ერანის გასაჯავრებლად: განჯის ბეგლარბეგს **ქაიხოსრო ფაშას** დაუმოყვრდა ალექსანდრე, — მისმა შვილმა გიორგიმ ქაიხოსროს ასული შეირთო ცოლად. ქაიხოსრო ფაშა ყვარყვარე ათაბაგის შვილი იყო და ოჯახშიც ყველა ქრისტიანი ჰყავდა, მაგრამ ფაშა მაინც თურქეთის მოხელე იყო და მასთან დამოყვრება დიახაც უნდა სწყენოდა ერანის ხელმწიფეს...

მძიმე ზამთარი იდგა და ერევნის მოალყეებს ყინვა ისე უჭერდა, რომ „ტანში სული იყინებოდა“.

კახთა მეფისა და კონსტანტინე-მირზას დაგვიანების გამო უქმური შეჰყროდა შაჰ აბასს.

მხოლოდ ერთხელ გაიხსნა წარბი დაბოლმილმა „ლომმა“ იმ დღეებში. ინდოეთის ხელმწიფეს — **ჯელალ ად-დინ მოჰამედ აქბარის** დიდძალი ძღვენი გამოეგზავნა მისთვის.

ძღვენის გადაცემას დაესწრო შაჰ აბასის ელჩი ინდოეთში **მანუჩარ-ბეგი**, ესეც გათათრებული ქართველი.

მთელს ამ მისართმეველში ერთი ნივთი მოიწონა ყველაზე მეტად შაჰ აბასმა — ოქროსქარქაშიანი ხმალი, სულ ერთიანად

ძვირფასი თვლებითა და წვრილი ალმასით მოჭედილ-მოსეფ-
ფდებული.

— იღბლიანი არის ეს ხმალი, — უთხრა შაჰს მაწუჩარ-ბეგ-
მა, — ყველაფერი სასიკეთოდ წარიმართება, როცა მას ხელში
მოიმარჯვებ.

და ამ ინდური ჯადოსნური ხმლის „პირველ სიკეთედ“ კა-
ხეთის მეფისა და კახელთა ჯარის მოსვლა მიიჩნიეს სპარსე-
ლებმა.

კონსტანტინემ თურმე „ტკბილი სიტყვით, დაპირებებითა
და მუქარით დაითანხმა მამამისი“, წამოსულიყო ერევანს და
ჰხლებოდა შაჰს.

დიდის პატივითა და ზარზეიმით შეაგება შაჰ აბასმა ერა-
ნელთა ბანაკი კახელ სტუმრებს. „ყველა ამირები და სახელ-
მწიფოს წარჩინებულნი ალექსანდრეს შესახვედრად გაეშურ-
ნენ და ის სრულის დიდებითა და პატივით მოიყვანეს“.

შევიდა ალექსანდრე შაჰის კარავში, მიეახლა ტახტზე მჯდარ
აბასს და მის სახელზე გრემის ზარაფხანაში მოჭრილი ოქროს
ფულები სულ ბღუჯა-ბღუჯად აყარა და აფრქვია თავზე.

ფეხზე წამოიჭრა სახეგაბრწყინებული ერანის „ლომი“ და
„გულწრფელი სიყვარულით“ გადაეხვია კახეთის „ბებერ
მგელს“.

რაკი „ორივე გურჯისტანის“ — ქართლისა და კახეთის —
ჯარები თავისად დაიგულა, შაჰ აბასმა საიერიშო სამზადისი
ბრძანა.

ჯერ ლაღუმები ჩაუდეს და ჩაუფეთქეს ციხის ბალავერებს.
მერე საიერიშო უბნები გაუნაწილა ჯარებს აბასმა.

შაჰ აბასმაც კარგად იცოდა ძველი ქართული საომარი გა-
ნაწესი: „წესადცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“. და მე-
წინავე-მოიერიშე ჯარებად, გვერდიგვერდ ქართლელთა და კა-
ხელთა რაზმები წაიმძღვარა.

სამი დიდი ჯვარი გამოიტანეს ქართველმა ჯვარისმტვირთვე-
ლებმა გამჭვირვალე ქსოვილებით შებურვილნი და წინ აღუ-
მართეს ქართლისა და კახეთის ჯარებს.

— ამ ქართულმა ჯვრებმა უნდა გვიწინამძღვროს ბრძოლა-
ში, — მშვიდად და მტკიცედ თქვეს ქართველმა მეფეებმა.

შაჰს ხმა არ ამოუღია.

ბრძოლა დაიწყო.

ქართველები მოწყდნენ და გაქანდნენ ყიჟინითა და იარაღის ზრიალით.

გამოუხტნენ თურქები „ალლაჰ-ილალლაჰის“ ბღავილით.

უკუაქციეს ქართველებმა სასტიკი ჩეხვით.

შებრუნდნენ და უკანვე შეცვივდნენ ციხეში თურქნი.

ქართველებიც მიჰყვნენ სულმოუთქმელად.

და „მაშინ უმეტესად ყოველთა ქართველთა მოიჭირვეს და გარდავიდნენ გალავნებში და იომეს დიდად და სანამდი ყიზილბაშნი შევიდოდეს, ქართველთა აიღეს სიმაგრენი, აჩვენეს ძალი და მოჭირვება ყაენსა და აღიღეს ციხე“.

უკვე აღებულ ციხე-ქალაქში ერანელებიც შეცვივდნენ „ალლაჰ-ილალლაჰის“ ყივილით.

იდგა 1604 წლის აგვისტოს მიწურული.

ქართველებმა ერევანი ოსმალებს გამოჰგლიჯეს და სპარსელებს მიართვეს.

საზღვარი აღარ ჰქონდა შაჰ აბასის სიხარულს.

მორღვეული კარიბჭეები

აღტაცებულმა შაჰ აბასმა ნაომარი ქართველი მეფეები კარავში მიიწვია.

ორივე გულში ჩაიკრა — „მხურვალედ“, „ძმურად“; გულამომჯდარი „სიყვარულით“.

ორივე აღავსო უსაზღვრო მადლობით.

ორივე „განაძღო“ უძვირფასესი ძღვენითა და მისართმეველით.

გიორგის სამი ერანული სოფელი აჩუქა — ფუშთუქუნი, გილიანი და ლაჰიჯანი; თანაც ყოველწლიურ ჯამაგირად სამასი თუმანი დაუნიშნა ქართლის მეფეს.

ალექსანდრეს კი შვიდასი თუმანი აღუთქვა ყოველწლიურ ჯამაგირად.

არც ერთ მეფეს აზრი არ დაუკრავს, რომ ჯამაგირის დანიშვნა ერანის შაჰის სამსახურში ჩვეულებრივ „მოხელედ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესვლასა და დამოუკიდებელ მეფობაზე ხელის აღებას მოასწავებდა.

შაჰს ხითხითი აეშალა, როცა ამოდენა „წყალობით“ გაოცებული გიორგი და ალექსანდრე მის წინაშე ოდრიკალად მოიკეცნენ და თავები მიწას დაატაკეს.

მერე აიმართნენ და გამოსამშვიდობებლად გაემზადნენ სიხარულით სახეალეწილნი.

მაგრამ რატომ ჩქარობენ გურჯები?!

ნუ იქნებიან ასე უმადურნი და ასე ერთბაშად ნუ მიატოვებენ მათ „მწყალობელ“ და „მოყვარულ“ სპარსეთის ხელმწიფეს.

ამოდენა „პატივი და წყალობა“ რომ მიიღეს, ახლა იქნებ „მწყალობელსაც“ აქვს „მცირე რამე სათხოვარი“ სამაგიეროდ?

დიახ, თურმე ჰქონია!

და უთხრა ქართლის მეფე გიორგის შაჰ აბასმა:

— ოსმალეთის სულთანი, მართალია, ჩემი მტერია, მაგრამ უფრო მეტად შენი მოსისხლე გახლავს. ჰოდა, მე მოველ, შენი სისხლის დამაქცევარი გავანადგურე და საჩუქრად არაფერი მეკუთვნის?

— ?! — გაოცებული და გაოგნებული შეაშტერდა შაჰს გიორგი.

რა ხელად დაუვიწყნია შაჰ აბასს წეღანდელი ბრძოლის სურათი! აკი თურქებს ერევანი ქართველებმა დააგდებინეს ხელიდან და სპარსელებიც მზამზარეულ სუფრაზე მობრძანდნენ, მაგრამ... ვაი შენ, მცირე ხალხო და მცირე ხალხის პატრონო!.. ლომთან ბატკნები რას გააწყობენ!.. მაინც რა სურს და საით უმიზნებს ერანის ლომი?!

და ისევ შაჰმა „დაიხსნა“ ქართველი მეფე „უხერხული გაოგნებისგან“:

— დებედის ხეობა — ლორე და აღჯაყალა უნდა მომცე საჩუქრად! — ბრძანა მკვეთრი, ცივი ხმით.

— ეს ჩემი თხოვნაა! — მაშინვე დასძინა „ტკბილად.“

გული დაელახვრა და ტვინი დაეწვა გიორგის.

„ვაი, შენ, ჩემო თავო და ჩემო ქვეყანავ! ლორე, თეთრციხე — აღჯაყალა, ბერდუჯი — დებედა!.. ორასი წელიწადი

წყდება ქართველი ხალხი ამა სამხრეთული კარიბჭეების დასაცავად და შესანახავად. მათი შენახვა ინახავდა ამდენ ხანს სრულიად ქართლის მიწა-წყალს... ხოლო ახლა... ნუთუ ახლა უნდა დაირღვეს და დაილეწოს საქართველოს სამხრეთული ციხე-გალავანნი?!"

— უნდა მაჩუქო! — ისევ გაისმა ბრაზჩაღვრილი ჟინიანი ხმა.

გიორგიმ შაჰს თვალი უტეხად მიაპყრო და მწუხარე ღიმილით სახედასერილმა მიუგო:

— მე შენგან, მამიჩემისა და ჩემის სამსახურისთვის, ჯილდოდ სხვა ქალაქს ველოდი და არა ჩემი საზღვრებისა და ქალაქების წართმევას!

ეს სწორედ გაბედულად იყო ნათქვამი, მაგრამ სავსებით უსაზმნოდ.

შაჰ აბასის „თხოვნა" ბრძანებას ნიშნავდა. თუნდაც „საჩუქრად წაღებას" წართმევა რქმეოდა!

ახლა ალექსანდრეს ეუბნებოდა აბასი, ისევ მკვეთრი და ცივი „ქართულით":

— შენ კაკ-ენისელინ მხარე უნდა მომცე საჩუქრად!

ენა ჩაუვარდა „ბებერ მგელს".

მაშ, ქართული ხელიდან მიდის კაკ-ენისელი, დიდი ქართული მხარე, საინგილო!

კახეთის სამეფოს აღმოსავლეთის კარიბჭეები ერღვევა!

პასუხიც აღარ იყო საჭირო. შაჰის „თხოვნა" ხომ ბრძანებას ნიშნავდა, შეუვალ ბრძანებას!

ეს „ქართული" უნდა შეეგნოთ ქართველ მეფეებს, თორემ... თორემ შაჰ აბასი არ გახლავთ რომელიმე შაჰ თამაზი, შაჰ ხუდაბენდე, თუ რომელიღაც აყროლებული სუნიტი ხონთქარი, — აქამდე რომ კბილები ემსხვრეოდათ და წვივები ელეწებოდათ ქართულ მიწა-წყალზე იერიშების ჟამს!..

ლორეს მხარეს ერანის პროვინციულ სახანოდ აცხადებს შაჰ აბასი და აქ მმართველად ნიშნავს გათათრებულ ქართველ ფეოდალს.

(არავინ ისე კარგად არ იცის, როგორც შაჰ აბასმა: გათათრებული ქართველი ქართველებისთვის სისხლით თათარზე უარესია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ მალე ლორეს მხარეში შაჰი სპარსულ „ბორჩალუს“ მომთაბარე ტომს ჩამოასახლებს დედაწულიანად და ამ ქართულ ქვეყანას ერთხელ და სამუდამოდ ერთიანად გაათათრებს...

კაკ-ენისელს, გინა საინგილოს, აგრეთვე ერანის პროვინცია-სასულთნოდ აცხადებს შაჰი, აქაც ერთ დიდ თურქმანულ მომთაბარე ტომს შემოასახლებს და აქაურობასაც პირწმინდად გაამუსლიმებს. აქაც მმართველად გათათრებულ კახელ თავადს ნიშნავს აბასი (აკი გათათრებული ქართველი ქართველებისთვის...).

პირველი „საჭადრაკო ხელი ქართულ დაფაზე“ შაჰს მოგებული ჰქონდა.

მაშ, ლორე და კაკ-ენისელი!

შაჰ აბასს ხელთ ეპყრა ორი მარწუხი, რომლითაც, როცა მოისურვებდა, მოუჭერდა და სულს ამოხდიდა საქართველოს!

აღმოსავლურ და სამხრეთულ კიდურებზე დამბლა დასცემოდა ქართველთა ქვეყანას.

. . . . . .

შაჰის ახალმა ბრძანებამ გამოარკვია ქართველი მეფენი.

გიორგის ეუბნებოდა „ტკბილ-ქართულად“:

— მამაშენი სვიმონ მეფე დიდი მხედართმთავარი იყო, და ჩემი დიდი მეგობარი. ძალიან მიყვარდა მე ის. ძალიან მიყვარხარ შენც, ჩემო გიორგი. ჩვენ ერთად უნდა მოვსპოთ და მოვინელოთ ჩვენი მოსისხლე ოსმალნი. ახლა წადი, წაიყვანე ნუგზარ ერისთავი, შენი გურჯები და ოსმალური ციხიონები გამოყარე ქართლის ციხეებიდან და ამოწყვიტე დაუნდობლად!

ესა თქვა შაჰმა და იქვე მდგომ მეჰმანდარს (მესტუმრე) ანიშნა.

მეჰმანდარმა დიდი თასი მოართვა, შარბათით სავსე.

შაჰმა ჩამოართვა და გიორგის გაუწოდა:

— დალიე, ჩემო გიორგი, ჩვენი ძმობისა და სიყვარულის სადღეგრძელოდ დალიე!

გამოართვა და დალია გიორგიმ გულდანდობილად.

უსიამოდ აუზრიალდა ტანი.

„ხომ არ მომწამლეს ამ ურჯულოებმა?!“ — გაუელვა მეფეს.

. . . . . .

კარვიდან გამოვიდა გიორგი მძიმე ნაბიჯით.

ქართველი დიდებულები ელოდებოდნენ გარეთ ჩარაზმულნი. ნუგზარ ერისთავიც იქ იყო.

ღულამები გამოცვივდნენ კარვიდან, გათათრებული ქართველები. გიორგის თვალ-მარგალიტით სავსე ტომარაკი გამოურბენინეს, — შაჰის „წყალობის“ წამოღება დაგვიწყნიაო — უთხრეს.

კიდევ ორი ღულამი გამოიჭრა კარვიდან. ხელში შაჰის „ახალი წყალობა“ ეჭირათ — ოქრომკედითა და ზეზით ნაქარგი ხალათი.

წესი მოითხოვდა, — თავისი „ეროვნული ტანსაცმელი“ უნდა გაეძრო და სპარსული ხალათი შემოეცვა შაჰისაგან ნაწყალობევს.

მაგრამ გიორგიმ ქართული ჩოხა არ გაიხადა, ისე შემოიცვა გარედან სპარსული ხალათი, ამრეზილად და გულზიზღად.

მისცვივდნენ დიდებულები და უჩურჩულეს: ნუ იზამ მაგას, თორემ „მწყენარ იქმნების“ და გარისხდებაო შაჰი!

მწარედ გაეცინა მეფეს.

„ეწყინება და ეწყინოს! ასეც სჯობია, თორემ კიდევ რაღაცას მოგვთხოვს „საჩუქრად“! — თქვა, ცხენს მოახტა და გულჯავრიანად სწყვიტა მათრახი.

ყველანი ამხედრდნენ.

კარვიდან შაჰ აბასის ბოროტი თვალი მიშტერებოდა გაჭენებულ ქართველთა ახოვან ზურგებს.

„მშვიდობით, გიორგი მეფევ, სამუდამოდ მშვიდობით!“

. . . . . .

— შენი შვილი და შვილიშვილები ჩემთან ცხოვრობენ და კახეთში რა დაგრჩენია, ასე რომ მიიჩქარი, — უთხრა ცბიერი ქირქილით შაჰ აბასმა ალექსანდრეს და ერთ ხანზე ასე „დაბა“ თავისთან „ლომმა“ „ბებერი მგელი“.

ალბათ, რაღაც ახალ „წყალობას“ უმზადებდა შაჰ აბასი კახელებს.

. . . . . .

ერევნის ბეგლარბეგად შაჰ აბასმა დანიშნა ამირგუნეხანი, სიმამაცისთვის „ყვითელ ავაზად“ წოდებული ყიზილბაში.

თვითონ თავრიზს გადავიდა გამოსაზამთრებლად.

აქვე შაჰმა შეიტყო, რომ ოსმალთა ლაშქარი დაძრულა საომრად, ჯიღალ ოღლუ სინან ფაშას სარდლობით.

მაშინვე ბრძანა შაჰ აბასმა: მდინარე არაქსის მარჯვენა ნაპირი გაამაგრეთ, ხოლო მარცხენა — დედაბუდიანად აჰყარეთ, ყოველგვარი ნაშენები დაანგრიეთ, ნათესები მოსპეთ, ყველაფერი კაცის ნახელავ-ნაამაგარი დასწვით და გააცამტვერეთო.

ეს ძველი, „ნაცადი საშუალება“ იყო მუსლიმანური სტრატეგიისა — კულტურულ დასახლებათა აყრა, გადაყრა, იავარქმნა, გაუდაბურება და გაუდაბნოება, რამეთუ მტერმა „ფეხი ვერ მოიკიდოს“ და „საზრდელი“ ვერ იშოვნოს გაუკაცრიელებულ და ნაცარტუტად ქცეულ მიწაზე.

მძიმედ დააზარალა სომეხი ხალხი შაჰ აბასის ამ ურჯულო ბრძანებამ. მთელი აღმოსავლეთ სომხეთი, არაქსის მარცხენა მხარე, ერევანი, ჯულფა, ნახიჭევანი და მათი შემოგარენი სპარსელებმა დედაწულიანად აჰყარეს და ერანის „დაწყევლილ გზებს“ გაუყენეს. კულტურული ხალხის ყოველგვარი ნახელავი, რაც წაიღეს — წაიღეს, რაც არადა, დაანგრიეს, დასწვეს და წარხოცეს პირისაგან მიწისა.

გარდა იმისა, რომ ეს გადამწვარ-გადალეკილი ქვეყანა ოსმალთა წინსვლას შეაკავებდა, — შაჰს ასეთი საზარელი ღონისძიებით მეორე დიდი საქმის გაკეთებაც სურდა: მკვიდრ მიწათმოქმედებას და ვაჭრობა-ხელოსნობას შეჩვეული სომხური მოსახლეობა სპარსეთის მრავალ უქმ მიწა-წყალზე სოფლის მეურნეობასა და ფულად აღებ-მიცემობას ააყვავებდა!

350 000 სომეხი გადაასახლეს.

დიდმა ნაწილმა მშობლიური კუთხის დაკარგვა და უცხო მიწის სიმწარე ვერ აიტანა და დაიღუპა...

სპარსელებმა დიდძალი ხალხი გარეკეს აზერბაიჯანიდანაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეშინოდეს მარტის იდუსისა.

კეისრის ისტორია

ერთ საუბარში შაჰ აბასმა ალექსანდრე კახთა მეფეს ვითომც „სხვათა შორის“ ჰკითხა: შენ და განჯა-ყარაბაღის ფაშა როგორ დაუმოყვრდითო ერთმანეთს?

განჯის ფაშა ქართველი გახლავსო, ყვარყვარე ათაბაგის შვილი, — მაშინვე შეაგება ალექსანდრემ.

ქართველია, მაგრამ გათურქებული ქართველი და თურქეთის მოხელეო, — შეამყრალა პირში აბასმა.

ამის მეტი არაფერი უთქვამს მაშინ შაჰს. ან თქმა რაღა საჭირო იყო, შაჰი ალექსანდრეს ისევ არ ენდობოდა, მორჩა და გათავდა.

მაგრამ შაჰ აბასი ალექსანდრეში „ოსმალეთის მიმდგურობის“ გარდა რუსეთის ყმასა და აგენტსაც ხედავდა.

იმ ხანად ცინცხალი ცნობა მიეღო შაჰს კახეთიდან: თურმე რუსმა ელჩებმა — ტატიშჩევმა და ივანოვმა — თეიმურაზი და ელენე კი დაჰკარგეს, მაგრამ გიორგი ბატონიშვილს ბორის გოდუნოვის სახელზე ფიცის პირობა დაადებინეს (1605 წლის 1 იანვარი).

ალბათ, ახლა სულ აღარ გამიშვებსო შაჰი კახეთში, — გადაიწურა იმედი ალექსანდრემ.

მაგრამ ერთი თვის თავზე შაჰმა ქართველი მეფის გამგზავრების სამზადისი ბრძანა. მან ალექსანდრეს „ხელმწიფური პატივი სცა“, შეამკო „ძვირფასი ხალათებით, თაჯით, ჯიღით, მურასა-ქამრით და სხვა საკადრისი საჩუქრებით“...

— შენ შენს კახეთში წახვალ და შვილსაც გაიყოლებ, შენს შვილს! — უთხრა შაჰმა ალექსანდრეს მოულოდნელად.

— ჩემს შვილს?!

— ჰო, შენს შვილსა და ჩემს გაზრდილს, დიდ ბატონიშვილ კონსტანტინე-მირზას.

ეს ისეთი მოულოდნელი ელდა იყო, რომ ალექსანდრე ვე-

ღარც კი მიხვდა, გაუხარდა თუ ეწყინა დაკარგული შვილის „დაბრუნება“.

„რატომ მატანს შვილს?!“ — დაუტრიალდა თავში გაოგნებულ მეფეს.

შაჰი თითქოს მიუხვდა და მაშინვე „აუხსნა“: კონსტანტინე-მირზა დანიშნულია შირვანის ბეგლარბეგად (ალბათ, მამას უნდა გაუხარდეს შვილის ასეთი აღზევება!), მას დღეიდან ჰქვია ხანი და ამირათა ამირა. იგი სპარსელთა ჯარებით მიეშურება შირვანის ციხე-ქალაქებიდან ოსმალთა გასაძევებლად; ამ საქმეში მამა შვილს უნდა დაეხმაროს, — ალექსანდრე კახელთა ჯარით უნდა წაჰყვეს შირვანში კონსტანტინეს!

ახლა, რაკი ყველაფერი გასაგები შეიქნა, ალექსანდრეს შეეძლო „დამშვიდებულიც და გახარებულიც“ ყოფილიყო.

მაგრამ ალექსანდრემ არ იცოდა მთავარი: წინაღამით შაჰ აბასს კონსტანტინე-მირზა თავისთან ჩაეკეტა და დიდხანს რაღაცას ეზრახებოდა მარტოდმარტოს.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად იბნეოდა შაჰის პირიდან იდუმალი სიტყვანი:

„ბებერი მგელი...“

„აღარ დაადგა საშველი სიკვდილს...“

„გიორგი ბატონიშვილიც ხომ...“

„უკვე დაუწყია, მეფობა...“

„ხოლო, შენ?!“

„ძაღლად ვინ გაგდებს...“

„უნდა მოჰკლა...“

„ორივე... ორივ...“

„შენი იქნება... კახეთიც, შირვანიც...“

. . . . . .

1 თებერვალი იდგა, 1605 წლისა.

სისხამი, სუსხიანი დილა.

ალექსანდრე მზად იყო გასამგზავრებლად.

ამხედრებულიყო მისი მხლებელი კახთა ჯარიც.

გამოვიდა „დიდი ბატონიშვილი კონსტანტინე-მირზა“, შირვანის ბეგლარბეგი, ხანი და ამირათა ამირა.

მიეახლა და აკოცა ალექსანდრეს.

მამამ ვერ იგრძნო შვილის ბაგეთა სითბო.

— „ძალიან ჰყინავდა. ალბათ ამიტომ“, იფიქრა ალექსანდრემ.

რატომღაც მაინც გაუელვა, — როგორ აკოცა იუდამ ქრისტეს...

მზად იყო კონსტანტინეს მხლებელი სპარსელთა ჯარი.

მზად იყვნენ მისი თანაშემწე სარდლები:

შაჰმირ-ხანი,

შამსი-ხან ყაზაყლარი,

ალი-ხან მოვაფეყი,

ბექთაშ-სულთანი,

ფიზრუ-სულთან მოყადამი,

ახი-სულთან ჯაგირი,

ალი-ხან სულთან შამს ადდინლუ,

ალი-სულთან არეში...

იდუმალი მზერით ზვერავდა შაჰის ბოროტი თვალი მიმავალთა ზურგებს — ქართველთა და სპარსთა, — რომელთაც მამა-შვილი მიუძღოდა — ქრისტიანი მამა და გათათრებული შვილი.

სიცივე იდგა ქვეყანაზე.

სიცივე იდგა ადამიანთა გულ-გვამში.

. . . . . .

8 მარტს კახეთის საზღვარს მოადგნენ...

გიორგი ბატონიშვილი შემოეგებათ ორი ათასი კახი მეომრით.

მამა-შვილი მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ძმები — კახეთის ტახტის მოცილენი — ცივად შეეგებნენ ერთმანეთს.

გიორგიმ მამას მოახსენა: რუსი ელჩები ეშურებიან შენთან შეხვედრასო.

— ოთხი დღის შემდგომ მივიღებ ძაგემში, — ბრძანა ალექსანდრემ და მაშინვე გაეშურა ძაგემისაკენ.

კონსტანტინეც გაჰყვა მცირე ამალით.

სპარსელთა ჯარი საზღვარზე შეგუბდა და დადგა.

გიორგი ბატონიშვილი თორლას ციხეში ავიდა, ჯარი დაშალა და რუს ელჩებს შეატყობინა: ძაგემს გაეშურეთ და 12 მარტს იქ მიგიღებთო ალექსანდრე მეფე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე რუსმა ელჩებმა ერთი ფრიად საგანგაშო ამბავი აცნობეს გიორგი ბატონიშვილს: ჩვენ შევიტყვეთ, რომ კონსტანტინე-მირზა, შაჰის დავალებით, შეპყრობას ან სიკვდილს გიმზადებსო; ამიტომ ჩვენი რჩევაა, ყიზილბაშებს მოერიდო და საერთოდ ძაგემს წასვლაზედაც ხელი აიღეო.

გიორგიმ სისხლიერისგან ასეთი მუხანათობა არ ირწმუნა და ძაგემს მარტოდმარტო გაეშურა, უჯაროდ და უამალოდ.

10 მარტს ალექსანდრეს მანუჩარ დადიანისგან წარმოგზავნილი კაცი ეწვია და ლევან ბატონიშვილის წაყვანა ითხოვა ოდიშს (მკითხველს ახსოვს წინასწრობილად ნათქვამი: მანუჩარ დადიანს ცოლად ჰყავდა ალექსანდრე კახთა მეფის ასული ნესტან-დარეჯანი, რომელსაც შეეძინა ლევანი. თვითონ ნესტან-დარეჯანი მშობიარობას გადაჰყვა, ხოლო ყრმა ლევანი კახეთის სასახლის კარზე იზრდებოდა).

შეწუხდა ალექსანდრე, მაგრამ მაინც გაისტუმრა შვილიშვილი ოდიშს, დატვირთული „ნიჭითა დიდითა“.

რუსი ელჩებიც მოვიდნენ, მეფის სამყოფის ახლოს დაბინავდნენ და აუდიენციის დღეს — 12 მარტს დაელოდნენ.

11 მარტს ალექსანდრეს და გიორგის კონსტანტინე ეწვია, ყიზილბაშთა მცირე ამალით.

მეფემ შაჰის ნაჩუქარი ხალათი ჩაიცვა — გაყიზილბაშებული შვილის სასიამოვნოდ.

თითქოს სანაწეროდ იყო ატანილი იმ დღეს მოხუცი მეფე. იცინოდა, ოხუნჯობდა, „იშვებდა და იხარებდა“.

უსაზღვროდ უხაროდა მამას:

ისევ ჰყვარებიათ ერთმანეთი მის შვილებს, გიორგისა და კონსტანტინეს, ისე ტკბილად ესიტყვებიან, ექილიკებიან და ეხუმრებიან ერთმანეთს, როგორც ყრმობის ჟამს სჩვეოდათ; ისე თავდავიწყებით მისცემიან ძმები ძმურ სიყვარულს, თითქოს არასოდეს მათი ბავშვური სმენა არ წაურყვნია არც ქრისტეს, არც მაჰმადს და არც შაჰ აბასის სახსენებელს...

იმ დღეს კახეთის მეფესთან სადარბაზოდ იყვნენ რუსთველი ეპისკოპოსი, მისი ძმა, ცხენოსანი ჯარის სარდალი (ყორჩიბაში) აბელ ანდრონიკაშვილი და კიდევ ხუთი კახი თავადი. მაგრამ ისინი მალე გაეცალნენ მამისა და შვილების „ოჯახურ სიამტკბილობას“...

ის დღეც განესრულა.

გამომშვიდობებისას შაჰ აბასის გაზრდილმა „სხვათა შორის“ ჰკითხა მამასა და ძმას: ხვალ რასა იქმთ და რას აპირებთო?

— ხვალ რუსის ელჩები გვესტუმრებიან, — მიამიტური ღიმილით უთხრა ალექსანდრემ.

— რა დროს? — ისევ „სხვათა შორის“ იკითხა კონსტანტინემ.

— ასე, საშუადღეოზე.

კონსტანტინემ მამა და ძმა მხურვალედ გადაკოცნა და წავიდა.

. . . . . .

12 მარტი გათენდა.

ზარნაშოს კივილმა გამოაღვიძა ალექსანდრე.

მზე ჯერ არ ამოწვერილიყო და მოახსენეს: კონსტანტინე-მირზა გეახლათ ყიზილბაში ხანების, სულთნებისა და ამირების თანხლებითო!

ეფე გაოცდა.

შვილის ასე ადრიან წვევას არ მოელოდა.

თანაც, წუხანდელი გამომშვიდობების ჟამს, ასე უთენიად სტუმრობის თაობაზე არაფერი დაუბარებია კონსტანტინეს.

მაშინვე გიორგი ბატონიშვილი იხმო ალექსანდრემ.

გიორგიც სასწრაფოდ შემოვიდა.

კონსტანტინე მოვიდაო?!

ყიზილბაში სარდლები ახლავანო?!

ალბათ, ერანიდან რაღაც ახალი ამბავი მოსულაო, — დაასკვნეს მამა-შვილმა და მაშინვე სადარბაზო წვევა გაუგზავნეს სასულიერო და საერო რჩეულთ.

მაშინვე მოვიდნენ რუსთველი ეპისკოპოსი, მისი ძმა აბელ ანდრონიკაშვილი და ხუთი კახელი თავადი.

რუსი ელჩები გაახსენდა ალექსანდრეს. აკი მათი მიღება დღეისათვის ჰქონდა დანიშნული.

მაგრამ ალბათ მანამდე მოასწრებენ სპარსელებთან დარბაზობას...

კონსტანტინე-მირზა შემოვიდა ჯიქური წაბიჯით, იარაღში ჩასილაღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავხედური გამოხედვა და მიმოხვრა ჰქონდა. იგი უკვე ალარ ჰგავდა გუშინდელ „ალექსანდრეს ძვირფას შვილს“ და გიორგი ბატონიშვილის „საყვარელ ძმას“.

თანაშემწე სარდლები — ხანები, სულთნები და ამირები — შემოჰყვნენ, ყველანი სრული აღჭურვილობით დალესილნი.

ალექსანდრე ღიმილით მიეგება სტუმრებს.

სპარსელებმა სალამი ძლივს გაიმეტეს და შეთავაზებას არ დაუცადეს, ისე მოირთხეს ფეხი ხალიჩებზე, იარაღის ჟღრიალით.

„ხომ არ შევცდი, რომ ჯარი განვუტევე“!“ — ავად გაუელვა გიორგის.

უცებ სასახლის მცველი შემოვიდა და ალექსანდრესა და გიორგის წაულაპარაკა: ყიზილბაშთა ჯარი შემოვიდა ქალაქში!

ყიზილბაშთა ჯარიო?!

„ვაი დედასა, ეს რა ჩავიდინე? რუსებს რატომ არ დავუჯერე და უჯაროდ მოვედი ძაგემში?!“ — ისევ აეწვა ტვინი გიორგის.

ალექსანდრე მაინც არ ელეოდა სიმშვიდესა და სიდინჯეს.

კონსტანტინემ და „მისიანებმა“ აზრი დაიკრეს, რაზედაც უნდა ჰქონოდა ლაპარაკი კარისკაცს თავის მეუფეებთან.

აწრიალდა კონსტანტინე-მირზა. არაფერი მოხდესო მოულოდნელი, რუსებმაც არ მომისწრონო და, — ცივად, უტეხად უთხრა ალექსანდრეს: შირვანს ლაშქრობის თაობაზე მოვედითო სათათბიროდ!

ეს არ ყოფილა მოულოდნელი ალექსანდრესთვის.

აკი შაჰ აბასმაც დააბარა ერანიდან გამოსტუმრების ჟამს: კონსტანტინე-მირზასთან ერთად შირვანს უნდა ილაშქრო შენის კახელებითო.

მაგრამ რაღა მაინცდამაინც რუსებთან შეხვედრას დაასწრეს და ახლა აიჩემეს შირვანს ლაშქრობა ყიზილბაშებმა და მათმა ბელადმა — გაყიზილბაშებულმა კონსტანტინე ბატონიშვილმა?!

. . . . . .

აგერ, მეორე საათი ჩამოიქცა და ჩამოიწრიტა მშფოთვარე სიტყვა-სროლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში სიკვდილის გერ'ში ტრიალებდა.

კონსტანტინე-მირზას ხმა ჩახლეჩოდა, ხმლის ვადას ჩაჰ-ფრენოდა და შიგ სახეში ჩაჰყიოდა ალექსანდრეს: თუ მართლა შაჰის მოღალატე არა ხარ, დაუყოვნებლივ უნდა შეჰყარო კა-ხეთის ჯარი შირვანს სალაშქროდ.

ალექსანდრემ ეს მერამდენედ უპასუხა შვილს: შირვანს სა-ლაშქროდ ჯერ ვერ მოვიცლი, — ჯერ სამეფოს შინაური საქმე-ები მაქვს გასაწყობი და გასამართავი.

აიწყვიტა კონსტანტინემ.

ის იყო, მამისკენ წაუცდა ფეხი, რომ უცებ გიორგი ბატო-ნიშვილი აელანძა წინ.

თითქოს ამას ელოდა კონსტანტინე.

და ერთბაშად „სისხლისმღვრელი მახვილი იშიშვლა შუ-რისძიების ქარქაშიდან".

იშიშვლა, ალმაცერად მოიქნია და შიგ საფეთქელში შე-მოჰკრა მთელის ძალით.

უსულოდ დაირეცა გიორგი ბატონიშვილი.

— მომეშველეთო!!! — დაიბღავლა ალექსანდრემ და გაექ-ანა შვილისაკენ, რომელმაც მას მოუკლა შვილი!

გაიბრკიალეს და ისტვინეს ხმლებმა.

ალი-ხან მოვაფეყმა და შაჰმირ-ხანმა ასჩეხეს ალექსანდრე, მეფე კახეთისა.

ხმლები გაეძროთ ქართველ დიდებულებს.

დარბაზი უკვე გაჭედილიყო ყიზილბაშებით.

დაიგრიალეს ხელთოფებმა და დამბაჩებმა.

. . . . . .

ფეხზე წამოიჭრნენ რუსი ელჩები.

ტატიშჩევი მივარდა კამენევს:

— ვგონებ, მეფეს რაღაც უბედურება დაატყდა თავზე. ახ-ლავე გაიქეც და კონსტანტინე-მირზა გააფრთხილე, სისხლი არ დაიღვაროს, თორემ!..

კამენევმა უფროსი დიასპანის ბრძანების დასრულებას აღარ დაუცადა და სასწრაფოდ გარეთ გავარდა.

ყიზილბაშთა ჯარი ქალაქის ქუჩებსა და სახლებს გასეოდა და შეუწყნარებლად ხოცავდა დიდსა და პატარას.

ქუჩა გადაირბინა კამენევმა, ყიზილბაშთა ჯგრო გაარღვია და სასახლეში შეიჭრა.

შემზარავმა სურათმა გააქვავა კამენევი:

სისხლში გათხვრილი იდგა კონსტანტინე-მირზა. მის წინ რომელიღაც ყიზილბაშ მხედარს ალექსანდრე მეფის მოკვეთილი თავი ეჭირა, წვერით ჩაბღუჯული. შვილი გველის უძვრელი თვალებით მიშტერებოდა მამის ჩამქრალ თვალებს. ფეხებთან ალექსანდრეს უთავო ტანი ეგდო, დაჩეხილი და დასახიჩრებული.

იქვე გიორგი ბატონიშვილი იწვა, საფეთქელშელეწილი.

მოშორებით ეყარნენ მკერდშენგრეული რუსთველი ეპისკოპოსი, მისი ძმა აბელ ანდრონიკაშვილი და ხუთი კახელი თავადი...

უცებ ყმაწვილის განწირულმა კივილმა შესძრა გარემო.

კიბეზე ბიჭი ამორბოდა, ყიზილბაშები მოსდევდნენ ხმალშემართულნი.

— მიშველეთ, მიშველეთო! — მოჰკიოდა და მაშველი არსაიდან ჩანდა.

ეს მოკლული გიორგი ბატონიშვილის ვაჟი იყო, იესე უფლისწული.

დარბაზში შემოასწრო და კონსტანტინეს მივარდა:

— მე რისთვის მკლავენ, ბიძაჩემო, რისთვის, რისთვის?!!! — და სისხლიან ფეხებში ჩაუვარდა მამის მკვლელს.

— ხელი არ ახლოთ! — დაიღმუვლა კონსტანტინემ.

ყიზილბაშებმა ხმლები დაუშვეს.

პაპის სანთიობოში შევარდა იესე და კარი გადარაზა.

. . . . . .

ამაზრზენი ჭახანი მოესმა კამენევს.

შეტრიალდა და რას ჰხედავს:

კონსტანტინე-მირზას ხმლის დარტყმით თავი განეკვეთა გიორგისათვის.

„თათარმა ძმამ“ თმებში ხელი ჩაავლო და მაღლა ასწია „ქრისტიანი ძმის“ თავი.

. . . . . .

მამისა და ძმის თავები კონსტანტინემ ერანს წარგზავნა მი-

სი მწყალობელი და აღმზრდელი შაჰ აბასის „ძვირფას ძღვნად“.

ხოლო თავგანკვეთილი ცხედრები აქლემს მანდიკურად გადაჰკიდა და ალავერდის ტაძარში გაგზავნა „საბოლოოდ დასამარხავად“.

გათათრებული უფლისწულის მხეცობით გაოცებულმა და შეძრწუნებულმა კახელებმა დიდის წუხილით დაიტირეს და დაკრძალეს წამებული მამა-შვილის ნეშთები.

„დასხდნენ მგოსანნი გლოვისანი“.

იდგა ზარდამცემი ერემიადა.

ხოლო, მთავარი ჭირისუფალი — ქეთევან დედოფალი, ქვრივი დავით მეფისა.

განლიგებული უცქერდა ხალხი, როგორ დასტიროდა საოცარი ქალი მამამთილს, მაზლს და... საქართველოს...

შურისმგებლური

ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო!

ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

კახეთის სამეფო ტახტი, სახელმწიფო საგანძურები და სრა-სასახლენი სისხლიანმა კონსტანტინე-ხანმა დაიჭირა.

ეს მეორე შემთხვევა იყო, რომ გრემის სასახლეში მამისა და ძმის მკვლელი დამჯდარიყო ტახტზე: პირველად — ავგიორგი, ახლა — კონსტანტინე.

ღვიძლმა შვილებმა მოჰკლეს ალექსანდრე პირველიც და ალექსანდრე მეორეც (მართლაც, ავბედითად ყოფილა „დაცდილი“ სახელი „ალექსანდრე“ კახეთის ტახტზე!..).

ხალხში უტყუარი ხმა იყო დავარდნილი — კონსტანტინე-მირზამ მამისა და ძმის მკვლელობა შაჰ აბასის ჩაგონებითა და დავალებით მოახდინაო.

კონსტანტინე მხოლოდ საზიზღარი ჯალათი იყო სადისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბასის ხელში. მან ყველაფერი ისე მოიმოქმედა, როგორც „თაჯიბიუკელი“ და „ჩი-იანელი“ ჯალათები აკეთებდნენ, მხოლოდ ეს იყო, რომ მათებრ ცხვირ-პირი არ დაუჭამია მისგანვე წამებული მამა-ძმისათვის.

თვითონ კონსტანტინე დაჟინებით გაიძახოდა, შაჰი არაფერ შუაშია, მკვლელობა ჩემის ნებით ჩავიდინეო.

რუსი ელჩები სასტიკად იყვნენ გაჯავრებული კონსტანტინეს გაუგონარი მხეცობის გამო. ისინი „მკვლელ-მეფეს“ ეწვივნენ და თავისი გულისწყრომა მოახსენეს.

კონსტანტინემ შაჰის „უცოდველობაში“ ისევ თავი გამოიდო, ელჩებს რუსეთ-ერანის მეგობრობა გაახსენა და კახეთ-რუსეთის დაახლოების პირობაც აღუთქვა.

ტატიშჩევსა და ივანოვს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ გასპარსელებული ქართველის ხელით რუსეთის მეგობარი მეფისა და მისი შვილის მოკვლა კახეთში რუსეთის მარცხსა და სპარსეთის გამარჯვებას მოასწავებდა.

ელჩებმა კახეთი გულმწყრალად დასტოვეს და ქართლს გადავიდნენ გიორგი მეათესთან.

აქ მოლაპარაკება იმედის აღმთქმელად დაიწყო, მაგრამ ჩრდილოეთიდან მოულოდნელი ამბავი მოვიდა: ყირიმის ხანი შამხალის გავლით თურმე შირვანისკენ დაძრულა დიდძალი ჯარებით.

რუსი ელჩები სასწრაფოდ გაეშურნენ სამშობლოსაკენ.

შამხალმა ოსმალების დახმარებით ჩრდილო კავკასიაში გაანადგურა შვიდიათასიანი რუსული არმია. ბრძოლაში დაიღუპა სარდალი ბუტურლინი.

ჩრდილოური „ხსნის გზა“ ხანგრძლივად დაიკეტა საქართველოსთვის.

. . . . . .

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ყიზილბაში კონსტანტინეს გამეფება კახეთის „გათათრებასა“ და ერანის „თათრულ სახანოდ“ გადაქცევას მოასწავებდა.

მაგრამ სულ მალე კონსტანტინეც და შაჰ აბასიც დარწმუნდნენ, რომ კახეთის „გათათრება“ არც ისე იოლი საქმე იყო. აქაური ხალხი სიკვდილს არჩევდა და ქართველობაზე ხელს არ აიღებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთში უქარქაშო ხმლების წკრიალი ისმოდა.

პატრიოტებმა აჯანყების მთავარ გმირად ჯერ ბ ა გ რ ა ტ იესეს ძე მოინიშნეს — ალექსანდრეს ძმისწული.

(მკითხველს წინარე წიგნიდან ახსოვს იესე, ანუ სპარსელთაგან გამაჰმადიანებული ისა-ხანი, სწორედ სპარსელთა მხარდაჭერით თავის ძმას, ალექსანდრეს, რომ ეტოქებოდა კახეთის ტახტისათვის... იესეს სიკვდილის შემდეგ მისი შვილი ბაგრატი ალექსანდრეს შეუწყალებია, მამულიც მიუცია და ბიძაძმისწული ერთმანეთთან უღალატოდ ცხოვრობდნენ ალექსანდრეს აღსასრულამდე).

კონსტანტინემ საშიშროება იგრძნო და გაწაფული მზაკვრობით მეტოქის მოსპობა გადაწყვიტა.

კახელებმა დაასწრეს და ბაგრატ ბატონიშვილი მოსკოვს გაგზავნეს, რუსთ ხელმწიფესთან შესაფარებლად.

აჯანყების ნაკვერცხალი შეუჩერებლივ ღვივდებოდა.

კონსტანტინემ იგრძნო, რომ კახეთის მამულიშვილური ძალები ქალის გარშემო იყრიდა თავს.

ხოლო ქალი „ესე იყო ღვაწლ-მრავალი და სამგზის სანატრელი, დედათა შორის ახოვანი დედოფალი და მოწამე ყოვლად ქებული ქეთევანი“.

კონსტანტინემ ქეთევანის დაუფლება გადაწყვიტა.

ხოლო „დაუფლება ესე“ იქნებოდა არა მარტო ცოლად შერთვა მშვენიერი ქალისა, არამედ „სრულქმნილი დაუფლება“ მტრად გადაკიდებული კახთა ქვეყნისა.

კონსტანტინე ქეთევანის მაზლი იყო, მაგრამ მუსლიმანთა საოჯახო სამართლით მაზლისა და დაქვრივებული რძლის შეუღლება სააუგო და საძრახისი კი არა, დიდ „სამადლო ქმედებად“ ითვლებოდა.

და შეუთვალა კონსტანტინემ ქეთევანს:

„მე დამიპყრია კახეთი ნებითა ყეენისათა, ვარ მე ხელმწიფე და იყავ შენ დედოფალი; მაჰმადის სჯულით ჯერ-არს შეუღლება რძლისა და მაზლისა; ხოლო უკეთუ არა ინებო, მე ძალით ვჰყო ესე!“

უსაზღვრო ზიზღმა, აღშფოთებამ და გაოცებამ მოიცვა ქეთევანის გული. სასწრაფოდ კახელი დიდკაცობა შეჰყარა და აუწყა კონსტანტინეს „უკეთურება უკეთურებასა ზედა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მტკიცედ არ ამომიდგებით მხარში და ამ საზიზღარ კაენს არ ვაზღვევინებთ, მე კახეთიდან სულ წავალ და ქართლს დავბრუნდები, მუხრანს, ჩემს თავისსახლობაზეო, თქვა დედოფალმა.

დიდებულებმა დაიმუხლისთავეს სათაყვანო ქალის წინაშე და შეჰფიცეს, „რომე შენს მეტი ბატონი ჩვენ არ გვინდა“ და ვაზღვევინებთ შენს შეურაცხმყოფელსა და ჩვენი ქვეყნის დამაქცევარსო...

დაიწყო ქიზიყიდან.

აქაურმა ქართველობამ ერთბაშად უარი გამოაცხადა „თათარი მეფის“ მორჩილებაზე.

ქეთევანის უარით გაბოროტებული კონსტანტინე ყიზილბაშური მხედრობით სასწრაფოდ გაჩნდა ქიზიყში.

ქიზიყელებიც დაუხვდნენ მტერს საომრად დალესილნი.

კონსტანტინე დაფრთხა და ჩაქრა.

„რას მოითხოვთ?“ — იკითხა „დაყვავებით“...

„ან ქრისტიანობა დაიბრუნე, ან შენის ყიზილბაშებით კახეთიდან გადაშენდი“, — იყო პასუხი.

კონსტანტინემ აჯანყების მოთავეები გაინაპირა და მოლაპარაკება გაუმართა.

ყველას დიდძალი მისართმეველი მიართვა, დიდი „სასიკეთო“ დაპირებები დაურიგა და ასე მოსყიდულნი უკანვე, საომრად შემართულ ხალხთან გააბრუნა.

აჯანყების მოთავეებმა აჯანყებულები დაამშვიდეს და დაამოშმინეს.

მეფემ ბრძანაო, ჯერ შირვანს ვილაშქროთ და მერე ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც „ჩემს მოძმე“ კახელებს მოესურვებაო!

ხალხის მოღორებას ერთხანზე ადვილად ახერხებენ ხოლმე მათი მეთაურები, ქიზიყელებიც მოტყუვდნენ და იმის ნაცვლად, რომ მოსისხლე მტერს საომრად შებმოდნენ, იგივე მტრის საომარი დროშის სამსახურში ჩადგნენ.

კონსტანტინე ქიზიყიდან გრემს დაბრუნდა, ყიზილბაშთა თავაშვებულობა ალაგმა, ქრისტიანთა დევნა და შეურაცხყოფა აკრძალა, კახელი თავადები უხვი წყალობით აავსო და კახთა ჯარები შირვანს სალაშქროდ „გაიმარაგა“.

ქეთევანმა და მისმა თანამდგომმა დიდებულებმა კარგად იცოდნენ, რომ შირვანს ლაშქრობაზე უარის თქმა თვითონ შაჰ აბასის წინააღმდეგ აშკარა აჯანყებას ნიშნავდა. ამიტომ, სანამ კონსტანტინე ვერ მოეშორებინათ, მის ნებას უნდა აჰყოლოდნენ და საომარ წვევაზე დათანხმებულიყვნენ.

ათი ათასი კახელი მხედარი დაუყენა გვერდით კონსტანტინემ ყიზილბაშთა ლაშქარს და 1606 წლის მაისში შირვანისაკენ გაქუსლა.

კონსტანტინეს თან მიჰყავდა თავის ძმისწული იესე გიორგის ძე და მისი მცირეწლოვანი ძმა, მიჰყავდა მძევლებად, „ყოველ შემთხვევისათვის“.

ჯერ შაქში შეიჭრნენ კახელები და სპარსელები.

გამოუხტათ აქაური თურქი ბეგლარბეგი მოჰამედ ემინ ფაშა ოსმალთა მხედრობით, მაგრამ დამარცხდა და თვითონაც რომელიღაც კახელის ხმალს შეაკვდა.

ქართველებმა და ყიზილბაშებმა ჯერ არეში აიღეს, მერე ყაბალას შემოადგნენ ალყად.

ყაბალას კედლებთან დიდი ომი გაჩაღდა.

„შეიქნა ძალმიცემით ცემა და ბრძოლა. ნამეტნავათ კარგად იყვნენ კახნი და კოხტაურად იბრძოდნენ. შიგნიდამ ურუმთა (თურქთა) და გარედამენ ყიზილბაშნი გაკვირვებულნი შექმნილიყვნენ ქართველთა გალომებისასა და შეუპოვრად მხიარულად ომსა“.

შირვანის ბეგლარბეგი მაჰმუდ ფაშა, ჯიღალ ოღლუ სინან ფაშას შვილი, დიდი მხედრობითა და არტილერიით შემახადან გამოვიდა და ყაბალასკენ გაემართა თურქთა ციხიონის მისაშველებლად.

კონსტანტინემ ჯარის ერთი ნაწილი თვითონ აიყოლია და მაჰმუდ ფაშას მდინარე აღ-სუს პირზე დაუხვდა.

„ბრძოლისა და ხოცვის ცეცხლი გაჩაღდა“.

თურქებმა ფლანგებიდან შემოუტიეს და ყიზილბაშები ბრძოლიდან გააქციეს, მაგრამ შუაში მდგარმა კახელებმა მოპირდაპირის შუაკერძი გაარღვიეს და გადაქელეს. კახელთა წინსვლით გულმოცემული ყიზილბაშები ბრძოლას შეუბრუნდნენ.

თურქები დამარცხდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშფოთებულმა და გაუბედურებულმა მაჰმუდ ფაშამ ბრძოლის ველი მიატოვა და გაიქცა.

გაქცევისას კონსტანტინეს შეეფეთა მაჰმუდ ფაშა.

კონსტანტინემ ის იყო შუბი გამართა, რომ უეცრად რომელიღაც თურქის ხელით გასროლილი ისარი მოხვდა და ცხენზე ჩაიკეცა.

გამხნევებული შემოტრიალდნენ თურქები.

მაგრამ ისევ მძლავრად შეუტიეს კახელებმა.

ისევ უკუიქცნენ თურქები.

ძლივს შეასწრო მაჰმუდ ფაშამ შემახას ციხეში.

ორი ათასი ოსმალი დარეცილიყო ბრძოლის ველზე.

შირვანის ფაშას მაინც რომ შეიტყვეს, ყაბალის მეციხოვნეებმა ქალაქი მიატოვეს და გაიქცნენ.

მკვლელი სიკვდილს დაურჩა და ყაბალაში შევიდა. მან თურქთაგან გაწმენდილ შაქის გამგებლად შაჰმირ-ხანი დანიშნა, ის შაჰმირ-ხანი, ომლის ხმალმაც მოინელა მამამისი ალექსანდრე...

კონსტანტინემ შირვანში მოხვეჭილი გამარჯვებები სასწრაფოდ აცნობა შაჰ აბასს.

შაჰი თავრიზის მთავარ მოედანზე იდგა ქართველი და ჩერქეზი ღულამებით გარშემორტყმული, როცა კონსტანტინესაგან გამოგზავნილ ფაიქები ეახლნენ და თურქული დროშები, თურქთა წარკვეთილი თავები და თურქი ტყვეები ერთად ჩაუყარეს ფეხთაქვეშ...

„თავრიზში სიხარულის ნაღარა დაჰკრეს.“

შაჰმა ამ დღეს მხოლოდ ქართველებთან ინადიმა, — ქართველ ღულამებთან.

მერე კონსტანტინეს „გაუგზავნა დიდებული საჩუქრები და ჯილდოები — მურასა თაჯი, მურასა ქამარ-ხანჯალი, მურასა ხმალი და მურასა ლაგამ-უნაგირით დარახტული არაბული ცხენი“.

კონსტანტინე ცას ეწია სიხარულით.

ჭრილობაც მალე მოუშუშდა და ახალი სალაშქრო სამზადისი ბრძანა.

კახელები და სპარსელები ამჯერად შირვანის მთავარ ქალაქს, შემახას, შემოერტყნენ ალყად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქები მედგრად იცავდნენ თავს.

კონსტანტინემ ერანიდან ზარბაზნის ჩამომსხმელნი და ტყვია-წამალი გამოითხოვა. ყველაფერი მიიღო, მაგრამ არც ამან უშველა საქმეს.

ალყა ძალზე გაჭიანურდა.

კახელთა ჯარი „უქმად დგომას“ შეუწუხდა და დრტვინვა დაიწყო.

მამა-ძმის მკვლელი იმდენად გათამამებულა და გათავხედებულა, აზრიც ვერ დაუკრავს, რომ შურისმგებლური სიკვდილის აჩრდილი დღე და ღამე მოუშორებლად უჯდა ყურს უკან.

უკვე მოქმედებდნენ შეთქმულნი.

გადაწყვეტილი იყო: კონსტანტინე უნდა მოეკლათ, გიორგის ვაჟები გაეტაცნათ, ყიზილბაშთა ბანაკს გასცლოდნენ და ჯარით კახეთს დაბრუნებულიყვნენ.

კონსტანტინემ კახელთა უკმაყოფილების ამბავი შეიტყო და სარდალ-თავადებთან თავისი „ვეზირი“ — ხოჯა ზიაედდინ ქაში მიაგზავნა სათათბიროდ.

თავადებმა ჯარის უკმაყოფილების მიზეზად ომის გაჭიანურება დაასახელეს. ეს იყო და ეს. ვეზირმა კონსტანტინეხანის სახელით ერთი თვის შემდგომ სახლში გაშვება და დიდი საჩუქრები აღუთქვა კახელებს.

კონსტანტინეს ეგონა, რომ ამით „ყველაფერი ჩათავდა...“

მაგრამ...

ერთ ღამეს ქართველი აზნაურები „ქეშიკში“ (ყარაულში) იდგნენ.

ხოლო კონსტანტინეს ეძინა თავის კარავში.

ქართველები შიშველი ხმლებით შეიჭრნენ კარავში. ზედ კარებთან წაძინებული ყიზლბაში წამოიჭრა და დაიღრიალა ისტერიულად, კონსტანტინე სარეცლიდან წამოვარდა, ხმლით კარვის უკანა მხარე გახია, გარეთ გაფრინდა და ალი-ხან მოვაფეყის კარავში შევარდა გულგახეთქილი.

შეთქმულებმა, სანამ კონსტანტინეს გაქცევას შეიტყობდნენ, მანამ კარავში „ორი მთვარისსახიანი ახალგაზრდა“ დალანდეს მძინარი და ერთი მათგანი მაშინვე აჰკუწეს, რაკი კონსტანტინე ეგონათ იგი.

ამასობაში შეთქმულთა მეორე ჯგუფმა იესე გიორგის ძე და მისი ძმა გამოიტაცეს მეზობელი კარვიდან.

ალი-ხან მოვაფეყის კარავთან ბუკის ცემა ატყდა.

ქართველები მიხვდნენ, რომ ბრმა შემოხვევის წყალობით კონსტანტინე სიკვდილს გადარჩენოდა. ყიზილბაშებიც საომრად გროვდებოდნენ. ამჯერად ისევ გაცლა სჯობდა ყველაფერს.

ქართველთა ჯარი სასწრაფოდ ამხედრდა და ბანაკიდან გაქუსლა.

კონსტანტინე მცირე ხანს ყოყმანობდა ცხენზე აღმჯდარი. მერე ცხენს ქუსლი ჰკრა და კახელებს გამოედევნა ჯარით.

დილით, ბზის ამოსვლისას წამოეწივნენ ყიზილბაშები ქართველებს.

ქართველები ფიცხლავ შემოტრიალდნენ და საომრად ჩალაგდნენ.

კონსტანტინემ ჯარი შეაყენა და თვითონ ათიოდე ნაბიჯით წინ გავიდა.

ქართველებმა ხმის ამოღება არ დააცალეს:

— შენ მუსლიმანი ხარ, გათათრებული და ქართველობა დაკარგული; შენ მკვლელი ხარ და მკვლელი მშობელი მამისა, მკვლელი ღვიძლი ძმისა; შენ მოღალატე და გამყიდველი ხარ შენი ქვეყნის და შენი ხალხისა!.. ამიტომ არ შეგვიძლია მეფედ დაგისვათ ამნაირი ღვთისპირისგან გადავარდნილი! ამიტომ გირჩევთ, უკან გაბრუნდე, თორემ სულ ერთია, დავიხოცებით და კახეთის მეფობას მაინც არ დაგანებებთ!

ეს იყო ერთხმივი ძახილი, ნება და ძალა მძვინვარე ხალხისა...

კონსტანტინე გაბრუნდა.

ქართველთაგან მიტოვებულმა ყიზილბაშებმა შემახაზე ბრძოლის გაგრძელება უიმედოდ ჩათვალეს, გასაქცევად აიშალნენ და მალე სავსებით დაიფანტნენ და დაიკარგნენ.

შემახა, ბაქო და დარუბანდი ხელუხლებლად ოსმალებს ღარჩათ.

განადგურებული და დამცირებული კონსტანტინე არდებილს ჩავიდა, შაჰ აბასს თავს გადამხდარი უბედურება სიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლით აუწყა და შირვანისა და კახეთის ხელახლა დასაპყრობად ახალი ჯარები სთხოვა.

კონსტანტინეს იღბალი, რომ შაჰ-აბასმა მისი მარცხის ამბავი სწორედ მაშინ შეიტყო, როცა იგი „ყველაზე დიდი გათათრებული ქართველისაგან“ იყო გახარებული და აღტაცებული.

თურქეთის დიდი მხედრობა, რომელსაც ჯიღალ იღლუ სინან ფაშა მოუძღოდა, შეუჩერებლივ მოიწევდა თავრიზისაკენ. შაჰ აბასს ალავერდი-ხან უნდილაძისთვის მიუნდვია ოსმალთა შეკავება.

დაძრულა უნდილაძე 30 000 ყიზილბაშით, ქართველი შაჰისევანითა და ღულამით.

ვანის კედლებთან დასძგერებიან ერთმანეთს უნდილაძე და სინან ფაშა.

გათათრებულ ქართველთა მეწინავე ჯარით გაურღვევია თურქთა შუაკერძი უნდილაძეს. ნახევარმთვარისანი სახელმწიფო დროშა თავისი ხელით დაუთრევია ერანელთა „გურჯ მთავარსარდალს“.

ბრძოლას გაჰქცევია თვითონ სერასქერი ჯიღალ-ოღლუ. განახევრებული ლაშქარი მიჰყოლია უგზო-უკვლო სრბოლა-ჭენებით.

თავრიზი დიდის ზეიმით შეახვედრა შაჰ აბასმა „სწორუპოვარ გურჯს“, მის „მარჯვენა ხელს“.

უნდილაძეც იქ იყო, როცა კონსტანტინეს მარცხის ამბავი მოვიდა არდებილიდან. გუნება არ წაიხდინა შაჰ აბასმა. არც გაიკვირვა: ოსმალებს კი არა, ქართველებს დაუმარცხებიათ ქართველი კაცი; დიდი არაფერი დაშავებულა, კონსტანტინე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ბევრ რამეს მოესწრებაო.

ხითხითებდა და უნდილაძეს ელაციცებოდა შაჰი:

როცა მე და ჩემი ალავერდი-ხან უნდილაძე ოსმალებს ერთჯერ კიდევ ძმარს ვადენთ, მერე ყარაბაღისკენ გავილაშქრებთ და მაშინ ერთ რაზმს კონსტანტინესაც ვაჩუქებთ, რათა ხელახლა დაიპყროს შირვანი, და მაშინ საქართველოს საქმეებიც ისე მოეწყობა, როგორც მე და ჩემს ალავერდი-ხანს მოგვიხდება...

იცინოდა შაჰი და უნდილაძეს შესციცინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკრთალად იღიმებოდა უნდილაძე.

. . . . . .

მეორე დღეს კახეთიდან ელჩობა ეწვია შაჰ აბასს. კახელები შაჰის მორჩილებაზე თანხმობას აცხადებდნენ, ოღონდ მამა-ძმის მკვლელი კონსტანტინე მოგვაშორე და მეფედ „შენი მაღალი ტახტის“ ახლო მყოფი თეიმურაზი გამოგვიგზავნეო.

შაჰის „მაღალი გონება“ მაშინვე მიხვდა, რომ კახეთს კონსტანტინე მისი „თათრობისთვის“ არ სურდა, ხოლო თეიმურაზს „ქრისტიანობისთვის“ (ანუ ქართველობისთვის) იწონებდა. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „კახეთის საქმეს“ მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა სჭირდებოდა. ყოველ შემთხვევაში, სანამ თურქეთთან ომში გადამწყვეტ ძლევამოსილებას ვერ მოიპოვებდა, მანამ შაჰს კახეთისათვის „დიპლომატიური ბაწარი“ უნდა ეთრია. ამჯერად „სახელმწიფოს მისწრაფებანი მოითხოვდნენ, რომ შაჰს ქართველები ხელმწიფური წყალობით დაეიმედებინა, რათა ქართველებს ერანის ღალატი და ურჩობა არ გაებედათ“.

შაჰმა ელჩებს ალექსანდრესა და გიორგის დაღუპვის გამო სამძიმარი უთხრა, კონსტანტინეს საქციელი კი ძალიან დაიწუნა... კონსტანტინეს ჩამოცილებისა და თეიმურაზის კახეთს გაგზავნის საქმესაც მალე გადავწყვეტო, აღუთქვა ელჩებს. მერე ქეთევან დედოფლისა და კახეთის წარჩინებულ მესვეურთა სახელზე „წყალობის წიგნი“ შეადგინა, თავის ელჩს ჰოსეინ-ბეგ ჯარჩი ზულ-ყადარს ჩააბარა და ქართველ მოციქულებთან ერთად კახეთისაკენ გამოისტუმრა.

. . . . . .

კონსტანტინემ შაჰის წყალობას აღარ დაუცადა და არდებილში ახალი ჯარების შეყრას შეუდგა. აქაური ვაჭრებისაგან დიდი ფული აიღო — „ზოგი სესხად, ზოგიც ჯარიმად“. იმ ფულით ჯარისკაცები დაიქირავა — ყიზილბაშები, თურქმანები, შირვანელები, ლეკები, მეჯოგეები, მომთაბარენი, მკვლელები, მძარცველები და ნაძირალები.

ამხედრდა, ეს ნაყიდი ლაშქარიც აამხედრა და საქართველოსაკენ წამოემართა. თანაშემწეებად ისევ ის ხანები და სულთნები მოჰყვებოდნენ, კახეთსა და შირვანში ლაშქრობათა ჟამს რომ ახლდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაქი გამოიარა და აქ მისგანვე დატოვებული შაჰმირ-ხანი აიყოლია თავისი ჯარით.

ძაგემს მოვიდა კონსტანტინე, ბანაკად დადგა და გრემში მოციქული აფრინა ქეთევან დედოფალთან და მის სადარბაზოსთან.

მე სამტროდ არ მოვსულვარო, ითვლევინებოდა კონსტანტინე, არც თქვენს შორის მეგულება მტერიო, იმ სამი-ოთხი კაცის გარდა, მოკვლა რომ დამიპირეს და ამდენი შფოთი და დავიდარაბა აგვიტეხესო. მიმიღეთ, ყველაფერში თქვენი სურვილისამებრ მოვიქცევი, ჩემს ნათესავ უფლისწულებსაც მამასავით მოვუვლი და, სხვას რომ თავი დავანებოთ, იმ ჩემი მოკვლის მოსურნეებსაც მივუტევებ ესოდენ მტრობასო. თუ ასე შემონათვალს არ დაიჯერებთ, ვინც გენებოთ გამომიგზავნეთ და იმის წინაშე დავიფიცებ ყოველ ჩემს აღთქმასო.

გრემში სასაცილოდ არ ეყოთ კონსტანტინეს ფიცი და მტკიცი.

შაჰის „წყალობის წიგნმაც“ მოუსწრო და კახეთის მესვეურები დარწმუნდნენ, რომ კონსტანტინე შაჰის გამოგზავნილი არ ყოფილა „კახეთის დასაპყრობად“...

სასწრაფოდ აისხა იარაღი კახთა მხედრობამ.

ქეთევანმა ქართლშიც აფრინა შიკრიკი დახმარების სათხოვრად.

მეფე გიორგი მეათემ პ ა პ უ ნ ა ა მ ი ლ ა ხ ო რ ი წარმოგზავნა ზემო ქართლის ჯარით.

ლაშქარი დალოცა ალავერდელმა.

ქეთევან დედოფალი გაუძღვა, ვითარცა ერთ დროს დიდი თამარი შვიდმნათობიერი მიუძღოდა „ყოველი საქართველოს“ მხედრობას.

ჯალაბით, ქალებით და ბავშვებით მოდიოდნენ კახელი მეომრები.

ბელაქნის წყალზე მოვიდნენ.

მაღლობზე კახეთის სახელმწიფო დროშა აღმართეს და მის ქვეშ ქალები და ბავშვები დააბანაკეს.

აქვე დადგა ქეთევან დედოფალიც, იესე გიორგის ძისა და მისი ძმის თანხლებით.

მეომრებმა დედოფლისა და ცოლ-შვილის წინაშე შეჰფი-

ცეს მამულიშვილური თავგანწირვა, რაინდული ვაჟკაცობა და მოყვასური თანადგომა და თანალმობა. მერე წინ გავიდნენ და საომრად დაირაზმნენ.

კონსტანტინეც გამოჩნდა თავისი მხედრობით.

შუაგულს მოუძღოდა სამივე მკვლელი მეფე მამა-შვილისა — თვითონ კონსტანტინე, შაჰმირ-ხანი და ალი-ხან მოვაფეყი. ფლანგებზე მიდგნენ დანარჩენი ხანები, ამირები და სულთნები.

მოვიდნენ და ქართველთა პირისპირ დადგნენ.

1605 წელი, 22 ოქტომბერი, ბრძოლა ბელაქნის წყალზე.

უმძაფრესი ძგერებით დაეძგერნენ ერთმანეთს.

დიდხანს წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი.

პირველი ბზარი მუსლიმანთა მარჯვენა განაკიდურს გამოაჩნდა. აქ კონსტანტინეს ერთგული ღულამი იბრძოდა — ყარჩიხა სულთანი. იგი დამარცხდა და უკუიქცა თავისი მხედრებით.

კონსტანტინემ შუაკერძი მიატოვა და გაქცეულთა შესაკავებლად „გააჭენა სიმამაცის ცხენი“.

მეწინავე ქართველებმა წინ გამოჭრილი კაენი იცნეს და ზურგიდან გზა ჩაუჭრეს.

სამი სარდალი მიეჭრა ერთად — დავით ჯანდიერი, თამაზ და ბებურ ვაჩნაძენი.

სამი მხრიდან შუბები აძგერეს და უნაგირიდან ასხლიტეს.

მამისა და ძმის წარკვეთილმა თავებმა გაიელვეს კონსტანტინეს გონსარბიელზე.

და უმალვე ჩაქრა დაუდგრომელი, ბოროტი სული.

. . . . . .

ქეთევან დედოფლის განასაჯი აცნობა ქართველმა მაცნემ მუსლიმანთა სარდლობას:

— მოკლული არის თქვენი მბრძანებელი კონსტანტინე-ხან, რომელიც შაჰის ნების წინააღმდეგ წამოსულა ჩვენთან საომრად; აწ ჩვენ მზადა ვართ დაგიზავდეთ, უკეთუ თქვენც დაეთანხმებით სამშვიდობო ნაღარის დაკვრას!

მუსლიმმა სარდლებმა არ ინებეს მშვიდობის ჩამოგდება. მათ სურდათ ბრძოლა მოეგოთ, იესე ბატონიშვილი მოეტაც-

ნათ და ყოველმხრივ პირშეურცხვენელი ჰხლებოდნენ მბრძანებელ შაჰს.

ისევ აგრიალდა და აინთო ბრძოლის ველი.

თავგანწირვით ეტევებოდნენ ქართველები.

აკი ზურგში ქართული დროშა ფრიალებდა, იქვე „სამგზის სანატრელი დედოფალი“ და ქართველთა ოჯახები იდგა!..

გატყდნენ და უკუიქცნენ მუსლიმანნი.

გამოედევნენ ქართველები.

ურიცხვი მტერი დახოცეს, დარეცეს და დაამიწეს.

ყმაწვილ მეფეთათვის

შაჰ აბასი ისევ თავრიზში იყო.

უნდილაძეს ეთათბირებოდა.

ოსმალთა ახალი დიდი მხედრობა დაძრულა, სერასქერ ჯიღალ ოღლუსა და ნასიფ ფაშას სარდლობით. აზერბაიჯანისაკენ მოეშურებოდნენ თურქები, სალმასისა და თასუჯის გზებით.

რამდენი არის თურქთა ლაშქარი, — ეს მერამდენედ ეკითხებოდა შაჰი უნდილაძეს.

— ასი ათასი მეომარი, — ისევ მიუგო უნდილაძემ.

— მერე, ჩვენ? ჩვენ რამდენი გვყავს?

— სამოცი ათასი.

— უნდა დავუცადოთ ახალი ჯარების შეყრას.

— მაგრამ თურქები დაგვიცდიან? — ღიმილით ჩაუჭრა უნდილაძემ.

— მაშ, როგორ? სამოცი ათასით შევხვდეთ ასი ათასს?!

— დიახ! — მტკიცედ მოსჭრა ქართველყოფილმა.

— მერე?!

— მერე ის, რომ ისინი ოსმალები არიან, ჩვენ კი ერანელები.

ძალიან მოეწონა შაჰს, ქართველმა რომ თქვა ეს: „ჩვენ ერანელებიო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასუხი ველარ მოასწრო, ისე მოახსენეს მოულოდნელად: კახელები შებრძოლებიან ბელაქნის წყალზე სპარსელებს, კიდევაც დაუმარცხებიათ, და კონსტანტინე-ხანიც ბრძოლაში მოუკლავთო.

ფეხზე წამოვარდა შაჰ აბასი ასპიდცემულივით.

კონსტანტინე მოუკლავთო?!

. . . . . .

მერე მომახსენეთ, ახლა მაგისთვის არა მცალიაო, მძიმედ თქვა შაჰმა და ისევ ჩაიკეტა უნდილაძესთან განმარტოებით.

— მაშ, შენ იმედი გაქვს, რომ სამოცი ათასით ასი ათასი დამარცხდება.

— ალლაჰისა და შაჰის შეწევნით, — თქვა უნდილაძემ.

. . . . . .

ბრძოლა მოხდა 1605 წლის 7 ნოემბერს, სუფიანთან, ურმიის ტბის ახლოს.

ისევ უნდილაძე შეიქნა საშინელი ხოცვა-ჟლეტის მთავარი გმირი.

თურქები სასტიკად დამარცხდნენ და გაიქცნენ.

თვითონ სერასქერი ჯიღალ ოღლუ სინან ფაშა არც ახლა „დაუწვავს“ სირცხვილს, ისე მოჰკურცხლა ბრძოლის ველიდან.

მრავალი ტყვე და ნადავლი ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა (არავინ ამბობდა — ქართველებმაო!).

ოცი ათასი თურქის წარკვეთილი თავი დაახვავეს შაჰის წინაშე.

ურმიიდან უნდილაძე ყარსისაკენ გაემართა ჯარის ნაწილით, ხოლო შაჰი დანარჩენი მხედრობით ყარაბაღისკენ წამოვიდა, ყარაბაღი დაიჭირა, მერე განჯას მოადგა და ალყაში მოაქცია.

აქ შაჰ აბასს კახეთის ელჩობა ეახლა, ქეთევან დედოფლისგან გამოგზავნილი.

კახელები სპარსეთის ლაშქრის „უნებლიე ხელყოფისათვის“ ბოდიშს იხდიდნენ, ხოლო მოკლული კონსტანტინეს სანაცვლად კახეთის ტახტზე „შაჰის გაზრდილი“ თეიმურაზ ბატონიშვილის დანიშვნას ეაჯებოდნენ.

ყველაფერს მიხვდა ცბიერი აბასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახელებთან გაშლილ საჭადრაკო დაფაზე „მეორე ხელი“ წაგებული ჰქონდა: „ნამდვილ ქართველებმა“ გათათრებული კონსტანტინე არ დაისვეს კისერზე; კახეთის გათათრება „კონსტანტინე-პაიკის სვლით“ არ გამოვიდა.

თეიმურაზს ითხოვენ მეფედ ქართველები, ქრისტიან თეიმურაზს...

რა გაეწყობა! ამჯერად ჩათრევას ჩაყოლა სჯობია. წინ კიდევ რამდენი „ხელი“ უნდა „ითამაშოს“ შაჰ აბასმა კახურ (და საერთოდ — ქართულ) „დაფაზე“!

მთავარი მაინც ეს არის, — რუსეთისაკენ არ გამექცესო კახეთი!

მაინც ძალიან იქაჩებიან რუსეთისაკენ ქართველები!

ვაი თქვენ, ქართველებო!

. . . . . .

— მაშ, კონსტანტინე მოჰკალით, არა? — იკითხა შაჰმა.

— დიახ... მოჰკლეს.

— აჰა, კი არ მოჰკალით, არამედ მოჰკლეს! — ხითხითი აეშალა შაჰს.

— დიახ, მოჰკლეს, მოჰკლეს! — ჩაიღმუვლა რომელიღაც კახელმა.

შაჰმა სიცილი დაითრგუნა. ერთხანს ხმლის ვადას აწვალებდა. მერე „წყნარად“ ამოიხრიალა:

— ხელიმც შერჩების მოღალატის მკვლელს... მე რომ მკითხოთ, მამის სისხლის დამაქცევარს უარესიც უნდა დაემართოს!

ქართველები დინჯად, „შეურყევლად“ უსმენდნენ შაჰ აბასის „ქართულს“.

ყველა მიხვდა, რომ შაჰს ქართველთა ხელით „თათარი კონსტანტინეს“ სიკვდილი ნამეტნავად ეწყინა, მაგრამ სოფლის საფერისათ“ თქვა: ხელიმც შერჩების მამის მკვლელსაო.

შაჰმა შეატყო, ქართველებს ჩემი „ქართული“ არ „ერწმუნათო“ და უცებ ეს იკითხა:

— რამდენ ხანს იყო კონსტანტინე-ხანი კახეთის ბატონ-პატრონი?

— ექვსი თვე ძლივს მოათავა, — შეაგება რომელიღაც ქართველმა ელჩმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ექვსი თვე? — გაუკვირდა შაჰს და მაშინვე ეს ლექსი დასძინა სპარსულად:

„ფეიდარ ქუშ ფაჩაჰირა ნაშაათ
აგერ შაჰთ ბეუზ შეშ მაა ნაფაიათ“
(მამის მკვლელი ხელმწიფობას ვერა იქმს;
კიდევაც იქმნას, ექვს თვეს ვერ გადაამეტებს)

ეს თქვა შაჰმა და ქართველთა სახეებს დაადგა მჩხიბავი თვალი.

აზრი ვერ დაიკრა, რომელი უფრო „მოეწონათ“ ქართველებს — მისი „ქართული“, თუ მისი „სპარსული“.

ბოლოს და ბოლოს, რაკი „მეტი გზა“ აღარ იყო, ბრძანა შაჰ აბასმა:

— მომიყვანეთ თეიმურაზ ბატონიშვილი! — სპარსული „მირზა“ არ უხსენებია, „ბატონიშვილი“ თქვა, ქართულად.

შემოვიდა თეიმურაზი.

ღერტანადი, ძვალთხელი, ჟღალშერეული სპილოს ძვლის სახით, მხარგაშლილი, ნაღვლიანი ფართო თვალებით. ღინღლი აშლოდა ლოყა-ნიკაპზე, — მეთექვსმეტე წელიწადში გადამდგარიყო.

მიიხმო და უთხრა შაჰმა „მამაშვილურად“:

— დიდი უბედურება დატრიალდა, შვილო ჩემო, საყვარელი კახეთის მიწაზე. შენც კარგად უწყი, მე კახეთში მშვიდობის ჩამოსაგდებად და მამა-ძმის მოსაკითხად ბიძაშენი კონსტანტინე გავგზავნე. კონსტანტინეს ორივე მოუკლავს — მამაც და ძმაც. მადლობა ალლაჰს, კახელებს სამაგიერო მიუზღავთ და მოუკლავთ კონსტანტინე... ახლა ესე არს ბრძანება ჩემი: შენ უნდა წახვიდე კახეთს, შვილო ჩემო, ექმნე გამგებელი, გინა მეფე და არარაი შფოთი აღეძრას ამიერიდან კახეთსა შინა!

თქვა და მარჯვენა ფეხი წინ წამოაცურა.

თეიმურაზმა იგრძნო, ვიღაცამ უბიძგა ზურგიდან.

იგრძნო და იცნო: რომელიღაც ქართველი მიანიშნებდა „მისანიშნებელს“.

დაიმუხლისთავა თეიმურაზმა და ემთხვია წინ გამოცურებულ ოქრომოჭედილ ფერხთსაცმელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზემ გაიცინა „ლომის“ სახეზე.

— დღეის წალმართ ყმაწვილს ეწოდების თ ე ი მ ურ ა ზ-ხ ა ნ და კახეთის მბრძანებელი! — ბრძანა აბასმა.

სპარსელებმა თავი დაუკრეს „კახეთის ხანს“.

ქართველებმა თეიმურაზის წინ დაიმუხლისთავეს, წელში გაიმართნენ და გადაეხვივნენ.

ჩემი გაზრდილი ტახტზე ქართული წესით უნდა ავიყვანოო, ბრძანა შაჰმა და დანიშნა საამისოდ „ბედნიერი საათი, იხმო სახელოვანი ამირები და სახელმწიფოს წარჩინებულნი და სამოთხისებურ მეჯლისში მეფური ზეიმი გამართა“. სადღაციდან ერთი ქრისტიანი ბერიც გამოჩხრიკეს და შეუდგნენ მეფურ კურთხევას „ქართული წესით“.

გაშალეს ოქრონემსული ხალიჩა. შუაგულზე თეიმურაზი დასვეს და ხელში ოქროს თასი დააჭერინეს. მის წინაშე ქედი დაიდრიკეს და მუხლი მოიყარეს. წამოიმართნენ და ოქროვერცხლის ფულით გავსებული თაბახები აღმართა ყველამ — ქართველებმაც და სპარსელებმაც. პირველობა აქაც არავის დაანება შაჰმა — „მისმა უდიდებულესობამ ოქრო და ძვირფასი თვლები გადააფრქვია თავზე“ თეიმურაზს. მერე სპარსელი დიდებულები დაწინაურდნენ და რიგრიგობით, მაღალდაბლობით, „თავისი ხარისხისა და პატივის შესაფერისად თავზე გადაყრის წესი შეასრულეს“. ბოლოს ქართველები მიეახლნენ თეიმურაზს, თავზე ოქრო-ვერცხლის წვიმა დაუშვეს და კიდევ ერთი ოქროს თასი მიართვეს თვალ-მარგალიტით აღვსებული.

შაჰმა სანადიმო სუფრის გაშლა ბრძანა, „გონების გასამხიარულებლად და აზრის მოსალხენად“.

სუფრის თავში თვითონ დაბრძანდა.

გვერდით დაისვა თეიმურაზი.

ერთიმეორის პირისპირ მიუსხდნენ ქართველები და სპარსელები.

გახურდა სმა, ზმა და სიმღერა.

„უცხო რამ იყო სიმღერა და საუბარი ქართველთა“.

ბრძენმა და ჩატოვანმა ქართულმა სიტყვამ იმძლავრა სპარსულ სუფრაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსული ბაიათი სავსებით დათრგუნა და დააკნინა ქართულმა „მრავალჟამიერმა“.

. . . . . .

ერანის მიწა უკან ჩამოიტოვეს კახელებმა.

ქართულ მიწაზე შემოსდგეს ფეხი.

მაშინვე გაიძვრეს შაჰის ნაჩუქარი ოქრონემსული ხალათები.

თეიმურაზი ცხენიდან გარდახდა, თავდამხე დაეცა და დაეკონა ქართულ მიწას...

ქიზიყი გამოიარეს. ერთმა აქაურმა გლეხმა ისტუმრა მეფე და მისი ამალა.

ამ ოჯახში ცხრა ვაჟი იხილა, ცხრა აკვანში ჩაკრული, თეიმურაზმა.

„უეჭველად ფეხბედნიერი იქნება ჩემი მეფობაო“, — გაუელვა ჭაბუკ ხელმწიფეს და სიხარულით აღვსილი თვალი ჩამოატარა ცხრა ქართველი წულით დატვირთულ ცხრა აკვანს.

გრემის სასახლე ზეიმით ელოდა მეფეს.

ელოდა ქეთევან დედოფალი — შვილს, ხელმწიფეს.

. . . . . .

ბოდბეს ეკურთხა კახეთის მეფედ თეიმურაზ პირველი, წმინდა ნინოს საფლავთან მუხლმოყრილი.

. . . . . .

ეს მეოთხე თვე იდგა შაჰ აბასი განჯის კედლებთან. ამაო იყო ალყაც და იერიშიც.

თან ერთი თურქი სუნიტი დერვიშის წერილს გაეჯავრებინა ერანის ხელმწიფე. ის დერვიში სპარსელებზე წერდა: განკითხვის ჟამს დიდი ალლაჰი თქვენ, შიიტ სპარსელებს, აყროლებული ურიების ვირებად გადაგაქცევთო, რათა ამ საზიზღარმა და მთელს მსოფლიოში მოძულებულმა ხალხმა ვირებივით შეგკაზმონ, ზედ შეგჯდნენ და პირდაპირ ჯოჯოხეთში შეგაჯირითონო.

შაჰმა შიიტი დერვიშები გამოიძახა და უბრძანა: ამ წერილის სამაგიეროდ, აქოთებულ ოსმალო სუნიტებს ისეთი წერილი მისწერეთ, ოცდათორმეტი ჩალრმავებული ადგილიდან არც ერთი შეუგინებელი არ დაუტოვოთ, თორემ არც ერთს მხრებზე თავი არ შეგრჩებათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ალავერდი-ხან უნდილაძე გამოიძახა შაჰ აბასმა ყარსიდან. მომეშველე, ეგებ მოვუღო ბოლო განჯასო.

სასწრაფოდ მოიჭრა უნდილაძე.

ყოველის მხრიდან ერთიანი იერიშით მიუსია ჯარები ქალაქის გალავნებს.

1606 წლის 5 ივლისს განჯა დანებდა ერანის მბრძანებელს.

მისი ბრძანებით ქალაქი გაძარცვეს და საძირკვლამდე დანგრიეს.

განჯიდან ქართლისაკენ წამოემართნენ სპარსელები.

გზაზედ ქართველი დიდებულები შემოეგებნენ შაჰ აბასს და გიორგი მეფის სიკვდილი აცნობეს.

აჰა, როგორც არის, გაუჭრია შარბათსო, გაუელვა აბასს და მაშინვე „დიდი წუხილი“ გამოთქვა „ძვირფასი ძმის“ გარდაცვალების გამო.

მაინც რა დამართნია გიორგი მეფესო, ფრთხილად იკითხა შაჰმა.

მეჯვრისხევს ყოფილა გიორგი ერთ დღეს, თაფლს მიირთმევდა თურმე, ფუტკარი შეყოლია თაფლს, შიგნიდან დაუკბენია, თავ-პირი გასივებია მეფეს, და ასე მომკვდარა ფუტკრის შხამისგანო. მეჯვრისხევიდან წამოუსვენებიათ და მცხეთას დაუკრძალავთ გიორგი.

გაუხარდა შაჰს: ასე სჯობიაო, დააბრალონ ფუტკარს გიორგის სიკვდილი და „შარბათის ამბავი“ მიავიწყდებაო ხალხს.

ქართველები ახლა გიორგის პირმშო ვაჟს ითხოვენ მეფედ, თოთხმეტი წლის ლ უ ა რ ს ა ბ ს. ამასვე ეაჯება „დიდებულ შაჰ აბასს“ ლუარსაბის დედა, ქვრივი დედოფალი მ ა რ ი ა მ ი.

აბასმა ყოველივე შემწყნარებლური სახით მოისმინა, ქართველი ელჩები უხვად დააჯილდოვა და ისე გამოისტუმრა. თან თავისი მოციქულიც გამოატანა. მოჰამედ-ბეგ ბიქდელი შამლუ, რომელსაც დაავალა: ჩემი სახელით სამძიმარი მოახსენე გარდაცვლილი მეფის მეუღლეს, შვილებს, ნათესავებს და დააიმედე, ყველაფერს თქვენი სურვილისამებრ გავარიგებ-თქო...

ქართლში შემოვიდა შაჰ აბასი და მისი „ცის სფეროსავით დიდებული ურდო“.

უბრძოლველად სტოვებდნენ თურქები ქართულ ციხე-ქალაქებს. ჯერ ლორე ჩააბარეს ერანელებს. მერე, როცა შაჰ აბასი ალგეთზე მოვიდა, დმანისის ციხეც სიცოცხლის შენარჩუნების საფასურად მიართვა ოსმალო ციხიონმა. დმანისშიც ერანელები ჩადგნენ.

ტფილისის ჯერი დადგა.

დაასწრო ტფილისის მმართველმა აბდ ალ-ლატიფ ფაშამ და მოციქული მიუგზავნა შაჰ აბასს. ოღონდ მე და ჩემს ციხიონს უვნებლობის ფირმანი გამოგვიგზავნე და მაშინვე ჩაგაბარებ ტფილისის გასაღებსო.

შაჰმა ალი-ყული-ხან შამლუ გაგზავნა თურქი მეციხოვნეებისადმი უვნებლობის ფირმანით.

საქართველოს სატახტო თურქებმა დატოვეს და ერანელებმა დაიკავეს.

ამის შემდეგ შაჰ აბასი თვითონ ეწვია ტფილისს.

დიდის გულმოდგინებით, წადნიერებით და „სიფრთხილის თვალით“ დაათვალიერა და დაჩხრიკა „გურჯისტანის“ ლეგენდარული ქალაქი. გააოცა „ცის სფეროს თანასწორი ციხის კოშკების“ ხილვამ. დიდად განისვენა და „განიწმინდა“ ტფილისის „ღვთაებრივ“ აბანოებში.

ტფილისის ციხიონის უფროსად შაჰმა დანიშნა ყიზილბაში მოჰამედ-სულთან შამს ად-დინლუ, რომელსაც უფრო დ ე ლ უ-მ უ ჰ ა მ ე დ ი ს სახელით იცნობდნენ სპარსელთა და ქართველთა შორის.

ქართლის სამეფო მემკვიდრეობის საკითხს მიუბრუნდა შაჰ აბასი.

მეფედ დასვა ლუარსაბ გიორგის ძე, თოთხმეტი წლის ყმაწვილი, „ვით თოთხმეტი დღის მთვარე, მშვენებით სავსე“.

დააგვირგვინა და „შვილობის“ რაყამიც უბოძა „მამობრივად მზრუნველმა“ აბასმა.

მერე, შაჰმა, „თავისი მწყალობელი ბუნების გამო“, ქართლის სამეფო საგვარეულოს დანარჩენი წევრები, „მათი ხარისხისდა მიხედვით“, აავსო დიდი წყალობით, ყველას „შა-

ჰური მოკითხვით მიუალერსა, ხელმწიფური საჩუქრებით დაა-ჯილდოვა“, ყველა „გაახარა“ და „გაალაღა“.

ასე იწყებდა მეფობას ქართლის ახალი მეფე ლუარსაბ მეორე (1606—1614 წწ.).

მაგრამ რა მეფობა იყო ეს?!

ტფილისში, აღჯაყალაში, ლორეში, დმანისში თურქების ნაცვლად სპარსელები ჩამსხდარიყვნენ და ჩამკვიდრებულიყვნენ. მხოლოდ ეს იყო „სიახლე“ და სხვა არაფერი.

ესეც ახსოვდეს აქედანვე ლუარსაბ მეფეს: შაჰ აბასს, კახეთისა არ იყოს, არც ქართლისათვის გაუჭირდება „სამეფო კაცების“ გამოძებნა. ლუარსაბის დასაშინებლად მარტო ორი „გურჯი-მირზაც“ საკმარისი იქნებოდა — ბაგრატ-მირზა და ხოსრო-მირზა, ლუარსაბის პაპის (სვიმონ დიდის) ძმის (დავით,, იგივე დაუდ-ხანის) ძენი.

მკითხველს ახსოვს წინარე წიგნიდან: ქართველი ხალხის მოღალატე დაუდ-ხანს ორი შვილი ჰყავდა — ბაგრატი და ხოსრო. პირველი მამამ თვითონ წაიყვანა სპარსეთში, მეორე სპარსეთში შეეძინა თან წაყვანილ ხარჭასთან, წავკისელ გლეხის ქალთან... ახლა შაჰ აბასის კარზე ვაჟკაცდებოდნენ და „წინაურდებოდნენ“ გათათრებული „გურჯი-მირზები“.

ფრთხილად და ჭკვიანად იყოს ლუარსაბ მეფე, თორემ...

კიდევ ეს „სიახლე“ დაერთო ლუარსაბ მეორის გამეფებას: ბორჩალუს ველური ტომი მოდიოდა დედაწულიანად და ლორე-დებედას ხეობაში სახლდებოდა და იბუდრებდა.

დამბლავდებოდა ქართული მიწის განაკიდურნი.

და ვინ იცოდა, რას მოასწავებდა ეს ხვალ, ზეგ, მაზეგ... ასეულ წელთა სარბიელზე...

ისევ ვერ დაისვენებდა ქართული ქურა — მჭედელი უქარ-ქაშო ხმლისა...

ქართლიდან წასულმა შაჰ აბასმა თავისი ჯარების ყველაზე მჭლე ნაწილი ერევნის ციხის გასამაგრებლად გაგზავნა, ხოლო თვითონ მთავარი ძალებით შირვანისაკენ გაემართა.

გზაზედ ფაიქები წამოეწივნენ და მოახსენეს: თურქი ელჩები მოისწრაფიან შენს შესახვედრადო.

თურქი ელჩებიო?!

გაუხარდა შაჰ აბასს. ალბათ, ძალიან მისჭირვებია სტამბოლის უმაღლეს კარს... ორი მხრისკენ იქნევს მახვილს თურქთა სულთანი — ევროპისკენ (ავსტრია) და აზიისკენ (ერანი). უეჭველად გასჭირვებია.

შედგა და სტუმართა შესახვედრად გაემზადა აბასი.

მოახლოვდა თურქთა ელჩიონი.

ეს იყო ყველასათვის მოულოდნელი: ქალი აღმოჩნდა თურქთა დიასპანი — ქალი, სახელად გ უ ლ ჩ ა რ ა, ქართველი ქალი!

გახსოვს, მკითხველო, გულჩარა, ქართლის მეფე გიორგი მეათის მშვენიერი ასული, დატყვევებული სვიმონ მეფის გამოსახსნელად რომ გაგზავნა მძევლად მამამისმა სტამბოლს?

ოთხი წელიწადი გასულიყო მას შემდეგ.

სახელოვანი პაპის გამოხსნა ვერ მოასწრო გულჩარამ: სიკვდილმა უსწრო სვიმონ მეფეს... ხოლო შემდგომ სწრაფად დაწინაურებულა ჭკვიანი, სათნო და პირმშვენიერი ქართველი ქალი თურქთა სასახლის კარზე. სულთან აჰმედ I-ის დედას შეუყვარებია გულჩარა, თურქეთის ნამდვილ მბრძანებელს, კალთაზე ჰყოლია გამოკერებული, — უმისოდ არაფერს მოისურვებდა, არაფერს გადაწყვეტდა. სარწმუნოების გამოცვლაც არ მოუთხოვია ქრისტიანი ქალისთვის, ისე ჰყვარებია ფადიშაჰის მშობელს „გურჯი-ხათუნი“.

როცა თურქეთს „ორ ფრონტზე“ ბრძოლა ძალიან გაუჭირდა, დამსხდარან ფადიშაჰის დედა და დიდი ვეზირი დერვიშ ფაშა და გადაუწყვეტიათ: შაჰ აბასთან ზავის შესაკრავად გულჩარა გავგზავნოთ და ჩაუშად (მცველად) მურად აღა გავატანოთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, ახლა შაჰ აბასის წინაშე წარსდგა ელჩი-ბანოვანი, თავისი ჩაუშით.

დიდის კრძალვით, პატივის მიგებითა და საბოძვარ-მისარ-თმეველით მიიღო შაჰ აბასმა საოცარი ქალი-დიასპანი.

მერე დასხდნენ და შეუდგნენ საზავო ბჭობას.

დიდხანს გაგრძელდა დიპლომატიური ჭიდილი ქართველ ქალსა და სპარსეთის ხელმწიფეს შორის.

შაჰ აბასი მშვიდობიანობის ჩამოგდების მთავარ პირობად 1555 წლის ამასიის ზავის აღდგენას მოითხოვდა (მკითხველს ახსოვს: ამ ზავით ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი ერანს „ეკუთვნოდა", დასავლეთი — თურქეთს).

თავის მხრივ გულჩარა 1590 წლის ზავის სამართლიანობას ასაბუთებდა (ამ ზავით ამიერკავკასია მთლიანად თურქეთს „ეკუთვნოდა").

არც ერთმა მხარემ არ დათმო. მოლაპარაკება ჩაიშალა. გულჩარა სტამბოლს გაბრუნდა.

შაჰს გული დასწყდა, რომ ეს საოცარი „გურჯი-ხათუნი" მის სახელმწიფო კარს არ ამშვენებდა და საძულველი სასულთნოს მესვეურთა შორის იმყოფებოდა.

გულჩარას დაბრუნებიდან მცირე ხნის შემდგომ — 1606 წლის 11 ნოემბერს — თურქეთმა ავსტრიასთან ზავი შეჰკრა და მომავალი წლისთვის მთელი საომარი ძალებით ერანთან გადამწყვეტი ომის სამზადისს შეუდგა.

„გაზრდილი" ეურჩება „გამზრდელს"

გულჩარას დაშორებული შაჰ აბასი მთელის მხედრობით შირვანს შეიჭრა და შემახას ძლიერ ციხე-ქალაქს ალყა შემოარტყა.

თურქული ციხიონი მედგრად დაუხვდა მტერს.

მთავარ მოიერიშეებად შაჰს ალავერდი-ხან უნდილაძე და ყარჩიხა-ხანი ჰყავდა დანიშნული.

არ გაჭრა არც ერანული ზარბაზნების ცეცხლმა, არც უნ-
დილაძის ღულამთა თავზეხელაღებულმა იერიშებმა.

1607 წლის გაზაფხული წვიმიან-ჭინჭყლიანი დადგა შირ-
ვანში. გადაუღებელმა კოკისპირულმა გზები სავსებით მოშა-
ლა. მიმოსვლა შეწყდა. ქალაქები შიმშილმა მოიცვა.

შაჰ აბასს ცნობა მოუვიდა — ბაქოს მოსახლეობა აჯანყე-
ბია ოსმალურ ციხიონს. აჯანყებულებს ციხიონის უფროსი
კიდევაც მოუკლავთ. აბასმა მაშინვე ჯარი აფრინა ბაქოს.
სპარსელები ქალაქში შეიჭრნენ, ოსმალები ამოწყვიტეს და
ბაქო თვითონ დაიჭირეს. ბაქოელთა „სიახლეც“ ეს იყო: ოს-
მალური უღელი მოიშორეს და მის სანაცვლოდ სპარსული
დაიდგეს.

ბაქოს დერბენდი მიჰყვა. დერბენდელებიც აუჯანყდნენ
ოსმალებს. შაჰ აბასმა „აჯანყებულთა დასახმარებლად“ ისევ
გაგზავნა ლაშქარი, რომელსაც „მ ა ნ უ ჩ ა რ-ბეგი უსარდლა,
სახელოვანი მანუჩარ II ათაბაგის 16 წლის ვაჟი (მკითხველს
წინარე წიგნიდან ემახსოვრება მანუჩარ ათაბაგი, ოსმალო
სარდალი რომ „თავიდან ჭიპამდე“ გააპო ხმლის დარტყმით).

შეიჭრა ყმაწვილი მანუჩარ-ბეგი დერბენდში, თურქთა ცი-
ხიონი ამოჟლიტა და ახალ ციხიონად სპარსელები ჩაუყენა
„გათავისუფლებულ“ ქალაქს.

ხოლო შემახას ალყა ისევ ჭიანურდებოდა.

ზაფხულში წვიმები მშრალმა ამინდებმა შეცვალა. ჯარე-
ბისა და არტილერიის მიმოსვლა და მიმოტანა გაადვილდა,
მაგრამ შემახა მაინც ვერ იქნა და ვერ გამოჭგლიჯეს ხელიდან
ოსმალებს ერანის უპირველესმა სარდლებმა — თვითონ შაჰ
აბასმა, ალავერდი-ხან უნდილაძემ და ყარჩიხა-ხანმა.

„უფრო მეტი არიან საჭირო ქართველებიო“, იფიქრა შაჰ-
მა და თეიმურაზს შემოუთვალა: ძალიან მენატრები, ძალიანაც
მჭირდები და სასწრაფოდ კახელთა „გაწყობილი ჯარით“ გა-
მომეცხადეო შემახასთან.

ერანის ლომი მოუთმენლად ელოდა „თავის გაზრდილს“
და უმამაცეს კახელთა ლაშქარს.

და მოვიდა... უარი!

დიახ, თეიმურაზი უარს ამბობდა შირვანს ლაშქრობაზე!

მხოლოდ ეს იყო — ბოდიშს უხდიდა შაჰს: ამჯერად არ

შემიძლია სალაშქროდ გამოსვლა და გთხოვთ გამათავისუფლოთ „მაღალ კარზე სტუმრობისგანო“.

უარიო?!

აიშალა და აზვავდა შაჰ აბასი.

ნუთუ ეს თავისი ნებითა და ჭკუით გამიბედაო თეიმურაზმა?!

არა, უეჭველად დედამისის, ქეთევან დედოფლის ჩაგონებით იქნებაო...

რა გაეწყობოდა! მდგომარეობა კარნახობდა და ისევ უნდა მიეღო შამათი „კახურ დაფაზე“.

და შეუთვალა „გამზრდელმა“ „გაზრდილს“: ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ შენი თხოვნისა, ვთქვათ და, ნუ მოხვალ ამჯერად ჩვენთან, მაგრამ ვაითუ შენი გამოუცხადებლობა „ზერელე ჭკუის ადამიანებს, შაჰისადმი ერთგულებისა და მორჩილების ნაკლებობად მოეჩვენოთ“, ან ღალატად ჩათვალონ და „სხვა მხარეების მმართველებმაც“ შენის მიბაძვით განდგომა და ღალატი განიზრახონ! ამიტომ გთხოვთ, მაინც მოხვიდე მცირე ხნით, მოხვიდე „მარტო, მსუბუქად“. მალე უკანვე გაგაბრუნებ კახეთს, საიდანაც მერე დედაშენს გამოგზავნი იმდენი ლაშქრით, რამდენსაც თვითონ დედოფალი შესაძლებლად ჩათვლის!

მაინც არ გამოცხადდა თეიმურაზი. მან „საპატიო მიზეზის გარეშე“ ისევ „უარი თქვა მოსვლაზე და შაჰის სამსახურის ბედნიერებას არ ეზიარა“.

რისხვის ცეცხლზე იხრაკებოდა შაჰ აბასი.

განვლო მცირე დრომ და კახეთიდან მოვიდა დედოფალი ქეთევანი, სულ რაღაც ათასი კახელის თანხლებით. თეიმურაზი კი ისევ არ ჩანდა.

შაჰს შეეძლო დაცინვად მიეღო ქართველთა ეს უცნაური (გინა — „აგდებული“) სტუმრობა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და დიდის პატივით მიიღო კახეთის დედოფალი და მისი ამალა.

კახელები მისვლისთანავე საომრად გაეწყვნენ და უნდილაძის „სიბას“ შეუერთდნენ.

მაგრამ შაჰ აბასმა „სტუმრების შეწუხება“ არ ინება. კახელთა რაზმი ბრძოლის ხაზიდან უკანვე გამოიწვია. დედო-

ფალ ქეთევანს თავისი ცოლები აახლა დიდის ალერსითა და პატივით“.

მალე კახეთს გაბრუნდა დედოფალი თავისი ამალით.

ბოღმა ბოლავდა შაჰ აბასის გულში.

ხოლო, ეს კი სრულის სიწრფოებით უნდა ითქვას ალლაჰის წინაშე: მართლაც დიდებული ქალი ყოფილა ქეთევან დედოფალი...

. . . . . .

თეიმურაზს შაჰ აბასის ბოღმა სულაც არ ედარდებოდა,— ნადირობდა, ნადიმობდა და ლექსებს თხზავდა „რუსთაველთან შეპაექრებით“.

იმავე 1607 წელს, ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა ცოლად შეირთო მამია გურიელის ასული ა ნ ა, ქალი „დიაღ ჭკვიანი, ტანად კარგი და შუენიერ, სახით ტურფა და ლამაზი, ზნე საქციელ კარგი, საქმით სათუთი და წმინდა საყდართა და მონასტერთ ამშენებელი და მრავლის შემწირავი, მრავალთ მომთმენი, არ გამჯავრებელი, ყველას ძმა-შვილურად მიმპყრობელი, დედათ დედურად გამწყო, დედამთილის მორჩილი და ნამეტნავად მოშიშარი და ქმრის მოყვარული...“.

ქორწილი თორღას გაიმართა.

სამი თვე გაგრძელდა ლხინი, ნადირობა, ბურთაობა და პოეტური პაექრობა სტუმართა და მასპინძელთა შორის.

გურული მაყრიონი აღტაცებული და განცვიფრებული იყო კახეთის სიმშვენიერითა და სიმდიდრით, კახელთა დარბაისლობით, სიუხვითა და ხელგაშლილობით.

ორი ვაჟი აჩუქა ანამ თეიმურაზს: ჯერ ლ ე ვ ა ნ ი, შემდგომ — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე.

. . . . . .

შაჰ აბასს კი, თეიმურაზის ურჩობის გამო, გველის კაჭრობა დამართოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდებული მანდილოსანი“

1607 წლის 27 ივნისს უნდილაძემ ზარბაზნების უწყვეტი ცეცხლით შეანგრია შემახას კედლები და ქალაქში შეიჭრა.

სპარსელებმა სულ ერთიანად ამოწყვიტეს ოსმალონი.

შირვანის ყველა ციხე-ქალაქში ოსმალთა ნაცვლად უკვე სპარსელები იდგნენ.

„ოსმალობა“ დამთავრდა და „ყიზილბაშობა“ დაიწყო.

შემახის ციხე ახალი დაცემული იყო, რომ სამცხე-საათაბაგოდან მესხი ფაიქები ეახლნენ შაჰს.

„დიდებულ მანდილოსანს“ — ე ლ ე ნ ე ს წარმოეგზავნა ისინი.

მკითხველს წინარე წიგნიდან ემახსოვრება ელენე: იგი დიდი სვიმონ მეფის ასული იყო, მანუჩარ II ათაბაგის მეუღლე და დედა ახლახან მოხსენიებული ჭაბუკი მანუჩარ-ბეგისა (დერბენდი რომ წაართვა თურქებს).

მამაცი ქმრის სიკვდილის შემდგომ ელენე ჩასდგომოდა სათავეში მესხი პატრიოტების თავგამოდებულ ბრძოლას თურქთა უმძიმესი უღლის დასამხობად.

მაგრამ ეს ბრძოლა იყო აგონია, მოკლებული ყოველგვარ იმედს დახსნისას.

ქალის სუსტი ხელები ებრძოდა ტარტაროზულ ძალას, რომელთან ჭიდილი მისი ქმრის გოლიათურ მხარ-მკლავებსაც დიდად მისჭირვებოდა.

გათურქების ულმობელ ცეცხლში ჩანთქმულიყო მესხეთი — დიდი ქართული ქვეყანა, სამშობლო ექვთიმე და გიორგი ათონელებისა, ბექა და ბეშქენ ოპიზარებისა, შალვა და ივანე ახალციხელებისა, აკვნის დამრწევი შოთა რუსთველისა...

ელენემაც კარგად იცოდა, რომ „ალია და ოსმანა ორივე თათარია, ერთი ბაბრია და მეორე ფოცხვერი“. მაგრამ „დიდებული მანდილოსანი“ მაინც იძულებული გახდა, ფოცხვერის წინააღმდეგ ბაბრისათვის დახმარება ეთხოვა.

დახმარების სათხოვნელად წარმოეგზავნა ფაიქები ელენეს „ღვთის ჩრდილ“ შაჰ აბასთან.

აკი ელენეს ვაჟი მანუჩარ-ბეგიც აქ იყო, „შაჰის ბედნიერ კერზე“. ძალიანაც „უყვარდა“ ერანის მბრძანებელს მესხი ჭაბუკი, „ჩემს ძარღვებშიც ხომ მესხური სისხლი დაედინება“, — ფიქრობდა შაჰი. განსაკუთრებით მას შემდეგ „შეიყვარა“ მანუჩარი შაჰმა, რაც ამ „საოცარმა ბიჭმა“ ერთის დაკვრით დააგდებინა თურქებს დერბენდი.

შაჰ აბასმა დიდის გულმოდგინებით შეიწყნარა ელენეს თხოვნა, მაგრამ მხოლოდ ყიზილბაშთა მცირე ლაშქარი გამოჰყო, მანუჩარ-ბეგს ჩააბარა და მესხეთისაკენ გამოუშვა.

„მთავარი იმედი“ მაინც ღვიძლი ქართველებისა ჰქონდა ელენეს, და სანამ სპარსელთაგან რაიმე პასუხს მიიღებდა, მანამ დახმარება თავის ძმისწულს — ლუარსაბ II ქართლის მეფეს სთხოვა.

ლუარსაბმაც აფრინა ქართლის ჯარი სამცხისაკენ.

1607 წლის ზაფხულში ქვრივმა ქალმა ქართველთა ირგვლივი იერიშით აიღო ქალაქი ახალციხე. აქაური ბეგლარ-ბეგი, გათურქებული ქართველი ი უ ს უ ფ ფ ა შ ა ასორმოცდაათ ოსმალოსთან ერთად ტყვედ მიჰგვარეს ელენეს.

ახალციხე არ იკმარეს და თურქებს ხელიდან გამოჰგლიჯეს „აგრეთვე იქაური ადგილების უმრავლესობა“.

ახალციხის გამგებლად, ელენეს თხოვნით და შაჰის დასტურით, დაჯდა მ ა ნ უ ჩ ა რ-ბ ე გ ი, გინა — მანუჩარ III ათაბაგი.

შაჰ აბასის გოდები

1608 წლის 24 დეკემბერი იდგა.

შაჰ აბასი ინახად იჯდა.

სუფრა ისევ „ჭრელი“ იყო: სპარსელნი, ქართველნი, სომეხნი, ჩერქეზნი — ყველანი მაჰმადიანნი, ან გამაჰმადიანებულნი.

„თათრებს“ გარდა სამი კათოლიკე ქრისტიანი ბერიც ესწრებოდა იმდღევანდელ პურობას: პორტუგალიელი მისიონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები და მოგზაურები — პატრი გოვეა, პატრი გილჰერმი და პატრი ბელშიორი.

ინდოეთიდან ახალი დაბრუნებულნი იყვნენ „წმიდა მამები“ და იქაურ ამბებს ჰყვებოდნენ.

მერე შაჰმა ჰკითხა ქრისტიან სტუმრებს: ერანში როგორ გრძნობთო თავს, თქვენს სამისიონერო მოღვაწეობაში ხელი ხომ არ გეშლებათო, ხომ არავინ გაწუხებთ და გავიწროებთო.

ბერებმა დიდი მადლობა მოახსენეს შაჰს: თქვენის უზენაესი ხელმწიფობის წყალობით და მფარველობით ყოველივე კარგად მიდისო.

— ევროპაში როდის აპირებთ დაბრუნებას? — ჰკითხა შაჰმა სტუმრებს მოულოდნელად (ეს კი ალარ გამოუვიდა „ქართულად“ აბასს, — მასპინძელმა სტუმარს არ უნდა ჰკითხოს, სახლში როდისღა მიბრძანდებიო!).

— სამშობლოში მაშინ გავემგზავრებით, როცა ქრისტეს შობის დღესასწაულს მოვრჩებით, — უპასუხა გოვეამ, რომელიც შაჰთან ყველაზე ახლოს იჯდა.

— ქრისტეს დაბადების დღე ხომ ხვალ არის, 25 დეკემბერს, — თქვა შაჰმა.

— დიახ, ხელმწიფეო.

— მაშ, თქვენ, ქრისტიანებს, ხვალ დიდი დღესასწაული გაქვთ, არა?

— დიახ, ხელმწიფეო.

— ახლა ეს მითხარით, ჩემს სპარსეთშიც ისე დღესასწაულობთ ქრისტეშობას, როგორც თქვენს პორტუგალიაში? — იკითხა შაჰმა წადნიერი თვალებით.

წმინდა მამები შეიშმუშნენ.

ისევ გოვეამ დაასწრო:

— ჰო, დაახლოებით, თუმცა... ჩვენს ქვეყანაში მეფე და უფლისწულები მონაწილეობენ ქრისტეს დაბადების დღესასწაულში.

შაჰს გულიანად გაეცინა: ეგ ძალიან ძნელი და გამოუსწორებელი დანაკლისი გქონიათო, რადგან ხვალამდე, ამ ერთ დღეში, არც პორტუგალიის მეფისა და მისი ოჯახის ჩამოყვანა მოხერხდებაო ერანში და არც თქვენი გადაფრენა პორტუგალიაშიო.

როცა მბრძანებელი ხუმრობს, ქვეშევრდომნი აუცილებლად სიცილით უნდა „დაიხოცნონ“ (მნიშვნელობა არა აქვს, როგორი იყო „ხუმრობა“ — მახვილი თუ ბლაგვი).

და სიცილით გადაფიჩინდნენ შაჰის ხუმრობით „აღტაცებული“ მოსადილენი.

შაჰ აბასმაც სიცილი ჩაითავა და ახლა სერიოზულად და დიდსულოვნურად ჰკითხა მისიონერებს: თქვენ სხვა რამ მითხარით, სხვა ხომ არაფერი გაკლიათ ხვალინდელ დღესასწაულზეო.

უცებ მამა გილჰერმმა რაღაც უჩურჩულა ჯერ გოვეას, მერე ბელშიორს და სამივეს სიცილი აუტყდა.

შაჰს გაუკვირდა.

სხვებიც განცვიფრდნენ, — დიდი კადნიერება იყო, როცა ხელმწიფეს არ ეცინებოდა და „სხვა კვდებოდა სიცილით“.

— ასეთი რა თქვი, რომ სიცილი ვეღარ შეგიკავებიათ? — ჰკითხა შაჰმა გილჰერმს.

გილჰერმი აიწურა და ხმა ვეღარ ამოიღო.

— რა გეცინება-მეთქი?! — თქვა ხელმწიფემ სიმკაცრეშერეული ხმით.

— შენ უთხარი და დამიხსენი, — უჩურჩულა ფერდაკარგულმა გილჰერმმა გოვეას.

გოვეამ გაბედულება მოიკრიბა და ნაჯახირევი ღიმილით მოახსენა შაჰს:

— როცა თქვენმა უდიდებულესობამ იკითხა, ხომ არაფერი გაკლიათო ქრისტეშობის დღესასწაულისას, მამა გილჰერმმა გაიხსენა გოჭები, რომლებსაც ჩვენში აუცილებლად კლავენ შობა-დღესასწაულზე. მაგრამ სპარსეთში ეს შეუძლებელია, რადგან აქ საერთოდ არა ჰყავთ გოჭები.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

არავინ იცოდა, უნდა გაეცინათ თუ არა მაშინ, როცა მაჰმადიანი ხელმწიფის სუფრაზე ახსენებდნენ გოჭებს...

— გოჭებიო?! — უცებ წამოიძახა აბასმა და სახე გაუბრწყინდა.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ! — წამოსცდა გოვეას.

— ვინ მოგახსენათ, რომ მე არა მყავს გოჭები? მე ისინი მყავს იმდენი, რამდენიც გინდა! — ბრძანა ამაყად.

— საიდან? — ისევ წამოსცდა გოვეას.

— საიდან და, საქართველოს მეფეები მიგზავნიან გოჭებს.

— საქართველოს მეფეები?!

— დიახ. აქვე მახლობელ სოფელში ვინახავ საქართველოდან გამოგზავნილ გოჭებს, — თავმომწონედ დაასრულა შაჰმა, მაშინვე ერთი კარისკაცი მიიხმო და უბრძანა: დღესვე, სადილის შემდგომ, ჩემი ღორების კოლტიდან პორტუგალიელ სტუმრებს იმდენი გოჭი მიართვით, რამდენიც თვითონ მოითხოვონო.

„ისე ეტყობა, შაჰ აბასი თვითონაც მიირთმევს ღორის ხორცს“, — ფიქრობდნენ გახარებული ევროპელები.

. . . . . .

მეორე დღეს ის კარისკაცი უამბობდა ხელმწიფეს:

როცა პორტუგალიელებს ხუთი გოჭი გადავუთვალეთ და იმათაც სიხარულით გაირეკეს ჭყვიტინ-ჭყვიტინით, აუარებელი ხალხი მოაწყდა თვალსასეირო დო. ხოლო, როდესაც დაკლეს და შეწვეს, ქართველები და სომხები ჩაეზიარნენ ევროპელებს შემწვარ გოჭის ხორცს. ამიტომ პორტუგალიელებმა კიდევ ითხოვეს ერთი გოჭი და ჩვენც მაშინვე მივეცითო.

— მაშ, ქართველებმა და სომხებმა მიირთვეს გოჭის ხორცი, არა? — იკითხა შაჰმა ღიმილგარეული სიმკაცრით.

— დიახ, მბრძანებელო.

წადი, — ანიშნა ხელმწიფემ.

კარისკაცი გავიდა, შუამოკეცილი.

შაჰ აბასი მარტო დარჩა.

— არა, არასოდეს არც ქართველი და არც სომეხი გულით არ გათათრდება! — დაიღმუვლა „ლომმა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲖᲛᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲬᲘᲒᲜᲘ „ᲣᲫᲚᲔᲑᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ“

თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
. . . . . .
ცრემლები მაღრჩობს, ველარას ვამბობ;
კარგის დაღუპვა რად გვენატრება?

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

Он в Риме был бы Брут, в Афинах Периклес.
А. Пушкин

„ᲐᲮᲐᲚ-ᲙᲐᲪᲘ“

იდგა 1609 წელი.
შაჰ აბასი იყო 38 წლისა.
მეფე ლუარსაბ მეორე — 17 წლისა.
მეფე თეიმურაზ პირველი — 19 წლისა.
ხოლო მოურავი გიორგი სააკაძე — 29 წლისა.
გიორგი სააკაძე!
წოდებრივი წარმომავლობით — აზნაურთა შრე.
სამშობლო მისი — შიდა ქართლი. ატენის ხეობა, მდინარე ტანას მიდამოები, „ძველი სამკვიდრო სოფელი ფელი“.
შორეული წინაპარი — ᲯᲐᲜᲖᲣᲠᲐᲑ სააკაძე. იხსენიება თამარ მეფის დროს, მეთორმეტე საუკუნის მიწურულს.
შემდგომ — ᲓᲝᲜᲐ სააკაძე, ბაგრატ V-ის თანამებრძოლი. ტფილისის დაცემის ჟამს მეფესთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა თემურ-ლენგს (1386 წელი, 21 ნოემბერი).
მერე — ᲒᲘᲝᲠᲒᲘ სააკაძე, მოხსენიებული 1547 წელს.

ამა გიორგის ჰყოლია ოთხი ვაჟი: ქეშთელ, სიაუშ, ზურაბ და ივანე.

ამათგან სიაუშ საკააძეს უკვე იცნობს ჩემი მკითხველი წინარე წიგნიდან: იგი სახელოვანი სვიმონ მეფის მოურავი, მრჩეველი და მოლარე იყო.

სიაუშსა და მის მეუღლეს თამარს (ბარათაშვილის ქალს) ჰყავთ ოთხი შვილი: სამი ვაჟი — გიორგი, ქაიხოსრო და სახელით უცნობი, და ერთი ქალი — სახელით ისიც უცნობი. იგი ჯერ გაუთხოვარია და დიდ საბედოს ელოდება.

სწორედ სიაუშ სააკაძის უფროს ვაჟს არგუნა საისტორიო ბედისწერამ დიდი გიორგი სააკაძის, გინა — დიდი მოურავის სახელი.

აზნაური სააკაძენი დასაბამითვე აზნაურობას აღარ კადრულობენ და დიდგვარიან თავადობას უტოლებენ თავს.

ხოლო გიორგი სააკაძე თვითონ ქცეულა დიდ ფეოდალად. იგი თეძმის ხეობაში ჩამოსახლებულა. სოფელი ნოსტე ფეოდალურ „რეზიდენციად“ უქცევია. იქვე სრა-სასახლე, ციხე-სიმაგრე და ეკლესია აუშენებია. სოფელ ერთაწმინდაში საგვარეულო ეკლესია და საძვალე გაუმართავს. მრავალი სოფელი, ყმა და მამული მოუხვეჭია „გათავადებულ აზნაურს“.

გიორგის ცოლად შეურთავს იმჟამინდელ ფეოდალთა შორის უპირველესის, ნუგზარ არაგვის ერისთავის მშვენიერი ასული — მარეხი, რომელმაც სახელოვან მეუღლეს რვა შვილი შესძინა: ავთანდილი, პაატა, ივანე, ზურაბი, იორამი და სამი ასული, სახელებით უცნობი. ამათგან უფროს ქალს თეიმურაზ მუხრან-ბატონი შეირთავს, მეორეს — იასე ქსნის ერისთავი, ხოლო მესამეს — ფერად ფაშა, ერთ დროს ჯაყელი, გათათრებული ქართველი.

მოურავ გიორგი სააკაძეს ეკუთვნის:

თეძმის ხეობაში: ნოსტე, ახალშენი, ნოსტის ოძისი, გველდეს ორბეთი, ცხირეთი, ერთაწმინდა, ფავნისი, ეზატი, გუდალეთი, კავთისხევი, წინარეხი, მარჯანაანთ უბანი, ტყემლოვანა, მზვარე, კოტმანი, ზემო ვერხვეული, ქვემო ვერხვეული, გავაზური, სამტრედო, გოსტიბე, კაბერი, გარგარი, მერია, ჭავჭავისი, კვირიკა, გოგოთი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანგლისის ხეობაში: ზემო ოძისი, ტყის უგუდეთი, მინდვრის უგუდეთი;

ატენის ხეობის ზემო წელზე: ფელი, ღვწე, ხანდისი, სიქალეთი, ღვედრეთი, კიკანათბერი;

ალის ხეობაში: ნაბახტევი, კლდის წყარო;

ტფილისის ახლოს: ლისი, ნახშირგორი, წოდორეთი;

ქვემო ქართლში: კრწანისი, ყიშლაღი, ბერდიკი.

სვიმონ მეფის ჟამს დაწყებულა აღზევება ჭაბუკი სააკაძისა. მერე გიორგი მეათის ხანმოკლე მეფობის დროს „ამღერებდა“ უქარქაშო ხმალს, ხოლო ახლა მეფე ლუარსაბ მეორესთან მისულიყო, ტახტთან სულ ახლოს, ვითარცა მოურავი ტფილისისა და ქართლისა.

ტანად მძლავრია და ჩაკირული გიორგი სააკაძე, ახოვანი, მხარმკლავკუნთოვანი, მკერდგაშლილი. მაღალ და მაგარ ქედიანი, სახე — მკაცრი, ნიკაპი — ნებიანი, მზერა ორბისა — მზის დამკორტნავი, ცხვირი — კეხდაკრული და ულვაშები — ყურებამდე გადამტკავლული.

ბასრია მისი გონება, ვითარცა სიბასრე მისი ხმალისა.

უშიშარია მისი გული, ვითარცა გული უსხეულო ლუციფერისა.

მიზანსწრაფულია მისი ვნება, ვითარცა მიზანსწრაფვა ვნებიანი და ნებიანი დაიმონისა.

მის შფოთიან სულში ერთად დაბუდებულა დიდი მამულიშვილობაც და დიდი პატივმოყვარეობაც, დიდსულოვანი შემწყნარებლობაც და სულსწრაფი შურისმგებლობაც, ბავშვური გულჩვილობაც და მძვინვარე დაუნდობლობაც.

ძალიან მაღლა აფრენილიყო homo novus — „ახალკაცი“.

მტრული თვალით სჭამდნენ თავადები მათ წრეში — „საზეპურო ერში“ გარეულ და სამეფო კარზე აღზევებულ „მდაბიოს“.

შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი და ქაიხოსრო ჯავახიშვილი გიორგი სააკაძეს ტახტისმაძიებელ უჯიშო მედროვედ სთვლიდნენ. ამნაირი ვიგინდარა, ამნაირი „ტარაკუჭა“, ამნაირი „მეცამეტე გოჭი“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადული აღზევებისა და მოხვეჭისათვის არც ქვეყანას დაინდობს, არც ხალხს და არც მეფესო.

სანამ გვიან არ არის, ჩამოიშორე, თორემ ერთხელაც იქნება, ყველას დაგვღუპავსო ეს ცბიერი, ვერაგი, მჩურჩნელი (ყურში მოჩურჩულე მაბეზღარი) და დაუნდობელი კაცი, ჩასჩიჩინებდნენ ისინი ლუარსაბ მეფეს.

. . . . . .

1607 წელს შაჰ აბასმა ცოლად წაიყვანა ლუარსაბ მეფის დაი ლ ე ლ ა (თინათინი), რომელსაც სპარსულად მესამე სახელი დაარქვეს — ფათმა სულთან ბეგუმ.

ისფაჰანში მიმავალ მაყრიონს გიორგი სააკაძეც ახლდა.

ძალიან მოეწონა შაჰ აბასს გიორგი.

„მე მგავს", — გაიფიქრა „ლომმა", როცა მისებრ ულვაშგადაგრეხილი ქართველის სახეზე მალული მძვინვარება ამოიკითხა.

„თათრად უფრო გამოდგება", — გაუელვა შაჰს და მარჯვნივ გადაუმიზნა მიმინოს თვალი.

მარჯვენა მხარე სულ გათათრებულ ქართველებს დაეჭირათ:

„ის უნდილაძეა, სულ წინ რომ დგას. მარჯვნივ ბაგრატმირზა უდგას — დაუთ-ხანის შვილი, ხოლო ის ჭაბუკი, უნდილაძის მარცხნივ — როსტომ სააკაძეა, ალბათ, შენი სისხლი და ხორცი! თერთმეტი წლისა მოვიდა ჩემთან საქართველოდან გამოქცეული, მაშინვე ჩემს პირად ღულამად ავიყვანე, დიდის ერთგულებით მემსახურა; ახლა უკვე სოჰბათ-იასაულია თვრამეტი წლის ჭაბუკი; მალე სპასალარობასაც გაიკრავს, ალბათ, ბეგლარბეგობასაც... მამამაგისიც გათათრებული ქართველი იყო — ბეჟან სააკაძე... ძალიან იმშვენებენ თათრობას სააკაძეები!"

გველის გესლივით დაეღვენთა გულზე გიორგის ეს სიტყვები — „ძალიან იმშვენებენ თათრობას სააკაძეებიო".

ვაი დედასა, გიორგი სააკაძევ, საით მიგანიშნებენ?!

შაჰს თვალი მოარიდა და ქართველებს გახედა.

არც ერთი ქართველი მისკენ არ იცქირებოდა.

ჭაბუკ როსტომ სააკაძეს დაადგა თვალი.

მამამისი გაახსენდა — ბეჟან სააკაძე, დიდი სიმამაცისა და

ვაჟკაცობისთვის ყარა-ბეჟან-ბეგს რომ ეძახდნენ თათრები. დაუთ-ხანის ერთგული აზნაური იყო ბეჟანი, დაუთ-ხანს სპარსეთში ახლდა ჭაბუკობისას, იქვე თვითონაც გათათრდა თავისი მეუფის წამხედურობით. სპარსეთში დიდი გმირისა და სარდლის სახელიც გაიგდო, მაგრამ მაინც დარია ხელი სამშობლოზე წუხილმა და დაბრუნდა ქართლში; გორის ახლოს, მტკვრის პირას, სახლი აიშენა და კერა გაიმართა ცოლ-შვილთან ერთად. მაგრამ არ დააყენა ბეჟან სააკაძე ფარსადან ციციშვილმა: ღამით დაეცა თავისი აზნაურებით, მძინარე ბეჟანი ზედ სარეცელზე დააკვლევინა, ოჯახი გაუძარცვა და აუწიოკა (შადიმან ბარათაშვილის შემდგომ არავის ისე არ სწყურია სააკაძეების სისხლი, როგორც ფარსადან ციციშვილს). ცოლი, სამი მცირეწლოვანი ვაჟი და ერთი ძროხა დარჩა მოკლულ სააკაძეს. ფარსადან ციციშვილის შიშით ვერავინ გაბედა ობლებისა და ქვრივ-ოხრის მფარველობა. ისინიც ადგნენ და ისევ სპარსეთს მიაშურეს (კაცმა რომ თქვას, აბა რა უნდა ექნათ?!). გზაზე ყაჩაღებმა ის მარჩენალი ძროხაც წაართვეს, დედა და ორი შვილი გზაზე შიმშილით დაიხოცნენ. მესამემ, როსტომმა, მძლავრსხეულიანმა და უტეხ-ნებიანმა ბიჭმა, მაინც მიიტანა სული შაჰის კარამდე. და აჰა, აქა დგას ახლა როსტომ სააკაძე, დიდი შაჰ აბასის გვერდით, შაჰისგან მოალერსებული და აღზევებული!

არა, რაც გინდათ თქვით და აქ, სპარსეთში დიახაც რომ იციან ქართველი კაცის ფასი!

„მეტადრე ისეთი ქართველისა, როგორიც შენ ხარ, გიორგი სააკაძევ!“

„რაო? საიდან იყო ეს ხმა“, — შაჰმა თქვა, თუ თვითონ გიორგი სააკაძის გულში გახმიანდა?!.

მოსვლა „მგლის-ტყაოსანთა“

მაშ, იდგა 1609 წელი.

მეფე ლუარსაბ მეორე მცირე ამალით ცხირეთს დამდგარიყო, საზაფხულო განსასვენებელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურავ გიორგი სააკაძესთან და სარდალ ზაზა ციციშვილთან ბჭობდა ხელმწიფე.

საშფოთარი ამბავი მოეტანათ მესხეთიდან შიკრიკებს: ოსმალები წინა წლის მარცხს არ შერიგებიან და მანუჩარ-ბეგისა და დედამისის, ელენეს დასასჯელად დიდძალი ლაშქრით წამოსულან ახალციხისაკენ.

თურქთა ურდოს ასდევნებოდა ყირიმელ თათართა ლაშქარი, რომელსაც ქართველები „თათარ ხანის ჯარს“, ანუ „მგლის-ტყაოსნებს“ ეძახდნენ.

ცეცხლითა და მახვილით შემოსევიან სამცხეს.

აუღიათ და დაურბევიათ ახალციხე.

ტყესა და ღრეში გახიზნულან მანუჩარი და ელენე.

ალბათ, თურქები ლუარსაბ მეფესაც გაუხსენებდნენ სამცხის შემწეობას და ქართლისაკენ წამოვიდოდნენ სიკვდილის თესვით.

თადარიგი დაეჭირათ მეფესა და მოურავს: ზ ა ქ ა რ ი ა და ი ა რ ა ლ ი ბარათაშვილნი გაუგზავნიათ მცირე ჯარით მესხეთიდან ქართლისაკენ მომავალი გზების სათვალთვალოდ.

. . . . . .

ქართლისაკენ მტრის ურდო მოგორავდა.

ერთად შეყრილიყვნენ ოსმალო-თურქნი, სამცხის, შავშეთის, ნიგალისხევის ფაშები, „თათარ-ხანის მგლის-ტყაოსანნი“ და ახალციხის აღების შემდგომ „მთავარი გურჯისტანის“ ასაკლებად მოთქარუნობდნენ.

ურდოს ფ ე რ ა დ ფ ა შ ა მოუძღოდა, გამაჰმადიანებული ქართველი. „მარჯვენა ხელად“ მოჰამედ ფაშას ვაჟი მოსდევდა.

გადმოიქროლეს ჯავახეთი, თრიალეთი და მანგლისს მოიჭრნენ ანაზდეულად.

ზაქარიასა და იარალის რაზმებმა გვიან შეიტყვეს მტრის შემოსევა. თურქებმა უკვე მოასწრეს რამდენიმე სოფლის აოხრება, ამოწყვეტა და წარტყვევნა.

გამოედევნენ ზაქარია და იარალი.

ახლომახლო სოფლის მოსახლეობაც გონს მოეგო და მტერს გამოენთო, ნამგლით და ცელით აღჭურვილი.

თურქებს სადღაციდან ცნობა ჰქონიათ, რომ ლუარსაბ მე-

ფე ცხირეთს იდგა და თვითონაც ცხირეთისკენ მოილტვოდ-ნენ დაოთხებულნი. ქართველთა მეფის მონადირება და შიდა ქართლის მოთარეშება ჰქონდათ გულს ამოჭრილი. საგულის-გულოდ ყირიმელი „მგლის-ტყაოსანნი“ მოჭენაობდნენ „საოცნებო გურჯისტანის“ მოსაძარცვავად და „მოსაჭმელად“. ბევრჯერ გაეგონათ: ვერსად იმდენ ტკბილსა და ხვავრიელ ნადავლს ვერ მოინადავლებ, როგორც საქართველოშიო; მხოლოდ ქართლში შეგიძლია დასტურ გულქართლად* გამდიდრდეო!

ვის რა ეთქმოდა,—„გემოვნება“ დიახაც ჰქონიათ „მგლის-ტყაოსნებს“!..

თევდორე

> მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის.
>
> იოანე, 10, 11.

სამოცი ათასი ოსმალო და „მგლის-ტყაოსანი“ მოჰქროდა შიდა ქართლისკენ.

გზა არ იცოდნენ და მეგზურს ეძებდნენ.

მანგლისი, ოძისი და კველთა რომ გადასწვეს, სწორედ აქ, კველთაში, ერთი მღვდელი მოიხელთეს, სახელად თ ე ვ დ ო-რ ე, და იმას უბრძანეს წინ გაგვიძეხ და გაგვიყვანე ცხირე-თისკენო.

თევდორემ ცივად იუარა.

უარი გაგვიბედაო?!

---

* სხვათა შორის: განა საინტერესო არ არის, ჩემო მკითხველო, რომ სიტყვა „გ უ ლ ქ ა რ თ ლ ი“ იგივეა, რაც „მდიდარი“, „უხვი“, „ხვავრიელი“, „ბარაქიანი“, „დოვლათიანი“?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემოჰკრეს ლახტი ანაზდაითად.

მღვდელი ჯანმაგარი გამოდგა. არც დაცემულა, არც დაუკვნესია, ისე ნირშეუცვლელად შესჭამა უსაშველო ტკივილი.

შეორედ შემოუქნიეს, მაგრამ თევდორემ დარტყმას დაასწრო და თქვა: კარგი, წაგიძღვებითო მეგზურად.

მხარ-მკლავი გაუთოკეს, — არ გაგვექცესო, და ორმა ახმახმა იანიჩარმა გაიგდო წინ.

მიდიოდა და ფიქრობდა ახალგაზრდა მღვდელი, პირზე ღიმილგადაფენილი:

„საწუთრო ესე ცალკე კაცისა არს წამიერი და წარმავალი, ხოლო ცხოველი მარადჟამეულ არს საქართველო, სამშობლო ჩემი...“

„მე ვარ მწყემსი კეთილი... და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათვის... მე ვარ მწყემსი სოფელ კველთის მცირე სამწყსოსი, ხოლო სული ჩემი უნდა დავსდვა დიდი სამწყსოსთვის — საქართველოსთვის...“

„რამეთუ საქართველო არის თვითონ ღმერთი ჩვენი...“

„მადლობელი ვარ შემოქმედო, რამეთუ შემქმენ ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხის მსხვერპლად, ზვარაკად...“

. . . . . .

იანიჩარმა შუბის ტარი აძგერა ზურგიდან.

ფიქრი ჩაუწყდა თევდორეს.

კითხვა შემოესმა:

— ეს სად მოვედით?

თვალი მოავლო იქაურობას თევდორემ.

— გოსტიბეში ვართ, — თქვა მშვიდად.

— აქედან ცხირეთი შორს არის?

— არც ისე შორს.

— აბა, გასწი!

და გასწიეს.

და ისევ გაუყვა ფიქრის გზას თევდორე:

„დგება ჟამი აღსრულებისა და, სულო ჩემო, განიცადე, რომ ხორცი შენი ჯერ ისევ ცხოველად ებჯინება ესოდენ მრავალ საოცრებებით აღსავსე მიწას, რამეთუ მიწა ესე არს ქართული“...

„განიცადე, რომ თვალნი შენნი ჯერ ისევ ხედვენ ესოდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმშვენიერითა და იდუმალებით აღსავსე ცის გვამს, რამეთუ ცაი ესე არს ქართული...“

. . . . . .

ისევ ჩაუწყდა ფიქრი თევდორეს.

მის წინ ახმახი ოსმალო ატუზულიყო, მდიდრულად მორთულ-მოკაზმული, ოქრო-ვერცხლით მოსევადებული აღჭურვილობით ჩასილაღებული.

„უეჭველად ფაშა იქნება“, — გაუელვა თევდორეს.

ხშირი, ცეცხლისფერი წვერი და მაღალი, ღერღეტივით აწვართული კისერი ჰქონდა ოსმალო ფაშას.

— სადა ვართ ახლა და რა ჰქვია ამ სოფელს? — დანჯღრეული ქართულით შეამყრალა თურქმა სახეში ქართველს.

— ერთაწმინდა, — მოკლედ მოკვეთა თევდორემ.

— აქედან ცხირეთი კიდევ შორს არის?

— არც ისე შორს.

— აქ ორი გზაა.

— ჰო, ორი გზა.

— ცხირეთისკენ რომელი მიდის?

— მარჯვენა გზა... აკი მე თვითონ მიგიძღვებით.

— აბა, გასწი!

და გასწიეს.

ცხირეთი ხელმარცხნივ დარჩა.

თევდორეს სოფელ ქვენადრისკენ მიჰყავდა მტრის ურდო. ხოლო ქვენადრისი ჯერ კიდევ შორს იყო.

„სანამ ქვენადრისს მივალთ, მანამ ცხირეთს მდგარი მეფე უეჭველად შეიტყობს მტრის შემოსევის ამბავს... შესაძლოა შეტყობილიც აქვს... ღმერთმა ინებოს“.

მოიხედა და ისევ დალანდა მაღალკისერა და წითელწვერა ფაშა.

თვითონაც არ იცოდა თევდორემ, რატომ აეკვიატა ეს საფიქრალი: „მე რომ მომკლავენ, ერთი დღეც თუ გაივლის და ამ ფაშასაც მოჰკლავენ; ქართული ხმალი მოჰკვეთავს იმ აწოწილ კისერს და მოკვეთილ თავს იმ წითელი წვერით აიტაცებენ... აიტაცებენ ხელით, თუ კბილებით... ასე იქნება...“

„მე თავს გამაგდებინებენ, ალბათ. ჯერ მაწამებენ და მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე მომკვეთენ თავს... და მალე იმ ფაშასაც გააგდებინებენ თავს ჩემი სისხლიერნი“...

„თუმცა მე ვერ მაწამებენ, არამედ აწამებენ მხოლოდ სხეულს, ჩემადყოფილს... და არ მეტკინება სხეული ჩემად-ყოფილი; არ მეტკინება, რამეთუ არავის ძალუძს მატკინოს სული, სული ჩემი, ჭეშმარიტი „მე“... ესე არს, რამეთუ თქმულა ჭეშმარიტად: „და ნუ გეშინიან მათგან, რომელთა მოწყვიდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელ-ეწიფების მოკლვად“.

. . . . . .

„არა, არ მეშინის, არა, „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“... რამეთუ მე, თევდორე, ტომით ქართველი, მწირი და გლეხი, ვკვდები ჩემი საქართველოსთვის!.. ხოლო შენ გვედრებ, უფალო, რამეთუ ვერ მოიხილონ ვერასოდეს დამხობილი ჩემი სამშობლო ვერა კაცთაგანა — ვერცა აღმოსავლელთა, ვერცა დასავლელთა, ვერცა სამხრეთელთა, ვერცა ჩრდილოელთა...“.

. . . . . .

სოფელი გამოჩნდა.

— რა ჰქვია ამ სოფელს? — ისევ ჰკითხა წითელწვერა ფაშამ ნაჯახირევი ქართულით.

— ამ სოფელს ჰქვია ქვენადრისი, — მშვიდად თქვა თევდორემ.

— ქვენადრისი?!

— ჰო.

— მერე?!

— რა მერე?

— ცხირეთი?

— რა ცხირეთი?

— სად არს ცხირეთი?!

— იქ, სადაც არს! — უცნაური ღიმილით თქვა თევდორემ.

ცის გვამი შეარყია თურქთა ბღავილმა.

შემოესივნენ და შემოეჭვდნენ მეწინავე იანიჩარნი.

წამით გაირინდა ყველა და ყოველივე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკივით ჩამდგარიყო თევდორე ჯგრეულ და ჯუჩქად შემოჭდეულ ოსმალთა შორის.

და დაიქუხა „კოშკმა“:

— რაო, გველნო და ნაშობნო იქედნეთანო! ღვთის გარეგანი გული რისთვის დაილახვრენით? განა იმისთვის, რომ ქართველმა კაცმა საქართველოს არ უღ...

მძიმე დარტყმამ ჩააწყვეტინა.

საშინელმა ტკივილმა ისევ მოაბრუნა გონს.

სტკიოდა და ვერ მიმხვდარიყო, სად სტკიოდა. ალბათ, ტკივილად ქცეულიყო მთელი სხეული სალმობიერი.

„არა მტკივა, რამეთუ სხეულგანრღვეულობა ჩემი არ არის ჩემი. მე აღარ ვარ სხეული, მე ვარ სული, მხოლოდ სული, ჭეშმარიტი „მე“, ხოლო ლმობა მისი არ ძალუძს არა ხელსა მიწიერსა...“

თვალი გაახილა.

თავდაღმა ეგდო, ბექობზე გადამხობილი.

ზემოდან ჯალათები ასხდნენ და იატაგანებით აუჩქარებლად უსერავდნენ ძარღვებს.

წამებულს წამებისათვის აღარ ეცალა. ბექობს ქვემოთ წყარო ჩანდა, ცისფერი წყარო. გულწითელა ჩიტები ჩამსხდარიყვნენ და მეწამულ ფერს (თუ სისხლს?! იბანდნენ ფრთების ფათქუნით.

პირი მტკბარი სისხლით აევსო.

„ესე არს გემო სიკვდილისაი...“

„ხოლო მე, თევდორე, ტომით ქართველი, გლეხი და მწირი, ვკვდები ჩემი საქართველოსთვის... ხოლო შენ გვედრი, რამეთუ სამშობლო ჩემი... ვერცა სამხრეთელთა... ვერცა ჩრდილ...“

შემზარავი ჭახანი გაისმა.

. . . . . .

უწინარეს ყოვლისა ჩიტებმა იხილეს ფერდობზე დაგორებული თავი ადამიანისა, მათი მეწამული გულისფრად შეღებილი.

გულგახეთქილი აფრინდნენ გულწითელები.

ხოლო სული წამებული მამულიშვილისა უკვე შორს გაფრენილიყო, შორს ცისად-ცისად...

ხუთმან თქვენგანმან წარიქციოს ასი და ასმან
თქვენგანმან ბევრეული.

ლევიტელთა, 26, 8.

თევდორეს მამულიშვილური თანგანწირვა შეიქნა ცხოველმყოფელური წინამძღვარი გიორგი სააკაძის გმირობისა. სანამ თევდორე მტერს მტყუანი გზით მიატარებდა და ბოლოს და ბოლოს მისი კეთილშობილი თავი გვემულ სხეულს გაშორდებოდა, მანამ მეფემ და ძოურავმა მტრის შემოსევის ამბავიც შეიტყვეს და საომარი სამზადისიც მოასწრეს.

ლუარსაბ მეფე სააკაძის თხოვნით ცხირეთის ციხეში ჩადგა. თვითონ გიორგიმ გზირები აფრინა და საომრად გამოიწვია თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ამილახორი, არაგვისა და ქსნის ერისთავები, ბარათაშვილები და ტფილისის სპარსული ციხიონის უფროსი დელუ-მუჰამედი (მუჰამედ-სულთან შამს ად-დინლუ).

სანამ ომს მოწვეული ფეოდალები მოგროვდებოდნენ, გიორგი ახლომახლო სოფლებში გავარდა, შვიდ საათში ოთხასი მეომარი შემოიყარა და მეფესთან მობრუნდა.

მცირე ბჭობის შემდგომ გიორგი სააკაძე, ზაზა ციციშვილი და თამაზ მაჩაბელი სახელდახელოდ შეყრილი ლაშქრით მტერთან შესახვედრად გაფრინდნენ.

ოსმალთა მხედრობა თეძმის ხეობაში იდგა, ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალაზე.

სწრაფი სრბოლით უახლოვდებოდნენ სააკაძე და ციციშვილი, მაგრამ დაასწრეს ზაქარიამ და იარალიმ, რომელთაც უკვე მიეგნოთ მტრის კვალისათვის.

წამოეწივნენ და დაეძგერნენ ზაქარია და იარალი ოსმალთა უკანაკერძს.

ბრძოლა ნაწვიმარ ჭალაზე გაიშალა, მიწა აიზილა და მეომრები მუხლდაკვეთილნი და აბორძიკებულნი ეხეთქებოდნენ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვმრავლობით დაიხელთავეს თურქებმა და „მგლის-ტყაოსნებმა“ ქართველები.

ხმლები დაუმოკლდათ ტალახში დაფლულებს.

თურქებმა ისრის ბარანით დაცხრილეს და დააწვინეს ზაქარია და იარალი.

მოიჭრნენ სააკაძე და ციციშვილი, მოიჭრნენ და ეკვეთნენ მძვინვარედ.

მხნედ შემოეგებნენ თურქნი, ზაქარია-იარალის ძლევით გათამამებულნი.

საარაკო შემმართებლობით უტევდნენ გიორგი სააკაძე, მისი ძმა ქაიხოსრო, ზაზა ციციშვილი და თამაზ მაჩაბელი.

ქართველებმა ჩახოცეს და გადაქელეს „მგლის-ტყაოსანთა“ მეწინავენი.

თურქთა ფაშა გამოჯირითდა სიკვდილის ხაზზე, მძიმედ აღჭურვილი, მალალკისერა და წითელწვერა.

ხმალი აწვართა და ცხენი გააჭენა ზაზა ციციშვილმა.

დაასწრო და გაექანა თამაზ მაჩაბელი შუბგაწვართული.

დამბაჩა შემოაგება თურქმა.

დროზე შეაგდო ყალყზე ცხენი მაჩაბელმა. ტყვიამ გულში გაუარა და მიწას დაენარცხა ცხენი მხედართან ერთად.

წამსვე დაცლილი დამბაჩა გასტყორცნა და ხმალი აღმართა ფაშამ.

ელვასავით შუა ჩამოიჭრა ზაზა ციციშვილი.

ახლა ციციშვილს შემოუტია ოსმალო ფაშამ უცხო ყივილით.

გაიბრკიალეს ხმლებმა, განაკრთეს ცეცხლი.

წითელწვერა, ჩალმიანი თავი დაგორდა უნაგირს წამიერად ჩაყინულ ტანზე.

მიწამდე ვერ დაასწრო წარკვეთილმა თავმა, მარცხენა ხელით აიტაცა ზაზამ.

— შეჯექ ცხენზედ! — დაუღრიალა ციციშვილმა მაჩაბელს, რომელსაც ის-ის იყო ძლივს დაეღწია თავი ძირს დაცემული ცხენისაგან. წამსვე ზურგზე მოექცა მოკლული თურქის ცხენს მაჩაბელი.

შემოესივნენ და შემოერტყნენ გავეშებული ოსმალები.

ერთი ხმალი აღარ იკმარა ციციშვილმა: ფაშას წარკვეთი-

ლი თავი წვერით კბილებში ჩაიჭირა, სატევარი გაიძრო და შეუტია ორივე ხელით შეჭურვილმა.

მაჩაბელიც წამოეშველა ციციშვილს.

სააკაძემაც მოუსწრო დროზე.

მტრის შუაგულისკენ მიიკაფავდა გზას გიორგი.

უკუიქცნენ თურქნი.

სანამ ქართველთა მთავარი ძალები არ მოსულიყვნენ, მანამ გიორგიმ თურქთა ურდოს გამოდევნება სახიფათოდ ჩათვალა და ცხირეთისაკენ შემობრუნდა.

ოსმალო ფაშების თავები დაუყარეს წინ ლუარსაბ მეფეს სააკაძემ და ციციშვილმა (ასეთი იყო მუსლიმანური სამყაროდან მოტანილი „მოდა დროისა"!).

. . . . . .

სხერტის ჭალაზე დამარცხებული თურქთა არმია ფერად ფაშამ ყარაღაჯის გზით გორისაკენ წაიყვანა.

საომარი წყობით მიდიოდნენ, დინჯად და შიშრეულად, — ვაითუ, კიდევ დაგვეცნენ ქართველები ანაზდეულადო!

მტკვარზე ხიდი უნდა გადაევლოთ და ისე შეჭრილიყვნენ გორში თურქები.

მაგრამ დაასწრო ერთმა სომეხმა ტერტერამ. იგი თურმე გორიდან სოფელ დოესში მიდიოდა რაღაც საქმეზე. მტკვრის მარჯვენა მხარეს მტრის ჯარები რომ შეუნიშნავს, მაშინვე ხიდს დასტაკებია, ფიცარ-ფიცარ აუყრია და შემოსევის საცნობარო განგაშიც აუტეხია.

(თითქოს მღვდლების გმირობის თვე დამდგარიყოს — 1609 წლის ივნისი!).

თურქებმა ხიდის აღდგენა დააპირეს, მაგრამ მოპირდაპირე მხრიდან გორელები მოცვივდნენ და ისრის ბარანი დაუშინეს.

ქართველთა მთავარი ლაშქარიც გამოჩნდა მტკვრის მარცხენა მხარეს. უკვე ყველა მოსულიყო თავისი ჯარით: თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ამილახორი, ნუგზარ არაგვის ერისთავი, შალვა ქსნის ერისთავი, ზაზა ციციშვილი, ბარათაშვილები. ტფილისის ციხისთავი დელუ-მუჰამედიც აქ იყო შვიდასი სპარსელით და გათათრებული ქართველით. ლუარსაბ მეფე და გიორგი სააკაძე მოუძღოდნენ ქართულ მხედრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქებმა ხიდს თავი მიანებეს და ისევ მტკვრის მარჯვენა განაკიდურს გაუყვნენ.

ახლა მათ ლუარსაბ მეფის დატყვევება და ქართლის აოხრება კი არა, საქართველოდან ცოცხლად გაღწევა და ნაძარცვ-ნატყვენავის გაძღოლიება შემორჩენოდათ საფიქრალ-საზრუნავად.

მითქარუნობდნენ და საციციანოს სოფლებს მიიძარცვავდნენ.

სოფელ ბრბონას რომ ჩააღწიეს, შედგნენ და ისევ ხიდის გამართვას შეუდგნენ. სოფელში სახლები დაანგრიეს და დაგროვილი ხის მასალით მტკვარზე მართლაც მოახერხეს ხიდის გადება.

მტკვარზე გადავიდნენ, ტაშისკარის ბოლოს ჩავიდნენ და ნახვეტაში დასცეს ბანაკი.

სააკაძემ და ლუარსაბ მეფემ ახალდაბას ჩაიყვანეს ჯარი ჭენებით.

იქ ხიდი ეგულებოდათ, მაგრამ ადიდებულ მდინარეს გაეტაცნა. იგი. ის ღამე დაითმინეს, ხოლო დილით სისხამზე გიორგიმ მდინარის გადალახვა ბრძანა.

ქართველებმა ჯერ ილოცეს, ღვთისმშობელი, სვეტიცხოველი და მის საძირკველში დამარხული კვართი ქრისტესი მოიხსენიეს, მკლავიც დაილოცეს და მეფისა და მოურავის კვალდაკვალ თვითონაც გადაეშვნენ მტკვარში ცხენებით.

ძალზე საშიში იყო დიდროობით უსაშველოდ აზვირთებულ მდინარესთან ბრძოლა, მაგრამ მაინც მშვიდობით გააღწიეს მეორე ნაპირს.

ტანსაცმელი დაიწურეს, იარაღი აისხეს და საომრად გამზადნენ.

უკვე გული საგულეს დაიგულეს მეფემ და მოურავმა: ველარსად გაექცეოდათ თურქთა ურდო.

შალვა ქსნის ერისთავი თავისი ჯარით კორტანეთს ჩააყენეს და ამით ახალციხისკენ გასასვლელი გზა ჩაუკეტეს მტერს.

ხოლო, თურქთა ზურგიდან, სურამის ბოლოს, შიდა ქართლის ჯარი იდგა საომრად შემართული.

მტრის ურდოს გასასვლელი აღარსაით ჰქონდა და ისღა დარჩენოდა, ბრძოლა მიეღო. საომარ სამზადისს დაუტრიალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ ოსმალნი. სანგრები და თხრილები გათხარეს, მიწაყრილები აღმართეს, ტომრები სილით აავსეს და კედლებად დაისადაგეს...

ლუარსაბ მეფემ თათბირად შემოიყარა სარდლები.

პირველი წამოდგა ნუგზარ ერისთავი, სიმამრი გიორგი საკაძისა, და თქვა: მთიელ ქართველთა საომარ ჩვევას ხშირად გაუმარჯვნიაო, ხოლო მთიელები ღამით ამჯობინებენ მტერზე დაცემასო.

ციციშვილმა და ამილახორმა არ მოიწონეს არაგვის ერისთავის თათბირი: ღამეს ისევ დღე სჯობს და დღის დამდეგს, სისხამ დილაზე მივუხტეთო მტერს.

ბოლოს გიორგიმ თქვა თავისი საომარი განაზრახი: ღამის ჩაწურულს, დღე-ღამის განსადრეკელზე, წელში ოდრიკალად მოკეცილნი, უხმაუროდ მივუახლოვდეთ მტრის მიწაყრილებს, ერთბაშად თოფები დავუშინოთ და უმალვე ამხედრებულნი ხმლითა და შუბით ჩავუხტეთ თოფის კვამლით გატენილ მინდორში ოსმალთა ბანაკსო...

მიიღეს ეს მარტივი და თამამი განასაჯი სააკაძისა და სარდლობაც მასვე მიანდვეს.

იმ ღამით გიორგიმ მეწინავე გუნდი გააწყო. სამეთაურიდ ყველაზე ერთგული მდაბიონი — გლეხნი და წვრილ-აზნაურნი დააყენა: ლომი ჩრდილელი, პაპუნა ვაშაყაშვილი, როსიტა გედევანიძე, პაპუნა ჩივაძე, თამაზ ქარციძე, მათარსი შიხაიდრიძე, ქვლივიძე, ინაშვილი.

ესენი გიორგი სააკაძის „მოკიდებულნი“ (მიმდევარნი, თანამოდასენი) იყვნენ.

. . . . . .

27 ივნისი 1609 წლისა, დილა სისხამი, ტაშისკარი, ნახვეტას მინდორი.

ომის ღმერთს საომარი სასწორის ერთ პინაკზე 60 000 თურქი და „მგლისტყაოსანი“ დაესვა, მეორეზე — 10 000 ქართველი.

თოფების გრიალმა და კლდეებზე ასხლეტილმა ნახმევმა შეარყია მტკვრის ხეობა.

ომის მოლოდინით ღამენათევი შემოეგებნენ ოსმალები მოიერიშე ქართველობას.

ხოლო ქართველები უკვე ჩაჭრილიყვნენ ყოველის მხრიდან მათგანვე ანაზდაითად ნათოფარ მტრის ბანაკში.

თოფისწამლისა და სისხლის სუნი შეერთვნენ ერთურთს.

ბრძოლა გახურდა სასტიკი და სისხლდამდინარი.

„ფიცხად იბრძოდეს ქართველნი“.

სააკაძე ყველაზე სქლად შეკრულ თურქობას „არჩევდა“ და მისკენ მიჰქროდა გავეშებული. შუაგულს იჭრებოდა შუბგამართული და იბრძოდა დინჯად, „გულმყაფრად“. საგანგებოდ თურქთა ჯიღოსან სარდლებს ეტევებოდა გიორგი. უსულოდ ირეცებოდნენ მისი ხელით დანაკრავნი.

„გულსრულად“, დიდი სიმამაცითა და სიჩაუქით იბრძოდა ლუარსაბ მეფე, ჭაბუკი „ტანსარო“, „თამამად მიმხდომელი“, ლახტის მცემელი და შუბის მაძგერებელი.

„მაშინ იქმნა ომი დიდი იქით და აქეთ, და დიდად მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ, — ძველთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებელად საგონებელ იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი და სრულად ქართველნი იბრძოდნენ“.

მზე საშუადღეოზე მიიწევდა და მწვავედ აწვებოდა ტაშისკარის საომარ თონეს.

„ომი გახშირდა“.

მეომრები გახელდნენ, გამხეცდნენ.

მესამეჯერ შეემსხვრა შუბი ხელში სააკაძეს.

ლახტი მიართვა ლომი ჩრდილელმა. კვლავ მიეტევა მძაფრად გიორგი.

ლახტიც გადაუტყდა.

ხმალი „ამოამღერა“ მოურავმა.

შორიდან ნატყორცნი ისრები ასხმოდა ზორბა ტანზე.

ზედიზედ თორმეტ რჩეულ ოსმალოს დააყრევინა გიორგიმ იარაღი და ტყვედ მიუგდო ინაშვილსა და ქვლივიძეს.

ფერად ფაშას დაეძგერა მოურავი.

მხნედ შეეგება გათათრებული ქართველი ჯერ კიდევ ქრისტიან ქართველს.

ხმალი დააგდებინა გიორგიმ.

ორმა პაპუნამ (ჩივაძემ და ვაშაყაშვილმა) მხარ-მკლავი გაუთოკა თურქთა მთავარსარდალს.

მეცხრე საათი დადგა ჯოჯოხეთური ხმალთაკვეთებისა.

სასწორი აეშალა ხელში ომის ღმერთს.

ბრძოლა ქართველთა ძლევამოსილებით გადაწყვეტილიყო. თურქთაგან უმრავლესნი ჩაწყდნენ და ჩაირეცნენ.

ვინც ქართველთა შურისმგებლურ მახვილს გადურჩა, „დაშინებულთა და დანქრეულთა“, ტყესა და ღრეს მიაშურეს ფხოჭა-გლეჯით და თავპირის მტვრევით.

ბრძოლის შემდგომ სამი დღის მანძილზე „საშოვარზე“ გადიოდნენ ახლო-მახლო სოფლელები, კაცნი და ქალნი, ტყემაღნარებსა და ხევხუვებში: იქ შეფარებულ და ჩაჩუმქრულ თურქებს იჭერდნენ, დედიშობილად ატიტვლებდნენ, მაგრამ ცოცხლად კი უშვებდნენ, — ახლა საშიში აღარ არიანო, ეგეინიც ადამიანის ძენი ყოფილანო...

. . . . . .

ახალგაზრდა, პირმშვენიერი მეფე მიუძღოდა გამარჯვებულ ჯარს.

უკან ფერად ფაშა და მოჰამედ ფაშას ძე მოჰყვებოდნენ დატყვევებულნი.

წარკვეთილი თავებიცა და თავწარუკვეთელი ტყვე სარდლებიც ქართველებს მათი „მოყვრისა და მოკეთისათვის“ უნდა გაეგზავნათ — შაჰ აბასისათვის.

. . . . . .

ამრეზილი ჩაყინულიყვნენ თავადები უნაგირებზე.

რამეთუ... ისევ „უჯიშო სააკაძე“ მიჰყვებოდა გვერდით ხელმწიფეს.

„ისევ ქართველს უჯობნია“

შაჰ აბასს ლუარსაბ მეფისაგან წარგზავნილმა გ ა რ ა ს პ ი ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ მ ა მიჰგვარა თურქი ტყვეები და წარკვეთილი თავები.

აფოფინებული იყო ერანის ლომი.

ფავლენიშვილი საბოძვარით აავსო და ლუარსაბ მეფესთანაც უძვირფასესი საჩუქრები და მისართმეველი გამოატანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ეს ჩაილაპარაკა „თავისთვის“: ძალიან, ძალიან მენატრებიან ქართველი მეფეებიო!..

1610 წელს აზერბაიჯანში ჩამოსულმა შაჰმა ლუარსაბი და თეიმურაზი „სამეჯლისოდ“ მიიწვია.

ლუარსაბს თავისი სათხოვარი (თუ მოსათხოვარი) ჰქონდა და დიდის ამალით გაეშურა „მოყვარესთან“ შესახვედრად. დედამისიც, დედოფალი თამარი, თან წაიყვანა ქართველ მანდილოსანთა ასაბიით.

ქართლის „საპატრონოდ“ გიორგი სააკაძე დარჩა.

„„ალბათ, მეფის გვირგვინს იზმანებს თავზე სააკაძე“, — იბოღმებოდნენ თავადიშვილნი.

. . . . . .

შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფისა და თამარ დედოფლის შესახვედრად დიდი მოხელე გამოგზავნა — მოჰამედ ამინ-ბეგი. ქართველ სტუმრებს იგი „ყოველი სადგურიდან სადგურამდე შესაფერისად ემსახურა და ბატივისცემით და მოწიწებით შაჰის ტახტთან მიიყვანა“.

აბასი „დიდი სიხარულით“ მიეგება ლუარსაბ მეფეს, დიდი პატივით, „მრავალგვარი ხელმწიფური წყალობითა და ალერსით დააჯილდოვა“ იგი. „უსაზღვრო მადლობა“ მოახსენა თურქთა წარკვეთილი თავებისა და დატყვევებული სარდლების მიძღვნისათვის.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ლუარსაბ მეფეს თავისი სათხოვარი აქვს „სამოთხის დამამშვენებელთან“ და „ალლაჰის ჩრდილთან“.

სათხოვარი?! რა სათხოვარი?!

ლუარსაბმა ფერად ფაშას გათავისუფლება სთხოვა აბასს.

ძალიან მოეწონა შაჰს ქართველის „რაინდული ქცევა“: განა თვითონ არ შეეძლო ჩემთან არ გამოეშვა და ისე გაეთავისუფლებინა ფერად ფაშა! მაგრამ ჯერ მე გამომიგზავნა, ჩემი უზემოესი მეუფება აღიარა, ხოლო ახლა პირადად მთხოვს ქართველყოფილი სარდლის გათავისუფლებას... ალბათ, სწორედ იმიტომ მთხოვს, რომ ფერად ფაშას ქართული სისხლი უდგას ძარღვებში. უცნაურია, ალლაჰის მადლმა: ქართველებმა მაინცდამაინც არ იციან ერთმანეთისათვის თავის გამოდება და ამ ქრისტიან მეფეს რაღა კუჭი ეწ-

ვის გათათრებული და გადამტერებული ქართველის განტევებაზე?! მაგრამ ეს თხოვნა უნდა შეუსრულოს, ოღონდ კი სხვა „სათხოვარი“ (თუ მოსათხოვარი) არ ექნეს სტუმარს.

ბრძანა აბასმა: ფერად ფაშა გათავისუფლდეს, ხოლო მოჰამედ ფაშას შვილი სიკვდილით გათავდეს!

ქართველთა მეფე დიდ მადლობას უძღვნის „ქვეყნის დამამშვენებელ შაჰს“ ფერად ფაშას გათავისუფლებისათვის, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ნამდვილი სათხოვარი (თუ მოსათხოვარი) ახლა აქვს ლუარსაბს.

— რა სათხოვარი?! — თვალები დაეჭრუტა აბასს.

— ტფილისი, — მოკლედ ისროლა ლუარსაბმა.

— ვერ გავიგე! — ავად დაიბუხუნა „ლომმა“.

— ჩვენ ხომ ერთნი ვართ — ქართველნი და ერანელნი. ჰოდა, რაღა საჭიროა ტფილისში ერანელთა ციხიონი?! — წყნარად, ნირშეუცვლელად თქვა ქართველმა.

— მაშ, შენ მეუბნები, რომ ჩემი ჯარი გავიყვანო ტფილისიდან! — ყინულის ნატეხებივით გადმოყარა სიტყვები სპარსელმა.

— დიახ! — ყინვას ყინვა შეაგება ლუარსაბმა.

— და სამაგიეროდ შენ ჩადგები ტფილისში, არა?

— დიახ! — ისევ უჯიათოდ ჩამოჭრა ქართველმა.

ენის კლიტე გაუელმდა შაჰს.

ერთხანს მდუმარედ უყურებდა ყმაწვილი კაცის საოცრად წყობილ სახეს.

„ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ქალის სახიანი ბიჭი ასე გაუბზარავი სიტყვით გამიბედავდა ლაპარაკს“, — ფიქრობდა შაჰი.

უცებ გიორგი საკაძე გაახსენდა და ეს ჩასძახა გულს უხმოდ:

„უეჭველად ის ჩააგონებდა!“

გაიფიქრა და მაშინვე ალავერდი-ხან უნდილაძე მოიკითხა.

სასწრაფოდ შემოვიდა უნდილაძე.

მარტო ჩაიკეტნენ...

მეორე დღეს შაჰ აბასმა დიდის სიხარულით ახარა ლუარსაბ მეფეს:

— იმის გამო, რომ პაპაშენი სვიმონ მეფე ერანის დიდი მეგობარი და კეთილისმყოფელი ბრძანდებოდა, მისი ხსოვნის

საპატივცემულოდ შენ, მის შვილიშვილს, გიძღვნით ტფილისს. უკვე გაეგზავნა ბრძანება დელუ-მუჰამედს, რამეთუ გაიყვანოს ტფილისიდან ერანული ციხიონი და მის ნაცვლად საქართველოს მთავარ ქალაქში ჩადგეს ქართული ციხიონი.

უსაზღვრო აღტაცებით აენთო სახე ჭაბუკ ხელმწიფეს.

ეს დიდი გამარჯვება იყო.

გულში კი ეცინებოდა: რაღა ახლა გაახსენდაო შაჰ აბასს პაპაჩემის პატივისცემა! თუ მართლა ასე გიჟდებოდა სვიმონ მეფის ხსოვნისათვის, რატომ მაშინ არ მოაგონდა, ოთხი წლის წინათ სპარსული ჯარი რომ ჩაგვიყენაო ტფილისში!..

აქ სულ სხვა რამე იყო საცნაური: შაჰს ოსმალეთთან ომი ჯერ კიდევ ვერ მოეთავებინა. ის კი არა და, დღე დღეზე ოსმალეთის დიდი ვეზირის, მურად ფაშას შემოსევას ელოდებოდა შაჰი. ამიტომ ისევ ძნელი და სახიფათო იყო ქართველების გადამტერება.

შაჰ აბასი იძულებული იყო კიდევ დაეთმო „ერთი ხელი" ქრისტიან გურჯებთან „გაწყობილ დაფაზე".

მაგრამ რა იციან ამ უბედურმა ქართველებმა, რომ შაჰ აბასი სულ მალე აღარ იქნება ასეთი „დათმობისა" და „წაგების" ხასიათზე.

. . . . . .

იჯდა ისქანდერ მუნში და წერდა „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორიაში": ...და მისცა შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფეს ტფილისის ვილაიეთი, საქართველოს განთქმული ქალაქი, რომლის ციხესიმაგრეს თავი მარჩბივის ვარსკვლავედის თაღამდე ჰქონდა აღმართული... ხოლო ხსენებული ლუარსაბი იყო საოცრად მომხიბლავი, მშვენიერი სახისა, მოხდენილი ყმაწვილი. ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, შაჰს რომ ეახლა. ჭეშმარიტად, ასეთია თითქმის ყველა ქართველი ბატონიშვილი. ის კი არა და, საქართველოს მთელი ხალხი, ყოველი კაცი და ყოველი ქალი, იქაური ჰავა-ჰაერის სინაზის გამო, ნატიფ ღაწვთა და ლოყათა სიტურფითა და სინარნარით, ნაკვთებისა და ხელების მოხდენილობით, ყველა სხვა ადგილთა და ქვეყანათა ხალხებს სჯობია. ყველანი სამოთხის ბინადარი ქალის, ჰურიას, მსგავსნი და იოსებ მშვენიერის ღაწვთა მქონენი არიან, მოსეს შუქმფენი ხელის სხივები გამოკრთის მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეებიდან და ქრისტიანული სასწაულიც ცხადად ჩანს მათი საოცარი ენატკბილობიდან და საამური ქცევებიდან. თუმცა საქართველოში ქრისტიანობაა გავრცელებული და ქართველები მოკლებული არიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მაგრამ თავისი სიმშვენიერით, ჰავის სიჯანსაღით და მიწა-წყლის უმწიკვლობით და ნაყოფიერებით ქვეყნიერების ვერც ერთი მხარე საქართველოს ვერ შეედრება. სწორედ ქართველთა სამშობლოზე შეიძლება ითქვას ეს ლექსი:

„ყოველ წუთში თითო იესო დაიბადება,
ყოველ სახლში იესოს მშობელი მარიამი ჩასახლებულა“.

. . . . . .

თეიმურაზმაც მოატანა კახეთიდან, კახთა ამალით და დიდი ძღვენით.

შაჰმა არც კახთა მეფეს დააკლო პატივი და „ხელმწიფური წყალობანი“. მერე „გაზრდილის“ სათხოვარიც მოიკითხა „გამზრდელმა“.

— მე ისევ იმ ურჩი კახელი თავადების დასჯას გთხოვ, ამასწინათ რომ შემოგითვალე, — უთხრა თეიმურაზმა.

— ეგ თხოვნა დაუყოვნებლივ აღესრულება, — მწყალობელი სახით ბრძანა აბასმა (მე რა მენაღვლება, ან რატომ დავუშლი, თუ ქართველი ქართველს სასიკვდილოდ გაიმეტებსო, თავისთვის ამას ფიქრობდა შაჰინშაჰი).

ერთხანს იგი მდუმარედ ათვალიერებდა თეიმურაზს და მის ამალას, მუხის კორომივით ჩამდგარსა და ჩაგუბებულს.

უცებ სპარსულად ჰკითხა შაჰმა თეიმურაზს: ყველაზე ერთგული რომელი გყავს შენს ამალაშიო.

— ადამ აბელიშვილი, — ისე წამოისროლა თეიმურაზმა, აზრიც არ დაუკრავს, საით უმიზნებდა ცბიერი სპარსელი.

— აბა, წინ წამოვიდესო ადამ აბელიშვილი, — ბრძანა შაჰმა.

დაწინაურდა ალვასავით აწვართული ვაჟკაცი.

— შენ ხარ ადამ აბელიშვილი? — ქართულად ჰკითხა შაჰმა.

— დიახ, აბელიშვილიც და ანდრონიკაშვილიც, — ოდნავი დაცინვით უპასუხა ქართველმა.

შაჰმა თეიმურაზს გადაჰკრა თვალი.

— აბელ ანდრონიკაშვილის ძე გახლავთ და გვარიც მამის სახელისაგან მიიღო, მისდა საპატიოდ, — მძიმედ თქვა თეიმურაზმა.

დუმილი ჩამოწვა.

გაახსენდა შაჰს: მისმა „გაზრდილმა", კონსტანტინე-მირზამ, ძაგებში რომ მამა და ძმა მოჰკლა, ზედ რუსთველი ეპისკოპოსი და მისი ძმა აბელ ანდრონიკაშვილიც დააკლეს ყიზილბაშებმა.

„იმ აბელის შვილი ყოფილაო", — გაუელვა შაჰს. ერთხანს კიდევ უცქირა აბელიშვილ-ანდრონიკაშვილს და მერე ბრძანა მკაცრი, „დაბეჭდული" სიტყვებით:

— ეს კაცი ჩემთან დარჩება!

— ვერ ვიზამ მაგას! — იყვირა თეიმურაზმა.

თვალები სისხლით გაევსო აბასს.

— ნუ მიზამ მაგას! — გაასწორა წინარე ნათქვამი თეიმურაზმა. — ნამსახურ კაცად მყავს, მაგისი მამა და ბიძა პაპაჩემს თავზე დააკვდნენ. თვითონ ყველაზე ერთგულად მემსახურება ადამ აბელიშვილი და გეაჯები ნუ წამართმევ ყველაზე ერთგულ კაცს! — ძლივს იმაგრებდა ცრემლებს თეიმურაზი.

— არც მე მაწყენს ერთგული კაცები, — თქვა შაჰმა, — ადამ აბელიშვილ-ანდრონიკაშვილი ჩემთან დარჩება! — ბრძანა და ნასწრაფევად გავიდა დარბაზიდან.

„უნდა ერთგული ადამიანებისაგან გამძარცვოს და მარტოდ დაგდებულს ჩემივე ხალხით მომიღოს ბოლო!" — გაივლო თეიმურაზმა, ტუჩები დაიკბინა გაოგნებულმა.

მეორე დღეს შაჰ აბასმა თეიმურაზი ცალკე გაინაპირა და ცბიერად თვალდაწურულმა ჰკითხა:

— ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის დაკარგვა თუ გეწყინებოდა ისე, როგორც ადამ აბელიშვილის წართმევა გემწუთხა?

ეს კიდევ ახალი ლახვარი იყო თეიმურაზისთვის. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილ-ომანიშვილი უპირველესი კაცი იყო იმჟამად კახეთის სასახლის კარზე, მარტყოფის სადროშოს მოურავი და სარდალი, მამაცი მხედარი, „ახოვანი და შემმართე-

ბელი“ ვაჟკაცი. გამორჩევით ქეთევან დედოფალი აფასებდა ქაიხოსროს ერთგულებას და მამულიშვილობას.

ვაითუ ჩოლოყაშვილიც წამართვასო, ავად გაუელვა თეიმურაზს და მაშინვე შაჰიც ამეტყველდა:

— სხვებთან არ გითხარი, რადგან თავი მოგეჭრებოდა შენც და დედაშენსაც, ქეთევან დედოფალს...

— ?!

— ცნობები მაქვს, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ქეთევან დედოფალს ეტრფიალება შორიდან. შესაძლოა დედაშენსაც მოსწონდეს ესოდენ მომხიბლავი ვაჟკაცი. ხომ იცი, ქალი მაინც ქალია. ჰოდა, ხომ შეიძლება შეერთდნენ და კახეთის ტახტს ახალი მემკვიდრე გაუჩინონ — უფრო კანონიერი, ვიდრე შენ?!

ლამის მიწა გაქცეოდა ფეხებიდან თეიმურაზს.

. . . . . .

ექვსი თვე „ვერ შეელია“ შაჰ აბასი „ძვირფას სტუმრებს“ გურჯისტანიდან.

ექვსი თვის შემდგომ ორივე დიდძალი მისართმეველით დატვირთული გამოისტუმრა „თავთავის საქართველოში“.

წამოსვლის წინ მეფეებმა ეს სთხოვეს შაჰს: როცა თქვენი უდიდებულესობა სამოთხისებურ მაზანდარანს გაემგზავრება სანადიროდ და თვალსასეიროდ, შეგვატყობინეთ, რათა ჩვენც სანადიროდ აღკაზმული გეახლოთ და თქვენთან დროსტარებით გაგვაბედნიეროთო.

თქვენს თხოვნას არ დავივიწყებო, ბრძანა შაჰმა.

მართლაც დიდებული მეხსიერება ჰქონდა ერანელ ხელმწიფეს.

და ქართველ ხელმწიფეებსაც „თავის დროზე“ გაახსენებენ მათ თხოვნას.

. . . . . .

ტფილისი აღფრთოვანებით შეეგება ქართველ გვირგვინოსანს.

ეს მერამდენედ მოიკვეთა საქართველოს წმინდა სატახტომ უცხო უჟმური!

მაგრამ ისევ გაერია შხამი საზეიმო წეკტარით სავსე ფიალაში.

ლუარსაბ მეფეს ბავთი ამბავი აახლეს ფაიქებმა: ყაზახის მმართველი მოჰამედ-ხან ყაზაყლარი შემოსევია ქართულ სოფლებს ცეცხლითა და მახვილით.

ნუთუ შაჰ აბასის დაუკითხავად გაბედა ომის დაწყება ყაზახის ხანმა?!

გაოგნებული ისხამდა იარაღს ლუარსაბ მეფე და ფიქრადაც არ უფიქრია, რომ მოჰამედ-ხან ყაზაყლარს უბეში სწორედ შაჰ აბასის წერილი ედო.

„სასწრაფოდ ჯარი შეჰყარე, ქართლში შეიჭერ და კალოსავით გალეწე და გააცამტვერე, ლუარსაბ მეფეს თავი გაგდებინე და მოკვეთილი თავი მე გამომიგზავნე!“ — ეწერა იმ წერილში.

„ნუთუ შაჰის თანხმობით“, — ეს კითხვა უწვავდა გონებას ლუარსაბს. როცა ახალი, სრულიად მოულოდნელი ამბავიც გაჩნდა: თვითონ შაჰ აბასის წერილი!

„შევიტყვე, რომ ყაზახის ხანი მოჰამედ-ხან ყაზაყლარი მოღალატეა, თურმე ძაღლთაპირს ოსმალო ფაშებთან გაუმართავს მიწერ-მოწერა, ამიტომ სასწრაფოდ გაეშურე ქართველთა ჯარით, ყაზახში შეიჭერ, ააოხრე და გააცამტვერე, ხოლო მოღალატე ყაზაყლარი მოჰკალ, თავი მოჰკვეთე და გამომიგზავნე!“ — ეწერა ამ წერილშიც.

არც ერთმა — არც ქართლის მეფემ და არც ყაზახის ხანმა — ცალკეულად არ იცოდნენ, რომ იყო ორი წერილი, ერთ დღეს ერთი ხელით დაწერილი, და იყო ორი „ადრესატი“ — ერთმანეთზე ერთიკაცისგან სასიკვდილოდ წაქეზებული.

თვითონ შაჰ აბასი ერთ რამეში გულწრფელად იყო დარწმუნებული: ქართლის მეფეც და ყაზახის ხანიც — ორივე მისი ორგული იყო.

ძალიან კი მოსწონდა და ენდობოდა თავისი გონების სიმახვილეს: ერთ-ერთის წარკვეთილი თავი უეჭველად დაგორდებოდა მის ფეხებთან — ან ლუარსაბისა, ან მოჰამედ-ხანისა.

ერთ-ერთის, ხოლო მეორეს... მეორესაც მალე მოუღებს ბოლოს ერანის ლომი!

მაინც რა მომხიბლავი და საწადნელია, რომელი დაასწრებს და რომლის თავი მოგორდება შაჰის ფეხებთან!

„ისე კი... ქართლის მეფის თავი მერჩივნა“, — გულწრფე-

ლად გაიფიქრა აბასმა (გულწრფელობაც უყვარდა „თავის დროზე“ შაჰ აბასს).

და მოხდა ასე:

მოჰამედ-ხან ყაზაყლარის გასისხლიანებული თავი მიუგორეს ფეხებთან.

„ისევ ქართველს უჯობნია!“ — მწარედ თქვა შაჰმა და ულვაში კბილით ჩამოიწიწკნა.

წელიწადი ქორწინებათა

ჯოჯოხეთური მოძახილი შეგვიმკობს ქორწილს.

შექსპირი

შაჰ აბასს „ორი წერილის ფანდი“ მაინც ძალიან დასჯდომოდა ჭკუაში და იფიქრა იქნებ თვითონ ქართველ მეფეებს დავაკვლევინო ერთმანეთიო.

და მისწერა ლუარსაბ მეფეს ერანის შაჰმა: მე მირჩევნია ქართლიც და კახეთიც ორივე შენ გემორჩილებოდეს; ამიტომ თეიმურაზი მოჰკალი და კახეთი დაიჭირეო.

იმგვარივე წერილი იმ დღესვე გაუგზავნა თეიმურაზს: მე მირჩევნია, კახეთიც და ქართლიც ორივე შენ გემორჩილებოდეს; ამიტომ ლუარსაბი მოჰკალი და ქართლი დაიჭირეო.

მაგრამ ქართველი მეფენი შაჰ აბასის მზაკვრობას ადვილად მიხვდნენ, წერილები ერთმანეთში გაცვალეს და ამით „ეს საქმე“ გაათავეს.

შაჰს მხოლოდ გაუკვირდა: როგორ მოხდა, რომ ქართველებმა ამჯერად ერთმანეთის ტყავი არ დახიესო.

. . . . . .

იმავე 1610 წელს თეიმურაზ მეფეს მეუღლე გარდაეცვალა — დედოფალი ანა, მამია გურიელის ასული.

სამი წელი ძლივს მოათია ერთად ყმაწვილმა მეფე-დედოფალმა.

წვრილი ობლები დარჩნენ — ლევანი და ალექსანდრე.

დიდ საგლოველს მიეცა გრემის სასახლე.

სულ დაიჯაბნა და დაიბეჩავა მწუხარებამ თეიმურაზი.

შეიტყო შაჰ აბასმა კახეთის დედოფლის სიკვდილი და შემოუთვალა დაქვრივებულ „გაზრდილს“: ვაჟკაცი ხარ, გლოვა იკმარე, მეწვიე და ჩემთან განიქარვე მწუხარებაო.

ელჩად შაჰ აბასს იტალიელი კარმელიტი გამოეგზავნა — პატრი ფრა ჯოვან-თადეო.

კახეთის სამეფო კარი დიდის პატივით შეხვდა ჯვალოს ფიჩოსან ფეხშიშველა ევროპელ ბერს. თეიმურაზმა და ალავერდელმა მიტროპოლიტმა ალავერდის ლავრაში აწირვინეს კათოლიკე ჯოვან-თადეოს.

შაჰის წვევაზე უარი ვეღარ თქვა და წავიდა თეიმურაზი „შავით მოსილი“.

მიეგება და მიუცრემლა შაჰ აბასმა. მერე თალხები ძალით გაჰხადა და სამეჯლისოდ მორთო თავისი ხელით. სანადიმო სუფრა გაუწყო, მერე სანადიროდ წაიყვანა ტყე-ველად.

ასე „ანადიმებდა და ანადირებდა მარად-დღე“ აბასი თეიმურაზს.

ერთ დღეს, როცა ნადირობით დაქანცული მონადირენი ნანადირევს შეექცეოდნენ, მასპინძელმა უთხრა სტუმარს:

— გეყოფა გლოვა, ჩემო თეიმურაზ, მეფე ხარ და ქვეყანას დედოფალი სჭირდება. დროა, ცოლის თხოვაზე იფიქრო.

— მერე, ვის მირჩევ სადედოფლოდ?! — ლუკმა შეეყინა პირში თეიმურაზს.

— შეირთე ხორეშანი.

— ხორეშანი?!

— ჰო, ლუარსაბ მეფის დაი. შეირთე და იყავ ქვისლი ჩემი და სიძე ქართლის მეფისა. ასე ვიქნებით სამივე მოყვარენი და მოისპობა ჩვენს შორის ყოველი ეჭვი, შური და უნდობლობა.

ცივად იუარა თეიმურაზმა:

— ეგ არასგზით არ შეიძლება, რადგან ხორეშანი და ლუარსაბი ჩემი პეპერა ლევან მეფის ასულის შვილისშვილები არიან.

გადაფიჩინდა შაჰ აბასი: რას არ მოიგონებთ ქართველე-

ბი — ყვავი ჩხიკვის მამიდაო! ის კი არა და, ქალს შეუძლია ცოლად წაჰყვეს მაზლს, გინა ძმას!

ლამის უკანვე გადმოანთხია თეიმურაზმა ყელს გადაცდენილი საჭმელი.

— ეგ ჩვენის სჯულით წარმოუდგენელია, — ძლივს ამოიხრიალა.

— ჩვენი სჯული? მალე თქვენი სჯულიც ჩვენი სჯული იქნება! — თქვა ცივად შაჰმა.

მიხვდა თეიმურაზი, რასაც ნიშნავდა ცბიერი სპარსელის ეს ორპირული სიტყვა: რასაკვირველია, მაჰმადიანური ერანის გაქრისტიანებას არ იგულისხმებდა შაჰი... გათათრებისკენ გვეჭაჩება თათრის ყველაზე დიდი მბრძანებელი და ვაი ჩვენ, ქართველთა!.. ახლაც ეს არის: უნდა ნათესავები შეგვაუღლოს და მერე გვიკიჟინოს, — აჰა, რაღა დარჩენილა, აკი თქვენც გათათრებულხართო!

ერთხელ კიდევ მიუბრუნდა და „მიუგო ვედრებით“ თეიმურაზმა: ნუ იქმ და ასეთ უზნეო გზაზე ნუ შეგვაყენებო.

ფეხზე წამოიჭრა აბასი, სანადირო მშვილდი აიღო და თქვა სუსხიანად:

— ლუარსაბ მეფესთან წერილი უკვე გაგზავნილი მაქვს, ჩემი ცოლისძმა საქორწინოდ ამზადებს დას!..

1611 წლის გაზაფხულზე დიდი ქორწილი გაიმართა გრემის სასახლეში.

კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი ცოლად ირთავდა ქართლის მეფე ლუარსაბ მეორის დას — ხ ო რ ე შ ა ნ ს.

მაინც დაერთო სისხლი ქორწილს.

გზირებმა ამბავი შემოუტანეს სიძედ მჯდარ მეფეს: ლეკები გამოჩენილან ყადორის მთაზეო.

წამოიჭრა თეიმურაზი და მოითხოვა საჭურველი.

მივარდა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილ-ომანიშვილი: შენ ნუ გაირჯები და მე მოვუვლი ლეკებს. ძალით დასვა მეფე ტახტზე. გავარდა და შეჰყარა თავისიანთა გუნდი, ამხედრდა, აამხედრა და გაქუსლა მთისკენ.

ვიღაც მივიდა თეიმურაზთან და უჩურჩულა იდუმალი ხმით: რად გაუშვი ჩოლოყაშვილი, დიდი ხანია მას შენი ღალატი უდევს გულშიო.

შაჰ აბასის ნათქვამი გველივით აუცოცდა გულზე თეიმურაზს: ქეთევანი და ქაიხოსრო შეერთდებიან და ტახტს წაგართმევენო!

აიშალა და ავარდა მეფე. ველარავინ დააკავა. იარაღი აისხა, ამალა აიყოლია და თვითონაც გაჭენდა ყადორისაკენ.

იმ დროს მივიდა, როცა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილ-ომანიშვილს ლეკები დაემარცხებინა, გაქცეულებს დაღესტნამდე ჩაჰყოლოდა და მათი საბრაგო საბუდარებიც ძირფესვიანად მოეთხარა.

შემოეგება გამარჯვებული ქაიხოსრო მეფეს და მოახსენა: ლეკები განადგურებული არიან; ახლა სამეფო ბუკს თუ მიბოძებ, მისი ძახილით დავაშინებ და სამუდამოდ თარეშის მადას მოვუსპობ ლეკებსო.

ამის თქმა და, შისცვივდნენ მეფეს „მისიანები“: ქაიხოსროს სამეფო ბუკის დაძახილით შეთქმულთა შეყრა და შენი მოკვლა აქვს გადაწყვეტილიო.

პასუხსაც აღარ დაუცადეს, — ქაიხოსროს დაეტაკნენ და ძირს დაანარცხეს.

ბევრი იყვირა და იფიცა ჩოლოყაშვილ-ომანიშვილმა, მეფის ღალატი ფიქრადაც არ გამივლიაო, მაგრამ ვინ შეისმინა!

თავი გააგდებინეს.

ბევრ თავადს შეუჭრეოლდა იმ დღეს კისერი — ორგულსაც და ერთგულსაც.

. . . . . .

1611 წლის ზაფხულზე მეორე ქორწინება მოხდა: შაჰ აბასმა კიდევ ერთი ცოლი შეირთო — ე ლ ე ნ ე, თეიმურაზ კახთა მეფის დაი.

ამნაირად, გუშინდელი ქვისლები სიძე-ცოლისძმობითაც დაუმოყვრდნენ ერთმანეთს.

. . . . . .

თეიმურაზისა და ხორეშანის ქორწინებამ არაგვის ერისთავთა ოჯახი ააფორიაქა საშინლად. თურმე ხორეშანი ნუგზარის ვაჟზე — ზურაბზე ყოფილა დანიშნული. ახლა ისე გამოდიოდა, რომ ლუარსაბმა პირი უშალა არაგვის მბრძანებელს, ხოლო თეიმურაზმა აშკარად წაართვა საპატარძლო ერისთავთა სახლეულს.

ამას დაიმახსოვრებენ ნუგზარ და ზურაბ ერისთავები.

. . . . . .

1611 წლის შემოდგომაზე კიდევ მოხდა ერთი ქორწინება, — უფრო „მრავლისმნიშვნელი“ და „მრავლისმომასწავებელი“.

გიორგი სააკაძემ ნოსტეში, თავის ციხე-დარბაზში, ლუარსაბ მეფის პატივსაცემად დიდი წვეულება გამართა.

მასპინძელმა მეფეს მწდედ (მერიქიფედ) ახალგაზრდა ქალი დაუყენა, საოცრად მომხიბლავი, ტანნაკვთოვანი და სახემშვენიერი.

მოურავის დაი აღმოჩნდა ის ქალი (სახელი არ არის ცნობილი).

ჭაბუკი მეფე პირველი თვალის დაკვრისთანავე დაატყვევა ქალის სიმშვენიერემ. მისი ნახელავი ღვინოც ძალიან გაუტკბა, მალე კიდევაც დათვრა და გული სატრფიალოდ აეშალა და აუზვავდა.

სხვა რაღა უნდოდათ მოურავზე ბალანაშლილ თავადებს! იმ დღესვე შექმნეს მითქმა-მოთქმა და მიეთ-მოეთი: ვიგინდარა სააკაძემ წვეულება განზრახ გააწყო, მეფე განზრახ მიიტყუა, დაი თვისი განზრახ შეატყუა და ამნაირი უკადრისი გზით უნდა მეფეს კიდევ უფრო დაუახლოვდეს და მიეტმასნოსო.

წვეულება როგორც იქნა ჩათავდა, მაგრამ გამიჯნურებულმა მეფემ ნოსტეს სიარულსა და ქალთან შეხვედრებს მოუხშირა.

ჭორი გაფუვდა, გასივდა, გასკდა და სამეფო სახლიდან გლეხის ქოხის კარამდე შხამად და დარდუბალად დაინთხა.

დიდსა და მცირეს მეფისა და მოურავის დის „რომანი“ გაეკრა პირზე.

ოჯახი უბახდებოდა სააკაძეს.

გიორგის დედა თამარი ლამის ჭკუიდან გადამცდარიყო მისი ქალისადმი მეფის „უსაქციელობის“ გამოისობით.

გიორგი მიხვდა, რომ მწარე შეცდომა დაუშვა. იგი ვერავის დააჯერებდა, მეფისა და მისი დის შეხვედრა განზრახ რომ არ ყოფილა მოწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხვდა და მაშინვე შეუდგა გამრუდებული საქმის გასწორებას.

მეფეს შეუთვალა: საკადრისი არ გახლავთ თქვენი ასეთი საქციელი და უმორჩილესად გთხოვთ, გულისთქმას ნუღარ აჰყვებით, ქალს თავი დაანებეთ, თორემ უეჭველად თავს შემოგაკლავთო.

ლუარსაბი მოულოდნელი პასუხით შეხვდა მოურავს:

მე შენი დაი ჩემს სულზე უფრო შევიყვარე, ცოლად უწდა შევირთო და ქართლის დედოფლად დავსვა!

ეს კი მეტისმეტი იყო. გიორგის ერთ ხანზე სიტყვა ველარ ეპოვნა საპასუხოდ. მაგრამ მისმა ძლიერმა გონებამ ისევ მალე განსაზღვრა, რა უნდა მოჰყოლოდა გულისთქმას ადევნებული ჭაბუკი გვირგვინოსანის აჩემებას.

— მეფეო, მე ერთი მდაბალი ყმა ვარ თქვენი, თქვენისვე წყალობითა და კეთილი საბოძვარით გამდიდრებული და აღზევებული. ამიტომ ჩვენი ასეთი დამოყვრება შეუძლებელი გახლავთ. კიდევაც რომ მოხდეს, თავადები და მათი სახლეულნი ჩემს დას დედოფლად არ დაისვამენ, იმასაც მოგაშორებენ, ჩემს თავსაც შეგაძულებენ და დაგაკარგვინებენ. მარტო ერთი თქვენი მამა-მძუძე და სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი ეყოფა ჩვენს გადამტერებას. ამიტომაც გეაჯები, ხელი აიღოთ, მეფეო, ჩემი ოჯახის შერცხვენაზე და დაღუპვაზე! — შეჰღაღადა გიორგიმ.

— ასეთი რა დაუშავე ჩემს გამზრდელსა და სუფრაჯს, გიორგი? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— თქვენთან ჩემი სიახლოვე ვერ აუტანია შადიმან ბარათაშვილს. მიტომაც მემტერება და მექიშპება. ერთხელაც, როცა ხმლის ხმარებაზე ატრაბახდა, მე ვუთხარ: შადიმან, შენ ხმალს კვეთა არა აქვს-მეთქი. და მის შემდგომ სულ გაცოფდა და დაეხარბა ჩემს სისხლს, — თქვა გიორგიმ.

— ძალიან მწარე სიტყვა კი გითქვამს, ჩემო გიორგი, შადიმანისთვის.

— ვუთხარ, რადგან ასედაც გახლავთ... მაგრამ სიტყვას ბანზედ ნუ მიგდებთ, მეფეო. მუხლმოყრილი და ქვედავრდომილი გემუდარებით, ხელი აიღოთ ჩემის ოჯახის დამცირებასა და დაღუპვაზე!

— მე და შენი დაი უცოდველნი ვართ, ჩემო გიორგი, და ასედაც დავრჩებით ქორწინებამდე, ხოლო ქორწინება სულ მალე განესრულება! — ბეჯითად დაასრულა ლუარსაბმა.

გაოგნებულმა გიორგიმ მეფე მიატოვა და დედამისთან წავიდა — დედოფალ მარიამთან.

— თქვენი შვილი ჩემს დას მთხოვს ცოლად, მე უარს ვეუბნები, ის თავისას არ იშლის და ვინძლო თქვენ მომეხმაროთ და კაის საქმით გადამარჩინოთ! — მოახსენა გიორგამ ქართლის დედოფალს.

მარიამს უკვე სცოდნოდა „მდაბიო ქალზე“ შვილის გამიჯნურების ამბავი. დიდი საყვედურებიც იფრქვეოდა თურმე დედა-შვილს შორის. მარიამი სამეგრელოს მთავრის ასულს ურიგებდა ლუარსაბს (თვითონაც ხომ მეგრელი ლიპარტიანის ასული იყო დედოფალი), ხოლო „მდაბიო სააკაძის ქალის“ რძლად მოყვანა ვერასგზით ვერ წარმოედგინა გვირგვინოსნის დედასა და ქართლის „მთავარ დედოფალს“.

მაგრამ სამეფო ტახტის ერთგულ მსახურსა და მოამაგე მოურავს მაინც დიდსულოვნად შეხვდა მარიამი.

ლუარსაბ მეფე მე აღარ მეკითხებაო ცოლის შერთვას, ყველაფერს მის ნებაზე აკეთებს და, რაც არ უნდა მოხდეს, თქვენი ერთგულებისა და თავდადების დავიწყება ჩვენის ოჯახისაგან არასგზით არ მოხდებაო, ასეთი სიტყვით გამოისტუმრა მარიამმა მოურავი.

ისევ ლუარსაბს მიაწყდა გიორგი, ისევ ევედრა, ჩემს დას დაეხსენიო, ცუდად ნუ გამათავებინებ ცხოვრებასა და შენდამი ერთგულ სამსახურსო.

არაფერმა გასჭრა. მეფეს შეურყეველად გადაეწყვიტა საყვარელი ქალის ცოლად შერთვა.

გიორგი გატყდა. მხოლოდ ფიცი სთხოვა ხელმწიფეს, ფიცი, რამეთუ არასოდეს ეღალატნა მისი დისათვის, არც არავის წაქეზებით გამოეგდო ცოლობიდან და დედოფლობიდან.

ღვთის პირით შეჰფიცა ლუარსაბმა.

1611 წლის შემოდგომა. ქორწილი. ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე ცოლად ირთავს მოურავ გიორგი სააკაძის დას.

ნოსტედან ქვათახევს წაიყვანა ნეფემ დედოფალი.

მაყრიონს წინამძღვრად მიუძღოდა ნასიძე.

ქვათახევის მონასტერში მღვდელმა იოსებ კანდელაკმა დასწერა ჯვარი ლუარსაბ ბაგრატიონს და სააკაძის „მდაბიო ქალს“.

ოთხასი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც გიორგი ლაშამ „უკანონო გზით“ და „ჭეშმარიტი სიყვარულით“ მოიყვანა ქალი „სახლსა სადავითოსა“. და მას შემდგომ ლუარსაბ მეფე ქართველ გვირგვინოსანთა შორის მეორე იყო, რომელმაც ისეთივე „უზნეო ქორწინებით“ და „ჭეშმარიტი სიყვარულით“ შეირთო ცოლი.

ლუარსაბ მეფე სიტურფით და მომხიბვლელობით დიახაც არ ჩამოუვარდებოდა თამარ შვიდმნათობიერის საოცარ ძეს, მაგრამ ვაჟკაცობით, ნებისყოფით, დიდსულოვნებით, „თვითბუნებაობით“?!.

. . . . . .

საწორწილო სუფრა ახალი ალაგებული თუ იქნებოდა, რომ ერთბაშად ისევ ერთმანეთის საჯიჯგნად აიშალა და აზვავდა ორი მოსისხლე „ბანაკი“ — შადიმან ბარათაშვილისა და გიორგი სააკაძისა.

სააკაძეს საქართველოს გაერთიანება ჰქონდა გულში ამოჭრილი. ეს უზარმაზარი მამულიშვილური ოცნება „აზნაურული გზით“ უნდა შეესრულებინა „წვრილი ერის“ სათაყვანო გმირს: აზნაურები თავადთა ქვეშევრდომობას უნდა დასხლტომოდნენ და ყმაგლეხების გაყოლებით ერთიანი სამეფო ხელისუფლების უშუალო სამსახურში შესულიყვნენ. ასეთი იყო სააკაძის „მოკიდებულ კაცთა“ (მიმდევართა, თანამოდასეთა) საბრძოლო განაზრახი.

აზნაურთა, ყმაგლეხთა, ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა გარდა, „დიდი მოურავის მოკიდებულთა“ შორის, აშკარად ან იდუმალ, ზოგიერთი თავადიც შედიოდა: ნუგზარ არაგვის ერისთავი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, იასე ქსნის ერისთავი, ზაზა ციციშვილი, ბააკა ხერხეულიძე, ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილები (თუმცა მერე ორივე ჯავახიშვილი სააკაძეს განუდგა და შადიმანის „დასს“ დაუბრუნდა).

ლუარსაბ მეფის ქორწინება სააკაძის „დასის“ დიდი გამარჯვება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ არ ეძინა შადიმან ბარათაშვილსა და ფარსადან ციციშვილის თავადურ წრეს.

აიშალნენ თავადები. აიშალნენ ოჯახებით, ცოლ-შვილით, ქალ-რძალით და შეუტიეს ლუარსაბ მეფეს: ცოცხალის თავით არ შევურიგდებით „უგვარო დედოფლის“ მბრძანებლობას და თავზე წამოსკუპებასო. „და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმან დაუცადებლად დაუწყო ბეზღობა მოურავსა“.

ნახევარი წელიწადი ლანძღეს და თათხეს მოურავი და მისი ოჯახი, ნახევარი წელიწადი უჩიჩინეს მეფეს: განუტევე „უჯიშო დედოფალი“ და მოჰკალი „მოღალატე მოურავიო“.

ლუარსაბი ერთხანს მაგრობდა, საყვარელი ქალისა და ერთგული მოურავის ჩამოშორება არ უნდოდა; სახარებასაც იშველიებდა — „რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენო“ — მაგრამ ნახევარწლოვანმა „ფეოდალურმა ღიჯინმა“ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

„კარგი, გავუშვებ დედოფალს!“ — ამოიგმინა მეფემ.

უფროორე მიეძალნენ და მიეტანენ თავადები: მარტო დედოფალის განტევება რას უშველის, თუ სააკაძეც არ მოკვდებაო. ის კი არა და, დის დამცირებით გაბოროტებული სააკაძე ფათერაკს, რაიმეს გადაგყრის ჯერ შენ და მერე ჩვენც მოგვადგებაო. ამიტომ სააკაძე უნდა მოკვდეს დაუნდობლად და დაუყოვნებლივ!

მეფე გაჯიქდა. გიორგი სააკაძისაგან სიკეთისა და ერთგულების მეტი არაფერი მახსოვს და ამნაირი კაცი ასე უბრალოდ სასიკვდილოდ როგორ გავიმეტოო.

მაშინ შადიმან ბარათაშვილმა და ფარსადან ციციშვილმა ბერუკა ჯავახიშვილი გამოიძახეს მეფესთან.

ბერუკა ჯავახიშვილი გიორგის „შვილივით ნაზარდი“ ჰყოლია, მაგრამ ახლა მისი მტრების ბანაკს მიჰკედლებია და სული ეშმაკისთვის მიუყიდნია.

და უამბო ბერუკა ჯავახიშვილმა ლუარსაბ მეფეს:

— ეს ხუთი წელიწადია, რაც გიორგი სააკაძეს შაჰ აბასის კართან კავშირი აქვს გაბმული. ეს მას შემდეგ, რაც თქვენი დის მაყრიონს გაჰყვა ისფაჰანში. მაშინ ძალიან ტკბილი საუბარი ჰქონიათ შაჰს და მოურავს. იქაურ გათათრებულ ქართ-

ველებთან ფაიქები დაუდის სააკაძეს. ხოსრო-მირზას — შენი პაპის ძმისწულს — ქართლის ტახტს ჰპირდება თურმე...

ძარღვები გაუშრა და სახსრები დაელეწა ლუარსაბ მეფეს. შადიმანს ამღვრეული თვალები მიაპყრო და ამოიხრიალა:

დაე იყოს განტევება დედოფლისა და სიკვდილი და ამოწყვეტა მისი ძმის გიორგი სააკაძისა!

ისე ბრძანა, არც სამართალი გახსენებია, არც საბუთი, არც რაიმე გამოძიება მალემრწმენ მეფეს.

„საიდუმლო სეროგა"

1612 წლის მაისი იყო.

ლუარსაბ მეფე წავკისს იდგა, საზაფხულო სასახლეში.

მისი მამა-მძუძეც აქ ბრძანდებოდა — შადიმან ბარათაშვილი, თავისი „დასით".

საღამო ხანი, გუთნეულის გამოხსნის ჟამი.

ფარეშთუხუცესმა ბააკა ხერხეულიძემ სადარბაზოსთან შემთხვევით გაიარა და შიგნიდან შემთხვევითვე შემოესმა ნაწყვეტი სიტყვა:

„ხვალ... ნადირობისას... უნდა მოვჰკლაო..."

?!

ნეტავ ვის მოკვლას აპირებენ?!

აჰა, ხვალ სანადიროდ მიდის მეფე ყარაიაში და იქ მოკვლისა და დაჭრა-დაჭერის მეტი რაღა იქნება... ნადირთა და ფრინველთა... თუმცა ასე უცნაური იდუმალებით რატომ გაისმა ეს წყეული სიტყვა — „ხვალ მოვჰკლათო?" ვაითუ...

მონადირეთა გუნდიც ძალიან ემრავლა თვალში ხერხეულიძეს. „გუნდი" კი არა, უფრო ჯარს ჰგავდა — საომრად დასილაღებულ ჯარს.

. . . . . .

ეზოში გიორგი სააკაძე შემოვიდა.

ერთმანეთს ტკბილად მიეგებნენ.

სააკაძემ თვითონ უამბო ხერხეულიძეს ასე დაგვიანებით

მოსვლის მიზეზი: მეფემ შემომითვალა, დღესვე წავკისს მოდი და ხვალ დილით ადრე ყარაიას გავიდეთო სანადიროდ.

გულმა რეჩხი უყო ბააკა ხერხეულიძეს: გიორგის ხომ არ ემუქრება ის ავბედითი სიტყვაო. და გადაწყვიტა ფხიზლად ყოფილიყო იმ ღამეს.

მეფემ და მისმა ამალამ შეიტყვეს მოურავის მოსვლა.

გამოეგებნენ „სიყვარულით“.

ლუარსაბმა სერობად ჯდომა ბრძანა.

მიუსხდნენ სუფრას.

მეფე მხიარულ ხასიათზე იყო. სმაში უნდა შეეჯიბრო ჩემს ცოლისძმასო, იცინოდა და ღვინოს აძალებდა გიორგის.

სხვებიც „ეძალებოდნენ“ ღვინოს — შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი, ბერუკა ჯავახიშვილი.

ბააკა ხერხეულიძე ხედავდა, რომ სააკაძის გარდა ყველა იპარავდა ღვინოს.

თვითონაც იდუმალ ნაკლული სასმურით სვამდა და სააკაძის თვალებს ჩხრეკდა თვალებით.

გიორგის უკვირდა, ნადირობის წინა ღამეს ღვინის სმა როგორ შეიძლებაო, მაგრამ მეფის ხათრით მაინც პატიოსნად სვამდა სასმურებს.

ყველამ იცოდა, თუ „აუცილებელი“ იქნებოდა, სააკაძე ხარივით სვამდა ღვინოს.

„უნდათ ღონისაგან მცირედად მაინც დასცალონ და ადვილად მოერიონ“, — გაუელვა ხერხეულიძეს და, როგორც იქნა, დაიჭირა გიორგის თვალი.

მიხვდა მოურავი, რასაც ანიშნებდა ერთგული „მოკიდებული კაცი“.

ღვინით აკიაფებული თვალებით დაკორტნა თანამესუფრენი.

ყველა ფხიზელი ეჩვენა.

გონება დაიმძლავრა და სიმთვრალე დაითრგუნა გიორგიმ.

ფეხზე წამოდგა, ნადირობა და ნადიმობა ერთმანეთს არ მოუხდებიანო, დროც გახლავს მოვისვენოთო და მეფეს განტევება სთხოვა.

სუფრა აიშალა.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამლის მეორე ყივილზე გაეღვიძა ახლად ჩათვლემილ ბაკა ხერხეულიძეს.

ნასწრაფევმა ნაბიჯებმა, ნერვიულმა ჩურჩულმა და იარაღის ჩხარაჩხურმა წამოაგდო ფეხზე.

გამოძიების დრო აღარ იყო და სააკაძის კარვისკენ გაფრინდა ფრთაგამოსხმული.

— თავს უშველე, გიორგი, შენს მოსაკლავად მოდიან! — ზედ სარკმელთან დაიღრიალა ხერხეულიძემ.

ახალუხის ამარად იწვა გიორგი, ფეხშიშველი და თავშიშველი. ეგრევე წამოიჭრა, მხოლოდ ხმალი აიტაცა და შურდულივით გავარდა გარეთ.

უკვე კვალში უდგნენ მდევრები.

მიასწრო უბელო ცხენთან, შორიდან ისკუპა ჯიქის სისწრაფით, ზურგზე მოევლო და გაფრინდა, ვითარცა გაფრენილი კენტავროსი.

— ხერხეულიძეს მიჰხედეთ — დაიღრიალა შადიმანმა.

ცხენებზე შეცვივდნენ და გაქცეულს გამოენთნენ შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი, ბერუკა ჯავახიშვილი და „მონადირეთა“ მთელი ჯარი.

ლუარსაბის ამალას ბაკა ხერხეულიძე შეეპყრო და ძირს დაენარცხებინა.

„მეფის ღალატისათვის“ ცხვირი მოაჭრეს და ლოყა-ნიკაპი დაათალეს.

მოთხრილი სააკაძე

მიჰქრის გიორგი სააკაძე.

ნოსტეს უნდა მიასწროს, თორემ ცოლ-შვილს ამოუწყვეტენ.

„რატომ, რისთვის, რას მერჩიან?!“

„განა, სიკეთის მეტი რა დამითესავს ჩემი ქვეყნისთვის, ხალხისთვის, მეფისთვის?!“

„ჩქარა, ჩქარა, თორემ ოჯახს ამომიწყვეტენ — დედას,

ცოლს, შვილებს — ავთანდილს, პაატას, ივანეს, ზურაბს, იორამს!“

პაატას თვალებმა გაიელვეს...

„ღმერთო!..“

„ღმერთო, ცხენი არ დამივარდეს!“

„წყალვარდნილმა გზა არ მომიჭრას!“

„ზვავი, ან ლოდი არ დამიქანდეს!“

„ღმერთო, ღმერთო, ღმერთო, მიშველე!“

ცხენთა თქარუნი და მდევართა ნერვიული ყივილი ისმის შორიდან.

„შორიდან? ვაითუ, მეჩვენება და... სადაცაა წამომეწიონ, მაშინ?!“

მაშინ... აჰა, ხმალი სააკაძისა!

ყველაზე დიდი ქართული ხმალი!

ხმალი სალმასური, რომელსაც უანგარიშოდ დაუდვრია სისხლი თურქთა და სპარსთა, სისხლი საქართველოს მოსისხართა!

ხოლო ქართველ კაცს ჯერ არ მოხვედრია სააკაძის ხმალი სალმასური.

ჯერ!

მაგრამ ვაითუ ახლა, ამ ღამეს, ან ხვალ, ან ოდესმე დააქციოს სააკაძის ულმობელმა უქარქაშო ხმალმა სისხლი ქართველი კაცისა, სისხლი თანამოძმისა, თანამოგვარისა, თვისტომისა?!

ღმერთო, ნუ ინებებ!

„ღმერთო, ნუ მომასწრებ!“

„ღმერთო დამიხსენ!“

* * * * * *

უძოს მთა გადაიქროლა.

ჭოჭორი.

გელიყარის კლდე (აქ გადასჩეხა საჩინო ბარათაშვილმა მოღალატე ყორღანაშვილი).

„მოღალატე! მოღალატე! მოღალატე!“

„ვაი შენ, ქართველი ხალხის მოღალატევ!“

* * * * * * * *

აჰა, დიდგორის მთა!

აქ დიდმა დავითმა ჩახოცა და ჩახლიწა თურქნი!

ვაი მას, ვისაც დავით აღმაშენებლის სამამულიშვილო გზაზე ფეხი დაუსხლტება!

„სწორედ ისეთი საქართველო მსურს, ვითარცა დავით აღმაშენებლისა!“

დავით აღმაშენებელი!

„ვაი დედასა, ერთი მის დროს ვყოფილიყავი — დავითის შემწე, დავითის სპასალარი!.. და მაშინ გეწახათ გიორგი საა-კაძე!“

„ახლა დავითის სულს ვფიცულობ, მის აჩრდილს ვეაჯები შველას და დახსნას!“

. . . . . .

აჰ, გოსტიბე!

გამოჩნდა ნოსტე!

ღმერთო ძლიერო, მშვიდად წევს ნოსტე!

მშვიდად, აუმღვრევლად, უდრტვინველად სძინავს საა-კაძის სახლეულს!

. . . . . .

რიჟრაჟი ჩამოდგა.

ვარსკვლავები შეადნენ ზეცას.

გიორგიმ ზედ ციხესიმაგრის კარზე მიაგდო ცხენი.

მიაგდო და დაიღრიალა რაღაც მხეცური გახელებით.

კარიბჭე განახვნეს მეციხოვნეებმა.

სასახლეში შევარდა შეშლილი კაცი.

— ადექ, ცოლ-შვილო!

— გიორგი!

— მამა!

ქაიხოსრო მოიჭრა ელდანაძგერალი.

— რა მოხდა, ძმაო?!

— ნუ მეკითხებით, აიყარენით! მივრბივართ ახლავ, ამ წუთს... წამს!

— საით?!

— ტყისკენ, მთისკენ, ჯანდაბისკენ!

— ასე... უეცრად...

— უცებ... შიშველ-ტიტველნი!

— შიშველ-ტიტველნი!

— უუჰ, რა დროს ეგ არის, — სიკვდილი კარზე მოგვდგომია!

— სიკვდილი?!

. . . . . .

უკვე ტყეში იყვნენ, როცა სულ გათენდა.

მზეც შემოაწვა აღმოსავლეთით ცისა და მიწის შესაყარს, ქართული მზე!

მაგრამ მზე იგი აღარ ანათებდა და აღარ ათბობდა სააკაძის სახლეულისთვის.

თითქოს ხელისგულზე ხედავს გიორგი სააკაძე და მისი ზარდაცემული ცოლ-შვილი:

ნოსტეს შემოესია მდევარი ლუარსაბ მეფისა.

შადიმან ბარათაშვილი მოუძღვის ჯარს ხმლის ქნევით და სიტყვა-გაურჩეველი ყივილ-ყივილით.

ექვსმა კაცმა გამოასწრო სასახლიდან, რაღაც ფუთებით და ყუთებით დატვირთულებმა. ესენი გიორგის ერთგული მსახურნი არიან.

ცხენებისკენ გაქანდნენ.

მიასწრეს.

აასწრეს.

გაასწრეს.

შადიმან ბარათაშვილი და ფარსადან ციციშვილი პირველნი შევარდნენ სასახლეში. სხვებიც მიჰყვნენ ღრიანცელით და ყარყაშით.

გარეთ გამოყარეს სააკაძის ქონება და ავლადიდება, ყველაფერი დაიტაცეს და დაიალაფეს.

ჩირაღდანი აინთო ხელში შადიმანმა.

ჩირაღდნები აინთო ყველამ.

სასახლეს ესროლა ჩირაღდანი შადიმანმა, ესროლა ფარსადან ციციშვილმა, ესროლა ბერუკა ჯავახიშვილმა, ესროლა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა, ესროლა ზაალ აბაზაძემ.

ესროლა ყველამ.

ხანძარი მოედო სააკაძის სახლსა და კარს, ციხეს და დარბაზს, ყოველგვარ შრამელს, ყოველ ნაშენებს — დიდსა და მცირეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააკაძის ნაშრომ-ნადაგზე ავარდნილმა ცეცხლმა სინათლე ჩაუქრო და ჩაუნავლა ახლად აღმოხდენილ მზეს.

* * * * * * * *

— ვინ არიან, მამა, ასე რომ მოგვთხარეს და დაგვაქციეს, — სპარსელები თუ თურქები? — იკითხა პაატამ.

— არც სპარსელები და არც თურქები.

— მაშ?!

— ქართველები არიან, შვილო.

— მერე, ქართველები ქართველებს მტრობენ?!

— ეჰ, შვილო ჩემო, არავინ ისე არ მტრობს ქართველებს, როგორც... ქართველები!

— ?!

გაქცეული სააკაძე

იტირეს და გამოიტირეს სააკაძეებმა მშობლიური ნოსტე, ბედდამწვარი აკვანი და მიწა-ნატერფალი.

გამოქცეულმა მსახურებმა მოატანეს, — ცხენებით, იარაღით, გამოტაცებული ავლადიდებით.

სადღაციდან პაპუნა ჩივაძე გამოძვრა. დარახტული ცხენი, შუბი და აბჯარი მოჰგვარა გიორგის, თვითონ საომრად შეჯავშნულმა და ამხედრებულმა.

— აბა დავიძრათ! — ბრძანა გიორგიმ.

— საით?

— ახალციხისკენ.

გაეშურნენ.

ახალციხისკენ მიმავალი ყველა გზა ჩაკეტილი დახვდათ.

ახლა საით?!

საარაგვოსკენ!

დიდი ნუგზარ ერისთავი შეიფარებს სიძე-ქალიშვილს და შვილიშვილებს, მცირე დროით მაინც შეიფარებს, — სულს მოთქმამდე და გონის მოკრებამდე, ხოლო შემდგომ... შემდგომ ვნახოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემობრუნდნენ და ისევ დიდგორის მთას შეუდგნენ.

უსიერ ტყე-მაღნარს მიჰყვებოდნენ, ფრთხილად, უჩქამურად, ნაქურდალი ნაბიჯებით.

კლდე-ნაპრალებსა და ქვა-ღოჯიან ბილიკებზე მიფორთხავდნენ ხელ-ფეხ დათეთქვილნი. გადაიშუადღა.

სოფელ კარსანს მიუახლოვდნენ.

ტყე მოისაფრეს და მცხეთას გადაადგნენ.

გამოჩნდა სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი.

დაიმუხლისთავეს, ილოცეს, ცრემლი იპკურეს ჯვარნასახ მკერდზე.

პაატა დიდხანს ლოცულობდა, განმარტოებით ქვედავრდომილი. მხოლოდ ცას და მიწას ესმოდა მისი იდუმალი ჩურჩული:

„ღმერთო ძლიერო, შენ ჩაუნერგე ქართველ კაცს სამარადჟამო სიყვარული ქართველი კაცის!“...

. . . . . .

მტკვარი უნდა გადაევლოთ ლტოლვილებს.

მდინარე წყალჭარბად ადიდებულიყო და მხოლოდ ხიდით შეიძლებოდა გადასვლა.

მაგრამ ხიდზე ყარაული იდგა, ლუარსაბ მეფისგან წარმოგზავნილი.

ერთი სიტყვით, ყველა გზა შეეკრათ საკაძის მტრებს — საქართველოდან გასაქცევიც და საქართველოში „მიმოსაქცევიც“.

დაღამებას დაუცადეს.

გიორგიმ ხიდის დასაზვერავად ჩაგზავნა ინაშვილი.

— სამოცი დარჩეული კაცი დგას ხიდზე, — ამოიტანა ამბავი ინაშვილმა, — არ სძინავთ, ფხიზლობენ და იქადნებიან კიდეც, უეჭველად შევიპყრობთ საკაძეს და მის ჯალაბსო.

გული აუდუღდა გიორგის. ახლავე ჩავიჭრები, ყველას ამოვწყვიტავ, ხიდსაც ავიღებ და დახოცილთა იარაღსაც დავინადავლებო.

მაგრამ ხმალი არ დაანებეს თანალტოლვილებმა გიორგის, — სანამ ამოვწყვეტდეთ, მანამ გუშაგები ყვირილს ატეხენ, ქვეყანას შეყრიან და იქნებ ხიდის აყრაც დაგვასწრონო.

— ისედაც, დახოცვას რას ვემართლებით იმ უბედურებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჰქნან, მეფის ბრძანება აქვთ და რა უნდა გააწყონ, — თქვა ბაპუნა ჩივაძემ.

ქაიხოსრომაც არ მოიწონა გუშაგთა დახოცვის განზრახვა.

მაშინ, ცურვით უნდა გადავლახოთ მტკვარიო, ბრძანა გიორგიმ.

შუალამისას, პირველ მამლისყივილზე დაეშვნენ მდინარისაკენ. ხიდის ქვემოთ შესცურეს წყალში. ქალები და ბავშვები შუაზე მოექციათ და ისე მიაპობდნენ ყრუ ბუბუნით მოძლტოლვარე ტალღებს.

უვნებლად და უჩინრად გავიდნენ, „საქართველოს მფარველი ღვთისმშობლის შეწევნით“.

სვეტიცხოველს მიეპარნენ.

დაკეტილ კარიბჭესთან ილოცეს გულმხურვალედ.

— ღვთისმშობელო სახიერო, შენ გააღვივე და განამტკიცე სიყვარული ქართველთა შორის! — ჩურჩულებდა პატარა ბიჭი.

სვეტიცხოვლის კარიბჭესთან ოქროს თასი დატოვეს და არაგვის ხეობას აუყვნენ.

ბებრისციხე და ნატახტარი აიარეს.

მისაქციელთან ნუგზარ ერისთავი შემოეგებათ და დუშეთისკენ წაუძღვა ლტოლვილებს.

დასხდნენ სიძე და სიმამრი, ჯავრი დაინელეს და დიდხანს ითათბირეს.

ნუგზარმა თავი გამოიდო, — იცოდე, შენი ჭირის თანაზიარი ვარ სიკვდილამდეო; ჩემთან დარჩები — მტერს ერთად დავხვდებით, წახვალ და — მეც შენთან წამოვალ საჭიროდ და სალხინოდო.

გიორგიმ უარი თქვა საარაგვოში დარჩენაზე, რომ დავრჩე, სანამ უნდა ვიდგე შენს კარზეო, ან აქედან როგორ დავითმინო ჩემი სახლკარის უნახაობა, უპატრონობა და უპატიურობაო!

მაშ, რას აპირებო, ჰკითხა ნუგზარმა.

ერანში უნდა წავიდეო, თქვა გიორგიმ და სიტყვას გულიც ამოაყოლა.

— ერანში?!

— ჰო, შაჰ აბასს უნდა ვეახლო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შაჰ აბასს?!

— სწორედ!

— მერე?

— მერე ის, რომ... იქიდან გავუსწორდები ჩემს მტრებს!

— შენს მტრებს აქედანაც გავუსწორდებით, გიორგი — აგერ, შიდა ქართლიდანაც შენიანები მოგვეშველებიან, მუხრან-ბატონი და ქსნის ერისთავიც ხომ ჩვენი მოყვრები არიან...

— არა, არა, — გააწყვეტინა სააკაძემ, — ძმათაშორისი ომის მიზეზი ვერ შევიქნები. უეჭველად უნდა წავიდე სპარსეთს!

ნუგზარი გაჩუმდა. მან იცოდა: სააკაძე რომ იტყოდა, მამაზეციერიც ვეღარ შეაცვლევინებდა განაზრახს.

მერე თვითონ ნუგზარს შეუჩნდა გიორგი, — ადექ და შენც ჩემთან ერთად წამოდიო სპარსეთს.

კარგა ხანს იფიქრა ნუგზარმა. ბოლოს ადგა და გადაწყვეტით თქვა...

— კარგი, წამოვალ. მეც მინდა შევხვდე ერანის ლომს, ეს არის და ეს. ღმერთმანი იცოდეს, არავითარ სავნებელს არ ვუმზადებ არც მეფეს და არც საქართველოს!

გადაწყდა: გიორგი სააკაძე და ნუგზარ ერისთავი მიდიან სპარსეთს, შაჰ აბასის კარზე!

გიორგი მაინც ვერ ენდო დუშეთში ჯალაბის დატოვებას, — ვაი თუ ჩემს წასულობაში ლუარსაბმა საარაგვო დააწიოკოსო. ამიტომ დედა იმერეთს გაგზავნა, ხოლო ცოლ-შვილი აიყოლია და სიმამრის, ძმისა და ერთგულ მსახურთა თანხლებით სამხრეთისაკენ გაუტია.

ღამით გაიარეს საგურამო, ლილო, ლოჭინი, გადალახეს მტკვარი და იაღლუჯასთან გასულებს დაათენდათ.

აქ მდევარი გადაუდგა წინ დევნილებს, იარაღმომარჯვებული.

— რა გნებავს?! — ჰკითხა სააკაძემ.

— შენი შეპყრობა!.. — უტიფრად მიაძახა იმ კაცმა.

— რა გვარის კაცი ხარ?

— კოლოტაური.

— ვისი კაცი ხარ?

— მუხრან-ბატონისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, მუხრან-ბატონი რომ ჩემი მოყვარე და მოკეთე გახლავს, შენ რაღად მემტერები, კოლოტაურო?

— მე ეგ არ ვიცი, ვერ გაგიშვებ, უნდა მობრუნდე და წამომყვე მორჩა და გათავდა!

გიორგის გაუკვირდა ამ კაცის თავხედობაც და გაბედულებაც. ცხენი შემოაბრუნა და შუბი გამართა.

კოლოტაურმაც გაწვართა შუბი და გააჭენა ცხენი.

დინჯად დაიძრა გიორგი. მოვარდნილ კოლოტაურს შუბზე შუბი აუკრა, იარაღი დააგდებინა და უიარაღოს შეტრიალებული შუბი ტარით აძგერა მკერდში.

კოლოტაური მიწაზე ისე მძიმედ დაენარცხა, რომ ორივე მხარეს ნეკნები ჩაელეწა და ჩაეხლიწა.

— ღმერთს მადლობა შესწირე, სასიკვდილოდ რომ ვერ გაგიმეტე ქართველი კაცი. ამაღამ აქ ეგდე და დილამდე მოსულიერდები, ალბათ! — მიაძახა გიორგიმ და გზა განაგრძო.

აღჯაყალას მივიდნენ.

დიდის ამბით შემოეგებათ აქ მდგარი სპარსული ციხიონის მეთაური.

ორი კვირა სანადიმო სუფრა არ აუღიათ „ორი დიდი გურჯის“ მოსვლით გახარებულ ყიზილბაშებს.

გიორგი სააკაძემ ცოლ-შვილი აღჯაყალას დატოვა და თვითონ ნუგზარ ერისთავთან, ძმასთან და მსახურეულ ამალასთან ერთად ისფაჰანის გზას გაუდგა.

. . . . . .

— ხომ მალე დაბრუნდები, მამა? — ჰკითხა პაატამ გამგზავრების წინ.

— ჰო, შვილო... მალე...

. . . . . .

ერანის ცხელ მიწაზე მიაბიჯებდა სააკაძე.

ერთ გვამ-სხეულში ორი გიორგი გლეჯდა ერთმანეთს:

„რას სჩადიხარ, ცუდმუდო კაცო, მართლა გარბიხარ საქართველოდან?!“

„გამაქციეს და გავრბივარ“.

„ეგ სულ ერთია, გაგაქციეს თუ შენით გარბიხარ. მაინც გაქცევა ჰქვია, ხოლო სამშობლოდან გაქცევა არის ღალატი სამშობლოისა“.

„მე მალე დავბრუნდები“.

„მაგრამ მანამდე ხომ მოღალატე გქვია!“

„ქართველი გლეხი მაპატიებს, როცა ჩვენს საერთო დამაქცევარ თავადობას გავუსწორდები!“

„რა ძალა შეგწევს გაუსწორდე ჩვენს თავადობას?“

„შაჰ აბასი მომცემს მხედრობას“.

„მერე, უცხო ქვეყნიდან მოყვანილი ჯარით თავადს ისე როგორ გაუსწორდები, გლეხს რომ სისხლი არ დაანთხევინო?!“

„ვნახავ... შევძლებ... მოვახერხებ...“

„დაბრუნდი-მეთქი, სანამ გვიან არ შექნილა, შე უბედურო!“

„მალე დავბრუნდები“.

მიდიოდა სააკაძე. უცხო მიწა უწვავდა ფეხებს — კაცსაც და ცხენსაც.

მაინც მიდიოდა, რამეთუ სატანა აჯდა საჟნიან ბეჭზე.

. . . . . .

„ნუ გათათრდები! ნუ გათათრდები! ნუ გათათრდები!“ — იძახდა ჩიტი გაკაპასებით.

სააკაძეს ხან ესმოდა მისი ძახილი, ხან არ ესმოდა.

გათათრებული სააკაძე

დიდი ზეიმი ჰქონდა შაჰ აბასს.

ბოლოს და ბოლოს, „მისი შექნილიყო“ გიორგი სააკაძე!

ქართველებმა ყველაზე ღირსეული ხმალი თავისი ხელით გადაუგდეს საქართველოს ყველაზე დიდ მოსისხარს!

ახლა თვითონ დარწმუნდება თანამემამულეთაგან მოთხრილი, განდევნილი და დამცირებული გიორგი სააკაძე, რომ „დიდი ქართველების“ ფასი სპარსეთში უფრო იციან, ვიდრე თვითონ საქართველოში.

აბა, შევუდგეთ, გიორგი სააკაძევ!

დღეიდან შენ დგახარ ერანის შაჰის სამსახურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმაა გიორგი სააკაძე, მხოლოდ თვითონაც აქვს შაჰთან სათხოვარი!

რა სათხოვარი?!

დახმარება სურს ქართლის თავგასული თავადების დასასჯელად.

თანახმაა დიდი შაჰ აბასი. მაგრამ ახლავე მაჰმადიანობა მიიღოს და წინა დაიცვითოს გიორგიმ!

არა, არა...-ახლავე არა!..

მაგრამ იმ დღეს კიდევ ახალი ამბავი მოვიდა საქართველოდან: გიორგი სააკაძის მამულები და ავლადიდება მის მოსისხლეებს გაუნაწილებიათ — შადიმან ბარათაშვილს, ფარსადან ციციშვილს, ბერუკა ჯავახიშვილს, ქაიხოსრო ჯავახიშვილს, ზაალ აბაზაძეს.

ლუარსაბ მეფე გაჰყრია ცოლსაც — გიორგი სააკაძის დას. გაჰყრია და, ლევან დადიანის დის შერთვას აპირებსო...

„ჰა, რას იტყვი, გიორგი სააკაძევ, როდის აპირებ წინდაცვეთას და ისლამის სჯულზე მონათვლას?"

„დღესვე, ახლავე!" — დაიღმუნლა გიორგიმ.

. . . . . .

მაშ, ასე: არის 1612 წელი.

გიორგი სააკაძე არის 32 წლისა.

და არის გათათრებული.

. . . . . .

ნუგზარ ერისთავი შაჰმა უხვად დააჯილდოვა და ისე გამოისტუმრა საქართველოში.

ლუარსაბ მეფისათვის საგანგებო ძღვენი და წყალობის სიგელიც გამოატანა შაჰმა არაგვის ერისთავს.

გველის გორგალი აეშალა გულზე სააკაძეს.

რაო?! რას ნიშნავს ეს? შაჰ აბასი სააკაძეს სულში იძვრენს, მაგრამ იგი სააკაძის მტრებსაც „იძვრენს სულში"!..

დიდხანს ითათბირეს სიძემ და სიმამრმა.

— კიდევ რას დამაბარებ, გიორგი? — ჰკითხა ნუგზარმა გამომშვიდობების წინ.

— როცა მიხვალ, ჩემს მაგივრად ემთხვიე ქართულ მიწას! — და ცრემლმა უყელა სააკაძეს...

ნუგზარი წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო დარჩა გიორგი.

მაგრამ მარტო რად არის?!

ქართველებით ავსებულა ერანის სატახტო.

შაჰინშაჰის ტახტის შემდგომ, სპარსეთში, „როგორც წესი", ქართველებს უჭირავთ ყველანაირი უმაღლესი „ტახტები" — მთავარსარდლისა, სარდლებისა, ყულარაღასებისა, ბეგლარ-ბეგებისა, დივანბეგებისა, ყორჩიბაშებისა, საერთოდ ყოველი „ბეგებისა", „ბაშებისა" და „ხანებისა".

ქართული ენა ისმის ყველგან — ქუჩაში, ბაზარში, დუქანში, მეჩეთში, სამხედრო ბანაკში და შაჰის სასახლეში.

თვითონ შაჰი „ქართველობს", ქართულად ლაპარაკობს, ქართულად დარდიმანდობს, ქართულად „ქველობს", ქართულად „მძვინვარებს".

შაჰის ჰარამხანაც ქართულად ლაპარაკობს.

შაჰის ნაშიერი „მირზებიც" ქართულად იდგამენ ენას.

მრავალ ცოლთაგან ოთხი ამორჩეული ცოლი ჰყავს შაჰ აბასს, ოთხი დედოფალი — ოთხივე ქართველი ქალი:

თ ა მ ა რ ი — ანდუყაფარ ამილახორის დაი,

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — სვიმონ-ხანის დაი (აქ ფახრიმჯან ბეგუმი დაურქმევიათ),

ე ლ ე ნ ე — თეიმურაზ მეფის დაი,

ლ ე ლ ა (თინათინი) — ლუარსაბ მეფის დაი (აქ ფათმა სულთან ბეგუმი დაურქმევიათ).

ამ ოთხი ქალის სიბრძნისა სჯერა საერთოდ ქალთა ჭკუა-გონების სრულფასოვნებაში დაეჭვებულ შაჰ აბასს.

შაჰს თამარ ამილახორისაგან ჰყავს უსაყვარლესი უფლისწული ს ე ფ ი-მ ი რ ზ ა, მამაცი და პირმშვენიერი მემკვიდრე ერანის ტახტისა.

ქართველობაა „მთავარი ძარღვი" სრულიად ერანის მხედრობისა. ოცდაათი ათასი ქართველი შაჰისევანი და ღულამი დგას შაჰ აბასის საომარი დროშების ქვეშ.

„უკვდავთა გვარდია" — ღულამთა ჯარი — არის იგივე ქართული ჯარი.

ქართველები უდგანან „მარჯვენა ხელად" ერანის ლომს.

აქ არიან ბაგრატ და ხოსრო ბაგრატიონები.

აქ არის როსტომ სააკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ბებუთ-ხანი, საქართველოდან წაყვანილი და გათათრებული ბებუთაშვილი, ქართველი თუ სომეხი? სულ ერთია, მაინც ჩვენებური...

აჰა, უნდილაძენი!

მაგრამ რად იმზირება ამრეზილად დიდი ალავერდი-ხან უნდილაძე?!

იქნებ იმიტომ, რომ დღეს სანადიმო სუფრასთან შაჰი სააკაძესთან იდუმალი ჩურჩულ-კურკურითა და სიცილ-კისკისით იყო გართული, ხოლო უნდილაძე... უნდილაძე ერთხელაც არ გახსენებია შაჰს.

ალბათ, გრძნობდა ახოვანი უნდილაძე: უფრო ტანსრული სააკაძის ჩრდილი ნთქავდა შაჰ აბასისკენ მიმავალ თვალსარბიელს...

გიორგიმ ცოლ-შვილი აღჯაყალიდან ისფაჰანში გადაიყვანა.

— მამა, ჩვენც გაგვათათრებენ?! — იკითხა პაატამ.

— ვერავინაც ვერ გაგვათათრებს. ქართველებად და ქრისტიანებად ჩავალთ მიწაში!

— რომელ მიწაში, მამა?

— ქართულ მიწაში, შვილო...

. . . . . .

„მაინც ჩემის თვალით უნდა შევაჯერო სააკაძის ძალღონე და ილათიანობაო“, იფიქრა შაჰ აბასმა და სამჯერ „ჩაუტარა გამოცდა“ საქართველოს საარაკო გმირს.

ერთხელ, სუფრასთან მჯდარმა, შექეიფიანებულმა შაჰმა გიორგის უთხრა: მუდამ წარბშეყრილი რომ ხარ, არ მომწონ-ხარ და ძალიან უნდა გაგახარო, იქნებ წარბი გაგახსნევინოო. თქვა და ნიშანი მისცა.

რვა მსახურმა რვა ტომარა ვერცხლის ფული შემოიტანა და წელში გადრეკილებმა შაჰის ფეხებთან დაალაგეს.

უთხრა შაჰ აბასმა გიორგი სააკაძეს: თუ ამ ტომრებს ერთ აღებაზე აიღებ და კარებამდე მიიტან, ვერცხლიც შენი იყოს და ნამდვილი ვაჟკაციც შენ გერქვასო.

გიორგი ერთხანს შეყოყმანდა: ცოტა ავიღო, უღონობას დამწამებენ, მთლიანად ავიტაცო და სიხარბეს დამაბრალებენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე უცებ გადაწყვიტა: ისევ მირჩევნია სიხარბე მიძრახონ, ვიდრე აქაურებს უძლური და ბეჩარა ვეგონოო.

მივარდა ტომრებს. ერთი თავზე შეიგდო, სათითაოდ მხრებზეც დაიდო, იღლიებშიც ამოიჩარა აქეთ-იქით ხელებშიც დაიჭირა, ერთიც კბილებით დაითრია და ასე, ყველა ტომარა სადარბაზოს კარებამდე მიარბენინა.

შაჰი აღტაცებაში მოვიდა და პირობისამებრ ტვირთი მტვირთველს მიუბოძა.

ქართველები ამრეზილი იმზირებოდნენ: არ მოეწონათ, მათი სახელოვანი თანამემამულე წელში ოდრიკალად მოკეცილი რომ მიაძუნძულებდა ფულით სავსე ტომრებს.

უნდილაძე იღიმებოდა: სააკაძემ თავი შეირცხვინაო, — ფიქრობდა ქართველი, ქართველის „წახდენით" გახარებული...

მეორედ შაჰმა ჭიდაობა გამართა ისფაჰანის მთავარ მოედანზე. ერთი ფალავანი გამოაყვანინა, სპარსელი გოლიათი, აქამდე რომ მხრებით არასდროს არ შეჰხებია საჭიდაო ხალიჩას.

გამოვიდა ის სპარსელი მოჭიდავე და ქართველები ამოიღო მიზანში.

დარჩეული ქართველი მოჭიდავენი გავიდნენ არხეინად და გულსრულად. გავიდნენ და მარცხის მეტს ვერაფერს გამორჩნენ.

ცის გვამს არყევდა აღტაცებული სპარსელების ბღავილი და ყღავილი.

დააბიჯებდა გოლიათი საჭიდაო მინდორზე კადნიერი მიმოხვრით და უტიფარი, ლიზღი იერით.

შაჰმა და ფალავანმა ერთდროულად დაასვეს თვალი სააკაძეს.

გიორგიმ საჭიდაო ჩოხა გადაიცვა და მოედნისაკენ დაიძრა დინჯად.

სუნთქვა ჩაიქრო მილეთ-მილეთად ჩაჭედილმა ხალხმა საამური სახილველის მოლოდინში.

ერთმანეთს დაეტაკა ორი მთაკაცი — ქართველი და სპარსელი.

უცებისად დაიხელთავა გიორგიმ მეტოქე, მიწას მოჰგლიჯა და ზეაიტაცა, ვითარცა ჰერაკლემ ანთეოსი.

მოიქნია და მიწას დაანარცხა.

ლამის ზეცა ჩამოექცა დედამიწას ხალხის ბღავილისგან.

უგრძნობლად და უსულოდ ეგდო შაჰის ფალავანი საჭიდაო ფორზე.

აღტაცებული თქართქარებდნენ ქართველები.

უნდილაძეც იღიმებოდა („ქართულ სისხლს უხაროდა").

ხოლო შაჰ აბასს სააკაძე ჩაებღუჯა და გაოცებული უსინჯავდა მკერდსა და მხარ-მკლავს.

გამოხდა მცირე ჟამი.

შაჰ აბასმა ჰკითხა სააკაძეს:

— რას იტყვი, გიორგი, ყველაზე უფრო რომელი იარაღი გამოადგება გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცს?

— სულ ერთია, — ყველაფერი იარაღი გახლავთ, რაც კი იმჟამად ხელში მოგხვდებათ, — უმალვე მიუგო გიორგიმ.

კიდევ განვლო მცირე დრომ. ეს საუბარი გიორგისაც დააავიწყდა და შაჰმაც „დაივიწყა".

სააკაძე ბაღში სეირნობდა მარტოდმარტო, დაღვრემილი, რაღაც მძიმე საფიქრალით დამძიმებული.

წელზე პატარა ხანჯალი ერტყა, საქართველოდან წამოყოლილი. სხვა საჭურველი არ ჰქონია სასეირნოდ გამოსულს.

ორი მშიერი ლომი შემოიჭრა ბაღში ანაზდეითად.

პირდაღებულნი მისცვივდნენ გიორგის გაალმასებით.

წამიც და... გიორგის მარჯვენა ხელში შიშველი ხანჯალი ეჭირა, მარცხენაში — ქუდი.

მარცხენა მხრიდან მოიერიშე ნადირს ქუდი ჩასჩარა პირში და იმავ წამში მარჯვნიდან მოვარდნილს ხანჯალი სასიკვდილოდ აძგერა ყელში.

კიდევ წამიც და მეორე ლომსაც, სანამ იგი ქუდს პირიდან გამოიგდებდა, შეუმუსრა ყელი ხანჯლის მეორე გაელვებით.

დინჯად მოითავა გიორგიმ „ეს საქმე". არხეინად შეახოცა სისხლიანი ხანჯალი ლომის ფაფარს და ისევ განაგრძო ბოლოთის ცემა მძიმე ფიქრებს თავმიცემულმა.

გიორგის არც უფიქრია, რომ ეს საშინელი „სახილველი" შაჰის ბრძანებით დატრიალებული „გამოცდა" იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ის იცოდა სააკაძემ, რომ იქვე მახლობლად სახლში ჩასაფრებული შაჰი თავიდან ბოლომდე ხედავდა ყველაფერს.

გაოცებისგან ლამის ჭკუაზე შეშლილიყო „ლომი“ — მხილველი ლომთა შემმუსვრელი სააკაძისა.

ელვასავით გაიჭრა ამბავი საქართველოდან გადმოხვეწილი კაცის საოცარი გმირობისა.

. . . . . .

1612 წლის სექტემბრის დამლევს სტამბოლში ისევ მიუჯდნენ საზავო მაგიდას სპარსეთისა და თურქეთის დიპლომატები.

სამშვიდობო მოლაპარაკების მთავარი გმირი იყო ისევ ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა, რომელმაც „მთელი კონსტანტინოპოლი განაცვიფრა თავისი ჭკუით, სილამაზით, ბრწყინვალებით და მჭევრმეტყველებით“.

გულჩარამ საოცრად ძლიერი სიტყვით ჩააჩუმა ოზბეგი ელჩები, რომლებიც ხონთქარს ერანთან ომის გასაგრძელებლად აქეზებდნენ.

ზავი დაიდო.

მეტოქეებმა მახვილები ქარქაშებში სანახევროდ ჩააგეს.

აღდგენილ იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები: ქართლი, კახეთი, შირვანი და სომხეთი ერანის შაჰის „საკუთრებად“ გამოცხადდა. დასავლეთ საქართველო და მესხეთი, ახალციხის მითვლით, თურქეთის „ქონებად“ დარჩა.

ისევ გაიყვეს „ცოცხალი დათვი“ სპარსელებმა და ოსმალებმა.

. . . . . .

პიეტრო დელა ვალე რომის პაპს — ურბანუს მერვეს:

„უნეტარესო მამაო!

რაც შეეხება საერო ცხოვრებას, საქართველო თითქმის ჩვენს დრომდი არის იმ მდგომარეობაში, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდი. რომ საქართველოს ამ მდგომარეობაში თავი შეუნახავს, ესეც დიდად საკვირველია, და ამის მთავარი მიზეზი არის ქართველთა გასაოცარი მამაცობა. რიცხვით ქართველობა ძალიან მცირეა და ამასთანავე დაყოფილიც რამდენიმე მოთავეს შორის, რომელნიც, იმის მაგიერ რომ ერთად ეომონ მტერს, ხშირად ერთმანეთს ებრძვიან. გარდა ამისა,

ქართველებს არა აქვსთ არავითარი არტილერია, თოფებსაც ცოტად ჰხმარობენ, ან თითქმის სრულებით არ ჰხმარობენ. ამდენ ნაკლულევანებასთან, ვამბობ მე, ქართველებმა მაინც დაიცვეს თავისი სჯული, თუმც ყოველის მხრით გარსშემორტყმულნი არიან ურჯულოებით და მტრებით. ყველაზედ უფრო შესანიშნავი ის არის, რომ ისინი მარტოდმარტო არიან ორ უძლიერესთა — სპარსეთისა და თურქეთის იმპერიათა შუა, და არსაითგან არავითარ შემწეობას არ ელიან. როგორც სპარსელებს, ისე თურქებს მუდამ მათი გაქრობისა და დამხობის განზრახვა აქვთ, უფრო მათი სჯულის სიძულვილის გამო, ვიდრე სხვა რამ მიზეზით. ამიტომაც მე მგონია, რომ ქართველები არამც თუ ღირსნი არიან ქებისა, არამედ მთელი საქრისტიანო დავალებულია მათგან იმ სათნოებით და იმ მხნეობით, რომელიც მათ მრავალჯერ გამოიჩინეს ომებში და რომლის შემწეობით მათ არაერთხელ დაამარცხეს და უკუაქციეს უთვალავი ჯარები — ხან სპარსელებისა და ხან თურქებისა. უფრო სამძიმო ის არის, რომ ასეთი სიმტკიცის შემწეობით იგინი მუდამ იცავდნენ და ფარავდნენ ქრისტეს სარწმუნოებას. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ამის მაგალითებს აღარ მოვიყვან. ამ ჩვენს საუკუნეში კი, რომელისამე მათის ცოდვის გამო, თუ ღვთის სამართლიანი განგებით, ქართველები დიდად შევიწროებულნი შეიქნენ. უფრო შინაურ განხეთქილების გამო, ვიდრე სხვა რამე მიზეზით, იმათ ძალას ბევრი მოაკლდა, თუმცა არა მცირედი ძალა კიდევ შემორჩათ...".

„დაილეწა გონების სარკე"

შაჰ აბასს ქართლ-კახეთის წასახრჩობად ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდა.

1612 წლის მიწურულს, ზამთრის დამდეგს, იგი მაზანდარანს ჩამოვიდა და საქართველოში თავისი კარისკაცი — ამირყული ჯილვადარი გამოგზავნა.

ჯილვადარი ჯერ გრემს ეახლა, მერე ტფილისს და ორივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეს მოახსენა: თქვენ შაჰინშაჰისთვის ადრე გითხოვნიათ, როცა სანადიროდ წასვლას ინებებთ, ჩვენც გაგვაბედნიერეთ თქვენთან მიწვევითა და ნადირობითო; ახლა შაჰ აბასი მაზანდარანს ბრძანდება, ქართველებთან ნადირობა სწადია, თქვენი თხოვნაც განუშორებლად გულზე ახატია და ახლა მოუთმენლად ელოდება თქვენს ჩასვლასო.

შუბლში ხელი იტაკეს ლუარსაბმა და თეიმურაზმა, — რა გვრჯიდა, სანადირო წვევას რომ ვეხვეწებოდით ჩვენს „მოსისხლე მოყვარესო". მაგრამ მაინც რა ბედენა იყო, — შაჰ აბასი მათი თხოვნის გარეშეც როგორმე სხვა საბაბსაც გამონახავდა ქართველი მეფეების საწვევად და „საალერსოდ".

ასე იყო თუ ისე, ლუარსაბმა და თეიმურაზმა საშიშროება იგრძნეს და შაჰის მიწვევაზე არ წავიდნენ. ის კი არა და, თვითონ შაჰის მოციქული, ამირ-ყული ჯილვადარიც არ გაუშვეს დროზე საქართველოდან, — „დიდის სიყვარულითა" და პატივისცემით გაბრუებულ მოციქულს მთელი ზამთარი დაატარებდნენ ქართლსა და კახეთს შორის.

ახალი, 1613 წელი დადგა. ზამთარიც ჩათავდა, ნადირობის ჟამიც მიიწურა და შაჰ აბასსაც ქართველი „მოყვრების" ამაოლოდინში გული გადაეწურა.

საბოლოოდ გაირკვა ყოველივე:

ქართველი მეფეები ერანის მორჩილებაზე უარს ამბობენ!

ქართველებს, რუსეთისაკენ უჭირავთ თვალი!

თურმე თეიმურაზის უახლოესი კარისკაცი, თავადი შ ე რ მ ა ზ ა ნ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი მოთავეობს ერანის წინააღმდეგ საომარ სამზადისს.

ჩოლოყაშვილს წაუქეზებია თეიმურაზი და ლუარსაბი: ნულარ აყოვნებთ, შეკავშირდით და შეერთდით, სანამ სპარსელები კარს მოგვდგომიანო.

მართლაც, თეიმურაზი სწვევია ლუარსაბს ტფილისში. დიდის ზარზეიმით შეხვედრიან ქართლელები კახეთის მეფეს. დამჯდარან ახალგაზრდა გვირგვინოსნები და ფიცით შეჰკვრიან ერთმანეთს: ამიერიდან ვიყოთ ერთიანნი, ერთსულოვანნი და ერთაზროვანნი საშობლო საქართველოსათვის ბრძოლაშიო!

ეს ამბები „მეტად დაუმძიმდა მის უწმინდესობა შაჰს".

ისე გაცოფდა და გავეშდა, რომ „სულ დაილეწა მისი ნათელი გონების სარკე“.

მაშ, აგრე! შესხდნენ ხომ ქართველი მეფენი „უმეცრებისა და ქადნიერების ცხენებზე“! მაშ, „ბედისწერას ლოყაში სილა არ გაურტყამს“ მაგ ლაწირაკებისთვის! მაშ, „ცხოვრების მასწავლებელს მათთვის ჯერ ყურები არ დაუგლეჯია!“...

მაზანდარანიდან ისფაჰანს დაბრუნდა ბალანაშლილი შაჰ აბასი.

საქართველოში „საღვთო ომი“ და საქართველოს „საბოლოო მოთხრა“ ჩაესახლებინა გულსა და გონებაში, სისხლსა და ძვალხორცში.

ალავერდი-ხან უნდილაძე იხმო. ჩაიკეტა და ეთათბირა.

სახეალეწილი გამოვიდა და წავიდა უნდილაძე.

ახლა გიორგი სააკაძე იხმო შაჰმა. ჩაიკეტა და ეთათბირა.

სახედაწყნარებული გამოვიდა სააკაძე.

ზაფხულში განზრახული „საღვთო ომი“ საზამთროდ გადასწია შაჰ აბასმა.

უნდილაძის „მოკიდებულნი“ ამბობდნენ: გიორგი სააკაძემ გაუხედნა ყური შაჰს, ზაფხულს წასვლა არ ვარგაო საქართველოში საომრად, რადგან მოსახლეობა მთაში ადვილად იხიზნება და იქიდან ახალ ომს ამზადებსო; ამიტომ ზამთარში სჯობიაო საქართველოში შეჭრა, რამეთუ ხალხი ვერც ფოთოლგაცვენილ ტყეში დაიმალება, ვერც თოვლსა და ყინვაში გაასწრებს მთას, ხოლო თუ მაინც შეძლებს, სულ ერთია — ყინვა და ნეფხვი ამოჟლიტავსო.

„მაგნაირ ვერაგობას გიორგი სააკაძე საქართველოს დასამხობად არასგზით არ ჩაგონებდაო შაჰს“, — იძახდნენ სააკაძის „მოკიდებულნი“.

ასე იყო თუ ისე, საქართველოს მოსათხრელი და ამოსაგდები „საღვთო ომი“ შაჰ აბასმა მაინცდამაინც ზამთარში დანიშნა.

და მაინცდამაინც მაშინ მოკვდა ალავერდი-ხან უნდილაძეც.

იმ ქვეყნიდან წასულიყო ალავერდი-ხან უნდილაძე, ტომით ქართველი, ბედუკულმართობით უსამშობლო „თათარი“, ნიჭით და სიქველით ერანის კარზე „ვიცე-კოროლად“

აღზევებული; დიდი რეფორმატორი, უპირველესი სარდალ-ზორავარი, დაუცხრომელი „კულტურტრეგერი“, ოფლშეუმშ-რალი აღმშენებელი; კაცი, რომელსაც მისთვის დაკარგული სამშობლო-საქართველოს საზიანოდ — საქართველოს სამტრო-საბუდარში მჯდომს — არასოდეს თითიც არ გაუნძრევია; კაცი, რომელზეც თვითონ შაჰ აბასი ამბობდა ხშირად: მე, ერანის მბრძანებელი, ამ ქვეყანაზე მხოლოდ ალლაჰს და უნ-დილაძეს ვემორჩილებიო.

მომკვდარიყო დიდი ქართველი კაცი, დაუღალავი შემოქ-მედი და შემქმნელი „უცხო თესლის ისტორიისა...“.

ავმა ელდამ დაურბინა ისფაჰანის სასახლეს, სრულიად ერანს.

„საქართველოში ლაშქრობას აღუდგაო წინ უნდილაძე, და ამიტომ შაჰმა...“, — სათქმელს აღარ ათავებდნენ „დიდი გურ-ჯის“ მოულოდნელი სიკვდილით დაზაფრულნი.

თვითონ შაჰი ამას ბრძანებდა „მწარე სინანულით“:

„დიდი კაცი იყო ალავერდი-ხან უნდილაძე, დიდი საქმენი განასრულა სულკურთხეულმა; ყოველივე შეეძლო მის დიდ გონებას და ძლიერ ხელებს, მაგრამ სიკვდილიც განა კაცთა ხელშია?!“

ბოლოს ეს დასძინა შაჰმა: ალავერდი-ხან უნდილაძე არც კი მომკვდარა, რადგან მისი შვილები და ნაგრამ-მონაგარი გა-ნაგრძობს სიცოცხლესო.

სთქვა და იმ დღესვე ალავერდი-ხანის დაცლილი თანამ-დებობანი (რომელთაც ხარბი თვალით უცქერდა მრავალი კა-რისკაცი) მის შვილს ი მ ა მ-ყ უ ლ ი-ხ ა ნ უ ნ დ ი ლ ა ძ ე ს გადაულოცა — ფარსის, შირაზისა და თავრიზის ბეგლარბე-გობა.

(ესეც მოსწონდა შაჰ აბასს, რომ იმამ-ყული-ხან უნდილა-ძეს მაშინდელ ევროპაში „სამხრეთ ერანის ვიცე-კოროლს“ ეძახდნენ).

ალავერდი-ხან უნდილაძის დაკრძალვის დღეს სულისხუთ-ვა აუტყდა შაჰ აბასს.

ისფაჰანი ძალიან ჩამოცხაო, მოიმიზეზა და მაშინვე ფე-რეიდანის იალაღებზე გაქუსლა „სულისმოსაბრუნებლად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღე გაატარა ფერეიდანში და დიდის გულის-ყურით მოიხილა იქაურობა.

„აქაურ მიწას გამრჯე ქართველი მიწისმუშა მოუხდება და დაშვენდებაო“, თქვა და გამობრუნდა...

ზამთარი მოახლოვდა.

შაჰმა ლაშქრობა ბრძანა.

საომარი საჭურველი აესხა გიორგი სააკაძეს და „მარჯვენა მხარეს“ დასდგომოდა საქართველოში სალაშქროდ ამხედრებულ შაჰ აბასს.

იმამ-ყული-ხან უნდილაძე გამოიძახა შაჰმა, ცივი თვალებით ჩააცივდა, ცივად უთხრა: თუ მამაზე მგლოვიარობა ხელს არ გიშლის, შენც წამყევი საქართველოშიო.

უფრო სხვა რამ მიშლის ხელსო, ცივადვე მიუგო „ვიცეკოროლმა“.

— ალბათ, ქართველ თვისტომთა უზომო სიყვარული, არა?! — უცებ შეაფრქვია უნდილაძეს და გამომცდელად ჩააშტერდა თვალებში.

— თქვენს ბრწყინვალებას არანაკლებ უყვარს ქართველები, — მშვიდი ურყეველობით უპასუხა უნდილაძემ.

შაჰი შეცბა: „ნეტავ დამცინის, თუ გულწრფელად სჯერა უნდილაძეს ჩემი სიყვარული ქართველებისადმი?!“.

— მაშ, ქართველთა სიყვარული გიშლის ხელს, არა? — ისევ ჰკითხა ფიქრიანად აბასმა.

— არა, ხელმწიფეო, უფრო თქვენგანვე ნაბრძანებ საქმეთა გამო ვერ გეახლებით... ისედაც, ერთგული ადამიანები არ გაკლიათ საქართველოსკენ ამხედრებულს!..

თქვა უნდილაძემ და სააკაძეს გახედა ცერად.

თითქოს ლახვარი დაეტაკა გიორგის გულს.

შაჰს სიცილი წასკდა.

მაშინვე სიცილი აღიკვეთა და ის „საქმენი“ გაიხსენა, უნდილაძე რომ მიანიშნებდა: ქიშმისა და ჰორმუზის სამთავროების დაპყრობა მზადდებოდა ფრიად საიდუმლო ვითარებაში და სწორედ იმამ-ყული-ხან უნდილაძისთვის მიენდო შაჰს საომარი სამზადისის მეთაურობა. ამას გარდა, იმამ-ყული-ხან უნდილაძეს, ვითარცა „მამის მემკვიდრეობა“, ეკისრებოდა წარმართვა ერანის მთელი სამეურნეო-საგამგებლო საქმეები-

სა — მიწათმოქმედებისა, ვაჭრობისა, აღებ-მიცემობისა და წყალსადენების, ხიდების, კამხალების აღმშენებლობისა.

— კარგი, აქ დარჩი და აქაურობას მიჰხედე, ხოლო მე და გიორგი... საქართველოს მივხედავთ! — უთხრა შაჰმა უნდილაძეს.

იმამ-ყული რომ გაიცტუმრა, მერე მისი უმცროსი ძმა გამოიძახა — დ ა ვ ი თ (დაუდ-ხან) უ ნ დ ი ლ ა ძ ე. გამოიძახა და იმასაც ეს უთხრა უწინარესად: თუ მამაზე მგლოვიარობა არ გიშლის, შენც ჩვენთან ერთად წამოდი საქართველოში სალაშქროდო.

ეტყობა, ელოდა დავით უნდილაძე შაჰის დაძახილს და მაშინვე შეაგება პასუხად:

— თუ არ დაგვიწყნიათ, მე სხვა რამე მაქვს თქვენგან ნაბრძანები.

— რა სხვა, დაუდ-ხან?

— გომბრუნის დაპყრობა, ხელმწიფეო.

ეს არ დავიწყნია შაჰ აბასს: გომბრუნში იმჟამად პორტუგალიელები იდგნენ და დავით უნდილაძეს დააკისრა შაჰმა სპარსეთის ზღვის განაკიდური ქალაქიდან ევროპელების განდევნა და სპარსული ციხიონის შეყვანა.

— მაგრამ აკი მომავალი წლისთვის ვაპირებდით გომბრუნს ლაშქრობას?! — თქვა შაჰმა.

— მე უკვე ყველაფერი მზად მაქვს სალაშქროდ — ფიცხლავ შეაგება უმცროსმა უნდილაძემ.

— საქართველოში ლაშქრობამ ხომ არ დააჩქარა გომბრუნის ლაშქრობა, დაუდ-ხან?!. — თვალები ჩაიჭრუტა აბასმა.

— არა, ხელმწიფეო. გომბრუნის ბედი მანამ გადაწყდა, სანამ საქართველოში ლაშქრობის ამბავს შევიტყობდი, — მშვიდად მიუგო უნდილაძემ.

— ალბათ, უნდილაძეებს ბედად არ დაჰყოლიათ ქართულ მიწაზე ფეხის დაბიჯება!.. — თქვა შაჰმა და თვალი თვალში გაუყარა უნდილაძეს.

— რა გაეწყობა, ხელმწიფეო, სამაგიეროდ სხვას დაჰყოლია ეგ ბედნიერი იღბალი! — თქვა დავითმა და სააკაძეს გაჰხედა გეზად.

ისევ ლახვარი დაეძგერა სააკაძის გულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ „სხვანაირი“ იყო ეს „ლახვარი“:

„დავით უნდილაძე უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც მე უნდა ვენდო მომავალში“, — გაუელვა გიორგის.

შაჰის სიტყვამ ჩაუჭრა ფიქრი სააკაძეს.

— კარგი, აგრე იყოს. მე და გიორგი სააკაძე მივხედავთ საქართველოს, ხოლო თქვენ — ძმანი უნდილაძენი — უპატრონებთ და მოუვლით ერანს! — თქვა აბასმა და საქართველოსკენ მოლაშქრე მხედრობას მოავლო თვალი.

. . . . . .

ხოლო „ქართველებს და გამორჩევით ბედოვლათ თეიმურაზს გამჭრიახობის თვალზე უდარდელობის ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული“.

ლუარსაბთან კავშირი შეკრა, მაგრამ ეს „დაფიცებული ერთსულოვნება და ერთაზროვნება“ შინაურ მოყვრობა-ცოლისძმობიას არ გაშორებია.

თეიმურაზი ნადიმობას, ნადირობას, ყაბახსა და ბურთაობას იყო გადაყოლილი.

არც ერთ სუფრას არ გამოტოვებდა, სვამდა უზომოდ, ტანსრული ყანწით, ჯამით და თასით. გავაზური ღვინო უყვარდა. ხილზედაც დიდის გატაცებით ყლურჭავდა გავაზურს.

თორმეტი სანადირო მინდორი ჰქონდა: „ირმის, ჯერნისა, დათვისა, ღორის, ტურის და მგლების, აფთრისა, შვლისა, ფოცხვრისა, კურდღლის, მაჩვისა, მელების“. ალიონიდან მიმწუხრამდის „სროლითა და სიკვდილით“ იღლებოდა თეიმურაზი.

ნადიმობა-ნადირობისგან მხოლოდ მაშინ გამოერჩეოდა, როცა ლირიკული პოეზიის მუზა გამოიწვევდა ხოლმე „საალერსოდ“.

პოეტად პოეტი დიახაც მირონცხებული ბრძანდებოდა მეფე ბატონი, თუმცა ვერც აქა თქვა „ახალი სიტყვა“. რუსთველს ეჭიშპებოდა და რუსთველის ნასუფრალით ჰკვებავდა მუზას და ვერასდროს რუსთველის მიმბაძველ „მონათა ჯოგს“* ვერასგზით ვერ გამოერჩია.

ასე იყო თუ ისე, „პოეტური პიი-პუუსთვის“ არ სცალოდა

---

* ასე უწოდებს ჰორაციუსი ლიტერატურულ ეპიგონობას.

მაშინ ვეშაპის პირთან დაგდებული ქვეყნის საჭეთმპყრობელს.

ჭეშმარიტებას ბრძანებდა სულკურთხეული აკაკი წერეთელი: „პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი თეიმურაზი და მით საზარელ მომავალს უმზადებდა სამეფოს... მეფე რომ „პიიპუუ-პიიპუს“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვაი-ვაის“ იმღერებს“.

ვერ იქნა და ვერ გაიგო თეიმურაზმა, რომ მისი მყისთანადი უბოროტესი ჟამი მხოლოდ გალესილ ხმალს მოითხოვდა და არა მკვნესარე პოეტურ ქნარს, არც სანადიმო ყანწს, არც სანადირო მიმინოს და საბურთაო ჩოგანს.

სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა შერმაზან ჩოლოყაშვილის ჩიჩინი: დროა გამოვფხიზლდეთ და ხმლები გავილესოთ, თორემ დღე-დღეზე შაჰ აბასი მოგვეჭრება ცეცხლითა და მახვილითო.

ჰოდა, რაკი მეფეს ეცინებოდა, ხალხიც „სიცილით კვდებოდა“ შაჰ აბასის ხსენებაზე.

კახეთს არც ქართლი ჩამორჩებოდა უზრუნველობასა და უგუნურ უდარდელობაში. საავდროდ შეყრილი ღრუბლები აქაც საკარგდაროდ ეჩვენებოდათ ქვეყნის დონდლოგონებიან მესვეურებს. ამ ზარდამცემ, განგაშიან დროს ჯიუტად სდუმდნენ საგანგაშო ზარები ქართლის გუმბათებზე.

სდუმდნენ, რადგანაც ქართლს ადარ ჰყავდა ყველაზე დიდი „ზარის დამარისხებელი“ — ნოსტეველი გმირი.

ყორნებს გაეძევებინათ ქართლის მხსნელი არწივი, რომელიც ახლა სწორედ საქართველოს სამტრო საბუდარში ჩაფრენილიყო და იქვე ისწორებდა ფრთებს მისი მშობლიური ბუდის მომშლელთა დასაბდღვნელად და დასაბალთავად.

. . . . . .

და ასე იყო „ორივე საქართველო“ უპატრონოდ დაგდებული.

ორივეს ჰქონდა „ჩამოფარებული კრეტსაბმელი უდარდელობისა“.

ორივეს „დამსხვრეოდა სარკე გონებისა“.

ნელა მოგორავდა უშველებელი ურდო.

მოგორავდა და სივდებოდა გზადაგზა ახალ-ახალ საომარ ძალთა შენაკადებით.

მოდიოდა შაჰ აბასი ნადირობით და ნადიმობით.

თან ხმებს აჭენებდა ალმა-დალმა: ჯარები იმად შემიყრია, ოსმალეთი დავლაშქრო უმძვინვარესადო.

ხოლო ოსმალეთში საიდუმლოდ ცალკე კაცი გაეგზავნა — სულთან მოჰამედ-ბეგ თალიში — და ხონთქრისათვის შეეთვალა: მართლა ზავის დარღვევას როდი ვაპირებ, ასეთ ხმებს ქართველთა თვალის ასახვევად ვავრცელებ. სინამდვილეში სწორედ ქართლ-კახეთის დასალაშქრად მივეშურებიო (აკი ახლად დადებული ზავითაც ქართლ-კახეთი სპარსეთის „საკუთრებად“ იყო გამოცხადებული).

ურდომ გამოიარა არდებილი, ყარაბაღი, განჯას შეგუბდა და ბანაკად დადგა.

მოვიდა თუ არა, მაშინვე შაჰმა ერთჯერ კიდევ აამუშავა „ტყუპი წერილების“ ტაქტიკა. ერთდროულად ლუარსაბს და თეიმურაზს ერთნაირი წერილები გაუგზავნა.

ლუარსაბს სწერდა: „ჩემო საყვარელო ცოლისძმავ, ნუ ენდობი თეიმურაზს. ნუ უერთგულებ მას, ვინაიდან იგი შენი მოსისხლე მტერი არის და სურს მეგობრობის ნიღბით მოგატყუოს, მოგკლას და შენს ქვეყანას დაეპატრონოს. მან მე პირადად გამიმხილა ეს განაზრახი. ამიტომ სანამ ცოცხალი ხარ, თვითონ დაასწარი, მოჰკალი იგი და შენი იქნება ორივე ქვეყანა — ქართლიც და კახეთიც; მეც აქ მოვსულვარ და თუ საჭირო გავხდე, შემომითვალე და მაშინვე მოგეშველები ჯარით და ფულით“.

იგივე ეწერა თეიმურაზისადმი გაგზავნილ წერილში, ოღონდ „მოქმედ გმირთა“ გადანაცვლებით.

ერთადერთი, რაშიაც არ მოტყუვდნენ ლუარსაბი და თეიმურაზი, ისევ ეს იყო: შაჰ აბასის წაქეზება არ გაიკარეს, წერილები ისევ ერთმანეთში გაცვალეს, ჭეშმარიტება დაადგინეს და ისევ „არხეინ მოყვრობას“ მიეცნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ზამთარი იდგა შაჰ აბასი განჯაში — საქართველოს კარისყურზე, და ქართლ-კახეთის გვირგვინოსნებს ხელიც არ გაუნძრევიათ უსაშველო საფრთხის უკუსაგდებად.

1614 წლის ადრიან გაზაფხულზე შაჰ აბასმა თეიმურაზს ელჩად ზაქერ-აღა ყუშჩი გამოუგზავნა და შემოუთვალა:

„დღე-დღეზე ოსმალეთს სალაშქროდ მივეშურები, ხოლო შენ აღარ გენდობი, — ასე მგონია, პაპაშენივით ოსმალების მხარეს დაიჭერ, ამიტომ, თუ მართლა მტრობას არ მიპირებ, შენი შვილი უნდა გამომიგზავნო მძევლად დაუყოვნებლივ. ჩემთან იქნება შენი ძე, შევიტკბობ, შევიყვარებ და გავზრდი შენზე უკეთესად და შენს უმჯობესად!“

თავზარდაცემულმა თეიმურაზმა სამეფო დარბაზი შეჰყარა და „მძლავრი ბოროტის“ მოთხოვნა შეატყობინა.

დარბაზმა მძევლის გაცემა ურჩია მეფეს.

ავარდა და დავარდა თეიმურაზი, — ტყუილად მაკარგვინებთო შვილს, ვერაგი შაჰი მაინც თავისას იზამსო, მაგრამ ვერაფერს გახდა: თავადები ჯიუტად მოითხოვდნენ ერთ-ერთი უფლისწულის გაცემას, რამეთუ ეგონათ მეფის ძის გაცემით საკუთარ ოჯახებს გადაარჩენდნენ შაჰის მძვინვარებისაგან.

გატყდა თეიმურაზი: ახლა იმაზე უნდა ეფიქრა, რომელი გაემეტებინა სამძევლოდ — ხუთი წლის ლევანი, თუ სამი წლის ალექსანდრე.

არჩევანი უმრწემესზე შეჩერდა — ალექსანდრეზე. ჩვილი ბავშვის ხილვაზე შაჰს გული აუჩუყდება და იქნებ უკანვე დააბრუნოსო ყრმა უფლისწული!

თანაც ქეთევან დედოფალი უნდა ხლებოდა შაჰ აბასს, რამეთუ თეიმურაზი „ჰგონებდა პატივისცემასა დედისასა შაჰ აბასისგან, რათა ეველროსცა შეწყალებად და უკუნქცევად“.

ერთი სიტყვით, განჯას გაგზავნეს უფლისწული ალექსანდრე, ქეთევან დედოფლისა და სახლთუხუცეს ნოდარ ჯორჯაძის თანხლებით.

დიდის პატივით, თავაზით და თაყვანისცემით შეხვდა შაჰი ქეთევან დედოფალს, მაგრამ ყრმა ალექსანდრე რომ იხილა, რისხვა ვეღარ დაიოკა და გესლიანად ჩაიღმუვლა:

— რას ჰგავს ეს?! მე თქვენ ძიძა გგონივართ თუ ბიძა, ეს ერთიბეწო ბალღი რომ მომიგდეთ?!

ისე გაცოფდა და გაშეთდა, არასგზით აღარ მოუსმინა ქეთევანს, „ულამაზესსა და უბრძნეს დედოფალს“.

მაშინვე ზაქერ-აღა ყუშჩი და ნოდარ ჯორჯაძე უკანვე კახეთს გაგზავნა და თეიმურაზს ბრძანება შეუთვალა: ახლაკე შენი უფროსი ძე გამომიგზავნე, თუ გინდა დედაშენი და უმცროსი ვაჟი დაგიბრუნო და მეც ჩემის ჯარებით უკან გავბრუნდე, — თუ არა და, მერე ყველაფერი შენს თავს დააბრალეო.

ქეთევანმა მაინც მოახერხა ჯორჯაძის პირით შეეთვალა თეიმურაზთან: არამც და არამც არ გამოუშვა ლევან ბატონიშვილი მძევლადო, რამეთუ, ეტყობა, მთელი ჩვენი ოჯახის ხელში ჩაგდებასა და ამოწყვეტას აპირებს შაჰ აბასიო.

ისევ დაისვა დარბაზი სათათბიროდ თეიმურაზმა.

ისევ აიჩემეს უფლისწულის გაწირვა თავადებმა.

ბევრი იბრძოლა და იომა თეიმურაზმა, — მეორე შვილსაც ნუ დამიკარგავთო, სულ ერთია, მაინც შემოგვიტევს შაჰ აბასიო. ტყუილუბრალოდ ნუ დამიქცევთ ოჯახსო, — მაგრამ არაფერმა გასჭრა.

„შენ თვითონ შაჰ აბასის გაზრდილი ხარ, — ეუბნებოდნენ თავადები მეფეს, — მერე ორგზის იყავი მასთან, ორჯერკე დიდის პატივით მიგიღო და უამრავი ნიჭით დატვირთული გამოგისტუმრა და რაღა მაინც და მაინც შენს შვილებს გამოიმეტებსო“.

თითქმის ძალით წაართვეს თავადებმა თეიმურაზს ლევანი და დავით ჯანდიერ-ასლანიშვილის თანხლებით შაჰ აბასს გაუგზავნეს განჯაში.

ზოგიერთ „თადარიგიან“ კახელ და ქართლელ თავადს უკვე მოესწრო შაჰ აბასთან გაქცევა და მისი „კეთილშობილი ნოხის კოცნით გაბედნიერება“. როცა თეიმურაზმა დედა და ორივე შვილი გაიმეტა, დაფრთხნენ სამშობლოს მოღალატე თავადები, — ვაითუ ერანის მბრძანებელმა ქართველი მეფეები შეირიგოსო და შეუჩნდნენ შაჰს: ნუ ინებებ და ხელს ნუ აიღებ ქართლ-კახეთის დალაშქვრაზეო; ჩვენ და ჩვენი შვილები მძევლებად გხლებივართ და „თუ შენს ლაშქარს რამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმარცხდეს, ყველას თავები დაგვაყრევინეთო; რადგან აქამდისინ მობრძანებულხართ, საქართველო ინადირეთო...“

შაჰ აბასს წაქეზება რაღად სჭირდებოდა და, როცა კახეთის მეფის დედა და ორივე უფლისწული თავისთან დაიგულა, მესამედ წარმოგზავნა ზაქერ-აღა ყუშჩი, დავით ჯანდიერიც გამოატანა და თეიმურაზს ახალი ბრძანება შემოუთვალა:

„აწ ვსცან, რამეთუ ხარ დიდად ერთგული ჩემი, ვინაიდან არ დაერიდე ძეთა შენთა ჩემთან გამოგზავნას. ახლა შენც მოდი ჩემთან სასწრაფოდ, აღგავსებ ნიჭითა მრავლითა და განგიტევებ უკანვე მშვიდობით“.

ბრმისთვისაც ნათელი უნდა ყოფილიყო მზაკვარი და მანქანიერი შაჰის განზრახვა: მას უნდოდა კახეთის სამეფო ოჯახისთვის თავი მოეყარა და ერთიანად შეემუსრა.

კახეთის გულაჯამ თავადებსაც ეჭვი აღარ უნდა შეჰპარვოდათ. რომ შაჰ აბასი სამეფო სახლეულის განადგურებისთანავე მათ ფეოდებსაც შემოესეოდა ცეცხლითა და მახვილით.

ზოგი მაინც იმ აზრზე იდგა, წავიდეს და ეახლოსო თეიმურაზი შაჰ აბასს. მაგრამ მეფე ისე გაცეცხლდა, უმალვე ხმა გაიკმინდეს და ავი ბედისგან მიგდებულ წილხვედრს დაელოდნენ თავადიშვილნი.

ჟალეთი

გვიან მიხვდნენ ადრე მისახვედრს.

გვიან გამოიღეს ხელი.

მუკუზანიდან „გაღმა მთამდე“ ჯებირები აღმართეს და მის ეასწვრივ საყარაულო რაზმები ჩაალაგეს.

თეიმურაზმა ლუარსაბს შეატყობინა, — შაჰ აბასი მოდისო უთვალავი მხედრობით, საქართველოს მოოხრება სწადია სრულად; შენი მოსისხლე საკაძეც თან ახლავს და „მოჰყავს ყეენი მტრად შენდაცა“.

ისევ „მოსცა პირი მტკიცე“ ლუარსაბმა თეიმურაზს.

მაგრამ უხმლოდ და უთავოდ სიტყვიერი „პირი მტკიცე“ რად გამოდგებოდა!

შაჰმა ქართველების საომარი „სამზადისი“ შეიტყო და მაშინვე წამოიმართა „დიდის რისხვიანობითა და ლაშქრის სიმრავლით“.

ძვირფასი ტყვეები — ქეთევან დედოფალი და მისი შვილიშვილები გაგზავნა ერანს, ქალაქ შირაზს, ძლიერი რაზმით დაცულნი.

განჯიდან ადგა და აგორდა ურდო.

ორ ნაწილად გაჰყო აბასმა ლაშქარი. ერთი ნაწილი თავრიზის ბეგლარბეგს, ფ ი რ ბ უ დ ა ყ-ხ ა ნ ს ჩააბარა; თანაშემწედ და მეგზურად ყარაბაღის ამირა დ ე ლ უ-მ უ ჰ ა მ ე დ ი დაუნიშნა (მკითხველს ახსოვს დელუ-მუჰამედი — ადრე ტფილისის ყიზილბაშური ციხიონის უფროსი, ტაშისკარის ბრძოლაში ქართველთა მოკავშირე). ესენი შაჰის ბრძანებით ჯერ ტფილისისაკენ უნდა წამოსულიყვნენ და მერე სამხრეთიდან შეჭრილიყვნენ კახეთში.

მეორე არმიას შაჰმა შირვანის ბეგლარბეგი ი უ ს უ ფ-ხ ა ნ ი უჩინა სარდლად და კახეთში აღმოსავლეთიდან შეჭრა უბრძანა.

1614 წლის 14 მარტს, ხუთშაბათ დღეს, მუსლიმთა ხავრუზობის დღესასწაულს, სპარსელთა ორივე მხედრობა შაჰისაგან ნაბრძანებ ადგილზე იყო მისული: ფირბუდაყ-ხანისა და დელუ-მუჰამედის ჯარებს იორი გადაელახათ და თეიმურაზისთვის სამხრეთის გზა გადაეკეტათ, ხოლო იუსუფ-ხანს ალაზანი გადმოევლო და ქიზიყში შეჭრილიყო.

კახელთაგან აგებულ ჯებირს აღარავითარი დანიშნულება აღარ დარჩენოდა.

კახელი თავადები ისევ დაფრთხნენ და დაიბნენ. ზოგი ისევ შაჰთან თეიმურაზის გამოცხადებას მოითხოვდა, ზოგი გაქცევას ურჩევდა, ხოლო ბრძოლის გამართვას თითო-ოროლა დიდებული ამჯობინებდა.

მაგრამ იძალა თეიმურაზმა და სანამ შემორჩენილი ერთგული ჯარიც შემოეფანტებოდა, სამხრეთისკენ წამოემართა სპარსთა ალყისგან თავდასაღწევად და ქართლისაკენ გასაჭრელად.

ქალეთთან კახელთა ჯარს სპარსთა ორმია გადაეღობა.

თვითონ შაჰ აბასი მოუძღოდა ერანელთა მრავალრიცხოვან მხედრობას.

თეიმურაზმა შუბი გაიწვართა და ცხენი გულმყარად გააქანა.

ხუთასკაციანი ქართველთა ჯარი ეკვეთა სპარსულ ათასეულებს.

კახელებმა შუბები შეალეწეს მოპირდაპირის სქლად მიჯრილ მწკრივებს და მაშინვე „აგელეს ხმალნი“.

თავგანწირვით იბრძოდა თეიმურაზი.

გავეშებით შემოუტია „გამზრდელმა გაზრდილს“.

ისევ თავისი გაიტანა რიცხვით სიმრავლემ.

თეიმურაზმა ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო უკანდახევა.

მხნედ მიდიოდნენ კახელნი, მძვინვარე ყივილით და სისხლთა თხევით; უკუსვლით იქნევდნენ ხმლებს. — რამეთუ მათი ზურგი არ ეხილა მტერს.

შაჰმა მოასწრო და მხედრობის ერთი წილით უკანა გზა ჩაუჭრა „გაზრდილს“.

თეიმურაზი მისი ჯარით სპარსელთა ალყაში აღმოჩნდა.

ტყვეობა და სიკვდილი ერთად ჩაეჭიდა თეიმურაზის გონებას.

სიკვდილი ამჯობინა და შეუტია თავგანწირვით.

გაალმასებით მიჰყვნენ კახელნი.

მძლავრი ძგერებით განკვეთეს და გადაქელეს ერანელთა შუაკერძი. მრავლად ჩახოცეს ყიზილბაშნი, დანარჩენები გააქციეს ბრძოლის ველიდან.

სამშვიდობოს გავიდა მეფე მისი მხედრობით.

შაჰ აბასი ლამის გაგიჟდა, თეიმურაზი რომ გაექცა და ვერ მოიხელთა.

ჟალეთის ბრძოლა ჩათავდა.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი მძაფრი შეტაკება ქართველთა და სპარსელთა შორის ამწლევანდელ საომარ წრეში.

გიორგი სააკაძე კი არსად გამოჩენილა!

. . . . . .

თეიმურაზმა ერწო და არაგვი გადმოიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრანში ლუარსაბი ელოდა ნაომარ მოყვარესა და მოკავშირეს.

ერთმანეთს შეხვდნენ.

ლუარსაბმა სიძეს გამარჯვება მიულოცა და სიცილით უთხრა:

— ეგ არის შენი განთქმული სტუმარ-მასპინძლობა, ასე პურშავად და პირშავად რომ შეხვდი უცხო სტუმარს?

— შენც გეწვევა, შენმან მზემან, „ის სტუმარი“ და მაშინ ვნახავ, როგორ სუფრას გაუშლი და რა ლხინსაც გაუმართავ! — ლაღი სიცილითვე შეაგება თეიმურაზმა.

თათბირად დასხდნენ.

გამოირკვა, რომ არც ქართლს შეეძლო გამკლავებოდა შაჰ აბასის ურიცხვ მხედრობას.

შაჰ აბასს ჰხლებოდნენ უძლიერესი ფეოდალები: ნუგზარ არაგვის ერისთავი (სააკაძის სიმამრი), იასე ქსნის ერისთავი (სააკაძის სიძე), ანდუყაფარ ამილახორი (შაჰ აბასის ცოლისძმა), ალათგან ხერხეულიძე (სააკაძის „დასელი“) და ფეშანგი ფალავანდიშვილი (ესეც სააკაძის „მოკიდებული“).

მაინც ომს აპირებდნენ მეფენი, მაგრამ ყველა დამსწრე გადაჭრით უარზე იდგა და მოითხოვდა სასწრაფოდ გადასულიყვნენ ლუარსაბი და თეიმურაზი იმერეთში თავშესაფარებლად.

დათანხმდნენ გვირგვინოსნები და თავიანთი სახლეულით გაემართნენ „ბაში-აჩუკის“ ქვეყნისაკენ.

საჩხერეში, მდინარე ყვირილის ველზე დიდი სიხარულით შემოეგება იმერეთის მეფე გიორგი მესამე ძვირფას სტუმრებს. აქაური თავადის, ქველი წერეთლის სახლკარს დაივანეს და განისვენეს.

აქედან რამდენიმე დღის შემდგომ ქუთაისს გაეშურნენ საქართველოს სამივე საჭეთმპყრობელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხე-გალავნად ეგება,
ისე გამ(ავ)ლდა მკვდარია.

ვაჟა-ფშაველა

მეფეების გაქცევით აფორიაქებული შაჰ აბასი ქიზიყიდან მივიდა კახეთის სატახტოში, გრემში — „სამოთხის ბაღივით აყვავებულ ქალაქში“.

ხალხი ციხეებში, მთებსა და ტყეებში გახიზნულიყო.

მივიდა შაჰი და კახეთის „ახალი მეფეც“ მიიყვანა.

ეს იყო ისა-ხან, ქართველობაში ესე. თეიმურაზის ბიძაშვილი, კონსტანტინესგან მოკლული ძმის — გიორგის ვაჟი. მკითხველს გაახსენდება იესე უფლისწული, კონსტანტინემ რომ დაიხსნა ყიზილბაშთა მახვილისაგან ძაგემში მისგანვე დატრიალებულ სისხლიან დღეს. იესე გიორგის ძე მის შემდგომ შაჰ აბასის კარზე იზრდებოდა ისა-ხანის სახელით, გათათრებული და წინდაცვეთილი.

აი, სწორედ ეს ისა-ხან იესეყოფილი დასვა ახლა შაჰ აბასმა კახეთის გამგებლად.

ისა-ხანის „გვირგვინ-კურთხევაც“ შაჰმა „ქართული წესით“ ჩაატარა: ყველამ ერთად — სპარსელმა ამირებმა და ქართველმა თავადებმა — ახალ „მეფეს“ თავზე ოქრო-ვერცხლი აფრქვიეს და ისე დალოცეს.

ისა-ხანს მრჩევლებად და „მფარველებად“ („ვექილებად“) შაჰ აბასმა დაუნიშნა დავით ჯანდიერ-ასლანიშვილი და ნოდარ ჯორჯაძე.

თვითონ შაჰი კახეთში ორმოცდაათი დღე დარჩა.

და ეს იყო ჯოჯოხეთი ორმოცდაათი დღით.

ჯერ თითქოს დიდსულოვნური შემწყნარებლობით ეჭცეოდა შაჰი კახეთის ამაყ მოსახლეობას. ჯარის აცებს გამოუცხადა: ქართველის კალოდან სპარსელმა ბზის ერთი ნამცეციც რომ აიღოს, სიკვდილს ვერ გადამირჩებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ჯარისკაცი, რომელთაც გახიზნულ ქართველთა მიტოვებულ ბინაში შესვლა და ძარცვა გაუბედავთ, შაჰმა მუცლებზე დააფატვრინა და ნაწლავები დააყრევინა.

ხოლო შემდგომ...

შემდგომ რაც მოხდა, — ყური მიაპყარ, კეთილო მკითხველო, შესანიშნავ სომეხ მემატიანეს — არაქელ თავრიზელს, რომელიც მდუღარე ცრემლით დასტირის კახეთის უბედურებას:

„კახეთში სპარსელთა ნამოქმედარს ვერც ენა იტყვის და ვერც კალამი აღწერს. გონებით მოისაზრე და გაიგებ, თუ რამდენი გაუტეხელი ქრისტიანი მახვილით დააშავეს, დაჭრეს ან დახოცეს. უდანაშაულონი ტყვედ წაასხეს და შეურაცხყვეს. ქონება და სიმდიდრე მიიტაცეს, ნაშენები ყოველი ცეცხლს მისცეს და დაანგრიეს. ეკლესიები დააქციეს, საკურთხევლები, ჯვარნი და ხატნი დაამხეს. დატყვევებულნი თავიანთ ბანაკში წაათრიეს და ნაირ-ნაირი სატანჯველით სტანჯავდნენ: სიცივითა და სიშიშვლით, შიმშილითა და წყურვილით და სხვა მრავალი ხერხით.

„...ბოროტ ზრახვებში დაბრძენებულმა შაჰ აბასმა ქვეყნის დამაქცევარი ახალი ღონე მოიგონა და ბრძანა, რომ კახეთის ყველა თემი და სოფელი მოევლოთ გზირებს და დღეების განმავლობაში ხმამაღლა ეყვირათ და გამოეცხადებინათ: „ძლიერმა, მშვიდობისმოყვარე და ქვეყნის აღმშენებელმა ხელმწიფემ — შაჰ აბასმა ბრძანა, რომ კახეთის ქვეყნის ყველა მცხოვრები, როგორც დიდებულნი, ისე მხედრები, ხელოსნები, გლეხები და სხვანი ყველანი, რომლებიც გახიზნულნი და გამაგრებულნი არიან მთებში, ტყეებში, ციხეებსა და სხვა მტკიცე სამალავებში, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებსა და ბინებში. იყვნენ მშვიდობით და ნუ ექნებათ სპარსელი მეომრების შიში და ძრწოლა, რადგან ხელმწიფემ უბრძანა მათ, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთაგან არავინ შეავიწროვონ და შეაწუხონ. მათ, ვინც მორჩილებას გამოუცხადებს შაჰს და შაჰისევანი („შაჰის მეგობარი“) გახდება, არაფერს დაუშავებენ და ისინი მარად მშვიდობაში იქნებიან. ვინც ეურჩება და წინააღუდგება ხელმწიფის ბრძანებას, მათ წინააღმდეგ შაჰი გაგზავნის მრავალრიცხოვან ჯარს, რომელიც აიღებს და ააოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს მათ სიმაგრეებს, ყველას უწყალოდ ამოხოცავს, ოჯახებს ტყვედ წაიყვანს და სარჩო-საბადებელს მიიტაცებს. დატოვეთ სიმაგრეები, დამორჩილდით შაჰს, გახდით შაჰისევანები და მოიპოვეთ მშვიდობა. დიდებულებს და წარჩინებულებს, რომელნიც პირველნი და სხვაზე ადრე მოვლენ, ხელმწიფე უწყალობებს დიდებასა და პატივს, დიდძალ მისართმეველსა და სათავადო უფლებებს".

„როცა გაიგეს კახეთის ქვეყნის მცხოვრებლებმა გზირების მიერ გამოცხადებული სიტყვები, ზოგი მათგანი მოტყუვდა, დაიჯერა და გახდა შაჰისევანი. ზოგი სიკვდილისა და ტყვედწაყვანის შიშით მივიდა და გახდა შაჰისევანი. ზოგმა ვერ აიტანა სპარსელების ხანგრძლივი ყოფნა მათ ქვეყანაში და ისიც გახდა შაჰისევანი.

„ზოგიერთმა კი, როცა შეიტყო, — ესა და ეს ციხე აიღესო, ამა და ამ სახელწოდების სიმაგრე დაიპყრესო, სიმაგრეებში შეხიზნულ ხალხს მუსრი გაავლეს ან ტყვედ წაასხესო — შეძრწუნდნენ და შეშინდნენ, რომ მათაც ისეთივე ბედი არ სწეოდათ, ამიტომ გამოვიდნენ, სიმაგრეებიდან და ისინიც შაჰისევანები გახდნენ.

„კვლავ ბრძანა შაჰმა იმათ შესახებ, ვინც შაჰისევანები გახდნენ, რომ ყოველი მათგანი დაესახლებინათ ბინებსა და სადგომებში, ნუგეში ეცათ, გაემხნევებინათ და დიდის ლმობიერებით ესაუბრათ მათთან. მათი მამაკაცებისა და ქალების, ვაჟებისა და ასულების და მათი ყველა მახლობლის სახელები სპარსელებს ნუსხებში შეეტანათ და თავისთან შეენახათ.

„მათ სადარაჯოდ ყველგან სპარსელთა ჯარი დააყენეს, რათა რომელიმე მათგანი არ გაქცეულიყო. თან ატყუებდნენ და ეუბნებოდნენ: „მცველები იმიტომ დაგიყენეთ, ვინმე სპარსელმა რომ არ შეგაწუხოთ და ქონება არ წაგართვათო". ვინც შაჰისევანობა მიიღო, ყველას ისე მოექცნენ, როგორც გიამბეთ.

„ხოლო ვინც არ მოვიდა და სიმაგრეში დარჩა, სპარსელები მათ ციხეებს გარს შემოერტყნენ, მრავალი დღის განმავლობაში ნაირნაირი ხერხით ებრძოდნენ ციხეში გამაგრებულებს, სანამ არ დასძლევდნენ მათ და მახვილით უმოწყალოდ

მუსრს არ გაავლებდნენ, როგორც წმინდა მსხვერპლს ღვთისადმი შეწირულს, ისე რაცხდნენ ქართველები თავისთავს მოწამისაებრ უფლისა.

„შემდეგ ნაძარცვი ნივთები და ქონება ნადავლად მიჰქონდათ, სიკვდილს გადარჩენილ ქალებსა და ბავშვებს ატყვევებდნენ და თავის ბანაკში მიათრევდნენ. როგორც ვთქვი, ორმოცდაათი დღე დაჰყვეს კახეთში და არ დარჩენილა სიმაგრე, რომ არ აეღოთ; ან ადგილი, რომ არ აეოხრებინათ; სრულიად იავარჰყვეს და წაბილწეს ყველაფრით სავსე, მდიდარი და ხალხმრავალი კახეთისა და გრემის ქვეყანა. კახეთისა და გრემის ეკლესიების ნივთები და სიწმინდენი, ჯვარი, ბარძიმი, სახარება, სასაკმევლე, ფილონი და სხვა ნივთები და სიწმინდენი, რომელიც იყო ძვირფასი და დიდფასოვანი და სხვადასხვანაირად შემკული პატიოსანი ქვებითა და თვალმარგალიტით, შაჰმა ბრძანა, რომ არ დაემტვრიათ, წაეღოთ ქალაქ ისფაჰანში და ხელმწიფის ხაზინაში შეენახათ. დღემდე იქ, ხელმწიფის ხაზინაშია ის ნივთები, რასაც ჩვენი ხალხიდან ბევრი ადასტურებს, რომელთაც ის წმინდა ნივთები საკუთარი თვალით უნახავთ. ქრისტეს უკერავი კვართიც სხვა სიწმინდეებთან ერთად წაიღეს და იგი იმავე ხაზინაში, ქალაქ ისფაჰანში ინახება, რომლის წინაშე ახლაც სანთელს ანთებენ. ამ ამბის მომთხრობელთ თვითონ თავისი თვალით უნახავთ იგი. ისინი სარწმუნო კაცები იყვნენ...“.

მთელი ღამე ჰყიოდა მოლა-მუეძინი გაძარცვული გრემის ტაძრის გუმბათიდან: „არა არს ღვთაება თვინიერ ალლაჰისა და მუჰამედი არს მოციქული მისი. ალლაჰიც აკურთხებს მას, მის ოჯახს და მიესალმება უსაყვარლეს მოციქულს თვისას“.

გრემიდან ალავერდს მოვიდა შაჰ აბასი, „საქართველოს ქრისტიანთა უდიდეს და უბრწყინვალეს სამლოცველო ტაძარში“.

გაძარცვეს და გაატყავეს ლავრა ალავერდისა.

გალავანი ციხე-კოშკებით გაამაგრეს და შიგ სპარსული ციხიონი ჩააყენეს ი ს მ ა ი ლ-ბ ე გ ი ს მეთაურობით.

აქვე შაჰმა შეიტყო, რომ თორღას სიმაგრეში კახეთის სამეფო საგანძური ყოფილა შენახულიო.

მაშინვე შაჰმა მეთოფეთა ათასეული აფრინა თორღას.

65

სასტიკი ბრძოლის შემდეგ სპარსელებმა თორღა აიღეს, კახთა მეფის ძვირფასი საჭურჭლეები დაიტაცეს და შაჰს მიართვეს.

აურაცხელ ნაძარცვ-ნაალაფარ და ნაძღვნევ-ნაჩუქარ უძვირფასეს ნივთთა პატრონს რაღა უნდა გაჰკვირვებოდა, მაგრამ მაინც განაცვიფრა შაჰ აბასი კახთა მეფის განძმა. გამორჩევით ერთმა ნივთმა, ალავერდელი ეპისკოპოსის თვალმარვალიტით მოჭედილმა გვირგვინმა დაატყვევა შაჰის ანგარი გული.

მერე ერწო-თიანეთს შეესივნენ სპარსელები.

ამაოდ შეაწყდნენ აქაური ქართველები უთვალავ მტერს.

ერანელებმა ერწო-თიანეთიდან 30 000 ტყვე-ადამიანი და 40 000 მსხვილფეხა საქონელი გაირეკეს.

სულ 80 000 კახელი გადაასახლეს იმ წელიწადს სპარსეთში.

ქართველი ტყვეებით ივსებოდა სპარსთა ქვეყანა.

. . . . . .

პიეტრო დელა ვალე რომის პაპს — ურბანუს მერვეს:

„დღეს მთელს სპარსეთში არ მოიძებნება არც ერთი სახლი, რომელიც სავსე არ იყოს ტყვე ქართველებით, მამაკაცებით და დედაკაცებით. სპარსეთში არ არის არც ერთი დიდი კაცი, რომელსაც არ ჰსურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ უმშვენიერესნი არიან ქართველი ქალები...“.

დაიქცა და დაიმეხა „ყველაფრით სავსე, მდიდარი და ხალხმრავალი“ კახთა ქვეყანა.

„მოდიოდა და სატანა მოუძღოდა“

კახეთის „მრავალგზისი აოხრების შემდეგ“ შაჰ აბასმა ვარსკვლავებივით ურიცხვი ჯარი“ ქართლში გადაიყვანა და გორს მივიდა. გორისა და სურამის ციხეები გაამაგრა და შიგ სპარსული ციხიონები შეაყენა.

შაჰმა ჯარები სასტიკად გააფრთხილა, — ქართლის მოსახლეობასთან მოკრძალებით იყავით, ძარცვა-გლეჯა და აწიოკება გულშიაც არ გაივლოთ და ამპარტავანი ხალხი არ ამიჯანყოთ, თორემ ცოცხალის თავით ვერ გადამირჩებითო.

ახლა ქართლის სოფლებსა და ქალაქებში დაგზავნა აბასმა გზირები და ყველგან გამოაცხადებინა:

„დიდი და ქვეყნის აღმაშენებელი შაჰ აბასი ბრძანებს, რომ ქართლის ქვეყანა თავისი მცხოვრებლებით, დიდებულებითა და მდაბიოებით იყოს მშვიდობითა და მოსვენებით. ყველას, ვინც სპარსთა ჯარის შიშით გახიზნულია ციხეებსა და გამაგრებულ ადგილებში, ამის შემდეგ ნუღარ შეეშინდებათ და ნუღარც ეჭვს მიეცემიან, ყველანი დაბრუნდნენ ბინებში და ხელი მოჰკიდონ თავის საქმიანობას და აღმშენებლობას. იყოს მშვიდობა და მისვლა-მოსვლა სპარსელებსა და ქართველებს შორის, რადგან ქართლის ქვეყანას ჩემად ვრაცხ და ამიტომ არ დავარბევ ჩემი და ლუარსაბ მეფის გულისათვის, რომელსაც ჩემს ძედ, ძმად და მეგობრად მივიჩნევ. როდესაც ლუარსაბი დაბრუნდება, მაშინვე მის ქვეყანას მასვე ჩავაბარებ, მე კი ჩემს სამშობლოში დავბრუნდები. ასე მოვიქცევი, თუ მოვა ჩემთან ლუარსაბ მეფე, მაგრამ თუ არ მოვა, მაშინ აქა მყავს, მოურავი, აქაური ქართველი, — ქართლს სწორედ ამ მოურავს ვუბოძებ, მე კი ჩემს ქვეყანაში დავბრუნდები...“.

აჰა, გამოჩნდა გიორგი სააკაძე!..

შენც მომეხმარეო, — უთხრა შაჰმა გიორგის — ქართლის მოსახლეობა დააწყნარე და დააშოშმინე, — რომ მე მათ სამტროდ კი არა, სამოყვროდ ვარ მოსული. ესეც იცოდე, აქაური ქართველებიც მე და შენ (ჰმ, „მე და შენ!“) ძალიან გამოგვადგებიანო შაჰისევანებად. ხოლო, რაც შეეხება ქართლის გამგებლობას, — მოვა თუ არ მოვა ლუარსაბ მეფე, სულ ერთია, ქართლი მაინც შენ უნდა გიბოძო სამმართველოდ და საპატრონოდ.

გიორგი სააკაძე შაჰ აბასის დაპირებებს მოთმინებით ისმენდა, მაგრამ გული ბოლმით უსივდებოდა. იცოდა, ვერაგი შაჰი ჩვეულებრივ ცრუობდა და ახალ-ახალ ბოროტებას ხვანჯავდა მისი სამშობლოს დასამხობად და ამოსაგდებად.

სააკაძე ჯერჯერობით მაინც შერიგებას ურჩევდა ხალხს.

მთავარი ახლა ის იყო, ქართლის მოსახლეობა კახეთის ტრა-
გედიას გადარჩენოდა.

თვითონ გიორგი თავის მამულში მივიდა, ნოსტეში.

მივიდა და დაანთო ცეცხლი კერაზე.

მეზობლად ქაიხოსრო ჯავახიშვილი ცხოვრობდა, სააკაძე-ების ოჯახის ერთ-ერთი დამაქცევარი. როგორც კი გიორგის მობრუნება შეიტყო, მაშინვე ცოლშვილიანად აიყარა ქაიხოსრო და იმერეთისკენ გაქუსლა, სააკაძის შურისძიებით ზარდაცემულმა.

გიორგიმ ერთგული მსახური ბ ი ძ ი ნ ა გამოადევნა ქაიხოსროს. ბიძინა სურამთან წამოეწია ლტოლვილს და უკანკე შემოაბრუნა: გიორგი წახდენას არ გიპირებს, ძველი წყენა დაივიწყა და შენთან კარგი მეზობლობისა და მოკეთეობის გარდა აღარაფერი სურსო!

მობრუნდა ქაიხოსრო ჯავახიშვილი სააკაძის „დიდსულოვნებით" გაოცებული და თავლაფდასხმული.

ქაიხოსროსთანა მცირე ზომის ეგოისტებს ნაკლებად ესმოდათ სააკაძის ფართო მამულიშვილური განზრახვანი. მართალია, გიორგი სააკაძე ერანში სწორედ იმიტომ გაიქცა, რომ შაჰის მხარდაჭერით ქაიხოსროსთანა და შადიმანისთანა ფეოდალები დაეთრგუნა, მაგრამ გიორგი მალე მიმხვდარა თავის შეცდომას, — შაჰ აბასი, რომელიც თურმე საქართველოს ძირფესვიანად მოთხრას აპირებდა, გიორგის ქართველ ფეოდალებთან ბრძოლაში მოკავშირედ არ გამოადგებოდა. უფრო მეტიც: გიორგიმ შეამჩნია, რომ შაჰს ახლა სააკაძის მტრები უფრო მოსწონდა, ვიდრე თვითონ სააკაძე.

დიდი სიფრთხილე იყო საჭირო...

სააკაძისთვის ახლა მთავარია ქართველი ხალხის გადარჩენა და არა მისი პირადი მტრების განადგურებაზე ფიქრი.

მთავარი იყო, ქართველები — თავადნი, აზნაურნი თუ უაზნონი — ერთმანეთს არ დარეოდნენ და ამით „ყოველი ხარისხის" ქართველისათვის საერთო მტრის — შაჰ აბასის გული არ გაეხარებინათ.

მთავარი იყო, შაჰი როგორმე ქართველი კაცის სისხლდაუქცევლად გასულიყო ქართლიდან, ხოლო შემდგომ... შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომ სხვა რამ დიდ-დიდნი საზრუნავნი „გამოუჩნდება“ დიდ მოურავს...

. . . . . .

შაჰ აბასმა გორში მისვლისთანავე იმერეთში სარუ ხოჯა მოჰამედ რეზა გაგზავნა და მეფე გიორგი მესამეს შეუთვალა: თქვენ ჩემი ქვეშევრდომნი — ლუარსაბი და თეიმურაზი შეგიხიზნია: გთხოვთ, უკანვე გამომიგზავნოთო ორივენი; სამაგიეროდ დიდძალ ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტს მოგართმევთ; მაგრამ უკეთუ ჩემს თხოვნას არ შეიწყნარებთ, „შარუხ დაჰრაიანით“ ჯარი უნდა გამოვგზავნი ბაში-აჩუკის ასაოხრებლადო!

გიორგი იმერთა მეფემ გეგუთში, დიდი ჭადრის ქვეშ მიიღო შაჰ აბასის ელჩი. მიღებას, ლუარსაბთან და თეიმურაზთან ერთად, ესწრებოდნენ ლევან II დადიანი და მამია II გურიელი.

წერილი წაიკითხეს და ძალიან გაიკვირვეს, რომ შაჰი ქართველ ხელმწიფეს სტუმრების ღალატს სთხოვდა! როგორ მოხდება, რომ ქართველმა კაცმა სტუმარი, გინა ძმა და შვილი გაჰყიდოსო, — ჯავრობდა გიორგი მეფე — ანდა ქართლსა და კახეთს იმერეთი როგორ უღალატებსო?!

მერე, უცებ ეს იკითხა გიორგი მეფემ: „შარუხ დაჰრაიანი“ რაღა არისო?

„შარუხი ქალამანია და დაჰრა წალდიო“, — უპასუხეს.

სიცილი აუვარდა გიორგის: პირდაპირ საოცარია, იმერლებს ქალამანითა და წალდით რავა გვაშინებენო?!

ბოლოს გული დაიდინჯა გიორგიმ, რადგან შაჰ აბასი მაინც შაჰ აბასი იყო, და პასუხიც დროიანად და შნოიანად უნდა გაეგზავნა „ერანის ლომისათვის“.

მეფემ შაჰთან გასაგზავნ ელჩებად შეარჩია დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი, „ანგელოზის მსგავსი“ მალაქია. და თავადი ლევან აბაშიძე. მათ ჩააბარა შაჰისათვის წერილი და ძღვენი და სარუ ხოჯასთან ერთად გაგზავნა გორში.

ხუმრობის მოყვარულმა გიორგი მეფემ თავისი არ დაიშალა და ასეთი „მწუთხე შეგონება“ დაადევნა ელჩებს: თუ შაჰმა მუქარაზე ხელი არ აიღო და მაინცდამაინც იმერეთისკენ ლაშქრობა გადაწყვიტა, მოახსენეთ — ბაში-აჩუკები სია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვნებით შეგხვდებიან და აქაურ იმერულ ღომს, რამდენსაც ინებებ, იმდენს გაჭმევენ-თქო!..

შაჰ აბასმა დიდის პატივითა და თავაზით მიიღო „ბაშიაჩუკის“ ელჩები.

წერილი წაიკითხა და ძალიან ემწუთხა, რადგან იმ წერილში გიორგი მეფე ასე პასუხობდა შაჰის მოთხოვნას: თქვენ დიდი ხელმწიფე ბრძანდებით, მაგრამ არც ჩვენ ვართ უგვარონი, — ღვთაებრივი დავითის შთამომავალნი გახლავართო; ჯარით დამუქრება რა საკადრისია, ანდა მუქარით და ძალისძალად რა საქმე უნდა გამოეწყოსო! მერე, — ლუარსაბი და თეიმურაზი ჯერ ერთი ჩემი სტუმრები არიან, მეორეც — ნათესავები, მოკეთენი და მოკავშირენი; განა, ყოვლად უზნეობა და სიმდაბლე არ იქნება, რომ მე ისინი ასე უღვთოდ და უსამართლოდ გავიმეტო?! ან ისეთი რა დააშავეს ლუარსაბმა და თეიმურაზმა, — განა, დანაშაულია, რომ თქვენ გაგერიდნენ და ჩემთან მოვიდნენ? მე კი პირიქით მგონია, — ქვეშევრდომი რომ ბატონს ერიდება, დანაშაულად კი არა, ერთგულებად უნდა ჩაეთვალოს... ახლა ჩემი რჩევა ესე არს, ბრძენო შაჰ აბას: ნება მიეცით ლუარსაბსა და თეიმურაზს დაბრუნდნენ თავიანთ სამეფოებში; თქვენ აიყარეთ თქვენის ჯარებით, დაბრუნდით ერანს, ხოლო ლუარსაბი და თეიმურაზი განაგრძობენ მეფობას და თქვენს ერთგულ სამსახურს სწორედ ისე, როგორც მათი წინაპარი მეფენი ემსახურებოდნენ თქვენს წინაპრებს!

კათალიკოს მალაქიას და ლევან აბაშიძეს „ღომის ჭამა“ არ უხსენებიათ, მაგრამ სიტყვიერად ბევრს ეცადნენ შაჰის გულისწყრომის დასაცხრომად და მშვიდობის ჩამოსაგდებად.

კარგა ხანს ფიქრობდა შაჰი, უამური საფიქრალით დამძიმებული. მერე ეს უთხრა მალაქიას და ლევანს „მწუხარედ“: თეიმურაზის ბრალია ყველაფერიო; ლუარსაბზე კი სასაყვედურო არაფერი მეთქმისო, თეიმურაზი არის ჩემი მოსისხლე; თეიმურაზმა დამაკარგვინა ლუარსაბი, რომელიც მე ჩემს თავზე მეტად მიყვარდა და ახლაც მიყვარსო.

„ამიტომ გთხოვთ, — მიმართა შაჰმა ელჩებს, — გადასცეთ ლუარსაბს, ნუ აჰყვება თეიმურაზს, ჩემი სისხლის მონატრულს; სთხოვეთ მეფე გიორგის, დაარწმუნოს ლუარსაბი, მო-

შორდეს თეიმურაზს, მოვიდეს ჩემთან და ვიძლევი საშინელ ფიცს — მივართმევ ქართლის მეფობასაც და იმდენ მისართმეველსაც, ქვეყანა რომ მას შენატროდეს“.

ეს დააბარა შაჰმა ელჩებს და ორივეს უხვი საბოძვარი მიუბოძა — სასულიეროსაც და საეროსაც.

იმერეთს გაბრუნებულ მალაქიას და ლევანს შაჰმა ისევ გააყოლა სარუ ხოჯა, რომელსაც ლუარსაბ მეფესთან ცალკე წერილი მიჰქონდა.

წერილში ეწერა:

„მამაცთა ხელმწიფე შაჰ აბასი დიდი სიყვარულით სალამს უძღვნის ქართველთა მეფეს ლუარსაბს. მრავალჯერ მოგწერეთ სიყვარულით და გავამჟღავნეთ ჩვენი გულის კეთილგანწყობილება შენს მიმართ, მაგრამ არ უსმინე და არ დაუჯერე ჩვენს სიტყვებს. შეხედე ჩემს ნამოქმედარს და ირწმუნე, რადგან დაინახავ, რომ თეიმურაზის ქვეყანა ავაოხრე, ხოლო შენსას გაშენებულსა და ხელუხლებელს ვინახავ შენთვის და ველოდები შენს მოსვლას. ახლა ნუღარ დაიზარებ მოსვლას, უჭკუო და უგუნურ მრჩევლებს ნუ დაუჯერებ და შენს სამეფოს ნუ დაკარგავ, რადგან გულში არც მტრობა და არც ბოროტება არა მაქვს შენდამი, ისევე როგორც შენ არავითარი ზიანი არ მოგიყენებია ჩემთვის. შენ მოსვლას იმისთვის გთხოვ, რომ როგორც ჩვენი წინაპრების დროს იყო ერთობა ორ ხალხს შორის, მსურს რომ ჩვენს დროშიც ისევე დარჩეს. ჩრდილოეთის ყველა მხარეს, რომელიც მდინარე არეზის აქეთა ნაპირზე მდებარეობს, შენ მოგანდობ, რათა იყო ზედამდგომელი და მბრძანებელი ყველა დიდებულისა, რათა შეეზრუნო ამ მხარეზე, ხოლო ჩვენ მასზე სადარდებელი არ გვექნეს და მეორე მხარეზე ვიზრუნოთ. იყავ მშვიდობით!“

სარუ ხოჯა იმერეთიდან მარტო დაბრუნდა. მხოლოდ ლუარსაბ მეფის წერილი ჩამოუტანა მბრძანებელს.

წერილში ეწერა:

„დიდო შაჰ აბას, თუ ჭეშმარიტია შენი სიტყვები და მართლა გსურს, რომ ჩვენს შორს მეგობრობა სუფევდეს, შენი სიყვარულისა და მშვიდობის ნიშანი ის იყოს, რომ შენ გაშენებულსა და ხელუხლებელს დატოვებ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს ნებას დართავ დარჩეს თავის სამშობლოში. შენს ნაცვ-

ლად მანდ ერთ-ერთი შენი დიდებულთაგანი დატოვე, რათა სიყვარული, ერთგულება და კავშირი, — რომელიც შენ გწადიან, — მისი შუამდგომლობით განვამტკიცოთ შენთან. შენ კი აიყარე და წადი ჩვენი ქვეყნიდან. ჩვენც დავბრუნდებით, დავეპატრონებით ჩვენს ქვეყანას და სიყვარულითა და ერთგულებით ვიქნებით შენთან. იყავ მშვიდობით!"

შავ დღეში ჩავარდა შაჰ აბასი.

არ დაშინდა და ქედი არ მოიხარა არც ერთმა ქართველმა მეფემ — არც „ცბიერმა ბაში-აჩუკმა", არც „მოსისხლე თეიმურაზმა" არც „თვინიერმა ბიჭმა ლუარსაბმა".

არც იმერეთთან დამუქრებული ომი გამოდიოდა. ჯერ ერთი, დიდად სამძიმო და სახიფათო იყო ლაშქრობა იმერეთში, სადაც კბილები ამაოდ დამტვრეოდა ყველა დიდ დამპყრობელს. მეორეც — იმერეთი ოსმალეთის „გავლენის სფეროდ" ითვლებოდა და მასთან ომი სტამბოლის კართან დადებული ზავის დარღვევას მოასწავებდა.

არა და, ერანის ლომს არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ მარცხს, დამცირებასა და თავლაფდასხმას.

და ასეთ მწვავე ჟამს ისევ გამოუჩნდა „მხსნელი" მოულოდნელად „ბედნიერ შაჰს".

ეს იყო „ბოროტების მსახური, წყეულის შვილი, ეშმაკისაგან აღძრული, სატანის კერძი" შადიმან ბარათაშვილი, ლუარსაბ მეფის გამზრდელი მამა-მძუძე და სუფრაჯი, სამეფო სუფრის მოურავი, გიორგი საკაძის დაუძინებელი მტერი.

მივიდა შადიმანი და დაემხო შაჰის წინაშე. ენით მოსლიქა „კეთილშობილების ნოხი" და შეჰღაღადა: თუ მიბრძანებ, მე გადმოვიყვან ლუარსაბ მეფეს იმერეთიდანო; მე ერთადერთს — მის გამზრდელსა და მამა-მძუძეს დამიჯერებს ჩემი გაზრდილიო.

უსაზღვროდ გაიხარა აბასმა. აურაცხელი მისართმეველით აგავსებო და ღირსეულად აგამაღლებო, აღუთქვა შადიმანს. მოსდგა და ახლა ამ უქვემოესად სულმდაბალ თავადს უმტკიცა შაჰმა:

„მე მეფე ლუარსაბს როგორ წავახდენ, მეფის სვიმონის შვილიშვილსა და მეფის გიორგის შვილსა მე ავსა და ურიგოს როგორ ვკადრებ, მაგრამ თეიმურაზმა მიცდინა და მო-

ბიტყუა მოსიყვარულე გულის მქონე ლუარსაბი. ესე იცოდე, თუ მეფე ლუარსაბ მოვა და შემომირიგდება, დიდს წყალობას ვუზამ და გავამდიდრებო“, თქვა შაჰ აბასმა „და მისცა ფიცი საშინელი და საფიცარი და იტირა ბევრი“.

„თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო“, შეჰღაღადა შადიმანმა და ერთჯერ კიდევ გაულოკა ფეხისგულები გადამთიელს.

გამოიძახა სარუ ხოჯა შაჰმა და უბრძანა, ახლა შადიმან ბარათაშვილს ხლებოდა ბაში-აჩუკის ქვეყანაში.

სარუ ხოჯას ლუარსაბისათვის გადასაცემად „წიგნი საფიცარი“ და ოქროს ხმალი გაატანა შაჰმა.

ერთი წერილიც საიდუმლოდ გადასცა სარუ ხოჯას. ამ წერილით აბასი გიორგი მეფეს ატყობინებდა: თუ ლუარსაბი გაჯიქდება და არ წამოვა, მაშინ შენი შვილი ალექსანდრე გამომიგზავნე და იმას გადავცემო ქართლს.

სარუ ხოჯას ევალებოდა ეს წერილი ჯერ ლუარსაბისთვის წაეკითხვინებია და თუ წამოსვლაზე დათანხმდებოდა, იგი გიორგისთვის აღარ უნდა ეჩვენებია.

ბოლოს შაჰმა ცოლს დაუძახა — ლელა-თინათინს, და შეუჩნდა: ხომ იცი, როგორ მიყვარს შენი ძმა, მაგრამ თეიმურაზი და გიორგი მეფე მიბრიყვებენ და აღარ მეკარებაო; ამიტომ მისწერე წერილი, ნურავის ყურს ნუ უგდებს და მოვიდეს ჩვენთან — საყვარელ დასთან და სიძესთანო.

ლელა-თინათინს ქმრის ვერაგობაში ეჭვი არ შეუტანია, ისე დაუწერია წერილი ლუარსაბისადმი.

ეს წერილიც წარიტანეს შადიმანმა და სარუ ხოჯამ და სასწრაფოდ გაქუსლეს იმერეთისკენ...

აიღო ლუარსაბ მეფემ შაჰისაგან გამოგზავნილი მურასა ხმალი.

წაიკითხა შაჰის „წიგნი საფიცარი“.

წაიკითხა გიორგი მეფისთვის განკუთვნილი წერილი.

წაიკითხა დის წერილი.

მოისმინა შადიმან ბარათაშვილის „მამაშვილური“ შეგონებანი, ფიცი და მტკიცი. და შადიმანმა, „იმ სატანისკერძმა, როგორც გველმა ევა, ისე დაიყოლია და დაითანხმა ლუარსაბის გონება შაჰთან წასვლაზე“.

გიორგი მეფისადმი შაჰის წერილმაც ეჭვები აღუძრა

ლუარსაბს, ვინ იცის, იქნებ შეთქმულებაც მომიწყონ ერანისა და იმერეთის ხელმწიფეებმაო.

იმ დღეს მაინც სულ არ მოეწონა იმერეთის მეფის კადნიერება: რა არის და — ლუარსაბის წინაშე გიორგი ქუდმოხდილი და ფეხი ფეხზე შემოდგმული დაბრძანდა!

„მტერმა, რაც ნებავს, ის მიყოს, მაგრამ ჩემზე უმცირესისაგან დამცირებას ვერ მოვითმენო!“

ეს ჩაიბუზღუნა და „მაშინღა დააჯერა გული მეფემან ლუარსაბ და აემზადა წასასვლელად“.

მიეხვივნენ: დედა თამარი, დაი ხორეშანი, სიძე თეიმურაზი, მასპინძელი გიორგი მეფე, ოდიშისა და გურიის მთავრები, იმერელი დიდებულები — ნუ იქნები ესოდენ გულუბრყვილო, ნუ გაბრიყვდები და ნუ ენდობი ვერაგ შაჰ აბასსო; „ცხარე ცრემლით სტიროდნენ“ და არწმუნებდნენ, ხელი აეღო შაჰთან წასვლაზე.

— ნუ დაუჯერებ მაგ ორგულსა და ვერაგ მხეცს. მაგას ჩვენი სისხლის დალევა სწყურია! — ყვიროდა თეიმურაზი, — ქრისტიანი მეფენი ქვეშევრდომადაც აღარ სურს შაჰ აბასს, უნდა ჩვენს ადგილზე ხანები და ბეგები დასვას. ძმა შენ არა გყავს, შვილი და ძირი. თუ მიხვედი, შენც მოგკლავს და ქართლსაც სახანოდ გადააქცევს!

ოდიშის ახალგაზრდა მთავარი, ლევან დადიანი, ადრე დათქმული ქორწინებისკენ მიანიშნებდა ლუარსაბს: ბარემ ჩემი დაი ცოლად შეირთე და შაჰ აბასთან წასვლაზეც ხელი აიღეო.

მაგრამ ლუარსაბს უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა და ასევე მტკიცედ და შეუვალად გამოაცხადა:

— შაჰი მოვიდა და დადგა ჩვენი სამშობლოს შუაგულში და მთხოვს მშვიდობის ჩამოგდებას. უკეთუ არ მიუვალ, მთელს ქვეყანას იავარჰყოფს, ააოხრებს და წაბილწავს, ეკლესიებს დაანგრევს, ქართველობას ამოხოცავს და ტყვედ წაიყვანს. და ყოველივე ამის მიზეზი ვიქნები მე. სინდისდამძიმებულ ცხოვრებას ამ ხანმოკლე საწუთროში და ამდენი ხალხის ცოდვის ტვირთვას, უმჯობესია ვეახლო შაჰს და ვიხსნა მთელი ქვეყანა, რამეთუ ჩემის მიზეზით ჩემი სამშობლო არ აოხრდეს. ღვთის იმედით პირდაპირ წავალ მასთან, ხოლო იქ რაც მომელის,

სიკვდილი თუ სიცოცხლე, იყოს ნება კურთხეული უფლისა!

ვის რაღა ეთქმოდა?!

დიდებული იყო სიტყვა იგი — უზემოესი მამულიშვილობით შთაგონებული, თქმული საოცრად მომხიბლავი ჭაბუკის პირით.

თითქოს დემეტრე თავდადებული აღმდგარიყო მკვდრეთით.

და წამოვიდა იმერეთიდან ქართლისაკენ ლუარსაბ მეფე.

საწერეთლომდე მიაცილეს დედამ, დამ, სიძემ, მასპინძელმა, მთავრებმა, დიდებულებმა.

ცრემლთა თხევით დაემშვიდობენ და გაბრუნდნენ.

მოდიოდა სახეცისკროვანი ჭაბუკი.

წინ სატანა მოუძღოდა.

„უკან დაბრუნება აღარ მიწერია“

შაჰი ლიხის მთის კალთებზე ნადირობდა.

ნადირობა მიზეზად ჰქონდა, თორემ სინამდვილეში ლუარსაბ მეფის შესახვედრად მისულიყო იმერეთის საზღვართან.

მოუთმენლად კი ელოდა სიძე ცოლისძმას.

გამოჩნდა ლუარსაბ მეფე.

წინ სატანა მოუძღოდა — შადიმან ბარათაშვილი.

უკან სარუ ხოჯა მოსდევდა.

აღტაცებულმა შაჰმა ცხენი გააჭენა, ლუარსაბს ზედ მიეჭრა, გადაეხვია და შეჰბღავლა ცრემლების ღაპაღუპით:

— როგორ შემიძლია მოგაგო ბოროტი რამე ეგზომ ახოვანსა, მშვენიერსა და ერთგულსა ძესა ჩემსა?!

იღიმებოდა ლუარსაბ მეფე.

თან უკვირდა: ტირილიც შესძლებიაო „ყოვლისშემძლე“ შაჰ აბასს!..

უხაროდა შაჰს, — ამ „გველის ბუნების“ სპარსელს, „დიდად დახელოვნებულ ვეშაპს“, „იმიტომ ჰხარობდა თავის გულში და სულში, რომ ეს დღე მისთვის უფრო ბედნიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, ვიდრე მისი ცხოვრების ყველა სხვა დღე, რადგან აღსრულდა ბოროტი სურვილი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდა“.

მაშინვე დიდი მისართმეველი მიართვა აბასმა ლუარსაბს. დიდებული სანადიმო სუფრაც გაუშალა და რამდენიმე დღე ანადიმა და ინადიმა „სვებედნიერმა ვეშაპმა“.

მერე გორში ჩაიყვანა დიდის ზარზეიმით სიძემ ცოლისძმა.

აქაც „დიდის სიყვარულითა“ და „სიწრფოებით“ ინადიმეს და ინადირეს.

ხალხს უკვე, სარწმუნოდ ეჩვენებოდა, რომ შაჰის გულში ლუარსაბის სიყვარულის მეტს არაფერს გაუჭაჭანებია.

მაინც ეშინოდა შაჰ აბასს, — ვაითუ ლუარსაბს ვინმე ქართველმა „გული გამოუცვალოს და შფოთი აღადგინოსო“.

გორიდან აიყარა და ტფილისისაკენ გაიყოლია ლუარსაბი.

„წარვიდეთ ტფილისსაო და ვილხინოთ მუნცაო და შევექცეთო“. მერე მე წავალ ერანისაკენ, ხოლო შენ ტფილისში დარჩებიო, ვითარცა მეფე ქართლისა ქართლის სატახტო ქალაქშიო!

ამაზე უფრო სასურველი რაღა უნდა ჰქონოდა ლუარსაბ მეფეს!

მცხეთიდან ტფილისამდე გამწკრივებულ სპარსელ ჯარებს შორის გაიარეს ერანისა და ქართლის გვირგვინოსნებმა.

იყვნენ ერთ ხანად ტფილისში მოსვენებით, „განსვენებით“ და განცხრომით.

ლუარსაბს სული მისდიოდა, — როდის აიყრება, გამშორდება და გადაქარდებაო ერანელი სულთამხუთავი ტფილისიდან...

ეს „ნანატრი დღეც“ დადგა.

ჯერ, შაჰ აბასმა ტფილისის ციხეში სპარსული ციხიონი შეაყენა; ციხიონის უფროსად აგრეთვე სპარსელი დანიშნა — სოჰრაბაღა ლარიჯანი.

მერე, „ნებაყოფლობით შაჰისევანებად“ ჩაწერილი ქართველები დედაბუდიანად აჰყარა, ათასეულებად დაალაგა და ერანის ცრემლიან გზებს გაუყენა.

ნახატურივით გაშტერებული და გამშრალი იდგა ქართველთა მეფე.

ბოლოს შაჰი ლუარსაბს მიადგა და „ალერსიანად“ უთხრა — წავიდეთო!

„წავიდეთო“?!

რატომ ითქვა ეს სიტყვა მრავლობითად?!

განა მარტო, ულუარსაბოდ არ უნდა წასულიყო შაჰი?!

უფრო „გარკვევით“ უთხრა შაჰმა:

— ყარაიას ველზე გავიდეთ ერთად, ვინადიროთ და შევიქცეთ ნადირობითა და ლხინითა. მერე შენ უკან დაგაბრუნებ — ტფილისს, ხოლო მე წავალ ერანს.

გული გაებზარა ლუარსაბს.

ალბათ, აღარ აპირებს დაეხსნას „ვერაგი ვეშაპი“ ქართლის ხელმწიფეს.

და გაჰყვა ყარაიას სანადიროდ.

სადღაც ახლოს გიორგი სააკაძის მძლავრი, სუსხიანი სუნთქვა ისმოდა.

. . . . . .

დიდხანს ითმინა გიორგი სააკაძემ, მაგრამ რაკი შაჰმა არა სთქვა, ტფილისიდან გასვლის წინ მაინც იკითხა მოურავმა, ვინ რჩება ქართლის გამგებლადო?!

ფარსადან ციციშვილიო, შეამყრალა სახეში აბასმა.

ფარსადანიო?!

ნუთუ ასე ასრულებს შაჰ აბასი აღთქმულ პირობას: აკი შენ, გიორგი სააკაძეს დაგსვამო ქართლის გამგებლად?!

მერე, ვთქვათ „არ ენდო“, ან „არ გაიმეტა“ ქართლი სააკაძისთვის, მაგრამ ამ ფარსადან ციციშვილმა მაინც რით დაიმსახურა ლუარსაბ მეფის „მონაცვლეობა“?!

ფარსადან ციციშვილი — სააკაძის მოსისხლე მტერი ამჯობინა შაჰ აბასმა სააკაძეს?!.

ვაი შენს თავს, გიორგი სააკაძევ!

. . . . . .

ყარაიას ველზე ნადირობდნენ შაჰ აბასი და ლუარსაბ მეფე.

იქვე, მაღლობიდან ლელა-თინათინი ქალთა ამალით სჭვრეტდა ძმისა და ქმრის სანადირო პაექრობას.

შაჰი ხელუცთომელი მონადირე იყო, მაგრამ მაინც დას-

ჯაბნა ქართველთა მეფემ: მან ცხრამეტი ნადირით დააჭარბა ერანელს.

შება-დიდება შეასხა აბასმა ლუარსაბს, მოუფერა და მოუალერსა, მაგრამ მალულად შურით გაიტენა და გული „გაუჭერდა“ ქართველი ჭაბუკისაკენ სავნებლად და საბოროტოდ.

დამ მიიხმო ლუარსაბი და უჩურჩულა იდუმალ:

— ჩემო ძმაო, ძალიან გამორჩევით ნუ აჩვენებ შაჰს შენს სიმარჯვეს, ვაჟკაცობას და ახოვანობას. მე ვიცი მისი ხასიათი, — შურიანი და ხვანჯიანი კაცია; პირადად ვერას გეტყვის, მაგრამ გულში შენი სიკეთე ეწყინება და ვინ იცის რას წაგიდებს...

ლუარსაბმა ხელი ჩაიქნია და ეს უთხრა დას და დედოფალს ერანისას:

— აწ რა ვქნა და რა გაეწყობა, ჩემო დაო, — ან რაღა ბედენაა, ავად ვეჩვენები თუ კეთილად; ეს ხომ ვიცი, აღარ გამიშვებს შაჰ აბასი და, — რაკი უკან დაბრუნება აღარ მიწერია, ისევ სჯობია, მტერსაც და მოყვარესაც კარგად ვაჩვენო, ვიდრე ცუდად.

თქვა და უჩირა მათრახი ცხენს მონადირე-მეფემ.

წამოეწია შაჰ აბასი ლუარსაბს და უთხრა:

— ვინაითგან ხარ ამისთანა მონადირე, რაინდი და უცთური მოისარი, წარვიდეთ და მოვინადიროთ ყარაბაღიცა, რამეთუ არის ყარაბაღი დიაღ კარგი სანადირო, სალხინო და შესაქცევარი, ხოლო ყარაბაღიდან უკან დაგაბრუნებო, ტფილისს.

„წავიდეთო“, თქვა ლუარსაბმა მშრალად, ჯადონაძგერალივით.

ყარაბაღსაც ეწვივნენ და ახლა იქ გაახურეს ნადირობა და ნადიმობა სიძე-ცოლისძმამ.

მკითხველს ახსოვს წინასწრობილად ნათქვამი: კახეთში შემოჭრის წინ შაჰ აბასმა განჯიდან თურქეთში ელჩი გაგზავნა — სულთან მოჰამედ-ბეგ თალიში. ახლა აქ ყარაბაღში მობრუნდა და შაჰს ეახლა მოჰამედ-ბეგი. ეახლა და მოახსენა: თურმე თეიმურაზსა და ლუარსაბს იმერეთიდან სტამბოლში ხონთქრისათვის „უმდაბლესი არზები“ გაუგზავნიათ, ოსმა-

ლეთის ქვეშევრდომობა შეუთავაზებიათ და ერანის წინააღმ-
დეგ საომარი დახმარება უთხოვიათ.

გველის კაჭრობა აუვარდა შაჰ აბასს.

ლუარსაბისა და თეიმურაზის სისხლი არასოდეს ისე არ
სწყურებია, როგორც ახლა სწყუროდა.

მაგრამ თეიმურაზი შორს იყო და ისევ ლუარსაბს უნდა
ეზღო ორივეს სისხლი.

დრომდე მაინც დაიწყვიტა რისხვა აბასმა.

თურქეთში ახალი ელჩი აფრინა ხონთქარის დასამშვიდებ-
ლად და დასაშოშმინებლად.

დიდძალი საჩუქრებიც გაატანა იმ ელჩს — სულ საქართ-
ველოში ნაძარცვი ნივთები, — მათ შორის თორღას საგანძურ-
იდან მოტაცებული, თვალმარგალიტით მოჭედილი საეპის-
კოპოსო გვირგვინი.

ლუარსაბს მოუსვენრობა დაეტყო.

შაჰმა იფიქრა, არ გამეპაროსო ქართველი მეფე, და...

და ერთ დღეს შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფეს თავზე დაადგა
ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს ჯიღა.

— ეს ჯიღა ჩემი სიყვარულის ნიშნად გქონდეს და ყო-
ველთვის თავზე გედგას ჩემთან შეხვედრის ჟამს! — უთხრა
ალერსიანად აბასმა.

რამდენიმე დღე ასე ხვდებოდნენ ერთმანეთს: ჯიღით თავ-
შემკობილი ლუარსაბი ეგებებოდა „სიყვარულით და სიხარუ-
ლით აღსავსე“ შაჰს.

მაგრამ ერთხელ ლუარსაბი თავშიშველი შეხვდა ერანის
ხელმწიფეს.

— ჯიღა სად არის, შვილო და ძმაო?! — შეშფოთებით
იკითხა შაჰმა, როცა ისინი სპარსელ დიდებულებთან ერთად
მიუსხდნენ სუფრას.

— დავკარგე, — სინანულით თქვა ლუარსაბმა.

— რანაირად, შვილო და ძმაო?

— წუხელის მქონდა, ამ დილით კი ვეღარ ვიპოვნე. ალ-
ბათ, მოშპარეს. სხვა რამ ნივთებიც წაუღიათ ქურდებს.

„ქურდებმა მომპარესო?!“ იყვირა შაჰმა და სისხლიანი
თვალები დაუტრიალა სპარსელ დიდებულებს:

— განა სიკვდილის ღირსი არა ხართ, რომ თქვენის უყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადღებობით და ბედოვლათობით ასეთი სირცხვილი მაჭამეთ? ჩემი სტუმრის, მოკეთისა და მოყვრის სავანებელში შედიან ქურდები და იპარავენ მის ნივთებს! ამაზე საშინელი რაღა უნდა მოხდეს!.. ახლა გიბრძანებთ: ყარაულად დაუნიშნეთ ლუარსაბ მეფეს ყველაზე მამაცი და ფხიზელი ჩაუშები, რათა დღე და ღამე თვალმოუხუჭავად დაიცვან მისი სიცოცხლე და ქონება, დღე და ღამე არ მოშორდნენ არც მის კარავს, არც თვითონ მას კარვიდან ფეხგადგმულს, თორემ... თორემ, თუ კიდევ მსგავსი სირცხვილი მაჭამეთ, ყველას დედაბუდიანად ამოგჟლიტავთ!

ადვილი მისახვედრი იყო, რომ ის ძვირფასი ჯილა სწორედ შაჰის გაწვრთნილმა ქურდებმა მოიპარეს მისი დავალებით.

მიზანი მიღწეული იყო მაღალი „ზნეობრივი სტუმარ-მასპინძლობის“ დაცვით: ლუარსაბ მეფე ვეღარსად გაიქცეოდა. მას შაჰის ძლიერი საყარაულო დაცვა ადგა თავს.

მომდევნო დღეს შაჰი ისევ მიადგა ლუარსაბს და „ალერსიანად“ უთხრა:

— ახლა მაზანდარანს გავეშუროთ მე და შენ, რამეთუ შესანიშნავი სანადიროა სამოთხისებური მაზანდარანი. წარვიდეთ, დრო ვატაროთ და შევექცეთ!

ისევ ნახატურივით უხმო და განლიგებული შეხვდა ლუარსაბი შაჰის ახალ გაწვევას.

მაზანდარანსაც მივიდნენ.

იქაც უზომოდ ინადირეს და ინადიმეს.

. . . . . .

მაზანდარანში სასიხარულო ამბავი მოუტანეს შაჰ აბასს სახრეთიდან მოჭრილმა ფაიქებმა: დაუდ-ხან უნდილაძემ პორტუგალიელები დაამარცხა, ზღვაში გადარეკა და ქალაქი გომბრუნი მთელი ზღვის განაკიდურით სპარსულ დროშებს დაუმორჩილაო!

ზეცას ეწია აღტაცება შაჰ აბასისა.

— ამიერიდან გომბრუნს დაერქმევა ბენდერ-აბასი და იქნება ერანის დიდი ნავთსადგური! — ბრძანა შაჰმა და მაშინვე დასძინა: დიდი კაცი იყო ალავერდი-ხან უნდილაძე, დიდი არს მისი უფროსი ძე იმამყული-ხან, — მაგრამ მამაზე და ძმაზე იღბლიანი მგონია მე უმცროსი უნდილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა და უფრო „ხალისიანად“ მიუბრუნდა ქართლის მეფის „საქმეს“.

. . . . . .

აქ, მაზანდარანში, ბოლოს და ბოლოს უნდა თქმულიყო, რას უპირებდა შაჰ აბასი „სიყვარულსა და ალერსში ჩაძირულ ტყვეს.

და უთხრა კიდევაც აბასმა ლუარსაბს: ქრისტიანობა უნდა დაგდო და მაჰმადიანობა უნდა მიიღო!

„რაო?! ქრისტიანობა განვუტეო და ისლამი ვიტვირთო? მაშასადამე, მე — ქართველთა მეფე ლუარსაბმა, ძემან გიორგისამან და შვილიშვილმან დიდი სვიმონისამან — ქართველობა დავაგდო და გავთათრდე?!“

— არასოდეს არ მოხდება ეს! — გადაჭრით თქვა ლუარსაბმა.

შეუჩნდა შაჰი. აღუთქვამდა უთვალავ სიმდიდრეს, პატივს, აღზევებას. მაგრამ ვერ იქნა და „ვერ მძლე ექმნა“.

ისევ რისხვას და მუქარას მიმართა შაჰმა, მაგრამ ლუარსაბმა „არად შერაცხა რისხვა მძლავრისა, არამედ ეგო, ვითარცა ანდამატი და შეუძვრელ, ვითარცა კლდე, და უშიშ იყო, ვითარცა ლომი საყოფელსა თვისსა“.

ბრძანა შაჰმა, შეიპყრეს ლუარსაბ მეფე და ჩააგდეს ასტრაბადის ციხეში.

(ხმები დადიოდა — გიორგი სააკაძემ ჩააგონაო შაჰს ლუარსაბის შეპყრობა).

მერე შირაზს გადაიყვანა და გულაბყალას ციხეში ჩააგდო შაჰმა ქართველთა მეფე.

(ხმები დადიოდა — გიორგი სააკაძემ ჩააგონაო შაჰს ლუარსაბის გადაყვანა გულაბყალას, რადგან ასტრაბადს შეიძლება ზღვით რუსები მოადგნენ და გაიტაცონო ქართველი მეფე).

. . . . . .

იმ დღეს გიორგი სააკაძეს წვეულება გაემართა.

სტუმრად გათათრებული ქართველებიც იყვნენ და „ქართველთა მოყვარული“ სპარსელი დიდებულებიც.

ის იყო სანადიმო სუფრას მიუსხდნენ, რომ დარბაზში ჭაბუკი შემოვიდა, ტანით მძლავრი და ახოვანი, სახით ჭკვიანი და დიდად მეტყველი.

ფეხზე წამოვარდა სააკაძე, მიეგება, თაყვანი სცა და ოდრიკალად მოკეცილი წარუძღვა სუფრისაკენ. თავის ადგილზე დააბრძანა, ხოლო თვითონ მოწიწებით დაუდგა გვერდით.

ქართველებიც წამოშლილიყვნენ და მდაბლად ესალმებოდნენ სტუმარს.

სპარსელები სახტად დარჩნენ. სააკაძე შაჰსაც არ ეთაყვანება ისე, როგორც ამ ჭაბუკს დაეგო ფეხქვეშო. მაინც ვინ არის ჩვენი ახალი სტუმარიო, იკითხეს აქეთ-იქიდან.

ხოსრო-მირზა გახლავთ, ძე ჩემი ხელმწიფისა და პატრონის დაუდ-ხანისა, — საზეიმო ხმით გამოაცხადა მასპინძელმა.

— მაშ, ბაგრატ-მირზას ძმა ყოფილა, — წამოიძახა რომელიღაც სპარსელმა.

— დიახ, უმცროსი ძმა, — დაუდასტურა გიორგიმ.

ხოლო ქართველებს აღარაფერი უკითხავთ, რადგან ისინი ისედაც კარგად იცნობდნენ ხოსრო-მირზას. იგი დაუდ-ხანს ერანში შეეძინა საქართველოდან წაყვანილი წავკისელი გლეხის ქალისგან, ასე რომ, ხოსრო-მირზა ბაგრატ-მირზას ნახევარძმა იყო. ბაგრატ-მირზა, დაუდ-ხანის „კანონიერი შვილი", თავიდანვე დიდ პატივში იყო შაჰის კარზე, ხოლო ხოსრო-მირზა „მირზა-ბატონიშვილად" არც ითვლებოდა. მას „ხარჭის ნაშობს", გინა „ნაბუშარს" ეძახდნენ და გიორგი სააკაძის ჩამოსვლამდე ისფაჰანში დედასთან ერთად დიდ ხელმოკლეობასა და უპატიურობაში ცხოვრობდა.

ახლა გიორგი სააკაძეს „რატომღაც" თვალი დაუდგამს ამ ყმაწვილისთვის, ხელს უმართავს, მფარველობს, შაჰის კარისკენ ეჭაჩება და „რაღაცასთვის" ამზადებს კიდეც.

ადრე სააკაძე დიდი სვიმონ მეფის ყმად აცხადებდა თავს, ახლა კი აუჩემებია — ჩემი „ხელმწიფე და პატრონი" დაუდ-ხანი იყოო (ქართველი ხალხის გამყიდველი და მოღალატე დაუდ-ხანი?!).

არა, — „რაღაცას ახალს" ამზადებს გიორგი სააკაძე!

„რაღაცა კი არა, აშკარაა — ლუარსაბ მეფის „მეტოქი" გამოუძებნია სააკაძეს", — დაასკვნეს ქართველებმა...

ვისაც რა უნდოდა, ის „დაესკვნა" და, — მეორე დღეს შაჰ აბასის „საზეპურო ერის" დარბაზობაზე გიორგი სააკაძის გვერდით იდგა ხოსრო-მირზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსეთში დედა-დედოფალი ყოველთვის ქართველ მეფეთა შთამომავალია.

ჯონ ფრაიერი

საქართველოდან დაბრუნებულ შაჰ აბასს ქართველთა „მძულვარების სამთვარიო“ სჭირდა.

მთელი თვე ქართველები სძულდა, განურჩევლად — გათითრებულიც და გაუთათრებელიც.

მთელი თვე გიორგი სააკაძე სასახლეს არ გაჰკარებია, რადგან მან კარგად იცოდა, როდის სძულდა და როდის უყვარდა ქართველები ბნედიან მბრძანებელს.

დრო დაუდგათ ქართველთა და სომეხთა მოძულე ყიზილბაშებს.

მკითხველმა იცის, — შაჰ აბასს ქართველი ქალისაგან, თამარ ამილახორის ასულისაგან, ესვა უსაყვარლესი უფლისწული სეფი-მირზა, მამაცი და გასაოცრად მშვენიერი ჭაბუკი, რომელიც მამას უცილო ტახტის მემკვიდრედ ჰყავდა ხელდასხმული.

ყველას უყვარდა კეთილი, მომხიბლავი ჭაბუკი.

ლექსებს თხზავდნენ და სიმღერებს მღეროდნენ სეფის სახელზე.

ცოლიც ადრევე შეერთო შაჰს სეფი-მირზასთვის. ისიც ქართველი ქალი, შალიკაშვილების ოჯახიდან...

ერთ დღეს ყიზილბაშმა დიდებულებმა სეფი-მირზას წერილი გაუგზავნეს — მამაშენი ტახტიდან უნდა გადავაგდოთ და მის ნაცვლად შენ გაგამეფოთო.

სეფი-მირზამ წერილი მამას მიუტანა. შაჰი აღტაცებული გადაეხვია თავის შვილს.

მაგრამ ბოროტი ეჭვის ჭია მაინც ჩაუჯდა გულში შაჰ აბასს: ერთიც არის და, მართლა მოუნდესო ჩემს შვილს ჩემი მოკვლა და ტახტის წართმევაო!

მერე, სეფი-მირზას ძარღვებშიც წყეული ქართველის სი-

სხლი დაედინება და... ძალიან მოყვარულნი არიან ქართველნი ძალაუფლებისა, ძალიან! ისე ძალიან, სიცოცხლესაც რომ არ დაზოგავენ ძალაუფლების მოსახვეჭად!

ოჰ, ეს წყეული ქართველები!..

მთელი ღამეები შეთქმულთა ხელით მოქნეული სატევარი ელანდებოდა შაჰ აბასს.

ყოველ ღამით სამჯერ-ოთხჯერ იცვლიდა საწოლს.

და სწორედ ახლა, როცა ეჭვის თესლი ჩაგდებული იყო და შაჰსაც ქართველების მძულვარების თვე უდგა, წერილი მისწერეს ხელდაურთველად: შენი შვილი სეფი-მირზა გღალატობს, სიკვდილსა და შაჰინშაჰის ტახტის წართმევას გიპირებსო!

გველის კაჭრობა დაემართა შაჰ აბასს.

ხოლო, როცა გონება „დაეწმინდა", ყარჩიხა-ხანი გამოიძახა და უბრძანა: ახლავე სეფი-მირზა უნდა მოჰკლა და მისი მოკვეთილი თავი მომიტანოო!

რაო?! სეფი-მირზა უნდა მოვკლაო?! შაჰს შვილი მოვუკლაო?!

ჭკვიანი კაცი იყო ყარჩიხა-ხანი, დაკვირვებული და ანგარიშიანი, წარმომავლობით სომეხი, ბავშვობიდან ტყვედწაყვანილი და გამაჰმადიანებული.

მან შაჰის ხასიათი შაჰზე არანაკლებად იცოდა.

ხმალი შემოიხსნა, გვერდზე ისროლა და შაჰის წინაშე დაემხო.

— უბრძანე, მე თვითონ გამაგდებინონ თავი, ვიდრე შაჰის ვაჟზე აღვმართო ხელი! — შეჰბღავლა ყარჩიხამ.

— კარგი, წადიო, — თქვა შაჰმა.

ყარჩიხა-ხანი რომ გავიდა, შაჰმა ბებუთ-ხანი გამოიძახა — საქართველოდან წაყვანილი და გათათრებული ბებუთაშვილი. გამოიძახა და ახლა იმას უბრძანა, სეფი-მირზა უნდა მოკლა და სასწრაფოდ მისი წარკვეთილი თავი უნდა მომართვაო.

ბებუთ-ხანმა უყოყმანოდ იტვირთა შაჰის ბრძანების აღსრულება. მკვლელობაც მაშინვე გაიაზრა და განჭვრიტა.

სეფი-მირზა სანადიროდ იკაზმებოდა.

ბებუთ-ხანიც უნდა ხლებოდა.

ცხენი მიართვეს უფლისწულს.

ის იყო, უზანგში ფეხშედგმულმა სეფიმ ტანი უნაგირისაკენ აიქნია და ბებუთ-ხანის ხელში ხმალმა გაიბრკიალა.

უსულოდ დაეცა ერანის ტახტის მემკვიდრე, — ქართველის ხელით ქართველი ქალის ნაშობი.

თავი წარკვეთა, ქოჩრით აიტაცა და სასახლისაკენ გააქანა.

შაჰ აბასი უგონო თვალებით დაშტერებოდა შვილის თავს.

შვილი მკვდარი იყო, მაგრამ აღარც მამა იყო ამ სოფელს.

ქალის შემზარავმა კივილმა გამოარკვია არყოფნისაგან.

თამარი შემოიჭრა, თმაგაშლილი და ჭკუაშეშლილი, შვილის თავი გამოჰგლიჯა ქმარს ხელიდან, მკერდში ჩაიკრა, სახე დაუკოცნა ცრემლების თხევით.

აბასს მივარდა შეშლილი ქალი, სილა დაუშინა სახეში, ფრჩხილებით ღაწვები დაუხოკა და სისხლი დაადინა თვითონ სახედალეწილმა და სისხლდადენილმა.

— საზარელო ბოროტო, სისხლისმსმელო ნადირო, რატომ მოჰკალი ჩვენი შვილი, როგორ გაიმეტე საკუთარი სისხლ-ხორცი, ვინღა გინდა გაამეფო იმის სანაცვლოდ, რატომ გასწირე შენი ქვეყანა, რა დაგიშავა ჩემმა შვილმა, რომელსაც შენ ასე უყვარდი?! — შეჰკივლა და სცემდა ქალი კერპადქცეულ კაცს.

კერპიც გადნა, გალღვა, ცრემლად გასკდა და ენაც ამოიდგა:

— რა ვქნა... მისი ღალატი შემატყობინეს... ალლაჰმა სიკვდილი ინება და ახლა რაღა ეშველება!.. ასე მოხდა!..

ათი დღე-ღამე ბნელში ჩაიკეტა მგლოვიარე შაჰი.

ათი დღე-ღამე ტიროდა და ჰგოდებდა ცრემლშეუშრობლად.

ათი დღე-ღამე არ სჭამდა, არ სვამდა, არავის იკარებდა.

მეთერთმეტე დღეს გამოვიდა, მოტეხილი და მოთელილი.

ბრძანა: სანამ ცოცხალი ვარ, უბედური სეფი-მირზას სახელი არავინ ახსენოს, არც ვინმემ მის სახელზე ლექსი დაწეროს, არც ვინმემ იმღეროს ჩემი საყვარელი შვილის სახელზეო.

მერე ყველა გაიხსენა, ვინც სეფი-მირზას მოკვლაზე კვერი დაურტყა. და ყველას თავები დააყრევინა.

ბოლოს ბებუთ-ხანი გამოიძახა და უბრძანა: ჩემი შვილის

თავი რომ ისე უცებ მომირბენინე, ახლა შენი შვილის თავიც მომიტანეო სასწრაფოდ!

ბებუთ-ხანმა ისევ „პირნათლად“ შეასრულა მეფის ბრძანება: მოჰკლა საკუთარი შვილი, მოჰკვეთა თავი და მიართვა შაჰს!

— ამიერიდან გეცოდინება, რა განიცადა ჩემმა გულმა, როცა შენ მე მომიკალ შვილი. შეგიძლია თავი ინუგეშო: ახლა მე და შენ ერთ ბედქვეშა ვართ! — უთხრა შაჰმა ბებუთ-ხანს.

. . . . . .

შაჰ აბასს სეფი-მირზას გარდა კიდევ ჰყავდა ვაჟები, რომელთაც იმედი უნდა გახსნოდათ ტახტის მემკვიდრეობისა.

მაგრამ შაჰს მაინცდამაინც საყვარელი და გამორჩეული შვილის ნაშიერი უნდოდა მემკვიდრედ.

ამიტომ ერანის მომავალ მბრძანებლად შაჰ აბასმა სეფი-მირზას ძე მოინიშნა — ს ა ა მ-მ ი რ ზ ა, რომელიც მამამისის სიკვდილის ჟამს ორი წლისა იყო.

ასე აჯობებსო, ფიქრობდა შაჰი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საამ-მირზა ჩემი საყვარელი ძის ძე არისო, მეორეც — სანამ საამ-მირზას სამეფო კბილი ამოუვა, მანამ ჩემი დამხობის განზრახვა არ გაუჩნდება ყრმა უფლისწულსო...

. . . . . .

იმ „უბედურ წელს“ კიდევ ორი უსიამო ამბავი შეიტყო შაჰ აბასმა: კახეთის აჯანყება და თურქთაგან ომის განახლება.

„თურქების სისხლს ვსვამ და კახელების სისხლი უნდა დავლიოო!“ კბილების ლაწალუწით დაიღმუვლა ერანის ლომმა.

სისხლიანი ალავერდობა

სანამ შაჰ აბასი ლუარსაბ მეფეს მოინელებდა, მანამ ქუთათისში თეიმურაზ კახთა მეფე, გიორგი იმერთა მეფე და ოდიშისა და გურიის მთავრები სპარსეთის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

ქართველმა მეფე-მთავრებმა სტამბოლის სასულთნო კართან გააბეს ურთიერთობა. ისევ „მეტი გზა“ არა ჰქონდათ „საქართველოებს“: თუ მოახერხებდნენ, ისევ უნდა მოეშველიებინათ ერთი მტრის ძალა მეორე მტრის დასამარცხებლად.

მაგრამ, რაკი „ალია და ოსმანა ორივე თათარია“, — მთავარ ძალად მაინც საკუთარი სისხლი და ძვალ-ხორცი უნდა დაეძაბა დაშლილ და დაქცეულ ქვეყანას.

დასავლეთ საქართველოში მყოფ თეიმურაზ პირველს კახეთთან კავშირი არ გაუწყვეტია. მან ყოველდღე იცოდა, რა ხდებოდა გრემის სასახლეში.

თურმე ისა-ხანი, თეიმურაზის ბიძაშვილი (გიორგი ალექსანდრეს ძის გათათრებული ვაჟი), შაჰ აბასმა რომ კახეთის მმართველად დასტოვა — კახეთიდან სპარსეთს გაქცეულა. გაქცევის მიზეზი — მუდმივი შიში სიკვდილისა, ყოველი პატრიოტი კახელის თვალებიდან რომ უცქერდა რენეგატს!

1615 წლის მაისში ზავი ოსმალეთსა და ერანს შორის, „მსგავსად ბავშვების ხელით ქვიშაზე აგებული გოჯილა სახლებისა, დაინგრა და დაიშალა“, და ომი განახლდა.

ოსმალეთის სასახლის კარზე მაშინ ორი მ ე ჰ მ ე დ ფ ა შ ა პირველობდა — ო ქ უ ზ მ ე ჰ მ ე დ ი და გ უ რ ჯ ი მ ე ჰ მ ე დ ი.

გურჯი მეჰმედ ფაშა წარმომავლობით ქართველი იყო, ყრმობისას საქართველოდან მოტაცებული, სტამბოლის ბაზარზე გაყიდული და გათათრებული.

სულთანმა აჰმედ პირველმა (1603—1617 წწ.) ოქუზ მეჰმედი ერანის წინააღმდეგ გამზადებული ჯარების სერასქერად დანიშნა, ხოლო გურჯი მეჰმედი მთავარი ვეზირის თანამდებობაზე დასვა და თავისთან დაიტოვა „მარჯვენა ხელად“.

22 მაისს ოქუზ მეჰმედ ფაშა უზარმაზარი არმიებით სტამბოლიდან გამოვიდა და სპარსეთის საზღვრებისაკენ გაემართა.

თეიმურაზმა მაშინვე აფრინა შიკრიკები კახეთიდან.

კახელები ისედაც საომრად იყვნენ ალესილნი.

აჯანყებას დავით ჯანდიერი (ასლანიშვილი) მეთაურობდა.

15 სექტემბერს, ალავერდობის დღესასწაულზე, ალავერდის ეკლესიას მიაყენა ხალხი დავით ჯანდიერმა.

ალავერდის ციხე-გალავანში სპარსელთა ციხიონი იდგა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ შაჰ აბასისგან ჩაყენებული. ბუნებრივია, ხალხის შიგ შეშვება დაუშვებელი იქნებოდა.

მაგრამ დავით ჯანდიერს სპარსელები კარგად იცნობდნენ და კიდევაც ენდობოდნენ, ვითარცა „შაჰის ერთგულ დაუდბეგ გურჯს". აკი შაჰ აბასს დავით ჯანდიერი, ნოდარ ჯორჯაძესთან ერთად, ისა-ხანის „ვექილად" და თანაშემწედ ჰყავდა დატოვებული. თანაც ახლა, როცა ისა-ხანი გაქცეულიყო, დავით ჯანდიერი იდგა შაჰის „მთავარ კაცად" კახეთში...

დავით ჯანდიერმა ყიზილბაში მეთაურები გამოიხმო და უთხრა: დღეს ქრისტიანთა დღესასწაულია, ალავერდობა, და აქაურებს არ შეუძლიათ ალავერდის ტაძარში რომ არ ილოცონ, ამიტომ შეუშვით ხალხი, წირვა-ლოცვა აღავლინონ და ისევ უკან გამობრუნდებიანო; ხოლო თავდები მე ვიქნები იმისა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად გათავდებაო.

მეციხოვნენი ჯანდიერს ენდვნენ და გალავანის კარი გააღეს.

კახელები შევიდნენ, ტაძარში ილოცეს და იგალობეს, ტაძრიდან გამოვიდნენ და...

უეცრად დავით ჯანდიერმა, ნოდარ ჯორჯაძემ და თამაზ ვაჩნაძემ ხმლები იშიშვლეს, ყიზილბაშთა მეთაურებს დააძგერეს და ძუძუ-გული შეუნგრიეს.

სანამ დანარჩენი სპარსელები გონს მოეგებოდნენ, გალავანში შემოსულ ყოველ კახელს ხმალი ამოეშიშვლებინა და უწყალოდ სჩეხდა მისგანვე წინასწარ „ამორჩეულ" სპარსელს.

ალავერდის ეზო ერთბაშად დაირეცა და დაიხერგა ერანელთა გვამებით.

მაშინვე თეიმურაზთან აფრინეს კაცი დავით ჯანდიერმა და ნოდარ ჯორჯაძემ: ყიზილბაშთა ციხიონი განადგურებულია, კახეთის აჯანყება დაწყებულია, სასწრაფოდ მობრძანდით, გვიმეფეთ და გვიმეთაურეთო.

გამოექანა თეიმურაზი იმერეთიდან.

გიორგი მეფე, ლევან დადიანი და მამია გურიელი სახელდახელოდ შეყრილი ჯარებით მდინარე არაგვამდე მოჰყვნენ სტუმარს.

არაგვზე დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე შეეგებნენ კახელთა ჯარით.

იმიერ და ამიერ ქართველთა შეხვედრისა და სჯა-ბაასის შემდგომ იმერეთის მეფე-მთავარნი უკან გაბრუნდნენ.

კახეთი აჯანყების ხანძარში გახვეული დახვდა თეიმურაზს.

ყველა ციხესიმაგრესა და ციხე-ქალაქში გამძვინვარებულ მამულიშვილთა რაზმები უწყალოდ მუსრავდნენ ყიზილბაშურ ციხიონებს.

კახელთა აჯანყების ამბავი რომ შეიტყვეს, მეზობელი შირვანელებიც აღსდგნენ სპარსელებთან საომრად. აქაურებს სათავეში ჩაუდგა დელუ-მელიქი, ანუ მელიქ ფირი.

დელუ-მელიქმა, რაკი „თავზე აჯანყების ჩალმა მოიხვია", თეიმურაზთან კაცი აფრინა, ერთგულების ფიცი შეუთვალა და ქართველი მეფის მეთაურობით შაჰ აბასის წინააღმდეგ კახელთა და შირვანელთა ერთობლივი ომი შესთავაზა.

თეიმურაზსაც რაღა ეთქმოდა სასიამოვნო დასტურის მეტი. შირვანიდან ყიზილბაშური საფრთხის ნაცვლად კახეთს მეგობარი თანამებრძოლნი ეგულებოდა.

უფრო გულმიცემით უტევდნენ კახელები მტერს.

სადაც კი თეიმურაზი, დავით ჯანდიერი, ნოდარ ჯორჯაძე და თამაზ ვაჩნაძე გაიელვებდნენ თავისი რაზმებით, მაშინვე სპარსელები „საყელოს ხელში აძლევდნენ ქართველებს".

. . . . . .

კახეთის აჯანყების ჟამს ქართლი „თავისთვის იყო", გულგრილი და გამტკნარებული.

გიორგი სააკაძეც ჩამოსულიყო შაჰის ნებართვით ნოსტეში, „მამულის დასახედავად".

მეზობელმა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა შეიტყო გიორგის ჩამოსვლა.

ეს ქაიხოსრო ჯავახიშვილი გახლდათ, გიორგის შიშით იმერეთს რომ გარბოდა ცოლშვილიანად, გიორგიმ რომ მტროობა აპატია, უკანვე მოაბრუნა და მისსავე მამულში დაამკვიდრა გულდანდობილად.

ახლა ქაიხოსრომ „სამაგიეროს მიგება" გადაწყვიტა დიდსულოვანი მეზობლისადმი.

ფარსადან ციციშვილს ეწვია ქაიხოსრო — „ქართლის გამ-
გებელსა“ და გიორგი სააკაძის მოსისხლე მტერს.

ეწვია და მოახსენა: გიორგი სააკაძე გამოჩნდა ნოსტეში, ჯარი მომეცი და შევიპყრობ, ან წუთისოფელს გამოვასალმებ ქართლის მოღალატესო.

სამასკაციანი ჯარი მისცა ციციშვილმა ჯავახიშვილს.

შუაღამისას დაეცნენ თავს სააკაძის სახლ-კარს.

ვიღაც ერთგულ კაცს გაეფრთხილებია გიორგი წინასწარ. სიკვდილს გაასწრო სააკაძემ.

. . . . . .

შაჰ აბასმა მოისმინა „ერთგული მოურავ-ხანის“ საჩივარი.

მაგრამ სხვა რამ უფრო დიდი სადარდებელი გასჩენოდა შაჰ აბასს:

კახეთი და შირვანი დაჰკარგვოდა სავსებით.

თურქული ურდოც მოგორავდა ერანისაკენ.

არაგვი და წიწამური

მაგრამ „ალლაჰის ჩრდილი“, დიდი შაჰ აბასი, მაინც „დიდი ილბლის“ მფლობელი იყო.

თურქეთის სერასქერი ოქუზ მეჰმედ ფაშა უნიჭო და მხდალი გამოდგა. მაისში წამოყვანილი ოსმალური არმია ზლაზვნითა და ტაატით ალეპომდე ძლივს მოათრია, გამოსაზამთრებლად დააბანაკა და ერანთან ომი მომავალი წლისთვის გადასდო.

შაჰი გახარებული იყო.

მას ახლა ორივე ხელი გახსნოდა და ორივეს „იოლად მოუვლიდა“ — კახეთსაც და შირვანსაც.

გამორჩევით კახეთისა და მისი მეფის ჯავრი ახრჩობდა შაჰ აბასს.

თეიმურაზმა გაუბედა შაჰ აბასს ეგზომი კადნიერება?! მან არ იცის, რომ „ირემს, რაც უნდა მძლავრი რქები ჰქონდეს, მძვინვარე ლომს ფეხის დაკვრას ვერ გაუბედავს?!“

სარდალთაგან ალი-ყული-ხან შამლუ ამოირჩია შაჰ აბასმა და 15 000 მეომარი ჩააბარა — უმრავლესნი სპარსელნი, უმცირესნი — გათათრებული ქართველები.

ალი-ყული-ხანს შაჰმა თანაშემწეებად უჩინა: ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ-ხან ზიად-ოღლი ყაჯარი და სამი ამირა — ისფენდიარ-ბეგი, ფეიქარ სულთან იგირმიდორთი და დელუ-მუჰამედი (მკითხველისათვის ცნობილი, ერთ დროს ტფილისის ციხეონის უფროსი და ქართველთა მოკავშირე ტაშისკარის ბრძოლაში).

საქართველოსკენ გამოგზავნა ყველანი შაჰაბასმა. მთავარსარდალს, ალი-ყული-ხანს დაავალა: კახეთის გზები შეჰკარი, თეიმურაზი იმერეთისკენ კიდევ არ გაგექცეს, თუ მოახერხო ცოცხლად მომგვარე, თუ არა და სიკვდილს მაინც არ დაარჩინო; კახეთი ხელახლა დაიპყარ, ააოხრე და ააწიოკეო.

თვითონ შაჰი ისფაჰანიდან მაზანდარანს წავიდა გამოსაზამთრებლად და იქ ელოდებოდა გაავებული გულის დამაცხრობელ ამბებს საქართველოდან.

ქართლში შემოიყვანა არმია ალი-ყული-ხანმა.

ფრთხილად მოდიოდნენ.

წინ ქართველი „შაჰისევანები" მოუძღოდნენ მზვერავებად. ისინი გარეგნულად ერთგულებას იჩენდნენ, ხოლო ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მატყუარ ცნობებს აწვდიდნენ ალი-ყული-ხანს; დიდსა და მცირე გზებსა და გასასვლელებს ერთურთში ურევდნენ, თეიმურაზ მეფის მოძრაობის დროსა და მიმართულებებს არასწორად ატყობინებდნენ.

ალი-ყული-ხანის ჯარში ბაინდურ ერისთავი იმყოფებოდა. იგი თეიმურაზს იდუმალ უთვლიდა სპარსთა ჯარების სამოძრაო გეზსა და სარდლობის განზრახულებებს.

სპარსელებმა ტფილისი ამოიარეს, არაგვზე ამოვიდნენ და წიწამურთან დაიბანაკეს.

თეიმურაზიც წამოსულიყო ხუთი ათასი კახი მეომრით.

ბაინდურ ერისთავის წყალობით, მტრის ადგილსამყოფელი იცოდა თეიმურაზმა, შუალამისას არაგვი შეუმჩნევლად გადალახა და მოულოდნელად მიუახლოვდა სპარსელთა ბანაკს.

„გზა შემიკრეს? რა გაეწყობა, — ხმლით გავივლი ჩემს გზას!" — ბრძანა თეიმურაზმა იმ ღამით.

მეორე დღეს 5 000 ქართველი 15 000 სპარსელს შეება.

მეწინავე ჯარს ალი-ყული ხანმა მოჰამედ-ხან ზიად-ოღლი უსარდლა, მომდევნო რიგები ფეიქარ სულთან იგირმი-დორთისა და დელუ-მუჰამედს ჩააბარა. მარჯვენა და მარცხენა ფლანგები საგანგებოდ გაამაგრა, — ქართველებს რომ არ აეჩეხათ განაკიდური განლაგებანი.

თვითონ ალი-ყული-ხანი არმიის შუაგულში ჩადგა, ბრძოლის საერთო სახელმძღვანელოდ.

ბრძოლა შუადღეზე დაიწყო.

მთავარი გმირი შეიქნა თეიმურაზი.

იგი პირველი ეკვეთა გაალმასებით და გახელებით მტრის შუაკერძს შუბგაწვართული.

მიჰყვნენ კახელები აფთრული სიფიცხით.

მარჯვნივ და მარცხნივ დავით ჯანდიერი და წოდარ ჯორჯაძე იბრძოდნენ გალომებულნი.

უკუიქცნენ სპარსელები ორივე ფლანგზე.

ერანელთა შუაკერძი დაუხვდა მძლავრად მოიერიშე ქართველობას.

შუბი გადაემსხვრა თეიმურაზს.

ხმლით მიეტევა გააფთრებით.

ქართველებმა უმძაფრესი ხმალთაკვეთებით აჰკაფეს სპარსთა შუაკერძნი და მეწინავენი.

მეორე რიგში მდგარმა ფეიქარ სულთან იგირმი-დორთიმ ცადა მიშველება და წინისკენ გაჭრა, მაგრამ რომელიღაც კახელმა შემოჰკრა ხმალი სასიკვდილოდ, მეორემ მოუსწრო, შუბი აძგერა და ცხენიდან ასხლიტა უკვე სულგავარდნილი ფეიქარ სულთან იგირმი-დორთი.

სპარსელთა მესამე რიგიც გულჩუკენად შეეგება ქართველთა იერიშს. დელუ-მუჰამედმაც ზურგი აქცია საომარ თალპიონს.

თვითონ ალი-ყული-ხანი და „იშვიათად გულადი და მხნე" ისფენდიარ-ბეგი ერთხანს კიდევ მაგრობდნენ, რადგან „თავის სახელს უფრთხილდებოდნენ". მაგრამ როცა სპარსელთა არმიას ფლანგებიც და ზურგიც მოეშალა და ქართველები ყოველის მხრიდან ზარდამცემი ყიჟინით წამოემართნენ, სპარსთა მთავარსარდალს და მის თანაშემწეს „სახელის გაფრთხი-

ლება“ დაავიწყდათ და ყელს მომდგარ სიკვდილს გაექცნენ თავპირის მტვრევით.

უგზოუკვლოდ ილტვოდნენ სპარსელნი.

მისდევდნენ ქართველები და სჩეხდნენ უწყალოდ.

სპარსთაგან ბევრი, ქართველთა ხმლის შიშით გონდაკარგული, არაგვსა და მტკვარში ცვივოდა და იძირებოდა.

ტფილისისკენ მიჰქროდა ალი-ყული-ხანი, გალახული, დაფანტული და დაწყვეტილი ჯარის ნაშთებით.

დაღამდა.

წიწამურისა და არაგვის სანახები სპარსელ მაოხართა გვამებით დატვირთულიყო.

მრავალი ერანელი მხარგაკრული მიჰყავდათ ქართველებს.

დიდძალი ნადავლი, საომარი აღჭურვილობანი, კარვები, ცხენები, ჯორები, აქლემები — ჩაუვარდათ ხელში გამარჯვებულებს („საშოარი ასრე გაიაფდა, რომ სანახევროდ წამღები არ იშოვებოდა, აქლემი ერთ აბაზად გაისყიდა“).

ორი ათას ხუთასი ყიზილბაშის წარკვეთილი თავები თეიმურაზმა ძღვნად გაუგზავნა თურქეთის ხონთქარს.

(წარკვეთილი თავები ძღვნად!... ქართველებიც მისდევდნენ ავი დრო-ჟამის „მოდას“).

. . . . . .

ღიდი იყო ქართველთა გამარჯვება არაგვზე და წიწამურზე.

მაგრამ შედეგი?!

ჯერჯერობით დიდი სამამულიშვილო შემართება და შურისმგებლური წყურვილის დარწყულება!

მაგრამ თუნდაც ერთჯერ კიდევ, მეორედ, შეეძლოთ ასეთი გამარჯვების აღება მარტოდმარტო მეომარ კახელებს?!

მარტოდმარტო!

უქართლელოდ!

უმესხოდ!

უიმერლოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ის ბოროტება, რაიც თავს დაატეხა შაჰ აბასმა ქართველთა ქვეყანას, არ ძალგვიძს მოგითხროთ, რადგან ეს სიტყვის ძალას აღემატება.

არაქელ თავრიზელი

სიკვდილს გადარჩენილმა სპარსელებმა ტფილისის ციხე-გალავანს შეაფარეს თავი.

რამდენიმე ღამე შიშსა და ძრწოლაში გაატარეს, — ვაითუ თეიმურაზმა კახელთა ჯარით ტფილისზეც მოიტანოს იერიშიო.

ალი-ყული-ხანს ბოლომდე მაინც არ დაუდგა გული საქართველოს სატახტოში. ტფილისში მეთოფეთა ციხიონი ჩააყენა მურშიდ-ყული-ბეგის მეთაურობით. თვითონ განჯაში გაქუსლა, იქაურ ციხეს ჩაკეტილმა, როგორც იქნა, გონი მოიკრიბა და, რაც საქართველოში უბედურება გადახდა, ყველაფერი შაჰ აბასს აცნობა.

შაჰ აბასი ისევ მაზანდარანს იყო, როცა ქართველთა ხელით მისი არმიის განადგურების ამბავი შეიტყო.

შეიშალა და შეირყა.

„დამწველი ცეცხლივით და ზღვასავით აღელდა და აქუხდა... მისი მძვინვარების ცეცხლის ყოველი ნაპერწკალი ქვეყნიერების დამწველი მეხი იყო“.

მაგრამ ცოფისა და ლოშქრის ფრქვევა საქმეს ვერ უშველიდა, „სხვის შესახედად“ უნდა დაწყნარებულიყო და „დაწყნარდა“.

დამარცხებულ და სასიკვდილო განჩინების მომლოდინე ალი-ყული-ხანსა და მის ამირებს ასეთი შემწყნარებლური წერილი მოსწერა:

„მხედრობისა და ომის წესი ყოველთვის ასეთია, — დამარცხება და გამარჯვება ერთმანეთს სდევენ. ნუ დაღონდებით იმ მარცხის გამო, რომელიც განგების ძალით ეწია ისლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ჯარს, და ელოდეთ ჩემს მოსვლას. ღვთის შეწევნითა და ისლამის ძალით ამოიმართება შურისძიების ქარქაშიდან ქრიზოლითურად მოელვარე ბასრი ხმალი იმ ურჯულო ქართველთა დასამხობად და აღმოსაფხვრელად“.

1616 წელი იდგა.

შაჰ აბასს ერთჯერ კიდევ გადაეწყვიტა „საღვთო ომი ურწმუნო საქართველოსთან“, ქართველთა საცხოვრისის ძირფესვიანად მოთხრა და მის ნაფუძარზე „ისლამის გამშვენიერება“.

გიორგი სააკაძე გამოიძახა და ეთათბირა...

იმამ-ყული-ხან უნდილაძე მაშინ თავრიზში იყო და იქ მიიღო საქართველოში ლაშქრობის წვევა.

უარი შემოთვალა უნდილაძემ: რაღაც მძიმე ავადმყოფობამ დამრია ხელი და არ შემიძლია სალაშქრო ცხენზე ჯდომაო!

— როგორ?! ისევ უნდა დაიძვრინოს თავი უნდილაძემ საქართველოში ლაშქრობისაგან?! — აზვავდა შაჰი.

მაგრამ ისევ დაითრგუნა რისხვა, რადგან მაშინ არავინ ისე ჰკვიან და საჭირო კაცად არ ეგულებოდა შაჰ აბასს, როგორც უნდილაძე.

. . . . . .

ადრიან გაზაფხულზე დაიძრა შაჰ აბასი საქართველოსკენ, დაიძრა, „ვითარცა ვეშაპი განძვინებული“.

კასპიის ზღვის გასწვრივ მოდიოდა, ფაჰარაბადიდან გილანის გამოვლით. უკან „ზღვა ლაშქარი“ მოსდევდა, „როგორც ლურჯი ზღვა და ზღვასავით მღელვარე“. გზადაგზა აზერბაიჯანელი და შირვანელი ბეგები და ხანები ერთვოდნენ თავიანთი ძალებით ურდოს. გამდიდრების მოხარბე ბევრი მაწანწალა „მოხალისედ“ მოსდევდა შაჰ აბასს, „მუდამ მდიდარი საქართველოს“ გასაძარცვავად.

მთელს ჯარში ხმა ირხეოდა, შაჰ აბასს დაუფიცნია, ქართველებს სულ ერთიანად მონებად დავყიდი, თითოეულს თითო აბაზადო!..

განჯას მოვიდნენ. აქ ალი-ყული-ხანი და მისი მარცხის თანაზიარი ამირები გამოეგებნენ მუცელზე ცურვით. შაჰმა ყველას აპატია და ყველა „გააბედნიერა უზანგზე კოცნით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ წიწამურის მარცხისათვის ალი-ყული-ხანი შაჰმა ერთი დღე მაინც არონინა ქალის ტანსაცმლით სამხედრო ბახაკში.

განჯიდან ტფილისს მოვიდა შაჰ აბასი მთელის მხედრობით.

ქართლს ლუარსაბ მეფის წაყვანის შემდგომ მეფე აღარ ჰყავდა. შაჰის ოცნებაც ეს იყო, რომ საქართველოში ქართული ხელმწიფობა მოესპო და ახლა აქ, ტფილისში, ქართლის გამგებლად „თავისი კაცი“ დასვა — ბ ა გ რ ა ტ-ხ ა ნ ი.

ერთჯერ კიდევ უნდა შევახსენო მკითხველს: სამშობლოს მოღალატე დაუდ-ხანს (ლუარსაბ პირველის ძე, სვიმონ პირველის ძმა) ორი შვილი დარჩა — ბაგრატი (ალექსანდრე კახთა მეფის ნათესავი ქალისაგან) და ხოსრო (წავკისელი გლეხის ქალისაგან). როცა დაუდ-ხანი ოსმალეთს გაიქცა, შვილებმა სპარსეთი ამჯობინეს „დასაწინაურებლად“. ორივე გათათრდა.

და ახლა ძმათაგან უფროსი — ბაგრატი — „ქართლის ვილაიეთის ხანად“ დასვა შაჰ აბასმა (მართლაც „იღბალმა გაუჭრა“ ბაგრატ-ხანს: სხვანაირად ხომ ქართლის ხელმწიფობას იგი ისე ვერ იხილავდა, როგორც საკუთარ კეფას).

რაკი ქართლის საქმე ასე „იოლად მოაგვარა“, შაჰ აბასმა მაშინვე კახეთის მოსათხრელად გაამზადა ჯარები.

— კახეთი ყოველის მხრიდან შუაში უნდა მოვიმწყვდიოთ ნადირივით, მათი ურჯულო მამაკაცები საღვთო ომის ელვარე ხმლებით მთლიანად ამოვჟლიტოთ, ქალები და ბავშვები ტყვედ წამოვიყვანოთ, საქონელი, ძვირფასეულობანი და ყოველგვარი ქონება დავლად წამოვიღოთ. განკითხვის დღე დავუყენოთ კახეთის გურჯებს, რისხვის ცეცხლით დავსწვათ და ალმოვფხვრათ ყოველივე ნედლი და ხმელი, წავშალოთ კვალი ყოველივე შენებულისა და ყოველივე უტყვი და მეტყველი სულდგმულისა! — ბრძანა შაჰმა.

სალაშქრო მიმართულებანი და უბნებიც სასწრაფოდ განსაზღვრა აბასმა: თვითონ „მთავარი ურდოთი“ პირდაპირ დაიძრებოდა ტფილისიდან კახეთისაკენ, ალმოსავლეთიდან შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი შემოუტევდა, ხოლო ჩრდილოეთიდან — ლეკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღესტნის ფეოდალებს ეს შეუთვალა შაჰ აბასმა: ჩვენ რომ კახეთს შემოვესევით, თქვენსკენ სახიზრად წამოსული ქართველები თქვენებურად ტყვედ წაიყვანეთ, გინა ამოწყვიტეთ და ჩემგან სამაგიერო მისართმეველს ელოდეთო.

ისედაც, — ლეკებს რაღა შაჰ აბასისგან წაქეზება ეჭირვებოდათ და — „მსმენელთა მათ სიხარულით აღუთქვეს“ შაჰს კახელთა აწიოკება ჩრდილოეთიდან.

თეიმურაზს იმედი ჰქონდა, რომ ამ წლის დამდეგს თურქთა არმიები ერევანში შეიჭრებოდნენ და შაჰ აბასი საქართველოში სალაშქროდ ველარ მოიცლიდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თურქთა უნდილი და გულჩუკენი სერასქერი ოქუზ მეჰმედ ფაშა ისევ ალეპოში იცოხნებოდა, ხოლო შაჰ აბასი უკვე „სავსებით ცხადად“ ტფილისში მოსულიყო და კახეთისაკენ მოიწევდა ყოველის მხრიდან.

კახელ თავადთა ერთმა ნაწილმა ისევ „ავ ბედისწერასთან“ შერიგება არჩია, დედაწულიანად შაჰ აბასს ეწვია და მის ფერხთა მტვრად იქცა.

თეიმურაზმა „სხვა გამოსავალი“ ველარ იპოვა, თვითონ ისევ იმერეთს გაიქცა, ხოლო ქვეყანა უპატრონოდ დააგდო „განძვინებული ვეშაპის“ ხახასთან.

კახელ თავადთა ერთი ნაწილიც, რომელმაც სამშობლოს ერთგულება გულით შეინახა, ცოლ-შვილით თეიმურაზს წაჰყვა იმერეთს...

„მეორედ მოსვლის“ დღე დაუდგა უთავოდ და უპატრონოდ დაგდებულ ქვეყანას.

ყოველის მხრიდან შემოიჭრნენ მუსლიმანთა ათასეულები ცეცხლითა და რკინით.

ხალხი — თითო-ოროროად, ჯგუფ-ჯგუფად, გუნდ-გუნდად, რაზმეულებად, ან ვის როგორ მოუხდებოდა — გარბოდა „ყველგან, ყველა მხარეს და კიდეს, სადაც კი გაისვლებოდა“, სადაც თავის შეფარება, გამაგრება და სიცოცხლის გადასარჩენად ხელის გამოღება მოხერხდებოდა.

სამარ ბანაკთა გაწყობას შეუდგნენ კახელნი: ირგვლივად ღრმა თხრილებს თხრიდნენ, შიგ წყალს აყენებდნენ, გარშემო მიწაყრილებს ავლებდნენ.

ასეთ სიმაგრეს თურქები „სიღნაყს“ ეძახდნენ.

ალაზნის მარცხენა მხარე „სიღნაყებით“ დაიფარა.

შაჰ აბასის ურდო ალაზნის მარჯვენა მხარეს მოსდებოდა სიკვდილის თესვით. ამიტომაც მიილტვოდნენ დედაწულიანად კახელები ალაზნის გაღმა.

ადიდებულ მდინარეს გადადიოდნენ და ხიდებს, ნავებს, ბორნებს და ტივებს სწვავდნენ, სპარსელები რომ ველარ გადაჰყოლოდნენ გაღმა გაღწეულებს.

შაჰ აბასი არ დაერიდა წყალდიდობით აბობოქრებულ ალაზანს. მან ყველაზე მამაცი მეომრები აარჩია და მდინარის გადალახვას შეუდგა. კიდევაც გადავიდა, თუმცა ბევრი აქლემი, ცხენი და ჯორი დაეხრჩო („წყლის გზით არარაობის საძოვრებზე წავიდა“).

უმძიმესი და უსასტიკესი კაცთაკვლა გაჩაღდა და გახურდა.

სიკვდილი აჯირითდა ალაზნის ველზე.

„სიღნაყური ომი“ შემზარავი დრამით შემოიჭრა ქარიველი ხალხის „საომარ ყოფაში“.

ცივი საჭურვლის კვეთებითა და თოფ-დამბაჩის ცეცხლით მიჰქონდათ იერიშები შაჰ აბასის რჩეულ ჯარებს „სიღნაყებში“ ტანშიშვლად „ჩაკეტილ“ ქართულ ოჯახებზე.

მარტივად ითქმის: ბრძოლა იყო უთანასწორო!

რამდენი კაცის, ქალისა და ბავშვის სიცოცხლე ჩააქრო ამნაირმა „უთანასწორობამ“!

რამდენი გულის ფეთქვა ჩააქრო, — რამდენი?! — ესეც რა მარტივად ითქმება!

„რამდენის“ გვერდით იშვიათად გაგვახსენდება სიტყვა „როგორი“! — „როგორი სიცოცხლე!“, „როგორი სიცოცხლენი!“

ჭეშმარიტად, — არ კმარა საქონელივით დათვლა ადამიანებისა, — ჟამიდან ჟამზე მაინც საჭირო ხდება მათი „აწონვა“...

ხოლო სპარსელნი ყოველი „სიღნაყის“ აღების შემდგომ შაჰ აბასს წარკვეთილი თავებით „მიუთვლიდნენ“ დახოცილ ქართველთა „რაოდენობას“.

„მოსრნა, მოსტყუევნა, აჰყარნა, მოაოხრნა“, — ჩემო მკითხველო, ვახუშტი ბაგრატიონის ამ ოთხ სიტყვაში რა „თვლით“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „წონით“ უნდა მოთავსდეს შაჰ აბასისგან კახეთში დატრიალებული ავკაცობა?!

ერთმა სპარსელმა ყორჩიბაშმა (ყორჩების, ანუ ცხენოსანთა გვარდიის მეთაური) ერთ იუზბაშს (ასმეთაური), სახელად ჰ ო ს ე ი ნ-ბ ე გ ს, უბრძანა: იმ ტყე-მაღნარში ჯარი შეიყვანე და კარგად მოჩხრიკე, იქნებ ქართველები აღმოჩნდნენ თავშეფარებულიო.

შევიდა ჯარით ჰოსეინ-ბეგი, დიდხანს არღვია უსიერი ტყის ტევრები და ბოლოს მართლა წააწყდა უზარმაზარ სიღნაყს, რომელშიც თურმე ათი ათასამდე კაცი, ქალი და ბავშვი ყოფილა შეხიზნული. სიმაგრეს ირგვლივ წყლით სავსე თხრილი ერტყა, მხოლოდ ერთ ვიწრო გასასვლელთან გაედოთ ხიდად ხის ნამორი.

სიღნაყიდან ადამიანის ბაიბური არ ისმოდა.

გათამამებულმა და იოლი ნადავლის სურვილით შეპყრობილმა ჰოსეინ-ბეგმა უმამაცესი ყორჩიები და ღულამები აარჩია, ცხენებიდან დააქვეითა და ფეხდაფეხ შეგზავნა იმ ძელის ხიდზე.

საფარში მიმალულმა ქართველებმა მტრის რაზმს სიმაგრეში შემოსვლა აცალეს, მერე ერთბაშად ზურგიდან ის ერთადერთი „ხიდი“ ჩაუქციეს და ყოველის მხრიდან მიესივნენ გამძვინვარებით.

მხოლოდ რამდენიმე ფეხმარდმა სპარსელმა მოახერხა თხრილში გადახტომა, წყლის გადაცურვა და სამშვიდობოს გაღწევა. დანარჩენები ერთიანად შეაწყდნენ ქართველთა შურისმგებლური ხელით ნაძგერალ ხმალს, ნაჯახს, ცელსა თუ ფიწალს.

შაჰი გაცოფდა, როცა მისი ჯარის ამოწყვეტის ამბავი შეიტყო. იუზბაშ ჰოსეინ-ბეგი გამოიძახა და გესლად ანთხია პირში:

— სიღნაყს რომ მიადექი, გევალებოდა ჯერ იქ ჩასაფრებული მტრის რაოდენობა შეგეტყო და შესასვლელ-გამოსასვლელი გზებიც დაგედგინა; ყოველივე ეს შენი მეთაურისათვის უნდა შეგეტყობინებინა და შემდეგ გემოქმედნა ისე, როგორც იმ მეთაურისაგან გქონდა ნაბრძანები. შენ კი რად გაუშვი თვითნებურად მთელი ჯარი უმეთაუროდ ქართველთა

სიმაგრეში ასე გაუგებლად და უანგარიშოდ? ხოლო თუ ჯარისკაცებმა შენის ნებართვის გარეშე ჩაიდინეს ეს დაუდევრობა, შენ მაინც უნდა გეზრუნა მათ დაცვაზე და გადარჩენაზე; ბოლოს და ბოლოს, შენც დანარჩენი ჯარებით სიღნაყში უნდა შეჭრილიყავი, წესი და რიგი მოითხოვდა, საბრძოლველად აგენთო მეომრები, რათა შენგან გამხნევებულებს ეომათ და, თუ ბრძოლის მოგება გაგიჭირდებოდა, უკანდახევა და უკანგამოსვლაც ჯართან ერთად უნდა მოგეხერხებინა.

საიქიოში გაატანა მარცხიან სარდალს ეს „საომარი შეგონებანი“ შაჰ აბასმა. ჯალათებს ანიშნა და ისინიც გახელებული მისცვივდნენ ჰოსეინ-ბეგს, ჯარის წინ გამოათრიეს, დედიშობილად გაატიტვლეს, ცხვირ-პირი და ყურები დაათალეს, საწულოები მოაგლიჯეს, ასე დასახიჩრებული ლაშქრის წინ ჩამოატარეს და ბოლოს, „როგორც იქნა“, თავი გააგდებინეს.

შაჰ აბასმა ამ „ჭკუისსასწავლ[illegible]ელი სანახაობის“ შემდგომ ყორჩილაი-ბეგი გამოიძახა, დიდი მხედრობა ჩააბარა და იმ სიღნაყის დასანგრევად და იქაური „სიღნაყელების“ ამოსაწყვეტად გაგზავნა.

ყორჩილაი-ბეგმა სიღნაყი წინასწარ იდუმალ დაზვერა, ირგვლივ ხანდაკზე რამდენიმე სახელდახელო ხიდი გასდო და იერიში ბრძანა.

ქართველებს ხანდაკებზე ჯებირები გაეწყოთ და იქიდან უშენდნენ ისრის ბარანს.

ყორჩილაი-ბეგმა უსაზმნო იერიში შეაჩერა, ზარბაზნებიდან ცეცხლი გახსნა, ის ჯებირები მიანგრ-მოანგრია და ისევ იერიში ბრძანა.

სპარსელები სიღნაყში შეიჭრნენ გავეშებულნი.

ქართველებიც დაუხვდნენ თავგანწირულნი.

გვიან ღამემდე გაგრძელდა უწყალო ხოცვა-ჟლეტა.

რიცხვმრავალ მტერთან რკენით დაქანცულ ქართველთაგან ოთხასმა თუ ხუთასმა კაცმა ცოლ-შვილი ცხენებზე შემოიგდო, ალყა გაარღვია და დაღესტნის მთებისკენ მიმლტოლვარნი წყვდიადში გაუჩინარდნენ.

დანარჩენი ქართველები მეორე დღესაც შეეგებნენ ახალი ძალებით მოიერიშე მტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს აღარ იყო ბრძოლა გამარჯვებისათვის, არამედ — მხოლოდ ლამაზი სიკვდილისათვის!

უკლებლივ ყველა ქართველი ვაჟკაცი ისლამური „კრიალა ხმლის ლუკმა შეიქნა“.

ქალები და ბავშვები ტყვეებად დაიტაცეს.

ნადავლიც დაინადავლეს.

მერე დანარჩენ „სიღნაყებს“ მისდგნენ.

და ყველგან, ყველა „სიღნაყი“ სპარსელებმა „ღვთის შეწევნით და ხელმწიფის მარადიული იღბლის წყალობით, ისლამის მძლავრი ხელით და მუსლიმური მკლავის ძალმოსილებით, დალეწეს და მიწასთან გაასწორეს“.

ოცი დღე-ღამე გაგრძელდა „სიღნაყური ომები“.

ოცი დღის შემდგომ შაჰ აბასი ისევ გადმოვიდა თავისი მხედრობით ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, მთავარ ბანაკში.

აღმოსავლეთის მხრიდან, შაჰის ბრძანებით, შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი შემოიჭრა კახეთში. სასტიკი თავგანწირულებით ეკვეთნენ კახელნი ცეცხლითა და მახვილით მოჭენავე მტერს.

უმძაფრესი ბრძოლები გაჩაღდა ძაგემის მხარეში. აქაური ქართველები, „რომლებიც დიდად ღირსეულ ხალხად არიან სახელგანთქმულნი“, შაჰის ჯარებთან სამკვდრო-სასიცოცხლო „ბრძოლისათვის გამოქანებულიყვნენ“. სპარსელებმაც „მამაცობის ფეხი გულადობის ასპარეზზე შესდგეს“.

და გახურდა უმძიმესი, სისხლდამდინარი ხმალთაკვეთება.

არც ძაგემელ კახელებს შეეძლოთ ტანდაუშრეტელი მდინარებით მომავალი ისლამიტური არმიების შეკავება.

„ისლამის ხალხს ღვთის დახმარება მოევლინა, ქართველები დამარცხდნენ და ბევრი მათგანი დაიღუპა საღვთო ომის მახვილისაგან. მცირედი რიცხვი აქეთ-იქით გაიფანტა. სპარსელებმა მათი საცხოვრებლები დააქციეს და ქალაქ ძაგემში კვალიც აღარ დატოვეს მოსახლეობისა“.

ასე მოხდა მთელს კახეთში.

უომრად და უსიკვდილოდ არაფერს თმობდა გმირი კახელი.

ყოველი გოჯი მიწისა, ყოველი დიდი და მცირე შენებულება, ყოველი ხევი და გზა-ღვარჭნილი მრავალი სიცოცხლისა და სისხლის საფასურად უჯდებოდა ერანის მბრძანებელს.

„რაც კახეთის ქართველობას ხოცვა-ჟლეტა, რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა თავს დაატყდა, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან დღემდე“.

ინგრეოდა, ირღვნებოდა, იმზვლეოდა და იჟლიტებოდა კახეთი — ერთ დროს ბედნიერი, დიდი ქართული ქვეყანა!

იავარყოფას ვერ გადაურჩა ვერც ერთი ქალაქი და სოფელი, ვერც ერთი ციხე და სასახლე, ვერც ერთი ტაძარი და ეკლესია, ვერც ერთი სახლი და შრამელი.

მრავალი სოფელი სამუდამოდ ამოწყდა და აღიგავა პირისაგან მიწისა...

(რა მარტივად ითქმის ეს სიტყვა!)

ანგრევდნენ ყოველ ნაშენებს.

ჩეხდნენ და ძირფესვიანად თხრიდნენ ვენახებს, ბაღებს.

იტაცებდნენ ქართველი კაცის ნაოსტატარ-ნაჭედ ნივთებს, სამკაულებს, შაჰ აბასის სახაზინოდ და „ხარჭათა აღსამკობელად“.

მოერეკებოდნენ ტყვეებს, — „ზოლეიხას მსგავს, საოცრად ლამაზ ქალწულებს და უწვერულ, იოსებ მშვენიერის ღაწვებიან, ხალებით დამშვენებულ ყმაწვილებს“.

ასი ათასი კახელი შეაწყდა მტერს იმ უბოროტეს წელიწადს.

ას ორმოცდაათი ათასი ტყვედ გაირეკეს ყიზილბაშებმა.

ქართველი ქალის მოთქმა-გოდება ჰზარავდა სიცხით გათანგულ ერანის ცისგვამს.

სამშობლოწართმეული ქართველი ბავშვის მდუღარე ცრემლი ადუღებდა ისედაც ცხელ ერანულ მიწას.

მათთვის აღარ არსებობდა სამშობლო კახეთი, სამშობლო საქართველო.

მათი გულიდან და გონებიდან უნდა ამორეცხილიყო სალოცავი სიტყვები — „ქართველობა“ და „საქართველო“.

მათი „საქართველო“ ამიერიდან იქნებოდა ერანი, გინა სპარსეთი.

მათი „კახეთი“ ამიერიდან იქნებოდა ფერეიდანი, გინა მაზანდარანი, გინა ხორასანი, გინა ფეროჰაბადი.

. . . . . .

შაჰ აბასი კარვის წინ იდგა, ბრწყინვალედ მორთულ-მო-

ცაზმული, ქრისტიან ქართველთა სისხლით დამთვრალი და გათათრებულ ქართველთა ამალით გარსშემორტყმული.

გიორგი სააკაძეც აქ იყო...

აგერ, მერამდენე „ჯოგი“ ჩამოატარეს ქართველ ქალთა და ბავშვთა ტყვეებისა!

უკან სპარსელი მეომრები მოსდევდნენ შოლტების სტვენით.

უცებ ერთი ყიზილბაში მხედარი გამოიჭრა წინ, ხელში ორი აბაზიანი აათამაშა და დაიღრიალა:

— ეჰეი, დიდო შაჰ აბას, მომყიდე ერთი წყვილი გურჯი ხათუნი!

ჯერ რისხვა მოერია აბასს, მაგრამ უმალვე მოლბა, რადგან თავისი ფიცი გაახსენდა — ყოველ ქართველს თითო აბაზად გავყიდიო.

— აქ მოიტა ეგ ორი აბაზი! — უბრძანა შაჰმა კადნიერ მეომარს.

მეომარმა მოართვა ფული.

შაჰმა ჩამოართვა, ჯიბეში ჩაიჩხრიალა და უთხრა ღიმილით: ახლა მიდი და აირჩიეო ორი ქალი ქართველ ქალთაგან!...

„უტყვისა და მეტყველის მოსასაობად“

შაიღებება სისხლითა
ქართველთა მთა და ბარია,
დილის მზის სხივით იპოხენ
ქედებს კახეთის მთანია.

ვაჟა-ფშაველა

შუაგულ კახეთში მდგარმა შაჰ აბასმა 1616 წლის აპრილის ბოლოს ფრიად საშფოთარი ამბავი შეიტყო: ოსმალთა არმია, ოქუზ მეჰმედ ფაშას სარდლობით, ალეპოდან ერანის სამფლობელოთა დასალაშქრავად წამოსულა.

შაჰმა კახეთის ციხეებში სპარსული ციხიონები დატოვა, თვითონ კი სასწრაფოდ გაეშურა სამხრეთისაკენ. მარტყოფის გზით ტფილისს შეიარა, ციხე შეაკეთა, ქართველთაგან აბუჩად აგდებული ბაგრატ-ხანი ქართლის გამგებლის ადგილზე „დაამაგრა“ და საქართველოდან გავიდა.

გოგჩის ტბამდე იარა და იქ დაიბანაკა შაჰ აბასმა.

ამასობაში მეჰმედ ფაშა ალეპოდან მივიდა არზრუმს, არზრუმიდან ყარსში შევიდა, ციხე გაამაგრა და შიგ ოთხი ათას სამასი მეციხოვნე ჩააყენა, ყარსიდან პირდაპირ ერევანს მოადგა და ალყაში ჩაამწყვდია.

შაჰ აბასმა ამირგუნე-ხანს უბრძანა ერევნის დაცვა.

. . . . . .

სიკვდილს გადარჩენილმა კახელებმა გული მოიცეს საქართველოდან შაჰ აბასის წასვლით.

სამალავებიდან და სახიზარებიდან გამოვიდნენ.

ნასახლარებზე ახალ-სახლები ააგეს.

ნაღველფარ კერიაზე ღველფი გააღვიძეს.

ნაფუძვარზე ახალი ფუძე-საძირკველი ჩაჰყარეს.

ნაციხვარზე „ახალ-ციხე“ აღმართეს.

ნავენახარზე ახალი ვაზი გაახარეს.

იმერეთიდან დაბრუნდნენ დავით ჯანდიერი და თამაზ ვაჩნაძე.

დელუ-მელიქ შირვანელიც გადმოჰყვათ (კახელ ბელადებთან ერთად გადახვეწილიყო დელუ-მელიქი, შირვანის აჯანყების მეთაური, თეიმურაზ მეფის შეფიცული ქვეშევრდომი და მოკავშირე).

დაქცეული ცხოვრების აღდგინებას ჩაუდგნენ სათავეში ჯანდიერი და ვაჩნაძე.

ხალხს ასახლებდნენ, აფუძნებდნენ, ამხნევებდნენ, სულით და მკლავით განამტკიცებდნენ.

კახელებმა მეზობელი განჯის მცხოვრებლებიც აიყოლიეს და ააჯანყეს სპარსული-უღლის ჩამოსაგდებად.

სომხეთში მდგარ შაჰ აბასს მოახსენეს, რომ კახეთი „თავისას არ იშლიდა“, სიკვდილს არ აპირებდა და ახალი ქართული ცხოვრების აღორძინებას შესდგომია უტეხი სულით და უდრეკი მკლავით.

ისა-ხან ყორჩიბაში გამოიძახა ბალანაშლილმა შაჰ აბასმა.

იგი შაჰის სიძე იყო, — მამაცი მხედარი, ნიჭიერი სარდალი, ყორჩიების (ცხენოსნების) მთავარსარდალი.

(კარგად დაიმახსოვრე, მკითხველო, ისა-ხან ყორჩიბაში!).

და უბრძანა აბასმა ისა-ხან ყორჩიბაშს: ახლავე კახეთს გაეშურე და მოსპე ყოველივე — „ნედლი და ხმელი", „უტყვი და მეტყველი"!

1616 წლის შემოდგომის მიწურულს შემოიჭრა კახეთში ყორჩიბაში „ყორჩიების, ღულამების და მეთოფეების ჯარებით".

მტერი შემოიჭრა და ამინდიც გაუმტერდა ნაოხარ ქვეყანას. ნაადრევად დაზამთრდა. ხვავრიელად ჩამოთოვა. ყინვამ მოუჭირა.

ხალხმა ველარც გახიზვნა მოასწრო, ველარც ადგილზე საომრად გამზადება.

წითელი, სისხლიანი ზამთარი დადგა კახეთში.

ქიზიყის ამოჟლეტით და ამოგდებით დაიწყო ყორჩიბაშმა.

აქაური მამაკაცები ისლამის „კრიალა ხმლის ლუკმად იქცეოდნენ, ქალები და ბავშვები ძლევამოსილი ღაზიების (სპარსელი მეომრების) ტყვეები ხდებოდნენ".

დავით ჯანდიერის მთავარი ბანაკისაკენ გაეშურნენ სპარსელნი.

ჯანდიერს რაზმი აეშალა და მოსახლეობის გახიზვნას შესდგომოდა. კავკასიონის მთებისკენ მიჰყავდათ ხალხი პატრიოტებს.

ძლივს, ჭაპანწყვეტით მიდიოდნენ თოვლსა და ყინვაში.

წამოეწივნენ სპარსელები.

ქართველებმა ცოლ-შვილი ცხენებზე შეალაგეს და გაირეკეს. თვითონ დაქვეითებულნი, ოჯახებს კედლად და საფრად აღემართნენ.

ისევ მძვინვარედ დატრიალდა ცელი სიკვდილისა.

ქართველები ცდილობდნენ მტერი ქალებთან და ბავშვებთან სათოფეზე არ მიეშვათ.

მიუხდნენ სპარსელნი.

ქართველებმა ჩაჰკაფეს მეწინავენი.

მოიერიშეებს წინ გადაუსწრო სარდალმა ჰასან-ალი-ბეგმა.

ქართველის თოფით ზუსტად ნასროლმა ტყვიამ უსულოდ ჩამოაგდო ცხვნიდან.

ახალგაზრდა იუზბაში ბექთარ-ბეგ ივოღლი დაწინაურდა თავისი ასეულით.

ისევ იგრიალა ქართულმა თოფმა და ბექთარ-ბეგიც სულ-გავარდნილი მოსწყდა უნაგირს.

უმხედროდ გაჭენებულ ბექთარ-ბეგის ცხენს მოახტა მირ ფათაჰ მინბაშ ისფაჰანელი და ისრის სროლით გაჭენდა ქართველებისკენ.

ისიც ქართველის ხელით განგმირული დაენარცხა ძირს.

მზე ჩავიდა. დღე მიიწურა და ღამემ ჩააქრო საომარი ყიჟინა, იარაღის ზრიალი და მომაკვდავთა ბღავილი კაცთაკვლით დაღლილ დედამიწაზე.

მთელი ღამე თოვდა და ჰყინავდა.

მეორე დღეს სპარსელებმა დაინახეს, რომ ქართველთა ბანაკი თოვლში ჩაფლული იდგა უძრავად.

იერიში ბრძანა ისა-ხან ყორჩიბაშმა.

მკვდრეთით აღსდგა ქართველთა ბანაკი.

მთელი დღე აწყდებოდნენ ერთმანეთს მოპირდაპირენი.

კვლავ მეორე დღე, მესამე, მეოთხე...

ყველა ქართველი მამაკაცი შეაკვდა მტერს.

ქალები და ბავშვები ტყვედ აიყვანეს.

ამჯერად ათი ათასი ქართველი დაეკარგა კახეთს, — ნახევარი გაწყდა, ნახევარი ტყვედ ჩავარდა.

მერე ენისელისა და ძაგემის მხარეს გაუხტნენ სპარსელები, სამი ათასამდე ქართული ოჯახი (ოცი-ოცდახუთი ათასი სული) აჰყარეს და შემდგომ, შაჰის ბრძანებით, ფეროჰაბადში გადაასახლეს.

დრო დაიცვეს შაჰ აბასისგან წაქეზებულმა ლეკებმა. უპატრონოდ მიტოვებულ კახეთს შემოაჩვიეს ავაზაკი მძარცველის ხელი.

კახელთაგან გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც ქართლსა და იმერეთში მოახერხა გაქცევა.

„მოკლედ, მოსახლეობის სუნიც კი არსად იყო დარჩენილი კახეთის ვილაიეთში და თეიმურაზის უგუნურებისა და

უმეცრების წყალობით, ისეთი ქვეყანა, რომელიც ყოველწლივ ურიცხვ სარგებელს და შემოსავალს იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან გასწორდა", — დაასკვნის სპარსი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე განჯის მხარეს გადავიდნენ სპარსელები. აჯანყებულ კახელთა თანამდგომი მოსახლენი ააწიოკეს, ორმოცამდე ეჭვმიტანილი დიდებული და მეამბოხე შაჰ აბასის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს, ხოლო „ნაკლებად სანდონი" ცოლშვილიანად აჰყარეს და ისინიც ფეროჰაბადში გადაასახლეს.

. . . . . .

იმავე 1616 წელს გიორგი სააკაძე ერთჯერ კიდევ ჩამოვიდა ქართლში.

ბაგრატ-ხანი დიდის პატივით შეხვდა მოურავს.

ნოსტეში მამულები დაუბრუნა, ხელახალი „წყალობის წიგნები" მიართვა, ძველი პატივი და „ხარისხები" აღუდგინა.

„გათათრებული ქართველები უფრო კარგად ეთვისებიან ერთმანეთს, ვიდრე საერთოდ ქართველებიო", ისმოდა ხალხში.

ისევ — „ტყვეობა გაგილოანისა"

ასე ამბობდა სპარსეთში
ტყვედ წაყვანილი ქართველი:
რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,
მე არ გავხდები სპარსელი.
ხეზე დამკიდონ, ქვეშ ცეცხლი
შემინთონ, — ისე ვიწვოდე,
მაშინაც ვეტყვი ჩემს მტარვალს:
„მე ქართველი ვარ, იცოდე!"

ხალხური

ოსმალეთის სარდალი ოქუზ მეჰმედ ფაშა ერევნიდან ხელცარიელი გაბრუნდა. მალე მან ზავი ითხოვა. შაჰ აბასმა 1612 წლის ზავის პირობების აღდგენა მოითხოვა, ასედაც მოხდა. სკილა და ქარიბდი შეთანხმდნენ.

შაჰ აბასმა ისევ მოიცალა საქართველოსთვის.

1617 წლის ადრიან გაზაფხულზე იგი მესამედ წამოემართა კახეთის „ხელის მოსათავებლად“.

ისევ მოჰყავდა სააკაძე — „ყველაზე დიდი ქართველი“ — შაჰ აბასს საქართველოში.

ისევ „დაეძვრინა თავი“ იმამ-ყული-ხან უნდილაძეს თვისტომთა სისხლში ხელების გასვრისაგან.

. . . . . .

ამჯერად კახელ აჯანყებულებს აჯანყების მთავარი კერეონი ხორნაბუჯში დაენთოთ.

ხორნაბუჯი — „ეს დიდებული ციხე-ქალაქი მდებარეობს ერთი მაღალი და მიუვალი მთის წვერზე და არც ერთი მხრიდან არ აკრავს მაღლობი, საიდანაც შეიძლებოდეს მასზე თავს წამოდგომა. მისი სიმაღლე ისეთია, რომ კარის ზღურბლიდან იმ ადგილამდე, სადაც ციხის მცველები დგანან, ხუთას სამოცი კიბის საფეხური უნდა აიაროს კაცმა. ერთი სიტყვით, იმ ციხეს რომ წვიმის ასავსები ამბრის გარდა ერთი წყაროც ჰქონოდა, ვერც ერთი დიდებული ხელმწიფე მას ვერასოდეს ვერ დაიპყრობდა“ (ისქანდერ მუნში).

შაჰ აბასმა ალყა შემოარტყა ხორნაბუჯს.

მზეც დაემტერა მშობლიური ქვეყნის დამცველებს, საშინელი სიცხე და ალხი ჩამოწვა. წყალსაცავები დაშრა და დაიწრიტა.

შიმშილმა და წყურვილმა დაიმონავა ხორნაბუჯი.

აჯანყების მეთაურებმა ბაგრატ-ხანს კაცი გაუგზავნეს და გამძვინვარებულ შაჰთან სამშვიდობო შუამდგომლობა სთხოვეს.

ბაგრატ-ხანი დათანხმდა და შაჰს ეახლა.

გარიგება შედგა: აჯანყებულებმა ქალაქი სპარსელებს დაუთმეს, სამაგიეროდ შაჰმა ყველას სიცოცხლე აჩუქა, მაგრამ კახეთში ცხოვრება მაინც აუკრძალა, შეწყალებულთა ერთი ნაწილი ბაგრატ-ხანმა ქართლში წაიყვანა, დანარჩენები შაჰ აბასმა ერანს გაგზავნა, ფეროჰაბადში დასასახლებლად.

ხორნაბუჯიდან შაჰ აბასმა ჯარები ქიზიყს შეუსია.

ისევ დადგა საშინელი სისხლისღვრა და სიკვდილის თესვა ქიზიყის მიწა-წყალზე.

ისევ ძველი, „შაჰ-აბასური სისასტიკით“ ნადგურდებოდა ქვეყანა: სიკვდილი ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცისა, ტყვეობა და ქართული მიწა-წყლიდან სამუდამოდ გადასახლება ყველა ქართული ოჯახისა!

იმდროინდელი „კახური პეიზაჟები“:

დანგრეული, მიწასთან გასწორებული, ფერფლად და ავლად ქცეული ნაშენობანი;

გაჩეხილი ბაღები;

ამოძირკვული ვენახები;

ქართველ ვაჟკაცთა წარკვეთილი თავებით ნაშენები ბორცვები;

მხარგაკრული, თმებაშლილი და სახედალეწილი ქართველი ქალები;

შიშისაგან და წუხილისაგან სახეშეშლილი ქართველი ბავშვები;

სამხრეთის ალმურავარდნილ გზებზე გაწვართული ქართულ ოჯახთა ქარავნები...

. . . . . .

1617 წლის ადრიან გაზაფხულზე შაჰ აბასი მეოთხედ შემოესია კახეთს.

ისევე აღგვა პირისაგან მიწისა სოფლებისა და ქალაქებისა.

ისევ ნაცრად და ავლად ქცევა.

ისევ ჟლეტა მამაკაცთა.

ისევ ტყვეობა და გადასახლება ქართულ ოჯახთა.

ისევ თურქმანულ ტომთა ჩამოსახლება ქართულ ოჯახთა ნასახლარებზე.

შაჰ აბასმა არამცთუ „მშობლიური მეფობა“ არ დაუტოვა კახთა ქვეყანას, „სპარსული სახანოს“ სახელიც აღარ აღირსა. ადგა და სულაც „გააუქმა“ კახეთი — ეს ყოვლად „ურჩი გურჯისტანი“.

ორად გაჰყო შაჰ აბასმა „ყოფილი“ კახეთის ქვეყანა, — იორის აღმოსავლეთი ნაწილი განჯის ბეგლარბეგს ფეიქარხანს მისცა „დამატებით სამმართველოდ“, დასავლეთი ნაწილი კი — ქართლის გამგებელს ბაგრატ-ხანს.

ასეთი იყო უმძიმესი და უბოროტესი ჟამნი კახეთისა.

ოთხი ავბედითი წელიწადი: ჯიქი — 1614, კურდღელი — 1615, ნიანგი — 1616 და გველი — 1617.

ოთხი შემოსევა ერანის ლომის, შაჰ აბასისა.

ამ ოთხ წელიწადში კახეთმა დაჰკარგა ორი მესამედი თავისი მოსახლეობისა.

სულ ნახევარი მილიონი ქართველი შეეწირა ავზნიანი და ბნედიანი შაჰ აბასის კაცთმოძულეობრივ ვნებებს.

ერთი მესამედი გაწყდა.

ორი მესამედი სამუდამოდ აჰყარეს და გადაასახლეს.

. . . . . .

პიეტრო დელა ვალე რომის პაპს — ურბანუს მერვეს:

„რა მდგომარეობა მოჰყვა ამ საზარელს გადასახლებას, რამდენი სიკვდილი საშინელი გაჭირვებისგან, რამდენი წყვეტა-ყლეტა, რა გლეჯა, რა გახრწნილობა, რა ძალმომრეობა, რამდენი ჩვილი ყმაწვილები დააღრჩვეს მამებმა თავისივე ხელით, ან წყალში ჩაჰყარეს, რათა არ უყურონ მათს საცოდაობას და სატანჯველს, რაკი ყოველ ღონეს იყენენ მოკლებულნი მათს საპატრონოდ! რამდენსა ყლიტავდა სპარსთა მხედრობა გზა-გზა დაცვივნულებს, ან მათ, რომელთაც აღარ შეეძლოთ სიარული! რამდენი ბავშვი მოჰგლიჯეს სპარსელებმა დედის ძუძუს და დაჰყარეს გზებზედ მხეცების შესაჭმელად, ან ცხენებისა, აქლემებისა და ჯორების ფეხქვეშ გასასრესად! რამდენი დააშორეს მამა შვილს, ცოლი ქმარს, დაი ძმას, და გაჰფანტეს ერთი ერთმანეთიდან შორიშორს ქვეყნებში, ისე რომ, ეს საწყლები საუკუნოდ იყვნენ იმედგადაწყვეტილნი — ვერასოდეს ვეღარ ვიხილავთო ერთიმეორეს! რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა პირუტყვზედ უფრო იაფად, რამდენი სხვა ამისთანები ხდებოდა ღირსი სიბრალულისა, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის?!“

. . . . . .

შაჰ აბასს მის ბნელ საქმეთა განსრულებაში ბევრი წინამორბედი ჰყავდა. მაგრამ ყველაზე უფრო მაინც ნაბუქოდონოსორ ბაბილონელის შორეულ ეპიგონად გვეჩვენება „ერანის ლომი“.

დაპყრობილი ხალხის აყრა, გადასახლება (ვინა — „ტყვედ წაყვანა“) და გაფანტვა (ვინა — „დიასპორა“) სწორედ ნაბუ-

ქოდონოსორის „დიდი აღმოჩენა“ იყო და „პირველობის პალმაც“ მას ეკუთვნის მსოფლიო კაცთმოძულეობის ესოდენ „ორიგინალურ გამოვლენაში“.

მკითხველს ვთხოვ აქ გაიხსენოს ცნობილი „ბაბილონის ტყვეობა“ ბიბლიიდან — როგორ წაიყვანა ტყვედ ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმის მოსახლეობა დედაბუდიანად ბაბილონში (ძვ. წ. 586).

სწორედ ბიბლიური „ბაბილონის ტყვეობიდან“ ორი ათას ორასი წლის შემდგომ მრისხანე ნაბუქოდონოსორის ეპიგონმა — გესლის გუდამ, შაჰ აბასმა ოთხჯერ მოახდინა „ერანის ტყვეობა“ ქართველი ხალხისა.

ტყვეობა, აყრა, გადასახლება!

გადასახლება და გაფანტვა ერანის პროვინციებში: ფერეიდანში, ხორასანში, მაზანდარანში, ფეროჰაბადში.

ასე ანგარიშობდა შაჰ აბასი: ურჩი, გაუტეხელი და შეურიგებელი კახეთი სამუდამოდ უნდა წაშლილიყო დედამიწის ზურგზე, ხოლო „ყოფილი“ კახეთის „ნაცხოვრისზე“, „უძლეველ ქართველთა“ ნასახლარებზე, ესახლებოდა შაჰის მორჩილი და ერთგული თურქმანული ტომები. მეორეს მხრივ, — მკვიდრი სამიწათმოქმედო მეურნეობის დიდოსტატნი — ქართველები — ერანის ველურ მიწებს კულტურულ სამეურნეო ცხოვრებით ააყვავებდნენ; ქართველი კაცის გამრჯე მარჯვენას სპარსეთი უნდა გაემდიდრებინა და გაემშვენიერებინა. მესამეც, — სპარსეთში დასახლებული ქართველობა — მისი ნათელი გონებით, უშიშარი გულით და უდრეკი მკლავით — ისევ და ისევ უნდა ყოფილიყო „მთავარი ძარღვი“ სრულიად ერანის საომარი ძალებისა.

ასეთი იყო „ერანის ტყვეობა“ ქართველებისა, ვითარცა შორეული ანალოგია ბიბლიური „ბაბილონის ტყვეობისა“.

ამიერიდან ტყვედწაყვანილი ქართველისათვის „მისი საქართველო“ უნდა ყოფილიყო ერანი, გინა — სპარსეთი.

ხოლო, „მისი კახეთი“ — ფერეიდანი, გინა — მაზანდარანი, ხორასანი, ფეროჰაბადი.

ამიერიდან მას — საქართველოსათვის დაკარგულ ქართველს — უნდა „ეკეთებინა სხვათა ისტორია“, გინა — სპარსეთის ისტორია!

. . . . . .

თითქოს სავსებით მომკვდარიყო „ბედნიერი კახეთი“.

აღარსად იდო „ქვაი ქვაზედა“.

აღარსად იდგა არცა ვაზი, არცა ვაშლი, არცა თუთა, არცა კაკლის ხე.

ძეძვი და ეკალბარდი მოილტვოდა ნავენახარისა და ნაყანარის ჩასანთქავად.

აღარ ბღაოდა ჯიშიანი ხარი და ძროხა.

აღარ ისმოდა გულისშემძვრელი ოროველა, არც ღვთაებრივი კახური მრავალჟამიერი.

ზარნაშო ჰკიოდა მამლის ყივილის სანაცვლოდ.

მგელი ყმუოდა ძაღლის ნათევარზე.

. . . . . .

ყურადღება მიაქციე, ჩემო მკითხველო:

ოთხივე ლაშქრობის დროს შაჰ აბასს საქართველოში თან ახლდა გიორგი საკაძე.

და არც ერთჯერ შაჰს საკაძისთვის არც ერთი საომარი განაზრახის განსრულება არ მიუნდვია ქართველი ხალხის დასალაშქრავად, ასაწიოკებლად, ასაყრელად, გადასაყრელად!

რა იყო ეს?!

უნდობლობა შაჰ აბასისა?!

ურჩობა გიორგი საკაძისა?!

არავინ იცის.

მხოლოდ ერთი რამ არის ცხადზე უცხადესი:

საკაძის ავფხიანი ხმალი ჯერ ქართველ კაცს არ მოხვედრია...

დედოფლის სიზმარი

ოსმალეთის ხონთქარმა აჰმედ I-მა აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდლობიდან გადააყენა ოქუზ მეჰმედ ფაშა და მის ნაცვლად დიდ ვეზირად და სერასქერად დანიშნა ჰალილ ფაშა.

1617 წლის ივნისში ჰალილ ფაშა ერანისაკენ გაემართა დიდი მხედრობით.

თურქთა არმიას თხუთმეტი ათასი ყირიმელი ცხენოსანი მოსდევდა თვითონ ყირიმის ხანის, ჯ ა ნ ი ბ ე გ-გ ი რ ე ი ს სარდლობით.

შაჰ აბასმა მაშინვე ყარჩიხა-ხანი გაგზავნა არზრუმისა და ვანის ოლქების ასაოხრებლად. ყარჩიხამ სრულიად აღასრულა მეუფის ბრძანებულება.

ჰალილ ფაშა იძულებული გახდა სალაშქრო გეზი შეეცვალა — აოხრებულ არზრუმ-ვანის გზას მორიდებოდა და დიარბექირში მისულიყო მძიმე ლაშქრობით წელში გაწყვეტილი.

შაჰმა შეიტყო, რომ ჰალილ ფაშა თურმე თეიმურაზის აღდგენასაც აპირებდა კახეთის ტახტზე.

. . . . . .

თეიმურაზის სტუმრობის ჟამს იმერეთს დიდი შიმშილობა დაატყდა თავს. ძნელი შესამჩნევი არ იყო რომ ქუთათისის სასახლის კარს ორი სამეფო ჯალაბისა და სამიათასკაციანი ამალის შენახვა ძალიან უჭირდა.

„შემჭირვებულმან“ თეიმურაზმა კუმურდოს ტაძრის წინამძღვარი, იღუმენი ხ ა რ ი ტ ო ნ ი სტამბოლს გაგზავნა და ხონთქარს „სადგური და შეწევნა“ სთხოვა.

სანამ სტამბოლიდან პასუხი მოვიდოდა, თეიმურაზი ქუთათისიდან გურიაში ჩავიდა სტუმრად.

მამია გურიელმა დიდის პატივით მიიღო თავისი სიძე-ყოფილი (თეიმურაზის პირველი ცოლი, ანა, ხომ მამია II გურიელის ასული იყო).

აქვე სასიხარულო ამბავი ჩამოიტანა იღუმენმა ხარიტონმა: თურქეთის სულთანს კახეთის მეფისათვის „აღეთქვა შველა და მწე-ყოფა... და მიებოძა გონია და ახალციხის გარემოს რომელნიმე დაბნები“.

ფეხი აიჩქარა თეიმურაზმა და დროც იყო, რადგან ავენა კაცისკაცებს უკვე ჩაეგონებიათ გურიელისათვის, რაკი ხონთქარმა თეიმურაზს გონია — ეს „ბუნებრივი ნაწილი“ გურიისა — აჩუქა, ალბათ მთელს გურიასაც წაგართმევს და კახთა მეფეს მიართმევსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზი ჯერ ახალციხეს წავიდა, რათა სულთანისაგან ნაჩუქარი „დაბნები“ მოეხილა და ჩაებარებინა.

ახალციხეში მანუჩარ III ათაბაგი შეხვდა დიდის პატივით კახეთის მეფეს.

მანუჩარი ემახსოვრება მკითხველს, — სახელოვანი მანუჩარ II-სა („თურქობაში“ მანუჩარ-მუსტაფა ფაშა) და სვიმონ მეფის ასულის ელენეს ვაჟი, — 1607 წელს, ვითარცა შაჰ აბასის ქვეშევრდომმა, დერბენდი რომ დააგდებინა თურქებს.

მანუჩარი მხოლოდ გარეგნულად ატარებდა „მესამისა“ და „ათაბაგის“ თიკუნებს, თორემ იგი არც ათაბაგი იყო და არც რაიმე ანგარიშგასაწევი ძალა — არც თურქეთისთვის და არც სპარსეთისთვის. მაგრამ მამაცი და გულგაუტეხელი ვაჟკაცი მოთმინებითა და ურყევი რწმენით ელოდა „თავისი ბედისვარსკვლავის“ ამობრწყინებას...

მანუჩარმა თეიმურაზი ოლთისს ჩაიყვანა.

სწორედ ოლთისი და მისი ახლომახლო „დაბნები“ უბოძებია ხონთქარს კახეთის მეფისათვის.

მეფეს სამი ათასამდე კაცი ახლდა, ზოგი მასთან ერთად გაქცეული, ზოგიც კახეთიდან შემდგომ გადმოხვეწილი — ყველანი ოჯახითა და დედა-წულით.

თეიმურაზმა დედოფალი ხორეშანი და ამალა ოლთისში დატოვა და პატრონად სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე დაუტოვა. თვითონ შვიდასი კაცი აარჩია, მდიდრულად მოკაზმა და მათი თანხლებით სტამბოლის გზას გაუყვა.

1617 წელი იწურებოდა. დიდი თოვლი მოვიდა.

ერევნის ბეგლარბეგმა ამირგუნე-ხანმა შაჰ აბასის ბრძანება მიიღო. ოლთისში თეიმურაზის ჯალაბი მდგარა; დაუყოვნებლივ გაეშურე, დედოფალი ხორეშანი შეიპყარი და ტყვედ მომგვარე თავისი ამალითა და მხლებლებითო.

გამოეშურა ამირგუნე-ხანი მხედრობით. ძლივს მოიკვლევდნენ თოვლით გატენილ გზებს.

იმ ღამით ხორეშან დედოფალმა სიზმარი ნახა: ვითომც ვარდის ყვავილობა იდგა სასახლის წალკოტში, თვითონ ვარდის საკრეფად ჩაბრძანებულიყო დედოფალი. ერობაშად გველებით აივსო ბაღი. შემზარავი წივილით და შხორკალით მიეტევნენ ქვეწარმავალნი ფეხშიშველა, ტანშილიფ ქალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლები მოეკეცა და ყელი დაეკეტა გაქცევისა და ყვირილის მოსპობისა. და ის იყო გველთაგან დაგესლილი უნდა დაცემულიყო კახეთის დედოფალი, რომ ზეციდან მოიჭრნენ ორბები და წამსვე დაიტაცეს და გაიტაცეს გველები წალკოტიდან.

ეს საშინელი ძილისშორისი ხორეშანმა მტრის შემოსევად „იწინასწარმეტყველა" და მაშინვე ციხის გამაგრება და საომარი თადარიგი ბრძანა.

როცა ამირგუნე-ხანი მოახლოვდა, ოლთისი უკვე საომრად იყო გამზადებული.

ქალაქის დაცვას ნოდარ ჯორჯაძე უდგა სათავეში.

ყიზილბაშთა არმია ოლთისიდან მოშორებით დადგა ბანაკად.

ნოდარი მიხვდა, მტერი მძიმე ლაშქრობას დაექანცა და ქალაქზე იერიშის წინ დასვენებასა და ძალ-ღონის მოკრეფას აპირებდა.

მაშინვე გამოიყვანა ქართველთა გუნდი.

ელვასავით მიუხტა და დააცხრა სპარსელთა ბანაკს.

არც ამირგუნე-ხანი და არც მისი ლაშქარი არ მოელოდა ერთი მუჭა ქრისტიანების ეგზომ თავზეხელაღებულობას.

მაინც სცადა ბრძოლის აწყობა ბეგლარბეგმა, მაგრამ ქართველები უკვე შუაგულამდის შემოჭრილიყვნენ მის უთავბოლოდ აჭრილ მხედრობაში.

ისევ გაქცევა ამჯობინეს სპარსელებმა.

გამოედევნენ ქართველები. ერთხანს სდიეს, მრავალი ყიზილბაში დაჰხოცეს, დიდი ნადავლიც მოინადავლეს და გამარჯვებულნი მობრუნდნენ ოლთისს.

ისევ დაუდგა გველის კაჭრობა შაჰ აბასს, როცა ქართველთა მცირე გუნდისგან ერევნის ბეგლარბეგისა და მისი მხედრობის მარცხი შეიტყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზს ამ ამბების შესახებ არაფერი შეუტყვია, ისე მივიდა სტამბოლს.

1618 წლის იანვარი იდგა.

თავის მწყალობელს ვეღარ ჩაუსწრო თეიმურაზმა, — მომკვდარიყო ფადიშაჰ აჰმედ I.

ოსმალეთის ტახტზე გონებაჩლუნგი მ უ ს ტ ა ფ ა I იჯდა.

მუსტაფამ ჯერ „კეთილად შეიწყნარა“ ქართველი მეფე — „სილამაზით განთქმული, საყვარელი, იშვიათი გულადობითა და კეთილშობილებით ცნობილი“ კაცი. მაგრამ მოლაპარაკების ჟამს კეთილი სტუმარ-მასპინძლობა და თეიმურაზის „განთქმული ღირსებანი“ დავიწყებულ იქნა.

თეიმურაზმა ჯიქურ დაიწყო: ერანის შაჰი ერთნაირად მტერია ჩვენი — თურქეთისა და საქართველოსი; ამიტომ გთხოვ, ჯარი მომცე და სპარსეთის წინააღმდეგ ვიომებ, ვითარცა თქვენი მოკავშირე და ქვეშევრდომიო.

მუსტაფამ ასეთი პასუხი შეაგება ქართველს: მე და შაჰი ორივე მუსლიმანები ვართ და ეგ როგორ იქნება, რომ შენ, ქრისტიანს, ჩემი თანარჯულის წინააღმდეგ საომარი ძალები მოგცეო. ამიტომ თუ მართლა ჩვენი კავშირი, სიახლოვე და დახმარება გსურს, ჯერ რჯული გამოიცვალე — ქრისტიანობა განაგდე და მაჰმადიანად მოიქეციო.

ქვა ააგდო და თავი შეუშვირა თეიმურაზმა. ამდენს იმიტომ ვირჯებიო, რომ ქრისტიანობა და ქართველობა არ დავკარგო, თორემ სჯული თუ გამოვიცვალე, რაღა სპარსელი და რაღა თურქიო ჩემთვის.

(ლამის ეს წამოსცდენოდა — „ალია და ოსმანა ორივე თათარიაო“).

ეს სიტყვა ძალიან გულწრფელად (მაშასადამე, — არა დიპლომატიურად) იყო ნათქვამი. ხონთქარსაც „ნამეტნავად ეწყინა“ და ამის შემდეგ, მისი ბრძანებით თეიმურაზს „პატივიც მოუკლეს და აღარც ინახვინეს“.

დაჰკრა ფეხი თეიმურაზმა და წამოვიდა სტამბოლიდან.

გზაზედ, ანატოლიაში, შვიდჯერ დაესხნენ თავს თეიმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზსა და მის გუნდს თურქული მოდგმის „ჯალადნი“, რომლებიც, ლეკების მსგავსად, აბრაგული თავდასხმებით ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მოსახლეობას.

შვიდჯერვე ისე დაიფრინეს და დაიწყვიტეს მტერი ქართველებმა, რომ „ერთიცა კაცი არა დამკლე ექმნა თეიმურაზს“.

ოლთისს მოატანეს.

ამირგუნე-ხანის შემოსევისა და მისი დამარცხების ამბავი შემოაგებეს დედოფალმა ხორეშანმა და სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ.

ალბათ შაჰ აბასი ვერ დაითმენს მისი ჯარების ეგზომ სამარცხვინო მარცხს და ახლა თვითონ წამოიმართება სამცხისაკენო, იფიქრა თეიმურაზმა.

მაშინვე ოლთისი დატოვა და გონიოში გადავიდა ამალით და აღალფორანით.

რა მოხდება ხვალ, რას უმზადებს ავი ბედისწერა უბედობაში აჩემებულ გვირგვინმოხდილ გვირგვინოსანს?!

მხოლოდ ერთ საფიქრალს შეეპყრო ახლა თეიმურაზი:

„არც ერანი და აღარც თურქეთი... არამედ მხოლოდ რუსეთი!“

და მოულოდნელად ახალი ამბავი შეატყობინეს:

სტამბოლში იანიჩარებს ჩამოუგდიათ გონებასუსტი, მუსტაფა I და მის ნაცვლად ფადიშაჰის ტახტზე აუყვანიათ ო ს მ ა ნ II.

მაშინვე იღუმენი ხარიტონი აფრინა სტამბოლს თეიმურაზმა.

სანამ შორეულ რუსეთს მივწვდებოდე, მანამ ერთჯერ კიდევ მოვუსინჯოთ კბილი თურქეთსო, ახლა ეს საფიქრალი აეკვიატა მეფეს.

ოსმან II-მ მისვლისთანავე დიდის სიხარულით მიიწვია კახეთის მეფის ელჩი.

ახალი სულთანი ჭკვიანი კაცი იყო. ქართველების ფასიც კარგად სცოდნია. საგანგებოდ დაჰკვირვებოდა ოსმანი: რაც აქამდე თურქეთის მოსისხლე მტერს, შაჰ აბასს, მიღწევა ჰქონია, სულ ქართველების წყალობით მიუღწევია. ის კი არა და, თვითონ ქართველებიც უფრო ხშირად ისევ ქართველების მეოხებით დაუმარცხებია ცბიერ შაჰ აბასს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტიც: თურმე აქამდე, ერანსა და თურქეთს შორის გამართულ ჭიდილში ყოველთვის ის მხარე იმარჯვებდა, რომელიც ქართველობას უკეთ „მოიმხრობდა“ და „მოიხმარდა“.

საჭირო იყო თურქეთის სერალს თავის მხარეზე „გადმოეძალა“ ამდენ ხანს ერანისაკენ „გადაძლეული“ ქართული სასწორი...

ტკბილად მიიღო ოსმან ხონთქარმა თეიმურაზის ელჩი. დიდის გულისყურით და „გულისტკივილით“ მოისმინა ქართველი მეფის საჩივარი. მაშინვე პირობაც დასდო, — აუცილებლად აღადგენდა კახეთის ტახტზე თეიმურაზს და უსათუოდ ყიზილბაშებსაც მოაშორებდა მისი ქვეყნიდან, ოღონდ...

ოღონდ თვითონ ქართველი მეფე თავისი ქართველებით ახლავე უნდა გაეშუროს სპარსეთის წინააღმდეგ სალაშქროდ.

ახლავე?!

დიახ, ახლავე უნდა წავიდეს თეიმურაზი და შეუერთდეს დიარბექირში მდგარ ჰალილ ფაშას თავისი ქართველებით.

თავისი ქართველებით?!

დიახ... მაგრამ რამდენი კაცი ახლავს ლტოლვილ ხელმწიფეს (თუ ნახელმწიფარს)?

სამი ათასი,

ჰოდა, სამი ათასი ქართველი მეომარი დიდი საომარი ძალა გახლავთ!

სამი ათასი ქართველი — ოსმალთა არმიის „წინამბრძოლ“ ძალად!

გადაწყდა!

. . . . . .

დიარბექირის ბანაკში დიდი ამბავი იდგა: ქართველი მეფე თეიმურაზ პირველი მოსულიყო სამი ათასი მხედრის თანხლებით, — „მოკავშირედ“ და „მოყვარედ“ მოსულიყო.

წადნიერი თვალებით ზომავდნენ ოსმალები მოსულებს.

საწადნიერო რა უნდა ყოფილიყო, — ბევრი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს ქართველები და ოსმალები. მაგრამ ქართველ ტომთაგან მაინც კახელებს უფრო „შორიდან“ იცნობდნენ ოსმალნი.

უფრო ყირიმელი თათრები სჭამდნენ ჭრუტა თვალებით პირღრუბლიანად ჩაგუბებულ ქართველთა ჯარს...

1618 წლის მაისში ჰალილ ფაშამ მრავალრიცხოვანი მხედრობა დიარბექირიდან გამოიყვანა და ბითლის-ვანის გზით თავრიზისაკენ გაემართა.

მიდიოდა არმია, რომლის ტომობრივი შემადგენლობა, „როგორც წესი" — მაღალდაბლობით, რიცხვის მიხედვით ჩამოითვლებოდა — ოსმალები, ყირიმელები, ქართველები.

ხოლო წინ, — ვითარცა „წინამბრძოლნი" — ქართველები მიუძღოდნენ „ოსმალთა ურდოს"...

თავრიზში ყარჩიხა-ხანი იდგა ყიზილბაშთა არმიით.

თურქთა წამოსვლა რომ შეიტყო, ყარჩიხამ თავრიზიდან მოსახლეობა დედაწულიანად გაიყვანა და დაცარიელებული ქალაქი უბრძოლველად შეატოვა მტერს.

თეიმურაზს ეგონა, ხონთქარისა და სერასქერის პირობისამებრ, თავრიზიდან თურქები ტფილისისკენ დაიძვროდნენ, ქართლ-კახეთს ყიზილბაშთაგან გასწმენდნენ და ორივე ქართულ ტახტს სწორედ მას — თეიმურაზს მიართმევდნენ.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

თავრიზიდან ჰალილ ფაშამ არდებილს დაუსისწორა სალაშქრო გეზი.

არდებილის დასავლეთით დაუხვდა ყარჩიხა-ხანი თურქთა სერასქერს.

ბრძოლა ქართველებმა გახსნეს.

თეიმურაზი გაალმასებით ეკვეთა ერანელთა შუაკერძს.

მიჰყვნენ ოსმალნი გამაყრუებელი ბღავილით.

ფლანგებიდან ყირიმელთა კავალერია ეტევებოდა.

უკუიქცნენ სპარსელნი.

არდებილს მიადგნენ თურქნი.

„თურქნიო" — ასე ითქმოდა, თორემ მეწინავენი ისევ ქართველები იყვნენ.

თეიმურაზს არდებილის დანგრევისა და აღგვის წყურვილი ახრჩობდა. შაჰ აბასის წინაპრების ეს შხამიანი საბუდარი უნდა დავლეწო ჩემი კახეთის წმინდა ტაძართა შერყვნისა და აოხრების საზღაურადო, ამბობდა მეფე.

დღე-დღეზე არდებილი უნდა დანებებოდა მტერს.

ერანი პანიკას მოეცვა.

სასტიკად დამფრთხალიყო თვითონ შაჰ აბასი.

აღარავის უსმენდა გონებისაგან „გამოთიშული ლომი“.

ზავი აეჩემებინა და მეტი არაფრის გაგონება აღარ უნდოდა.

საიდუმლოდ ჰალილ ფაშას ქრთამიც კი გაუგზავნა შაჰ აბასმა, — მოვილაპარაკოთ და მშვიდობა ჩამოვაგდოთ ურთიერთშორისო.

ჰალილ ფაშამ საზავო პირობად მთელი ამიერკავკასიის დაცლა მოითხოვა ერანელთაგან.

ეგზომ მძიმე პირობაზე დათანხმება არ შეეძლო შაჰ აბასს, რომელმაც მთელი მისი ზეობის წლები თითქმის მთლიანად საქართველოსა და შირვანისათვის ბრძოლას შეალია.

მაგრამ მოლაპარაკება მაინც გრძელდებოდა.

ამასობაში თეიმურაზმა ჰალილ ფაშას შემწეობით კახეთის „გათავისუფლების“ იმედი სამუდამოდ დაჰკარგა და თავისი ჯარით თურქთა ბანაკი მიატოვა.

შაჰ აბასმა სული მოითქვა.

1618 წლის სექტემბერში, სერაფში (სამხრეთ აზერბაიჯანში) გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ერანელებსა და თურქებს შორის.

ერანელთა არმიას „ყველაზე იღბლიანი სარდალი“ — داود-ხან უნდილაძე ედგა სათავეში.

ბრძოლა თურქების მარცხით განესრულა.

ახლა ჰალილ ფაშამ დაიწყო ზავზე ვედრება.

კიდევაც დაიდო ზავი, იქვე — სერაფში.

შირვანი და აღმოსავლეთ საქართველო ისევ ერანის „საკუთრებად“ გამოცხადდა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხის ქვეყანა ისევ თურქეთის „გავლენის სფეროდ“ რჩებოდა.

. . . . . .

ხოლო თეიმურაზმა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან ერთად რუსეთის მეფეს — მიხეილ რომანოვს — ელჩი გაუგზავნა, იღუმენი ხარიტონი.

რუსეთის ხელმწიფეს ისევ სთხოვდნენ დახმარებასა და მფარველობას საქართველოს ჭირისუფალნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე 1618 წელს შაჰ აბასმა თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის გადააყენა ისფაჰანის ტარუღა (ქალაქის თავი, მოურავი) მირ აბდალ-აზინი, რომელსაც ვერც იმან უშველა, რომ იგი შაჰ აბასის სიძე იყო.

შაჰმა გიორგი სააკაძე დაიბარა და ჰკითხა: როგორ მირჩევ, ვინ გამოგვადგება სატახტო ქალაქის გამგებლადო.

— ხოსრო-მირზა გამოდგება, — უპასუხა გიორგიმ.

— ხოსრო-მირზა, დაუდ-ხანის უკანონო შვილი, წავკისელი გლეხის ქალისაგან, ბაგრატ-ხანის ნახევარძმა.

— დიახ, აგრე გახლავთ.

— ძალიან თავგამოდებული კი ხარ მაგ ხოსრო-მირზასთვის, გიორგი სააკაძევ!

— ეგეც აგრე გახლავთ, რამეთუ ხოსრო-მირზა ჭკვიანია, დაკვირვებული, გაჭირვებაში გამოჯაქული, ნიჭიერი სარდალი, მამაცი მხედარი, ჭეშმარიტი მაჰმადიანი და შაჰის ტახტის უაღრესად ერთგული შაჰისევანი.

გიორგი სააკაძე გაუშვა და იმამ-ყული-ხან უნდილაძე გამოიძახა შაჰ-აბასმა.

ტკბილად შეხვდა ხელმწიფე ქვეშევრდომს.

ჯერ ისე აათვალიერ-ჩაათვალიერა აბასმა მოხდენილი ვაჟკაცი, კოხტად და მდიდრულად მორთულ-მოკაზმული და ეს ჰკითხა მკაცრი ღიმილით:

— მაინც ვინ არის შაჰი, — მე თუ შენ?

— თქვენ, ხელმწიფეო, ნებითა ალლაჰისა და მისი წინასწარმეტყველის მუჰამედისა, — დინჯად უპასუხა უნდილაძემ, რადგან საერთოდ შეჩვეული იყო შაჰისაგან შეხუმრებას.

— მერე, შენ რომ ჩემზე უკეთესად გაცვია, გახურავს, უფრო ძვირფასი აღჭურვილობით იკაზმები, ფულსაც მეტს ხარჯავ, — ამაზე რაღას იტყვი?

— ეგეც თქვენი წყალობა გახლავთ.

— რა იქნება, რომ შენ ერთი გროშით ნაკლები დახარჯო, თუნდაც იმისათვის, რომ ხალხმა შაჰსა და ხანს შორის განსხვავება დაინახოს?!

უნდილაძე იღიმებოდა და ხმას არ იღებდა. ასეთი „ხუმრობა“ ამას წინაც თქვა შაჰმა, სადილზე, პორტუგალიელი ანტონიო გოვეას თანდასწრებით...

ბოლოს უნდილაძესაც ეს ჰკითხა შაჰმა: ისფაჰანის ახალი ტარუღა უნდა დავნიშნო და შენ რას მირჩევ, ვინ გამოდგება სატახტო ქალაქის გამგებლადო.

— ხოსრო-მირზა, — მაშინვე შეაგება უნდილაძემ.

— ხოსრო-მირზა?

— დიახ, ხელმწიფეო.

გაუკვირდა შაჰ აბასს, ასე ერთბაშად რომ ორ ქართველს ერთ საქმეზე ერთნაირი აზრი აღმოაჩნდა.

— შენ და სააკაძე მოლაპარაკებული ხომ არა ხართ, რომ იმანაც ეგ კაცი მირჩია?.. — სიცილით იკითხა შაჰმა.

— მე არ ვიცი, სააკაძემ ვინ გირჩიათ, მაგრამ ეს კი მჯერა — ხოსრო-მირზა ყველაზე უკეთესი იქნება, რაც კი აქამდე ტარუღა ჰყოლია ისფაჰანს, — დაბეჭდა უნდილაძემ.

კარგი, წადიო, უთხრა შაჰმა უნდილაძეს.

იმ დღესვე გამოცხადდა ერანის ხელმწიფის ბრძანებულება და ისფაჰანის ტარუღა შეიქნა ხ ო ს რ ო-მ ი რ ზ ა, ძე დაუდ-ხანისა, ძმა ბაგრატ-ხანისა, ძმისწული დიდი სვიმონ მეფისა, შვილიშვილი დიდი ლუარსაბ I-ისა.

ეს პირველი ქართველი ტარუღა იყო ერანის სატახტოს სათავეში.

აქამდე, „როგორც წესი“, ერანში ქართველების ხელთ იყო ყოველი მაღალი „ტახტი“ (თვინიერ შაჰის ტახტისა): მთავარსარდალი, ყულარაღასი, ბეგლარბეგი, დივანბეგი — ყოველგვარი „ბეგი“, „ხანი“, ყოველგვარი „ბაში“.

ხოლო ამიერიდან ისფაჰანის ტარუღას დიდმნიშვნელოვანი „ტახტიც“ ქართველთა „მემკვიდრეობად“ გადაიქცა.

ესეც აქედანვე მიინიშნე, ჩემო მკითხველო, ამიერიდან — 1618 წლიდან ვიდრე 1722 წლამდე — მაშასადამე, საუკუნის გადაჭარბებით — მხოლოდ ქართველები იქნებიან ერანის სატახტოს უმაღლესი გამგებელნი.

აი, მათი ნუსხაც:

ხ ო ს რ ო-მ ი რ ზ ა — 1618—1658 წწ. (მისი მოადგილე-

ნაიბები — მირ ყასემ-ბეგი, ფარსადან გორგიჯანიძე, პაატა-ბეგი),

პ ა ა ტ ა-ბ ე გ ი — 1658—1666 წწ.,

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ვახტანგის ძე — 1666—1703 წწ.,

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ერეკლეს ძე — 1703—1707 წწ.,

ქ ა ი ხ ო ს რ ო ლევანის ძე — 1707—1709 წწ.,

რ ო ს ტ ო მ ლევანის ძე — 1709—1718 წწ.,

დ ა ვ ი თ ერეკლეს ძე — 1718—1722 წწ.

ამათ ჩვენ ცალკეულად კიდევ შევხვდებით თავთავის ადგილზე.

მანამდე კი, მცირე ხნით, ისევ „პირველ ტარუღას" დავუბრუნდეთ.

ტარუღას თანამდებობაზე არ შეიძლებოდა ერთი და იგივე კაცი ერთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ორ წელზე მეტ ხანს მჯდარიყო. მაგრამ ხოსრო-მირზას „განსაკუთრებულმა ღირსებებმა" ეს წესიც დაარღვია. იგი დანიშვნის დღიდან სიკვდილამდე (1618—1658 წწ.), — მთელი ორმოცი წელი, უცვლელი ტარუღა იყო.

თოთხმეტი წელიწადი ხოსრო-მირზა პირადად განაგებდა ერანის სატახტო ქალაქის უმაღლეს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ცხოვრებას, ხოლო იმ დღიდან, რა დღიდანაც იგი ქართლის მეფედ დაინიშნა (1632 წ., ამასაც საგანგებოდ თავის დროზე მოგახსენებთ), ტარუღას თანამდებობას ნაიბების (ნაცვალნი, გინა თანაშემწენი) საშუალებით წარმართავდა.

ბევრ გადამწყვეტ სიტყვას იტყვის ხოსრო-მირზა მის ორმოცწლოვანი ზეობის თანადროულ „ხვანჯიან" ისტორიაში.

„საქართველოს ქართველთა" და „სპარსეთის ქართველთა"

1619 წელს მოკვდა ბაგრატ-ხანი, გამგებელი ქართლისა, შაჰ აბასის მოხელე და ყურმოჭრილი ყმა. იგი ძალიან ჰგავდა მამამისს — მშობელი ხალხისა და ქვეყნის გამყიდველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაბისივით უნდილი და გულჩუკენი იყო. თუმცა სიბრძნის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოყვარული ბრძანდებოდა, მაგრამ მის მწიგნობრობას დაქცეული ქვეყნის საკეთილდღეოდ ქრთილის ოდენა არაფერი გაუკეთებია.

თვითონ „ქართლის მეფეს“ უწოდებდა თავის თავს, მაგრამ არავინ — არც ქართველი და არც სპარსელი მას მეფედ არ მიიჩნევდა.

სპარსელები უბრალოდ „ხანს“ ეძახდნენ, ხოლო ქართველები, — რომლებიც მას ძალიან „სძულობდნენ“ — „თათროობისათვის“ არცარად აგდებდნენ და დაცინვით „საბარათიანოს ბატონად“ მოიხსენიებდნენ.

მართლაც საბარათიანოში იჯდა დღენიადაგ; „სამეფო რეზიდენციად“ ბოლნისი ჰქონდა, რადგან ტფილისში ჩამოსვლას ქართველთა შიშით ვერა ბედავდა გულჩუკენი „თათარხანი“.

და მოკვდა ბოლნისში.

დარჩა ცოლი — ანა, ერთი ძე — სვიმონი და ერთიც ასული, რომელიც ცოლად ჰყავდა შაჰ აბასს.

შაჰ აბასმა ერთი ფიქრი იფიქრა, ქართლის გამგებლობაც კახეთის მმართველის — ფეიქარ-ხანისათვის მიენდო, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა, „რამეთუ არა ჰქონდა იმედი ფეიქარ-ხანისა“, და ისევ ბაგრატ-ხანის ძე და თავისი ცოლისძმა სვიმონი დასვა ახლად გარდაცვლილი მამის ადგილზე.

ქართლის ახალი „საჭეთმპყრობელი“ თავის თავს „სიმონ-ხანის“ გვერდით შეფარვით „მეფე სვიმონ მეორესაც“ ეძახდა. მაგრამ ეს მცირე მეფუკა ამაოდ ეზმანებოდა დიდი თანამოსახელის, სვიმონ პირველის დიდებულ აჩრდილს.

ქართველთაგანი არავინ — არც თავადი და აზნაური, არც „წვრილი ერი“ — არაფრად აგდებდა „პატარა სვიმონის“ უმწეო „გამგებლობას“.

ათვალწუნებულ და აბუჩად აგდებულ სვიმონ-ხანს თვალი დღენიადაგ ერანისკენ გასაქცევად ეჭირა...

ბაგრატ-ხანის სიკვდილს ნუგზარ ერისთავის სიკვდილი დაემთხვა.

არაგვის ერისთავობა უფროს ვაჟს, ბ ა ა დ უ რ ს ეკუთვნოდა. გიორგი სააკაძეს კი თავიდანვე ნუგზარის მომდევნო

ძე — ზ ურ ა ბ ი „ურჩევნოდა“, რადგან თვითონ გიორგის აღეზარდა უმცროსი ცოლისძმა.

რაკი სააკაძეს „ასე ურჩევნოდა“, იგი კიდევაც გამოიღებდა ხელს თავისი არჩევანის აღსასრულებლად...

როგორც კი ბაადური გარდაცვლილი მამის „ტახტზე“ დაჯდა, ზურაბმა მაშინვე მის წინაშე მორჩილებაზე უარი გამოაცხადა და ცოლთან ერთად ერანში გაიქცა გიორგი სააკაძესთან.

გიორგიმ შაჰს წარუდგინა თავისი ცოლისძმა.

ერანის ლომს ძალიან მოეწონა მძლავრსხეულოვანი და ძალსულოვანი მთიელი თავადი.

რაღაც კიდევაც ითათბირეს ერთად სამივემ — შაჰმა, სააკაძემ და ახალგაზრდა ერისთავმა...

ზურაბის ცოლი შაჰ აბასის კარზე დარჩა, — იქ, სადაც სააკაძის სახლეული იდგა. თვითონ ზურაბი საქართველოში წამოვიდა, შაჰის საჩუქრებით დატვირთული, შაჰისაგან არაგვის ერისთავად ხელდასხმული და „შაჰისევანთა“ ჯარით „დამშვენებული“.

ძმას მიუხტა საარაგვოში.

ბაადურმა ცოლ-შვილით ძლივს გაასწრო და დასავლეთ საქართველოში — საჩინოში გადაიხვეწა.

ზურაბმა საარაგვო დაისაკუთრა.

მერე ქვემო ქართლის სპასპეტი „ბ ა რ ა თ ა ბ ა რ ა თ ა-შ ვ ი ლ ი „მოიმწო“, მთიულ-მოხევენი დაიმორჩილა და „გაძლიერდა ფრიად“.

ხოლო გადახვეწილ ბაადურს უბედურება არ ეშვებოდა. მის ცოლს ს ა ზ ვ ე რ ე ლ ი ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე გაუმიჯნურდა. ჩიჯავაძე ტრფიალს არ დასჯერდა, ბაადური მისივე ცოლის თანხმობით მოჰკლა და ქალი იგი თვითონვე შეირთო ცოლად.

ეს რომ ზურაბ ერისთავმა შეიტყო, მაშინვე ჯარი შემოიყარა, ფერსათი გადაიარა და საჩინოს დაეცა; ციხე ვერ აიღო, მაგრამ თვითონ საზვერელი ჩიჯავაძე კი შეიპყრო და თავი გააგდებინა.

ზურაბ ერისთავი ისე მოქმედებდა, თითქოს მასზე უმაღლესი ხელისუფალი აღარავინ ყოფილიყოს — აღარც აღმოსავლეთ და აღარც დასავლეთ საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვიმონ-ხანი შაჰ აბასთან გაიქცა საჩივლელად.

მაგრამ ზურაბ ერისთავს ერთის ფეხით მიესწრო მისთვის. გიორგი სააკაძეც იქ იყო.

როცა შაჰმა სვიმონ-ხანისა და ზურაბ ერისთავის საჩივრები მოისმინა, სააკაძეს თვალი თვალზე გადაუწონა და მრავალმნიშვნელოვნად თქვა:

— კარგი, რაც იყო, იყო, და ამიერიდან ქართლს მოვუვლით ჩვენ!

„ჩვენ?!“ — გახმიანდა სააკაძის გულში.

. . . . . .

ის იყო შაჰ აბასმა „საქართველოს ქართველთა“ ამბების მოსმენა და განსჯა მოითავა და მაშინვე „სპარსეთის ქართველთა“ შორის დატრიალებული ბავთიანი შემთხვევა მოახსენეს.

გათათრებულ ქართველ შაჰისევანთა ჯარში ერთმა ქართველმა აზნაურმა, სახელად ხ ო ჯ ა ს თ ე-ბ ე გ მ ა (დაკარგულია მისი ქართული, ქრისტიანული სახელი), რაღაც უცნობი მიზეზის გამო, თურმე ხანჯლის მოულოდნელი დარტყმით მოჰკლა მეორე ახალგაზრდა ქართველი ღულამი, სახელად რ ა მ ა ზ-ბ ე გ ი.

მკვლელობის გამოსაძიებლად და განაჩენის გამოსატანად დასხდნენ: ვეზირი მირზა აბუ თალები, სოჰბათიასაული ქალბალი-ბეგი და ფეროჰაბადის ტარუღა უმბეთ-ბეგ სიაჰ მანსური.

მოიყვანეს მკვლელი ხოჯასთე-ბეგი. მას კიდევ ორი ძმა მოჰყვა, ისინიც ღულამ-შაჰისევანნი.

ხოჯასთე-ბეგმა ყოველივე დაუფარავად და დაწვრილებით მოახსენა სასამართლოს, — ნამდვილად მოვკალითო რამაზ-ბეგი, მოსაკლავი იყო და მოვკალითო.

ძმებიც გაიძახოდნენ, რამაზ-ბეგის მოკვლაში ჩვენც გვიძევს ბრალიო.

ქალბალი-ბეგმა თქვა, რაკი ყველაფერი გარკვეულია, ისღა დაგვრჩენია მკვლელი დასასჯელად წავიყვანოთო, და ხოჯასთე-ბეგს ქამარში ჩაავლო ხელი.

ხელით შემოგვბედაო?! უცებ ხმლები გაიძრეს ძმებმა-ქართველებმა და მოსამართლეებს დაერივნენ.

ქალბალი-ბეგი და აბუ თალები იქვე ასჩეხეს. ძლივს გაასწრო ტარუღა უმბეთ-ბეგმა.

სასამართლოზე დამსწე ხალხი თავზარდაცემული მიაწყდა კარებს.

ვილაცეებმა გამოიღეს ხელი, მაგრამ ისინიც უმალვე აჰკაფეს და ააფელიკეს ქართველებმა.

ამასობაში უმბეთ-ბეგმა ჩაუშების გუნდი შემოიყვანა და შორიდან ისრისა და ტყვიის ცეცხლით ჩახოცეს ძმები...

„ახლა აქაური ქართველებიც დაერივნენ ერთმანეთს?!“ — გაკვირვებით წამოიძახა შაჰმა.

მძიმე საფიქრალს მისცემოდა გიორგი სააკაძე.

. . . . . .

იმავე 1619 წლის 7 ივლისს, კვირა დღეს, შაჰ აბასი ისფაჰანის მთავარ მოედანზე გამოსულიყო. თან სტუმრები ახლდნენ — ინდოელი და ოსმალო ელჩები.

იმამ-ყული-ხან უნდილაძეს ძღვენი გამოეგზავნა შაჰის კარზე და სწორედ იმ „საოცარი გურჯის“ მისართმეველის სახილველად მოსულიყვნენ შაჰიც და მისი სტუმრებიც.

მზე დაისად ეშვებოდა, როცა მოედანზე „გურჯი ხანის“ გამოგზავნილი ფეშქაშ-ქარავანი შემოვიდა.

წინ ორმოცი არაბული მერანი მოჰყავდა ორმოც გათათრებულ ქართველს.

ცხენებს შვიდი აქლემი მოჰყვებოდა, შვიდივე თვალ-მარგალიტით სავსე ლარებით დაკაპანებული.

ბოლოს მოდიოდა ყველაზე საწადნელი-სახილველი: ცხენშებმული ოთხთვალა ფორნები, ყოველ მათგანზე — ორი უზარმაზარი შაქრის ლოდი.

აზრი დაიკრეს ინდოელებმა, — უნდილაძე ისე მიგვანიშნებს, მარტო ინდოეთს როდი გქონიათ შაქარიო, ჩვენც თავზე საყარად გვაქვს ერანშიო.

ბოლო ფორანზე ინდაურები დაესხათ ქართველებს.

ესეც დიდად „საწადნელი-სახილველი“ იყო, რადგან ინდაური პირველად შემოეყვანათ ერანში ქართველ ვაჭრებს ვენეციიდან.

მთავარი მაინც ფორნები იყო, — სავსებით ახალი სამგზავრო-სამიმოსვლო და საზიდარ-საბარგული გაწყობილობა.

და ეს „სიახლეც“ ქართველებს შემოჰქონდათ პირველად ერანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყველაზე უფრო ფატიმა მიყვარსო“, — იტყოდა ხშირად შაჰ აბასი.

ფატიმა მისი შვილიშვილი იყო, უფლისწულ ხუდაბენდეს ასული, სამი თუ ოთხი წლისა, საოცრად ლამაზი და მომხიბლავი გოგონა.

კიდევ შეასმინეს შაჰ აბასს — შვილები გიპირებენ ღალატსო.

„რომელი შვილები“?!

„ხუდაბენდე-მირზა და ისმაილ-მირზა“.

„ახლავე თვალები დათხარეთ ორივეს!“ — იყვირა შაჰმა.

შაჰის ბრძანების შეყოვნებაც დანაშაული იყო და უმალვე დასწვეს თვალები ხუდაბენდესა და ისმაილს.

თვალდაშრეტილ ძმათაგან ერთი — ისმაილი — ბედს შეურიგდა, ხოლო მეორემ — ხუდაბენდემ შურისძიება გადაწყვიტა. იგი ფიქრობდა იმაზე, თუ რა საშუალებით მოეკლა გული გულქვა მამისთვის.

იფიქრა, იფიქრა ხუდაბენდემ და უეცრად „გაუნათდა გონი“: მამაჩემს, შაჰ აბასს, ყველაზე უფრო ჩემი შვილი ფატიმა უყვარსო და ამიტომ...

ხუდაბენდემ თავისი ღვიძლი შვილი საკუთარი ხელებით დაახრჩო!

დაახრჩო და მაშინვე საწამლავიც დალია.

შეიშალა შაჰ აბასი.

ღაწვები სულ დაილეწა სილაქების ცემით.

ათი დღე-ღამე წყვდიადში ჩაინთქა. არავინ მიიკარა. არც საჭმელ-სასმელი გაიკარა.

როცა საგლოველი ჯურღმულიდან ამოვიდა, კახეთის ამბები დაახვედრეს.

კახეთის მმართველი ფეიქარ-ხანი იწერებოდა ხორნაბუჯიდან დაცარიელებულ მიწებზე თურქმანებს ვასახლებ, მაგრამ თურქმანებმა მიწის დამუშავება არ იციან და კახეთი ისევ დაქცეულიაო ისევ ქართველები მძლავრობენ, სახიზარებიდან გამოდიან, ძველ კერაზე ბრუნდებიან, კიდევაც მრავლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიანო; ალლაჰი რომ გაწყრეს და ისევ აჯანყება გაბედოს, ათი ათასი ხმლიანი ქართველი გამოიჭრება ბრძოლის ველზეო.

დიდხანს ფიქრობდა შაჰ აბასი.

მაშ, ისევ დგება ფეხზე კახეთი... კახეთი... ფენიქსი... ჰო, ყოფილა თურმე ამნაირი ფრინველი, არწივის ტოლა, ოქროსფერი და სისხლისფერი ფრთებით. ყოველ ხუთასი წლის თავზე სიბერემორეული ფენიქსი საკუთარ ბუდეში ჩაიწვება, ჩაიფერფლება და იგივე ფერფლიდან ახლად აღორძინებული ამოფრინდება თურმე... მერამდენედ იბადება ხელახლა კახეთი, სრულიად საქართველო?! მერამდენე ხუთასწლეული შესრულებია ხელახალი შობისა, აღორძინებისა და აღზევებისა?!

. . . . . .

უცებ თეიმურაზი მოიკითხა.

თეიმურაზი ხონთქარის ნაჩუქარ გონიოში ცხოვრობსო, მოახსენეს შაჰს.

„არ მოიშალა, არა, თურქეთისაკენ ხელის პოტინი?“

„თურქეთი კი არა, ახლა რუსეთში გაუგზავნია ელჩი თეიმურაზს“.

„რუსეთშიო?!“

„დიახ, მოსკოვში, მიხეილ რომანოვთან“.

სახე სულ გაუშავდა შაჰ აბასს.

„თეიმურაზის შვილები სად არიან?“ — იკითხა ყრუდ.

„შირაზში არიან, თეიმურაზის შვილებიც და თეიმურაზის დედაც“.

„როგორ, სამივენი ერთად არიან?“

„არა, როგორც თქვენ ბრძანეთ, — ქალი ცალკე გახლავთ, შვილიშვილებიც ცალკე. ერთმანეთისა არაფერი იციან“.

„თეიმურაზის შვილები მომიყვანეთ, ორივე, სასწრაფოდ!“

ფაიქი გაფრინდა შირაზისაკენ.

ჯალათიც მაშინვე გამოიძახა შაჰმა — სამართებლიანი ჯალათი.

. . . . . .

ქართული სასაფლაოსკენ მიეშურებოდნენ ქართველები. მიეშურებოდნენ და კუბოს მიასვენებდნენ.

კუბოში ათი წლის ბიჭი ესვენა, სილამაზით — მზის აწათალი.

„ვის მიასვენებენ ქართველები?“

„თეიმურაზ კახთა მეფის ვაჟია, უფლისწული ალექსანდრე“.

„რა სენმა მოჰკლა ეგ ბედდამწვარი?“

„შაჰ აბასმა დაასაჭურისებინა ჯალათს. ვეღარ აიტანა ბიჭმა, და მოკვდა“...

. . . . . .

ქუჩაში თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი დარბოდა.

ერთ დროს ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო, ჭეშმარიტად — მზის ანათალი.

ახლა სახე გაცრეცილი ჰქონდა, თვალები შეცვივნული და ამღვრეული.

მირბოდა ბიჭი და იცინოდა ისტერიულად.

თითქოს რაღაცას მისდევდა — უხილავსა და ხილულსა, უსხეულოს და სხეულიანსა.

„ვინ არის ეს ყმაწვილი?“

„თეიმურაზ კახთა მეფის ვაჟია, უფლისწული ლევანი“.

„რა დამართნია მაგ ბედდამწვარს?“

„შაჰ აბასმა დაასაჭურისებინა ჯალათს. ვეღარ აიტანა და ჭკუაზე შეცდა ბიჭი!“...

ტახტთან და არა ტახტზე

„ამიერიდან ქართლს ჩვენ მოვუვლითო“, აკი ასე თქვა შაჰმა გიორგი სააკაძის, სვიმონ-ხანისა და ზურაბ ერისთავის თანდასწრებით.

ხოლო „ჩვენ“ — გულისხმობდა შაჰსა და სააკაძეს.

მართლაც სჭირდებოდა „მოვლა“ უპატრონოდ და „უმთავრობოდ“ დარჩენილ ქართლს, სადაც თავადებს საკუთარი „დამოუკიდებელი ქართლები“ შემოერაგვათ, შიგ ჩაკეტილიყვნენ და საკუთარ ქონში ჩახრუკულნი ელოდებოდნენ ბედისწერისგან მიგდებულ წილხვედრს.

ქართლის მმართველად ისევ სვიმონ-ხანი დატოვა შაჰ აბასმა.

მაგრამ „ვექილად“ და „მრჩევლად“ სვიმონ-ხანს გიორგი სააკაძე დაუნიშნა.

დასაწყისშივე აშკარად იყო საცნაური: უნიჭო და უნიათო სვიმონ-ხანი „პოლიტიკური ფიტული“ იქნებოდა, ხოლო ქართლის ნამდვილი მმართველი და გამგებელი --- მაღალნიჭიერი და მაღალძალოვანი გიორგი სააკაძე...

1620 წელს სვიმონ-ხანი, გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი საქართველოში შემოვიდნენ.

გიორგი სააკაძე ქართლის ტახტ(თან) იდგა.

(არავინ იცის, ოცნებობდა თუ არა სააკაძე ტახტ(ზე) ჯდომას, — რაშიც მას ბრალს სდებდნენ მომტერე თავადისშვილნი).

ამიერიდან გიორგის ხელთ იყო ქართლის ყოველი დიდი და მცირე საქმენი.

თვითონ სვიმონ-ხანი ასე ეპასუხებოდა სააჯოდ მოსულ „დიდსა“ და „მცირე“ ქართველობას: „მოურავი მობრძანდების და ის გადასწყვიტავს“, „მის მობრძანებამდის გვმართებს მოთმინება“, „მოურავს უკეთ მოეხსენების ყოველივე საცილობელი“, „იმან ჩვენზედაც უკეთ იცის, რარიგადაც სჯობს“, „სწორედ ისე ვიქთ, როგორადაც ბატონს მოურავს მოესურვების“.

დასდგომოდა გიორგი სააკაძეს დღე-ღამ ნაოცნებარი დროჟამი — ჟამი ანგარიშსწორებისა, მისი მოსისხლე თავადების ამოწყვეტისა და ამოგდებისა. განა ამისთვის არ გადაიხვეწა სააკაძე ერანში?!

აბა, დაუდგნენ ახლა ბარათაშვილები, ჯავახიშვილები და ციციშვილები სააკაძის ავფხიან ხმალს!

შადიმან ბარათაშვილი აღარსად ჩანს (ალბათ, მოესწრო „თავისით სიკვდილი“ ბოროტ ფეოდალს).

ცხენები შეეკაზმათ და ჯალაბი აეყარათ ფარსადან ციციშვილს, ქაიხოსრო და ბერუკა ჯავახიშვილებს.

მაგრამ დაასწრო სააკაძემ, ცხენდაცხენ მიუხტა და... სამივეს შეურიგდა!

— ჩვენ შუა ძმობისა და მოყვრობის მეტი აღარა დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, სამუდამოდ და საბოლოოდ ასრე შევრიგდით და შევეწყვენით, ჩვენ შუა საყარყაშო საქმე აღარაფერი დარჩენილა, — უთხრა გიორგიმ ქაიხოსროს.

იგივე უთხრა ყოველ მომტერე თავადს.

შიშით მუხლმოშლილი თავადები ერთბაშად „დაუმოყვრდნენ“ დიდსულოვან მეტოქეს.

ფარსადან ციციშვილმა „საფიცრის წიგნი“ მიართვა გიორგის და მის შვილებს — ავთანდილს, პაატას, იორამს:

„რაც ღმრთისაგან და კაცთაგან თქვენს მორჭმას და გადიდებას უჯობდეს და კარგად მოუხდებოდეს, იმისი მომჭირნე და ძალის მიმცემნი ვიყოთ თათარშიგაცა და საქართველოშიგაცა, არც სახერხოდ და სატრელოდ და სამტყუნოდ შემოგადგეთ და რაც ამას წინათ ჩვენსა და თქვენს შუა სასამდურაო და ნაწყენი საქმე იყო, ისიც ასრე ჩავარონინოთ, თქვენის მტრისა მტერი ვიყოთ და მოყვრისა მოყვარე“.

გიორგის „საფიცრის წიგნი“ ააბლეს მროველმა ეპისკოპოსმა დ ო მ ე ნ ტ ი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა და მისმა ძმისწულებმა:

„ვიყვნეთ თქვენთვის დღეს და დღეის იქით კარგნი და კარგნის მდომნი. არა გავნოთ, არა გაზიანოთ, არა გიცრუოთ, არა გიტყუოთ, არა გიჩხუბოთ... თქვენის მტერისა მტერნი ვიყვნეთ და მოყვრისა მოყვარე“...

დიახ, გიორგი სააკაძეს ზავი სწყუროდა — ზავი, ერთობა, ერთხმივობა, თანადგომა და თანალმობა ყოველ ქართველთაგან, თუნდაც მტერთან, მოსისხლესთან...

ახლა პირადული ანგარიშსწორებისათვის არა სცალოდა სააკაძეს.

სამუდამოდ დარწმუნებულიყო მოურავი: ახლა მისი ყველაზე დიდი „პირადი მტერი“ იყო შაჰ აბასი, რამეთუ სწორედ შაჰ აბასს გადაეწყვიტა სააკაძის უპირველესი სალოცავი ხატის დამსხვრევა.

სააკაძეს ერთიანი, მძლავრი, „აღმაშენებლური“ საქართველოს აღდგენა ჰქონდა გულს ამოჭრილი.

შაჰ აბასს საქართველოს ერთიანად დამხობა და ამოგდება ჰქონდა ჩაჭედილი შლეგიან გონებაში.

სააკაძეს ზავი სწყუროდა „ყოველნაირ ქართველთან“.

ესე იყო საჭირო და სასურველი, რადგან მის გონებაში დიდი სამამულიშვილო განაზრახი მწიფდებოდა.

სწორედ ამისთვის იდგა (და არა „იჯდა“) ქართლის დაობებულ ტახტთან (და არა „ტახტზე“) გიორგი სააკაძე.

სწორედ ამისთვის შესდგომოდა გიორგი სააკაძე გაცხოველებულ აღმშენებლობას, ციხესიმაგრეთა აღდგენას, გზებისა და ხიდების განახლებას, ამოგდებული სოფლების ხელახალ დასახლებას, ხალხის გამხნევებასა და წახალისებას.

ქართლის გარეთ გავიდა სააკაძე მოკავშირეთა საძებნელად.

ახალციხის ბეგლარბეგი ფარად ფაშა სიძედ გაიხადა, — თავისი უმცროსი ასული გაატანა ცოლად.

ფარად ფაშა წარმომავლობით ქართველი იყო, თურქეთის მოხელე. გიორგი ვარაუდობდა — საჭიროების შემთხვევაში სიძეს შეეძლო სიმამრის დასახმარებლად ოსმალეთიც გამოეწვია საომარ ველზე!..

გიორგი იმერთა მეფესაც დაუკავშირდა სააკაძე.

როცა შეგატყობინებთ, იმერთა ჯარებით მოგვეშველეო და თუ გავიმარჯვებთ, ქართლის ტახტზე შენს შვილს დავსვამთო, ატყობინებდა გიორგი სააკაძე გიორგი მეფეს. ეს აღთქმა სარწმუნო იყო, რადგან იმერეთისა და ქართლის ტახტთა შეერთება სწორედ სააკაძის ოცნების — საქართველოს გაერთიანების მანიშნებელი იქნებოდა.

. . . . . .

წყვდიადი იწვა საქართველოს ცისგვამში.

სააკაძის ფაიქები მიმოქროდნენ, ნაბდით დაჭედილ ცხენებზე ამხედრებულნი.

ყრუ ხევხუვებში და ქვაბულებში ქართული ხმლები იჭედებოდა, — შიშვლად, უქარქაშოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰ აბასი მდინარე აბიქურენის პირას იდგა ამალით.

ისფაჰანს წყალი აკლდა და სატახტო ქალაქისკენ აბიქურენის გაყვანას აპირებდა შაჰი. უკვე კიდევაც დაწყებულიყო არხის გაჭრა წყლის გადასაგდებად. შაჰი სწორედ სამუშაოთა სახილველად ჩამოსულიყო აბიქურენზე.

რუსი ელჩები ეახლნენ აბასს.

ბევრი რამ განიხილეს და განსაჯეს სტუმრებმა და მასპინძელმა.

ბოლოს ერთი სათხოვარიც აღძრეს რუსებმა: ქართველი მეფე გაათავისუფლეთ, თავის ქვეყანაში დააბრუნეთ და ძველებურად თქვენი მორჩილების ქვეშ იყოლიეთო.

„უეჭველად აღვასრულებ თქვენ შუამდგომლობას და გავუშვებ ლუარსაბს საქართველოში“, — დიდის „სიამოვნებით“ აღუთქვა ელჩებს შაჰმა.

. . . . . .

მაშ, ლუარსაბ მეფე უნდა მოკვდეს!

უნდა მოკვდეს, რადგან მისი სიცოცხლე ძალიან სჭირდებათ რუსებსა და ქართველებს.

ხოლო, „არ სჭირდებათ“ — შაჰ აბასს და გიორგი სააკაძეს.

. . . . . .

როცა რუსები წავიდნენ, შაჰმა გულაბყალას ციხის უფროსი გამოიძახა და უთხრა რისხვეულად:

— წარწყმედისა და სიკვდილის ღირსი ხარ შენ! რატომ აქამდე არ მოგიკლავს ლუარსაბ მეფე?! ახლა რუსები იყვნენ ჩემთან და მისი განთავისუფლება მთხოვეს. წადი ახლავე და, თუ ხვალ საღამომდე ლუარსაბ მეფის სიკვდილი არ შემატყობინე, იცოდე, დედაბუდიანად ამოგწყვიტავ!

. . . . . .

1622 წლის ადრიანი გაზაფხული.

შირაზში უნდილაძის წალკოტებს შირაზული ვარდობის ცეცხლი წაჰკიდებოდა.

ხოლო გულაბყალაში პატიმარს ადრე გაჰღვიძებოდა.

ქართველები იხმო ქართველთა მეფემ და განაცხადა ნაოცრად წყნარი, უშფოთველი ხმით:

— გული მითქვამს, რამეთუ დღეს აღვესრულები მე ამა საწუთოსაგან. ახლა მსურს, სიკვდილის წინ დამიტიროთ წესისაებრ საქართველოსა, რამეთუ მე თვით ვისმინო თქვენი ხმა ქართული, თქვენი გოდება ქართული, თქვენი სიტყვა ქართული, — ვითარცა ხმაი, გოდებაი და სიტყვაი სრულიად საქართველოსი!

ეს თქვა ლუარსაბმა და გულაღმა დაწვა სარეცელზე. გულზე ხელები დაიკრიფა და თვალები დახუჭა, ვითარცა მიცვალებულმა.

მიუდგნენ ქართველები და იტირეს მეფე თვისი ზარით და ზუნით, „წესისაებრ საქართველოსა“.

მერე ეპისკოპოსი მიიხმო და ეზიარა ლუარსაბ მეფე.

თვალი მაცხოვრის ხატისათვის მიეპყრო და მეტყველებდა მეფე ქართველთა:

„შენ უწყი, უფალო ჩემო იესო ქრისტე, ვითარ არცა ანგარებითა, არცა სიმდიდრის მოყვარებით დავუტევე მამული და საყოფელი ჩემი და ვერცავინ შემძლებელ იყო შეპყრობად ჩემდა და ვერცა გამოყვანებად სიმაგრეთა მათგან, რომელსა მე ვიმყოფებოდი. გარნა ვიყავ მწუხარე და მელმოდა გულსა იავარ-ყოფა საქართველოსი, დამხობა წმიდათა ხატთა და ჯვართა და დარღვევა წმიდათა ეკლესიათა. ხოლო უკეთუ მე განვრინებულიყავ ხელთაგან ყიზილბაშთა, მაშინღა განირყვნებოდა და მოოხრდებოდა მშობელი ქართლი, ვითარცა იერუსალემი ნაბუქოდონოსორის მიერ და მე აღვირჩიე საქმე ესე, რომელი ბრძანე წმიდასა შინა სახარებასა; „მწყემსმან კეთილმან დადვის სული თვისი ცხოვართა თვისთათვისო“. გავსწირე თავი და არა მივეც განსაყრვნელად, იავარსაქმნელად და შესაჭმელად სიწმინდენი და ალაგნი ქართლისანი. მინდობილმინ ბრძანებისა შენისამან დავსდევ თავი ჩემი ქვეყნისათვის და გადარჩა ქართლი მოოხრებისაგან. ესე ყოველივე შენ უწყი, რამეთუ მეცნიერ ხარ გულისსიტყვათა და გონებათა. არა მეწყალვის მეფობა და შარავანდედობა ჩემი, არცა შვენიერობა, ჰაეროვნება და ახოვნება

სიჭაბუკისა ჩემისა, არცა უებრიბა და ყვავილი სიორძილისა* ჩემისა, არცა კისკასად მორბედობა ასპარეზობისა და ქველ-ყოფილობა ჰასაკობისა ჩემისა, არცა ბრძოლასა შინა მხნეობა და სიმაგრე მკლავისა, და არცა თეატრონსა შინა მორბედობა ცხენთა და მსწრაფმავლობა და მარჯვედ სრვა მხეცთა, და-უშრომელობა მკლავთა და ყოველთავე მოსავთა ჩემთა უზეშ-თაეს ყოფა, არცა დიდება, ჰატივი და სანოვაგენი, მრავალ-ფერი ტაბლანი და გამოჩვენებით ლხინი და მხიარულითა პირითა მეტყველებანი, ზმანი და მღერანი და მეფობრივი სარეცელი და ტახტ-გვირგვინ-სხებიანი. ესე ყოველი დამიტე-ვებია შენი და საქართველოს სიყვარულისთვის...".

ჯალათი შემოვიდა. იქ დამსწრეთ ანიშნა — გადით, მარ-ტო დაგვტოვეთო.

მეფემაც წამუყო თავისიანებს — წადითო, და კაეშნიანი ღიმილით დაემშვიდობა ყველას, ცალკეულად თვალის შევ-ლებით.

ქართველები გალაგდნენ — გამშრალნი, დამეხილნი.

კიდევ შემოვიდა ჯალათი, მეორეს მესამე მოჰყვა, მე-რე — მეოთხე, მეხუთე, მეექვსე.

შემზარავი სახეები აელანძა მეფის თვალებს.

ერთს უზარმაზარი მშვილდი ეპყრა ხელთ — მსხვილი, გასანთლული ლარით გაჭიმული.

ლუარსაბმა რატომღაც იმ მშვილდის ლარ-საბელს დაად-გა თვალი და თქვა მშვიდი ხმით:

„აღასრულეთ ბრძანებული თქვენი!"

საბელი შეხსნეს მშვილდს ჯალათებმა.

ლუარსაბ მეფის ახოვან ყელ-კისერს ყულფად შემოაჭ-დეს და ორივე მხრისკენ დაიქნიეს საბელის თავნი...

ასე აღესრულა მეფე ქართლისა, ლუარსაბ მეორე, „კაცი შვენიერი და კეკლუცი და სანახავად სატრფიალო, — რომ არსად გამოსულა ამისთანა შვენიერი და შემკობილი კაცი, ყოვლისა სამღთო-საკაცობრიოთ ზნეობით გათავებული და უკლები".

გამეფდა 14 წლისა, იმეფა ათი წელი, წამებულის სიკვ-დილით აღესრულა შობითგან 24 წლისა.

---

* სიორძილე — „აღორძინების ქნა" (ხიბა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეგო უშვ/ლძიროდ.

მისი ერთადერთი „ხელმწიფური უნარი“ სამშობლოსათვის პირადი სიცოცხლის გაწირვა იყო და კიდევაც პირნათლად აღასრულა თავისი ვალი მშობლიური ხალხისა და ქვეყნის გადასარჩენად.

ქართულ მიწაში განსვენება არ ჰღირსებია ქართული მიწისთვის თავგანწირულ ჭაბუკ ხელმწიფეს.

. . . . . .

შაჰ აბასი ისევ აბიქურენის პირას იდგა, როცა ლუარსაბ მეფის თავი მიართვეს.

დიდხანს გაქვავებული თვალით უცქირა შაჰმა სისხლით შეღებილ წამებულ სახეს.

მერე ცახცახი აუვარდა, ისტერიულად ახარხარდა, მშობიარე ქალივით აკივლდა, ლაშებიდან ლეზვი და ლოშქრი დასდინდა...

ხელები წაუშინა სახეში მოკვეთილ თავს.

სცემა, ლანძღა და აგინა, აქეთ-იქით აგორა, მიახეთქ-მოახეთქა.

ბოლოს, როცა გული მოიჯერა და მოიძღო, ყურით აიღო და იქვე თავქვეზე მოისროლა.

ჯერ ნელა დაგორდა ლუარსაბ მეფის თავი, მერე სრბოლას უმატა და ძალმიცემით დაექანა უფსკრულისაკენ.

მეექვსე „სხვათა ისტორიისა“

ბევითონ სამარეც მევიწროვოს, თუ ტოლი მყვანდეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

იმ დღეს, რა დღესაც შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფის მოკვეთილი თავი გალახა და გადააგდო, ლუარსაბის და, ლელა-თინათინი (გიწა — ფათმა სულთან ბეგუმ), ცოლობიდან განუტევა და კახეთის მმართველს — ფეიქარ-ხანს საჩუქრად გაუგზავნა ხორნაბუჯში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ერთი თვე ვერ იქნა და ვერ განიშორა გონებიდან ქართველი მეფის წამებული სახე შაჰ აბასმა.

მთელი თვე ქართველები სძულდა, განურჩევლად — გათათრებულიც და გაუთათრებელიც.

უნდილაძის გვარიდან არავინ გაჰკარებია იმ თვეს შაჰ აბასს.

არ სცალოდათ მაშინ უნდილაძეებს: ლუარსაბ მეფეს გლოვობდნენ, სპარსელთაგან შეფარვით.

ცხარედ დასტიროდნენ მამულდაკარგული ქართველები მამულისათვის თავდადებულსა და წამებულ ხელმწიფეს.

გიორგი სააკაძეც მაშინ ერანში იყო, შაჰისაგან გაწვეული.

მაგრამ იმ თვის მანძილზე არც სააკაძე გაჰკარებია სასახლეს.

არ გაჰკარებია, რადგან მან კარგად იცოდა, როდის სძულდა და როდის უყვარდა ქართველები ბნედიან მბრძანებელს.

ისედაც ჰქონდა სააკაძეს „დამოუკიდებელი სადარდებელი“: ხუთ ენაზე გაისმოდა ერანში — სპარსულად, ქართულად, სომხურად, იტალიურად, პორტუგალიურად: „ლუარსაბ მეფე შაჰ აბასმა გიორგი სააკაძის ჩაგონებით მოჰკლაო!“

სააკაძისგან ლუარსაბის სასიკვდილოდ ამოჩემების მიზეზად ნაირნაირს ასახელებდნენ მითქმა-მოთქმაზე დახარბებული ადამიანები:

სააკაძეს სიკვდილი დაუპირაო ლუარსაბ მეფემ;

სააკაძეს სახლ-კარი აუწიოკაო ლუარსაბ მეფემ;

სააკაძეს დაი გაუბახაო ლუარსაბ მეფემ;

სააკაძეს ცოლშვილიანად საქართველოდან ფეხი ამოუკვეთაო ლუარსაბ მეფემ;

და აჰა, ბოლოს და ბოლოს, სააკაძემ ყველაფერი ერთად ამოანთხევინაო ლუარსაბ მეფეს!

მოდი და გადაარწმუნე დარწმუნებული ხალხი!

. . . . . .

ერანის ცისგვამი.

მხურვალებით მუცელგაფატრული მზის ქვეშ ცხენს მიაჭენებს გახელებული მხედარი.

პაატას ხმა ჩაესმის, სულის შემაჯრჯოლებელი ხმა:

„მაინც სანამ უნდა გაგრძელდეს ასე?“

„რა, შვილო?“
„სანამ უნდა გვერქვას თათრები?“
„ოღონდაც, შვილო, ოღონდაც...“
ათი წელიწადი გასულა სააკაძის „გათათრებიდან“!
ათი წელიწადი!
ორმოცდაორი წლისა შექნილა სააკაძე!
და ისევ „თათარს“ ეძახიან ქართველები!
მაგრამ, განა მარტო „თათარს“ ეძახიან?!
აი, იმ ჩიტის ხმა კიდევ არ ესმის გიორგის!
პაატას კი ესმის თურმე ცხადლივ: „ნუ გათათრდებიო!“

. . . . . .

როცა შაჰ აბასმა ქართველთა მძულვარების სამთვარიო მოინელა, იმამ-ყული-ხან უნდილაძე გამოიძახა სასწრაფოდ.

„ერანის ვიცე-კოროლი“ გულფაიგანის საზაფხულო სავანეში ბრძანდებოდა იმჟამად. სტუმრები ჰყავდა — იტალიელი კათოლიკე ბერები. ბერძნულ ფილოსოფიაზე და ხელოვნებაზე მსჯელობდნენ. ევროპელები განცვიფრებული იყვნენ უნდილაძის განსწავლულობით, ღრმააზროვნებით, შთამაგონებული მსჯელობით.

ბოლოს უნდილაძემ სტუმრებს სთხოვა, მისი წიგნთსაცავისათვის რომიდან გამოეწერათ პლატონისა და არისტოტელეს თხზულებანი ბერძნულ და ლათინურ ენებზე, არაბულ-ლათინური ლექსიკონები და ბიბლია არაბულ ენაზე.

მისიონერებმა მაშინვე დიდის მოწიწებით აღუთქვეს მასპინძელს თხოვნის ასრულება.

ამ დროს შათირიც მოიჭრა და შაჰის ბრძანება მოიტანა.

უნდილაძე სასწრაფოდ გაეშურა.

შაჰ აბასმა მისალმებისთანავე საომარ სამზადისზე ჩამოუგდო სიტყვა.

ყოველივე აღესრულება, მაგრამ... საით აპირებს ერანის ლომი ალლაჰისაგან ნაკურთხი ხმალის წარმართვას?

ნუ შეშფოთდება უნდილაძე — საქართველოში არ გაგზავნის, შაჰ აბასი. ისედაც ხომ რაღაცას მოიგონებს უნდილაძე და მაინც დაიძვრენს თავს საქართველოში ლაშქრობისაგან... არხეინად ბრძანდებოდეს ერანის ვიცე-კოროლი! საქართველოს „მოსავლელად“ სხვა კაცი ჰყავს შეგულებული ხელმწიფეს.

ჰო, ეს „სხვა კაცი“ არის გიორგი სააკაძე!

ხოლო იმამ-ყული-ხან უნდილაძე სამხრეთისაკენ სალაშქროდ უნდა მოემზადოს.

ესეც კარგად იცის უნდილაძემ: აგერ ხუთი წელიწადია, შაჰის ბრძანებით იგი თვითონ უდგას ხათავეში „სამხრეთული ომის“ სამზადისს...

და იმავე 1622 წელს იმამ-ყული-ხან უნდილაძემ სპარსი და გურჯი ჯარებით ჯერ დაიპყრო შ ა მ ი, შემდეგ ჰ ო რ მ უ ზ ი დ ა ნ გარეკა პორტუგალიელები და ეს კუნძულიც ერანის ლომსახოვან დროშას დაუმორჩილა.

ამიერიდან გაეხსნა სპარსეთს სამხრეთულ ზღვათა კარიბჭენი.

ახალი, სამარადჟამო სტრიქონები ჩასწერა ქართველმა კაცმა სპარსეთის ისტორიაში.

ისფაჰანი დიდი ზარზეიმით შეხვდა შამისა და ჰორმუზის გმირს.

ლექსები, პოემები და სიმღერები აზღვავდა იმამ-ყული-ხან უნდილაძის სახოტბოდ და სადიდებლად.

(ჩვენს დრომდე მოატანა „უნდილაძის თემამ“ სპარსულ ლიტერატურაში. სპარსი პოეტი — კ ა დ რ ი შამისა და ჰორმუზის ამბებს და მის მთავარ გმირს იმამ-ყული-ხან უნდილაძეს უძღვნის ორ პოემას — „ჯანგ ნამა-ი ქიშმ“ და „ფარუნ-ნამე“).

შაჰ აბასმა საგანგებოდ გამართულ ნადიმზე ეს უთხრა უნდილაძეს: რა ვქნა, აღარ ვიცი რით დაგაჯილდოვო, — ერთი შაჰის ტახტი შემომრჩა და ამას შენ ველარ დაგითმობ, ამ ერთი რაიმეთი ხომ უნდა გავირჩევოდეთ მე და შენ ერთმანეთისაგანო; შეურიგდი და დარჩი ისევ ვითარცა „მეორე კაცი“ და „ვიცე-კოროლი“ ჩემს შემდგომო.

ჭიამ გადაუარა გულზე სააკაძეს.

იმ დღეს შაჰმა ორი უნდილაძე კიდევ დააწინაურა „ერთგულ გურჯთაგან“: ალავერდი-ხან უნდილაძის უმცროსი ვაჟი დ ა უ დ-ხ ა ნ ი განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად დანიშნა, ხოლო იმამ-ყული-ხანის ძე ს ე ფ ი-ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი — ლარის ბეგლარბეგად.

გულმარიანად იჯდა გიორგი სააკაძე.

მაინც როგორი არიან ეს უნდილაძენი? მთელი თავისი წუთისოფელი ვითომც „თათრობენ“, მაგრამ არასოდეს ქართველობას არ ჰღალატობენ. საქართველოს მათის „თათრობით“ არასოდეს ფრჩხილიც კი არ წამოსტკენია. ოჯახებიც „წმინდა ქართული“ აქვთ. სპარსელთა შესახედავად ჯამეში მუეძინის ყივილს „გულდასმით“ უსმენენ, მერე სახლში მიდიან და ჯვარცმის წინაშე გულმხურვალედ ლოცულობენ პირჯვარის წერით. მოყვრობა და ნათესაობა ისევ ქართულ ოჯახებთან აქვთ. იმამ-ყული-ხან უნდილაძეს სამი ასული ჰყავს და სამივე ქართველზე გაუთხოვებია: ერთი ანდუყაფარ ამილახორს ჰყავს ცოლად — შაჰ აბასის ცოლისძმას, მეორე — ამირსპასალარ დაუდ-ბეგ გურჯს, მესამე — ალი-ყული-ბეგ სააკაძეს, როსტომ სააკაძის ძმას, იმამ-ყული-ხანის ძმას, დაუდ-ხან უნდილაძეს ცოლად ჰყავს თეიმურაზ მეფის დაი — ელენე.

ჭკვიანი ხალხია უნდილაძენი!

ისევ მაღლა ფრინავს არწივი უნდილაანთ საგვარეულო გერბით მკერდდამშვენებული.

ვერ დაითმენს არწივი სააკაძის გვარგუჯაბისა!

მისი ჯერიც უნდა დადგეს!

. . . . . .

არც ერთი კი არ ფიქრობდა:

ვისი გმირები იყვნენ ისინი?!

ანდა, საერთოდ იყვნენ გმირები?!

. . . . . .

გიორგი სააკაძეს მაინც დაუდგა „თავისი ჯერი“.

მომდევნო 1623 წელს, გაზაფხულზე, შაჰ აბასმა იგი გამოიძახა და უბრძანა: ყანდაჰარს მივდივარ სალაშქროდ, ოზბეგები უნდა ამოვწყვიტო ძირბუდიანად; შენ მეწინავე ჯარებს უნდა უსარდლო და პირველმა უნდა მიიტანო იერიში ყანდაჰარზეო.

გაიხარა სააკაძემ: პირველად მიდიოდა სალაშქროდ სხვაგან, უცხო მხარეში და არა საქართველოში.

ყანდაჰარს მიადგა სპარსთა და ქართველთა მხედრობა.

გიორგი სააკაძე პირველი გავარდა საიერიშოდ ამხედრებული.

ზავთიანი ყივილით მიჰყვნენ ქართველები.

ჩამოეგებნენ ოზბეგები.

დადგა სასტიკი ხმალთაკვეთება.

მეწინავე ოზბეგთა მწკრივები ასჩეხეს და გადაქელეს ქართველებმა.

გამაყრუებელი ბღავილით მიჰყვნენ სპარსელნი.

უკუიქცნენ ოზბეგნი.

მეციხოვნეებმა ქალაქის კარი გაუღეს უკუქცეულებს.

სააკაძემ გაქცეულ მტერს გადაასწრო და ქალაქში შეიჭრა ქართველთა გუნდით.

მიჰყვნენ სპარსელები და ცეცხლითა და მახვილით გაესივნენ ყანდაჰარის ქუჩა-ბანდებსა და საცხოვრებლებს.

რამდენიმე საათში მდიდარი და ბრწყინვალე ქალაქი გაძარცვული, აწიოკებული და აოხრებული გართხმულიყო გამარჯვებულთა ფეხქვეშ.

დიდის ზეიმით შეეგება ერანის სატახტო ყანდაჰარიდან დაბრუნებულ ძლევამოსილ მხედრობას და მის მთავარ გმირს — გიორგი სააკაძეს.

იმავე 1623 წლის შემოდგომაზე შაჰ აბასმა ბაღდადისკენ დასძრა ჯარები.

მთავარსარდლად ყარჩიხა-ხანი დანიშნა.

წინ ისევ გიორგი სააკაძე მიაგელვებდა ცხენს.

ისევ პირველნი ეკვეთნენ ქართველები მსოფლიოში განთქმულ ქალაქს.

კვლავ საარაკო გმირობით იბრძოდა გიორგი სააკაძე.

გვერდით ძმა მისდევდა გიორგის — ქაიხოსრო სააკაძე.

დიდის შემმართებლობით და სიჩაუქით იბრძოდა ნოსტეველი გმირი.

ჯგროდ დაუშინეს ფინთხი ბაღდადელებმა.

მკვდარი დაეცა ქაიხოსრო სააკაძე.

გამხეცებით შეუტია ძმის სიკვდილით გულდალახვრულმა გიორგიმ.

ბაღდადს კარიბჭე შეუმუსრეს ქართველებმა.

ყელზე თოკშებმულნი გამოეგებნენ მეციხოვნენი ერანის „ჯურჯ სარდალს“.

მთელი ერაყი და ქურთისტანი დაუმორჩილეს ქართველებმა შაჰ აბასის ტახტს.

ახალი ფურცლები „ჩააკერეს“ ქართველებმა ერანის ისტორიაში.

ისევ უზემოეს საირაოზე აფრენილიყო სააკაძის გულსისხლიანი არწივი.

მაგრამ მაინც ვის საირაოზე შემართულა გიორგი სააკაძე — უპირველესი გმირი აზიის კონტინენტისა?!

ანდა, საკუთარი სამშობლოდან გადახვეწილსა და უცხო ქვეყნის ისტორიის მჭედელს, საერთოდ, შეიძლება ეწოდოს გმირი?!

არა, არა, გიორგი სააკაძე მხოლოდ ერთჯერ იყო გმირი — ტაშისკართან, სადაც მან მისი მამულის „შესაჭმელად“ მოსული მტერი დააწვინა და დაამიწა.

და იმასაც — ტაშისკარის მამულიშვილურ გვირგვინსაც — როგორც ეტყობა, ფერი სავსებით ამოსჭამა ათი წლის „თათრულმა“ ფერისცვალებამ“!

არა, არა, ჭეშმარიტი გმირი ის არის, ვინც იბრძვის საკუთარი სამშობლოსათვის!

ხოლო გიორგი სააკაძე?!

გიორგი სააკაძე თურმე ეს ათი წელია, საკუთარ გმირობას გაქცევია!

საკუთარ თავსაც გაქცევია!

და სანამ უნდა გაგრძელდეს ასე — გაქცევა სამშობლოდან, გაქცევა გმირობიდან, გაქცევა საკუთარი თავისაგან?!

კარგად უნდა ჩაჰკვირვებოდა სააკაძე ყოველივეს, თუნდაც იმიტომ, რომ ბაღდადის აღების პატივი შაჰ აბასმა ერთ დღეს ყარჩიხა-ხანს მიაწერა.

გიორგიმ თავისი თვალით იხილა ეს თავზარდამცემი სურათი.

შაჰ აბასი ეუბნება ყარჩიხა-ხანს:

„ჩემო ძვირფასო ყარჩიხა-ხან! შენ მე ისეთი გამარჯვება მარგუნე, ალლაჰსაც რომ ვერ გამოვსთხოვდი უფრო მეტ პატივს. ახლა მიდი, ჩემს ცხენზე შეჯექ და ფეხით გეახლები, როგორც მსახური!“

ყველა გაშრა.

მაგრამ არასდროს არ იბნეოდა ყარჩიხა-ხანი. მაშინვე ქედი დაიდრიკა და მტკიცედ შეჰღაღადა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მბრძანებელო, ეს მე არ შემეფერება, რამეთუ მე ვარ მონა შენი, ხოლო შენ მეუფე ჩემი!“

არ მოეშვა შაჰ აბასი: მე ასე მსურს და გიბრძანებ ახლავე შეჯდე ჩემს ცხენზეო.

შეჯდა ყარჩიხა-ხანი შაჰის მერანზე და ნელა დასძრა.

შაჰი მშვიდი ნაბიჯით გაჰყვა ფეხდაფეხ.

სააკაძეს მიწა რომ გახეთქოდა, ის ერჩივნა.

„მაშ, ყარჩიხა-ხანი ამჯობინე, არა?!“

ორივემ კარგად დაიმახსოვრეთ, შენც — შაჰ აბას, და შენც — ყარჩიხა-ხან!

აპოთეოზი მესამე ჭალი-მნათობისა

ბაღდადის, ერაყისა და ქურთისტანის დაპყრობის შემდგომ შაჰ აბასმა გიორგი სააკაძე ქართლში გამოუშვა.

იმავე ჟამს ამირგუნე-ხანი („ყვითელ ავაზას“ რომ ეძახდნენ) ახალციხის დასაპყრობად გაგზავნა. ამირგუნემ ახალციხიდან თურქები გარეკა და მათ ნაცვლად მესხეთის გულში ყიზილბაშთა ციხიონი ჩააყენა სელიმხან შამს ად-დინლუს მეთაურობით.

ერანის ზეობის წლები იდგა მსოფლიოში.

მაგრამ „გურჯისტანის საკითხი“ მაინც მოუშორებლად ადგა ყელზე შაჰ აბასს.

1624 წლის გაზაფხულზე ისევ მიიღო საიდუმლო დასმენა ფეიქარ-ხანისაგან: კახელები ისევ ძლიერდებიან და მრავლდებიან; რაღაც საიდუმლო მიმოსვლაც უნდა ჰქონდეთ ერთმანეთში ქართველ თავადებსა და გონიოში გადახვეწილ თეიმურაზ მეფეს; დღე-დღეზე აჯანყება არის მოსალოდნელი.

თეიმურაზის დედა გაიხსენა შაჰ აბასმა.

ქეთევან დედოფალი!

„ისევ ძალიან ლამაზი ყოფილაო ქეთევანი“, ჯერ ამან გაუელვა შაჰს, მაგრამ უმალვე ახალმა ფიქრის ტალღამ გადალეკა პირველნაფიქრი:

„ამ მშვენიერმა ქალმა წარმოშვა ყველაზე ბოროტი, ჩემი ყველაზე დიდი, დაუძინებელი მტერი — თეიმურაზი!“

. . . . . .

ქეთევან დედოფალი შირაზში იყო.

ათი წელი აღარ ენახა საქართველო.

ალბათ, ვეღარც ვერასდროს იხილავდა.

მისი სათაყვანო სამშობლოს მიწაც, წყალიც და ცისგვამიც იმ ერთ მუჭა ქართულ მიწაში ჩაკუმშულიყო, მკერდზე რომ ეკიდა იესო მაცხოვრის ჯვარცმასთან ერთად.

დღენიადაგ იმ სურნელით სუნთქავდა, საქართველოდან წამოღებულ ნივთებს და წიგნებს რომ ასდიოდა ისე ცხოველად, მძაფრად, დამათრობლად, სულისა და გულის წამღებად.

შირაზი იმამ-ყული-ხან უნდილაძის სამფლობელო იყო და დიდის პატივით ეპყრობოდა ერანის „ვიცე-კოროლი“ თანამემამულე დედოფალს“ და მთელს მის სახლეულსა და მსახურეულს.

ქეთევან დედოფალი ტყვე კი არა, დიდად საპატიო სტუმარი არის ჩვენიო, ამბობდა უნდილაძე, თუ მაინცადამაინც „ტყვეობაზე“ დადგება საქმე, ჩვენ თვითონ ვართ ამ საოცარი ქალის ტყვეებიო...

ცალკე სასახლე და წალკოტი მიეჩინა უნდილაძეს დედოფლისათვის.

ყველაზე უფრო მაინც ამით გაახარა „მასპინძელმა სტუმარი“: ჰორმუზიდან წამოღებული ბიბლიოთეკა მთლიანად „სტუმარ დედოფალს“ გაუგზავნა „წიგნის გიჟმა“ უნდილაძემ.

ქეთევანს ოცამდე ქართველი ემსახურებოდა — ქალი და კაცი. მათ შორის იყო ერთი, რომელსაც „გიორგი ხუცესს“ ეძახდნენ. იგი იყო დედოფლის კარის მღვდელიც, სახლთუხუცესიც, სუფრაჯიც, მოურავიც და მებაღეც. იგი განაგებდა ქეთევან დედოფლის გარშემო შეკრულ „წმინდა ქართულ კოლონიას“ „თათარ სპარსელთა“ და „გათათრებულ ქართველთა“ ზღვაში.

გიორგი ხუცესს დაიბარებდა ხოლმე უნდილაძე, დედოფლისა და მისი „კოლონიის“ ამბავს გამოჰკითხავდა, ყოველ

საჭირო საგანს, „საზრდელს“ და „მისართმეველს“ მიართმევდა და ისე გაისტუმრებდა.

ყველაზე დიდი საწუხარი ეს ჰქონდა დედოფალს: შვილიშვილებისა არაფერი იცოდა. რა რომ შირაზში გადმოასახლეს, ერთხელაც არ შეახვედრეს არც ლევანი და არც ალექსანდრე.

„უნდილაძისგან ვიცი, შაჰ აბასი ცალკე საგანგებოდ ზრდის თეიმურაზის შვილებსო“, მოკლედ მოსჭრიდა ხოლმე გიორგი ხუცესი.

ეს იყო და ეს.

უნდილაძის მკაცრი ბრძანებით, არ უმხელდნენ ქეთევან დედოფალს, როგორ დაახოჯავა შაჰ აბასმა მისი შვილიშვილები, როგორ მოკვდა ჯერ ალექსანდრე და შემდეგ ჭკუიდან შეშლილი ლევანი...

უნდილაძემ ერთხელ გიორგი ხუცესის ხელით ნაშენები ბაღი მოიხილა და ისე მოიხიბლა, მაშინვე ისფაჰანს გაგზავნა და შაჰ აბასის ბაღები გაამართვინა და გაამშვენიერებინა„ უცნაურ ხუცესს“.

„რა არ გამოვა ქართველი კაცის ხელიდანო“, თქვა შაჰ აბასმა ახალი წალკოტის ხილვით და ხიბლით გაოცებულმა.

უნდილაძემ უმდიდრესი მისართმეველით დატვირთული ჩამოიყვანა გიორგი ხუცესი ისფაჰანიდან შირაზში.

. . . . . .

ხოლო გიორგი სააკაძე ერთხელაც არ გამოჩენილა სამარტვილოდ განწირული ქართველი დედოფლის თვალსაწიერზე.

. . . . . .

პიეტრო დელა ვალე — მარიო სკიპანოს, რომში:

„სიმართლე უნდა ითქვას, ქართველი ქალები ულამაზესნი და უმშვენიერესნი არიან მთელს აზიაში. შავგვრემანი სპარსელები ვერ შეედრებიან მათ. ქართველი ქალები არიან იმდენად ტანმაღალი, რომ სიმაღლე დეიდაჩემისა — ქალბატონ ფაუსტინა ალბერინისა, ძალზე ჩვეულებრივია მათ შორის. თითქმის ყველას შავი თმა აქვს და თვალებიც შავი, დიდრონი და მომხიბლავი; პირისახე — თეთრი, ხოლო ლოყები ვარდისფერი, ალბათ ბახუსის წვენის მეოხებით, რომელსაც ისინი კარგად იცნობენ და მათი სამშობლო ამ მხრივ

გერმანიასაც არ ჩამოუვარდება... მე ქართველებს ვთვლი ყველაზე ულამაზეს ხალხად მთელს მსოფლიოში“.

. . . . . .

აგერ მეხუთე წელიწადი ცხოვრობდა სპარსეთში პიეტრო დელა ვალე — იტალიელი მოგზაური, სწავლული, კათოლიკე მისიონერი.

კათოლიკურ სარწმუნოებას ქადაგებდა, ყოველ ქრისტიანს მფარველობდა და ეხმარებოდა, უცხო ქვეყანას იკვლევდა და სწავლობდა. პერსეპოლისის სასახლის კედლებიდან უძველეს და უცნაურ „ლურსმულ“ დამწერლობას იწერდა და გასაშიფრავად ჩხრეკდა, აწამებდა და თვითონაც ეწამებოდა.

ცოლიც თან ახლდა, სახელად მ ა ა ნ ი, ახალგაზრდა სირიელი ქრისტიანი ქალი.

არასოდეს დაავიწყდება პიეტროს ის მთვარიანი ღამე, ყაზვინის გზაზე რომ მიდიოდა მაანთან ერთად, ქართველები აემგზავრნენ, ქალნი და კაცნი. „ქართველი, ქართველიო!“ — სიხარულით და სიყვარულით გაიძახოდნენ, როცა მაანისა და პიეტროს მკერდზე ჯვრები დაინახეს. ასე ყოფილა: ქართველისთვის „ქრისტიანობა“ და „ქართველობა“ ერთი და იგივე ყოფილა; ქართველები ყველა ქრისტიანს — ევროპელსაც და აზიელსაც — თავის „მოძმე ქართველად“ სთვლიან. ისინი თურმე ასე ყოფენ ქვეყანას — აქეთ ქრისტიანი ქართველი ძმები, იქით — „ძაღლი თათრები“...

ქართულ ოჯახში დაიდეს ბინა პიეტრომ და მაანიმ.

დიასახლისი ორმოც წელს მიღწეული ლამაზი, სათნო ქალი იყო, სახელად — მ ზ ი ს თ ა ნ ა დ ა რ ი.

კახეთიდან გადმოსახლების ჟამს შვილები დაჰკარგვოდა, მაგრამ უბედური ქალი მდგმურების თანდასწრებით არასოდეს გამოიჩენდა უმძიმეს ნაღველს.

პიეტროსა და მაანის მოსვლიდან ერთ კვირასაც არ გაუვლია და სამი წარჩინებული ქართველი მანდილოსანი ეწვია ოჯახს — ნესტან-დარეჯანი, თინათინი და მარიამი.

სამივენი ალავერდელი მიტროპოლიტის დები ყოფილან, ესენიც კახეთიდან ტყვეებად გადმოსახლებულნი.

ძალიან ხელმოკლე, უპატიური ცხოვრებით ცხოვრობდნენ

თურმე, რადგან ქრისტიანობის განტევებაზე და მაჰმადიანობის მიღებაზე გადაჭრით ეთქვათ უარი.

პიეტრო დელა ვალესთან მოსულიყვნენ სათხოვრად: ჩვენ შევიტყვეთ, ქრისტიანი ბრძანებულხართ, ქრისტიანთა მფარველი და პატრონი; ამიტომ გეაჯებით თქვენ და თქვენს მეუღლეს, შეიფაროთ და შეიკედლოთ ერთი ობოლი გოგონა, წარჩინებული ქართული ოჯახის შვილი, რომელსაც მამა ყიზილბაშებთან ომის დროს მოუკლეს, ხოლო დედა ერანისაკენ მომავალ მწარე გზაზე დაეღუპაო.

პიეტრო და მაანი მაშინვე დათანხმდნენ.

მოიყვანეს ობოლი გოგო, შვიდი წლისა, სილამაზით და სიმშვენიერით — მზის ანათალი.

სახელად თინათინი ერქვა, გვარად ზ ი ბ ა*.

მაანიმ „შვილობილი“ გულში ჩაიკრა და მაშინვე ახალი სახელი დაარქვა — მ ა რ ი უ ჩ ა.

ძიძაც მოჰყვა გოგონას, სახელად მ ა რ ი ნ ე, ქართული ტანსაცმლით მორთული მშვენიერი ყმაწვილი ქალი.

ცხოვრობდნენ ერთად — პიეტრო, მაანი, მარიუჩა, მარინე და მზისთანადარი.

მიტროპოლიტის დებიც — ნესტან-დარეჯანი, თინათინი და მარიამი ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე „ქრისტესმიერ საერთო ოჯახს“.

ერთ მათგანს, ნესტან-დარეჯანს, სამი შვილი მოუნათლა პიეტრომ.

მცირე დრო გამოხდა და მზისთანადარმა დაკარგული შვილების ადგილსამყოფელი შეიტყო, უბედურების ჟამს შეთვისებულ ადამიანებს დაემშვიდობა და შვილებთან წავიდა.

მარინეც მალე გათხოვდა, — კახეთიდან გადმოსახლებულ ქართველს გაჰყვა ცოლად.

მალე პიეტროს უბედურება ეწვია: ცოლი გარდაეცვალა, ოცდასამი წლის მაანი.

სიკვდილის წინ მაანიმ ქმარს უანდერძა — არასოდეს მოეშორებინა მარიუჩა, მუდამ ეზრუნა მასზე, მის სიკეთეზე, მის მომავალზე, მის სიყვარულზე...

მაშინ მარიუჩა თორმეტი წლისა იყო.

---

* გვარის ქართული ფორმა დღემდე დაუდგენელია.

ქეთევან დედოფალთან შეხვედრა სწყუროდა მარიუჩას, რადგან ქეთევან დედოფალი იყო სალოცავი ხატი სრულიად ერანის საქრისტიანოსი.

პიეტრო დელა ვალემ ძალიან კარგად იცოდა, რაც გადახდენოდა თავს ქეთევან დედოფალს, მის სამშობლოსა და მის ხალხს.

„ყველაფერში ეტყობა, ქართველები ბერძნებზე უკეთესი ქრისტიანები არიანო“, ამბობდა პიეტრო და თვითონაც სულითა და გულით მიისწრაფოდა აღმოსავლეთის საქრისტიანო სამყაროში „ყველაზე დიდი“ ქრისტიანი ქალის სახილველად.

ერთ დღეს შირაზის ქუჩებში სეირნობდა პიეტრო დელა ვალე. ვიღაც ახოვანი კაცის გარეგნობამ და კეთილშობილურმა მიმოხრამ მიიპყრო მისი ყურადღება.

უეჭველად ქართველი იქნებაო, იფიქრა პიეტრომ და იმ კაცს აედევნა მალულად.

„ის კაცი“ თერძთან შევიდა დუქანში, რაღაც ტანსაცმელი დაუკვეთა და გარეთ გამოვიდა. მაღალი ბუხრის ქუდი ეხურა, მოგრძო, შემოკვერცხილი წვერი ჰქონდა, შავი ჩოხა ეცვა, საეროსაც ჰგავდა და სასულიეროსაც.

პიეტრო თერძთან შევარდა და უცნობის ვინაობა გამოჰკითხა.

უცნობი ქართველი გიორგი ხუცესი ყოფილა, სწორედ ის, ვის ნახვასაც ისე ნატრობდა იტალიელი.

პიეტრო გიორგის დაეწია, გაეცნო და სახლში მიიწვია.

იმ დღეს არ მოხერხდა, რადგან ყიზილბაში აეშაგები დაძრწოდნენ გარშემო და შეხვედრა სხვა დროისათვის დანიშნეს. დათქმულ დღეს გიორგი ხუცესი ეწვია პიეტრო დელა ვალეს.

დიდხანს შერჩნენ საუბარს. ძალიან მოეწონათ ერთმანეთი, ძალიანაც დამეგობრდნენ. ბევრი საერთო ნაცნობიც აღმოაჩნდათ, ქართველიც და ევროპელი მისიონერიც. ბევრი რამ ერთნაირად სცოდნიათ საქართველოს, სპარსეთისა და იტალიის თავგადასავალი.

უფრორე ქეთევან დედოფალზე საუბრობდნენ, მის საოცარ გმირობაზე, სათნოებასა და გონიერებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასპინძელი სთხოვდა სტუმარს, როცა დედოფალს შეხვდებით, ჩემი მოწიწებული მოკითხვა და თაყვანისცემა გადაეცითო; მე კარგად მესმის, რა სატანჯველი გამოიარა კეთილშობილმა დედოფალმა და მისმა გმირმა ხალხმა; სულითა და გულით თანავუგრძნობ; მზად ვარ ვემსახურო და სიცოცხლეც უყოყმანოდ გავწირო, ყოველი მისი ბრძანებისამებრ, მისდა საკეთილდღეოდო.

— მე საქართველოს გზით ვაპირებ ევროპაში დაბრუნებას, — განაგრძობდა იტალიელი, — ძალიან მინდა თვალი შევავლო საოცნებო საქართველოს სიმშვენიერეს; ამბობენ, ლომბარდიაზე უფრო ლამაზი არისო საქართველო. უეჭველად უნდა ვიხილო თქვენი ქვეყანა. თეიმურაზსაც შევხვდები აუცილებლად და დიდ პატივსაც მივუგებ ქეთევან დედოფლის შვილსო.

ბოლოს ყველაზე დიდი სათხოვარი გამოუცხადა პიეტრომ გიორგის: ჩემთან არის ქართველი გოგონა თინათინ დი ზიბა, ქეთევან დედოფლის თვისტომი ქართველი გოგონა, რომლის კეთილშობილ მშობლებს კარგად იცნობს თვითონ მისი უდიდებულესობა დედოფალიო.

ეს თქვა პიეტრომ და მარიუჩაც შემოვიდა, სტუმარს გაეცნო, თავისი თავგადასავალი დაწვრილებით აუწყა და დედოფალთან შეხვედრა სთხოვა.

ერთი თვის შემდგომ გიორგი ხუცესმა ქეთევანს მიჰგვარა თინათინ-მარიუჩა.

დედოფალმა გულში ჩაიკრა ობოლი გოგო, ასული სახელოვანი მამისა და დედისა (სახელდებითი ვინაობა კი არა ჩანს). დიდხანს ისაუბრეს და იტირეს სვეგამწარებული სამშობლო და ფუძეამოგდებული თვისტომი ხალხი.

მერე ქეთევანმა მარიუჩა ქართველ ტოლ გოგონებს ჩაბარა და ბაღში გაუშვა სასეირნოდ.

სადილობისას მარიუჩამ ერთ ქართველ მანდილოსანს დაადგა თვალი. იგი მეორედ ყოფილა გათხოვილი რომელიღაც გამაჰმადიანებულ ქართველზე. პირველი ქმრისგან ნაყოლი შვილებიც იქვე ჰყავდა იმ ქალს — ასული და ძე. ასული შაჰის ბრძანებით უკვე დანიშნული ყოფილა, ისიც ვიღაც გათათრებულ ქართველზე. სადილობისას და-ძმას შორის ჩხუ-

ბი ჩამოვარდა, მაჰმადიანზე დანიშნული ქალი დედოფლის თვალწინ მოურიდებლად აქებდა ისლამის რჯულს. ძმამ დის დატუქსვა და ქრისტიანობის დაცვა დაიწყო.

მარიუჩა კამათში ჩაერია, ბიჭის მხარე დაიჭირა და გაწიწმატებული საპატარძლო მის მაჰმადიანობასთან ერთად მიწასთან გაასწორა.

ეტყობოდა, გოგონა იტალიელ სწავლულს შესანიშნავად გაეწრთვნა საღვთო სჯულის ცოდნაში.

დედოფალს ძალიან მოეწონა მარიუჩას განსწავლულობა და ერთგულება ქრისტიანობისა და ქართველობისა.

ხშირად დაიარებოდა მარიუჩა ქეთევანთან.

შვილივით შეიტკბო დედოფალმა ობოლი, ლამაზი და სათნო გოგო.

მერე პიეტრო დელა ვალეც მიიღო ქეთევანმა.

ბევრი ისაუბრეს ევროპისა და აზიის ხალხთა თავგადასავალზე, იტალიისა და საქართველოს ბედზე, მსოფლიო ხალხთა რელიგიურ რწმენებზე, საგანგებოდ — ისლამზე, იუდაიზმზე, მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ქრისტიანიზმზე.

პიეტრო დელა ვალესთან საუბარმა ერთჯერ კიდევ ჩააფიქრა მის მუდმივ საფიქრალზე ქეთევან დედოფალი:

„იქნებ მართლა უშველიდა ქართველ ხალხს კათოლიკური ქრისტიანობის აღიარება?! იქნებ მართლა გამოიდებდა თავს რომის პაპი და სრულიად ევროპა ისლამიტურ ვეშაპთაგან „კათოლიკური საქართველოს“ დასახსნელად და გადასარჩენად?!. ან რა დაშავდებოდა კათოლიციზმის აღიარებით? განა, სულ ერთი არ არის? განა, ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს რომისა და კონსტანტინოპოლის მწყემსმთავართა საუკუნოვან პიროვნულ ბრძოლას „ქრისტეს გარეთ“ გამოგონილი დოგმებითა და რიტუალებით?!“...

როცა პიეტრო და მარიუჩა ერთად გავიდნენ, ქეთევანმა სრულიად „ახალი რამ“ აღმოაჩინა მათს სიახლოვეში.

აღმოაჩინა ის, რაც სამუდამოდ დაჰკარგვოდა თვითონ — სწორუპოვარ ქალს (ვითარცა ქალს).

მის თვალწინ გაიელვეს: დავით მეფემ, კონსტანტინე-მირზამ, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა და... შაჰ აბასმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, — შაჰ აბასმა ქეთევანს ცოლობა სთხოვა!

. . . . . .

ხოლო, როცა პიეტრო დელა ვალეს გამგზავრების დღე დადგა, მარიუჩა ქეთევან ეახლა და „შეახსენა“, რომ თვითონაც უნდა აერჩია „მომავლის გზა“ — დედოფალთან დარჩენილიყო სპარსეთში, თუ პიეტროს წაჰყოლოდა იტალიაში.

ქეთევანმა მაშინვე ეს უთხრა ყმაწვილ ქალს: „აქ, ურჯულო და უღვთო ქვეყანაში, სამშობლო დაკარგულ ადამიანს უეჭველი დაღუპვა გელის, იქ კი პიეტროსთან შენ სიყვარული და ბედნიერება გელოდება. წადი მასთან!“

პიეტრო დელა ვალე ბედნიერი იყო.

გამგზავრების წინ სახსოვარი საჩუქრები გაცვალეს იტალიელმა მისიონერმა და ქართველმა დედოფალმა.

პიეტრომ ოქროს მედალიონი მიართვა ქეთევანს, ერთ მხარეს — დედაღვთისა მარიამის მიძინების ხატით, მეორე მხარეს — წმინდა ჯიროლამოს გამოსახულებით.

ქეთევანმა ორი ლათინური წიგნი უსახსოვრა პიეტროს — იოანეს სახარება და ლოცვანი, თვითონ დედოფლის ხელით ქართული მინაწერებით და შენიშვნებით.

„ესოდენ ღირსეული და დიდებული დედოფლის მოსაგონრად ვინახავ ამ წიგნებს ჩემს ყველაზე ძვირფას ნივთთა შორის“, — წერდა შემდგომ პიეტრო დელა ვალე.

პიეტრო და მარიუჩა დაემშვიდობნენ ქეთევან დედოფალს.

საქართველოზე გავლა ვეღარ მოახერხეს.

ჯერ ინდოეთს გაეშურნენ და იქიდან დაბრუნდნენ იტალიაში.

გზაზე შეიტყვეს, რაც შემთხვეოდა ქეთევან დედოფალს.

იტალიაში დაქორწინდნენ.

შეეძინათ თოთხმეტი შვილი.

. . . . . .

შაჰ აბასმა ქეთევან დედოფალს ცოლობა სთხოვა.

ქეთევანს იმ დღეს შვილიშვილების სიკვდილი გაეგო და მწარედ ტიროდა.

მტარვალი ხელმწიფისადმი უსაზღვრო ზიზღმა რადიკალურად გაანელა დედოფლის წუხილი.

თითქოს თავისი ქალური სიმშვენიერეც შესძაგდა, შაჰის ბიწიერი თხოვნით შეურაცხყოფილი და შელახული.

გულზიზღიანად ბრძანა დედოფალმა: აღარავინ გამიბედოს ესოდენ მკრეხელური სიტყვაო...

უსაზღვროდ დამცირებულად და დაპატარავებულად იგრძნო თავი შაჰ აბასმა.

და უმალვე თავის „ბუნებრივ ბუნებას" დაუბრუნდა, — გესლით და შხამით აევსო გულ-გვამი.

საბაბის ძებნას შეუდგა შურის საძიებლად.

კახეთიდან ახლად გადმოსახლებულ და გათათრებულ ახალგაზრდა ქართველ ღულამებს მოუყარა თავი და ასეთი კითხვა შეამყრალა სახეში:

— ჩემო ერთგულო მეგობრებო, რატომ გინდათ წარწყმიდოთ თქვენი დედები, — რატომ არ დაატოვებინებთ ქრისტიანობას და რად არ მიაღებინებთ მაჰმადის რჯულს, რომელიც სასუფეველის მშვენიერებას უმზადებს ადამიანს?

ქართველყოფილი ჭაბუკები კარგა ხანს სდუმდნენ.

მერე ერთმა თქვა, როგორც იქნა:

— ჩვენ დედებს ხშირად ვეუბნებით, მაგრამ უარს ამბობენ მაჰმადის რჯულის მიღებაზე.

— ვითომ რატომაო?! — იყვირა შაჰმა.

— ასე ამბობენ, ქეთევან დედოფალი თუ ქრისტიანია, ჩვენ როგორღა ვუღალატებთ ქრისტეს რჯულსო!

შაჰ აბასისთვის ზედმისწრება იყო გათათრებული ქართველის ეგზომ ბრიყვული პასუხი.

მან ფიცხლავ ბრძანება გაუგზავნა იმამ-ყული-ხან უნდილაძეს:

„დაუყოვნებლივ ჩემი სახელით უბრძანე ქეთევან დედოფალს, ქრისტიანობა განაგდოს და მაჰმადიანობა მიიღოს, ხოლო უკეთუ ჩემი ბრძანება არ აღასრულოს, მაშინვე სასტიკი წამებით შეჰყარე სიკვდილს!"

ზარი დაეცა შირაზის ხანს.

„არ იქნება და არასგზით არ გათათრდება ქეთევანი... და ამისთვის მე, უნდილაძემ, ტომით ქართველმა, მოვკლა საქართველოს დედოფალი, დედა ქართველი ხელმწიფისა, სათაყვანო და სალოცავი ქართველი ხალხისა?!"

სასწრაფოდ პასუხი გამოუგზავნა შაჰს: ნუ იკადრებ და ნუ აღმართავ ხელს უმწეო ქალის სიცოცხლეზეო; რას აქნევთ მის გათათრებასო, განა თქვენთვის სირცხვილი არ იქნება ესოდენ სათნო ქალის სიკვდილი?!

აზვავდა შაჰ აბასი. ხელახლა აფრინა ფაიქი უნდილაძესთან სასტიკი ბრძანებით: შენ რასაც გიბრძანებ, ის შეასრულეო დაუყოვნებლივ!..

სხვა გზა აღარ იყო და ეახლა უნდილაძე ქეთევანს.

ეახლა და ეაჯა კრძალვით, თავაზით, მარწმუნებელი შეგონებით: ნუ შეეცდები წინაღუდგე მძვინვარე შაჰის ბრძანებასო, მიიღე მაჰმადიანობა, ამით არაფერი დაშავდებაო; გარეგნულად აღიარე მხოლოდ სპარსელთა საჩვენებლად, ხოლო გულით ისევ ქრისტიანი დარჩებიო.

ემუდარებოდა უნდილაძე ღვთაებრივ ქალს და „სტიროდა მსგავსად ჰეროდეს ჯალათისა, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა თავის მოკვეთა იოანე ნათლისმცემლისა“.

ქეთევანმა მოკლედ, მშვიდად და შეუვალად სთქვა თავისი პასუხი:

— ჩემო კეთილო ძმაო! სხეულის სიკვდილისათვის არ გავწირავ ჩემს სულს! რასაც ჰქვია ქრისტიანობა და ქართველობა! სხეული მიწაა და დღეს თუ ხვალ ისედაც მიწად უნდა იქცეს, ხოლო ქრისტეს სჯული და საქართველო, რომელიც ჩემში დაბადებითვე ჩასახლებულა, უკვდავია, მარადიული და მისი მოკვლა არც შენს ხელმწიფეს ძალუძს და არც მის ცრუ ღვთაებას!

შენს ხელმწიფესო?! — გულზე დაესო უნდილაძეს დედოფლის სიტყვა. მე მისთვის ქართველი არ ვყოფილვარო, გაიფიქრა გულადუღებულმა ვაჟკაცმა.

დიდხანს ეევედრა და ემუდარა, მაგრამ ამაოდ „დაშვრა იგი მრავლისა ვედრებითა და არა ისმინა დედოფალმან“.

დარწმუნდა იმამ-ყული-ხანი, ვერავითარი ძალა, ვერც ღმერთი და ვერც სატანა, ვეღარ შეარყევდა დედოფლის გადაწყვეტილებას.

და ბრძანა შაჰ აბასმა წამება ქართველი ქალისა.

ხოლო „წამების ხელოვნებას“ ოცდაერთი საუკუნის „გამოცდილება“ ჰქონდა სპარსეთში.

. . . . . .

შირაზი.

1624 წლის 13 სექტემბერი.

უბერავს ქარი, ცხელი, ხორშაკიანი.

ცეცხლი გიზგიზებს „მეიდანზე“.

რკინის მარწუხები, მაშები, შამფურები, ლურსმნით სავსე ქვაბები, ბარები და სპილენძის მიტრა-თავსარქმელი ვარვარებენ ცეცხლში ჩალაგებულნი.

ხალხით გაჭედილა „მეიდანი“ — სპარსელნი, ქართველნი, სომეხნი, ჩერქეზნი, იტალიელი და პორტუგალიელი კათოლიკე მისიონერნი (ამათ შორის — მამა ამბროზიო ლოს ანჟოსი, ვისთანაც განასრულებდა ქეთევანი საქრისტიანო წესსა და რიგს უკანასკნელ ხანს).

გამოდის ქეთევან დედოფალი.

ორმოც წელს გადაშორებული, ჯერ ისევ დაუმზრალი სილამაზით და სიმშვენიერით აღკაზმული ქართველი ქალი.

თეთრი, ქათქათა კაბით შემოსილ თეთრ დედოფალს მარჯვნივ და მარცხნივ წითელხალათიანი ჯალათები მოაცილებენ.

უკან მოსდევენ მსახურეულნი — ორმოცამდე ქართველი ქალი და კაცი.

მათ წინ — გიორგი ხუცესი.

ზედ ხანძრის პირზე შეაყენეს ჯალათებმა დედოფალი და მისი ამალა.

ისფაჰანიდან საგანგებოდ წარგზავნილი დივანბეგი მიუახლოვდა ქეთევანს და ერთჯერ კიდევ აუწყა კრძალვით და თითქოს მუდარით: უკეთუ დედოფალი აღიარებს მაჰმადის რჯულს, შაჰი მას შეირთავს ცოლად და აღავსებს უთვალავი საჩუქრითა და პატივით; ხოლო უკეთუ უარსა ჰყოფს ხელმწიფის თხოვნას, იგი აღესრულება უსასტიკესი ტანჯვა-წამებით!

ისევ მშვიდი და შეურყეველი სიტყვით პასუხობს ქალი: არ არსებობს არავითარი არჩევანი!

ქეთევან დედოფალი მზად არის აღესრულოს ქრისტესთვის და საქართველოსთვის!..

მისი ერთგული მხლებლებისკენ პირით შეაბრუნეს ქეთევანი.

გიორგი ხუცესს დაეძგერნენ ჯალათები, დედოფლის თვალწინ „გასათათრებლად“.

გაიბრძოლა გიორგიმ. დაშნები დააძგერეს ჯალათებმა, დაფლითეს და დაასახიჩრეს. სირცხვილს სიკვდილი არჩია ქართველმა და გული შეაძგერა ჯალათის ხელით მოქნეულ იატაგანს.

დანარჩენებს მიესივნენ ჯალათები და ყველანი სათითაოდ „დაახოჯავეს“ და „დაათათრეს“ ქეთევანის მსახურეულნი.

ბოლოს თვითონ დედოფალს მიადგნენ და უთხრეს უბრალოდ, სიკვდილისათვის მოემზადეო.

სისუსტე ხომ არ დაეუფლა ქალს?!

სისუსტე... რამეთუ თხოვნა აღმოხდა მოულოდნელად:

„ნება მომეცით, უკანასკნელად ვილოცო, აი, იქ!“ — და კათოლიკური ეკლესიისკენ გაიშვირა ხელი.

უარი ვერ შეუბედეს ყიზილბაშებმა.

პატრი ამბროზიო დონ ანჟოსი და პატრი გრიგორ ორსინი წარუძღვნენ ეკლესიისკენ.

შევიდა და ილოცა ქეთევან დედოფალმა, საქართველო დალოცა, ღვთისმშობელს შეავედრა, ვითარცა მისი „წილხვდომილი ქვეყანა“; მერე ორივეს — მარიამს და იესოს — წამების ჟამს ტკივილთა დათრგუნვის ძალა შესთხოვა და „განწმენდილი“ და „განმტკიცებული“ წამოემართა სამლოცველოდან.

გედივით მოცურავდა ამაყად ყელაზიდული, ზეანდანი, ტანნაკვთოვანი.

გლოვისფერი თმები ჩამოშლოდა გვირგვინმოხდილი თავიდან.

ახალი, ყველაზე ბრწყინვალე გვირგვინისკენ მიისწრაფოდა... წამებულის გვირგვინისაკენ!

მივიდა, დადგა და ანიშნა ჯალათებს.

ჯალათებმა მაშებით გავარვარებული მიტრა ცეცხლიდან აღმოახდინეს და თავზე ჩამოაცვეს ქალს.

ცეცხლოვან ჯიღად აინთო დედოფლის თავი.

(განა სიმძიმით, გინა „ბრწყინვალებით“, გოლგოთაზე აყვანილი იესო ქრისტეს ეკლის გვირგვინი შეედრებოდა ქართველი დედოფლის თავზე აკაშკაშებულ „გვირგვინს“?!).

დაცემა ვერ მოასწრო ქეთევანმა, უმალვე წითლად აბდღვიალებული ლურსმნის „სარეცელი“ დაუგეს და ზედ გულალმა „დარეცეს“ ჯალათებმა.

თეთრი სუდარა შემოაფხრიწეს.

ქართველი ქალის თეთრმა, აკალიფადურმა სხეულმა შუქი დაუკნინა სპარსეთის გახელებულ მზეს.

ჯვარცმა ააგლიჯეს.

საკინძე აუშალეს.

ქართული მიწა ჩაუშალეს.

ცეცხლის საგებელზე იწვა დედა საქართველოსი, შიშველ და ყვავილ-ჩაუქრობელ მკერდზე ქართული მიწის ნაშთით მიმოფანტული.

წითლად მოლაპლაპე ბარი დაუსვენა ჯალათმა ძუძუთა შუა.

მწვარი ხორცის სუნი გაიჭრა ჰაერში.

ქალი არ ტიროდა, არც კვნესოდა, მხოლოდ ლოცულობდა მკრთალი ჩურჩულით.

„ქრისტე“, „მარიამ“, „საქართველო“.

ჯალათმა სისხლისფრად აელვარებული მარწუხი აიტაცა, მარცხენა ძუძუს ჩასჭიდა და მოგლიჯა... ძუძუ მოგლიჯა სავსებით!.. ძუძუ!..

მერე ბარჯვენა ძუძუს მისწვდა და ისიც განაშორა მკერდს... ძუძუ!..

მხურვალე შამფურები აძგერეს ორივე ნაძუძურზე.

(განა ქრისტეს უფრო სასტიკად მოექცნენ, როცა ცნობაწართმეულს ფერდში შუბი ჩასცეს?!).

მთელს ტანზე ცხელი ლუსმნის „საბანი“ დაახურეს.

(ქრისტე სამი თუ ოთხი გრილი სამსჭვალით გააკრეს ჯვარზე, ხოლო ქეთევანს ათასი მხურვალე სამსჭვალი სარეცლად ეგო და ათასი საბნად ეხურა).

ნელი თრთოლვით, მაგრამ მაინც ებრძოდა ქალის ცხოველმოსილი სხეული სიკვდილს.

დედა საკუთარი სხეულითა გრძნობს შვილის ტკივილს, შიმშილს თუ წყურვილს.

„საქართველო!“... — აღმოხდა წამებულის ბაგეს.

ჯალათმა დედოფლის შუბლს დაუმიზნა ნაცეცხლარი და ნასისხლარი ბარი...

კიდევ ერთი სიტყვა მოასწრო უკვე სიკვდილის საუფლოში ჩაძირულმა:

„შვილო!“

და არავინ იცის, ვინ გაახსენდა სიკვდილ-სიცოცხლის განსადრეკელზე საქართველოს დედას — სვეგამწარებული მეფე თეიმურაზი, მისი შვილები, თუ თვითონ საქართველო...

საქართველოსკენ მიფრინავდა „სურნელოვანი სული“ ქეთევან დედოფლისა.

. . . . . .

ქეთევან დედოფლის დამწვარი, დასახიჩრებული და დარღვეული სხეული ჯალათებმა დაუსაფლავებლად დააგდეს ცისა და მიწის შუა.

ღამით ამბროზიო დონ ანჟოსმა და გრიგორი ორსინიმ მოიპარეს წამებული ქალის ცხედარი.

საკმევლითა და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს, ისფაჰანს წაიღეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, ვითარცა ქრისტიანი და ქრისტესათვის წამებული დედოფლის უწმინდესი ნაშთი.

. . . . . .

ცხვრის ფარას მიჰყვებოდნენ კახელი მწყემსები.

ყმაწვილმა მწყემსმა სამხრეთის ცაზე თეთრი ღრუბელი დაინახა და მოხუც მწყემსს უთხრა: დახე, ის ღრუბელი თეთრ, გაფრენილ ქალს არა ჰგავსო?!

მოხუცმა კარგა ხანს უცქირა იმ ღრუბელს და ბოლოს ესა თქვა სახეგაბრწყინებულმა:

— ამ ათი წლის წინ მე ჩემის თვალით მინახავს ეგ ხორცსხმული ანგელოსი! ქალი-დედოფალი! დედა საქართველოსი! სიმშვენიერით, გონიერებით და სათნოებით ტყუპისცალი ნინო განმანათლებლისა და თამარ შვიდმნათობიერისა!

„სამი ქალი, სამი სასწაული!“

„ჰო, ჩვენი ხალხის წმინდა სამება:

ნინო,

თამარი,

ქეთევან!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრმა თვითონ სთქვა.

ვაჟა-ფშაველა

ქეთევან დედოფლის წამების ჟამს გიორგი სააკაძე სპარსეთში იყო. შაჰ აბასს გაეწვია იგი რაღაც საგანგებო წვევით. ზურაბ ერისთავიც გიორგისთან ერთად მიეხმო აბასს...

. . . . . .

თათბირად ისხდნენ: შაჰ აბასი, გიორგი სააკაძე, სვიმონ-ხანი და ყარჩიხა-ხანი.

„საბოლოოდ“ წყდებოდა „გურჯისტანის საკითხი“.

ბოლოს, და ბოლოს, საქართველოს ყოფნა-არყოფნის „საქმე“ სრული არყოფნით უნდა გათავებულიყო.

და გადაწყდა:

„გაუქმებულ კახეთში“ რაღაც სასწაულად ხელახლა აღმოცენებული კახელობა ხელიერთპირად გაიჟლიტოს, ხოლო ქართლი, კახეთის მსგავსად, დედაბუდიანად აიყაროს და სპარსეთში გადასახლდეს!

ეს განაზრახი ამნაირად უნდა განესრულოს:

შაჰი ქართლის მმართველს სვიმონ-ხანს ცოლად აძლევს თავის შვილიშვილის — ისა-ხან ყორჩიბაშის ასულს ჯაჰან-ბანუ ბეგუმს; ახლადშეუღლებულნი გაემგზავრებიან ტფილისს და, ვითარცა მაყრიონს, თან გაიყოლებენ სპარსულ მხედრობას ყარჩიხა-ხანის მთავარსარდლობით.

ყარჩიხა-ხანის მთავარ მრჩევლად ინიშნებოდა გიორგი სააკაძე, ქართლის მოურავ-ტარუღა და ნამდვილი გამგებელი.

„სააკაძესთან თათბირისა და შეთანხმების გარეშე ყარჩიხა-ხანს ნება არა აქვს გადაწყვიტოს რაიმე დიდი თუ მცირე საქმე!“ — ხმამაღლა, მკაცრად და საგანგებოდ ყველას გასაგონად ბრძანა აბასმა.

სააკაძეს და ყარჩიხა-ხანს თანაშემწეებად გაჰყვებიან — ზურაბ არაგვის ერისთავი, შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი,

ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიად-ოღლი, კიდევ სხვა „ათორმეტი ხანი“, მრავალი ამირა და სულთანი...

თათბირი სრულდებოდა.

შაჰ აბასმა სავსებით მოულოდნელად ზურაბ ერისთავს უთხრა, სანამ ქართლს მოივლიდეთ, მანამდე შენი ცოლი ჩემთან უნდა დარჩეს სტუმრადო.

არ ესიამოვნა ზურაბს, — სტუმრად კი არა, მძევლად იტოვებსო, გაიფიქრა, მაგრამ უმალვე გული დაიარხეინა, — საშიში არაფერია, შაჰის ერთგულად მივდივარ, ერთგულად დავბრუნდები და მეუღლეც აქვე დამხვდება უვნებლადო...

ისევ გაისმა შაჰ აბასის ცივი, სამარეული ხმა:

„და ჩემთან დარჩება გიორგი სააკაძის ვაჟი — პაატა, რამეთუ... რამეთუ ძალიან მიყვარს მე პაატა სააკაძე!“

სისხლი გაუშრა ძარღვებში გიორგი სააკაძეს.

. . . . . .

— მამა.

— ჰო, პაატა.

— როცა საქართველოში ჩახვალ, ცხრაჯერ ეამბორე ჩვენს მშობელ მიწას.

— ჰო, შვილო.

— ცხრა ვაზი ჩააგდე და გაახარე ნოსტეს ვენახში.

— აღესრულება, შვილო.

— ცხრა სანთელი აანთე ჩვენს სალოცავ ერთაწმინდის ეკლესიაში.

— ჰო, პაატა...

— ცხრა ქართულ სოფელში, ცხრა გლეხის ოჯახში ცხრა ბიჭი აიყვანე, მონათლე და ცხრავეს პაატა დაარქვი!

— ასე იქნება, შვილო პაატა!

— ცხრა რიცხვი მიყვარს, მამაჩემო, რამეთუ ჩვენ ქართველებს დღემდე გვყოლია: ცხრა დიდხელმწიფე, ცხრა დიდი ერისმთავარი, ცხრა დიდსარდალი, ცხრა ბრძენთაბრძენი, ცხრა ძლევა საკვირველი და ცხრა თავდადებული რწმენისა და სამშობლოსათვის.

— ცხრა დიდხელმწიფედ ვის გულისხმობ, შვილო პაატა?

— ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დავით მესამე კურა-

ბალატი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, გიორგი მესამე, თამარ მეფე, გიორგი ლაშა და გიორგი ბრწყინვალე“.

— ცხრა დიდი ერისმთავარი?

— ქუჯი ეგრისელი, სტეფანოზ პირველი, ვარამ მამფალი, იოანე მარუშისძე, კახაბერ კახაბერისძე, ცოტნე დადიანი, შალვა თორელი-ახალციხელი, გრიგოლ სურამელი და ეგარსლან ბაკურციხელი.

— ცხრა ბრძენთაბრძენი?

— პეტრე იბერი, გიორგი მერჩულე, ექვთიმე მთაწმიწდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ისევ დავით აღმაშენებელი და შოთა რუსთველი.

— ცხრა დიდსარდალი?

— ფარსმან ქველი, თორნიკე ერისთავი, გრიგოლ ბაკურიანისძე, ისევ დავით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი, დავით სოსლანი, ლუარსაბ პირველი, სვიმონ პირველი და... გიორგი საკაძე.

— გიორგი საკაძე.

— ჰო, მამაჩემო.

— გმადლობ, შვილო... ახლა მითხარი ცხრა ძლევა საკვირველი.

— ჰალისი თორნიკე ერისთავისა, ფარცხისი გიორგი მეორისა, ერწუხი და დიდგორი დავით აღმაშენებლისა, შამქორი და ბასიანი დავით სოსლანისა, გარისი ლუარსაბ პირველისა და სვიმონ პირველისა და... ტაშისკარი გიორგი საკაძისა.

— მაშ, ტაშისკარი გიორგი საკაძისა?!

— ჰო, მამა, ტაშისკარი.

— მაგრამ შენ მხოლოდ რვა გამარჯვება მოიხსენიე, ერთი გამოგრჩა, ჩემო ბაატა.

— არა, მამა, მეცხრე ძლევა საკვირველი ჯერ არ მომხდარა, მაგრამ, ვიცი, მალე მოხდება.

— ვინ იქნება შემოქმედი მეცხრე ძლევისა?

— ისევ შენ, მამა.

— მე?!

— ჰო, შენ — გიორგი საკაძე!

— მაგრამ ვინ იცის — ბრძოლა რომ მოხდეს, რით გა-თავდება?

— მხოლოდ ქართველთა გამარჯვებით და შენი ძლევამოსილებით, მამაჩემო.

— ღმერთმა ინებოს!

— ღმერთმა უკვე ინება!

— ბარემ სამშობლოსათვის ცხრა თავდადებული მამულიშვილიც დაასახელე, შვილო პაატა!

— გუბაზ მეფე, ძმანი დავით და კონსტანტინე, კონსტანტი კახი, გობრონი, მეფე დემეტრე თავდადებული, მღვდელი თევდორე, ქეთევან დედოფალი — დედა საქართველოსი.

— შენ მხოლოდ რვა სთქვი. ვინღა არის მეცხრე ქართველი წამებული და შეწირული საქართველოსთვის?

— მეცხრე მე ვარ, პაატა სააკაძე, შენი შვილი!

— შვილო!..

— დიდი ფასი აქვს ჩემთვის მაგ მძიმე ცრემლებს, მაგრამ იგივე ფასი უნდა ექნეს ყოველი ქართველისთვის.

— ვეცდები, შვილო.

— შენ დიდი იყავ საქართველოში, მამაჩემო, მერე შეიქენ მჭედელი შენი ქვეყნის მტერთა ბედ-იღბლის, ახლა ისევ უბრუნდები შენს მშობელ წიაღს... და მჯერა ისევ დიდი იქნები, სათაყვანო გმირი ქართველთა.

— შვილო პაატა, რაც უნდა მოხდეს, თუნდ აღმაშენებლის გმირობანი გავასამკეცო, მე, ნათათრალი, შენი გმირობის ფერხთა მტვრადაც არ ვეღირები.

— ისევ ენდე ჩვენი ხალხის დიდსულოვნებას, ოღონდ არგუნე გამარჯვება, შენებური — სააკაძური.

— უკეთუ ღმერთმა ინება, შვილო!

— ჩვენთან არს ღმერთი!

— ამინ!

— ესეც გახსოვდეს, მამაჩემო, — ჩემი ანდერძი მხოლოდ მას შემდგომ აღესრულება, როცა მეცხრე ძლევა საკვირველი განესრულება.

— ?!

— ჯერ გაიმარჯვე, საქართველოს სისხლის დამაქცევარს სისხლითვე აზღვევინე და მერე დარგე ცხრა ვაზი ნოსტეს

მიწაში, მერე აანთე ცხრა სანთელი ერთაწმინდაში, მერე განათლე ცხრა ქართველი ყრმა ცხრა ქართულ სოფელში.

— მესმის, შვილო, შენი სიტყვა, ღვთაებისგან ჩაგონებული: სანამ ქართველ ხალხს მე, გიორგი სააკაძე გამარჯვებას არ დავუბრუნებ, მანამ ქართულ მიწაზე არც ჩემი ხელით დარგული ვაზი გაიხარებს, არც ჩემი ხელით დანთებული სანთელი აინთება, არც ჩემი ხელით განათლული ქართველი ყრმა გაინათლება.

— მაპატიე, მამა!

— შენ მაპატიე, ჩემო შვილო... შვილო...

ცრემლით აღვსილი დუმილის შემდგომ:

— გახსოვს, მამა, რა წამოსცდა ერთხელ შაჰ აბასს დარბაზობაზე?

— რა, შვილო?

— ქართველები მხოლოდ ცალ-ცალკე, ერთეულებად არიან დიდი გმირები და ვაჟკაცები, თორემ ერთიმეორის თანადგომა ისე უჭირთ, როგორც დიდ ხეებს ტყე-მალნარშიო.

— მართალი კი თქვა... მაგრამ ეგ „სიმართლე" გაუცუდდება შაჰ აბასსაც და ყველას, ყველას — საქართველოს ყოველ მოსისხლეს, ახლაც და მომავალშიც!

— გმადლობ, ჩემო მამა!

მცირე გარინდების შემდგომ:

— არავის ისე არ ემარჯვება ქართველი კაცის დამარცხება, როგორც ქართველ კაცსო, ამასაც ამბობს შაჰ აბასი, ამას იმოწმებენ ჩვენი მტრებიც და ჩვენი მოყვრებიც. ეს ბოროტი ნაძახურიც უნდა გააქარწყლო, მამაჩემო.

— აღესრულება, შვილო ჩემო!

— გმადლობ, მამა!

პაატამ ხმალი შემოხსნა მამას, ორივე ხელით მზისკენ აღმართა და შესძახა:

— მაღალო ღმერთო, შენ აკურთხე ხმალი ესე ქართული, ხმალი ქართველი სარდლისა და მხედარისა, აკურთხე და უწინამძღვრე, რამეთუ მას შენი მოთაყვანე ქართველი კაცის სისხლი არასოდეს არ დაუქცევია!

ცხრაჯერ აკოცა ხმალს მხურვალედ ჭაბუკმა და ისევ შეარტყა წელზე გაქვავებულ და გაშეთებულ პატრონს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც ჩიტი წიოდა გახელებით. წყალი სწყურიოდა ისე სასტიკად, როგორც პაატა სააკაძეს სწყუროდა ქართულ მიწაზე დაწაფება...

ქართული მიწით სავსე პარკუჭანა ჩამოხსნა კისრიდან მამას პაატამ, თვითონ ჩამოიკიდა მკერდზე, „თავისი მიწის“ გვერდით, და ღიმილით უთხრა.

— სიხარბე მაპატიე, მამა... შენ მაინც აღარ დაგჭირდება... ხოლო ჩემთვის ეს ერთი მუჭა ქართული მიწა...

აღარ (თუ ვეღარ) დაასრულა, მამას მოეხვია და ცხრაგზის აკოცა. იგრძნო გიორგიმ: ნაღვერდალივით ცხელი ჰქონდა ტუჩები შვილს.

იგრძნო პაატამ: ყინვასავით ცივი ჰქონდა ლოყები მამას.

კვლავ გაქართველებული სააკაძე

> რამეთუ ღმერთს მაშინაც ესმის,
> როდესაც ჩვენ ვდუმვართ.
>
> პეტრე იბერი

როცა საქართველოში სალაშქროდ ყველაფერი მზად იყო, შაჰ აბასმა ყარჩიხა-ხანი ცალკე დაიბარა და იდუმალ უთხრა:

— მე შენ თათბირზე სხვების შესახედად გითხარ, რომ სააკაძის დაუკითხავად არაფერი მოიმოქმედო. ახლა კი ცალკე, პირადად გიბრძანებ: სააკაძეს საგანგებოდ ადევნე თვალი; ჩემგანაც საიდუმლო წერილია და ბრძანებას ელოდე და ისე მოიქეცი, როგორც იმ წერილში ეწეროს!

. . . . . .

ამის შესახებ სააკაძემ არაფერი იცოდა.

მაგრამ არც შაჰ აბასმა იცოდა, რომ გიორგი სააკაძესაც ჰქონდა ერთი საიდუმლო შეხვედრა საქართველოში გამომგზავრების წინ — შეხვედრა დაუდ-ხან უნდილაძესთან.

— ყველაფერი გააკეთე, ჩემო გიორგი, ყიზილბაშთა ამო-

საწყვეტად, რასაც კი შეძლებ, — უთხრა უნდილაძემ სააკაძეს.

. . . . . .

საქართველოსკენ მოიჩქაროდა ნეფე-დედოფალი — გათათრებული ქართველი სვიმონ-ხან და სპარსელი ქალი ჯაჰან-ბანუ ბეგუმ.

უკან მოსდევდა „მაყრიონი“ — უზარმაზარი სპარსული მხედრობა.

საქართველოს დასაქცევად აღძრულ სპარსელთა ურდოს მოუძღოდა ორი გათათრებული ქართველი (გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი) და ორი გათათრებული სომეხი (ყარჩიხა-ხანი, იუსუფ-ხანი).

მაგრამ, ნუთუ სააკაძეს ისევ „გათათრებული ქართველი“ ჰქვია?!

მან ხომ სულის ფსკერიდან ამოინთხია თათრობის შხამიანი ნალექი და ახლა სულით განსპეტაკებული, გინა „კვლავ-გაქართველებული“, მიიჩქარის სამშობლო საქართველოსკენ.

ბაატამ, მისმა ღვთაებრივმა შვილმა, დაუბრუნა მას სამშობლო და სარწმუნოება.

მხოლოდ შვილის გაწირვას შეუძლია დაარწმუნოს ქართველი ხალხი, რომ სააკაძეს გულწრფელად უყვარს საქართველო და სუფთა მამულიშვილური სინდისით იომებს იგი მშობელი ქვეყნის დასახსნელად და გადასარჩენად.

მდუმარედ მიაჭენებდა ცხენს სააკაძე.

მაგრამ ღმერთს მაინც ესმოდა მისი ფიქრები...

აგერ, მეცამეტე წელიწადი დაწყებულა, რაც გიორგი სააკაძეს ტანზე უცხო მზის სხივი აუცრია, საქართველოს სამტრო-საბუდარში ჩაბუდრებულა — სპარსეთის სამსახურში ჩამდგარა და სპარსეთის მატიანის მჭედელი გამხდარა.

მაგრამ რა! — განა, უწინამორბედია გიორგი სააკაძის საქციელი საქართველოს მატიანეში?! ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი ნებით თუ უნებლიედ გადახვეწილა საქართველოდან, დედა დავიწყნია, დედინაცვალს მიჰკედლებია, უცხო მზის სხივი აუცრია და უცხო ისტორიის შემოქმედი გამხდარა. სამაგალითოდ შეიძლება ეს სახელები გაიხსენოს ადამიანმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა, ასული კოლხეთის მეფე აიეტისა — საბერძნეთში.
ბაკურ იბერიელი — რომში,
ვეტრანიონ ლაზი — რომში,
ბუზმირ. იბერიელი — რომში,
ფარსმან იბერიელი — რომში,
სუბარმახიოს კოლხი — რომში,
პეტრე იბერიელი — რომსა და ბიზანტიაში,
იოანე ლაზი — რომსა და ბიზანტიაში,
ფარსმან კოლხი — ბიზანტიაში,
ფირან იბერიელი — ბიზანტიაში,
რუფინე კოლხი — ბიზანტიაში,
ლეონტი კოლხი — ბიზანტიაში,
ზავნა კოლხი — ბიზანტიაში,
ბაკურ ფირანის ძე იბერიელი — ბიზანტიაში,
ფაზა იბერიელი — ბიზანტიაში,
თორნიკე პროტოსპათერი — ბიზანტიაში,
ფარსმან იბერი იერაპოლისელი — ბიზანტიაში,
გრიგოლ ბაკურიანისძე — ბიზანტიაში,
აბაზ ბაკურიანისძე — ბიზანტიაში,
გიორგი ბეგი — თურქეთში,
მეჰმედ ფაშა — თურქეთში,
გულჩარა, მეფე გიორგი მეათის ასული — თურქეთში,
კონსტანტინე-მირზა — სპარსეთში,
ალავერდი-ხან უნდილაძე — სპარსეთში,
იმამ-ყული-ხან უნდილაძე — სპარსეთში,
დაუდ-ხან უნდილაძე — სპარსეთში.

„წესადცა არს წინამბრძოლობა ქართველთა", — აეკვიატებიათ ქართველ მამულიშვილებს და თავგამოდებით იბრძოდნენ „სხვათა ისტორიის გასაჭედად".

თორნიკე ერისთავი — ბიზანტიელთათვის; ულუ დავითი, სარგის ჯაყელი, დემეტრე თავდადებული, ბექა ჯაყელი, რატი სურამელი, ვახტანგ მეორე და ვახტანგ მესამე — მონღოლთათვის; — კონსტანტინე მეორე და მზ ჭაბუკ ჯაყელი — ყიზილბაშთათვის.

მაინც ვინ უფრო „მოერგება" გიორგი სააკაძეს, ვითარცა წინამორბედი-ორეული?!

ალბათ, მანუჩარ II ათაბაგი!

მანუჩარმა ქართველობა თურქულ თათრობაში გაცვალა, თურქული მზე აიცრა ტანზე, თურქული სახელი მუსტაფა დაირქვა, თურქი ფაშობა გაიკრა და ერისწყეულ მოღალატედ იქცა. მაგრამ ბოლომდე ვერ გაუძლო „თათრობას" ქართველად დაბადებულმა კაცმა: თურქ ფაშებს დაერია, ერთი თავიდან ჭიპამდე გააპო ხმლის დარტყმით, მეორეს ყური და ლოყა-ნიკაპი დაათალა, მესამე ცოცხალ-მკვდარი დააწვინა...

დაუბრუნდა მანუჩარი ქართველობას — სამშობლოს და სარწმუნოებას. დიდსულოვანმა მშობელმა ხალხმა დაივიწყა მისი „თათრობა" და ერისწყეული მოკვეთილობიდან ისევ ეროვნულ გმირად გაიხადა...

მით უფრო უნდა შეიწყნაროს ქართველმა ხალხმა გიორგი სააკაძე, რომელმაც ღვიძლი შვილი გასწირა მშობლიური საქართველოსთვის!

შვილი!..

ღვთაებრივი პაატა!..

პაატას გამწირველ მამას აღარ შეიძლება ეწოდოს „ერისწყეული"!

სპარსულ ურდოს მოუძღვის სააკაძე, თვითონ სპარსეთის მზე-ნაწოვარი, მაგრამ მაინც ქართველი, გინა „კვლავგაქართველებული"!

ორმოცდახუთი წლის არის ახლა გიორგი სააკაძე და საქართველოს უბრუნდება „უძღები შვილი", გინა — „ძე შეცთომილი".

უკვე ქართულ მიწაზე მოაბიჯებს გიორგი სააკაძე.

ქართული მზით ავსებულა მისი თვალები — მზის დამკორტნავი მძვინვარე და ხარბი თვალები,

წალმა დაჭედილ ცხენზე ზის ახლა და სატანაც გაფრენილა მისი საჟნიანი ბეჭიდან.

პაატას კოცნით ნაკურთხი ხმალი არტყია წელზე.

სულ მალე ეს ხმალი ქართულ მიწად აქცევს მტრის ურდოს, საქართველოს დასამიწებლად რომ ამდევნებია დიდ ქართველ გენერალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქამი ჩემია და ქამისა მე ვარ იმედი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

1625 წელი.

ატმის ყვავილობა საქართველოში.

ტფილისში მოვიდა სპარსეთიდან წამოსული ნეფიონი და მისი უზარმაზარი ურდო-„მაყრიონი“.

აიშალნენ ქართველები, — ვის მოსწრებიაო ამოდენა მაყარი? სხვა რამ ავი განაზრახი ხომ არ იმალება ამ უცნაური ქორწილის უკან?!

საშფოთარი არაფერი აქვთ ქართველებს. შაჰის შვილიშვილს და სიძეს სწორედ ასეთი დიდროვანი საქორწილო მოგზაურობა ეკადრება, მორჩა და გათავდა!

გიორგი სააკაძე არწმუნებდა ყველას „ფიცითა მტკიცითა“:

„ამა ჯარისა ნიმრავლე საქართველოსათვის არ არის საზიანო, ნურცა რა ფიქრი გაქუსთ, თქვენი საქმე მე დამადეგითო“.

რამდენიმე დღეს „იყვის მღერა, ნადიმი და მეჯლიში, ბურთაობა და ყაბახის სროლა“ ტფილისში.

ქორწილი რომ ჩათავდა, ყარჩიხა-ხანმა სპარსული მხედრობა ტფილისიდან აჰყარა, მუხრანს ჩაიყვანა და ალაიანის ველზე დააბანაკა.

მაშინვე ყარჩიხა-ხანმა, რასაკვირველია, სააკაძესთან შეთანხმებით, კახეთში ბრძანება გაგზავნა: იმერეთს ლაშქრობას ვაპირებ და სასწრაფოდ ყველა მეომარი კახელი, ვითარცა ქუდზე კაცი, მუხრანს გამოცხადდესო სპარსელებთან და ქართველებთან შესაერთებლად!

როცა კახელები მუხრანს მოვიღოდნენ, სპარსელები დაერეოდნენ და ერთიანად ამოსწყვეტდნენ!

ასე იყო მოფიქრებული მარტივად და „მადიანად“.

ეს განზრახვაც ისევ სააკაძესთან ჰქონდა „შეთანხმებული“ ყარჩიხას.

მაგრამ იმ ღამით გიორგი სააკაძე მცხეთაში კათალიკოს ზაქარიას და წილკნელ ეპისკოპოსს, პართენს, შეხვდა.

სააკაძის დიდი სამამულიშვილო განაზრახი პირველად ქართლის სულიერმა მამებმა შეიტყვეს.

ეს ამბავი კი გიორგი სააკაძეს ყარჩიხა-ხანისათვის აღარ ჰქონია „შეთანხმებული“!..

მეორე დღეს ზურაბ ერისთავი გაინაპირა გიორგი სააკაძემ. სულხორციანად ენდობოდა ზურაბს, — მისი გაზრდილი იყო უმცროსი ცოლისძმა, ხმალიც მისგან ჰქონდა ნასწავლი, მამულიშვილობაც და „ანტიმამულიშვილობაც“.

მე და შენ საქართველო უნდა დავიხსნათ დაღუპვისგანო, ბირდაპირ უთხრა გიორგიმ ზურაბს, არც ერთი სპარსელი აქედან ცოცხალი არ უნდა გავიდეს, სულ ერთიანად უნდა ამოვჟლიტოთო.

გაოცდა და დაფეთდა ზურაბ ერისთავი. თუ აჯანყებას აპირებდი, რატომ სპარსეთში არ მითხარიო; ახლა რა ვქნა, ცოლი რომ სპარსეთში დავტოვეო; ხომ იცი, როგორც კი შაჰი ღალატს შეიტყობს, მაშინვე თავს გააგდებინებს ქალსო; იქ რომ ყველაფერი გეთქვა, ცოლს თანვე წამოვიყვანდიო.

სპარსეთში რომ ჩემი განზრახვა გამენდო, შენ თავს ვერ შეიკავებდიო, უთხრა გიორგიმ, ისედაც, შაჰი ცოლს არ გამოგატანდაო.

და, რაც მთავარია, ეს ნუ დაავიწყდება ზურაბ ერისთავს— გიორგი სააკაძემ ღვიძლი შვილი გასწირა ქვეყნისა და ხალხისათვის!

მაინც ყოყმანობდა არაგვის ერისთავი.

მაშინ გიორგიმ ცოლისძმას პატივმოყვარულ გულს დაუმიზნა: თუ შაჰ აბასმა ცოლი მოგიკლა, სამაგიეროდ ლუარსაბ მეფის დას ლელა-თინათინს შეგრთავ ცოლადო.

ლელა-თინათინი, როგორც მკითხველს წინასწრობილად ახსოვს, შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფის მოკვლის შემდგომ საკუთარი ცოლობიდან განუტევა და კახეთის მმართველს — ფეიქარ-ხანს მიუძღვნა.

ფეიქარ-ხანს ლელას წავართმევთ და შენ შეგრთავთ ცოლადო, არწმუნებდა გიორგი ზურაბს.

ზვიადი ფეოდალი მოიხიბლა ასეთი შეთავაზებით, ხუმრობა ხომ არ იყო — ზურაბ ერისთავი ქართლის გვირგვინოსან-ბაგრატიონთა ოჯახს უმოყვრდებოდა!

ზურაბი დათანხმდა.

აჯანყების თავიდათავი რგოლი შეიკრა.

. . . . . .

კახელთა ჯარი მოვიდა სპარსთა ბანაკში.

გაიხარა ყარჩიხა-ხანმა. შაჰის პირველი ბრძანება ასრულების პირას იდგა — კახელებს ამოსწყვეტდნენ და მერე ქართლის აყრას და გადასახლებას შეუდგებოდნენ!

„ზვარაკად მოსულ“ კახელებს სპარსელებმა გამოუცხადეს, რაკი თქვენც იმერელთა ქრისტიანი თანამოძმენი ხართ, იმერეთში სალაშქროდ ვერ გენდობით, ამიტომ იარაღი ჩაგვაბარეთ, საჩუქრად ძვირფასი ხალათები ინებეთ და უკანვე თქვენს კახეთში გაბრუნდითო!

„საჩუქრების დასარიგებელი“ კარავი მოშორებით, ბანაკის განაკიდურზე იდგა, მაღალი, კაცის სამალავი თეჯირით გარშემოვლებული. იმ კარავში სათითაოდ შეხვალთ და თქვენს კუთვნილ საჩუქარსაც იქ მოგართმევენო, უთხრეს კახელ „სტუმრებს“ სპარსელმა „მასპინძლებმა“.

უკვე დაიწყო „მისართმეველის მირთმევა“. რიგით პირველი კახელი შეიწვიეს კარავში. შემდეგ მეორე, მესამე... მეათე... მეთხუთმეტე...

უკან არც ერთი არ ბრუნდებოდა.

ალბათ, თავს უყრიან და ერთად გამოუშვებენო შაჰის ხალათებით დამშვენებულებს, ფიქრობდნენ საჩუქრის მოლოდინში ჩამდგარი კახელნი.

არც ერთს აზრიც არ დაუკრავს, რომ „თავს უყრიდნენ“. კი არა, თავებს აყრევინებდნენ თეჯირს გადაღმა გაუჩინარებულ ქართველებს...

და უეცრად ვიღაცამ კახელთა შორის იდუმალი სიტყვა ისროლა: იმ კარავში სათითაოდ შესულ ქართველებს „საჩუქრად“ თავის დაგდებინება გელოდებათო?!

თავის დაგდებინებაო?!

ეგ ჩვენ გვკითხონო, იგრიალეს კახელებმა, იშიშვლეს ხმლები და ეკვეთნენ სალტედ შემოკრულ ყიზილბაშთა ლაშქარს.

სალტე გადასჩეხეს, ბანაკის გასასვლელთან მდგარი სპარსელებიც გადაქელეს და სამშვიდობო გზებზე გააღწიეს.

თითები დაიჭამა ყარჩიხა-ხანმა.

არავითარი ეჭვი არ იყო: კახელთა ამოჟლეტის განაზრახი მხოლოდ მან გასცა, ვინც ამ განზრახულობაში ყარჩიხასთან ერთად მონაწილეობდა.

ასეთი კაცი გიორგი სააკაძე იყო...

გიორგის არ გამოჰპარვია, რომ იმ დღესვე ყარჩიხა-ხანმა ფაიქი აფრინა ერანისაკენ.

დღე-დღეზე შაჰ აბასის ახალ ბრძანებას ელოდა ყარჩიხა-ხანიც და... გიორგი სააკაძეც.

სპარსელთა ურდომ ადგილი მოინაცვლა.

მ ა რ ტ ყ ო ფ ი ს ველზე გავიდა, დაიბანაკა და დაისაძოვრა.

. . . . . .

ლოჭინის ხეობა აიჩემა გიორგიმ, რადგან აქ გამოივლიდა ერანიდან მომავალი გზა...

სპარსელებიც შეეჩვივნენ იმას, რომ ნადირობაზე შეყვარებული მოურავი ყოველდღე გადიოდა „ქორის მოსატევებლად“.

იმ დღესაც ხმა დააგდო ბანაკში, სანადიროდ მივდივარო და ქორით ხელმოჭანგული გაეშურა ლოჭინისაკენ.

გუმანმა არ უმტყუნა. სპარსეთიდან მომქროლავმა შათირმა შემოაგელვა ცხენი ხეობაში.

დაუხვდა გიორგი. გაძალიანდა შათირი, მაგრამ სად გაექცეოდა სააკაძის ფოლადის ხელებს.

შეიპყრო გიორგიმ, გაჩხრიკა და ამოართვა წერილი უბიდან.

შაჰი სწერდა ყარჩიხა-ხანს:

„გიბრძანებ, კახელნი ამოსწყვიტო, ქართლელნი დედაწულიანად აჰყარო და სპარსეთს წამოასხა, ხოლო მოურავი დაუყოვნებლივ მოჰკალ, თავი მოჰკვეთე და გამომიგზავნე!“

გიორგიმ შაჰის წერილი უბეში შეინახა, შაჰის შათირი იქვე მოგუდა და მიწაში ჩამარხა.

ბანაკში მობრუნდა. ვითომც არაფერი მომხდარიყოს, „მეგობრულად“ ესაუბრა ყარჩიხა-ხანს. თან ეს უთხრა ბეჯითად, მკაცრად: ქართლის თავადები უნდა შევყარო ასწრაფოდ და ვუბრძანო, ხალხი გაამზადონ დედაბუდიან ასაყრელად და სპარსეთში გადასაყრელადო.

ყარჩიხამ აზრი ვერ დაიკრა და სააკაძის განზრახვა მოიწონა.

გიორგიმ ქართლის თავადები შეჰყარა და შაჰის წერილი წაუკითხა.

ყველა მიხვდა შაჰ აბასის ვერაგ განზრახვას — სააკაძის მოყვარეც და მომტერეც.

საქორწილოდ მოსულ ყიზილბაშობას ქართლი უნდა დაეცია კიდევ ერთხელ — „ერთხელ და სამუდამოდ“!

და ყველა თავადმა — სააკაძის მტერმაც და მოყვარემაც — ერთხმად შეჰფიცა, რომ დათქმულ დროზე მთელის ძალებით ამხედრდებოდა საქართველოს დამაქცევარ გადამთიელთა გასანადგურებლად.

(ასე უნდა მომხდარიყო, რადგან ყველას — სააკაძის მტერსაც და მოყვარესაც — უპირველეს სახატედ მაინც ჰქონოდა საშობლო საქართველო! ამიტომ შინაურ ჭიშპსა და მტრობას დროებით თავი უნდა მოემძინარებია)...

ერთადერთი ქართველი თავადი, რომელსაც შეთქმული მამულიშვილები არ ენდნენ, იყო გამაჰმადიანებული ანდუყაფარ ამილახორი, შაჰ-აბასის ცოლისძმა, სიმონ-ხანის ქვისლი და ისა ხან ყორჩიბაშის სიძე (ქალის თესლით — შაჰ აბასის შვილიშვილის ქმარი).

საფურცლის ჭალაზე შეიპყრეს შეთქმულებმა ანდუყაფარი ცოლშვილიანად, ჩრდილოეთისკენ გააქანეს და თერგის ხეობაში, არშის ციხეში გამოჰკეტეს...

სამამულო ომის მაწვევარი ჩურჩული გაიჭრა ქართლოსიანთა სამკვიდრებელში.

ეს მერამდენედ აიმართნენ და აგელდნენ უქარქაშო ქართული ხმლები ტანჯულ მიწაზე!

. . . . . .

ზურაბ ერისთავი უსარდლებდა ქართულ ჯარს.

ხოლო გიორგი სააკაძე...

. . . . . .

დღე დათქმული აჯანყებისა — 25 მარტი (7 აპრილი) 1625 წლისა, დღესასწაული — ხარება.

ხარება! (ალბათ, დიდი იმედი ჩასდეს ამ საოცარ სიტყვასასწაულში პატრიოტებმა!).

ჯერ ისევ ღამე წევს მარტყოფის ველზე.

გულდანდობილად სძინავს ბანაკად ჩაგუბებულ 30 000 სპარსელს.

მთავარსარდლის კარავში განისვენებს ყარჩიხა-ხანი და მისი ვაჟი იმამვერდი-ბეგი.

მშვიდად სძინავთ, რამეთუ იციან, — სააკაძე არსად გასულა ბანაკიდან, ვერც ვერსად წავა, მსტოვრები თვალს არ აცილებენ.

მახლობელ კარავში ეგულება ყარჩიხა-ხანს „მოურავ-ხანი“, ოთხი „გურჯის“ თანხლებით. ხოლო, სულ ხუთი „გურჯი“ რას გააწყობს ოცდაათიათას ყიზილბაშთან!

ამიტომ სძინავთ არხეინად.

მხოლოდ გიორგი სააკაძეს და მისგან არჩეულ ოთხ ქართველს არ სძინავთ.

იარაღასხმული მიწოლილა „რჩეული ხუთეული“.

გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ე,

მისი უფროსი ვაჟი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს ა ა კ ა ძ ე,

თავადი პ ა ა ტ ა ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე,

თავადი ე ლ ი ა დ ი ა ს ა მ ი ძ ე,

ქართლელი გლეხი პ ა პ უ ნ ა ვ ა შ ა ყ ა შ ვ ი ლ ი.

რიჟრაჟმა იწყო მოახლოება.

ღამემ ნელ-ნელა აიკრიფა შავი კრეტსაბმელი და ხარებადღეს შეატოვა მარტყოფის ველი.

გამაყრუებელმა ყიჟინამ და იარაღის ზრიალმა შეარყია ცისგვამი.

ეს — ქართული ჯარი მოფრინავდა ზურაბ ერისთავის სარდლობით.

აიშალა სპარსთა ბანაკი.

კარვიდან გამოიჭრა ყარჩიხა-ხანი და ზნიკიანი ყივილით იხმო ყველა სარდალი.

ერთბაშად მოცვივდნენ ამხედრებული გიორგი სააკაძე, იუსუფ-ხანი, მოჰამედ ყული-ხან ზიად-ოღლი და სხვანი „ხანნი ათორმეტნი“.

ცხენიდან ჩამობრძანდი და შევიტყოთ რა ხდებაო! — შეჰკივლა ყარჩიხამ სააკაძეს.

— ჩამოხდომისა კი არა, უმჯობესია შენც შეჯდე ცხენზე და ჯარს მიჰხედო, თორემ მგონი თეიმურაზ მეფე მოდის თავის მხედრობით! — შეუტრიალა სააკაძემ.

ცხენს მოახტა ყარჩიხა-ხანი.

მაგრამ უნაგირზე ჩაჯდომაც ვეღარ მოასწრო.

— ახლა სინჯე ქართველების სისხლის დაქცევა! — დაიღრიალა სააკაძემ და თვალწამიერად შიშვლად დაჭერილ მარცხენა იღლიაში აძგერა შუბი ყარჩიხა-ხანს.

გარდიგარდმო შუბგანწონილი და სულგავარდნილი დაენარცხა ძირს სპარსთა მთავარსარდალი.

წამსვე პაატას ნაკოცნი და ნაკურთხი ხმალი იშიშვლა სააკაძემ.

სპარსთა დანარჩენ სარდლობას უკვე ხმლებით სჩეხდნენ ავთანდილ სააკაძე, პაატა ხერხეულიძე, ელია დიასამიძე, პაპუნა ვაშაყაშვილი.

ავთანდილმა მხარიღლივ გასჩეხა იმამვერდი-ბეგი, ძე ყარჩიხა-ხანისა.

გიორგიმ თავი დააგდებინა იუსუფ-ხანს.

პაატა ხერხეულიძეს, ელია დიასამიძეს და პაპუნა ვაშაყაშვილსაც დაეღვარათ „თავისი წილი“ მტრის სისხლი.

რამდენიმე წუთიც და სპარსულ ურდოს აღარცერთი სარდალი აღარ ჰყავდა თავშერჩენილი.

ხუთ ქართველს ერთბაშად წარეკვეთა თავი ერანული ურჩხულისათვის.

ზურაბ ერისთავიც უკვე შემოჭრილიყო სპარსთა ბანაკში.

ქართველები უწყალოდ და ხელდარეულად ჟლეტდნენ უმეთაუროდ და უპატრონოდ დარჩენილ სპარსულ მხედრობას.

სპარსელებს ისღა დარჩენოდათ, ვისაც საით და როგორ მოუხერხდებოდა, იქეთ გაქცეულიყვნენ.

ქართველები მისდევდნენ და ხოცავდნენ მთელი დღე.

უთენია დაწყებული ბრძოლა გვიან მიმწუხრამდე გაგრძელდა.

30 000 სპარსელისგან მხოლოდ 3 000-მა გაასწრო სიკვდილს.

ქართული ხმლებით აჩეხილი ოცდაშვიდი ათასი ერანელის გვამი ეყარა მარტყოფის ველზე.

მათ შორის — შვიდი რჩეული ერანელი, სარდალი.

დიდძალი ნადავლი და აღჭურვილობა ჩაუვარდათ ხელში გამარჯვებულებს. ისინი „აღივსნეს საშოვრითა — ოქროთი, ვერცხლითა, თვალითა, მარგალიტითა, მრავლის უცხოს ნაქსოვითა, ცხენ-აქლემითა და ჯორითა“.

„ხარება“ სუფევდა საქართველოში.

სწორედ დღეს იდგა უზემოესი მამულიშვილობის მწვერვალზე მამა პაატა სააკაძისა.

ახლა მას შეეძლო ცხრა ვაზი მართლა გაეხარებია ქართულ მიწაში, ცხრა სანთელი აენთო ქართულ სალოცავში, ცხრა ვაჟი მოენათლა ცხრა ქართულ ოჯახში.

მარტყოფის შემდგომ

სვიმონ-ხანი და ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ ყულიხან ზიადოღლი ტფილისისაკენ მიჰქროდნენ თავპირისმტვრევით.

გიორგი სააკაძემ მიასწრო. ტფილისი აიღო და ნარიყალაში ჩაკეტილ ყიზილბაშურ ციხიონს ალყა შემოარტყა.

სვიმონ-ხანმა და მოჰამედ ყულიმ საქართველოს სატახტოს გვერდი აუქციეს, ალჯაყალამდე უკანმოუხედავად ირბინეს, ალჯაყალის ციხეში შეცვივდნენ და შიგ ჩაირაზნენ. მცირე ხნის შემდეგ იქიდანაც გადაიხვეწნენ და მაზანდარანს ჩავიდნენ.

ტფილისის ციხე გაძალიანდა. დრო კი აღარ ითმენდა, მტერს სულის მოთქმის სახსარი არ უნდა მისცემოდა. ამიტომ გიორგიმ ნარიყალა ალყაში ჩატოვა და თვითონ ზურაბ ერისთავის თანხლებით კახეთისაკენ გაფრინდა.

ზურაბ ერისთავს გიორგისგან აღთქმული ლელა ბატონიშვილი ეგულებოდა ფეიქარ-ხანის კარზე და ყველაზე წინ მიჰქროდა ფრთაგამოსხმული.

ფეიქარ-ხანს, მარტყოფის კატასტროფა რომ შეეტყო, ხორნაბუჯი დაეგდო და ფხოჭა-გლეჯით გაქცეულიყო.

მტკვარზე წამოეწივნენ ქართველები ყიზილბაშებს.

გახელებული დაეძგერა ზურაბ ერისთავი.

ფეიქარ-ხანმა მოასწრო მტკვარზე გადასვლა. ცოლიც თან გაიტაცა — ლელა-თინათინი, და ბარდავისაკენ გაფრინდა.

მიჰყვა ზურაბ ერისთავი გააფთრებით, მაგრამ ყიზილბაშ მეტოქეს ვერც დაეწია და ვერც „თავისი საცოლე" დააგდებინა.

სანამ ზურაბი ხელცარიელი და გულდაწყვეტილი დაბრუნდებოდა, გიორგიმ მტკვარზე ფეიქარ-ხანისაგან დატოვებული ყიზილბაშობა დაატყვევა „მრავალი ქონებით, იარაღ-მოწყობილობით, ურიცხვი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლით".

შემობრუნდნენ და ისევ ხორნაბუჯს მოაშურეს ქართველებმა.

ქალაქი ზეიმით შეხვდა თანამოძმეთა მოსვლას.

ციხეში მდგარი ყიზილბაშური ციხიონი იარაღაყრილი გამოვიდა, ორმოცდაათი საპალნე აბრეშუმი გამოიტანა და სხვა მრავალ ქონებამოსართმეველთან ერთად მიართვა გამარჯვებულებს.

მთელი კახეთი საკაძის ხელში მოექცა.

არ სცხრებოდა მოურავი. კახეთიდან განჯისა და ყარაბაღისაკენ გაქუსლა, იქაური ყიზილბაშები დააწიოკა და დააფორიაქა. უმრავლესობა ამოჟლიტა, სულიტკბილობის მოყვარულნი ტყვედ აიყვანა, გაქცეულებს არეზამდე სდია, უთვალავი დავლა მოინადავლა და ქართლისაკენ შემოტრიალდა.

ქართლ-კახეთი სავსებით გაწმენდილიყო ყიზილბაშური სნებისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოს ორივე ტახტი საკაძის ხე-

ლით საღსალამათად დახსნილი და გადარჩენილი ელოდებოდა ღირსეულ პატრონს.

მაშ, მეფე (გინა — მეფეები) სჭირდებოდა „ორ საქართველოს“ — ქართლსა და კახეთს.

მერე, კაცმა რომ თქვას, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო მეფე (გინა — „პატრონი“) ქვეყნისა, თუ არა იგი, ვინც თავისი მჭრელი გონებით და მძლე მარჯვენით იხსნა იგივე ქვეყანა?!

ხალხი, გამორჩევით „წვრილი ერი“, კიდევაც მოითხოვდა მეფედ საკაძის გამოცხადებას.

გიორგიც არ სჩანდა ისეთი „მტრედი“, რომ გულწრფელად „არ სდომებოდა“ სამეფო ტახტი, მაგრამ „მტრედობას მოკლებულ“ კაცს სწორედ გველის ჭკუა ჰქონდა: მისი მეფედ გამოცხადება საქართველოს „საზეპურო ერის“ (თავადობის, არისტოკრატიის) უეჭველ აჯანყებას გამოიწვევდა, რაიც თავის მხრივ იმჟამინდელი საზოგადოებრივი აღნაგობის მქონე საქართველოს დაქცევას მოასწავებდა...

ამიტომ საკაძემ „საერთო კეთილდღეობისათვის“ პირდაპირ უარი სთქვა მეფობაზე.

მეფე საძებარი არ არისო, ბრძანა გიორგიმ და მაშინვე გონიოში ელჩები აფრინა და თეიმურაზს შეუთვალა: კახეთისა და ქართლის ტახტი, ორივე შენ გელოდება, მობრძანდი, დაბრძანდი, იმეფე, ქვეყანას უპატრონე და მოუარეო.

თეიმურაზი ის იყო რუსეთში წასასვლელად ემზადებოდა, საკაძის ელჩებმა რომ ასეთი „ცითმოვლენილი“ ამბავი და შეთავაზება მიართვეს.

მის სიხარულს ენა ვერ იტყოდა და კალამი ვერ ასწერდა!

მაშინვე ქართლ-კახეთისკენ სამგზავრო სამზადისი ბრძანა.

მაგრამ თეიმურაზმა გონიოდან ფეხის დაძვრაც ვერ მოასწრო, რომ მალულმა შათირებმა მეორე, უკვე საშიშარი და საშფოთარი ამბავი მოურბენინეს: ღმერთი არ გაგიწყრეს და გონიოს ციხიდან არ გამოხვიდე, თორემ იცოდე, საკაძეს ცოცხალი ვერ გადაურჩებიო; შენი მოკვლა მას ტახტისაკენ გზას უხსნის და სავსებით დასაჯერებელია, რომ სასიკვდილოდ არ დაგინდობს ეგ „თათარიო“.

ერთხანს თავზარდაცემული და შეძრწუნებული იდგა ამის მსმენელი თეიმურაზი. მერე მაინც ესა სთქვა მწარე სინანულით და გულმხურვალებით:

„თუ მართლაცდა, უფალს ჩემი სიკვდილი ნებავს, დაე აღსრულდეს მისი სურვილი! მე მაინც ბედნიერი ვიქნები, რაკი უკანასკნელად გავუღიმებ მშობლიურ ცას, რომლის ქვეშ მე თვალი ამეხილა და გონი გამეხსნა!“

თქვა და წამოემართა ქართლ-კახეთისკენ თეიმურაზი.

სანამ იგი მოაღწევდა, მანამ გიორგი სააკაძემ ისევ შეუტია ტფილისის ციხეს გამგელებულმა.

ქართველებმა თაბორის მთიდან თოფების ბათქით აიღეს „დაბალი ციხე“. ნარიყალა კი ისევ მაგრობდა.

გიორგი სააკაძის ბრძანებით წყალი დაუწყვიტეს ნარიყალას.

დღე-დღეზე ციხე უნდა დაცემულიყო.

მაგრამ ისევ გამოჩნდნენ მოღალატენი „საასპარეზოდ“.

გორელი ვაჭარი გ ი ო რ გ ი გ ო რ გ ი ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი თურმე ყიზილბაშთა ციხიონის უფროსს „ძმაკაცობდა“. ყიზილბაშს გორგიჯანაშვილისთვის შემოუთვლია: „უწყლობამ ნამეტნავად შეგვაღონაო, წყლით რამე გვიღონეო“. ამდგარა ღამით გიორგი გორგიჯანაშვილი, ერთიც თავისი სანდო კაცი წაუყვანია, ნარიყალას წყალსადინარ კლდეზე გასულა, ღარები გაუწყვია და წყალი ციხის დასარწყულებლად გაუშვია.

მეორე დღეს სააკაძის მეომრებმა აღდგენილი წყალსადინარი შენიშნეს და ღარები ხელახლა აჰყარეს. მაგრამ ალყაში მოქცეულებს წყურვილის საშიშროება კარგა ხნით მაინც მოეხსნათ: ყიზილბაშებს მთელი ღამის წყალდინებით ყველა ჭა, ჭურჭელი და წყალსაცავი გაევსოთ და სარწყულები უხვად გაემარაგებინათ.

ციხიდან ყიზილბაშებს ორი კაცი გამოეპარათ და იმათ აუწყეს სააკაძეს მოღალატეთა სახელები — გიორგი გორგიჯანაშვილი და გ ა რ ს ო ა ჭ ა ნ ო ა შ ვ ი ლ ი.

გორგიჯანაშვილის ღალატი რომ შეიტყო, მერე ეს იკითხა სააკაძემ: გარსოა ჭანოაშვილი ვინღა არისო?

ჭანოაშვილი ტფილისელი მოქალაქე გახლავთ, ისიც ყი-

ზილბაშთა ციხიონის უფროსთან ყოფილა იდუმალ გაზრახებული: როცა ციხის გარეთ რაიმე სასიკეთო და საიმედო ამბავი მოხდება, მე წითელი სამოსელით შევიმოსები და ისე დაგენახვებითო, თუ არა და, უბრალოდ ჩაცმულს დამინახავთო.

და ამნაირად, ყიზილბაშები „წითელი გარსოას“ დანახვაზე გამხნევდებოდნენ და ძალას მოიცემდნენ, ხოლო „შავი გარსოას“ გამოჩენისას ზედმიწევნით ფრთხილობდნენ და საფრთხის უკუსაგდებად საგანგებოდ ემზადებოდნენ.

სააკაძის ბრძანებით შეიპყრეს მოღალატენი.

გარსოა ჭანოაშვილს თავი გააგდებინეს.

გიორგი გორგიჯანაშვილი ძელზე თავდამხედ ჩამოჰკიდეს და ქალაქის ქუჩები ჩამოატარეს.

იმ დროს ტფილისში იმერეთის მეფის წარმოგზავნილი მოციქულები იყვნენ, მათ შორის ქუთათელი ეპისკოპოსი, რომელიც პირადად სცნობია გორგიჯანაშვილს (ალბათ, ქუთათისის „მაღალ წრეშიც“ ჰქონდა „კავშირნი“ გორელ ვაჭარს).

ქუთათელმა სააკაძესთან იშუამდგომლა და გამოიხსნა გორგიჯანაშვილი სირცხვილისგანაც და სიკვდილისგანაც.

ხოლო ნარიყალა ისევ ყიზილბაშებს რჩებოდა.

. . . . . .

ამასობაში გონიოდან წამოსულმა თეიმურაზმაც მოატანა.

მცხეთაში შეეგებნენ ერთმანეთს თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე — ორი გმირი, ორნივ სამშობლო საქართველოს საკეთილდღეოდ უმძიმეს ბრძოლებში გაწამებულნი და გათეთრებულნი.

ორივეს საკუთარ სიცოცხლეზე ძვირფასი მსხვერპლი გაეღო სათაყვანო სამშობლოსათვის, ერთს — დედა, დაი და ორი შვილი; მეორეს — შვილი, ღვთაებრივი ჭაბუკი...

მცხეთაში, სვეტიცხოვლის დიდ ლავრაში, ქართველ საერო და სასულიერო „საზეპურო ერის“ წინაშე თეიმურაზი აკურთხეს ქართლისა და კახეთის მეფედ.

თეიმურაზი „ორივ ტახტის მჭერი“ შეიქნა.

აღმოსავლეთ საქართველო გაერთიანდა.

ზეიმობდა ქართველი ხალხი დიდ გამარჯვებას.

ზეიმობდა გიორგი სააკაძე, მთავარი გმირი ქართველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლევამოსილებისა და ყველაზე დიდი მეოცნებე „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა.

მაგრამ ბედისწერა უზემოესი აღხევებისა და ზარზეიმის ტოლძალოვან საწუხარსა და საგლოველს უმზადებს ადამიანებს.

ასე იყო ახლაც, რამეთუ ჯერ ისევ ცოცხლობდა შაჰ აბასი.

აპოთეოზი ჯაატა სააკაძისა

მამას სიკვდილისა არ ეშინია.
მამას მხოლოდ შვილის სიკვდილისა ეშინია.

შაჰ აბასს თავზარი დასცა ჯერ მარტყოფის კატასტროფამ, უზარმაზარი ყიზილბაშური მხედრობის განადგურებამ, უპირველესი სარდლების ამოწყვეტამ და, მერე — ქართლ-კახეთის გაერთიანებამ.

თანაც, ყოველივე ეს საშინელებანი მოხდა მაშინ, როცა ერანის სახელმწიფო და მისი „ლომის“ ძალმოსილება ზეობის მწვერვალზე იდგა.

შაჰს ეგონა, ეს-ეს არის საქართველო სრულიად წავშალეო პირისაგან მიწისა და უეცრად კი წამოიმართა იგი ახალნერგად, შურისმგებლური მახვილით ხელში, წამოიმართა და მიწას განართხო სწორედ იგი, ვისაც ქართული ფუძის მოთხრა ჰქონდა გულს ამოჭრილი.

თურმე შეუძლებელია „მოკვლა საქართველოსი“, თურმე მართლა მარადიული უკვდავების სული ანთია ამ უცნაური ხალხის სხეულში — ხან მინავლებული, ხან უზემოესად გამძლავრებული.

გველი უსრიალებდა გულში შაჰ აბასს.

სასიკვდილოდ დაგულებულ საქართველოს თურმე ახალი ცხოვრება დაუწყია, ქართლი და კახეთი გაერთიანებულა და

ერთიან, „გამთლიანებულ“ ტახტზე „ყველაზე საძულველი თეიმურაზი“ დაბრძანებულა!

ყველაზე საძულველი თეიმურაზი?!

მაგრამ გიორგი სააკაძე?!

ვინ შეედრება შაჰის გულში ახლა გიორგი სააკაძის მძულვარებას?!

შაჰ აბასის გული ყოველთვის ყოველგვარი მძულვარების მომცველი და „დამტევი“ გული იყო, მაგრამ ახლა შაჰ აბასს ათასი გულიც არ ეყოფა ცბიერი და ვერაგი გურჯის მძულვარების დასატევად!

მარტყოფი და სააკაძე! — აი, ორი უსაშინელესი და უსაზიზღრესი სიტყვა ერანის ხელმწიფის გონსარბიელში.

მარტყოფი! — თითქმის ორმოცი წელიწადი შესრულდა შაჰ აბასის გამეფებიდან და ამ ორმოცი წლის მანძილზე შაჰს ასეთი ზარალი და უბედურება არ მოსწრებიაო, გაიძახიან სპარსეთში, გაიძახიან თურქეთში, გაიძახიან ევროპაში.

სააკაძე! — ასეთი მტერი საერთოდ არ მოსწრებიაო ერანის ქვეყანას, გაიძახიან აზიაში, გაიძახიან ევროპაში.

„ვფიცავარ ალლაჰს, მთელი ჩემი სამეფოს ნახევარს მივცემ, ვინც სააკაძეს ცოცხლად მომითრევს!“ — ბღაოდა შაჰ აბასი.

. . . . . .

მაგრამ სანამ გიორგი სააკაძეს „ცოცხლად მიუთრევდნენ“, მანამ შაჰს შეუძლია სიკვდილზე უარესი სასჯელი და სატკივარი შეჰყაროს დიდების მწვერვალზე აფოფინებულ მოურავ-ხანს.

დიახ, სიკვდილზე უარესი!

ხოლო, ადამიანისთვის მ ი ს სიკვდილზე უარესი ხრის მ ი ს ი შ ვ ი ლ ი ს სიკვდილი!

. . . . . .

— მოღალატე მოურავ-ხანის შვილი მომგვარეთ — პაატა სააკაძე! — დაიზმუვლა შაჰ აბასმა.

მოიყვანეს.

პაატა სააკაძე!

დიდი სიმშვენიერის თვალის გასწორება უჭირთ ადამიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შაჰ აბასის თვალებს, მსგავსად გველისა, მძულვარების აფსკი ჰქონდა გადასალტული.

მის წინაშე ქართული სიმშვენიერე იდგა მთელი სისავსით და სიცხოველით.

ჭაბუკი ესე — იყო თვითონ საქართველო.

ხოლო საქართველო აუცილებლად უნდა მოეკლა შაჰ-აბასს, უნდა მოეკლა და უნდა მოესრა უსაშინელესი წამებით.

. . . . . .

პირჯვრის გადასახვა და მცირე ლოცვა მოასწრო ჭაბუკმა: „ღმერთო, დაიხსენ საქართველო!..“

. . . . . .

მარტვილობა დასრულებულიყო.

პაატა სააკაძის თავი და ტანი ცალ-ცალკე — ერთმანეთისათვის უცხო სხეულებივით ეყარა.

ტანი ჯერ ისევ თრთოდა.

თავი მშვიდად იყო, სრულიად წყნარი, მწყაზარი სახით.

ხოლო შაჰ აბასს სავსებით დაშლოდა და დამეწყოდა სახე.

მას ხომ მოკვეთილი თავების გალახვა უყვარდა, მაგრამ ჭაბუკის საოცარ ხატს ვერ გაუბედა ხელის შეხება.

ბოლოს ეს ბრძანა, საფლავიდან დაძახილივით:

„ტანი ხევში ისროლეთ ყვავ-ყორანთა და ძაღლთა საჯიჯგნად, ხოლო თავი აიღეთ და მამამისს გაუგზავნეთ საქართველოში!“

. . . . . .

პაატა სააკაძის გვამი ღამით ევროპელმა კათოლიკე მისიონერებმა ამოასვენეს ხევიდან და სადღაც იდუმალ ადგილას დაკრძალეს.

ხოლო თავი საქართველოში ჩამოიტანეს შაჰ აბასის შათირებმა...

მამობის მთელს სიგრძეზე შვილის სიკვდილის შიში ჰზარავდა გიორგი სააკაძეს.

და, აჰა, აღსრულებულიყო!

მამას წინ ესვენა წარკვეთილი თავი შვილისა, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას დაუბრუნა „ჭეშარიტი ქართველობა“ და ახლად არგუნა „ერის მხსნელისა “და „ეროვნული გმირის“ სახელი.

„სხვად ვინმედ“ თუ „სხვად რამედ“ ქცეულიყო გიორგი სააკაძე — სისხლგამშრალი და ცრემლგაბერწებული.

დიდხანს არავის შეეძლო საამქვეყნიოდ მოებრუნებინა გმირი — საქართველოს „მომბრუნებელი“.

უმძიმესი გლოვის ზარი დასცემოდა სააკაძეთა სახლეულს.

საგლოველი იყო საყოველთაო, რამეთუ ჭაბუკის უწმინდესი სიცოცხლის გაწირვამ დაუბრუნა საქართველოს ყველაზე დიდი „უძღები შვილი“, რომელიც ყველაზე საშფოთარ ჟამს ჭეშმარიტ მხსნელად მოევლინა უფსკრულში ჩაკიდებულ თავის სამშობლოს.

ერთაწმინდის ეკლესიაში დაკრძალეს წმინდანი ჭაბუკის თავი.

მალე ტფილისელმა ვაჭრებმა, ევროპელ მისიონერთა თანადგომით, იპოვნეს და წამოასვენეს პაატას გვამი სპარსეთიდან საქართველოში.

როგორც იქნა, ეღირსა განკვეთილი მარტვილის თავსა და ტანს ერთად დავანება მშობლიურ მიწაში.

და დაინთო ერთაწმინდის ეკლესიაში იმჟამინდელი საქართველოს ყველაზე დიდი კერეონი.

ბედნიერი იყო ჭაბუკი:

მშობლიურ მიწაში იწვა,

ჯალათის ხელით ნაწამები სხეული აღარ სტკიოდა,

„ყოველი საქართველო“ იყო მისი ჭირისუფალი,

მისი სახელი ეროვნული გმირობისა და მამულიშვილობის ნიშანსვეტად იქცა,

მისი ღვთაებრივი სახე სალოცავ ხატად დაისვენა მშობელმა ხალხმა.

გლოვად და ლოცვად იდგა საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გლოვა-ლოცვისთვის დიდ დროს ვერ დაირჩენდა ქართველი ხალხი.

დღე-დღეზე შაჰ აბასის ახალი, შურისმგებლური ცეცხლით გატენილი შემოსევა იყო მოსალოდნელი.

დღე და ღამე იჭედებოდა საჭურველი.

დღე და ღამე თვალმოუხუჭავად და მუხლჩაუკრეფლად ილვწოდა სააკაძე.

უწინარეს ყოვლისა მთავარი ეს იყო, — რაიმე „შინა-გასქდომა“ არ ჩამოვარდნილიყო ქართველთა შორის.

გიორგიმ შენიშნა: პირჩაღრუბლული იმზირებოდა და ილრინებოდა ზურაბ ერისთავი — „მეორე გმირი“ უკვე მომხდარი დიდი სამამულო ეპოპეისა.

ძნელი არ იყო ზურაბ ერისთავის გულჯავრიანობის მიზეზის გარკვევა. მისი ცოლი შაჰ აბასმა გაამაჰმადიანა და თავისი ცოლების მსახურად განაწესა. გიორგი სააკაძის აღთქმა ზურაბისა და ლელა ბატონიშვილ ს „სანატრელი ქორწინებისა“ არ შესრულდა, რადგან ვერ იქნა და ვერ დააგდებინეს ფეიქარ-ხანს ლელა-თინათინი.

ძალიან სახიფათო კი იყო პატივმოყვარე და მერყევი ბუნების არაგველი მბრძანებლის იმედგაცრუება.

დატრიალდა გიორგი. ზურაბი ადვილად დაარწმუნა იმაში, რომ აწ გარდასულ ლუარსაბ ბაგრატიონთან დამოყვრებას ისევ ქართლ-კახეთის „ორივე ტახტის მჭერთან“ დამოყვრება სჯობდა.

თეიმურაზ მეფეს ჰყავდა ასული — სახელად დ ა რ ე ჯ ა ნ ი. ჩადგა სააკაძე მეფესა და ერისთავს შორის შუამავლად.

დედოფალი ხორეშანი უარს ამბობდა ზურაბისათვის ქალის მიცემაზე. „მაგან ამოაგდო ჩემი სამშობლო ქართლიო“, გაიძახოდა ლუარსაბ მეფის დაი. მაგრამ მაინც გასჭრა დიდი მოურავის „პოლიტიკურმა მაჭანკლობამ“ — ზურაბ ერისთავმა ცოლად შეირთო თეიმურაზ მეფის ასული დარეჯანი.

საქმე თითქოს კარგად მიდიოდა.

თეიმურაზი მეფობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააკაძე განაგებდა.

თავადები მოურავის პირველობას თითქოს შერიგებოდნენ. „თვით ზურაბ ერისთავი და ვინცავინ დიდი კაცნი იყვნენ ქართლისანი დიდს მოურავს ქეშიკში უწვებოდნენ და ყმურად მონებდნენ მას".

გიორგი სააკაძემ ერანთან გარდუვალ ომში ოსმალეთის მომხრობაც სცადა.

ამ დროს ოსმალეთის დიდი ვეზირი დ აღმოსავლეთის ჯარების სერასქერი ჰ ა ფ ი ზ-ფ ა შ ა დიარბექირში იდგა და ბაღდადს სალაშქროდ ემზადებოდა. გიორგიმ ელჩობა შეადგინა, სათავეში თავისი შვილი ი ო რ ა მ ი ჩაუყენა და ჰაფიზ-ფაშასთან გაგზავნა.

მოურავის ელჩებს თურქთა მისართმეველად მიჰქონდათ საქართველოში ამოწყვეტილ ყიზილბაშ სარდალთა წარკვეთილი თავები (მათ შორის ყარჩიხა-ხანისა და იუსუფ-ხანისა), მხარგაკრული ტყვეები, ნადავლად წამოღებული სამასი სპარსული დროშა, საომარი საყვირები და ზურნაიკები.

ქართველი ელჩები 1625 წლის 3 ივლისს ეწვივნენ ჰაფიზ-ფაშას.

ოსმალებმა სიამოვნებით მოიხილეს ყიზილბაშ სარდალთა თავები — ოთხი თვის წინათ წარკვეთილნი, მარილში გამოყვანილნი, მაგრამ მაინც ხრწნამორეულნი. მადლიერებით ჩაიბარეს ტყვეები და ლომის გერბიანი დროშები.

იორამ სააკაძემ მამის წერილი გადასცა დიდ ვეზირს. გიორგი ატყობინებდა ჰაფიზ-ფაშას: ოსმალთა სამეფო გვარეულობას ჯერ ასეთი მოხერხებული შემთხვევა არ მოსწრებია ერანთან არგანიშის გასწორებისაო; ამიტომ ყოველგვარი დაყოვნების გარეშე ისწრაფეთ და თქვენის ჯარებით გამოემართეთ განჯა-ყარაბაღისა და შირვანისაკენ; მისვლისთანავე ყველა ეს ქვეყნები უბრძოლველად დაგემორჩილებიან; ამის მერე სულ იოლად შეძლებთ არდებილისა და მეშჰედის აღებას და ყიზილბაშთა ქვეყნის სავსებით გადაწვას; თანაც იმდენ სიმდიდრეს მოინადავლებთ, ქვეყნის დასასრულამდე სალაბრაკო და სალექსე გახდებაო.

ჰაფიზ-ფაშას არც დიდი ნიჭი ჰქონდა და არც დიდი გაბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულება. ვერ იქნა და სააკაძის შემონათვალს გადაჭრილი პასუხი „ვერ მოუხერხა“.

ისტორიკოსი ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი მაშინ მრჩევლად ახლდა ჰაფიზ-ფაშას.

ასეთი მოხერხებული შემთხვევა მართლაც აღარასოდეს ჩაგივარდება ხელშიო, უთხრა იბრაჰიმმა ჰაფიზს, ამიტომ სააკაძეს დაუჯერე და შირვან-აზერბაიჯანისკენ გაუტიე ჯარებითო.

— ბედნიერებით მოსილმა ფადიშაჰმა ჩვენ ბაღდადის დაპყრობა გვიბრძანა და არა საქართველოსა და შირვანისკენ გალაშქრება, — თქვა ჰაფიზ-ფაშამ.

იბრაჰიმ ფეჩევი მაინც არ შეეპუა და მაშინვე ეს უთხრა დიდ ვეზირს:

— ბედნიერებით მოსილმა ჩვენმა ფადიშაჰმა რომ ეს იცოდეს — დიდი მოურავი ჩვენს მხარეზე გადმოსულაო — მაშინვე სწორედ შირვანისკენ გაგაგზავნიდათ, ანდა შეიძლება თვითონ ჩაუდგეს სათავეში ამიერკავკასიაში ლაშქრობას. დარწმუნებული ვარ, თუ ამ შემთხვევას ხელიდან გავუშვებთ, ქვეყნის დასასრულამდე გვექნება სანანებლად.

— თქვენ ჯერ კიდევ არ გცოდნიათ ჩემი ხასიათი. მე ვიდრე რომელიმე წამოწყების წარმატებით შესრულებაში წინასწარ არ დავრწმუნდები, მისკენ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ, — მთქნარებით თქვა ფაშამ.

— განა, დიდებულმა სულთნებმა, გინა პატიოსანმა ვეზირებმა, რომელთაც ამოდენა საღვთო ომები და დაპყრობანი ეგზომ ძლევამოსილებით ჩაუტარებიათ, წინასწარ იცოდნენ, რომ უეჭველად გაიმარჯვებდნენ? ომში გამგზავრებისას სარდალი სიმამაცეს და ალლაჰს უნდა მიენდოს. ან ახლა, ბაღდადს რომ ჩახვალთ, ნამდვილად იცით, რომ დაიპყრობთ და გაიმარჯვებთ? — არ ეშვებოდა იბრაჰიმ ფეჩევი.

— მტკიცედ მწამს და ეჭვიც არ მეპარება, — ისე თქვა სერასქერმა, რომ მოსაუბრე მიმხვდარიყო, ამ საკითხზე ნულარ ვილაპარაკებთო.

მთავარსარდალთან ამაო საუბრის შემდგომ იბრაჰიმ ფ ე ჩ ე ვ ი იანიჩართა მეთაურთან — ხ უ ს რ ე ვ-ა ღ ა ს თ ა ნ მივიდა.

(მკითხველმა კარგად დაიმახსოვროს ხუსრევ-აღას სახელი, რამეთუ იგი ამ ამბებიდან ოთხი წლის შემდეგ დიდი ქართული ტრაგედიის ავტორი შეიქნება).

ახლა ხუსრევ-აღას შეუჩნდა იბრაჰიმ ფეჩევი, — იქნებ შენ გამოეხმაურო გიორგი სააკაძის მოწოდებას და გაილაშქრო შირვანისკენო.

ხუსრევ-აღამ ყბა ცბიერად მოიქცია და თქვა: ჩვენ მთავარსარდლის ხელქვეითები ვართ და, რასაც ის გვიბრძანებს, ჩვენც იმის აღმსრულებლები გახლავართო.

ფეჩევიმ იფიქრა, ხუსრევს ჰაფიზის გამარჯვება და აღზევება არ ეპრიანებაო, და სულ მიანება თავი სარდლების წაქეზებას ამიერკავკასიაში სალაშქროდ.

. . . . . .

ისევ დგას 1625 წელი.

წელი — ქართველთა ძალმოსილებისა, წელი — რწმენისა, სიხარულისა, სამომავლო იმედისა და უკვდავებისა.

მაგრამ ვაითუ წლის ბოლომდეც ვერ გაატანოს საუკუნოვანი წყვდიადით გატენილ ცისგვამში შემოჭრილმა სინათლის სხივმა!

კიდევ მოჰქრის საქართველოსკენ ვეებერთელა ურდო — საუკეთესო, ანარჩევი მხედრობა სპარსეთისა!

მოჰქრის ურდო და მოაქვს შაჰ აბასის „მსოფლიო რისხვა“!

ან ახლა უნდა მოისპოს საქართველო, ან ვერასოდეს!

ვაი შენ, გურჯისტან!

ურდოს მოუძღვის ისა-ხან ყორჩიბაში, სიძე შაჰ-აბასისა.

თანაშემწე სარდლებად დანიშნული არიან: შირვანის ბეგლარბეგი ყაზახ-ხან ჩერქეზი, ერევნის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხანი („ყვითელი ავაზა“), აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და... ხოსრო-მირზა დავითის ძე, ქართველი ბატონიშვილი, ისფაჰანის ტარუღა, შაჰის კარზე გიორგი სააკაძის წყალობით დაწინაურებული და აღზევებული.

(ამ გათათრებულმა ქართველმა უნდა გაუმართლოს შაჰ აბასს, — გიორგი სააკაძემ არ გაუმართლა, ხოსრო-მირზამ უნდა გაუმართლოს!)...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ მიეღო შაჰ აბასის ბრძანება დაუდხან უნდილაძეს — საქართველოში სალაშქროდ აღიკაზმე შენის მხედრობითო.

ისევ უარი შეეთვალა უნდილაძეს.

ურდო კი მოჰქროდა საქართველოსკენ.

მოჰქროდა და მოჰქროდა „ცხოფლიო მრისხანება“ შაჰ აბასისა: ან ახლა უნდა აღიხოცოს პირისაგან მიწისა საქართველო, ან ვერასოდეს!

ვაი შენ, გურჯისტან!

მარაგდა — აპოთეოზი უიღბლო გმირობისა

ვითარ დაეცნეს ძლიერნი და დაილეწნეს საჭურველნი ბრძოლისანი.
მეფეთა მეორე წიგნი, I, 27.

ხმალო და მხარო გასჭერი,
გულო, ნუ შეგვიშინდები,
სისხლისა ნატალახევსა,
ფეხო, ნუ მოგვიცურდები.
ხალხური

ივნისის დამლევს მოვიდნენ „დიდითა მძლავრობითა“ და დაიბანაკეს ალგეთზე, სოფელ მარაბდის ახლოს.

ისევ ალგეთი!

სავანე მრავალი დიდი სამამულო ხმალთაკვეთებისა!

სავანე ცრემლთა სიხარულისა და ცრემლთა სინანულისა!

ალგეთის მკერდზე სწერია „დიდი ფარცხისი“ — 1074 წელი, ქართველები მეფე გიორგი მეორის სარდლობით ამარცხებენ თურქ-სელჩუკთა ურდოს.

ალგეთის მკერდს ამშვენებს საარაკო გმირობანი დავით ალმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელისა.

ალგეთის მკერდს ამახინჯებს მხარგრძელთა სამარცხვინო რენეგატობა მონღოლთა მბრძანელობის დროისა.

ალგეთის მკერდზე აღბეჭდილა დიდი მამულიშვილობა გიორგი ბრწყინვალისა, მონღოლთა უღლის დამამხობელისა.

ალგეთის მკერდს ესალბუნება გმირობა და მოწამებრივი აღსასრული ლუარსაბ დიდისა.

ალგეთის მკერდს შხამავს „მამულიშვილური ღალატი“ ყორღანაშვილისა.

ალგეთის მკერდზე კიანთობენ საოცარი გმირობანი სვიმონ დიდისა.

ალგეთის მკერდზე დაიბადა ლექსი-სიმღერა ქართველი კაცის მარადიული რწმენისა, იმედისა და უკვდავებისა — „კიდევაც დაიზრდებიან...“.

მაშ, ისევ ალგეთზე მოსულა მტერი, მარაბდის ველზე დაუბანაკებია და დაუსაძოვრებია.

1625 წელი, ივნისის უკანასკნელი დღე.

პაპანაქება სიცხე.

ორმოცდაათი ათასამდე მეომარს მოითვლის ყიზილბაშია ურდო.

ჯერ კიდევ არ სჩანს თავის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი...

. . . . . .

ქართველებიც მოსულან, წულ — ოცი ათასი კაცი.

კოჯრის მთაზე დგანან.

ახლა საომარ ბჭობად დამსხდარან წინამძღოლნი.

საერონი:

თეიმურაზ მეფე,

გიორგი სააკაძე,

ზურაბ არაგვის ერისთავი,

მისი ძმა დავით ერისთავი,

ბარათა ბარათაშვილი — მეწინავე სადროშოს, ქვემო ქართლის, სარდალი,

იასე ქსნის ერისთავი (სიძე გიორგი სააკაძისა),

თეიმურაზ მუხრან-ბატონი (ესეც სიძე გიორგი სააკაძისა),

ძმა მისი ქაიხოსრო მუხრან-ბატონი,

ალათგან ხერხეულიძე,

ბაადურ ციციშვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჯანდიერ-ასლანიშვილი — სახელოვანი გმირი კახეთისა,

მანუჩარ ათაბაგი (იგი თურქებთან შეტაკებისას უკუქცეულა, ახალციხიდან ახალდაბას გადმოსულა და, როგორც კი ყიზილბაშთა შემოსევის ამბავი შეუტყვია, მაშინვე სამასი მესხით წამოსულა მოძმეთა მოსაშველებლად).

სასულიერონი:

მროველი,

ალავერდელი,

რუსთველი,

ხარჭაშნელი.

თათბირად დამსხდარან სარდალნი — საერონი და სასულიერონი.

თუმცა ბევრი სათათბირო და საცილობელი რა უნდა ყოფილიყო! უმარტივესი ჭეშმარიტება გახლავთ: მცირე ჯარს რიცხვმრავალ მტერთან გაშლილ ველზე შერკინება უმრავლეს წილად მარცხს არგუნებს, ხოლო მთაგორიან ადგილებში შეტაკებისას დიდი ლაშქარი მთელის ძალებით ვერ გაიშლება და მისი მოპირდაპირე მცირერიცხოვანი ჯარი ბრძოლის მოგების მეტ შანსებს ინარჩუნებს. ამასთან, რაკი სიცხიანი ამინდები იდგა, ბუნებრივად უნდა ეფიქრათ, რომ პაპანაქებით გათანგულ მარაბდის ველზე მზის გულს შეზრდილი ერანელები უფრო ძალმოსილად იომებდნენ, ვიდრე „უფრო ჩრდილოელი“ ქართველები.

მაშ, ქართველები კოჯორ-ტაბახმელას მთებში უნდა დარჩენილიყვნენ და აქვე დალოდებოდნენ მტრის შემოტევას.

ეს სავსებით უბრალო, „შეუიარაღებელი თვალით“ დანახული, საღი და ნათელი მოსაზრება წარმოადგინა გიორგი სააკაძემ.

განსაკუთრებით, ქვეითად მოსული ჩვენი გლეხკაცობა ვერ გაუძლებს სიცხიან მინდორზე ერანულ მხედრობასთან რკენას და სულ ერთიანად დაგვეღუპებაო ამბობდა გიორგი.

ბაადურ ციციშვილმა მაშინვე აუბა მხარი მოურავის განაცხადს.

„სიცხით ცეცხლმოკიდებულ მიწაზე ქვეითად მბრძოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხობა მართლაც ამოგვიწყდება, ხოლო, თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველოც დაძაბუნდა“ — დაასკვნა ციციშვილმა.

მაგრამ გიორგი სააკაძე და ბაადურ ციციშვილი მარტო აღმოჩნდნენ თავიანთი „საღი აზრებით“.

ყველა დანარჩენმა სარდალმა შეტევაზე გადასვლა მოითხოვა — მომავალ დღეს, დილით ადრე, მარაბდის ველზე.

ზურაბ ერისთავმა თქვა: გიორგის რჩევა კარგია, მაგრამ ჩვენ რა ვიცით, რომ მტერი მაინცდამაინც აქეთ, ჩვენი საფარისკენ წამოვა და სხვა გზას არ აირჩევსო. ამიტომ სჯობია დავასწროთ და პირდაპირ დავეცეთ იქ, სადაც ახლა დგასო.

ბარათა ბარათაშვილმა თქვა: მტრის დაცდა და ლოდინი ჯარებს დაგვიშლის, ლაშქარი დაგვეფანტება; ისედაც ყიზილბაშთა მხედრობა ქვემო ქართლის მიწაზე დგას, საბარათიანოში, აქაურობას ავერანებს და ამას ჩვენ დიდხანს ველარ მოვითმენთ. ამიტომ ხვალ დილითვე უნდა დავეცეთ მტერსო (ბარათას „საკუთარი სატკივარიც“ სტკიოდა: მას ყაფლან ბარათაშვილის მამა-ბიძები ამოეწყვიტა და მათი მამულები მიეტაცნა. ყაფლანს ერანში გაესწრო და ახლა იგი ყიზილბაშთა ლაშქარს მოჰყოლოდა მეგზურად და თავისიანთა სისხლის საღვრელად).

ძმებმა თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონებმა თქვეს: დიდხანს დგომა არც ჩვენ შეგვიძლიაო. ამიტომ, თუ დაგიწყიათ ბრძოლა, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენის ლაშქრით ავიყრებით და სულ გაგეცლებითო!

იგივეს ამბობდა იასე ქსნის ერისთავი.

კახელმა სარდლებმაც თქვეს: თათრები ბარე ორჯერ გაგვილახავს და კიდევაც გავლახავთო; ამიტომ ხვალ სისხამზე დავიწყოთ, დილაგრილოზე ვიომოთ და სანამ ასიცხდებოდეს მანამ მოვრჩეთო.

ბოლოს მანუჩარ ათაბაგს სთხოვეს თათბირი მოწიწებით და მანუჩარმაც თქვა დინჯად: ბრძოლის საბრუნავს ბედისწერა და ღმერთი აბრუნებს, უმეტეს წილად მაინც ის მხარე გაიმარჯვებს, რომელიც ფიცხლავ, მოულოდნელად დაასწრებს დარტყმას! ამიტომ მეც ვფიქრობ, ხვალ უთენია დავესხათ მტერსო.

ჯარიც საომარი ცეცხლით ანთებულიყო. გამორჩევით, ახალგაზრდობა ველარ იჭერდა თავს. იარაღს აწვალებდნენ, „კბილებს იმსხვრევდნენ“ და გაიძახოდნენ: ჩვენ მტრის მოსვლას რად ველოდებით, ან სიმაგრეში ჩასაფრება ვის ეკადრება, თქვენ მიგვიძეხით და მივიშვით და, მეფის მზეს ვფიცავთ, დაგანახებთ ყიზილბაშთა სისხლისა და ცრემლის დენასო!

გადაწყდა: მთიდან დაშვება და გაშლილ ველზე ბრძოლის გამართვა.

ეს იყო პირველი შეცდომა.

გაუსწორებელი შეცდომა, რამეთუ გადაწყვიტეს სწორედ ის, რაიც სწყუროდა და ენატრებოდა თვითონ მტერს.

ახლა მთავარსარდლობის საკითხიც დადგა.

თეიმურაზ მეფეს არც სარდლის ნიჭი აკლდა და არც ჯარისკაცული შემმართებლობა, მაგრამ გიორგი სააკაძე — იმ-ჟამინდელი „უპირველესი გენერალი“ — იქ იყო და...

ერთი სიტყვით, ასე გადაწყვიტეს: მთავარსარდლობა მიანდვეს მეფე თეიმურაზს და არა გიორგი სააკაძეს.

ესეც მეორე შეცდომა.

გაუსწორებელი შეცდომა, რამეთუ ყიზილბაშებს თეიმურაზ მეფისა დიახაც ეფიქრებოდათ, მაგრამ გიორგი სააკაძისა პირდაპირ ცხოველური შიში და ძრწოლა ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, ქართველმა თავკაცებმა ყველაფერი ისე „გააწყვეს“, როგორადაც კარის ზღურბლზე ფეხმოდგმულ მტერს მოესურვებოდა და მოენატრებოდა.

. . . . . .

თეიმურაზ მეფემ წინასწარ მზვერავი რაზმი გაგზავნა დავით ჯანდიერისა და ალათგან ხერხეულიძის სარდლობით. ორივეს ყიზილბაშებთან ბრძოლაში თითო თვალი დაჰკარგვოდა — დავითსაც და ალათგანსაც. ჯარში ზოგს ეცინებოდა, ზოგსაც ეფიქრებოდა მეფის ამნაირი გადაწყვეტილება — ბრძოლის წინარე ჟამს რაღა მაინცდამაინც უთვალო სარდლები დანიშნა მტრის „სათვალთვალოდო“!..

ღამე მომძლავრდა.

უკანმოუბრუნებლად მიგორავდა 30 ივნისი 1625 წლისა.

ქართველთა ლაშქარი ზიარებად იდგა.

ეპისკოპოსნი — მროველი, ალავერდელი, რუსთველი, ხარჭაშნელი — და მრავალი მღვდელი და ბერი-ფიჩოსანი იარაღასხმული დამდგარიყო ერისკაც მამულიშვილთა გვერდით.

მეფე მიუახლოვდა რუისის ეპისკოპოსს — მროველს, დ ო მ ე ნ ტ ი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ს, და სთხოვა ზიარება და დალოცვა ჯარისა.

გიორგი სააკაძეს გაეხარდა, მისი თანამოაზრე და თანამოსაგრე ეპისკოპოსი რომ დალოცავდა და აზიარებდა ლაშქარს ბრძოლის წინ.

მროველმა მეფეს მდაბლად დაუკრა თავი, ჯვარისმტვირთველს ჯვარის გამოსვენება უბრძანა და თვითონაც წინ წამოვიდა იარაღასხმული.

ყველას ეუცხაურა საომრად შეჭურვილი სამღვდელოსაგან ზიარება.

თეიმურაზმა იგერშა საერთო „უხერხულობა“ და მაშინვე ეს უთხრა მროველს:

„უკეთუ აპირებ აღიღო ხმალი საბრძოლველად, მაშინ უბრძანე, რამეთუ გვაზიაროს სხვამან სამღვდელომან ხოლო უკეთუ ხმალს შემოიხსნი, გვირჩევნია შენ გვაზიარო“.

ან ერთი, ან მეორეო, ეუბნებოდა თეიმურაზი დომენტის, ან ბრძოლაში მონაწილეობაზე აიღე ხელი ან ზიარებაზეო.

მაგრამ მროველმა არც ერთის დათმობა მოისურვა, არც მეორისა. მან ჯერ თვალი მოავლო ყოველ სამღვდელოს, დიდსა და მცირეს მაღალდაბლობით — ეპისკოპოსიდან ვიდრე უბრალო მორჩილ-მოწესემდე.

ყველანი იარაღში ჩამსხდარიყვნენ მდუმარენი, ყოველ მათგანს მაზიარებელი მღვდელობა კი არა, ბრძოლის ველზე თავდადებული მამულიშვილობა აერჩია საკუთარი სიცოცხლის წილად.

სახეზე ნათელი დაეფინა მროველს. ხმლის ვადაზე ხელი დაიდო და ძლიერი, ზახიანი ხმით მიმართა ერსა და ბერს:

— ქართველნო, შვილნო და ძმანო! იცოდეთ ყველამ, — მე მახვილს ვიღებ არა ჩემი პირადული წადნიერების საკეთილდღეოდ, არამედ ჩვენი სამშობლო საქართველოს დასაცავად და მტერთა მისთა სისხლის საღვრელად. ამიტომ ჯერ არს სწორედ მე ვაზიარო ქართველი გმირნი და მამულიშვილნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ მათთან ერთად მეც მზადა ვარ დავათხიო საკუთარი სისხლი ქართველობისა და ქრისტიანობის გადასარჩენად!

აღტაცებამ მოიცვა ლაშქარი.

„მროველმა გვაზიაროსო!“ — იგრიალა ყველამ ერთბაშად.

აზიარა და დალოცა სალაშქროდ შემართული ქართული მხედრობა რუისელმა სულიერმა მამამ.

ჯვარ გადასახა — ჯვარით და ხმლით.

ყოველ ქართველს ზიარებად მისცა ქართული პური და ქართული ღვინო, ვითარცა ხორცი და სისხლი სამშობლო საქართველოსი.

დალოცა დროშა საქართველოსი, — ნაშთი-ნაფლეთი ერთ დროს ცისგვამში მძლავრად მქროლავი „გორგასლიან-დავითიან-თამარიანისა“.

მედროშე აღმოჩნდა მტრის საზვერავად წასული აღათგინ ხერხეულიძის ძმა.

ალამდარ ხერხეულიძეს კიდევ შვიდი ვაჟკაცი უდგა მხარმიჯრით.

ისინიც მისი ძმები აღმოჩნდნენ.

დედისგან ყოფილან დალოცვილნი და შეგონებულნი: საქართველოს დროშა არ დასცეთ ქართულ მიწაზეო; თუ მეწინავე მედროშე ხერხეულიძე მკვდარი დაეცეს, მომდევნო ძმამ აიტაცოს დროშა, თუ ამასაც ბედმა უმუხთლოს, მერე მესამემ... და ასე მანამ, სანამ უკანასკნელი ხერხეულიძე დაეცემოდესო. ამასობაში მტერიც ამოწყდება და ქართული დროშაც დაუხრელად იფრიალებს ქართული ცის ქვეშ!..

მაშ, ცხრა ძმა ხერხეულიძე გამოდის მამულისათვის სისხლის საღვრელად; სულ ერთია, ვისი სისხლიც დაიღვრება — ხერხეულიძეთა, თუ ხერხეულიძის მომტერე ყიზილბაშთა — ოღონდ კი საქართველო გადარჩეს!

ცხრა ძმა ხერხეულიძე!

იქ კიდევ ცხრა მაჩაბელი ჩამდგარა ერთიან, ჩაკირულ კედლად.

იქ კიდევ — შვიდი ჩოლოყაშვილი.

ღმერთო, ამრავლე — ცხრა-ცხრა, შვიდ-შვიდი, არანაკლები!..

. . . . . .

ღამე განზოგადდა.

კოჯრის მთებიდან ეშვება ქართველთა მხედრობა.

მიდიან „მხიარულად და თამამად“.

კახელთა რაზმებში ხუმრობენ ბიჭები: მივალთ, მივდივართ იქ, სადაც მაკე ფურები გველოდებიანო.

გზაზე ჯანდიერისა და ხერხეულიძის მზვერავებმა დახოცილი ყიზილბაშები შემოაგებეს. ისა-ხან ყორჩიბაშის მსტოვრები ყოფილან — ქართველთა დასაზვერად წამოსულნი. ქართველ მზვერავებს გადაჰყრიდნენ და ზედ შეჰკვდომოდნენ.

ჯანდიერი „იმუქრებოდა“: სადაცაა გათენდება და ისწრაფეთ, თორემ ჩვენ აღარც დაგელოდებით, ისე შევებმებით მტერსო.

ფეხი აიჩქარეს.

ფერდობი ჩაითავეს, მინდორში ფეხი ჩადგეს და ვარსკვლავებიც შეადნენ ზეცას.

გათენებულიყო 1 ივლისი 1625 წლისა.

დღე — სახელოვანი მ ა რ ა ბ დ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს ა.

სახელოვანი, თუ საბედისწერო?!

თუ ორივ ერთად — სახელოვანიც, საბედისწეროც?!.

ლამის გამსკდარიყო მოსარკული ცა.

უკვე ჩანავლებული ცისკრისვარსკვლავი უსაშველო სიცხით და ლულით ემუქრებოდა საომარ თალპიონს.

ამიტომ დროზე, მზის განზოგებამდე და გამძვინვარებამდე უნდა მოხდეს, რაც მოსახდენია!..

თეიმურაზმა ლაშქარი მოუმკალ ყანაში შეიყვანა და მცირე ხნით მუხლი ჩააკრეფინა.

მტრის ბანაკი გამოიკვეთა მოძალებული სინათლის ჩქერზე.

ხშირი, კუნაპეტი ტყე-მაღნარივით ჩაგუბებულიყო ყიზილბაშური ურდო.

— უჰ, რამდენი არიან?! — ამოიგმინა ვიღაცამ.

— ჰო, სიმრავლე გვარტომობით მოსდგამთ მაგ წყეულებს! — შეაგება მეორემ.

— ბევრი არიან? მერე რა მოხდა! მათ შორის არც ერთი არ არის თქვენისთანა ვაჟკაცი! — ეს სააკაძის ხმა უნდა ყოფილიყო.

. . . . . .

ეტყობოდა, ერანელთა სარდლობა დარწმუნებული ყოფილა, ბრძოლა ამ დღეს რომ მოხდებოდა, ქართველები რომ „ერანელთა სასურველს“ მოისურვებდნენ და საომრად სწორედ მარაბდის ველზე ჩამოვიდოდნენ.

ამიტომ საომრადაც დიდის გულმოდგინებით მომზადებულან.

სანგრები გაუთხრიათ.

სანგრებს უკან, მიწაყრილებზე — ზარბაზნები ჩაულაგებიათ.

ზარბაზნების შემდგომ—თორმეტი ათასი მეთოფე ჩარიგებულიყო ოთხ „ტერასად“: პირველი ტერასა — ცალ მუხლზე ჩაჩოქილნი, მეორე — ფეხზე მდგარნი, მესამე — ცხენებზე ამხედრებულნი, მეოთხე — კიდევ მაღლა, აქლემებზე აღმჯდარნი.

თოფიანი ათასეულების სარდლად იდგა ამირგუნე-ხანი, სიმამაცისთვის „სარუ ასლანად“ (ყვითელ ჯიქად) წოდებული.

ყიზილბაშური ურდოს შუაგულში რჩეული მხედრობით ჩამდგარიყო თვითონ მთავარსარდალი — ისა-ხან ყორჩიბაში.

დანარჩენი ჯარები ფლანგებზე იდგა ჩატბორილი და ჩაგუბებული.

მარჯვენა ფლანგის სარდლად — ხოსრო-მირზა, გათათრებული ქართველი, ხოლო მემარცხენე სარდლად — ყაზახ-ხან ჩერქეზი.

არსად ჩანს აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და მისი მხედრობა....

თეიმურაზ მეფემ ლაშქარი საომრად გაამზადა.

წინ ცხენოსნები დააყენა, უკან — ქვეითი ჯარი.

(არ ჩანს — რომელ სარდალს რომელი ადგილი ეჭირა).

. . . . . .

ომის ღმერთმა ხელში აიღო ბრძოლის სასწორი: ქართველთა პინაკზე — 20 000, სპარსელთა პინაკზე ჯერჯერობით — 50 000...

. . . . . .

შეტევა ქართველებმა დაიწყეს.

სათოფე მანძილამდე ნელი, წყობილი ნაბიჯით იარეს, სა-

თოფეზე ფარ-შუბი გაიმართეს და ჭენებით გაფრინდნენ გამ-
გელებულნი.

თორმეტი ათასმა სპარსულმა თოფმა და ზარბაზანმა გუგ-
გამგმირავი გრიალითა და მეხთა ტეხით ლამის ერთმანეთს შე-
ალეწა მიწა და ზეცა.

ნათოფარ-ნამეხარმა კვამლმა დააბნელა მტერთაშორისი
თვალსარბიელი.

წუთით შედედდა ქართველთა იერიში.

პირველი სისხლიც ქართული დაქცეულიყო მარაბდის ყა-
ნებში.

წუთში კვამლიც გათხელდა და ისევ მოსხლიტეს ცხენებ
ქართველებმა.

მძლავრი ყიჟინით ეკვეთნენ და შუბის ძგერებით შეანგრი-
ეს სპარსელთა მეწინავენი.

„და შეიქნა შუბთა ძგერება, ხმალთა და ლახტთა მუზარა-
დზედ ხეთქინება“.

ქართველთა ძლევამოსილებით დაქანდა ბრძოლის სასწო-
რი მეომარი ღვთაების ხელში.

ეტევებოდნენ ქართველები „ერთპირობით, გულსრულად,
ჯავრიანად“, „ჰხოცდნენ, ჰლეწავდნენ, ჩამოჰყრიდნენ“.

აბღავლდა, აღმუვლდა, აღრჭიალდა მარაბდის ველი.

„ქრისტე!.. და საქართველო!“

„ალლაჰ, ილალლაჰ!“

მზე შუბის ტარზე წამოვიდა, სისხლიანი შუბების სრო-
ლით.

ქართველებმა გაალმასებული ხმალთაკვეთებით სრულიად
აჰყაფეს „ყვითელი ჯიქის“ მეწინავე-მეთოფე ათასეულნი და
„გახურებული ხოცვით შეიჭრნენ ცხენოსანთა და აქლემოსან-
თა „ტერასებში“.

„ჰკა მაგას!.. დაჰკა!.. მიდი, მივეშვნეთ!.. ჩვენ გავიმარ-
ჯვებთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი! ქრისტე და საქართვე-
ლო!“

„ალლაჰ, ილალლაჰ!“

ამირგუნე-ხანის თორმეტი ათასი მეთოფე-მეომარი უკვე
აღარ იყო თორმეტი ათასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეცილიყო, დანგრეულიყო, დაფანტულიყო და გაქცეულიყო ყიზილბაშთა წინა ლაშქარი.

ამირგუნე-ხანს მიუხდა მანუჩარ ათაბაგი.

„ყაენის სიცოცხლეს გაფიცებ, იქნება მიცნო მანუჩარ ათაბაგი!“ — შეუძახა მესხთა მთავარმა.

დიახაც იცნობდა „ყვითელი ჯიქი“ თავის გაზრდილს.

ცხენდაცხენ ეკვეთნენ ერთურთს.

გამზრდელის ხმალი აისხლიტა გაზრდილმა.

თვითონ გადაჰკრა, „თავსა თაჯიანსა“ მანუჩარმა.

შვილს მამის მკლავი გამოჰყოლოდა (გაიხსენეთ წინასწრობილად მონათხრობი — როგორ გააპო თავიდან ჭიპამდე ხმლის დარტყმით თურქი მანუჩარის მამამ — მანუჩარ-მუსტაფამ)

და თავგაპობილი გადმოეშვა ცხენიდან „ყვითელი ჯიქი“.

მაინც აღმართა მეორედ ხმალი ათაბაგმა.

ქვევიდან დაასწრო ამოძახილი ძირს დაცემულმა:

„ნამაქაფარმო*, რისთვის მკლავ, აკი ჩემი გაზრდილი ხარ?!“

ხმალი დაუშვა მანუჩარმა.

ხელიც აღარ გაუნძრევია, როცა ყაჯარები წინ ჩამოუხტნენ და გაიტაცეს მძიმედ დაჭრილი თავისი სარდალი.

(მაინც მანუჩარ ათაბაგის დანაჭდევ ჭრილობას გადაჰყვა შემდგომ ამირგუნე-ხანი).

სდუღდა მარაბდის ველი — გმინავდა, ღმუოდა, ზმუოდა.

სუსტდებოდა „ალლაჰ, ილალლაჰ!“

მძლავრდებოდა „მიდი, დაჰკა, ჩვენთან არს ღმერთი და საქართველო!“

მისდევდნენ ქართველები გავეშებული ჩეხვით და კაფვით.

ყველა ლომ-გმირი შექმნილიყო — მეფეც, თავადიც, აზნაურიც, გლეხიც, ეპისკოპოსიც, მღვდელიც და ბერიც.

„ჩვენ გავიმარჯვეთ! მიდით, დაჰკარით! ჩვენთან არს ქრისტე და საქართველო!“

ზედიზედ ენარცხებოდნენ სისხლიან მიწას ლომის გერბიანი დროშები.

---

* ნამაქაფარმი — მარილ-ნაარმევი, უპურმარილო.

ამაყად ფრიალებდა ხერხეულიძის ხელით აღმართული ქართული დროშა — მაინც გორგასლიან-დავითიან-თამარიანი.

ყველა ქართველი ლომად ქცეულა, მაგრამ მაინც ისევ „სხვანაირია“ შემმართებლობა დიდი მოურავისა.

მუზარადი მოეხადა გიორგის. ასე „უჯობდა“, რამეთუ „მოურავბეგის“ მძვინვარე სახის ხილვით თავზარი დასცემოდათ „მის ნაცნობ“ ყიზილბაშებს.

იბრძოდა გიორგი სააკაძე.

წმინდანი შვილის ნაკოცნ-ნაკურთხი ხმლით იბრძოდა.

თითქოს ომის ღმერთი ჩამოსვეტილიყო ციდან მიწაზე.

იგი იყო ყველგან, სადაც მისი საარაკო ვაჟკაცობა საგანგებოდ ეჭირვებოდა მისიანებს.

ყიზილბაშთა სქელ რაზმებს არჩევდა სააკაძე. შეუტევდა და „მუხლჩაკეცილი ეშვებოდა“ სპარსული რაზმი.

თოფი ესროლა სპარსმა მხედარმა.

ყალყზე შეაგდო ცხენი გიორგიმ.

სულგავარდნილი დაეცა ცხენი.

წამსვე საკუთარი მოართვა გვერდით მბრძოლმა ლომი ჩრდილელმა.

ელვასავით მოევლო სააკაძე, ცხენის მკვლელს წამოეწია, ხმლით შუა გასჩეხა და მოკლულის ცხენი ლომი ჩრდილელს მიუმაგივრა.

დიდი სიმამაცით და სიკისკასით იბრძოდა „მეორე გმირი“ — ზურაბ არაგვის ერისთავი.

დაჭრილიყო ზურაბი, „შუბლზედ თოფსა გარდაეკრა“, მაგრამ მაინც არავის შეუსმინა და არ გავიდა ბრძოლის ველიდან.

ბღაოდა ღმუოდა, ზმუოდა, ზრიალებდა, ღრჭიალებდა მარაბდის ველი.

ქართველები ყიზილბაშთა შუაგულში შეიჭრნენ და ფლანგებისკენ გაიშალნენ ორმხრივ საიერიშოდ.

„მიდი, დაჰკარ! ჩვენ გავიმარჯვეთ, რამეთუ ჩვენთან არს ქრისტე და საქართველო!“

ყიზილბაშთა ვერც ერთმა ფლანგმა ვერც თავისიანთა შუაკერძზე მიშველება მოახერხა, ვერც ქართველთა გახელებული იერიშების შეკავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხენა ფლანგზე ყაზახ-ხან ჩერქეზი გულჩუკენად შეეგება ავთანდილ სააკაძისა და დავით ერისთავ-არაგველის თავდასხმას.

პირუტყვული შიშით ატანილი გაექცა ყაზახ ჩერქეზი ახალგაზრდა სააკაძის საომარ გაწვევას.

მისი შირვანული მხედრობაც თან მიჰყვა გაქცეულ სარდალს ცხვირ-პირის მტვრევით.

გამოედევნენ ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი თავისი ჯარით.

ბრძოლის ველიდან გადაიკარგნენ გაქცეულებიც და მდევრებიც.

ეს როგორ? ნაადრევად ხომ არ შესტოპეს ახალგაზრდა ქართველმა სარდლებმა?

ან პირდაპირ — საბედისწერო შეცდომა ხომ არ იყო ესოდენ ნასწრაფევად და ნაცუნცუხევად ცხენოსანთა დიდი ნაწილის ჩამოკვეთა ქართული მხედრობის მთავარი სხეულისაგან?!

ვაითუ...

მაგრამ... ყიზილბაშთა მარჯვენა ფლანგიც მოეხსნა ბრძოლას, ხოსრო-მირზას ფლანგი.

ვერ ისახელა თავი ისფაჰანის ტარუღამ, შაჰ აბასის „რჩეულმა გურჯმა“.

მაგრამ „ვერ ისახელა“ თუ „არ ისახელა“?

იქნება, არ გაიმეტა ქართველთა სისხლის დასაქცევად არც მკლავი და არც გული წავკისელი გლეხის ქალის ნაშობმა ვაჟკაცმა?!

მზე საშუადღეოსკენ მიილტვოდა ცეცხლოვანი ისრების სროლით.

სიცხით გაფატრული მზე მდუღარეს აფრქვევს დაბრიყვებულ დედამიწას.

მაგრამ მზე რაღად ენაღვლებათ „უკვე გამარჯვებულ“ ქართველებს!

აჰა, ყიზილბაშთა უკანასკნელი ძალაც — შუაკერძი — უკუაქციეს გავეშებული ხმალთაკვეთებით.

მთავარსარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა, „უაღრესად გულად და შემმართებელ მამაცთა მცირე რაზმით“, ღრმა ზურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გში გადაინაცვლა და მოიერიშე მტერს წინ დაუგდო ორდუ-ბაზარი.

ორდუბაზარი ყიზილბაშთა ქონების, საქონლისა და სიმ-დიდრის სათავსო სადგომი იყო.

და ერთბაშად დაეძგერნენ ქართველები მტრისგან დაგდებულ ყველაზე „ქონიან ნაჭერს“.

საკუთარი ხმლები შორს მოისროლეს — უქარქაშო ქარ-თული ხმლები, რომლებმაც აქამდე ძლევით მოიყვანეს თა-ვიანთი პატრონნი.

ხმლები ხელიდან გაუშვესო?!

ეს უკვე ბედისწერა იყო!..

მტრისგან დაუნჯებულ სიმდიდრეს დაერივნენ და თვი-თონაც აირივნენ.

იტაცებდნენ ყველაფერს „უცხოს“ და „საუცხოოს“ — ოქრო-ვერცხლით მოსევადებულ მურასა ხმლებს, ხანჯლებს, აკინაკებს, რახტსა და უნაგირს, თაჯსა და ჯიდას, ოქრონეჭ-სულ ხალათებსა და კაბა-ჯუბაჩას.

უპატრონოდ მიმოფანტული ეყარა უქარქაშო ქართული ხმლები.

ისინი აღარ სჭირდებოდათ „გამარჯვებულ“ და ალაფა-ლაში თავდავიწყებით ჩაფლულ პატრონებს.

ეს აღარ იყო აღარც ქართული ჯარი და აღარც ჯარი სა-ერთოდ.

თეიმურაზ მეფემ და გიორგი სააკაძემ ჯერ არ იცოდნენ, რა ამბავიც დაეტრიალებინა „ორდუბაზართან“ ქართველთა მანამდე გაუგონარ სიხარბესა და სიწუწკეს.

ისინიც — „სრულს გამარჯვებაში“ დარწმუნებულნი — უკან ჩამორჩენოდნენ ლაშქარს: ზურაბ ერისთავს წამდაუ-წუმ გული მისდიოდა ჭრილობიდან სისხლდამდინარეს, და იმას დასტრიალებდნენ მეფე და მოურავი.

მდულარე სისხლით გატენილი მზე დაეყუდა საშუადღეო-ზე.

და ერთბაშად, ანაზდაითად, სისხლით ნარწყულებ მარაბ-დის ველზე „მესამე ძალა“ შემოიჭრა გამძვინვარებით.

აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი მოჰქროდა ახა-ლი, ხელუხლებელი, საომარი ყიჟინით ანთებული დიდი მხე-დრობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთქარუნობდნენ ისლამიტური დროშების ფრიალით, საომარი ნაღარების, ბუკებისა და ზურნაიკების ზმუილით, დოლ-ბარბითების დაგადუგითა და გაბმული ყივილით:

„შაჰ გელდი! შაჰ გელდი! შაჰ გელდი!!!“

შაჰი მოდისო?!

წამოიშალნენ ქართველები.

მაგრამ გვიანღა იყო თავის აღებაც და ხელის გამოღებაც.

ძნელი ყოფილა ხელიდან გაშვებული, ნამსახური უქარქაშო ხმლის დაბრუნება!

ელვის სისწრაფით ბზრიალებდა ჩარხი ბედისწერისა.

ერთბაშად დაქანებულიყო ბრძოლის სასწორი ქართველთა ბედით.

სამი მხრიდან წამოემართნენ ყიზილბაშნი დელიბაშური გამძვინვარებით:

შუაკერძით — ისა-ხან ყორჩიბაშ,

მარჯვნით — შაჰბენდე-ხან,

მარცხნით — ხოსრო-მირზა.

სპარსელები მაშინ იწყებდნენ ბრძოლას, როცა იგი ქართველებს დამთავრებული ეგონათ.

„ალლაჰ, ილალლაჰ!!!“ — აზანზარდა მიწა და ზეცა.

„ქრისტე და საქართველო!“ — სისხლნაკლულად გაისმა სოდომგომორულ მეხთატეხაში.

ნაფლეთ-ნაფლეთი რაზმებით იბრძოდნენ ქართველები.

იბრძოდნენ მაინც საარაკო შემმართებლობით, გააფთრებით, თავდავიწყებით.

იბრძოდნენ თუნდაც ღირსეული სიკვდილისათვის.

ფეხი ცურავდა სისხლით ატალახებულ მიწაზე.

მკლავი იქანცებოდა.

მუხლი იკვეთებოდა.

მაჯა დუნდებოდა.

გული ძრწუნდებოდა.

„ჩვენ გავიმარჯვებთ! ალლაჰ, ილალლაჰ!“

ორი ცალთვალა დევგმირი დაეცა შორიდან ნაძგერალი გმურებით გულგანგმირულნი — დავით ჯანდიერი და აღათგან ხერხეულიძე.

მხურვალებით მუცელგაფატრული მზე თითქოს მდუღარე

სისხლს ასხამდა კაცთა სისხლით ნარწყულებ მარაბდის მიწას.

მკერდშელეწილი დაეცა თეიმურაზ მუხრან-ბატონი.

„თეიმურაზი მოჰკლეს! თეიმურაზი მოჰკლეს!“ — მეხივით დაურბინა ქართველობას საბედისწერო ძახილმა.

სწორედ „საბედისწერომ“, — რადგან ჯარს მოკლული ეგონა თეიმურაზ მეფე და არა თეიმურაზ მუხრან-ბატონი!

ხოლო ბევრისათვის მეფის სიკვდილი ომის დასასრულს ნიშნავდა.

სულ წარეკვეთა სასოება ისედაც ძალადაშრეტილ ჯარს.

ქართული ცხენოსანი ლაშქარი შემობრუნდა და გაიქცა.

ამაოდ ცდილობდნენ თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე, მანუჩარ ათაბაგი და ბაადურ ციციშვილი გამოქცეულთა შეკავებას.

ისევ არ ჩანდნენ ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი ადრე გაქცეულ სპარსელებზე მადევარი ჯარებით.

არადა, როგორ ეჭირვებოდა მათი მოსვლა ქართველობას!..

ქართული დროშა შექანდა ანაზდაითად.

ეს — მედროშე ხერხეულიძე დაცემულიყო მკვდარი.

მისმა ძმამ აიტაცა დროშა.

ისიც დაეცა განგმირული.

მესამე ძმამ მოუსწრო და ისევ აღმართა დროშა საქართველოსი...

იბრძოდა თავშიშველი და სისხლში მოსვრილი გიორგი სააკაძე. „იმდღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა“.

იბრძოდა მეფე თეიმურაზი, იბრძოდა, ვითარცა შვენოდა გმირ ხელმწიფეს, სარდალს და მხედარს. „მას დღესა ბატონმან თეიმურაზ დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და აღარა შემორჩომოდა რა და ბეჭდებიცა დაემტვრია“ მუშტის ძგერებით.

ისევ „დიდად მხნედ და ძლიერად ომობდნენ“ მანუჩარ ათაბაგი და „ყმანი მისნი“.

ტყვიით განგმირულნი დაეცნენ ეპისკოპოსნი — რუსთველი და ხარჭაშნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეცა ბაადურ ციციშვილი, რომელმან თქვა სიტყვა უკვდავი და მარად სახსოვარი: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა!“

და წყდებოდა „გლეხი კაცი“, — უკვე წყდებოდა მარაბდის ველზე მისი თანამემამულე „საზეპურო ერისაგან“ — თავადობისგან — ქვეითად დაგდებული და მიტოვებული.

კიდევ ზედიზედ დაცემულიყო სამი ხერხეულიძე, შორიდან ტყვიით დაცხრილულნი.

კიდევ სამი ძმა დარჩენილიყო ხერხეულიძის ნაშიერი.

იმიტომ ისევ ფრიალებდა ქართული დროშა.

უკანასკნელმა ცხენოსანმა ქართველმა თავდაზნაურობამ მიატოვა ბრძოლის ველი და კოჯრის მთას მიაშურა თავშესაფარად.

სულ მარტო დარჩა „წვრილი ერი“.

მაინც იბრძოდა გავეშებული გლეხკაცობა — მარადიული სიმტკიცე და სინდისი საქართველოსი.

იბრძოდა შეურცხვენელი, ღირსეული სიკვდილისათვის.

„ალაგ-ალაგ ერთგან შეგროვდნენ და სიდამდისინ დაიხოცებოდეს, თავი აღარ დაიზოგეს. ვისაც ხელი მიაწვდინეს, მოუკლავი არ გაუშვეს...“.

მზე ჩაესვენა დაქანცული, ჯანდაკარგული.

მაინც ფრიალებდა ქართული დროშა უკანასკნელი ხერხეულიძის ხელით ზეაღმართული და სისხლდადენილ გლეხთა მცირე გუნდით შემოსალტული.

მეთოფეთა ათასეული შემოუსია ყოველის მხრიდან ყიზილბაშთა მთავარსარდალმა.

დაიგრიალა ათასმა თოფმა.

უკანასკნელმა ნამეხარ-ნახმევმა შეაზანზარა მარაბდის ზეცა.

უკანასკნელი მამულიშვილნი დაენარცხნენ მარაბდის მიწას.

უკანასკნელი ხერხეულიძის დალეწილ მკერდზე დაცემულიყო ნაშთი-ნაფლეთი ერთ დროს ცისგვამში მძლავრად მჭროლავი „გორგასლიან-დავითიან-თამარიანისა“.

ასე აღესრულა კიდევ ერთი სისხლიანი ზორვა ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა-წყლის საკურთხეველზე. აღესრულა უგანაჩენო მარცხისა და უბადლო გმირობის აპოთეოზით.

ღამის წყვდიადში ჩაიძირა ადამიანის გვამებით დარეცილი საომარი თალპიონი.

მთელი ღამე გმინავდა მარაბდის ველი.

დილით ახალმა მზემ პირველმა აღითვალა ადამიანთა ურთიერთნამსხვერპლარი.

24 000 მკვდარი ესვენა მარაბდის ველზე: 14 000 ერანელი და 10 000 ქართველი.

მზის თვალმა საგულდაგულოდ მოითვალისა:

ცხრა ძმა ხერხეულიძე,

ცხრა მაჩაბელი,

შვიდი ჩოლოყაშვილი.

. . . . . .

გლოვისფერი კაბით მოსილი ქალი მიადგა უკანასკნელ მამულიშვილთა გვამების გროვას.

დაიჩოქა.

დაემხო.

დალეწილი მკერდი დაუკოცნა ხერხეულიძეს.

და ისევ აღმართა ცხრა ქართველი მამულიშვილის დედამ შვილის მკერდზე დაფენილი ქართული დროშა.

„მიისოგას" — არაგვი, „მოისოგას" — ქსანი

ქვა არსად არის ქართლშია,
რომ ჩემი სისხლი არ სცხია.

გიორგი სააკაძე

მარაბდის ველზე განცდილმა მარცხმა დამარცხება არ არგუნა ქართველებს.

მარაბდის ველზე აღებულმა გამარჯვებამ გამარჯვება არ არგუნა სპარსელებს.

ომი გრძელდებოდა.

საბედისწერო ბრძოლის მეორე დღესვე მოპირდაპირენი კოჯორტაბახმელას ტყეებსა და ხევხუვებში შეებნენ ერთურთს.

სპარსელები შიდა ქართლისკენ აპირებდნენ გაჭრას.

გიორგი სააკაძეს ჯარი მცირე რაზმებად დაეყო და „პარტიზანულ ომს“ შესდგომოდა.

ათი დღე-ღამე აკავებდნენ ქართველი მეომრები კოჯრის წკვარამებში შემოწოლილ ყიზილბაშობას.

ამასობაში ქართლის მოსახლეობა სიმაგრეებსა და სახიზარებში აფარებდა თავს.

გათამამდა ტფილისის ციხეში ჩაკეტილი ციხიონი. შვიდასი ყიზილბაში გამოვიდა და სათარეშოდ შეესია ახლომახლო სოფლებს. ლისი აიკლეს საგანგებოდ — სააკაძის საუფლო სოფელი.

სამოცი მეომრით მოიჭრა გიორგი სააკაძე. მოიჭრა და შვიდასივე ყიზილბაშის თავი ისე დააგორა, არც ართ საკუთარს განაკაწრიც არ მიუღია.

ისა-ხან ყორჩიბაშს საქართველოში გამოლაშქრების წინ შაჰ აბასისგან ნაბრძანები ჰქონდა, არშის ციხიდან როგორმე გამოეხსნა მისი ცოლისძმა და სიძე ანდუყაფარ ამილახორი ცოლშვილიანად.

ანდუყაფარის მეუღლე ყორჩიბაშის ასული იყო და სპარსთა მთავარსარდალი საგანგებოდ მოიწადინებდა არშის ციხის ტყვეთა გამოხსნას.

ყორჩიბაშმა თერგის ხეობისკენ სალაშქროდ თორმეტი ათასი ყიზილბაშ-ყაჯარი აარჩია და მეთაურებად სამი სარდალი უჩინა; შაჰბენდეხანი, ყაზან-ხანი ჩერქეზი და ხოსრო-მირზა.

წინასწარ ანკესი ისროლა ყორჩიბაშმა, — ვინ იცის, იქნებ მოედოსო და ზურაბ ერისთავს შეუთვალა: შენც კარგად იცი, როგორ უყვარს შაჰ აბასს თავისი შვილიშვილი, რომელიც ცოლად ჰყავს მისსავე საყვარელ ცოლისძმას ანდუყაფარ ამილახორს; ახლა, ანდუყაფარი და მისი ცოლ-შვილი რომ არშის ციხეში ჩაგიკეტავთ, მე შაჰის ბრძანება მაქვს ტყვეები გამოვიხსნა, რადაც უნდა დამიჯდეს. არშისკენ მიმავალი გზა

შენს საერისთაოზე გადის, არაგვის ხეობაზე. რაც იყო, იყო, დავივიწყოთ, ერთმანეთში სისხლს ნულარ დავღვრით, გზა მომეცი და ერთმანეთსაც შევფიცოთ — არც ჩემი ჯარი ავნებს რაიმეს შენს სამფლობელოს, ნურც შენი ხალხი შეეცდება ჩემიანების სისხლის დაქცევასო.

ზურაბ ერისთავის გულში ორი ქმნილება ბუდობდა — ლომი და მატლი. პირველს გმირი ერქვა, მეორეს — პატივმოყვარეობა.

ხშირად, ძალიან ხშირად სჩაგრავდა მატლი ლომს.

ახლაც დაავიწყდა ფასი საკუთარი გმირობისა და მამულიშვილობისა მარტყოფისა და მარაბდის გმირს. დაავიწყდა და მისცა გზა საარაგვოზე საქართველოს მოსისხლეებს. მხოლოდ ერთი პირობით გამოიჩინა ზურაბ ერისთავმა თავისი „უპირატესობა“ ყორჩიბაშთან შეთანხმებისას: სპარსთა ლაშქარი არაგვის ხეობას აივლიდა, მაგრამ „მოის“ (უკან დაბრუნებისას), ქსნის ხეობაზე ჩამოივლიდა.

გასაგები იყო: არაგვის ხეობა „ყოველ შემთხვევაში“ მოსალოდნელი ყიზილბაშური დარბევისაგან გადარჩებოდა, ხოლო ქსნის ხეობა... რა ზურაბის სანაღვლო იყო! ქსნის ხეობაზე ქსნის ერისთავმა იზრუნოს!.. ის კი არა და, ზურაბისათვის უმჯობესიც გახლავთ, ქსნის ხეობის ამოგდებით ყიზილბაშები ქსნის ერისთავს თუ დაასუსტებენ!

აი, ასეთი გახლავთ „სიბრძნე“ ჭეშმარიტი ფეოდალისა...

მაშ, ასე შეთანხმდნენ ისა-ხან ყორჩიბაში და ზურაბ ერისთავი: „მიის“ („მიისობას“ — წასვლისას) — არაგვი და „მოის“ („მოისობას“ — წამოსვლისას) — ქსანი.

მაგრამ არ ეძინა გიორგი სააკაძეს. წიწამურისა და ღართისკარის ხევები ჩახერგა, თავისი „პარტიზანები“ ჩააყენა და არაგვისაკენ წამოსულ სპარსულ მხედრობას წინ გადაუდგა.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა.

ქართველებმა ათჯერ უმრავლესი მტერი ველარ შეიმაგრეს. გიორგიმ წეროვანისკენ დაიხია და ყიზილბაშურმა მხედრობამ საარაგვოს გააღწია.

არშამდე უვნებლად და არხეინად იარეს.

არშის ციხეს და მასში ჩაკეტილ ამილახვრიანთ სახლობას მცირე ციხიონი იცავდა. მაშინვე შეთანხმდნენ მიმხდურ-

ნი და დამხვდურნი: მეციხოვნეებმა ტყვეები გასცეს და სამაგიეროდ ციხესიმაგრე ხელუხლებლად დაინარჩუნეს.

წამოიყვანეს ანდუყაფარ ამილახორი და მისი ჯალაბი.

პირობისამებრ, სპარსელებმა საარაგვოზე ხელი აიღეს, ლომისის მთა გადმოლახეს და ქსნის ხეობაზე ჩამოეშვნენ.

დიდი სისხლისთხევა ელოდა ქსანს.

გიორგი სააკაძე სწორედ ქსანზე დამდგარიყო სამხრეთისაკენ მომავალი მტრის დასახვედრად.

იასე ქსნის ერისთავი და ქაიხოსრო მუხრან-ბატონიც შეერთებოდნენ სააკაძეს თავ-თავის ჯარით.

მტრის ზურგზე საიერიშოდ უმცროსი ცოლისძმები — დავითი და გიორგი გაემზადებინა მოურავს (ზურაბ ერისთავს „ხელები დაებანა“ — ჩემმა ძმებმა როგორც უნდათ ისე ჰქმნანო! გულს სინანულიც შეჰპარვია ლომისა და მატლის პატრონს, — ნეტავ ცუდად ხომ არ მოვიქეცი, სპარსელები რომ შემოვუშვი საარაგვოშიო?!).

შუაში მოიქცეს ქართველებმა სპარსთა მხედრობა.

მოიქცეს „და ამოწყვიტეს ისე, რომე იმისთანა გამარჯვება არა თქმულ არს. მოსრეს ესრეთ, რომე ქსანი შეიღება სისხლითა და სისხლის ფერად დიოდა“.

სააკაძემ ხუთი კონა ისარი შემოიხარჯა და მერე ხმლით დაერია ყიზილბაშებს.

შაჰბენდე-ხანი ტყვედ აიყვანეს ქართველებმა, — აზერბაიჯანის ბეგლარბეგი, რომელმაც ქართველთა მარცხით გადასწონა მარაბდის საბედისწერო ბრძოლის სასწორი.

გახელებულმა ქართულმა ხმალმა ასჩეხა ქართველთა სისხლის დამაქცევარი.

ყიზილბაშთა მეორე სარდალმა — შირვანის ბეგლარბეგმა ყაზახ-ხან ჩერქეზმა უკან, ისევ ჩრდილოეთისკენ დააპირა გაქცევა, მაგრამ აქ დავით და გიორგი ერისთავების მეომრებმა შეიპყრეს იგი.

(ყაზახ-ხან ჩერქეზი ცოცხლად მიჰგვარეს ჯერ ზურაბ ერისთავს, მერე თეიმურაზ მეფეს. არც ერთმა არ გაიმეტა სასიკვდილოდ, რადგან ორიკეს პურ-მარილი ჰქონია მიღებული შირვანის ბეგლარბეგისგან, და მანამდე ჰყავდათ ყაზახ-

ხანი ცოცხლად დატყვევებული, სანამ ტყვემ მცველები არ მოისყიდა და თავს გაქცევით არ უშველა).

გიორგი სააკაძის პირდაპირ სპარსთა მესამე სარდალი აღიმართა — ხოსრო-მირზა, თვითონ გიორგისგან შაჰ-აბასის კარზე აღზევებული ტარუღა ისფაჰანისა.

მარაბდის ველზე ვერ გამოჩნდა (თუ „არა გამოჩნდა") ხოსრო-მირზა, ხოლო ახლა...

ახლა სასტიკი ხმალთაკვეთებით შემოუტია „თათარმა ქართველმა" ქრისტიან თანამოძმეებს.

ეს მესამე დღე გრძელდებოდა ბრძოლა.

ქსანი სავსებით „იქმნა, ვითარცა სისხლი".

თორმეტი ათასი სპარსელისგან ერთი ათასეულიც აღარ იდგა ფეხზე.

მაგრამ მაინც იბრძოდა „მხეცქმნილი" ხოსრო-მირზა, თათრულად განათლული გურჯი მხედარი, ქართულ-მეფურ და ქართულ-გლეხურ სისხლთა ნაჯვარი.

მიმწუხრის ჟამს გამოარღვია ხოსრო-მირზამ სააკაძის სალტე.

ამილახვრიანთ ოჯახი გამოიტაცა და გაქუსლა.

თითქოს კიდევაც გაუხარდა გიორგი სააკაძეს, რომ „მისმა გაზრდილმა" ხოსრო-მირზამ იმ დღეს მასზე „არანაკლები" გმირობა ჩაიდინა.

მთელი ღამის ლაგამახსნილი ჭენების შემდგომ ხოსრო-მირზა ტფილისს მივარდა და ყორჩიბაშს საღსალამათად ჩააბარა ანდუყაფარ ამილახორი და მისი ცოლ-შვილი.

დიდი სიხარული ჰქონდა ყორჩიბაშს: შაჰ აბასის ბრძანებაც აღასრულა და თავისი ასულიც ქმარშვილიანად დაიხსნა სამარცხვინო ტყვეობისაგან.

მთელი ღამის ლაგამახსნილი ჭენების შემდგომ ხოსრო-მიდალს: თორმეტიათასიანი ყიზილბაშური მხედრობა ქართველთა ხელით ქსნის ხეობაში ჩაწყდა და ჩაიხლიწა. უამრავი საომარი საჭურველი, ტყვეები, ცხენები და საქონელი სააკაძის მეომრებმა დაინადავლეს.

მარაბდის სისხლი და ბოლმა ქართველებმა გადაჭარბებით აიღეს და ამოიგეს.

ორი კვირა არ დაიწმინდა ქსანის წყალმა წითელი ფერი,

. . . . . .

უცნაური ის იყო, რომ არაგვსა და ქსანზე ყიზილბაშთა „მიის-მოისობის“ დროს თეიმურაზი არსად გამოჩენილა, — არც მეფედ, არც სარდლად და არც ჯარისკაცად.

არც გიორგი სააკაძეს „შეუწუხებია“ იგი — მაინცდამაინც გამოდი, გვიმეფე, გვისარდლე და გვიპატრონეო.

. . . . . .

ისა-ხან ყორჩიბაშს ბრძოლის ველზე გამოსვლა და ქართველებთან იარაღით შერკინება უკვე აღარ შეეძლო, ისევ „ციხის შიგნიდან გატეხვით“ შეეცადა სპარსთა მთავარსარდალი ქართლ-კახეთის მთლიანობისა და სიმტკიცის დაშლას. ისევ გაუმართლა საქართველოს მტერს ამ „ნაცადმა გზამ“. ისევ დაეხარბნენ ქართლის თავადები სპარსულ ხალათებსა და „სახელოებს“. ყველას დაასწრო ღალატი ბოქაულთუხუცესმა ქაიხოსრო ბარათაშვილმა, რომელიც მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებში სააკაძის საომარი დროშის ქვეშ იქნევდა ხმალს. ქაიხოსრომ ყიზილბაშებს მიართვა ქვემო ქართლის უმტკიცესი ციხესიმაგრე ბირთვისი. სამაგიეროდ ყორჩიბაშმა ქვემო ქართლის სპასალარობა (რომელიც მანამდე ბარათა ბარათაშვილს ეკუთვნოდა) უკვე გათათრებულ ქაიხოსრო ბარათაშვილს უბოძა. მომდევნო 1626 წელს სპარსელებმა ტფილისის მოურავობაც ქაიხოსროს ჩააბარეს.

ზოგმა სამღვდელომაც უღალატა ქრისტეს რჯულსა და ქართველობას.

ისევ სამხრეთ საქართველოდან სჭარბობდნენ მოღალატენი.

გიორგი სააკაძემ გადაწყვიტა სწორედ სამხრეთიდან დაერტყა სპარსელებისთვის და სამცხისკენ გაქუსლა ცოლ-შვილითა და ერთგული მამულიშვილების თანხლებით.

სამცხეს წასვლის წინ სააკაძემ ძლიერად გაამაგრა ქართლის ციხენი — კეხვი, კიკანათბერი, ალი და სურამი.

გიორგი სააკაძე რომ ქართლიდან გასულად დაიგულა, ქართველთა ტყვეობიდან თავდახსნილმა ანდუყაფარ ამილახორმაც მოინდომა „გმირობის ჩადენა“. იგი შეუთანხმდა იასე ქსნის ერისთავს და მისი თანადგომით თავს დაესხა თავად ღ ა ზ ნ ე ლ ს, რომელსაც იგი მისი დატყვევების მთავარ დამნაშა-

ვედ სთვლიდა. ლაზნელი ააწიოკეს და მისი ქონებაც გაიყვეს ანდუყაფარმა და იასემ. მერე მცხეთის დეკანოზს მიუხდა ანდუყაფარ ამილახორი, ტაძარი გაუძარცვა და მუქარა დაუბარა, — შენს ადგილზე ტფილისიდან მოლა-მუეძინს გამოვაგზავნიო.

მართლაც არჩევდა ანდუყაფარი მოლას მცხეთის დეკანოზის სამაგივროდ, მაგრამ ამ რჩევაში რომ იყო, ნარიყალას ციხიდან ფეხი დაუცდა, გადმოვარდა და მიწამდე სულიც აღარ დაჰყოლია.

იმავე 1625 წელს ისა-ხან ყორჩიბაშმა ტფილისში სვიმონ-ხანი „დააგდო“ და თვითონ ანდუყაფარ ამილახორის დაქვრივებული ოჯახითა და ამოწყვეტილ-გაჩანაგებული ჯარის ნაფლეთებით საქართველოდან წავიდა.

შაჰის ბრძანებით ყორჩიბაში ყარაბაღში დაბანაკდა. აქედან მას ისევ უნდა ებრძოლა გიორგი სააკაძის წინააღმდეგ და როგორმე შეენარჩუნებია სამცხის ციხესიმაგრენი, რომლებიც წინა 1624 წელს ერანელებს დაუჭერიათ.

ტფილისში „დაგდებული“ სვიმონ-ხანი ისევ „ტყუილ-მეფე“ იყო და სხვა არაფერი. ქართველთა შიშით იგი „ვერ გამოვიდოდა ციხიდამე და ვერცა პატრონობდა ქართლსა“.

. . . . . .

დიდი, სანიშანსვეტო წელიწადი შეიქნა 1625 წელი.

სრულიად სპარსეთის ლაშქარი იმჟამად 120 000 მეომარს მოითვლიდა და აქედან ნახევარი — 60 000 მეომარი საქართველოში დაჰკარგა შაჰ აბასმა. მერე, ეს „სპარსული ტრაგედია ქართულ სცენაზე“ ნახევარი წელიწადიც არ გაგრძელებულა.

სპარსეთი დამარცხდა.

საქართველო ისევ ქართველებს ეკუთვნოდა.

ჭეშმარიტად ლომი ყოფილა შაჰ აბასი, რამეთუ გასაოცარი მოთმინებითა და მოჭირვებით მიიღო დარტყმა სამივე მეხისა — მარტყოფი, მარაბდა, ქსანი.

როცა ქსანზე გამართული ხოცვა-ჟლეტის ამბავი დაწვრილებით შეატყობინეს, მხოლოდ ეს თქვა შაჰმა: ნამდვილი გმირი და ვაჟკაცი მარტო ხოსრო-მირზა ყოფილაო.

ხოლო როცა ხოსრო-მირზაც მოვიდა და ანდუყაფარ ამი-

ლახორის ოჯახიც მოჰგვარა, შაჰმა მაშინვე ბრძანა: დღეიდან ჩემი ყულარაღასი ხოსრო-მირზა იქნებაო.

„კი, მაგრამ ხოსრო-მირზა ხომ ისფაჰანის ტარუღა გახლავთ?“

„ორივე იქნება — ისფაჰანის ტარუღაც და ღულამთა ჯარის ყულარაღასიც!“ — დაბეჭდა შაჰმა.

ამ „უცნაური გადაწყვეტილების“ შემდეგ შაჰ აბასი გილანს წავიდა „წმინდან წინაპართა“ საფლავებზე სალოცავად, საცრემლავად, „ქართული ბოღმის“ მოსაოხებლად და გასაქარვებლად.

იმ დღეებში კიდევ ერთი საწყენი ამბავი შეატყობინეს შაჰ აბასს: დარუბანდის ვილაიეთის ბეგლარბეგი მომკვდარიყო — ი ო თ ა მ-ს უ ლ თ ა ნ ქ ა რ თ ვ ე ლ ი, შაჰის აღზრდილი ღულამი, ჯერ კიდევ „გაუფურჩქვნელი ჭაბუკი“.

მაინც შეწუხდა ქართველებზე გამწარებული შაჰი.

მაინც ქართველი დანიშნა დარუბანდის ბეგლარბეგად — მამაცი და ნიჭიერი ღულამი — ფ ე რ ო ხ-ს უ ლ თ ა ნ ი.

ხოლო გიორგი სააკაძე სამცხეს მიდიოდა. თან მიჰყვებოდნენ — გერმანოზ ბარათაშვილი, გიორგი ქავთარიშვილ-ბარათაშვილი, როსიტა გედევანიძე, დემეტრე საგინაშვილი, მათარსი შიხაიდრისძე და პაპუნა ვაშაყაშვილი,

სამცხეში ხალხი უნდა აეჯანყებინა და ყიზილბაშები განედევნა გიორგი სააკაძეს.

ფიქრები მესხურ გზაჯვარედინზე

მარაბდის ბრძოლიდან დაბრუნებულ მანუჩარ ათაბაგს სამცხეში ფრიად საშფოთარი ამბავი დაახვედრეს. თურმე მანუჩარის ბიძა, ბ ე ქ ა სტამბოლს ბრძანებულა და ხონთქართან „რაღაც მოლაპარაკება“ ჰქონია.

ბექა თავის ძმისწულს ათაბაგობის „ტახტს“ ეცილებოდა და ამისთვის სტამბოლის კარს ელაციცებოდა.

მანუჩარი ქრისტიანობისა და ქართველობის თავგამოდე-

ბული დამცველი იყო გათათრების უფსკრულს გადაჩეხილ სამცხეში, ხოლო ბექა უკვე ღალატისა და რენეგატობის გზაზე იყო შემდგარი. ამიტომ ბიძას „დიდი შანსები“ ჰქონდა ძმისწულისათვის ათაბაგობის წართმევისა...

მანუჩარმა გადაწყვიტა ხონთქარს პირადად სწვეოდა და ბიძამისის „ნავერაგალი“ სტამბოლის კარზედვე გაებათილებინა.

ამიტომ, როცა გიორგი სააკაძე სამცხეს ჩავიდა (1626 წლის ზაფხულის დამლევს), იქ მანუჩარ ათაბაგი არ დახვედრია.

სამაგიეროდ მესხი მამულიშვილები შემოეგებნენ დიდის ამბით სახელოვან გმირს.

სააკაძეს ჯარებით ეახლნენ; თ ა ნ უ ნ ა დ ი ა ს ა მ ი ძ ე, დ ა ვ ი თ გ ო გ ო რ ი შ ვ ი ლ ი, რ ო ს ტ ო მ შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ე ლ ი ზ ბ ა რ და ბ ე ჟ ა ნ თ ა ქ თ ი რ ი ძ ე ნ ი.

გაჩაღდა სამამულო ომი მესხეთში.

სააკაძემ სამცხელთა თანადგომით ზედიზედ აიღო ხერთვისი, აწყური, ფარავანი და იქიდან გარეკა ყიზილბაშთა ციხიონები.

ახალციხისკენ გაემართა სააკაძე.

ახალციხეში ერანელი სარდალი ს ე ლ ი მ-ხ ა ნ ი იდგა ძლიერი ციხიონით. სააკაძის მოახლოება რომ გაიგო, სელიმ-ხანი ჯარიანად აიყარა და ყორჩიბაშთან გაიქცა ყარაბაღში.

სააკაძე ახალციხეში შევიდა.

ყორჩიბაშმა სასწრაფოდ ჯარი გამოგზავნა სამცხის დასარბევად და სააკაძის გასანადგურებლად.

მოურავი სანადიროდ გასულიყო და თავის თვალით ეხილა, როგორ გაივსო საფარისა და ასპინძის მიდამოები ყიზილბაშური მხედრობით.

ჩაუხტა სააკაძე „მცირედითა კაცითა“ რიცხვმრავალ მტერს. ჩაუხტა და ეკვეთა გალომებული. „ეკვეთა და აოტნა ყიზილბაშნი და მოსწყვიდნა იგინი“. სპარსთაგან მცირეოდენმა გაასწრო სიკვდილს.

ახლა საკითხი დაისვა ყიზილბაშთაგან გათავისუფლებული სამცხისათვის „ადგილის მიჩენაზე“. ბუნებრივად იგულისხმებოდა, რომ სამცხე „გაერთიანებულ ქართლ-კახეთს“

უნდა შეერთებოდა. აკი თვითონ გიორგი სააკაძის ყველაზე დიდი მამულიშვილური განაზრახიც ეს იყო — გაერთიანება „ყოველი საქართველოსი“. გიორგი სააკაძემ გააერთიანა ქართლ-კახეთი და „ორივე საქართველოს“ ერთი ტახტი დაუდგა და ზედაც ერთი მეფე დაუსვა — თეიმურაზი. ბუნებრივია, რომ ახლაც იგივე გიორგი სააკაძე მისგანვე დახსნილ სამცხესაც ქართლ-კახეთის ერთიან ტახტს შეუერთებს და მის ერთხელმწიფეს — თეიმურაზ მეფეს დაუმორჩილებს.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

სააკაძემ სამცხეში ქართველი მეფე კი არა, ოსმალეთის სულთანი მოიწვია!

რა მოხდა?!

ნუთუ ხელი აიღო სააკაძემ საქართველოს გაერთიანების დიად განზრახვაზე? ან იქნებ დიდ ქართველს მესხეთი არ სტკიოდა ისეთივე „ქართული ტკივილით“, როგორც ქართლი და კახეთი? ნუთუ სააკაძეს არ ესმოდა ის „სასმინარი“, რაიც ისე ნათლად ჰქონდა შეგნებული ყოველ მაშინდელ ქართველს: „ალია (სპარსი) და ოსმანა (თურქი) ორივე თათარია — ერთი ბაბრი და მეორე ფოცხვერი“ და სამცხესაც არაფერი ეშველებოდა, თუ ბაბრის კლანჭებიდან დაიხსნიდი და სამაგიეროდ ფოცხვერის კლანჭებში ჩააგდებდი?!

მალე დადასტურდება, რომ სააკაძეს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაზე ხელი არ აუღია. მაგრამ თეიმურაზი — ქართლ-კახეთის „ერთიანი მეფე“ — სამცხის პატრონად მაინც არ მოიწვია. იქნებ თეიმურაზმა „ვერ გაუმართლა“ სააკაძეს. იქნებ თეიმურაზი ისე „დაპატარავდა“ მღურავის თვალში, რომ მას ქართლ-კახეთის მეფე უკვე აღარ მიაჩნდა ერთიანი „ყოველი საქართველოს“ ღირსეულ გვირგვინოსნად?!

სააკაძე უეჭველად იმასაც კარგად დაინახავდა, რომ ბაგრატიონთა აწ რძეგამშრალ და გაბერწებულ სამეფო საგვარეულოს თეიმურაზზე „უკეთესიც“ აღარავინ მოეძებებოდა.

მერე, ყოველივე ეს ღირდა იმად, რომ საქართველოში ერთი თათრის (ალია) ნაცვლად მეორე თათარი (ოსმანა) მოწვეულიყო?!

ან საერთოდ იყო საჭირო და აუცილებელი იმჟამინდელ საქართველოში „ვინმეს მოწვევა“?!

აკი უფრო ძნელბედობის ჟამს აღმოაჩნდა საქართველოს საკუთარი ძალები, რათა უსაშინლესი მოსისხლისთვის და მთელი ქვეყნიერებისთვის დაემტკიცებინა თავისი „საოცარი ძალმოსილება“, ვითარცა უტყუარი დასაბუთება მისი მარადიული უძლეველობისა და უკვდავებისა.

განა, მარტყოფი, მარაბდა, ქსანი და კიდევ მრავალი „პარტიზანული წიალსვლა“ — თ ვ ი თ ო ნ საკაძის მძლავრი ხელებით დაწნული გვირგვინები — სამაგალითოდ არ კმაროდა თ ვ ი თ ო ნ საკაძისთვის?!

განა, საქართველო დღეს უფრო მძლავრი არ არის, ვიდრე გუშინ — მარტყოფის „საკაძურ გმირობამდე“?!

მაშ, რა მოხდა და რატომ აიჩემა მარტყოფის, მარაბდის, ქსნისა და ასპინძის გმირობათა კავალერმა ისევ თათრის მოყვანა „საქართველოს გასაერთიანებლად“?!

ანდა, შეიძლება, საერთოდ, უცხო მომტერე და მოსისხლე ძალის საშუალებით საკუთარი ქვეყნის გაერთიანება და გამძლავრება?! მოხერხდება, საერთოდ, უცხო გადამთიელის ხელით მშობლიურ კერაზე ცეცხლის დანთება, როცა იმ ხელის პატრონი დღენიადაგ შენი კერის დაქცევაზე ოცნებობს?!

აკი ჰყავდა გიორგი საკაძეს წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ი, ასე უცხო, მ ი ს ი ქ ვ ე ყ ნ ი ს მოსისხლე მტრის საშუალებით რომ აპირებდა მ ი ს ი ქ ვ ე ყ ნ ი ს „დახსნასა“ და „გაერთიანებას“.

და გიორგი საკაძის ეს წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ი იყო თ ვ ი თ ო ნ გიორგი საკაძე!

აკი სწორედ გიორგი საკაძემ მოინდომა საქართველოს მოსისხლე სპარსული ძალებით საქართველოს „დახსნა“, „გაერთიანება“ და „გამძლავრება“!

მერე, რა გამოვიდა აქედან?

ნახევარი მილიონი ქართველის დაღუპვა და სხვა არაფერი!

და მერე ისევ საკაძის მეთაურობით ძლივს მოხერხდა (იქნებ არც კი მოხერხდა?!) „სპარსული გათათრებისა“ და ეროვნული გადაგვარება-გადაშენებისაგან თავის დახსნა.

მაშინ, თორმეტი წლის „თათრობის“ შემდგომ მიხვდა გიორგი სააკაძე — ცუდად გამომივიდაო და, კიდევაც გაასწორა, რაც შეეშალა. ძლიერად, დიდის სახელოვნებით გამოისყიდა მძიმე შეცდომა, მაგრამ ახლა?!

ისევ იმეორებს იგივე შეცდომას?!

თანაც — შეცდომიდან შეცდომამდე ნახევარი წელიც არ არის გასული!

ნუთუ კიდევ ისე გულუბრყვილოა სააკაძე, ასეთი რამე იანგარიშოს: ჯერ ოსმალეთის საშუალებით საქართველოს გავაერთიანებ და მერე თვითონ ოსმალეთსაც დავეტაკებიო?!

განა ასევე არ ფიქრობდა ათი-თორმეტი წლის წინათ სპარსეთის მიმართ! და რაც გამოვიდა ამ ფიქრიდან უკვე იწვნია საქართველომაც და თვითონ სააკაძემაც.

როგორ, დღევანდელი გიორგი სააკაძე გუშინდელ გიორგი სააკაძეს ვეღარ ხედავს?!

ვერ ხედავს!

ისევ შემომჯდარა სატანა სააკაძის საჟნიან მხარზე.

. . . . . .

სამცხის პატრონი მანუჩარ III ათაბაგი, დიდი ეროვნული გმირი და მამულიშვილი, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო სტამბოლიდან, გიორგის იგი თითქოს არც გახსენებია, მაგრამ ამ „უხერხულობიდან“ მოულოდნელმა ამბავმა დაიხსნა სააკაძე: მანუჩარ ათაბაგი ხონთქარმა დიდი პატივითა და აღთქმებით გამოისტუმრა თურმე სტამბოლიდან; არც ქრისტიანობას გართმევ და არც სამცხის პატრონობასო, — ამ დაპირებით მოვიდა სამშობლოში მანუჩარი, მაგრამ... გზად მომავალი ათაბაგი ბიძამისმა ბექამ მიიწვია სტუმრად, და მოხდა ის, რაც ძალიან ხშირად ხდება სანადიმო სუფრასთან: მასპინძელმა სტუმარს ღვინოში საწამლავი შეაყოლა. ასე აღესრულა მანუჩარ III ათაბაგი, მარაბდის ბრძოლის გმირი, მესხეთის ქართველობისათვის თავგამოდებული მეომარი მამულიშვილი. ხოლო მისი მკვლელი, გათათრებული ბექა ჯაყელი, თურქული სახელით — ს ა ფ ა რ-ფ ა შ ა დ მოევლინება მესხთა ტანჯულ ქვეყანას.

ხოლო გიორგი სააკაძემ თურქეთის სულთანს მურად IV-ეს ელჩი გაუგზავნა — გ ი ო რ გ ი ქ ა ვ თ ა რ ი შ ვ ი ლ-ბ ა რ ა-

თ ა შ ვ ი ლ ი. გაუგზავნა და შეუთვალა: სამცხის ციხე-ქალაქები, ყიზილბაშებს რომ დავაგდებინე, ახლა შენთვის მიბოძებია, ოღონდ ჯარები მომაშველე და შეერთებული ძალებით შევუტიოთ ერანელებსო.

გახარებულმა ხონთქარმა პასუხად „მოსცნა ნიჭი დიდნი მოურავსა და იენგიჩარნი და დაიპყრნეს ციხენი იგინი“ — სამცხისანი. მ ურ თ ა ზ ფ ა შ ა (დაბადებით ქართველი) ჩამოვიდა თურქეთიდან და იმან განაწესა ოსმალური ციხეონები ახალციხესა და სხვა მესხურ ციხე-ქალაქებში.

ერთი სიტყვით, სულთანი მურად IV არ დაბნეულა ასეთი მოულოდნელი ძღვენის მიღებით.

ხოლო „დამხმარე ძალები“ რომელსაც სპარსეთის წინააღმდეგ სააკაძე ოსმალეთისგან ელოდებოდა?

გაგიგონია?!

„დამხმარე ძალად“ გიორგი ქავთარიშვილ-ბარათაშვილმა გიორგი სააკაძეს ხონთქარისაგან ფარატინა „წყალობის სიგელი“ და კაფუჯი-ბაშის წოდება ჩამოუტანა. ეს იყო და ეს. თურმე სადა სცალია სულთანს სააკაძისთვის, ბაღდადის დასაპყრობად ჯარებს ამზადებს და საქართველოს „გასათავისუფლებლად“ რამეს, თუნდაც ერთ ჯარისკაცს, გამოიღებს?! პირიქით, თვითონ სულთანი გამოელის სააკაძისგან თურქეთის საომარი ტვირთის შემსუბუქებას. სწორედ ასე სწერს ხონთქარი სააკაძეს თავის „წყალობის სიგელში“.

„აბა, შენ იცი, ქართლის მპყრობელო მოურავ-ხან (მართლაც მწყალობელი ყოფილა ოსმალეთის ხელმწიფე: სააკაძისთვის ქართველები „ქართლის მოურავის“ თიკუნს ძლივს იმეტებენ, სულთანი კი „ქართლის მპყრობელს“ უწოდებს — ხუმრობა ხომ არ არის!), შენებურად როგორ დაუტრიალდები და თავდაუზოგავად, საკუთარი საომარი ძალებით, მუსრს გაავლებ ყიზილბაშებსო. შენი ბუნებრივი, თანდაყოლილი დიდი ვაჟკაცობის, შემმართებლობის, უსაზღვრო მამაცობისა და გმირობის შესატყვისად მოიკრიბე რაც ძალი და ღონე გაქვს და, შენი მმართველობის ქვეშ მყოფი ქართლის ჯარის გარდა, წაახალისე საქართველოს სხვა ბეგები და გულადი წარჩინებულნი, შემოიყარე ბლომად ქართული ჯარები და მთელი თქვენი ძალებით ეცადეთ უკანვე გამოგლიჯოთ საქართველოში

ურჯულოების გამავრცელებელ ყიზილბაშებს ქართული ციხე-სიმაგრენი და სხვანი და სხვანი... აბა, თქვენ იცით, როგორ სასახელო საქმეებს ჩაიდენთო!“

მკითხველი არ დაეჭვდება, რომ სწორედ საცინრად აგდებას ჰგავს ამნაირი „წყალობის წიგნი“.

ერთადერთი, რაც ახალ თათრულ წიაღსვლას ნამდვილ შედეგად მოჰყვა, გახლდათ სამცხის დაკარგვა — დაკარგვა საქართველოსთვის და მოპოება თურქეთისთვის, გნებავთ — წართმევა სპარსელთაგან და მირთმევა თურქთათვის.

ისევ გამოერკვა გიორგი სააკაძე.

ისევ საჭირო იყო უკან მობრუნება, გინა—საკუთარ, „ქართულ წიაღში ჩაბრუნება“.

ამჯერად თავისი დიდი ზრახვებისათვის გზის ძებნა სააკაძემ „მესამე საქართველოში“ დაიგულა.

იგი იმერეთში წავიდა.

თეიურაზთან შერიგება მას არ უფიქრია.

სამაგიეროდ სხვა ფიქრობდა... ისევ შაჰ-აბასი!

ზავი და ფიც-ვერცხლი

1626 წელი. შირაზი.

დარბაზობა აქვს ერანის „ვიცე-კოროლს“ იმამ-ყული-ხან უნდილაძეს.

იქ დამსწრე ინგლისელი ჰ ე რ ბ ე რ ტ ი გაოცებულია მასპინძლის სიმდიდრით — უთვალავი ოქრო-ვერცხლის ლანგრები, სასმურნი, ნოხები, ხალიჩები, ფარდაგნი, კრეტსაბმელნი, ურიცხვი თვალ-მარგალიტი.

ძმასთან სტუმრად არის დავით (დაუდ-ხან) უნდილაძეც.

შათირი მოიჭრა ისფაჰანიდან.

შაჰ აბასი სასწრაფოდ იწვევდა ორივე ძმას.

მოტეხილი და მოთელილი ეჩვენათ შაჰი უნდილაძეებს. საოცრად დაღლილი, გალახული სახე ჰქონდა. თვალებსაც დაჰკარგვოდა ძველებური ცეცხლი და ელვამკრთომელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოსმალებს ბაღდადი ალყაში მოუქცევიათ. შენ, იმამ-ყული-ხან, სასწრაფოდ უნდა გაეშურო ბაღდადისკენ შენის მხედრობით! — უბრძანა შაჰმა უფროს უნდილაძეს.

მერე უმცროსს მიუბრუნდა და ჩამქრალი ხმით უთხრა:

— შენ კი საქართველოში უნდა წახვიდე, დაუდ-ხან!

— საქართველოში?!

— ნუ შეშფოთდები, საომრად არ გაგზავნი შენს საქართველოში... სამშვიდობოდ წახვალ.

— სამშვიდობოდ?!

— სწორედ.

— ვისთან?

— თეიმურაზთან.

თეიმურაზთანო? ვინ მოელოდა და ვინ წარმოიდგენდა ამას? შაჰ აბასი თეიმურაზს მშვიდობის ჩამოგდებას ეაჯება?! ნუთუ სცნო თავი დამარცხებულად ერანის ლომმა საქართველოს მეფესთან ოცწლიანი საშკვდრო-სასიცოცხლო ომის შემდგომ?!

ჰო, თეიმურაზს უნდა ეახლოს დაუდ-ხან უნდილაძე და შაჰის სახელით სამძიმარი მოახსენოს დედისა და შვილების სიკვდილის გამო! ბოდიშიც მოუხადოს, შაჰს ასე რიგად რომ დაეგვიანდა სამძიმრის გაგზავნა! (თურმე ხდება ასეთი რამეც: მკვლელი სამძიმარს უცხადებს მისი ხელით ამოწყვეტილი შვილებისა და დედის ჭირისუფალს!). ესეც იცოდეს თეიმურაზმა: რაც ამ ბოლო დროს საქართველოში დატრიალდა, შაჰს თეიმურაზის ბრალად არ მიაჩნია, ყველაფერი მხოლოდ გიორგი სააკაძის ბრალია, ბრალი ცბიერი მოურავ-ხანისა, ერთნაირად რომ ჰღალატობს ყველას — ქართველსაც, სპარსელსაც და ოსმალოსაც. კარგად იცოდეს თეიმურაზმა, შაჰ აბასის გაზრდილმა და ნაამაგარმა, რომ სააკაძე ორივეს სისხლს „თანაბარი სიამოვნებით“ დალევს — შაჰის სისხლს და თეიმურაზის სისხლს... ბოლოს და ბოლოს, იყოს თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ, ოღონდ თურქულ და რუსულ ხალათებს ნუ ჩაიცვამს და ნუ დააკიწყდება, რომ იგი მაინც შაჰ აბასის „ჩრდილის ქვეშ არის გაზრდილი...“ და ბოლოს, — იქნებ თვითონ პირადად ეწვიოს გაზრდილი გამზრდელს!..

— ტფილისში ჩახვალ, დაუდ-ხან, იქ მოიწვევ და შეხვდები თეიმურაზს. იქვე მოელაპარაკები და იქიდანვე შიკრიკის ხელით გამომიგზავნი სამშვიდობო წერილს თეიმურაზ მეფის ხელრთვით, — დაასრულა შაჰმა.

— შიკრიკიც არ დამჭირდება, მე თვითონ პირადად გაცნობებთ ყოველივეს, — შეაგება დავით უნდილაძემ.

— არა, შიკრიკი გამომიგზავნე, ხოლო შენ ტფილისიდან განჯას გაეშურე და იქვე დარჩი.

— განჯაში რისთვის, ხელმწიფეო?

— ამიერიდან შენ, დაუდ-ხან უნდილაძე, დანიშნული ხარ განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად.

ასე განუწესებია შაჰ აბასს: ერანის იმპერია ლამის ძმები უნდილაძეებისთვის გაუყვია სამმართველოდ — სამხრეთში იმამ-ყული-ხანი, ჩრდილოეთში დაუდ-ხანი...

. . . . . .

ტფილისისკენ მოჰქრის დავით უნდილაძე, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი, „ტფილისის გამგებელი“, შაჰ აბასის „რჩეული გურჯი“, დიდი მისიით აღჭურვილი დიასპანი, — მან ზავი უნდა ჩამოაგდოს ქართველ-სპარსელთა „ოცწლიანი ომის“ თავზე.

სიხარულით აღვსილი მოჰქრის უნდილაძე საქართველოსკენ.

გათათრებულ ქართველსაც უხარია უძლეველობა მისი დაკარგული სამშობლოისა.

უხარია, რომ არც ერთ უნდილაძეს — არც მამას და არც შვილებს — არასოდეს ქართველი კაცის სისხლი არ დაუქცევია...

. . . . . .

ტფილისმი. 1626 წელი

საზავო მაგიდას უსხედან „მოპირდაპირენი“, ერთი — საქართველოს მხრივ, მეორე — სპარსეთის მხრივ, და ორივენი არიან ქართველნი.

შეთანხმდნენ თეიმურაზ მეფე და დავით უნდილაძე.

შაჰ აბასი ცნობს თეიმურაზის უმაღლეს ხელისუფლებას „მის გურჯისტანში“. თეიმურაზიც კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „მისი სისხლის დასაქცევად აღმართული ყი-

ზილბაშური მოწამლული მახვილები შაჰის ბრძანებით ჩაგებულია ქარქაშებში, და თავის მხრივ ქართველთა მეფე პირობას იძლევა, „თურქული ხალათი გაიძროს“ და სპარსული ჩაიცვას“. რაც შეეხება „გამზრდელთან გაზრდილის“ პირად გამოცხადებას, თეიმურაზს ამჯერად არ მიაჩნია თავისი თავი „ღირსად ესოდენ დიდი პატივისა“ და შეეცდება მომავალში ჩაიდინოს „ისეთი საქები და მოსაწონი საქმენი“, რომ პირნათლად წარსდგეს „ალლაჰის ჩრდილის“ წინაშე.

მოლაპარაკება დასრულდა თუ არა, დავით უნდილაძემ ისფაჰანს ფაიქი აფრინა და შაჰ აბასს აცნობა: თეიმურაზ მეფე ჩვენი სიახლოვის, „მორჩილებისა და დამჯერობის შარაგზას ადგასო“.

შაჰი კმაყოფილი იყო. საქართველოს მხრიდან „საშიშროება-მოხსნილს“ შეეძლო უფრო თამამად და გულსრულად შეეტია ოსმალებისთვის.

იმავე წელს იმამ-ყული-ხან უნდილაძემ ბაღდადი იხსნა თურქთა ალყისაგან. უნდილაძის „ძლევა-გამარჯვებისა და ოსმალთა ლაშქრის მარცხის ამბები მთელს ქვეყანას კიდითკიდე მოედო“.

ერთი სასიხარულო ამბავი სტამბოლიდანაც შეიტყო ერანის ხელმწიფემ: მომკვდარიყო მეჰმედ-ფაშა, თურქეთის დიდი ვეზირი, ტომით ქართველი...

მაგრამ ერთი ფრიად სამწუხარო ამბავიც შეატყობინეს შაჰს იმ დღეებში — ი ო თ ა მ-ს ულ თ ა ნ გ უ რ ჯ ი ს მოულოდნელი სიკვდილი. იოთამი შაჰის აღზრდილი ყოფილა, ძალიან ერთგული, ჭკვიანი და მამაცი ჭაბუკი. იგი დარუბანდის მმართველად წარუგზავნია ხელმწიფეს. დარუბანდშივე მოკვდარა რაღაც უცებისი სიკვდილით იოთამ გურჯი.

ასე გამოვიდა: ერთი „ნაქართველარის“ (მეჰმედ-ფაშა) სიკვდილმა ძალიან გაახარა შაჰ აბასი, მეორის (იოთამ გურჯი) სიკვდილმა კი ძალიან დაამწუხარა.

. . . . . .

მთელი დღე ნადირობდნენ ალაზნის ველზე თეიმურაზ მეფე და დავით უნდილაძე.

მაინც არ ჰგავდა ნადირობას.

მთელი ღამე სანადიმო სუფრას უსხდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც არ ჰგავდა ნადიმობას.

საქართველოს ჭირვარამზე მსჯელობდნენ, დავობდნენ, პაექრობდნენ.

მათი იდუმალი, ზოგჯერ ზახშერეული, ზოგჯერ ნერვიული ხმა ძილს უფრთხობდა ტყეში ჩაბუდრებულ ნადირს და ფრინველს.

ღამე შემოაცვდათ.

ვარსკვლავები შეადნენ ზეცას.

ფეხზე წამოდგნენ — ქართველი მეფე და ქართველი ბეგლარბეგი.

ხანჯლები გაიძრეს.

ერთმანეთს ვერცხლი აათალეს ვერცხლის ქამართაგან.

ღვინით ავსებულ ყანწში ჩაჰყარეს ანათალი.

ნახევრამდე სულმოუთქმელად დალია თეიმურაზმა.

სულმოუთქმელად დასცალა მეფის ნასმური სასმური უნდილაძემ. ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ბაზალეთის წინარე წუთისოფელი

მტერნო, თქვენ იცით, ჩემის ხმლით
მრავალჯერ დაიწნიხებით!

გიორგი სააკაძე

გიორგი სააკაძე იმერეთში იყო, მეფე გიორგი მესამის კარზე.

ქუთათისის სასახლე დიდის ზარზეიმით შეხვედროდა სახელოვან ქართველ გმირსა და მის ამალას.

თათბირი ჰქონდა მოურავს დასავლეთ საქართველოს მეფესთან, მის სახლეულთან, მთავრებთან, საერო და სასულიერო წარჩინებულებთან. ბჭობას მალაქია კათალიკოსიც ესწრებოდა.

ახლა იმერეთის მესვეურებს მოუწოდებდა სააკაძე „ყოველი საქართველოს“ შესაკავშირებლად და საერთო მტრის (ამჯერად სპარსელების) წინააღმდეგ ერთიანი ძალებით საომრად.

იმერეთის თავკაცნი — მეფეც, თავადიც, ერიც და ბერიც — დიდის გატაცებით და აღტაცებით შეხვდნენ მოურავის მოწოდებას.

ქუთათისიდან გიორგი სააკაძე ოდიშს გადავიდა და ლევან დადიანს ეწვია. ლევანიც დიდის პატივით შეხვდა საარაკო გმირს. სააკაძის განაზრახი — „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა უცხო მტერთა დასათრგუნავად — დადიანსაც ხიბლავდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ერთი რამე მაინც არ მოსწონდა ოდიშის მთავარს; სააკაძე სპარსელებთან საომრად თურქებს ეპატიჟებოდა საქართველოში, ლევან დადიანს კი თურქების სისხლი სპარსელებისაზე უფრო მეტად სწყუროდა. ამიტომ დასაჯერებელი უნდა იყოს ეს გადმოცემა: დადიანი ეუბნება სააკაძეს, თუ ოსმალების წინააღმდეგ იომებ, ჩემი სამეგრელოდან ოცდაათი ათასი ხმლით მოგეშველებიო. მაგრამ გიორგი მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე: ქართველთა და ოსმალთა კავშირი სპარსეთის წინააღმდეგ!

მაინც დადიანმა დიდი სტუმარი ყიზილბაშებთან ომში თანადგომის დაპირებით გამოისტუმრა.

ისევ ქუთათისში მობრუნდა გიორგი სააკაძე.

კიდევ ერთი საწადელი ამბავი მოხდა იმერეთს: გიორგი სააკაძის ვაჟმა — უკვე სახელმოხვეჭილმა ახალგაზრდა გმირმა, ავთანდილმა, ცოლად შეირთო გიორგი მესამის ასული — ხ ვ ა რ ა მ ზ ე.

რა იყო ეს, სიყვარული თუ პოლიტიკა? ალბათ, ერთიც და მეორეც.

ქორწინება განამტკიცეს „ფიცის წიგნით“, რომელშიც ეწერა: „...ესე ფიცი და პირი გიბოძე ჩვენ, მეფეთ მეფემა პატრონმა გიორგიმ და ძემან ჩემმა პატრონმა ალექსანდრემ, მამუკამა და როსტომ — თქვენ, მოურავს პატრონს გიორგის, ასრე რომე ჩემი ქალი ბატონი ხვარამზე გულგაწმენდით თქვენის შვილის ავთანდილისათვის მომიცემია...“.

იმერეთიდან გიორგი სააკაძე ქართლში დაბრუნდა, მისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათავისუფლებულ ციხეებს ჩამოუარა, ციხიონები გაამხნევა, განამტკიცა და ტფილისზე დაცემა ერთჯერ კიდევ გადაწყვიტა.

მოურავი თავისი გუნდით სოფელ სხალნარში დადგა და ერთგული მსახური ინაშვილი ტფილისში ჩაგზავნა იდუმალ, იქაურობის დასაზვერავად.

ყიზილბაშებმა სააკაძის მოსვლა შეიტყვეს, გაფრთხილდნენ და ციხე-გალავანიც საგანგებოდ გაამაგრეს.

გიორგიმ ქალაქზე იერიში უიმედოდ ჩათვალა და ისევ სამცხისაკენ გაქუსლა.

მთელი ზამთარი სამცხეში იდგა.

მთელი ზამთარი საქართველოს „ხვალინდელი ბედის" ხილვებით ცხოვრობდა, ფიქრობდა, ბორგავდა, იბრძოდა, იტანჯებოდა.

გაზაფხულმა გამოიჭიატა თუ არა, მაშინვე ქართლისაკენ წამოემართა თანამებრძოლ-თანატოლვილი ამალით.

აშკარა განხეთქილება ჯერ კიდევ არ ჩამოვარდნილიყო თეიმურაზსა და სააკაძეს შორის. ჯერჯერობით „შორიდან ნაგრძნობი" იჭვნეულობითა და უნდობლობით ზვერავდნენ ერთმანეთს მეფე და მოურავი.

ქართლის თავადთაგან ზოგი საქართველოს ღალატს დასდგომოდა, ზოგიც შინაური მტაცებლობისა და შინა-სისხლის დაქცევის უბოროტეს გზას.

გამორჩევით უნდა სწყენოდა გიორგი სააკაძეს მისი უახლოესი ადამიანების — სიძისა და ცოლისძმის — ავკაცური ქცევანი. პირველმა — იასე ქსნის ერისთავმა, როგორც უკვე ითქვა, ქვეყნის მოღალატე ანდუყაფარ ამილახორთან ერთად წილი დაიდო ღაზნელთა სახლეულის გაწყვეტაში და მათი ავლადიდების დატაცებაში; ხოლო მეორემ — ზურაბ ერისთავმა ყველა მანამდელი ქართველი ფეოდალი „დაჯაბნა" შინაურთა, თანამოძმეთა და თანამემამულეთა ხოცვა-ყლეტით.

ერწო-თიანეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთს მიხდომია დასაპყრობად და დასაყმევებლად ზურაბ ერისთავი, მრავალი სისხლი დაუქცევია მთიელი ქართველობისთვის, მრავალიც მისთვის დაუდენია თავისუფლების მოტრფიალე მთას.

Სალექსო, სასიმღერო და საცრემლო გამხდარა ზურაბ არაგვის ერისთავის საძრახისი ლაშქრობანი თუშ-ფშავ ხევსურეთში.

„ზურაბს ჯავრი ჰკლავს ორისა:
ხევსურეთისა, ფშავისა...
. . . . . .
ხევსურეთშია, ზურაბო,
ვერ იქამ ერისთობასა,
გაგიწვრილდების კისერი,
ვერ შესძლებ ქვეყანობასა.
. . . . . .
ზურაბისთანა ბატონი
ვინღა გამოვა ხმლიანი,
განჯა მირანა ამტვრიანა,
დღესაც კი სახელიანი.
. . . . . .
შენ, ერისთავო დიდის მთისაო,
წყალი ჩაგიდის არ ცვისაო,
არკი გეტყოდი, ჩემო ბატონო,
ყიდვა ხელიცი შენის ყმისაო,
ბევრი გაყიდე ქალი და რძალი
გარდასატანი თვალწარბ თმისაო.
. . . . . .
დუშეთ იყრების ლაშქარი,
არ ერგებიან გზანიო,
სასმელად არ ეყოფიან
ბაზალეთურნი ტბანიო,
სადგომლად არ ეყოფიან
თრიალეთურნი მთანიო.
. . . . . .
გუდელას დაჯდა ზურაბი,
ატირდა ეგრ რო ქალიო:
„დამაკლდა სათვალავშიგა
სამოცი ხმალოსანიო“.
„გაიქეც, ერისთვიშვილო,
მოგდევენ ხევსურთ ყმანიო,
თორ კიდევ ჩაწითდებიან
კეოს გორ ქცეულანიო.
აგერ ლულის თავს გახენე,
მძიმე გადმოდგა ჯარიო“,
რბოლით დაკრიფნა ზურაბმა
გრძელნი არაგვის გზანიო,
ჩარგლის კართ დახვდნენ ფშავლები
აყოლეს სისხლის კვალიო.
ცოლი ეტყოდა ზურაბსა:
„რა დარ მოგიდეს მკვდარიო“?
. . . . . .
„დადეგ, დაგვეხსენ, ზურაბო,
ნარჩომნ ორთ შენი ხმლისანი,
თორ ჩვენაც შამოგეცდებით,
მესხნი ჩვენაც გვყონ წყლისანი“.
. . . . . .
არ კი გითხარა, ზურაბო,
ფშავლების ხელი სენია,
აფხუშელთ გამოგაქციეს,
დღე დაგაყენეს ცხელია.
სირბილით გამოგავლიეს
ჩარგლის ჭალაი გრძელია,
კართანას გადმოსეესა
მსახურთ გიკიდეს ხელია,
თვალივის ველში ჩამოხველ,
იქ მოგაგონდა ცხენია.
. . . . . .
ზურაბ, რა უყვენ ლაშქარი
ნაკრეფნი შვიდის თვისანი
ჩაუშვებ მათურაშია,
თვალნი გაგიწყდეს ხთისანი,
დაგიხვდეს ფშავლიშვილები,
არწივნი მაღლის მთისანი,
შამოგეწივნეს მთაზედა,
გაწითლებივნეს ქვიშანი!.
. . . . . .
ზურაბო, ერისთვის შვილო,
რა თავი გედიდებაო?
მაგ შენსა აზნაურებსა
ყორნები ეზიდებაო!
. . . . . .
ზურაბმ აიფრო ქვეყანა,
ბევრს ვაჟს უტირა დედაო,

ბევრს ქალს გაუხსნა საკინძი,
უჭკიმა ძუძუზედაო.
. . . . . .

ხევსურებ ხინკლად ჩაყარა,
ფშავლებ შაუნთო შეშადა,
გაუტეხელი მოხევე
გაიმეტ დასაჩეხადა.

. . . . . .

გიორგი სააკაძემ თეიმურაზისა და ზურაბ ერისთავის ფარულ „განდგომას“ თვალი აავლო და ისევ მათი თანადგომითა და „თანაბრძოლით“ განაგრძო ბრძოლა ქართლის ციხეებში ჩასაგრებულ ყიზილბაშებთან.

ჯერ გორის ციხე გამოჰგლიჯა ხელიდან მტერს: იქ მდგარი ყიზილბაშობა ამოსწყვიტა და ქართული ციხიონი შეაყენა.

მერე ქართული სოფლების საძარცვავად და საწიოკებლად ათარეშებულ ოს ფეოდალებს მიუხტა გიორგი სააკაძე. მიუხტა და ზედიზედ აიღო ოსური ციხეები და საფარ-სამალავები. საწუხრად მხოლოდ ეს დარჩა სააკაძეს: ერთგული თანამებრძოლი თამაზ მაჩაბელი მოუკლეს საფრიდან ნასროლი ისრით.

მკითხველს ახსოვს წინასწრობილი: ქვემო ქართლის დიდმა თავადმა ქაიხოსრო ბარათაშვილმა მარაბდის მარცხის შემდეგ ქართველობა ყიზილბაზობაზე გაცვალა და ბირთვისის დიდი ციხესიმაგრე მტერს მიართვა.

მთელი ღამე მუხლჩაუკრეფავად იარა მოურავმა და მისმა „თანამოთარეშე“ გუნდმა. უთენია მივიდნენ ტბისში და ფიცხლავ თავს დაესხნენ ქაიხოსრო ბარათაშვილის სასახლეს.

გამოვიდა ქაიხოსრო, სპარსულად ინით წვერშეღებილი.

წამსვე დაეტაკნენ პაპუნა ვაშაყაშვილი და თამაზ ქარციძე და შეუკრეს ხელები ქაიხოსროს.

მაპატიეთო, იბღავლა მოღალატემ.

ბირთვისის ციხიდან ყიზილბაშთა ციხიონი გამოიყვანე და სიცოცხლეს გაჩუქებო, უთხრა გიორგიმ.

მეტი რა ჩარა ჰქონდა ბარათაშვილს, და „გამოიტყუა“ ბირთვისიდან ყიზილბაშები, სულ ხუთასი კაცი.

დაეძგერნენ ქართველები, თოფ-დამბაჩა, და ხმალ-ხანჯალი დააყრევინეს, ხუთასივეს თავები დააგდებინეს და მძოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადქცეულნი ხევში გადაჰყარეს ყვავ-ყორანთა და მხეცთა საძიძგნად.

ბირთვისში ქართველები ჩადგნენ.

ქაიხოსრო ბარათაშვილს და მის ძმას ხ ო ს ი ა ს სააკაძემ ბორკილები გაუყარა და კიკანათბერის ციხეში ჩაამწყვდია.

ბირთვისიდან ლორესაკენ გაემართა სააკაძე. აქაური მელიქები — ა თ ა ბ ე გ ი და ზ ა ქ უ მ ი — შაჰ აბასის ერთგულ სამსახურში იდგნენ და სპარსელებს თავგამოდებით ეხმარებოდნენ ქართული მიწაწყლის აოხრებაში.

იერიში მიიტანა სააკაძემ ლორეს ციხეზე.

ათაბეგსა და ზაქუმს არც ცოლ-შვილი გახსენებიათ, არც ქონება და ავლა-დიდება, — ყველაფერი უპატრონოდ დააგდეს, საიდუმლო ხვრელით გაძვრნენ და სპარსეთს გადაიხვეწნენ.

ქართველები ლორეს დაეუფლნენ.

უკვე „ყოველი ქართლი“ — „ქვემოც“, „ზემოც“ და „შიდაც“ — სააკაძის კურთხეული ხმლის წყალობით დახსნილი იყო უბოროტესი ყიზილბაშური უღლისაგან.

მხოლოდ ტფილისი ერთადერთი ჩარჩენილიყო ქართლის ბაგრატიონთა ნაბოლარა-ნაშთის, სვიმონ-ხანის, ხელში.

ქართლის გათავისუფლების შემდგომ გიორგი სააკაძემ დალაშქრა შამხალი და დაღესტანი. შავი დღე გაუთენა, საბრალო საფარ-საბუდარნი მიუნგრ-მოუნგრია და ქართულ მიწ-წყალზე თარეშის ჟინი დიდი ხნით აღუკვეთა იქაურ ავაზაკ ფეოდალებს.

. . . . . .

ქართლ-კახეთი მტრისგან დახსნილი იყო — გიორგი სააკაძის წყალობით.

ქართლ-კახეთი გაერთიანებული იყო — გიორგი სააკაძის წყალობით.

ქართლ-კახეთს ერთი მეფე ჰყავდა — გიორგი სააკაძის წყალობით.

ქართლ-კახეთის ის „ერთი მეფე“, გინა „ორივ ტახტის მჭერი“, თეიმურაზი იყო — ესეც გიორგი სააკაძის წყალობით.

მაგრამ ერთ დღეს სააკაძის სიძულვილით ადუღებულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადებმა თეიმურაზს მოახსენეს: გიორგი სააკაძეს ქართლის გამგებელი დაუნიშნავსო!

ქართლის გამგებელიო?!

მეფის დაუკითხავად გაბედა ეს მეფის ყმა სააკაძემ?

ასე გამოდის, თეიმურაზ მეფეს მეფედ აღარ აგდებს სააკაძე; ან იქნებ ქართლის წართმევასაც უპირებს „კახეთის ბატონს“!

მაინც ვინ დაუნიშნავს კადნიერ მოურავს „ქართლის გამგებლად“?

ქაიხოსრო მუხრან-ბატონი!

აჰა, გასაგებია! ქაიხოსრო — სააკაძის სიძის (მარაბდის ბრძოლაში მოკლული თეიმურაზ მუხრან-ბატონის) ძმა! თანაც, მუხრან-ბატონები ხომ ბაგრატიონთა „შტოები“ არიან! ალბათ, მალე ქართლის მეფედაც გამოაცხადებს ქაიხოსრო მუხრან-ბატონს „ყოვლის შემძლებელი დიდი მოურავი“, რომელსაც თურმე თურქეთის სულთანი „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანს“ უწოდებს!

გასაგებია, ყოველივე გასაგებია, რასაც უმზადებს „უჯიშო სააკაძე“ თეიმურაზ მეფეს!..

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მუხრან-ბატონის „ქართლის გამგებლობამდე“ აღზევება კი არა, თვითონ თეიმურაზი აპირებდა მუხრანი მუხრან-ბატონებისთვის წაერთმია და თავისი ვაჟისათვის — დ ა თ უ ნ ა ს ა თ ვ ი ს მიეცა საუფლისწულოდ (ეს ერთი ძე შემორჩენოდა თეიმურაზს ხორეშან დედოფლისაგან)...

გამოხდა რამდენიმე დღე და ახლა ეს მოახსენეს თეიმურაზს: ქუთათისში ყოფნის ჟამს სააკაძეს უთქვამს იმერეთის მეფე გიორგი მესამისათვის, თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა და საქართველოს გაერთიანება შევძელით, მეფედ შენი შვილი ალექსანდრე უნდა დავსვათო.

აჰა, უყურეთ, რა ზრახვები ჰქონია ორ გიორგის თეიმურაზის წინააღმდეგ! ალბათ, ამიტომაც დამოყვრებულან იმერეთის მეფე და სააკაძენი...

მძიმე ფიქრებში ჩაიძირა თეიმურაზ მეფე.

სულ გამოიცვალა, „სულ სხვა კაცად იქცა“ — ისედაც წუთისოფლისგან განაწამები, ოჯახით ამოწყვეტილი და ქვეყნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ქვეყნად ნალტოლვარი და ნათრევი, სისხლისმაქცევარი და სისხლდაქცეული.

საწუთრო საბოლოოდ აევსო შხამით, მოყვასისადმი ეჭვით, შურით და უნდობლობით...

ზურაბ ერისთავი გამოიძახა.

მარტონი ჩაიკეტნენ და ჩაირაზნენ.

. . . . . .

ასრე სჭირს საქართველოსას
დიდებულთ, გინა მცირეთა,
აზვავდებიან, იტყვიან:
„უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

არჩილი

1626 წლის შემოდგომის პირი დამდგარიყო.

მეფე თეიმურაზი ცხინვალს იდგა ამალით.

აქ იყვნენ: გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი, იოთამ ამილახორი, იასე ქსნის ერისთავი, ქაიხოსრო მუხრან-ბატონი და მროველი ეპისკოპოსი დომენტი ავალიშვილი.

მეფის სადგომიდან გამოვიდა სააკაძე.

სამი კაცი უცდიდა გარეთ. მიეგებნენ, გაინაპირეს და მოახსენეს იდუმალი ხმით: ძალიან მძიმე ამბავი უნდა შეგატყობინოთ, მაგრამ წინასწარ შემოგვფიცე, რომ ჩვენს სახელებს არ გაამჟღავნებო.

გაოცდა გიორგი.. ასეთი რა ამბავია, ფიცის გარეშე ვერ გითქვამთ სათქმელიო. ისინი კი არ იშლიდნენ: ფიცი გვითხარ და მოგახსენებთო.

სხვა გზა აღარ იყო და შეჰფიცა გიორგიმ.

ხვალ მეფე თეიმურაზს შენი სიკვდილი აქვს დანიშნულიო! — თქვეს იდუმალმა მაცნეებმა.

სიკვდილიო?!

სიკეთის მეტი რა გამიკეთებია მეფისთვის, გინა ქვეყნისთვის და სიკვდილს რაღად უნდა მემართლებოდნენო?! — დაიგმინა განცვიფრებულმა და გაოგნებულმა სააკაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩააგონესო მეფეს: სააკაძე იმდენად გათავხედდა, საყმოდ თავს აღარ გიდებს, დიდ „სახელოებსაც“ შენს დაუკითხავად არიგებს, ხალხსა და ჯარს თავის ნებაზე ატრიალებს და, დღეს თუ ხვალ, სამეფო ტახტსაც წაგართმევსო, მიუთხრეს მეფის განაზრახის მიზეზები მაცნეებმა მოურავს.

ყოველივე ენიშნა სააკაძეს: ისევ თავადები მიმღვრევენ წყალსო. ითამ ამილახორი აშკარად ემტერება მოურავს, ზურაბ ერისთავიც გაურბის და რაღაც საეჭვოდ იღრინება; ვერ იქნა და ვერ მოინელეს ბარათაშვილებმა, ციციშვილებმა და ჯავახიშვილებმა მოურავის ზრუნვა „მისებრ უჯიშო“ მდაბიო ხალხზე; ვერ მოინელეს მისი ესოდენ აღზევება, სახელოვნება და სახელგანსმენილობა; იქნებ ამასაც უჩიჩინებენ თეიმურაზს თავადები, რომ სააკაძის „მომავალი გმირი“ (გინა — ერთხელმწიფე მომავალი ერთიანი საქართველოსი) თეიმურაზი კი არა, იმერელი უფლისწულია...

გიორგიმ მუხრან-ბატონსა და ქსნის ერისთავს შეატყობინა მაცნეებისგან მოტანილი ამბავი: თურმე თეიმურაზ მეფე მოკვლას მიპირებსო.

ქაიხოსრომ და იასემ არ დაიჯერეს თეიმურაზის ასეთი მუხანათობა და გიორგისაც ეს უთხრეს: ყურს ნუ დაუგდებ, ეგ ყოველივე იმისთვის არის მოჭორილი, მეფესთან მტრობა ჩამოგიგდონ და ქართლი შინაური აშლილობით ააფორიაქონო.

მაგრამ არ ეშვებოდნენ გიორგის „ერთგული ადამიანები“ — უეჭველად სიკვდილს გიპირებსო თეიმურაზი.

მაინც რაის საბაბით მიპირებენ მოკვლასო, იკითხა მოურავმა.

ლუარსაბ მეფის მოკვლისთვისო, იყო პასუხი.

როგორ, ლუარსაბ მეფის სიკვდილს გიორგი სააკაძეს აბრალებენ?!

ერთი უყურეთ, თურმე შადიმან ბარათაშვილისა და შაჰ აბასის ცოდვებსაც სააკაძეს აყრიან კისრად!..

ამდენი ფრთხილი გასვლა-გამოსვლა, იდუმალი ჩურჩული და „გაყენ-გამოყენება“ შეუმჩნეველი არ დარჩენია თეიმურაზს.

ასეთი რა მოხდა, რომ მთელი დღე მიილალ-მოილალებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩურჩულითაც ვეღარ დაიღალეთო, შემოუთვალა გაჯავრებულმა მეფემ მოურავს.

გიორგიმ მროველი ეპისკოპოსი დომენტი ავალიშვილი გაიწვია და შეევედრა: იქნებ გაისარჯოთ, მეფესთან მიმოციქულოთ და შემიტყოთ, რას მემართლება, სიკვდილს რომ მიპირებს; აქამდე ჩემის ხმლითა და ჩემის გულით მისი მონა-მორჩილი გახლავართ და რაისთვის მიმეტებსო ასე სასტიკად!

შევიდა მროველი მეფესთან და მოახსენა მოურავის დანაბარები.

გაიკვირვა და გაიოცა თეიმურაზმა: ეს ვინ მოიგონა, რომ ჩემს ერთგულსა და თავდადებულ მოურავს თითქოს სიკვდილს ვუმზადებდეო! ახლავე მაცნობოს გიორგიმ სახელი ეგზომ ცრუ ამბის მომჩმახავისაო! — ასეთი ბრძანებით გამოუშვა მეფემ დომენტი ავალიშვილი.

გიორგიმ მაცნეების გამჟღავნებაზე ცივი უარი თქვა, — ფიცი მაქვს მიცემულიო — და თან ეს დააბარა მეფესთან ხელმეორედ შებრუნებულ მროველს: თურმე ლუარსაბ მეფის სისხლს მე მადებთ და რატომ, რაის საბუთით ინებებთ ესოდენ მძიმე ბრალდებასო?!

და ერთხელ კიდევ შემოთვალა თეიმურაზმა პასუხი:

„ქვეყანამ იცის, ლუარსაბ მეფის სისხლი შენი დაღვრილია, მაგრამ სუფევა დაიმკვიდრა განსვენებულმა და ანგელოზები იცავენ მის მოწამე სულს! ამიტომ მე ლუარსაბის სისხლს არ ვეძიებ და შენც, მოურავ საკაძეს, შეგიძლია მშვიდად იჯდე შენთვის!“

ყოველივე ნათელი და ნათლად გასაგები იყო.

თეიმურაზ მეფეს, ლუარსაბ მეფის „სისხლის საბაბით“, საკაძის „თავიდან მოშორება“ ჰქონია გადაწყვეტილი.

გიორგიმ ერთჯერ კიდევ სცადა ნაპრალის ამოვსება, მაგრამ ამაოდ, — ერთჯერ კიდევ გააგონეს მანამდეც ბევრჯერ გაგონილი: აღარ შეიძლება ამის მოთმენა, — რომ საკაძე მბრძანებლობს ქართლზე, — რომ ტახტზე დაბრძანებული საკაძის წინაშე თავადები მანამ ვერ დასხდებიან, სანამ თვითონ არ მისცემს დაჯდომის უფლებას, — რომ თავადები საკაძეს ძაღლებივით ქეშიკში (ყარაულში) უწვებიან... და სხვა მისთანანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი იყო შეხვედრა მეფესა და მოურავს შორის.

და უკანასკნელად ეს უთხრა გიორგიმ თეიმურაზს:

„ღმერთმა იცის, კახეთის მეფეს, ქართლი მოგეცი, ჩემი თავიც მოგიძღვენ და თავს შემოგავლე, მაგრამ რა ვქნა, რომ არც განდომეს და არც ინდომე ჩემი სიცოცხლე. რა გაეწყობა, — ეგზომი უმადურობისთვის გულში დანას მე არ დავიცემ!“

გათავდა.

მეფესა და მოურავს შორის უქარქაშო ხმალი ჩამოეშვა.

. . . . . .

ცალ-ცალკე, თავიანთი „ამაღლებით“, სხვადასხვა მხარეს მიაქროლებდნენ ცხენებს თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე.

„ქართლ-კახეთის ერთიანობა მანამ შეუძლებელი იქნება, სანამ სააკაძე არ განადგურდება!“ — ფიქრობდა მეფე.

„ყოველი საქართველოს გაერთიანება მანამ შეუძლებელი იქნება, სანამ თეიმურაზ მეფე არ გაანადგურებდა!“ — ფიქრობდა მოურავი.

. . . . . .

ძმათაშორისი ომის შმორიანი სუნი ჩამოწვა საქართველოს ცისგვამში.

მამაზეციერსაც ალარ შეეძლო მისი თავიდან აშორება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარსების დამარცხება უმარსებოდ არავის ძალუძს.

ძველრომაული ქრონიკა

მე ჩემი უბედურება
ღმერთმ დამაწერა ხმალზედა:
მოვკალი ჩემივე სისხლი,
ხმალი ვიხმარე ძმაზედა.

ხალხური

ახლა მთავარი ეს იყო — ვის მხარეზე იქნებოდა ზურაბ ერისთავი.

და უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს „პირველი და მეორე გმირი" — გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი.

ყველაფერი ერთად გაახსენა გიორგიმ ზურაბს: მამაშენი მუდამ ჩემი ერთგული და თავდადებული მოყვარე იყო, შენ ხომ ჩემი გაზრდილი და საყვარელი ცოლისძმა ხარ. თათროების უმძიმესი წლებიც ერთად გაგვიტარებია, ყიზილბაშებიც ერთად შეგვიმუსრავს მარტყოფისა და მარაბდის მინდვრებზე, ჩვენი წუთისოფლის წილხვედრიც და ქვეყნის ჭირ-ვარამიც ერთად გვიტარებია და ახლა ისეთი რა მოხდა, რომ მე გადამიდექ და თეიმურაზს მიუდექიო?!

— მეფეს ვერ ვუღალატებ, — ცივად უპასუხა ზურაბმა.

— მუხრანს გპირდება და იმიტომ, არა? — მიახალა გიორგიმ.

— შენ კი მუხრანის ბატონი წამომასკუპე თავზე, — შეაგება ზურაბმა.

გიორგი მიხვდა, რომ სამუდამოდ დაჰკარგვოდა ზურაბ ერისთავი.

ცოლისძმას უკვე ალესილი ჰქონია ხმალი სიძის შესამუსრავად.

— კარგად დაიმახსოვრე, ზურაბ ერისთავო! მე რომ მომკლავენ, მაშინვე ჩემი მკვლელები შენ გწვდებიან ყელში და მუხრანსაც ოხრად დაგირჩენენ და სიცოცხლესაც! — თქვა და გაშორდა გიორგი სააკაძე არაგვის ერისთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ აფრინა ელჩი იმერეთს და მეფე გიორგი მესამეს შეუთვალა: შენი შვილი ალექსანდრე „ქართლის საბატონოდ“ გაამზადე და სასწრაფოდ ჯარიც მომაშველე თეიმურაზთან საომრადო.

იმერეთის მეფემ საბოლოოდ ირწმუნა, რომ თეიმურაზის დამხობის წყალობით ქართლიც და კახეთიც მისი შვილის სამეფო საკუთრებად გადაიქცეოდა, რაიც თავისებურად „პირველი საფეხური“ იქნებოდა ქუთათისის ტახტის გარშემო „ყოველი საქართველოს“ გაერთიანების გზაზე.

და მაშინვე გამოუგზავნა გიორგი მესამემ გიორგი სააკაძეს იმერთა ლაშქარი, მ ა მ უ კ ა ბ ო ქ ა უ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი ს, ა მ ი ლ ბ ა რ ა ბ ა შ ი ძ ი ს ა და ხ ო ს ი ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს სარდლობით.

სამცხიდან საფარ ფაშამ სააკაძეს მესხთა ჯარი გამოუგზავნა დ ა ვ ი თ (დავითბეგ) გ ო გ ო რ ი შ ვ ი ლ ი ს სარდლობით.

სანამ იმერლები და მესხები მოაღწევდნენ, მოურავმა მისი მომხრე ქართლელი თავადები შემოიყარა — ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, იასე ქსნის ერისთავი და სამეფო აზნაურობა.

სააკაძეს და მის მომხრეებს თეიმურაზის მხარეზე გადასული საარაგვოდან კიდევ ჰქონდათ ერთი იმედი. ეს იყო ზურაბ ერისთავის უმცროსი ძმა გიორგი, სააკაძის ერთგული თანამებრძოლი ყიზილბაშებთან ბრძოლაში. გიორგი ერისთავს ცოლად ქაიხოსრო მუხრან-ბატონის ასული ჰყავდა. ეს „მოყვრული სამეული“ — გიორგი სააკაძე, გიორგი ერისთავი და ქაიხოსრო მუხრან-ბატონი — ყველაზე სახიფათო ძალად ეჩვენა თეიმურაზის ბანაკს.

და ჩააგონეს ზურაბ ერისთავს კახელმა მსტოვრებმა: უტყუარი ცნობები გვაქვს, უმცროსი ძმა სიკვდილსა და საერისთავოს წართმევას გიპირებსო.

ეჭვითა და უნდობლობით დასნეულებულმა ზურაბ ერისთავმა არც აცივა და არც აცხელა, — შეიპყრო ძმა — გიორგი და თვალები დასთხარა...

სააკაძემ საბოლოოდ დაჰკარგა არაგვის საერისთავოს „დაბრუნების“ იმედი.

ზურაბ ერისთავი მტკიცედ დამდგარიყო თეიმურაზ მეფის „მარჯვენა ხელად“.

ქართლიდან კიდევ ერთი ძლიერი თავადი გადასულიყო ჯახელთა ბანაკში. ეს იყო ი ო თ ა მ ა მ ი ლ ა ხ ო რ ი.

. . . . . .

მაშ, თანამოძმეთა და თანამესისხლეთა ორი მტრული ბანაკი!

თეიმურაზ მეფისა — დუშეთს, ზურაბ ერისთავის სასახლესთან.

მოურავ საკაძისა — მუხრანს, ქაიხოსრო მუხრან-ბატონის სასახლესთან.

შავი ღრუბლებით დატვირთულა საქართველოს ცისგვამი.

წვიმს კოკისპირულად.

გზები ლაფით აივსო. მინდვრები დაიტბორა.

მცირედ გადაიკარა თუ არა, გიორგი საკაძემ ბანაკი აჰყარა და დუშეთისაკენ გაემართა.

თეიმურაზმა „მტრის“ წამოსვლა შეიტყო, ლაშქარი დუშეთიდან გაიყვანა, ბაზალეთის ტბასთან დადგა და საომრად გაემზადა.

საკაძემაც შეამჩნია „მტრის“ მოძრაობა და თვითონაც ბაზალეთს მიაშურა.

თითქოს ნაწვიმარი არ კმაროდა, — ჯახელებმა ბაზალეთზე მისასვლელი გზები წყლით „დამატებით“ დატბორეს, — იქნებ საკაძე და მისი ლაშქარი შიგ დაეფლოს და უფრო იოლად გავუსწორდეთო!

მაგრამ მოურავი იმ ადგილებს კარგად იცნობდა, „მტრის“ განზრახვაც ადვილად შეიცნო, დაგებულ მახეს გვერდი აუქცია, ბაზალეთის ტბას სხვა გზით მიადგა და „თეიმურაზელთა“ პირისპირ საომრად დააწყო ლაშქარი.

. . . . . .

1626 წლის გვიანი შემოდგომა, ბ ა ზ ა ლ ე თ ი ს ო მ ი — სამგლოვიარო სამანი ქართული მატიანისა!..

დგანან და გასცქერიან ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების მოლოდინში, გარინდებულნი, შეგრძნებულნი, ჯადოქმნილნი. სატანით „მხარდამშვენებულნი“.

თეიმურაზის ამალაში დუ'ილი დაარღვია ე დ ი შ ა ვ ა ჩ ნ ა ძ ე მ, ახალგაზრდა კახმა თავადმა:

„ჩვენზე მეტი ჯარი ჰყოლია სააკაძეს. ტყის ტევრივით ჩამდგარან და შავ ზღვასავით ჩაგუბებულან“.

„ჰო, ბევრი არიან“, — უგემურად თქვა თეიმურაზმა.

„არაფერია, მეფევ ბატონო, — მადლობა ღმერთს, ჯერ არ მომხდარა, ყმას რომ პატრონზედ გაემარჯვოს“, — ჩაილაპარაკა ზურაბ ერისთავმა...

მძიმე, ლაფიანი გზები გამოევლო სააკაძეს და მის ჯარს, დაქანცული იყვნენ, სახსარმოშლილნი.

გიორგის უნდოდა, როგორმე ის დღეს ბრძოლას მორიდებოდა და ჯარი დაესვენებინა, მაგრამ იმერლებმა და სამცხელებმა მოითხოვეს, — რაკი საომარ ველზე მოვსულვართ, ახლავე გაგვიყვანე ბრძოლაშიო.

ეტყობოდა, არც მოპირდაპირე ბანაკი აპირებდა ბრძოლის გადადებას...

მდუმარედ იდგა სააკაძე, ხმლის ვადაზე ხელჩამოსვენებული (ეს ხმალი ჯერ ქართველ კაცს არ მოხვედროდა!).

„ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ მე და ის ვერ შევრიგდით... მე და ის!“ — გაუელვა გიორგის.

უცებ თითქოს რაღაც ახალი აზრი იაზრა, ინაშვილი მიიხმო, იდუმალ ელაპარაკა და „მტრის“ ბანაკში გაუშვა.

ინაშვილი თეიმურაზს ეახლა, მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა:

— მოურავმა გიორგი სააკაძემ გთხოვათ, ნება მომეცითო პირადად გაახლოთ ჩემი თავი ბრძოლაშიო, ძალიან მინდა ჩემი სიბერიკაცე შენს სიყმაწვილესთან შერკინებაში გამოვცადოო.

წამოიქაჩნენ ზურაბ ერისთავი და კახელი თავადები, მაგრამ ისევ ყველას დაასწრო თეიმურაზმა:

— მოხარული ვარ, ხმალდახმალ შევხვდე სახელოვან მოურავსა. ოღონდ მითხარით ბრძოლის ველზე შესაცნობი ნიშნეულობა!

— თვითონ დამაბარა მოურავმან: ლურჯა ცხენზე შევჯდებიო, შავ კურტაკს ჩავიცვამ და შავ მუზარადს დავიხურამო, — მიუგო ინაშვილმა.

— „კეთილი. მაშინ ჩემი ნიშნეულობაც ინებოს სააკაძემ: შავი ცხენი, თეთრი წამოსასხამი და თეთრი თავსარქმელი! — შესძახა მეფემ.

ინაშვილი სააკაძესთან დაბრუნდა.

ზურაბ ერისთავი მივარდა თეიმურაზს: არ არის საკადრისი, რომ მეფე თავის ყმას შეებასო; ისა სჯობია, თქვენ, მაგივრად თქვენი ნიშნეულობით სხვა ვინმე შეებრძოლოს მოურავსო.

— მე გავალ სააკაძესთან საბრძოლველად! — იყვირა ედიშა ვაჩნაძემ.

ყველამ შეუქო გაბედულება ჭაბუკ თავადს.

მეფის შავი ცხენი მოჰგვარეს ვაჩნაძეს, თეთრი წამოსასხამი წამოასხეს საომარ კურტაკზე, თეთრი თაჯი დაჰხურეს მუზარადზე.

გიორგი სააკაძეც მზად იყო, ლურჯა ცხენზე ამხედრებული, შავი საომარი კურტაკით და მუზარადით გამოწყობილი.

დავით გოგორიშვილი მოიხმო სააკაძემ და იმასაც თავისი ერთი ხელი საომარი აღჭურვილობა აასხა, თავის მარქაფ ცხენზე შესვა და უთხრა: ბრძოლაში ისე გახვალ, როგორც გიორგი სააკაძეო.

თურმე ეს ყოფილა მოურავის განზრახვა: ბრძოლაში „ორი სააკაძე“ მიიღებს მონაწილეობასო; მე რომ თეიმურაზს შევებმები, „მეორე სააკაძე“ (გოგორიშვილი) დანარჩენებს დაერევაო; „მტერი“ ნამდვილ სააკაძეს ვერ ამოიცნობს, დაიბნევა, დაფრთხება და აირ-დაირევაო*.

. . . . . .

ომი დაიწყო.

გაალმასებით ეკვეთნენ ერთურთს ერთი ცის ქვეშ შობილნი, ერთი დედის რძენაწოვარნი, ერთ ემბაზში განათლულნი და ერთი დიდედას ხელით ჭიპმობანილნი.

„შესდექით, ძმანო უგუნურნო!“ — არ იქნა და არ გაისმა ეს შეძახილი, არც ზეციდან, არც მიწიდან.

---

* ოდესღაც (ძვ. წ. 280) ეპირის მეფე პიროსი მოიქცა ასე რომაელებთან შეტაკების დროს: ერთი თავისი თანამებრძოლი, მისებრ გოლიათი, თავისი საომარი აღჭურვილობით გაუშვა ბრძოლაში. ასე იბრძოდა „ორი პიროსი“. თუმცა კინალამ ძვირად დაუჯდა ასეთი „გამოგონება“ მეფეს: ის „გამოგონილი პიროსი“ რომაელებმა მოჰკლეს, ეპირელები „მეფის სიკვდილით“ დაფრთხნენ და უკუიქცნენ. პიროსმა მუზარადი მოიძრო და თავისი მეომრები ძლივს დაარწმუნა, რომ „ნამდვილი პიროსი“ ცოცხალი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ომის ღმერთი თახთახებდა ცის კამარაზე, სისხლის წყურვილით გახელებული.

გამხეცებით სჩეხდნენ ერთმანეთს ერთსისხლიერნი.

ძმას ძმის მოკვლა უკეთ ეხერხება, რამეთუ ძმამან ძმისა უკეთ იცის, სად უნდა დაჰკრას, რომელ ადგილზე დანაკრავი უფრო იოლად აღმოახდენს სულს.

. . . . . .

„სააკაძე!" — იყივლა ედიშა ვაჩნაძემ და ფიქრის სისწრაფით მიაშურა ლურჯა ცხენზე ამხედრებულ, შავი კურტაკით შემოსილ გოლიათ მხედარს.

„ბატონს თეიმურაზს ვახლავარ!" — დაიქუხა სააკაძემ და თვითონაც გაექანა შავ ბედაურზე აღმჯდარ, თეთრად მოკაზმული მხედრისაკენ.

ერთმანეთს შეასკდნენ „შავი" და „თეთრი" რაინდები.

შუბები შეალეწეს ერთურთს ფარებზე.

წამსვე ხმლები ამოაგელეს.

მიხვდა სააკაძე, რომ მისი მოპირდაპირე არ იყო მეფე.

დაასწრო ვაჩნაძემ და თავზე უხეთქნა ხმალი სააკაძეს. „მუზარადი გაუტეხა, მაგრამ გერში ვერ ააღებინა".

ტკივილს აღარ დაუცადა გიორგიმ. ელვასავით მოიქნია ხმალი. თავგაპობილი და უსულოქმნილი დაენარცხა მიწას ედიშა ვაჩნაძე.

„ნეტავ იმ ყმასა, თავის პატრონს რომ ენაცვალოს" — სინანულით ჩასძახა სააკაძემ მომაკვდავ ჭაბუკს.

და უმალვე რაღაც უცნაური, მანამდე განუცადებელი სისუსტე იგრძნო გიორგიმ მთელ სხეულში.

სახსრები მოშლოდა და მოსხლეტოდა, რეტდასხმული თავი უსაშველოდ დამძიმებოდა.

ბრძოლის ველი აიჭრა და ატორტმანდა მის თვალსარბიელში. თითქოს დედამიწაც დასხლტა და გაფრინდა ზეცად...

ცხენმა გაიყვანა ბრძოლის ველიდან უგონო მხედარი.

მიწამ დაითრია და ცხენიდან გადმოაგდო.

ძლივს დაიხსნა თავი გაჩეხილი და გაღრეცილი მუზარადისგან.

სიგრილემ დაჰკრა ცეცხლმოდებულ თავ-პირში.

გონი მოუბრუნდა.

ბრძოლის ველიც გასწორდა თვალსარბიელში. დედამიწამაც შეწყვიტა სრბოლა.

ეს კი ველარ გაიხსენა, როგორ გამოაღწია საომარი წრეწირიდან.

მხოლოდ ტკივილი გაიაზრა, მანამდე განუცდელი ტკივილი, — ქართველი კაცის ხელით დანაკრავმა რომ დაურბინა თავის თხემიდან ფერხთა ქუსლებამდე.

მეხი ჰქონია მკლავში იმ ქართველ ჭაბუკს!

იმ ქართველს!...

ქართველს!..

პირველად მოხვდა ქართველის ხელით მოქნეული ხმალი (ზხამიანად კი მოხვდა!).

ვინ მოთვლის, რამდენი შეხვედრა ჰქონია სააკაძეს საომარ ველზე პირდაპირი ხმლის ჯვარედინით, მაგრამ არასდროს ასე ძლიერად არავის არ შემოუკრავს, როგორც იმ ქართველმა შემოჰკრა, — მაგრამ არც არასოდეს თვითონ დაურტყამს ისე მძლავრად, როგორც იმ ქართველს დაარტყა...

ჭეშმარიტად: არავის ისე არ ემარჯვება ქართველი კაცის დამარცხება, როგორც ქართველ კაცს!..

ბრძოლის ველს გახედა.

დიდი საომარი ხელოვნებით ხოცავდნენ ქართველები ქართველებს.

წამოიწია მიწას მიკრულმა სააკაძემ.

მაგრამ ისევ არ აუშვა მიწამ.

. . . . . .

ქართველები კი გაალმასებით ჟლეტავდნენ ერთურთს.

გალომებული იბრძოდა „მეორე სააკაძე" — დავით გოგორიშვილი. ვისაც შემოჰკრა, ყველას სიცოცხლე გაჰყარა და სიკვდილი ჩაუყენა.

ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ „ნამდვილი სააკაძე" იბრძოდა მისთვის ჩვეული შემმართებლობით და საომარი ხელოვნებით.

მიუხტა თეიმურაზ მეფე. შემოეგება გოგორიშვილი „სააკაძურად". ნავარდი დაჰკრეს და ცხენები დასხლიტეს. შუბგაწვართულნი დაეძგერნენ ერთმანეთს.

ორივემ აისხლიტა ფარზე ნაძგერალი შუბი. მხოლოდ თეიმურაზი გადიზნიქა ზურგით უნაგირზე.

წამსვე მოიჭრა საამ კობიას ძე და გვერდიდან დაატაკა ლახვარი გოგორიშვილს. ეს დარტყმაც აიცდინა მესხმა რაინდმა და საპასუხოდ გამართა შუბი. გაექცა კობიასძე. გამოედევნა გოგორიშვილი.

„დამიდექ, მოურავო!“ — უკანიდან მოესმა გოგორიშვილს. ეს ზურაბ ერისთავი იყო.

შემობრუნება ველარ მოასწრო მესხმა. შიშველ ბარძაყზე უხეთქნა ხმალი ზურაბმა.

ხმლიანი ხელი წამიერად დაკოდილი ბარძაყისაკენ გაექცა გოგორიშვლს.

იმ წამსვე ხელმეორედ მოიქნია ხმალი არაგვის ერისთავმა.

მისმა მეომრებმაც მოუსწრეს და ხელის გამოღება აღარ აცალეს, ისე აჰკუწეს გოგორიშვილი.

„სააკაძე მოჰკლეს!“ — ბეღისწერის ზარივით დაერისხა ბრძოლის ველს ეს დაძახილი.

მუხლი და მკლავი მოეშალათ „სააკაძელებს“.

მუხლი და მკლავი გაათკეცებით გაუმძლავრდათ „თეიმურაზელებს“.

ბრძოლის ველი სავსებით დაიხელთავეს თეიმურაზმა და ზურაბ ერისთავმა.

თავდავიწყებით ეტევებოდა მეფე „მტრებს“ და „თავდავიწყებულმა“ ვერ შენიშნა, როგორ მოუხდა მარცხენა მხრიდან ქვიშხეთელი აბაშიძე. მოუხდა და აძგერა შუბი.

მაინც გულიდან ფარით აისხლიტა იარაღი მეფემ.

მაგრამ დანაკრავი მაინც უსისხლოდ არ მოსცარვია აბაშიძეს. შუბი მარცხენა მკლავში შეურჭო და შეატოვა მეფეს და თვითონ წამსვე გაექცა სამაგიერო სისხლის დაჭცევას.

ფიცხლავ შეუკრეს ჭრილობა მეფეს. ბრძოლიდან მაინც არ გავიდა ბრძოლით გახელებული თეიმურაზი.

(ამ დღეს იყო იგი ყველაზე „დიდი გმირიც“ და ყველაზე „დიდი სარდალიც“).

. . . . . .

ბრძოლა გათავდა — ბაზალეთის ბრძოლა — გლოვის სამანი ქართველი ხალხის ისტორიისა!

უძლური ხდება სიტყვა „სისასტიკე“.

განადგურებული იყო სააკაძის ბანაკი.

ქართველთა ხელით დახოცილი ქართველებით დარეცილიყო ქართული მიწა.

ვინც დაიღუპა — დაიღუპა, მაგრამ ვინც ცოცხალი დარჩა — მეფე, თავადი, აზნაური, გლეხი, თუ „სხვა რამ მდაბიო“ — დაუჭრელ-დაუკოდავი და სისხლდაუდენელი არავინ დარჩენილა — არც დამარცხებულთაგან და არც გამარჯვებულთაგან.

თეიმურაზ მეფემ გაიმარჯვა და მოურავი სააკაძე დამარცხდაო! — გაიძახოდნენ ბაზალეთის ცოდვისშვილები, — ზოგი აღტაცებით, ზოგიც სინანულით, და არავინ ამბობდა, რომ ამ დღეს დამარცხდა საქართველო!

სააკაძის მეომრებთან ერთად ბაზალეთის მიწაში დამიწდა დიადი მამულიშვილური განაზრახი „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა და აღორძინებისა.

არა, — გარნის ღალატიანი ბრძოლის შემდგომ საქართველო ასე სასტიკად არასოდეს დამარცხებულა!

. . . . . .

იმერელი ტყვეები მოჰგვარეს თეიმურაზს.

„ყველას თითო ყური აათალეთ და ისე გაუშვითო!“ — ბრძანა მეფემ და ერთჯერ კიდევ შეირცხვინა თავი ესოდენ უღირსი ბრძანებით.

რატომღაც ხოსია მაჭავარიანს ორივე ყურის მოჭრა გადაუწყვიტა თეიმურაზმა.

— სულ მთლიანად ნუ მომაჭრით, ნახევარ-ნახევარი მაინ ჯ შემარჩინეთ, — შეჰღაღადა ხოსიამ.

— ორივე ძირში დაათალეთ! — ჟინიანად გაიმეორა მეფემ.

ორივე ყური პირწმინდად მოჰკვეთე.

— არ მეგონა, თუ ასეთი გულპილწი იყავი! — შებღავლა უყურო მაჭავარიანმა თეიმურაზს.

გულპილწი!

იქნებ არ გაემტყუნებოდა ასეთი სიტყვის წამოძახილი დასახიჩრებულ კაციშვილს, მაგრამ არც ერთ სხვა ქართველს —

არც „უყუროს“ და არც „ყურიანს“ — მსგავსი მაყვედრებელი სახელნართაული სიტყვა თეიმურაზისთვის არ უკადრებია უფრო დიდი ბოროტების გამო:

მან — საქართველოს მეფემ — იმ დღეს ხომ საქართველო დაამარცხა!

კვლავ გათათრებული სააკაძე

ერთსა და იმავე ადამიანს გულში სხვადასხვა დემონი უზის.

სოფოკლე

ბაზალეთის ცოდვიანი მიწიდან გიორგი სააკაძე და სიკვდილს გადარჩენილი მისი თანამებრძოლები სამცხეში გაიქცნენ.

ახალციხეში მოიყარეს თავი ცოლ-შვილითა და სახლეულებით — გიორგი სააკაძემ, იასე ქსნის ერისთავმა და ქაიხოსრო მუხრან-ბატონმა. ქაიხოსროს თავისი ძმის — მარაბდის ბრძოლაში დაღუპული თეიმურაზის ცოლ-შვილიც წამოეყვანა სამუხრანოდან.

თათბირად დასხდნენ და ძალიან მალე გადაწყვიტეს: თურქეთში უნდა გადახვეწილიყვნენ და ხონთქარის სამსახურში შესულიყვნენ, ხოლო შემდგომ... შემდგომ, გიორგი, სააკაძის აზრით, ხონთქრისგან თურქულ ჯარს გამოითხოვდნენ და საქართველოს „დასახსნელად“ გამოუძღვებოდნენ...

ის ზამთარი სამცხეში გაატარეს.

სააკაძემ ოჯახი სამცხეს დატოვა. მხ[illegible] ავთანდილი აიყოლია — უფროსი ვაჟი და განუყრელი თანამებრძოლი.

იასე ქსნის ერისთავმა და ქაიხოსრო მუხრან-ბატონმა თავიანთი სახლობანი, თეიმურაზ მუხრან-ბატონის ოჯახთან ერთად, იმერეთს გაგზავნეს.

1627 წლის გაზაფხულზე ბაზალეთის ცოდვიშვილებმა თურქეთისაკენ გაქუსლეს.

. . . . . .

ახლა თურქეთის მიწაზე მითქარუნობს გიორგი სააკაძე. ერთ გვამ-სხეულში ორი გიორგი გლეჯს ერთმანეთს:

„რას სჩადიხარ, გზააბნეულო ადამიანო, ისევ გარბიხარ საქართველოდან?!“

„ისევ გამაქციეს და ისევ გავრბივარ“.

„ისევ სულ ერთია — გაგაქციეს თუ შენით გარბიხარ, მაინც ღალატი ჰქვია სამშობლოდან გაქცევას“.

„მე მალე დავბრუნდები“.

„მაშინაც აგრე ფიქრობდი, სპარსეთისკენ რომ მიჭენობდი, მაგრამ ეგ „მალე“ თორმეტი წელიწადი გაგიგრძელდა“.

„ის სპარსეთი იყო...“

ჰო, ის სპარსეთი იყო, ეს კი ოსმალეთია... მაგრამ რითი სჯობს შენთვის და შენი საქართველოსთვის ოსამალეთი სპარსეთს? განა ალია და ოსმანა ორივე თათარი არ არის, განა ბაბრი და აფთარი საქართველოსთვის ერთნაირი მოსისხლე არ არის?!“

„არა, ახლა სპარსეთი უფრო საშიშია საქართველოსთვის“.

„სპარსელები შენ თვითონ დაამარცხე და გადარეკე საქართველოდან და ახლა ვის წინააღმდეგ აპირებ თურქული ჯარების მოყვანას საქართველოში?“

„ტფილისში ჯერ ისევ დგანან ყიზილბაშები... ქვემო ქართლიც უჭირავთ სპარსელებს...“

„ტყუილად ცდილობ, გიორგი სააკაძევ, თვალები აუხვიო გიორგი სააკაძეს! შენ თეიმურაზ მეფის, ზურაბ ერისთავისა და იოთამ ამილახორის სისხლი გწყურია; და იმათ დასამხობად გინდა ისევ უცხოელთა ლაშქრის მიყვანა საქართველოში!“

„თუნდ აგრეც იყოს! სწორედ თეიმურაზ მეფე და მისი „მოკიდებული“ თავადობა უნდა მოისპოს, საქართველო რომ გაერთიანდეს და გაძლიერდეს!“

„მერე, ისევ საქართველოს მოსისხლე „უცხო თესლთა“ მეოხებით აპირებ საქართველოს გაერთიანებას და გაძლიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას?! განა შენს თვალწინ არ მოხდა ყოველივე, — როგორ „გაერთიანდა“ და „გაძლიერდა“ საქართველო შენგანვე არჩეული „სპარსული გზით“?! ცას შეჰღაღადებს ნახევარი მილიონი ქართველის სისხლი! აკი მაშინ თვითონ მიხვდი ცთომილებას „უცხოურ გზისა“! მიხვდი და იხსენ კიდეც შენი სამშობლო შენეული მძლავრი მკლავით და მძლავრი გონებით. მაგრამ ახლა რა ხდება! ნუთუ წინარე ცთომილებას იმეორებ და შენგანვე დახსნილ და გადარჩენილ ქვეყანას „ახალი, უცხოური გზით“ ახალ სატანჯველს უმზადებ?!“

„მე ჩემი ქვეყნის დახსნის გზას ვეძებ“.

„გარეთ ნუ ეძებ, თვითონ ქვეყნის შიგნით ეძიე!“

„ქვეყნის შიგნით არ მომისმინეს, გამანადგურეს და გამომაძევეს“.

„შენი ხალხი გაღმერთებს, დიდო მოურავო, დაუბრუნდი და მაშინვე გვერდით დაგიდგება „ყოველი ერი“.

„მალე დავბრუნდები“.

„გიჯობს, ახლავე შემობრუნდე, გიორგი სააკაძევ, დიდო ქართველო, ერთ დროს ალია-თათარო, მერე ისევ ქართველო, ახლა ოსმანთათრობაზე შემდგარო!“

მაინც მიდიოდა სააკაძე.

უცხო მიწა ფეხებს უწვავდა კაცსაც და ცხენსაც.

მაინც მითქარუნობდა, რამეთუ სატანა აჯდა საჟნიან ბეჭზე.

ისევ მიისწრაფოდა „უცხო თესლთა“ ისტორიის „შესაქმნელად“ საქართველოს ეროვნული გმირი.

. . . . . .

სტამბოლის კარი დიდის ზეიმით შეხვდა სააკაძეს. ხონთქარი მურად IV საგანგებოდ დარჩეული და მორთულ-მოკაზმული ამალით მიეგება ლეგენდარულ გურჯს.

ოდრიკალად მოიკეცა ვეება გმირი, სულთანს მუხლზე ეამბორა და მოახსენა მოწიწებით: „მე თქვენს ხმალს მოვენდევ, თქვენს ფერხთა მტვრად ვიქეც და სხვისი ყმობა გულშიც არ გამიტარებიაო“.

სახე გაებადრა მურადს. ძალიან მიხარია, რომ ჩემი ქვეშევრდომობა აგირჩევიაო, ეუბნებოდა სააკაძეს, დიდად გიმადლი, სამცხიდან და საქართველოდან ყიზილბაშები რომ

გადარეკეო; ამიერიდან შენი ყოველი სურვილის აღმსრულებელი ვიქნებიო; წყალობით აგავსებ, სამ-ოთხ საფაშოს თავისი ციხე-ქალაქებით სარჩოდ და საპატრონოდ გიბოძებო.

ცხენზე შებრძანდა ხონთქარი, გაიყოლია სააკაძე მისი ამალით ამხედრებული და მთელი სტამბოლი შემოატარა, რათა „არ მოსწყენოდა“ საქართველოს სახელოვან გმირს.

მერე ენგიჩარ-აღას (იანიჩართა „გვარდიის“ უფროსს) უბრძანა სულთანმა, ახლა შენ ეახელ დიდებულ სტუმარს და ყოველივე დაწვრილებით აჩვენე და მოახილვინეო.

ენგიჩარ-აღას მეგზურობით ქართველებმა დიდის წადნიერებით დაათვალიერეს ეს საოცარი ქალაქი, „მსოფლიოს ოქროს ჭიპი“, მისი ყოველი ღირსშესანიშნაობანი — ბერძნულ-ანტიკურიც და გვიან-რომაულიც, ბიზანტიურიც და ოსმალურიც, ქრისტიანულიც და მუსლიმანურიც.

ნახეს თოფხანები და არსენალები, ციხესიმაგრენი და ზღვისსანაპირო ბასტიონები, საციხოვანო ზარბაზნები და ზამბულაკები, ფალკონეტები და ჯაზაირები, მარმარილოს სრასასახლენი და „ლომ-ვეფხთა სადგურნი“.

ჯერ კიდევ „გაუთათრებელი“ ქართველი სტუმრები დიდის მოწიწებით შევიდნენ აია სოფიას დიდებულ ტაძარში, მსოფლიო საქრისტიანო სამლოცველოში. პატრიარქს ესტუმრნენ. მის წირვა-ლოცვას დაესწრნენ. თვითონაც გული მოიჯერეს მხურვალე ლოცვით და ლიტანიით (აქ დაიღვარა მათი უკანასკნელი „ქრისტიანული ცრემლი“).

„გათათრების“ დღეც დადგა.

ღა „გათაათრდნენ“.

ზოგს წინდაცვეთაც აღარ დასჭირვებია, რადგან „ხელმეორე თათრობაში“ შედიოდა.

ასეთი იყო თვითონ გიორგი სააკაძე.

„თათრად გააახლეს“ და ახალ სახელად მ ე ჰ მ ე დ ი დაარქვეს.

მაშ, — დგას 1627 წელი და ევროპისა და აზიის გზაკვეთილზე, ბოსფორისა და ოქროს რქის შესაყარში აღმართულა 47 წლის გოლიათი კაცშვილი, მშობელი ქვეყნისთვის მრავალჭირნახული, წრფელი მაჰულიშვილური განზრახვებით

ავსებული, მაგრამ იმავე ზრახვათა განსრულების გზათა ძიებაში ერთჯერ კიდევ ცთომილი და ხელმოცარული.

. . . . . .

თავისი მოსათხოვარი მოსთხოვა „კვლავგათათრებულმა“ სააკაძემ „თათრის ხელმწიფეს“: ჯარები უნდა მომცე საქართველოში სალაშქროდო.

— ჯერ ბაღდადი და არზრუმი უნდა გამოვგლიჯო ხელიდან სპარსელებს, — შეაგება ხონთქარმა, — გიორგი სააკაძის გმირობაც სწორედ საბაღდადოდ და საარზრუმოდ მჭირდება. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს... საქართველოში წასვლასაც მოესწრები...

. . . . . .

სულდაკნინებული გამოვიდა გიორგი ხონთქრის სასახლიდან.

დიდხანს დაეხეტებოდა სტამბოლის ქუჩებში, გულჯავრიანი, სახედაღრეჯილი და შხამიანი ფიქრებით დარეგვილი.

ერთ დღეს სტამბოლის ფრანგულ საელჩოს მიადგა და მიღება ითხოვა.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხეს ფრანგებმა.

— საქართველოს მეფის, თეიმურაზის ელჩი გახლავართ, — იყო პასუხი.

სიხარულით მიიღო საფრანგეთის დიასპანმა „ქართველი მეფის ელჩი“. დიდი დარბაზობაც გაუმართა. რაღაც ხანგრძლივი სჯა-ბაასიც ჰქონდათ.

თუმცა არავინ იცის, რაზე საუბრობდნენ ფრანგი და ქართველი, რა განაზრახი გაანდო სააკაძემ ევროპელ დიპლომატს, რა სთხოვა, რა ურჩია, რა „შეაგონა“.

ამ შეხვედრის ჟამს საფრანგეთის ელჩმა გიორგი სააკაძეს იტალიელი მისიონერები გააცნო — პიეტრო ავიტაბილე, ქრისტეფორე კასტელი და ჯაკომო სტეფანი.

თურმე ქართველთა დიდი მეგობრისა და მოყვარის — პიეტრო დელა ვალეს მოხსენებას დაურწმუნებია რომის პაპი ურბანუს VIII, გაეძლიერებია კათოლიკური სამისიონერო მოღვაწეობა საქართველოში. სწორედ ამ მიზნით მოდიოდა ეს სამი კათოლიკე ბერი, რომელთაც თან მოჰქონდათ პაპის „კათოლიკური ალერსით“ გამთბარი და დამტკბარი

ეპისტოლენი ცალ-ცალკე იმერეთ-კახეთის მეფეებისა და გურია-სამეგრელოს მთავრებისადმი.

ძალიან გაიხარეს „წმინდა მამებმა“ სააკაძესთან შეხვედრით. თურმე საქართველოში მიდიოდნენ ისინი, თეიმურაზ მეფესთან შესახვედრად. გზებზე დიდი შიშიანობა იდგა და საიმედო თანამგზავრს ეძებდნენ. სააკაძეზე უკეთესს ვის იპოვიდნენ, თუკი ეს „გოლიათი ელჩი“ საქართველოსკენ დროზე გაბრუნდებოდა.

ერთმანეთს გადაება საპატიო სადილები და მეჯლისები საფრანგეთის საელჩოში.

გიორგი სააკაძემ დაატყვევა ევროპელები — სიტყვა-პასუხით, აღზრდილობით, გონგამჭრიახობით, სიკეთით და სიქველით.

საქართველოზე ეკითხებოდნენ და — ბალღური აღტკიცებით მოუთხრობდა ქართულ მიწასა და წყალზე, ქართულ მზესა და ცაზე.

ქართველებზე ეკითხებოდნენ და — ქებადიდებით მიწაზე ფეხს აღარ უდგამდა არც ერთ ქართველს, არც მტერსა და არც მოყვარეს.

ყველაზე მეტს მაინც თეიმურაზ მეფის შესახებ გამოჰკითხავდნენ ევროპელები „თეიმურაზის ელჩს“.

„თეიმურაზს ძალიან გაუხარდება თქვენი სტუმრობა და დიდის პატივისცემით მიგიღებთ“, — ეუბნებოდა გიორგი საქართველოსკენ აღძრულ ევროპელებს და უზომო ხოტბით ამკობდა მოსისხლე მტრად გადაკიდებულ თანამემამულე გვირგვინოსანს.

მოჯადოებულნი იყვნენ ევროპელები.

ქრისტეფორე კასტელი თურმე მხატვარიც ყოფილა, — ჩაუჯდა და დახატა გიორგი სააკაძე. ერთადერთი, ჩვენამდე მოღწეული ხატი სწორუპოვარი ქართველი მხედრისა და მხედართმთავრისა.

სიმკაცრითა და კაეშნით აღსავსე სახე კაციშვილისა და ზისი მშობელი შფოთიანი საუკუნისა.

. . . . . .

სულთანმა მურად IV-მ გიორგი სააკაძეს სამმართველოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „საზრდელად“ ოსმალეთის ყველაზე დიდი „ქუეყანა“ — იკონიის, ანუ ყარამანიის ვილაიეთი უბოძა.

სტამბოლის კარზე მრავალი თურქი და გათურქებული კარისკაცი აღივსო შურით და მტრობით „გურჯი მოურავ-ბეგის“ ეგზომი პატივისა და აღზევების გამოისობით.

გიორგიმ იკონიის სამმართველოდ და საპატრონოდ თავისი ქართული ამალიდან გაგზავნა „ვინმე ხუცესი“.

თვითონ სააკაძე სულთანის ბრძანებით საომარ ველზე გაეშურა ოსმალეთის დიდი ვეზირისა და მთავარსარდლის ხალილ-ფაშას „მარჯვენა ხელად“.

1627 წლის ზაფხულში თურქები მიადგნენ არზრუმს, რომელიც ხონთქარის მოღალატე აბაზა-ფაშას სპარსელებისთვის ჩაებარებინა.

არზრუმთან გამართულ ბრძოლაში გიორგი სააკაძემ ისევ დაიგდო სწორუპოვარი სარდლისა და მხედრის სახელი. მაგრამ ხალილ-ფაშას უნიჭობისა და ლაჩრობის წყალობით არზრუმი იმ წელს ისევ სპარსელებს დარჩათ.

1628 წელს სულთანმა მურად IV-მ ხალილ-ფაშა გადააყენა და აღმოსავლეთის ჯარების სერასქერად დანიშნა თავისი სიძე (დის ქმარი), ახალი დიდვეზირი ხ უ ს რ ე ვ-ფ ა შ ა (მკითხველი გაიხსენებს: 1625 წელს ხუსრევი „აღას“ სახელით იანიჩარებს მეთაურობდა).

ამჯერად გიორგი სააკაძე ხუსრევ-ფაშას „მარჯვენა ხელი“ უნდა ყოფილიყო...

შაჰ აბასი მაზანდარანს ნადირობდა და ნადიმობდა, როცა ხუსრევ-ფაშას შემოტევის ამბავი შეიტყო. გამორჩევით, ერანის ლომი იმას შეუშფოთებია, რომ არზრუმისკენ წამოსულ ოსმალეთის სერასქერს გიორგი სააკაძე — „ბედშავი და უმადური ქართველი მოურავი“ — უდგას გვერდით.

მაზანდარანიდან შაჰ აბასი ყაზვინს მოვიდა და იქ დაისადგურა ომის სამეთაუროდ და სამეთვალყუროდ.

მაგრამ არზრუმის დანარჩუნება მაინც ვერ შეძლეს სპარსელებმა ოთხი თვის ალყის შემდგომ იგი აიღეს თურქებმა.

არზრუმის ბრძოლებისა და ეგზომ სახელოვანი ციხე-ქალაქის დაუფლების მთავარი გმირები ისევ გიორგი სააკაძე და

მისი თანამებრძოლი ქართველები ყოფილან. კიდევაც მოუხსენებიათ მურად სულთანისათვის:

„გურჯი მოურავი რომ არ ყოფილიყო, ხუსრევ-ფაშა არზრუმს ვერასგზით ვერ აიღებდაო“.

(ხოლო ხუსრევ-ფაშა ავბუნება კაცი იყო — შურიანი, ეჭვიანი და სისხლის მოყვარე, წარმომავლობით ბოსნიელი, სიყრმითგანვე გათურქებულ-გათათრებული).

იმავე 1628 წელს ხუსრევ-ფაშა და გიორგი სააკაძე არზრუმიდან სამცხეს შემოიჭრნენ და აქაური ციხე-ქალაქებიდანაც განდევნეს სპარსული ციხიონები.

არავის გაჰკვირვებია, რომ „მშობლიურ მიწაზე“ მეომარმა გიორგი სააკაძემ სავსებით დაჩრდილა ოსმალეთის დიდვეზირი და მხედართუფროსი.

გველის გორგალი ეხვეოდა გულზე ხუსრევ-ფაშას...

„მაინც ვერ მოვერიე“

1629 წლის იანვარი. მაზანდარანი. აშრიფი. შაჰის სასახლე.

შაჰ აბასი არის 58 წლისა.

და არის ავად, ლოგინად ჩავარდნილი.

მიჯინებული ინთილა დამართნოდა — მუცლის ყვანა. ჩირქი და თხრამლი სდიოდა განუწყვეტლივ და განუცადებლად განრღვეული შიგნიერიდან.

გალურჯებულ ფრჩხილებს აშტერდებოდა ხვალინდელი ბედის ამოსაცნობად.

ყოველი ფრჩხილიდან სიკვდილი უცქერდა ლურჯი თვალებით.

საბოლოოდ დარწმუნდა „ყოვლისმძლეველი ლომი“: ორი რაიმე ვერ დაეძლია ვერასდიდებით — სიკვდილი და საქართველო!..

„მაინც ვერ იქნა და ვერ მოვერიე საქართველოს!.. სიკვდი-

ლივით დაუძლეველი ყოფილა საქართველო, ხოლო სიკვდილი — საქართველოსავით დაუძლეველი!“...

ღამის და ძილის ეშინოდა, რადგან შემაძრწუნებელი კოშმარები და მოლანდებები აღრჩობდნენ წყვდიადით მოსილს, ან სიზმრად ჩათრეულს.

უსაყვარლესი შვილის, სეფი-მირზას ლანდი არ შორდებოდა და არ ასვენებდა.

სეფი-მირზა! ქართველი ქალის ნაშობი, უმშვენიერესი, უნიჭიერესი და უმამაცესი უფლისწული!

მამისგან მოკლული შვილი!

რა რომ სეფი-მირზა ისე უსამართლოდ და უგანაჩენოდ მოკლა, მის შემდგომ ერანის ტახტის მემკვიდრედ (როგორც მკითხველს ახსოვს) შაჰ აბასმა სეფის ძე გამოაცხადა — ს ა ა მ-მ ი რ ზ ა, რომელსაც ახლა ჩვიდმეტი წელი შესრულებოდა და „სამეფო კბილიც ამოსვლოდა“.

ალბათ, ესეც ბედისწერა იყო: ისევ ქართველი ქალის ნაშიერი უნდა ასულიყო ერანის ტახტზე, — საამ-მირზას დედაც და ბებიაც ხომ ქართველი ქალები იყვნენ.

ანდერძიც კარგა ხნის შედგენილი ჰქონდა შაჰ აბასს, — ანდერძი საამ-მირზას გამეფებისა.

მაგრამ დაანებებენ საამ-მირზას სპარსეთის სახელმწიფო ინსიგნიებს დანარჩენი ტახტის მოცილენი? შაჰ აბასმა შვილთაგან და შვილიშვილთაგან ზოგი დახოცა, ზოგი დააბრმავა და ზოგიც ალამუთის ციხეში ჩაჰყარა, მაგრამ იმ ბრმებსა და პატიმრებს თავიანთი „დასები“ ჰყავთ სპარსულ დიდკაცობაში...

საამ-მირზას ყველაზე დიდი მოცილე მაინც ისა-ხან ყორჩიბაშის ვაჟი იქნებოდა. ყორჩიბაში ხომ შაჰის სიძე იყო და მისი ვაჟიც შაჰის შვილიშვილი გახლდათ, თანაც ორივე მშობლის ნაკადით „წმინდა სისხლის სპარსელი“. უეჭველად სპარსელი დიდებულებიც ყორჩიბაშის ვაჟს აარჩევენ ქართული სისხლის მქონე საამ-მირზას წინააღმდეგ.

მაგრამ არსებობს უტყუარი ძალმოსილება შაჰ აბასისა, რომელიც მისი სიკვდილის შემდგომაც „უტყუარად“ დარჩება და იმოქმედებს ამ ქვეყანაზე.

ეს ძალა გახლავთ ხ ო ს რ ო-მ ი რ ზ ა, თათრად გაზრდილი ქართველი, მამით ბაგრატოვანი და დედით გლეხი, „უკვდავთ

სამეფო გვარდიის“ ყულარაღასი და ტარუღა ერანის სატახტო ისფაჰანისა, ჭკვიანი გამგებელი და უმამაცესი მხედარი...

. . . . . .

უკანასკნელად გამოიძახა შაჰ აბასმა ხოსრო-მირზა და უკანასკნელად დაუბარა ასჯერ დანაბარები:

— საამ-მირზა შენ უნდა აიყვანო ერანის ტახტზე!

— აღესრულება! — ერთჯერ კიდევ დაადასტურა თავისი აღთქმა ხოსრო-მირზამ რწმენანაჯერი სიდინჯით.

— შენს მეტს არავის ვენდობი და შენ გიტოვებ ამ ანდერძს!

და გაუწოდა ანდერძი შაჰმა ერთგულსა და „უტყუარ მარჯვენა ხელს“.

— აღესრულება! — ისევ წყნარად თქვა ხოსრო-მირზამ და ჩამოართვა ფირმანი.

— რაო, რას ამბობენ მუნეჯიბნი* — რამდენ ხანს იმეფებსო საამ-მირზა? — უცებ იკითხა შაჰმა.

— თვრამეტ თვეზე მეტს ვერ იმეფებსო, — ნირშეუცვლელად მიუგო ხოსრომ.

დიდხანს სდუმდა სახეჩამქრალი ხელმწიფე. უკანასკნელად კაჭრობდა მისი გული გველის კაჭრობით.

— თვრამეტი თვე კი არა, სამი დღეც რომ ვერ მოათიოს, მაინც საამ-მირზა უნდა იქნეს ერანის მბრძანებელი, მაინც სეფი-მირზას შვილმა უნდა დაიდგას თავზე მამამისის კუთვნილი გვირგვინი! — ჟინიანად ამოიგმინა ბოლოს.

— აღესრულება!

— გახსოვდეს, ხოსრო-მირზავ, როცა ჩემს ანდერძს გამოაცხადებ, წარბის შეხრაც თუ ვინმემ გაბედოს, სასიკვდილოდ არ დაინდო, იცოდე!

— აღესრულება!

— ტახტზე ასულ საამ-მირზას სახელი უნდა გამოუცვალო და მამის სახელი უნდა დაარქვა — ჩემი უსაყვარლესი ვაჟის სახელი — სეფი!

— აღესრულება!

— მაშ, ერანის ტახტზე ადის შაჰ სეფი!

---

*ასტროლოგნი, ვარსკვლავებზე ადამიანის ბედის მკითხველნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ხელმწიფეო!...

. . . . . .

თვალები მილულა მომაკვდავმა.

სახეზე თითქოს რაღაც სიხარული დაეფინა. ლურჯი ტუჩები აუთრთოლდა და აჩურჩულდა.

-ეს იყო ლექსი, ქართველი ქალის ტრფიალებამ რომ ათქმევინა ერთხელ შაჰ აბასს:

წაიღო შენმა სიყვარულმა გული და სული,
გავკვეთე მკერდი, სასიკვდილოდ ვარ განწირული.
არც მყობადი ვარ, არც ვეკუთვნი არარაობას.
არც მორწმუნე ვარ, არც ურწმუნო, ვარ დატანჯული.
თუ ურწმუნო ვარ, ანაფორა სად არის ჩემი,
და თუ მორწმუნე — ნეტავ ჩემი რა იქნა რჯული?
არა, არც ერთი აღარა ვარ, განვუდექ ყოველს,
მომედო ცეცხლი სიყვარულის, ვარ კერპთმსახური.
რამდენი დღეა, დავრდომილი დავდივარ ასე,
რამდენი დღეა, მოთმინება მაქვს დაკარგული.
აბას, წაიღო შენი სული ქარცეცხლმა ტრფობის,
წამებას შენსას აღარ უჩანს აწ დასასრული.

ჯოჯოხეთური მხურვალებით ეწვოდა შიგნიერი სულთ-მობრძავს. სასაზე მიკრულ ენას ვეღარ წარმოეთქვა, რა უფრო დაარწყულებდა მის უდაბნოურ წყურვილს — წყალი, ღვინო თუ... სისხლი!

და სადღაც მიშრეტილი გონების რომელიღაც კუნჭულში ისევ აშიშინდა ღვინისა და სისხლის მოყვარე მბრძანებლის საყვარელი სიტყვები:

ჩვენში ღვინო ვინა სვას, ჩვენში სისხლის სმა არის,
ჩვენში სიტყვა ვინა სთქვას, ჩვენში სიტყვა ქვა ჯრის.
ვიღას უნდა მუტრიბის ახლა ბაიათები,
უტკბილესი ჰანგები ახლა თოფის ხმა არის.

. . . . . .

უკანასკნელად გაახილა თვალი.

უკვე რიბირაბოდ ჰხედავდა ხოსრო-მირზას სახეს.

ქართველი კაცი ესწრებოდა მისი ბობოქარი საწუთროს უკანასკნელი წუთების მარცვლას.

ქართველები და საქართველო!

მთელი მისი წუთისოფელი ეს ორი სიტყვა დაჰქროდა მისი ცნობიერების სარბიელზე.

ქართველები უყვარდა და ქართველები სძულდა.

ქართველების ეშინოდა და ქართველებით იმედოვნებდა.

ახლაც ქართველი კაცის იმედად კვდებოდა.

და 1629 წლის 19 იანვარს ერანს მოუკვდა ყველაზე დიდი ალმაშენებელი, ხოლო საქართველოს — ყველაზე დიდი დამაქცევარი.

აღესრულა მომავლის საქართველოს ყოველი მომტერე-დამპყრობელის „ყველაზე დიდი მასწავლებელი".

დაკრძალეს ძველ ქალაქ ყუმში, ისფაჰანსა და თეირანს შორის.

მიჯინებულმა ფალარათმა მოინელა ნახევარი მილიონი ქართული სიცოცხლის მომნელებელი.

ხმალი და ანდერძი

ხოსრო-მირზას ხელი ნახევრად ამოწვდილ ხმალზე დაედო და ისე კითხულობდა ანდერძს.

სასახლეს გარს ადგა მისი „გვარდია" — გათათრებულ ქართველთა ჯარი.

ერანის ტახტზე ადიოდა ჩვიდმეტი წლის ხელმწიფე — შაჰ ს ე ფ ი, ქართველი ქალის ნაშობი, დიდი შაჰ აბასისა და თამარ ამილახორის შვილიშვილი.

სპარსული დიდკაცობა „წარბშეუხრელად" დაემხო ახალი გვირგვინოსნის ფერხთა წინაშე.

დაემხო, რამეთუ ანდერძს კითხულობდა სანახევროდ ხმალ-ამოწვდილი ქართველი ყულარაღასი, ხოლო სასახლე ქართველთა ჯარს მოეცვა სრულიად.

ისა-ხან ყორჩიბაში და მისი ვაჟი მოიკითხა ხოსრო-მირზამ.

მოახსენეს: ციხეში გამაგრებულა ისა-ხანი და თავისი უფროსი ძე ერანის შაჰად გამოუცხადებია.

ბოლომდე ამოაგელა ხმალი ხოსრო-მირზამ.

ქართველები გარს შემოერტყნენ ყორჩიბაშის ციხესიმაგრეს.

ავად იაზრა „მარაბდის გმირმა“ ქართველების შემოსევა. მაშინვე შიშველი ხმალი შეიბა ყელზე, უდღეურად „ნახელმწიფარი“ შვილიც ალესილი ხმალით დაუღლა და მუცელზე ფორთხვით გამოეგება სეფი შაჰსა და ხოსრო-მირზას.

ეს პირველი პატიება იყო, რომელიც სეფი შაჰმა გაიმეტა: ბიძას და მამიდაშვილს მან სიცოცხლე აჩუქა (ყორჩიბაში მისი მამიდის ქმარი იყო).

მაგრამ ეს შინაურ-ნათესავური „იდილია“ მალე საშინელი სისხლისღვრით გათავდა.

ერთ დღეს ისა-ხან ყორჩიბაშმა დიდი ნადიმი გადაიხადა. როცა სუფრაზე ბახუსი გაბატონდა, ერთმა მთვრალმა სტუმარმა ასეთი რამე წამოტორტლა:

„ვაი ჩვენ უბედურთა, ვინ ავიყვანეთ ერანის ტახტზე — სრული არარაობა!“

მერე მასპინძლის ვაჟს მიაშტერდა და იყვირა:

„აჰა, ვის დაშვენდებოდა შაჰის გვირგვინი!“

ნადიმი დამთავრებული არ იყო, შაჰ სეფიმ რომ ყველაფერი იცოდა.

მეორე დღესვე დაიბარა ის ეწაავარდნილი კაცი შაჰმა. დაიბარა და „ტკბილი საუბარი“ გაუმართა. შენს გაზრდას, ყველაფერი მიამბე, რაც გუშინ მოხდა და ითქვა ყორჩიბაშის ნადიმზეო. შაჰის „ყურადღებით“ მოხიბლული კაციც მოუთხრობდა ყოველივეს — რა ჭამეს, რა სვეს, ვინ ესწრებოდა და ვინ როგორ იქცეოდა. „კიდევ, რა ითქვა თქვენს საწაქებო ნადიზეო“, არ ეშვებოდა „დაინტერესებული“ გვირგვინოსანი.

ჭყირტი* სიტყვის მოყვარე კარისკაცმა ბოლოს და ბოლოს თქვა, მეტი არაფერი მახსოვსო.

„კარგი, თუ მეტი აღარაფერი გახსოვს, — უთხრა შაჰმა, — მე შეგახსენებ, რაც შენ წუხელის წამოროშე და ახლა ვითომ ველარ გაიხსენე: თურმე ჩემი ხელმწიფობა გენანება და ყორჩიბაშის ძის შაჰინშაჰობა გენატრება!“

---

* ჭყირტი — მოუთმინარი, არამკითხე, იხ. „ამირანდარეჯანიანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა, ტაში შემოჰკრა, ჯალათები შემოცვივდნენ და ის ენამოუვლელი კაცი იქვე საშინელის წამებით გაათავეს.

მერე შაჰ სეფიმ ყორჩიბაშის შვილებიც მიაყოლა — ტახტის მოცილე და მისი უმცროსი ძმა. ორივეს თავები დააყრევინა და მათ დედმამას გაუგზავნა.

დედამ (შაჰ აბასის ასულმა და შაჰ სეფის მამიდამ) შვილების წამებულ სახეებს დაჰხედა და „მშვიდად" თქვა: ასე დაემართება ყველას, ვინც ჩვენი ხელმწიფის ღალატს გაივლებს გულშიო.

ხოლო ისა-ხან ყორჩიბაშმა ეს შემოუთვალა შაჰ სეფის: თქვენ რომ ჩემთვის გებრძანებინათ, მე თვითონ დავაყრევინებდი თავებს ჩემს შვილებსო!

მაინც არ უშველა ქართველი ხალხის ჯალათს ასეთმა არაადამიანურმა გულმხეცობამ: შაჰ სეფის ბრძანებით ისიც უბედური შვილების კვალს გაუყენეს.

. . . . . .

ერანის ტახტი უნიჭო, უნებო, უხიაგ ლაწირაკს ეჭირა.

სახელმწიფოს ნამდვილი გამგებელი ხოსრო-მირზა იყო.

შაჰ სეფი თავის ყულარაღასსა და ტარუღას „ნამდვილ მამას" ეძახდა.

ყველა ამბობდა: ერანის ყოველი საქმე ხოსრო-მირზას ეკითხებაო. შაჰი მის დაუკითხავად წყალსაც არ გადაღვრისო.

ყველა დაჩრდილა ხოსრომ.

უნდილაძეების ვარსკვლავებსაც ჩაუქრო სხივი მისმა ვარსკვლავმა.

მაინც ხოსრო-მირზას „რჩევით და ჩარევით" ეწერა ქართველთა სახელები შაჰ სეფის ხელრთვით შედგენილ სიაში:

იმამ-ყული-ხან უნდილაძე — ბეგლარბეგი ფარსისა, ქუჰგილუ-იესა, ბაჰრეინისა და ხუზისტანისა;

სეფე-ყული-სულთან უნდილაძე, იმამ-ყულის ძე — ბეგლარბეგი ლარისა (სეფე-ყული სინამდვილეში შაჰ აბასის შვილიაო, ამბობდნენ ხალხში);

დაუდ-ხან უნდილაძე, იმამ-ყულის უმცროსი ძმა — ბეგლარბეგი განჯა-ყარაბაღისა;

ფეროხ-სულთან ქართველი — ბეგლარბეგი დარუბანდისა;

სეფი-ყული-ხან შირ-ალი ქართველი — ყორჩიბაში და ბეგ-ლარ-ბეგი არაბული ერაყისა;

ჯემშიდ-სულთან ქართველი — ბეგლარბეგი ავშარისა და ხორასანისა;

ალი-ყული-ბეგ სააკაძე, ძმა როსტომ-ხან სააკაძისა, სიძე იმამ-ყული-ხან უნდილაძისა — სპასალარი და ბეგლარბეგი თავრიზისა.

აღსრულებული სააკაძე

Nemo contra deum nisi
deus ipse
(არავინ ღმერთის წინააღმდეგ
თვინიერ თვითონ ღმერთისა).

თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა
უცხოს თემსა და მიწებსა,
შარბათიც ჰქონდეს სასმელად,
ნაღველად ამოიწებსა.

ა რ ჩ ი ლ ი

Угас великий человек.

А. П у ш к и н

მაშ, გიორგი სააკაძე მოესწრო მისი პირადი და მისი სამშობლოს მოსისხლის — შაჰ აბასის სიკვდილს.

მაგრამ ბედისწერა დიდ სიხარულს დიდი წუხილით დასწონის ხშირად.

გიორგი სააკაძის ცხოვრების ეტლიც თავაწყვეტილი სრბოლით მიელტვოდა აღსასრულის კარიბჭისაკენ.

დიახ, სიკვდილს გაახსენდა, რომ დიდი გიორგი სააკაძეც მისი შვილი იყო...

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველის გორგალი ეხვეოდა გულზე ხუსრევ-ფაშას, რამეთუ სააკაძის ტანსრული ჩრდილი ჩამოწოლილიყო სერასქერსა და სულთანს შორის.

სერასქერსა და დიდვეზირ ხუსრევ-ფაშას ცოლად მურად სულთანის დაი ჰყავდა.

ცოლიც აქეზებდა ქმარს: ყველგან გურჯი სააკაძის ქება-დიდება გაისმის, ყველას მისი სახელი აკერია პირზე; შენი ხსენება კი სულ გაქრა და დაიკარგა. სულთანიც დღენიადაგ ამას გაიძახის: სააკაძეზე უკეთესი ქვეშევრდომი არც მყოლია და არც მეყოლებაო!..

ქვა ისედაც აგორებული იყო.

მარტო ხუსრევ-ფაშას სახლეული არ უდგა კრიჭაში გიორგი სააკაძეს. მისი საბეგლარბეგოს — კონია-ყარამანიის თურქი დიდკაცობაც შურითა და მძულვარებით ზომავდა „ზვიადი გურჯის“ აღზევებას. აქაური ფეოდალები უკვე „წარმატებით“ ხლართავდნენ ხვანჯებს სააკაძის სახელის შესალახავად და ხონთქარის თვალში დასამცირებლად.

კონიელ დიდკაცთა შეთქმულებას სათავეში ედგა ვიღაც ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი (ისტორიკოსში არ აურიოთ), „ცნობილი თავისი ბრაზიანობითა და კადნიერებით“.

ფეჩევის „დასის“ რომელიღაც მოშაირე-მასხარამ ლექსი გამოუთქვა და გაუვრცელა სააკაძეს:

ღვინოს ვსვამ და გეახლები ფლავს,
გარეგნობით ვემსგავსები ხარს,
არ ვარ მოთაყვანე ცეცხლისა,
არც მუსლიმი,
არც ურია,
ვარ მირმირანი ყარამანიისა,
ვარ მოურავი გურჯისტანისა.

კონიაში დატრიალებულ ყოველ ბნელსა და უწესო საქციელს ქართველებს აბრალებდნენ.

ვიღაც მძარცველებმა ღამით სახლები დაძარცვეს, — ქართველებს დააბრალეს.

ვიღაც მაწანწალებმა ქალებს ნამუსი აჰხადეს, — ქართველებს დააბრალეს.

ვიღაც ლაზღანდარებმა ქალიშვილებს თმები გადაპარსეს, სახედარზე თავგადახოტრილები შესვეს და ხალხის თვალსასეიროდ ჩამოატარეს, — ესეც ქართველებს დააბრალეს.

კონიის სამმართველოდ გაგზავნილი „ვინმე ხუცესი“ — მოადგილე გიორგი სააკაძისა — იბრაჰიმ ფეჩევიმ სრულიად უმიზეზოდ შეიპყრო და ციხეში ჩააგდო.

იმქამად გიორგი არზრუმს იდგა სახლეულით და სანამ მის საბეგლარბეგოში დატრიალებულ ამბებს შეიტყობდა, მანამ იბრაჰიმ ფეჩევი კონიელ დიდკაცთა თანხლებით ხუსრევ-ფაშას ეწვია და წერილობით და სიტყვიერად საჩივარი გადასცა ქართველთა „უსამართლობის, სიმკაცრის, გაუპატიურებათა და ძალმომრეობათა“ შესახებ.

ხუსრევ-ფაშა ახალი დაბრუნებული იყო ბაღდადის ლაშქრობიდან. მარცხიანად დაბრუნებულიყო. ბაღდადი ვერ წაერთმია სპარსელებისთვის. ვერ წაერთმია, რადგან სააკაძე არ წაიყვანა „მარჯვენა ხელად“. ჯერ არ იცოდა ხუსრევ-ფაშამ, რას გადაუწყვეტდა ხონთქარი „ბაღდადური მარცხისათვის“.

იმ დღეს კიდევ ერთი წერილი მოსვლოდა ხუსრევ-ფაშას ცოლისაგან: ჩემი ძმა ხონთქარი შენზედ „გულში მწარად“ არისო, მოურავის გამარჯვებები კი „მწვედ უხარიაო“; მე ვიცი, მოურავის ხმალდახმალ მოკვლა „დიაღ ძნელი“ საქმეა, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება — ან უნდა მოჰკლა, ან უნდა შეაკვდეო; ნუ დაგავიწყდება, რომ „ჯერ ისევ“ დიდი ვეზირი და ხელმწიფის დის ქმარი ბრძანდებიო...

„ჯერ ისევ!“ — ეს მუქარა იყო, — მუქარა მარტო ცოლისა კი არა, არამედ — ხონთქრის დისა.

ერთი მიზეზიც „ეშოვნა“ ხუსრევ-ფაშას გიორგი სააკაძის გასაწადგურებლად: ვიღაცა იტყობინებოდა, სააკაძე საქართველოში აპირებსო „გაპარვას“, ჯერ „დადიანის ქვეყანაში გაიქცევაო“ და იქიდან ქართლში გადააღწევსო...

ხუსრევ-ფაშა ამჯერად არ სტყუოდა. გიორგის მართლა ჰქონია გულს ამოჭრილი საქართველოში დაბრუნება.

. . . . . .

ხუსრევ-ფაშამ ანატოლიის ბეგლარბეგს ზ ო რ-ფ ა შ ა ს უბრძანა, სასწრაფოდ ჯარით გაეშურე, გიორგი სააკაძე და მისი ქართველები შეიბყარი და მომგვარეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგის უკვე ჩაესწრო კონიაში.

ავთანდილიც თან ახლდა.

მამა-შვილს ჩასვლისთანავე დაახვედრეს დიდი ვეზირის საშფოთარი ბრძანების ამბავი.

გიორგიმ ნასწრაფევი თვალით გადათვალა ქართველთა რაზმი.

ხუთი ათეულიც არ იკვრებოდა.

მაშინვე გამოიყვანა კონიიდან გიორგიმ ამხედრებული გუნდი.

თავი მისცეს მთასა და ბარს, ტყესა და მინდორს, კლდესა და ღრეს. მიჰქროდნენ გახელებით, უგზო-უკვლოდ, უმისამართოდ.

გავეშებული მისდევდა ზორ-ფაშა თურქული ათასეულებით ორმოც-ორმოცდაათ ქართველს.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა გიორგი სააკაძემ არ იცოდა საით მიდიოდა.

არ იცოდა, რადგან სამუდამოდ დაჰკარგვოდა მისი ცხოვრების საგზური ნიშანსვეტი — საქართველო!..

თმა-წვერი სავსებით გასთეთრებოდა.

სისხლი დაჰქანცვოდა და დაუძლურებოდა...

მდევრები დევნილებს წამოეწივნენ.

სუსტი შებრძოლება, ამაო გაბრძოლება და ყველანი შეიპყრეს.

ხუსრევ-ფაშა ჰალაბში (ალეპო) ელოდებოდა ბორკილდადებულ სააკაძეს და მის თანალტოლვილებს.

. . . . . .

1629 წლის 3 ოქტომბერი. ქალაქი ჰალაბი.

ზედ კარვის ზღურბლზე ზის ოსმალეთის დიდი ვეზირი და სერასქერი ხუსრევ-ფაშა.

იანიჩარებს მოჰყავთ გიორგი სააკაძე.

ხელ-ფეხი მძიმე ჯაჭვებით შეუკრავთ.

ტანზე ყვითელი ხალათი აცვია სასიკვდილოდ განაწირს.

თვალებიც თითქოს ჩანაცრებია, — თვალები, ერთ დროს მზის დამკორტნავი.

ხელმარჯვნივ — უფროსი ძე, ავთანდილ სააკაძე მოჰყვება მამას.

ხელმარცხნივ — ქაიხოსრო მუხრან-ბატონი და იასე ქსნის ერისთავი.

ესენიც ყვითლად მოურთავთ წითლოსან ჯალათებს.

მათ უკან ყვითელ ფერზე ჩაგუბებულა ორმოცი ქართველი.

ფეხქვეშ უცხო მიწა გარინდებულა, თავზე უცხო ზეცა გადმომხობილა.

. . . . . .

„ბიჭო გოგია! ბიჭო გოგია! ბიჭო გოგია!“

ღმერთო დიდებულო! საიდან მოფრენილა ეს ჩიტი?!

გოგია... გოგი... გიორგი!

ყრმობითგან ესმოდა სააკაძეს „მისი ჩიტისგან“ ნაძახური „მისი სახელი“.

მაგრამ საქართველოში ესმოდა, მხოლოდ საქართველოში!

„ბიჭო გოგია!“

გოგია!

გოგი!

გიორგი!

ხოლო, ახლა აქ, საქართველოდან გადმოვარდნილს!.. საიდან, როგორ?!

ბიჭო გოგია!

— ბიჭო ავთანდილ!

— რა იყო, მამა?

— გესმის, შვილო?

— მესმის, მამა!

— აბა, შენ იცი, შვილო!

— ნუ გეშინია, მამა!

— მშვიდობით, შვილო!

— მშვიდობით, მამა!

— იქ, პაატასთან, საქართველოში!

— ჰო, მამა... ჩვენ ყველანი იქ... საქართველოში!

. . . . . .

— ყველას თავები დააყრევინეთ! — თქვა ხუსრევ-ფაშამ.

ყველას დაასწრო გიორგი სააკაძემ: ჯალათს მივარდა, მის წინ ოდრიკალად მოიკეცა და „წარუპყრა ქედი“ (ალბათ, შე-

შინდა მარად გულშეუძვრელი მოურავი — ძვილის სიკვდილი არ იხილოსო ჩემმა თვალებმა“).

არ დაამადლა ჯალათმა და...

და გიორგი სააკაძის თავი დაეცა!

ტანი შეუჟრჟოლდა დედამიწას.

გული შეუტბორდა საარაკო ვაჟკაცის სისხლით.

პაატა სააკაძის სამარტვილე შეიძრა ერთაწმინდაში.

წამსვე ავთანდილ სააკაძის მშვენიერი თავი და ახოვანი სხეული ცალ-ცალკე დაეცნენ განკვეთილი მამის გვერდით.

მერე იასე და ქაიხოსრო დაენარცხნენ თავტანგანშორიებულნი.

ზედიზედ ცვიოდა ქართველთა თავები.

ყოველ დაკვრაზე ხმამაღლა ითვლიდა დაგორებულ თავს ჯალათი-იასაული.

სააკაძის რაზმში ყოფილა მამა-შვილი — გორგასალი და ბეჟანი. სიკვდილი მარტო შვილისათვის მიესაჯათ — ბეჟანისათვის. როცა ჭაბუკი წამოაჩოქეს, მივარდა გორგასალი იასაულს და შეჰღაღადა: ნუ მომიკლავ შვილს, მის მაგივრად ჩემი თავი მიათვალე წარკვეთილ თავებს და სამაგიეროდ, რაც ოქრო-ვერცხლი შემომრჩენია, შენთვის მიბოძებიაო.

შეიწყნარა ჯალათმა მოხუცი მეომრის თხოვნა (ან რა ენაღვლებოდა, თუკი თავების სათვალავი არ დაკოჭლდებოდა“), ქრთამი აიღო და შვილის ნაცვლად მამას დააგდებინა თავი.

. . . . . .

სულთანი მურად IV რისხვამ აიტანა, როცა ხუსრევ-ფაშას ასეთი თვითნებობისა და გიორგი სააკაძის სიკვდილის ამბავი შეიტყო.

ჯერ ბაღდადში ნაწვნევი მარცხი არ ეპატიებინა ხონთქარს დიდვეზირისთვის და ახლა კიდევ ეგზომ „საჭირო და საყვარელი გურჯის“ დაუკითხავად სიკვდილით დასჯა!

მაშინვე დიარბექირის ბეგლარბეგს — მ უ რ თ ა ზ-ფ ა შ ა ს ფირმანი გაუგზავნა: ხუსრევ-ფაშას დაეცი, თავი გააგდებინე და სტამბოლს გამომიგზავნეო!

მურთაზა-ფაშა გათათრებული ქართველი იყო, სამცხელი ათაბაგების გვარგუჯაბიდან.

და „დიდის სიამოვნებით“ დააგდებინა თავი დიდი სააკაძის ჯალათს მურთაზამ...

. . . . . .

ვაგლახ! მას სჯერა ეს ზღაპარი,
რომ მის სამშობლოს
გამოიხსნის გადამთიელი.

ბ ა ი რ ო ნ ი

ალარ იყო ამქვეყნად გიორგი სააკაძე.

აღსრულებულიყო — შობითგან 49 წლისა.

„სიკვდილი გიორგი სააკაძისა“! — გამორჩეული ელვანთხევით გაჰკვეთა ცისგვამი ამ დაძახილმა.

აღსრულებულიყო გულით მუდამ წრფელი უდიდესი მამულიშვილი.

მისი მამულიშვილური გულწრფელობა შეურყეველი იყო თუნდაც იმ თხუთმეტწლიანი „ორთათრიანობის“ („ალია-ოსმანობის“) ჟამსაბრუნავშიც.

გულწრფელობა-მეთქი!

რამეთუ სულ სხვა იყო მისი ცალკეული პოლიტიკური ცთომილობანი.

უაღრესად კეთილშობილური და გრანდიოზული იყო მისი განაზრახი „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა და აღზევებისა, მაგრამ ამდენადვე უმართებულო და უნიადაგო იყო ამ უზემოეს განზრახულობათა განხორციელების გზები და საშუალებები.

მას ბავშვის სიწრფელით სჯეროდა, რომ მისი სალოცავი საქართველოს გადარჩენა, გაერთიანება და გამძლავრება სწორედ ქართველი ხალხის მომტერე „უცხო ძალების“ საშუალებით შეიძლებოდა.

სწორედ ამ „უბედურ წინააღმდეგობათა“ წყალობით იყო, რომ სააკაძის ბევრ თანამედროვეს (ზოგჯერ ჩვენს თანამედროვესაც) უცხოეთის გზებზე მისი „სამამულიშვილო ძიებანი“ სამშობლოს ღალატად და რენეგატობად ეჩვენებოდათ.

ეჩვენებოდათ, რამეთუ დიდი მჭედელი მშობლიური ისტორიისა ხშირად საკუთარი სამშობლოს მოსისხლე „უცხო თესლთა“ ისტორიასაც სჭედდა თავგამოდებით.

აღსრულებულიყო ქართველი გმირი, რომლის აკვანს ვახტანგ გორგასალისა და დავით აღმაშენებლის აჩრდილები არწევდნენ. მისმა მხედრულმა შემმართებლობამ და სარდლურმა ნიჭიერებამ ააღორძინა, განადიდა და უზემოესი რწმენის სიმაღლეზე აღამაღლა ქართული სული. თუმცა მას აკლდა უტყუარი გერშიანობა საკუთარ ხალხში „შინაგან ძალთა“ გამონახვისა, რაის უნარიც ისე ჭარბად გააჩნდათ დავით აღმაშენებელსა და გიორგი ბრწყინვალეს.

აღსრულებულიყო დიდი ქართველი გენერალი, რომელიც დავით აღმაშენებლის ჟამს ამირსპასალარობას დაიმშვენებდა, ხოლო ნაპოლეონი მისთვის ფელდმარშლობას არ დაინანებდა.

ვინ იცის, რამდენს შერჩა (და შერჩება) ქვეყნისა და ხალხის ღალატი; ხოლო სააკაძეს, უნებლიედ თუ რამე შეცდა, იმ ცთომილობამ ყველაზე მეტად თვითონ მას და მის სისხლიერ მონაგარს ავნო. ორი ვაჟკაცი შვილი უყოყმანოდ გასწირა და თვითონაც მთელი წუთისოფელი ჯვარზე ეკიდა სალოცავი საქართველოსთვის.

რამდენ მოღალატეს ერგო პატივად ნაღალატევ მშობლიურ მიწაში განსვენება, ხოლო სააკაძის ტანჯულსა და წამებულ სხეულს არ იქნა და არ ეღირსა მისგანვე გაღმერთებულ ქართულ მიწაში დამიწება.

არც ბრძოლის ველზე გმირის სიკვდილით სიკვდილი ჰღირსებია საომარი თალპიონის სწორუპოვარ ხელოვანს.

აღსრულებულიყო დიდი ქართველი წმინდანის — პაატა სააკაძის მამა.

აღსრულებულიყო ღვიძლი შვილი უბოროტესი დრო-ჟამისა, მშვენიერი, სპეტაკი სულით, მაგრამ ავი დროის სახიჩარი დანაშრევებით და ზადიერებით.

მთელი ოცდაათი წლის მანძილზე გვერდი-გვერდ იდგა ეს ორი ჯვარცმა ქართულ გოლგოთაზე — გიორგი სააკაძე და თეიმურაზ მეფე, ზოგჯერ — ურთიერთჭირისუფლობით ცრემლდამდინარნი, ზოგჯერ ურთიერთმომტერენი და სისხლმათხევარნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლიერმა და დიდსულოვანმა ქართველმა ხალხმა თან გააყოლა „დიდის“ თიკუნი — „დიდი მოურავი“, ვითარცა დიდი ვახტანგ, დიდი დავით, დიდი თამარ, დიდი გიორგი, დიდი ლუარსაბ, დიდი სვიმონ.

მისი ბობოქარი სახე საქართველოსა და წინა აზიის სისხლიანი ისტორიის ჩარჩოში გამორჩევით გამოიკვეთა და გაქვავდა.

ა ზ მ ა მ ე ს ა მ ე

დიდი ხეების საგოდებელი

კათოლიკური ეპისტოლენი

ალარ ჰყავდა საქართველოს გიორგი საკაძე.

მარტო დარჩა თეიმურაზ მეფე ქართული გოლგოთის ჯვარზე გალურსმული...

შაჰ აბასისა და გიორგი საკაძის სიკვდილამდე ორი წლით ადრე თეიმურაზმა სპარსეთიდან მიიღო მისი წამებული დედის ნაშთები — თავი და ხელ-ფეხთა მტევნები, კათოლიკე ბერებმა ჩამოიტანეს — ა მ ბ რ ო ზ ი ო დ ო ს ა ნ ჯ ო ს მ ა და პ ე დ რ ო დ ო ს ს ა ნ კ ტ ო ს მ ა.

ქეთევანის ძვალთა სხვა ნაწილები, ვითარცა უწმინდესი რელიკვიები, ინდოეთში ქალაქ გოაში წაუსვენებიათ და იქ მოუთავსებიათ დაგრასას მონასტერში.

გორში მიიღო თეიმურაზმა ევროპელი სტუმრები, დიდის პატივითა და სიხარულით. ერთხელ კიდევ მოიტირა მეფემ თავისი წამებული დედა და შვილები. ქეთევანის ნაშთები ძვირფას კუბოში ჩაასვენა და ალავერდის ტაძარში დაკრძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წელს ხორეშან დედოფალი შექნილიყო მძიმე ავადმყოფი. ისიც ამბროზიომ ლა პედრომ მოარჩინეს და ეს „სასწაული“ თვითონ პატრებმა იესო ქრისტეს მიაწერეს.

„ახლა დიდ მადლობას ვსწირავ ღვთის სახიერებას, რომ მომივლინა ჩემს სამეფოში ორი კაცი, რომლებიც წმინდა კოზმასა და დამიანეს მსგავსად ჰკურნებენ ყოველთა სნეულებათა!“ — იძახდა თეიმურაზი ცრემლთა ღვარღვალით.

1628 წელს მრავალ ჭირთა დაძლევითა და ჭაბანწყვეტით საქართველოში ჩამოაღწიეს იტალიელმა მისიონერებმა. ისინი ეწვივნენ და რომის პაპის წერილები გადასცეს გურიელს, დადიანს, იმერეთის მეფეს და ბოლოს თეიმურაზს ეახლნენ გორის მახლობლად რომელიღაც სოფელში.

საჩუქრები მიართვეს თეიმურაზს ევროპელებმა. თეიმურაზმაც „დიდის პატივით“ მიიღო „წმინდა მამანი“.

მიუახლოვდა „მშვენიერ ტახტზე მჯდომარე“ მეფეს პატრი ჯ ა კ ო მ ო ს ტ ე ფ ა ნ ი და მოახსენა:

„დიდსულოვანო და დაუძლეველო მეფევ, რაოდნიდანაც დიდად შევსწუხდით რომის პაპთან ერთად შევიტყვეთ რა ყოველი უბედურება, რომელიც დაატყდა თავს თქვენს დიდებულებას და თქვენს ქრისტიანე სამეფოს, ეგოდონათ ახლა უფრო მოხარული ვართ, რომ განვლო იმ საშინელმა დრომ, აღმობრწყინდა სიმშვიდე და ღვთის მოწყალებით კვალად დაეპატრონეთ თქვენს დაკარგულს სამეფოს. მართალია, დიდს განსაცდელში შთავარდით, გარნა გამოიჩინეთ დიდი სიმხნე და ხასიათის სიმტკიცე; ესეთი თქვენი თვისება ღირსია ქებისა და დიდებისა. გარნა ყოველი დიდება უნდა მიეგოს ღვთის ძრიელ მკლავსა, რომელმაც თქვენ მოგცათ ძალა და გაგამხნევათ. ნუნციოდ წარმოგზავნილი ვართ თქვენის დიდებულებისადმი რომის პაპისაგან, რომელმაც მოგვანდო მის შვილად გცნოთ და თქვენგან მოვიპოვოთ ეს წყალობა და უფლება, რომ უშიშრად დავრჩეთ თქვენს სამეფოში და ვიქადაგოთ კათოლიკე სარწმუნოება. აქ განძის საძებნელად და გასამდიდრებლად არ გხლებივართ; ჩვენი ფიქრი, ჩვენი საუნჯე და ჩვენი მიზანი არის მხოლოდ ზრუნვა ხალხის ცხონებისათვის. ღვთის შემწეობით იმედი გვაქვს ჩვენს საწადელს ვეწიოთ, თუ თქვენც თქვენის ძრიელი მფარველობით და გულკეთილობით შეგვეწევით“.

ეს სიტყვა დაასრულა ჯაკომო სტეფანიმ და მაშინვე პ ი ე ტ რ ო ა ვ ი ტ ა ბ ი ლ ე მ რომის პაპის ეპისტოლე მიართვა თეიმურაზს. წერილში ეწერა:

„პაპი ურბანუს მერვე, თეიმურაზს, კახეთის მეფეს.

კეთილშობილო მეფევ, მშვიდობა და ღვთის წყალობის ნათელი! საქართველო, ეგრეთ უხვი და თვალუწვდენის ტყეებით და დამშვენებულის ჭირნახულით, მალე მოირწყვის დაუშრეტელი წყაროს წყლით, უკეთუ გამოიღო ნაყოფი, რომელსაც ევროპა და რომი მოელის. ჩვენ გვრწამს მომავალი მისი ბედნიერება. გიგზავნით ღვთიურ მეცნიერებაში განსწავლულ მღვდლებს, რომლებიც სხვას არას ნატრობენ, თუ არ ერის გაბედნიერებას. უკეთუ ესენი თქვენს ქვეყანაში დაადგინეთ, თქვენი მამობრივი მფარველობა არ მოაკელით და თუ თქვენმა ერმაც გულმოდგინებით მოუსმინა მათ სიყვარულით სავსე სიტყვები, მაშინ ჩვენთა მეფეთა საპატიო და ეგოდენთა გვართა სამკვიდრებელი რომის ქალაქი დიდად და უზომოდ დავალებული იქნება თქვენგან. იტალიისათვის დიდად სასიქადულოა, რომ კახეთის მეფემ მოუსმინოს რჩევა მღვდლებს, რომელთაც უნდა განამზადონ გზანი უფლისანი და წრფელჰყონ ალაგნი მისნი. როგორა გგონიათ, კეთილშობილო მეფევ? განა ცოტა რამეა ის სიკეთე, რასაც ჩვენი მღვდლები თქვენის დიდებულებისაგან მოელიან, ეგრეთვე რომის ქება და უმაღლესის მწყემსის მომადლიერება? უკეთუ თქვენი უმაღლესი ნიჭი ნატრობს დიდებას, ცხადია, არაფერს დაზოგავთ, რათა თქვენი სახელი იქოს და იდიდოს ქრისტიანების დედა ქალაქსა და ყველა ტომთა საერთო სამშობლოში. რადგან თქვენის სამსახურით, რომელსაც მოგვაგებთ, ღირსი შეიქმნებით ყოვლის მპყრობელის განსაკუთრებულის მფარველობისა, იმ ყოვლის მპყრობელისა, რომელიც თავისად რაცხს ყოველ სამსახურს, რასაც კი მიაგებენ უცხოთა და გლახაკთა, ეგრეთვე ჩვენც დაუცხრომელად ვილოცავთ უფლის მიმართ, რათა გაგიღოს ზეცის კარი, გიწინამძღვროს თავისი სჯულის გზით და შემდგომ მოგაგოს უკვდავების და გამარჯვების სუფევა. თქვენი ერიც დიდად კმაყოფილი დარჩება ამ მღვდლებისგან, რადგან ესენი ევროპიდგან აზიას კი არ მოდიან, სიმდიდრე ანუ შეძლება რამ შეიძინონ, არამედ მათი მიზანი და ნატვრა მარტო ერის ბედ-

ნიერება და მეფეთათვის დიდების შეძენაა. ოჰ! რაოდნათ ბედნიერი შეიქმნებით, უკეთუ ეცდებით, რომ თქვენმა ქვეშევრდომმა ერმა მოისმინოს მათი სასარგებლო მოძღვრება, რომელიც ამოღებული აქვსთ მკერდიდგან, და რომელსაც შეუძლია კაცი ანგელოზად აქციოს და ქვეყანა სასუფევლად შესცვალოს. რომამდე მოაწია ყველა თქვენი უბედურების ამბავმა და მასთანვე მოგვითხრეს საოცარი და შეუდრეკელი სიმხნე, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ. ეგრეთვე ვუწყით, თუ რაოდენი სიმტკიცე სარწმუნოებისა გამოიჩინა დედა თქვენმა, რომელმაც ქრისტიანობაზე ხელის აღებას თავისი სამეფოს დაკარგვა და სიკვდილი არჩია. მაშ, ეგოდნად განთქმული დედის შვილო და ეგოდენთა განსაცდელთა მძლეველო, მოუსმინეთ ჩვენს მღვდლებს ყოველი რჩევა, რომელსაც მოგახსენებენ სარწმუნოების სახელით და რომელიც შეიქმნება მშვენიერი სამკაული თქვენის განუდრეკელი მხნეობისა. ხოლო ჩვენის სამოციქულო კრებულით ჩვენც დიდად ავამაღლებთ თქვენს სახელს და ვევედრებით ღმერთს, რომ მოსცეს მხნეობა და ძლევამოსილება თქვენს მხედრობას, რათა გამარჯვებული ქვეყნიერს მტრებზე, გვირგვინოსანი წარსდგეთ საუკუნო ბედნიერების მამულში".

თეიმურაზმა სიხარულით მოისმინა პაპის ეპისტოლე. მერე აიღო და, „კრძალვისა და პატივის გამოსაცხადებლად", წერილი იგი „თავზე დაიდო".

რამდენიმე დღე თავისთან იყოლია მეფემ ევროპელი ბერები, მათთან სადილობდა, საუბრობდა, ევროპის ამბებს გამოიკითხავდა... ბოლოს მისიონერებს მეფემ გორში გაუჩინა ბინა და „საზრდელი", აჩუქა მათგანვე არჩეული ადგილები, სოფლები და ყმები. კათოლიკე პატრებმა კათოლიკური ეკლესიაც ააშენეს, ადგილობრივ ხალხსაც გაეცვნენ, შეეთვისნენ, ქართული ენაც შეისწავლეს და ფართო საქრისტიანო მოღვაწეობაც გაშალეს.

თვითონ „წმინდა მამები" მოხიბლული იყვნენ ქართველი მეფის „შინა და გარე" თვისებებით და აღფრთოვანებულნი ატყობინებდნენ ევროპას: ძალიან ლამაზი კაცი არის თეიმურაზი — თეთრყირმიზი, დიდრონი თვალებით და ნახატი ცხვირით, საშუალოზე უმაღლესი ტანისა; მშვენივრად იცის ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული, სპარსული, თურქული და არაბული ენები და ყველა ამ ენაზე შეუძლია დიდებული მჭევრმეტყველება; არის ფრიად თავაზიანი და დახვეწილი; არის საუკეთესო პოეტი; არის ყოველ საქმეში ძალზედ ნიჭიერი და მამაცი მხედარი: ბედს რომ არ ეღალატნა, მისგან დიდი მხედართმთავარი დადგებოდაო...

ისევ უცქერდა იმედის თვალით დასავლეთის საქრისტიანოს თეიმურაზი.

ჯერ კიდევ 1626 წელს მეფემ ევროპაში გაგზავნა ნ ი კ ო ლ ო ზ-ნ ი კ ი ფ ო რ ე ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ-ი რ უ ბ ა ქ ი ძ ე, დიდად განსწავლული საეკლესიო მოღვაწე, დიპლომატი და პოლიტიკოსი, „ბრძენი ფილოსოფოსი და რიტორი". იგი იყო შვილი ომან ჩოლოყაშვილისა და უმცროსი ძმა სახელოვანი სარდლისა და პოეტის — ქაიხოსრო ჩოლოყაშვილ-ომანიშვილისა (მკითხველს ემახსოვრება ქაიხოსრო—„შინაური კაცი" ქეთევან დედოფლის წრეში, თეიმურაზმა რომ სიკვდილით დასაჯა, ვითომცდა შეთქმულების მომიზეზებით). მშობლებს ყმაწვილი იტალიაში გაუგზავნიათ სასწავლებლად. თორმეტი წელიწადი ბერძნულ სკოლაში უსწავლია. რომში ბერად აღკვეცილა, საერო სახელი ნიკოლოზი შეუცვლია და სასულიერო — ნიკიფორე დაურქმევია. იგი ჩოლოყაშვილების ძველ ბუდე-გვარს — ი რ უ ბ ა ქ ი ძ ე ს ატარებდა და აქედანვე გამოიყვანეს ევროპელებმა „ბრძენი ქართველი ფილოსოფოსისა და რიტორის" ახალი გვარ-სახელი — ნ ი კ ი ფ ო რ ე ი რ ბ ა ხ ი. 1608 წელს, დავაჟკაცებული და დიდი ცოდნით დატვირთული დაბრუნებულა საქართველოში. თან ჩამოუყვანია პატრი გ ვ ი ლ ე ლ მ ო, იტალიელი კათოლიკე მისიონერი და მოგზაური.

პოლიგლოტი ...ლა ნიკოლოზ-ნიკიფორე. ათი ენა სცოდნია სრულად და პირწმინდად: ბერძნული, იტალიური, ფრანგული, ესპანური, რუსული, არაბული, თურქული, სპარსული, ქართული, მეგრული.

ცამეტი წელიწადი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პალესტინაში...

მაშ, — 1626 წელს თეიმურაზმა ნიკიფორე ჩოლოყაშვილი რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან გაგზავნა, სპარსეთის წინააღმდეგ დახმარების სათხოვრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესინაში (სიცილიაში) რომ ჩავიდა, იქ ნიკიფორეს იტალიელი მისიონერები შემოხვდნენ — პიეტრო ავიტაბილე და ჯაკომო სტეფანი, რომლებიც თურმე თვითონ მიეშურებოდნენ საქართველოში რომის პაპის წერილებით.

საქართველოში მომავალი ბერები დიდი სიხარულითა და პატივისცემით შეხვდნენ ევროპაში მიმავალ „ქართველ ძმას". პიეტრო ავიტაბილემ ნეაპოლისაკენ მიმავალ ჩოლოყაშვილს ბევრი სასიკეთო რჩევა მისცა; თავის მხრივ ქართველმაც მრავალი სასარგებლო ცნობით „მოამარაგა" მისი სამშობლოსკენ მომავალი ევროპელები. ერთმანეთს დაშორდნენ.

მკითხველს ახსოვს, როგორ იმგზავრეს იტალიელმა ბერებმა სიცილიიდან საქართველომდე, — როგორ შეხვდნენ სააკაძეს სტამბოლში და, ბოლოს და ბოლოს, როგორ მოაღწიეს თეიმურაზის კარამდე...

ხოლო ნიკიფორე ჯერ ნეაპოლს ჩავიდა, იქიდან ესპანეთში გაეშურა, მადრიდის სასახლეში მეფე ფილიპე IV-ს ეწვია და თეიმურაზის წერილი გადასცა.

ფილიპემ და მისმა სადარბაზომ ქართველი მეფის თხოვნა მოსმენით მოისმინა, მაგრამ შესმენით არაფერი შეისმინა. ქართველ ელჩს გზის ფულად ათასი სკუდი უბოძა და ისე გამოისტუმრა. ეს იყო და ეს.

ესპანეთიდან იტალიაში დაბრუნდა ნიკიფორე. რომში მივიდა და პაპ ურბანუს VIII-ს წარუდგა თეიმურაზ მეფის წერილით.

წერილში ეწერა:

„რომის დიდს მწყემსსა.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. აღვიარებთ და თაყვანს ვცემთ იმავე ერთარსებას, ერთს ღვთაებას და ერთს სუფევასა. სიხარულით სავსე მოგმართავთ და ვისწრაფვით თქვენის სიწმინდისადმი, რადგან სარწმუნოება და სწავლა-მოძღვრება, რომელიც მოციქულებმა ასწავეს, გაუხრწნელად დავიცავით და ეგრეთვე კვალად აღვედით ჩვენს ივერიის სამეფო ტახტზე. აღმოსავლეთიდგან გწერთ რომს, საიდგანაც, როგორც მზე დიდად ბრწყინავთ და ანათებთ მთელს ქვეყანას და, ვითარცა ქერაბიმი და სერაბიმი, სჭვრეტთ ყოვლად წმინდა სამებასა, ეგრეთვე ჰფენთ სოფლად ნათელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ღვთის მიერ ღებულობთ: თქვენ ხართ პატივი ქრისტესი და საფუძველი სარწმუნოებისა, რაც წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ჰქადაგეს, თქვენ ყოველივე უწყით. პეტრემ განასწავლა სოფელი და განაბრწყინა. ესევე ვალდებულება გადევსთ თქვენ. აღჭურვილი ერთისა და იმავე ძალითა თქვენ ხართ ყველაზე უდიდესი და უმეტესად ამაღლებული მწყემსი. ამ წერილით მოკრძალულნი წარვსდგებით თქვენს წინაშე და რიდითა და მისალმებით ვემთხვევით თქვენს მოციქულებრივ ფერხთა, ვინაიდგან ყველას უკვდავების წყალს ასმევთ საუკუნო ცხოვრებისათვის. ვითხოვ თქვენგან კურთხევას და ცოდვების შენდობას, რადგან თქვენ ხართ სვეტი სარწმუნოებისა, მთავარი მთელი ქვეყნისა და უპირველესი საყდარი ყოველთა. დარწმუნებული ვართ, რაც უნდა გთხოვოთ, ყოველსავე სიამოვნებით მოგვანიჭებთ. ღვთის შეწევნით და თქვენის უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით მივიღეთ მეფობა. აწ გთხოვთ, თქვენის ბრძანებით დაგვამტკიცოთ. ჩვენც ჩვენის მხრივ გპირდებით მორჩილებას და პატივისცემას. ოსმალებთან და სპარსელებთან მუდამ უთანხმოება გვაქვს და ხშირადაც ჩხუბი მოგვდის მათთან. მაგრამ ღვთის შეწევნით არც ერთ მათგანს დავემორჩილეთ. მხოლოდ თქვენი ქვეშევრდომნი ვართ. რაც გნებავსთ, გვიბრძანეთ და ყველაფერს აღვასრულებთ. როგორათაც ღმერთი მამაა ყველა არსთა, მსგავსათვე თქვენც ხართ მამა ყოველთა მორწმუნეთა. თქვენის შუამდგომლობით მსურს დაკავშირება ისპანიის მეფესთან. ამის შესახებ მას მივწერეთ: ამიტომ გევედრებით და გთხოვთ, თქვენც ეცადოთ, რათა იგი დათანხმდეს. მღვდელი ნიკიფორე მოგართმევსთ ამ წერილს, რომელიც აღვწერეთ ძრიელ მარტივად. აწ ჩვენი უდიდესი ნატვრა ეს არის, რომ შევიქმნეთ სათნო საყოფელი თქვენის უწმინდესობისა. თქვენ ხართ პირველი საყდარი და გაქვსთ უსაზღვრო ხელმწიფება. გვიბრძანეთ და ყველაფერში დაგემორჩილებით".

ასეთი მავედრებელი და გულდრუკის მკმეველი წერილის შემდგომ პატივმოყვარეობით გაბღენძილ პაპს ისღა დარჩენოდა, რომ თეიმურაზ მეფისგან პირდაპირ კათოლიკობაზე გადაყვანა მოეთხოვა.

საქართველოში გაგზავნილმა პატრმა პიეტრო ავიტაბილემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხელმძღვანელოს თეიმურაზ მეფის კათოლიკურად მონათ-
ვლასო, გამოაცხადა ურბანუს VIII-მ.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ასე ერთბაშად ქართველი მეფის „სხვა", თუნდაც „სხვა ქრისტიანულ" სჯულზე გადასვლა მრავალი საისტორიო სამანის შეცვლასა და მონაცვლეობასთან იყო დაკავშირებული. ეს შეიძლება დიდი, „სამერმისო საქმე" ყოფილიყო, ხოლო ახლა „უახლოესი მისაღწევარი" უნდა მიეღწია ქართველ ელჩს.

მართლაც ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა დიდის ნებისყოფით, მოთმინებით, დამაჯერებელი მსჯელობითა და საზრიანობით დაარწმუნა პაპი, რომ შეუძლებელი იყო ასე ერთბაშად მართლმადიდებელი მეფის კათოლიკედ მოქცევა. ბოლოს და ბოლოს, პაპმა ურბანუს VIII-მ დაწერა „ტკბილი ეპისტოლე" თეიმურაზ მეფისათვის. ნიკიფორე ჩოლოყაშვილსაც გაუმზადა პაპმა საშუამავლო წერილები — ნეაპოლის მეფის მოადგილესთან, ფლორენციის დუკა ფერდინანდ მედიჩისთან, უნგრეთის მეფე ფერდინანდთან, პოლონეთის მეფე სიგიზმუნდთან, შვეციის მეფე გუსტავ II ადოლფთან, საფრანგეთის მეფე ლუი XIII-სთან; ბოლოს ესპანეთის მეფე ფილიპე IV-საც მისწერა წერილი „ივერიის მეფის ელჩის" ხელმეორედ მიღების თაობაზე.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილი იტალიაში 1628 წლის ადრიანი გაზაფხულიდან დაზამთრებამდე დარჩა. ამ დროის მანძილზე მან დიდი ღვაწლი დაიდო რომში ქართული სტამბის შექმნისა და პირველი ქართული წიგნების გამოცემათა საქმეებში. ეს იყო ქართულ-იტალიური ლექსიკონი, 3086 სიტყვის შედგენილობით, და ქართული ანბანი, ქართული ლოცვანის თანდართვით.

დაიწყო ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ახალი „დიპლომატიური როჭიკობანი" ევროპის „დიდთა" და „მცირეთა" ხელმწიფეთა წინაშე. ყველგან პატივით, „თბილად და ტკბილად" ხვდებოდნენ, მისართმეველსაც მიართმევდნენ (ფლორენციის დუკამ მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ცხენი აჩუქა), მაგრამ საქმით ქართველი მეფის ხელის გასამართავად არც ერთ ევროპელ საჭეთმპყრობელს თითიც არ გაუნძრევია. არც ერთ

მათგანს არ სურდა სპარსეთის ან თურქეთის მტრად გადაკიდება „შორეული ქართველი მეფისათვის“.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა თავის მეუფეს მხოლოდ პაპის „მხურვალე ეპისტოლე“ ჩამოუტანა სახელმწიფო ტალანტებით უაღრესად ღარიბი მაშინდელი ევროპიდან.

თეიმურაზი მაინც მხნედ დახვდა ნიკიფორეს. უკვე მომკვდარიყო მისი ჯალათი — შაჰ აბასი. დიდი იმედებიც აღძვროდა სპარსეთის უღლისაგან სამუდამოდ თავდასახსნელად. პაპის წერილიც გულს მოეფონა მეფეს. წერილში ეწერა:

„პაპი ურბანუს მერვე, საყვარელს შვილს, საქართველოს მეფეს, თეიმურაზ ხანს.

უუძლიერესო მეფევ, მშვიდობა და ღვთის წყალობის ნათელი.

ქვეყნიერ მთავრობათა, რომელნიც საუკუნო მეფის მოხარკენი არიან, სუსტი საფუძველი აქვსთ, უკეთუ არ არიან დამყარებულნი იმ შეურყეველ კედელზე, რომელსაც ვერ სძლევენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი, როგორადაც დაამტკიცა ყოველად ძრიელმა უფალმან. ამიტომ ქრისტიანი ხელმწიფენი, რომელთაც კარგად იციან საუკუნო ცხოვრების მეცნიერება და ამ ზეციერის ცხოვრების მეცნიერებით ჰმართავენ თავიანთ სამეფოს, გამარჯვებით დაგვირგვინებულნი მოდიან რომის მღვდელთ მთავრის მოციქულებრივ ფერხთა სამთხვეველად და უცხადებენ თავიანთ შვილობრივს მორჩილებას. ძალნი ზეცისანი ამხედრებულან ახალის მთავრობის დასაცველად, ვინადგან თქვენს ხელმწიფებას აწ სურს ჩარიცხოს თავი კათოლიკე მეფეთა კრებაში. ჭეშმარიტად ღვთიური სახიერება ევლინება საქართველოს და ამისი ცხადი ნიშანიც ის არის, რომ ამ ბოლო დროს, ვითარცა მფარველნი ანგელოზნი, მოგვევლინათ მოძღვარნი და მოგიტანეს საუკუნო სიბრძნის რჩევანი. ღმერთი, რომელიც გაბნეულ ისრაელს შეჰკრებს და გაჰკურნებს ყველა ტომთა, აღარასოდეს მოგაკლებსთ თავისს მოწყალებას. ამიტომ ჩვენც მამობრივის სიყვარულით მივიღეთ საყვარელი შვილი წმინდა ბასილის მონაზონი ნიკიფორე ირბახი, რომელიც თქვენის წერილით მოგვივლინეთ მოწმად და თქვენის პირობის თავდებად. ხოლო აწ სიმდაბლით ვევედრებით ღმერთსა, რომლის ხელთა არის გული მეფეთა, რათა სანატრელი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახრული მოსცეს თქვენის უმაღლესობის კეთილს განზრახვას, რაოდენათაც შეიძლება მალე შეხვიდეთ რომის დედა ეკლესიის წიაღსა მოვლენილის ანგელოზების წინამძღვრობით. გვნებავს თქვენი ახსნა ყოველის საეკლესიო დაბრკოლებისაგან და ეგრეთვე ზიარგყოთ ეკლესიის ყოველი შენდობისა... მიუცილებლად საჭიროა იგულმოდგინოთ და იზრუნოთ, რათა ეპისკოპოსთა და მღვდელთა, რომლებიც საქართველოში ერს უვლიან სულიერად, იარონ ერთად უფლის სახლში და თქვენთან ერთად სცნონ პეტრე მოციქულის უპირატესობა და პატივი სცენ ეკლესიის ხილულ თავს, რომელიც ზის რომის საყდარსა. ჩვენ ამის უკეთეს საშუალებას არას ვხედავთ საქართველოში მშვიდობის დასამყარებლად და არც ამის უსაჭიროესს, რომ მიიღოთ ზეციური მფარველობა. ჩვენის მღვდელთ მთავრულის უფლების დიდებად ჩვენის სამწყსოს ცხონება მიგვაჩნია; ამიტომ დიდად მოხარული და გამარჯვებული ვიქნებით და ნიადაგ ვაქებ-ვადიდებთ ზეციერ მამას, თუ გვეღირსა შეტკბობა და შეთვისება მოციქულებრივის სიყვარულით თქვენებრ დიდებით და სიმხნით განთქმულის მეფისა; მაშინ შეგამკობთ ყოველის სულიერი სიკეთით, რომელსაც კათოლიკე მეფენი სააქაო მფლობელობის სახელზე უფრო აფასებენ".

. . . . . .

ყველა ამ კათოლიკური ცრემლებით დამბალი წერილებიდან ალბათ ერთი პატარა, უკიანთო ცეცხლიც არ დაინთებოდა, ზედ რომ თეიმურაზს ცოტაოდნავ მაინც მოეთბო მუსლიმანურ ომებში დამზრალი ხელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილი ზურაბ ერისთავისაგან

„ზურაბ ერისთვის დროსაო, —
სისხლის წვიმების დროსაო.“

ხ ა ლ ხ უ რ ი

ბაზალეთური ტრაგედიისა და გიორგი სააკაძის განადგურების შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოში სამი „მთავარი მესვეური“ დარჩა — თეიმურაზი, სვიმონ-ხანი (იგივე — მეფე სვიმონ II) და ზურაბ ერისთავი.

სამივეს ცალკეულად საკუთრად და განუყოფლად ეგულებოდა აღმოსავლეთ საქართველო.

თეიმურაზ მეფე, იმჟამად „ყველაზე კანონიერი და აღიარებული“ ბაგრატოვანი ხელმწიფე, მარტო კახეთს არ სჯერდებოდა და ახლა (გამორჩევით — „ყველაზე სახიფათო მეტოქის“, გიორგი სააკაძის მოსპობის შემდგომ) ქართლსაც თავისად მიიჩნევდა.

სვიმონ მეფე წარმომავლობით ბაგრატიონიც იყო და, რაც მთავარია, „სპარსეთის კაციც“. ამიტომ მას ტფილისის ქუეყანასთან“ ერთად კახეთის შემოერთებაც „არ აწყენდა“.

ამ ორ ტახტს შორის ზურაბ ერისთავი იდგა, საქართველოს „მეორე გმირი“ (რასაკვირველია, სააკაძის შემდგომ), რომელმაც თავისი „წონით“ ორი დიდი ყველაზე სანიშანსვეტო ბრძოლის სასწორი „გადასწონა“ — მარტყოფისა და ბაზალეთისა. ზურაბს ქართლ-კახეთზე „განუყოფელი“ მბრძანებლობის „საკუთარი განაზრახი“ ჰქონდა. მან კარგად იცოდა, — არც ერთ ტახტზე არაგვის ერისთავს, თუნდაც თეიმურაზ მეფის სიძეს, არავინ დააბრძანებდა: ამიტომ ზურაბს „სწადოდა, რათა იყოს თეიმურაზ კახ-ბატონად და სვიმონ ქართლისად და ორნივე იყვნენ „მავედრენი მისნი“. „ორივე იყოს და ორივენი მე მემორჩილებოდესო“, ფიქრობდა ერისთავი და გულდინჯად „აწონასწორებდა“ ქართლ-კახეთის „სასწორს“ ჯანიან ხელში.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ზურაბ ერისთავიც უნდა მიმ-

ხვდარიყო, რომ „ვერ ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად“.

მაინც ძლიერი თეიმურაზი უფრო აფიქრებდა ზურაბს, ვიდრე სუსტი სვიმონი.

ამას ისიც დაერთო, რომ სამუხრანბატონო მამულები, რომლებიც თეიმურაზმა ბაზალეთის ბრძოლის წინ ზურაბს აღუთქვა, ახლა თავის შვილს დ ა თ უ ნ ა ს მისცა.

გიორგი სააკაძის სიტყვები გაახსენდა ზურაბ ერისთავს: მე რომ მომკლავენ, ჩემი მტრები მუხრანსაც ოხრად დაგირჩენენ და სიცოცხლესაც.

გამოერკვა ზურაბ ერისთავი.

და ერთბაშად საცნაური შეიქნა, რომ არაგვის მბრძანებელი „ქართლ-კახეთის სასწორს“ სვიმონ-ხანისკენ ჰხრიდა.

ზურაბი ტფილისის ხშირი სტუმარი შეიქნა.

სვიმონ მეფე ზურაბ ერისთავს უკვე „მამას“ ეძახდა.

მალე ერანიდან სვიმონის შვილები და ძმისშვილები ჩამოვიდნენ, ქართლის ველები არ იკმარეს და კახეთის მიწა-წყალსაც „შეესივნენ“ ნადირობა-ნადიმობით.

მერე ზურაბ ერისთავი ზემო ქართლისკენ წამოუძღვა „შვილობილ სვიმონსა“ და მის ჯარს.

თეიმურაზმა ომი ვერ გაბედა და კახეთში ჩაიკეტა „ჯავრისგან დაღრღნილი“.

ზურაბ ერისთავის წყალობით ახლა მთელი ქართლი სვიმონ მეფეს ემორჩილებოდა.

სულ აიწყვიტა ზურაბ ერისთავმა. გორს შეესია, გაძარცვა და გაატიალა.

გაძარცვულ ქართველებს ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ დაზარალებულთა შორის თეიმურაზის წყალობით გორში დასახლებული კათოლიკე მისიონერებიც აღმოჩნდნენ. ამათ არ დაითმინეს და პატრი ჯ ა კ ო მ ო ს ტ ე ფ ა ნ ი გაგზავნეს ზურაბთან, დუშეთს.

ჯაკომო სტეფანი ეწვია არაგვის ერისთავს, ზურაბმაც თავაზიანად მიიღო ევროპელი და თვითონვე დაასწრო სათქმელი:

„ძალიან კარგად ვიცი, რაზედაც გარჯილხარ, — შენი მეგობარი პატრების საშუამდგომლოდ მობრძანებულხარ, ქონე-

ბა რომ წაართვეს ჩემმა მეომრებმა. მაგრამ ამჯერად უნდა მა-პატიო, რომ თხოვნას ვერ შეგისრულებ, — მეომრებმა ხადავ-ლი უკვე გაინაწილეს და აღარ შემიძლია უკანვე წავართვა. შენ-ი რომ იყოს, ასეთი ღარიბი ბერის გაძარცვას სწორედ არ და-ვანებებდი, წართმეული მდიდარი ხალხის ქონებაა და ამხაირ ხალხს არ გაუჭირდება ხელახალის შეძენა. მათ ხომ მოკლე ხანში უეჭველად მოუვათ ფული ინდოეთიდან".

მაგრამ მაინც უთხრა თავის სათქმელი იტალიელმა ბერმა ქართველ ერისთავს:

„მართალს ბრძანებ, ბატონო, რომ სწორედ ამ საქმემ მო-მიყვანა შენს წინაშე და მადლობასაც გიძღვნი ჩემდამი ასეთი კეთილგანწყობილებისათვის, რამეთუ ბრძანე — არავის მივ-ცემდი შენი გაძარცვის ნებასო და თუ წაგართმევდნენ, მაინც უკან დაგიბრუნებდიო. მაგრამ შენ დაგავიწყდა, რომ ეგ ქონე-ბა ეკუთვნის ჩემზე გაცილებით უკეთეს ქმნილებას, ვისთან შედარებით მე მხოლოდ და მხოლოდ მატლი გახლავარ. განა ეკლესიაში ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი ღმერთის საკუთრება არ არის? შენივე სიკეთისათვის გთხოვ, ჩემს ქონებაზე მეტად სცე პატივი ქონებას იმისას, რომელმაც შექმნა მთელი სამყარო და სიცოცხლე მოგვანიჭა შენცა და მეც. ის რაც არის ღვთისა, უნდა დაუბრუნო ღმერთს! თორემ, გაიხსენე ბალთასარ ბაბილონელი, — როგორ დასაჯა ღმერთმა, როცა იგი იერუსალიმის საღვთო ტაძრიდან გატაცებული ძვირფასი ჭურჭლით ქეიფობდა თავაწყვეტილად; გაიხსენე, როგორ დასწერა ზეციურმა ხელმა ბალთასარის თვალწინ ის საბედისწერო სამი სიტყვა — „მენე, თეკელ, ფარეს!..*

მცირე ხანს ჩაუფიქრდა ზურაბი იტალიელი ფიჩოსანის

---

* ლეგენდა ბიბლიიდან: იმის გამო, რომ ბაბილონიის მრისხანე ხელ-მწიფემ ნაბუქოდონოსორმა გაძარცვა იერუსალიმის უმდიდრესი ტაძარი (ძვ. წ. 586), ღმერთმა ასეთი მკრეხელობისათვის სასტიკად დასაჯა ნაბუქ-დონოსორის ნაშიერნი. „შურისგება" მოხდა სპარსელთა თავდასხმით ბაბი-ლონზე (ძვ. წ. 538). იმ ღამით ბაბილონის ახალგაზრდა მეფე — ბალთასარი იერუსალიმიდან წაღებული ოქრო-ვერცხლის ჭურჭლეულით გაწყობილ სუფ-რასთან ლოთობდა, და უეცრად ვითომც კედელზე ხელი გამოჩნდა და ცეცხლოვანი ასოებით დაწერა: „მენე, თეკელ, ფარეს" — „აღრიცხულია, აწონილია, (უკვე) სპარსელებისაა". მაშინვე სპარსელებიც შემოიჭრნენ და ბალთასარი მოკლეს.

ნათქვამს. მერე კათოლიკეთა ეკლესიიდან გატაცებული ჭურ-ჭლეული მოატანინა, სტუმარს გადასცა და უთხრა:

— აჰა, ვირწმუნე შენი სიტყვები და გიბრუნებ ყველა-ფერს, რაც არის ღვთისა. ყოველივე ღმერთმა მოგახმაროთ სა-სიკეთოდ და საბედნიეროდ!

იტალიელი ბერი წავიდა და მეორე დღეს ქართველი ბერი მოვიდა, სამეგრელოდან, სახელად ზ ე ბ ე დ ე. თურმე იერუ-სალიმს მიდიოდა და ჯერ ქართლს შემოევლო ზურაბ ერისთა-ვის გასაკიცხავად.

მიადგა ზებედე ზურაბს და შეუძახა:

— ზურაბ-ბეგ! კარგად განსაჯე, თუ რა ჩაიდინე და კიდევ რასაც სჩადიხარ! ქართლში გამაჰმადიანებული მეფე გააბატო-ნე და არ გესმის, რომ მაჰმადიან მეუფეს მისი ქვეშევრდომე-ბიც მიჰბაძავენ და მთელს ქართლს უღვთო და უცხოთესლიე-რი სჯული მოედება. დროზე გაასწორე ეგ საშინელი შეცდომა, თორემ მალე შენს თავზედაც დაეშვება ღვთის მახვილი და ისევე გაგაცამტვერებს, როგორც გააცამტვერა ბალთასარი!

თქვა და წავიდა, პასუხისთვისაც არ დაუცდია.

ისევ ბალთასარი!

ისევ საბედისწერო ცეცხლოვანი სიტყვები ზეციური შუ-რისგებისა!

იჯდა ფიქრებით დარეგვილი ზურაბ ერისთავი და უცებ თეიმურაზ მეფის შემონათვალიც აახლა კახეთიდან მოსულმა ფაიქმა: მე ახლა ერანს მივდივარ და შაჰს ყოველივე დაწვრი-ლებით უნდა მოვახსენო, რაც შენის გამოისობით საქართვე-ლოში დატრიალდაო.

საბოლოოდ დაფრთხა და დადედლდა ხმალთაკვეთებაში სწორუპოვარი გმირი. მაშინვე თავისი კაცი გამოაკიდა სპარ-სეთისაკენ მიმქროლავ თეიმურაზს. ქალაქ უფადართან დაეწია ზურაბის ფაიქი თეიმურაზს. უთვლიდა არაგვის ერისთავი: ნუ აჩქარდები, მოვრიგდეთ და შევრიგდეთო.

წელში გაიმართა თეიმურაზი და მაშინვე შემოუთვალა ზუ-რაბს:

„სიძედ მყავხარ და შვილად მიმაჩნიხარ; როგორ არ იცი, რომ შეუგვანებელ-არს განწირვა სიძისაგან სიმამრისა?.. თუ არ დაიშლით, ბოლოს ვიხილოთ შენი და შენი სვიმონისა!.. ისე

კი — მე შენთვის ივრის პირისა და თიანეთის მამულების მოცემა მინდოდაო!“...

ისევ გახელდა ჭია-მჭამელი ზურაბ ერისთავის გულში.

. . . . . .

სვიმონ-ხანი წავკისს იდგა დედოფალ ჰაჯან-ბანუ ბეგუმთან ერთად.

ზურაბ ერისთავის კაცი მოვიდა და მოახსენა საიდუმლო შემონათვალი: საამილახვროს მობრძანდიო — ცხვილოსის ციხეში; და იქ მოვითათბიროთ, თუ როგორ დავაჯილდოვოთ ჩვენი ერთგული თავადები და როგორ დავსაჯოთ მოღალატენიო.

ეს აზრი მოეწონა სვიმონ მეფეს. დედოფალი წავკისს დატოვა და თვითონ გულდანდობილად გაემართა ზემო ქართლისკენ.

უკვე ღამდებოდა, ცხვილოსის ციხეს რომ მივიდა მეფე.

ზურაბ ერისთავი გამოეგება დიდის ამბით. სვიმონიც მოეხვია „მამას“.

ვახშმად დაწყდნენ.

სუფრას დასტრიალებდნენ ზურაბის დაი და სიძე — გიორგი ჩერქეზი.

ადრე აიყარნენ.

დაღლილი მეფე მისთვის მიჩენილ სანთიობოში შევიდა და დაწვა.

და ვეღარ ადგა, — რამეთუ გიორგი ჩერქეზი შევიდა და ხანჯალი შიგ გულში დასცა მძინარე მეფეს.

ზურაბ ერისთავი გარეთ იცდიდა, წყვდიადში განზავებული. ახლოს მისი ერთგული შათირი იდგა, ცხენზე აღმჯდარი.

სვიმონ მეფის მოკვეთილი თავი გამოურბენინა სიძემ ცოლისძმას.

ზურაბმა ჩამოართვა, ერთი დაჰხედა სიბნელეში მკრთალი სიყვითლით ამოკვეთილ სახეს და მაშინვე ზედ მომდგარ შათირს მიაჩეჩა.

შათირმა გაქუსლა.

ზურაბიც მაშინვე ამხედრდა, რამდენიმე მსახურიც აიყოლია და ისიც წყვდიადში გაუჩინარდა. იმ ღამით წავკისს დაეცა ზურაბ ერისთავი თოკიდან აწყვეტილი ავაზაკივით. მო-

ულოდნელად დაქვრივებულ დედოფალს — ჯაჰან-ბანუ ბეგუმს — შეუხტა სახლში, გაძარცვა, გაატიტვლა, თმებით დაითრია, ცხენზე შემოიგდო და დიღმისაკენ გაიტაცა წივილ-კივილით.

. . . . . .

თეიმურაზ მეფე ისევ უფადარს იყო, როცა ზურაბ ერისთავის შათირმა სვიმონ მეფის გასისხლიანებული თავი მიართვა და თავისი ბატონის დანაბარებიც მოახსენა: ყაენთან წასვლას თავი დაანებე, მობრუნდი და ქართლსაც დაეპატრონე კახეთთან ერთადო.

ასეთ სისასტიკეს არ მოელოდა თეიმურაზი. იგი ერთხახს განლიგებული დაშტერებოდა სვიმონის წამებულ სახეს. მერე საცრემლე აეშალა და ეს დაატირა მეტოქესა და საყვარელი მეუღლის ბიძაშვილს:

„საცოდაო ხელმწიფეო, ცრემლები მაღრჩობს და უდიდესი მწუხარება მეუფლება, როცა ვხედავ შენს ესოდენ უბედურებას, — ვინც გიყვარდა, იმან გიღალატა, და ახლა აღარც ის მიხარია, შენგან დაობლებული ქართლის მფლობელი რომ შევიქნები!“

შიკრიკი მოვარდა და მოახსენა მტირალ ხელმწიფეს: ზურაბ ერისთავი მოკლული მეფის მეუღლეს დასცემია, გაუძარცვავს და გაუტაცნიაო.

თეიმურაზმა ფიცხლავ ბრძანება აფრინა ზურაბთან, დედოფალზე ხელი აიღე, ღმერთი არ გაგიწყრეს და არაფერი შესცოდო! სხვა რომ არა იყოს რა, ჯაჰან-ბანუ ბეგუმი შაჰ აბასის შვილიშვილიაო.

ზურაბმაც „ხელი აიღო“.

გაუბედურებული ქალი ტფილისს შეეფარა.

ეს ამბები 1630 წელს დატრიალდა.

. . . . . .

შაჰ სეფის დიდი მხედრობა გაემზადებინა, — ბაღდადი უნდა დაეხსნა თურქთა სერასქერის, ხუსრევ-ფაშას შემოტევებისაგან.

მთავარსარდლად ხოსრო-მირზა დაეყენებია — მისი „მამობილი“, ყულარაღასი და ტარუღა.

საქართველოდან შათირმა მოუსწრო...

— იცი, ქართველებს შენი ძმისწული მოუკლავთ, — უთხრა შაჰმა ხოსრო-მირზას.

— ჩემი ძმისწული?

— ჰო, სვიმონ-ხანი.

— ვის მოუკლავს?

— ზურაბ ერისთავს.

ხოსრო მცირე ხანს ფიქრს გაუყვა, მერე გამოერკვა და თქვა:

— რა გაეწყობა, მკვდრის გაცოცხლება ვიღას შეუძლია. ჯერ ხუსრევ-ფაშას და ბაღდადს მივხედო და როცა დავბრუნდები, სვიმონ მეფის სიხხლსაც მოვიკითხავ!

— ეგრე იყოს და... მანამდე ესეც გაირკვევა, რას აპირებს თეიმურაზი, — დასძინა შაჰმა.

სიკვდილი ზურაბ ერისთავისა

„ენას აქვს გესლი ბოროტი უმწარე ასპიტისაგან,
თვით დამიცდია აგრეთვე, ვითა მასმია სხვისგან.

. . . . .

ენა მლიქნელი გონებას, მყუდროსა, მშვიდად დებულსა,
გულსა განმსჭვალავს და ღვიძლსა გააპობს, სიბრძნით ქებულსა;
ანაზდათ აღსძრავს რისხვასა, შეიქს ცეცხლმოკიდებულსა,
ადუღებს წადელს ცეცხლთაებრ, ცნობაზედ ზედ მიწებულსა.
ყურსა ლახვრულად ეცემა, უმაგრეს გრდემლ წაკრავისა,
თვალსა აამღვრევს წმინდასა, ხედვიდეს ავს არ ავისა,
თმათ აშლის, ხელ-ფეხთ ფრჩხილებსა გასწვავს
ცეცხლ-განაკრავისა,
შფოთს ააყოლებს ვინც ისმენს, უმშვიდეს იყოს კრავისა.“

ა რ ჩ ი ლ ი

თეიმურაზ მეფე ქართლისა და კახეთის „საბოლოოდ გაერთიანების“ საოცნებო განაზრახს განასრულებდა.

ქართლის ყველა ერისთავისთვის თითო ისარი გაეგზავნა საკუთარი კაპარჭიდან. ეს იმას ნიშნავდა, რომ მეფე მტკიცე,

განურდვეველი ერთგულებისა და შენდობის საწინდარს აძ-
ლევდა ყველას, მტერსაც და მოყვარესაც.

პაემანი მცხეთაში ჰქონდა დანიშნული — სვეტიცხოველში, საქართველოს მთავარ სამეუფეო პასტოფორიონში.

რიგ-რიგად მოდიოდნენ თავადები, მეფეს ეახლებოდნენ, მისგან მიძღვნილ ისარს უკანვე მიართმევდნენ და ხატზე ხელდადებით სამარადჟამო ერთგულებას ეფიცებოდნენ. თავის მხრივ, მეფე ყველას გულში იკრავდა, ჰკოცნიდა და ლოცავდა.

ზურაბ ერისთავი შემოვიდა მგლის ნაბიჯით.

ფერი გაუკრთა და წარბი აეშალა თეიმურაზს.

მაშინვე დაითრგუნა უამური გრძნობა მეფემ, ტახტიდან წამოდგა და მიეგება „სიძეს, შვილს, მეგობარსა და ერთგულ ქვეშევრდომს“.

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

იდგა 1631 წელი.

ქართლ-კახეთი გაერთიანებული იყო.

თეიმურაზ პირველი გამხდარიყო „ორისავ ტახტის მჭერი“, გინა — „ორისავე სამეფოსა და ტახტის მპყრობელი მეფეთ მეფე“ (მხოლოდ ტფილისში იდგნენ ისევ სპარსელნი).

იმ წელსვე „ლეილ-მაჯნუნი“ და „ზილიხან-იოსები“ დასწერა სულით აღზევებულმა მეფე-პოეტმა.

იმ წელსვე იმერეთიდან დაბრუნებული ოჯახები თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონებისა მეფემ მამაპაპეული ბუდიდან ამოჰყარა და მუხრანი ისევ თავის შვილს დათუნას მისცა.

მერე, — იმის მიზეზით, რომ დედოფალი ხორეშანი თავისი ძმის, ლუარსაბ მეფის სიკვდილს გიორგი სააკაძეს აბრალებდა, დიდი მოურავის ადგილ-მამული და ქონება თეიმურაზ მეფემ დაიჭირა „ცოლისძმის სისხლად“.

იმ წელსვე ლეკურ-წახეთის დალაშქრებაც გადაწყვიტა ხელმწიფემ.

წახეთის ბატონი — ა ლ ი ბ ე გ ს ა რ უ ბ ა შ ე ლ ი — ადრე შაჰ აბასს ეხმარებოდა კახეთის აოხრებაში. ამიტომ განიზრახა შურისმგებლური ლაშქრობა თეიმურაზმა ალიბეგის დასასჯელად.

განიზრახა და გაეშურა კიდეც კახთა და ქართლელთა ჯარით წახეთისაკენ.

ალონს რომ მიაღწიეს, მეფეს გაჭენებული ცხენი ანაზდეადად წაექცა, მიწაზე დაენარცხა და ორივე ხელის მაჯები სახსრებიდან ამოიყარა. თვითონ ლაშქრის გაძღოლა აღარ შეეძლო და ზურაბ ერისთავი უჩინა სარდლად.

წარუძღვა ჯარს ზურაბ ერისთავი. მისვლისთანავე იაზრა, რომ ცხენი წახეთის კლდოვან ჩისადგომებზე არ გამოდგებოდა. დაქვეითდა, ჯარიც დააქვეითა და ფეხდაფეხ მიუხდა ლეკი ბატონის ციხესიმაგრე სარუბაშს.

ჯარი გამოაგება ალიბეგმა.

დაეძგერნენ ქართველები დამხვდურებს, ხმლები დააყრეინეს, მკერდიდან ფარები ააგლიჯეს, „და მოსრეს პირითა მახვილისათა ყოველნი მუნ მყოფნი, მოაოხრეს და იავარ-ყვეს ყოველივე სანახები და თემნი სულთანისანი“.

თვითონ ალიბეგი მოკლეს და თავი გააგდებინეს.

„ახლა წადი და ეგრე თავწარკვეთილი წარუდექ შენს მწყალობელ შაჰს აბასსა!“ — დასძახა ზურაბმა უთავოდ დაგდებულ ალიბეგის ტანს, ხოლო თავი მაღლა ასწია და ცხენი გამოაბრუნა.

ჯარიც გამოჰყვა „მრავალი ნატყვენავით და იავარით“ დატვირთული.

„იამა ბატონს თეიმურაზს და დიდად მხიარულ იქმნა“, როცა „სავსებით გაერთგულებულმა“ ზურაბ ერისთავმა ალიბეგ სარუბაშელის თავი და ნადავლად მიტანილი მისართმეველი მიართვა.

. . . . . .

მაგრამ თეიმურაზ მეფისა და ზურაბ ერისთავის „ერთგული პატრონყმობაც“, „მოყვრობაც“, „მამაშვილობაც“ და „მოკავშირეობაც“ დიდი ცოდვის სისხლით გაჟღენთილ შლამზე იდგა.

და ეს „შლამი“ უნდა ჩაშლილიყო და ჩაშვავებულიყო აუცილებლად.

უკვე რისინობდნენ „ყოვლის შემძლე“ ავი ენანი — ენანი „ფოლადის დამადნობელნი“.

უკვე ყურს უხედნიდნენ ეჭვიან მეფეს „ასპიტის ენისანი“:

„ზურაბ ერისთავი ძალიან განდიდდა“.

„ზურაბ ერისთავი მეფეს მეფედ არა სცნობს“.

„ზურაბ ერისთავი პირველობს ქართლსა ზედა“.

„ზურაბ ერისთავი აპირებს პირველობას კახეთსა ზედა“.

„ზურაბ ერისთავი ვისაც უნებს — მოჰკლავს, ვისაც უნებს — განაძებს“.

„ზურაბ ერისთავმა თავისი კეთილისმყოფელი სვიმონ მეფე მოჰკლა და იგი არ დაინდობს არც უფრო დიდ მეფეს“.

„ზურაბ ერისთავი უსაცილოდ თქვენც მოგკლავთ და ქართლსა და კახეთს თვითონ დაიჭერს“.

ზოგი ამასაც ჩასჩიჩინებდა თეიმურაზს: სპარსეთის შაჰი „მისი კაცის“ — სვიმონ-ხანის სიხლს არ შეგვარჩენსო: შაჰმა რომ შეგვარჩინოს, სვიმონ-ხანის ბიძა ხოსრო-მირზა მაინც არ გვაპატიებსო. მთელი ერანის საქმეები ახლა ხოსრო-მირზას ეკითხება და იმან რომ მოინდომოს, ძმისწულის სიკვდილის მომიზეზებით, დიდ უბედურებას რასმე დაგვატეხსო. ამიტომ აღარ ეგვიანების: ზურაბ ერისთავი, ვითარცა სვიმონ-ხანის მკვლელი, უნდა მოიკლას და ძისი თავი ერანში შაჰ სეფისა და ხოსრო-მირზას გაეგზავნოსო!..

დედოფალ ხორეშანს ეთათბირა თეიმურაზი.

ხორეშანიც „სძულობდა“ სიძეს — მისი მშობლიური ქართლის „დამაქცევარს“...

თეიმურაზმა ერთგული, „სარწმუნო“ ადამიანები შემოიყარა და გაანდო:

„ზურაბ ერისთავი ძალიან განდიდდა, აღარავინ მიაჩნია თვინიერ თავის თავისა უმაღლეს არცა ქართლსა და არცა კახეთსა ზედა; რომლისა უნებს — დააყენებს, რომელიცა არა — არ დააყენებს, რომელსამე მკვლელ ექმნების და რომელსამე განაძებს, და აწ მნებავს სიკვდილი მისი და თქვენც დაიდუმეთ საიდუმლო ესე და რომელსა ჟამსა მე მოგიწოდოთ მის სასიკვდილოდ, მაშინვე მოდით!“

„ის ჟამიც“ დადგა.

თეიმურაზ მეფემ ზურაბ ერისთავი საფურცლეს მიიწვია სანადიმოდ.

. . . . . .

საფურცლე!

აქ, საფურცლის ჭალას, ავგიორგიმ 1511 წელს საკუთარი

ხელით მოჰკლა მამა — კახთა მეფე ალექსანდრე I და თვალები დათხარა ძმას — დიმიტრის.

აქ, საფურცლის ჭალას, 1560 წელს ყიზილბაშებმა მუხანათური თავდაცემით ტყვედ ჩაიგდეს და სპარსეთს გაიტაცეს გამოჩენილი მამულიშვილი, სვიმონ დიდის თანამოსაგრე — არჩილ მუხრან-ბატონი.

აქ, საფურცლის ჭალას, 1625 წელს, მარტყოფის ბრძოლის წინ, ქართველმა მამულიშვილებმა შეიპყრეს მოღალატე ანდუყაფარ ამილახორი.

აქ, საფურცლის ჭალას... კიდევ რა უნდა მოხდეს საფურცლის ჭალას?!

. . . . . .

მივიდა ზურაბიც გულდანდობილად.

სიმამრიც ტკბილად შეეგება სიძეს.

სანადიმო სუფრა ხალიჩებით მოგებულ კარავში იყო გაშლილი.

რატომღაც ანანურში გაწყობილი სუფრა მოაგონდა არაგვის ბატონს, — ერთხელ სამოცი ხევსური ვაჟკაცი რომ მიიწვია და ყველას სუფრაზედვე თავები საზორველი ხარებივით დააყრევინა...

უამური ფიქრი მოიშორა და ღიმილით პირდაფენილ მეფეს შეჰყვა კარავში.

პირისპირ მიუსხდნენ სუფრას სიძე და სიმამრი.

ზურაბ ერისთავს მარჯვნივ ბ ა რ ა მ ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ჩაუჯდა, მარცხნივ — ე ლ უ მ თ ო ღ უ მ ი შ ვ ი ლ ი, ფშავის მოურავი.

პურობა ჩათავდა.

ღვინობაც განესრულა.

და ის იყო, ხილობას უნდა შესდგომოდნენ, რომ თეიმურაზმა, ერისთავისგან შეუმჩნევლად, თვალი თვალში ჩაუწონა ბარამ საგინაშვილს.

საგინაშვილმა მეფეს თავი დაუკრა, ბოდიში მოუხადა და სუფრიდან გავიდა.

გადასვლა და... იწივლა ხმალმა.

„ესეც შენა მოღალატევ, მკვლელო, კახპის ნაშობო!“

თავგაჩეხილი დაემხო სუფრას ზურაბ ერისთავი.

სისხლმა იჭექა, სუფრა გადაიხუვლა და ზედ მკერდზე დაეძგერა თეიმურაზს.

წამოიჭრა თეიმურაზი.

წამოიჭრა ზურაბ ერისთავიც.

და იმ წამსვე ელუმ თოღუმიშვილმა შიგ მარცხენა ძუძუში შეუგდო სატევარი.

ისევ დაენარცხა სუფრას ერისთავი თანასისხლიერზე მგოდებელი ხარის ზმუილით.

კიდევ ათიოდე ხმალი და ხანჯალი შემოჰკრეს, მაგრამ ამ ორი პირვანდელის გარდა ყველა დანაკრავი შეუგრძნობელი უნდა დარჩენილიყო უკვე არყოფნის მორევში ჩათრეულ სხეულისათვის.

სისხლისა და ღვინის ნაზავ ტბორეში ეგდო ჭურჭელი სიცოცხლისა, რომელსაც წუთის წინათ „ყოველი კაცის ზარდამცემი“ ზურაბ ერისთავი ეწოდებოდა.

ღალატით აღსრულებულიყო მთელი მისი წუთისოფლის სიგრძეზე ღალატის წყურვილდაურწყულებელი კაციშვილი.

აღარ იყო ზურაბ ერისთავი — ხან დიდი მამულიშვილი, ხან მამულის მაოხარი და სისხლმაქცევარი.

ხან გულმხურვალე ერისკაცი, ხან რენეგატი ერისწყეული.

ხან ზნემაღალი ზრდილი ვაჟკაცი, ხან უზნეო ლოთი და მრუში, „მეზობლის ქალთა“ საკინძის მოხარბე.

გმირი მარტყოფისა და მარაბდისა, ცოდვისშვილი ბაზალეთისა.

. . . . . .

„თავი გააგდებინეთო“, ამოიხრიალა თეიმურაზმა და სისხლიან მკერდზე დაიკრიფა ათრთოლებული ხელები.

უმეტოჟეოდ

ზურაბ ერისთავის წარკვეთილი თავი თეიმურაზ მეფემ შაჰ სეფის გაუგზავნა ისფაჰანს.

„ამან ყმამან თავის ბატონს სვიმონ-ხანს უღალატა და მოჰ-

კლა. ჩვენ ეს არ ვაპატიეთ, რამეთუ სვიმონი ჩემი წათესავიც იყო და თქვენი მოყვარეც. ამიტომ ზურაბ ერისთავს სისხლი სისხლითვე ვაზღვევინეთ, თავი მოვჰკვეთეთ და თქვენს უდიდებულესობას ვაახელით", — სწერდა თეიმურაზი ერანის მბრძანებელს.

ქართველი მეფის ვარაუდი გამართლდა: შაჰ სეფი ნასიამოვნები დარჩა.

ხოსრო- მირზამაც მოუსწრო ბაღდადიდან. ის ხომ შაჰს გაეგზავნა ბაღდადზე მოიერიშე თურქთა მხედრობის წინააღმდეგ. ხოსროს თურქები სასტიკად დაემარცხებინა, ბაღდადის კედლებთან გაერეკნა და ისფაჰანს მობრუნებულიყო ზარ-ზეიმით.

ხოსრო-მირზაც სიამოვნებით შეხვდა მისი ძმისწულის, სვიმონის მკვლელის სიკვდილს.

ერთად გადაწყვიტეს შაჰმა და მისმა „მამიკომ" და „მოადგილემ"; ქართლი და კახეთი ორივე თეიმურაზს დარჩესო. ოღონდ ტფილისს არ ახლოს ხელი ქართველმა მეფემ! ასე დაადგინეს და თეიმურაზს საგანგებო რაყამი და ძვირფასი ხალათი გამოუგზავნეს.

ეს იმას ნიშნავდა, რომ აღმოსავლეთ საქართველო (უტფილისოდ) ერთიან სახელმწიფოდ და ერანის ქვეშევრდომად რჩებოდა.

ცალკე წერილით შაჰ სეფი თეიმურაზს სთხოვდა, შენი ასული თ ი ნ ა თ ი ნ ი ცოლად მომეცი. ქალის დასაწინდავად უძვირფასესი საჩუქრები გამოეგზავნა შაჰს ქართველი მეფისთვის.

თეიმურაზმა სახლთუხუცესს რევაზ ჩოლოყაშვილის ხელით შაჰს ძვირფასი ფეშქაში გაუგზავნა. ქართლ-კახეთის მეფედ „დამტკიცებისათვის" მადლობა შეუთვალა და თანაც დაბარა: თინათინი ჯერ უწლოვანია და რამდენიმე წლის შემდგომ მოგათხოვებთ უეჭველადო.

იმავე 1631 წელს გადაწყდა ზურაბ ერისთავის „ნაცოლართა საქმენი".

ზურაბის პირველი ცოლი, შაჰ აბასმა რომ პაატა სააკაძესთან ერთად მძევლად დაიტოვა, მარტყოფის ბრძოლის შემდგომ შაჰს თავისი ცოლების შიმუნვარად განეწესებია. ახლა,

როცა შაჰ აბასიც მკვდარი იყო და ზურაბ ერისთავიც, ბედგაშავებული ქალი საქართველოში დაბრუნდა და მცხეთის დედათა მონასტერში აღიკვეთა მონაზვნად.

ზურაბ ერისთავის მეორე ცოლი, დარეჯანი, მამამისის თეიმურაზ მეფის გადაწყვეტილებით ცოლად უნდა შეერთო იმერეთის მეფის გიორგი მესამის ვაჟს — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს.

სწორედ ეს ალექსანდრე გახლავთ, გიორგი სააკაძეს რომ სურდა ცალკე ქართლის, ან „ყოველი საქარათველოს" მეფედ.

ალექსანდრე გიორგი მესამის უფროსი ვაჟი იყო (მომდევნო ძმები იყვნენ — მამუკა და ბერი). მას ჯერ ცოლად ჰყავდა გურიელის ასული, მაგრამ ზურაბ ერისთავის მკვლელობამდე ცოტა ადრე იმ ქალს „დაეწამა ცილი რამე" და განუტევა ცოლობიდან ალექსანდრემ.

თეიმურაზმა და ხორეშანმა მათი ქვრივი ასულისა და ცოლგანტევებული იმერელი ბატონიშვილის საქორწინო პაემანი დანიშნეს მუხრანს.

სანამ იმერთა მაყრიონი მოაღწევდა, თეიმურაზს მუხრანში ეწვივნენ საქართველოში ახლად ჩამოსული იტალიელი მისიონერები — ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი და ჯ უ ზ ე პ ე ჯ უ დ ი ჩ ე. თურმე ორი წლის წინ წამოსულიყვნენ იტალიიდან, დიდის ვაი-ვაგლახით გამოუვლიათ თურქეთი. მოსულან არზრუმს, შეხვედრიან იქაურ ქართველ ეპისკოპოსს — „არზრუმელს", მისგან დიდი შემწეობა მიუღიათ და ბოლოს საქართველოშიც შემოუღწევიათ.

ჯერ საჩუქრები მიუგზავნეს მეფეს იტალიელმა სტუმრებმა: „ერთი შვენიერი სამზილიანი საათი, რომელიც ჩარექებსაც რეკდა, რამდენიმე მწვანე და ოქროცურვილი შუშის ჭურჭელი, ოთხი შვენიერი ხატი, საუცხოვო სარკე, რავდენიმე კრიალოსანი და ორი წყვილი ხელთათმანი".

დედოფალ ხორეშანს მიართვეს აგრეთვე „სარკე, მოქარგული ხელთათმანები და ბევრი სხვადასხვა კრიალოსნები".

ქართველთა „სიძესა და მეგობარს" — პიეტრო დელა ვალეს ცალკე საჩუქრები გამოეგზავნა ლამბერტისა და ჯუდიჩეს ხელით მეფისა და დედოფლისათვის — წმინდა გიორგის ოქროს ხატი და ძვირფასი კრიალოსანი.

მეფის ამალაში ზ ა ქ ა რ ი ა კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ც იმყოფე-

ბოდა ეპისკოპოსთა გუნდით. იტალიელებმა ზაქარიას თვალ-მარგალიტით მოჭედილი მიტრა და ოქრომკედით ნაქარგი ფილონი მიუძღვნეს.

მერე პაპის წერილიც გადასცეს მეფეს.

დიდ მადლობას უთვლიდა კათოლიკური სამყაროს საჭეთმპყრობელი მისიონერების მფარველობისათვის „ივერიის მეფეს“.

დიდი ინახი გაუმართა თეიმურაზმა სტუმრებს. ქორწილამდე დარჩენაც სთხოვა, მაგრამ არქანჯელო ლამბერტიმ და ჯუზეპე ჯუდიჩემ წასვლა ითხოვეს და წავიდნენ კიდეც გორში.

იმერთა მაყრიონიც მოვიდა.

მუხრანის ახლოს, სოფელ ქინძარას მცირე ეკლესიაში იფსკვნეს გვირგვინი სასიძომ და საპატარძლომ. ქორწილიც ქინძარაში გადაიხადეს.

ასე დაიმოყვრა და „დაიკავშირა“ თეიმურაზ მეფემ იმერეთის ტახტი, საიდანაც მას სააკაძის დროიდან, აგერ ხუთი წლის მანძილზე, ქართლის ტახტისათვის მეტოქეობა ემუქრებოდა.

. . . . . .

ისევ — 1631 წელს თეიმურაზმა ილაშქრა დაღესტანს, ლეკთა დასარბევად და დასაშინებლად, „რამეთუ იგინი უხდებოდნენ კახეთს, ავაზაკობდნენ და სრვიდენ კაცთა და ტყვეჰყოფდენ და ჰყიდდენ, და ამისთვის შური იძია ბატონმან თეიმურაზ, მიუხდა და გაემარჯვა და მოსრა პირითა მახვილისათა ყოველივე მუნ მკვიდრნი, და წარმოვიდნენ მუნითგან მძლეველნი მტერთანი, შემოიქცეს კახეთს“.

ოთხი დღე არბევდა თეიმურაზი დაღესტანს.

კარგა ხნით დაეკარგათ მთიელ აბრაგებს მადა აბრაგობისა.

წლის მიწურულს თეიმურაზმა რომის პაპისგან კიდევ მიიღო ერთი წერილი. „თქვენი სახელგანთქმულება და თქვენის შესანიშნავის გამარჯვების ხმა თქვენის ქვეყნის საზღვრებს გამოსცდა, გამოიარა ევროპის ქვეყნები, ხმელთაშუა ზღვის მღელვარე ტალღები და მოაწია რომის მღვდელმთავრამდე... როდის გვეღირსება, გეამბოროთ თქვენ, ვითარცა განსწავლულს მეორე კონსტანტინე დიდს?“ — ეწერა „სხვათა შორის“ იმ წერილში.

ჭეშმარიტად „დიდად“ გრძნობდა თავს თეიმურაზ პირვე-

ლი, „მეფეთ მეფე“, აღმოსავლეთ საქართველოს „ორისავ ტახტის მჭერი“.

მეტისმეტად ძლიერად ეჩვენებოდა თავი, რამეთუ იყო მარტოდმარტო, უმეტოქეოდ, — აკი აღარ აფიქრებდა ამ ქვეყანაზე აღარც გიორგი სააკაძე, აღარც მეფე სვიმონ მეორე, აღარც ზურაბ ერისთავი...

ფიქრები გრემში, ფიქრები ისფაჰანში

ყველაზე დიდი სიბეცე მაინც ის იყო, რომ ქართველი მეფე ყოველ ქართველთა — კახელთა და ქართლელთა — ბედს, ადგილს, ვალსა და უფლებას ერთნაირი თვალით ვერა ჰხედავდა. აშკარად ეტყობოდა, რომ თეიმურაზს მისი „სისხლიერი კახელობა“ სძლევდა — ერთიანი ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საქმეებთან უფრო კახელ „თანამემამულეებს“ აწინაურებდა, ხალხ ქართლელებს, რაიმე წარჩინებას მისცემდა კი არა, ლამის „დამპყრობელის“ თვალით ზომავდა.

მაშ, ქართლი შემოერთებული კი არა, „დაპყრობილი (ვით)“ ჰყავდა „კახთ-ბატონს“.

აშკარად ჰხედავდა მტერიც და მოყვარეც: „კახნი ქართლელთ ზედა ამაყობდეს და ხმლით დაჭირულს ეძახდეს, უპატიოთაც ეპყრობოდეს“.

ამიტომაც: „ქართლელთ გული გაავებოდა და ბატონის თეიმურაზის ბატონობა არ უნდოდათ და გზასა და ღონეს რასმე ეძებდნენ“ მისი „უღლის“ გადასაგდებად.

სულ ერთია, „დღეს არის და ხვალე არაო“ თეიმურაზი! — გაიძახოდნენ კახელთა „კირთებით შეიწროებული“ ქართლელნი.

აი, სადამდე ყოფილა საქმე მისული!

აი, რას ვერ ჰხედავდა და რა არ გაეგებოდა მდგომარეობით, განსწავლულობითა და კულტურით „პირველ ადამიანს“ იმჟამინდელ საქართველოში!

არ გაეგებოდა და, იმის ნაცვლად, რომ ერთსისხლ და ერთ-

ხორც სახელმწიფოს შიგნით ასეთი ბოროტი შინაღვარძლიანობის ფესვები მოეთხარა და მოებალასინებია, უმძიმესი შემოსევებითა და შინაგარე ომებით ჯანდაშრეტილი ქვეყნის მოშენების, აშენებისა და აღორძინებისათვის ეზრუნა — ადგა და ისეთი თამამი და თავზეხელაღებული „საგარეო ბოლიტიკა“ წამოიწყო, რომელსაც შესაძლოა სულაც დაეღუპა ისედაც დადუპვის უფსკრულზე გადამხობილი მისი ქვეყანა.

. . . . . .

გავიხსენოთ, კეთილო მკითხველო: განჯა-ყარაბაღს ბეგლარბეგად ჯერ კიდევ შაჰ აბასის დროიდან დანიშნულია სახელოვანი დავით (დაუდ-ხან) უნდილაძე, მეგობარი და ძმადნაფიცი თეიმურაზ მეფისა.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ერანის შაჰის კარზე უნდილაძეები უკვე აღარ იყვნენ „მოდაში“.

აღარ იყვნენ, რადგან „ორი ქართული ნაკადი“ არ შეიძლებოდა „ერთნაირ მოწონებაში“ ყოფილიყო უცხოეთის სახელმწიფო დარბაზის ჭერქვეშ.

ხოლო შაჰ სეფის კარზე ერთი ხოსრო-მირზა იყო „მოდაში“ და ამიტომ, ვითარცა „ორი მუხის წესი“, მეორე ქართველს ახლომახლო აღარ დაედგომებოდა, თუნდაც ის მეორე „მუხა-ქართველი“ სახელოვან უნდილაძეთა გვარგუჯაბისა ყოფილიყო.

თვითონ შაჰ სეფი, როგორც წინასწრობილად ითქვა, ყოვლად უნიჭო, უხიაგი, ბოროტი, ლოთი და გარყვნილი ლაწირაკი იყო. არაფერი ისეთ სიამოვნებას არ ანიჭებდა, როგორც ადამიანის ტანჯვა-წამება.

უმცროს ძმას — ერთადერთს, რომელიც პაპამისს შაჰ აბასს თვალდაუთხრელი გადაურჩა — შაჰ სეფიმ თვალები დათხარა და ალამუთის ციხეში ჩააგდო. მერე ყველას, ძველსა და ახალ თვალდათხრილ უფლისწულებს, ერთად ხელი მოუსვა — მათი ცხოვრება მაინც არაფრის მაქნისიაო — და ყველანი კლდეზე გადაჰყარა.

ისა-ხან ყორჩიბაშს ხომ შვილები ამოუწყვიტა, მალე მამაც ზედ მიაყოლა შვილებს.

თავის ეთიმადოვლეს (პირველ ვეზირს) საკუთარი ხელით გაურია აკინაკი მუცელში; თავიც საკუთარი ხელით გააგდები-

ნა. მერე ჯალათს უბრძანა, პირწმინდად აეკეპა წარკვეთილი თავი. ერთმა იქ დამსწრე ახალგაზრდა მსახურმა ადამიანის თავის „კეპვას“ ვერ გაუძლო და გვერდზე შებრუნდა შეძრწუნებული. შაჰმა შენიშნა. „ამ ბიჭს თვალები სუსტი ჰქონიაო“, — და იქვე მისი ბრძანებით დაუშრიტეს ჯალათებმა „სუსტი თვალები“ გაუფრთხილებელ კაცს.

ვიღაც ღალატში ეჭვმიტანილი უღურლუ-ხანის წარკვეთილი თავი გაუგორეს ფეხებში შაჰ სეფის. იმან ჯოხით ააგორა თავი და წარმოსთქვა: „ძალიან მამაცი იყავი და ძალიანაც მებრალები, ამ დღეში რომ გხედავ; ვაიმე, როგორ მენანება შენი მშვენიერი ულვაშები!“ — და ულვაშებზეც „გადაუალერსა“ ჯოხი.

ორი უდანაშაულო დიდებული ხმლებით ასჩეხეს ისფაჰანის მთავარ მოედანზე. ერთმა პოეტმა ლექსით „უმღერა“ ეგზომ უსამართლოდ დახოცილ ადამიანებს. შაჰის ბრძანებით იმ „თავგასულ მოშაირეს“ იგივე მოედანზე ჯალათებმა თანმიყოლებით დაჰკვეთეს ცხვირი, ხელები და ფეხები.

შემდეგ შაჰმა დასჯილ დიდებულთა შვილები დაიბარა და ჰკითხა: მე თქვენი მამები დავხოცე და რა აზრისა ბრძანდებითო! ერთმა მაშინვე „შეუცდომლად“ იყვირა: „რომელ მამაზე ბრძანებთ, ხელმწიფეო?! ჩემი ერთადერთი მამა არის შაჰი! მორჩა და გათავდა!“ მეორეს კი ენა დაება. შაჰმა აღარ დააცალა და მაშინვე მშობლების მემკვიდრეობაზე ხელი ააღებინა.

ერთხელ საწამლავით სულის გაგდებინებაც დაუპირეს შაჰ სეფის. მაგრამ შხამი უხეირო შეზავებული გამოდგა და სეფიმ მხოლოდ ორი თვე იავადმყოფა. მერე, როცა სნება გამოიყარა და დამნაშავის ძებნას შეუდგა, შაჰის საჩუქრებზე და „სიყვარულზე“ დახარბებულმა ერთმა მხევალმა შეასმინა, საწამლავი შენი ჰარამხანიდან მოდისო. შაჰმა არც აცივა და არც აცხელა, არც გამოიძია და არც გამოიკითხა — სასახლის ბაღში მიწა გაათხრევინა და შიგ ორმოცი ქალი ცოცხლად ჩაამარხვინა.

. . . . . .

ბაღში სეირნობდა შაჰ სეფი.

ცადავარდნილ ალვის ხეებს მიადგა; უყურა, უყურა და თქვა:

„ძალიან გაზრდილან და გამსხვილებულან ეს ხეები. აუცი-

ლებლად უნდა მოვჭრათ და მათ ნაცვლად ახალი ნერგები ჩავ-
ყაროთ!“

გასაგებად იყო ნათქვამი.

„გასაგებადაც გაიგო“ ერთმა იქ მყოფმა კარისკაცმა, — შა-
ჰის წინ მუხლებზე დაეცა, კისერი წარუპყრა და შესძახა: დი-
დებულად ბრძანებთ, ჩემო ხელმწიფევ! აჰა, მზად გახლავართ,
თავი გამაგდებინოთო!

„შენ არა ხარ ის ხე, რომელიც უნდა მოიჭრასო“, დაამშვი-
და შაჰმა კარისკაცი, რომელსაც, ალბათ, არ გააჩნდა „მოსაჭ-
რელი ხის“ სიმაღლე და სისრულე.

მაშ, ვინ მიაჩნდა შლეგიან ხელმწიფეს „ზრდა-ნაჭარბ ხე-
ებად“, რომელთაც უკვე დასდგომოდათ მოჭრისა თუ მოთხ-
რის დრო-ჟამი?!

თურმე ძმანი უნდილაძენი — იმამ-ყული-ხან და დაუდ-ხან!

თურმე შაჰის წალკოტში „ახალნერგი ხე“ გამძლავრებულ-
ყო, რომელიც ვეღარ ითმენდა თავისი ჯიშის „ჟამმორეულ
ხეებს“.

ეს „ახალნერგი“ სწორედ ხოსრო-მირზა იყო — ტომით
ქართველი, ხოლო სხვა ქართველებს, „როგორც წესი“, მის
ახლოს აღარ დაედგომებოდათ.

ერთი სიტყვით, ხოსრო-მირზას რომ „გაეხარა“, უნდილა-
ძეები უნდა „მოკვეთილიყვნენ“.

. . . . . .

ბოლოს და ბოლოს, შაჰ სეფისთვის ცნობილი შეიქნა ერ-
თი უცნაური ამბავი. თურმე იმამ-ყული-ხან უნდილაძეს ში-
რაზში, თავისი საბეგლარბეგოს შუაგულში, ბრწყინვალე დარ-
ბაზობა გაუმართავს და სტუმრად მისი ძმის, დაუდ-ხანისა და
ინგლისელი სამხედრო ატაშის — ჰერბერტის გარდა მიწვეული
ჰყოლია თეიმურაზ მეფე.

შირაზის ბეგლარბეგის „შაჰზე უბრწყინვალეს“ მეჯლისს
რომ თავი დავანებოთ (ამას ყველა შეგუებული იყო — უნდი-
ლაძეებს „შაჰებზე უკეთესი“ ცხოვრება უყვარდათ!), ნაოცა-
რი და დაუჯერებელი მაინც ის გახლდათ, რომ თეიმურაზი ში-
რაზში ისე ჩასულა და საქართველოშიც უკანვე ისე დაბრუნე-
ბულა, არც შაჰს და არც მის „მამიკო“ ხოსრო-მირზას ამის
შესახებ არაფერი შეუტყვიათ!

ეს როგორ მოხდა, რომ ქართველმა მეფემ, ერანის ქვეშევრდომმა, ერანში ერანის შაჰის გვერდის ავლით გაბედა „მისვლა-მოსვლა“?!

ან რას ჩურჩულებდნენ თეიმურაზი და ძმანი უნდილაძენი შაჰისა და ხოსრო-მირზას ზურგს უკან, შირაზის სადარბაზოში?!

„შეთქმულება რაიმე“ ხომ არ გაუწყვიათ „გველის ჭკუის მქონე გურჯებს“ შაჰ სეფის ტახტის დასამხობად?!

ეს ხომ აშკარად ცნობილია, რომ ძმებს უნდილაძეებს დასაწყისშივე არ უნდოდათ სეფის გამეფება. გამორჩევით იმამ-ყული-ხან უნდილაძე აპირებდა თურმე შაჰის ტახტზე „უფრო კანონიერი მირზას“ აყვანას. ალბათ, კიდევაც გაიტანდა თავისას „ყოვლისშემძლე უნდილაძე“, რომ ამ ქვეყანაზე ალლაჰის ნებით მოვლენილი არ ყოფილიყო „დიდი ხოსრო-მირზა“!

მაინც ვინ არის ის „უფრო კანონიერი მირზა“, უნდილაძე რომ უპირებდა გამეფებას? თვითონ უნდილაძის უფროსი ვაჟი, რომელიც თითქოს უნდილაძის კი არა, შაჰ აბასის პირმშო ძე იყოს!

მაინც საიდან ვრცელდება ეგზომ ბრიყვული ხმები?!

მაინც არ ნელდება უნდილაძეთა სადიდებელი მითქმა-მოთქმა „მთელს დუნიაზე“. ინდოეთიდან ესპანეთამდე ამას გაიძახიან დაბეჯითებით: იმამ-ყული ხან უნდილაძე ის ვაჟკაცია, რომელსაც, რა დღესაც მოესურვება, იმ დღესვე დაბრძანდება ერანის შაჰის ტახტზეო.

უეჭველად უნდა მოისრას იმამ-ყული-ხან უნდილაძე. უნდა მოისპოს დაუნდობლად, უნდა მოითხაროს ძირბუდიანად, ცოლშვილიანად, დედაწულიანად!

დაუდ-ხან უნდილაძეც უნდა მიჰყვეს თავისი უფროსი ძმის კვალს, — ისიც უნდა განადგურდეს დედა-წულით და ნაშობ-ნაგრამით!

მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ ძმები უნდილაძენი ძალიან უყვარს სპარსელ ხალხსო, „ორივე ძმა თავიანთი მშვენიერი ყოფაქცევით მთელი სპარსეთის საყვარელ ადამიანებად გამხდარანო!“ — რამდენჯერმე მოახსენეს შაჰს.

სპარსელ ხალხს უყვარსო?!

მთელს სპარსეთს უყვარსო?!

როგორ დაცემულა სპარსეთი და სპარსელი ხალხი, ცბიერი გურჯების ფერხთა მტვრად რომ ქცეულან!

თუმცა რა გაეწყობა, — „ხალხის სიყვარულსაც“ უნდა გაეწიოს ანგარიში.

ხალხმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიტყოს „მისი გმირების“ ნამდვილი სახე და შინაარსი, — უნდა მიხვდეს და შეინანოს, რანაირ კერპს ეთაყვანებოდა და ემონებოდა.

და ამოქმედდა შაჰ სეფი.

დაიწყო უმცროსი უნდილაძით.

ძმადნაფიცები იორზე ნადირობენ

მკითხველმა უკვე იცის: 1630 წელს სპარსელებმა ხოსრო-მირზას მთავარსარდლობით ილაშქრეს ბაღდადს, დაამარცხეს თურქთა არმია, გააქციეს სერასქერი ხუსრევ-ფაშა, ბაღდადი ისევ მოიმტკიცეს და დიდძალი ნადავლით დატვირთულნი შემოიქცნენ გამარჯვებულნი.

ბაღდადს მოლაშქრე სარდალთა შორის დაუდ-ხან უნდილაძეც იყო განჯა-ყარაბაღის მხედრობით.

და იქიდანვე აუბეს ხრიკი და შარი თავმომწონე გურჯს: რამდენიმე ყაჯარი წარჩინებული მთავარსარდალს ეახლა და მოახსენა: დაუდ-ხან უნდილაძე ყველას უხეშად, ქედმაღლურად და უსამართლოდ გვექცევაო!

ხოსრო-მირზამ უნდილაძე გამოიძახა, საჩივარი გააცნო და „ურჩია“: — ხელქვეითებს შემწყნარებლურად მოექეცი.

უნდილაძემ „უსამართლო“ საყვედური იუკადრისა.

ხოსრო-მირზამ „ქვეშევრდომი ქართველის“ უკადრისობა ფეხებზე დაიკიდა.

უნდილაძემ „მედროვე-თანამემამულეს“ ზურგი შეაქცია და მისი მბრძანებლური შეგონება უპასუხოდ დააგდო.

ხოსრო-მირზამ რისხვა გულს დაიკრძალა და ისფაჰანში დაბრუნებულმა შაჰს ყოველივე დაწვრილებით აუწყა.

შაჰ სეფიმ საგანგებო მეჯლისი მოიწვია და დაუდ-ხან უნ-

დილაძე ფრთხილი საყვედურებით „შეალამაზა“. ისევ არ სცნო თავი საყვედურის ღირსად უნდილაძემ.

მაშინ კი იჭექა შაჰმა. ჯალათებს ანიშნა. ჯალათები უნდილაძეს დაეძგერნენ, გარეთ გაათრიეს, არგანი შემოჰკრეს და ისევ უკანვე შემოიყვანეს.

„მამაშენის ნამსახურობისა და შენი უფროსი ძმის პატივისცემა რომ არ მქონდეს, ბეგლარბეგობასაც წაგართმევდი და იქნებ სიცოცხლესაც გამოგასალმებდი“, უთხრა შაჰმა მოძალინური ღრეჯვით.

არც ერთი სიტყვა სინანულისა, საყვედურისა, სიმდაბლისა და სიმონავისა, რაიც მის ამაყ სულსა და მაღალ ღირსებას შებღალავდა, არ წასცდენია უნდილაძეს.

შაჰმაც მეტი ველარ შეჰბედა იმჯერად.

ის დღე როგორც იქნა განესრულა, ღამეც მიჰყვა და დილით შაჰმა და ხოსრო-მირზამ ისევ მოიკითხეს ურჩი ბეგლარბეგი.

დაუდ-ხან უნდილაძე წუხელის ცხენს მოახტა და ყარაბაღისკენ გაქუსლაო, იყო პასუხი.

როგორ თუ შაჰის დაუკითხავად გაბედა წასვლაო!

ეს ხომ გაქცევაა ურჩი ქვეშევრდომისა, გაქცევაც და იქნებ... ღალატიც?!

მერე, იქვე, მეზობლად არის თეიმურაზ ქართველთა მეფე.

ხოლო, თეიმურაზი და დაუდ-ხანი „დიდი დოსტები“, ანუ — როგორც ქართველები ეძახიან — „ძმადნაფიცები“ ყოფილან...

შაჰმა ისიც შეიტყო, რომ ისფაჰანიდან გაქცეული დაუდ-ხან უნდილაძე და თეიმურაზ მეფე კახეთში ერთმანეთს შეხვედრიან სანადიროდ. მაგრამ ეს კი აღარ იცოდა შაჰ სეფიმ: უნდილაძემ ქართველი მეფე დაარწმუნა. რომ მას შაჰ სეფი და ხოსრო-მირზა მზაკვრულად თავს უქონავენ და დღეს თუ ხვალ ქართლ-კახეთის მეფობას ხელიდან გამოგლეჯენ...

. . . . . .

დაღლილმა მონადირეებმა მუხლი ჩაიკრიფეს, ხის ძირას, ჩრდილში.

და დავით უნდილაძემ უამბო თეიმურაზ მეფეს:

„ერთხელ თურმე შაჰ აბასმა ჩემი ძმა იმამ-ყული-ხანი თა-

ვის ჰარამხანაში წაიყვანა და უთხრა: ჩემი შენდამი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ჩემს ცოლთაგან ერთ-ერთი მინდა მოგიძღვნა და, აჰა, რომელიც ყველაზე უფრო მოგეწონოს, ამოირჩიე და წაიყვანეო. იმამ-ყულიმ ქალი აარჩია და წაიყვანა. ხუთი თვის თავზე იმ ქალს ვაჟი შეეძინა. თურმე ნაყოფი შაჰ აბასისგან გამოჰყოლოდა. იმამ-ყულიმ ბიჭი თავის შვილად გაზარდა და შაჰისთვის არაფერი გაუმხელია. ის ბიჭი შაჰ სეფიზე უფროსია — 24 წლისა. მისი სახელია სეფე-ყულისულთანი, ბეგლარბეგი ლარისა. აი, ვინ არის „კანონიერი მირზა-ბატონიშვილი, ვისაც უნდა ეპყრას ერანის ტახტგვირგვინი!“...

. . . . . .

არც ამ საუბრის შესახებ იცოდა რაიმე შაჰ სეფიმ.

უამისოდ ხლართავდა იგი ხვანჯებს უნდილაძეთა ამოსაგდებად.

ერთ დღეს დაუდ-ხან უნდილაძემ შაჰისგან ახალი თანამდებობა მიიღო: იგი, განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგობის გვერდით, დანიშნულია აგრეთვე ტფილისის მმართველად!

მაშ, შურისგებისა და სასჯელის ნაცვლად ახალი აღზევება და პატივი!

უეჭველად რაღაც ხრიკი და მახე უნდა იყოს გაწყობილი შაჰის ბოროტი საბუდარიდან.

მართლაც: შაჰ სეფი ტფილისის ყიზილბაშური ციხიონის უფროსს უთვლიდა საგანგებო იდუმალებით: როგორც კი დაუდ-ხან უნდილაძე ტფილისში გამოჩნდეს, მაშინვე შეიპყარ, მოახრჩე, თავი გააგდებინე და გამომიგზავნეო.

უნდილაძე განჯაში დარჩა. ტფილისს „სამმართველოდ“ თავისი მოადგილე გაგზავნა.

ეს პირველი ხრიკი რომ ჩაიშალა, შაჰმა მეორე მუხანათობა ჩაიფიქრა: განჯაში თოფი უნდა გავარდნილიყო და იმ თოფს დაუდ-ხან უნდილაძე უნდა მოეკლა „შემთხვევით“.

მაგრამ ის მეთოფე თოფის გავარდნამდე გაქრა „რაღაცნაირად“.

. . . . . .

ხოლო, თეიმურაზ მეფეს დაუდ-ხან უნდილაძის ფაიქები ეუტუმრნენ და წერილი გადასცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფემ პოეტური ქნარი გადასდო და ისევ უქარქაშო ხმალს ჩასჭიდა ხელი.

. . . . . .

1632 წლის სექტემბერი. ჟამი ნადირობისა.

დაუდ-ხან უნდილაძე განჯაში სანადიროდ იკაზმებოდა.

მოულოდნელად სამი კათოლიკე მისიონერი ეწვია საქართველოდან — პიეტრო ავიტაბილე, ჯაკომო სტეფანი და მატეო ფიორინი. ტფილისში იქაურმა ყიზილბაშებმა გაგვძარცვესო და იქნებ დაგვეხმარო დანაკარგის ამოგებაშიო, შესჩივლეს ბერებმა „ტფილისის მმართველს“. გათათრებულ უნდილაშეს გული და სული ხომ ქრისტიან-ქართველისა ჰქონდა და ყოველთვის დიდის პატივითა და სიყვარულით ეპყრობოდა ევროპელ „ქრისტესმიერ ძმებს“. ამჯერადაც უნდილაძემ „არაფერი დაიშურა“ მათთვის: ფულიც მისცა, ცხენებიც, აქლემებიც და ექვსი მოსამსახურეც დაუნიშნა; ტფილისის ციხისთავს ბრძანება გაუგზავნა: დაზარალებულებს დანაკარგი აუნაზღაურეთო; განჯაში ადგილიც გამოუყო პატრებს, კათოლიკური ეკლესიისა და საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად.

მერე მთელი ოჯახითა და ქონებით აიბარგა უნდილაძე, აიყოლია ყაჯარი დიდებულები, სარდლები, რჩეული ყაჯარული ლაშქარი და გამოუცხადა: — საქართველოში მივდივართ სანადიროდო; იქ, ივრის ხეობაში თეიმურაზ მეფე შემოგვხვდებაო თავის ამალით და, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდებულ ნადირობა-ნადიმობას შევყვებით სტუმართმოყვარე ქართველებთანო.

ყაჯარ-ყიზილბაშთაგან არავის გაჰკვირვებია, არც არავინ შეფიქრიანებულა, რადგან უჩვეულო არაფერი ხდებოდა. აკი ასე დადიოდნენ ყოველთვის ნადირობის ჟამს ივრის ნაპირებზე სანადიროდ და სანადიმოდ ქართველებთან ერთად.

ქართულ მიწაზე შესდგეს ფეხი. ივრის ნაპირებს გაუყვნენ გულდანდობილად.

შემოეგებნენ ქართველები.

წინ თეიმურაზი მოუძღოდათ, სანადიროდ აღკაზმული.

მეფე და ბეგლარბეგი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

სანამ ნადირობას შევუდგებოდეთ, მანამ მცირე ინახი უნდა მივიღოთო, ბრძანა მეფემ და კარავისკენ გაუძღვა სტუმრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარავში მასპინძლებს ხალიჩები გაეგოთ და ზედ უხვად დატვირთული სუფრა გადაეშალათ.

ყაჯარმა დიდებულებმა და სარდლებმა ხალიჩებზე მუხლები ჩაიკეცეს და ის იყო, ხელი სუფრისკენ წაიწვდინეს, რომ ელვასავით შემოიჭრნენ ხმალშემართული ქართველები.

შემოიჭრნენ და დაერივნენ ყიზილბაშებს.

რამდენიმე წუთში ყველა ყიზილბაში დაჩეხილი ეყარა ძირს.

ქართველები ისე გაფიცხებულიყვნენ, თათრულად გამოწყობილ უნდილაძესაც კინაღამ უჭირეს ხმალი.

გარეთ გამოცვივდნენ თეიმურაზი და უნდილაძე და მყისვე ცხენებს მოახტნენ.

ქართველთა ჯარი უკვე დასძგერებოდა ყიზილბაშთა მხედრობას.

ვიღაც მოლა გამოექცა საშინელ ხმალთაკვეთებას და დაუდ-ხანს მივარდა კივილით:

„ქართველებმა გვიღალატეს, ბეგლარბეგო, ხალხს გიხოცავენ და შენ მაინც უშველე თავს!“

გადაიხარხარა უნდილაძემ:

„ეჰეი, მოლავ, შე უბედურო, როგორ ტყუილად დაფეთებულხარ! არაფერი უბედურება არ მომხდარა. რასაც შენ ჰხედავ, ეგ გართობაა, თავშესაქცევი თამაშობა. ჯერ სადა ხარ — ამნაირ სეირს კიდევ ბევრს ნახავ!“

სულ მალე შვიდასი ყაჯარი უსულოლ ეშად ელაგა ივრის ნაპირას.

ᲐᲘᲜᲐᲠᲘᲗ ᲪᲮᲕᲘᲠᲓᲐᲡᲣᲡᲮᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲛᲘ

თეიმურაზ მეფეს და დავით უნდილაძეს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რასაც ნიშნავდა ორზე დატრიალებული ტრაგედია. ეს აჯანყება და ომის დაწყება იყო ერანის მბრძანებლობის წინააღმდეგ.

მაგრამ ძმადნაფიცებს ის კი ვერ განუჭვრეტიათ, ბოლოს

და ბოლოს, რას მოასწავებდა ესოდენ თავზეხელაღებული წამოწყება.

ვერ განჭვრიტეს და დიდი ომის გზაზე შედგნენ „ივრისპირული ნადირობით“ გალაღებულნი.

თეიმურაზმა დასავლეთ საქართველოში და სამცხეში აფეთინა შიკრიკები დამხმარე ჯარების თხოვნით.

მართლაც მოვიდნენ და ქართლ-კახეთის საომარ ძალებს შეუერთდნენ: თეიმურაზ მეფის სიძე ალექსანდრე იმერთა ბატონიშვილი, ლევან II დადიანი და „მესხთა თავადნი და აზნაურნი“.

კარგა ხანი აღარ ახსოვდა საქართველოს ერთიანი ქართული ლაშქარი! ახლა კი შეყრილიყვნენ ძმები — ქართლელნი, კახელნი, იმერელნი, მეგრელნი, მესხნი.

შეყრილიყვნენ ძმები, რომელთაგან ბევრს ექვსი წლის წინათ წილი დაედო ბაზალეთის მარად საგლოველ ეროვნულ ცოდვაში.

. . . . . .

იმავე 1632 წლის ნოემბერში თეიმურაზ მეფე და დავით უნდილაძე ქართველთა ჯარით განჯაში შეიჭრნენ, თვითონ უნდილაძის საბეგლარბეგოს შუაგულში; ქალაქი აიღეს, ყიზილბაშთა ციხიონი გაჟლიტეს, იქაურობა დაარბიეს და ალაფალა გაახურეს. სპარსელთა „გოდება ძეშვიდე ცას ასწვდა“.

განჯიდან მთელს ყარაბაღს მოედვნენ ქართველები ცეცხლით და რკინით. არეზამდე ჩავიდნენ და, სადაც ყიზილბაშს წაეწივნენ, შავი დღე გაუთენეს. რის წამოღებაც და წამოყვანაც შეიძლებოდა, ყოველივე წამოიღეს და წამოიყვანეს.

ბარდას მივიდა თეიმურაზი, ეს ქალაქიც დაიპყრო და დაინადავლა. აქვე შედგა და თვალი მოავლო ამწლევანდელი შემოდგომის „მოსავალს“.

არეზის აქეთა (მარცხენა) მხარე მთლიანად ჩამოეკვეთათ ქართველებს ერანის სამფლობელოთაგან. აღებული იყო სისხლი გრემის, ძაგემის, თორღასა და ხორნაბუჯის აოხრებისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც ზღვაში წვეთი იყო ნახევარი მილიონი ქართული სიცოცხლის მოსპობასთან შედარებით.

მაინც როგორ უნდა მოქცეულიყო ახლა მეფე ქართველ-

თა? განეგრძო და გაეფართოებინა შეტევა, თუ დაესვა წერტილი საომარი მოქმედებისთვის და ხმალი ისევ გაეცვალა პოეტურ ქნარში?

ერთი ვაი იყო და მეორე უი!

იმდროინდელი ქართული ძალებით ერანის დაპყრობა მას არ შეეძლო, არადა, მისგანვე საომრად გამოწვეული ლომის ნახტომის მოგერიებაც შეუძლებელი სჩანდა.

მართლაცდა, თეიმურაზის „გამოხდომა" ჭინჭრით ლომის გაღიზიანებასა და გაცოფებას ჰგავდა. ახლა იმ ლომს დახვედრა უნდოდა...

იმ დღესვე გამოირკვა, რასაც აპირებდა მეფე ქართველთ».

ბარდაში თეიმურაზს ეწვია განძასარის სომეხთა კათალიკოსი ჯარით და ძვირფასი ფეშქაშით. ეწვია და მოახსენა:

„ხონთქარი და ყაენი აშლით არიან, დრო ამის უკეთესი აღარ იქნების. შვიდის საქართველოს ლაშქარნი თან გახლავს, ორმოცს ათას მეთოფეს მე მოგისხამ, ამავე ფეხსზედ თავრიზს მიბრძანდი და შვიდს დღეს თავრიზი დაარბევინეთ და შვიდის წლის ჯამაგირში ლაშქართ უანგარიშეთ და სიდამდისინ ყაენი ლაშქარს შეყრიდეს, ადირბეჟანის ბატონები გამოსცვალეთ, ყველგან თქვენი ყმანი დასხით და მე ხონთქართან გამგზავნეთ, იმისგან ლაშქარს მოგაშველებ. თუ ყაენი წამოდგეს, შევებათ და ისინი ქართველთ ომს ვერ გაუძლებენ, გამარჯვება თქვენ დაგრჩების და მთავარ ხელმწიფედ გაკურთხებთ და საქრისტიანო შენით დაიხსნების და გაძლიერდებისო".

ძლიერად იყო ნათქვამი: ქართველებისა და სომხების ერთიან ლაშქარს უწინამძღვრე, შირვან-აზერბაიჯანში შენიანები დასვი, თურქებიც მოიშველიე, ერანი დალაშქრე და დააძაბუნე და ქართველ-სომეხთა ერთიან საქრისტიანო სამყაროს „მთავარ ხელმწიფედ" შენ დაუდექიო!

განძასარის მწყემსმთავარს თეიმურაზის სწრაფი წინსვლა სომეხი ხალხისათვის ისეთსავე მხსნელ მოვლინებად მოსჩვენებია, როგორადაც სინამდვილეში ხდებოდა X—XII საუკუნეების ქართველ-სომეხთა ძმური ურთიერთობის ისტორიაში.

მაგრამ კეთილშობილ სომეხ მამულიშვილს ფრიად გაზვიადებულად წარმოუდგენია ქართველი მეფის შესაძლებლობანი. იგი ვერ მიმხვდარა, რომ თეიმურაზი მოძმე სომეხ ხალხს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოევლინებოდა ისეთივე „მესიად“, როგორც ამას ხმლითა და ჯვრით ხელში აკეთებდნენ დავით კურაპალატი, დავით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი, გიორგი მესამე და თამარ შვიდმნათობიერი. აკი აღარც მეთორმეტე საუკუნის საქართველო არსებობდა ამ ქვეყანაზე — „საიმო იმპერია“ ქართველთა, სომეხთა, სხვათა და სხვათა — „სრულიად კავკასიელთა“...

ამიტომ თეიმურაზმა განძასარელის რჩევისაგან თავი „შორს დაიჭირა“ და ეს უთხრა დაბეჯითებით:

ჯერ ყარაბაღი დამიჭირავს და შირვანს ჩემი ყმის შვილი ბატონობს. ამ ზამთარ ქართლს მივალ, ხონთქარს ფეშქაშს გავუგზავნი, ჯარს შევახვეწებ და გაზაფხულსა უფრო დიდის ლაშქრით წამოვალო“.

სტუმარს არ ეჭაშნიკა მასპინძლის პასუხი. თეიმურაზმა კი მაშინვე გადაიბა სიტყვა: „ახლა გორს უნდა დავბრუნდე, შენცა და დავით უნდილაძესაც თან წაგიყვანთ. ჩემი მეომრებიც შინისკენ გაუტევენ, დაისვენებენ და ლაშქრობით მოხვეჭილ ქონებასაც დააბინავებენო“.

„ეჰ, შე დალოცვილო, ცხვარ-ძროხისთვის დადიანი და იმერელი არ წამოგესხა, განა ოთხფეხა საქონელს კახეთში ვერ იშოვნიდი? მერე, ერანის ხელმწიფე მაგდენს გაცლის, რომ ახალი დიდი ლაშქარი შემოიყაროს? დღეს ხვალობით სპარსელები ლაშქარს მოგიხდუნებენ და ცხვრისა და ძროხის მაგიერად ადამიანებს ტყვედ წაასხამენ“, — ნაღვლიანად თქვა სოშეხმა.

მაგრამ თეიმურაზმა თავისი დაიჯინა, „ბერს არ დაუჯერა“, ყარაბაღიდან აიყარა ჯარით, ნაძარცვ-ნაალაფარით და აღალფორანით. დავით უნდილაძეც თან წაიყვანა ცოლ-შვილით და ავლა-დიდებით. განძასარის პატრიარქიც იახლა.

უნდილაძეს განჯის აწიოკების დროს ტყე-ღრედ გადაკარგული იტალიელი პატრებიც მოუძებნია და ისინიც თან წაიყვანეს. პიეტრო ავიტაბილეს არ იშორებდა უნდილაძე. ღამით, შესვენებისას თავის კარავში აწვენდა, მძინარეს თავის თბილ საბანს ახურავდა, გზაში საკუთარ, „მთლად ოქროთი მოკაზმულ ჯორცხენაზე“ სვამდა.

გორში მისვლისთანავე დიდი ლხინი გადაიხადა თეიმურაზმა.

სანადიმო დარბაზი ულამაზესი ხალიჩებით მოეფინათ. სუფრა ნაირ-ნაირი ღვინოებითა და ხორაგით დაეტვირთათ. თეიმურაზი სუფრის თავში ჩამომჯდარიყო. მარჯვნივ სიძე — ალექსანდრე ბატონიშვილი უჯდა, მარცხნივ — დავით უნდილაძე, შემდეგ — ერთიმეორის პირდაპირ ჩარიგებულიყვნენ თეიმურაზის ძე დავით (დათუნა) უფლისწული, ლევან დადიანი, იოთამ ამილახორი, განძასარის სომეხი პატრიარქი, იტალიელი მისიონერები, მესხი თავადები, აღმოსავლეთ-დასავლეთ „საქართველოთა“ წარჩინებულნი.

საოცარი „სიმპოზიონი“ იყო — „მრავალსარწმუნოებრივ-ინტერნაციონალური“. ერთად ლხინობდნენ და „გაიხარებდნენ“: მართლმადიდებელი დიოფიზიტი, გრიგორიანი მონოფიზიტი, კათოლიკე პაპისტი და მაჰმადიანი შიიტი.

შუა სუფრიდან პიეტრო ავიტაბილე ადგა,, დავით უნდილაძეს მიეახლა და სთხოვა: ნება მომეცით დაგტოვოთ; აქაურ პატრებთან უნდა წავიდე და მოახლოებული შობის დღესასწაულისთვის ვიზრუნოო.

„კარგი, წადი, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით გიშვებ, ლოცვის დროს ქრისტეს ჩემი სულიც შეავედროთო“, უთხრა უნდილაძემ.

პატრი გაოცდა: მაჰმადიანი ქართველი არ ხუმრობდა...

მეორე დღეს მეფემ მეგრელები, იმერლები და მესხები ვარიანის ჭალებსა და „ნეფის წყაროს“ სანახებს გაუსია სანადიროდ. ბოლოს, ყველანი უხვად დაასაჩუქრა და თავიანთ საბუდარში გააბრუნა.

რა ელხინებოდა, ენადიმებოდა და ენადირებოდა სპარსელთა სისხლის დამაქცევარ მეფეს, როცა იმ სისხლს ასგზის ამოგების საფრთხე ატუზულიყო საქართველოს კარებთან?

თურმე ისევ იმამ-ყული-ხან უნდილაძის იმედი ჰქონიათ თეიმურაზ მეფესა და დავით უნდილაძეს.

დღე-დღეზე უფროსი უნდილაძე ფარსიდან შემოუტევს ისფაჰანს ოცდაათი ათასი მეომრით. აქედან თეიმურაზი და დაუდ-ხანი დაიძრებიან, შაჰ სეფის ტახტიდან ჩამოაგდებენ და მის ნაცვლად გაამეფებენ იმამ-ყული-ხანის ოჯახში „შვილად აღზრდილ ნამდვილ შვილს შაჰ აბასისას“.

თეიმურაზსა და დაუდ-ხანს თავისი განაზრახი უკვე ერევ-

ნისა და შირვანის ბეგლარბეგებისთვისაც გაუგზავნიათ: იმამ-ყული-ხან უნდილაძეს „კანონიერი მირზა“ აღუზრდია და თქვენც ნულარ დააგვიანებთ, მონაწილეობა მიიღეთ სეფის ჩამოგდებისა და შაჰ აბასის „პირმშო ძის“ გამეფებისათვის ბრძოლაში...

დიდი, „უნდილაძური იმედის“ გარდა, თეიმურაზი ამასაც ვარაუდობდა: შაჰ სეფის დღესდღეობით საქართველოსკენ ჯარის გამოგზავნა არ შეუძლია, რადგან ერანს ახლა ერთდროულად ოზბეგებიც ებრძვიან და ოსმალებიცო.

და ასე, „დიდი“ და „მცირე“ იმედებით ცხოვრობდა, განისვენებდა და განიხარებდა „ხმალზე მინდობილი“ ორი ძმადნაფიცი — თეიმურაზ მეფე და დავით უნდილაძე.

. . . . . .

შობის დღესასწაულზე დავით უნდილაძე „გორელ ევროპელებს“ ეწვია.

ქრისტიან ბერებს უკვე აღარ უკვირდათ ამ „უცნაური თათრის“ და მათი „დიდი კეთილისმყოფელის“ სტუმრობა.

საშობაო ტაბლა გაუწყვეს სტუმარს მასპინძლებმა.

უნდილაძემ ჯერ ღვთისმშობლის ხატსა და იესოს ჯვარცმას უცქირა მძიმედ ჩაფიქრებულმა. მერე პიეტრო ავიტაბილეს მიუბრუნდა და უთხრა: თურქეთის ელჩი მეწვია მოსალაპარაკებლად და თუ თქვენც კმაყოფილი იქნებით, აქ მოვიყვან და აქვე მოვეთათბირებიო.

ნება თქვენიაო, კრძალვით უპასუხა ავიტაბილემ.

საყოყმანო მხოლოდ ის შეიქნა, პატრებმა არ იცოდნენ, ფეხმორთხმული დაესვათ მაჰმადიანი სტუმრები სუფრასთან, თუ ჩვეულებრივად მჯდომარენი, „ევროპული წესით“.

მაგრამ სტუმრებმა სწორედ „ევროპული წესი“ ამჯობინეს.

იმ დღეს ერთად გაინაწილეს ტაბლა კათოლიკე ქრისტიანებმა, შიიტმა ქართველმა და სუნიტმა თურქმა.

სტუმრებს „მოეწონათ ყველაფერი იტალიური და ძალიან ნასიამოვნები დარჩნენ“.

მერე ცალკე ჩასხდნენ სათათბიროდ დავით უნდილაძე და თურქი დიასპანი — არზრუმის ფაშასაგან გამოგზავნილი.

დიდხანს ითათბირეს. თურქმა „დაპირებები“ დატოვა და არზრუმს გაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით უნდილაძე უკმურშეყრილივით დარჩა.

როგორც იქნა, წარბი გაიხსნა და ისევ შეუდგა საუბარს კათოლიკე ბერებთან.

პიეტრო ავიტაბილე გატაცებით უსმენდა ამ „სასიამოვნო კაცს“ და თან დაბეჯითებით ფიქრობდა: თუ ფორტუნა ინებებს და დაუდხანი ერთხანს მაინც ამ მხარეში დარჩება, სრულიად უეჭველად ჩვენს წმინდა სარწმუნოებას მიიღებსო.

დაუდ-ხანი კი პატრ დონ ჯაკომოს ეუბნებოდა: „მე ყოველთვის ჩემს თანაგრძნობას ვუცხადებდი ევროპელ ერებს, განსაკუთრებით მათ სამსახურად ბევრი რამე გამიკეთებია ყოველთვის, როცა კი ამის შემთხვევა მქონია. ოღონდ ქრისტიანი შემხვდეს და მისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რადგანაც ძალიან მიყვარს ქრისტე და მას ჭეშმარიტ ღმერთად მივიჩნევ“.

ეს რომ მოისმინა, ჯაკომომ მაშინვე მიაგება უნდილაძეს: „რაკი თქვენ ქრისტეს სიყვარულისთვის ბევრი რამე გაგიკეთებიათ, სწორედ ამიტომ ქრისტე თქვენგან ითხოვს სულს“.

„მზად გახლავარ, ჩავბარდე ქრისტეს, ვითარცა მეუფეს და მას მივცემ სულსაც, სიცოცხლესაც. ხოლო მანამდე მე თქვენ გიძღვნით საჩუქარს!“ — შესძახა უნდილაძემ აღტკინებით და ძვირფასი მისართმეველიც მიართვა პატრებს...

იქნებ მისი პორტრეტიც მაშინ ჩაიხატა ქრისტეფორე კასტელმა — ხატი დავით უნდილაძისა, წყობილნაკვთოვანი სახით და ძლიერი თვალებით...

მთავარი ის იყო, რომ თურქეთიდან მაინცადამაინც არაფერი იმედი უნდა დარჩენოდათ თეიმურაზ მეფესა და დავით უნდილაძეს.

ისინი ელოდნენ ნიშანს იმამ-ყული-ხან უნდილაძისგან და პასუხს წერილებზე, რომლებიც მათ მისწერეს ერევნისა და შირვანის ბეგლარბეგებს.

ვაითუ ამაოდ ელოდნენ?!

„ხმალზე და ფიც-ვერცხლზე შეფიცულებმა“ ჯერ არ იცოდნენ ყველაზე მთავარი და საბედისწერო ამბავი: იმამ-ყული-ხან უნდილაძეს საკუთარი ძალები საკმარისად არ მიუჩნევია და ინდოეთში მყოფ პორტუგალიელებთან ელჩები გაუგზავნია. ოღონდ შაჰ სეფისთან საომრად სამხედრო დახმარება გამიწიეთ და ჩემგანვე წართმეულ ჰორმუზს დაგიბრუნებთო.

შაგრამ ამ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ხოლო ჭინჭრით ცხვირდასუსხული და ბალანაშლილი ლომ. საბედისწერო კამარას ამზადებდა.

უნდილაძეთა საწუთროს დასასრული

„შირაზის ხანის ჭებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი“.

თეიმურაზ პირველი

როცა შაჰ სეფიმ თეიმურაზისა და დაუდ-ხან უნდილაძის აჯანყებისა და არეზის ჩრდილოეთი მიწა-წყლის აოხრების ამბავი შეიტყო, მაწ ისფაჰანი დააგდო და მრავალრიცხოვანი ამალით ჩრდილოეთისკენ წამოემართა.

მძიმე, თოვლიან-ყინვიანი დეკემბერი იდგა. შაჰმა ქარბუქში ძლივს მოატანა ყაზვინს. აქვე დადგა გამოსაზამთრებლად და „საქართველოს საკითხის“ გადასაწყვეტად.

გამოირკვა, რომ მთელი წლის მანძილზე თურქთა შემოსევებსაც ვერ მიუყენებია ერანისთვის იმდენი ზარალი, რამდენიც ქართველების ლაშქრობას განჯა-ყარაბაღში.

შაჰმა ჯერ არ იცოდა თეიმურაზ მეფისა და დაუდ-ხან უნდილაძის მომავალი განზრახულობანი, როცა მან სამი წერილი მიიღო ზედიზედ. ორი ერევნისა და შირვანის ბეგლარბეგთაგან — სწორედ ის წერილნი, რომელთაც მათ თეიმურაზი და დაუდ-ხანი უგზავნიდნენ: სამხრეთიდან იმამ-ყული ხანი შემოუტევს და ჩრდილოეთიდან ჩვენ შევუტიოთ შაჰ სეფისო. მესამე წერილი საქართველოდან იყო (ოღონდ არ ჩანს, ვინ სწერდა — ქართველი, ყიზილბაში თუ ვინმე „სხვა სჯული“) და შიგ ეწერა:

„დიდებულო ხელმწიფევ, თუ გინდათ საქართველოს დაეპატრონოთ, თავიდან უნდა მოიშოროთ იმამ-ყული-ხან უნდილაძე, რადგან მთელი ქართველი ხალხის თვალები მისკენ არის მიპყრობილია“.

სხვა რაღა იყო საჭირო! სამივე წერილი შირაზის ხანის უეჭველ ღალატს ააშკარავებდა.

შაჰ სეფიმ წერილი აფრინა შირაზში და იმამ-ყული-ხან უნდილაძეს შეუთვალა: სასწრაფოდ ყაზვინს მოდი და გამომეცხადეო.

უნდილაძეს გულმა რეჩხი უყო და პასუხად ეს გამოუგზავნა შაჰს: ჩემი საბეგლარბეგო მტრის სამფლობელოებს ესაზღვრება და ამიტომ სახიფათოდ მიმაჩნია უპატრონოდ მივატოვო აქაურობა, ჩემი ესოდენ ნასწრაფევი წამოსვლა ზიანს მიაყენებს ერანისა და შაჰის გვირგვინსო.

გველი აუსრიალდა გულზე შაჰ სეფის. ისევ აფრინა ბრძანება „კადნიერ გურჯთან“: შაჰი მე გახლავართ, სპარსეთს მე ვმბრძანებლობ და შენის აქ მოსვლით თუ ქვეყანას რამე უბედურება დაატყდება, ეგეც ჩემს კისერზედ იქნებაო. ახლავე გამოცხადდი, თორემ მე თვითონ წამოვალ მთელის მხედრობით და უსასტიკესად გავუსწორდები ეგზომ ურჩობას და კადნიერებასო.

მუქარას მუქარა შემოაგება უნდილაძემ: ვინც ჩემზე ძალადობას გაბედავს, მეც ჩემს ძალ-ღონეს დავახვედრებო; ნურავის დაავიწყდება, — ერანის საუკეთესო ციხე-ქალაქები მე მიჭირავსო.

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

შინაური ომის სისხლიანი ღრუბელი დააწვა ერანს.

უნდილაძესთან ხმალდახმალ დავლურში გასვლა არ ურჩიეს შაჰს (ალბათ, ხოსრო-მირზამ არ ურჩია) და ისევ „შინაური წიალსვლით“ გადაწყვიტეს „ყველაზე დიდი ხის“ მოკვეთა.

უნდილაძის ახლობელი კარისკაცები მოისყიდეს შაჰის აეშაგებმა. და შეუჩნდნენ „ის ახლობელნი“ თავის მეუფეს: ასეთი ურჩობა არ ივარგებს, შაჰი დაგვამარცხებს და გაგვანადგურებს; ამიტომ ისევ მორჩილება და შერიგება სჯობია; კიდევაც შეგირიგებს შაჰი. — შეგირიგებს ყველა იმ დამსახურებათა შესაწონისად, რაიც აქამდე გაგიწევია და მომავალშიც უნდა გასწიო ერანის საკეთილდღეოდ.

და გატყდა მარად გაუტეხელი იმამ-ყული-ხან უნდილაძე— ღათანხმდა შაჰთან წასვლაზე.

გავიხსენოთ წინასწრობილად ნათქვამი: მუდამ ცთომილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცისთვის შეცდომას რაიმე „დიდი მნიშვნელობა“ არ ენიჭება, მაგრამ მუდამ უცთომელმა კაცმა თუ ერთი შეცდომაც სადმე დაუშვა, იგი მისთვის უეჭველად საბედისწერო გამოდგება.

და იმამ-ყული-ხან უნდილაძემაც დაუშვა „ის ერთადერთი“ შეცდომა.

. . . . . .

1633 წლის იანვარი.

ქალაქი ყაზვინი ეგებება ლეგენდარული იმამ-ყული-ხან უნდილაძეს.

ოქრო-ვერცხლით დარახტულ მერანზე ამხედრებულა ოქრონემსულ სამოსელში გამოწყობილი ახოვანი ბეგლარბეგი (ეგზომ მდიდრული აღკაზმულობით მხოლოდ ერანის ხელმწიფეები გამოდიან სადღესასწაულო აღლუმებზე).

მოჰყვება ოჯახი, მოჰყვება ჰარამხანა (ესეც შაჰების ადათწესია).

უკან ბრწყინვალე ამალა და მხედრობა მოსდევს, ოქრო-ვერცხლით მოსევადებულ საჭურველში ჩასილაღებული (ასეთი ამალა ერანის ხელმწიფეთა გარდა არავის მოსწრებია აქამდე).

ქუჩები და „მეიდნები“ ხალხით გაჭედილა. ქალი და კაცი, დიდი და პატარა აღტაცებული ჟივილ-ხივილით ესალმება „სანატრელ გურჯს“ (ხალხის ეგზომი სიყვარული და პატივი აქამდე არც ერთ შაჰს არა ჰლირსებია).

სახედამეწყრილი შეეგება შაჰ სეფი უნდილაძეს:

— ამას რას ჰხედავს ჩემი თვალები?! შენა ხარ ერანის შაჰი თუ მე? რატომ გეგებება ეგზომ დიდი სიყვარულით სპარსელი ხალხი?!

— რა ბრძანებაა, ხელმწიფეო! მე ხალხი მესალმება თქვენის თაყვანისცემით, რამეთუ მან იცის თქვენი უამრავი წყალობანი ჩემდამი, — მშვიდად მიუგო უნდილაძემ.

ეს „პირველი შეხვედრა“ ასე განესრულა.

„მეორე შეხვედრა“ შაჰსა და ბეგლარბეგს შორის მეორე დღისთვის დაინიშნა.

მაგრამ იგი აღარ შემდგარა.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმამ-ყული-ხან უნდილაძე ჰარამხანაში იყო.

ტიტველ კაცს დააადგნენ თავზე ხმალამოწვდილი ჯალათები.

ჯალათებიო?!

სამი იყო: ერთი ყაჯარი — ქელბალი-ბეგ ეშიკაღასი და ორი ქართველი — დაუდ-ბეგ გურჯი და ალი-ყული-ბეგ საკაძე.

ორი ქართველი, ორივე სიძეები უნდილაძისა.

რა ბოროტი დაცინვაა?!

მწარე ღიმილმა მოუშალა სახე სიკვდილთან წილნაყარ კაცს.

მაშ, სიძეებს დააკისრა სიმამრის სიკვდილი ვერაგმა შაჰმა. ნეტავ თვითონ მოისაზრა, თუ ისევ ქართველმა ჩააგონა ქართველთა ეგზომ სასტიკი აბუჩად აგდება, — აი, იმ ქართველმა, „მარჯვენა ხელად და მამად“ რომ უდგას ახლა გვერდით რევვენ ხელმწიფეს?!

რა გაეწყობა! ისევ ქართველები ხოცავენ ერთმანეთს საქართველოს მტერთა თვალსასეიროდ!..

საკაძეს შაჰის ფირმანი ეჭირა ხელში.

აბა, წაუკითხე, სიძევ ბატონო, განჩინება საყვარელ სიმამრს!

და წაუკითხა ალი-ყული-ბეგ საკაძემ:

„სიკვდილი!“

მშვიდად მოისმინა უნდილაძემ.

მაინც რა უმწეო და „უმნიშვნელო“ ყოფილა კაციშვილი!..

გამშრალი და გაქვავებული ელოდნენ ქალები: ნუთუ მართლა უნდა მოკვდეს „ვარდი აღტაცებისა“?!

„მე მზად გახლავართ, დავემორჩილო შაჰის ბრძანებას. ოღონდ ერთსა გთხოვთ, — აქ ნუ მომკლავთ, ამ უბედური ქალების თვალწინ. ცოდონი არიან, — თავზარს დასცემთ სიკვდილის ხილვა“, — თქვა სიკვდილმისჯილმა.

ეს თხოვნა აუსრულეს და ჰარამხანიდან გაიყვანეს.

მტკიცე, აუშლელი ნაბიჯით მიდიოდა სიკვდილ-სიცოცხლის განსადრეკელზე.

უკან სამი ჯალათი მიჰყვებოდა — ერთი სპარსელი მეთვალყურე, ორი ქართველი აღმსრულებელი.

ორი ქართველი, ორი სიძე, რომელთაგან არც ერთს უარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაუბედავს დიდი თვისტომისა და მოყვრის სიკვდილზე და ამდენად — არც ერთს არ უცდია შერცხვენილი წუთისოფელი გაეცვალა სამუდამო გმირის სახელზე.

არავინ იცის, რომელმა სიძემ მოიქნია პირველმა ხმალი.

ან რა ბედენა იყო!

უნდილაძის მაღალგონიერი თავიც „ჩვეულებრივი დაცემით“ დაეცა ცოდვილ მიწაზე.

აღარ იყო ამქვეყნად იმამ-ყული-ხან უნდილაძე, ტომით ქართველი, უფროსი ძე დიდი ალავერდი-ხან უნდილაძისა და მისებრ მჭედელი „სხვათა ისტორიისა“, „ვიცე-კოროლი“ ერანისა, ბეგლარბეგი ფარსისა, ბაჰრეინისა, ჰორმუზისა, ხუზისტანისა და არაბისტანისა, დიდი მხედართმთავარი და ზორავარი, „მეთაური თორმეტი სულტანისა, ორმოცდაათი ათასი მხედრისა, ვარდი აღტაცებისა“...

უნდილაძეთა „უკანასკნელ ყლორტებს“ მიადგნენ ჯალათები.

დაუდ-ხანის ვაჟი გამოაცალკევეს და სადღაც წაიყვანეს.

იმამ-ყული-ხანის შვილთაგან პირველად თავი დააგდებინეს სეფე-ყული-სულთანს — სწორედ იმას, შაჰ აბასის ძესა და ერანის „კანონიერ ტახტის მემკვიდრეს“ რომ უწოდებდნენ.

მერე იმამ-ყული-ხანის დანარჩენი ორი ვაჟის — ფათალი-ბეგისა და ალი-ყული-ბეგის თავებიც დაალაგეს მამის განკვეთილ თავსა და ტანზე.

უკვე მოთხრილი იყო „დიდი ხე“ ძირიან-ფესვიანად.

. . . . . .

სამი დღე-ღამე ეყარა ყაზვინის შუაგულში დახოცილ ქართველთა ნაშთები.

სამი დღე-ღამე დასტიროდა შავოსანი ქალი დახოცილებს.

ეს ალავერდი-ხან უნდილაძის მეუღლე იყო.

დასტიროდა ქართველი ქალი უფროსი შვილისა და შვილიშვილების აჩეხილ ცხედრებს.

სამი დღე და ღამე არ ეძინა ქართული გოდებით ზარგანხდილ ქალაქს.

შაჰმა ვეღარ გაუძლო და მეოთხე დღეს დააკრძალვინა ამოწყვეტილნი.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა დავით უნდილაძის ჯერიც დადგა.

შაჰ სეფიმ თეიმურაზ მეფეს შემოუთვალა: რაც იყო იყო, განჯაყარაბაღის სისხლიც მიპატიებია და ივრის პირზე ამოწყვეტილი შვიდასი სპარსელის სიცოცხლეც; ამას გარდა მრავალ წყალობასაც მოგიზღავ, ოღონდ სასწრაფოდ დაუდ-ხან უნდილაძე გამომიგზავნეო!

თეიმურაზმა ფიცხელი უარი შეუბრუნა ერანის მბრძანებელს: დავით უნდილაძე ხმალზე მყავს შემოფიცული და ხმალზე მინდობილი კაცის ღალატი ქართველ კაცს არც უკადრებია და არც იკადრებსო.

მაშინ შაჰ სეფიმ დაუდ-ხანის ცოლი საროსკიპოში ჩააგდო ნამუსსათელად, ხოლო ვაჟი სოდომიტ მეჯინიბეებს მიუგდო...

სანამ ცოლ-შვილის უბედურებას შეიტყობდა, დავით უნდილაძემ საქართველოდან თურქეთში წასვლა გადაწყვიტა. ამით იგი თეიმურაზსაც უხერხულობიდან დაიხსნიდა და თეიმურაზთან ერთიანობისა და კავშირის სახელით სტამბოლის კარზე იქნებ რაიმე „ახალ სახსარსაც“ იპოვნიდა სპარსეთთან საომრად.

გორში ჩავიდა დავით უნდილაძე. ისევ ეწვია კათოლიკე მისიონერებს. პატრ კაეტანოს, რომელიც საუკეთესო მკერავიც ყოფილა — ევროპული ლაბადა, ქუდი და ჩექმები შეაკერვინა. პიეტრო ავიტაბილეს კათოლიკე „კოლონიისთვის“ რვა ოქროს თუმნიანი აჩუქა, ქრისტიანულ წირვა-ლოცვაზე მისი „ცოდვილი სახელის“ მოხსენიება სთხოვა და... გაუჩინარდა.

თურქეთში მივიდა უნდილაძე, სტამბოლის კარზე, ვითარცა „ქართველი მეფის, თეიმურაზის ელჩი“.

ამ „ელჩობას“ არავითარი შედეგი არ მოუტანია არც თეიმურაზისთვის, არც უნდილაძისთვის, არც მათი სვეგამწარებული სამშობლოსათვის.

სულ ჩაიკარგა მისი სახელი და საქმენი ოსმალეთის წყვდიადიან წიაღში.

იქ დაასრულა სიცოცხლე კიდევ ერთმა დიდმა უნდილაძემ, რომელსაც მისი „ძვალ-ხორცი“ ქართველები დავითს ეძახდნენ, სპარსელები — დაუდ-ხანს, თურქები — დაუდ-ფაშას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰ სეფისაც სცოდნია პაპამისის, შაჰ აბასის „შეგონება“— ქართველი კაცის დამარცხება არავის ისე არ ემარჯვება, როგორც ქართველ კაცსო.

და არც შაჰ სეფის აკლდა ერანში ისეთი ქართველები, რომლებიც საქართველოში ლაშქრობას „არ დაამადლიდნენ“. სწორედ „ამნაირი ქართველები“ სჭირდებოდა ახლა შაჰს „იმნაირი ქართველების“ წინააღმდეგ, როგორიც თეიმურაზ მეფე იყო.

ბოლოს და ბოლოს, „ქართული სახელმწიფო სამართალიც“ ამას კარნახობდა ერანის შაჰს: ქართლის ტახტი თეიმურაზს „უკანონოდ უჭირავს“; ქართლისთვის იგი „მშობლიური მეფე“ კი არ არის, არამედ — აშკარად „დამპყრობელი“! კახელებიც ქართლელების „დამპყრობელნი“ არიან; ამას თვითონ კახელებიც არ ფიცავენ და ქართლელებს „ხმლით დაჭირულს“ ეძახიან.

და ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როცა ქართლს თავისი საკუთარი „მშობლიური“, „კანონიერი“ სამეფო კაცი ჰყოლია!

ეს კაცი გახლავთ ხოსრო-მირზა, ქართულად — ქაიხოსრო ბატონიშვილი, ქართლის ბაგრატიონთა „პირდაპირი შტოის“ შთამომავალი: შვილი დავით (დაუდ-ხან) ბატონიშვილისა, ანუ მეფე დავით XI-ისა, შვილიშვილი დიდი ლუარსაბ I-ისა, ძმისშვილი დიდი სვიმონ I-ისა, ბიძაშვილი მეფე გიორგი X-ისა, ბიძა მეფე ლუარსაბ II-ისა.*

თვითონ ხოსრო-მირზას ადრიდანვე (უეჭველად მას შემდეგ, რაც იგი გიორგი სააკაძის წყალობით შაჰ აბასის კარზე წინაურდებოდა) ემჩნეოდა წყურვილი „კუთვნილი ქართლის“ ტახტ-გვირგვინის დაუფლებისა.

. . . . . .

შაჰის ტახტის გარდა, ყოველი უმაღლესი „ტახტი“ დაეპყრო ხოსრო-მირზას. აგერ, მერამდენე წელიწადია, რაც იგი შე-

* ლუარსაბ პირველის გენეალოგიური შტონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცვლელად არის ერანის სატახტოს ტარუღა და ყულის ჯარის („გურჯების გვარდია“) უმაღლესი სარდალი — ყულარაღასი. ერანში იგი არის „მეორე კაცი“, გინა „ვიცე-კოროლტ“. შაჰი მას „მამას“ (გინა „მამილოს“) ეძახის და ყველამ იცის, რომ ერანის ყოველი საქმე ხოსრო-მირზას „ეკითხება“.

მაგრამ მაინც ქართლის ტახტი ელანდებოდა თურმე ცხადში და ძილში.

---

* ლუარსაბ პირველის გენეალოგიური შტონი.



იყო სისხლით „წმინდა ქართველი“ (მნიშვნელობა არ ჰქონდა „გარეგნულ მაჰმადიანობას“),

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო გვარად „წმინდა ბაგრატიონი“ (მნიშვნელობა არ ჰქონ-
და დედამისის გლეხურ წარმომავლობას),

იყო ნიჭიერი,

იყო ჭკვიანი,

იყო მამაცი,

იყო „ხერხიან-ილათიანი“,

იყო ერანის შაჰის „უსაყვარლესი ქართველთაგანი“.

და, ბოლოს და ბოლოს, კიდევ რაღა იყო საჭირო მისი
დღენიადაგი ოცნების აღსასრულებლად?

მისი სიცოცხლის „საუკეთესო წუთისოფელი“ კი გარდა-
სულიყო: იდგა 1632 წელი და ხოსრო-მირზას უკვე 67 წელი
შესრულებოდა.

67 წელი და, აჰა, როგორც იქნა აღესრულა მისი ოცნება:

შაჰ სეფიმ ხოსრო-მირზას მისცა ქართლი;

სიმამაცისთვის და გმირობისთვის დაარქვა სპარსული
სიტყვიერების ყველაზე დიდი გმირის სახელი — როსტომ, გი-
ნა — რ ო ს ტ ო მ-ხ ა ნ;

უწოდა „ვალი“ („მოადგილე“). ამიერიდან შაჰის ყოველ
საქმიან და შინაურულ მიმოწერაში ასე გატარდება — „ჩემი
ძმა ქართლის ვალი როსტომ-ხანი“.

ხოლო ქართველებმა მას დაარქვეს რ ო ს ტ ო მ მ ე ფ ე.

თვითონ იგი თავს უწოდებდა და ხელრთვად ურთავდა, ეი-
თარცა — „მეფეთ მეფე და პატრონი“ ქართლისა.

დიდად საყურადღებო გახლავთ ისიც, რომ შაჰ სეფიმ როს-
ტომ-ხანს ქართლის გამგებლობასთან ერთად ძველი თანამდე-
ბობებიც დაუტოვა. ამიერიდან როსტომი ქართლის მეფეც
იყო, ერანის ყულარაღასიც და ისფაჰანის ტარუღაც.

. . . . . .

მაშ, 1632 წლიდან ქართლის მეფობა წაერთვა „უკანონო“
თეიმურაზს და გადაეცა „კანონიერ“ როსტომ-ხანს, გინა როს-
ტომ მეფეს, ის კი არა და, თეიმურაზი — აქამდე „ორისავ ტახ-
ტის მჭერი“ — გადაყენებულია კახეთის მეფობიდანაც. და მის
ნაცვლად კახეთის მმართველად დანიშნულია ს ა ლ ი მ-ხ ა ნ ი
(კახეთს უკვე „შეაჩვიეს“ ერანელი მოხელე — „ხანი“. აკი
1616 წლიდან 1625 წლამდე სპარსელი ფეიქარ-ხანი განაგებდა

კახეთს. სალიმ-ხანი მეორე სპარსელი იყო კახეთის სამმართველოდ გამოგზავნილი).

. . . . . .

შაჰ სეფიმ „ახალ სახელოიანსა“ და „ახალ სახელიან“ როსტომ-ხანს საქართველოში თანამოლაშქრედ კიდევ ერთი როსტომი დაუნიშნა.

ეს გახლავთ როსტომ-ხან სააკაძე, ერანის საომარ ძალთა მთავარსარდალი, გინა ამირსპასალარი.

გავიხსენოთ წინასწრობილად ნათქვამი: როსტომი ბეჟან სააკაძის უფროსი ძე იყო. ბეჟან სააკაძე ხომ დაუდ-ხანს გაჰყვა ერთგულ აზნაურად სპარსეთში. სპარსელები მას ყარა-ბეჟან-ბეგს უძახდნენ საარაკო სიმამაცისთვის. მერე ხომ საქართველოში დაბრუნდა ბეჟანი თავისი ოჯახით. მაგრამ სააკაძეების მოსისხლე ფარსადან ციციშვილმა მოაკვლევინა იგი, ცოლ-შვილიც აუწიოკა და უკანვე სპარსეთს გადაჰხვეწა. 11 წლის როსტომი შაჰ-აბასმა აიყვანა პირად ღულამად. 18 წლისა უკვე სოჰ-ბათ-იასაული იყო. მერე დივანბეგობაც უბოძა შაჰ-აბასმა. დივანბეგობას თოფანგჩიაღასის (მეთოფეების სარდალი) თანამდებობა მოჰყვა. ახლა, საქართველოში გამომგზავრების ჟამს, როსტომ-ხან სააკაძე გახლავთ ერანის ჯარების ამირსპასალარი და თავრიზის ბეგლარბეგი.

ბევრი ომი გადაუხდია როსტომ-ხან სააკაძეს, მაგრამ მის მხედრულ გვირგვინთაგან გამოჩეულად ბრწყინავენ — ვანის ციხეზე გალაშქრება, ქურთების განადგურება, თურქთაგან ბაღდადის გამოხსნა, ომი ჰამადანს, ჰელეს ციხის აღება.

ახლა „ყველაზე დიდ სახელს“ საქართველოში ლაშქრობით გამოელის ჯერ კიდევ ახალგაზრდა (43 წლის) „გურჯი სპასალარი“.

. . . . . .

და, აჰა, ქართველები მიუძღვიან საქართველოსკენ 130 000-იან სპარსულ მხედრობას — როსტომ-ხან ბაგრატიონი და როსტომ-ხან სააკაძე.

შაჰ სეფი შაჰ აბასის შვილიშვილია და ამიტომ მან კარგად იცის: ყველაზე „მარჯვედ“ სწორედ ქართველები „მოუვლიან“ ქართველებს!

მრავალი გათათრებული ქართველი „მოხალისედ“ მოსდევს

როსტომს და როსტომს. აქ ბრძანდებიან: ბეჟან ამილახორი, ზაალ ქსნის ერისთავი, დავით თვალდამწვრისშვილი მისი შვილებით, თამაზ მაჩაბელი, ბახუტა, დემეტრე და როინ-ჯაგლაგ ფანველისშვილები, პაპუნა ციციშვილი, თურმანბეგ თურმანიძე, იმერეთის ბოქაულთაუხუცესი თეიმურაზ ჩხეიძე, ჰასანბეგ ბარათაშვილი, ოტია ანდრონიკაშვილი, კახაბერ და ელიზბარ სვიმონისშვილები.

ამათგან ორი ფანველისშვილი დააწინაურეს — დემეტრე და როინ-ჯაგლაგი, წერილები ჩააბარეს და საქართველოსკენ აფრინეს.

ეს წერილები ეგზავნებოდა ქართლის ყველა თავადს: თქვენმა მწყალობელმა შაჰმა ქართლი თავის ყულარაღასსა და თქვენს კანონიერ მეფეს როსტომს უბოძაო, თანაც თავრიზის ბეგლარბეგი და ერანის ამირსპასალარი სააკაძე დიდის მხედრობით თან გამოატანაო: ამიტომ, სანამ გვიან არ არის, თეიმურაზი მიატოვეთ და ნამდვილ ხელმწიფეს — როსტომს შეეგებეთო.

. . . . . .

თეიმურაზ მეფე საფურცლეს იდგა (ისევ საფურცლე!).

ორი როსტომის წამოსვლის ამბავი დროზე შეეტყო და საომარი წვევაც დროზე დაეგზავნა ქართლ-კახეთსა და იმერეთში.

მაგრამ წვევის პასუხი კი აღარ გამოჩნდა „დროზე".

ჯერჯერობით მხოლოდ ბარათაშვილები მოსულიყვნენ საფურცლის ჭალაზე მოღნაშულად დაშვებული ქართული დროშის ქვეშ.

მეფეს მოულოდნელად მისჭა მსტოვრებმა ტყვეები მოჰგვარეს — დემეტრე და როინ-ჯაგლაგი. წერილებიც წაიკითხა თეიმურაზმა. მაგრამ ნაგვიანევი აღმოჩნდა ეს „მიღწევაც": იმ წერილების შინაარსი უკვე ყველა ქართველ თავადს შეტყობილი ჰქონდა და თითქმის ყველა როსტომ მეფესთან შესახვედრად გაქცეულიყო!

მხოლოდ იოთამ ამილახორმა შეუნახა ერთგულება თეიმურაზს და იმ დღესვე ეახლა თავისი ლაშქრით საფურცლის ბანაკს.

იმ წერილების გამოჩენაზე თეიმურაზთან მყოფი ბარათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილებიც დამფრთხალან და დადედლებულან; ცოლ-შვილი დაუყრიათ, ღამით გაპარულან და ისინიც როსტომ მეფესთან შესახვედრად გაქცეულან.

გამწარებულმა თეიმურაზმა ბარათიანთა ცოლ-შვილს ცხვირ-პირის დაჭრა დაუპირა, მაგრამ ხორეშან დედოფალმა არ დაანება („არა აუფლა").

ქართლიდან აღარავის ელოდა თეიმურაზი. იმერეთიდანაც შემწეობაზე უარი მოუვიდა, რადგან დადიანი ეომებოდა თავგამეტებით იმერეთის მეფეს.

ისევ თურქეთი გაახსენდა თეიმურაზს და მაშინვე ნიკიფორე ჩოლოყაშვილი აფრინა სტამბოლს. მაგრამ პასუხს ვეღარ ღაელოდებოდა, რადგან იმ დღესვე აახლეს ბავთიანი ამბავი: როსტომ მეფე უკვე ყარაბაღში შემოვიდაო; შენგან წასული ქართველი თავადებიც შეხვედრიან ახალ მბრძანებელს, მის წინაშე დამხობილან და ფეხები დაუკოცნიათო.

იმედგადაწურულმა თეიმურაზმა საფურცლე დააგდო და გორში ჩავიდა.

სულ ოთხასამდე ადამიანი მისდევდა მეფეს და მათგან სამასი მარტო ქალი იყო.

გორში შიკრიკებმა წამოაწიეს: როსტომ მეფე აღჯაყალაში გამოჩნდაო. თეიმურაზი გორიდან აიყარა და ქვიშხეთს გადავიდა. ვერც ქვიშხეთს მოასწრო მუხლის ჩაკრეფა და ცინცხლად „ახარეს": როსტომ მეფე და როსტომ სააკაძე უზარმაზარი სპარსული მხედრობით და მათ ფერხთა მტვრად ქცეული ქართველი თავადობით უკვე ტფილისში შემოსულანო.

თეიმურაზმა ოჯახი წინ გაიმძღვარა და იმერეთისკენ გაქუსლა.

როსტომ მეფისთვის უკვე ჩაუკაკლავთ ბარათაშვილებს: თეიმურაზი მარტოდმარტოა დარჩენილი, ოთამ ამილახორის გარდა აღარავინ მისვლია და ახლა იმერეთისკენ მიილალება ტყვეობიდან თავის დასახსნელადო.

ორიათასი შეომარი ამოარჩია და დაადევნა როსტომმა თეიმურაზს. ლეოლვილებმა ფეხად გადაასწრეს „პერანგას მთაზედ". მდევრთა უმრავლესობას ცხენი დაუვარდა თავაწყვეტილი ჭენებით. დანარჩენებმა თეიმურაზის მხლებელთაგან

მხოლოდ ორიოდ ჩამორჩენილი კახი და მისი ღარიბული ავ-
ლა-დიდება მიჰგვარეს როსტომს.

. . . . . .

გორში ხმა გავარდა, — თეიმურაზი იმერეთს გაქცეულა, ტფილისი და ქვემო ქართლი ყიზილბაშით ავსებულა, მაჰმადიანი მბრძანებელი ტფილისიდან გორისაკენ წამოსულა და სადაც არის გამოჩნდება ქრისტიანთა საჟლეტად და საოხრებლადო.

აზრადაც არავის მოსვლია, რომ „თათარი ხელმწიფე" ქრისტიან ქართველთა ასაკლებად არ მოდიოდა.

ისევ აიყარა ქართული ოჯახი და გაიხიზნა ტყესა და ღრეში.

კათოლიკე მისიონერები გულმყარად დაუხვდნენ სპარსეთიდან მოვლენილ ახალ ხელმწიფეს. მათ საშფოთარი არაფერი ჰქონდათ, რადგან როსტომი ერანშიც უხვად სწყალობდა ევროპელ ქრისტიან მოღვაწეებს.

საჩუქრებით მიეგებნენ „გორელი ევროპელები" ქართლის ახალ მეპატრონეს. როსტომმაც დიდის პატივით მიიღო ისინი. ძალიან მიხარია, ქართლშიც რომ დამხვდნენ „ფრანგებიო" (ქართველები აკი „ფრანგს" ეძახდნენ საქართველოში მოსულ ყოველ ევროპელ კათოლიკეს). უხვი საბოძვარიც მიუბოძა. თეიმურაზისდროინდელი ყოველი პატივი და შეღავათი დაუტოვათ; ასეთი პირობაც დაურთო: ამიერიდან თქვენს სახლსა და სავანეში დაუკითხავად შემოსვლას ვერავინ გაბედავს — მზის, წყლისა და ქარის გარდაო.

როსტომი გორში მცირე ჯარით შევიდა. დანარჩენი მხედრობა ქალაქგარეთ დააბინავა. ასე სჯობიაო, სთქვა მეფემ, ჯარი მაინც ჯარია და, ვაითუ მეომრებმა თავი ვერ შეიკავონ ხალხის შეწუხებისა და აკლებისაგანო.

ასეთი ბრძანებაც გაუშვა როსტომ მეფემ სამხედრო ბანაკში: რომელი ჯარისკაციც ადგილობრივ მოსახლეს შეაწუხებს, იმ ჯარისკაცს უეჭველად მუცელზე გავფატრავო.

ვინც ქალაქიდან გაქცევა ვერ მოასწრო, როსტომმა ყველას დაუყვავა, დაამშვიდა და დააჯილდოვა. გაქცეულებს კი შეუთვალა: სახიზარ-სამალავებიდან გამოდით, თქვენს კერას დაუბრუნდით და მშვიდობიანი ცხოვრება განაგრძეთო. ყველამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდეს, მე ქართლის საპატრონოდ და მოსავლელად მოვსულ-ვარ და არა დასაპყრობად და დასამონებლადო.

მალე დადასტურდა, რომ როსტომ მეფის სიტყვა და საქმე ერთი იყო. ადამიანს შეეძლო მის აღთქმას მინდობოდა.

როსტომ მეფემ გორში სამი თვე გაატარა — 1633 წლის ივნისი, ივლისი და აგვისტო. ოც-ოცდახუთ დღეში ჯარს ახალი ქვითკირის ციხე ააგებინა. შიგ ხუთასი ყიზილბაში მეთოფე და თორმეტი ზარბაზანი ჩაარიგა. ციხიონის უფროსად დანიშნა ნურის მინბაში (ათასისთავი), სახელად — მ უ ს ლ ი მ ბ ე გ, ტომით ქართველი, მესხი.

როსტომ მეფის თხოვნით, ქრისტეფორე კასტელმა გორის ციხე დახატა. ნახატი როსტომს ძალიან მოეწონა და მაშინვე ერანში გაგზავნა შაჰის საამებელ-საჩუქრად.

ერთ დღეს მისიონერთა ეკლესიას ეწვია როსტომი თავისი ამალით. წირვა-ლოცვას დაესწრო და ყოველივე დიდის წადნიერებით მიმოიხილა. ერთი პატარა ნახატიც მოეწონა — ცხენზე ამხედრებული და გველეშაპის მსახვრალი წმინდა გიორგის გამოსახულებით. ქრისტეფორე კასტელს დაეხატა იგი. მაშინვე მიართვეს მუსლიმან მეფეს ქრისტიანი „წმინდა რაინდის“ ხატი. სამაგიეროდ ოცდათექვსმეტი სკუდო აჩუქა როსტომმა მისიონერებს.

გორიდან როსტომ მეფემ სურამის ციხის ასაშენებლად და იქვე ციხიონის ჩასაყენებლად გაგზავნა ჯარი.

. . . . .

ბოლოს და ბოლოს, ქართლში დაიჯერეს, რომ როსტომ მეფე ქართლის „გადასაშენებლად“ კი არა, „მოსაშენებლად“ იყო მოსული.

ყველა თავადი და აზნაური მოვიდა ქართლის „ნამდვილ მეფესთან“ ფეხზე საკოცნელად.

ერთმა, სააკაძეების მოსისხლე ფარსადან ციციშვილმა ვერ გაბედა როსტომ მეფესთან გამოცხადება. ვერ გაბედა იმიტომ, რომ იქვე როსტომ-ხან სააკაძე იდგა. სწორედ ის როსტომ-ხან სააკაძე, რომელიც ფარსადან ციციშვილმა ყრმობის ასაკში დაიობლა — მამა მოუკლა, ოჯახი დაუქცია და სამშობლოდან გააქცია.

თვითონ გაუძახა ლაშქარი საციციანოში როსტომ სააკაძემ,

ფარსადან ციციშვილის სამფლობელო ააწიოკა, ააოხრა, გაძარცვა და მოსტყვევნა.

როცა ეს ამბავი როსტომ მეფემ შეიტყო, რისხვით აღივსო და როსტომ სააკაძეს შეუთვალა: ვინ მოგცა ნება, ასეთი რამ უჩემოდ რომ გაგიბედავსო?! საქართველო ისედაც აოხრებული არის და რაც გადარჩენილა, იმასაც შენ მიოხრებ და მიტიალებ, — მაშ, მე რიღას ბატონი და პატრონი ვყოფილვარო?!

სწორედ მაგრად იყო ეს სილა მოქნეული! ასედაც შეიგრძნო როსტომ სააკაძემ. თვითონაც გარისხდა და ცეცხლით გაიტენა.

ახლა გამჟღავნდა, რომ ორივე როსტომს ცალკეულად თავისი თავი მიაჩნდა „პირველ როსტომად"!

ორივემ „პირველი საჩივარი" გაგზავნა ერანის შაჰთან.

შაჰ სეფიმ ისევ თავისი „ერთგული მამიკოს" — როსტომ მეფის მხარე დაიჭირა და როსტომ-ხან სააკაძეს ფიცხელი ბრძანება გამოუგზავნა: ახლავე შენის ჯარით საქართველო დატოვე და ვანის ციხეზე წადი სალაშქროდო. მეორე ბრძანება შაჰმა შირვანის ბეგლარ-ბეგს, ფ ა რ უ-ხ ა ნ ს, შეუთვალა: საკაძის მაგივრად შენ დაუდექი ქეშიკში ყარაბაღის ლაშქრით როსტომ მეფესო.

როგორც კი სააკაძე საქართველოდან გავიდა, ფარსადან ციციშვილი როსტომ მეფეს ეახლა, ფეხები დაუკოცნა და სიკვდილამდე ერთგულება შეჰფიცა.

ყველა გამოვიდა სამალავებიდან და სახიზარებიდან — თავადიც, აზნაურიც, გლეხიც, ბერიც და ერიც. ყველა დაუბრუნდა მშობლიურ კერას, მშვიდობიან ცხოვრებას. ქართველებმა ისევ „დაიწყეს აშენება, ხვნა, თესვა".

. . . . . .

ტფილისში, ქართველთა წმინდა სატახტოში, ახალი მეფე იჯდა — „გარეგნული" სჯულით მაჰმადიანი, მაგრამ „შინაგანი" სულით ქრისტიანი. სისხლით და ჯიშით ქართველი, რაც მთავარია — „ქართულობისთვის" თავგამოდებული მებრძოლი, ქართველთა მიწა-წყალზე მშვიდობიანი ცხოვრების, შრომის, აღმშენებლობისა და აღორძინების წინამძღვარი და თავკაცი.

იგი ახლა ქართლის მეფეც იყო, ერანის ყულარაღასიც და

ისფაჰანის ტარულაც. შაჰ სეფი ისევ არაფერს აკეთებდა „ეტმა მარიტი მამის“ დაუკითხავად.

ამიტომ ამბობდნენ საწადნიერო ამბების მოტრფიალენი: ქართლსაც და ერანსაც ერთი კაცი განაგებსო — როსტომ მეფე!

. . . . . .

ხოლო, კახეთში ყიზილბაში ხანი იჯდა — სალიმ-ხან.

. . . . . .

ერთი რამ კიდევ მიინიშნე საგანგებოდ, ჩემო მკითხველო: როსტომ მეფემ საქართველოში ჩამოსვლისთანავე არზრუმიდან ჩამოიყვანა თავისი კეთილისმყოფელის — გიორგი სააკაძის — ოჯახი და დაასახლა მათს მამაპაპეულ ნოსტეს მამულებში.

აზმა მეოთხე

საბაბვარნი „ბაში-აჩუკისა“

ახლა დასავლეთ საქართველოს თავგადასავალს მივაპყროთ მზეოა საგულდაგულოდ.

მაშ, — „იმიერ-საქართველო“ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

სრული მიმძლავრება თურქთაგან.

სრული მიმძლავრება ყველაზე მძიმე ქართული ცრემლისა — „ტყვეთა სყიდვა“!

სრული დაცემულობა სულიერად.

სრული დაქუცმაცებულობა პოლიტიკურად:

იმერეთის სამეფო,

ოდიშ-სამეგრელოს სამთავრო,

გურიის სამთავრო,

აფხაზეთის სამთავრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზ-ქართველთა ცალკე „სახელმწიფოდ“ გამოყოფას საოთავეში ჩასდგომოდა აქაური ქართული ფეოდალური სახლი შარვაშიძეებისა. მათი „სამთავრო ქალაქი“ შეიქმნა ზუფუ, ანუ ლიხნი. ოდიშ-სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების საზღვრად დაიდო მდინარე კოდორი.

დადიანი, გურიელი და შარვაშიძე ცალკე „მიკრო-მონარქებად“ იქაჩებოდნენ. ქუთათისის „დიდ ტახტს“ ჯერ კიდევ არ გამოსჩენოდა შესაფერისი საჭეთმპყრობელი, რომელიც მის ხელქვეით ჯუჯა-ხელმწიფეებს ლაგამს ამოსდებდა და სრულიად დასავლეთ საქართველოს ერთიან, მძლავრ და განუყოფელ სახელმწიფოდ შეჰკრავდა.

დიახაც, რომ ღარიბი იყო ტალანტებით ქუთათისის სამეფო სახლი.

ქართველები, კაზაკები, თურქები

მეჩვიდმეტე საუკუნის ოციან წლებამდე დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავარნი ასე თუ ისე „ახერხებენ“, ერთიანი ძალით ებრძოლონ თურქ-ოსმალთა მომძლავრებას. ასე თუ ისე მხარში უდგანან აღმოსავლეთ და სამხრეთ „საქართველოების“ სამამულო ბრძოლებსაც ერანელ ყიზილბაშთა მოსაგერიებლად.

1609 წელს გურიის მთავარმა მამია II-მ (1600—1625 წწ.) მანუჩარ დადიანის თანადგომით დიდი ლაშქრობა მოაწყო აჭარაში. ოსმალები ამოწყვიტა ანაზდაითი დაცემით, ყველა აჭარული ციხე-სიმაგრე დაიპყრო და ისევ ქართულ სამანებში მოაქცია ეს ოდინდელი, მარადიული ქართული მიწა-წყალი.

გურიელმა იცოდა, რომ მარტო გურიის ძალებით აჭარის შენარჩუნება და თურქეთთან ომის წამოკიდება ძალიან გაუჭირდებოდა. ამიტომ უფრო საიმედო მოკავშირეებიც გამოუძებნიათ გურიისა და სამეგრელოს მთავრებს.

ესენი იყვნენ უკრაინელი კაზაკები, რომელთაც უკვე ჰქო-

ნიათ გამოცდილება მუსლიმან მოსისხლეთა დალაშქვრისა და დამარცხებისა. მამაც, თავზეხელაღებულ კაზაკთა რაზმები მცირე, მაგრამ მტკიცედ შეკრული საზღვაო ფლოტილიებით ელვასავით ეცემოდნენ შავ ზღვაზე მოარულ თურქულ სავაჭრო და სამხედრო ხომალდებს, აოხრებდნენ ყირიმისა და ოსმალეთის სანაპიროებს.

თურქეთისაკენ ლაშქრობის ჟამს კაზაკები კოლხეთის სანაპიროებზე „ალერსიან მასპინძლობასა“ და საიმედო თავშესაფარს პოულობდნენ. ქართველებსა და უკრაინელებს მათი „უმაღლესი მესვეურების“ ჩაურევლად გამოუძებნიათ „საერთო ენა“.

1610 წელს მამია გურიელმა და მანუჩარ დადიანმა უკრაინაში ელჩები გაგზავნეს. ელჩებმა კაზაკთა ატამანებს საჩუქრად ოქროს ჯვრები მოართვეს და თურქთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წინადადება შესთავაზეს.

წყაროთა უაღრესი სიმცირისა და სიმწირის პირობებში არა ჩანს ამ მოლაპარაკების მსვლელობა და შინაარსი, ხოლო შედეგი ის გახლავთ, რომ მტკიცე, მოქმედი კავშირი ამჯერად არ შედგა.

თურქეთმა კი გურიასა და სამეგრელოს „ეკონომიური ბლოკადა“ გამოუცხადა. დასავლეთ საქართველო მარილს ყირიმიდან ღებულობდა და ახლა მარილის შემოტანა სავსებით აღიკვეთა. შეწყდა რკინის შემოტანაც თურქეთიდან.

მძიმედ მისჭირდათ გურიასა და სამეგრელოს. ბოლოს და ბოლოს, მამია გურიელი და სამეგრელოს ახალი მთავარი ლ ე ვ ა ნ II დ ა დ ი ა ნ ი იძულებული შეიქნენ თვითონ გაეგზავნათ ელჩები სტამბოლს (1614 წ.).

თურქეთის სატახტოში მაშინ გზად იმყოფებოდნენ საქართველოსაკენ მომავალი კათოლიკე მისიონერები — პატრი ლუდოვიკო გრანჯერიო და მისი ამხანაგი. ამათ უნდოდათ, ქართველ ელჩებს გამოჰყოლოდნენ, მაგრამ თვითონ ლუდოვიკო გრანჯერიოს თქმით, თურმე, დიდად ძნელი ყოფილა მთავარ გურიელთან და დადიანთან ზავის ჩამოგდება. ბოლოს, ქართველი ელჩები სულაც აღარ გამოუშვეს და მძევლებივით დაინარჩუნეს სტამბოლის კარზე. სამაგიეროდ სულთანმა საქართველოში თავისი ელჩობა გამოგზავნა, ო მ ე რ ფ ა შ ა ს მეთა-

ურობით. ამათვე წამოჰყვა ლუდოვიკო გრანჯერიო თავის ამ-ხანაგით.

ომერ ფაშა ბათუმს მოვიდა და იქ მოითხოვა პასუხი თურქეთის ხელისუფლების სასურველ საზავო პირობებზე (თუმცა წყაროებით არ ჩანს, სახელდებით რა პირობებზე იყო ლაპარაკი).

გურიელი და დადიანი პასუხს აგვიანებდნენ.

ომერ ფაშა იტალიელ მისიონერებს ჩააცივდა და სამეგრელოსკენ არც ერთი არ გამოუშვა. მას იმედი ჰქონდა, რომ „უცხოთა მოყვარე“ ქართველები ევროპელ სტუმრებს ანგარიშს გაუწევდნენ და მათი პატივისცემით მაინც გამოსწირავდნენ პასუხს თურქეთის სულთანის მოთხოვნაზე.

მართლაც, — ის იყო, იტალიელმა პატრებმა სამეგრელოში ჩასვლაზე იმედი გადაიწურეს და უკვე სტამბოლში გასაბრუნებლად ემზადებოდნენ, „რომ უეცრად მოვიდა გურიელის მოციქული, რომელმაც ზავის ჩამოგდება და ხარაჯის გადახდის თანხმობა გამოაცხადა.“

1614 წლის 13 დეკემბერს ბათუმში თურქებმა და გურულებმა ხელი მოაწერეს ზავს. გურიამ თურქეთის მოხარკეობა იკისრა.

1615 წლის თებერვალში დადიანმაც მოაწერა ხელი ხონთქარის წინაშე მოხარკეობას. ყოველწლიურად სამეგრელოდან თურქეთს უნდა წასულიყო რვაასი არშინი ტილოს ქსოვილი და ოცდაათი-ორმოცი ტყვე.

აფხაზეთი თავიდანვე თურქეთის ყმობას აღიარებდა და არც იმჟამად უცდია „შეჩვეული უღლისგან“ თავის გამოხსნა.

იმერეთის სამეფოც ოსმალეთის მოხარკე იყო. იგი სტამბოლის სასახლეს ყოველწლიურად უხდიდა კომლზე ერთ რუბს (გინა — ერთი მეოთხედი მარჩილი, გინა — ცამეტი ფარა), რამდენიმე ასეულ არშინ ტილოს და ცალკე „ფეშქაშად“ — რამდენიმე ათეულ ქართველ ტყვეს...

1617 წელს შავი ზღვის ქართულ განაკიდურზე ისევ გამოჩნდნენ კაზაკები — ორი ათასი მეომრით დატვირთული კატარღებით. ორმოცი კაცი დაარჩიეს და დასავლეთ საქართველოს შუაგულისკენ გამოუშვეს.

გამოგზავნილნი ქართულ მიწა-წყალს გაეცვნენ, აქაურ მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფე-მთავრებს შეხვდნენ, ერანში წასასვლელი გზებიც მოინიშნეს და თურქეთის წინააღმდეგ „კოალიციის“ შექმნის თაობაზე სიტყვა ჩამოაგდეს. ანტიოსმალურ „კოალიციაში“ ნაგულისხმევი იყვნენ: კაზაკები, იმერლები, მეგრელები, გურულები და სპარსელები.

მაგრამ ეს „სასურველი განაზრახიც“ ჩაიშალა. მთავარი აქ ის იყო, რომ ქართველები და სპარსელები „ერთ ქართაში“ ვერასგზით ვერ მოთავსდებოდნენ...

კაზაკები ისევ განაგრძობდნენ „დამოუკიდებელ“ მარბიელ თავდასხმებს „წყეულ ბუსურმანებზე“.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავარნი ისევ უგზავნიდნენ ხარკს თურქეთის სულთანს, მაგრამ მაინც „დამოუკიდებლად“ გრძნობდნენ თავს, დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდნენ და თურქულ ჯარებსაც ქართულ მიწაზე უსისხლოდ ფეხს არ ადგმევინებდნენ.

არც ერანის მრისხანე მბრძანებელს — შაჰ აბასს არ ეპუებოდნენ დასავლეთ საქართველოს მესვეურნი. აკი იმერეთის სამეფო კარი ისე აშკარად და თამამად იფარავდა სპარსელთაგან ლტოლვილ ქართლისა და კახეთის მეფეებს. აკი იმერეთის მეფე და გურია-სამეგრელოს მთავარნი ერთხმად არწმუნებდნენ ლუარსაბ მეფეს — უარი ეთქვა შაჰ აბასთან საბედისწერო გამოცხადებაზე, აკი თეიმურაზსაც თანამდგომ ძალებად მოჰყვნენ საარაგვომდე იმერთა, გურულთა და ოდიშართა საომარი ძალები. ყოველივე ეს, წინასწრობილად ნათქვამი, კარგად ახსოვს ჩემს მკითხველს.

მაგრამ „ბაში-აჩუკის საქართველო“ მაინც ფეოდალურ განრინებათა და უგუნურ შინა-სისხლთათხევის „კლასიკური ქვეყანა“ იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩვიდმეტე საუკუნის ოცანი წლებიდან დასავლეთ საქართველოს „მშვიდი შინაგანი ამინდი“ აიმღვრა და აიშალა.

იმერეთის მეფეს, გიორგი მესამესა და გურიის მთავარს, მამია მეორეს, ასე ვთქვათ, „პოლიტიკური მძახლობა“ ჰქონდათ: გურიელის ასული თ ა მ ა რ ი ცოლად ჰყავდა გიორგის უფროს ძეს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს (ეს ის ალექსანდრე გახლავთ, გიორგი სააკაძეს რომ უნდოდა „გაერთიანებული საქართველოს“ მეფედ).

1618 წელს ალექსანდრეს თამარისაგან შეეძინა უფლისწული ბაგრატი.

ორი წლის შემდგომ ალექსანდრეს შეასმინეს, ცოლი რქებს გადგამსო და კუროც დაუსახელეს — ვიღაც „ქუთათლის ვაჭარი“.

ალექსანდრემ არც აცივა, არც აცხელა და ცოლი თავისი შვილითურთ განუტევა და გურიელს გაუგზავნა თავლაფდასხმული.

იმერეთსა და გურიას შორის მტრობა ჩამოწვა.

თურმე ამას უცდიდა ოდიშ-სამეგრელოს ახალგაზრდა მთავარი ლ ე ვ ა ნ II დ ა დ ი ა ნ ი (1611—1657 წწ.), რომელმაც „განიხარა მტერობა გურიელისა და მეფისა“.

და მაშინვე ოდიშისა და გურიის მესვეურებმა ახალი „პოლიტიკური მძახლობა“ გაჩარხეს: მამია გურიელის ვაჟმა — ს ვ ი მ ო ნ მ ა ცოლად შეირთო ლევან დადიანის და ი — მ ა რ ი ა მ ი.

(მკითხველს ვთხოვ, საგანგებოდ დაიმახსოვროს ეს საოცრად მშვენიერი, სათნო და ჭკვიანი ქალი, რომელსაც დიდი „პოლიტიკური ქალობის“ როლი დააკისრა სამატიანო ბედისწერამ).

ამნაირად, — დადიანი და გურიელი დამოყვრდნენ და ქუთათისის სასახლის ეზო „საერთო მტრად“ დაიგულეს.

ცოტა ადრე გიორგი იმერთა მეფემ რაღაცისათვის „შერისხწა“ უახლოესი კარისკაცი პ ა ა ტ ა წ უ ლ უ კ ი ძ ე, რომელიც იყო კუტი და უწოდებდნენ „წუწას“. შერისხული პაატა „წუწ-

კი“ გაიქცა ზუგდიდს, სადაც მან „შთაუდვა ლევანს მტროვა გიორგი მეფისა და მარადის გინუზრახვიდა“ იმერეთის დასალაშქრავად.

იმავე ხანს ლევან დადიანმა ცოლად შეირთო აფხაზეთის მთავრის, შარვაშიძის („შარაშიას“) ასული — თ ა მ უ ნ ი ა. ამ ბორწინებასაც უეჭველად პოლიტიკური განაზრახი ედო სასთუმლად — კავშირი ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროებს შორის.

ერთი სიტყვით, მეჩვიდმეტე საუკუნის ოციან წლებში, ლევან დადიანის თავგამოდებული ცდის მეოხებით, დასავლეთ საქართველო ორ ბანაკად გაიყო — იმერეთის სამეფო და სამივე სამთავრო — ოდიში, გურია, აფხაზეთი.

იმერეთის მეფემ კადნიერ მთავართა დასჯა გადაწყვიტა და საომარ სამზადისს შეუდგა.

მაგრამ ლევან დადიანი უფრო სწრაფად მოქმედებდა. მან ოდიშართა, აფხაზთა და ჯიქთა ლაშქარი შემოიყარა და იმერეთს შემოესია.

გაეგება გიორგი მეფე იმერთა ჯარით.

ბრძოლა გაიმართა კ ო ჭ ო რ ა უ ლ ს, ქუთათისის ახლოს, 1623 წლის 9 დეკემბერს. „იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი“.

გიორგი დამარცხდა და უკუიქცა.

დადიანს ხელში ჩაუვარდა მდიდარი „ალაფი და იავარი“, ტყვედ წაიყვანა „მრავალი წარჩინებულნი და მდაბიურნი“.

პაატა წუწკის რჩევით, ოდიშის მთავარმა დატყვევებულ იმერლებს ტყვეობიდან დასახსნელად დიდძალი ვერცხლი გამოართვა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ქართველისგან ომში დატყვევებული ქართველი თავისუფლების დასაბრუნებლად ფულს იხდიდა!

უბედურება ის იყო, რომ ეს პირველი „შემთხვევა“ შემდგომჟამინდელ საქართველოში „წესად“ იქცა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან მეორე დადიანი ცამეტი წლისა ავიდა ოდიშ-სამეგრელოს მთავრის ტახტზე. რაკი ყმაწვილ მთავარს „სამთავროზო კბილი“ ჯერ კიდევ არ ამოსვლოდა, ოდიშართა ქვეყანას სინამდვილეში განაგებდა ლეკანის ბიძა და „მზრუნველი“ (გინა — „რეგენტი“) გ ი ო რ გ ი ლ ი პ ა რ ტ ი ა ნ ი.

გიორგი ლიპარტიანი იყო „კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში ფრიად გამოცდილი. ეს გიორგი განაგებდა ყველაფერს დიდად ერთგულად და ისე მიჰყავდა საქმეები, რომ მისი გამგებლობის დროს სამეგრელოში არავითარი არეულობა და აჯანყება არ მომხდარა, მან ყმაწვილი ლევან გაწვრთნა ყველა იმ ვარჯიშობაში, რაიც კი შეეფერებოდა და ესაჭიროებოდა ჭეშმარიტ მთავარს“.

ლევან დადიანი ოცდაორი წლისა იყო, როცა ცოლად შეირთო თამუნია შარვაშიძე — „ქალი ბუნებით ლამაზი და სავსე ყოველი სათნოებითა, რაიც შეეფერებოდა მისი გვარის ქალს; ქარგვაში, წერა-კითხვაში, გულუხვობაში და ზრდილობაში მას ტოლი არ მოეძებნებოდა, თავისი სათნოებით ამ ქალმა მიიზიდა ყველა თავისი ქვეშევრდომის გული“.

თამუნია შარვაშიძისაგან ლევანს შეეძინა ორი ვაჟი, „ნამდვილი მემკვიდრენი დედის სათნოებისა და მამის ახოვნებისა“.

ბედნიერი უნდა ყოფილიყო მთავრის სახლეული, მაგრამ ფხიზლობდა ეშმაკი, „მთესველი ამბოხებისა და მომტერე ყოველი მშვიდობიანობისა“.

მთავრის ბიძას, გიორგი ლიპარტიანსაც ჰყავდა ცოლი, სახელად დ ა რ ე ჯ ა ნ ი, თავად ჭილაძის ასული. დარეჯანიც ძალიან ლამაზი ქალი იყო და თანაც ისე ახალგაზრდა, რომ ასაკით იგი „უფრო შეეფერებოდა ყმაწვილს მთავარს, ვიდრე მოხუცებულს ლიპარტიანს“.

ლევანი და დარეჯანი ერთმანეთს გაუმიჯნურდნენ.

გიორგი ლიპარტიანი დიდხანს ვერ გრძნობდა რქების სიმძიმეს, არაფერი ეეჭვებოდა, „რადგან, ერთის მხრით, მთავარი ცოლიანი იყო და, მეორეს მხრით, მათ შორის ახლობელი ნათესაობა იყო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ შარვაშიძის ქალმა ვერ მოითმინა ქმრისა და მისი ბიცოლის საძრახისი ტრფიალება და მოღალატე მეუღლის რქებისთვის სამაგიერო რქები მიუზღა: იგი გაუმიჯნურდა ლევან დადიანის უახლოეს კარისკაცს, ვეზირს პ ა პ უ ნ ი ა ს.

სამი წყვილი რქის „ელვარების“ დამალვა შეუძლებელი შეიქნა, ყოველივე გამჟღავნდა და გახმაურდა.

გაცოფებულმა ლევან დადიანმა, „ბერძენთა სჯულისამებრ“, ცოლს ცხვირი მოსჭრა ძირში; ცხენზე უკუღმა შესვა, ჯარი შემოიყარა და აფხაზეთისკენ გაქუსლა.

შარვაშიძე ანაზდაითად შემოჭრილ სიძეს გაექცა და თავისი „ერით და ბერით“ მთებს შეეფარა. დადიანმა ზუფუ აიღო და გაძარცვა, სახიჩარი ცოლყოფილი იქვე დააგდო, მერე დანარჩენ აფხაზეთს მოედო, ყოველივე მოძარცვა, მოაოხრა და მდიდარი ნადავლით დატვირთული და ცოლგანტევებული ზუგდიდს მობრუნდა.

ხოლო პაპუნა ვეზირს, რომელმაც თავის მეუფეს სარეცელი შეუგინა, უფრო ფრთხილად მოეპყრა დადიანი. პაპუნია „ძლიერ პატივცემული იყო მთელს ოდიშში და ქვეშევრდომებს დიდად უყვარდათ. ამისთვის, შინაური ომი რომ არ მომხდარიყო“, ლევანმა იგი შეიპყრო და მამია გურიელს გაუგზავნა „დროებით შესანახავად“.

უცოლოდ დარჩენილ ლევან დადიანს „ბიცოლასადმი სიყვარული კიდევ უფრო გაუძლიერდა და ცეცხლმა ერთბაშად იფეთქა“. ბოლოს, აღარც აცივა, აღარც აცხელა — ადგა დიდებულთა ამალით, გიორგი ლიპარტიანს მიუხტა, მისი ცოლი დარეჯანი თავისი შიმუნვარებით სასახლეში წამოიყვანა და ვითარცა მეუღლე-დედოფალზე „დიდის ამბით“ ჯვარი დაიწერა.

გაზრდილი-ძმისწულისგან ეგზომ შეურაცხყოფილმა გიორგი ლიპარტიანმა წართმეული ცოლი მკვდარივით გამოიტირა. ორმოცი დღე სამგლოვიარო თალხები ჩაიცვა და ჩააცვა ყველა თავისიანს. ერთსა და იმავე დღეებს დადიანთან საქორწინო ტაშ-ფანდურები არყევდა გარემოს, ხოლო ლიპარტიანთან — გლოვა-გოდება და წივილ-კივილი.

სამეგრელოც ორ „დასად“ გაყოფილიყო: „უფრო მჩატენი თანაუგრძნობდნენ მთავრის აღვირახსნილობას და მას ემხრო-

ბოდნენ, უფრო გონიერნი და ხნიერნი კი თანაუგრძნობდნენ მოხუცებულს და იმისკენ იყვნენ“.

ბიძა-ძმისწულს შორის შეიარაღებულ შეტაკებასაც ძოლოდნენ, მაგრამ უეცრად მოკვდა გიორგი ლიპარტიანი (არავინ იცის, — მწუხარებით, თუ საწამლავით) და დარეჯან ჭილაძის ქალი შერჩა ცოლად და დედოფლად ლევან დადიანს.

კიდევ გამოხდა მცირე დრო-ჟამი და მოულოდნელად დაიხოცნენ ლევან დადიანის ვაჟები ნაშობნი მარვაშიძის ქალისაგან. დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ დარეჯანმა დაახოცვინა ისინი, რამეთუ დადიანის ტახტისაკენ გზა გაეწმინდა თავისი მომავალი შვილებისათვისო...

თვალდამწვართა და თვალდამდგართა

ოდიშ-აფხაზეთ-გურიის კავშირი ერთბამად დაანგრა და დაიშალა.

ლევან დადიანს უკვე მტრად გადაეკიდებინა იმერეთის მეფე და აფხაზეთის მთავარი.

მალე გურიაც განუდგა ოდიშს. აქ დიდი ხვანჯები ჩახლართა ლევან დადიანის სარეცლის შემგინებელმა და სამეგრელოდან გურიაში გაძევებულმა პაპუნიამ. შეუჩნდა პაპუნია მამია გურიელს: ლევან დადიანი — ეს უზნეო ბოროტმოქმედი, სისხლის მსმელი და სისხლის შემრევი — მანამ არ მოისვენებს, სანამ თავის სამთავროსაც არ დააქცევს და მეზობელ სამთავროებსაც არ დაიპყრობსო; ამიტომ სჯობია, დავასწროთ, ლევან დადიანი ჩამოვაგდოთ და ოდიშის მთავრად მისი ძმა ი ო ს ე ბ ი დავსვათო; იოსები — „კაცი ბევრად უფრო სასიამოვნო, კაცთმოყვარე, თავაზიანი, დამჯდარის ხასიათისა და ამას გარდა ხალხისაგან დიდად პატივცემული და თაყვანსაცემიო“.

მამია გურიელი ლევან დადიანის სიძლიერეს დიახაც შეეშფოთებინა და ამიტომ იოლად აჰყვა პაპუნიას წაქეზებას.

მალე შეიკრა „სამთა კავშირი“ — იმერეთი, გურია და აფხაზეთი. შეითქვნენ: ლევანი უნდა მოეკლათ და დადიანის

ტახტზე მისი ძმა იოსები უნდა დაესვათ. მკვლელიც გამოძებნეს — ვიღაც აფხაზი, ასეთ სისხლიან საქმეებში გაწაფული და გამოცდილი.

აფხაზი ლევან დადიანის მერიქიფეს შეეთქვა და მისგან შეიტყო, რა ჩვეულებაც ჰქონია მთავარს, — თურმე იგი ყოველ ვახშმობას ერთსა და იმავე ადგილზე ჯდებოდა და იქვე ღრიჭოდ დატოვებულ ტიხარს ზურგით მიაწვებოდა ხოლმე. ამაზედაც დაიპირა აფხაზმა მერიქიფე: მაცნობე, როცა ლევან დადიანი ვახშობისას ყველაზე უფრო გონებადაფანტულად გეჩვენოსო.

მართლაც, ერთ ვახშამზე მერიქიფემ მკვლელს ანიშნა — ახლა გაქვს დრო, მიდი და დაჰკარიო. აფხაზი გარედან მიეპარა კედელზე ზურგით მიწოლილ დადიანს. მისი ანგარიშით დანაკრავ მახვილს ზურგიდან შიგ გულში უნდა გაევლო.

და შესცა კიდევაც მახვილი კედლის ტიხარიდან ელვასავით.

მაგრამ ლევან დადიანმა ელვაზე უსწრაფესად მოასწრო კედლიდან წინ, ზედ სუფრაზე გადამხობა.

მახვილმა გულამდე ვეღარ შეასწრო. დადიანი მხოლოდ ზურგში დაიჭრა.

მკვლელმა ცხენზე ამხედრება და სიბნელეში გაუჩინარება მოასწრო.

მთელი ღამე შიშსა და ძრწოლაში გაატარა ზუგდიდმა. მეორე დღეს ჭრილობა-შეკრული მთავარი ცხენზე შეჯდა და ისე ეჩვენა მტერს და მოყვარეს.

მაშინვე შეთქმულთა გამოძიებას შეუდგა. იმერეთის მეფე, გურიელი, შარვაშიძე, იოსებ დადიანი და მათგან მოსყიდულნი — ოდიშის მთავარი ვეზირი, დადიანის მერიქიფე, მისი ორი ძმა და აფხაზი მკვლელი — აი, ვინ ყოფილან შეთქმულნი!

ლევანის ბრძანებით მის ძმას იოსებს თვალები დათხარეს და მარტო წყალსა და პურზე დააგდეს; ვეზირი ჯერ დაახრჩეს, მერე ზარბაზანში ჩასტენეს და გაისროლეს; მერიქიფეს და მის ძმებს თვალები დათხარეს და ცალ-ცალი ხელი და ფეხი დაჭკვეთეს; მახვილის მომქნეველი აფხაზი ბევრი ეძებეს, მაგრამ, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერსად მოიძიეს.

ახლა გურიელის დასჯა გადაწყვიტა ლევან დადიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მანამდე, დადიანის გარეშეც, დიდი ტრაგედია დატრიალდა გურიის სასახლეში: მამია გურიელი მისმა შვილმა სვიმონმა მძინარე დააკლა სარეცელზე. დააკლა და თვითონ დაბრძანდა მამის მკვლელი მთავრის ტახტზე.

ლევან დადიანს კარგი საბაბი მიეცა გურიაში სალაშქროდ. კიდევაც შემოიყარა ოდიშართა ლაშქარი, ლანჩხუთს ჩავიდა, სვიმონ გურიელი გაიწვია და უთხრა:

„რაკი შენ მამაშენი მოჰკალი, მე შენი სიძობა აღარ მნებავს. არ შემიძლია ჩემი დაი და დისშვილი მამის მკვლელის ხელში ჩავტოვო. ამიტომ მომეც დაი ჩემი და უსისხლოდ გავბრუნდები ჩემს სამთავროში!“.

მაგრამ სვიმონ გურიელი იყო კაცი ამპარტავანი, „მხნე, ახოვანი, შემმართებელი“. სასწრაფოდ ჯარიც შემოიყარა და ფიცხლად ეკვეთა მომხდურს.

ეს ბრძოლა ლანჩხუთთან მოხდა — სასტიკი, ისევ მოძმეთა სისხლის დამაქცევარი.

მეგრელებმა გაიმარჯვეს.

სვიმონ გურიელი შეიპყრეს და ლევან დადიანს მიჰგვარეს.

გამარჯვებულის ბრძანებით დამარცხებულს თვალები დათხარეს.

თვალდამწვარის ცოლი და შვილი — მარიამი და ოტია — ლევან დადიანმა, ვითარცა „საყვარელი დაი და დისწული“, თან წაიყვანა ოდიშს.

გურიის მთავრად დადიანმა დასვა მამია გურიელის ძმა, აფხაზეთის კათალიკოსი — მ ა ლ ა ქ ი ა (1625—1639 წწ.).

ეს იმას ნიშნავდა, რომ ლევან დადიანმა თავის უზენაესობას დაუმორჩილა გურიის სამთავროც და აფხაზეთის საკათალიკოსოც.

გურიის შემდგომ ისევ აფხაზეთს შეესია ოდიშის მთავარი. შარვაშიძემ მორჩილება იკისრა და ხარკი იტვირთა. ხარკად სანადირო მწევარ-მეძებარი, მიმინო და ქორ-შევარდენი უნდა ეგზავნა შარვაშიძეს დადიანისთვის.

გურია და აფხაზეთი რომ მოითავისა, მერე იმერეთსაც მისდგა ლევან დადიანი. ქუთათისის ტახტის დაპყრობაც ძალიან ესურვებოდა ოდიშის გაზულუქებულ მთავარს. ეს დიახაც ძნელი შესასრულებელი საქმე იყო. მაგრამ ხშირი შესევებით

კი დიახაც ამოჰხადა სული იმერეთს ლევან დადიანმა. იგი, პა-ატა წუწკი წულუკიძის რჩევით, იმერეთს თავს ესხმოდა ყოველ დღესასწაულს — შობას, ახალ წელს, ნათლიღებას, აღდგომას და ამაღლებას.

სულ დააკნინა და დააბეჩავა იმერეთი დადიანმა

არქანჯელო ლამბერტი ახასიათებს ლევან დადიანს

ერთხელ ლევან დადიანს ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა ქართლიდან სამეგრელოში იტალიელი მისიონერები ჩამოუყვანა — არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე.

„ეს ევროპელი მონაზონები შენს ქვეყანაში ღვთის სიტყვის საქადაგებლად და სარწმუნოების გასავრცელებლად მოსულან, — მოახსენა ნიკიფორემ ლევანს, — ორივენი შემკულნი არიან ყოველნაირი სათნოებით, იციან ხელოვნებაც, მეტადრე გაწვრთნილნი არიან სულიერ საგნებში, არ ეძებენ არც ფულს და არც სხვა რამ დიდებას. სურთ აქ დაბინავდნენ, რათა ერი გაწვრთნან და განასწავლონ კეთილ ზნე-ჩვეულებებსა და ღვთის სამსახურში. უეჭველად დიდ სიკეთეს მოუტანენ ერსა და თვით მთავრისთვისაც მათი აქ ყოფნა მეტად სასიქადულო იქნება“.

იტალიელებმა საჩუქარი მიართვეს მთავარს: ერთი უბის საათი, ერთი ვერცხლის ღვთისმშობლის ხატი, სამი დურბინდი, ერთი ბროლის კრიალოსანი და ერთი ყუთი დანები და მაკრატლები. ხოლო დედოფალს მიუძღვნეს: „ერთი ვერცხლის შეჭედილი ხატი, ქარვის კრიალოსანი და პატარა კოლოფი“.

დადიანმა სიამოვნებით მიიღო და დაინარჩუნა კათოლიკე „წმინდა მამანი“. კიდევაც დააბინავა, სამსახურად ყმა და მამულიც გამოუყო, ერთი ეკლესიაც კათოლიკური ქრისტიანობის საქადაგებლად აჩუქათ.

„რა დაბინავდნენ მისიონერები ასე შვენიერ და მზა მამულში, შეუდგნენ მეგრულის შესწავლას და მალეც შეისწავ-

ლეს. მაშინვე დაიწყეს ქადაგება და ხალხის მოვლა, რაოდენ-დაც კი შეეძლოთ“.

ლევანს და დარეჯანს ერთი შვილი, სამი წლის გოგონა, დამბლადაცემული და დავრდომილი ჰყავდათ. მისიონერებმა უმკურნალეს და მოარჩინეს ეს ბავშვი. მთავარმა და დედოფალმა გამორჩევით გაიშინაურეს „ღვთაებრივი მამანი“.

ხშირად ილორის წმინდა გიორგის ტაძარში ეახლებოდნენ კათოლიკე ბერები ლევან დადიანს. ძალიან მოსწონდათ „ხელოვნების საუფლო“ რომიდან ჩამოსულ სწავლულებს — ილორის ეკლესიის ვერცხლის კარები, ზედ იშვიათი ოსტატობით შესრულებული წმინდა გიორგის, მღვდელმთავრისა და ხარის გამოსახულებით.

1629 წლის საახალწლო დღესასწაულზე იტალიელმა ბერებმა ხელოვნური ვარდების თაიგულები მიართვეს მთავარსა და მის თანამეცხედრეს. ბუნებრივი ყვავილნარებით „თავმობეზრებული“ ცოლ-ქმარი „ძლიერ განაკვირვა“ ხელით ნაკეთებმა ვარდებმა. ლევანმა ეს „უცნაური ვარდები“ ქუდზე დაირჭო და ისე დასეირნობდა მთელი დღე ცხენზე ამხედრებული.

„ოქრო და თვალმარგალიტი რომ გეთავაზებინათ, ისე ვერ გამახარებდით, როგორც ამ ვარდებმა მასიამოვნა. ოქრო-ვერცხლი თავზე საყარად მაქვს, ხოლო ასეთი ყვავილი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო“, ეუბნებოდა აფოფინებული მთავარი ევროპელ სტუმრებს.

. . . . . .

იჯდა და სწერდა არქანჯელო ლამბერტი:

„...ეს მთავარი ჩვენს განათლებულ ქვეყნებში რომ აღზრდილიყო და სწავლა-განათლება ჩვენის საუკეთესო მასწავლებლებისაგან მიეღო, ვერც ერთი მთავარი მას ვერ აჯობებდა. უმოძღვროდ და უოსტატოდ, მხოლოდ ბუნების მადლით, შეუთვისებია მას მარად საქებური ზნე-ჩვეულებანი. ჭამის დროს ისეთი ზომიერია, რომ ხშირად რაიმე საქმის გამო, ან სანადიროდ გასვლის ჟამს, ისე წამოხტება სუფრიდან, რომ ან სულ არას შესჭამს, ან სულ მცირე რასმეს მოსციცქნის. არასოდეს იგი ღვინით დამთვრალი არ უნახავთ, თუმცა მის ქვეყანაში სიმთვრალე საერთოდ საძრახისი საქციელი გახლავთ.

უსაქმოდ მას კაციშვილი ვერ ნახავს ვერასოდეს. პირიქით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ დაუღალავად შრომობს და დღენიადაგ ვარჯიშობს. ლაშქრობის ჟამს იგი მარდია, ფიცხელი, ჩუმი და მხნე. ამიტომაც ყოველ ომში იგი იმარჯვებს. ისე უყვარს თავისი ქვეშევრდომები, რომ, როდესაც კი მათ რაიმე მწუხარება დაატყდებათ, ან მამობრივის სიყვარულით ანუგეშებს, ანდა შესაფერ შემწეობასაც აღმოუჩენს გაჭირვებულს. თავის კარისკაცებსაც ისე ტკბილად და თავაზიანად ეპყრობა, ყოველი მათგანი დარწმუნებულია — მთავარს ყველაზე უფრო მე ვუყვარვარო. დადიანი ისე მოხერხებულად იქცევა, რომ ყველა ერთნაირად არის ამაში დარწმუნებული. ამის გამო ყველას ისე უყვარს მთავარი, რომ არც ერთი მისთვის სიცოცხლესაც არ დაზოგავს.

მეხსიერება ისე ძლიერი აქვს, რომ დავიწყება რა არის, არც კი იცის. ხომ მრავალი მოლაპარაკება აქვს მრავალი საქმის გამო, მაგრამ ყოველი მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების უმცირესი სიტყვაც კი გაახსენდება ექვსი-შვიდი წლის შემდგომაც.

ქვეშევრდომთა შემწეობას მუდამ ისე მოწადინებულია, რომ ამ მხრივ მისი მოქმედება მე მომაგონებს ისაიას სიტყვებს შესახებ იმ მთავრისა, რომელსაც სურს მთავრობა თავიდან აიშოროს და ამბობს: „არა ვიყო მე თქუენდა წინამძღვარ, რამეთუ არა ვარ მე მკურნალი და არა არს სახლსა ჩემსა პური, არცა სამოსელი“ (ისაია, თ. 3 და 7). ამ ადგილიდან სჩანს, რომ ძველად მთავარის მოვალეობა იყო ეზრუნა თავისი ხალხის საზრდოსა, ტანსაცმლისა და აქიმობისათვის. ეს ჩვეულება ჩვენს ქვეყანაში სრულებით განდევნილია, მაგრამ დადიანი კი თავის ქვეყანაში მტკიცედ მისდევს ამ ჩვეულებას. მართლაც, იმისთვის რომ ექიმობა გაუწიოს თავის ხალხს, კითხულობს სხვადასხვა საექიმო წიგნებს, რომელიც გადმოთარგმნილია ლათინურიდან მათს ენაზე, შესწავლილი აქვს მრავალი სანელებელი, სამკურნალო ბალახები, მცენარეთა ძირები, აკეთებს მრავალ საცხებ მალამოსა და სასმელ წამალს. ასეთის წამლებით სავსე აქვს ყუთები, რომელთაც თან დაატარებს და საჭიროებისამებრ ყველას ურიგებს. ამ წამლებს ისე თხოულობენ, თითქოს თვით გალენუსი (დიდი რომაელი ექიმი) ურიგებდეს მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება პურს ან საზრდოს, დადიანი ამაზე ისე ზრუნავს თავის ქვეშევრდომთა სასიკეთოდ, რომ მის სასახლეში ყველას ეძლევა საზრდო სრულიად უფასოდ. ვინც უნდა მივიდეს — კარისკაცი თუ უცხო ვინმე — მაშინვე თავის ულუფას მიართმევენ. დადიანი რომ სუფრაზე დაბრძანდება, გარშემო მსხდომ სტუმრებს სულ თავის ხელით უთავაზებს საჭმელებს, ისე რომ ხშირად მას თავისთვისაც აღარ დარჩება ხოლმე. დადიანი გამორჩევით ზრუნავს თავისი ხალხის შესამოსად. კონსტანტინოპოლიდან და სპარსეთიდან ქსოვილებს იბარებს თავისი კარისკაცების შესამოსად და სხვებისათვის დასარიგებლად. ვისაც ოქრომკედისა და აბრეშუმის ქსოვილი არ ეკუთვნის, იმათთვის შალებს ამზადებინებს და საკუთარი ხელით ურიგებს ზამთარში. ამიტომ საფუძვლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ლევან დადიანს ეკუთვნის სამთავრო, რამეთუ ჰკურნოს თავისი ქვეშევრდომნი და მოუპოვოს მათ პური და სამოსელი.

დადიანი ფრიად მოყვარულია მართლმსაჯულებისა. მან სასტიკის ზომებით ალაგმა მეგრელების ონავარი ბუნება. ამჟამად ველარ გაიგონებთ მის სამთავროში ისეთს ქურდობას და მტაცებლობას, როგორც ეს იყო წინათ. უწინ უძლიერესი მებატონენი კანონებს არ ემორჩილებოდნენ, უძლურებს ყველაფერს ართმევდნენ და უცხოელს, რომელიც კი კოლხეთში გამოჩნდებოდა, ძარცვავდნენ. ლევან დადიანის ჟამს კი ისე შეშინებულნი არიან, რომ ვერც უცხოელებს აწყენინებენ და ვერც უძლურებს აწიოკებენ.

დადიანი საკვირველ პოლიტიკას ადგას თურქეთის მიმართ. იგი კარგად იცნობს თურქეთის მტარვალობას და აგრეთვე იცის, რამდენი სამეფოც ჩაუნთქავს მის მძვინვარებას, რამდენი მომიჯნავე ქვეყანა დაუპყრია და დაუმონავებია. თურქეთმა რომ მისი სამთავროც არ გასრისოს, დადიანი ცდილობს მეგობრობა დაიმსახუროს თურქეთისა, მაგრამ ისე კი, რომ ამით თვითონ მთავრის ღირსებას არა მოაკლდესრა. ასეთი მეგობრობის დასაცავად დადიანი ყოველ წელიწადს სულთანის ვეზირებს ფეშქაშებს უგზავნის და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სულთანს ხარჯს აძლევს. ამნაირად დადიანი თავისი ნებით გახდა თურქეთის მოხარკე. ხოლო მთავრის ღირსებას ისე შე-

ულალავად იცავს, რომ არასოდეს არავითარ ბრძანებას თურქეთიდან მოსულს არ ასრულებს.

რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, სულთან მურადმა — თურქეთის აწინდელმა ხელმწიფემ — როცა იგი ერანის შაჰ სეფის წინააღმდეგ ომობდა და ქალაქ ერევანს ასაღებად მიადგა — დადიანს შემოუთვალა: შენ ჩემი მოხარკე ხარ და რადგანაც ერევანი შენი სამთავროს ახლოს არის, წესით უნდა მოხვიდე და დამეხმაროო. ამაზე დადიანმა უპასუხა: არასოდეს არც მე და არც ჩემს წინაპრებს ვალად არ გვედო თქვენი და თქვენის წინაპრების ომში სამსახურიო და ამიტომაც არც ახლა გეახლებითო. ამასთანავე გაიხსენეთ, რომ ხარკს იმიტომ კი არ გაძლევთ, პირდაპირ თქვენი ბატონობა მეცნოსო, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ჩემს საზღვრებში ჯარით არ შემოხვიდეთო. და თუ ამას მაინც იზამთ, მე მყისვე მოგისპობთ ხარკსა და ადვილად შევიძლებ ჩემის ჯარით დავიცვა ჩემი სამთავროო.

სულთანმა არავითარი პასუხი არ გასცა დადიანს არც წერილით და არც საქმით, რადგან დარწმუნებული იყო, ერთის მხრით, რომ ეს პასუხი სამართლიანი იყო და, მეორეს მხრით, დადიანის სამთავროს ისეთი ბუნებრივი საზღვრები ჰქონდა, რომ მისი დაპყრობა შეუძლებელი იყო. ყოველ შემთხვევაში სულთანი ფიქრობდა, კიდევაც რომ გადავწყვიტო სამეგრელოს დაპყრობა, ამისათვის იმდენი ჯარი უნდა ვიხმარო და ხარჯი ვიხარჯო, რომ ამ ხარჯად დაპყრობილი სამთავრო არც ეღირებაო. სულთანმა ისიც კი იცოდა, რომ მეგრელები თურქთა ძალას არაფრად აგდებდნენ, რადგან, როცა კი თურქეთის ჯარი ზღვით ან ხმელეთით სამეგრელოს მოადგებოდა, მეგრელები ყოველთვის მზად იყვნენ თვითონ დაეწვათ თავიანთი სახლები, თავიანთი საქონლითა და ავეჯით აყრილიყვნენ და მთებში გახიზნულიყვნენ. მერე იქიდან ხშირად ჩამოვიდოდნენ და, ადგილობრივი ჩვეულებისამებრ, ჩასაფრებულნი სროლას აუტეხდნენ და ამ გზით სწრაფად დაამარცხებდნენ თურქებს. ამ საქმეში მეგრელებს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მათი ქვეყანა გაუვალი ტყითა და ჭაობით არის მოცული.

ძეორე პოლიტიკური ხერხი, რომელსაც დადიანი თურქე-

თის მიმართ ხმარობს, ეს არის: იგი ცდილობს მტკიცედ დაარწმუნოს თურქები, რომ სამეგრელოზე უფრო ღარიბი და უბედური ქვეყანა დედამიწაზე მეორე არ მოიძებნება. ამისთვის, როცა თურქეთიდან ელჩები გამოჩნდებიან, დადიანი საზღვარზე თავის კაცებს დაახვედრებს, რომელთაც ერთხელ და სამუდამოდ ნაბრძანები აქვთ, გვერდი აუქციონ კარგს პირდაპირ გზებს, და გამოატარონ ციცაბო კლდეებზე ლაფიან გზებზე, უსიერ ტყეებზე და ჭაობებზე; მდინარეებზე გადასვლისას ერჩიათ უფრო ღრმა ფონი, ღამით დაებინავებინათ რომელიმე უღატაკესი გლეხის ფაცხაში, სადაც ლოგინად დაეგოთ მხოლოდ თივა და საჭმელად მიეცათ მხოლოდ ყველი და მწვანილი.

ელჩები ფიქრობდნენ, მთავრის სასახლეში რომ მივალთ, იქ მაინც მოგვასვენებენ რიგიანადო. მაგრამ მთავარი აქაც ახირებულად დახვდებოდათ: ხის ქვეშ, ძველს დაქექილ ხალიჩაზე მჯდარი და ღარიბულად ჩაცმული ეგებებოდა ელჩებს. გარშემო მრავალი მხლებელი ჰყავდა, მაგრამ ყველანი გლახაკად ჩაცმულნი. ელჩებს რომ მიიღებდა და სულთანის ფსტაოს მოისმენდა, მერე მათ მოსასვენებლად მიუჩენდა უფრო ხშირად ერთ ფიცრულ სახლს, თითქმის კარებმოგლეჯილს და სახურავგადახდილს, რომელშიც კაცი ერთ კუნჭულსაც ვერ მოიძებნიდა, წვიმის დროს რომ თავი შეეფარებინა. საჭმელად ყოველდღე მიართმევდნენ თხის ხორცს, რაც შეიძლება უვარგისს. პური საზოგადოდ ცოტაა ამ ქვეყანაში და ელჩებსაც ისე გამოზოგვით მიართმევდნენ ხოლმე, რომ ისინი შიმშილსაც ვერ იკლავდნენ. რაც შეეხება ღვინოს, — თუმცა ელჩებს დიდი სურვილი ჰქონდათ თავისი სჯული დაეგიწყნათ და ყურძნის წვენი დაელიათ, მაგრამ ისეთს საძაგელს ღვინოს მიართმევდნენ ხოლმე, რომ ძალაუნებურად თავისი ადათი მტკიცედ უნდა დაეცვათ და წყურვილი მარტო წყლით ღეკმაყოფილებინათ.

აგრე შევიწროებულნი და გაჭირვებულნი იყვნენ დადიანის კარზე ელჩები. ამიტომ ისინი სწყევლიდნენ იმ წამს, როდესაც მოვედით ამ დაწყევლილსა და ჯოჯოხეთზე უარეს ქვეყანაშიო. ყველა ამ ღონისძიებას დადიანი ხმარობდა იმისთვის, რომ კონსტანტინოპოლში ცუდი აზრი ჰქონოდათ ამ ქვეყნის მესა-

ხებ და ხონთქარს აზრადაც არ მოსვლოდა არც ხარკის მომატება და არც ამ ქვეყნის სრულად დაპყრობა.

სამძიმო საქმეში დადიანმა აჩქარება არ იცის. აი, მაგალითი: ერთი დიდი კაცი სამი წლის განმავლობაში ცდილობდა ხალხის აჯანყებას და თვით დადიანის მოკვლას. თუმცა დადიანმა იმ კაცის ბოროტგანზრახულობა კარგად იცოდა, მაინც იმას ცდილობდა, მოფერებით და წყალობით მოეგო მისი გული და არასოდეს არ უფიქრია მისი დასჯა, სანამდის არ დარწმუნდა, ამ კაცზე არაფერი სიკეთე არ გადისო და სულ უფრო და უფრო მიელტვის სისრულეში მოიყვანოს თავისი ბოროტი განაზრახიო, — მხოლოდ ამის შემდეგ შეიპყრა დადიანმა ის კაცი, ორივე თვალი ამოთხარა და მასთან ერთად თავიდან მისი სულელური აზრიც ამოჰგლიჯა.

დადიანმა სრულებით განაახლა ქვეყანა იმით, რომ მრავალი უცხო ხალხი მოიწვია, განსაკუთრებით სომხები და ებრაელები, რომლებიც ძალიან ეტანებიან ვაჭრობას. მათ აძლევდა ცხენებსა და ფულს და გზავნიდა ერანსა და თურქეთში, რათა იმ ქვეყნებიდან მოეტანათ ოდიშს მრავალი სავაჭრო საქონელი, რომელთა სახელი მანამდე მეგრელებმა არც კი იცოდნენ. ვაჭრობაში მეგრელებმა ფულის ხმარება სრულიად არ იცოდნენ და თავიანთ ნაწარმს მხოლოდ ერთმანეთზე ცვლიდნენ პირდაპირ. ახლა კი მთავარს გაწყობილი აქვს ზარაფხანა, სადაც ყოველ წელიწადს სჭრიან რამდენიმე ათას მანეთს, თავის სამთავროში ხალხის გამრავლებისათვის დადიანი დიდის წყალობით იზიდავს უცხოელებს, განსაკუთრებით ხელოსნებს. მოსული რომ უკან არ გაბრუნდეს, მთავარი აძლევს სახლს, მიწა-წყალსა და ყოველივეს, რაც კი შეეფერება მოსულის წოდებასა და მდგომარეობას".

. . . . . .

„ნადირობის გიჟია დადიანი. იგი ისე ბევრს ხარჯავს მწევარ-მეძებრებზე, ქორ-მიმინოებზე და ბაზიერებზე, რომ არა მგონია მოიძებნოს სხვა მთავარი, რომელმაც გადააჭარბოს მას ამ ხარჯში. ყველა ამაების სარჩენლად მიჩენილია კარგი ძალი სოფლები, რომელთაც ევალებათ თავის დროზე მიაწოდონ ბაზიერებს რიგიანი საჭმელი, ქორ-მიმინოებს — ქათმები და ძაღლებს — ღორები, თხები და ღომი".

. . . . . .

„ღვთის მსახურებისა და ეკლესიის საქმეებში გამოიჩინა თავი დადიანმა. ახლა ოდიშში არ მოიძებნება არც ერთი ეკლესია, სადაც მისი ღვთისმოყვარეობის ნიშანი არ მოიპოვებოდეს; რომელი ეკლესიაც დანგრეული იყო, ხელახლა ააშენა; რომელსაც სახურავი არ ჰქონდა, იმას სახურავი გადაჰხურა; რომელსაც ჩუქურთმები შემოსცლოდა, ხელახლა მოაჩუქურთმა და გაამშვენიერა. ამასთანავე ეკლესიას ფრიად შეჰმატა შემოსავალი. უთვალავი ოქრო-ვერცხლის ხატი გააკეთებინა და თვალ-მარგალიტით შეამკობინა. ათი წლის მანძილზე ოცზე მეტი ოქრომჭედელი ჰყავდა, რომლებიც განუწყვეტლივ აკეთებდნენ საეკლესიო ნივთებსა და ჭურჭლეულს.

მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ: ძვირფასი ქვებით შემკული ფიალა, რომელიც, როგორც ამბობენ, თორმეტი ათასი სკუდო ჰღირსო; ღვთისმშობლის ხატი, ბაჯაღლო ოქროსაგან გაკეთებული და ძვირფასის ქვებითვე შემკული — ხუთი ათას ოქროდ ღირებული, და მრავალი ამისთანა ნივთი, რომელიც დადიანმა თავის სამთავროს ყველა ეკლესიას დაურიგა.

ასეთია ეს დიდსულოვანი და კეთილშობილი მთავარი“...

. . . . . .

ლევან დადიანი სასტიკად სდევნიდა ეკლესიის მძარცველებსა და შემგინებლებს.

ერთხელ მან, მალაქია კათოლიკოსის დასტურით, ჩამოახრჩო ხონის ეკლესიის ქურდები, საქრისტიანო ნივთების მძარცველნი, წმინდა ალაგთა პირუტყვულად შემბილწველნი, ძმები გაბუნიები: კაცია, მამია, ჯაშუშა და მწყაზარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზი და როსტომი

მეფე — „ხერხიანი და ილათიანი“

მაშ, ქართლის ტახტზე ზის როსტომ მეფე (1632-1658 წწ.), ზის და განაგებს ქართლს „ქართულად“:
ქართული ენით და სიტყვიერებით,
ქართული წესით და ადათით,
ქართული მიწათსაკუთრებით და მიწათმეურნეობით,
ქართული ხელოსნობით და ხელოვნებით,
ქართული სულით და ქართული გულით.

საქართველოს „სრული გათათრების“ განაზრახი აღეკვეთა სპარსეთის მესვეურებს. მათ „საკმარისად“ უნდა მიეჩნიათ ყოველწლიური ხარკის აკრეფა, „მისართმეველის“ მირთმევა და ჯარის გაყვანა საქართველოდან.

მაგრამ საქმე ისედაც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ როსტომ-ხანმა სპარსელობას პირწმინდად უღალატა და „ბავშვობისდროინდელ“ ქართველობას სულხორციანად დაუბრუნდა.

არა! იგი ქართულისა და სპარსულის „ნებაყოფლობით შერიგებასა“ და „შერწყმას“ ცდილობდა.

რა ვუყოთ, რომ როსტომ მეფე ტფილისში სახელმწიფო საქმეებს ქართულ ენაზე აწარმოებდა (ის კი არა და, — აკი თვით შაჰ აბასიც ძალიან ხშირად სპარსეთის სატახტოშიც ქართულად ლაპარაკობდა).

როსტომი თავის თავს „მეფეთ მეფესა და პატრონს“ ეძახის, ერანის შაჰიც „ჩემს ძმასა“ და „ჩემს მამას“ უწოდებს, მაგრამ ქართველებმა იციან, რომ როსტომს ოფიციალურ სპარსულ ფირმანებში მაინც სპარსელი მოხელე — „ვალი“, გინა „ხანი“ ჰქვია.

მაინცდამაინც როსტომის მმართველობით „ახალი ერა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა საქართველოს მატიანეში. მისი მოსვლიდან მთელი 112 წლის სიგრძეზე (1632-1744 წწ.) ქართლის გამგებელნი მხოლოდ სპარსელი მოხელენი — „ხანები", „ვალები" და „ჯანიშინები" იყვნენ, — მართალია, ქართველები, მაგრამ მაინც სპარსეთის კარზე სპარსულად აღზრდილნი, გამაჰმადიანებულნი და „გარდასახულნი".

საუკუნეზე უგრძესი დრო-ჟამი წარიმართა, ვითარცა უდიდესი გამოცდა ქართული კულტურის გამძლეობისა, ცხოველმყოფელობისა და უკვდავებისა, როსტომ-ხანისა და მისი მომდევნო „გურჯიხანების" მმართველობისდროინდელი ქართულ და სპარსულ კულტურათა „შერწყმის პოლიტიკა" ისევ და ისევ „ქართულ სისტემათა" გამარჯვებით გათავდა. ქართულმა კულტურამ, ბუნებრივია, მაღალი ერანული სულიერი და ნივთიერი მემკვიდრეობიდან ბევრი რამ შეითვისა და გაითავისა, მაგრამ თავის მხრივაც მრავლად „ჩაასესხა" და „ჩაასისხლხორცა" სპარსულს ქართულმა.

შეწყდა სპარსულ-თათრული შემოსევები საქართველოში. ქართველ კაცს საშუალება ეძლეოდა მშვიდობიან ცხოვრებას დაბრუნებოდა.

როსტომ მეფეზე მაინც დაბეჯითებით ამბობდნენ: იგი, — ვითარცა ქართლის მეფე, ერანის ყულარაღასი და ისფაჰანის ტარუღა — „განუყოფლად" განაგებს ქართლსაც და სპარსეთსაც.

ქართლში ქართული თანამდებობანი უკლებლივ და უცვლელად დატოვა, მაგრამ მათ გვერდით სპარსულიც შემოიღო და ზედ სპარსეთიდან ჩამოყვანილი გათათრებული ქართველები ჩამოარიგა.

ოღონდ კი მისი ერთგულნი ყოფილიყვნენ და ყველას ერთნაირი სიუხვით სცემდა პატივს — დამხვედრ „სჯულიერ ქართველსაც" და მომსვლელ „გადარჯულებულ გურჯსაც".

თეიმურაზის მომხრეობით „სახელგატეხილი" თავადები მაინც დაამდაბლა და უპოვარჰყო როსტომმა. სამაგიეროდ ერთგულნი გაამდიდრა და აღაზევა უზომოდ. ჩამოსვლისთანავე, თეიმურაზთან ერთად იმერეთს გადახვეწილი იოთამ ამილახორი „კანონგარეშედ" გამოაცხადა და სამაგიეროდ ზემო ქართლის სადროშოს მეთაურობა სპარსეთიდან ჩამოყოლილ

ბეჟან ამილახორს უბოძა. ასევე საბარათიანოში ჰასან-ბეგ ბარათაშვილს დაუბრუნა გიორგი სააკაძისგან წართმეული მამულები.

ქართული ცხოვრების გარეგნულსა და შინაგან სახეს ხელს არ ახლებდა, მაგრამ თვითონ სპარსეთიდან თანმოყოლილ „გურჯებთან“ ერთად სპარსეთში გაჩვეული წესითა და ადათით ცხოვრობდა.

ქართველთაგან ბევრი ისევ ინარჩუნებდა ძველ ქართულ ღირსებებს: „იყვნენ მხნენი, რჯულ-მტკიცენი, წრფელნი, ვერცხლის უყვარულნი“.

მაგრამ როსტომის მხლებელ თათართაგან და გათათრებულ ქართველთაგან „შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუვილი, ხორცთა-განსვენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე მგოსანი“.

„და მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება, და ყოველთავე შეიყვარეს ანგარება და სიმდიდრისმოყვარეობა. ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან, და განმრავლდა ტანთ-ცმა ყიზილბაშურად, და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან გამდიდრდებოდნენ და რაყმით იშოვნიდნენ მამულებსა“..

ბევრი ქართველი—საეროც და სასულიეროც—აჰყვა ცდუნებას: ქონებას ეხარბებოდნენ, ქრთამს ღებულობდნენ, მოფენილზე ფეხმორთხმულნი უზომოდ ჭამდნენ და სვამდნენ, ცრუობდნენ, მრუშობდნენ, მთელი დღეები აბანოს ორთქლში ჩანთქმულნი ბაიათებს ჰკიოდნენ, თეძოების მრუში მიმოტანით როკავდნენ.

„განმრავლდა სიძვა და არა-წმინდება, ცოდვა იგი სოდომგომორული და მეძავეობა და დედათა თანა აღრევა“.

ბევრ ქართველს რვალის მკლავი დაუცომდა, მუცელი დაუზორზოხდა და თეძო დაუდედლდა.

როსტომ მეფე დანგრეულ ქრისტიანულ ეკლესიებს აღადგენდა, ახლებს აშენებდა, შესაწირავებით ამდიდრებდა, წირვა-ლოცვას ესწრებოდა და თვითონაც, სპარსელთაგან შეფარვით, ქრისტიანულად ლოცულობდა. ქრისტიან მოწესეებს ჯამაგირს უნიშნავდა, „თავმდაბლად და ტკბილად ექცეოდა“. მარტო ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ჰლირს, რომ მან „აღაშენა წმინდა კათოლიკე ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხვანიცა...“.

მაგრამ როსტომმა ისნის ქართული, მამაპაპური ციხე და სასახლე მიატოვა და საცხოვრებლად სიონ-ანჩისხატს შორის დასახლდა, მტკვრის პირას. აქ „აღაშენა სახლი ყიზილბაშური კეკლუცად და ტურფად ნაგები“. მდინარის გაღმა-გამოღმა ციხეებიც ააგო, ბაღებიც და მეჩეთებიც; მეტეხისა და ნარიყალას ციხეებს ახალი ზღუდეები შემოავლო და შიგ ყიზილბაშური ციხიონები ჩაასაგრა.

როსტომ მეფემ ფულის ყადრი იცოდა და ვაჭარ-ხელოსნობას ძალიან აქეზებდა და მფარველობდა. გამორჩევით ტფილისელ და გორელ სომხებს ეხმარებოდა, ემზრუნველებოდა და ემეგობრებოდა. სომეხთა კათალიკოსი როსტომს სომეხთა მოამაგესა და მეგობარს უწოდებდა. საჭირო შემთხვევაში როსტომ მეფე მისებრ „ხერხიან და ილათიან სომხებს“ გაურჩებული ქართველი თავადების წინააღმდეგაც კარგად იყენებდა...

შენდებოდა და მრავლდებოდა ქართული სოფელი. როსტომ მეფის დროს ქვემო ქართლში ყ ა ფ ლ ა ნ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ მ ა 61 დაცარიელებული სოფელი აღადგინა და დაასახლა. ასევე მცხეთის სახლთუხუცესმა პ ა პ უ ა მ ა ღ ა ლ ა ძ ე მ ქართლსა და კახეთში 12 გაუკაცრიელებელი სოფელი ააღორძინა.

როსტომ მეფეს გაჰყავდა გზები, წყალსადენები, სარწყავი არხები, აგებდა ხიდებს, წისქვილებს, სავაჭრო ქარვასლებს, საფოსტო და სამიმოსვლო სადგურებსა და სასტუმროებს.

ყველაზე დიდი, გუმბათიანი ხიდი მდინარე ხრამზე ააგო, განჯისკენ მიმავალ გზაზე. ხიდთან საგანგებოდ სოფელი დაასახლა და საფოსტო სადგური — „ქარავან-სარაიც“ ააგო, „რათა მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზად დახვდესო“.

აქედან (1652 წლიდან) იწყებს „თავის ისტორიას“ სახელგანთქმული „გატეხილი ხიდი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსეთიდან ჩამოსულ როსტომ მეფეს არც ცოლი ჰყავდა და არც შვილი.

67 წლის კი იყო.

და ეგზომ ასაკმორეულმა კაცმა ჩამოსვლისთანავე, 1633 წელს, ცოლად შეირთო ახალგაზრდა ქალი — ქ ე თ ე ვ ა ნ ი, გორჯასპი აბაშიშვილის ასული. ქრისტიანული სახელი გამოუცვალა — ქეთევანის ნაცვლად გულ-დუხტარი დაარქვა.

მაგრამ რაღა სახელის გადარქმევა და „გადანათვლა", როცა ქალმა დედოფლად ერთი თვეც ვერ მოათია, ისე გარდაიცვალა მოულოდნელად.

გამწარდა როსტომი, ესოდენ გვიან გახსენებულზე რომ უმუხთლა ბედმა. უსათუოდ, ტახტის მემკვიდრე სჭირდებოდა და ძალიანაც ეჩქარებოდა, რათა დროზე წამოსწეოდა მომავალი სისხლიერი შემცვლელი ესოდენ სანატრელი ქართული მეფობისა.

საგანგებო თათბირიც შეჰყარა ხელმეორე ქორწინების გასარიგებლად.

ერთხმად დაუსახელეს მ ა რ ი ა მ ი — ასული მანუჩარ დადიანისა და ათაბაგის ქალისა, დაი სახელოვანი ლევან დადიანისა, ცოლყოფილი ლევანისგან თვალდათხრილი სვიმონ გურიელისა.

როსტომ მეფეს მანამდეც შეეტყო მარიამის სილამაზისა და სიმშვენიერის ამბავი.

„შავის ზღვიდან ამოსული მზე არის დადიანის ქალი!" — ეს მერამდენედ უთხრეს მეფეს.

ქალი რომ მზეს ჰგავს, ამას რაღა სჯობს, მაგრამ კიდევ „სხვა რამ ანდამატი" ახლავს როსტომისა და მარიამის მომავალ ქორწინებას. ეს არის ქართლის მეფის კავშირი დასავლეთ საქართველოს ყველაზე ძლიერ საჭეთმპყრობელთან — ლევან დადიანთან. ოდიშის მთავარი და იმერეთის მეფე დანასისხლად გადამტერებიან ერთმანეთს. თანაც, როსტომ მეფის მეტოქე თეიმურაზ კახთა მეფე სწორედ ქუთაისის სასახლეს აფარებს თავს. დიახ, იმერეთის მეფე გიორგი მესამე და თეიმურაზ კახ-

თა მეფე როსტომის მტრები არიან ისე გამოდის, ლევან დადიანსა და როსტომ ქართლის გაძგებელს საერთო მტრები ჰყვანან — გიორგი და თეიმურაზი. ჰოდა, რაკი გიორგი და თეიმურაზი გაერთიანებულან, უბრალოდ მისახვედრი განასაჯით, მათი აქამდე „ცალკეული მტრებიც“ — ლევანი და როსტომიც უნდა გაერთიანდნენ.

და მით უკეთესი, თუ მომავალი მოკავშირეების ღამოყვრეზის შესაძლებლობაც არსებობს!

ასეთი „შესაძლებლობა“ გახლავთ სწორედ მარიამი, „მზესავით ქალი“.

სწორედ მარიამისა და როსტომის „პოლიტიკურ სარეცელზე“ უნდა გადაწყდეს საქართველოს მომავალი ბედ-იღბალი...

როსტომმა სამეგრელოში ტფილელი ეპისკოპოსი გაგზავნა შუამავლად.

ზუგდიდის კარზე დიდის სიხარულითა და პატივისცემით მიიღეს საქართველოს სატახტოს მღვდელთმთავარი, სასიძოს თხოვნაც „ნამეტნავად იამათ“, მაგრამ...

მაგრამ თვითონ მარიამმა თქვა უარი მაჰმადიან მეფესთან ქორწინებაზე.

დიდხანს არწმუნეს ქალი: როსტომ მეფე მხოლოდ „გარეგნულად“ არის მაჰმადიანიო, მარიამი მაინც მტკიცედ იდგა უარზე.

ვერც ავგულა ძმის — ლევან დადიანის — მუქარამ შეაკრთო ქალი, ბოლოს, როგორც იქნა, მაინც ქართლისა და სამეგრელოს მღვდელთმთავრებმა დაარწმუნეს მარიამი, როსტომ მეფე „შინაგანადაც“ რომ ქრისტიანი არ იყოს, ყოველივე ქრისტიანისათვის წმიდათაწმიდა მოვალეობა გიკარნახებს, შენ თვითონ მოაქციო ქრისტიანად შენი გვირგვინოსანი მეუღლეო.

მარიამი დათანხმდა და როსტომ მეფისაგან გამოგზავნილი „ნიშანიც მიირთმიეს“.

პაემანი დანიშნა დადიანმა — საჩხეიძეო, კაკას ხიდი, ბაღდადთან ახლოს. აქ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს სასიძო და სადედოფლო. დათქმული იყო ისიც, რომ ქართლის მეფე და დადიანი „ყოველი შემთხვევისათვის“ დიდი საომარი ძალებით მოსულიყვნენ კაკას ხიდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომმა წინასწარ მოციქული აფრინა სპარსეთში და შაჰს დადიანთან დამოყვრების ამბავი შეატყობინა. შაჰ სეფიმ ძალიან მოიწონა „ძმისა და მამის“ განაზრახი.

თვითონ ერანსაც არ აწყენდა დადიანთან კავშირი, მიმართული ისევ „საერთო მტრის“ — ოსმალეთის წინააღმდეგ. ამიტომ შაჰმა დიდძალი „საქორწინო საჩუქრები“ გამოუგზავნა როსტომსაც და ლევან დადიანსაც, შირვანის ბეგლარბეგის ფარუ-ხანის ხელით.

კაკას ხიდზე, ხანისწყლის ხეობაში, პირველი მივიდა სადედოფლო მარიამი და მისი ძმა ლევან დადიანი „მხედრული მაყრიონით“.

როსტომ მეფეც გზას ადგა დიდის ლაშქრით.

თურქეთში უკვე ხმა დარხეულიყო: „ხოსრო-მირზა, დადიანისა და გურიელის დახმარებით, 30 000 ყიზილბაშით აპირებს შავი ზღვის ნაპირზე გაჭრას. გონიისა და ტირებულუს მიმართულებითო“.

როგორც ეტყობა, თურქეთში მაშინ ძალიან მცდარი ცნობები ჰქონიათ საქართველოში შინაურ ძალთა დაჯგუფების თაობაზე. როსტომი კი მართლა მიემართებოდა დიდი მხედრობით დასავლეთისაკენ, მაგრამ არა შავ ზღვაზე „გასაჭრელად“.

სურამს რომ მივიდნენ, როსტომ მეფეს გზიდან დათუნა (დავით) არაგვის ერისთავი გაეპარა თავისი ჯარით. თურმე დათუნას ვიღაცამ ყური გაუხედნა: როსტომ მეფე შენს სისხლს დაღვრის იმის სამაგიეროდ, შენმა ძმამ ზურაბ ერისთავმა რომ როსტომის ძმისწული სვიმონ-ხანი მოჰკლაო. დათუნა ერისთავის „საქმე“ ქორწილის შემდგომისთვის გადასდო მეფემ.

სურამში როსტომს ესეც შეატყობინეს: იმერლებს იმერეთში გადასასვლელი გზები ჩაუკეტიათო.

მაშინ მეფემ ბორჯომის, სამცხისა და ზეკარ-ფერსათის გზებით გადაწყვიტა იმერეთში გადასვლა. სამცხის მმართველი საფარ ფაშა (ბექა ათაბაგი) მომკვდარიყო და ნაცვლად მისი შვილი დაესვათ თურქებს უ ს უ ფ ფ ა შ ა ს სახელით. სწორედ უსუფ ფაშას სთხოვა გზა სამცხეზე როსტომმა. იმანაც „სიხარულით მოსცა“ გზა.

მაგრამ სანამ როსტომ მეფე ეგზომ გრძელ გზებს დასძლევდა, მანამ ბაღდადის ახლოს უკვე მომხდარიყო მოსახდენი.

იმერეთის მეფე გიორგი, მისი შვილები — ალექსანდრე და მამუკა — და თეიმურაზ კახთა მეფე ქუთათისიდან ლაშქრით წამოსულან და დადიანის განადგურება მანამ განუზრახავთ, სანამ ქართლიდან როსტომ მეფე გადმოასწრებდა.

საერთო სამხედრო განაზრახი დიახაც სწორად მოუსაზრებიათ იმერეთის სასახლის კარზე, მაგრამ მისი საქმიანი განხორციელება უაღრესად უხეიროდ ჩაუტარებიათ.

იმერელთა ლაშქარი ბაღდადთან დაბანაკდა. თვითონ გიორგი მეფე ჯორზე შეჯდა და მცირე რაზმით ხანისწყალს აუყვა, მტრის დასაზვერავად. იმერელთა ბანაკში მოღალატეები აღმოჩნდნენ. მათ ლევან დადიანს შეატყობინეს მეფის სამოძრაო გზები.

ერთბაშად გამოიჭრნენ ოდიშარნი. გიორგი მეფეს დაეცნენ, ჯორიდან გადმოაგდეს და ხელ-ფეხი შეუბოჭეს. მისი მხლებლებიც ჭუკებივით გამოიჭირეს. მერე იმერთა მთავარ ბანაკს დაესხა ლევან დადიანი. იმერლები დამარცხდნენ და გაიფანტნენ. გაქცევით უშველეს თავს თეიმურაზმა, ალექსანდრემ და მამუკამ. ბევრი იმერელი და თეიმურაზის მხლებელი კახი ხელთ ჩაუვარდათ გამარჯვებულ მეგრელებს. დიდი ალაფიც დაიალაფეს. მათ შორის აღმოჩნდა „კახეთის დროშის თავი, ბროლის ჯვარი და იმ დროშის ბუდე ოქროქსოვილი". ეს ძვირფასი სანადავლო ნაწილები შემდგომში ილორის წმინდა გიორგის ეკლესიას შესწირა ლევან დადიანმა.

როსტომ მეფემაც მოატანა ჯარით და ამალით.

დიდი ზარზეიმით შეხვდნენ ერთმანეთს მოყვარენი და მოკავშირენი.

ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიუხვეში, სიქველეში და ბრწყინვალებაში.

აქვე შაჰ სეფის მოციქულმა, შირვანის ბეგლარბეგმა ფარუ-ხანმა, ლევან დადიანს გადასცა ერანის ხელმწიფისაგან გამოგზავნილი 50000 მარჩილი. ეს მხოლოდ საქორწინო საჩუქარი იყო; მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ სპარსეთის შაჰი სამეგრელოს მთავარს ყოველწლიურ ჯამაგირად უნიშნავდა 1000 თუმანს. გასაგები იყო ლევან დადიანისათვის, რასაც ნიშნავდა ერანელი დიდხელმწიფის ასეთი წყალობა. სამეგრელოს მთავრო მარტო ქართლის კი არა — ერანის „ხელდე-

ბულ მოკავშირედაც“ ცხადდებოდა. ასედაც „გაიგებს“ ლევან დადიანი, როცა იგი სამაგიერო ელჩს გაგზავნის ისფაჰანს...

ერთი დღე-ღამე საქორწინო ზარზეიმი აზანზარებდა ხანის-წყლის ხეობას.

ხარის ბღავილით არავის უბღავლია იქვე მახლობლად მიძ-მეთა სისხლით დამბალ მიწაზე.

როსტომ მეფემ წამოიყვანა მარიამი — „მზისფერი ქალი“.

მარიამს თან მოსდევდა პატარა ოტია — ძე სვიმონ გურიე-ლისაგან.

. . . . . .

როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის გვირგვინის ფსკვნა წმინდა ქართულ-ქრისტიანული წესითა და რიგით ჩაატარეს ქართველმა მღვდლებმა. როსტომს ეკლესიაში თავი დაბანეს და ამნაირად „თათრობიდან განწმენდილი“ ქრისტიანად „მოაქ-ციეს“. მხოლოდ ამის შემდგომ ინება მარიამმა „პოლიტიკურ საქმროსთან“ ჯვარის დაწერა.

ამის შემდგომ როსტომ მეფე მაჰმადიანობდა მაჰმადიანებ-თან, ქრისტიანობდა ქრისტიანებთან, ხოლო ნამდვილი, „ჭეშ-მარიტი სიწრფოებით“ სწამდა თვითონ მარიამ დედოფალი, სათნოებით და სიმშვენიერით აღსავსე „მზიური ქალი“ — ქალი ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად აღარავინ გამოჩენილა“.

. . . . . .

ლევან დადიანი მტრის თვალების დათხრაზე დახარბებული კაცი იყო. მაგრამ გიორგი იმერთა მეფე მაინც გადაურჩა თვალ-თა სინათლის დაკარგვას. ორი წლის ტყვეობის შემდგომ ლე-ვან დადიანმა ალექსანდრე ბატონიშვილს (რომელიც ქუთა-თისში უკვე მეფედ ეკურთხებინათ) დიდძალი გამოსასყიდი გა-მოართვა — „მურასა გვირგვინი, მრავალი ოქროსა და ვერცხ-ლის ჭურჭელი, თვალმარგალიტი, მურასა იარაღი და ნაპირის ალაგნი ჭილაძენი და მიქელაძენი და რაც ჩხარში ვაჭარნი ესახლნენ სომხები და ჩიხორის ურიანი“ — და გამოუშვა ტყვე-ობიდან გიორგი მეფე.

გიორგი მეფის გამოსახსნელ „სახსრად“ მიღებული სომხე-ბი და ებრაელები ლევან დადიანმა დაასახლა რუხში, რომე-ლიც მალე შეიქნა ვაჭრობის, აღებ-მიცემობისა და ფულის ტრიალის შუაგულად ოდიშის სამთავროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო იმერეთიდან წამოსული მეფე-დედოფალი, მათი ამალა და დადიანისაგან გამოტანებული მაყრიონი მოვიდნენ გორს.

აქ დედოფალმა მარიამმა კათოლიკეთა ეკლესიაში მისვლა მოისურვა.

კათოლიკურ მისიონში ქართველთა დედოფლის საზეიმო მიღება როსტომ მეფემ დანიშნა საღამოს ხუთი საათისათვის, როცა ყიზილბაშური ჯარები ჩვეულებრივ, „შიშიანობის გამო", ყაზარმებში უნდა ჩაკეტილიყვნენ.

დიდის ამბით შეხვდნენ კათოლიკენი ქართლის დედოფალს, მარიამმაც დიდძალი საბოძვარით აავსო „ევროპული სახლი" ქრისტესი, მხურვალედ ილოცა, მისიონერთა წირვა-ლოცვაც გულისყურით მოისმინა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა: ქართველებისა და კათოლიკე ევროპელების ქრისტიანობა ერთნაირია და განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ კათოლიკენი უფრო სცემენ პატივს ქრისტიანობას, ვიდრე ქართველები...

სტუმრებმა და მასპინძლებმა კიდევ ექვსი თვე იქეიფეს და ილხინეს. „ხან მეფესთან იყვნენ, ხან თავადნი დაჰპატიჟებდნენ". ანგარიში აღარ ჰქონდა საქორწინო ფეშქაშსა და მისართმეველს. ნახევარწლიანი ღრეობის შემდეგ დედოფლის მაყრიონის უფროსმა — მალაქია გურიელმა როსტომ მეფეს დასავლეთ საქართველოში დაბრუნების თხოვნა „შეჰბედა". როსტომმა ახალი საბოძვარი გასცა სტუმრებისათვის — „ყველას თავისი შესაფერისი ცხენი, იარაღი, მოფენილობა და შესამოსელი, კარვები, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლეული, იარაღი, მურასა ხმალი და ხანჯლები, ჯიღები და ოქროს უნაგირი და ლაგმები, საღვინე თუნგები, ვერცხლისა და ოქროს თასები, ოქროთ მოჭედილი კულა, ძაბრი და ჰაზარფეშა, ნაქსოვები ფრანგული, ურუმული და ყიზილბაშური, დიბები და სარტყლები, ოქროქსოვილის დოლაბანდები, ქამარი და დაშნა, გურიელს ოქროსი და სხვებს ვერცხლისა, თორმეტი ყათარი ჯორი, ოცდაშვიდი ბედაური ცხენი მიართვეს და მეფე თვითონ

ალამდისინ თან გაჰყვა და კოლბაურის გზით გაისტუმრეს, მეფე გორს შებრუნდა“.

სტუმრები რომ გაისტუმრა, არაგვის ერისთავი მოიკითხა როსტომ მეფემ. აკი დათუნა არაგვის ერისთავი გზიდან გაექცა იმერეთისკენ საქორწინოდ მომავალ მეფეს. ასეთი „გაქცევა“ აჯანყებად და ღალატად იყო შეფასებული. არც დათუნა აპირებდა ამის უარყოფას. ის კი არა და, სანამ როსტომ მეფე ნახევარწლიანი საქორწილო ნადიმ-ღრეობებით ერთობოდა, მანამ არაგვის ერისთავს თეიმურაზ მეფესთან ქუთათისში მოციქული გაუგზავნია, აღმოსავლეთში გადმოუპატიჟნია და როსტომთან ერთიანი ძალით ბრძოლა შეუთავაზებია. თეიმურაზს ზურაბ ერისთავის სისხლი ედო, მისი ძმის სიტყვას არ ენდო და იმერეთიდან არ წამოვიდა.

ეს ყველაფერი უკვე იცოდა როსტომ მეფემ.

მან ლაშქარი შემოიყარა, მუხრანს მივიდა და იქიდან დუშეთს მოციქული გაგზავნა: ოღონდ მოდი და პატივის მეტს არაფერს მოგაგებო; ან შაჰთან წადი ერანშიო; მაინც ჩემთან მოსვლა გერჩივნოსო; ღვთის პირს გაძლევ, შეგირიგო და წყალობით აგავსოო, უთვლიდა მეფე არაგვის ერისთავს.

მცირე ყოყმანის შემდგომ დათუნამ გადაწყვიტა: როგორი თათარიც არ უნდა იყოს, მაინც ქართველთან შერიგება სჯობია, ვიდრე სპარსეთის ბოროტ გზაზე დადგომაო, — და წამოვიდა მუხრანს.

მეფე მართლაც პატივით შეხვდა ერისთავს.

მაგრამ ერისთავი ბოლომდე მაინც არ ენდო, არ იქნა და ხმალ-ხანჯალი არ შემოიხსნა — არც დღით, არც ღამით, არც დარბაზობაზე, არც ნადიმობაზე.

სწორედ იმ დღეებში მსტოვრებმა თეიმურაზისაგან გამოგზავნილი წერილები ჩაიგდეს ხელში და არაგვის ერისთავის „თეიმურაზელობა“ საბოლოოდ გამჟღავნდა.

როსტომის კარისკაცები ჯიქურ მიადგნენ და იარაღის აყრა მოსთხოვეს. იმან უარი სთქვა. ძალად დაუპირეს.

მაშინ გაიძრო ხმალი დათუნა ერისთავმა და დაერია მომხდურებს. რამდენიმე კიდევაც დააწვინა — მკვდარი თუ დაჭრილ-დაკოდილი.

„წაუშინეთო!“ — დაიღრიალა როსტომ მეფემ.

ზურგიდან დააძგერეს ხმლები გაბაშვილმა და თურქისტანიშვილმა.

მკვდარი დაეცა დათუნა ერისთავი.

მეფემ მოკლულს თავი მოჰკვეთა და შაჰ სეფის გაუგზავნა სპარსეთში: ეს კაცი იყო მაშფოთებელი ქვეყნისა და ამიტომ სიკვდილს შევყარეო.

„ქართველის ხელით ქართველი! ეგ ერთი და სხვა ათასი“, — სთქვა შაჰ აბასის შვილიშვილმა.

უერისთავოდ დარჩენილ საარაგვოს შეუხტა როსტომ მეფე, შეუხტა და ქვა ქვაზე აღარ დატოვა, ყველაფერი მიანგრმოანგრია. „დუშეთი, ბაზალეთი, საშაბურო, არაგვისპირი და გარეშემო ამათი ყოველივე დაწვეს, დაარბევეს. მეფე რვას დღეს დუშეთს იდგა. საღამოთ გათენებამდისინ ყოველგნით მოხდომა და ბრძოლა იყო. რა გათენდის, კაცს ველარსად იპოებდიან, ვითაც ეშმაკნი დაიკარგვიდეს“ და ღამით ისევ გამოუხტებოდნენ არაგველები როსტომის მაოხარ ლაშქარს.

ნუგზარ ერისთავს კიდევ დარჩენოდა ერთი შვილი (ბაადურის, ზურაბის, გიორგისა და დათუნას გარდა), ყველაზე უმცროსი — ზ ა ა ლ ი. და სწორედ იგი გამოაცხადეს არაგველებმა არაგვის ერისთავად.

ზაალ ერისთავმა თეიმურაზ მეფეს იმერეთში მალემსრბოლნი უფრინა, მძევლებიც გაუგზავნა და „შეუთვალა ფიცი საშინელი“: ოღონდ გადმოდი, მხარში დაგიდგები, თავს შემოგწირავ და ქართლზე გაგაბატონებო.

ახლა კი ირწმუნა თეიმურაზმა საარაგვოს ახალი ერისთავის ფიცი. ლიხისა და კოლბაურის გზები შეკრული იყო და რაჭა-დვალეთის გზით წამოვიდა და ანანურს ჩამოვიდა. მასთან გაქცეული იოთამ ამილახორი და იასე ქსნის ერისთავიც ჩამოჰყვნენ. ზაალ ერისთავიც ანანურს მივიდა და მეფეს ეახლა. ჯარიც შემოიყარეს და ბაზალეთისაკენ წამოემართნენ.

როსტომ მეფეს მოახსენეს მისიანებმა: ბაზალეთი თეიმურაზს ფეხბედნიერად აქვს დაცდილიო, — აკი ბაზალეთთან დაამარცხა მან გიორგი სააკაძეო. ამიტომ სჯობია აქედან ავიყაროთ და გორს წავიდეთ, ან ტფილისში გავმაგრდეთო.

ასე „ღრმად უკუქცევა“ მარცხის აღიარებას ნიშნავდა, მაგრამ არ დაირცხვინა როსტომ მეფემ და უკუიქცა საარაგვოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოედევნენ არაგველები. გორამდე სდიეს, ხან აქ დაეცნენ, ხან იქ, მოულოდნელი გაელვებით. ბევრი ყიზილბაში გაუწყვიტეს როსტომ მეფეს, „მრავალი ნავნები უქნეს“. რამდენიმე დღე გორის გარშემო მიდიოდა ბრძოლები როსტომისა და თეიმურაზის ჯარებს შორის.

თეიმურაზი გორს მოეშვა და იკორთას გადავიდა. აქ ხელახლა მოუყვანეს ჯარი ზაალ ერისთავმა, იოთამ ამილახორმა, იასე ერისთავმა და ვახტანგ მუხრან-ბატონმა.

როსტომმაც ქვემო ქართლის ლაშქარი შემოიყარა და საომრად „გაუძახა“.

ბრძოლა მოხდა არცევს.

წაუშინეს ერთმანერთსა და შეიქნა ძგერება და ორგნითვე ძალ-მიცემით იბრძოლეს. ორგნითვე თავგამომეტებით ომი გარდაიხადეს“.

თეიმურაზი დამარცხდა და უკუიქცა.

როსტომმა საამილახვრო და სამუხრანო ჩაიარა, ყოველივე ნაცარტუტად აქცია და ტფილისს მივიდა.

ისევ „რჯულშეუცვლელი“ თეიმურაზი

კახეთის მმართველი სალიმ-ხანი მოსაბრუნში (ყარაღაჯთან, ახლანდელი ლაგოდეხის რაიონში) იყო. აქ სასახლე აეშენებინა და აქედანვე განაგებდა „მოუპვენარი გურჯებით“ დასახლებულ კახეთს.

მოულოდნელად შემოიჭრა თეიმურაზი. ქორივით დაეცა მოსაბრუნს.

სალიმ-ხანმა ძლივს გაასწრო „ფეხშიშველმან“. ხოლო მისი ყიზილბაშური ჯარი ერთიანად ამოსწყვიტეს კახელებმა.

იდგა 1634 წელი და კახეთი ისევ ეკუთვნოდა მეფე თეიმურაზ პირველს.

ისევ „იწყო კახეთმან შენობად და მოსახლეობად“.

თეიმურაზმა იცოდა, რომ ერანის შაჰი და როსტომ მეფე

კახეთის წართმევას ასე იოლად ვერ მოინელებდნენ. ამიტომ ისევ დაიწყო დიდი მოკავშირის ძებნა თეიმურაზმა.

ეს „დიდი მოკავშირე" ისევ რუსეთი უნდა ყოფილიყო.

მაშ, ისევ გადაწყვიტა რუსეთის მარად ბრიმედე თეიმურაზმა „რუსეთის გზის შოვნა და ზურგის მობმა რუსეთის ხელმწიფისაგან და მუნითგან რუსის ჯარის მოსვლა".

რუსეთისაკენ გზის „გასაჭრელად" თეიმურაზმა დიდოეთის დაპყრობა და იქაურ წარმართთა მოქრისტიანება მოინდომა. შეიჭრა კიდეც დიდოეთს და ზედიზედ „აღილო რომელიმე კოშკები და ალგები". მაგრამ დიდოელებმა ლეკები წამოიშველეს და შეერთებულად დაუხვდნენ მეფეს. დაუხვდნენ და „დაუშინეს საგორავები, ქვა და ისარი, და ამოსწყვიტეს მრავალი, და გამოაქციეს ბატონი თეიმურაზ, და, რომელნიცა ეყვანდა გამოჩენილი ეპისკოპოზნი, დარბაისელნი, ყოველივე მუნ ამოსწყვიტეს. და ჩამოვიდა კახეთს და იტირა: „ვაი ეპისკოპოზ-დარბაისელ-ამოწყვეტილს!".

მწარედ დამარცხდა, მაგრამ რუსეთის სამეფო კარს მაინც მიაწვდინა ხმა თეიმურაზმა. მისმა ელჩმა, არქიმანდრიტმა სიკიფორემ, 1635 წლის 23 ოქტომბერს რუსთა ციხე-ქალაქ თერგს მიაღწია, ხოლო ჰომდევნო წელს მოსკოვშიც ჩავიდა, თეიმურაზის წერილით ხელში.

ქართველი მეფე რუსთა ხელმწიფეს, მიხეილ რომანოვს, ერთხელ კიდევ ატყობინებდა საქართველოს გასაჭირს. ატყობინებდა, რომ სამის მხრიდან ისევ განუწყვეტლივ ესხმიან თავს საქართველოს სპარსელები, ოსმალები და ლეკები, იქნებ როგორმე, ბოლოს და ბოლოს, მოეშველოს დიდი რუსეთი ჯარით და ფულით მის „მოძმე საქრისტიანოს"; რაც შეიძლება, პასუხიც მალე მაცნობეო, ჩემი ელჩიც მალე დამიბრუნეო, რამეთუ მისი მანდ ყოფნა თქვენთვის არაფერი მაქნისია, მე კი დღენიადაგ თქვენი პასუხის მოლოდინში ვიტანჯებიო, მღელვარედ სწერდა თეიმურაზი.

თეიმურაზის ელჩს ლევან დადიანის ელჩმა მიუსწრო მოსკოვში.

და დაერივნენ ერთმანეთს ქართველთა დესპანები ამ „უცხო და სასურველ ქვეყანაში"...

თეიმურაზის ელჩი სამი წლის შემდეგ (1638 წ.) დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში, რუსი ელჩების — თავად თ. ვოლკონსკისა და დიაკ ა. ხვატოვის თანხლებით. ჩამოვიდნენ და ჩამოიტანეს საეკლესიო ნივთები, ჩამოიყვანეს მხატვრები და კარ-ფანჯრის ოსტატი დურგლები.

ხელახალი ბჭობა გაიმართა, ხანგრძლივი და დამქანცველი. ერთი წლის თავზე ახალი ხელშეკრულება გაფორმდა. კახეთის მეფე რუსეთის ყმობაზე აწერდა ხელს, ოღონდ კი პატრონისაგან, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი დახმარება მიეღო ლეკთა და სპარსელთა ასალაგმავად.

მაინც არაფერი გამოვიდა. მხოლოდ მცირეოდენი ფული (20 000 მარჩილი) გამოუგზავნა მიხეილ რომანოვმა თეიმურაზს; თან სპარსეთის შაჰთან შუამდგომლობასაც შეჰპირდა...

. . . . . .

სანამ თეიმურაზი ჩრდილოეთს მომლოდინე თვალებით მიშტერებოდა, მანამ სამხრეთიდან ახალი დიდი საფრთხე დგებოდა ფეხზე.

როსტომ მეფემ შაჰ სეფის წერილი მიიღო: წელს ხონთქარი ლაშქრობას ვერ გვიბედავსო; ამიტომ აზერბაიჯანს ბრძანება გავგზავნე, იქაური ლაშქარნი სულ თქვენ გაახლონო; დაუტრიალდი მანდაურებს და, ვინც ურჩი და „თავგამზიდავი“ გეგულება, სუყველა დაუნდობლად „ამოიღეთო“.

მართლც მიიღო დიდძალი ჯარი როსტომ მეფემ აზერბაიჯანიდან. საქართველოში მდგარი ჯარებიც შეუერთა და უზარმაზარი მხედრობით დაიძრა ყველაზე დიდი „თავგამზიდავის“ — თეიმურაზის წინააღმდეგ.

გატყდა და წახდა თეიმურაზი.

მაშინვე წერილი დასწერა და მოციქულები აფრინა კახეთის გზაზე შემომდგარ როსტომ მეფესთან. სწერდა ქრისტიანი ნათესავი გათათრებულ ნათესავს:

„ჯერ მე და თქვენ ვართ ნათესავები, მერე ჩემი მეუღლე ხორეშან დედოფალი არის თქვენი ბიძაშვილი; შვილი არც თქვენ გყავთ და მეც გვარის გამგრძელებელი ვაჟი ერთის მეტი აღარ შემომრჩენია; დიდი ლუარსაბის სისხლისგან თქვენს მეტი აღარავინ დარჩენილა; ლევან კახთა მეფის გვარ-ჯილაგისგანაც ჩემს მეტი აღარავინ არის ამქვეყნად და, მოდით ნულარ ამოვხოცავთ ერთმანეთს, შევრიგდეთ და დავეტიოთ ამ

ცოდვილ მიწაზე. კარგად მოგეხსენებათ, რამდენი უბედურება და უსამართლობა მჭირს ყიზილბაშთაგან. ახლაც, თუ რამე დამიშავებია, ისევ შიშით და სიფრთხილით მომსვლია. ამიტომ ნუ ინებებთ კიდევ სისხლის დაქცევას და შევრიგდეთ. თავადებსაც, — რომლებიც ჩემთან არიან, ფიცით შემოგარიგებთ. შაჰ სეფი რომ ჩემს ასულს თინათინს მთხოვდა, ახლა იგი სრულწლოვანია და კიდევაც ვაახლებ ისფაჰანს. თქვენ ჩადექით შაჰსა და ჩემს შორის, შეგვარიგეთ, დაგვამოყვრეთ, დაგვაყენონ და დაგვაყენეთ ამ ჩემს აოხრებულ სამკვიდრო მამულშიო".

არავინ იცის, აუცრემლიანდა თუ არა ბებერი თვალი როსტომ მეფეს, მაგრამ გულით კი გულწრფელად ეამა თეიმურაზთან შერიგება და „უძლეველ კახელებთან" სასისხლო საქმის უსისხლოდ გათავება.

მაშინვე შაჰ სეფის შეატყობინა როსტომმა ყოველივე.

შაჰიც ძალიან კმაყოფილი დარჩა და წერილიც სასწრაფოდ მოსწერა როსტომს: „თქვენი შერიგება გვეამაო, კარგი გიქნიათო და ბატონიშვილი თინათინი დიდის პატივით გამოისტუმრეთო".

როსტომმა და თეიმურაზმა ხელი ხელს მისცეს და ბატონიშვილი თინათინი, კახელ თავადთა და როსტომის ვეზირის — ა ღ ა მ ო ი ნ ა ს თანხლებით, ერანს გაგზავნეს.

შაჰ სეფიმ დიდის ზარზეიმით შეირთო ცოლად თეიმურაზის ასული, „დიდნი პატივნი მიაპყრო და მრავალი ძვირფასი თვალმარგალიტი უბოძა". შაჰმა უხვად დაასაჩუქრა თინათინის მხლებელი კახი წარჩინებულნი და როსტომის ვეზირი აღა მოინა. ხოლო სიმამრს, მეფე თეიმურაზს, „ათასი თუმანი თეთრი და ათასი თუმნის ხალათი გამოუგზავნა. თან მოსწერა: რაც აქამდე ცოდვა ჩაგიდენია და წყენა მოგიყენებია, ყველა შეგვინდვია; ოღონდ ამიერიდან შენ და როსტომი შერიგებულ იყვენით, ჩვენ ასე გვეამების და ჩვენის მხრივაც არც ერთს წყალობას არ მოგაკლებთო".

ასეთივე წერილი როსტომ მეფესაც გამოუგზავნა შაჰ სეფიმ.

ეს ისევ დიდი გამარჯვება იყო, ჯერ — ამოწყვეტილი კახელი ხალხისა, მერე — მისი ჯანდაცლილი, მაგრამ მაინც ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუტეხელი ხელმწიფისა: ერანმა ისევ სცნო კახეთის დამოუკიდებლობაც და მარად შეურიგებელი და მარად „რჯულშეუცვლელი“ თეიმურაზის „დამოუკიდებელი მეფობაც“.

ქართული ზეთქმულება და „თათრული ხუმრობა“

დიახ, როსტომმაც სცნო თეიმურაზი კახეთის მეფედ და ერანის შაჰმაც „სცნო“, მაგრამ...

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ თვითონ თეიმურაზ მეფე არ სცნობდა „არც გათათრებული ქართველისა“ და არც „საკუთრივ თათარი ხელმწიფის“ მბრძანებლობას საქართველოში.

1635 წელს, როცა „შერიგებისა“ და „ურთიერთცნობის“ ხმელი ფოთლით ანთებული ცეცხლი ჯერ კიდევ ცოდვილობდა, თეიმურაზმა როსტომ მეფის დამხობის „ხელსაყრელი დრო“ იგერშა.

ეს იყო სულთან მურად IV-ის ლაშქრობა დიდი თურქული მხედრობით ერანის წინააღმდეგ. მურადმა აიღო ერევანი, აზერბაიჯანი და ქურთისტანი.

მაშინვე თეიმურაზმა განაახლა ბრძოლა როსტომ მეფის წინააღმდეგ.

მაგრამ თურქეთის შემოტევამ არავითარი სარგებლობა არ მოუტანა თეიმურაზს. მალე შაჰ სეფიმ უკუაქცია მურად სულთანი და უკანვე დაიბრუნა აზერბაიჯანიც, ერევანიც და ქურთისტანიც.

ერანელთა შეტევის გასწვრივ, „როსტომ მეფემ საქართველოს ლაშქარი გაუძახა და სამცხე და ჯავახეთი დაარბევინა. მრავალი ნაშოვარიც ჰქნეს. ეს ყაენს იამა და ორი ათასი თუმანი და ხალათი გაუგზავნა“ როსტომს ისფაჰანისკენ ძლევამოსილად მიმავალმა შაჰ სეფიმ.

ხოლო, თეიმურაზის ახალი „გამოხდომის“ ამბავი რომ შეიტყო, შაჰ სეფიმ მისი ასული თინათინი მოაშთობინა.

1639 წელს ერანსა და ოსმალეთს შორის ხანგრძლივი ზავ[illegible] დაიდო. ქართლ-კახეთი, აზერბაიჯან-შირვანთან და ერევანთან ერთად ერანს „ერგო“, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგო — თურქეთს.

ამით თეიმურაზს „თურქეთის გზით“ რაიმე სასარგებლო დახმარების იმედი სავსებით მოესპო.

1642 წელს შაჰ სეფი მოკვდა და ერანის ტახტზე დაჯდა მისი ძე შ ა ჰ ა ბ ა ს II (1642—1666 წწ.).

ამით საქართველოსთვის არაფერი შეცვლილა: როსტომ მეფე ისევ „ძმა და მამა“ იყო ახალი შაჰისა, ისევ სამივე „სახელო“ მის ხელში რჩებოდა — ქართლის „ვალი“, ერანის ყულარაღასი და ისფაჰანის ტარუღა. ხოლო თეიმურაზ მეფე ისევ სპარსეთის დაუძინებელ მტრად დარჩა და დარჩა...

იმავე 1642 წელს ქართლის თავადებმა როსტომ მეფეს შიანიშნეს: შვილი არა გყავს და იმერელი ბატონიშვილი მ ა მ უ კ ა გიორგის ძე იშვილეო.

მამუკა ბატონიშვილი მოხდენილი, „მამაცი, უხვი და უშურველი“ ჭაბუკი იყო. იგი ლევან დადიანს უნდოდა სიძედ, მაგრამ მამუკამ ჩხეიძის ქალი შეირთო ცოლად. ამის გამო ლევან დადიანი — ისედაც იმერეთის სამეფო სახლეულზე დაუძინებელ მტრად გადაკიდებული — საგანგებოდ შეუჩნდა მამუკას და მის მოყვარე ჩხეიძეებს. ბოლოს და ბოლოს, მამუკა და მისი ორი ცოლისძმა იმერეთიდან სულ გადაიხვეწნენ და სამცხეში გადავიდნენ.

და აი, ქართლის თავადები უთვლიან როსტომ მეფეს: საქართველო აქამდე იმიტომ არ წყნარდებისო, რომ თქვენ არც შვილი გყავთ, არც ძმა და არც სხვა ახლო ნათესავნი და თქვენს ბოლოსა და გაგრძელებას ხალხი ვერა ჰხედავსო; სწორედ ამიტომ საქართველოში თქვენ ყველას დროებითი ჰგონიხართ, ასე წამდაუწამ იშლებიან და სხვა ბატონს ეძებენო; მამუკა ბატონიშვილის სიკეთე თქვენც მოგეხსენებათო, ბაგრატიონიც არის, მეფის შვილიც და თქვენი ნათესავიც; ჩამოაყვანინეთ ახალციხიდან, იშვილეთ და თქვენც მოისვენეთ, საქართველოც მოასვენეთ და ქვეყანაც დაწყნარდებაო; თუ თქვენ და დედოფალ მარიამს ღმერთი ყრმა-შვილს მოგცემთ, მაშინ ის დაისვით ტახტის მემკვიდრედ, თუ არა და მამუკა გყავდეთ

შვილად; სანამ თქვენ იქნებით, იმას სურამი უბოძეთ საუფლისწულოდ; სურამი იმერეთს ებმის და იმერეთიდანაც ხელს მოიმართავსო; თქვენს შვილად აკურთხეთ, თქვენ ღმერთმან დიდხანს გაცოცხლოსთ, ხოლო თქვენს შემდეგ მაგას ვაბატონებთო.

კაცმა რომ თქვას, ყველაფერი ჭკვიანურად და უნაკლოდ იყო ნათქვამი.

ასედაც შეუფასებია როსტომ მეფეს. ასედაც გადაუწყვეტია, და ჩამოიყვანეს ახალციხიდან მამუკა ბატონიშვილი, ვითარცა შვილი ქართლის მეფე-დედოფლისა და მემკვიდრე სამეფო ტახტ-გვირგვინისა.

თურმე ყველაფერი როსტომ მეფის დასამხობად ყოფილა გამიზნული — უბრალოდ: როსტომი უნდა მოეკლათ და მამუკა გაემეფებინათ!

უკვე გაანდვეს მამუკა ბატონიშვილს ქართლის თავადებმა თავისი განაზრახი.

მამუკა უყოყმანოდ დათანხმდა.

მეფე აბანოში უნდა მოეკლათ, შიშველი და უიარაღო.

ერთ ღამეს შეთქმულებმა სამეფო აბანოში მკვლელები ჩაასაფრეს. შიშველი კაცი რომ შემოვიდა, ჩასაფრებულები მაშინვე დაეტაკნენ ხანჯლებით. იმ კაცმა ყვირილი ატეხა. შეთქმულები დაჭრილის ღრიალზე მიხვდნენ, რომ ხანჯლების ქვეშ მეფის ნაცვლად სხვა კაცი აღმოჩნდა და ისე დაფრთხნენ, დაჭრილს ხელი აღარ მოუთავეს, გაიქცნენ, მტკვარში გადაცვივდნენ და გაუჩინარდნენ.

დაჭრილი აღმოჩნდა სასახლის მსახური — მერიქიფეთუხუცესის ყმა. მეფეს მიჰგვარეს და ყოველივე მოახსენეს, რაც აბანოში მის მისვლამდე მომხდარიყო... როსტომი „მრავალგვარად ნაცადი და აუჩქარებელი, ჭკვიანი, მონახული ბატონი ბრძანდებოდა, ქვეყნის აშლას და ჯარის არევას ერიდებოდა“, ამიტომ შეთქმულების გახმიანება არ მოინდომა და დაჭრილ მსახურს ხუმრობა დაუწყო — ნამდვილი „თათრული ხუმრობა“: ალბათ ვინმე ლამაზი ბიჭი შეგიმწყვდევია აბანოში, საავკაცოდ მოგინდომებია, იმ ბიჭსაც დანა შემოუცემია და ახლა მაგნაირი ტყუილები მოგიგონებია, ვითომც თავს ვიღაც შეთქმულები დაგცემოდნენო. დაზარალებულმა სიტყვის შებრუ-

ნება დააპირა, მაგრამ მეფემ აღარ მოუსმინა, გარეთ გააგდებინა და ყველას აუკრძალა ამ ამბავზე კრინტის დაძვრა — „აღარც თვითონ თქვა და არც სხვათ ათქმევინა“.

რასაკვირველია თვითონ ყველაფერს მიმხვდარიყო მეფე.

აბანოს ინცინდენტიდან ოცმა დღემ რომ გაიარა, „მას უკან მეფემ აუჩქარებელმან“ მამუკა ბატონიშვილს ათი ათასი მარჩილი გაუგზავნა და თან წერილით შეუთვალა: ძალიან ვშიშობ, ვაითუ შაჰმა დაგიძახოს თავის კარზე და მეც იძულებით რაიმე გკადროთო; ამიტომ გირჩევთ, ისევ ახალციხეს წახვიდეთ და, რაც გაგვეწყობა აქედანაც მოგიმართავთ ხელსო.

მამუკა ბატონიშვილი მიხვდა როსტომ მეფის „კალამბურებს“ და ამჯობინა მართლაც გაესწრო ახალციხეში. მისი ცოლისძმები — ჩხეიძენი და კიდევ ბევრი წარჩინებული იმერელი ქართლში დარჩნენ ნოდარ ციციშვილთან.

ალსასრული როსტომ სააკაძისა

იმავე 1642 წელს ერთი დიდი, „ზრდამოჭარბებული ქართული ხე“ კიდევ წამოაქციეს ქართული ცოდვებით დამძიმებულ ერანულ მიწაზე.

ეს იყო როსტომ (გინა — „როსთემ-ხან“) სააკაძე.

კიდევ ერთის თვალის გადავლებით — მისი ცხოვრების ეტ-ლის სარბიელი:

დაიბადა 1587 წელს.

მამამისი — ბეჟან სააკაძე, „პირველი ქართველი რენეგატის“ — დაუდ-ხანის აზნაური, რომელსაც დიდი სიმამაცისა და ვაჟკაცობისათვის სპარსელები ყარა-ბეჟან-ბეგს ეძახდნენ. მერე — „სამშობლოზე წუხილით“ ხელდარეული ბეჟან სააკაძე ოჯახით ბრუნდება საქართველოში. მაგრამ სააკაძეების მოსისხლე ფარსადან ციციშვილმა არ დაანება სააკაძეს „ქვლავ-გაქართველება“, თვითონ ბეჟანი მოაკვლევინა, ოჯახი გაუძარცვა და აუწიოკა. სიკვდილს ძლივს გაასწრო ბეჟანის ცოლმა სამი ვაჟით და ერთი ძროხით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ძმათაგან უფროსი — როსტომი 11 წლისა იყო.

ისევ ერანი. წელი 1598.

დიდმა შაჰ აბას პირველმა მამაცი, ნიჭიერი და ერთგული „გურჯი ყრმა“ მაშინვე პირად ღულამად აიყვანა.

წელი 1605. შაჰ აბასმა 18 წლის როსტომი დანიშნა სარდლად — სოჰბათ-იასაულად.

წელი 1627. შაჰ აბასმა როსტომი დანიშნა დივანბეგად.

წელი 1633. შაჰ სეფიმ როსტომი დანიშნა თოფანგჩიაღასად (მეთოფეთა სარდლად).

წელი 1634. როსტომ-ხან სააკაძე ბრძანდება ერანის ჯარების სპასალარი და აზერბაიჯანის ბეგლარბეგი.

როსტომ-ხან სააკაძეს სპარსეთის საკეთილდღეოდ, სპარსეთის ტახტის გასამძლავრებლად და ასამაღლებლად „გადაუხდია მრავალი ომი და შეუსრულებია უთვალავი საქმე“.

მაგრამ ექვსჯერ მაინც „უდიდესი გამარჯვებით“ გაიმარჯვა „რჯულისა (ისლამი) და სახელმწიფოს (ერანი) მტრებზე“. ერანის ციხეზე გალაშქრება და ქურთების განადგურება, თურქთა დამარცხება და ბაღდადის გამოხსნა, ჰამადანის აღება და ხოსროვ-ფაშას განადგურება, ჰელეს ციხის დაუფლება, საქართველოს ვილაიეთის დაპყრობა (როსტომ მეფესთან ერთად მოსვლას გულისხმობდნენ), ისევ თურქთა განადგურება და ერევნის ხელახალი დაპყრობა.

ბოლოს და ბოლოს, ერანის უზენაეს მესვეურებს „სჯულისა და სახელმწიფოს“ წინაშე ესოდენი დამსახურების შესატყვისი სამაგიეროც უნდა მიეზღათ „კიდევ ერთი დიდი გურჯისთვის“.

და მიუზღეს კიდეც 1642 წელს.

ერანის ახალმა ეთიმადოვლემ (დიდვეზირმა) — მ ი რ ზ ა თ ა ყ ი მ შეაგონა ერანის ახალ მბრძანებელს — შაჰ-აბას II-ს: „გურჯი თათარი“ როსთემ-ხან სააკაძე სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებსო.

მეტი არაფერი თქმულა. გამოძიება არავის უწარმოებია.

შუაღამისას დაეცხენ ლოგინში მძინარეს.

იატაგანებით დაკლეს და დააბალთავეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზი მაინც არ ცხრებოდა, არც ქართლის თავადები აძლევდნენ „დაცხრომის საშუალებას“.

1642 წელს როსტომ მეფის დასამხობად თეიმურაზის გარშემო შეიყარნენ და შეითქვნენ: ზაალ არაგვის ერისთავი, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი (გიორგი სააკაძის მოსისხლის — ფარსადან ციციშვილის ძე), კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე (რომლის ძმის ასული — ელენე ცოლად ჰყავდა თეიმურაზის ვაჟს — დათუნას), გიორგი გოჩაშვილი (დიდი სვიმონ მეფის ერთგული თანამებრძოლის — გოჩა ბატონიშვილის ძე), რევაზ ბარათაშვილი, ქაიხოსრო ბარათაშვილი, ივანე და ზურაბ სააკაძეები (დიდი მოურავის ვაჟები), ლარგველი ერისთვიშვილი და სომხითის მელიქი ყორხმაზ-ბეგი.

„თეიმურაზელთა ბანაკი“ ამჯერად დიახაც მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ მისი მოთავენი მაინც მოქმედებდნენ დაფანტულად, ცალკეულად და კერძოულად.

ერთ დღეს გიორგი სააკაძის ვაჟმა — იორამმა (რომელიც ძმების კვალს არ გაჰყოლია და როსტომ მეფის ერთგულებისთვის არ უღალატნია) როსტომს შეატყობინა: ნოდარ ციციშვილი ხოვლეს მოსულა ჯარით და დანარჩენ შეთქმულებსაც უცდის, რათა შეერთებულად წამოვიდნენ შენს წინააღმდეგო.

როსტომმა სასწრაფოდ ტფილისის ციხიონი შეჰყარა და მცხოვრებლებსაც სალაშქროდ „გაუძახა“; ვისაც ცხენი ჰყავდა და ლაშქრობას თავს აარიდებდა, ყველას თავის მოკვეთით დაემუქრა. სწრაფი ჭენებით წაიყვანა ჯარი ხოვლეში.

სისხამი დილა იყო. ნოდარ ციციშვილის ბანაკს ეძინა.

როსტომმა ცხენი გამოიცვალა და დანარჩენებსაც ეს უბრძანა: ცხენებს მოსართავები გაუსინჯეთ და იარაღი მოივარგეთო.

ელიზბარ ბოქაულთუხუცესმა მეფეს ურჩია: მტერს მძინარეს დავეცეთ და მძინარენი ამოვწყვიტოთო.

მაგნაირი მუხანათობა რა ქართველი კაცის საკადრისიაო, სთქვა „თათრის იარლიყიანმა“ მეფემ, დაე, ღმერთმა გაჭრას სამართალიო; მე ნოდარ ციციშვილი შაჰს გამოვგლიჯე ხელი-

დანო; მერე მამამისი ფარსადანი ქრთამს მაძლევდა, ოღონდაც მისი მამულები ბოროტი შვილისთვის კი არა, არამედ შვილიშვილის — პაპუნასთვის დამემტკიცებინა. ესეც არ ვიკადრე და ის მამულები უქრთამოდ მაინც ნოდარს დავუმტკიცე. ახლა ამნაირი კაცი მღალატობს და, მოდით, ერთი ღმერთის სამართალიც გავსინჯოთო.

თქვა და საომარ ნაღართა და საყვირთა დაცემა ბრძანა.

წამოიშალა ნოდარ ციციშვილის ბანაკი.

„შეიქნა შუბთა ძგერება და ხმალთა ელვარება, ლახტების ჯახაჯუხა, მუზარადთა ხეთქინება“.

ნოდარ ციციშვილი გაექცა ბრძოლას.

იმერელმა ჩხეიძეებმა არ იკადრეს გაქცევა. შემობრუნდნენ და შემოებნენ როსტომ მეფის მეწინავეებს. რამდენიმე ყიზილბაში კიდევაც ჩამოჰყარეს ცხენებიდან.

მაგრამ მიუხტათ იორამ სააკაძე და ორივე ძმანი ჩხეიძენი დაანარცხა მიწაზე, ორივეს მხარ-მკლავი გაუკრა და ისე მიართვა თავის მწყალობელ როსტომ მეფეს.

ნოდარ ციციშვილმა ატენის ციხეს შეაფარა თავი. როსტომმა ალყა შემოარტყა. ნოდარმა გაქცევა მოახერხა და ახლა წორკეთის ციხეში ჩაიკეტა. ატენის ციხე მოთხარა მეფემ.

ცხირეთს მივიდა და დადგა როსტომ მეფე. აქ დედოფალი მარიამ მიიწვია და ისიც მივიდა.

კათალიკოსი ევდემონ დიასამიძეც ეწვია (როსტომმა ჯერ არ იცოდა, რომ კათალიკოსი თეიმურაზის ბანაკში ირიცხებოდა).

ტყვეები მოიყვანეს მეფის წინაშე, მხარგაკრულნი.

უწინარესად ძმები ჩხეიძეები და მათი იმერელი მხლებელნი ამოარჩია მეფემ და ბრძანა: ესენი ტყვეები კი არა, ჩვენი სტუმრები არიან და გორში ჩაიყვანეთ, ტანსაცმელი დაუცვალეთ, დაასაჩუქრეთ და დაასვენეთო.

მერე — ნოდარ ციციშვილის ქვეშევრდომთა დევნასაც თავი დაანებეთო. ამას გარდა, ვინც კი ბრძოლაში თავი გამოიჩინა, „ყველაკას ხალათი და საჯილდოთ მამული ებოძოსო“.

თურმე თეიმურაზ მეფე მოჰქროდა დანარჩენ შეთქმულთა თანხლებით, მაგრამ ნოდარ ციციშვილის მარცხის ამბავი რომ შეუტყვია, უკანვე გაბრუნებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათალიკოსმა ევდემონმა იდუმალ შეუთვალა თეიმურაზს: „ნოდარ ციციშვილის გაქცევისათვის საქმეს რატომ წაახდენ, რატომ გაბრუნდი და არ მოხველიო? მოდი, ნულარ აყოვნებ და როსტომ-ხანი შენს ხელთ იქნებისო!..“

მუხრანს შედგა თეიმურაზის ბანაკი.

აქაც მოვიდა კათალიკოსის საიდუმლო შათირი.

„ნულარ ჰყოვნითო, მოდით, და რაც გინდა გაქნევინებო“, უთვლიდა ქრისტიანთა მწყემსი „ქრისტიანთა იმედს“.

აიყარა და წავიდა თეიმურაზი.

მაგრამ დაასწრო ვახტანგ-მუხრან-ბატონმა. წინა ღამით თვითონ აფრინა თავისი კაცი ცხირეთს და როსტომ მეფეს შეუთვალა: თეიმურაზ მეფე მუხრანს იდგა — ჩემს მამულშიო; ახლა ცხირეთისკენ მოეშურება შეთქმულთა ჯარითო.

სომხითის მელიქიც — ყორხმაზბეგი მოღალატე გამოდგა; სწორედ მაშინ როსტომ მეფეს ეახლა და თეიმურაზის თანაშეთქმულნი სუყველა დაუსახელა.

სწრაფად ამოქმედდა როსტომ მეფე. შეიპყრო კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე. წინასწარ დედოფალი მარიამი გორის ციხეში თავშესაფარებლად აფრინა და თვითონაც გორისაკენ გაუყვა საომარი წყობით.

თეიმურაზმა გორის გზიდან გადაუხვია და უფლისციხეში ჩაიკეტა. როცა გაიგო, როსტომ მეფე გორის ციხეში ჩამკვიდრებულაო. უფლისციხიდანაც აიყარა და კახეთისკენ გაუტეხ. გზაზედ ვახტანგ მუხრან-ბატონი დახვდა და „უყო დიდი ზიანი“.

დამარცხებულმა თეიმურაზმა კახეთს ჩააღწია.

როსტომ მეფემ გორიდან ზარბაზნები გაიყოლია და გაეშურა ზორვეთისკენ, სადაც თავს აფარებდა ნოდარ ციციშვილი.

ზარბაზნებმა ზორვეთ-ციხის ქვადუღაბიან კედლებს ვერაფერი დააკლო. ალყა გაჭიანურდა. ჯარში ხმა დაირხა — თურმე თეიმურაზ მეფე აპირებს მოეშველოს ალყაში მოქცეულებსო. ამაზე როსტომ მეფემ თქვა: თეიმურაზი კი არა, ხონთქარიც რომ მოეშველოს, ისიც ვერ დამწიწკნის ხელიდან ნოდარ ციციშვილსო. დაფიცებული ჰქონდა მეფეს — სამაგალითოდ დაესაჯა ციციშვილი.

ზორვეთის ციხე ისევ მაგრად იდგა. ერთ დღეს ნოდარ ციციშვილმა შეიტყო, რომ მისი ქვეშევრდომები ციხის ჩაბარებას აპირებდნენ. შეიტყო, მაგრამ ვერ კი მიაგნო შეთქმულთა ვინაობას.

შავ დღეში ჩავარდნილმა თავადმა გადაწყვიტა მოლაპარაკება გაემართა როსტომ მეფესთან. ესეც იცოდა, რომ გაავებული მეფე არავის მიიღებდა სამოციქულოდ. მაგრამ რაკი მაინც სხვა გზა არ ჰქონდა, „ყოველ შემთხვევისთვის" გაგზავნა შუამავალი როსტომთან.

თავისი დედა გაგზავნა, — ერთიც არის და, სცეს პატივი ქალსა და დედას როსტომ მეფემო, იფიქრა ნოდარმა.

გაგზავნა და დააბარა: სიცოცხლე მაჩუქოს და გზა მომცეს, ახალციხეს გადავიხვეწები და უკან არასდროს მოვბრუნდებიო.

გასჭრა ციციშვილის ვარაუდმა: როსტომმა დიდის პატივითა და თაყვანისცემით მიიღო ქალი. გულდასმით მოუსმინა სათხოვარი. ძალიან კარგად სცოდნია როსტომ მეფეს: „საქართველოში ძველით წესათ იყო, რომ ვისაც გასჭირვებიათ, შესახვეწრად ან დედასა და ან ჯალაბს გაუგზავნიდეს, მეფენი და თავადნი პატივს დასდებდიან" (ალბათ თამარ მეფის დიპლომატი ქალებიც გაიხსენა — კრავაი ჯაყელი და ხვაშაქი ცოქალი).

შეიწყნარა როსტომ მეფემ დედის თხოვნა და „ფეშქაშიც მიართვა", მისი შვილის „უვნებლობის საფიცარიც ბისცა", ახალციხემდე ცხენებიც და ჯორებიც ათხოვა ქონების გადასატანად.

მეფესთან შეხვედრა ითხოვა მისი „დიდსულოვნებით გულაჩუყებულმა" ნოდარ ციციშვილმა, მაგრამ მკაცრი უარი ბრძანა როსტომმა: წავიდეს, დაიკარგოს, თვალით არ დამენახოსო.

ნოდარ ციციშვილმა ახალციხისკენ გაქუსლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენ შეთქმულებს მიადგა როსტომ მეფე.

კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე ჯერ ნარიყალას ციხეში ამყოფა, მერე ჯალათი შეუგზავნა. დაახრჩობინა და ციხიდან გადააგდებინა.

ქაიხოსრო ბარათაშვილი ღამით ციხის უმაღლესი გოდოლიდან გადააჩეხვინა და ხმა გაავრცელებინა, — დამთვრალა და თვითონ გადავარდნილა „მაგ უბედურიო“.

ზურაბ სააკაძესა და გიორგი გოჩაშვილს თვალები დასთხარა.

ივანე სააკაძემ, რევაზ ბარათაშვილმა და ლარგველმა ერისთავიშვილებმა მამულები მეფეს შეატოვეს და თვითონ სიკვდილს ფეხზე გაასწრეს და კახეთს გადაიკარგნენ.

იოთამ ამილახორი შეიპყრო და ისე სცემა, სულ სისხლი აფურთხებინა. სიკვდილით კი დაზოგა, რადგან იოთამი უკვე ადარ ბრძანდებოდა „პრინციპული თეიმურაზელი“. იგი „იყო ჟამთა მეშვრეტი, ჟამ იყვის ბატონ თეიმურაზთანა, ჟამ როსტომის წინაშე“. ამნაირ მიეთ-მოეთ კაცს ყოველთვის „ორაკეე მხრიდან“ სცემენ ხოლმე და ამჯერად როსტომ მეფისგან მოხვდა კაცსა უმდგრადსა.

მოკლული ევდემონ დიასამიძის ადგილზე ქართლის კათალიკოსად როსტომ მეფემ ეპისკოპოსებს აარჩევინა „ყოველთავე საქართველოსა მღვდელთმთავართა და სამღვდელოთა დასთა“ სასურველი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე ურდუბეგაშვილი — „კაცი მოყვარე სამართლისა, მშვიდი, მდაბალი, გულ-ტკბილი, ყოველთათვის მოწყალე, სიწმინდის მოყვარე, სახითა შუენიერ და ღირს ხარისხ-მპყრობელობისა თვისისა, კუალად აღზრდილი და გამოცდილი საეროსა სამამაცოსა ლაშქარ-ნადირობასა შინა, და არა ჰქონდა გამოცდილება წერილთა, მცირედ ოდენ წურთილ იყო. ხოლო განაგებდა კეთილად წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა“...

მერე, შემოიყარა „თათრული ილღარი“ (ლაშქარი) და ქართული ჯარი როსტომ მეფემ და კახეთისაკენ გაქუსლა.

თეიმურაზი მაშინ მაღაროს იდგა. მიუხტა როსტომი, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ თეიმურაზმა ვიწრობებში უსაფრა კახელი მეომრები ღა ბვა და ტყვია დააყარა ცალფა მწკრივებად მომავალ მტერს.

„ვერღარა დაუდგა როსტომ ბეფე, გაიქცა და წარვიდა ტფილისს“.

თეიმურაზმა გამოდევნებაზე ხელი აიღო და მტრის დანატოვარი ნადავლი აიკრიფა.

...როსტომმა თეიმურაზ მეფის განდგომის, ქართველ თავადთა აჯანყებისა და მათი დამარცხების ამბავი დაწვრილებით მისწერა ერანის მბრძანებელს.

თან ესეც შეუთვალა საგანგებოდ როსტომმა შაჰ აბას II-ს: ქართველები ამდენ ამბავს იმიტომ მიბედავენ, რომ მემკვიდრე არა მყავს და დროებითად, ფეხამოკვეთილ კაცად მთვლიანო. სანამ მემკვიდრე არ მეყოლება, ასე ბრძოლას, ურჩობასა და ავკაცობას არ მომიშლიანო. ამიტომ გეაჯები, მანდ თქვენს კარზე რომ ჩემი ბიძაშვილია — ლუარსაბ თეიმურაზის ძე — ის გამომიგზავნე ქართლის ტახტის მემკვიდრედო.

(მკითხველმა ერთხელ კიდევ უნდა გაიხსენოს წინარე წიგნიდან: ლუარსაბ I დიდს სამი ვაჟი ჰყავდა — სვიმონ I დიდი, დავითი (დაუდ-ხანი) და ვახტანგი. ვახტანგის ძე თეიმურაზი სპარსეთში ცხოვრობდა. სწორედ ამ თეიმურაზის ძე იყო ლუარსაბი, რომელსაც ახლა როსტომ მეფე მემკვიდრედ ირჩევდა).

. . . . . .

1643 წელს დიდძალი ყიზილბაშური ლაშქარი შემოვიდა საქართველოში.

ერანულ მხედრობას სათავეში ისევ გათათრებული ქართველი ედგა — ადამ სულთან ანდრონიკაშვილი, როსტომ მეფის დისწული.

ადამ სულთანს როსტომის „მემკვიდრეც“ მოჰყვებოდა გვერდით — ლუარსაბ თეიმურაზის ძე.

სპარსელთა მხედრობა ტფილისთან დაბანაკდა.

ადამ სულთან ანდრონიკაშვილმა როსტომ მეფეს (ანუ ბიძას) შაჰისგან გამოგზავნილი ძვირფასი ძღვენი მიართვა — მშვენიერი ხალათი, თაჯი, მურასა ხმალი და ოქროთი დარახტული ბედაური.

ლუარსაბ ბატონიშვილი წარუდგა მეფეს. შვილი მთხოვე

და შვილად გამოგიგზავნეო, უთვლიდა შაჰი, ქართველებისთვისაც ასე გვიბრძანებია, რომ ლუარსაბ-მირზა თქვენს შვილად და უფლისწულად მიაჩნდეთ და „თქვენს უკან მეფობაც მაგისთვის მიგვიცემიაო“.

მერე, ქართველთა ურჩობისა და აჯანყების გამო სწერდა გამწყრალი შაჰი: ვინც ამიერიდან როსტომ-ხანის ურჩი და მაწყინარი იქნეს, ყველა ოთხში („შვიდან“) ამოიღონო. რაც შეეხება თეიმურაზ მეფეს, იგი სასწრაფოდ გააძევეთ და კახეთი საბატონოდ ადამ სულთან ანდრონიკაშვილს ჩააბარეთო.

დიდძალი მხედრობა — სპარსეთიდან ახლად მოსულიც და დამხვდურიც — იკაზმებოდა კახეთს სალაშქროდ.

„თეიმურაზელებმა“ დიდი, დამანგრეველი საფრთხე შეიცვნეს. მიხვდნენ, რომ ხმლით და სიმამაცით სიკვდილის მეტს ვერაფერს მოიხვეჭდნენ და სახიფათო კვანძის ჩასაკვეთად ხმალი ისევ ქალს მისცეს ხელში.

აკი უკვე ცნობილი გამხდარიყო როსტომ მეფის „სისუსტე“ — უაღრესი პატივისცემა, კრძალვა, მოწიწება და თაყვანისცემა ქართველი ქალისადმი.

და „თეიმურაზელებმა“ როსტომ მეფესთან შუამავლად მიინიშნეს ბრწყინვალე ქართველი მანდილოსანი — ა ნ ა ხ ა ნ უ მ.

ანახანუმი იყო დაი ნოდარ ციციშვილისა და სიდედრი ზაალ არაგვის ერისთავისა.

მივიდა ანახანუმ როსტომ მეფესთან.

და ისევ ჩააგო სისხლის საღვრელად აღმოხდენილი ხმალი როსტომ მეფემ.

შეუნდო ყველას — თეიმურაზსაც და „თეიმურაზელებსაც“.

ერანელთა ჯარი ერანს გაბრუნდა.

თეიმურაზი კახეთის მეფედ დარჩა.

ნოდარ ციციშვილი ახალციხიდან დაბრუნდა და საციციანო დაიბრუნა.

ზაალ ერისთავიც შენდობილ იქნა, ოღონდ, იოთამ ამილახორთან ერთად, ერანს უნდა წასულიყო და შაჰს სწვეოდა „ფეხზე საკოცნელად“.

საოცარი იყო სწორედ: ერანის შაჰმა ლაშქარი გამოგზავნა, ქრისტიანი თეიმურაზის განდევნა და მის ადგილზე მაჰმადიანი მოხელის — ადამ სულთან ანდრონიკაშვილის დანიშვნა ბრძა-

ნა და როსტომ მეფემ ყველაფერი ეს არაფრად ჩააგდო — ერ-
ნელთა ლაშქარიც ხმალამოუღებლად უკან გააბრუნა, ადამ
სულთანიც კუდამოძუებული გაეშურა, თეიმურაზიც თავის
„შშობლიური კახეთის“ ტახტზე დატოვა და „თეიმურაზელი“
ქართველი თავადებიც დიდსულოვნურად შეიწყალა!

მართლაც განუზომლად დიდი გავლენა ჰქონია როსტომ
მეფეს სპარსეთის უზენაეს კარზე!..

„შვენება შეგლილი“ დედოფალი

როსტომ მეფისაგან ტახტის მემკვიდრედ აყვანილი ლუარ-
საბი მაინცდამაინც ჭკუადამჯდარი კაცი არ აღმოჩნდა. „იყო
სულელ და ხელ და აღტაცებული გონებითა, რომელი არა შვე-
ნის ძეთა მეფისა საქართველოსათა“. როსტომს მაინც ძალიან
უყვარდა თავისი შვილობილი და საგანგებო მწრთვნელებისა
და აღმზრდელების დახმარებით თავგამოდებით ზრდიდა და
ამზადებდა „ქართლის მომავალ მეფეს“.

მაგრამ ქართლის სასახლის კარზე კიდევ იყო ერთი „ყმაწ-
ვილი კაცი“, რომელსაც როსტომი „თავისთვის შვილად
ზრდიდა“.

ეს იყო გერი, მარიამ დედოფლის ძე, პირველი ქორწინე-
ბით სვიმონ გურიელთან.

მისი სახელი იყო ო ტ ი ა, — ძალზე მომხიბლავი ჭაბუკი,
სახიერი და ზროტანოვანი, ზრდილი, ჭკვიანი, მამაცი.

ახლად დაქორწინებული იყო ოტია. ცოლად შეერთო ზაალ
არაგვის ერისთავის ასული.

და ოტია მოკვდა უეცრად, გორის სასახლეში დგომის ჟამს.
უმძიმესი გლოვით შეხვდა მეფის სახლეული ოტიას სიკვდილს.
საზღვარი არ ჰქონდა დედის მწუხარებას. იჯდა დედოფალი
მარიამი, ქალთაგან უმშვენიერესი, თვითონ „მკვდარს მიმსგავ-
სებული, სახე დახეული, თმა დაგლეჯილი, შვენება შეშლილი,
ტანისამოს სისხლით გასვრილი, მიწაზედ მჯდომი, ღონე იმედ
დაკარგული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორმეტი დღე-ღამე განუწყვეტელი ზარი და ზუნი იდგა სასახლეში. სრულიად ქართლი და სამეგრელო აღძრულიყო საგლოველად და მეფე-დედოფლის სამძიმარყოფად და მისატირებლად. დილიდან გვიან მწუხრამდე გრძელდებოდა მიტირება. მოდიოდნენ წარჩინებულნი ჯალაბობით, ყმითა და ლაშქრით. მოდიოდნენ და ჯერ „შვენება შეშლილს ბატონ დედოფალს მიუტირიან, მერმე გამდელსა და ჩარიგებით მათ მხლებლებსა, მერმე მეფესა და ჭირისუფლებსა, თავადთა და აზნაურთა და მსახურთა და მოხელეთა. მერე ცხედარსა მიუტირებდნენ და გარდასაბურავს გარდაჰფენდიან. ამას უკან ია-რაღსა და მორთულობასა, ტანისამოსსა, მურასა გვირგვინსა და ჯიღასა და ხმალსა და ხანჯარსა, მუზარათსა და ჯაჭვსა და ხელნავებსა და ცხენსა და მის შეკაზმულობასა, ყოველს ნიშანს ცალ-ცალკე მიუტირებდნენ და ერთს წელიწადსაც არ გათავდებოდა (თუ ასე გაგრძელდებოდა).

ამიტომ როსტომმა ბრძანა, ვინც აქ ვერ მოასწროს, გზაზე და იქ, მცხეთას მოგვიტიროონო. და თორმეტი დღის ვაიუშველებელის შემდგომ გორიდან მცხეთას გაუდგა სამგლოვიარო პროცესია.

ორ კუბოს მიასვენებდნენ.

პირველში — ოქროცურვილში — ოტია ესვენა.

მეორეში — წნელით დაწნულში — მარიამ დედოფალი, „ვითაც მკვდარი“, შავ ზეწარ „გარდაბურული“.

მცხეთას, მეფეთა საძვალეში დაკრძალეს ოტია.

ორმოცი დღის მანძილზე სააღაპე სუფრა არ აღებულა მცხეთასა და ტფილისში. ყოველივე ქრისტიანული წესით და რიგით გაარიგა როსტომ მეფემ. ორმოცი დღე-ღამე წყალზე და უმარილო ქერის პურზე იდგა დედოფალი მარიამი. შვილის ქონება ზოგი იერუსალიმს გაგზავნა, ზოგი ქართლის ტაძრებსა და საყდრებს შესწირა. ქვემო ქართლის „დარბაზის სოფელი“ სვეტიცხოველს მიუძღვნა შვილის სულის მოსახსენებლად. როგორც იქნა, მარიამი „ტირილით საფლავს გამოეყარა და ქალაქს ჩაბრძანდა“.

ტირილი და მისატირი ისევ გრძელდებოდა. „მოქალაქენი შეიყარნენ, კარს მოდგნენ, შეწევნისა და შეძლების ღონით გარდასაბურავნი მიართვეს და სამძიმარი მოახსენეს. ამათნი

ჯალაბნი თვითოს დღეს თვითოს უბნისანი მივიდიან და მიუტირებდნენ". ოტიას დატირება უამრავი ფული დაჯდა. როსტომ მეფეს არავისგან, არც ცალკე კაცისგან და არც „თემისგან" „ერთი შაურიც არ აუღია" — სულ თავისი პირადი სალაროდან გაიღო.

ერთადერთ შვილზე გამწარებულ მარიამ დედოფალს ოცი წელიწადი არც შავი გაუხდია, არც სახსნილო გაუკარებია.

ქართულოგის ღალატის ფასი

ზაალ არაგვის ერისთავი, სიძის დაკრძალვის შემდგომ, ერანს უნდა წასულიყო შაჰ აბას II-სთან სათაყვანოდ.

მასთან იოთამ ამილახორიც მიდიოდა შაჰის „ფერხთა საკოცნელად". აკი ასეთი იყო როსტომ მეფესთან „შერიგების" გარდუვალი პირობა.

ერთად ადგნენ ახლა ერანის ღველფიან გზაზე ეს ზვიადი ქართველი თავადნი, აქამდე ერთმანეთის მოქიშპენი და მომტერენი.

წინ როსტომ მეფის სუფრაჯი ჰამზა-ბეგი მიუძღოდათ.

გზებზე ყველგან დიდის ამბით ეგებებოდნენ, ვითარცა „დიდი როსტომ-ხანის" წარგზავნილებს. „ყველგან სამასპინძლო მზათ დაახვედრეს და საცა გზის პირს ხანი და სულთანი იყვნენ, წინ მიეგებნენ და თავისას ჩამოახდუნეს; კარგად ისტუმრეს, ლხინი აჩვენეს და საჩუქარი მოართვეს და გაისტუმრეს და რასაც ქალაქში მივიდნენ, ქალაქის თავნი კაცნი წინ მიეგებნეს და კარგად დახვდნენ".

მერე გამოეგებათ თვითონ ყ ა ს ე მ-ბ ე გ ი, როსტომ მეფის მოადგილე-ნაიბი, რომელიც სწორედ როსტომის სახელით ასრულებდა ისფაჰანის ტარუღას მოვალეობას.

როსტომ მეფის ყმები — ყასემ-ბეგი და ჰამზა-ბეგი — ბიძაშვილებიც იყვნენ და დიდის ამბით შეეგებნენ ერთმანეთს.

ისფაჰანისკენ მიდიოდნენ და დღეში სამჯერ ბარხანა (მაცნე) გამოეგებებოდა და გაჰკიოდა ხალხის სასმინარად: დიდი

როსტომ-ხანის ქვეშევრდომნი გურჯი თავადები მოდიან და ყველანი პატივით შეეგებეთო.

ისფაჰანს რომ ერთი დღის სავალზე მიუახლოვდნენ, შაჰმა მაშინვე თავისი ეთიმადოვლე (დიდვეზირი) მირზა თაყი წარმოგზავნა ქართველებთან შესახვედრად. თან დაებარებინა ხელმწიფეს: ყოველივე ისე გაუწყვეთ, მოემსახურეთ და უმასპინძლეთ, როგორც მაგათი ქართული წესი და რიგი მოითხოვდესო. მირზა თაყიმ ყულის ჯარი შეჰყარა, რჩეული სპარსელი სარდლები ჯარის წინ გაამწკრივა, მათ წინ კიდევ სპარსეთს მყოფი ქართველი თავადაზნაურობა ჩაასილაღა, აღლუმის უფროსად ადამ სულთან ანდრონიკაშვილი უჩინა და ასე შეეგება ერანის სატახტოს კარიბჭესთან გურჯისტანიდან მომავალ გურჯებს.

ერისთავი და ამილახორი დარიგებული იყვნენ „აქაურ წესზე“ — სწრაფად დაქვეითდნენ და ეამბორნენ ისფაჰანის კარიბჭეს.

რვა დღეს „ხოჯა საფარას სასახლეში ჩამოახტუნეს“ ქართველი სტუმრები, „რვა დღეს ყაენის სახლით ოქროს ჭურჭლებითა დამზადებული სადილ-ვახშამი მოუვიდის“. ყოველდღიურად შვიდ თუმან ოქროსა და სამოც ლიტრა ღვინოს მიართმევდნენ ცალკეულად ზაალსა და იოთამს.

ამას გარდა, ორივენი საგანგებო „ლხინში იყვნეს, ხან აწვევდნენ და ხან ეწვევოდნენ მეყვისთა და მეცნიერთა“.

მერე ერთბაშად „ხემწიფემ სამასი თუმანი თეთრი და ფარჩა ერისთავს მოსცეს და ასრევე ამილახორს მისცეს“.

ბოლოს ქართველთა მისაღები მეჯლისიც დანიშნა შაჰ აბას II-მ. შევიდნენ ერისთავები, დაემხნენ და დაუკოცნეს ფეხები სპარსეთის მბრძანებელს.

(ამად ჰღირდა ყველა ის პატივისცემა, რაც აქამდე მიეღოთ ქართველ „მამულიშვილებს“ სპარსელთაგან!).

ტკბილად გამოჰკითხა შაჰმა როსტომ მეფის ცხოვრების ამბები „ძვირფას სტუმრებს“ და ამათაც „დიდი ქება მოახსენეს“ როსტომ მეფისა.

„ტკბილი საუბარი“ რომ დამთავრდა, შაჰმა ზაალს და იოთამს — „ორთავეს ქართული ჩოგანი ათამაშა და ორთავეს ოქროთი შეკაზმული ბედაური ცხენები უბოძა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ზაალ ერისთავისა და იოთამ ამილახორის „გათათრება“ მოჰყვა.

ასეთი „მცირე რაიმეს“ სამაგიეროდ ერანის ხელმწიფემ ახალი დიდი პატივი მიაგო უკვე გათათრებულ ქართველებს: თითოეულ მათგანს ყოველ წლიურ ჯამაგირად ას-ასი თუმანი დაუნიშნა!

იმ დღეს როსტომ მეფის ჩაფარიც მოიჭრა საქართველოდან. როსტომი უთვლიდა შაჰ აბას II-ს: ერისთავი და ამილახორი, რაც შეიძლება, მალე გამომიგზავნე საქართველოშიო.

შაჰმა მაშინვე აღასრულა როსტომ მეფის „მოთხოვნა“.

ჭეშმარიტად, ორივეს დიდი ფასი ჰქონდა ერანის სახელმწიფო კარზე — როსტომ მეფის სიტყვასაც და... ქართულობის ღალატსაც!..

. . . . .

მაგრამ ზაალ ერისთავისა და იოთამ ამილახორის გამოსტუმრება ერთი მოულოდნელი და ფრიად საშფოთარი ამბის გამო ისე იოლად ვეღარ მოხერხდა.

ისფაჰანის სასახლის კარზე ლამის სახელმწიფო გადატრიალება მოხდა.

ყორჩიბაშ (ცხენოსანთა ჯარის სარდალ) ჯ ა ნ ი-ხ ა ნ ს თურმე უმაღლეს სამხედრო მეთაურთა შეთქმულება ჰქონია გაწყობილი. ქართველებთან შაჰის შეხვედრის მეორე დღეს, დილით, ჯანი-ხანი ხანჯლით შეხტომია ნამაზად მდგარ დიდვეზირ მირზა თაყის, ყელი ღორივით გამოუჭრია და მის ნაცვლად ეთიმადოვლედ „თავისი კაცი“ ხალიფასულთანი გამოუცხადებია. ყველაფერი ეს შაჰის დაუკითხავად მომხდარა. ისევდაც, ჯანი-ხანს ყმაწვილი შაჰის უფრო ნაკლებად ეშინოდა, ვიდრე შაჰის ბებიისა.

შაჰის ბებია ქართველი ქალი იყო — ჭკვიანი, მტკიცე ნებისა და ხასიათის ადამიანი. ჯანი-ხანი სწორედ ამ ქალის მოკვლით აპირებდა სასახლისა და სახელმწიფო ინსიგნიების ხელში ჩაგდებას.

მაგრამ დაასწრო შაჰის ბებიამ. ორი კაცი გამოიძახა სასწრაფოდ — ს ი ა ო შ-ხ ა ნ ი და მ უ რ თ უ ზ ა-ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი, ორივე გათათრებული ქართველი. სიაოშ-ხანი როსტომ მეფის მოადგილე იყო და ყულის ჯარს მეთაურობდა. „შენ ჯერ ყუ-

ლარაღასობა იკმარეო“, უთხრა მას შაჰის ბებიამ, მერე მურთუზა-ყული-ხანს ქოჰქილუს ბეგლარბეგობას შეჰპირდა და მაშინვე საამისო რაყამიც უბოძა. ბოლოს ეს უთხრა ქალმა ორივე სარდალს: რა იქნა თქვენი ვაჟკაცობა, სად დაიკარგა თქვენი ერთგულება, ისე რომ ეფიცებოდით ჩემს ოჯახსა და სახელმწიფო ტახტს?! ვიღაც ჯანი-ხანი თვისის ნებით ჰკლავს ჩვენს ეთიმადოვლეს, თქვენ კი თითქოს არაფერიც არ გაგიგონიათ და ასეთი კადნიერება არად ჩაგიგდიათ. განა არ იცით, რომ დღეს თუ ხვალ თქვენც დაგხოცავენ, მერე შვილსაც მომიკლავენ და თვითონ გახელმწიფდებიან? ახლა ეს იცოდეთ, — თუ მართლა ჩვენი ერთგულები ხართ, ამაღამ ყულის ჯარი მოიყვანეთ, სასახლეში ჩაასაფრეთ და დილას რომ ჯანი-ხანი თავისი ხალხით ქეშიკში მოვა, წაუშინეთ და ყველანი ამოწყვიტეთო!

დილით მართლაც ყველაფერი ისე დატრიალდა, როგორც შაჰის ბებიამ ბრძანა. მურთუზა-ყული-ხანი ჯანი-ხანს დაეტაკა. „შე ხაინო (მოღალატე) და მუხანათო, ხელმწიფის ეთიმადოვლე რატომ მოჰკალიო?! — შესძახა და წამსვე ხანჯალი გაურია მუცელში.

სიაოშ-ხანმა და მისმა „ყულებმაც“ წაიკრეს ხმლებზე ხელი და წუთში ჩვიდმეტი შეთქმული ხანი და სულთანი სულგავარდნილი დაუშვეს მიწაზე.

დახოცილები მეიდანზე თრევით მიიტანეს და ყაბახის ძირში დაჰყარეს. მათი ცოლ-შვილი მოთხარეს და ქონება შაჰის ხაზინას ჩააბარეს.

იმ დღესვე ზაალ ერისთავი და იოთამ ამილახორი — ამ „დიდებული სანახაობის“ შემდგომ — სპარსელებმა „მორჭმითა და მრავლის ბოძებით გაისტუმრეს“. ზაალ ერისთავს კიდევ „უბოძეს ხუთასი თუმნის თეთრი და ხალათი და ოქროთი შეკაზმული ცხენი, თხუთმეტი სოფელი ყაზმინის სიახლოვეს“. ასევე დააჯილდოვეს იოთამ ამილახორი.

გამომშვიდობებისას, — როცა ზაალმა და იოთამმა შაჰის ფეხების კოცნა მოითავეს — ხელმწიფემ ორთავეს ეს უბრძანა: „რასაც როსტომ მეფეს აამებთ და ერთგულად ემსახურებით, ჩვენც ჯვეამების და იმისის მოწერილობით ჩვენგან წყალობა დაგემართებისთ; ისრევე, იმისის მოწერილობით ჩვენგან რისხვასაც ელოდეთო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან ნათლად და გასაგებად იყო ნათქვამი..

როსტომ მეფისთვის კიდევ ცალკე ძვირფასი ხალათი და ოქროს მოკაზმულობით დარახტული ბედაური გამოატანა ზაალსა და იოთამს...

. . . . . .

ჭეშმარიტად, — ორივეს დიდი ფასი ედო ერანის სასახლის კარზე — როსტომ მეფის სიტყვასაც და.. ქართველთაგან ქართულობის ღალატსაც...

. . . . . .

როსტომ მეფე ამალით ტფილისს გარეთ შეხვდა ერანიდან მობრუნებულებს.

მეფე რომ ცხენით მომავალი იხილეს, ზაალი და იოთამი ცხენებიდან გადმოცვივდნენ, „დიდი გზა ფეხდაფეხ წაიარეს და მეფეს ცხენს მჯდომს ავჟანდას აკოცეს“.

გადმოხტა ცხენიდან როსტომი, შაჰის გამოგზავნილი ხალათი ჩაიცვა და „დიდის სიმხიარულითა და შადლუხის ქნით შებრძანდა ქალაქში“.

ათი-თორმეტი დღე თავის სასახლეში იყოლია ერისთავი და ამილახორი როსტომ მეფემ, „თავის ყაიდაზე“ — ყიზილბაშურად ალხინა, აქეიფა და ამრუშა ორივენი. ახლა გეყოფათო, უთხრა ბოლოს მეფემ უკვე „ყიზილბაშ გურჯებს“, გზისაგან გარჯილნი ხართო, შინაც გელოდებიანო; წადით და ამ ზამთარს თქვენთან შეექეციოთ.

ისევ აიმალნენ

ზაალ ერისთავის ღალატი რომ შეიტყო, თეიმურაზ მეფემ თქვა: ზაალ ერისთავი როცა როსტომ მეფეს გადაუდგა და მე მომემხრო, ქართლში დაკარგული მამულების სამაგიეროდ მე კახეთში მივეცი მამულები; ახლა ისევ თავის ძველ ბატონს დაბრუნებია ზაალ ერისთავი, ქართლის მამულებსაც ისევ ამოიგებს, ერანის შაჰისგანაც თურმე ნამეტანი წყალობა დამართნიაო; ვაითუ საერთოდ დაემართოსო. ეს თქვა და წაართვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზმა არაგვის ერისთავს კახეთში ბოძებული მიწები.

ზაალ ერისთავი ტფილისში ოჯახით ჩამოვიდა და როსტომ მეფესთან იჩივლა: თეიმურაზმა მამულები ჩამომართვაო.

როსტომმა ამნაირ „პატიოსან საჩივარს“ ეს უპასუხა: ბატონი თეიმურაზის სამკვიდრო მამულში მე რა ხელი მაქვსო, იმან თავისი საკუთარი წაგართვა, მაგრამ მე შენთვის სამაგიერო მომიცია და სჯობია გაჩუმდეო.

. . . . . .

„რევაზ ბარათაშვილი და როინ ჯავახიშვილი სიძე-ცოლისძმა იყვნენ. ერთ დღეს როინ ჯავახიშვილი იმერეთისკენ მიმავალ სიძეს დაესხა, შეიპყრო და როსტომ მეფეს მიჰგვარა. რევაზი გაჩხრიკეს და თეიმურაზ მეფის საიდუმლო წერილები აღმოუჩინეს — იმერეთის მეფისადმი მიწერილნი.

— ამდენ ხანს მიპატიებია და ახლა კი ველარ გაპატიებ, — თქვა როსტომმა და იქვე, მისი ბრძანებით, ჯალათმა რევაზ ბარათაშვილს თვალები დააყრევინა.

ძმის უბედურებით და ქმრის მუხანათობით გამწარებულმა როინ ჯავახიშვილის ცოლმა მონაზვნის ჩოხა ჩაიცვა და ცოდვიანი ოჯახიდან სამუდამოდ გაიქცა.

ხოლო როსტომ მეფემ თეიმურაზს მოციქული გაუგზავნა და შეუთვალა: რა არის, რომ არც თქვენ დაწყნარდებით და არც ჩვენ დაგვაწყნარებთო; ჩვენსა და თქვენს შორის ისედაც ბევრი საქმენი გახლავან გასაბრჭობნი და გასახილავნი; ამას წინათ, გაბრჭობამდისინ თავმდებად კახეთში სამი სოფელი დაგვიდევით; მაინც არ მოისვენეთო. სიდამდისინ ჩვენსა და თქვენს შუა საქმენი გადუწყვეტი არისო, ქართლი და კახეთი არ მოისვენებსო. ბოლოს და ბოლოს, ნუღარ ვაყოვნებთ, ორიოდე მცოდინარი ბერი და ერი შენს სიძეს მეფე ალექსანდრეს ვსთხოვოთ და ასევე ლევან დადიანსაც ვსთხოვოთო, გურიელსა და ახალციხის ფაშასაც ვსთხოვოთო, გავიბრჭნეთ (გავსამართლდეთ) და შევრიგდეთო, ჩვენც მოვისვენოთ და ჩვენი ქვეყანაც მოვასვენოთო.

მთავარი „გასაბრჭობი“ ის იყო, რომ თეიმურაზს როსტომი მისი ძმისწულის სვიმონ-ხანის მოკვლას აბრალებდა და სამაგიერო „სასისხლოს“ სასამართლოს ძალით მოითხოვდა. ჰქონიათ კიდეც შუამავალთა სასამართლო ამ საქმის თაობაზე მეფე-

ებს. თეიმურაზს კახეთში სამი სოფელი მიუცია როსტომისათვის.

თეიმურაზმა რომ ეს წერილი მიიღო, გაბრაზდა, ის სამი სოფელი ისევ უკან დაიბრუნა და როსტომ მეფის მოხელეები კახეთიდან გამოჰყარა; თან ესეც მოსწერა როსტომს: ბოლოს და ბოლოს, გასაბრჭობი რაღა გვაქვსო; თქვენი ძმისწულის სვიმონის მოკვლას მე რად მაბრალებთ, როცა იგი, ყველამ იცის, ზურაბ ერისთავმა მოჰკლაო; ამისთვის ზურაბ ერისთავი მე მოვჰკალი და თქვენგან ბრალი კი არა. მადლობა მეკუთვნისო; თუ მაინცადამაინც სვიმონის სისხლს ეძებთ, მესისხლეც ძახდვე გყავთ — ზურაბ ერისთავის ძმა, ზაალ ერისთავი — ყაენთან რომ გაგიგზავნიათ და მორჭმული და გამდიდრებული დაგიბრუნებიათო; აქამდე რომ ჩემი ქვეშევრდომი იყო, ახლა თქვენი გახლავსთ, თქვენი ყმაც ეგ არის და მესისხლეცო და როგორადაც მოგეპრიანოთ, ისრე ჩაითვალეთ და მე თავი დამასვებეთო.

ისევ აიშალნენ მეფენი.

ისევ უნდა დაღვრილიყო ქართული სისხლი ქართველთა და სპარსელთა ხელით.

ავჯალითად ნასროლი ტყვიები

მცხეთას ჩავიდნენ როსტომი და მარიამი.

სვეტიცხოველში ილოცეს მხურვალე ლოცვით ქრისტიანმა დედოფალმა და „თათარმა მეფემ“.

მცხეთიდან საფურცლეს გავიდა როსტომი და აქ შემოიყარა ქართველთა და სპარსელთა ჯარები. განჯა-შირვანიდანაც ეწვია ყიზილბაშთა დამხმარე ჯარები როსტომს.

კახეთისკენ დაიძრნენ მგლური ნაბიჯით და მგლური გულით.

თეიმურაზიც გაემზადა მტრის შესახვედრად. მან ორად გაჰყო კახელთა ჯარი. ერთ ნაწილს სარდლად უჩინა თავისი ე — დათუნა ბატონიშვილი, თანაშემწედ სუფრაჯი ბიძიწა ჩო-

ლოყაშვილი დაუყენა და ქიზიყს გაგზავნა. მეორე ნაწილი თვითონ დაიტოვა, თანაშემწედ სახლთუხუცესი რევაზ ჩოლოყაშვილი აიყვანა და თიანეთს, უღლისთან დადგა მტრის დასახვედრად.

როსტომ მეფემაც ორად გაჰყო ლაშქარი. ყიზილბაშთა ჯარი ჯემალ-ხანს ჩააბარა — ისფაჰანიდან მოყოლილ გათათრებულ ქართველს — და ქიზიყს გაუშვა, დათუნა ბატონიშვილთან შესახვედრად. ქართლელთა ჯარი, ვახტანგ მუხრანბატონისა და ზაალ ერისთავის სარდლობით, თეიმურაზისკენ წარგზავნა — თიანეთს — და თვითონაც უკან მიჰყვა ფრთხილი ჭენებით.

ეს საშინელი ამბები 1648 წელს დატრიალდა.

თიანეთს, უღლისთან, ერთმანეთს ეკვეთნენ თეიმურაზისა და როსტომის მეწინავენი — კახელები და ქართლელები.

კახელობას წინ მიუძღოდა რევაზ ჩოლოყაშვილი, „კაცი კეთილი და რჩეული სარდალი“. ორი ვაჟკაცი შვილი მარჯვნივ და მარცხნივ მოსდევდნენ სახლთუხუცესს მამაცური ხმალთაკვეთებით.

უეცრად ავბედითად ნასროლმა ტყვიამ შეაქანა უნაგირზე რევაზი.

სიკვდილის სიახლოვე იგრძნო ნათოფარმა სარდალმა. შვილებს უბრძანა, შეტევა არ ჩაისხლიტოთ, არც ვინმემ ჩემი გათოფვის ამბავი შეიტყოსო და ბრძოლის ველს გაეცალა „მცირე ხნით“.

თეიმურაზ მეფეს მიეჭრა და მის მუხლებში ჩაემხო სისხლდადენილი.

„მიხარია, რომ შენის სამსახურისა და ერთგულებისთვის ვკვდები, მეფეო! დაე, იყოს ჩემი თავი თქვენს ჭირის სანაცვლოდ!“ — შესძახა და ხელები დაუკოცნა მეფეს დაჭრილმა.

მწარედ ატირდა თეიმურაზი.

ჭრილობა შეიკრა რევაზმა.

ისევ „იტირეს ორთავემ მრავალი“.

ისევ მოახტა ცხენს და გაქუსლა ბრძოლის ველისკენ ჩოლოყაშვილმა.

მიატანა იმ ადგილს, სადაც ტყვიამ დაულეწა გულის ფიცარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიატანა და იხილა ძმათაშორისი ომი შენივთებული.

გამხეცებით სჩეხდნენ ერთურთს კახელნი და ქართლელნი.

ვერცერთ მხარეს ნაბიჯითაც ვერ უკუეგდო „მოპირდაპირე ძმათა მხარე“.

აქ კი იმძლავრა სიკვდილმა და უსულოდ გადმოეშვა ცხენიდან რევაზ ჩოლოყაშვილი.

„სარდალი მოგვიკლესო!“ — ელვასავით დაურბინა კახელთა ჯარს. მკლავი მოეშალათ, მუხლი ჩაეშალათ და „უკან იქცნენ კახელნი“.

ფრთა გამოისხეს ქართლელებმა. ახალ იერიშზე დასძრეს ჯარები ვახტანგ მუხრან-ბატონმა და ზაალ ერისთავმა.

„უკუნ იქცა ბატონი თეიმურაზიცა და წარვიდა“.

. . . . . .

იმავე დღეს მოხდა ბრძოლა ქიზიყს, მაღაროსთან.

დათუნა ბატონიშვილი, „სიმამაცით და გამბედაობით განთქმული“ ვაჟკაცი, გააფთრებით დაეტაკა სპარსელთა და შირვანელთა მხედრობას.

ჯემალ-ხანსაც ძარღვებში ქართული სისხლი რაღად უდუღდა, თუ ქართველებს ბრძოლის სასწორს დაანებებდა.

მაინც იმძლავრეს კახელებმა. დაიხელთავეს და დაიკალთავეს კიდეც ბრძოლის შუაგული და განაკიდურნი.

მაგრამ ისევ გაიზუზუნა ავბედითმა ტყვიამ და დათუნა ბატონიშვილი უსულოდ გადმოეშვა ცხენიდან.

ისევ მოიშალა მამაცი უფლისწულისა და სარდლის სიკვდილით ზარდაცემულ კახელთა ჯარი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი ამაოდ ცდილობდა ბრმა ბედისწერის წყალობით უკუღმა დატრიალებული ბრძოლის ჩარხის შემობრუნებას.

ქაიხოსრო მაყაშვილმა და ბიძინა დიასამიძემ, დათუნას სიკვდილი რომ შეიტყვეს, მეფე-დედოფალს ველარ ვეჩვენებითო და, გული შეაცხრილეს მერეხად წამოსულ ყიზილბაშურ ტყვიას და ფინთიხს.

ზედიზედ ეცემოდნენ კახური დროშები.

კახელ თავადთა ერთმა ნაწილმა, „საწამ გვიან არ იყო“, ბრძოლა მიატოვა და როსტომ მეფის საყმო და საქვეშევრდომო გზაზე შეაგდო ცხენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახელ მამულიშვილთა ლაშქარი თითქმის მთლიანად შეაწყდა „ალლაჰისაგან ბოძებული“ გამარჯვებით გალაღებულ ყიზილბაშობას.

დათუნა ბატონიშვილის წარკვეთილ თავს — სხვა წარჩინებულ კახელთა თავებთან და კახურ დროშებთან ერთად — მიაქროლებდა აღტაცებული ჯემალ-ხანი.

. . . . . .

ბიძინა ჩოლოყაშვილმა მისებრ სისხლდადენილი და გალახული ჯარის ნაფლეთებით ძლივს მიიტანა სული თეიმურაზის კარზე.

უმძიმესი მარცხის ამბავი მოახსენა ჩოლოყაშვილმა მეფედედოფალს.

დათუნა ბატონიშვილზე კი კრინტი არ დაუძრავს.

„დათუნა რა იქნაო?!“ — იკივლა ხორეშან დედოფალმა.

იგივე იკითხა შიშითა და ძრწოლით გატენილმა თეიმურაზის თვალებმა.

„დათუნა ბატონიშვილი... დათუნა ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა“, — ამოიხრიალა ჩოლოყაშვილმა.

ხორეშან დედოფლის უუამავლობით

„მხევლის ნაშობმა მეფემან საქმე ქმნა ბედაურისა“.

ა რ ჩ ი ლ ი

იჯდა თეიმურაზ მეფე მეხდაცემული, ენაჩავარდნილი, უმძიმესი ფიქრებით დარეგვილი და დაქვესკნელებული, „თავად მტრისაგან გალახული, სახლთუხუცეს მოკლული, ჯარ წახრული, დროშა წართმეული, ქვეყანა და საბატონო სხვას დარჩომილი“.

მან ჯერ კიდევ არ იცოდა ყველაზე დიდი საგოდებელი — ერთადერთი, უკანასკნელი ძის სიკვდილი.

არ იცოდა და რაც იცოდა, ჯერ იმას ჯავრობდა უმძაფრესი

საჯავრებელით: „ყველგნით ღონე მოეღო, აღარც სითმე ... ლი და აღარც სახიზარი ალაგი, აღარც წასასვლელი გზა, არც ასაყრელათ ცხენი და ჯორი, აღარც მოხელე და მოსამსახურეხი“...

კახელმა თავადებმაც მიატოვეს თეიმურაზ მეფე — „მისმა დაზრდილმა“ კახელებმა. ახლა ისინი როსტომ მეფის კარზე ბრძანდებიან და თურმე ახალ ბატონს ძველი ბატონის შეპყრობას ეპატიჟებიან!

დიახ, კახელი რენეგატი თავადები მოსვენებას აღარ აძლევდნენ როსტომს, — სანამ თეიმურაზს არ დაიჭერ, მანამ არც მისი მოსვენება იქნება და არც კახეთის დამორჩილება არ მოგიხერხდებაო!

როსტომ მეფის ძარღვებში სანახევროდ ქართველი გლეხის პატიოსანი სისხლი დაედინებოდა და სასტიკად გააჯავრა იგი ქართულმა „თავადურმა უმადურობამ“.

„როგორ არა გრცხვენიათ, — თეიმურაზის დაზრდილები ხართ და ახლა თქვენ თვითონ მაქეზებთ მის დასაღუპად! გამზრდელს რომ ასე ექცევით, ჩვენ თქვენი ერთგულებისა რაღა ვიწამოთ?“ — დაიღმუვლა მეფემ.

რენეგატებს ენა ჩაუვარდათ.

„რაც რომ ქვეყანა დაარსებულა, ასეთი მუხანათობა არავის მოსწრებია, ახლა რომ თქვენ თეიმურაზ მეფეს მუხანათობას უწევთო“ — ერთხელ კიდევ დაუღრიალა როსტომმა მის „საერთგულოდ მობრძანებულ“ მოღალატეებს.

ეს ამბები „ვინღაცამ“ თეიმურაზის კარზე ჩაიტანა კახეთში.

თეიმურაზს იმედი აღეძრა, — იქნებ როსტომ მეფე შეგვირიგდესო და შუამავლობა ხორეშანს სთხოვა — თანამეცხედრეს, თანაგვირგვინოსანსა და უმძიმეს დღეთა თანამოჭირნახულეს.

„როსტომ მეფე თქვენი ბიძაშვილი არის, — ეუბნებოდა ქმარი ცოლს — მიდით, ნახეთ, შეეხვეწეთ, იქნებ არ მოგვკლას შვილი, ის ერთადერთი იმედი და ნუგეში! ეგების მაპატიოს ჩემი შენაცოდები და ამას იქეთ ჩვენც ისე გვიმსახუროს, ვითაც ერთი ვინმე თავადი. ხოლო, თუ ესები არა ქნას, ამდენერთს ნათესავობის პატივს მაინც დაგდებს, რომ ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათუნა ყაენთან ცოცხალი გაგზავნოს და ჩვენ იმდენი ცხენი და ჯორი გვათხოვოს, რომ იმერეთს მივაწიოთ“.

ადგა დედოფალი ხორეშანი, შვილისთვის მოუთმენელის ნაღვლიან მტირალი“, და დაადგა როსტომ მეფის სავედრებელ გზას.

(მკითხველმა კიდევ გაიხსენოს: როსტომის მამა — დაუდხანი და ხორეშანის პაპა — სვიმონ I დიდი, ძმები იყვნენ).

როსტომს მოახსენეს: ხორეშან დედოფალი მობრძანდება თქვენთან შესახვედრადო.

მეფემ ფიცხლავ იხმო თავისი მემკვიდრე ლუარსაბი, კათალიკოსი ქრისტეფორე, ეპისკოპოსნი, ქართლის თავადნი და უბრძანა: სასწრაფოდ გაეშურეთ და დიდის მოწიწებით მიეგებეთ დედოფალსო.

თვითონ თავისი კარვის ახლოს სტუმრის სავანებელი კარავი გაამართვინა, მერე ცხენზე შეჯდა და თვითონაც შესაგებებლად გაემართა.

დედოფალი გამოჩნდა. მეფე რომ დაინახა, ცხენიდან ჩამოხდომა ინება. თავადებმა ჩამოსვეს.

მისი მარჯვენა ხელი კათალიკოსმა ქრისტეფორემ დაისვენა ხელზე, მარცხენა — ლუარსაბ ბატონიშვილმა და აგრე წამოიყვანეს მეფესთან შესახვედრად.

დაქვეითდა ძეფეც.

დაქვეითდა ორივე ჯარიც — ქართველთა და ყიზილბაშთა (გინა — ქრისტიანთა და თათართა).

ერთმანეთს მიეახლნენ.

ხორეშან დედოფალმა დაიჩოქა მეფის ფერხთა სამთხვევად.

არ დაანება როსტომ მეფემ, „არ დაუშვა, დაიღლიავა, ერთმანეთს გარდაეხვივნეს და შეიქნა ტირილი და სრულ ლაშქარმან დაიწყეს ხმამაღლა ტირილი და თავს ცემა“.

რაღა საკვირველი იყო ქართველთა ტირილი, როცა „თათართა ჯარი უფრო ტიროდეს“.

მაგრამ კახეთის სამეფო სახლობის ყველაზე დიდი სატირალი ჯერ კიდევ არ იყო გამჟღავნებული. — როსტომ მეფეს მკაცრად გაეფრთხილებინა დიდი და პატარა — არასგზით არ გაემხილათ დედოფლისთვის შვილის სიკვდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით, მეფესა და დედოფალს შორის „იმ დღეს ტირილის მეტი არა თქმულა რა“.

სალამო ხანს, როცა ხორეშან დედოფალი მისთვის განკუთვნილ კარავში დაბინავდა, როსტომ მეფემ თათბირი შეჰყარა და დაიწყო: ბატონი დედოფალი ჩვენთან სახვეწრად მოსულა და ჩვენც პატივის დადება გვმართებსო; თავათ ჩემი ნათესავი არის და ესეც რომ არ იყოს, საქართველოში ძველთაგანვე წესად ყოფილა, — როცა აქაურ მეფეებსა და მეპატრონეებს რაიმე გაუჭირდებოდათ, მშველელად დედას ან დედოფალს შეიხვეწიებდნენ; ბატონი თეიმურაზიც ასე მოქცეულა და აწე ჩვენც გვმართებს ქართული წესი და რიგი დავიცვათო.

თათბირს ქართველი თავადებიც ესწრებოდნენ და სპარსელი ხანებიც.

პირველი წამოდგა ლორე-აღჯაყალის მმართველი, ყიზილბაში ისა-ხანი და მოახსენა მეფეს: ასი ათასი სპარსელი მაინც გაწყვეტილა კახელებთან ბრძოლებშიო, ბევრი ხელმწიფეც ამაოდ გარჯილა კახეთის დასაპყრობად, მაგრამ ამნაირი გამარჯვება, თქვენ რომ ღმერთმა კახეთზედ გარგუნათ, ჯერ არავის ჰღირსებიაო; თქვენ რომ მამა (თეიმურაზი) დაამარცხეთ, თქვენმა მეორე ჯარმა მისი შვილი (დათუნა) დაამარცხა და სიკვდილსაც შეჰყარა. ახლა გაუბედურებული დედოფალი მოსულა, ფეხზე გემთხვევათ და გეაჯებათ; დიახაც უნდა დასდოთ პატივი; საკმარისი იქნება, ყარაია გამოართვათ სანადიროდ, ხოლო დანარჩენი კახეთი ისევ დაუტოვეთ მეფესა და ხორეშან დედოფალსო.

ძალიან ესიამოვნა სპარსელის თათბირი სპარსეთში გაზრდილ როსტომ მეფეს. მაგრამ, სანამ რაიმეს იტყოდა, ისევ ქართველებს აცალა „მათი სათქმელი“.

ქართველმა თავადებმაც თქვეს: არ ივარგებს თეიმურაზ მეფის პატიებაო. სულ ერთია, მაინც არ მოისვენებს და არც თქვენ მოგასვენებთო; ამას წინათ, მისი შვილი რომ ცოცხალი იყო, მაშინ გებრძოდათ თავგამოდებით და ახლა შვილის და თანაც ასეთი შვილის სიკვდილს რომ შეიტყობს, მაშინ ხომ სულ აღარ მოგასვენებთო. მერე, იქნებ არც ყაენმა მოგიწონოთ თეიმურაზთან შერიგებაო...

მთელი ღამე თეთრად გაათენა როსტომ მეფემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვირდა კაციშვილს: სპარსელებსაც კი მოულბო გული მათი მოსისხლე ქართველი მეფე-დედოფლის უბედურებამ, ხოლო ქართველები... რა სასტიკი არიან მათივე კეთილისმყოფელი მეუფის მიმართ... ისე კი მართალი უნდა იყვნენ ქართველები: არ იქნება და, ვიდრე პირში სული უდგას, არ გააგდებს ხმალს ხელიდან თეიმურაზ მეფე...

. . . . . .

მეორე დღეს ისევ შეხვდნენ ერთმანეთს ხორეშანი და როსტომი.

ახლა ყველაფერი უნდა თქმულიყო, აშკარად და გადაჭრით.

დაიწყო ხორეშან დედოფალმა: კურთხეულის ბიძათქვენის სვიმონ მეფისაგან და ლევან კახთა მეფისაგან ჩემი დათუნას მეტი ძენაშიერად აღარავინ დარჩენილაო; ჩემ შვილსაც დიაღ თქვენს გვერდით ხლება უნდოდა, მაგრამ მე და თეიმურაზმა არ დავანებეთ, ვითომც იმიტომ, რომ მის მეტი შვილი აღარა გვყავდა, ვაი მის დედას უბედურს! ახლა იგი თათარს ტყვედ დაურჩენიათ და ყაენთან ერანს გაუგზავნიათ! ამას გეაჯებით, ხელმწიფეო, ყაენთან მოგვეხმაროთ, ჩემს დათუნას არაფერი უბედურება შეჰყარონო!

ძლივს დაასრულა და ისევ ცრემლმა უყელა ხორეშანს.

მაშინვე ნუგეში წააშველა როსტომმა: ღვთის შეწევნით, რაც კი ჩემის ხელიდან გამოვა, არაფერს დავიშურებ თქვენს მოსახმარებლადო; ისედაც დარწმუნებული ვარ, ყაენის კარზე თქვენს შვილს სიკეთის მეტს არაფერს მიუგებენო; მხოლოდ ამისთვის მებრალებით, დედოფალო, შვილთან შეხვედრამდის რომ ტირილი და ნაღველი შეგაწუხებთო.

როგორც კი ცრემლი მცირედად დაითრგუნა, ისევ განაგრძო ხორეშანმა: ბევრი შეგცოდეთ მე და თეიმურაზმა, მიტომაც სამაგიერო მოგვიზღა უფალმაო; ახლა თქვენს ხელთ ვართ და შეგვინდეთ; თუ ამდენს შემიხვეწიებთ და პატივს დამდებთ, მე და ჩემს საცოდავ მეუღლეს ამ სიბერის ჟამს ჩვენს საფლავს არ მოგვაშორებთ, კახეთის ნაპირის ალაგნი თქვენ იქონიეთ, მე და თეიმურაზს კი მხოლოდ ჩვენი საძვალე ალავერდი და მისი გარეშემონი დაგვირჩინეო; თავად ღმერთიც დაგიმადლებთ და ქვეყანაც მოგიწონებთო.

მაშ, ისევ კახეთში დარჩენას ითხოვდა თეიმურაზი და მისი სახლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო, სანამ თეიმურაზი კახეთში დგას და თვითონაც „სანამ პირში სული უდგას“, არ იქნება და არ დააყენებს სპარსელთა სისხლში მარადჟამეულად გასვრილ უქარქაშო ხმალს თეიმურაზი.

ასე იყო და ასე იქნება.

სანამ პირში სული უდგას, ჰანიბალი არ დაიშლის საძულველ რომთან ხმალთაკვეთებას.

სანამ პირში სული უდგას, თეიმურაზი არ დაასვენებს სპარსელების სისხლზე დაგერშილ უქარქაშო ხმალს.

ამიტომ „რაღაცნაირად“, მოიარებით და „მოალერსებით“ უარი უნდა უთხრას როსტომ მეფემ კახეთის მეფე-დედოფლის თხოვნას.

და გამონახა „ილათიანმა“ მეფემ „ალერსიანი უარის“ გზა: მაღალი ღმერთი მყავს მოწმედ, რასაც თქვენ მთხოვთ, მისი აღსრულება თქვენთვის არა მშურსო, ამბობდა მეფე, მაგრამ ვაითუ უფრო ცუდად დატრიალდეს საქმეო; თქვენი შვილის ტყვედ ჩავარდნა და თეიმურაზის დამარცხება ყაენს აქამდისინ უკვე მოეხსენებოდა და, ვაითუ ყაენმა თვითონ თქვენ და თეიმურაზი თავის კარზე პირადად გაგიწვიოთ; და ეს რომ მოხდეს, მაშინ ხომ სამიდღემჩიოდ მოითხრებით ძირფესვიანადო!

სწორედ ძლიერად იყო ნათქვამი.

„ილბლიანი“ გამოდგა ხორეშან დედოფლის პასუხიც და ახალი სათხოვარიც: რაკი კახეთს არ დაგვედგომება, ეს წყალობა მაინც გვიყავით, იმერეთს წასვლის ნება მოგვეცით და თანაც იმდენი ცხენი და ჯორი გვათხოვეთ, მე და ჩემი სვეგამწარებული მეუღლე ქუთათისამდე რომ ჩაგვიყვანოსო.

ეს თხოვნა კი „დიდის სიამით“ მიიღო როსტომ მეფემ. მაშინვე უხვად და გულმოდგინებით შეუდგა „მარად მოუშორებელი“ კახელი გვირგვინოსნების კახეთიდან გასტუმრებას (გინა — „ფეხის ამოკვეთას“): „ხუთასის თუმნის ფეშქაში მიართვა და ხუთასი ცხენი და ჯორი ათხოვა და კათალიკოზი თავისის ჯარით თან გააცანა და კახთ უბრძანა: ვისაც გინდათ, ჯალაბობრივ თან გაჰყევითო და ვისაც გინდათ თავკაცათ თან გაჰყევითო, ჩვენ კიდეც გვიაჭებისო და დაგიმადლებთო“.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო 1648 წელი.

თეიმურაზ მეფე ისევ მიდიოდა კახეთიდან, ამოწყვეტილი ოჯახით, შეფერთხილ-შეთხელებული ამალით, გატეხილი გულით, გამშრალი ცრემლსათხეველით.

წავიდა — „კახეთით აიყარა, ქართლი შეიარა, იმერეთს გარდავიდა“.

ხოლო როსტომ მეფემ დათუნა ბატონიშვილის წარკვეთილი თავი, კიდევ სხვა კახელ აზნაურთა თავები და კახეთის სამეფო დროშა, ბოქაულთუხუცესის ელიზბარის (ლუარსაბ ბატონიშვილის ბიძა — დედის ძმა) ხელით შაჰ აბას II-ს გაუგზავნა სპარსეთში.

შაჰი ყანდაჰარს სალაშქროდ ემზადებოდა, როცა საქართველოდან ეგზომ „სასიხარულო ფეშქაში“ მიართვეს. აღტაცებაში მოვიდა შაჰი, რადგან ლაშქრობის წინ ასეთი ძღვენი „ულურისათვის კარგ ნიშნად“ მიიჩნია და მაშინვე შესაფერისი საბრძანისიც გამოაქვეყნა: კახეთი ქართლთან ერთად როსტომ მეფეს დაუმტკიცდესო!

ეს იყო მთავარი.

ხოლო „დანარჩენად“ შაჰმა ელიზბარ ბოქაულთუხუცესს „სამახარობლოდ“ განჯაში სამი სოფელი უბოძა. ხუთას ქართველს ძვირფასი ხალათი ჩააცვა. როსტომ მეფეს, ქართლ-კახეთის აწინდელ მბრძანებელს, შაჰმა კიდევ გამოუგზავნა „თაჯი, თომარი, მურასა ხმალი, ყაენის ფუში, ხალათი და ოქროს იარაღით შეკაზმული ბედაური ცხენი“.

„ილბლიანი“ იყო ქართველთა წარკვეთილი თავებით ასხმული ფეშქაში და „ამიტომაც“ ილბლიანად დაასრულა შაჰ აბას II-მ ყანდაჰარული „ილღარი“.

ისევ გათათრებულმა ქართველებმა და მათმა სარდლებმა — მ ე რ ა ბ-ხ ა ნ მ ა და ო თ ა რ-ხ ა ნ მ ა ისახელეს თავი ყანდაჰარისთვის ბრძოლაში.

ყანდაჰარის ციხიონის უფროსობაც ჯერ მერაბ-ხანს ჩააბარა შაჰმა, ხოლო მალე, მერაბ-ხანის მოულოდნელი სიკვდილის შემდგომ, ოთარ-ხანი შეიქნა ყანდაჰარის მმართველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘᲡᲐ

„აბა თუ ამ გამჭღავნების დღის ანბავი სრულ დაგვეწერა, ტირილისგან კაცი ვეღარ წაიკითხავდა. ამისთვის მოკლებით დაიწერა“.

ფარსადან გორგიჯანიძე

ქუთათისის სასახლეში ალექსანდრე მეფესა და დარეჯან დედოფალს მოახსენეს, როსტომ მეფეს თქვენი მამა თეიმურაზი კაწეთიდან გამოუშვევია და ქუთათისისკენ მოეშურება სვეგამწარებული მეფე ჯალაბით და ამალითო.

დარეჯან დედოფალმა შეიცხადა მშობელთა ახალი უბედურება; დათუნას სიკვდილი კი არც მისთვის გაუმხელიათ ჯერჯერობით და არც ალექსანდრესთვის.

ალექსანდრე მაშინვე შესახვედრ თადარიგს შეუდგა. წინასწარ გენათელი ეპისკოპოსი და ზემო იმერეთის თავადები გაგზავნა შესაგებებლად. „ყველგან ნუზლი და სამასპინძლო მზად დაახვედრეს“ საიმერეთოს მომავალ კახელებს.

თვითონ ალექსანდრე მეფეც გაეშურა „დიდის ჯარითა, მიეგება, ნახეს ერთმანეთი, შექმნეს ტირილი და თავს ცემა“.

გენათელ ეპისკოპოსს კახელ კარისკაცთაგან უკვე შეეტყო დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი. ახლა ალექსანდრე მეფე გაიხმო გენათელმა იდუმალ და აუწყა ცოლისძმის დაღუპვის ამბავი. თან ეს დასძინა მაშინვე „ორჯერ ცალ-ცალკე თემის შეყრის თავი იმერეთს არა აქვს, ამიტომ ახლა, როცა დედაშვილი ხორეშანი და დარეჯანი ერთმანეთს შეხვდებიან და მიუტირებენ, მაშინ თქვენ დათუნა ბატონიშვილის სიკვდილიც უნდა გამოაცხადოთო“.

მეტი საშველი არ იყო და იტვირთა ალექსანდრემ ეგზომ სამძიმო სატვირთებელი.

დედოფალი დარეჯანიც გამოჩნდა მოტირალ ქალთა ასაბიით. ჯერ დედას მივარდა, მერე მამას, შოთქმა-გოდებით.

საგანგებოდ გაწყობილმა მოზარეებმაც დააგზნეს ზარი და ზუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ალექსანდრე მეფემ მხრებზე ხელები ჩაივლო, სამეფო სამოსელნი ჩამოიფხრიწა, თეიმურაზის წინაშე მუხლებზე დაეცა და შეჰბღავლა თავპირის მტვრევით: აღარ გყავს შენი ვაჟკაცი ძე, დათუნა ბატონიშვილი! გმირისა და წამებულის სიკვდილით აღესრულა ურჯულოებთან ბრძოლის ჟამსო!

დათუნა მოკვდაო?!

„ბატონი თეიმურაზ და ორნივ დედოფლები, ვით უსულო მკვდარნი", მიწას დაენარცხნენ.

მაგრამ რა?! მაინც გაჰყარეს სიკვდილისგან სიკვდილის მოწყურალნი.

უკანასკნელი ძე და ძირი მოშლოდა მთელი საწუთროს მანძილზე ჯვარცმულ ხელმწიფეს.

ისევ ცოცხალი იყო, რადგან ჯერ ისევ ვერ მიეთრია აქამდე უმძიმესი ტანჯვით ნათრევი „თავისი ჯვარი" გოლგოთის თხემზე.

ორმოცი დღე-ღამე გლოვობდნენ იმერელნი კახელი გვირგვინოსნების უბედურებას. „ორმოცამდისინ ტირილი და ზარ, იყო. იმერეთის თავადნი და აზნაურშვილნი დილას საღამოს მოუტირებდეს. ვისიც მამული ახლოს იყო, ისინი უმალ მოვიდნენ, ვისიც შორ იყო, ისინი გვიან მოვიდნეს, მრავალი გარდასაბურავი მოიღეს. ალექსანდრე მეფემ გასაკვირვებელი ხარჯი გარდიხადა ცოცხალთა და მკვდართა ზედან... ვინც ამათნი ცოცხალნი დარჩნენ, ორმოცდაათს წლამდისინ ამის გლოვასა და ტირილში იყვნენ და მეფემ ალექსანდრემ ბატონს თეიმურაზს და მის თავადებსა და აზნაურთ ყველას ცალ-ცალკე სოფლები და სარჩო გაუჩინა".

თეიმურაზი კი აღარ ტიროდა.

აღარ ტიროდა, რადგან ცრემლზე უმძლავრეს მწუხარებას მოეცვა იგი.

უსაზღვრო საგოდებელს დაეშრო და დაეშრიტა მისი ცრემლსათხეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ მეფე კახეთს მოგზაურობს

„რა არის ესე სახლი ამა უკაცურსა ქვეყანასა?"

ამირანდარეჯანიანი

როსტომ მეფე კი დინჯად, გულსრულად და თვითდაჯერებით შესდგომოდა აღმოსავლეთ საქართველოს მართვა-გამგეობას.

თეიმურაზ მეფის დაუსვენარი და დაუსრულებელი სამამულო ომებით სისხლდაწრეტილ ქვეყანას როსტომ მეფემ მშვიდობიანობა არგუნა.

თეიმურაზ მეფე დიახაც საქართველოსა და ქართულობის გადასარჩენად იბრძოდა და საამისოდ იგი არც საკუთარ სიცოცხლეს ზოგავდა და არც თანამემამულე ხალხის უმძიმეს მსხვერპლს ერიდებოდა. დიახაც უკეთილშობილეს განზრახვებს ემსახურებოდა მისგან გაღებული სისხლი და მსხვერპლი, მაგრამ ყოველივე მაინც უსაზმნო და უშედეგო აღმოჩნდა.

და აი, როსტომ მეფემ, — თუმცა თვითონაც ხმლის დიდოსტატმა — მაინც მშვიდობიანობის რტოით ხელში დაუნარჩუნა ქართლსა და კახეთს ქართულობაც, ქრისტიანობაც, კერაც, სახლიც, კარიც, ქართული ყაიდის მიწათმეურნეობაც, ქართული წიგნიც და ქართული ზნეობაც.

. . . . . .

იმავე 1648 წლის მიწურულს როსტომ მეფემ თავის შვილობილსა და მემკვიდრეს დიდი ქორწილი გადაუხადა. ცოლად შერთო ჩვენთვის უკვე ცნობილი — გათათრებული ადამ სულთან ანდრონიკაშვილის ასული — თ ა მ ა რ ი. საქორწილო ღრეობანი მთელი ზამთარი გაგრძელდა, ხოლო მომდევნო წლის დამდეგს მეფე, მთელი თავისი სამეფო სახლეულით, კახეთის დასავლელად და დასათვალიერებლად გაემართა.

ნადირობით შემოიარა ლილო, სამგორი, სართიჭალა, მანავი, საგარეჯო, შირაქი, ქიზიყი და სრულიად ალაზნის ველი.

ყველგან დანგრეულსა და აოხრებულ სოფელ-ქალაქებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღირიცხავდა და ხელახალი აღდგენა-აღორძინების განკარგულებას იძლეოდა.

ათ დღეს ალავერდს შერჩსეი.

ალავერდის აოხრებული და იავარქმნილი ტაძარი სრულიად შეაკეთებინა როსტომმა.

სანამ ტაძარი ხელახლა შენდებოდა, მახამ მარიამ დედოფალი აქ განსვენებულ კახელ მეფეთა და მათ სახლეულთა სულის მოსახსენებლად ჟამს აწირვინებდა, პარაკლისს უმართავდა, აღაპს უწყობდა, მეორმოცეებს უყენებდა და თვითონაც ყველას ცალ-ცალკე დაიტირებდა.

(მართლაც საოცარი რამ იყო სამეგრელოს მთავრის კარზე აღზრდილი ქალის „ზოგად-ქართული ეროვნული თვითშეგნება“!).

ოცი დღე ალონს იდგნენ და ალაზნის ველზე აფეთქებული ნაირსახოვანი ყვავილების ცქერით ტკბებოდნენ.

მერე გრემს მივიდნენ.

შეძრწუნდა მეფე-დედოფალი. დანგრეული და მიწას განრთხმული ესვენა ერთ დროს სიმდიდრით და ბრწყინვალებით საქვეყნოდ სახელგანთქმული კახეთის სატახტო ქალაქი.

მარიამმა ახლა გრემის ნანგრევები მოიტირა მხურვალე ცრემლით.

ხოლო, „რა როსტომ მეფემ ამ რიგი სახელმწიფო სასახლე ასრე აოხრებული ნახა, საწუთროს გაუტანლობას შეუწყინდა“, მაშინვე თავის გაზრდილსა და მემატიანეს — ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ს მიუბრუნდა და უთხრა: ერთი რაიმე მუნასიბი ლექსი გვითხარ გრემის სასახლეზედ, იქნებ ნაღველი და შეჭირვება გარდამეყაროს გულიდანო.

და თქვა ფარსადან გორგიჯანიძემ „მუნასიბი ლექსი“;

„ღმერთმან ძალ მომცეს სათქმელად გრემის სასახლის ქებაო,
ვისაც გენახოს ეს ასრე, რად გული დაგედებაო,
ესე სოფელი ცუდია, არვის არ გასთავდებაო,
და ამის ამშენი რომ მოკვდეს, თქვენ ცეცხლი მოგედებაო“.

არავინ იცის,მოიწონა თუ არა როსტომ მეფემ ეს უხეირო „მუნასიბი“. ისე კი ბრძანა, შესდგომოდნენ დაქცეული გრემის სასახლისა და ტაძრის ხელახალ აღმშენებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე ხანს ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო სამცხეში დატრიალებულმა ამბებმა.

მკითხველს ახსოვს: 1628 წელს გამოჩენილი ქართველი მამულიშვილი, მარაბდის ბრძოლის გმირი, მანუჩარ III ათაბაგი ბიძამისმა ბექამ მოწამლა, თურქთა ჩაგონებით. იმავე წელს სულთანმა სამცხე (იგივე ჩილდირის, ანუ ახალციხის საფაშო, — ანუ გურჯისტანის ვილაიეთი) სამმართველოდ გადასცა უკვე გათათრებულ ბექას, რომელმაც ახალი, „თათრული სახელიც“ დაირქვა — ს ა ფ ა რ ფ ა შ ა.

საფარ ფაშა გახელებით სდევნიდა ქრისტიანობას, ქართულ მამულიშვილობას და ქართულ კულტურას. ქრისტიან ქართველებს უმძიმეს გადასახადს უწესებდა ყოველნაირ ქონებაზე და შემოსავალზე. „შეჰკვეთა ხარკი ქრისტიანეთა სულზედ დრაჰკანი და ყოველსა მოსავალსა ზედა ხილითურთ შვიდისთავი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, ცხენსა და კამეჩზედ ექვსი შაური, ხოლო საფაშოთ ხარკი დრაჰკანის მესამედი, რომელ არს ათი შაური“. მაღალ-კულტურულ ქართულ მიწათმეურნეობას ოსმალური მიწათმეურნეობა და საგადასახადო განწესება სცვლიდა.

ურჯუკი ისლამიტები მუსრავდნენ და იტაცებდნენ ქრისტიანულ, ქართულ წიგნებს და ნივთებს, ანგრევდნენ ტაძრებს, აგებდნენ მეჩეთებსა და მინარეთებს.

ჭეშმარიტი მორწმუნენი და მამულიშვილნი იძულებული იყვნენ ძვირფასი სასულიერო, საერო და სახელოვნებო ნივთები მიუვალ-მიუგნებელ სამალავებში გადაემალათ, ან სამცხიდან გაეპარებინათ და საქართველოს სხვა კუთხეებში შეეფარებინათ და შეეხიზნათ.

საფარ ფაშას შემდგომ წესად იქცა: სამცხის, ანუ „გურჯისტანის ვილაიეთის“ ყოველი ახალი მმართველი აუცილებლად სტამბოლს უნდა სწვეოდა და „სათანადო მისართმეველის“ (ანუ „ქრთამის“) გაღების შემდგომ ხონთქარს უნდა დაემტკიცებინა.

საფარ ფაშა რომ მოკვდა (1635 წ.), მისი შვილი უ ს უ ფ

ფაშა ეწვია სტამბოლს ქრთამით წელგაზნექილი... და დაბრუნდა იქიდან „წელგამართული“ და ფაშად წოდებული.

უსუფ ფაშაც „იყო ფრიად მაჰმადიანი“, ქრისტიანობა-ქართველობის მომტერე და დამაქცევარი. იგი „მოიძულვებდა ქრისტეანობასა და შესძინებდა ᲐᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡᲐ და აღმოიფხვრებოდენცა წესნი და რიგნი ქრისტეანობისანი ყოველნივე და შეემატებოდნენ მაჰმადს, ვინადგან განაგებდა და გარდავლიდა დღეთა თვისთა ნებითა მათითა და სჯულითა“.

უსუფ ფაშას ერთი ასული ჰყავდა — ე ლ ე ნ ე, საოცრად ლამაზი, სათნო და გონებიერი გოგონა. ვაითუ ხონთქარმა წამართვას და გამითათროს შვილიო, იფიქრა მამამ და გურიის მთავარს მალაქია კათალიკოსს გამოუგზავნა, რათა „შეენახა ვიდრე ქვეყნის გარემოება შეიცვლებოდა“.

მალაქიაც შვილივით უვლიდა „თათარი ქართველის“ ქრისტიან შვილს.

გურიაში მაშინ იტალიელი მისიონერები მოღვაწეობდნენ, პატრი ქრისტეფორე კასტელის მეთაურობით. ელენე ხშირად დაიარებოდა კათოლიკე ბერების წირვა-ლოცვაზე. მალე კათოლიკედ მოინათლა გოგონა. ქრისტეფორე კასტელი იყო მისი სულიერი მამა და მოძღვარი. „მთელს გურიაში ლაპარაკობდნენ ელენეს სილამაზესა და სათნოებას“.

უსუფ ფაშა „რაღაცის გამო“ ხონთქარმა სტამბოლს გაიწვია და იქ დააკავა.

ელენეს სიმშვენიერის ამბავმა ისფაჰანს ჩააღწია და ქართველ ქალებზე დახარბებული სპარსული კარი ერთჯერ კიდევ ააფორიაქა. შაჰმა გურიის მთავარს შემოუთვალა, შენთან შემოფარებული ქალი გამომიგზავნე, ცოლად უნდა შევირთოო. მალაქიას ერანის კართან დაახლოება სწადდა და ელენეს სპარსეთის დედოფლობა „ურჩია“. ელენემ ცივი უარი თქვა „გათათრებაზე“ და „თათრის დედოფლობაზე“. ქრისტეფორე კასტელიც ამას შეაგონებდა — „მტკიცედ მდგარიყო და არ შეეწყნარებინა ურწმუნოს მეუღლეობა“.

ოსმალო აეშაგებმა გურიიდან სტამბოლს აცნობეს ელენეს გარშემო ამტყდარი ამბები. მაშინვე ხონთქარის ბრძანებაც მოუვიდა მალაქია გურიელს: „ელენე ჩემი ქვეშევრდომია და

ებთვის მინდა, საჩქაროდ გამომიგზავნე, და თუ არ გამოგზავნი, ჩემს რისხვას ვერ გადაურჩებიო“.

მალაქია შავ დღეში ჩავარდა. გამოსავალი აღარ ჩანდა — ან მგელი გაგლეჯდა, ან მგლისფერი ძაღლი. ლევან დადიანს შეუთვალა, მირჩიე, როგორ მოვიქცეო. ლევანმა „არხეინი რჩევით“ უპასუხა: ელენე სამეგრელოში გამომიგზავნე და ხონთქართან ყველაფერი მე დამაბრალეო.

მართლაც ასე მოხდა. ელენე გურიის მთავარმა სამეგრელოს მთავარს გაუგზავნა. ახლა ლევან დადიანი შეუჩნდა გოგონას სპარსეთის დედოფალი უნდა შეიქნეო; სპარსეთის სატახტო ისედაც სულ ქართველებით არის სავსეო; ამიტომ ისფაჰანი, კაცმა რომ თქვას, უფრო ქართული ქალაქია, ვიდრე სპარსულიო და იქაურ ქართველობასაც შაჰის ცოლობით, და დედოფლობით ისეთსავე სამსახურს გაუწევ, როგორც ებრაელმა ქალმა ესთერმა იხსნა თავისი ხალხი ძველ სპარსეთშიო.

ისევ უარი თქვა ელენემ. ვერ იქნა და ვერ დაითანხმა იგი ლევან დადიანმა — ვერც „ტკბილი ჩიჩინით“, ვერც მუდარით, ვერც მუქარით. ბოლოს, ვითომც დაჰყვა ქალის ნებას დადიანი. რაკი შენსას არ იშლი, ისევ მალაქია კათალიკოსთან დაბრუნდი გურიაშიო, — და გაუშვა წინასწარგანზრახული კარისკაცების თანხლებით. ამათ გურიის გზიდან გადაუხვიეს, ელენე ქართლზე გადაატარეს და სპარსეთის გზას გაუყენეს. ტირილითა და წუხილით დაქანცული ქალი შაჰს მიჰგვარეს.

ელენე „თათრის დედოფალი“ შეიქნა, მაგრამ ქრისტიანობა მაინც დაინარჩუნა.

. . . . . .

უსუფ ფაშა 1648 წელს მოკვდა. დარჩა ერთი ძე, ხარჭის ნაშობი. სახელად რ ო ს ტ ო მ ი, რომელსაც ხონთქარმა უბოძა მამის მემკვიდრეობა — „„გურჯისტანის ვილაიეთის“ ფაშობა.

როსტომ ფაშა მამისა და პაპის ანტიქართულ პოლიტიკას განაგრძობდა დიდის გულმოდგინებით. მაგრამ მის დროს მაინც გაჩნდა „სიახლე“ სამცხის გათურქების უმძიმეს გზაზე.

მანამდე ახალციხის ფაშებს, წარმომავლობით ქართველებს, ხონთქარის კარი პირად გამაჰმადიანებას უბრძანებდა, ხოლო ოჯახის წევრთა გათათრება სავალდებულო არ იყო. ასე რომ,

ცოლები ახალციხის ფაშებს ისევ ქართველები და ქრისტიანები ესვათ. მაგრამ ახლა ხონთქარმა როსტომ ფაშას შემოუთვალა, აუცილებლად შენი ცოლიც უნდა გაამაჰმადიანოო.

ქვა ააგდო და თავი შეუშვირა როსტომის ცოლმა, — ცოცხალის თავით ქრისტეს სჯულს არ დავაგდებ და მაჰმადის გზას არ შევუდგებიო. მაგრამ არ იქნა და არ მოეშვნენ. ქალმა კლდეზე დააპირა გადავარდნა. ძლივს მიუსწრეს და გადაარჩინეს. კიდევ არ მოუსვენეს. ქალმა სახრჩობელაში გაჰყო თავი. ისევ მიუსწრეს და არ დაანებეს სიკვდილი. ჩაკეტეს, აშიმშილეს, ამწყურვალეს და ისე დააუძლურეს, რომ საცოდავმა ქალმა ბოლოს ესღა ამოსთქვა: „სანამ სამცხე-საათაბაგოში ერთი ქალიც კი ქრისტიანად დარჩება, მანამ მე ქრისტიანობაზე ხელს არ ავიღებ და ცოცხალის თავით არ გავთათრდებიო“.

ქალს იქნება არც კი მიუცია ეგზომი მნიშვნელობა ამ სიტყვისათვის, ხოლო თურქეთის ხელისუფლებამ დაუძლურებული ქალის ეს ჰაიჰარად წათქვამი ხელზე საბაბად დაიხვია და სამცხე-საათაბაგოში ქალთა გამაჰმადიანებასაც შეუდგა. თითქმის ყველა წარჩინებული ქართველი ქალი „გაათათრეს“. როსტომ ფაშას ცოლიც გასტეხეს და გაამაჰმადიანეს.

ქალთა გათათრება სწორედ უდიდესი ეროვნული უბედურება იყო.

„მიერითგან იქმნა რისხვა ღმრთისა საათაბაგოს ზედა: განირყუნა წმინდანი ეკლესიანი, შეირია და იავარ-ყვეს ყოველივე უსჯულოთა თათართა, დაიპყრეს და ყვეს წმინდანი მონასტერნი სამროწლედ და ცხოვართა სადგურად. და დაუტევეს მნეთა ეკლესიისათა და სამღდელოთა კრებულთა, ეპისკოპოზთა და მოწესეთა კაცთა, საყოფელი თვისი, წარიღეს თანა წმიდანი ხატნი და ჯვარნი და ნაწილნი და წარმოვიდეს რომელნიმე ქართლსა შინა და რომელნიმე გურიას და იმერეთს, და დაემკვიდრნენ იგინი სანახებთა ქართლისათა და იმერეთისათა. და რომელნიცა დაშთეს მუნ ნეშტნი ქრისტიანენი, იგინიცა მძლავრებით და იძულებით მიიზიდნეს თვისათ და მცირედ-მცირედ ვიდრე აქამომდე მიდრკეს ქრისტიანობისაგან, და აწ სრულიად არღარა იპოებიან მუნ მორწმუნეთაგანი, თვინიერ კლარჯეთისა მსხემთა, რომელ არს ჯავახეთი“...

აი, რა „სიახლემ“ მიიპყრო ქართული საზოგადოებრიობის ყურადღება იმ უბოროტეს დრო-ჟამში.

მხოლოდ „მიიპყრო“ და მეტი არაფერი, რადგანაც „ყოველ საქართველოს“ თავისი, „საკუთარი“ ტკივილები სტანჯავდა უსაშველო ტანჯვა-წამებით.

ისევ ფესვების იმედით

თეიმურაზ მეფეს ძეთაგან აღარცერთი აღარ შემორჩენილა. სამი ვაჟისგან სამივე უკვე მკვდარი ჰყავდა, მაგრამ ბრძოლაზე ხელის აღებას მაინც არ აპირებდა სვეგამწარებული, შვილებანაწყვეტი ბებერი მეფე.

ტანგამხმარმა ხემ ჯერ ისევ სიცოცხლის ნიშატიანი ფესვების ჩხრეკა დაიწყო.

თეიმურაზს შვილიშვილები დარჩენოდა, დათუნა უფლისწულის ძენი — გ ი ო რ გ ი, ლ უ ა რ ს ა ბ ი და ნ ი კ ო ლ ო ზ ი (ერეკლე), და ერთიც ასული — ქ ე თ ე ვ ა ნ ი.

ჯერ გიორგის შესციცინებდა თეიმურაზი დიდის სასოებით. მაგრამ გიორგიც სიკვდილმა წარსტაცა და ლუარსაბი და ნიკოლოზი შემორჩნენ უკანასკნელ იმედად...

ისევ კახეთისკენ მოუწევდა გული კახეთის მეფეს. მხოლოდ ჯარი უნდოდა და ჯარი არ ჰყავდა. არც მის სიძეს ალექსანდრე იმერთა მეფეს შეეძლო დახმარება, ლევან დადიანის გადამკიდე. აკი სამეგრელოს მთავარი განუწყვეტლივ ლაშქრავდა და აოხრებდა იმერეთს. მით უფრო, თუ ლევან დადიანი ალექსანდრე მეფეს იმერეთიდან გასულს დაიგულებდა, მაშინვე თვითონ ჯარით „იმერეთს ჩამოუდგებოდა“. რა უნდა ექნა ქუთათისის ფეხებმორყეულ ტახტზე მჯდომარეს, როცა „ლევან დადიანი ძრიელი ბატონი იყო და მეფეს როსტომს მისი და მარიამ დედოფალი ცოლად ჰყვანდა. ყაენიც მწყალობელი და ლაშქრითა და სალაროთ მომხმარებელი ჰყვანდა“.

საგანგებოდ ჩავიდა თეიმურაზი ოდიშს, ლევან დადიანს ესტუმრა და ალექსანდრესთან შერიგებაზე სიტყვა ჩამოუგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე ი მ უ რ ა ზ I-ის ოჯახური შტონი:



თეიმურაზი და ლევან დადიანი ორივე ალექსანდრე კახთა მეფის შვილიშვილები იყვნენ, პირველი — მამით, მეორე — დედით, და ამდენად ბიძაშვილ-მამიდაშვილებად მოხვდებოდნენ ერთმანეთს. ამიტომაც ლევანი ძალიან პატივისცემით შეხვდა თეიმურაზს. კიდევაც აპირებდა დადიანი, დათანხმებოდა თეიმურაზის შუამდგომლობას — შერიგებოდა ალექსანდრეს და ტყვეობიდან გაეშვა მისი ძმა მამუკა ბატონიშვილიც. მაგრამ მაინც იმძლავრა ქუთათისიდან გაძევებულმა და ზუგდიდს თავშეფარებულმა პაატა „წუწკმა". შეუჩნდა იგი ლევან დადიანს: მტრის შერიგება იმას ნიშნავს, კაცმა ყელი საკუთარი ხელით გამოიჭრასო. და თავისი გაიტანა კიდეც „წუწკმა", — თეიმურაზი ხელცარიელი და იმედგაცრუებული დაბრუნდა ქუთათისს.

თურქეთიდანაც აღარავითარი იმედი უნდა ჰქონოდა თეიმურაზს, რადგან თურქეთი და ერანი ჯერჯერობით მაინც „მტკიცედ" იყვნენ დაზავებულნი.

მაშინ ისევ ჩრდილოეთის გზა ამოიღო მიზანში თეიმურაზ მეფემ.

ისევ რუსეთი!

ერომორწმუხე, „ქრისტესმიერი საძმო“ ქვეყანა!

შეუჩნდა ალექსანდრეს თეიმურაზი და დაიყოლია, სასწრაფოდ ელჩები გაეგზავნათ მოსკოვში და დახმარება ეთხოვათ რუსთა ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძე რომანოვისათვის.

1649 წელს მოსკოვში ჩავიდნენ ქართველ მეფეთა ელჩები — თავადი ივანე გრიგოლაშვილი, არქიმანდრიტი პახომი, მღვდელი დავითი და ბერი ვასილი. 13 აგვისტოს ისინი მიიღო საელჩო პრიკაზის უფროსმა — დუმნი დიაკმა მიხეილ ვოლოშენინოვმა.

იმერეთის მეფე რუსეთის ხელმწიფეს სთხოვდა „მფარველობაში აყვანას“ და ლევან დადიანის წინააღმდეგ კაზაკების გამოგზავნას. უკეთუ ეს ასე მოხდებოდა და ალექსანდრე სამეგრელოს მთავრის მაოხარი შემოსევებისაგან თავს დაიხსნიდა, მაშინ იმერეთს შესაძლებლობა ექნებოდა თეიმურაზს კახეთის ტახტის დაბრუნებაში დახმარებოდა.

თვითონ თეიმურაზი ალექსი რომანოვს 20 000 რუს ჯარისკაცს სთხოვდა დამხმარე ძალად. თან მოყვრობასაც სთავაზობდა — თქვენი დაი ჩემს შვილიშვილ ლუარსაბს შევრთოთ ცოლად. უკეთუ არც ერთი და არც მეორე არ მოხერხდებოდა, მაშინ თეიმურაზი რუსთა ხელმწიფეს სთხოვდა, ერანს შაჰზე გავლენა მოეხდინა და კახეთის სამეფო ისევ მისი „კანონიერი მეფისათვის“ დაებრუნებინა.

რომანოვების სამეფო კარზე საქართველოს „დიდსახელმწიფოებრივი საქმეები“ ისევ დააკნინეს და დაანამცეცეს. რუსეთის მთავრობას ისევ არ ეცალა დაღუპვის უფსკრულზე გადამხობილი საქართველოსთვის. საერთოდ „სამხრეთული“ ანუ „კავკასიური“ საქმეები ბოლო ადგილზე ჰქონდა გადაჩოჩებული მოსკოვის დიპლომატიურ უწყებას. მთავარი მაშინ ისევ „დასავლეთისა“ და „ჩრდილოეთის“ საქმეები იყო რუსეთისათვის. არც ერანთან და თურქეთთან ურთიერთობის წახდენა სურდათ რუსეთის მესვეურებს. ერანთან ვაჭრობას და ერანულ აბრეშუმს თეიმურაზის „პოლიტიკური წუწუნისათვის“ როდი გასწირავდა რუსთა ხელმწიფე. კაზაკების გაგზავნაც

ღასავლეთ საქართველოში რუსეთს თურქეთის „საშინაო საქმეებში ჩარევად“ მიაჩნდა და ამნაირ „გაუფრთხილებელ ნაბიჯსაც“ ინერტიული და დონეალო ალექსი რომანოვი ასე იოლად ვერ გადადგამდა.

ერთადერთი, რაც რუსეთის სამეფო კარზე ძალიან მოიწონეს და უყოყმანოდაც მიიღეს, ეს იყო იმერეთის შესვლა რუსეთის „მფარველობაში“. რუსეთის ხელმწიფეებიც ჩვეულებრივი „მსოფლიო დემობორები“* იყვნენ და იმათაც ძალიან იტაცებდათ ახალ-ახალი ქვეშევრდომებისა და ვასალების აყვანა. მით უმეტეს თუ ასეთი „აყვანა“ ნებაყოფლობის სახით ეოხდებოდა.

1650 წლის 10 ივნისს ქართველი ელჩები სამშობლოში დაბრუნდნენ, საჩუქრებით, ტკბილი სიტყვებითა და „სამომავლო“ დაპირებებით დატვირთულნი.

მათ რუსი ელჩებიც ჩამოჰყვნენ — ნ ი კ ი ფ ო რ ე ტ ო ლ ო ჩ ა ნ ო ვ ი და ა ლ ე ქ ს ი ი ე ვ ლ ი ე ვ ი.

რუსთა ხელმწიფე იმერთა ხელმწიფეს „სიტყვაზე იმერდა“ და „მფარველობაში“ შესვლისათვის „ერთგულების ფიცს“ ითხოვდა.

ხოლო თეიმურაზ მეფეს ალექსი რომანოვი სთხოვდა მოსკოვის კარზე ერთ-ერთი უფლისწულის გაგზავნას. ამჟამად ლაპარაკი შეიქნა უფლისწულ ნიკოლოზის გარშემო, თეიმურაზი თავის მხრივ ამას ამბობდა — ნიკოლოზს იმ შემთხვევაში გავგზავნი, თუ რუსთ ხელმწიფე ცოლად თავის დას შერთავსო. ტოლოჩანოვს კი ასეთი თანხმობის რწმუნება თავისი მეუფისაგან არა ჰქონია...

1651 წლის 9 ოქტომბერს იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ და მისმა დარბაზმა ხელი მოაწერეს რუსეთის მეფის „ერთგულების ფიცს“.

თეიმურაზს ისევ უნდა ეთმინა.

მაგრამ მოთმინების „მარაგიც“ სავსებით დასწრეტოდა

---

* „დემობორი“ — „ხალხის მჭამელი“ — ჰომეროსი უწოდებს ყოველ მეფეს.

ცხოვრების ჟამგასულ ეტლში უძლურად ჩაკეცილ მეფეპოეტს.

იმერეთის სამეფო კარსაც უკვე გასჭირვებოდა მეფის „მეფური“ შენახვა: „ბატონი თეიმურაზი იყო მუნვე იმერეთს, დიდად გლახაკად, უღონოთ საჭურჭლითა და საზრდელითა მოუძლურებული წლისა სამოცდაათისა... და დიდად მოკლებულ იქმნა საზრდელთა და საჭიროთა სახმართაგან“.

რუსული სიასამური
სპარსული ხალათის წინააღმდეგ

1652 წელს თეიმურაზმა, ბოლოს და ბოლოს, აღასრულა რუსეთის ხელმწიფის თხოვნა (გინა — მოთხოვნა) — მოსკოვს „ასაყვანად“ და „აღსაზრდელად“ გაგზავნა თავისი შვილიშვილი, ათი წლის ნიკოლოზ დავითის ძე.

უფლისწულს თან მიჰყვებოდნენ: დედამისი ელენე, მამამძუძე ლაზარე დავითაშვილი, თავადი ივანე გრიგოლაშვილი და ასკაციანი ამალა.

ჩრდილოეთ კავკასიაში რომ გადავიდნენ, სპარსეთის შაჰის წაქეზებით ყუმიკები დაეცნენ თავს. ყველანი დაძარცვეს, ამალის დიდი ნაწილი ამოწყვიტეს, გრიგოლაშვილიც მოჰკლეს და მისი ცოლ-შვილი სპარსეთის შაჰს გაუგზავნეს. სიკვდილს გადარჩენილებმა თერგს მიატანეს და იქიდან რუსი მეგზურები გაუძღვნენ მოსკოვისკენ.

1653 წლის ნოემბერში, ნიჟნი-ნოვგოროდს რომ მიაღწიეს, ქართველებს მეფე ალექსისგან გამოგზავნილი მაღალი კარისკაცები შემოეგებნენ — სტოლნიკი თავადი მიხეილ პროზოროვსკი, აზნაური ათანასე პრონჩიშჩევი და დიაკი გლებ პატრაკეევი.

რუსთ ხელმწიფის ბრძანებით, ქართველ სტუმართა სამსახურად ყველას „თავისი ადგილი“ ჰქონია მიჩენილი: თავადი პროზოროვსკი უფლისწულ ნიკოლოზის ეტლს დაუდგა მსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ად, ხოლო ჰრონჩიშჩევი და პატრაკეევი დედოფალი ელენეს ეტლს დაუდგნენ აქეთ-იქით საფეხურებზე. ამათ საგანგებოდ უნდა ედევნებიათ თვალყური ეტლს ბორბალი არსად ჩავარდნოდა ხრამებსა და ღრანტეებში.

27 დეკემბერს მოსკოვს მიადგნენ. ტვერის კარიბჭესთან ქართველებს მიეგებნენ თავადი ხილკოვი და დიაკი დოხტუროვი. ქალაქის მოსახლეობაც დიდის ამბით შეხვდა საძხრეთიდან მოსულ „ქრისტესმიერ ნათესავებს“.

1654 წლის 1 იანვარს ნიკოლოზ ბატონიშვილი წაიყვანეს რუსეთის ხელმწიფესთან შესახვედრად. კრემლის სახელგანთქმულ „წახნაგოვან პალატასთან“ ქართველ უმაწვილს და მის ამალას „სამსაფეხურიანი“ შეხვედრა მოუწყვეს: ჯერ, მისასვლელთან გამოეგებნენ და წარუძღვნენ თედორე კურაკინი, თედორე პლეშჩეევი და გრიგორი ოდინცევი; მერე — კარებთან შემოხვდნენ უფრო მაღალი კარისკაცნი — თავადი გრიგორი კურაკინი, თავადი ანდრეი ხილკოვი და ალექსანდრე დუროვი; ბოლოს, ხელმწიფესთან შესახვედრად წარუძღვნენ უწარჩინებულესი ბოიარები — თავადი ალექსი ტრუბეცკოი, თავადი ივანე ხილკოვი და მდივანი სემიონ ზაბოროვსკი.

არასოდეს უმაწვილ უფლისწულს მისი „ოჯახდაქცეული“ პაპის კარზე ასეთი ზარზეიმი არც უნახავს, არც მოლანდებია. მაგრამ ესოდენ უცხო და თავბრუდამხვევი ბრწყინვალებით აღსავსე სახელმწიფო სასახლეში ნიკოლოზს თავი მაინც საკვლებით თავისუფლად და თვითდაჯერებით ეჭირა. ქედამართული და მხარგაშლილი მიაბიჯებდა დიდი სახელმწიფო ტახტისაკენ, სადაც მას დიდი ხალხის ხელმწიფე ელოდებოდა.

ტკბილად და ალერსიანად შეხვდა ქართველ უფლისწულს ალექსი რომანოვი. მაშინვე საზეიმო სადილზე მიიწვია ქართველები. სადილს მეფესთან ერთად ესწრებოდნენ რუსეთის სასულიერო და საერო მესვეურნი — პატრიარქი ნიკონი, თავადები — ტრუბეცკოი, კურაკინები, ხილკოვები.

მეფემ ხელმარჯვნივ ნიკონი დასვა, ხელმარცხნივ — ნიკოლოზ ბატონიშვილი და მისი გამზრდელი ლაზარე დავითაშვილი.

ისევ ღირსეულად ეჭირა თავი უმაწვილს. იგი თავის დიდებულ პაპას — თეიმურაზს ჰბაძავდა. სადღეგრძელოს მოზომი-

ღი სიტყვით ამბობდა და სასმურს დინჯად, აუჩქარებლად სკამდა.

ძოხიბლულნი შესცქეროდნენ მასპინძლები სტუმრებს. ძალიან მოსწონდათ ნიკოლოზი, საოცრად ახოვანი, მხარბეჭიანი, სახით სახიერი, წყობილნაკვთოვანი, ძლიერი თვალებით, არ სჯეროდათ, რომ ნიკოლოზი მაშინ თორმეტი წლისა იყო. უფრო თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისას ჰგავს ეს ქართველი ჭაბუკი, ამბობდნენ მისი მხილველნი.

სადილი რომ დასრულდა, დიდის პატივით გააცილეს ქართველები. ისევ „საფეხურებიანი" განრიგებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს რუსი კარისკაცები ნიკოლოზ ბატონიშვილის სამსახურში. ბინაზე სამსახურისათვის ტრუბეცკოი გაჰყვა უფლისწულს.

ასე განმეორდა რამდენჯერმე — მიღება, ზეიმი, ნადიმი, გაცილება, „განსვენება".

როცა კი ნიკოლოზი მეფის სუფრას არ ესწრებოდა, ალექსი რომანოვი თავად პეტრე ჩერკასკის ხელით ნიკოლოზს სახლში უგზავნიდა „მის წილ" სადილს, იმდენს, „რამდენსაც სუფრა დაიტევდა". თანაც, ჩერკასკის და მის მხლებლებს ევალებოდათ ქართველ უფლისწულთან ელაპარაკნათ ზედმიწევნით „მორიდებით და სიფრთხილით", ჩაენიშნათ ყოველი მისი ნება-სურვილი და მოეხსენებიათ მეფისთვის.

სრულიად მოსკოვი — „დიდი" და „მცირე", კაცი და ქალი — აღტაცებით ლაპარაკობდა ახოვან, მშვენიერ და ჭკვიან ქართველ ბატონიშვილზე.

რუსეთის დედოფალი, მეფე ალექსის თანამეცხედრე — მარია ილიას ასული მილოსლავსკაია მაშინ ფეხმძიმედ იყო და უკვე თვეში იდგა, მაგრამ მან საგანგებო სადილზე მაინც მიიწვია ნიკოლოზ ბატონიშვილის დედა — ელენე დედოფალი. საგანგებოდ წარგზავნილმა თავადთა ცოლებმა მოიყვანეს შინიდან სასახლეში ქართველი ქალი.

საზეიმო სადილი „ოქროს პალატაში" გაიმართა. რუს სეფე-ქალთა საკრებულო ძალიან მოიხიბლა ელენეს აღზრდილობით, ნიჭიერებითა და სათნოებით. ბევრი ცრემლიც ჰღვარეს მისი წუთისოფლის ეგზომი სვედავსილობის გამო, მისი მეუღლის — მამაცი მამულიშვილისა და ჭეშმარიტი რაინდის, დავი-

თის (დათუნა) დაღუპვის გამო. ერთი სიტყვით, „ფრიად შეიყვარეს“ ქართველი ქალიც და მისი შვილიც.

12 იანვარს მეფემ პატრიარქ ნიკონს საუბარი ჩამოუგდო თავისი დის — ტატიანა მიხეილის ასულისა და ქართველი უფლისწულის ქორწინების შესახებ (აკი თეიმურაზიც ამას ითხოვდა — ჩემს შვილიშვილს რუსთ ხელმწიფის დაი შერთონ ცოლადო). ისე ეტყობოდა, ნიკონი არ იყო მომხრე ასეთი ქორწინებისა.

ხუთი დღის შემდგომ, 17 იანვარს, მეფე ალექსიმ ნიკოლოზ ბატონიშვილი წაიყვანა ზვენიგოროდს, საბა სასწაულმოქმედის ეკლესიაში. ნიკოლოზის მარხილს სტოპჩი აბრამ სვიაზევი მისდევდა მცველად და მსახურად.

ამის შემდგომ ნიკოლოზ ბატონიშვილი რუსეთის მეფის კარზე ყველაზე „მიღებული“ და გაშინაურებული ადამიანი შეიქმნა. იგი ესწრება მეფის ყოველ საზეიმო და შინაურ სუფრას, მეფის გვერდით დგას ყოველ დიდსა და მცირე საელჩოებრივ შეხვედრაზე, უცხოელთა მიღებაზე და პოლიტიკურ საუბრებზე.

უცხოელი ელჩები და სტუმრები პირდაპირ წერდნენ: მოსკოვში მეფის შემდგომ მეორე კაცი ქართველი ბატონიშვილი არისო; მეფე რომ კარეტით მიდის, მეორე კარეტით ქართველი უფლისწული მისდევს, სხვას კი არავის არა აქვს უფლება კარეტით გაჰყვეს მეფესო.

1654 წლის 12 თებერვალს მეფის ვაჟი — ალექსი ალექსის ძე რომ დაიბადა, საზეიმო სუფრაზე უპირველეს საპატიო სტუმრებად მხოლოდ პატრიარქი ნიკონი და ნიკოლოზ ბატონიშვილი ითვლებოდნენ.

იმავე წლის 15 მარტს მეფე ალექსიმ „დევიჩი პოლეზე“ ბოგდან ხმელნიცკის ელჩთა საპატივცემულოდ დიდი სამხედრო აღლუმი გამართა და აქაც მეფის გვერდით ისევ ქართველი უფლისწული ბრწყინავდა, ვითარცა „მეორე კაცი“.

18 მაისს ალექსი რომანოვმა ომი დაიწყო პოლონეთ-ლიტვის მეფესთან — იან კაზიმირთან.

რუს ხელმწიფეს თან მიჰყვებოდა ქართველი უფლისწული.

ხოლო რუსულ ჯარებს წინ მიუძღოდა ღვთისმშობლის ქართული ხატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზს წელზე პაპამისის თეიმურაზის ხმალი ერტყა.

დიდი ბრძოლისთვის ემზადებოდა. სული მისდიოდა, — როდის გააოცებდა რუსებს თავისი სიმამაცით, შემმართებლობითა და „ცხენოსან-ცეროსნობით“.

მაგრამ როგორ გაოცდა და გაოგნდა, როცა მეფემ და მისმა ამალამ ბრძოლაში პირადად მონაწილეობის მიღება არც თვითონ ინებეს და არც „სტუმარ უფლისწულს“ დაანებეს. გაუკვირდა ქართველ ჭაბუკს, რადგან მის ქვეყანაში ხომ მტერზე პირველი მოიერიშენი, მხედრები და ჯარისკაცები სწორედ მეფეები და უფლისწულები არიან.

რუსთა მხედველობამ გაიმარჯვა, მაგრამ ნიკოლოზი მაინც შეცბუნებული ბრუნდებოდა უკან.

დედამისი ელენე რომ შეხვდა, პირველად ეს ჰკითხა შვილს: რამდენი პოლონელი ლიახი მოჰკალი პაპიშენის ხმლითო. ნიკოლოზს სიწითლე მოერია და ენა დაება...

ისევ „შინაურული ცხოვრება“ ქართველი უფლისწულისა რუსეთის ხელმწიფის კარზე. ისევ მონაწილეობა უცხოელებთან შეხვედრებში. ევროპელები აღტაცებული არიან ნიკოლოზისა და მისი ახლობელი ქართველების ხილვით, გაცნობით. სიახლოვით. ერთი მათგანი — რეიტენფელსი წერს:

„ჩვენ არა ერთხელ გვქონდა შემთხვევა, გვენახა იგი (ნიკოლოზ ბატონიშვილი) მოსკოვში, სადაც ის ცხოვრობდა როგორც კერძო პირი, დედით, უჭკვიანესი და უკეთილშობილესი ქალით. მისი ღირსეული შვილი მეფური ახოვანებისა და სულისა გახლავთ, რაიც ოდნავადაც არ დაუკნინებია მის ავ ბედიღბალს. საზეიმო დღეებში იგი თან ახლავს მეფეს მეორე ადგილზე...“.

ახლა ქართველების გარეგნობა ნახეთ! „მათ აქვთ კუპრივით შავი თმა. დიდი, თვინიერი თვალები, არწივისებური ცხვირი, თოვლივით თეთრი კანი: საერთოდ, ისინი ძალიან ლამაზი ხალხია, მათი ქალები ბუნებით ფრიად მიმზიდველნი არიან...“.

. . . . . .

ფეხს იდგამდა და მუხლს იმაგრებდა „ქართული კოლონია“ რუსეთის გულში.

ჭეშმარიტის სიყვარულით, მეგობრობით, ძმობით, თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობით და თანალმობით იშინაურებდნენ რუსები ქართველებს.

შეიყვარეს მოსკოვი და მოსკოველები ქართველებმა.

სალოცავად ქართული სახელწოდების რუსულ ტაძარში დადიოდნენ — ვალდაის „ათონის ივერიის“ ტაძარში.

პატრიარქ ნიკონს გამოჩენილი მხატვრები გაუგზავნია საბერძნეთს, ათონს, ქართველთა („ივერთა“) ტაძრიდან სახელოვანი ღვთისმშობლის გადმოსახატავად. 1648 წლის 13 ოქტომბერს დიდის ზარზეიმით ჩამოუსვენებიათ „ივერიის ხატის“ პირი საბერძნეთიდან მოსკოვში. 1656 წელს ნიკონმა მეორედ გაგზავნა მხატვრები „ქართული ხატის“ გადმოსაღებად და „ქართული ტაძრის“ სრული გეგმის გადმოსახაზავად. სწორედ ამ გეგმის მიხედვით ნიკონმა ააგო ახალი „ივერიის მონასტერი ვალდაიზე“.

ერთად ისმენდნენ „ერთნაირ“ ქრისტიანულ წირვა-ლოცვას ქართველი და რუსი „ქართულ მონასტერში“.

. . . . . .

იმავე ხანს მოსკოვში ჩავიდა ელჩობა თუშთა, ფშავთა და ხევსურთა. მთიელი ქართველობა დახმარებასა და თეიმურაზ მეფის დაბრუნებას ითხოვდა.

დახმარება კი ისევ არ ჩანდა.

ბოლოს, ილაჯგაწყვეტილმა თეიმურაზმა თვითონ გადაწყვიტა რუსეთს წასვლა და წინასწარ მეფე ალექსი რომანოვს ეს წერილი გაუგზავნა:

„დიდ ხელმწიფესა და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს, დიდი და მცირე რუსეთის თვითმპყრობელს, ვლადიმირის, მოსკოვის, ნოვგოროდის, ყაზანის, აშტრახანის ხელმწიფეს, ციმბირის მეფეს, ფსკოვის ხელმწიფეს და ტვერის დიდ მთავარს, იუგრის, პერმის, ვიატკის, ბულღარის, ნოვგოროდის, რიაზანის, როსტოვის, იაროსლავის, ბელოზორსკის, უდორსკის და მრავალთა სხვათა მეფეთა ხელმწიფეს და ივერიის დიდ მბრძანებელს! მე — მორჩილი შენი მსახური, ივერიის მეფე თეიმურაზი მრავალჯერ თაყვანს ვცემ მეფის შენის უდიდებულესობის ტახტსა და მუხლს ვიდრეკ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და დედისა მისის ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავნ მტერნი შენნი შენთა ქვეშე!

მე შევიტყვე, დღეგრძელო და დიდო მეფეო, წასულხარ ლიახზე სალაშქროდ და როცა ჩემამდე ხმამ მოაღწია, — დღეგრძელი მეფე ალექსი მიხეილის ძე მტერზე ლაშქრად მიდისო, მაშინ ჩვენცა გადავიხადეთ მღვდელთმთავრებითა და მღვდლებით პარაკლისი, რათა ღმერთს მოენიჭებია გამარჯვება და ყოველ ჟამსა ამარცხებდე მტერთა შენთა. გარდა ამისა, თავს ვუკრავ მეფისა შენს უდიდებულესობას და თაყვანს ვცემ მეფისა შენის უდიდებულესობის ტახტსა, — მოიღოთ მიწყალება, მომაშველოთ ჯარი, რათა დავეუფლო ქვეყანასა ჩემსა, რომელი იგი იყოს ხელქვეითი მეფის შენის დიდებულებისა. ნუ დაგვტოვებთ აგარიანთა ხელში, ნუ მისცემ მტერსა ჩემსა დასარბევად და გასძარცვავდა წმიდა ეკლესიათა და მონასტერთა.

ებრძანებია მეფისა შენისა უდიდებულესობას: „თუ შენ — მეფე თეიმურაზი — გამომიგზავნი შვილიშვილსა, მაშინ მოგაშველებ ჯარსა, რათა დაიუფლო ქვეყანა შენი, იყავნ ხელქვეითი ჩემი და არა სხვათა“.

და მეც აღვასრულე მეფის შენის უდიდებულესობის ბრძანება, — გამოგიგზავნე შვილიშვილი ჩემი და მეც ვარ ხელქვეითი მეფის შენის დიდებულებისა. და ვითარ მე აღვასრულე მეფის შენის დიდებულების ბრძანება, ეგრეცა შენ მოიღე წყალობა — გამომიგზავნე ჯარი, დე იყოს ივერიის ქვეყანა შენს სახელმწიფოდ, ვითარცა სხვა სახელმწიფოებზედა მბრძანებლობ.

როცა შვილიშვილი ჩემი ნიკოლოზი, დავითის შვილი გამოგიგზავნე, განრისხდა შაჰი ჩემზედა, უნდოდა შეეპყარი და წავეხდინე.

მოიღე ჩემზე წყალობა, დამეხმარე ქრისტეს გულისთვის.

ასე მითვლის ყაენი „ან იყავი ჩემი ხელქვეითი, ან წადი, სადაც შვილიშვილი გაგზავნე, — მოსკოვის მეფესთან და იყავი მისი ხელქვეითი“.

აგერ უკვე რვა წელიწადია, რაც ჩემი სახელმწიფოდან განდევნილი ჩავვარდნილვარ დიდს უბედურებასა და შევიწროებაში. ამჟამად ვიმყოფები იმერეთში — სიძის ჩემის ალექსანდრეს სამფლობელოში. მაგრამ იქაცა შაჰი არ მაყენებს. თუ შე-

ნი უდიდებულესობა ინებებს ჯარის გამოგზავნას ამ ქვეყნების დასაუფლებლად, კარგი იქნება, თუ არა, — მაშინ გამომიგზავნე თერგს ბოიარინი ჯარით, რათა ჯარი ბალყარში მოვიდეს; მეც ჩემის დიდებულებით და შვილიშვილით ლუარსაბითურა მოვალ თერგს და ვიქნები დედოფლით მეფის შენის დიდებულების მფარველობის ქვეშე.

ეგრემც ღმერთმან ინებოს, შემეწიო, — მიბოძო ჯარი ქვეყნისა ჩემის დასაუფლებლად!

გიგზავნი წერილსა ამას ელჩის ჩემის დიმიტრი იეზიკილოვიჩის ტორებნინის ხელით და გიგზავნი შენ წმინდა ნაწილს — ფეხის დიდ თითსა დედი ჩემისას, რომელიცა აწამა შაჰ აბასმან სექტემბერსა ცამეტს. ორმოცი წელიწადია, რაც მან იგი აწამა, უწოდებდნენ მას ეკატერინეს.

იყოს წყალობა მეფის შენის დიდებულებისა, რათა მოვიდეს ჯარი ბალყარში თერგს ჩემს წასაყვანად, რათა არ წავხდე აგარიანთაგან, არ იქნას ცოდვა ღმერთისა წინაშე და შერცხვენა ქაცთა წინაშე.

მეფე თეიმურაზი,
1656 წელი, 24 აპრილი".

წერილი რომ გაგზავნა, თეიმურაზმა ოჯახი ქუთათისს დასტოვა და ამალის თანხლებით ბალყარეთისა და თერგისაკენ გაემართა.

ალექსი რომანოვს წერილის წაკითხვისთანავე ბრძანება გაეცა, ჯარი გაამზადეთ ქართველ მეფესთან შესახვედრადო. წინასწარ ხელმწიფის საგანგებო რწმუნებული ჟ ი დ ო ვ ი ნ ო ვ ი გაეშურა თეიმურაზთან ფულითა და სიასამურის სამოსით. თერგზე კიდევ ცალკე ელოდა პრისტავი ა ნ დ რ ე ი ვ ე ლ ი ა მ ი ნ ო ვ ი, რომელიც უნდა ჰხლებოდა და წასძღოლოდა მოსკოვისკენ მიმავალ ქართველ ხელმწიფეს.

ორი წელიწადი გაგრძელდა თეიმურაზისა და მისი ამალის მგზავრობა კავკასიონიდან მოსკოვამდე. 1657 წლის 7 მაისს საარატოვს მიაღწიეს და აქედან კიდევ მისწერა თეიმურაზმა ალექსის წერილი: „გთხოვ, ჩემს შესახვედრად წამოვიდეს ჩემი შვილიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე, რამეთუ უკვე ექვსი წელიწადია, იგი აღარ მინახავს. მე დიდი საქმე მაქვს მეფის შენის

უდიდებულესობასთან. თუ ღმერთმან იწება და მეფის შენის უდიდებულესობის ხილვა მომასწრო, მაშინ საკუთარი ჩემი ლექსით გიამბობ, თუ რა ხიფათი გადამხდა ზღვაზე და ჩერქეზთა ქვეყანაში ჩემი მტრებისგან, რადგან შენის წყალობით გამოგზავნილმა ჯარმა არ დამიცადა და მე მარტო გამოვაღწიე ჩემის დიდებულების თანხლებით".

რუსეთის სახელმწიფო კარმა ქართველი მეფის ღირსეულად შესახვედრად ბრძანებანი გაუგზავნა ბევრი ქალაქისა და მაზრის ვოევოდებს: „გამოგვიგზავნეთ მოსკოვს ასისთავები და ხალხი ქართველი მეფის თეიმურაზის შესახვედრად. ჩვენთან, დიდ ხელმწიფესთან, ჩამოდის ქართველი მეფე თეიმურაზი. მოსკოვში იგი იქნება მიმდინარე წლის მაისის უკანასკნელ რიცხვებში, და ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ, ვბრძანეთ, — მოუწყონ ქართველ მეფე თეიმურაზს შეხვედრა მოსკოვში ზემლიანოი გოროდის იქით, საელჩო წესის მიხედვით. ამ შეხვედრას, თანახმად ჩვენი დიდი ხელმწიფის ბრძანებულებისა, უნდა დაესწრონ მეფისა პოლკი, მისი ასისთავები, სტოლნიკები და სტრიაპჩები, მოსკოვის აზნაურები და დასახლებული საასისთავოების მკვიდრი მცხოვრებნი. დანიშნული ვადისათვის — მაისის ოცდახუთი რიცხვისათვის მოსკოვს გამოგზავნეთ ყველა გამოუკლებლივ, პირადი შემადგენლობა, საელჩოს მთელი მორთულ-მოკაზმულობა".

1658 წლის 20 ივნისს ქართველები მოსკოვში შევიდნენ.

რუსეთის ხელმწიფეს ებრძანებია, — მოსკოვი ქართველ ხელმწიფეს საგანგებო ზარზეიმით შეხვდესო, გაცილებით უფრო ღირსეულად, ვიდრე ყიზილბაშური ერანის წარმომადგენლებს ვხვდებითო. „კიტაიაზე, ბელი გოროდში, ზემლიანოიზე, ქუჩებში, სადაც ქართველთა მეფემ უნდა გაიაროს, პოჟარზედაც — სადუქნე კარვები, ყაფაზები, მერხები, ხეფენილის ძველი ნამორები — ყველაფერი მილაგ-მოლაგდეს; სავაჭროები, რომლებიც არ იკეტება, დაიგავოს, რათა ყველგან სიფაქიზე იყოს", — ეწერა ბრძანებაში.

ვასკრესენსკის ალაყაფთან სასადილო დუქანი იდგა, კვამლით მბოლავი ქურით. ეს ქართველებს არ მოეწონებათ თვალშიო, — და ისიც აიღეს და მის ადგილზე საპატიო საგუშაგო გამართეს.

აუარებელი ხალხი, სახელმწიფო კარისკაცი და მოხელე გამოფენილიყო ქუჩებისა და გზების გასწვრივ, სადაც უნდა გაეარა ქართველ მეფეს და მის ამალას.

აღტაცებული ხმაურით ესალმებოდნენ და ეგებებოდნენ ქართველ ვაჟკაცებს და მათ ხელმწიფეს, სამოცდაათი წლის მოხუცს, მაგრამ ჯერ ისევ ტანად ტანოვანსა და სახედ სახიერს, მხნედ და ვაჟკაცურად მომავალს.

ყველას ქართველების, ქართველი მეფისა და საქართველოს სახელი ეკერა პირზე. სრულიად მოსკოვი მოეცვა „ქართულ საფიქრალს" — ქართველთა თავგადასავალს, მის გმირულ წარსულს, მის ქრისტიანულ სჯულიერებას, მის ზნეობას, მის „რუსულ სიყვარულს" და „რუსთან ძმობის" სურვილს, ოცნებას...

დიდი საქრისტიანო ქვეყანა ყოფილა საქართველო, გინა ივერია! აგეო, ათას ხუთასი წელიწადი გასულა მას შემდეგ, რაც ქართველები მართლმადიდებლური ქრისტიანობით მონათლულან. თურმე საქართველოს მთავარ ტაძარში, „სხეტაში" (მცხეთაში) ინახება ქრისტეს კვართიც და ლურსმებიც, რომლითაც ქრისტე გალურსმეს ჯვარზე! თვითონ საქართველოც ჯვარზე ყოფილა გაკრული ურჯულო მაჰმადიანთაგან. ახლა ქართველები რუსების დახმარებას ითხოვენ თურმე, რათა რუს და ქართველ ქრისტიან ძმათა ლაშქარმა იხსნას საქართველო ურწმუნოთა კირთებისაგან!

1658 წლის 5 ივლისს თეიმურაზ მეფე „წახნაგოვან პალატაში" მიიღო რუსეთის ხელმწიფემ ალექსი მიხეილის ძე რომანოვმა.

ქართველი მეფე რუს გვირგვინოსანს მიეახლა და ხელზე ეამბორა.

ალექსიმ თავზე აკოცა „ქრისტესმიერ ძმას". გვერდით დაისვა. მოიკითხა და ტკბილის „სიტყვითა" მწუხარების „ცრემლი მოჰხოცა"..

მეორე დღეს კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს.

ამჯერად ალექსი რომანოვი თეიმურაზ ბაგრატიონს შეეგება ფეხზე ამდგარი, ვითარცა სწორი სწორს, — შეეგება, გადაეხვია და მხიარულად უთხრა:

„ერთმანეთს ტუჩები დავუკოცნოთ, რამეთუ შენც ბრძანდები კეთილმსახური ქრისტეს სარწმუნოებისა. ხოლო, თუ ქვეშევრდომობაში ბრძანდები, ეს არის ნება ღვთისა!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჰკოცნა, გვერდით დაისვა და ესეც დასძინა წყნარად და მობოდიშებით: გუშინაც ასე უნდა შეგხვედროდი, მაგრამ „დიდრონი რუსების“ წყენას მოვერიდეო.

რუსეთის სახელმწიფოს უწარჩინებულესი საზოგადოებიო სავსე პალატა ფეხზე იდგა და მოწიწებით შესცქეროდა. „ქრისტესმიერ ძმათა-ხელმწიფეთა“ გულითად შეყრას.

ბრწყინვალე იყო ქართველი მეფის საპატივცემულოდ გამართული ნადიმიც. სუფრა და მთელი დარბაზი საგანგებოდ გაევსოთ უძვირფასესი ჭურჭლით, ნივთებითა და საგნებით.

სადილის შემდგომ რუსთხელმწიფემ ქართველთხელმწიფეს უბოძა ძვირფასი თასები, ხავერდის, ატლასის და ქამხის ოქრონემსული ქსოვილები და სიასამურნი. შინ სამსახურად თეიმურაზს გაჰყვნენ ბოიარები — ალექსი ტრუბეცკოი, ვასილ შერემეტიევი და ივანე ხილკოვი.

3 ივლისს თეიმურაზმა მეფე ალექსის საპატივცემულოდ საპასუხო წვეულება გამართა.

მერე „საქმიანი მხარის“ განხილვას შეუდგნენ სტუმარ-მასპინძელნი. ალექსი მეფის სახელით თეიმურაზთან მოლაპარაკებას წარმართავდნენ — ჯერ, თავადი ივანე ხილკოვი, შემდეგ — თავადი ალექსი ტრუბეცკოი.

— მე ყველაფერი შევასრულე, რაც ჩემგან რუსთა ხელმწიფეებმა — მიხეილ და ალექსი რომანოვებმა მოითხოვესო,— ამბობდა თეიმურაზი, — ახლა მე მოსკოვს პირადად ჩამოვედი, რათა, ბოლოს და ბოლოს, მივიღო აღთქმული რუსული ჯარი ჩემი ქვეყნის გასათავისუფლებლადო. სულ ოცდაათი ათასი რუსი ჯარისკაცი საკმარისი იქნება, რომ საქართველოც გავათავისუფლოთ და თვითონ სპარსეთიც დავიპყროთო.

კარგა ხნის „მი-მო-სვლის“ შემდეგ ტრუბეცკოიმ პირდაპირ უთხრა თეიმურაზს:

— ახლა დიდ ხელმწიფეს ომი აქვს პოლონეთისა და შვეციის მეფეებთან, ლაშქარი ომშია ჩაბმული... ხოლო, როგორც კი მეფის უდიდებულესობა თავის მოწინააღმდეგეებს დასძლევს, იგი მოგაშველებს ჯარებსო... მანამდე დაბრუნდი შენს საქართველოში და განაგე იგი, როგორც აქამდე განაგებდი. ხელმწიფე სამგზავროდ გაძლევს ექვსი ათას მანეთს ფულად და ათასი მანეთის ღირებულ სიასამურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გაეწყობოდა!

ისევ უნდა „შერიგებოდა ბედს“!

ისევ უნდა ეცადა და ეთმინა ჭაში ჩავარდნილი კაცის მოთმინებით.

შვილიშვილს შეხვდა უკანასკნელად თეიმურაზი — ნიკოლოზ ბატონიშვილს — აქაურ „ფიცხელ სასმელს“ ნუ მიეძალებიო, — დაარიგა, გამოეთხოვა და წამოვიდა.

მაინც უხაროდა, რომ ტანზე რუსული სიასამური ეცვა და არა სპარსული ხალათი.

. . . . . .

ასტრახანს რომ მოაღწია, საშინელი ამბავი შეახვედრეს თეიმურაზს: იმერეთს მომკვდარიყო მისი შვილიშვილი — ლუარსაბი — ყრმა კეთილ-მოასაკე, შვენიერი და მჭვრეტელთათვის სატრფიალო“.

მძიმედ გულდალახვრულმა ჩამოაღწია იმერეთს.

და ხორეშან დედოფალიც მიცვალებული და დაკრძალული დახვდა.

რა გაეწყობოდა! ასე გადაეწყვიტა მისი ცხოვრების ბედისწერას: ყველა ახლობელის სიკვდილს უნდა მოსწრებოდა, ყველა მას უნდა გამოეტირა და გამოეგლოვა.

და ერთხელ კიდევ „იგლოვა უმეტეს მწუხარედ“ თეიმურაზმა.

მომდევნო 1660 წელს სიძეც მოუკვდა — ალექსანდრე III იმერთა მეფე.

როსტომ მეფის საწუთროს დასასრული

მაგრამ მთავარი მეტოქე, ვისი ბრალითაც თეიმურაზ მეფე ამდენს ეწამა, ეთრია და ეთავცემა, — რუსეთიდან მობრუნებულს ცოცხალი აღარ დახვედრია...

1652 წელს „ბედისაგან განებივრებულ“ როსტომ მეფესაც ეწვია უბედურება. მეფე ოჯახით და ამალით მდინარე ხრამზე მისულიყო, მისგანვე წამოწყებული ხიდის („გატეხილი ხიდი“) მშენებლობის „გასაშინჯავათ“.

დედოფალი მარიამიც იქ იყო, ტახტის მემკვიდრე ლუარსაბ ბატონიშვილიც.

ახალგაზრდა, თანამოასაკე თავადიშვილები შეუჩნდნენ ლუარსაბს. მეფე ხუთ-ექვს დღეს აქ დარჩება და, რა იქნება, რომ მანამდე გალმა ჭალებში გავიდეთ და ირემზე და ღორზე ერთი რჯულზე ვინადიროთო!

აცმუკდა ლუარსაბ ბატონიშვილი, მივარდა და სთხოვა მეფე-მამობილს — გაგვიშვი სანადიროდო. როსტომს რაღაც ეუული ეურჩებოდა, მაგრამ ლუარსაბი არ იქნა, არ მოეშვა და ბოლოს მეფეც დათანხმდა.

სანადიროდ გავიდნენ მონადირენი. ადგილები აირჩიეს, საფრები გაიწყვეს, თოფები და მშვილდ-ისარნი მოიმარჯვეს და მოივარგეს. მარეკებმა ღორისა და ირმის ხრონი გამორეკეს. შეიქნა ისრის სტვენა-წივილი და თოფის ბათქაბუთქი.

„ვაიმე მომკლესო!“ — იბღავლა ვიღაცამ.

ეს ლუარსაბ ბატონიშვილი იყო.

ტყვიას — ალალბედად თუ განზრახ ნასროლს — მკერდი შეენგრია ტახტის მემკვიდრისათვის.

სასწრაფოდ სანადირო კარავში შეასვენეს და მეფესთან ჩაფარი აფრინეს.

თავზარდაცემულმა როსტომ მეფემ მაშინვე ელიზბარ ბოქაულთუხუცესი გაუშვა „ჰაქიმისა და ჯარას“ (ქირურგი) თანხლებით. თვითონაც უკან მიჰყვა გაოგნებული.

ცოცხალი დახვდა ბატონიშვილი. წამოდგომასაც შეეცადა მამის შესახვედრად, მაგრამ არ დაანებეს.

როსტომმა ქუდი მოიგლიჯა, მიწას დაანარცხა და თავ-პირში ხელები წაიშინა. მერე შვილს ჩაუჯდა და ჩაეძია, — როგორ მოხდაო, საიდან მოგხვდაო, ვინ გესროლაო, საიდან გესროლესო. იქ მყოფთაც დაეტაკა — ახლავე ყოველივე შემიტყვეთო, გამაგებინეთო, გამარკვიეთო...

თვითონ ლუარსაბმა ეს უთხრა მამას: თუ გადავრჩი, მე თვითონ ვიპოვნი ჩემს მკვლელს, თუ არა, თქვენ კარგად იყავით და როგორც ამჯობინოთ, ისე მოიქეცითო.

ეს იყო და ეს. შუადღემდე იცოცხლა და მოკვდა.

საშინელი იერემიადა დადგა ქართლის მეფის სასახლეში. გლოვობდა და ტიროდა ყველა.

ვილაცეებს თურმე კიდევაც შეფარვით უხაროდა „თათარი ხელმწიფის“ მემკვიდრის სიკვდილი.

ხოლო, „ვისაც უხაროდა, ის უფრო სტიროდა და თავს იცემდა აზრის არ მიხვდომისათვის“.

ტფილისს მიასვენეს ცხედარი.

მხარჩამოფხრეწილნი მიჰყვებოდნენ ქართველი და სპარსელი წარჩინებულნი..

უფლისწულის სისხლიანი სამოსელიც ქართველებსა და სპარსელებს გაენაწილებინათ სატარებლად.

წინ ქრისტიანი მღვდელებიც მოუძღოდნენ ფსალმუნის ღიღინით და სპარსელი მოლებიც ყურანის ყივილით.

ქართული და სპარსული დროშები ერთად მოჰქონდათ სამგლოვიაროდ შებაფთულნი.

ლუარსაბის ცოლმა, თამარ ანდრონიკაშვილის ქალმა რომ ქმრის სიკვდილი შეიტყო, თავით კედელს დაეტაკა და „ვითაც უსულო მკვდარი შეიქნა“, მაგრამ მაინც გადარჩა სიკვდილს.

ტფილისში ყოველივე წესი ქართულ-ქრისტიანულად აუგეს მიცვალებულს.

მერე სპარსული საწესოების განსრულებით არდაველს წაასვენეს. მთელი არდაველის მოსახლეობა გამოეგება ქართველთა სამგლოვიარო პროცესიას — დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ბეგლარბეგი და მაწანწალა, მოლა და დერვიში.

შაჰ სეფის გვერდით დაკრძალეს ლუარსაბ ბატონიშვილი.

არდაველი სეფიანთა „უწმინდესი საძვალე ქალაქი“ იყო, აკი აქ ესვენა ერანის სამეფო დინასტიის „წმიდა წინაპარი“ — სეფი-ედ-დინი.

მხოლოდ როსტომ მეფის „უდიდეს გამავლობას“ შეეძლო მისი შვილისთვის ესოდენი პატივის (არდაველს დაკრძალვის) მოპოება.

. . . . . .

ლუარსაბი რომ დაიღუპა, როსტომ მეფე მაშინ 87 წლის კაცი იყო.

და ისევ უმემკვიდრეოდ და უშვილძიროდ დარჩენილიყო სამარეში ფეხჩაწვდენილი ბერიკაცი.

ეს მესამედ „არ გაუმართლა“ მემკვიდრემ (მამუკა, ოტია, ლუარსაბი) როსტომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც სცადა მეოთხედ.

თოფნაკრავ ლუარსაბს უმცროსი ძმა დარჩა — ვახტანგი, ესეც სპარსეთში გაზრდილი, იმჟამად ყაზმინის მოურავი. სწორედ ეს ვახტანგი მოისურვა ახლა შვილობილად და ტახტის მემკვიდრედ როსტომ მეფემ. ვახტანგს ვიშვილებ და ცოლად მისი ძმის ქვრივს — თამარს შევრთავო, „თათართა წესით ასეერგებისო", გადაწყვიტა როსტომმა და მაშინვე საამისო თხოვნაც გაგზავნა შაჰ აბას II-სთან ერანს.

შაჰმა როსტომის სურვილი მოიწონა, მაგრამ ვახტანგის დედამ იკივლა: როსტომ მეფემ უფროსი შვილი წამგვარა და მომიკლა, ახლა უმცროსსა და ერთადერთ ძეს ვეღარ გავიმეტებო; თუ მაინცდამაინც ჩემი შვილის მემკვიდრედ აყვანა არ დაუშლია, საქართველოს მეფობა ისე დაუმტკიცოს და სანამ თვითონ როსტომი ცოცხალი დარჩება, ჩემი შვილიც ჩემთან დარჩესო.

ასეთი პასუხი როსტომ მეფემ ძალიან იწყინა და გაბრაზებით წამოისროლა: „სიდამდისინ ცოცხალი ვარო, თვითონ ვიბატონებო, ხოლო ჩემს უკან ვისაც უნდათ იმას მისცენო" ტახტიც და გვირგვინიც.

მაგრამ მაინც ვეღარ დაისვენა უმემკვიდრეოდ როსტომ მეფემ. ისევ შეიქნა ლაპარაკი ვახტანგზე, მაგრამ ისევ ჩაერია სიკვდილი: ვახტანგი რაღაც ავადმყოფობამ შეიპყრო და გარდაიცვალა სავსებით ყმაწვილი კაცი.

მაშინ მეხუთედ „სცადა ბედი" როსტომ მეფემ.

ამჯერად ბაგრატიონების მუხრანულ შტოს მიადგა „მემკვიდრის უქმურით" შეპყრობილი ბებერი ხელმწიფე.

ეს იყო ვ ა ხ ტ ა ნ გ მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი, მარაბდის ბრძოლაში დაღუპული თეიმურაზ მუხრან-ბატონის ძე, გიორგი სააკაძის შვილიშვილი დედის ხაზით (აკი თეიმურაზ მუხრან-ბატონის მეუღლე გიორგი სააკაძის ასული იყო).

ძალიან „უყუარდა როსტომ მეფეს" ვახტანგ მუხრან-ბატონი, რომელიც ყოველთვის „იყო საქმის ხელ-გამომავალი, მხნე, ახოვანი და გამარჯვებული".

თეიმურაზ მეფესთან ბრძოლაშიც ხომ პირველი უდგა მხარში ვახტანგი ქართლის მეფეს.

და აი, უკვე, მეხუთედ, შვილად, გინა მემკვიდრედ, გინა

„ჯანიშინად“ (მოადგილედ) როსტომ მეფემ აირჩია ვახტანგ მუხრან-ბატონი და დასამტკიცებლად გაგზავნა ერანს.

შაჰ აბას II-ის კარზე ვახტანგი მისვლისთანავე „დიდად მიიჩნიეს“ და „დიდი ბატივიც“ მიაგეს. მთავარი მაინც ეს იყო: მაშინვე „შეუკვეთეს სჯული მაჰმადისა“. ბევრი იუარა ვახტანგმა, მაგრამ ბოლოს, რაკი სხვა „არღარა ღონე ჰქონდა“, ისიც „გათათრდა“. შაჰმა ქართლის მომავალი მეფე დაამტკიცა, ახალი სახელი — შ ა ჰ-ნ ა ვ ა ზ დაარქვა, კვლავ მრავალი „წყალობა უყო, მრავალი მოსცა“ და ასე გამოისტუმრა საქართველოში.

იმ წელს (1654) სვეტიცხოველის გუმბათი ჩამოგდებულიყო და როსტომ მეფე მისი აღდგენით იყო გართული. კიდევაც განასრულა დიდებული ქართული ლავრის აღდგენა და ამის შემდგომ ვეღარც შეძლო ქვეყნის მოვლა-პატრონობა წელთა სიმრავლით დამძიმებულმა.

ქართლის ნამდვილი გამგებელი შეიქნა ვახტანგ „შაჰ-ნავაზი“.

კახეთი ისევ სალიმ-ხანს მისცა სამმართველოდ ერანის შაჰმა.

როსტომ მეფე ისევ ერანის ყულარაღასად და ისფაჰანის ტარუღად ითვლებოდა. უკანასკნელ წლებში ერანის სატახტოს სამმართველოდ, თავის ნაიბად (მოადგილედ) როსტომმა გაგზავნა ფარსადან გორგიჯანიძე...

ხოლო, სანამ როსტომ მეფე მწოლიარობდა და „დაწოლილი ლხინობდა და განისვენებდა“, მანამ ვახტანგ შაჰ-ნავაზი ქართლის მეფობას თავისად განიმტკიცებდა, ქართლის ზვიად თავადობას „საკუთარ“ ხელმწიფობას „აჩვევდა“ და „აგუებდა. ზოგს იმოყვრებდა და „ნებიერად“ იერთგულებდა, ზოგსაც ხმალზე ხელდადებით „იარშივებდა“. ყოველივე ამას როსტომ მეფისაგან „მიფარვით“ აკეთებდა ვახტანგი. მეფისგან იდუმალ, მეფის ბევრი „კარგი ყმანი შემოიფიცა“ მეფის „შვილმა“ და „ჯანიშინმა“. ნოდარ ციციშვილს ასული სთხოვა თავისი უფროსი ვაჟის — არჩილის საცოლოდ. ზაალ არაგვის ერისთავს თავისი ასული რძლად გაატანა — მისი ვაჟის, ზურაბის ცოლად. კარისკაცებმა „მეფის მალვით“ პატრონყმობაზე შეჰფიცეს. მარიამ დედოფალსაც კი „საფიცარი“ გამოსცინცლა „ახალმა გერმა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომი ყველას უკვე ამ ქვეყნიდან „გარდასულად“ მიეჩნია.

ერანის შაჰსაც საქართველოდან ცნობები მოსდიოდა: თვითონ ვახტანგ შაჰ-ნავაზი ატყობინებდა: „მეფე მოუძლურდა სიბერითა და სალმობიერ იქმნაო“; ზოგიც პირდაპირ მეფის სიკვდილს აცნობებდა, ზოგიც „მოსიკვდილებას“.

ფარსადან გორგიჯანიძე გამოგზავნა შაჰმა საქართველოში: თუ გიყვარდე, წადი და შენ მაინც ჩამომიტანე ნამდვილი ამბავი — მოკვდა თუ დარჩა როსტომ-ხანიო.

ჩამოვიდა საქართველოში ფარსადან გორგიჯანიძე და ჩამოუსწრო ცოცხალს როსტომ მეფეს. ფარსადანმა შაჰის გამოგზავნილი ხალათი რომ გადასცა, ბალღივით გახარებულმა მეფემ უძლური სხეული მაინც წამოიქნია, წამოჯდა და ლოგინშივე გადაიცვა შაჰის გულმოწყალებითა და სპარსული მზით სავსე სამოსელი.

გორგიჯანიძემ „ნამდვილი ამბავი“ ჩაუტანა სპარსეთში შაჰ აბას II-ს: როსტომ მეფე ცოცხალი დავტოვე, მაგრამ შეიძლება უკან ჩაფარი მოდევდეს მეფის სიკვდილის ცნობითო.

მართლაც ასე მოხდა.

იდგა 1658 წელი.

მომკვდარიყო ბატონიშვილი ქაიხოსრო დავითის ძე, გინა ხოსრო-მიზრა, გინა როსტომ მეფე, გინა როსტომ-ხანი. სისხლით „წმინდა ქართველი“ — მამით ბაგრატიონი, დედით ქართველი გლეხი; რჯულით მაჰმადიანი, სულით — გახლეჩილი „ქართველ-თათარი“. მამაცი მხედარი, დიდი სარდალი და პოლიტიკური თავკაცი; ავი დრო-ჟამის ჭკვიანი და მკლავღონიერი ეტლისმწაფელი; დიდი გიორგი სააკაძის აღზრდილი, მისი წყალობით ამაღლებული და აღზევებული; მთელი ნახევარი საუკუნის სიგრძეზე სპარსეთის ტახტ-გვირგვინის „პატრონთა-პატრონი“.

დიდი მხედრული „სახელები“ ჭაბუკობიდანვე მოსდევდა, თუმცა დიდი სახელმწიფოებრივი „სახელოები“ ყოველთვის ასაკმორეულს ეწვეოდა ხოლმე: ისფაჰანის ტარუღა შეიქნა 53 წლისა, ერანის ყულარაღასი — 60 წლისა, საქართველოს მეფე — 67 წლისა. მაგრამ მაინც მისი ჩაკირული სხეული და უძვრელ-უშფოთარი გული საკაციშვილო წუთისოფლის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდალმართო „მეორე ნახევარს“ ჭაბუკური აღმავლობის წლებად აქცევდა. სიბერე მისთვის თითქოს ზრდა იყო, დავაჟკაცება და არა მიხრწნილება.

ამიტომაც მისი ტარუღობა გაგრძელდა 40 წელი, ყულარაღასობა — 33 წელი, ქართლის მეფობა — 26 წელი.

და აღესრულა შობითგან 93 წლისა.

ორდღიანი „ქართული ტირილის“ შემდგომ სპარსეთს წაასვენეს და ყუმში დაკრძალეს, დიდი შაჰ აბასის გვერდით.

აზმა მეექვსე

გასტრიონული

„ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელს მსოფლიოში, საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი; ვხვდებოდი მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოვებია, როგორსაც ვერსად ვერ შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეგიყვარდეთ. ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია“.

ჟან შარდენი

ტახტზე ადის ვახტანგ მეხუთე

როსტომ მეფის გარდაცვალების წინა დღით მარიამ დედოფალს მისი დავალებით გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“ მოართვეს („მარიამისეული ნუსხა“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს სპარსელმა ხანებმა მარიამს ქმრის დატირება აცალეს, მერე ტფილისის ციხეში „შეიყვანეს“ და უთხრეს: „შაჰის ბრძანება გახლავთ, ამ დღეებში, თქვენი მიცვალებული ქმრის კვალზე, თქვენც ერანს უნდა წაგიყვანოთო.

მარიამმა მაშინვე სარდალი პაპუნა ციციშვილი იხმო, თეთრი თმა აიკვეცა, ანაკვეცი წერილთან ერთად გადასცა და შაჰთან აფრინა სპარსეთს.

ციციშვილმა შაჰ აბას II-ს მარიამის წერილი გადასცა, მისი თეთრი თმის ანაკვეცი აჩვენა და სიტყვიერადაც ბევრი რამ სასიკეთო უამბო ამ საოცარი ქალის შესახებ. ამიტომ პატივი ეცით, დაინდევით და საქართველოდან ნუ გამოადგმევინებთ ფეხს მარიამ დედოფალსო, შეევედრა პაპუნა შაჰს.

კარგიო, თქვა შაჰმა, მაშინვე რაყამი გაამზადა და ციციშვილს გამოატანა ვახტანგ შაჰ-ნავაზთან.

რაყამში ეწერა: ამიერიდან ქართლის გამგებლად, ვითარცა „ვალი“, გინა „ჯანიშინი“ — ინიშნება ვახტანგ შაჰ-ნავაზი, რომელიც ქართლის გამგებლობის გარდა, ცხადდება გარდაცვლილი როსტომ-ხანის ყოველი ქონების მემკვიდრედ და პატრონად, მათ შორის — აწ დაქვრივებული მარიამ დედოფლის პატრონად. შაჰი საგანგებოდ ბრძანებს: ვახტანგ შაჰ-ნავაზმა ცოლად უნდა შეირთოს მარიამ დედოფალი! (ასეთია „კეთილი სპარსული წესი და ადათი“. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს „ქართულ ახირებას“, — ვითომც საძრახისი იყოს შვილობილისა და დედობილის შეუღლება!).

„არავითარი მნიშვნელობა“ არა აქვს არც იმას, რომ ქართლის ახალი ხელმწიფე უკვე კარგა ხნის ცოლშვილიანი კაცია. ვახტანგს ცოლად ჰყავს რ ო დ ა მ ი, ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილის ასული, „ქალი ფრიად პატიოსანი და შემკული ყოვლითავე საქმითა კეთილითა, სრული სწავლითა სამღთოთა და საეროთა, შვენიერი და პირის-წყალი დედათა“.

მერე და, ჰყავდეს როდამი ცოლად ვახტანგს, არავინ მის განტევებას არ მოითხოვს. ოღონდ მარიამ დედოფალი კი უეჭველად უნდა შეირთოს. სპარსული წესით „უკეთესიც იქნება“, თუ ვახტანგს ორი ცოლი ეყოლება!

რაღა გაეწყობოდა! „ვერღარა ურჩ ექმნა ყაენსა“ ვახტანგი და შეირთო ცოლად მარიამ დედოფალი. როსტომის გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვალებიდან ორმოცის თავზე „ქმნეს ქორწილი სახელოვანი“.

ეს მარიამ დედოფლის მესამე ქორწინება იყო.

. . . . . .

სანამ ვახტანგ მუხრან-ბატონს როსტომ მეფე მემკვიდრედ აიყვანდა, მანამ ზაალ არაგვის ერისთავი და ელიზბარ ქსნის ერისთავი როსტომთან ერთად „ერთ ბანაკში“ იყვნენ, მაგრამ მუხრან-ბატონის მომავალი მეფობა ერისთავებმა იუკადრისეს და მაშინვე მას მტრად გადაეკიდნენ. დაიწყო იმით, რომ ზაალ ერისთავმა უარი თქვა, რძლად წაეყვანა მის ვაჟზე, ზურაბზე, დაწინდული ასული ვახტანგ მუხრან-ბატონისა. მერე ზაალ ერისთავმა ერანის შაჰს კახეთის მმართველობა „გამოსძალა“ და ლამის „დამოუკიდებელ ხელმწიფედ“ გამოაცხადა თავი. იმ ხანად იმერეთ-სამეგრელოს შორის ისეთი ორომტრიალი ატყდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან ვახტანგ მუხრან-ბატონის მეთაურობით ჯარები უნდა წასულიყო დასავლეთ საქართველოში. მაგრამ ზაალი და ელიზბარი უკვე სალაშქრო გზაზე შემდგარ საომარ ძალებს თავიანთი ჯარებით გამოეთიშნენ, ავლაბარს მივიდნენ და ლოგინად ჩავარდნილ როსტომ მეფეს ჯემალ-ხანი მიუგზავნეს და შეუთვალეს: სანამ ცოცხალი ბრძანდებით, თქვენს გარდა სხვას ვისმეს მბრძანებლად არ ვავიკარებთ, ხოლო თქვენს შემდგომ მხოლოდ შაჰს დავეშორჩილებით და სხვას არავისო.

ძალიან გასაგებად იყო ნათქვამი. გულზვავიანი და „თავგამზიდავი“ ფეოდალები „საკუთარი ჯიშისა და სისწორის“ წინ წასწრებას ცოცხალის თავით ვერ ურიგდებოდნენ. უფრო მეტიც: თვისტომის აღზევებას უცხოურ ულელში თავის გაყოფას ამჯობინებდნენ!

ასეთი იყო „ხასიათი“ მაშინდელი ქართველი არისტოკრატი „მამულიშვილისა“!

ვახტანგმა ერისთავებთან ზავის ჩამოგდება სცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

როსტომი მოკვდა. ვახტანგი გამეფდა. მაგრამ ზაალ ერისთავმა ქედი მაინც არ მოიხარა. იგი „უკუნ იქცა დუშეთს და არღარა ინება მონება ვახტანგისა“.

ვახტანგმა „დრომდე“ გადასდო გაურჩებულ ფეოდალებთან ანგარიშსწორება.

ასე იწყებდა მეფობას ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ხ უ თ ე (1658 — 1675 წწ.) — პირველი მეფე ბაგრატიონი „მუხრანული შტოისა“.

„დიდი ბუდე“

მუხრანის ბაგრატიონთა წრე თავიდანვე მაღალნიჭიერი, მაღალზნეობრივი და მაღალმამულიშვილური სულისკვეთებით გამოსჩანდა, ზოგადქართული კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების გზაზე. ბაგრატიონთა ეს „უმცროსი შტო“ ყველა თაობაში გამოირჩეოდა დიდი მწიგნობრობით, განათლებით და განსწავლულობით, სამშობლო ქვეყნის დიდი წარსულის ღრმა ცოდნით და თაყვანისცემით, საერო და სასულიერო აღმშენებლობით, ფართო პოლიტიკური განზრახვებით და ქვეყნის საკეთილდღეოდ უანგარო თავგანწირვით.

1512 წლიდან 1658 წლამდე („მუხრან-ბატონთა შტოს“ გამოყოფიდან ვახტანგ V-ის გამეფებამდე) სულ 11 „მუხრან-ბატონური სახელი“ შემოგვინახა ისტორიამ და თერთმეტიდან ცხრა „ზოგადქართულ“ სახელებად გამოკვეთილან საქართველოს მატიანის ქსოვილზე:

ბ ა გ რ ა ტ კონსტანტინეს ძე — პირველი „მუხრან-ბატონი“, „მტუერის ციხის“ აღმაშენებელი, ქართლის მაოხრებელი ავგიორგის მძლეველი;

ა რ ჩ ი ლ ბაგრატის ძე — დიდი მამულიშვილი, ყიზილბაშებთან ომების გამოჩენილი მეთაური, დიდი სვიმონ მეფის უახლოესი თანამებრძოლი, მამულისათვის მოწამებრივი სიკვდილით აღსრულებული;

ა შ ო თ ა ნ ბაგრატის ძე — ერთგული, „სანდო და განზრახი“ თანამებრძოლი დიდი სვიმონ მეფისა;

ე რ ე კ ლ ე ბაგრატის ძე — თურქ-ოსმალებთან ომების სახელოვანი ახალგაზრდა გმირი სამცხესა და ქართ-იმერეთის საზღვრებზე;

დ ე დ ი ს ი მ ე დ ი, ასული აშოთანისა — სამცხის ათაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის ქაიხოსრო II-ის მეუღლე, დედა მომდევნო ძმათა ათაბაგებისა, თვითონ დიდი მესვეური სამხრეთული საქართველოსი;

ქ ე თ ე ვ ა ნ ი, ასული აშოთანისა — სახელოვანი დედოფალი კახეთისა, ჭეშმარიტი დედა სრულიად საქართველოსი, საარაკო გმირი და სამშობლოსათვის წამებული წმინდანი — წმინდა ნინოსა და თამარ შვიდმნათობიერის ბადალი ქალიმნათობი;

თ ე ი მ ურ ა ზ ვახტანგის ძე—სიძე გიორგი სააკაძისა, ტაშისკარის და მარაბდის ბრძოლათა გმირი, იქვე მამულისთვის სიკვდილშეყრილი;

ქ ა ი ხ ო ს რ ო ვახტანგის ძე— „ქართლის გამგებელი“, გიორგი სააკაძის მამულიშვილური ბედის თანაზიარი, მასთან ერთად თურქეთის მიწაზე სიკვდილთან წილნაყარი.

და თვითონ ვ ა ხ ტ ა ნ გ თეიმურაზის ძე, ვისაც მუხრან-ბატონთაგან წილად ერგო, პირველი ასულიყო ქართულ სამეფო ტახტზე. მეფე ვახტანგ მეხუთე მხოლოდ „გარეგნულად“ იყო „თათარი“, ხოლო „შინაგანად“ — სულით, გულით, სიტყვით და საქმით — ნამდვილი მამულიშვილი, ქრისტიანობისთვის (ანუ „ქართლულობისთვის“) თავგამოდებული მებრძოლი და ალმშენებელი, ქვეყნის შინა-პოლიტიკური და ნივთიერი სიმტკიცისა და სულიერი აღორძინების დაუღალავი თავკაცი, მაღალნიჭიერი სამოქალაქო და სამოსამართლო ხელისუფალი. იყო იგი „კაცი საკვირველი, ძლიერი საქმითა და გამარჯვებული. და ამას სჭირდა ოთხნი ესე საქმენი: ბრძენ იყო უპოველი (სწორუპოვარი), ბედნიერ იყო საკვირველი, სარდალი და მამაცი უამხანაგო (უბადლო), პირად შეუბედავი და გულით მოწყალე უცხოდ“.

იყო ვახტანგ მეფე „ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, მართლ-მსაჯულ და ხელისამპყრობელ, და იყო ყოველთათვის მოსამართლე და მოწყალე, მსჯავრსა შინა პირ-უთნებელ, უქრთამო და სწორის სამართლის მოქმედ, უხვი, უშურველ-უტყუარ, ერთგულთათვის უხვად წყალობის მიმნიჭებელ, ურჩთა და ორგულთა ძლიერად შემრისხველ, დიდებისა და სახელის მაძიებელ, მტერთა მიმართ უძლეველ და ახოვნად წინა-განმწყობ, წინააღმდგომთა თვისთა უშიშრად შემმართველ, რაზმ-

თა და წყობათა შინა კეთილად განმზრახი სარდალი, რაინდობათა შინა უებროდ მორბედი და ყოველსავე სამამაცოსა ზნეობასა შინა უსწორო“.

შვილებიც ერთიმეორეზე უკეთესი ჰყავდა ვახტანგ მეფეს — ყველანი როდამისაგან — ექვსი ძე და ორი ასული: არჩილი, გიორგი, ალექსანდრე, ლევანი, ლუარსაბი, სულეიმანი (სოლომონი), ანუკა და თამარი.

ა რ ჩ ი ლ ი, ვახტანგ V-ის უფროსი ვაჟი, გამოჩენილი პოეტი, — „იყო კისკას, შვენიერ, მოტურთალი, მოისარი. ყოველის კაცის ისარზედ ერთი ხელის დადება ისარი უგრძეს ჰქონდა. და არა იყო მსგავსი მისი“.

გ ი ო რ გ ი, მომდევნო ძმა — „ძლიერი გოლიათებრ, სამხედროთა საქმეთა სრული და ხელგამომავალი. და ასეთი სიტყვა ჰქონდა, მტერნი მოყვრად შეცვალის“.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, ყაენის (შაჰის) კარზე იზრდებოდა და „ესეთი იყო, რომ ყოველნი ყმანი ყაენისანი. ვითარცა ყაენსა, ეგრეთ პატივს სცემდენ“.

ლ ე ვ ა ნ ი — „იყო ბრძენი და მეცნიერი, შორდამნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნიეროთა წიგნთა“.

ლ უ ა რ ს ა ბ ი — „იყო მხედრობის რიგის მცოდნე“.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი (სოლომონი) — „კაცი პატიოსანი“.

ა ნ უ კ ა — „ყაენმან ცოლად წაიყვანა და სულ ერანში მიწა სიკეთე ასე განფენილიყო, რაც ქალი კარგს იქმოდა რასმე, იტყოდენ — ანუკა ბატონიშვილისაგან უსწავლიაო“.

თ ა მ ა რ ი გივი ამილახორის მეუღლე — „შვენიერი დიდად, მსგავსი დედისა, მოღვაწე, მართალი, ღმრთისა და კაცთა მოსაწონი, მაკეთებელი სამღთოსა და ეკლესიათა“.

დიდებულადაც აღზარდა მეფემ თავისი შვილები — ყველანი „სახელოვანნი და პატიოსანნი ძენი და ასულნი თვისნი“, ყველანი განანათლა „სახელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა“. შეასწავლა სასულიერო მწერლობა, თეოლოგია და თეოსოფია. „ხოლო უმეტესად“ საერო მწერლობა, სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა, სამხედრო ხელოვნება და სამხედრო ისტორიანი, „სავაჟკაცო გამოცდილებანი“ და „სამამაკაცო ზნეობანი“.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფის შვილები ისეთი სულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიზარდნენ, „რომე არაოდეს არა აღზრდილ არს საქართველოსა შინა მათებრივ არცა ძენი მეფეთანი და არცა დიდებულთანი“.

ასეთი იყო შტოი მუხრან-ბატონ-ბაგრატიონებისა.

ასეთი იყო მეფე ვახტანგ მეხუთე.

ასეთი იყო მისი ოჯახი — „დიდი ბუდე“, რომლის წიაღიდან ყველას „საკუთარი სიტყვა და საქმე“ ჰქონდა დაკისრებული საისტორიო ბედისწერისგან.

ისევ კახეთის საგოდებელი

როსტომ მეფისაგან აღორძინებული, კერაგამთბარი ქართლი ახალი მეფის — ვახტანგ მეხუთის მმართველობის დასაწყისს კიდევ უფრო დიდი იმედისა და სამომავლო რწმენის თვალით ჰხედავდა.

მაგრამ ამდენადვე სახიფათო, სავაგლახო და სავაებო მდგომარეობაში ჩავარდნილიყო კახეთი.

ზაალ ერისთავი თავს იტყუებდა,—თითქოს იგი კახეთის მმართველი ყოფილიყოს. სინამდვილეში კახეთს სპარსეთის მოხელე, განჯის გამგებელი — სელიმ-ხანი დასცხრომოდა თავს.

სელიმ-ხანს ხელმწიფისგან დიდი ამოცანა ჰქონდა დაკისრებული.

კახეთის მოსახლეობის გაუტეხლობამ და მისი მეფის — თეიმურაზის ახალმა, ცხოველმა „რუსულმა პოლიტიკამ“, ერანის სასახლის კარზე ისევ ააღორძინა დიდი შაჰ აბასის უბოროტესი განაზრახი — კახეთიდან კახელთა აყრა და მათ ნაცვლად მომთაბარე ელებისა და თურქმანების ჩასახლება.

ამ განაზრახის აღსრულება ახლა სწორედ სელიმ-ხანს ჰქონდა დაკისრებული.

პირველ ჯერზე, ერთბაშად 15 000 მრავალსულიანი თურქმანული ოჯახი უნდა ჩაესახლებინათ შიდა და გარე კახეთის მადლიან მიწებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ოჯახი და ბაგრატიონთა „მუხრანული შტო“



უნდა ჩაესახლებინათ და როგორმე ეს ქოჩად მღოლავნი მიწაზე უნდა დაემაგრებინათ, ხვნა-თესვა, შენება და მკვიდრი ცხოვრება შეეთვისებინათ.

ელნი-თურქმანნი ყიშლაღ-იალაღურ ცხოვრებას მისდევდნენ და ქინქლასავით მრავლდებოდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ სულ მალე მთელი კახეთი ამნაირი „ქინქლებით“ გატენილიყო, მაღალკულტურული ქართული მიწათმეურნეობა დაქცეულიყო და ყიშლაღური ქოჩადმავლობით კახეთის დოკლათიანი მიწები სავსებით გაბერწებულიყო.

ასედაც დაიწყო. სელიმ-ხანმა ორ წელიწადში აზერბაიჯანიდან კახეთს თურქმანთა ურდოები კალიასავით შემოუსია და ტანში ტკიპასავით ჩაუჭედა.

ისევ იდროვეს ლეკებმა და კახეთის სოფლებზე აბრაგული შემოსევები განაახლეს. სელიმ-ხანი ლეკთა ყაჩაღობას თითქოს ვერა ჰხედავდა და კახეთის „თურქმანიზაციას“ გულდადობილად განაგრძობდა.

სპარსეთის ხელმწიფემ შაჰ აბას II-მ ეს საკმარისად არ მიიჩნია და თურქმანული კოლონიზაციის უფრო ფართოდ წარმართვისათვის კახეთში საგანგებოდ გამოგზავნა ერანის მაშინდელი ყულარაღასი და სპასალარი ალ ა ვ ე რ დ ი-ხ ა ნ ი.

ალავერდი-ხანმა კახეთში სამი ციხე ააშენა: ბახტრიონს, ალავერდს და ყარაღაჯს. საამისოდ ერანიდან ხუროთმოძღვარი, კალატოზები, მშენებლები და ფულიც კი გამოგზავნეს. სამივე ციხეში ძლიერი ყიზილბაშური ციხიონები ჩააყენა ალავერდი-ხანმა. ამ სამ ციხეს უნდა დაეცვა ყიზილბაშობა და თურქმანობა კახელი შურისმგებელი გუნდების თავდასხმებისაგან.

ბახტრიონის დიდი ციხის (სიგრძით ას მეტრზე მეტი) მშენებლობა რომ დაამთავრეს, სელიმ-ხანს კახეთი ჩამოართვეს და ორად გაჰყვეს: მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთუზ-ყული-ხანს ჩააბარეს, ხოლო დანარჩენი კახეთი — ნახჭევნის ბეგლარბეგს ალი-ყული-ხან ქენ-გერლუს.

ორივე ბეგლარბეგს შაჰისაგან საგანგებოდ ებრძანათ კახეთის მიწებზე თურქმანთა ჩასახლება-გავრცელების დაჩქარება და გაფართოება.

კახეთის ბარში ერთბაშად 80 000 ელი-თურქმანი ჩაასახლეს.

ბარი იქცეოდა და მისი პურისა და ღვინის შემყურე მთიელობაც დაქცევისა და დამეხვის უფსკრულს მისდგომოდა.

ველური ელი-თურქმანი ყრუ გულცივობით სჩეხავდა კახური მზითა და კახელი კაცის სულით აღსავსე ვაზს...

სწორედ ამ უბოროტეს ჟამს დაიბადა ეს უბედური, მწარე სიმღერა:

ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას ჩავჭრით ვენახსა,
შიგ ჩავასახლებთ ელსაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფეხს დავკრავ, გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა“.

ხალხური

„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,
ჩვენ შევიბრალოთ რისადა?“

ვაჟა-ფშაველი

საომრად იარაღასხმული ხალხი „აესხა“ კახეთის მთასა და ბარს.

დაჰქროდნენ შურისმგებლური სახალხო რაზმები, — ხან აქ და ხან იქ, ყიზილბაშთა და თურქმანთა ზარსაცემად და სისხლის საქცევად.

ხალხის წიაღში შობილნი შექმნილიყვნენ მშობელი ხალხისვე ბელადები — ლეგენდარული თუში ზეზვა გაფრინდაული და ხევსური ნადირა ხოშარეული, ფშაველნი — გურგენ ჭინჭარაული, გოგოლაური და ძმანი გულუხიძენი, ალვანელი ფუხჩაიშვილი, თუშები — შველაიძე და საღირიშვილი.

. . . . . .

გზად ერთი ხუცესი მოდიოდა, დაღლილ-დაქანცული.

თურქმანები შემოეფეთნენ ანაზდაითად. მაშინვე წამოესივნენ, მიწაზე დასცეს და „შეკრეს ხუცესი იგი მძლავრებითა და შეამთხვიეს საქმე სიბილწისა, რომელ არს ცოდვა სოდომური და განუტევეს“.

უსაზღვრო ბოლმითა და სირცხვილით გულადუღებული მღვდელი დუშეთს მივარდა და ზაალ არაგვის ერისთავს შეჰბღავლა:

„შენ ზაალ ერისთავი ხარ და კახეთის გამგებელი, გააოხრეს სრულიად კახეთი უსჯულოთა აგარიანთა და მე გზაზედ შემიპყრეს და შემამთხვიეს საქმე უშვერი და ხელშეკრულ

განმხრწნეს და ყვეს ჩემ ზედა საქმე სათქმელად უშვერი. და აწ ამისა მაგიერი პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინათგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი".

მძიმედ ჩაფიქრდა და „დიდად მწუხარე იქმნა" ზაალ ერისთავი. იგი „ყაენის მომდურავი" იყო მაშინ. ესეც იცოდა ზაალმა, რომ მთისა და ბარის მოსახლეობას უკვე „თავისით" დაეწყო ბრძოლა „თათრული უღლის" ჩამოსაგდებად და მოძალადედ ჩამოსახლებულ „ურჯულო თურქმანთა" ამოსაგდებად. ზეზვა გაფრინდაულის სახელიც ხშირად სმენოდა, გლეხს ხომ ვერ მიანდობდა აჯანყებული ერის მეთაურობას „ერის მესვეური ერისთავი"!

სხვა ცნობებიც ჰქონდა ზაალ ერისთავს: აჯანყების სამეთაუროდ თურმე ემზადებოდნენ მისი სიძე ბიძინა ჩოლოყაშვილი, ძმები შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და ალავერდის ეპისკოპოსი.

სწორედ ესენი შემოიყარა ზაალ ერისთავმა სათათბიროდ დუშეთს. ზეზვა გაფრინდაულიც მოიწვიეს („შემოიფიცნეს მთის კაცნი თუშნი") და მტკიცედ გადაწყვიტეს აჯანყება „ურჯულო თათართა" ამოსაწყვეტად და კახეთის გასათავისუფლებლად.

საომარი განაზრახიც განსაზღვრეს და გაითვალეს. საპაემნო ადგილებიც დაიგულეს, საიდუმლო ნიშნებიც დაინიშნეს და გულს დაიდუმეს. ერთმანეთს შეჰფიცეს, იარაღი „მოივარგეს" და გაუჩინარდნენ!

ზაალ ერისთავი თვითონ არ წასულა ბრძოლაში. სამაგიეროდ თავისი უფროსი ძე — ზურაბი გაგზავნა არაგველთა ჯარით.

. . . . . .

საომარი განაზრახი იყო მარტივი, გაბედული და გამანადგურებელი: ნაშუალამევს, ერთდროულად და ანაზდეულად, უნდა დასცემოდნენ თათართა მთავარ ბუდეებს — ბახტრიონსა და ალავერდს.

ასე — ორ ნაკადად დაიძრა ქართველთა ლაშქარი: კახელები ბიძინა ჩოლოყაშვილის სარდლობით ალავერდისკენ მი-

ისწრაფიან; ქსნისა და არაგვის ჯარები შალვას, ელიზბარისა და ზურაბის მეთაურობით თიანეთს გადაივლიან, ახმეტას ჩავლენ და ბახტრიონს მიადგებიან.

ბახტრიონისკენ მიუძღვის ზეზვა გაფრინდაულიც უკუღმა დაჭედილ ცხენებზე ამხედრებულ მთიელთა ლაშქარს.

. . . . . .

1659 წლის...

ნაშუადამევი.

ბახტრიონი.

მოიერიშე რაზმს მიუძღვის ზეზვა გაფრინდაული.

ნაბდით თავწაკრულ პალოებს ზეიმა ურჭობს და საოცარი სისწრაფით არბის ციხის კედელზე.

უკვე კიდევაც მოევლო და გადაევლო, „გადაფრინდა ბახტრიონ გალავანზედა“.

სხვებიც მიჰყვნენ, მთიელნი — თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი კლდეებზე „ჯიხვებრ მხლტომელნი“.

ციხის ალაყაფს დაეტაკნენ.

გუშაგები ჩახოცეს.

ხმლის ჩახაჩუხმა და მომაკვდავთა ბღავილმა ფეხზე წამოაგდო ყიზილბაშთა ბანაკი.

მაინც დაასწრო გაფრინდაულმა კარის გაღება.

ციხეში ნიაღვრად შეაგდეს ქსანელთა და არაგველთა ჯარები შალვამ, ელიზბარმა და ზურაბმა.

ახალად აღმოხდენილ ცინცხალ მზეს მეწამული სამოსელით შეეგება ბახტრიონი.

ყიზილბაშთა უმრავლესობა დაირეცა მათივე სისხლით ატალახებულ მიწაზე.

ერთმა ნაწილმა მაინც მოახერხა გარეთ გაღწევა და ალავერდისკენ გაქცევა.

გამოედევნენ ქართველები.

ალავერდის ციხეში თავშესაფარებლად გარბოდნენ ბახტრიონის ჯოჯოხეთიდან თავდახსნილი ყიზილბაშები და არ კი იცოდნენ, რომ ალავერდშიც „ის ჯოჯოხეთი“ დატრიალებულიყო, რაც ბახტრიონში დატრიალდა.

ბიძინა ჩოლოყაშვილს და მის კახელობას ალავერდი უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აელოთ, იქაური ერანული ციხიონი სანახევროდ ამოეჟლიტათ, დანარჩენ ყიზილბაშობას ალავერდის გალავნიდან გამოეღწია და ბახტრიონის ციხისკენ მირბოდა თავშესაფარად.

სწორედ საოცარი „სახილველი“ იყო: „ბახტრიონელი ყიზილბაშები“ ალავერდს გარბოდნენ, „ალავერდელი ყიზილბაშები“ — ბახტრიონს!

და ზედ შუა გზაზე, ალვანის ველზე, ერთმანეთს შეასკდნენ ორის მხრიდან თავპირის მტვრევით მომლტოლვარე „ორი ციხის“ ყიზილბაშობა.

სანამ გონს მოეგებოდნენ, „შესაბამისად“ ორივე მხრიდან წამოეწივნენ და წამოესივნენ შურისგების ცეცხლით ადუღებული ქართველები.

წამოესივნენ და ისე ამოწყვიტეს და დაადუღეს, ცოცხლად ერთი მოამბეც არ გაუშვიათ.

როგორც კარგი მთიბავის ხელით „ლესურად“ მოთიბული ბალახი ისევ ცერზე დადგება ხოლმე, — ასე „ცერზე შეყენებულ ძნებად“ ეყარა დახოცილ ყიზილბაშთა გროვანი.

და სთქვა ზეზვა გაფრინდაულმა:

„როცა დახოცილი მტერი ასე დათიბული ბალახივით ფეხზე დადგება, ხმალი უნდა შეაყენო და ბრძოლის ველს გაშორდე, რადგან მაინც ცოდო არს ადამიანი!“

„ადამიანი?!“

„ჰო, რამეთუ მტერი მტერია, მაგრამ მაინც არის ადამიანი!“

ცოცხლები მკვდრებს გაშორდნენ.

იმ დღიდან იმ ადგილს — მტრის სისხლით და ძვალ-ხორცით გაპოხილ მიწას — ხალხმა დაარქვა „გ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ა“.

...„გაწყვეტილადან“ ქართველები თურქმანთა დასახლებებს მოეკონენ და დედაწულიანად გაჟლიტეს ყველა, ვისაც ამ დღემდე წილი დაედო კახური ოჯახის დაქცევაში, კახური ვაზის გაჩეხვაში, კახური სალოცავი მიწისა და წყლის შებილწვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბახტრიონულმა ომმა“ მტერიც და მოყვარეც ერთჯერ კიდევ დაარწმუნა ქართველი ხალხის გაუტეხლობაში, უძლეველობასა და უკვდავებაში.

ერანის სასახლის კარმა ეგზომ დიდი მსხვერპლის სამაგიერო დამსჯელი „ილღარის“ მოწყობაც კი ვეღარ შეუბედა სახალხო აჯანყებით ადუღებულ კახეთს.

კახეთის „თურქმანიზაციაც“ შეწყდა.

მხოლოდ აჯანყების მეთაურების დასჯისათვის ზრუნვას შეუდგა სპარსეთის ხელისუფლება (აკი ასე ხდება ყოველთვის: ხალხის რისხვით ზარდაცემული ხელისუფალნი აჯანყებულ ხალხს უცოდველ კრავად ჩასთვლიან და გულის ჯავრს ხალხის მეთაურებზე ამოიყრიან).

ჯერ სპარსელებმა ზაალ ერისთავს დაადგეს თვალი, ვითარცა აჯანყების მეთაურს. ზაალმა თავისი „უდანაშაულობა“ იმით „დაასაბუთა“, რომ აჯანყებაში პირადად მონაწილეობა არ მიუღია და ყველაფერი ალი-ყული-ხან ქენგერლუს „ცუდ ქცევას“ გადააბრალა.

ალი-ყული-ხან ქენგერლუ შაჰმა ბეგლარბეგობიდან გადაგდო და კახეთი მთლიანად მურთუზ-ყული-ხანს ჩააბარა, მაგრამ ზაალ ერისთავი დაუსჯელად მაინც არ დატოვა.

სპარსელებმა არაგვის ბატონის განადგურება ვახტანგ შაჰნავაზს დააკისრეს.

ვახტანგ მეფე ამდენ ხანს თითქოს „განზე იდგა“, თითქოს მას „ბახტრიონული ომისა“ არც არაფერი შეუტყვია. სინამდვილეში ვახტანგის „ზომიერი პოლიტიკა“ კახელთა აჯანყებაში მის პირად მონაწილეობას გამორიცხავდა, მაგრამ კახელთა შურისმგებლური ხელით სპარსელთა ამოწყვეტას სულით და გულით თანაუგრძნობდა. ხოლო, რაც შეეხება თვითონ ზაალ ერისთავს, მისი პირადი განადგურება ვახტანგს კიდევაც ჰქონდა გულს ამოჭრილი. საქმე იმაშია, რომ ზაალ ერისთავი ქართლის მეფის განუყოფელ ხელისუფლებას ებრძოდა, ცალკე „ხელმწიფობას“ ჩემულობდა და კახეთის მიტაცებისთვისაც თავს არ იზოგავდა, და ეს ყოველივე მაშინ, როცა ვახტანგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე, — ვითარცა ქართლის უმაღლესი ხელისუფალი — თვითონ აპირებდა კახეთის შემოერთებასაც და საარაგვოს სრულ დამორჩილებასაც.

მერმე, — როცა დასავლეთ საქართველოში შინაფეოდალური არეულობა გახურდა, ვახტანგ მეფე ჯარით წავიდა იმერეთისკენ (იქნებ დასავლეთ საქართველოს „შემოერთებაზეც" ოცნებობდა ვახტანგ მეფე?!), ხოლო ზაალ ერისთავმა მაინცდამაინც მაშინ „აიტეხა" აჯანყება კახეთში. იმერეთისკენ მიმავალი ვახტანგიც იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფეს ზაალ ერისთავი უნდა მოესპო არა როგორც კახეთის აჯანყების მონაწილე, არამედ როგორც ქართული მიწა-წყლის გაერთიანების მტერი, თავკერძა და „თავგამზიდავი" ფეოდალი...

აქ ჩემმა მკითხველმა უნდა გაიხსენოს ზურაბ და ზაალ ერისთავების ძმა — გიორგი, გიორგი სააკაძის ერთგული ცოლისძმა და თანამებრძოლი. სწორედ სააკაძის ერთგულების გამო, როგორც მკითხველს ახსოვს, ბაზალეთის ცოდვიანი ბრძოლის წინ გიორგი ერისთავს მისმა ძმამ ზურაბმა და თეიმურაზ მეფემ თვალები დათხარეს.

გიორგი ერისთავს ცოლად ვახტანგ მუხრან-ბატონის (ამჟამად მეფე ვახტანგ მეხუთის) დაი ჰყავდა. გიორგი თვალთა სინათლეს მალე სიცოცხლითაც გადაჰყვა, ხოლო მისი შვილები — ოთარი, ედიშერი, იასონი, პაპუა და დათუნა — ბიძამ (მამის ძმამ) ზაალ ერისთავმა გამოყარა დუშეთის სასახლიდან. მის შემდგომ გიორგის ძენი ბიძასთან (დედის ძმასთან) — ვახტანგთან ცხოვრობდნენ.

ახლა, როცა ვახტანგ მეფეს ზაალ ერისთავის მოსპობის „საჭიროება" გაუჩნდა, დისწულებმა დაასწრეს და თვითონ მოახსენეს მეფეს: ბიძა ჩვენი ზაალ ერისთავი თქვენი ორგულიც არის და ჩვენც ხომ მის ძმისწულებს მრავალი ავი შეგვყარა, დაგვჩაგრა, გამოგვყარა, და „ჩვენის სამკვიდროს მამულის პუერი არ გვაჭამა", ამიტომ თქვენ ოღონდ დასტური გვიბრძანეთ და ზაალ ერისთავი ყოფილა და აღარ იქნებაო.

ვახტანგ მეფე — კაცი „პირდაპირი" და „ურჩთა და ორგულთა ძლიერად შემრისხველი" — მაშინვე დათანხმდა შუარისგების სისხლმოწყურებულ დისწულთა განზრახვას...

1660 წლის 13 მაისი იყო. დუშეთის სასახლის ეზოში ფანჩატურში იჯდა ზაალ ერისთავი, „ფარაღათად“ (შილიფად), ახალუხის ამარად, და ნარდს თამაშობდა გულარხეინად.

ანაზდაითად წამოადგნენ თავზე ძმისწულები — ოთარი, ედიშერი, იასონი, პაპუა და დათუნა.

„ბიძაჩემს ვახლავარო“, შესძახა ოთარმა და წამსვე ხმალი უჭირა შიგ სახეში. ძმებიც წამოესივნენ.

ზაალ ერისთავმა ვერც ხელის განძრევა მოასწრო, ვერც კრინტის დაძვრა, ისე დაესიკვდილა მიწას, ხმლით აკეპილი.

ზაალის შვილებმა — ზურაბმა და ნაბერალმა — დუშეთის სასახლიდან გაასწრეს და სამცხისკენ გაქუსლეს თავაწყვეტილი ჭენებით.

მათი გაქცევა არ გამოჰპარვია ვახტანგ მეფეს. მაშინვე მალემსრბოლნი გამოადევნა. ტბის-ყურეზე დაეწივნენ მდევრები დევნილებს. ახალგაზრდა ერისთავებს მხლებლები და მსახურეულნი ამოუწყვიტეს, თვითონ ზურაბი და ნაბერალი ცოცხლად შეიპყრეს და მეფეს მოჰგვარეს. ვახტანგმა მაშინვე ერანს გაგზავნა ზაალის ძენი.

ზურაბი, ვითარცა ბახტრიონის აჯანყების მონაწილე და ერთ-ერთი მეთაური, სპარსელმა ჯალათებმა ციხეში ჩაკლეს, ხოლო ნაბერალი შაჰ აბას II-ე გაათათრა და პირად ღულამად აიყვანა.

არაგვის ერისთაობა ვახტანგ მეფემ მისცა უფროს დისწულს — ოთარ გიორგის ძეს. მეორე ძმას — ედიშერს მეფემ მიანდო „მსაჯულობა საქართველოსი“, ხოლო მესამეს — იასონს — „დედოფლის სახლთუხუცესობა“.

ზაალ ერისთავის განადგურებისთანავე დადგა საკითხი აჯანყების ნამდვილი ბელადების — ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავების დასჯისა.

რაკი საქართველოს „ყოველი საქმე“ როსტომ მეფის შემდგომ ვახტანგ მეფეს „ეკითხებოდა“, ბუნებრივია, ბიძინა შალვა და ელიზბარი სწორედ ვახტანგთან უნდა მისულიყვნენ „კუთვნილი მსჯავრის“ მისაღებად.

მაგრამ ქართველები ქართველს არ ენდვნენ. კახეთის აჯანყების მეთაურები ვახტანგ მეფის ნაცვლად ყიზილბაშ მურთუზ-ყული-ხანს ეახლნენ ყარაღაჯში.

სპარსელმა ბეგლარბეგმა სამივე ქართველი — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი — მისვლისთანავე შეიპყრო და ერანს გაგზავნა, შაჰის სამსჯავროში.

შაჰ აბას II თავისი დიდი წინაპრისა და სეხნიის მიმდევარი და მიმბაძველი იყო. ეს „პატარა შაჰ აბასი“ დიდი შაჰ აბასივით ცდილობდა, ყოველი დიდი ქართველი თათრობის გზაზე შეეგდო და, თვითონ საქართველოს სამტროდ და საზიანოდ, სპარსეთის „ისტორიის მჭედლად“ გადაექცია.

ასე დაუპირეს მაშინ ბახტრიონის აჯანყების ბელადებსაც. სამივეს იგივე უთხრეს, რაიც სპარსეთში მოუსმენია „მილიონ ერთს“: ან მაჰმადიანობა მიიღეთ და სპარსეთის სამსახურში შედით, ან სიკვდილისთვის მოემზადეთო!

სამივემ, უყოყმანოდ, ქართველობაზე ხელის აღებას სიკვდილი არჩია.

ბიძინამ მშვიდად უთხრა შალვას და ელიზბარს:

„ძმებო, ნუ მოვმედგრდებით* და ნუ შევშინდებით, რამეთუ სიკვდილი უნებელად** დაბადებიდანვე თან გვახლავს, ვერც ვერავინ წინააღუდგების სიკვდილსა, და რაკი უნდა მოვკვდეთ, ბარემ მოვკვდეთ ქრისტესთვის და საქართველოსთვის და სამარადჟამოდ დავიმკვიდროთ სასუფეველი!“

არც შალვას და არც ელიზბარს წაქეზება არ სჭირდებოდათ, რადგან არც ერთი მათგანის გულსა და გონებას სხვა რამ აზრი არ გაჰკარებია — მხოლოდ სიკვდილი საქართველოსთვის და ქართველობისთვის!

სამივემ „განბასრეს (გაკიცხეს) და გინებულ ჰყვეს სჯული მაჰმადისა“. სამივემ „ერთხმობით“ სამარეში ჩასატანად დაინარჩუნა ქრისტიანობა და ქართველობა.

გაცოფდა ერანის მბრძანებელი.

და, — „ვითარცა წესი და ჩვეულება არს თათართა, რამეთუ მკვლელს ხელში მისცემენ მოსისხარსა“, შაჰის ბრძანებით სამივე ქართველი მამულიშვილი მიუგდეს იმ ელ-თურქმანებს, რომელთა ნათესავნი ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერის-

---

* ნუ მოვმედგრდებით — ნუ მოვეშვებით, ნუ მოვსუსტდებით.

** უნებელად — ჩვენდა უნებურად, ჩვენს დაუკითხავად, ჩვენი სურვილის მიუხედავად.

თავთა მეთაურობით ამოწყვიტეს ქართველებმა „ბახტრიან-ნულ ომში“.

ალბათ რამდენჯერ უნატრიათ ბირუტყვულად გონებაბრ-ჯგუ ელებს ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა და ელიზბარ ერისთავთა სისხლის დალევა!

და აი, ახლა აუსრულდათ ეს დღე-ღამ დაულევნელი სა-ნატრებელი!

და წამებასაც ხომ მრავალი საუკუნის „პრაქტიკულ-ნო-ვატორული“ ისტორია ჰქონდა ერანულ-თურქმანულ ტომებში.

და აწამეს დიდი ქართველი მამულიშვილნი.

ასოეულებად ასჭრეს და აჰკაფეს.

(„ხოლო უწყალოთა მათ მტარვალთა იწყეს რა მოჭრად თვითეულთა ასოთა ყოველნივე თითნი ხელისა და ფეხისანი მოჰკვეთნეს თვითეულად სახსარ-სახსრად. და მერე, მაჯა-იდაყ-ვნი, და მხარნი, და ფერხნი კოჭებიდგან მუხლებამდე, და ეს-რეთვე თეძონიცა...“).

ასოეულებად აჭრილნი და აკაფულნი ისრებით დაცხრი-ლეს, მახვილებით დაჩეხეს, ტყვიებით დახვრიტეს.

ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაშთები ევროპელმა კათოლიკე ბე-რებმა მოიპარეს და იდუმალ დაკრძალეს, სადღაც უცნობ ად-გილას.

შალვასა და ელიზბარის ცხედრები, როგორც იქნა, მათმა სვეგაშავებულმა მეუღლეებმა გამოიხსნეს, საქართველოში ჩა-მოასვენეს და ქსნის ერისთავთა საგვარეულო იკორთის მო-ნასტერში მიაბარეს მიწას.

ქართველმა ხალხმა გააღმერთა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ძმათა ქსან-ერისთავთა სახელები და მათი სამამულიშვილო საქ-მენი.

ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა სამივე გმირი, წამებულნი ერისა და სარწმუნოებისა.

ბიძინა, შალვა და ელიზბარი სამშობლო ქვეყნისათვის თავ-დადებულის შარავანდედით შემკობლნი შეუერთდნენ იმ სარ-წმუნოებრივ და საეროვნებო რაინდთა გუნდს, რომელთა შო-რის ბრწყინავდნენ: რაჟდენ მოწამე, დავით და კონსტანტინე, გობრონი, კონსტანტი კახი, შალვა ახალციხელი, თევდორე მოვდელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე და პაატა სააკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე დაასრულა სიცოცხლე „ბახტრიონული ომის“ მეთაურთა „თავადურმა წრემ“.

რაც შეეხება აჯანყების წარმმართველ „ხალხურ წრეს“— ამათთაგანი არც ქართველ მეფეს ენდნენ, არც ქართველ თავადებს, არც სპარსელ ბეგლარბეგებს და არც სპარსეთის შაჰს. იმათ საერთოდ არც უფიქრიათ „რაიმე შერიგება“, ან საერთოდ იარაღის დაყრა და მორჩილებით მუხლის მოკეცვა.

ისევ იბრძოდნენ თუში ზეზვა გაფრინდაული, ხევსური ნადირა ხოშარეული, ფშავი გოგოლაური.

ისევ იბრძოდნენ „სანამ პირში სული ედგათ“.

იბრძოდნენ, რამეთუ შეურყევლად სწამდათ მათი მშობელი ხალხის გაუტეხლობისა, უძლეველობისა, მარადიულობისა.

. . . . . .

განუზომლად დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის მატიანეში „ბახტრიონული ომი“.

შესატყვისად — დიდი მეხოტბეებიც გამოუჩნდნენ ამ საოცარ სამამულიშვილო გმირობას — სამი გენიალური, ღვთაებრივ-ნიჭიერი მეხოტბე:

ქართველი ხალხი — „ხალხური პოეზია“.

აკაკი წერეთელი — „ბაში-აჩუკი“,

ვაჟა-ფშაველა — „ბახტრიონი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე-მთავართა საომარ სასწორზე

„იყო ამათში მტერობა, ყოვლთ მტერთ• უბოროტესი,
მიხდომ-მოხდომა, ხმლისა კვრა პირისა, არა კოტესი“.

• რ ჩ ი ლ •

დაბეჯითებით წერს ბერი ეგნატაშვილი:

„კახნი ჩვეულებისამებრ იყვნენ ერთმანერთისა მეშურნენი და მტერნი და მრავლის ზაკვასა და ჩხუბის მოქმედნი, ლაღნი და ამპარტავანნი, ტანთჩაცმისა და სილამაზის გამომკიდენი და მოყვარენი, რამეთუ ესრეთცა იყო პირველთაგან ჩვეულება მათი“. ხოლო იმერლები თავიდან იყვნენ უბრალო ცხოვრების მიმდევარნი, მართალნი, „წრფელნი და ბატონისა თვისისა ერთგულნი“. მაგრამ, როცა კახეთს მძიმე დღეები დაუდგა და კახელებმა იმერეთში გადახიზვნასა და იქ დარჩენას დაუხშირეს, იმერლებმაც კახელებს „წაბაძეს, ისწავეს კახთა წესი და კიდეც გარდაამეტეს. მიერითგან დამკვიდრდა იმერეთს ჩხუბი და დაუნდობრობა“.

ერთი სიტყვით, იმერლებმა კახელებისგან ისწავლესო ელეგანტური ჩაცმა-დახურვა, ამპარტავანი მიმოხრა, და რაც მთავარია — ურთიერთშური, ქიშპი, მზაკვრობა, მტრობა, ურთიერთგაუტანლობა და ურთიერთსისხლის დაქცევაო. და ისე ისწავლესო, რომ მოწაფეებმა მასწავლებლებს გადააჭარბესო.

მკითხველთაგან ბევრმა იქნებ დაუჯეროს მემატიანის ამ სტრიქონებს, ბევრმაც, იქნება, უნდობლობის ნიშნად მწარედ გაიცინოს, მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადზე უცხადესია: ბევრი ღირსება და სისუსტე უეჭველად „უსესხებიათ“ ერთმანეთისგან ქართველ თანამეტომეებს და თანამოძმეებს, ბევრიც „უსესხებლად“ ჰქონდათ საერთო, ვითარცა ერთი ფესვიდან მომდინარე ძმებსა და დედმამიშვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ასევე, ახლაც, როცა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე შინაურ აშლილობას, ურთიერთმტრობასა და ურთიერთსისხლის დაქცევას უნდა გავეცნოთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ იმერეთს კახეთისგან „დამოუკიდებლად“, მისი „მიბაძვისა“ და მისგან „სწავლის“ გარეშე ჰქონდა თავისი შინაგვამიერი სატკივარნი, საომარნი და სისხლსაქცევარნი.

„მძლავრებდა დიდად დადიანი“

„მეგრელები საუკეთესო ჯიშის ხალხია; კაცები კარგი აღნაგობისა არიან, ქალები კი ძალიან ლამაზები. აქაურ წარჩინებულ ქალებს რაღაც განსაკუთრებული ნაკვთები და სინაზე აქვთ, რაიც ძალიან გხიბლავთ და გატყვევებთ. მე შემხვედრია მათ შორის უმშვენიერესი აღნაგობის ქალები, დიდებული იერით, საუცხოო სახითა და ტანით. გარდა ამისა მათ აქვთ ისეთი მიმზიდველი და ალერსიანი გამოხედვა, რომ მხილველისგან თითქოს ტრფიალებას ითხოვენ.. მეგრელებს აქვთ ჭეშმარიტად გამჭრიახი და მახვილი გონება; არიან თავაზიანნი, ზრდილნი, დარბაისელნი და გულთბილნი, მაგრამ ამავე დროს არიან ამაყნი, ქედმაღალნი, ბოროტნი, დაუნდობელნი, ულმობელნი და უტიფარნი...“

ჟან შარდენი

დასავლეთ საქართველოს ამბების თხრობა 1633 წლით, გინა როსტომ მეფისა და ლევან დადიანის დამოყვრებით შევწყვიტეთ.

როგორც მკითხველს ახსოვს, კაკას ხიდთან ქართლელთა და მეგრელ-ოდიშართა საქორწინო შეხვედრას წინ იმერელთა მწარე მარცხი უძღოდა. ლევან დადიანმა მაშინ იმერთა მეფე გიორგი III კიდევაც დაამარცხა და სამარცხვინო ტყვეობაშიც წაიყვანა. ლევან დადიანი გამორჩევით მტრის თვალებს ემტერებოდა, მაგრამ ალექსანდრე უფლისწულმა დაასწრო, დადიანს დიდძალი გამოსასყიდი მიართვა და მამა თვალების დათხრასაც გადაარჩინა და ტყვეობიდანაც გამოიხსნა. დადიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსასყიდად იმერელთაგან აიღო ცხენისწყლის მარცხენა ნაპირი — ჭილაძეებისა და მიქელაძეების საბატონო მამულები, წაიყვანა ჩხარიდან და ჩიხორიდან სომეხი და ებრაელი ვაჭრები და სოფელ რუხში დაასახლა ყველანი. ამას გარდა, ქუთათისიდან ლევან დადიანს მიართვეს „მურასა გვირგვინი, მრავალი ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, თვალმარგალიტით მურასა იარაღი“.

რაკი ცხენისწყლის „ბუნებრივი საზღვარი მოშალა“, რიონისა და ყვირილას შესართავამდე თავისუფლად დაშლიგინობდა იმერეთის დაუძინებელი მტერი და მაოხარი ლევან დადიანი.

ძალიან უჭირდა დამცრობილ იმერეთის სამეფოს გაზულუქებულ ლევან დადიანთან ბრძოლა, რადგან სამეგრელოს მთავარს პირადი ნიჭისა, ძალმოსილებისა და სიმამაცის გარდა, ყოვლად საიმედო ბურჯებად უდგნენ სიძე — მთელს წინა აზიაში „პირველი კაცი“—როსტომ მეფე, და ერანის შაჰი — „ლაშქრითა და სალაროთ მომხმარებელი“.

1639 წელს მოკვდა ნატყვევარი გიორგი მესამე, — მოკვდა „ფრიადითა მწუხარებითა და ესე ვითარებათათვის და ვერა რაისა მწეობისა მპოვნელი“.

ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ალექსანდრე III (1639—1660). თეიმურაზ პირველის სიძე — მისი ქალიშვილის, დარეჯანის ქმარი ადრე გიორგი სააკაძეს ეს კაცი „გაერთიანებული საქართველოს“ მეფედ ჰყავდა მონიშნული).

სამომავლო იმედად არაფერი დახვედრია იმერეთის ახალ მეფეს.

ლევან დადიანის გამძლავრებას, მის აულაგმავ მაოხარ ლაშქრობებთან ერთად, თურქული უღლის დამძიმებაც მოჰყვა დასავლეთ საქართველოს კისერზე.

ოსმალეთის ხონთქარი მურად IV დიდად შეეშფოთებინა ლევან დადიანის კავშირს ერანთან და დონის კაზაკებთან.

1634 წლის მაისში ოსმალები სამხედრო გემებით მოადგნენ კოდორს, მდინარის მიმდგომი მიწა-წყალი ააოხრეს, ააწიოკეს და დრანდის მონასტერიც გაძარცვეს და გააპარტახეს.

ესეც გავიხსენოთ: 1635 წელს ერანის წინააღმდეგ აღძრული მურად სულთანი ერევანს მიადგა და ლევან დადიანს შე-

მოუთვალა: „შენ ჩემი მოხარკე ხარ და რადგანაც ერეკანი შენი სამთავროს მახლობლად არის, წესით უნდა მოხვ დე და დამეხმაროო“.

დადიანმაც ფიცხელი პასუხი შეუტრიალა: „არასოდეს არც მე და არც ჩემს წინაპრებს ვალად არ გვედო თქვენი და თქვენის წინაპრების ომში სამსახურიო და ამიტომაც არც ახლა გეახლებითო. ამასთანავე გაიხსენეთ, რომ ხარკს იმიტომ კი არ გაძლევთ პირდაპირ თქვენი ბატონობა მეცნოსო, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ჩემს საზღვრებში ჯარით არ შემოხვიდეთო. და თუ ამას მაინც იზამთ, მე მყისვე მოგისპობთ ხარკსა და ადვილად შევიძლებ ჩემის ჯარით დავიცვა ჩემი სამთავროო“.

პირდაპირ „მეფური პასუხი“ იყო.

ოსმალეთის ზვიადმა ფადიშაჰმა მწარედ გადაყლაპა ცხელი „მეგრული ღომი“.

თურქეთის სულთანზე უფრო თეიმურაზ კახთა მეფე აფიქრებდა ლევან დადიანს. თეიმურაზმა რომ 1634 წელს კახეთის ტახტი დაიჭირა და სამეგრელოს მთავრის უახლოეს მოკავშირესა და მოყვარეს როსტომ მეფეს შეუტია, მაშინ ლევან დადიანი საქართველოში თითქმის სულ მარტოდმარტო დარჩა— გადამტერებულ იმერეთის, აფხაზეთის, სვანეთისა და ახალციხის ფაშას პირისპირ.

მაინც არ დაფრთხა და არ დაიბნა ლევან დადიანი. მაშინვე თვითონაც „ყველაზე დიდ ქვეყანასთან“ გადაწყვიტა დაკავშირება. ეს იყო ისევ რუსეთი.

1636 წელს დადიანმა რუსეთში ელჩად გაგზავნა გ ა ბ რ ი ე ლ გ ე გ ე ნ ა ვ ა, რომელმაც ორი წლის შემდგომ, 1638 წლის ნოემბერში, როგორც იქნა, ჩაღწია მოსკოვში.

თეიმურაზ მეფის ელჩი, ნიკიფორე არქიმანდრიტი, მოსკოვში დახვდა გაბრიელ გეგენავას.

დაერივნენ ერთმანეთს „მომტერე ქართველთა“ წარგზავნილები. თავს არ იზოგავდნენ, ერთიმეორისთვის სახელი გაეტეხათ მასპინძელთა თვალში, ერთიმეორის საელჩო განზრახვანი მოეშალათ რუსეთის დიპლომატიურ უწყებებში.

არც უნდა გასჭირვებოდათ ერთიმეორის დამცირება და დამარცხება ქართველებს „უცხო და სასურველი“ ქვეყნის კარზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადიანის ელჩი რუსეთის ხელმწიფეს სთხოვდა: თეიმურაზ მეფისთვის ჯარით და ფულით დახმარებაზე უარი ეთქვა, ხოლო სამეგრელო „მფარველობაში“ აეყვანა, თურქების წინააღმდეგ დახმარებოდა და კაზაკების მარბიელი შემოსევებიც აღეკვეთა.

როგორც ეტყობა თეიმურაზის ელჩმა „უფრო დასძალა“ ლევან დადიანის ელჩი. გაბრიელ გეგენავა ცივად მიიღეს რუსთხელმწიფის, მიხეილ რომანოვის კარზე.

თუმცა არც ერთ მხარეს „გული არ დაწყვიტეს“, — ორივე ერთნაირად „ტკბილი დაპირებებით“ გამოისტუმრეს და ორივეს ცალკე „საკუთარი“ რუსი ელჩებიც გამოატანეს.

გაბრიელ გეგენავა და მისი თანმხლები რუსი ელჩები — თ ე ო დ ო ტ ე ლ ჩ ი ნ ი და პ ა ვ ლ ე ზ ა ხ ა რ ი ე ვ ი, 1639 წლის ნოემბერში ჩამოვიდნენ სამეგრელოში. მათ თან ჩამოიტანეს მიხეილ რომანოვის აღთქმანი „მომავალ დახმარებაზე“ და „ერთგულების ფიცის წიგნი“, რომელზეც ხელი უნდა მოეწერა ლევან დადიანს. ეს იყო და ეს. რუს ელჩებს საგანგებო მითითებაც კი ჰქონიათ, „ფიცის წიგნზე“ ხელმოწერის შემდგომაც არავითარი სახელდებითი დაპირება არ მიეცათ რაიმე დახმარების თაობაზე.

ლევან დადიანი მგლოვიარედ დახვდა სტუმრებს. ცოლი მოჰკვდომოდა — დარეჯანი (აი, ის ქალი, ბიძას — გიორგი ლიპარტიანს რომ წაართვა ლევან დადიანმა). დიდ წუხილს დაეთრგუნა ზვიადი მთავარი. რაც ქონება ჰქონდა, ეკლესიებისა და სამძიმარზე მოსული ხალხისთვის დაერიგებინა თანამეცხედრის სულის მოსახსენებლად. ათასი ძროხა, კამეჩი და ჭედილა დაეკლა საალაპედ, ერთი წელი არც ტანზე გაუხდია, არც სასახლეში გაუთევია, არც სახსნილო უჭამია. მწყემსებთან ცხოვრობდა თმაწვერაშლილი, ფხალის მეტს არაფერს პირს არ აკარებდა. მხოლოდ საფლავის სახილველად თუ გაეყრებოდა მთასა და ტყეს. მივიდოდა, მკვდრისზედა მიწას დაემხობოდა და მწარე გოდებით ძრწოლასა ჰგვრიდა საჭირისუფლოდ შემოყრილ ხალხს...

ჯერ მარტო გეგენავა მიიხმო მგლოვიარე მთავარმა და გამოჰკითხა რუსეთში მგზავრობისა და რუსთხელმწიფის კარზე მიღების ამბები. სანუგეშო ვერაფერი უთხრა გეგენავამ; აქედან წასული, ორი წელიწადი თერგში მაყურყუტესო, ერ-

თი წელიწადი გზაზე გამაწვალესო, მოსკოვის კარზეც ცივად და უპატიურად მიმიღესო, თეიმურაზ მეფის ელჩს უფრო პატივისცემით ეპყრობოდნენო.

ძალიან გაჯავრდა ლევან დადიანი. მგლოვიარობა მოიმიზეზა და ნახევარი წელიწადი ახლოს არ გაიკარა რომანოვის ელჩები. მერე როცა მიიღო (1640 წლის 27 აპრილს და 18 მაისს), საყვედურებით მისდგა სტუმრებს, — ჩემი წარმოგზავნილი კაცი სამი წელიწადი ტყვეობასა და უპატიურობაში გყოლიათო. ხოლო, როცა ელჩებმა „ერთგულების წიგნი“ გადმოიღეს, ლევანმა ცივი უარი თქვა ხელის მოწერაზე.

მოლაპარაკება ჩაიშალა.

ელჩინი და ზახარიევი იმავე წელს რუსეთს გაბრუნდნენ.

. . . . . .

1643 წელს იერუსალიმში, ჯვარის მონასტრისა და გოლგოთის წინამძღვარმა ნიკიფორე ჩოლოყაშვილ-ომანიშვილმა (ირბახმა) ლევან დადიანის დავალებითა და შემწეობით, განაახლა ქართველთა დიდებული ლავრა და ზედ ასეთი წარწერა გაამართვინა:

„აქ დაიხატა და განათლდა წმინდა ესე და ყოვლად პატიოსანი ტაძარი ჯვარისა ცხოველის-მყოფელისა ჯერჩინებითა დადიანისა ლეონისითა, ხელითა და ფრიად ჭირგანცდილებითა ყოვლად — უღირსისა ჯვარისა და წმინდისა გოლგოთისა მამისა ნიკიფორესითა ჩოლოყაის შვილის ომანისა ძისათა, რომელმან ნგუმბადი და წმიდა საკურთხეველი გავაკეთე, ჩემისა საფასითა, ქორონიკონსა ტკია, ამინ“.

წამწარეგული დღესასწაულები

ისევ ესხმოდა ლევან დადიანი იმერეთს ცეცხლითა და მახვილით.

ცეცხლს უკიდებდა და უჩუჩხურებდა პაატა-წუწკი წულუკიძე ისედაც მუდამ სალაშქროდ ცეცხლმოკიდებულ მთავარს: „შენი დღესასწაული შენი მტრების ძლევა და ამოწყვე-

ტა არისო; ამიტომ ყოველ დღესასწაულ დღეს დაეცი თავზე სადღესასწაულო განცხრომაში თავმიცემულ იმერლებსო“.

დადიანიც მისდევდა „წუწკის“ შეგონებას და „მოუხდებოდა ყოველს საუფლოს დღეს, შობასა, ახალწელიწადსა, ნათლისღებასა და აღდგომასა და აოხრებდა ქვეყანასა იმერეთისასა“.

გიორგი მესამე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან ხელში უშიშრად სააღდგომო კვერცხის დაჭერა არ ჰღირსებია. ვერ გაუხსნილებია ვერც ერთი დღესასწაული წაუმწარებლად და ძმარწაუდენლად!

მოდიოდა დადიანი, აოხრებდა იმერეთს, ძარცვავდა, აწიოკებდა, ანგრევდა, სწვავდა, მიჰყავდა ტყვეები, ჰყიდდა — ან თურქ ვაჭრებზე, ან თვითონ ტყვეთა ნათესავებზე. „ტყვეთა სყიდვა“ და ტყვეთა „თავის გამოხსნა“ დიდ საშემოსავლო, გასამდიდრებელ წყაროებად გაიხადა დადიანმა, უფრო ხშირად იმერეთის ხარჯზე, ჟამ-ჟამად აფხაზეთის ხარჯზეც. „და იყო დადიანი მდიდარი ფრიად“, დაებეჩავებია იმერეთი „და მორჩილებდნენ სრულად აფხაზნი და შარვაშიძენი ყმობდნენ და ულაშქრებდნენ (ხარკად ჯარს აძლევდნენ) დადიანსა“.

მაინც იმერეთში „არსადა დაშთა დაბანი და შენობანი და სიმაგრენი, რომელ არა მიემძლავრა“ დადიანსა.

ბოლოს მიმართა „კონტროლონისძიებას“ ალექსანდრე იმერთა მეფემ: ქუთათისს ახალი ქვის ზღუდე-გალავნი შემოავლო და შიგ ჩაიკეტა ცოლ-შვილით, კარისკაცებით, მსახურეულით, ახლობელ წარჩინებულთა ჯალაბითა და სახლეულით. იმედი ჰქონდა მეფეს, — სამეგრელოს მთავარი ახალი კედლებით შემორაგვულ ციხეში ვერ შემოაღწევსო, ხოლო კედლებს გარეთ... კედლებს გარეთ ხალხს რაც დაემართებოდა, ამაზე ფიქრს, როგორც ეტყობა, ალექსანდრეს თავი ვერ უძლებდა. მთავარი იყო, თვითონ დაეხსნა თავი „ღვთისგან აშვებული“ დადიანისგან, თვითონ ჰქონოდა საშუალება, ამიერიდან მაინც აუკანკალებელი ხელით შეხებოდა საშობაოდ შემწვარ გოჭს, საახალწლო ღვინით ავსებულ ყანწს, სააღდგომო წითელ კვერცხსა და საგანატეხო პასქის ჯვარს.

აი, ამას ერქვა მეფის „კონტროლონისძიება“ თავგასული ქვეშევრდომის ასალაგმავად!

ხალხი და „წვრილი ერი“ კი არა, თავადებიც იმიტომ შეუყვანია ოჯახებით გალავნის შიგნით, შიში ჰქონია მეფეს, არ მიმატოვონ და დადიანს არ მიუვიდნენო!

ამნაირი კაცის იმედი ჰქონია დიდი კახეთის დამკარგველ თეიმურაზ მეფეს!

ამნაირი კაცი სურდა გიორგი სააკაძეს „გაერთიანებული საქართველოს“ მეფედ!..

ერთხელ დადიანმა ქუთათისის ციხიდან ალექსანდრეს გამოგდება და იმ ციხის მიწასთან გასწორება მოინდომა. ოცდაათი ზარბაზნითა და ჯარით იგი გარს შემოერტყა ქუთათისს. გაბმული ცეცხლი გაუხსნა ზარბაზნებით, ლაშქრით იერიშიც მიიტანა, მაგრამ ციხე მაინც ვერ აიღო.

ალექსანდრეს „კონტრლონისძიებამ“ დიახაც „გაამართლა“: ქალაქის მოსახლეობა და შემოგარენი ძალიან დაზარალდა, მაგრამ, „რაც მთავარია“ — მეფე და ციხე გადარჩა!

1646 წლის თებერვალში ლევან დადიანმა ძალზე დიდი ლაშქარი მოაწყო იმერეთს. სადაც გაიარა, ბალახმა აღარ გაიხარა. სოფლები მიწასთან გაასწორა, გაძარცვა. გაატიალა. ვისაც მოახელა — ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა — ყველა დაბორკა და ტყვედ წაიყვანა. გამორჩევით ჩხარი და ჩიხორი დაეზარალა სამეგრელოს მთავრის ურჯუკმა შემოსევამ.

ამ ლაშქრობის სამახსოვროდ ძვირფასი ხატი გააჭედვინა ლევან დადიანმა და ზედ ასეთი წარწერაც გაამართვინა:

„წამოვედით გამარჯვებული და ნაშოვრით სავსე, რომ ლაშქარნი ვერ დაერივნენ. ბალახვანზე რიონს გამოვედით და ქუთათისის ციხიდაღმა მეფე და სრული იმერელი ლაშქარი შეყრილი თვალით გვიმზერდნენ. მეფე მისი თემისა ამოწყვეტას ჰხედავდა, ამდენი ნაშოვრის ტყვეების ჟღივილი ყურით ესმოდა, მაგრამ ციხიდაღმა თავი არ გამოყვეს და ვერცარა დაგვაკლეს. ასრე შევარცხვინეთ და წამოვედით ოდიშს გამარჯვებული“.

ამნაირად განსრულებულა ეს ლაშქრობა.

ამნაირი ხელმწიფე ამძიმებდა მაშინ ქუთათისის სამეფო ტახტს... იმ ქუთათისისა, სადაც ერთ დროს „ყოველი საქართველოს“ დიდხელმწიფური ტახტები ედგათ ბაგრატ მესამეს და დავით აღმაშენებელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველს ახსოვს მამუკა ბატონიშვილზე ზოგიერთი რამ წინასწრობილად ნათქვამი: მამუკა ალექსანდრე მეფის უმცროსი ძმა იყო — ჭაბუკი „მხნე, ახოვანი, შვენიერი, კისკასი და შემმართებელი ძლიერი“. „ზნე-სრული და გულოვანი გოლიათებრივი“. იგი ხომ როსტომ მეფემ იშვილა, მაგრამ ქართლის თავადებმა შეთქმულებაში ჩაითრიეს, შეთქმულება გამჟღავნდა და აბრუგატეხილი ბატონიშვილი ისევ იმერეთს დაბრუნდა.

მამუკა ბატონიშვილი იმერეთის სამეფო სახლეულში ერთადერთი იყო, რომელიც უეჭველ იმედს იძლეოდა, ბოლოს და ბოლოს, დაეხსნა ქუთათისის სამეფო კარი სამეგრელოს მთავრის კირთებისაგან და ლაჩრული სირცხვილისაგან.

მამუკა ბატონიშვილმა სახელდახელოდ შეყრილი და გაწრთვნილი მეომრებით თარეშული ომი გაუმართა ლევან დადიანს, საგანგებო მზირების მეოხებით ტყობილობდა ოდიშართა ლაშქრის მოძრაობას ხერხიან ადგილებში უსაფრდებოდა, მოულოდნელად ესხმოდა, ფიცხელი ხმალთაკვეთებით ამოწყვეტდა, ანდა ფანტავდა და ისევ გაუჩინარდებოდა. ამნაირი საომარი გააზრებით და ნაქცეურობით მამუკა ბატონიშვილმა დადიანის მეომართაგან „მრავალი მოსრის და მრავალი დარჩენით შეიპყრის და ტყვე-ყვის და შემოიქცა გამარჯვებული“. დიდი შიში ჩაუყენა ახალგაზრდა გმირმა ლევან დადიანის მოლაშქრეებს. საკმარისი იყო მამუკას გამოჩენა და, გარბოდნენ თავპირის მტვრევით.

თურმე მცირე საომარი განწესრიგებაც საკმარისი ყოფილა თავგასული ფეოდალის ასალაგმავად.

ლევან დადიანი ყოველნაირად „მცდელობდა“, როგორმე ხელში ჩაეგდო „იმერთა მხსნელი“.

მამუკა ბატონიშვილს მისგანვე საგანგებოდ გაწვრთვნილი ზერდაგი ცხენი ჰყავდა, კანჭმაღალი, მძლავრი და ფიცხელი. ბრძოლაშიც ყოველთვის ამ ცხენზე ამხედრებული გადიოდა, რადგან უტყუარად ჰქონდა დაცდილი: მის ზერდაგს ჭენებით,

მიმოხრით და მკერდულ-ძგერებით ვერც ერთი მეგრული ლაფშა ვერ უმაგრდებოდა.

ერთ დღეს, როცა მზირებმა დადიანის ჯარის ახალი შემოსევის ამბავი მოიტანეს და მამუკაც ფიცხლავ საომრად აღიკაზმა, ალექსანდრე მეფე მივარდა და შეუჩნდა: დღეს ბრძოლაში ნუ წახვალ, რადგან გული ცუდს რასმეს მიგრძნობსო. მამუკა მეფე-ძმის ახირებას ყურს არ უგდებდა და საომრად იწევდა. მაშინ მეფემ ძმის საომარი ზერდაგი მსახურებს გადაამალვინა, — იქნებ მამუკა ბრძოლაში არ წავიდესო. მაგრამ მამუკამ მაინც არ დაიშალა, იდუმალ გავიდა, სხვა ცხენზე შეჯდა და საომრად გაქუსლა.

მისი დანახვისთანავე მეგრელებმა პირი იბრუნეს.

ბატონიშვილი უკან გამოეხთო თავდავიწყებით.

და მოულოდნელად ნასხვისარმა ცხენმა როგორღაც მუხლი დაიკვეთა და მხედრიანად ძირს დაენარცხა.

შემოტრიალდნენ ოდიშარნი და ზედახორად ზედ დაეყარნენ წაქცეულს.

ასე ბრმა შემთხვევის წყალობით დატყვევებული მამუკა ბატონიშვილი მიჰგვარეს ლევან დადიანს.

სიხარულით ატანილმა მთავარმა მტკიცედ დაცულ და დარაზულ ციხეში ჩააგდო გმირი მეტოქე.

ილორის წმინდა გიორგის სადიდებლად და ეგზომი გამარჯვების სამადლობლად დადიანმა ძვირფასი ხატი გააჭედვინა და ზედ „ცოტა სხვანაირი თხრობით“ დააწერინა: „...მივუხედით მეფე ალექსანდრეს ქუთათისს, ქალაქი დავსწვით და ავაოხრეთ და გამარჯვებული მოვდიოდით, მეფის ძმა მამუკა წინ დაგვხვდა და შევიბენით, თვითონ მე დავირჩინე და შენს კარზედ მოვიყვანე...“.

ეს ამბავი მოხდა 1647 წელს.

მთელი დასავლეთი საქართველო შეირყა.

მოყვრები ცრემლად იღვრებოდნენ, მტრები სიხარულით თახთახებდნენ.

რა არ სცადა ალექსანდრე მეფემ ძმის გამოსახსნელად, რა ფული და „სახსარი“ არ შეაძლია დადიანს, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

1648 წელს ალექსანდრემ, როგორც წინასწრობილად ითქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა, თეიმურაზ მეფე გაგზავნა ოდიშში, დადიანთან შესარიგებლად და მამუკა ბატონიშვილის გამოსახსნელად. დადიანი მეფე-ბიძაშვილს დიდის პატივით შეხვდა, მაგრამ წუწკი წულუკიძის ენის „წაკვრით", უარი თქვა იმერეთის მეფესთან შერიგებაზეც და მამუკას განტევებაზეც.

როცა ვერც თეიმურაზის შუამავლობამ გასჭრა, ალექსანდრემ თავისი ერთადერთი შვილი და მემკვიდრე — ბაგრატი გაუგზავნა მძევლად დადიანს. არც ამნაირ გაწირვას გაუწია ანგარიში მძვინვარე მთავარმა. ის კი არა და, არც მამუკა გაათავისუფლა და არც ბაგრატი დააბრუნა უკან, ქუთათისს.

თავზარდაცემულმა ალექსანდრემ აღარ იცოდა, რა ექნა.

ისევ თეიმურაზმა „იპოვნა" გამოსავალი. როგორც ითქვა, მან ალექსანდრეს ჩააგონა: დადიანისა და როსტომ მეფის წინააღმდეგ დახმარება რუსეთის მეფეს ვთხოვოთო. აკი ეს ელჩობაც შედგა, მაგრამ რუსეთიდან მოსული სიტყვიერი დაპირება ვერც ლევან დადიანს დაადენდა სისხლსა და ძმარს და ვერც როსტომ მეფეს.

ლევან დადიანი მეფეების „რუსულმა პოლიტიკამ" კიდევ უფრო გააბოროტა და გაამხეცა.

ააოხრა ქვემო იმერეთი.

დაეცა ქუთათისს, გაძარცვა, გაატიალა და გადასწვა.

ერთი კვირა ზარბაზნები ურტყა გელათის ციხესიმაგრეებს, აიღო, გაძარცვა და ტყვედ წაიყვანა ორმოცი თავადი და აზნაური, მრავალი მეთოფე და წაიღო უზარმაზარი ნადავლი.

და... თვალები დათხარა მამუკა ბატონიშვილს.

სინათლეწართმეული გმირი იქვე მოკვდა, ოდიშის ციხეში, 1653 წლის დეკემბერს.

საქაროველო შეაძრწუნა მამუკა ბატონიშვილის უდვთო სიკვდილმა.

ლევან დადიანის უგანაჩენო სიმხეცეს ჰკიცხავდა ყველა — მტერიც და მოკეთეც.

როსტომ მეფე და მარიამ დედოფალი ხომ ლევანის სიძე და დაი იყვნენ — როგორც კი ალექსანდრემ ქართლის მეფე-დედოფალს მამუკას წამებული სიკვდილის ამბავი შეატყობინა — როსტომმა ქართველთა ჯარი სამგლოვიარო აღლუმზე დააყენა ტანსაცმელი შემოიხია თავ-პირში სილაქები წაიში-

ნა, ხმამაღლა იტირა და ჯარიც ატირა და აგლოვა. ხოლო მარიამ დედოფალმა ახალი შავები ჩაიცვა, იმერეთიდან გამოგზავნილი, მამუკას ნაქონი ნივთი-ნიშანი წინ დაიდო, გარშემო წარჩინებული მანდილოსნები ტირილად დაისვა, მათთან ერთად მამუკა საყვარელი შვილის, ოტიას მსგავსად გამოიტირა და გულქვა ძმას წყევლა-კრულვა უფრქვია.

„ამაოება ამაოებათა“

ერთხელ ლევან დადიანს მოახსენეს: ილორის წმიწდა გიორგის ჩაგონებით, რომელიღაც მეგრელ გლეხს ამნაირი წინასწარმეტყველება უთქვამსო: თუ ლევან მთავარი იმერეთზე კიდევ ილაშქრებსო, უეჭველად ბრძოლაში დაიღუპებაო.

ეს ადრე იყო ნათქვამი და მაშინ სასაცილოდაც არ ჰყოფნია ლევან დადიანს „წვირიანი ყაძახის ბეუტური“. მაგრამ ახლა, მამუკა ბატონიშვილის დაღუპვის გამო ატეხილმა საყოველთაო განგაშმა კი ჩააფიქრა მთავარი.

ბაგრატ ბატონიშვილი მაშინვე გამოუშვა ქუთათისს.

იმერეთის დალაშქვრაზეც ჯერჯერობით ხელი აიღო და, რაკი დასვენებით მაინც ვერ დაისვენებდა, ახლა აფხაზეთს მიუტრიალდა ცეცხლითა და მახვილით.

ადრეც ხომ ბევრჯერ დაელაშქრა აფხაზეთი ლევან დადიანს. ძარცვავდა, ანგრევდა, ატყვევებდა და ისევ ხატებს აწერდა ამნაირ „მემუარებს“: „...მივუხედით შარვაშიძესა ზუფუს (ლიხნი), მუწუს წყალს აქათ ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ. და კაპოეტის წყლზე (ბზიფი) შემოგვებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯვა და დავხოცეთ. ზოგი ხელთ დაგვრჩა და გამარჯვებულნი მოვედით...“

შარვაშიძეც დროს ურჩევდა და, როცა ოდიშის მთავარს იმერეთისკენ სალაშქროდ გაიგულებდა, თვითონაც სამაგიერო ლაშქრობით ლაშქრობდა დადიანის სამფლობელო მიწებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აოხრებდა მეგრულ სოფლებს, ძარცვავდა ეკლესიებს, მიერეკებოდა ტყვეებს.

ლევან დადიანს აფხაზთა შესაკავებლად და მათ მორჩილსაქმნელად ოდიშ-აფხაზეთის საზღვარზე უკვე კარგა ხნის დაწყებული ჰქონდა უზარმაზარი თავდაცვითი და შეტევითი ქვის ზღუდე-კედელი; თხუთმეტი წლის მანძილზე აშენებდა და დაასრულა კიდეც იგი დადიანმა. მაღალი და ფართო კედელი, კოშკებით, ქონგურებით და სათოფურებით იწყებოდა ანაკოფიიდან და გრძელდებოდა ზღვიდან ჩრდილოეთით უმაღლეს მთამდე.

კედლის მთელ სიგრძეზე გუშაგი-ჯარი ეყენა ლევან დადიანს, თავადთა და ეპისკოპოსთა მოთავეობით, თითო თვის მორიგეობით.

არ ისვენებდა ლევან დადიანი. ბოროტი და ხარბი გული არ ასვენებდა მის ძიერ გონებასა და მტკიცე მარჯვენას.

განუწყვეტლივ აოხრებდა, ძარცვავდა და ტყვედ ჰყიდდა თანამოძმეებს „მარჯვნივ და მარცხნივ“.

ცოდვის ცრემლში ნაბანი ოქრო-ვერცხლით იშენებდა ბრწყინვალე სრა-სასახლეებს, ეკლესიებს, ციხე-ქალაქებს.

ამდენმა „სხვისმა სიკვდილმა“ ერთხელაც არ გაახსენა, რომ თვითონაც კაციშვილი და... სიკვდილისშვილი იყო...

1657 წლის 17 მარტი გათენდა,

ლევან დადიანს ერთადერთი ვაჟი — ალექსანდრე მოჰკვდომოდა.

შევიდა მიცვალებულ შვილთან მამა. ხელში ლახტი ეჭირა.

დიდხანს დასცქეროდა გაქვავებული და გაწაცრებული მარადიული ძილის საუფლოში მწოლარე ჭაბუკს.

ერთბაშად მოიქნია ლახტი მძლავრი ხელებით, თავში იხეთქნა და მკვდარი დაეცა შვილის ცხედარს.

ერთად ჩაასვენეს სამარეში მამა-შვილი.

„ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაო არს“, — სიცოცხლეში იშვიათად ახსენდებოდა ლევან დადიანს ეკლესიასტეს მძვინვარე სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან დადიანი მომკვდარაო?!

გულმყარად გამოჯირითდა ქუთათისის ციხიდან მეფე ალექსანდრე მესამე.

თვითონ სამეგრელოშიც წამოიშალნენ ლევანის მტრები და მოყვრები, გამორჩევით — მთავრის ტახტის მაძიებელნი.

რაკი ლევანი უშვილძიროდ გადაეგო, დადიანად მაშინვე თავი გამოაცხადა მისმა ძმისწულმა — ლიპარიტ იესეს ძემ.

მაგრამ ლიპარიტს მეტოქე გამოუხტა — ვამიყ ლიპარტიანი, ლევან დადიანის გერი და ბიძაშვილი (დარეჯანის შვილი პირველი ქმრის, ლევან დადიანის ბიძის — გიორგი ლიპარტიანისაგან).

დრო მეც დამიდგაო, იფიქრა ალექსანდრე იმერთა მეფემ, სასწრაფოდ ლაშქარი შეჰყარა, ზუგდიდს ჩაიჭრა ლიპარიტი გააძევა და ოდიშის მთავრის ტახტზე ვამიყ ლიპარტიანი დააბრძანა.

იმერეთისა და სამეგრელოს საზღვრად, ცხენისწყლის აღმოსავლეთ ნაპირთა ნაცვლად, ალექსანდრემ გამოაცხადა უნაგირას მთა.

ლევან დადიანის უმდიდრესი საგანძურებიც თვითონ განაგო იმერეთის მეფემ. მან მიზეზად დაიდო, — ლევან დადიანმა მამაჩემის, გიორგი მეფის გასათავისუფლებლად „დიდძალი სახსარი“ გამომძალაო, და ახლა ოდიშის საჭურჭლეებიდან, „რაც კარგი და უკეთესი იყო“, თავისად დაიჩემა, ხოლო დანარჩენი მისგანვე დაყენებულ დადიანს — ვამიყს დაუტოვა. ლიპარიტის ერთგულ მეგრელ თავადებს ალექსანდრემ მძევლად შვილები ჩამოართვა და ქუთათისს დაბრუნდა „ნიჭითა, ალაფითა, იავარითა დიდითა და ტყვითა და ნატყვენავითა გამდიდრებული და გამარჯვებული“.

როგორც იქნა, ეღირსა იმერეთის ტახტი მის „კუთვნილ“ ოდიშის სამთავროზე გაბატონებას. ალექსანდრემ ვამიყი, ვითარცა თავისი დანიშნული დადიანი, რასაკვირველია, ნამდვილ ქვეშევრდომად ჩაითვალა. ერთი ფიქრი ესეც იფიქრა, ოდ-

იშს თეიმურაზს მივცემო სამმართველოდ და კიდევაც გააკი-
და მალემსრბოლი რუსეთისკენ წასულ სიმამრს. ზემო რაჭაში
წამოაწია მალემსრბოლმა თეიმურაზს ალექსანდრეს დანაბა-
რები. მოხუც ხელმწიფეს არაფერი უპასუხნია. მხოლოდ მწა-
რედ გაიცინა და გზა განაგრძო რუსეთისაკენ...

ალექსანდრესგან დამხობილი ლიპარიტ იესეს ძე არ შეუ-
რიგდა დადიანობის დაკარგვას. იგი მოკავშირეების ძებნას შე-
უდგა და იპოვნა კიდეც. ლიპარიტს ჯარები მისცეს როსტომ
ქართლის მეფემ, როსტომ ახალციხის ფაშამ და გურიის მთა-
ვარმა ქაიხოსრომ. ამათ შეუერთდნენ, აგრეთვე, ჭილაძენი და
მიქელაძენი.

სასწრაფოდ შემოიყარა ჯარი ალექსანდრე იმერთა მეფემ,
სამეგრელოში ჩავიდა და ვამიყ დადიანი შეიერთა მეგრელთა
ჯარით.

მოწინააღმდეგენი ბ ა ნ ძ ა ს თ ა ნ დადგნენ საომრად.

ბრძოლის წინა ღამით ლიპარიტის ბანაკიდან ო ტ ი ა მ ი-
ქ ე ლ ა ძ ე მ შემოუთვალა ალექსანდრე მეფეს: „თუ ჯაბანი
არა ხარ, მაცნობე, ხვალ ბრძოლაში რა ფერის კურტაკს ჩაიც-
ვამ და რა ფერის ცხენზე შეჯდები, რამეთუ ჩემი შუბის წვერი
შენი მუზარადის თვალებს შემოვსტყორცნოო“.

ალექსანდრემ პასუხად შეუთვალა: „თეთრ ცხენზედ შევ-
ჯდები და თეთრ კურტაკს ჩავიცვამ, ვინძლო მართლა გაბედო
და შემომხვდეო“.

დილით მეფემ ლ ე ვ ა ნ ა ბ ა შ ი ძ ე მოიხმო. იცოდა, —
ლევან აბაშიძეს ოტია მიქელაძის ასული ჰყავდა ცოლად. თეთ-
რი ცხენი და თეთრი კურტაკი უბოძა მეფემ აბაშიძეს და უთხ-
რა: შენს ვაჟკაცობასა და ერთგულებას დიდ პატივსა ვცემ;
ამიტომ, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ჩემგან ნაჩუქარი ცხენი-
თა და კურტაკით გადი ბრძოლის ველზეო.

სიხარულით აფოფინდა აბაშიძე. მეფეს დიდი მადლი უძღ-
ვნა და მაშინვე აღიკაზმა „თეთრ რაინდად“.

„კიდევაც შესწყვეტიან ერთმანეთს სიძე-სიმამრიო!“ —გა-
უელვა მეფეს (რა შორს ყოფილა ალექსანდრეს ლაჩრული
სული თეიმურაზის რაინდული სიქველისაგან: გაიხსენე, მკი-
თხველო, გიორგი სააკაძისგან თეიმურაზის გაწვევა საომარ
დავლურში!).

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

მაშ, 1658 წლის ივნისი. ბრძოლა ბანძასთან.

ძაღლის ალიონზე დაეტაკნენ ერთმანეთს და დღის ჩაძაღლებამდე იომეს.

საშინელი ძგერებითა და ჩეხვით ეკვეთნენ ერთურთს ქართველები და... ქართველები.

ოტია მიქელაძემ დაინახა წინ გამოჭრილი „თეთრი მხედარი“.

„მეფეო“, გაუელვა, ზედ მიუხტა და შიგ თვალსა და თვალს შუა დაატაკა და დაურჭო შუბი.

ხელშეუბრუნებლად გადმოეშვა და დაენარცხა მიწას ლევან აბაშიძე.

„ოტია გახლავარ, ოტია, მეფევ ბატონო!“ — ნიშნისმოგებით დასძახა მიქელაძემ ძირს დაცემულს.

„ოტიაო?! მერე, უკეთუ მართლა ოტია ხარ, რაღა პასუხს მოახსენებ შენს ქალიშვილს ქმრის მოკვლისათვის?!“ —ამოიგმინა ლევან აბაშიძემ და მაშინვე სულიც განუტევა.

მუზარადი ჩამოჰგლიჯა მოკლულს მკვლელმა, დაიღრიალა და ზედ დაემხო სიძეს სიმამრი.

ბრძოლა კი გრძელდებოდა — საშინელი, სისხლდამდინარი.

გახელებით ჟლეტდნენ ქართველები ქართველებს.

ალექსანდრე მეფისა და ვამიყ დადიანის ჯარებმა გაიმარჯვეს.

ქართლელთა, მესხთა და გურულთა უმრავლესობა ემსხვერპლა უგუნურ ხოცვა-ჟლეტას.

ბრძოლაში დაიღუპა თვითონ დადიანობის მაძიებელი ლიპარიტ იესეს ძე.

ალექსანდრეს — მის სიცოცხლეში და ხელმწიფობაში ერთჯერ გამარჯვებულს — დიდი ნადავლი და მრავალი ტყვე ჩაუვარდა ხელში.

ოტია მიქელაძე „ნებითა თვისითა“ ჩაბარდა მეფეს.

ალექსანდრემ ბრძანა და იქვე გახურებული თოფის ზუმბით გამოსთხარეს თვალები „თავხედ მიქელაძეს“.

მერე, ყველა ტყვეს ფულით დაახსნევინა თავი ალექსანდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემ (ლევან დადიანისგან ყველამ ისწავლა ამნაირად „ფულის ქეთება“).

დადიანის ტახტზე ისევ ვამიყი დაამაგრა ალექსანდრემ.

„ბანძის გმირობის“ შემდგომ გურიას ჩაუხტა მეფე იმერეთისა.

ველარ დაუდგა ქაიხოსრო გურიელი, თუმცაღა იყო იგი „კაცი მხნე და ახოვანი და ბრძოლასა შინა გამოცდილი“. ველარ დაუდგა და გაიქცა სტამბოლს.

ალექსანდრემ გურიის მთავრად დასვა დ ე მ ე ტ რ ე — ძე სვიმონ გურიელისა (მარიამ დედოფლის პირველი ქმრისა, ლევან დადიანმა რომ თვალები დათხარა).

ქაიხოსრომ სულთანს სთხოვა დახმარება. სულთანმა როსტომ ფაშას უბრძანა: ქაიხოსროს ჯარი მიეცი და გურიელის ტახტზე აღადგინეო.

მართლაც წამოვიდა ქაიხოსრო სამცხელთა ჯარით. დემეტრე იმერეთში გაიქცა. ქაიხოსრომ გურიის მთავრობა დაიბრუნა.

არც ალექსაწდრემ და დემეტრემ დასთმეს. ქაიხოსროს მისი ყმა მაჭუტაძე შეუჩინეს და მოაკვლევინეს.

მოკლული ქაიხოსროს ვაჟებმა — გიორგიმ და მალაქიამ— ძლივს გადაასწრეს სამცხეს და როსტომ ფაშას შეეფარნენ.

ისევ დემეტრე გურიელმა დაიჭირა გურია.

ალექსანდრე ერთბაშად ასულიყო „დიდების მწვერვალზე“! აკი მთელი დასავლეთ საქართველო ახლა მის ხელმწიფურ „სკიპტრას“ ემორჩილებოდა.

მაგრამ განგებას მაინცდამაინც მაშინ გაახსენდა, რომ ალექსანდრე მეფეც სიკვდილის შვილი იყო.

იგი გარდაიცვალა 1660 წლის მარტში.

დაკრძალეს გელათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ თეიმურაზ მეფე სავსებით მარტო დარჩა უბედურებით აღსავსე წუთისოფელში.

ქუთათისიდან გავიდა სამგლოვიარო თალხებით დამძიმებული მოხუცი, სკანდაში მივიდა და იქ დადგა, ვითარცა ამაოებით აღსავსე ცხოვრებისგან განრიდებული ბერი-ასკეტი.

იდგა სკანდას ბერი „ფრიად უპოვარი“ და აღარც არავის ეცალა მისთვის.

ალექსანდრეს სიკვდილისთანავე შეიქნა მანამდე გაუგონარი უსაშინელესი შინაარსლილობა, რაიც დასავლეთ საქართველოს სათავგადასავლო ბედის კარაბადინში ასი წელიწადი მაინც უნდა დასწოლოდა სულისშემხუთველ მაჯლაჯუნად აქაურ ქართველობას.

დაიწყო ქუთათისის სამეფო ტახტის „გაწამაწიით“.

ალექსანდრე III, როგორც გვახსოვს, ორჯერ იყო ნაქორწინევი, პირველად ჭაბუკობის ჟამს, ცოლად ჰყავდა მამია გურიელის ასული, თამარი, რომლისგანაც მას შეეძინა ერთადერთი შვილი — ბაგრატი. მერე ალექსანდრეს შეასმინეს, შენი ცოლი ვიღაც „ქუთათელის ვაჭართან“ რქებს გადგამსო და უფლისწულმაც მაშინვე ცოლიც და შვილიც მამია გურიელს მიუყარა. მეორედ ალექსანდრე დაქორწინდა თეიმურაზ მეფის ასულზე — დარეჯანზე, ზურაბ ერისთავის ქვრივზე. დარეჯანისგან ალექსანდრეს შვილი არ ეყოლა და იძულებული გახდა უფლისწული ბაგრატი გურიიდან ჩამოეყვანა იმერეთის ტახტის მემკვიდრედ. მეფობის ჟამს ალექსანდრემ ბაგრატის მიმართ რამდენჯერმე შეიცვალა დამოკიდებულება. ერთხანს შვილს ტახტის მემკვიდრეობაზე უარიც კი უთხრა და მომავალ მეფედ თავისი ცოლის ძმისშვილი (ესე იგი, თეიმურაზის შვილიშვილი) — გიორგი დავითის ძე იშვილა. მაგრამ გიორგი დღემოკლე გამოდგა და ალექსანდრემ ისევ ბაგრატი დაიგულა თავის შემცვლელ გვირგვინოსნად.

ალექსანდრე რომ გარდაიცვალა, ტახტის „ნაძალადევი“ მემკვიდრე უკვე 43—44 წლის კაცი გახლდათ, მაგრამ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცნაირად თითქოს მეფობისთვის უმწიფარი, უნებო და ყველაფრისადმი გულგრილი ადამიანი.

იმერეთის ტახტი რომ მას ეკუთვნოდა, ეს საეჭვოდ არავის მიუჩნევია და გამეფდა კიდეც ბ ა გ რ ა ტ IV-ის სახელით. მაგრამ ქვრივი დარეჯან დედოფალი, დიახაც მტკიცე და მკაცრი ბუნების ქალი, თურმე ასე იოლად არ აპირებდა იმერეთის ხელმწიფური ინსიგნიების დათმობას.

ჯერ გერთან, ვითარცა კანონიერ მეფესთან, „შეთანხმებითა“ და „შემოყვრებით“ დაიწყო დარეჯანმა. მან ბაგრატს ცოლად შერთო თავისი ძმის დათუნას ასული — ქ ე თ ე ვ ა ნ ი.

დასიძევებული გერი მორჩილი გამოადგა დარეჯანს. იმერეთის ნამდვილი საჭეთმპყრობელი დარეჯანი უფრო სჩანდა, ვიდრე ბაგრატი. კიდევაც ამბობდნენ: მეფეცა და დედოფალიც ერთი — დარეჯანი არისო.

მაგრამ ბაგრატის გამეფებიდან ნახევარი წელიწადიც არ გასულიყო, რომ გერი და დედინაცვალი ერთმანეთს დაეტაკნენ. ისევ ქალი აღმოჩნდა კაცზე ძლიერი: დარეჯანმა ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო, თვალები დათხარა და ცოლიც წაჰგვარა.

მაშინვე სკანდაში მამას ეახლა დარეჯანი და იმერეთის მეფობა შესთავაზა. თეიმურაზი საშინლად აღაშფოთა ქალიშვილის საქციელმა — სიძის, ბაგრატის დამხობამ და დასახიჩრებამ. მაშინვე გააძევა ბერმა თავისი სენაკიდან „გამხეცებული“ ქალი.

მაშინ დარეჯანმა კიდევ უფრო „ძლიერი ნაბიჯი“ გადადგა. ადგა და ქმარი შეირთო — ვინმე ვ ა ხ ტ ა ნ გ ჭ უ ჭ უ ნ ა შ ვ ი ლ ი (თუ ჭუჭუნიას შვილი), სისხლით ბაგრატიონების ნათესავი.

იმერეთის თავადობა არ შეურიგდა ვიგინდარას გახელმწიფებას. ზემო იმერეთის თავადებმა, პ ა ა ტ ა ა ბ ა შ ი ძ ი ს მეთაურობით, „უკანონო მეფე-დედოფლის“ ჩამოსაგდებად და ქუთათისში „სამართლიანობის“ აღსადგენად მოიწვიეს ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთე, ხოლო ქვემო იმერეთის თავადებმა მოიხმეს ვამიყ დადიანი.

ორივე „მიწვეული“ სასწრაფოდ გაეშურა იმერეთისკენ.

ვამიყ დადიანმა მიასწრო ლაშქრით ქუთათისს.

ცოხე გაძალიანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ოტია ჩხეიძე შეეგზავნა დადიანს ციხეში, ვახტანგ ჭუჭუნაშვილს ფიცი მისცა, — დაგვნებდი, ციხე ჩაგვაბარე და არაფერს გავნებთო.

ჭუჭუნაშვილი მოტყუვდა. ციხე გააღო და გამოვიდა. მიცვივდნენ დადიანის კაცები, შეიპყრეს და თვალები გამოსთხარეს.

დარეჯანი, ქეთევანი და ბრმა ჭუჭუნაშვილი სამცხეს გადაიხვეწნენ.

შევიდა ვამიყ დადიანი ქუთათისის სასახლეში და „მოიზომა“ თავზე იმერეთის სამეფო გვირგვინი. მაგრამ მაშინვე ცივად გააგდო ხელიდან, რადგან ვახტანგ მეხუთე ჩამომდგარიყო იმერეთში ქართლის მხედრობით.

ვამიყმა უიმედო სისხლის ღვრას ქართლის მეფესთან შეთანხმება არჩია. ვახტანგიც, იმერეთში მისვლის ამ „პირველ ფეხზე“, კაცთაკვლას განერიდა და დადიანთან ერთად საზავო მაგიდას მიუჯდა.

შეთანხმდნენ (1660 წ.).

იმერეთი შუაზე გაიყვეს. მდინარე ბურჯისწყალის აღმოსავლეთით ქართლის მეფე გაბატონდა, დასავლეთით — სამეგრელოს მთავარი.

სამოყვროდაც გარიგდნენ: დადიანმა თავისი ასული ვახტანგ მეფის უფროს ვაჟზე — არჩილზე დაწინდა.

ერთმანეთს დაშორდნენ და წავიდ-წამოვიდნენ „მოკავშირენი“ და მომავალი მოყვარენი.

უსინათლო ბაგრატ მეფე, თითქოს არც არავის გახსენებია, ისე ჩარჩა ქუთათისის ციხეში ჩაკეტილი.

ვამიყ დადიანმა იმერეთიდან ზუგდიდს დიდი ოქრო-ვერცხლი და ქონება ჩაიტანა. მალე მან ვახტანგ მეფესთან დადებული პირობებიც არაფრად ჩააგდო და თავისი ასული იმერელ თავადს, ბეჟან ღოღობერიძეს შერთო ცოლად.

ვახტანგ მეფე აღაშფოთა დადიანის დალატმა და უპირულობამ. მაშინვე კავშირი შეკრა დემეტრე გურიელთან და ზემო იმერეთის თავადებთან, გამორჩევით — პაატა აბაშიძესთან. ზემოიმერლებმა ვამიყ დადიანის სიძე და არჩილ ბატონიშვილის მეტოქე — ღოღობერიძე მოჰკლეს და ვახტანგ მეფე იმერეთში გადაიწვიეს.

ვახტანგიც სასწრაფოდ გადავიდა იმერეთს ქართლის მხედ-
რობით.

ვამიყ დადიანიც მოსულიყო მეგრელთა ჯარით და საჩხე-
რესთან ელოდა მტერს.

ვახტანგს ლიხზე გადასვლისთანავე მთელი ზემო იმერეთი
შეუერთდა.

ლეჩხუმის ბატონი — ხოსია ლაშხიშვილიც მო-
სულიყო ქართლის მეფესთან შესაერთებლად.

ვამიყ დადიანმა ძლიერ მოპირდაპირესთან შეტაკება ვეღარ
გაბედა და საჩხერიდან ოდიშისკენ გაქუსლა.

ვახტანგმა ზედმიყოლებით დაიჭირა სვერის, კაცხისა და
სკანდის ციხეები.

სკანდაში თეიმურაზ მეფე დაუხვდა ვახტანგს.

დიდის კრძალვითა და პატივით შეხვდა ქართლის მეფე
უხუცეს და უმამაცეს ქართველ საჭეთმპყრობელს.

სავსებით დაბერებულიყო და გატეხილიყო ნახევარსაუკუ-
ნოვანი სამამულო ხმალთაკვეთების მთავარი გმირი.

მარტო სხეული კი არა, — სულიც გასტეხოდა მანამდე სუ-
ლით უძლეველ კაციშვილს.

სული გასტეხოდა, მაშ რა იყო ეს?! თეიმურაზ მეფე ვახ-
ტანგ მეფეს ერანში გაგზავნას და ერანის შაჰთან შერიგებას
სთხოვს!

მართლაც საოცარი რამ ხდებოდა! აკი თეიმურაზის მამუ-
ლიშვილურ უქარქაშო ხმალს ყოველთვის ერთი რამ ეწერა
წარუხოცელად: მხოლოდ და მხოლოდ ომი სპარსეთთან! (ჰა-
ნიბალივით: მხოლოდა და მხოლოდ ომი რომთან!).

ხოლო ახლა... ახლა აღარსად სჩანდა ის საარაკო უქარქაშო
ხმალი!.. თეიმურაზი ვახტანგს სპარსეთთან შერიგებას სთხოვ-
და!..

უსაზღვროდ გაახარა ვახტანგ მეფე თეიმურაზის ეგზომ
მოულოდნელმა თხოვნამ. მაშინვე ბეჯითად დაარწმუნა და და-
ანუგეშა — ერანის შაჰი დიდის პატივით, სიხარულით და სი-
ყვარულით მიგიღებს, შეგირიგებს და „შეგიტკბობსო“.

სახლთუხუცესი გივი ამილახორი ამალით ააბლა თეიმუ-
რაზს და ტფილისში გაგზავნა. იმერეთის საქმეებს რომ მოვრ-

ჩები, მეც ტფილისს გეახლები და იქიდან ერანს გაგისტუმრებო, დააბარა ვახტანგმა თეიმურაზს.

სკანდიდან ქუთათისს მიუხდა ვახტანგ მეფე. იმერეთის სატახტოც აიღო და მაშინვე ოდიშისკენ გაქუსლა ჯარით.

ვერ დაუმაგრდა ვამიყ დადიანი. ზუგდიდი, ცოლ-შვილთან და ქონებასთან ერთად, ვახტანგ მეფეს შეატოვა ხელში და თვითონ სვანეთს გადაიხვეწა.

ვახტანგმა დადიანის ტახტზე დასვა ლევან II-ის ძმისწული შ ა მ ა დ ა ვ ლ ა ი ო ს ე ბ ი ს ძ ე. ლევან მეორე დადიანმა ხომ ძმას იოსებს თვალები დასთხარა, მაგრამ თვალთათხრილის შვილმა, აწ დადიანად აღზევებულმა შამადავლამ, მაინც სახელოვანი ბიძის სახელი დაირქვა და ასე გამოჩნდა ოდიშ-სამეგრელოს მთავართა ნუსხაში ლ ე ვ ა ნ III დ ა დ ი ა ნ ი (1661—1680 წწ).

ვახტანგ მეფემ ლევან III დადიანს ცოლად შერთო თავისი ძმისწული (კონსტანტინეს ასული) — თ ა მ ა რ ი, არაჩვეულებრივად ლამაზი და მომხიბლავი ქალი.

(მკითხველს ვთხოვ, აქედანვე კარგად დაიმახსოვროს თამარ მუხრან-ბატონის სახელი, რამეთუ მის გარშემო „პოლიტიკურ მიჯნურობათა“ დიდი ოროტრიალი უნდა გაჩაღდეს საქართველოში. ჯერჯერობით კი ლევან III დადიანთან ქორწინება მისი „პირველი ქორწინება“ გახლავთ).

ვახტანგ მეფემ მკაცრად დასაჯა ვამიყის მომხრე ოდიშარი თავადები, ზოგი მათგანი ტყვედ აიყვანა, ზოგი სულ მოთხარა დედაბუდიანად. ჭაქვითის ციხიდან დადიანების ნაგროვები დიდძალი ოქრო-ვერცხლიც გამოიტანა და ისევ ზუგდიდს მიბრუნდა.

აქ აფხაზთა მთავარი ეახლა „ძღვნითა დიდითა“ და სრული მორჩილება გამოუცხადა ქართლის მეფეს.

ამასობაში ვამიყ დადიანის ამბავიც მოვიდა სვანეთიდან. თურმე ლეჩხუმის ბატონს ხოსია ლაშხიშვილს, ვახტანგ მეფის საამებლად, მკვლელები მიუჩენია და მოუკლავთ კიდეც ვამიყ დადიანი.

ისევ ქუთათისს მობრუნდა ვახტანგ მეფე.

აქ დემეტრე გურიელი ეახლა, ესეც „ძღვნითა დიდითა“ და მორჩილ-ყმობის გამოცხადებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი მაინც ეს იყო: ვახტანგ მეფემ უსინათლო ბაგრატ IV ტყვედ აიყვანა და იმერეთის მეფედ თავისი უფროსი ძე, 14 წლის ა რ ჩ ი ლ ი გამოაცხადა.

იმერეთში არჩილის ეს „პირველი გამეფება“ მოხდა 1661 წელს.

„ჟამნი მეფენი არიან“

ვახტანგ მეფე იმერეთიდან ქართლში დაბრუნდა.

იდგა 1661 წელი.

და კაცმა რომ თქვას, საქართველო თითქმის გაერთიანებული იყო. „თითქმის“ იმდენად, რამდენადაც მარტო სამცხე-საათაბაგო დარჩენილიყო „ერთიანი საქართველოს“ ფარგლებს გარეთ.

თუმცა დიდი ხნის წინათ და დიდი ხნით დაკარგულიყო ის დრო, როცა საქართველო ფრთებს შლიდა „ნიკოფსით დარუბანდამდის“ და „სინოპიდან არდაველამდის“, მაგრამ ახლა, 1661 წელს, მთელი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ერთ ხელმწიფეს ემორჩილებოდა — მეფე ვახტანგ მეხუთეს, სპარსელთაგან „შაჰ-ნავაზად“ წოდებულს, „და მეფობდა მეფე შაჰ-ნავაზ სამთავე სამეფოთა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა ზედა“.

გულდაჯერებით, გულუხვად და გულსრულად შესდგომოდა მეფე ვახტანგ მეხუთე „ერთიანი საქართველოს“ აღორძინებასა და გამძლავრებას.

მისი „სოციალური სახსარნი“: „და განამდიდრნა ყოველნივე მკვიდრნი სამეფოთა თვისთანი: უკეთუ ვინმე იყო გლახაკი და უპოვარი მონაგებთაგან, აღივსნეს უხვად წყალობითა და სახმართა ბოძებითა მისითა, და უკეთუ იყო ვინმე ნაკლულოვან აგარაკთაგან, ანუ მონათაგან, ანუ საჭურჭლეთაგან, ყოველნივე გაამდიდრეს, და გარდაემატათ სიმდიდრე და მორჭმულობა მკვიდრთა საქართველოსათა“.

მისი აღმშენებლობანი და სიქველენი „ერისა და ბერისა“:

„და სადაცა იყო იატაკი მთათა შინა, ანუ ბართა უქმად მყოფი, ყოველივე სახმარად კაცთა შერაცხილ იქმნა: უშენნი აღშენდეს და მრავალნი დაბანი და დიდ-დიდნი თემნი შესძინნა სამეფოსა საქართველოსასა. და სადაცა იყვნენ თანამდებნი, მოვახშეთაგან განთავისუფლნა. და წმიდანი ეკლესიანი ზეშთა აღმატებულ-ყო შესაწირავითა აგარაკთა და ყოველთა სამკაულთა მიერ განაშვენა, გლახაკთა და უღონოთათვის ფრიად მოწყალე და ქველის-მოქმედი იყო: ტყვენი გამოხსნილ იქმნეს“.

გაერთიანებულ ქვეყანას „ერთიან იდეოლოგიად“ ისევ განუმტკიცა ქრისტიანული სარწმუნოება. იმჟამად გარდაცვლილი ქრისტეფორე კათალიკოსის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლად დასვა თავისი ბიძაშვილი დ ო მ ე ნ ტ ი მ უ ხ რ ა ნ-ბ ა ტ ო ნ ი, „კაცი ღირსი საყდრისა“ და „სრული საქმითა, რამეთუ ამან მატა სჯულსა და წესსა ეკლესიისასა“.

როსტომ მეფის დროს „სპარსული დაწოლისაგან“ შერყეული ქართული სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სჯულიერებანი ვახტანგის ხელმწიფური ეგიდის ქვეშ ისევ იწყებდა აღორძინებას და აღზევებას. ამისთვის იღვწოდა ყველა თავგამოდებით — მეფეც, დედოფალიც, უფლისწულებიც, ერიც და ბერიც.

ვახტანგ მეფის „ჟამთა შინა კუალად იწყეს მოქცევად ბოროტისაგან და ქმნად კეთილისა: სწავლად და გულს-მოდგინედ წურთად ღმრთივსულიერთა საქმეთა მოქმედებად. და განშვენდეს წმინდანი ეკლესიანი და მონასტერნი და ყოველნი წესნი ეკლესიათანი გამრავლდეს საქართველოსა შინა მიზეზითა ძეთა მეფისა შაჰნავაზისათა, ვითარმედ ესე სიტყვანი ძველთაგან თქმულ არს: „ჟამნი მეფენი არიანო“. და დედოფალმან მარიამ ზეამკო ეკლესიანი შესამოსლითა ხატითა, ჯვრითა და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თვალითა“..

. . . . . .

„თითქმის“ გაერთიანებული იყო საქართველო, მაგრამ დიდხანს კი გაუძლებდა ეგზომი შინა-გარე სისხლთათხევით მოცოდვილებული „ერთიანობა“ უფრო უარეს სამომავლო ჟამთა სიავეს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზის საწუთროს დასასრული

„რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!..“

თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი

„საწუთროსა დაუწყნარდეს“.

რ უ ს თ ვ ე ლ ი

იმავე 1661 წელს, ტფილისში დაბრუნებისთანავე, ვახტანგ მეფემ ბრწყინვალე ამალა აარჩია, მეთაურად ისევ გივი ამილახორი უჩინა და მათი თანხლებით თეიმურაზი სპარსეთს გაგზავნა.

წინასწარ შეატყობინა შაჰ აბას II-ს ვახტანგ მეფემ: თეიმურაზი მოეშურება შენთან სტუმრად და შესარიგებლადო.

თეიმურაზ მეფე სპარსეთს მოეშურებაო?! ისიც, თავისი ნებითა და ფეხით მოდისო?!

ცას ეწია შაჰი სიხარულით.

მართლაც რა საოცრება იყო! დიდი შაჰ აბასი საფლავში ისე ჩავიდა, თეიმურაზის ქედის მოდრეკას ვერ ეღირსა! ჰოდა, ახლა, დიდი შაჰ აბასის ოცნება ასე უბრალოდ და უმსხვერპლოდ უსრულდება „მცირე შაჰ აბასს!“

ერანს ნებდებოდა მისი ნახევარსაუკუნოვანი დაუძინებელი მტერი, „რუსთმოყვარე“ თეიმურაზ მეფე!

შაჰის ბრძანებით საქართველოდან ისფაჰანამდე, მთელი გზის გასწვრივ სპარსელები დიდი „ფიშვაზებით“ (საზეიმო შეხვედრები) ეგებებოდნენ მხცოვან მტერს, გმირსა და ხელმწიფეს.

ისფაჰანს რომ მიაღწიეს, სატახტოში ძეხორციელი აღარავინ დაკავებულა — მთელი მოსახლეობა, დიდიან-პატარიანად და ქალიან-კაციანად, ქართველებს შემოეგებნენ.

ქალაქის ალაყაფის კართან ეთიმადოვლე (დიდვეზირი) დაუხვდა თეიმურაზს, თაყვანი სცა და თავისი სასახლისაკენ წაუძღვა.

უკვე მიმწუხრის ჟამი დამდგარიყო და ეთიმადოვლეს მდიდარი სავახშმო სუფრა გაეწყო ქართველი სტუმრებისთვის. მოხუცი მეფე ნადიმს დიდხანს არ შერჩენია და დასასვენებლად შევიდა მდიდრულად მორთულ სანთიობოში.

წაძინება ძლივს მოასწრო, რომ ვიღაცამ გამოაღვიძა, ფრთხილი ხელის შეხებით.

ეს თვითონ შაჰ აბასი ყოფილა. იგი თავისი ფეხით მოსულა „ძვირფასი სტუმრის“ სანახავად!

ასეთ პატივს სწორედ არავინ მოელოდა.

თეიმურაზი ფეხზე წამოიჭრა და მუხლის მოყრა დააპირა, მაგრამ შაჰმა არ დაანება — ფეხზე წამოაყენა და ისე გადაეხვია, როგორც „შვილი მამას“.

ძალისძალად სამგლოვიარო ტანსაცმელი გამოუცვალა შაჰმა თეიმურაზს და მაშინვე ახალ სანადიმო სუფრაზე გაიტაცა.

მთელი ღამე და მეორე დღეს მზის დაყუდებამდე გაგრძელდა სმა, ზმა, სანადიმო ლიწინ-ლიწინი. დასასრულს, „ვითაც შვილმან მამას“ შაჰმა თეიმურაზს „ათასი თუმანი თეთრი და ათასის თუმნის ფარჩა“ მიართვა. უხვად დააჯილდოვა ქართველთა ამალაც, გამორჩევით — გივი ამილახორი, რომელიც შაჰს ძალიან მოსწონებია „შვენიერობისთვის და კარგ საქციელობისთვის“.

ამილახორი და სხვანი ქართველნი თეიმურაზს გამოეთხოვენ და საქართველოსკენ გამობრუნდნენ.

დღე და ღამე არ შორდებოდა შაჰი თეიმურაზს. „ანადიმებდა და ანადირებდა თვისთა-თანა და ნიჭვიდა მრავალსა“.

სტუმარ-მასპინძლის „შეხმატკბილებული ცხოვრება“ ერთბაშად მოვარდნილმა საშფოთარმა ამბავმა შეარყია.

ისევ საქართველოდან მოდიოდა ეს „შემარყეველი“ ცნობა.

თურმე საქართველოს მთაში — თუშ-ფშავ-ხევსურეთში ისევ აუსხამთ იარაღი ქართველებს. „ბახტრიონული ომი“ მხოლოდ დასაწყისად მიუჩნევიათ მთიელ მამულიშვილებს. ელნი და სპარსელნი დიახაც დავიფრინეთ, მაგრამ კახეთი მაინც სპარსეთის შაჰისა და „გათათრებული ქართველი“ ხელმწიფისაგან საბოლოოდ უნდა გათავისუფლდეს და ისევ თავისი საკუთარი ბატონ-პატრონი დაუბრუნდესო!

კახეთის „საკუთარი ბატონ-პატრონი“, რასაკვირველია, თე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთიდან, ქარ-
ოურაზი იყო, მაგრამ, რაკი მოხუცმა მეფემ
თლის გავლით, სპარსეთს „ჩაიტანა სული“, კახეთის მთიანეთმა
თურმე ხელმწიფედ და „პატრონად“ რუსეთიდან მოიხმო თე-
იმურაზის შვილიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე.

ნიკოლოზი აგერ რვა წელიწადი იმყოფებოდა მოსკოვში,
„ვითარცა ძე“ რუსთა ხელმწიფე ალექსი რომანოვისა.

. . . . . .

ალექსიმ თავის „საყვარელ შვილობილს“ საქართველოში
წამოსვლის წინ დიდი „გაცილება“ მოუწყო. სამჯერ „სამსაფე-
ხურიანი მიღებით“ მიიღო, ნადიმ-ღრეობანი გაუმართა უმაღ-
ლეს სახელმწიფო მოხელეთა და ბოიართა თანდასწრებით;
თავის გვერდით, სადაფის მაგიდასთან, ხელმარჯვნივ დაისვა,
ტკბილად, „შინაურულად“ ესაუბრა, უხვად დაასაჩუქრა და
შინ თავისი, სამეფო კარეტით გაისტუმრა.

ბოლო შეხვედრა სოფელ პოკროვსკოეში დაუნიშნა ალექ-
სიმ „ქართველ შვილობილს“. მეფესთან მიმავალი ნიკოლოზის
კარეტას სამასორმოცდაათი რუსი მხედარი მიაცილებდა. ამ-
დენივე ცხენოსანი და მოისარი მისთვის განკუთვნილი ბინის
წინ ჩამწკრივებულიყო სახელმწიფო ალმებითა და დაფდაფე-
ბით.

მთელი დღე ერთად გაატარეს მეფემ და „სამეფოდ გამზა-
დებულმა“ უფლისწულმა. ბოლოს, ალექსიმ ახალ ტანსაცმელ-
ში გამოაწყო ნიკოლოზი, ძვირფასი საჩუქრებიც უბოძა, სა-
ხარჯო ფულიც „ჩაუჯიბა“, დალოცა, გამოეთხოვა და გამო-
უშვა.

1660 წლის 3 ივნისს გამოემგზავრნენ საქართველოსკენ ნი-
კოლოზი და დედამისი ელენე.

მოსკოვიდან თერგამდე, მეფის ბრძანებისამებრ, ყველგან
დიდის ზარზეიმით ეგებოდნენ ქართველ უფლისწულს.

1661 წლის ზაფხულის მიწურულს თუშეთს მოაღწია ნი-
კოლოზმა. მოაღწია და მაშინვე შემოეყარნენ „მის იმედად დამ-
დგარი“ მთიელი პატრიოტები.

მოსვლისთანავე თუშებმა უფლისწულს სახელი გამოუცვა-
ლეს და ერეკლე დაარქვეს (ამიერიდან ჩვენც ასე ვუწოდ-
ოთ — ერეკლე ბატონიშვილი, ანუ ერეკლე პირველი).

ერეკლე და დედამისი ელენე გამალებით შესდგომოდნენ საომარ სამზადისს...

შაჰ აბას II-ს თავზარი დასცა ამ ამბავმა. მაგრამ „თავიდან ზარი“ მოიშორა და თეიმურაზ მეფეს „ტკბილად“ ჩაუჯდა საალაპარაკოდ, — შენი შვილიშვილი ჩამობრძანებულა რუსეთიდან კახეთში, თურმე ხალხს მიჯანყებსო. მე კი შენთვის მინდოდა დამებრუნებინა კახეთიო. ახლა ამას გირჩევ — იმ შენს შვილიშვილს კაცი გაუგზავნო და ჩემთან მოვიდეს და მეახლოს. სიტყვას გაძლევთ, არაფერს ვავნებ, ძმასავით შევიყვარებ და შევიტკბობ, ოღონდ კი რუსეთს თავი დაანებოს და ჩემს სამსახურად დადგესო. თუ ამას აღასრულებთ, მაშინვე თქვენს კახეთს დაგიბრუნებთ, თქვენსავე სამეფოდ და საპატრონოდ, თუ არა და...

გასაგებად იყო ნათქვამი. ენდობოდა თუ არ ენდობოდა შაჰის „პატიოსან სიტყვას“ თეიმურაზი, სულ ერთია, ტყვეს მისი მეუფის ბრძანება მაინც უნდა შეესრულებინა.

თეიმურაზმა გიორგი ჩერქეზი და თამაზ ბებურიშვილი გაამზადა საქართველოში გასაგზავნად. შაჰმა თავისი კაცი, აბას-ყული-ბეგი, გააყოლა ქართველ შათირებს. ამათ უნდა ჩამოეყვანათ ერეკლე ბატონიშვილი საქართველოდან სპარსეთში.

მალე უკანვე მობრუნდნენ სპარსეთს გიორგი ჩერქეზი, თამაზ ბებურიშვილი და აბას-ყული-ბეგი — მობრუნდნენ ხელცარიელნი, გაწბილებულნი და პირში ჩალაგამოვლებულნი. ერეკლეს ცივი უარი ეთქვა რუსთა და ქართველთა ღალატზე და სპარსეთს წამოსვლაზე. დედამისი ელენეც და საომრად შემართული მთიელებიც აღეშფოთებინა შაჰ აბას II-ისა და თეიმურაზის „მიწვევას“.

„ყველაფერი მაინც თეიმურაზის ბრალიაო, — აილესა შაჰი, — ალბათ, ამ ცბიერმა ბებერმა რაიმე კალამბურით მოაწიშნა თავის შვილიშვილს, ღმერთი არ გაგიწყრეს და მართლა არ წამოხვიდე სპარსეთს...“.

დიდხანს იჯდა შაჰ აბას II ალესილი, ბალანაშლილი და ნაირმე ფიქრებით დარეგვილი.

— სანადიმო სუფრა გააწყვეთ და თეიმურაზი მომიპატიჟეთ, — თქვა ბოლოს.

ისევ მოვიდა თეიმურაზი. ღვინო და ნანადირევი მიაძალა მასპინძელმა სტუმარს.

ახლა ჩვენებური მარხვა დგას და სახსნილოს ვერ გეახლებით, — მოწიწებით იუარა თეიმურაზმა.

— ჩვენებურიო?! ქართულიო?! ქრისტიანულიო?! ჰო, მართლა, ეგ კარგი გამახსენე, — ბოლოს და ბოლოს, სანამ უნდა სდიო ამ ქართულსა და ქრისტიანულს?! მე გირჩევ, გირჩევ კი არა — მოვითხოვ ქრისტიანული დააგდო და მაჰმადის სჯულს ეზიარო! — იყვირა შაჰმა და ისევ მიაძალა ხორცეული სტუმარს.

— ვერც ქრისტიანობას მივატოვებ და ვერც მარხვას გავტეხავ, — ცივად მოსჭრა თეიმურაზმა.

ღვინით სავსე ყანწი აუძაგძაგდა ხელში შაჰ აბასს: ერთბაშად გაიქნია და ღვინო შიგ სახეში შეაქცია თეიმურაზს.

თხუთმეტი წლის ბიჭივით წამოფრინდა ფეხზე მხცოვანი მეფე გულაწყვეტილი და სახეალეწილი.

— მაპატიე, — უმალვე შეაგება შაჰმა, — აკი შვილი შეცდება ხოლმე და მშობელ მამას ჰკადრებს რაიმე უკადრისსა, ხოლო მამა დიდსულოვნებით შეუნდობს შვილსა!

რა გაეწყობოდა! „მამას შვილისთვის“ უნდა შეენდო და თეიმურაზმაც „შეიწყნარა“ შაჰის უზრდელობა.

მეორე დღეს შაჰმა შეუთვალა თეიმურაზს: აშრაფს ვაპირებ წასვლას, თქვენც თან უნდა წაგიყვანოთ, მაგრამ მანამ ქრისტიანობა უნდა დააგდოთ და მაჰმადიანად მოინათლოთო.

თეიმურაზმა მაშინვე, უყოყმანოდ შეუბრუნა პასუხი: მე უკვე მოგახსენეთ და ახლაც იმავე აზრზე გახლავართ, — არამც და არამც არ მოხდება, ცოცხალის თავით ქრისტიანობას და ქართველობას გადავუდგე და თათრად მოვინათლოო!

სხვა რაღა იყო საჭირო?!

შაჰ აბას II-ის ბრძანებით თეიმურაზ მეფეს ბორკილები გაუყარეს და ასტრაბადის ციხეში ჩააგდეს.

ასტრაბადის ციხე!

რამდენი ქართველი მამულიშვილის გული გაცივებულა მის ცრემლიან ჯურღმულებში!

(ერთხანზე ასტრაბადის ციხეში იტანჯებოდა თეიმურაზ მეფის თანამებრძოლი, ნათესავი და მოყვარე ქართლის მეფე

ლუარსაბ II — მამულისთვის თავდადებული, პირმშვენიერი ჭაბუკი გვირგვინოსანი. იგი სწორედ ასტრაბადიდან წაიყვანეს შირაზს და იქ მოჰკლეს...).

და იჯდა თეიმურაზ მეფე ასტრაბადის ციხეში.

იჯდა და ელოდა... რას, სიკვდილს?!

არავინ იცის... მაგრამ სიკვდილმა კი მოაკითხა.

1663 წელი დამდგარიყო, მკაცრი, ყინვიანი ზამთრით.

და იყო თეიმურაზი 74 წლისა, როცა სიკვდილმა ასტრაბადის ნესტიან კედლებში გაიარა, მხცოვანი ხელმწიფის საწოლის წინ დაიმუხლისთავა და ნოტიო საბნისა ქვეშ, გულის გასწვრივ გათოშილი ხელი შეაცურა.

დაწყნარდა... და გაჩერდა სამშობლოზე ზრუნვით და ურვით დამდნარი გული.

ყოვლის დამაწყნარებელი სიკვდილის საუფლოში იწვა მთელი მისი წუთისოფელი დაუწყნარებელი კაცი, — კაცი, რომელიც მცირე ხნით, „სულის მოსაბრუნებლად“ თუ მიაყრდნობდა ხოლმე მძიმე ცხოვრებით დამაშვრალ თავს ხან საომარი ცხენის უნაგირს, ხან ლირიკულ და ეპიკურ მუზათა კალთას.

მთელი სიცოცხლის მანძილზე არც ერთი არ გაუგდია ხელიდან — არც მამულის საკეთილდღეოდ აღმოხდენილი უქარქაშო ხმალი, არც შემკული ხატოვანი სიტყვიერების შემამკობელი პოეტური ქნარი.

ასე იყო, — რამეთუ „ორივე ბუნება“ მძლავრად ჩაბუდებულიყო მის სხეულში — „ბუნები კაცობრივი“ და „ბუნებაი საღმრთოი“ (ვითარცა იტყოდა იოანე დაპასკელი).

თუმცა იყო შემთხვევები, როცა მისი უდროჟამოდ მოქნეული ხმალი შინაურ თანამოძმეს უფრო მეტ სისხლს აქცევინებდა ხოლმე, ვიდრე ქართველი ხალხის მტერს და მოსისხლეს; და, ზოგჯერაც მისი „პოეტური პიი-პუიც“ მისსავე ხალხს საბედისწერო „ვაი-ვაის“ გმინვად უჯდებოდა.

მაგრამ თვითონ — მეფეს, სარდალს, მხედარს და პოეტს— ყოველთვის გულწრფელად სჯეროდა რომ მისი ხმალიც და ქნარიც მხოლოდ სამშობლოს საკეთილდღეოდ იღვწოდა, იღვწოდა და იხარჯებოდა.

... ამიტომაც ძნელი ხდება ეგზომ რთული, წინააღმდეგობრივ

თვისებათა მქონე პიროვნების განსაზღვრებად მოიძებნოს რა-იმე ერთი სახელნართაული სიტყვა.

მაგრამ მაინც მის პიროვნებაში იყო ერთი ყველაზე დიდი „მთლიანობა“ — მარად შეურყეველი რწმენა საკუთარი ხალ-ხის ძალმოსილებისა, უძლეველობისა და უკვდავებისა. დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის შემდგომ, საკუთარ ხალხში არავის ისე თვალნათლივ არ ესახებოდა მარად „თვით-აღდგომადი“ და „თვითამაღორძინებელი“ ფენიქსი, როგორც მეფე თეიმურაზ პირველს. ეს რწმენა, ვითარცა „განუჭრელი თვისება“ (იოანე დამასკელის ფორმულაა) მასში ყოველთვის „მაღალ დონეზე“ იდგა ერთნაირად — მისი პირადი თუ მისი ხალხის უზემოესი აღზევების დროსაც და უქვემოესი დაცემის ჟამსაც.

საქართველო მისთვის „უნივერსალური ფენომენი“ გახლ-დათ. სამშობლოსთან მიმართების გარეშე ყოველი „სხვა-არ-სი“ მისთვის იყო მხოლოდ „არ-არსი“.

მთელი მისი პირადი ცხოვრება უმძიმესი გოლგოთა იყო. მთელი მისი წუთისოფელი ამ „ქართველ იობს“ სამგლოვიარო თალხის გაძრობა არ ჰღირსებია, ყრმობის ჟამს დაობლდა მა-მით, მერე დედა მოუკლეს გაუგონარი ტანჯვა-წამებით. ორი ოჯახი ჰყავდა და ორივე მის სიცოცხლეშივე ამოუწყდა: მო-ესწრო ორივე მეუღლის სიკვდილს, ორი ვაჟი შაჰ აბასმა და-უსახიჩრა და დაუხოცა, ერთიც სპარსელებს შეაკვდა, ერთი ასულიც სპარსეთის შაჰის კარზე დაახრჩვეს. ერთი ქალიშვი-ლი დარჩა და ისიც უშვილძიროდ გადაეგო. შვილიშვილ „გვა-რის გამგრძელებელთაგან“ ორი მოუკვდა და ერთი ძლივს და-ურჩა...

მაინც იბრძოდა. იბრძოდა, რადგანაც ყოველივე პირადულ-ზე მაღლა, გაცილებით უფრო მაღლა — მაინც საქართველო იდგა!

იგი იბრძოდა მაშინაც, როცა მისი სამშობლოს ძალ-ღონე ლამის „ნოლზე“, გინა „უკანასკნელ მამულიშვილზე“ იყო და-სული. იბრძოდა, რადგან რაღაცნაირი, აუხსნელი მისტიურო-ბით სწამდა, რომ არასოდეს მისი სამშობლო და მისი ხალხი არ დავიდოდა არც „ნოლზე“ და არც „უკანასკნელ მამული-შვილზე“. მისი ღრმა (გინა „მისტიური“) რწმენით, საქართ-

ველოს ახლავს მხოლოდ ფენიქსისებური „მოქცევანი“ — ჟამნი დაცემისა და ჟამნი აღორძინებისა — და ქართველი ხალხიც მანამ იარსებებს ამ ქვეყანაზე, სანამ არსებობს „სხეული ცისაი“ და „სხეული მიწისაი“...

. . . . . .

გამეფდა 16 წლისა, იმეფა და იომა 58 წელიწადი, აღესრულა შობითგან 74 წლისა.

საქართველოს დალოცვა მოასწრო.

ესეც დაასწრო სიკვდილს: აქ არ დატოვოთ ჩემი ცხედარი, მტრის მიწაზეო; საქართველოში წაასვენეთ და იქ დაკრძალეთ, ჩემი კახეთის მიწაშიო.

„არ დატოვოთო“, „წაასვენეთო“, „დაკრძალეთო“, — ისე ამბობდა, თითქოს მარტო გაციებულ სხეულს გულისხმობდა, ხოლო „თვითონ“, — რასაც მისი სული ერქვა, „საკუთრივ თეიმურაზი“ ერქვა — თითქოს, იგი „თვითონ“ გაიკვლევდა გზას — ალბათ, ისევ საქართველოსკენ გაიკვლევდა.

ერთგულ კახელთა ხვეწნა-მუდარას შაჰ აბას II-მ ყურიც არ ათხოვა და „არ გამოუშვა“ თეიმურაზი საქართველოში. ზამთრიდან შემოდგომამდე ისევ გრძელდებოდა „ტყვეობა“ აღსრულებული გმირი ხელმწიფისა. მერე ვახტანგ ქართლის მეფემ შეუთვალა შაჰს: მაინცდამაინც სჯობია, ნება დართოთ წამოასვენონ საქართველოში გარდაცვლილი ქართველი ხელმწიფეო.

შაჰმა „შაჰ-ნავაზის“ თხოვნაზე მაშინვე თანხმობა ბრძანა.

წამოასვენეს კახელებმა თავისი ხელმწიფისა და პატრონის ცხედარი.

ალავერდს მოასვენეს.

ვახტანგ მეფემ ბრძანა, საკადრისი დიდებამოსილებით დაეკრძალათ „დიდი თეიმურაზი“.

„შეკრბნენ კათალიკოზ-ეპისკოპოსნი ქართლ-კახეთისანი“. აუარებელი ხალხი მოაწყდა ალავერდს დიდი მამულიშვილის, ხელმწიფის, პოეტის, გმირისა და „პატრონის“ დასატირებლად.

ალავერდის ტაძარში, სამეფო სამარეში ჩაასვენეს.

გვერდით სამარტვილეში მისი წამებული დედის წმინდა ნაშთები ესვენა.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალამე გადასული იყო.

ალაზნის გასწვრივ კახელ მხედართა რაზმი მითქარუნობდა და მღეროდა:

„აიმ ადგილის ჭირიმე,
სად თეიმურაზ ბრძანდება;
დაიცემს წითლის კარავსა,
ზედ ოქროს სვეტი დადგება“.

ა ზ მ ა მ ე რ ვ ე

„ დ ე დ ა - ტ ა ხ ტ ი ს “ გ ა რ შ ე მ ო

იმერეთიდან—კახეთში...
სპარსეთის „გავლით“

ერანის შაჰი თეიმურაზ მეფის სიკვდილით ჯერ კარგად არც კი დამტკბარიყო, რომ თურქეთის სულთნისაგან ასეთი რისხვიანი წერილი მოუვიდა: გაიხსენეთ, ჩვენს შორის ზავი გახლავსთ; ხოლო თუ ზავი არის, ეს როგორ მოხდა, რომ თქვენს ქვეშევრდომს ვახტანგ-შაჰ-ნავაზს ჩემ ქვეშევრდომ იმერეთში მეფედ თავისი შვილი დაუსვამსო? ჩვენ მოვითხოვთ, ახლავე გაიყვანოთ არჩილ ვახტანგის ძე იმერეთიდან, ხოლო უკეთუ არ აღასრულებთ, მაშინ ომი გსურვებიათ და ჩვენც აღარ დავაყოვნებთ — დაუყოვნებლივ წამოვალთ ჩვენის მხედრობითო!

ძმარმა გადაუარა გულზე შაჰ აბას II-ს.

ესეც იმ დღესვე აცნობეს ერანის მბრძანებელს: თურმე ოსმალეთის ფადიშაჰს პასუხისთვისაც არ დაუცდია, — ახალციხეში ასლან ფაშასთვის შეუთვლია, ბარემ ჯარი წაიყვანე და იმერეთიდან არჩილ ვახტანგის ძე გააძევეო. ასლან ფაშაც თურმე, სადაცაა მიაღწევს ჯარით ზეკარის გადასასვლელსო...

შაჰ აბას II-ს თურქეთთან ომი იმჟამად უიმედო საქმედ მიაჩნდა და მაშინვე, ყოველგვარი ყოყმანისა და ბჭობა-ჭრის გარეშე, ტფილისში ფაიქი აფრინა და ვახტანგ მეფეს შემოუთვალა: შენი ვაჟი არჩილი იმერეთს მოაშორეო; ოღონდ თურქეთთან ზავს ნუ ჩამიშლი, არჩილი ჩემთან გამოგზავნე და იმერეთზე „უმჯობეს“ ქვეყანას მივცემ სამეფოდო.

ეგზომ გამწვავებულ მდგომარეობაში არც ვახტანგ მეფეს უნდა დაეწყო ყოყმანი. მან იმერეთიდან წამოყვანილი ესინათლო ბაგრატ IV-ს ჯერ ცოლად შერთო თავისი ძმისწული თ ი თ ი ა (იქნებ — თათია?) — სილამაზით სახელგანთქმული თამარის დაი (თამარი ხომ მაშინ ლევან III დადიანს ჰყავდა ცოლად), მერე ბაგრატი თავისი ცოლით და იორამ სააკაძის (გიორგი სააკაძის ძე) თანხლებით ქუთათისს გაგზავნა და შვილსაც ეს შეუთვალა: ახლავე იმერეთის ტახტი ბაგრატს ჩააბარე, ხოლო შენ სასწრაფოდ გადმოდი, ტფილისშიო.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფეს ბაგრატთან დამოყვრებით იმერეთზე „რაღაც უფლების“ შენარჩუნებაც სურდა და შაჰის ბრძანებასაც „უყოყმანოდ“ აღასრულებდა.

ეს ამბავი 1663 წლის ზაფხულში მოხდა.

არჩილის ეს „პირველი იმერული მეფობა“ ორ-ნახევარი წელიწადი გაგრძელდა.

იმერეთის ტახტზე ისევ ბრმა ბაგრატ IV იჯდა.

ასლან ფაშა კი უკვე გადმომდგარიყო ფერსათის მთაზე ჯარით.

იმერეთის სამეფო კარმა ასლან ფაშას დიდი ქრთამი შეაგება და უკან გააბრუნა.

ქრთამით პირამოტენილმა ასლან ფაშამ ხონთქარს აცნობა: იმერეთის საქმე მოგვარებულია, ქართლის უფლისწული განდევნილია და ქუთათისის ტახტზე ისევ თქვენი ყმა ბაგრატი ზისო...

თავადმა და სახლთუხუცესმა ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე მ ასლან ფაშას ოსმალთა ჯარი გამოართვა, „მოიპარა ციხე ქუთათისისა და შეაყენნა ოსმალნი“.

(ეს სამწუხარო ამბავი აქედანვე დავიმახსოვროთ, მკითხველო: დასავლეთ საქართველოს მესვეურებმა, თვითონ აქაური თავადის მეთაურობით, ქუთათისის ციხეში თურქული ცი-

ხიონი შეუშვეს! განა, ასე არ დაიწყო მესხეთის მიწაზე ფეს-ვების გადგმა უსაშინლესმა უბედურებამ — „ოსმალობამ“, განა „გათურქებამ“?!).

იორამ სააკაძე, რომელმაც ვახტანგ მეფის დავალებით, ბრძა ბაგრატი იმერეთში ჩაიყვანა, ქართლში ველარ დაბრუნდა: 1664 წელს მას ქუთათისში ყვავილი შეეყარა და გარდაიცვალა.

. . . . . .

როგორც ითქვა, სპარსეთის შაჰი არჩილ ვახტანგის ძეს ერანში იწვევდა და სამმართველოდ იმერეთზე „უმჯობეს“ ქვეყანას ჰპირდებოდა. ვახტანგ მეფემ შვილი ისევ სპარსეთის გზებზე გაჩვეულ სიძესა და სახლთუხუცესს — გივი ამილახორს ჩააბარა და შაჰთან შესახვედრად გაგზავნა.

შაჰ აბას II მაშინ მაზანდარანს იყო და აქვე მიიღო ქართველი სტუმრები. არჩილი „შეიყვარა ფრიად“ და „პატივსცა“ შაჰმა. ორივეს — არჩილს და გივის — გამაჰმადიანება მოსთხოვეს და არც ერთი არ გაძალიანებულა — ორივე „გათათრდა“.

არჩილს სახელიც ახალი დაარქვეს, „თათრული“ — შ ა ჰ ნ ა ზ ა რ-ხ ა ნ.

როცა ქართველმა ბატონიშვილმა შაჰის ნაბრძანები ყველაფერი ასე მორჩილად და თვინიერად აღასრულა, სპარსეთის მბრძანებელმა იგი კახეთის მეფედ გამოაცხადა და ისე გამოისტუმრა საქართველოში. შაჰს ძალიან აშფოთებდა კახეთში „რუსეთუმე“ ერეკლე ბატონიშვილის ყოფნა და მთელი ქართველების საომარი იარაღის ჟღრიალი. სწორედ იმიტომ აძლევდა კახეთს შაჰი „გათათრებულ არჩილს“, რომ მას, „გათათრებულ მამასთან“ ერთად, კახეთიდან უნდა გაეძევებინა ქრისტიანი ქართველებისა და მათი „ქრისტესმიერი ძმების“, რუსების „რჩეული ბატონიშვილი“ — ერეკლე-წიკოლოზი.

1664 წელი იყო.

არჩილი კახეთის მეფედ იჯდა.

ქართლი ხომ მამამისს, ვახტანგ მეხუთეს ეჭირა.

ამასაც „გაერთიანება“ ერქვა — ვახტანგ მეფის ხელქვეით ქართლ-კახეთის გაერთიანება.

მამა-შვილი სწრაფად შეუდგა თუშეთში ჩასაფრებული

ერეკლე ბატონიშვილის განადგურებისათვის სამზადისს. ქართლის ჯართან ერთად, შაჰის ბრძანებით, ვახტანგ მეფეს უნდა შეერთებოდნენ მეზობელი სპარსული პროვინციების ხანები და ბეგლარბეგები.

ერეკლე გამალებით უყრიდა თავს მთისა და ბარის კახელობას.

პირველი შეტაკება მოხდა 1664 წლის ზაფხულში, ურიათუბნის ახლოს.

ბრძოლა მთელი ერთი დღე-ღამე გაგრძელდა.

ერეკლე დამარცხდა და უკუიქცა.

ვახტანგ მეფემ თავისი ძმისწული, დ ა თ უ ნ ა კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი (თამარისა და თითიას ძმა) გამოადევნა ლტოლვილებს.

ერეკლემ თუშეთის მთებში შეასწრო და გაუჩინარდა.

მომდევნო წლის გაზაფხულზე ერეკლე „მარტყოფს მოუხდა ცოტას კაცითა“ ვახტანგ მეფეს, მაგრამ ისევ დამარცხდა და უკუიქცა.

გამოედევნა ვახტანგ მეფე ქართლელთა და სპარსელთა მხედრობით, უჯარმასთან წამოეწია, ისევ დაამარცხა და გააქცია თუშთა ჯარი.

ერეკლე ბატონიშვილმა და დედამისმა ელენემ თორღას ციხეში შეასწრეს და შიგ ჩაიკეტნენ.

შვიდი თვე ალყად ადგა ვახტანგ მეფე კახეთის განთქმულ ციხე-სიმაგრეს. ბოლოს, როცა თორღაში ჩაკეტილებს შიმშილწყურვილით სიცოცხლე უკიდურესად გაუმწარდათ, ერეკლეს დედამ, ელენემ მამაკაცის ტანსაცმლით ციხიდან მალულად გამოსვლა მოახერხა, ვახტანგ მეფეს ეახლა და მოახსენა: თქვენ არ დაგშვენდებათ მე და ჩემი შვილის დატყვევება და გასათათრებლად ერანის შაჰთან გაგზავნაო; ამიტომ გეაჯებით, მე და ჩემი ერეკლე უვნებლობის ფიცით გაგვიშვათ თორღას ციხიდანო.

ვახტანგმა ფიცი კიდევაც მისცა და კიდევაც აღასრულა: მისი ბრძანებით ერეკლე ბატონიშვილი დედამისთან ერთად იმ ღამესვე გააპარეს.

ერხელ კიდევ წამოვიდა ერეკლე თუშეთიდან თუშთა ლაშ-

ქრით და „აწყვერთან“ მდგარ ვახტანგს და არჩილს დაეცა ანაზდეულად, ღამესა ბნელსა.

ბანაკის შუაგულში მდგარ კარავზე მიიტანეს მთავარი იერიში თუშებმა, რადგან იქ მეფე ეგულებოდათ. მაგრამ იმ კარავში მარტო გივი ამილახორი აღმოჩნდა. ამილახორმა სიკვდილს მაინც გაასწრო.

ვახტანგმა, არჩილმა, თამაზ თურქისტანიშვილმა და ზაზა ციციშვილმა ბნელ ტალავერში შეირეკეს ერეკლეს მეომრები და მისდგნენ სასტიკი ჩეხვით.

ერთი გოლიათური ანაგების თუში აგინებდა ხმამაღლა ვახტანგ მეფეს. გაუხტა თამაზ თურქისტანიშვილი იმ თუშს, ხმლით თავი დააგდებინა და მეფეს მოურბენინა.

რიჟრაჟზე, წყვდიადი რომ გაიფანტა, ვახტანგმა ბუკის დაცემა და ცხენებზე ამხედრება ბრძანა.

ერეკლეს და მის მეომრებს აქამდე მეფე მოკლული ეგონათ, მაგრამ ახლა რომ ცოცხლად იხილეს, ბრძოლის გაგრძელება უსაზმნოდ მიიჩნიეს და სისხლნაქცევ მინდორს გაეცალნენ.

ერეკლემ ჯერჯერობით ხელი აიღო „თათარ მამა-შვილთან“ ბრძოლაზე და დედასთან ერთად ისევ რუსეთს გაბრუნდა (1666 წ.).

„19 აპრილს მოსკოვში დიდი ზეიმით შემოვიდა ქართველი უფლისწული ნიკოლოზ დავითის ძე“, — ჩაიწერა დღიურში რუსეთის ჯარის პოლკოვნიკმა, შოტლანდიელმა პ ა ტ რ ი კ გ ო რ დ ო ნ მ ა.

10 ივნისს მეფე ალექსი მიხეილის ძე „წახნაგოვან პალატაში“ დიდის ამბით შეხვდა „ნანატრ შვილობილს“.

ისევ გვერდით უჯდა საწადიმო სუფრასთან რუსთა ხელმწიფეს ქართველი უფლისწული. თერთმეტი ახალგაზრდა ბოიარი ნიკოლოზს ღვინის მწდედ უდგა და ოცდაათი ჭაბუკიც კერძთა მიმტანად ემსახურებოდა.

. . . . . .

ვახტანგ მეფემ კახელებს არჩილის ერთგულებაზე ფიცი დაადებინა და თვითონ ისევ ქართლში დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი „დაჯდა მეფედ და დაიპყრა ყოველი საზღვარი კახეთისა“. სატახტო ქალაქად, იავარქმნილი გრემის ნაცვლად, თელავი გამოაცხადა. ფრთხილი, „საბუთიერი წიაღსვლებით“, უმაღლესი „სახელოები“ თათარ და გათათრებულ თავკაცებს წაართვა და ერთგულსა და თავდადებულ მამულიშვილებს დაურიგა. მისი ზრუნვით „შენდებოდა კახეთი, ვინადგან იყო მშვიდობა და უმტრობა“.

რამდენჯერმე ლეკებს მოუხდათ არჩილი, სააბრაგო ბუდეები მოუშალათ და კახეთის მშვიდობიან მოსახლეობაზე ყაჩაღური თავდასხმების მადაც დააკარგვინათ.

დიდ საალმშენებლო საქმეებს განასრულებდა არჩილი კახეთს. „ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავს და განაახლნა ეკლესიანი ყოველნი კახეთისანი და დასხნა ეპისკოპოსნი, მატა სჯულსა და შენობასა ქვეყნისასა“.

კახელებს ძალიან მოსწონდათ ეს საოცრად მომხიბლავი ყმაწვილი კაცი, რომელიც „იყო ახოვნებითა, შვენიერებითა, სიმხნითა და ყოვლითა სამხედრო სანადიმო ზნითა სრული, რომლისა ისარი 12 მუჭი სიგრძითა, შემმართებელი, ძლიერი, ლაღი და ამაყი, მონადირე და მოასპარეზე, წარჩინებული და საალმრთოთი აღმატებული“.

უკვე ლექსებსაც წერდა მაღალი პოეტური ხელოვნებით, თუმცა თვითონ კრძალვით ამბობდა, მე ვწერ მხოლოდ „ნაღვლის რასმე საქარვებლადო“.

სიტყვა ნაგრეხი არ მითქვამსო, ამბობდა წრფელად და მართლაც მსმენელს და მკითხველს ატკბობდა მისი მშვენიერი, დახვეწილი, უცხოური „მიმძლავრებისგან“ განწმენდილი ქართული სიტყვა და სიტყვათა წყობა.

მაგრამ ჯერ იგი მხოლოდ „გზების“ დასაწყისში დგას — პოეზიისა და პოლიტიკის უმძიმესი გზების დასაწყისში...

არჩილ მეფე ჯერ ისევ უცოლო იყო. უკვე ორჯერ გასცუდებოდა საქორწინო წინდი სიმშვენიერით და ნიჭიერებით სახელგანთქმულ ვაჟკაცს. პირველად ნოდარ ციციშვილის ქალთან ჩაეშალა საქორწინო პირობა, მეორედ ხომ ვამიყ დადია-

ნის ასული უნდა შეერთო ცოლად, მაგრამ ქართლელი უფლისწულის ნაცვლად დადიანმა თავისი ქალი აკი ბეჟან ღოდობერიძეს მიათხოვა...

ახლა შეუჩნდნენ კახელი კარისკაცები და უჩიჩინეს: შენთვის ღირსეული საცოლე ქეთევანი არისო — საოცრად კეკლუცი, საოცრად მშვენიერი, თანაც კახეთის მეფური შტოის ნაშიერი — თეიმურაზ მეფის შვილიშვილი, დიდი მამულიშვილის დათუნა (დავით) უფლისწულის ასული.

(ქეთევანი, როგორც მკითხველს ახსოვს, პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფეს, ბაგრად IV-ს).

არჩილს გულშიც ჩაუვარდა და ჭკუაშიც დაუჯდა ქეთევანის შერთვა. მამასაც მაშინვე გაანდო თეიმურაზ მეფის შვილიშვილზე დაქორწინების „სიკეთე", — ქეთევანი კახეთის მეფეების პირდაპირი ნაშიერია და მისი დედოფლად აყვანა ჩემს უფლებებს კახეთის ტახტზე ძალიანაც განამტკიცებსო.

ვახტანგ მეფესაც მოეწონა შვილის განაზრახი და მისცა დასტური.

ქეთევანი, მამიდამისი დარეჯანი და დარეჯანის მეუღლე, თვალებდათხრილი ვახტანგ ჭუჭუნაშვილი მაშინ სამცხეში იყვნენ, ასლან ფაშას კარზე.

ვახტანგ მეფემ ასლან ფაშას 2 000 თუმანი გაუგზავნა, ვინმე „ტფილისელი ვაჭრის" ხელით. ამ ფულით ქეთევანი „დაიხსნეს" და ახალციხიდან ტფილისს ჩამოიყვანეს.

1667 წელს არჩილმა და ქეთევანმა ჯვარი დაიწერეს.

საქორწინო სუფრა თელავში ახალი გაშლილი იყო, რომ ჭურმურტელი ლეკები შემოცვივდნენ ენისელში ძარცვით და ტყვევნით წამოიჭრა არჩილ მეფე, საქორწინო სამოსელზე საომარი საჭურველი აისხა, ამხედრდა, მექორწილენი მხედრობად გაიყოლია და ენისელისკენ გაფრინდა.

ლეკებმა ძარცვა-გლეჯას თავი მიანებეს და უკანვე გაქუსლეს. გამოედევნენ არჩილი და მისი გუნდი. ჭურმურტამდე სდიეს, იქაც შეუხდნენ, „შემუსრნეს სიმაგრენი, მოსწყვიტნეს, მოსტყვევნნეს და მოვიდნენ გამარჯვებულნი...".

ცოტა ხნის შემდგომ არჩილ მეფე ჭარ-ბელაქანის ლეკებს მიუხდა. ლეკებმა ხელის გამოღება ვერ გაბედეს და მაშინვე მორჩილება და ხარკის ძლევა დაიკისრეს.

. . . . . .

არჩილ მეფეს ქეთევანისგან შეეძინა: დარეჯანი, ალექსანდრე, მამუკა და დავითი.

. . . . . .

არჩილი კახეთს „მეფური მეფობით“ განაგებდა, მაგრამ იგი მაინცდამაინც მამის, ვახტანგ ქართლის მეფის, ქვეშევრდომად უფრო ჩაითვლებოდა. ევროპელებსაც (ჟან შარდენი) არჩილი მამამისის „მოადგილედ“ მიაჩნდათ. არჩილი ასეთ „ქვეშევრდომობას“ არც უჩიოდა და არც უწუხდებოდა. საბედნიეროდ, შვილიც და მამაც „მთავარ საქმედ“ მაინც ქართლისა და კახეთის ერთიანობას მიიჩნევდნენ. ასეთადაც იყო, მამა-შვილის „პოლიტიკური სიმფონია“ აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობას და ერთიან აღორძინება-გამძლავრებას ემსახურებოდა.

ერანის სახელმწიფო კარსაც ქართლ-კახეთის საქმეთა მთავარ გამგებლად ვახტანგ შაჰ-ნავაზი მიაჩნდა.

ვახტანგ მეფის „სპარსული პოლიტიკა“ როსტომ მეფის პოლიტიკის გაგრძელება იყო, მაგრამ ვახტანგს მაინც უფრო დამოუკიდებლად ეჭირა თავი. ამას ევროპელი ჟან შარდენიც ამჩნევდა და კიდევაც წერდა: „საქართველოს მეფე ვახტანგი მაინცდამაინც არც ისე ძლიერ ემორჩილება სპარსეთის შაჰის ბრძანებასო“.

ქართველი მეფის ეს „დამოკიდებულება“ გამორჩევით მისი სამეფოს შინაურ საქმეებში იგრძნობოდა. ვახტანგი და არჩილი სპარსეთის შაჰის დაუკითხავად იღვწოდნენ თავგამოდებით ქართული მიწა-წყლის აყვავებისათვის კულტურული აღმშენებლობისათვის, ხალხის სულიერი ამაღლებისა და ნივთიერი გამდიდრებისათვის.

ვახტანგი ევროპელ ვაჭრებს იწვევდა საქართველოში, ტფილისში ბინებისა და ქარვასლების აშენებას ჰპირდებოდა, ბაჟისაგან გათავისუფლებას აღუთქვამდა და დაბეჯითებით არწმუნებდა: ევროპელები რომ ინდოეთში მიმავალ გზებს ეძიებენ, „ქართულ გზაზე“ უკეთეს გზას ვერსადაც ვერ იპოვნიან, — ოღონდ ერთხელ გაიარონ საქართველოზე და მერე სხვა გზას არასოდეს აღარ დაადგებიანო...

შენდებოდა ქართლ-კახეთი. ისევ ყვავილობდა სამამულე რჩა ახლად მომძლავრებულ ზვრებში. ჰყვაოდა ბაღი. შენდე-

ბოდა სარწყავი არხები, მარნები, წისქვილები, ზეთსახდელები, ქარვასლები, დუქნები, გზები, ხიდები, ბოსლები, საჯინიბოები, სრა-სასახლენი, ციხესიმაგრენი.

ვახტანგ მეფე მის „მეგობარ“ კათოლიკე მისიონერებს ევროპიდან ინჟინრებსა და მექანიკოსებს „აწერინებდა“.

ისევ მოეშენენ ამოგდებული სოფლები, დაქცეული ქალაქები და დაბები; აღმოცენდნენ „ახალ-სოფელნი“, „ახალ-დაბანი“, „ახალ-ქალაქნი“. მაშინ დაიბადნენ: ახალქალაქი, ატენი, ბოლნისი და წინწყარო; აღორძინდნენ და „მაღლდნენ ახალდაბანი: ნაბახტევი, ალი, სურამი და ახალდაბა.

ერთხელ კიდევ აშენდა და აღორძინდა მრავალგზის ნაოხარი, ნაჭირვალი და ნაწამები დიდი ქართული ქალაქი — გორი.

ხოლო საქართველოს სატახტო ასე აღუწერია ჟან შარდენს:

„ტფილისი ერთი უკეთესი და უმშვენიერესი ქალაქია... სახლების უმეტესი ნაწილი ციცაბო კლდეზე დგას. ქალაქი შემოზღუდულია მშვენიერი და მაგარი კედლით. მდინარისკენ კი კედელი არა აქვს...

ტფილისში რამდენიმე ეკლესიაა, ექვსი მათგანი ქართველებისაა... დედა ეკლესია, რომელსაც სიონს უწოდებენ, დგას მდინარის პირზე და მშვენიერი თლილი ქვებით არის ნაშენი...

ტფილისში რამდენიმე კარგი საჯარო შენობაა. აქ არის ქვით ნაშენი და კარგად შენახული დიდი საბაზრო ნაგებობანი. ასეთივეა ქარვასლებიც, რომელშიც უცხოეთიდან მოსულნი ბინავდებიან დროებით. თვითონ ქალაქში აბანოები ცოტაა და ხალხი ბანაობს იმ თბილ წყლებში, რომელიც ციხის გალავანს შიგნითაა. ამ აბანოების წყალი არის გოგირდიანი და ძალიან ცხელი. ჯანმრთელთა გარდა, აქ სნეულებიც ბანაობენ სამკურნალოდ... დუქნებიც კარგად არის მოწყობილი, სუფთად მოვლილი, მაღლობზე წამოჭიმული და დიდი მოედნის პირას ჩარიგებული.

მეფის სასახლე ერთი უმშვენიერესი შენობაა ტფილისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომლებიც მდინარესა და ბაღებს გადასცქერიან. ბაღები ძალიან ფართოა... სასახლის წინ არის ოთხკუთხი მოედანი, რომელზეც ათას ცხენამდე და-

ეტევა, მოედანი დუქნებით არის შემოზღუდული და ბოლოს გრძელი ბაზარი გახლავთ სასახლის პირდაპირ. მშვენიერი სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი ამ ბაზრის თავიდან...

ტფილისის მიდამო შეკრულია რამდენიმე სალხინო სახლით და მშვენიერი ბაღებით. ყველაზე დიდი მეფის ბაღია. ხეხილი ცოტაა, მაგრამ იმისთანა ხეებით არის სავსე, რომლებიც ამშვენებენ ბაღს და ჩრდილსა და სიგრილეს ავრცობენ ირგვლივ...

თვითონ მეფის სასახლის დარბაზი სიგრძით ას ათი ფუტი იყო, სიგანით — ორმოცი; სასახლე მტკვრის პირას იდგა და მტკვრის დარბაზი ახდილი იყო. საროთი ნაკეთებს დარბაზის ჭერს რამდენიმე დახატული და ოქროთი მოვარაყებული სვეტი ედგა; სვეტებს სიმაღლე 35 ფუტიდან 40 ფუტამდე ჰქონდა. მთელი დარბაზი მშვენიერი ორხოებით იყო მორთული...".

ᲨᲘᲜᲐᲐᲨᲚᲘᲚᲝᲒᲐᲗᲐ ᲒᲣᲓᲔ

1666 წელს მოკვდა შაჰ აბას II და ერანის მბრძანებელი შეიქნა მისი ძე ს უ ლ ე ი მ ა ნ ი (1666 — 1694 წწ.).

სულეიმან შაჰმა ქართველთა „დამოუკიდებელი პოლიტიკა" თავიდანვე ავად დასუნთქა, იგი ვახტანგ მეფის „ფრთხილ ნაბიჯებში" ერანისათვის დიდ სამომავლო საფრთხეს ხედავდა, ხოლო არჩილი მას სპარსეთის ნამდვილ მტრად მიაჩნდა.

კიდევაც იძლეოდა კახეთის გამგებელი სპარსელთაგან ამნაირი შეფასების საფუძველს, — რამეთუ „არჩილ იყო მოძულე მაჰმადიანთა და მაჰმადიანობისა".

შაჰ სულეიმანმა გადაწყვიტა დაერღვია მამა-შვილის „პოლიტიკური სიმფონია" და უფრო მძიმე კირთებით დაეთრგუნა „კადნიერ გურჯთა დამოუკიდებლობა". საამისოდ ხელსაყრელ ჟამს ეძებდა შაჰი. და დადგა კიდეც „ჟამი იგი".

მკითხველმა უკვე იცის, როგორ მოაკვლევინა ვახტანგ მეფემ თავის დისწულებს — ოთარს, ედიშერს, იასონს, პაპუას და დათუნას—ზაალ არაგვის ერისთავი. მას შემდგომ, მკვლელ-

თავან უფროსი — ოთარი ვახტანგმა არაგვის ერისთავად დასვა, ედიშერი — ქართლის მსაჯულთუხუცესად, იასონი — დედოფლის მსახურთუხუცესად.

სხვათა შორის, — როცა ოთარმა მისგანვე მოკლული ბიძის მემკვიდრეობა ჩაიბარა, საარაგვოში მაშინ კახური მიწაწყლიდან ერწო-თიანეთიც შედიოდა. როცა ვახტანგი და არჩილი რუსეთიდან ჩამოსულ ერეკლე ბატონიშვილს ებრძოდნენ, მაშინ მათ შეატყობინეს: ოთარ ერისთავი და მისი ძმები ერეკლეს მხარს იჭერენ და კახეთში მის გამეფებას აპირებენო. ვახტანგმა ოთარს ერწო-თიანეთი წაართვა. მაგრამ ერისთავებმა „სამსჭვალსა ზედა დაიფიცეს“: ერეკლე ბატონიშვილთან ჩვენ არაფერი გვესაქმებაო.

(სამჭვალნი, სუდარა და საბელი — მცხეთის სვეტიცხოველში ინახებოდა, ვითარცა იესო ქრისტეს „პირადი ნივთები“).

დაფიცება „სამსჭვალსა ზედა“ ძლიერი, შეუვალი ფიცი იყო. ვახტანგ მეფემაც დისწულების ესოდენ „მაღალ დონეზე“ დაფიცება დაიჯერა და ერწო-თიანეთი ისევ ოთარს დაუბრუნა.

ახლა არჩილ მეფეს შეუჩნდნენ მისი „ერთგული“ კახელი კარისკაცები: კახეთის ბატონი ბრძანდები და ეგ როგორი მოსათმენია, შენი საბატონოს დიდი წილი რომ არაგვის ერისთავს უჭირავსო.

არჩილი წაქეზებას წაექეზა და მამას ტფილისში შეუთვალა: ოთარ ერისთავს უბრძანე, ერწო-თიანეთი დამიბრუნოსო, ვახტანგმა უპასუხა: ეგ ჩვენი საქმე არ არის, რადგან რაც ოთარს უჭირავს, არც მე მიმიცია და არც შენ, — ყველაფერი მამა-პაპათაგან დარჩენია მემკვიდრეობადო.

არჩილი გაფიცხდა და მამას ფრიად მკვახედ შეუტრიალა: „რაც საკახეთო არისო, ბედნიერმან ყაენმან მე მიბოძაო და მეც არავის არ დავანებებო; ერისთავი თქვენი ყმა არისო და თუ მისთვის მისაცემი გინდაო, ქართლიდამენ უბოძეთო“.

ვახტანგმა ძალიან იწყინა საყვარელი შვილის ეგზომ კადნიერი სიტყვა. მცირე ხანს კიდევაც შემდურდნენ. მაგრამ მამამ „შვილი ვერ დათმო“ და ოთარ ერისთავს ბრძანება გაუგზავნა: რაც კახური მამულები გიჭირავს, ხელი აიღე და ისევ კახეთს დაუბრუნეო.

ოთარ ერისთავმაც სასტიკად იტკიცა და ვახტანგ მეფეს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუთვალა: ჩემზე წინ ბედნიერმა ყაენმა ნახევარი კახეთი ბიძაჩემს ზაალს მისცაო; მერე მე და ჩემმა ძმებმა თქვენის გულისათვის ამნაირი — „შვიდსა სამეფოში ქებული და სწორუპოვარი ბიძა მოვჰკალით“ და მთელი კახეთი თქვენ მოგართვით; ამას გარდა, „საცა თქვენი მტერი გაჩნდა, ყველა ჩვენ წაგიხდინეთ“, და ახლა იმის ნაცვლად, რომ ამდენი ნამსახურის სამაგიეროდ თქვენგან მრავალ წყალობას მოველოდეთ, რაც გვაქვს, თურმე იმის წართმევასაც გვიპირებთ; მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ, რაც რაიმე გვაქვს, ყველაფერი „თავად ყაენისგან გვაქვს მოცემული და ვერც ვინ უყაენოდ წაგვართმევსო“.

მაშ, ოთარ არაგვის ერისთავი „ყაენის სახელით“ იმუქრებოდა. შაჰ სულეიმანმაც მაშინვე იცოდა „ქართლ-კახური დიალოგების“ ამბები და თავის მხრივაც უმატებდა ამინდის მღვრევას ქართული ცის ქვეშ.

ვახტანგმა და არჩილმა ითათბირეს და ბოლოს ასე გადაწყვიტეს: ერისთავების ამოუწყვეტლად მამულების დაბრუნება კი არა, საერთოდ ვერ მოისვენებს ვერც ქართლი და ვერც კახეთიო.

მაგრამ ოთარ ერისთავი უფრო სწრაფად ამოქმედდა. ერანში ფაიქი აფრინა და შაჰს შეუთვალა: თქვენი ერთგული სამსახური მწადია და ნება მომეცით პირადად გინახულოთო.

ცას შესწვდა სიხარულით შაჰ სულეიმანი. ვგონებ, ახლა დამიდგა დრო, „ფრიად განდიდებული“ ვახტანგ მეფე „დავაკნინოო“ და მაშინვე „მიუწოდა ოთარს თვის წინაშე“.

სპარსეთს მიმავალმა ოთარ ერისთავმა მცხეთა და ტფილისი ისე ჩაიარა, ვახტანგ მეფემ უბატონოდ ხმის გაცემაც ვერ გაუბედა.

ჯავრით გულგასივებულ მეფეს იმ დღეს ვიღაცამ აცნობა: ოთარ ერისთავი შაჰთან წასვლას თვითონ არ აპირებდა, მაგრამ ი ო რ ა მ გ ო ჩ ა შ ვ ი ლ მ ა წ ა ა ქ ე ზ ა ო, — ერანს წადი, და შაჰი ერისთაობას დაგინარჩუნებს კი არა, უეჭველად მეფობასაც მოგცემსო.

(იორამი იყო შვილი როსტომ მეფისგან დასჯილი გიორგი გოჩაშვილისა და შვილიშვილი დიდი სვიმონ მეფის თანამებრძოლის —გოჩა ბატონიშვილისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ მეფემ იმ ცხელ გულზე ოორამ გოჩაშვილი შეიპყრო, თვალები დათხარა, ადგილ-მამული ჩამოართვა და ხმელ-პურზე დააგდო ცოლშვილიანად.

მერე დუშეთისკენ გაქუსლა ჯარით. არჩილიც თიანეთის გზით შემოიჭრა საარაგვოში, კახელთა ლაშქრით.

დაუხვდნენ მამა-შვილ ხელმწიფეებს ოთარ ერისთავის ძმები — ედიშერ, იასონ, პაპუა, დათუნა. პირველი მძიმედ დაშავდა პაპუა — ვახტანგ მეფის მეომრებმა ბარძაყი დაულეწეს, შეიპყრეს და მეფეს მოჰგვარეს. დანარჩენმა ძმებმაც იკადრეს იარაღის დაყრა, კისერზე შიშველი ხმლები აპეურებით შეიბეს და ისე დაიმუხლისთავეს ვახტანგის წინაშე.

ვახტანგმა შეუნდო, „ვინადგან იყვნენ ისინი დის-წულნი“.

მეფემ ტფილისს დაბრუნება ძლივს მოასწრო, რომ დუშეთში დატრიალებული ამბები ისფაჰანის კარზე უკვე მარცვალ-მარცვალ ჩაეკაკლათ სულეიმან შაჰისთვის.

ბრაზიანად იყვირა სულეიმანმა: ისე გამოდის, ვახტანგ შაჰნავაზს საარაგვოში სისხლი იმიტომ დაუღვრია, საარაგვოს ბატონი ჩემს კარზე სტუმრად რომ მოსულაო.

ძალიან დამძიმდა სუნთქვა ისფაჰანის სასახლეში. სადაც არის, რაღაც ავი საბრძანისი უნდა ებრძანებია შაჰს „შაჰ-ნავაზისა“ (ვახტანგი) და „შაჰ ნაზარ-ხანის“ (არჩილი) „კადნიერებათა“ საპასუხოდ.

მაგრამ კვანძი ერთბაშად ჩასჭრა ისევ გათათრებულმა ქართველმა, სპარსეთის მაშინდელმა ყულარაღასმა მ ა ნ ს ურ ხ ა ნ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ მ ა. მან დინჯად, წყნარად და დაბეჯითებით მოახსენა შაჰს: საქართველო ყოველთვის არაგვის ერისთავებისაგან არის აშლილი და აოხრებული; და ახლაც, თუ ოთარ ერისთავსა და მის ძმებს ლაგამს აჰყრით და „სადავეს დაანებებთ“, მაშინ იცოდეთ, ქართლსა და კახეთს ყოველ დდე თითო ბატონი მაინც უნდა გამოუცვალოთო.

ძლიერად იყო ნათქვამი, სპარსეთის კარზე ეგზომ „ძლიერი ხელისუფლებისგან“. ბარათაშვილი ყულარაღასი იყო — სამეფო გვარდიის უფროსი! (ხოსრო-მირზას დროიდან აკი სპარსეთის ყულარაღასობა და ისფაჰანის ტარუღობა, „როგორც წესი“, მხოლოდ ქართულ ხელსა და გონებას მიენდობოდა!)

რისხვა ჩაითრგუნა სულეიმან შაჰმა. ოთარ ერისთავი ცივი

თვალით აზომ-ჩაზომა და უთხრა: დაბრუნდი საქართველოში, ვახტანგ მეფე ინახულე და ჩემის სახელით სთხოვე, ისევ დაგაბრუნოს ერისთავად საარაგვოშიო.

წამოვიდა უცხოთა კარის სამართლის მაძიებელი. მეფობას ელოდა და, რაც ჰქონდა, ისიც მტრად გადაკიდებული მეუფის სამათხოვროდ გაუხდა.

მაინც დიდსულოვნად მოექცა ვახტანგ მეფე „გზააბნეულ დისწულს". არაგვის ერისთაობა ისევ დაუმტკიცა და დუშეთს გამოუშვა.

მაგრამ ნახევარმა წელმა ძლივს გაიარა და უეცრად გარდაიცვალნენ ოთარიც და ედიშერიც.

ძმათა ერისთავთა ანაზდაითმა სიკვდილმა ორნაირ ხმას აუდგა ფეხი საჭორაოზე: ერთი —„ სამსჭვალზედ" რომ ტყუილად დაიფიცესო, ღმერთმა ამისთვის დასაჯათო; მეორე — „ვიღაცამ" საწამლავი შეაყოლათო საჭმელში, თუ სასმელშიო...

ვახტანგმა საარაგვოს ბატონად რ ე ვ ა ზ ე რ ი ს თ ა ვ ი დანიშნა.

იმერეთის „საუფლოვნელად" ახალციხეში მიდიან

როგორც გვახსოვს, ვახტანგ მეფის ასული — ანუკა შაჰ აბას II-ს ჰყავდა ცოლად. როცა შაჰ აბასი მოკვდა, ანუკას, ძალიან ლამაზსა და სათნო „გურჯი-ხათუნს" ბევრი წარჩინებული სპარსელი აედევნა ხელის სათხოვრად. „ანუკას სასიძოთაგან" მაინც ორი პირველობდა — ეთიმადოვლე (დიდვეზირი) შ ი ხ ა ლ ი - ხ ა ნ ი და ლორეს გამგებელი შ ა ვ ე რ დ ხ ა ნ ი.

სულეიმან შაჰმა შემოუთვალა ვახტანგ მეფეს: რომელს აირჩევ სიძედო, შიხალი-ხანს თუ შავერდ-ხანსო. ვახტანგმა ლორეს მმართველი ამჯობინა და ანუკა მას გაატანეს ცოლად.

იუკადრისა ეს შიხალი-ხანმა და დაუძინებელ მტრად აუჩნდა ქართველ ხელმწიფეს.

ვახტანგი მტერთან დახვედრის თადარიგს იჭერდა, ტფილისის ციხეებსა და კედელ-გალავნებს ამაგრებდა და განამტკიცებდა. სულეიმან შაჰმაც კი გამოუგზავნა ვახტანგს „ვერცხლი დიდი, რათა მოავლოს ზღუდე ტფილისს“. ვახტანგი ყიზილბაშებს მაინც არ ენდობოდა და ერთი „საგანგებო“ ციხესიმაგრე ტფილისს გარეთაც აღაშენა — „ქალაქის სამხრით ასპარეზის თავსა ზედა მტკვრის კიდისა სასახლედ თვისად“.

. . . . . .

არჩილისა და ქეთევანის დაქორწინების შემდგომ, ვახტანგ მეფემ კიდევ სამი ბატონიშვილი მოჰკიდა ოჯახს: გიორგის ცოლად შერთო თ ა მ ა რ ი „ელიზბარის შვილის ასული“: ლუარსაბს — მ ა რ ი ა მ ი, რევაზ არაგვის ერისთავის ასული; და ლევანს — თ უ თ ა, ქაიხოსრო გურიელის ასული (ვახტანგ მეფის კიდევ ერთი ძე — ალექსანდრე იმჟამად სპარსეთს იყო, ისფაჰანის ტარუღად. ჯერჯერობით უცოლოდ იყო ძმათაგან ყველაზე უმცროსი — სოლეიმანი).

საქორწინო ღრეობანი ახალი ჩამთავრებული იქნებოდა, როცა მეფეს მოახსენეს, დვალეთი აჯანყებულა და ბეგარის გადახდაზე უარი უთქვიათო. ვახტანგი გაეშურა ლაშქრით და, ცხინვალს რომ მიატანა, შემოეგებნენ დვალები, მუხლებში ჩაუცვივდნენ, პატიება შეჰღალადეს და სრული მორჩილებისა და ერთგულების პირობაც დასდეს. ვახტანგმა დვალეთი უსისხლოდ შეიწყალა და ტფილისს მობრუნდა.

აქ კიდევ ახალი უამური ამბავი დაახვედრეს მეფეს ქართლის სპასპეტი ზ ა ზ ა ც ი ც ი შ ვ ი ლ ი იქცევაო „ამაყად“ და „უგვანად“. მოაყვანინა ვახტანგმა ციციშვილი „საწურთნელად“.

როგორც კი ზაზა ციციშვილი სასახლის ეზოში შემოვიდა, ფიცხელმა გიორგი უფლისწულმა მაშინვე ბრძანა მისი შეპყრობა. ფავლენიშვილი დაწინაურდა ბრძანების აღსასრულებლად. ციციშვილმა სატევარი გაიძრო, ფავლენიშვილს შიგ გულში შესთხარა და იქვე გაათავა. კიდევ რამდენიმე მსახურეულის დახანჯვლა მოასწრო გამხეცებულმა ციციშვილმა და ბოლოს ისიც აჰკუწეს გიორგის „მონებმა“.

სასახლეში ასეთი მოულოდნელი სისხლის დაქცევით „დამძიმდა მეფე ფრიად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლული ციციშვილის ნაცვლად ქართლის სპასპეტობა მიიღო თ ა მ ა ზ ყ ა ფ ლ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა.

არ სცხრებოდა შიხალი-ხანი, ანუკა ბატონიშვილის საქმროდ დაწუნებული სასიძო. იარაღით რომ ვერაფერი გაუბედა, მალული ხვანჯებით სცადა ვახტანგ მეფის „ბედნიერი ცხოვრების“ დაშლა და დაბალთვა.

თუმცა გადამთიელი შიხალი-ხანი რას გააწყობდა, თუ საქართველოს სამეფო ტახტზე აღზევებული „მუხრანული დიდი ბუდე“ თვითონ, „თავისით“, შიწაგანად არ ყოფილიყო დასანგრევად სენმორეული. მართლაც, ყველა ბატონიშვილს თურმე თავისი საკუთარი საფიქრალი და საკუთარი უქმური ჰქონია გულში ჩაბუდებული და ჩალექილი.

დაიწყო ლუარსაბ ბატონიშვილით. ლუარსაბს ხომ რევაზ არაგვის ერისთავის ასული — მარიამი ჰყავდა ცოლად. რევაზ ერისთავი კი რაჭის ერისთავის შ ო შ ი ტ ა ს სიძე იყო — დის ქმარი. ესე იგი, მარიამი რაჭის ერისთავის დისწული იყო და ამ ენად ლუარსაბიც სიძედ ეკუთვნოდა შოშიტას. ეს მოყვრულნათესაური რკალი იმიტომ ავიჩემეთ, რომ იგი ლუარსაბ ბატონიშვილს „აუჩემებია“ თავისი „პოლიტიკური ზრახვების“ აღსასრულებლად. საქმე იმაში ყოფილა, რომ ლუარსაბ ბატონიშვილს იმერეთის მეფობა სდომებია, ხოლო ქუთათისის ტახტის დაპყრობა ორი ძლიერი ერისთავის — არაგვისა და რაჭის ბატონების დახმარებით დიახაც საიმედო გაანგარიშებად გამოსჩანდა.

ლუარსაბ ბატონიშვილის „იმერული სურვილები“ სადღაციდან შიხალი-ხანის ყურსაც მისწვდომია. შიხალი-ხანი ახალციხის გამგებელს, ქრთამის მოყვარე ასლან ფაშას შეუჩნდა, ქრთამიც უხვად მიართვა და სამაგიეროდ ლუარსაბ ბატონიშვილის „გადმობირებაზე“ შეიპირა. ასლან ფაშამ ლუარსაბს აგრძნობინა — იმერეთის ტახტს მე გაშოვნინებო, რამეთუ იმერეთი ოსმალეთის ხონთქარს ეკუთვნის, ხოლო ხონთქარი იმერეთის ყოველ საქმეს მე მეკითხება და მე მავალებსო.

ვახტანგ მეფე ვერც მუდარით და ვერც მუქარით ვერაფერს გახდა, — ლუარსაბ ბატონიშვილი ქართლიდან ცოლშვილიანად აიყარა და ახალციხეს გადაიხვეწა.

ამ დროს არჩილი სხვა საქმით იყო დაკავებული კახეთში.

სულეიმან შაჰს ხომ ვახტანგისა და არჩილის შეთანხმებული „ერთხელმწიფობა“ და სპარსეთისგან „დამოუკიდებელი არსებობა“ ჰგვრემდა გულგვამს. ის კი არა და, საკუთარი ფულიც კი მოუჭრია ვახტანგ V- ტფილისში!

ისევ შიხალი-ხანმა შეაგონა შაჰს: რუსეთიდან ერეკლე ბატონიშვილი გამოიძახე და ის დანიშნე კახეთის გამგებლად... ეს აზრი სწორედ ზედ მისწრება იყო შაჰ სულეიმანისთვის; ქართლისა და კახეთის ერთიანობაც დაინგრეოდა, ვახტანგისა და არჩილის „სიმფონიური მმართველობაც“ გაქრებოდა, მათი მეტოქე ერეკლე ბატონიშვილი სპარსეთის ყმა იქნებოდა და გაზვიადებული ქართლის მეფეც უაღრესად დაკნინდებოდა.

ერთი სიტყვით, სპარსეთის მბრძანებელმა განიზრახა, „მტერობითა ვახტანგ და არჩილ მეფისათა მეტოქედ მოყვანა ერეკლესი“.

ისევ „მოსკოველი ქართველი უფლისწული“

ერეკლე ბატონიშვილი მოსკოვის ქართველ „კოლონისტთა“ იმედი და სასოება იყო. ერეკლეს უნდა აღესრულებინა მისი დიდი პაპის თეიმურაზის მარად აუსრულებელი ოცნებანი — ჯერ კახეთისა და ქართლის დაუფლება, ყიზილბაშთაგან გათავისუფლება და ბოლოს „ყოველი საქართველოს“ გაერთიანება და გამძლავრება. დროც ხელსაყრელად მიაჩნდათ „მოსკოველ ქართველებს“. დიდი შაჰ აბას I-ის შემდგომ საქართველოს მოსისხლე სპარსეთი სწრაფად ეცემოდა და კნინდებოდა. რამდენიმე ათასეული რუსი ჯარისკაცი, თანამოძმე ქართულ ლაშქართან ერთად, ადვილად გაანადგურებდა სპარსეთს — ქრისტიანთა ამ მარადიულ სამტრო-საბუდარს.

დრო „ხელსაყრელი“ იყო იმ მხრივაც, რომ „ცარევიჩ ნიკოლაი“ რუსთა ხელმწიფის დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

მოსკოვის კარზე ძალიან სჩანდა ეს მომხიბლავი ქართველი ჭაბუკი — ახოვანი წელწვრილი და მხარბეჭიანი, ნებიანი სა-

ხის ნაკვთებით და ძლიერი შუქმოსიერი თვალებით, ერთდროულად ფიცხელი და დარბაისელი, მამაცი მახვილოსანი და სწორუპოვარი ცხენოსანი.

რუსულ „წრეებში“ ყველამ იცოდა, რომ საქართველო ამ ახალგაზრდა ქართველ რაინდს „ეკუთვნოდა“.

რაც მთავარია — ეს იცოდა თვითონ ხელმწიფემ.

ალექსი რომანოვს დიახაც „ესურვილებოდა“, რომ კავკასიის საქრისტიანო, ქრისტიანი შვილობილის საშუალებით, თავისი დიდი სახელმწიფოს საზღვრებში მოექცია...

მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობანი ერთბაშად ისე აიწეწა, რომ „საქართველოს საქმეებისთვის“ ისევ ველარ მოიცალა მოსკოვის უმაღლესმა კარმა. ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვა: ნიკონის რეფორმა და სასულიერო „ბუნტები“, ომები პოლონეთთან და შვეციასთან, „სპილენძის აჯანყება“ მოსკოვში, დონელი კაზაკების გამოსვლა ვასილი უსის მეთაურობით, გლეხთა ომი სტენკა რაზინის წინამძღოლობით და ბოლოს — მეფე ალექსი რომანოვის მეუღლისა და დედოფლის, მარია ილინიჩნა მილოსლავსკაიას გარდაცვალება.

ძალიან სჩანდა მოსკოვის კარზე ქართველი უფლისწული, მაგრამ საქართველოსთვის ისევ არავის ეცალა.

. . . . . .

თვითონ მეფე ალექსი რომანოვი, მამამისის მიხეილის მსგავსად, ცინგითა და წყალმანკით იყო სნეული. ალექსის მილოსლავსკაიას ქალისაგანაც ცამეტი ავადმყოფი შვილი შეეძინა და ცამეტიდან სამი ძლივს შემორჩა — ცინგიან-წყალმანკიანი თეოდორე, ნევრასთენული სოფიო და ენაბლუ, ბეცი და გონებაჩლუნგი ივანე.

1671 წლის იანვარში ალექსი რომანოვმა ცოლად შეირთო ოცი წლის ნატალია კირილეს ასული ნარიშკინა — ქალი დიდად ლამაზი, ჭკვიანი, ნებიანი, ვნებიანი და თამამი. იგი ახლადშერთულ ხელმწიფეზე ოცდაორი წლით უმცროსი იყო.

მეფე-დედოფლის ქორწინების დღეებში განსაკუთრებულად გამოჩნდა უფლისწული ნიკოლოზი. იგი ქორწილის „ტისიაცკად“ ყოფილა დანიშნული. „ტისიაცკი“ მთელი საქორწინო განწესების, ხარჯების, მსვლელობისა და დაგვირგვინების მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაური იყო „ტისიაცკი“, — ვითარცა ნეფე-დედოფლის მეჯვარე, განუყრელად თან ახლდა ახლად შეუღლებულთა წყვილს, იგი იხდიდა საქორწინო ფულს, ჯვარსაწერად მიუძღოდა ნეფე-დედოფალს, საქორწინო ბეჭდებსაც თვითონ უცვლიდა შეუღლებულებს, სანადიმო სუფრის გაწყობასაც იგი მეთვალყურეობდა და მეურვეობდა...

ქორწინებიდან წლინახევრის შემდგომ — 1672 წლის მაისის ბოლოს — დაიბადა უფლისწული, ცხოველმყოფელი, ძლიერი სულით და სხეულით.

ეს იყო პ ე ტ რ ე — მომავალში უდიდესი ხელმწიფე რუსეთისა.

30 მაისს, მიძინების ტაძარში, საგანგებო პარაკლისზე, მეფე ალექსის უფლისწულის დაბადება მიულოცეს რუსეთის სახელმწიფო კარის უახლოესმა ადამიანებმა.

პარაკლისზე დიდი სიტყვა-მილოცვა წარმოსთქვა ქართველმა უფლისწულმა.

მეფე ძალიან მოიხიბლა.

პეტრე უფლისწულის ნათლობის დღეს (1672 წლის 29 ივნისს) წახნაგოვან პალატაში გაშლილ უმდიდრეს სუფრაზე ისევ დიდი პატივის ქვეშ იმყოფებოდნენ ნიკოლოზ ბატონიშვილი და დედამისი ელენე.

მოსკოვის სასახლის კარზე რუსთა და ქართველთა სიყვარულსა და სიახლოვეს დიდი სამომავლო პირი უჩანდა.

მოსვენება დაჰკარგვოდათ ერანისა და ოსმალეთის სატახტოებს.

გამორჩევით ერანის შაჰი ვერ შერიგებოდა რუსეთის კარზე ქართველი უფლისწულის დაწინაურებას და აღზევებას.

ვაითუ ამიერიდან „გარუსებულმა ქართველებმა“ შესცვალონ „გათათრებული ქართველები“ საქართველოს სამეფო ტახტზე!

ნიკოლოზ-ერეკლეს ერანის შაჰის წერილი მოუვიდა: სპარსეთს მეწვიე და კახეთის მეფობას ისე ჩაგაბარებ, ქრისტიანობის გამოცვლასაც არ მოგთხოვო.

რუსეთის მეფის დახმარებით საქართველოში გამეფების იმედი, როგორც ეტყობა, სავსებით დაჰკარგვოდა ნიკოლოზს. ამიტომ, იგი დათანხმდა წასულიყო სპარსეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ცივად გამოისტუმრეს მოსკოვიდან.

დარიალს რომ გამოალწია, ერანის შაჰის შათირებმა ხმალი და „საფიცარი რაყამი“ შეაგებეს.

„ამ ხმალსა და საფიცარს მოენდევ და სპარსეთს მეწვიეო“, სწერდა შაჰი რუსეთიდან წამოსულ ქართველს.

. . . . . .

1674 წელი იდგა. ერეკლე ბატონიშვილი კახეთს მოსულიყო. თელავში არჩილს მიეღო თავისი ცოლისძმა, დიდის პატივით, სიყვარულით და სიხარულით. მოსალოდნელი კი იყო, რომ არჩილი კახეთის ტახტის მოცილეს ხმლით ხელში უნდა შეხვედროდა. მაგრამ აქაც თურმე იმერეთი იყო „შუაში“. არჩილი იმერეთის ტახტის დაბრუნებაზე ოცნებობდა და კახეთის დანარჩუნებაზე თავს აღარ იტკივებდა.

არჩილმა „ისტუმრა სიყვარულითა დიდი ერეკლე, ანადიმა, ანადირა მრავალ-დღე“, მერე კახელთა ამალა აახლა და სპარსეთს გაისტუმრა.

. . . . . .

ნიკოლოზ-ერეკლე დიდის ამბით მიიღეს სპარსეთში. ყაზმინს იდგა და იქ ელოდებოდა მაშინ შაჰ სულეიმანი ქართველ ბატონიშვილს. მისი ბრძანებით, წინასწარ „გზის ხარჯათ“ ათასი თუმანი შეაგებეს სტუმარს. ხუთი დღის შემდეგ კიდევ დაახვედრეს გზაზე „ათასი თუმანი ნაღდი და ათასის თუმნისა სხვა მორთულობა და იარაღი“, ბოლოს, ყაზმინს რომ მოუახლოვდა, შაჰმა ქალაქის მთელი მოსახლეობა შეაგება ბატონიშვილს. შემოვიდა ყაზმინში ერეკლე ქართველთა ამალით, „ქართულად მოკაზმულნი, ყველანი ახალგაზრდა ვაჟკაცნი, ტურფანი და შვენიერნი, ნამეტნავად ბატონიშვილს ერეკლეს წვერულვაში ახლა ეხვეოდა და ტანად ყველას უმაღლე იყო და ნაქმარათ ყველას ამჯობინეს“. შაჰის მეჯლისზე რომ შევიდა, — „ბატონიშვილის სიტურფემან და შვენიერებამან და ტანადობამან ყველაკანი გააკვირვა“. შაჰ სულეიმანმა გვერდით დაისვა, „რუსეთის ხელმწიფის ანბავი ჰკითხა, მერე თავისი და რუსთ შექცევა, განწყობა და მათი კაცობა გამოჰკითხა“: შემდეგ, როგორ იმგზავრეო, ეს გამოიძია დაწვრილებით. ერთი სიტყვით, შაჰ სულეიმანმა ერეკლე ბატონიშვილი თავიდანვე „კარგის თვალით ნახა და შეიყვარა, თავად დიდ გვარის კაცო-

ბისათვის და მერმე შვენიერობისათვის და კარგად აგებულობისათვის". მაშინვე „საზრდელიც" დაუდგინა სულეიმანმა ერეკლეს: „წელიწადში ორი ათასი თუმანი თეთრი, დღეში თორმეტი ჭიქა შირაზული ღვინო და ხუთასი თუმანიც სხვა რამეების ფასათ გაუჩინა".

ბოლოს, ის დღეც დადგა, როცა შაჰმა ერეკლეს საქართველოს მეფობაზე ჩამოუგდო სიტყვა...

. . . . . .

ერეკლემ სპარსეთს მისვლისთანავე ცოლის შერთვა გადაწყვიტა და საცოლის საძებრად კახეთში გამოგზავნა მაჭანკალ-მოციქულები. ბევრმა კახელმა წარჩინებულმა უარი სთქვა „უცხო უფლისწულისთვის" ქალის გამეტებაზე, ვაითუ, ცოლად კი არა, ხარჭად დაისვას ჩვენი შვილიო, სთქვეს და გაათავეს. მაგრამ ალავერდელი ეპისკოპოსის სახლეულმა, თავადმა ჩოლოყაშვილმა „გაიმეტა" თავისი ასული კახეთის „მომავალი მეფისათვის".

მაშ, 1675 წელს ერეკლემ ისფაჰანში ჯვარი დაიწერა ა ნ ნ ა ჩოლოყაშვილის ქალზე (დიახ, ჯვარი დაიწერა, ვითარცა ქრისტიან-ქართველმა!). სპარსეთში ყოფნის ჟამს ანნას და ერეკლეს შეეძინებათ დ ა ვ ი თ ი, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე და ე ლ ე ნ ე, ხოლო შემდგომ, საქართველოში გაუჩნდებათ თ ე ი მ ურ ა ზ ი და მ ა კ რ ი ნ ე.

ერთი ასულიც, სახელად ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ხარჭისაგან გაუჩნდება „ქალთამოლალე" ერეკლეს.

ვახტანგ მეხუთის საწუთროს დასასრული

არჩილ მეფემ შეიტყო, რომ მისი ძმა ლუარსაბი „იმერეთის საშოვნელად" ახალციხის ფაშასთან გაქცეულა. მან იფიქრა, ლუარსაბი ასეთ რაიმეს მამის დაუკითხავად და მისი წაქეზების, თუ თანხმობის გარეშე ვერ გაბედავდაო და მაშინვე „გაუავგულდა" არჩილი მამას.

არჩილი თვითონაც ოჯახით აიყარა და ახალციხისკენ ვახტანგის დაუკითხავად გაუდგა გზას.

„ფრიად წყიწებულმა“ ვახტანგმა დომენტი კათალიკოსი გამოადევნა შვილს „ჭკუაზე მოსაყვანად“. ცოტა ხანს მობრუნდი, სიკვდილი მაცალე და მერე რაც გენებოს, ის ჩაიდინეო, უთვლიდა ვახტანგი არჩილს, „გარნა არჩილ არღა-რა ისმიწა, არცა შეიგონა ვედრება მამისა თვისისა“. იგი ახალციხეს მივიდა.

რაც ლუარსაბმა და არჩილმა ასლან ფაშას კარზე იმერეთი „იშოვნეს“, ამას ქვემოთ, თავის ადგილზე დავინახავთ დაწვრილებით. ხოლო ვახტანგ მეფეს უკვე აშკარად დაადგა ავი თვალი ერანის ხელმწიფემ. ლუარსაბისა და არჩილის გაქცევა ოსმალეთის ფაშასთან სპარსეთის ღალატია და, როგორც ეტყობა, ეს „ღალატი“ შვილებმა მამის წაქეზებით ჩაიდინესო.

ვახტანგმა სასწრაფოდ შეატყობინა სულეიმან შაჰს: საუბედუროდ, შვილები გამიურჩდნენ და ახალციხეშიც ჩემდა უნებურად გაიქცნენ; შეიძლება, ვინმე მტრებმა „ჩემი თავი ტყვილად შემოგაბეზღონ“, მაგრამ იცოდეთ, მე ამ საქმეში უბრალო და უცოდველი გახლავართ და, უკეთუ საჭიროდ ჩასთვალოთ, მზად გახლავართ სპარსეთს გეწვიოთ და ყოველივე პირადად მოგახსენოთო.

სულეიმან შაჰმა საქართველოში მ უ ს ტ ა ფ ა ყ უ ლ ი ბ ე გ ყ ა ჯ ა რ ი გამოგზავნა და ვახტანგ მეფეს შემოუთვალა: რაკი შენ თვითონ სპარსეთს ჩამოსვლა ამჯობინე, უეჭველად მობრძანდი ისფაჰანს, მოუთმენლად გელოდებიო.

ენაზე იკბინა ვახტანგ მეფემ, — რა მრჯიდა, მაინცადამაინც სპარსეთს ჩასვლა რომ მივაძალეო შაჰს. მერე იმაზე გაჯავრდა, ახლობელთაგან რატომ არავინ დამიშალა ამნაირი რამეს შეთვლაო.

სწორედ აღარ უნდოდა „სათათრეში წასვლა“ ვახტანგ მეფეს. ისედაც, ლუარსაბისა და არჩილის „გაქცევის“ შემდგომ, „აშენებულ ქვეყანას“ უკვე „დაქცეულად“ მიიჩნევდა. „კახეთი უპატრონოთ იდვა“. ქართლიც შინააშლილობით იმღვრეოდა. ქსნის ერისთავი ი ა ს ე, რომელიც ერისთავად ვახტანგის ხელდასხმული იყო, ახლა სწორედ ვახტანგს გადასდგომოდა და ისიც თურმე სპარსეთს აპირებდა გაქცევას და გათათრების გზით საქართველოში „დაწინაურებას“.

წაუსვლელობა მაინც აღარ მოხერხდებოდა და აღიკაზმა

ერანს სამგზავროდ ვახტანგ მეფე „დიდებითა დიდითა და ხელ-მწიფურითა, რამეთუ იყო მდიდარ ფრიად“.

ქართლის გამგებლად თავისი ძე, გიორგი დატოვა. ორივე შვილს — გიორგის და ლევანს დაუბარა: სანამ მე ერანიდან დავბრუნდებოდე, ქსანზე იასე ერისთავი აღარ დამახვედროთო.

ვახტანგ მეფე რომ ტფილისიდან გავიდა, გიორგიმ შიდა ქართლის ჯარი იხმო, სარდლად ლევანი უჩინა და ქსანზე სალაშქროდ გაგზავნა. ლევანს გიორგიმ თან გაატანა მის კარზე აღზრდილი დათუნა შალვას ძე (იგულისხმეთ ბახტრიონის აჯანყების ბელადი, სპარსეთს წამებული შალვა ქსნის ერისთავი). დათუნა იასეს ნაცვლად უნდა დაესვათ ქსნის ერისთავად.

შეუხდნენ ლევანი და დათუნა ქსნის საერისთაოს. იასე ერისთავი მისმა ყმებმაც მიატოვეს და ლევანის ლაშქართან ერთად იასეს მომხრეებს „თოფები დააყარეს“. იასემ გაასწრო, — სახლი, კარი, დედა და ცოლ-შვილი მტერს შეატოვა და თვითონ სპარსეთისკენ გაქუსლა.

ქსნის საერისთაო ჭაბუკმა დათუნა შალვას ძემ დაიჭირა...

ვახტანგ მეფე ჯერ ისევ გზაში იყო. „ყველგან მებატონენი ხანნი და სულთანნი წინ მოეგებოდნენ, დიდის პატივით მიჰყვანდათ“, მაგრამ მაინც არ უხაროდა მეფეს, — გული კარგს არას ეუბნებოდა, შვილებზე ფიქრსაც ძალზე დაეთრგუნა მისი გული და გონება. ძალიან ცუდად გრძნობდა თავს; მუცლის სალმობა აუტყდა გზაზე, საშველი არ მისცა, უფრო და უფრო უმწარდებოდა ტკივილები.

ყაზმინს რომ მიაღწია, იქ კიდევ ახალი უსიამო ამბავი შემოაგებეს: „ქსნის ერისთავს იასეს ჩაუვლია და ყაენთან წასულაო“.

ძალიან ეწყინა ავადმყოფ მეფეს, მაგრამ რას გააწყობდა.

გზა განაგრძო.

ქალაქ ხოშკარუს მიაღწია და უკვე აღარ შეეძლო წიარული, აღარც ცხენზე ჯდომა.

ერთ დიდ „ქარვან სარაში“ შეიყვანეს და დააწვინეს.

იქვე მიიცვალა.

შაჰ სულეიმანს შეატყობინეს.

შაჰმა ალექსანდრეს უხმო — გარდაცვლილი ხელმწიფის

შვილსა და ისფაჰანის ტარუღას. მამის სიკვდილი მიუსამძიმ-
რა და ხოშკარუს გაგზავნა სამგლოვიარო ამალით. თან ესეც
დააბარათ სულეიმანმა: ყოველივე საქონელი და სიმდიდრე,
რაც ქართველ მეფეს სპარსეთში მოჰქონდა, გულდასმით აღ-
წერეთო; თვითონ ვახტანგ მეფე წამოასვენეთ და ყუმში დავ-
კრძალოთო.

ასედაც მოხდა. ყუმში, ძველ სპარსულ ქალაქში დაკრძა-
ლეს ქართველთა მეფე ვახტანგ მეხუთე, მისი მამობილის როს-
ტომ მეფის გვერდით (იქვე, სულ ახლოს, დიდი შაჰ აბასის
ძვლები განისვენებდნენ).

1675 წელი იდგა.

დაესრულებია თავისი წილხვედრი წუთისოფელი მეფე
ვახტანგ მეხუთეს, გონებავრცელ ქართველ ხელმწიფეს, ქვეყ-
ნისა და ერის ღირსეულ წინამძღოლს, ჭკვიან სჯულმდებელსა
და მამაც მხედარს.

გამეფდა 40 წლისა, იმეფა 17 წელი, აღესრულა შობითგან
57 წლისა.

ა ზ მ ა მ ე ც ხ რ ე

ახალი მეტოქენი

ვინ იქნება ახალი „მეფე“, „ვალი“ თუ „ხანი“?

ქართლისა და კახეთის ტახტები ერანის ხელმწიფეს „ვაკან-
ტურად“ შემორჩა. ქართველთა ყველაზე საწადნიერო მმართ-
ველად სულეიმან შაჰს ისევ ერეკლე ბატონიშვილი მიაჩნდა.

დაიბარა სულეიმანმა ერეკლე და ორივე სამეფო ერთად
შესთავაზა — ქართლიც და კახეთიც!

ასეთი წყალობა სწორედ მოულოდნელი უნდა ყოფილიყო ერეკლესათვის.

მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა შაჰის მოთხოვნაც: ერეკლე ბატონიშვილმა სარწმუნოება უნდა გამოიცვალოსო!

აკი ქრისტიანობის დაგდებას არ მოგთხოვ, ისე გაგამეფებ საქართველოშიო, — ასე არ სწერდა ერეკლეს შაჰი რუსეთში?!

ხელად ის ბარათიც აჩვენა ერეკლემ სულეიმანს და მოაგონა მისი „საფიცარი“ — შენს სარწმუნოებას „ხელს არ ვჰყოფო“.

შაჰმა თვალითაც არ შეხედა თავის ნატყუარ წერილს.

ერეკლე კი განაგრძობდა:

— მეფენი მბრძანებლობენ, გარნა არ უნდა სტყუოდნენ; მე წავიკითხე შენი ბარათი, ვერწმუნე შენს ფიცს და დაუეჭვებლად მოვედი შენთან. მე ჩემს სარწმუნოებას ვერ გადავუდგები. ხოლო თქვენი დიდებულებისათვის ლამაზი არ იქნება ფიცის გატეხვა.

ტახტიდან წამოდგა შაჰ სულეიმანი, ერეკლეს მკლავში ჩაიფრინდა და მუდარით უთხრა:

— მეტი რაღა გინდა: გაძლევ კახეთს, ტფილისს, მთელს საქართველოს და ყოველივეს თერგიდან ვიდრე არეზამდე, — ეს ერანის ერთი მეხუთედია. ამას გარდა მოგანიჭებ ისფაჰანის ტარუღობას და შენც იმდენსავე ჯამაგირს მოგცემ, რამდენსაც შაჰ-ნავაზ-ხანს ვაძლევდი. მხოლოდ სითქვი: დიდია ალლაჰი და მუჰამედი მისი წინასწარმეტყველი! სთქვი, რომ ღებულობ ჩვენს სჯულს, რათა აღსრულდეს სიტყვა ჩემი, რათა არა მკიცხავდნენ გარემო სახელმწიფოთა მეფენი იმის გამო, რომ მუსლიმანთა სამფლობელო მიწა მე ქრისტიანს მივეცი. გამიგონე და დამეთანხმე, რასაც გეუბნები, ხოლო როცა საქართველოში დაბრუნდები, იქ ის სჯული იწამე, რომელიც შენ მოგესურვოს.

მაშინვე შეაგება „ორი ქრისტიანი ქვეყნის შვილმა“:

— მარტო საქართველო კი არა, მთელი ერანიც რომ მიბოძო, ჩემთა ბაგეთაგან არ ამოვუშვებ ქრისტიანობის მგმობელ არც ერთ სიტყვას, ჩემს სარწმუნოებას არ ვუღალატებ სიმდიდრისა და ხელმწიფობის მოპოვებისათვის. უკეთუ ღმერთსა ჩემსა მოვატყუებ და წარმავალი ხელმწიფებისათვის სარ-

წმუნოებას განვუდგები, მაშინ შენი ერთგულიც როგორღა ვიქნები?

შაჰმა მუქარა შემოურია სიტყვაში:

— მე რომ შევიწყნარო ურწმუნოებაში შენი ტანჯვა, ეს დიდ ცოდვად ჩამეთვლება და ალლაჰი დამსჯის. შენი საკუთარი კეთილდღეობისათვის გატან ძალას! ხოლო, უკეთუ ჩემსას არ შეისმენ, ვუბრძანებ და ძალით გაგამაჰმადიანებენ!

— შენ ძალა გაქვს და მე შენს ხელთა ვარ, — მწარე სიცილით უთხრა ერეკლემ, — მხოლოდ ისევ მოგაგონებ შენს დანაფიცარს. მე კი, მთელი ჩემი სხეულიც რომ ნაკუწ-ნაკუწად აქციონ და თავიც გამაგდებინონ, მაინც ვერ განვუდგები ჩემს სარწმუნოებას და არც სხვის სჯულს ვირწმუნებ.

— რა გაეწყობა, — მე სამოთხეში ყოფნას გირჩევდი და რაკი არ ინებე, ჯოჯოხეთში მიბრძანდი! — შესძახა გაცოფებულმა შაჰმა და ერეკლე ბატონიშვილი ციხეში ჩააგდო.

და საქართველოდან გიორგი ვახტანგის ძე გაიძახა ერანის ხელმწიფემ.

გიორგიმ ქართლი დროებით ძმას — ლევანს დაუტოვა და თვითონ სპარსეთს გასწია.

ეჭვი არ იყო — ქართლის ტახტი შაჰ სულეიმანს გიორგისთვის უნდა მიეცა, მაგრამ მოულოდნელად (თუმცა ქართველთათვის არც ისე მოულოდნელად) ძმა ძმას გადაეღობა წინ.

ალექსანდრე ვახტანგის ძე ხომ თავიდანვე სპარსეთში იყო და იმჟამად დიდი „სპარსული სახელო“ — ისფაჰანის ტარუღობაც მას ეჭირა. სპარსეთში დაგროვილი სიმდიდრე და მამის დიდძალი ოქრო-ვერცხლიც (რომელიც ვახტანგ მეფეს ერანს მიჰქონდა) ალექსანდრეს დაენარჩუნებია.

ჰოდა, ალექსანდრესაც — ქართლის მეფის „ნამდვილ შვილსა“ და მემკვიდრე-უფლისწულს, თანაც ამოდენა სპარსული თანამდებობის, გავლენისა და სიმდიდრის პატრონს — მოსურვებია ქართლის სამეფო ტახტი და სკიპტრა. თითქოს აქ უჩვეულოც არაფერი უნდა ყოფილიყო (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ უბრალოდ, „ქართულად“ — ძმა ძმას ხელს თუ არ შეუწყობს, ხელს მაინც არ უნდა უშლიდეს!).

ერთი სიტყვით, ძლიერად ამოძრავებულა ალექსანდრე ბატონიშვილი, — ისე სწრაფად და ძლიერად, რომ, სანამ გიორ-

გი ისფაჰანს ჩააღწევდა, მანამ მის ძმას შაჰის სასახლის ყოველი „წერტილი“ ქრთამით ამოევსო და ამოეგლისა და ქართლის მეფობაც თითქმის თავისთვის „განემტკიცებინა“.

ამიტომ გიორგი რომ ისფაჰანს მივიდა, მისი „მეფობა უკუვარდა“.

რუსეთის ხელმწიფესაც შუამდგომლობა გამოეგზავნა სპარსეთის შაჰისთვის: ნიკოლოზ ბატონიშვილი ქრისტიანად დატოვე და ისე მიეცი ქართული ტახტი.

საქმე გართულდა და გამწვავდა.

შაჰი ყოყმანობდა, საგონებელში ჩავარდნილი.

ქართლის ტახტისთვის სამი ქართველი ებრძოდა ერთმანეთს — ერეკლე, გიორგი, ალექსანდრე.

უცებ მეოთხეც გამოჩნდა. არჩილი წამოვიდა ახალციხიდან ჯარით: სადგერს მოვიდა და გამოაცხადა: თუ ქართლის მეფობას გიორგის არ მისცემენ, მაშინ მე თვითონ შევალ ტფილისს და ქართლსაც დავიჭერ და კახეთსაც.

შაჰს უნდა ეფიქრა, რომ არჩილის უკან მარტო ასლამ ფაშა კი არა, ოსმალეთის სულთანიც უნდა მდგარიყო...

ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, სულეიმან შაჰმა ყოყმანს თავი დაანება. გიორგი გაამაჰმადიანა, „შაჰ-ნავაზ II-ის“ სახელით ქართლის მეფედ დაამტკიცა, „სახელმწიფო თაჯი, ხმალი და ხალათი და სხვა მორთულობა გაურიგა და ორი ათასის თუმნის ნაღდი და ჯინსი (ქონება) მის მხლებელ ქართველთ უბოძა“.

ალექსანდრე ბატონიშვილმა ძმას არც მეფობა მიულოცა, არც მამის ქონებიდან არაფერი მისცა (მამის მემკვიდრეობა მერე მაინც ოხრად დარჩა ალექსანდრეს. მისი სიკვდილის შემდეგ ვახტანგ მეფის ქონებას ქალიშვილი და სიძე — ანუკა და ლორეს გამგებელი შავერდ-ხანი დაეპატრონენ. ლორეს სასახლეში ხანძარი გაჩნდა და ის ქონება დაიწვა. კიდევ მცირე ხნის შემდგომ სპარსეთის შაჰმა ანუკას „ქმარი მოუკლა და რაც ებადათ ქმრისაცა და ცოლსაც სულ საყაენოთ წაართვეს. ნაძალადევმან ასრე იცის და ღმერთი ჭიშმარიტ ყოვლის ძრიელის გამჭარვებელია“...).

. . . . . .

1677 წელი იდგა.

საქართველოსკენ ქართლის ახალი მეფე მოჰქროდა.

ხოლო კახეთი სულეიმან შაჰს ყიზილბაში ბ ე ჟ ა ნ-ხ ა ნ ი ს-თ ვ ი ს ებოძებინა.

ტფილისი დიდის ზეიმითა და „შადლუხის ცემით“ შეხვდა გიორგი მეფეს. ესეც მოახსენეს: ვიღაც ზალინა ჩითახაშვილი „რაღაც ხმებით“ ხალხისა და „თემის შეშინებასა“ და არევას ცდილობდაო. ახლავე თავი გააგდებინეთ მაგ ბინძურ ვიგინდარასო, ცივად ბრძანა გიორგიმ...

საქართველოს კათალიკოსმა დომენტიმ ქართულად, ქრისტიანულად აკურთხა ქართლის ახალი საჭეთმპყრობელი.

ტფილისში, საქართველოს „დედა-ტახტზე“, ახალი მეფე იჯდა — გ ი ო რ გ ი XI (1677—1688 წწ.).

ხელმწიფობა გიორგი მეთერთმეტისა

„ხოლო იყო ესე გიორგი მეფე მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა, შვენიერ-ჰაეროანი, პირ-მხიარული, ენატკბილი, უხვი და მრისხანე, მოისარ-მოასპარეზე უებრო“.

მისი მეფედ კურთხევიდან მცირე ხნის შემდგომ გარდაიცვალა გამოჩენილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე კათალიკოსი დომენტი. მის ნაცვლად გიორგი მეფემ საქართველოს მწყემსმთავრად დანიშნა ნ ი კ ო ლ ო ზ ი, გივი ამილახორის ძმა.

გიორგის სულეიმან შაჰმა სპარსეთშივე დაავალა — შენი ძმა არჩილი ქართლიდან გააძევეო, ხოლო გიორგის არჩილი ძალაინ უყვარდა და მისგან დავალებულიც იყო: აკი ახალციხიდან ქართლში არჩილის შემოჭრა გიორგის გამეფების დასაჩქარებლად იყო გამიზნული. როცა გიორგი ტფილისში მეფედ დაჯდა, მისი უფროსი ძმა სადგერიდან სურამს გადმოვიდა და იქ დადგა.

სულეიმან შაჰმა ახალი ბრძანება გამოადევნა საქართველოში ფეხშემოდგმულ გიორგის: შენი ძმა არჩილი ან შეიპყარ და გამომიგზავნე, ან ახლავე ქართლიდან ფეხი ამოუკვეთეო.

გიორგიმ ისევ აავლო ყური სპარსელი ხელმწიფის ბრძა-

წებას. მაგრამ მალე თვითონ არჩილმა იხსნა ძმა უხერხულობისაგან: დაჰკრა ფეხი და იმერეთს წავიდა, სადაც მან ერთ ხანზე მეფობაც „იშოვნა“.

მაინც არ დასცხრა სულეიმანი, რამეთუ დაუცადებლად ახრჩობდა ბოლმა გიორგი მეფის ორივე ძმისა — არჩილისა და ლუარსაბისა, რომლებიც ერანის მოსისხლე თურქეთს ელაციცებოდნენ.

ახლა ასე შემოუთვალა სულეიმანმა ქართლის მეფეს: შენი ძმა ლუარსაბი გამომიგზავნე სპარსეთშიო.

— წავალ, იქნებ ჩქიდან, სპარსეთიდან უფრო გამოგადგე,— თვითონ უთხრა ლუარსაბმა ძმას, და გიორგიმაც გაუშვა ლუარსაბი შაჰთან.

იმავე ჟამს მოკვდა ლუარსაბის სიმამრი რევაზ არაგვის ერისთავი. გიორგიმ საარაგვო ჩააბარა თავის მამიდაშვილს, ი ა ს ო ნ ს, ოთარ ერისთავის ძმას (ოთარი ხომ რევაზის წინ განაგებდა არაგვის საერისთაოს).

ხოლო არჩილმა ქუთათისის ტახტზე ერთი წელიც ვერ მოათია და ისევ ქართლს გადმოვიდა. ისევ აფრინა ბრძანება შაჰმა გიორგი მეფესთან: „შეიპყარ არჩილ და წარმოავლინე წინაშე ჩემსა ანუ განაძე!“

ადგა არჩილი და ქართლიდან დვალეთს გადავიდა. გიორგიმ შაჰს აცნობა: თქვენი ბრძანება შესრულებულია, არჩილი გაძევებულიაო.

მაგრამ შაჰმა კარგად იცოდა, რომ დვალეთიც საქართველო იყო და გიორგი მეფის „ეშმაკობაც“ — აშკარად საცნაური. ამიტომ ერთხელ კიდევ მოსწერა შაჰმა მეფეს: „მოღალატე ძმას“ ქართლიდან ფეხი ამოაკვეთინეო.

გიორგი მეფე კათალიკოსისა და ეპისკოპოსების თანხლებით ძმას შეხვდა და შაჰის ახალი ბრძანება გააცნო.

არჩილმა სავსებით მოულოდნელი რამ უთხრა მეფე-ძმასა და მის მხლებელ სულიერ მამებს: მე გადავწყვიტე რუსეთს წავიდე, ოღონდ ქრისტეს სამსჭვალი, სუდარი და საბელი უნდა მომცეთო!

ასეთმა მოთხოვნამ ყველა გააოცა. როგორც ითქვა, მცხეთის სვეტიცხოველში საუკუნეების მანძილზე მართლაც დიდის მოწიწებით ინახებოდა ძველისძველი ლურსმანნი, სუდარა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოკი, რომლებიც ვითომც უკანასკნელი მოწამენი და „მონაწილენი“ იყვნენ იესო ქრისტეს წამებისა.

გაიოცეს, უარიც უთხრეს, მაგრამ არჩილმა იმ პირობით, რომ „ქრისტეს ნივთებს“ ისევ უკან დააბრუნებდა, თავისი გაიტანა (ალბათ, თვითონაც არ სჯეროდათ მეფეს და კათალიკოსს იმ „ქრისტესმიერი ზღაპრისა“).

არჩილმა ფიცი დასდო, „ქრისტეს ნივთები“ მიითვალა რა რუსეთისაკენ გასწია.

არჩილი წავიდა, მაგრამ სპარსეთის შაჰი გიორგი მეფეს უკვე აღარ ენდობოდა. იგი ხედავდა, რომ ქართლის ახლანდელ მეფეს თავი გაცილებით უფრო „დამოუკიდებლად“ ეჭირა, ვიდრე წინარე მეფე-ხანებს — როსტომს და ვახტანგს.

მალე აშკარად საცნაური შეიქნა, რომ გიორგი სპარსეთის დაუკითხავად და ანგარიშგაუწევლად ამყარებდა მეგობრობას, მოყვრობას, თუ მტრობას და მესიხლეობას — ვისთანაც როგორ მოისურვებდა. უფრო მეტიც — სპარსეთის მტრებთან უფრო სიახლოვესა და „სიყვარულს“ ამჟღავნებდა, ვიდრე თვითონ სპარსეთის ერთგულ მეგობრებთან და ქვეშევრდომებთან.

ამიტომ „კვალად არა დასცხრა შური შაჰ-სულეიმანისა გიორგი მეფესა ზედა და მცდელობდა შემუსრვასა მისსა“.

„გურგინ-ხანი მეგონა გამაჰმადიანდა, მაგრამ ისევ ქალარი (ურჯულო, ქრისტიანი) დარჩენილაო“, იძახდა გამწარებული შაჰი.

ჯერ დიდი ხნის „ნაცადი ხერხით“ დაიწყო ერანის მბრძანებელმა, — ქართველი მეფისაგან ქართველი თავადების გადაბირებით, ღალატით, რენეგატობით. ამ საქმის მოგვარება სულეიმანმა თავრიზის ბეგლარბეგს ჰ ა ჯ ი-ა ლ ი-ხ ა ნ ს დაავალა.

ჰაჯი-ალი-ხანმა აეშაგები დაუგზავნა ქართლის თავადებს, ბევრი მართლაც ჩაითრია და „დაითრია“, მაგრამ გიორგი მეფეც არ დარჩა ვალში: მისდგა და ყველა მოღალატე „მოთათრე“ თავადი დაუნდობლად ამოწყვიტა დედაბუდიანად.

მერე იმერეთის საქმეებს „ჩაულრმავდა“ მეფე გიორგი მეთერთმეტე. იგი ცდილობდა, ქუთათისის ტახტზე ყოველთვის მჯდარიყო „ნებისმყოფელი თვისი“. სპარსეთის მომტერე

და ოსმალეთის ქვეშევრდომ ახალციხის ფაშასთანაც გააბა ურთიერთობა გიორგიმ. იმერეთის ტახტიდან მოძალადე გიორგი გურიელი გადააგდო და ასლან ფაშას დახმარებით მის ნაცვლად გაამეფა ალექსანდრე ბაგრატის ძე, რომელსაც მანამდე თავის კარზე „ძეებრ ზრდიდა“ გიორგი. კიდევაც დაუმოყვრდა გიორგი ალექსანდრეს — ცოლად შერთო თავისი ძმის, ლუარსაბის ასული ე ლ ე ნ ე.

თავის ერთადერთ ვაჟს — ბ ა გ რ ა ტ ს — გიორგიმ ცოლად შერთო ჩერქეზთა ბატონის ასული რ უ ს უ დ ა ნ ი.

იმ ხანად დედინაცვალი გარდაეცვალა — სახელოვანი მარიამ დედოფალი. მალე მეუღლეც მოუკვდა გიორგის — თამარი.

გიორგი მეფე მეორე ქორწინებით დაუმოყვრდა რაჭის ერისთავს პ ა პ უ ნ ა ს, — ცოლად შეირთო პაპუნას მამიდაშვილი ხ ვ ა რ ა შ ა ნ, ასული გიორგი მიქელაძისა.

ყველა ეს „მოყვრობანი“ და „კავშირები“ გულზე ლახვრად ერჭობოდა ერანის შაჰს.

ისევ „დაუტრიალდა“ ჰაჯი-ალი-ხანი ქართველ თავადებს, „რამეთუ არღარა აქვნდათ სიმტკიცე სჯულისა და მეფეთა თვისთა ერთგულებისა, ვინადგან მცირედითა ნიჭითა გამაჰმადიანდებოდნენ“.

სპარსეთიდან ლუარსაბ ბატონიშვილი ატყობინებდა ძმას მოღალატე თავადების სახელებს.

ამჯერად მეფეს გადასდგომოდნენ და „სათათრო გზაზე“ შემდგარიყვნენ: იასონ არაგვის ერისთავი (გიორგის მამიდაშვილი, თვითონ გიორგისაგან ერისთავად დასმული), ქვემო ქართლის მელიქი ქამარ-ბეგი, ერეკლე მუხრან-ბატონი (რომელსაც თვითონ მეფე „ზრდიდა, ვითარცა ძესა“), იესე და ელიზბარ — ძენი ზაზა მაჩაბელისა.

გიორგი მეფეც მისდგა სასტიკი დაუნდობლობით.

მელიქ ქამარ-ბეგს კოჯრის გზაზე გულში ცხელი ტყვია გაარტყეს და გააგორეს.

ერეკლე მუხრან-ბატონი და ძმანი მაჩაბელნი მეფემ დაბორკილა და ციხეში ჩაჰყარა.

იასონ ერისთავი მისმა „შეჩენილმა კაცმა“ ფეხისადგილში თოკით მოგუდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის საერისთაო მეფემ გ ი ო რ გ ი ოთარის ძეს მისცა.

მერე რუსეთში არჩილთან ორი ბერი გაგზავნა და შეუთვალა: ჩამოდი, ძალიან მჭირდები, კახეთიც და იმერეთიც შენს მეფობას ნატრულობენო... მაგრამ ის ბერები დაღესტანში რომ გადავიდნენ, შამხალის ბატონმა შეიპყრო და შაჰს შეატყობინა...

ბოლოს, ყოველ „სიკეთესთან", გიორგი მეფეს „ძველ ქართულ ქრისტიანობასთან" ერთად, იდუმალ კათოლიკური ქრისტიანობაც მიუღია თურმე.

გველის კაჭრობამ შეიპყრო ერანის ხელმწიფე.

ერთ დღეს გიორგი მეფეს შაჰისგან ახალი ბრძანება მოუვიდა: ჩემო გურგინ-ხან, შენი ძმა ლევანი უნდა გამომიგზავნო უსათუოდ სპარსეთშიო.

ლამის გული შემოეყარა მეფეს. ლევანი მარტო ძმა კი არა, პირდაპირ მისი მარჯვენა ხელი იყო. სწორედ ეს შეეტყო შაჰ სულეიმანს: გიორგი მეფის „ყოველი საქმის წარმმართებელი" ლევანი არისო, და სწორედ ამიტომაც „სჭრიდა მარჯვენს" ერანის შაჰი ქართლის მეფეს.

ლევანს ცოლი მოჰკვდომოდა — თუთა გურიელის ქალი. ის იყო გლოვა ჩაეთავებინა და მეორე ცოლი შეერთო — თ ი ნ ა თ ი ნ, ასული გიორგი ავალიშვილისა. სწორედ იმ ჟამს მოვიდა ტფილისში შაჰის ბრძანება ლევანის გაწვევისა.

დიდხანს აწვალა ფიქრმა გიორგი მეფე. მერე დაჯდა და წერილი მისწერა შაჰ სულეიმანს: ოღონდ ლევანს ნუ წამართმევ და მძევლად ჩემს ერთადერთ შვილს — ბაგრატს გამოგიგზავნიო!

გაოცდა სპარსეთის მბრძანებელი. სწორედ ნამეტანი იყო! გიორგი მეფე ძმის სანაცვლოდ იამავარ (დედისერთა) ძეს იმეტებდა! ალბათ, მართლა დიდი რამ ჯადო ყოფილა გურგინ-ხანისთვის მისი ძმაო! — იფიქრა შაჰმა და უცებ ისეთი რამ მოიფიქრა, რაიც სწორედ აღმოსავლელ ურჯუკ ხელმწიფეს შეეფერებოდა. მან გიორგი მეფეს შეუთვალა: ერთადერთ შვილს რომ იმეტებ, მართლა ყოფილა დასაჯერი შენი ერთგულებაო; მაგრამ კიდევ უფრო რომ დავიჯერო, ორივე გამომიგზავნე — ძმაც და შვილიცო!

ავარდა და აზვავდა გიორგი მეფე. უსისხლოდ შეუძლებელი ყოფილა შაჰ სულეიმანთან მორიგებაო, — და სასწრაფოდ შეუდგა საომარ სამზადისს.

ეტყობა, დიდი მოცულობის აჯანყებას აპირებდა გიორგი მეფე. მარტო ქართლის ჯარი საკმარისად არ მიიჩნია და კახეთის ჩათრევაც სცადა სპარსელებთან მოსალოდნელ შეტაკებაში.

კახეთს ხომ ყიზილბაშთა ხანები განაგებდნენ, ყარაღაჯში ჩამსხდარნი და კახელთა აჯანყების მუდმივი შიშით დათართულნი.

გიორგი რომ ქართლის მეფედ წამოვიდა, მაშინ შაჰმა კახეთის მმართველად, როგორც ითქვა, ბეჟან-ხანი გამოგზავნა. ბეჟან-ხანი ყარაღაჯიდან გამოსვლას ვერა ბედავდა, რადგან არც კახელი თავადი, არც გლეხი, არც ერი და არც ბერი სისხლდაუქცევლად არ აპირებდა თავისუფლების დათმობას. კახეთის ყოველ სათავადოს ისევ კახელი თავადი განაგებდა ყველასაგან (სპარსელი შაჰისა, თუ ქართველი მეფისაგან) დამოუკიდებლად. მაშინ ბეჟან-ხანმა მიპარვით, ზურგიდან ჩარტყმით, მოწამვლით, ცილისწამებითა და ურთიერთწაქეზება-წაკიდებით სცადა კახელთა დასუსტება. კახელებიც ასე იოლად არ ტყუვდებოდნენ და იმათაც „იწყეს კრძალვა და ფრთხილობა“.

გიორგიც იდუმალ შეეცადა ბეჟან-ხანის მოსპობას. მისმა გაზრახებულმა კაცმა თოფი ესროლა ბეჟან-ხანს, მაგრამ ტყვიამ განაწირს მხოლოდ მხარი მოსტეხა და სიკვდილს ვერ მისწია. გიორგიმ, კვალი რომ წაეშალა, დოსტაქარი გაუგზავნა დაჭრილს. ბეჟანი მაინც არ მოტყუებულა და უთქვამს კიდეც: „უმჯობესი იყო, გურგინ-ხანს არც თოფი ესროლა და არც დოსტაქარის გამოგზავნა დასჭირვებოდაო“.

ჭარელი ლეკები წააქეზა და გამოუშვა ბეჟან-ხანმა კახეთის სოფლების საძარცვავად და საოხრებლად. თვითონ, როგორც კახეთის „პატრონი“ და „მფარველი“, ვითომ ხელს იბანდა და ორჭოფობდა. თუ კახელები ამოჟლეტდნენ ლეკებს, მაშინვე ხმას აიმაღლებდა: ქრისტიან გიაურებს ნება არა აქვთ, მაჰმადიანების სისხლი დააქციონო, ხოლო თუ ლეკები კახელს მოჰკლავდნენ, — რა გაეწყობა, მაჰმადიანს

ქრისტიანი გიაურის მოკვლა ალლაჰისაგან მადლად ეთვლებაო.

მაგრამ კახელები მაინც მძლავრობდნენ რევაზ ჩოლოყაშვილის, აბელ ანდრონიკაშვილისა (ქიზიყის მოურავი) და მერაბ ვაჩნაძის (ენისელის მოურავი) მეთაურობით.

სწორედ ამ სამ კახელ მამულიშვილს დაუკავშირდა გიორგი მეფე. ამათაც „მისცეს პირი მტკიცე". ერთმანეთს შეეკრნენ და შეეთქვნენ. დღეც დაინიშნეს, სად უნდა შეყრილიყვნენ ქართლელთა და კახელთა ჯარებით, როგორ უნდა დასცემოდნენ ყარაღაჯს, მოეკლათ ხანი და გაეწყვიტათ ყიზილბაშთა ციხიონი.

ის ღამეც დადგა. კახელები დათქმულ ადგილზე უკვე მისულიყვნენ და ქართლელებს ელოდნენ.

ქართლის ჯარს მიუძღოდა თამაზ ყაფლანიშვილი, გიორგი მეფის ბიძა (დედის — როდამ დედოფლის ძმა), ქართლის სპასპეტად თვითონ გიორგისგან აღზევებული.

უცებ თამაზ ყაფლანიშვილი სიბნელეში გაუჩინარდა. იგი ყარაღაჯს მივიდა და ბეჟან-ხანს ქართველთა განზრახვა შეატყობინა. ატყდა განგაში. ყიზილბაშთა ციხიონი ფეხზე დადგა. ფაიქები გაფრინდნენ მეზობელ სახანოებში იქაური ჯარების გამოსაწვევად.

ამაო ლოდინით გულგასენებული კახელები უკან გაბრუნდნენ.

უსარდლოდ დარჩენილი ქართლელებიც გაიფანტნენ.

გიორგი მეფის ეგზომ დიდი განაზრახი ეგზომ ბოროტი ნაბიჯის წყალობით ჩაიშალა.

გიორგიმ ისევ შაჰთან შერიგება ამჯობინა და მისი ბრძანებაც აღასრულა: შვილი და ძმა ორივე ისფაჰანს გაგზავნა.

ლევანი და ბაგრატი ცივად მიიღეს შაჰ სულეიმანის კარზე.

მალე გიორგის შაჰის ფიცხელი ბრძანება მოუტანეს კოჯრის სასახლეში: ქართლის მეფობა ერეკლე ბატონიშვილს ვუბოძეთ, შენ კი ჩემს წინაშე მობრძანდი, რამეთუ „მოგცე ქვეყანა სხვა და ნიჭნი დიდნი"!

გიორგიმ შაჰის რაყამი შორს მოისროლა.

. . . . . .

1688 წელი იდგა.

სპარსეთ-საქართველოს გზაზე ქართლის ახალი მეფე მოაჭენებდა ცხენს, ბრწყინვალე ამალით, შაჰისგან ნაწყალობევი სიმდიდრითა და მისართმეველით.

ქართლის ეს ახალი „მეფე“, „პატრონი“, „ხანი“ თუ „ვალი“ — გახლდათ ერეკლე ბატონიშვილი, რუსეთში „ცარევიჩ ნიკოლაის“ სახელით ცნობილი, ძე დათუნასი, ძის-ძე სახელოვანი თეიმურაზ მეფისა.

მაგრამ ერეკლე-ნიკოლოზს უკვე მესამე სახელიც „ეშოვნა“, თათრული სახელი — ნ ა ზ ა რ-ა ლ ი-ხ ა ნ. თუ რომ მაინც ვერ გადაურჩა „თათრად მონათვლას“ ამპარტავანი ქართველი უფლისწული, „ორგზის ქრისტიანი“, ორი ქრისტიანული ქვეყნის აღზრდილი.

მაინც ქართული სახელით დაივანა ქართველ გვირგვინოსანთა გრძელ ნუსხაში — ე რ ე კ ლ ე I (1688—1703 წწ.).

. . . . . .

საქართველოში რომ შემოვიდა, ცხენიდან გარდახდა, განმარტოვდა, მუხლებზე დაეცა, მიწას აკოცა და დიდხანს ილოცა, ჯვარსახოვნად, ქრისტიანულად, ქართულად.

ხელმწიფობა ერეკლე პირველისა

ქართველი ხალხის მოღალატე თამაზ ყაფლანიშვილი შემოუძღვა ქართლში ახალ ხელმწიფეს.

ყარაღაჯელი და ყაზმინელი ხანები გაეფრთხილებინა შაჰ სულეიმანს: თუ ქართლელებმა ნაზარ-ალი-ხანს რაიმე ცუდი შეჰკადრონ, მაშინვე თქვენის ჯარებით მიეშველეთო.

თუშთა და ქიზიყელთა ჯარებიც წინასწარ გაემზადებინათ ერეკლეს შათირებს — „ყოველ შემთხვევისათვის“, რამეთუ იგი „ვერა ეგდენ ენდობოდა ქართლელთა“.

მაგრამ „ისეთი“ არაფერი მომხდარა. ქართლელები წყნარად და მშვიდად შეეგებნენ „მაინც ქართველ“ მეფეს.

გიორგის ხომ შაჰის ბრძანება ჰქონდა — ერანს მეწვიეო, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ არც ერანს წავიდა, არც მის მეტოქეს შეეგება, კოჯრიდან ცხინვალს მივიდა, ცხინვალიდან რაჭისკენ გაქუსლა. მას თან გაჰყვა კათალიკოსი ნიკოლოზი და რამდენიმე ქართველი თავადი და აზნაური. რაჭის გზას რომ შეუდგნენ, გიორგიმ ერთხელ კიდევ სთხოვა თანალტოლვილებს: ნუ მომერიდებით, ვისაც გული გეთანაღრებათ, ჯერ კიდევ გვიან არ არის და ახალ მეფესთან დაბრუნდითო. რამდენიმემ მართლაც შემოაბრუნა ცხენი.

მალე შაჰ სულეიმანს ასეთი საშფოთარი ამბავი ჩაუტანეს საქართველოდან: რაჭაში, პაპუნა ერისთავის კარზე, თავი მოუყრიათ ძმებს — გიორგისა და რუსეთიდან ახლად დაბრუნებულ არჩილს.

„არჩილი და გიორგი რაჭას შეიყარნენო და იმერეთს ეჭიდებიანო“.

დაფეთებულმა შაჰ სულეიმანმა ფიცხელი ბრძანება აფრინა საქართველოში: თუ მართლა გიორგიმ და არჩილმა ქუთათისის ტახტისკენ გაიწიონ, მაშინვე იმერეთის მეფეს ქართლელთა და კახელთა ჯარებით მიეშველეთო. ისეთივე ბრძანება აზერბაიჯანის ბეგლარბეგსაც გაუგზავნა სულეიმანმა.

მაგრამ გიორგიმ და არჩილმა კიდევაც „გაიწიეს“ და თავისიც გაიტანეს. არჩილი ისევ დაჯდა იმერეთის ტახტზე. ერეკლე მეფემ ხელის განძრევაც ვერ მოახერხა (თუ „არ მოახერხა“?).

მხოლოდ ეს იყო, რომ იგი დიდის პატივით შეხვდა იმერეთიდან გორში გამოქცეულ ალექსანდრე IV-ს.

. . . . . .

გიორგის ურჩობით ბალანაშლილმა სულეიმან შაჰმა ხელი წამოუსვა გიორგის ძეს — ბაგრატს და ძმას — ლევანს, და ორივენი ჰერათში (ავღანისტანში) გადაასახლა ბორკილგაყრილნი, ხოლო გიორგის მეორე ძმა — ლუარსაბი ქირმანს გააგდო იქაურ ციხეში ჩასაგდებად. ქირმანისკენ მიმავალ ლუარსაბს ქრისტიანობის დაგდება და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვეს. ლუარსაბი გაძალიანდა. ღამით ცხვირ-პირი სილაქებით დაილეწა და დაისისხლიანა. მეორე დღეს, როცა სპარსელმა „სამართლის ქურუმებმა“ ეგზომ დაშავებულობის მიზეზი ჰკითხეს, ლუარსაბმა ეს აიჩემა: წუხელის მო-

ლები და იმამები მომიხტნენ, რატომ მაჰმადის რჯულს არ ღებულობო, და ასე უღმერთოდ მცემესო. არ დაუჯერეს ამნაირი „პროვოკაცია“, ძალით შეიპყრეს, ხელფეხშეკრულს წინა დაუცვითეს და მაჰმადიანად „მორჯულებული“ ქირმანის ციხეში ჩააგდეს.

. . . . . .

ერეკლე I გამეფების ჟამს 46 წლის კაცი იყო. საქართველოდან მას მხოლოდ ბავშვობა და ყრმობა ახსოვდა. 22 წელიწადი რუსეთში გაატარა, 14 წელიწადი — სპარსეთში. გარეგნულად დიახაც უმშვენიერესი ვაჟკაცი იყო — ტანად ტანოვანი და სახედ სახიერი. მაგრამ მისი შინაგანი სამყარო საგრძნობლად აემღვრია უცხოობაში ხანგრძლივ ცხოვრებას. თამარ მეფის პირველი ქმრის შემდგომ საქართველოს ტახტს არ მოსწრებია ეგზომი „მსმელი“ და „ქალთა მოლალე“, როგორიც „ცარევიჩ ნიკოლაი“ აღმოჩნდა. ღვინო მაინცდამაინც ძალიან არ უყვარდა. თურმე ვერ შეუსრულებია თავისი პაპის თეიმურაზ მეფის შეგონება და მაინც მისჩვევია „ფიცხელი სასმელის“ ყლურწვას რუსეთში. ხშირი „სმისა და შვება-ლხინის მოყვარეს არ შეეძლო „ზარხოშობის დონემდე“ თავის შეკავება და თრობით დათრგუნვილი „ლირწიანად და უშვერად“ ენამყრალობდა, შიმუნვარ ქალებს უგვანად ელაციცებოდა. ცოლ-შვილი სპარსეთში დაეტოვებინა. ასე „უჯობდა“ ხარჭების მოყვარულს.

ბუნებით გულმოწყალე იყო, „მცირეთა ყურის მიმპყრობი“, თანაც „დიდთა დამამდაბლებელი“. ერანის შაჰის გარდა ძაღლადაც არავის აგდებდა (თუ დავაზუსტებთ: მხოლოდ მას სცნობდა უზენაეს „გენიად“, ვინც შაჰის ტახტზე მოასწრებდა დაჯდომას!).

ტახტზე დაბრძანებისთანავე ძველი საერო და სასულიერო თანამდებობის პირნი გადააყენა და ახლები დაწიშნა: კათალიკოსი — იოანე დიასამიძე, მთავარეპისკოპოსი — ნაცვლიშვილი (იმერეთიდან რომ წაჰყვა და აღარ მოშორებია), ტფილელი — დომენტი ყაფლანიშვილი, მანგლელი — იოსებ ჯავახიშვილი („რომლის ძმისწული ერეკლემ მოიყვანა ხარჭად მისად“), მსაჯულთუხუცესი — ბარძიმ ერისთავი (გიორგი არაგვის ერისთავის ძმა), სახლთუხუცესი — თამაზ ბებური-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, ვეზირად — ყიასი, ყულარაღასად — ლუარსაბ ყაფლანიშვილი (გიორგი მეფის მოღალატე თამაზ ყაფლანიშვილი სულ მოიცილა თავიდან).

ამათ მიანდო ერეკლე მეფემ ქართლის მართვა-გამგეობა, ხოლო თვითონ „მარადის იშვებდა და იხარებდა და ნადირობდა“.

მაინც კახეთისკენ უფრო ეჭირა თვალი კახეთის ბაგრატიონთა ნაფესვარს. სულეიმან შაჰმაც შეიწყნარა მისი „კახური მისწრაფებანი“ და „სახასოდ“ მისცა ქიზიყი და თუშეთი.

ქართლის ძველ თავადობას არ შეიძლებოდა მოსწონებოდა „რუსეთუმეს“ ახალი „უცნაური“ ღონისძიებანი — ძირძველ ფეოდალთა დაკნინება, ჩამოქვეითება და „ახლების“ (ლამის „ვიგინდარების“) დაწინაურება. მათ არ სურდათ შერიგებოდნენ, რომ ერეკლე მეფე „ძველების“ დაქვეითებით და „ახლების“ ამაღლებით, თავის საკუთარ, ასე ვთქვათ, „ცენტრალიზებულ“ ხელისუფლებას ქმნიდა. მანამდე რომ, „ვისაც როგორ ენება, ისე სჯიდა“. ერეკლემ ესეც „იუცნაურა“ და ახალი, „ყველასათვის ერთნაირად საგალდებულო სამართალი“ შემოიღო.

ერეკლემ იცოდა, რომ მისგან დაქვეითებული ძველი ქართველი თავადობა, იდუმალ თუ აშკარად, ისევ გიორგი მეფეს „ეძიებდა“ ტფილისის ტახტზე დასაბრუნებლად. მაგრამ არც ამაზე ფიქრით იწამლავდა „ორი დღის წუთისოფელს“ ლხინისა და დროსტარების მოტრფიალე მეფე. არხეინად იყო, რადგან ქართლის მთავარ ციხეებში ყიზილბაშური ციხიონები ჰყავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

> ქართველები მთელს აზიაში უმამაცესი ხალხია და მათ საშინაო თანხმობა რომ ჰქონოდათ, მაშინ ვერავითარი საგარეო მტრული ძალა უმცირეს ზიანსაც კი ვერ მიაყენებდა.
>
> პ. ლევაშოვი, რუსი დიპლომატი, 1766 წ.

მას შემდეგ, რაც მეფე გიორგი მეთერთმეტემ თავისი ძმა არჩილი ქუთათისის ტახტზე „განამტკიცა“, თვითონ ჯერ გურიას ჩავიდა, იქიდან — გონიას, შემდეგ სამცხეს გადავიდა და ოშორას ციხეში ჩადგა. აქ შეიტყო, რომ იმერეთიდან გამოქცეული ალექსანდრე იმერთა მეფე წედისში დამდგარიყო და მაშინვე ჯარი გამოგზავნა მის შესაპყრობად. მაგრამ ბეჟან სააკაძისგან გაფრთხილებულმა ალექსანდრემ გორის ციხეში შეასწრო და გიორგის ჯარი სამცხეში ხელცარიელი დაბრუნდა.

ერეკლე მეფემ სულეიმან შაჰს აცნობა ეს ამბები.

სულეიმანმა ოსმალეთის სულთანს დიდი ძღვენით დატვირთული დესპანი გაუგზავნა და შეუთვალა: ვინაიდან ჩვენს შორის არის ზავი და მშვიდობა, გთხოვთ მომცეთ ჩემი ქვეშევრდომნი — არჩილი და გიორგი, ხოლო თქვენი ქვეშევრდომი ალექსანდრე თქვენსავე იმერეთში დააბრუნეთო.

ხონთქარს მოეწონა ერანის შაჰის ეგზომ „სამართლიანი“ მოწოდება და ასლან ფაშას ბრძანება გამოუგზავნა: ახლავე არჩილი და გიორგი შეიპყარ, ორივე სპარსეთს გაგზავნე და იმერეთის მეფედ ისევ ალექსანდრე აღადგინეო.

გიორგის ერთგულმა მესხებმა ამცნეს საშიშროება. მეფე ახალციხის სიმაგრეში ჩაიკეტა. აქ ქართლელ თავადთა წერილები და მისართმეველი მიუვიდა. აშოთან მუხრან-ბატონი, გივი ამილახორი და ნიკოლოზ მაღალაშვილი (ყველანი ერეკლესაგან გაწაწყენებულნი) სწერდნენ გიორგის: ოღონდ ქართლს მობრუნდი, მხარში დაგიდგებით, შენთვის სიცო-

ცხლეს გავსწირავთ და ტახტზე ისევ აგიყვანთო; ეს ოქროვერცხლი ქრთამად მიეცი ქრთამზე გაგიჟებულ ოსმალებს და გამოგიშვებენო.

ქრთამზე ლაპარაკი აღარ დასჭირვებია გიორგის. იმ ღამით ერთგულმა დ ო ლ ე ნ ჯ ი ხ მ ა ლ ა ძ ე მ ციხის კედელზე თოკით გადმოუშვა მეფე.

ქართლისკენ გაქუსლა გიორგიმ.

ქართლიდან ახალციხისკენ ალექსანდრე მიემართებოდა, ასლან ფაშასაგან მიწვეული.

გზაზე შესცილდნენ ერთმანეთს მტრები.

ერეკლე მეფე კოჯრის სასახლეში იდგა, როცა გიორგის შემოჭრის ამბავი შეატყობინეს. მაშინვე გაქუსლა მეფემ, ტფილისში შეასწრო და ჩაიკეტა.

1691 წელი იდგა.

ქართლში ორი მეფე იწყებდა „ერთმეფობისთვის“ ბრძოლას.

ალექსანდრე იმერთა მეფეს ცოლ-შვილი რუისში დაეტოვებინა. გიორგი მიუხტა და ყველანი შეიპყრო.

თვითონ გიორგის მეუღლე ხვარეშან დედოფალი და სახლეული ახალდაბას ჰყავდა. ერეკლემ ქაიხოსრო ციციშვილი („ლოპინა“) გაგზავნა მათ შესაპყრობად.

მაგრამ ქაიხოსროს გზა გადაუჭრა გიორგის ძმისწულმა ვ ა ხ ტ ა ნ გ ლევანის ძემ (შემდგომში — ვახტანგ VI), დაამარცხა და უკუაქცია გიორგის ოჯახის მომტერენი.

გიორგიმ ტფილისს გვერდი აუქცია და ჯერ დუშეთს მიგიდა, მერე თიანეთს, შემოეგებნენ გიორგი და ბარძიმ ერისთავები, „სიყვარულითა თაყვაწის-მცემელნი და ითხოვეს შეწდობა“.

ამასობაში ქაიხოსრო ციციშვილის ძმისწულმა — ც ი ც ი ც ი ც ი შ ვ ი ლ მ ა ბიძას მთელი საციციანო წაართვა და გიორგი მეფეს დაუმორჩილა.

თიანეთიდან დიდგორს დაეშვა გიორგი. აქ მას შეუერთდნენ ქვემო ქართლელი ბარათაშვილები.

დიდგორიდან კოჯორს ავიდა, „მშობლიურ სასახლეში“ ფეხი მოირთხა და ისევ შეუდგა ქართლის „განგებულობას“.

კათალიკოსად ისევ ნიკოლოზ ამილახორი აღადგინა, მსა-

ჯულთუხუცესად ბარძიმ ერისთავი დატოვა. ერთი სიტყვით, ყველა „ძველ წარჩინებულს“ თავისი „ძველი სახელო“ დაუბრუნა.

ბარძიმ ერისთავი ჯარით აფრინა, — იმერეთს გადადი და არჩილს მიეშველეო. მაგრამ უკვე გამოეძევებინათ არჩილი იმერეთიდან. რაჭის გზით წამოსულიყო. ერწოზე შეხვდა ბარძიმი და გამოუძღვა ქართლის შუაგულისაკენ.

ძმები ტფილისს მიადგნენ, „ფრიად შეამჭირვეს“, მაგრამ მაინც ვერ აიღეს.

გიორგი მეფე კახეთის თავადობას „ეზრახა“: ისევ დაბრუნეთ არჩილი მეფედო. არჩილს კახელთა შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა და მაშინვე „მათ სიხარულით მოსცეს პირი მტკიცე ფიცითა და აცნობეს ესე არჩილს“.

მაგრამ არჩილმა თვითონ აღარ ინება კახეთის ტახტი და გვირგვინი, მას მტკიცედ გადაეწყვიტა რუსეთში წასვლა...

ოთხი წელიწადი გაგრძელდა საშინელი, ძმათაშორისი სისხლმათხევარი „ორიანობა“ — ბრძოლა გიორგისა და ერეკლეს შორის. ცოდვიანი ომის სასწორი წონასწორად ქანაობდა. ზიარი ჭურჭლებივით ერთიმეორეს „ანაკლულებდნენ“ და „ავსებდნენ“ ერთმანეთის სისხლით: ერთიმეორის ბანაკში მიმორბოდნენ „პოლიტიკურ წყვდიადში“ ბრმად მოფართხალე საომარი ძალები. იდგა ხმალთა გაუთავებელი კვეთება — „კვეთებითა მეხისათა“, ჩალიბად ბრძოლა (ნინოწმინდაში, ქიზიყის მოურავმა დუშია ანდრონიკაშვილმა ქართლის სახლთუხუცესს ბარძიმ ერისთავს უბრალოდ, „შესაშინებლად“, ტყვიით ბეჭი დაუმსხვრია), თოფების ბათქაბუთქი, ზარბაზნების გრიალი (ერთი ჭურვი მცხეთის სვეტიცხოველსაც დაეტაკა, მაგრამ გადაურჩა არსუკიძის ნახელავი უგუნურად ნასროლს), განუკითხავი ყელის დაჭრა და თვალთა „აღმოხდომანი“ (გიორგიმ შეიპყრო და თვალები დათხარა ერეკლეს მომხრე ბეჟან საკაძეს).

ერთჯერ შერიგებაც სცადეს გიორგიმ და ერეკლემ. კიდევაც შეთანხმდნენ: გიორგი ქართლის ტახტს დაიჭერდა; ერეკლე — კახეთისას. კიდევაც უნდა ეუწყებინათ ეს შეთანხმება შაჰისათვის. მაგრამ „არა აუფლეს მეშფოთეთა ესე ყოფად“—

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი „ბანაკის“ თავადობამ არ ინება იარაღის დაყრა.

გრძელდებოდა თვითამოწყვეტა და თვითდაქცევა ქართლ-კახეთის ცის ქვეშ.

. . . . . .

1694 წელი იყო.

ერთ დღეს გიორგის ამბავი მოუტანეს: სამასი თუში და კახი მეომარი, გივი ჩოლოყაშვილისა და ბაადურ შანშიაშვილის მეთაურობით, ერეკლეს მოსაშველებლად მოეშურებაო. გიორგიმ ისევ გაგზავნა ჯარით თავისი მამაცი ძმისწული — ვახტანგ ლევანის ძე.

„ტალავრის-ბოლოს გორასა ზედა... იქმნა კვეთებული ბრძოლა ძლიერი“. სულ ერთიანად ამოწყვიტეს ქართლელებმა კახელები. ბრძოლაში სარდლებიც დაიხოცნენ — გივი ჩოლოყაშვილი და ბაადურ შანშიაშვილი.

ქართლელებმა კახელთა ელეტა რომ მოათავეს, უცებ ტფილისისკენ მიმავალი ყიზილბაშური ჯარი დაინახეს.

ვახტანგმა მაშინვე მტერს გზა მოუჭრა და ჯარი საომრად გააწყო.

სპარსელებიც შედგნენ.

ვახტანგმა შათირი გაგზავნა ამბის შესატყობად, — საიდან მოდიან, სად მიდიან, რისთვის მიდიანო?!

სპარსელებმაც გამოატანეს პასუხი შათირს: შაჰი სულეიმანი მომკვდარა და ერანის ტახტზე მისი შვილი დაბრძანებულა — შაჰ სულთან ჰუსეინი; ახლა ეს ჯარი ტფილისს მიეშურება, იქაური სპარსული ციხიონი უნდა შეცვალონ და თანაც ერეკლე ნაზარ-ალი-ხანს ახალი შაჰისგან გამოგზავნილი ხალათი უნდა მიართვან!

მაშ, სულეიმან შაჰი მომკვდარა!

მაშ, ერანის ტახტზე ახალი შაჰი — სულთან ჰუსეინი აღზევებულა!

ხოლო, ახალი შაჰიც, რაკი იგი ხალათს ერეკლეს უგზავნის, ისევ ერეკლეს სცნობს ქართლის გამგებლად და არა გიორგის!

მაშინვე საომრად დასძრა ჯარი ვახტანგ ლევანის ძემ.

სპარსელებიც შემოეგებნენ გულსრულად და გააფთრებულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგმა სპარსელთა სარდალი ამოიღო მიზანში, ცხენი ვააქანა, ჰოროლით მკერდი შეუნგრია და მიწას უსულოდ ღაანარცხა.

მოკლული ყიზილბაში სარდლის საჭურველთმტვირთველმა შორიდან მშვილდი მოზიდა და ვახტანგის გულს დაუსისწორა ისარი.

ბეწვზე დაასწრო ხოხონა ხერხეულიძემ, — ვახტანგს მკერდზე ფარი უფარა. სპარსის ისარი მაინც ჩაერჭო ხერხეულიძის ფარს, მაგრამ სხეულამდე ვერ გაატანა და აშკარა სიკვდილს გადაურჩა ქართველთა სარდალი.

ბრძოლა გრძელდებოდა.

ერთი ახოვანი სპარსი დაწინაურდა. ზედიზედ ხუთი ქართველი ვაჟკაცი — დიდად „მხნე ჭაბუკნი" უსულოდ ჩამოჰყარა ცხენებიდან.

გაუხტა ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, დაეძგერა, ცხენიდან დაითრია და მიწას დაანარცხა გმირი სპარსელი.

ძირს დაცემულს დასწვდა და წამოაყენა.

შენი დიდი სიმხნისა და ვაჟკაცობისათვის მიპატიებიაო, უთხრა გოსტაშაბიშვილმა და ცოცხლად გაუშვა მოულოდნელი მარცხით და მოპირდაპირის დიდსულოვნებით გაოგნებული სპარსელი...

ყიზილბაშთაგან მცირე გუნდმა სიკვდილს გაასწრო და შაჰის გამოგზავნილი ხალათი ერეკლეს მისართმევად წაიყოლია.

მობრუნდა ვახტანგ ლევანის ძე გამარჯვებული.

გიორგის მოახსენეს: ერეკლე მეფე ბოლნისს ყოფილა, იქედან წამოსულა და ახლა ტფილისს უახლოვდებაო.

გზა გადაუჭრა მეტოქეს გიორგიმ.

ღამე იყო.

ერეკლე გამოჩნდა. ფრთხილად მოდიოდა, ამალით.

გიორგი აიმართა საიერიშოდ.

არჩილმა არ დაანება: ხელს ნუ ახლებ, რა ვაჟკაცის საქმეა ასე ქურდულად დაცემაო!

გიორგიმაც აიღო ხელი „მოპარულ გამარჯვებაზე".

. . . . . .

იმავე 1694 წელს ერანის ახალ მბრძანებელს პატიმრობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გამოეშვა გიორგი მეფის ძმები — ლევანი და ლუარსაბი.

ხოლო ბაგრატ გიორგის ძე პყრობილობასვე მომკვდარიყო, ჰერათის ციხეში.

ერთადერთი შვილის სიკვდილმა უმძიმეს წუხილში ჩააგდო გიორგი მეფე.

დედოფალი ხვარაშანი შვილის ჯავრს გადაჰყვა.

ამაოდ ცდილობდა არჩილი, შავნაღვლიანობიდან გამოეხსნა ოჯახამოწყვეტილი ძმა.

მცირე ხანიც გამოხდა და, ახლა არჩილსაც ეწვია ყველაზე მძიმე უბედურება: მისი ძე მამუკა მომკვდარიყო რუსეთში.

მთელი ზამთარი ორივე ძმა ჩაიკეტა საგლოველ და ცრემლსათხეველ სენაკებში.

1695 წლის გაზაფხულზე შაჰ სულთან ჰუსეინმა ერეკლეს თხოვნით ცინცხალი მხედრობა გამოგზავნა საქართველოში. ყიზილბაშთა ჯარს კახეთის ახალი მმართველი მოუძღოდა — ქ ა ლ ბ ა ლ ი-ხ ა ნ ი, რომელსაც ყარაღაჯში უნდა შეეცვალა ერეკლესთან წაჩხუბებული აბაზ-ყული-ხანი.

ერეკლე და ქალბალი-ხანი ერთიანი ძალებით მიეტევნენ გიორგი მეფეს. გიორგიც დაუხვდა რამდენჯერმე გულსრულად, მაგრამ მისი ბანაკი, უკვე დაქანცული და სულიერად დაცემული, ბრძოლის დაწყებამდე გაურბოდა მტრის გამოჩენას.

ისევ გამოჩნდა ქართლში იმერეთის მეფე ალექსანდრე IV. მაგრამ იმერელმა წარჩინებულებმა თვითონ შეიპყრეს თავისი უხიაგი მეფე და ცოცხლად მიართვეს რუისში მდგარ გიორგის და არჩილს. გიორგის ბრძანებით ალექსანდრე დაახრჩვეს და იქვე დაფლეს, რუისის ეკლესიაში.

მთავარი მაინც ის იყო, რომ გიორგის საომარი ძალები სავსებით დაშრეტოდა.

იმავე 1695 წელს მან ქართლი დატოვა და იმერეთს გადავიდა.

მისი მამაცი ძმისწულები — ქ ა ი ხ ო ს რ ო და ვ ა ხ ტ ა ნ გ ლევანის ძენი — ერთმანეთს გამოეთხოვენ. ქაიხოსრო, გიორგისა და არჩილის უცნობებლად, სპარსეთს წავიდა შაჰთან შესარიგებლად, ვახტანგი კი ბიძებს წაჰყვა იმერეთს.

ქაიხოსროს სპარსეთში დიდის ამბით შეხვდნენ მამამისი ლევანი, ბიძამისი ლუარსაბი და ბოლოს შაჰ სულთან ჰუსეინი. შაჰი გახარებული იყო, რომ კიდევ ერთი მამაცი და ჭკვიანი ვაჟკაცი შეემატა სპარსეთის „გურჯთა სათვისტომოს“.

იმერეთში უქმად მდგარ გიორგის ერევნის ხანმა წერილი გაუგზავნა: ეახელ შაჰ სულთან ჰუსეინს პირადად და შეურიგდიო; მე ვიქნები შენი თავმდები, რომ არამცთუ რაიმე წყენა შეგემხთხვეს, „არამედ უფროსად სარგებელი და წყალობა და მრავალწილად კეთილის ყოფა ყაენის მიერო“.

გიორგის ჭკუაში დაუჯდა ერევნის ხანის წინადადება. ისიც გასაგები იყო, რისთვისაც ირჯებოდა ერევნის ხანი: იგი ქალბალი-ხანის მოსისხლე მტერი იყო, ხოლო ქალბალი-ხანისა და ერეკლე მეფის მეგობრობა თავისთავად ერეკლესა და ერევნის ხანის ურთიერთ მტრობასაც „მოიცავდა“.

წამოვიდა ქუთათისიდან გიორგი მეფე. ხარაგოულს შეჩერდა მცირე ხნით. აქ თავისი რძალი, ბაგრატ უფლისწულის ქვრივი — რუსუდან ჩერქეზი, ცოლად შერთო ძმისწულს — ვახტანგ ლევანის ძეს (თითქოს, ასეთი ქორწინების მეოხებით, კიდევაც იშვილა ერთგული ძმისწული უშვილძიროდ დარჩენილმა გიორგიმ).

ქორწილი იყო „არა დიდებული“, ულხინო და გაუხარელი.

აქ ბიძა-ძმისწული დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ვახტანგი ცოლით იმერეთს დარჩა. გიორგი ქართლისკენ წამოემართა.

ალს რომ მოატანა, შაჰის გამოგზავნილი მეჰმანდარი (მესტუმრე) შემოეგება დიდძალი ძღვენით. თურმე ერევნის ხანს უკვე მიუხარებია შაჰ სულთან ჰუსეინისთვის: გიორგი მეფე უკვე გზაზე ადგას თქვენთან შესახვედრად და შესარიგებლადო. სამახარობლოდ თოფანგჩიაღასობა („რომელ არს ყოვლის მეთოფის ბატონობა და უფროსობა“) უბოძებია შაჰს ერევნის ხანისთვის.

გიორგიმ ქართლში დატოვა თავისი უმცროსი ძმა სულეიმანი, ცოლ-შვილით, და ნიკოლოზ კათალიკოსი. ამათ უნდა „მოევლოთ“ აქაური საქმეებისთვის, რამეთუ გარდაცვლილიყო მეფის უახლოესი კარისკაცი და ყოველ „სამეფო საქმეთა“ გამგებელი გივი ამილახორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი არაგვის ერისთავი და ზურაბ ზურაბიშვილი აიყოლია მეფემ, წინ სპარსელი მეჰმანდარი გაიძღოლა და გაუდგა საქართველო-სპარსეთის ცოდვიან გზას...

დიდი ზეიმით შეხვდა ერანის სატახტო სახელოვან გურგინ-ხანს.

შაჰმა „კეთილად შეიწყნარა, მისცა ნიჭნი და გაკვეთილნი“.

შემოეგებნენ გიორგის ძმები — ლევან და ლუარსაბ, და ძმისწული ქაიხოსრო ლევანის ძე. სპარსეთს ნებით თუ უნებლიეთ გადახვეწილი უამრავი ქართველი შემოეხვია უმძიმესი წუთისოფლით დარეგვილ რაინდს.

მაინც რას უპირებს ერანის შაჰი გურგინ-ხანს, იმდენი სისხლისა და სირცხვილის სანაცვლოდ, რაიც მისმა მზვაობარმა გულმა და სალმასურის ხმალმა აგემა სპარსეთს?

მალე შეიქნა საცნაური: რაც მოხდა მოხდა, ყველაფერი დავიწყებულია!

გიორგი მეფე, დიდი ქართველი მხედარი და მხედართმთავარი, მისი გულუძვრელობით, გრანიტის ნებიანობით და სალმასურის ხმალით, ერანის სახელმწიფო კარს ახლა ძალიან, ძალიან სჭირდება!..

. . . . . .

ქართლში მეფედ ისევ ერეკლე პირველი დარჩა.

იგი კიდევ რვა წელი იმეფებს, ფრიად უფერული მეფობით.

ისევ აღამაღლებს „თავის ხალხს“ და დაამდაბლებს გიორგის ერთგულთ.

ისევ კახეთის საკეთილდღეოდ უფრო იღვწის ქართლის მეფე, ვიდრე ქართლისთვის.

ეს უცნაური „მიკრო-პატრიოტი“ საქართველოს სატახტოს დაცვას მხოლოდ „თანამემამულე კახელებს“ ანდობს. როცა გაჭირვებულ ქართლელ გლეხს შეხვდება, მტკვარზე საგანგებოდ გადებულ „კახეთის ხიდზე“ მიუთითებს და ეტყვის:

„აი, იმ ხიდზე გადადი, შე უბედურო, იარე და კახეთში შეხვალ, სიმდიდრისა და სიმშვიდის ქვეყანაში. დაესახლე იქ, იშრომე, იცხოვრე, იხარე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იყრებოდა ქართლ'ს მოსახლეობა და სახლდებოდა „ბედნიერ კახეთში“.

ზოგადქართული ისტორიისთვის ეს იგივე იყო, რაიც — „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“, — მაგრამ ერეკლეს ამ-ნაირი „კახური პოლიტიკა“ ამ ანდაზის ფილოსოფიით მაშინ არ ესმოდა არც ქართლელს, არც კახელს და არც თვითონ ერეკლეს.

ა ზ ბ ა მ ე ა თ ე

თვითმკვლელობის საუკუნე იმერეთისა

ხოლო ამ დროს დასავლეთ საქართველო თავისი ხელითვე დაქცეული სისხლის მორევში იხრჩობოდა.

ფეოდალური ომები, ძმათაშორისი ხოცვა-ჟლეტა, ძარცვა, რბევა, ნგრევა და — ყველაზე დიდი უბედურება და უმწარესი სირცხვილი —

ადამიანთა ტყვევნა და ყიდვა-გაყიდვა — ყოველგვარ ზომასა და საზღვარს გადაშორებოდა.

„ბაში-აჩუკის“ ქვეყანა დაღუპვის ქვესკნელისკენ მიექანებოდა.

„მოიპარა ციხე“ და „შეეტყუა ციხესა“

წინარე თხრობას დავუბრუნდეთ და გავიხსენოთ:

1661 წელს ქართლის მეფემ ვახტანგ მეხუთე შაჰ-ნავაზმა ოდიშ-სამეგრელოს მთავრად, ვამიყ დადიანის ნაცვლად, დასვა ლ ე ვ ა ნ III დ ა დ ი ა ნ ი, რომელსაც ცოლად შერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ძმის, კონსტანტინეს ასული — თამარი, საოცრად ლამაზი ქალი (დაიმახსოვრეთ, — ეს თამარის პირველი ქორწინება გახლავთ).

იმავე წელს ვახტანგ მეფემ იმერეთის მეფე, დედინაცვლისაგან (თეიმურაზის ასული დარეჯანი) თვალებდათხრილი ბაგრატ IV ტყვედ აიყვანა და მის ნაცვლად ქუთათისის ტახტზე დასვა თავისი უფროსი ვაჟი, 14 წლის არჩილი.

ასე დაიწყო არჩილის „პირველი მეფობა" იმერეთში.

მაგრამ ოსმალეთის სულთანმა „მის საკუთრება იმერეთში" სპარსეთის ქვეშევრდომი ქართლელის გამეფება ოსმალეთის შინაურ საქმეებში „უხეშ ჩარევად" მიიჩნია და მაშინდელ შაჰ აბას II-ს მუქარა გაუგზავნა: ან არჩილი გაგიყვანია იმერეთიდან, ან მე ომი დამიწყიაო.

1663 წელს, ორწლინახევრის მეფობის შემდგომ, არჩილი მამამისმა ვახტანგ მეფემ, შაჰის ბრძანებით, ქართლში წაიყვანა.

სამაგიეროდ მაშინვე ვახტანგ მეფემ იმერეთის ტახტზე აღადგინა უსინათლო ბაგრატ IV, რომელსაც ქართლიდან ცოლად გაატანა თავისი ძმისწული თითია, სილამაზით განთქმული თამარის დაი (ამრიგად, ბაგრატ IV და ლევან III დადიანი ქვისლები შექნილან).

მაშ, 1663 წელს ბაგრატ IV მეორედ ადის იმერეთის ტახტზე.

იმავე წელს ლევან III დადიანი, რომელიც მტრულად შეხვედრია ბაგრატის გამეფებასაც და დამოყვრებასაც, სამეგრელოს ჯარით იმერეთს შემოიჭრა.

ბაგრატიც შეეგება იმერთა ლაშქრით.

დადიანი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა.

ბაგრატს ერთი დაი ჰყავდა, სახელად თინათინი, ვინმე გოშაძის ნაცოლარი. ეს ქალი იმ ღამით, ბაგრატის წაქეზებით ტყვე დადიანს შეუწვა ლოგინში. დილით მეფე თავზე დაადგა მოტრფიალეებს. დაადგა და უბრძანა დადიანს: ოჯახის გაბახებას ვერ გაპატიებ და, თუ სიცოცხლე არ მოგძულებია, ცოლად უნდა წაიყვანო თინათინიო.

დადიანმა სიკვდილს სირცხვილი არჩია და დათანხმდა.

დასა და სიძეს ქორწილიც კი გადაუხადა მეფემ.

ხოლო, ყოველივე ეს ბაგრატმა იმისთვის ჩაიდინა, რომ „მშვენიერ თამარს“ დაუფლებოდა.

ერთი სიტყვით, მეფე ბაგრატ IV-მ თავისი ცოლი — თითა ცოლობიდან განუტევა და მის ნაცვლად ლევან დადიანის ნაცოლარი ცოლისდა შეირთო.

(ეს თამარის მეორე ქორწინება გახლავთ).

ლევან დადიანი ბოლმით იხრჩობოდა, დღე და ღამე ბაგრატ მეფის შურისძიებასა და თამარის დაბრუნებაზე ოცნებობდა.

ამასობაში შინათავადური ომები არ წყდებოდა. ტყვეთა სყიდვა უფრო და უფრო ვრცელდებოდა და ბოროტდებოდა. იყო განუწყვეტელი „ხდომა, შფოთი, კირთება ერთმანეთ მეორესა ზედა და ოხრება ქვეყანათა“.

იმერელ თავადთა შორის ყველაზე მეტად თავს გაუვიდა სახლთუხუცეს ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე ს. მან ბაგრატ მეფეზე გადამტერებულმა, ახალციხის ფაშას, ასლანს, თურქთა ჯარი გამოართვა და ქუთათისის ციხეში ციხიონად შეაყენა („მოიპარა ციხე ქუთათისისა და შეაყენა ოსმალნი“).

მაშ, ქართველმა თავადმა მის „მშობლიურ“ ქართულ სხეულში მომაკვდინებელი კიბოს („ოსმალობა“, „გათურქება“) მეტასტაზი ჩაასახლა!

ბაგრატ მეფემ და თავადებმა კრინტიც ვერ დასძრეს ოსმალთა შიშით.

მაგრამ მაინც გამოჩნდა გმირი მამულიშვილი — მოურავი ბ ე ჟ ა ნ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. იგი ერთ ღამეს, მამაც იმერთა მცირე გუნდით, „შეეტყუა ქუთათისის ციხესა, მოსრნა ოსმალნი და აღიღო ციხე... და მისცა ბაგრატსა“.

ეს „ქართულობის“ დიდი გამარჯვება იყო.

ოსმალეთმა დრომდე შესჭამა მწარე ჯავრი.

ამასობაში ისევ გამოჩნდნენ „საასპარეზოდ დარეჯან დეღოფალი და ვახტანგ ჭუჭუნაშვილი, ისინი ხომ ვამიყ დადიანმა ჩამოყარა იმერეთის ტახტიდან. ვახტანგ ჭუჭუნაშვილს მაშინ თვალებიც დასთხარეს. ბოლოს დარეჯანი, დარეჯანის ძმისწული ქეთევანი (ბაგრატ IV-ის ცოლყოფილი) და ვახტანგ უსინათლო ასლან ფაშამ შეიფარა და ოლთისს დაბინავა.

ესეც გავიხსენოთ, რომ ქეთევანი ცოლად წაიყვანა არჩილმა, ხოლო დარეჯანი და ჭუჭუნაშვილი ისევ ელოდნენ „სასიკეთო ამინდის“ დადგომას.

როცა იმერლებმა ბეჟან ლორთქიფანიძის მეთაურობით ქუთათისში თურქები გაჟლიტეს, დარეჯანი და ვახტანგი ასლან ფაშას შეუჩნდნენ: როგორ ითმენთ ქუთათისის ციხეში ოსმალთა ციხიონის ამოწყვეტასო; ხონთქარიც ამისთვის ჯავრს თქვენზედ იყრისო, თუ მანამდე არ დაასწარით და სამაგიერო არ მიუზღეთ ბაგრატ მეფესო; ნულარ აყოვნებთ, ჯარით დავიძრათო და ბევრი იქაური თავადიც ჩვენ მოგვემხრობაო, ბაგრატს ჩამოვაგდებთ და ჩვენ მის ადგილზე მარად თქვენი ფერხთა მტვერი ვიქნებითო.

1665 წელს ასლან ფაშამ ოსმალთა ჯარით ზეკარი გადმოლახა და ხანისწყლის ხეობაზე დაეშვა. დარეჯანი და მისი ბრმა ქმარი გვერდით მოსდევდნენ.

ასლან ფაშას მაშინვე მიეგებნენ და შეუერთდნენ ლევან III დადიანი, დემეტრე გურიელი და სეხნია ჩხეიძე.

ბაგრატ IV-მ ბრძოლა უიმედოდ ჩათვალა და ქართლში გაიქცა ვახტანგ V-თან.

„მაშინ ოსმალთა მოსრნეს, მოსტყვევნეს იმერეთი, შემუსრნეს მრავალნი ხატნი და ჯვარნი, მოსწვეს ქვეყანანი და ეკლესიანი“.

პოლიტიკოსები და რაინდები

„რომელიც გაძლიერდეს, მისი იყვის“.

ფარსადან გორგიჯანიძე

ასლან ფაშამ იმერეთის ტახტზე დარეჯანი და ვახტანგ ჭუჭუნაშვილი აღადგინა და თვითონ ახალციხეს გასწია, დიდძალი ნაძარცვით დატვირთულმა.

ახალმა მეფე-დედოფალმა სასახლის კარზე ლეჩხუმის ბა-

ტონი ხოსია ლაშხიშვილი გაიშინაურეს (აი, ის ხოსია ლაშხიშვილი, ვამიყ დადიანი რომ მოაკვლევინა სვანეთში). დარეჯანმა მირონიც კი „ჰსცხო“ ხოსიას. ამიერიდან იმერეთის სამეფო კარზე ყველაფერი ხოსია ლაშხიშვილს ეკითხებოდა.

იმერელი თავადები კი შეთქმულებას ამზადებდნენ. იმდენი ჰქნეს, ხოსიაც „გარდმოიბირეს“ და დარეჯანს „შეუჩინეს“.

ერთ დღეს, დილით, როცა დარეჯან დედოფალი სასახლეში, სარკის წინ შილიფად იდგა, თმას ივარცხნიდა და იკაზმებოდა, უცებ შევარდა ხოსია ლაშხიშვილი და დედოფალს შუბი აძგერა შიგ მარცხენა ძუძუში.

მკვდარი დაეცა თეიმურაზ მეფის უკანასკნელი შვილი — ცოლყოფილი ჯერ ზურაბ ერისთავისა, შემდგომ მეფე ალექსანდრე III-ისა, ბოლოს ვახტანგ ბაგრატიონ-ჭუჭუნაშვილისა.

სანამ დარეჯან დედოფლის განგმირული სხეული ცივდებოდა, მანამ დანარჩენმა შეთქმულებმა ბრმა ვახტანგ ჭუჭუნაშვილი სასახლის მოედანზე ჩაათრეს, კარგა ხანს ათრიეს და, ბოლოს, ქვაფენილზე თავის რაჯგარუჯგით ამოხადეს სული.

შეთქმულებმა იმერეთის ტახტზე დ ე მ ე ტ რ ე გ უ რ ი ე ლ ი მოიწვიეს.

მცირე დროც გამოხდა და ახალი შეთქმულება გაიჩარხა.

ახლა დემეტრე გურიელი შეიპყრეს, თვალები „აღმოხადნეს“ და გააძევეს.

როცა ბრმა დემეტრე გურიაში დაბრუნდა, გურიელის ტახტი უკვე დაკავებული დახვდა: ასლან ფაშას ქაიხოსრო გურიელის შვილი გამოეგზავნა — გ ი ო რ გ ი.

გიორგი გურიელი „იყო კაცი მხნე, შემმართებელი, შვილდოსან-მოასპარეზე რჩეული, უღვთო, მესისხლე და ტყვის მსყიდველი უწყალო“.

იგი უეჭველად იტყვის „თავის სიტყვას“.

. . . . . .

დემეტრე გურიელი რომ დაასახიჩრეს და განდევნეს,

იმერეთის მესვეურებმა ქართლის მეფესთან კაცი აფრინეს და მეფედ ისევ ბაგრატ IV-ის გამოგზავნა სთხოვეს.

ვახტანგ მეფე დათანხმდა და ქუთათისის ტახტზე მესამედ ავიდა ბაგრატ IV უსინათლო.

მაინც არ დაიშალა ქვეყნის ღალატი სეხნია ჩხეიძემ. ბაგრატის ხელახალი გამეფებისთანავე ისევ „აღიღო მოპარვით და ზაკვით ქუთათისის ციხე და მისცა ოსმალთა". ამიერიდან — 1669 წლიდან, მთელი ასი წლის მანძილზე ვეღარ მოხერხდა ოსმალთა ჯარის განდევნა ქუთათისიდან. ასეთი იყო ჭკუაშელახული და გულგამოჭმული ჩხეიძის „ღვაწლი" სამშობლოს წინაშე!

სატახტო ქალაქის გაყიდვით არ დაწყნარდა სეხნია ჩხეიძე. მან ბაგრატ მეფის დასამხობად შემოიყარა კიდევ სხვა ძლიერი თავადები და მათთან ლევან III დადიანი.

ხოლო, ბაგრატ მეფის საომარი დროშის ქვეშ დადგნენ ოკრიბა და რაჭა-ლეჩხუმი.

ბრძოლა მოხდა ჩ ხ ა რ თ ა ნ, 1669 წელს.

ორივე მხარემ დიდი ზარალი იწვნია.

ბაგრატ მეფემ გაიმარჯვა.

მოღალტე საეხნია ჩხეიძე ბრძოლაში დაიღუპა.

ლევან დადიანი, დამარცხებული, შერცხვენილი და თამარის ამაო მონატრული — ოდიშს გაიქცა.

ბაგრატ მეფემ შემოიმტკიცა იმერეთი.

მაგრამ მაინც არ „დასცხრა დადიანი. რამეთუ შური აქუნდა ცოლისა თვისისა თამარისათვის, რომელი იყო ფრიად კეთილი და აღმატებული შვენიერებითა სრული უმეტესად".

ისევ დაიძრა ჯარით ლევან დადიანი, იმერეთის თავადთა უმრავლესობა მიემხრო და შეუერთდა სამეგრელოს მთავარს.

ბაგრატ მეფე რაჭას გაიქცა.

დადიანისა და იმერელ თავადთა ჯარებმა გეგუთს მოიყარეს თავი...

ბაგრატმა ისევ შემოიყარა რაჭველთა და ლეჩხუმელთა ლაშქარი.

„რაოდენნიმე იმერნიც" შეიერთა და მიუხდა გეგუთთან ბოდგარ მოსისხლეს.

ისევ დამარცხდა დადიანი. ჯარის უდიდესი ნაწილი ბრძო-

ლაში დაკარგა. დანარჩენები ტყვედ დაირჩინეს რაჭველებმა და ლეჩხუმელებმა.

თვითონ ლევან დადიანიც — ეს მეორეჯერ — ჩავარდა ტყვედ.

ბაგრატ მეფე ხომ იმდროინდელი „მოდის“ — თვალების დათხრის მსხვერპლი იყო, მაგრამ მაინც არ აჰყვა „მოდას“ სწორედ დადიანების ხელით თვალდაშრეტილი მეფე. თვალები არ დასთხარა „თვალდაუხუჭავ“ მტერს, მხოლოდ „აფუცა ერთგულებასა ზედა“ ლევან დადიანი და გაუშვა საღსალამათად. „ასე იყოს ჩემი დის ხათრითო, რაც არ უნდა იყოს, მაინც სიძე ხარ ჩემიო“, — ეს სიტყვაც გააყოლა გამარჯვებულმა დამარცხებულს. თანაც, არავინ იცის, გულწრფელი მოყვრობით სთქვა ეს ბაგრატმა, თუ მწარე დაცინვით — ავი რაყიფის გულმოსაკლავად.

მალე ახალი „პოლიტიკური მეტოქე“ და „ქალისთვის აღძრული რაყიფი“ გამოუჩნდა ბაგრატ მეფეს.

ეს იყო გ ი ო რ გ ი გ უ რ ი ე ლ ი (1665—1684 წწ), რომელსაც ახლახან გურიის საძარცვავად შემოჭრილი აფხაზები გაუნადგურებია სასტიკად. გურიის მთავარს ორი რამ ერთდროულად ჰქონია გულში ღრმად ამოჭრილი: ბაგრატ მეფის ხელთაგან წართმევა იმერეთის სამეფო ტახტისა და უმშვენიერესი ცოლის, თამარ ქალისა.

დღე და ღამე მოსვენება დაკარგული ჰქონდა გიორგი გურიელს თამარზე ფიქრით, მისდამი სიყვარულით და „ტრფიალებით“. ყოველნაირად ცდილობდა ბაგრატისგან მის „წაგვრასა და თვით შერთვასა“, მაგრამ ვერ იქნა და „ვერ ეწია“, ვერაფერს გახდა.

ბოლოს ისევ ასლან ფაშა ახალციხელს გაურიგდა გიორგი: დიდძალი ქრთამი მისცა ქრთამზე შეშლილ ფაშას, ბაგრატ მეფე ხონთქართან „ორგულობაზე“ დააბეზღებინა და ოსმალთა ჯარით იმერეთში გადმოიყვანა.

რ ო ს ტ ო მ ჩ ხ ე ი ძ ე მოიჭრა ქუთათისის სასახლეში და მეფეს აცნობა: ასლან ფაშა და გიორგი გურიელი მოეშურებიან ოსმალთა და გურიელთა ჯარებითო.

ბაგრატი მიხვდა, რაც სურდა გიორგი გურიელს. მაშინვე დედოფალი თამარი რაჭაში აფრინა და მიუვალ კვარა-ციხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაკეტა, თვითონ სასწრაფოდ იმერთა ჯარი შემოიყარა და მტერს გაეგება.

ბრძოლა მოხდა ქუთათისის ახლოს.

იმერთა ჯარი დამარცხდა და უკუიქცა.

ხოლო, მიტოვებული ბაგრატ მეფე, „უთვალობითა ვერ-ღარა ივლტოდა“, გურულებმა შეიპყრეს და ოსმალთა ფაშას მიჰგვარეს.

ბაგრატმა მაშინვე ქრთამზე ჩამოუგდო სიტყვა ასლან ფაშას. „და აღუთქვა ქრთამი დიდი“, ოღონდ გამიშვი და ისევ დამაბრუნე იმერეთის ტახტზეო.

ასლან ფაშა ყოყმანობდა. გიორგი გურიელისაგან უკვე აღებული ჰქონდა „დიდი ქრთამი“, მაგრამ ბაგრატისგან აღთქმული „დიდი ქრთამის“ დაკარგვაც არ უნდოდა. არც გიორგის „მთავარი სურვილის“ აღსრულება ხერხდებოდა: საოცნებო თამარ ქალი კვარა-ციხეში ჩაეკეტათ რაჭველებს, ვითომც — ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხეში! არც ოსმალო ფაშას და არც გურიის მთავარს ძალა არ შესწევდათ „რაჭული მასშტაბის“ ლაშქრობისა და მიუდგომელი კვარა-ციხის დაუფლებისა.

ფაშა რომ ყოყმანობდა, უცებ ბაგრატ მეფემ შეძლეულ ქრთამს ახალი „სართი“ დაუმატა — ჩემს შვილს ა ლ ე ქ ს ა ნ-დ რ ე ს მძევლად გაგატნევ ახალციხეშიო.

(ალექსანდრე ბაგრატ მეფის ერთადერთი ძე იყო, ისიც „ნამალევად გაჩენილი“: ვინმე „ლეჩხუმელი კოჩილას“ ცოლთან იყოფდა თურმე სარეცელს ბაგრატი. ასე დაბადებულა ალექსანდრე, რომელიც მამამისს, რაკი სხვა ძე არ ჰყავდა, ტახტის მემკვიდრედ წამოუყვანია ქუთათისს).

ასლან ფაშამ ყოყმანი გაათავა და ბაგრატ მეფის პირობები მიიღო: ქრთამიც გამოართვა, ალექსანდრეც მძევლად აიყვანა, ბაგრატი ისევ იმერეთის მეფედ გამოუშვა და თვითონ თავისი ჯარით ახალციხეს გაბრუნდა.

გიორგი გურიელი დარჩა პირში ჩალაგამოვლებული.

იმ ზამთარს ბაგრატ მეფე ჩაუხტა ჯარით გურიას. გიორგი დამარცხდა და იმერეთის მეფემ „მოსტყვევნნა და მოსწვა გურია და წარმოვიდა ალაფითა და იავარითა“.

ჯერჯერობით ორი „პოლიტიკოსისა და რაყიფის“ ბრძოლა მეფის სასარგებლოდ ჩათავდა.

. . . . . .

ქართლის სამეფო სახლეულსა და დადიანებს შორის ხომ კარგა ხნის მოყვრობა და ნათესაობა იყო გაჩაღებული. ლევან II დადიანის დაი, სახელგანთქმული მარიამ დედოფალი დიდხანს „ასაზრდოებდა“ ქართლელთა და მეგრელთა სიახლოვეს — ერთდროულად მოყვრულსაც და პოლიტიკურსაც.

მაგრამ ვახტანგ მეხუთე შაჰ-ნავაზმა, მარიამის იმჟამინდელმა ქმარმა (ადრე — გერი და დედინაცვალი), მაინც მოინდომა დადიანების ოჯახთან მოყვრობის განახლება და „გადახალისება“.

არჩილ ვახტანგის ძეს და ქეთევან დათუნას ასულს, რომელთა ქორწინება, როგორც ზემოთ ითქვა, 1667 წელს მოხდა, ჰყავდათ ასული, სახელად დ ა რ ე ჯ ა ნ ი.

ხოლო ლევან III დადიანს ჰყავდა ძე, სახელად მ ა ნ უ ჩ ა რ ი.

დარეჯანი და მანუჩარი იმჟამად იყვნენ შვიდი წლისა.

და ვახტანგ მეხუთემ შესთავაზა ლევან დადიანს: გამომიგზავნე ძე შენი მანუჩარი და შევრთავ მას ცოლად ჩემს შვილიშვილს, დარეჯან არჩილის ასულსო.

გახარებულმა დადიანმა მაშინვე გაგზავნა მანუჩარი ქართლში, მეგრელ წარჩინებულთა ამალით.

ქორწინება შედგა, მაგრამ უმალვე ჩაიშალა.

ბაგრატ იმერთა მეფეს არ მოსწონებია ქართლისა და სამეგრელოს სიახლოვის განმტკიცება და ამნაირი ცბიერი „დასმენა“ დაუდევნებია სასიძოს ასაბიისათვის: ვაი, თქვე უბედურნო, როგორ ჰლუპავთ ყმაწვილ ბატონიშვილს; განა არ იცით, რომ ვახტანგ მეფე მანუჩარს სპარსეთის შაჰთან მძევლად აგზავნისო?!

მანუჩარის მხლებლები დაფრთხნენ და, ყოველგვარი გამოძიება-გამოკითხვის გარეშე, „წარმოიპარეს ყრმა იგი და მოგვარეს მამასა თვისსა“ ოდიშში.

ეს ამბავი 1671 წელს მოხდა.

. . . . . .

1674 წელს ბაგრატ მეფემ თავისი სატახტო ქალაქის ცი-

ხე აიღო და გამოყარა იქიდან მოდალატე სეხნია ჩხეიძის წყალობით შესახლებული თურქები.

მაშინვე ახალციხიდან მოვარდა ასლან ფაშას დესპანი და გამოუცხადა ბაგრატს: თუ შეაბრუნებ თურქთა ჯარს ქუთათისის ციხეში, შენს შვილს ალექსანდრეს ცოცხლად დაგიბრუნებთ, თუ არა და, რაც დაემართოს, შენს თავს დააბრალეო.

წახდა და შეშინდა უსინათლო მეფე. თავადებმაც ბედთან შერიგება ურჩიეს და ისევ შეაბრუნა ქუთათისის ციხეში ოსმალთა ციხიონი. ასლან ფაშას მოციქულმა ბაგრატის ძე გამოუშვა და თვითონ ახალციხეს გაბრუნდა.

1676 წელს ბაგრატ მეფეს მისმა მშვენიერმა მეუღლემ — დედოფალმა თამარმა, აჩუქა ძე, რომელსაც უწოდეს გ ი ო რ გ ი, „და განიხარა ფრიად მეფემან“.

გიორგი მათი მეორე შვილი იყო. ადრე თამარს ბაგრატისგან შესძენოდა ასული, სახელად დ ა რ ე ჯ ა ნ ი.

. . . . . .

ბაგრატ მეოთხეს იმერეთის ტახტის წართმევას ცალ-ცალკე უპირებდნენ არჩილი და გიორგი გურიელი. ორივე ასლან ფაშას ეწვივნენ ახალციხეში. ორივემ ცალ-ცალკე შეაძლია ქრთამი შემწეობის თხოვნით. ასლან ფაშამ ორივეს ცალ-ცალკე გამოართვა ქრთამი, ორივეს ცალ-ცალკე აღუთქვა იმერეთის ტახტი, მაგრამ რაკი ტახტი მაინცადამაინც ერთი იყო, გიორგი გურიელი მოაღორა, ხოლო არჩილს მართლა გაუბირდა დახმარებას ფულზე გაწუწკებული ფაშა.

პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნდა ახალციხიდან გურიელი.

ბაგრატ მეფეს ახლა შეეძლო „საერთო ენა“ გამოენახა მეტოქესთან, რომელიც ისე თავაწყვეტით მოილტვოდა ქუთათისის ტახტისა და მშვენიერი თამარის (ქინაღამ წამომცდა — „მშვენიერი ელენეს“) დასაუფლებლად.

ბოლოს და ბოლოს, ბაგრატმა „იაზრა“ — იქნებ დარეჯანმა დამიხსნას ამ მოუშორებელი ჭირისაგან, იქნებ ჩემი ქალის წყალობით „დაუტეოს“ გიორგი გურიელმა „ტროფიალეობაცა თამარისა და მცდელობა მეფობასა იმერეთისა“.

და შესთავაზა ბაგრატ მეფემ გიორგი გურიელს: ეგზომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაზმნო მტრობასა და სისხლისთხევას სჯობია თავი დავანებოთ, შევრიგდეთ და კიდევაც დავმოყვრდეთო — ცოლად გაძლევ ჩემს ქალს, თამარისგან შობილს დარეჯანსო!

დაუჯდა ჭკუაში რაყიფს რაყიფისგან შეთავაზებული; დრომდე ასე აჯობებსო, იფიქრა გიორგი გურიელმა; დარეჯანიც ლამაზი ქალი უნდა ყოფილიყო, რადგან ბაგრატი ფრიად სახიერი კაცი იყო და, რაც მთავარია, დარეჯანი „მშვენიერი თამარის“ ნაშობი იყო... ძლიერად ჟღერდა — „თამარის ნაშობი“!

და 1677 წელს გიორგი გურიელმა ცოლად შეირთო დარეჯანი, ასული ბაგრატ იმერთა მეფისა (და, რაც მთავარია) — „ნაშობი თამარისაგან“.

. . . . . .

სამეგრელოს მთავარი ლევან III დადიანი იმჟამად ვეღარც იმერეთისთვის იცლიდა, ვეღარც გურიისთვის. აფხაზები ესხმოდნენ თავს ოდიშის მიწა-წყალს, ძარცვავდნენ, აოხრებდნენ, ადამიანებს იტაცებდნენ და თურქ ვაჭრებზე ჰყიდდნენ.

ლეჩხუმელი ძმები — ჩიქოვანები დაწინაურებულიყვნენ დადიანის კარზე. მათი მამა, „გორდელი მდაბალი აზნაური“, თურმე სვანეთში თაფლს ეზიდებოდა საკუთარი ზურგით, და ასე, მძიმე ნაოფლარ-ნავაჭრით ინახავდა ოჯახს. მისმა უფროსმა ვაჟმა იმდენი „ფხა გამოიჩინა“, ჭყონდიდის ეპისკოპოსობა ჩაიგდო ხელში და „იქმნა მისანდო ლევან დადიანისა ყოველსა შინა“. მერე უფროსმა ძმამ უმცროსი გამოიბა წელზე და გაითრია. უმცროსი ძმაც — კაცია ჩიქოვანი, უკვე მთელს ლეჩხუმში ყოფილა ცნობილი, ვითარცა „კაცი მხნე და შემძლებელი საქმეთა“.

შეუჩნდა ჭყონდიდელი ლევან დადიანს: ჩემს ძმას, კაციას სალიპარტიანო მიეციო და, ვინაიდან მას ლეჩხუმელები ყველაფერს უსმენენ და უჯერებენ, სალიპარტიანოდან ლეჩხუმსაც შენ შემოგიმტკიცებსო.

დაიჯერა ლევან დადიანმა და მისცა მედროვე-ვიგინდარას სალიპარტიანო, სადაც მანამდე მხოლოდ ოდიშის მთავართა გვერდითი შტოის წარმომადგენელნი ჯდებოდნენ გამგებლებად. ამის შემდგომ კაცია ჩიქოვანი ოდიშის მთავრის უახ-

ლოესი „მრჩეველი“ და „დამსმენელი“ შეიქნა. იგი — კაცი „უღვთო და მესისხლე აზრახებდა დადიანსა და მოსრვიდიან წარჩინებულთა ოდიშისათა“.

დიდი „სასისხლო საზრუნავი“ გაუჩინა კაცია ჩიქოვანმა სამეგრელოს მთავარს, მაგრამ მაინც „მშვენიერი თამარისა“ და „მშვენიერი იმერეთის“ ჯავრი ახრჩობდა ლევან დადიანს.

. . . . . .

მაშ, ასლან ფაშა შეჰპირდა არჩილს: ისევ ჩაგაგდებინებ ხელში იმერეთის ტახტსო. ჯერ ხონთქარს შეატყობინა არჩილის განაზრახი ასლანმა, რადგან ეგონა ხონთქარი მოუწონებდა არჩილის „გულის მოგებას“. მაგრამ ოსმალეთის მბრძანებელმა, იმერთეს გამეფება კი არა, არჩილის შეპყრობა უბრძანა ახალციხის ფაშას. ასლანმა არჩილი ჯერ ვითომ პატიმრად დასვა, მერე ერთგულმა მესხებმა არჩილი ისე გააქციეს, ვითომც ფაშას არაფერიც არ გაეგოს.

ქრთამი ქრთამად დაკარგა არჩილმა, მაგრამ ესეც მიღწევა იქნებოდა, თუ იმერეთის ტახტისთვის ბრძოლაში ახალციხის ფაშა საერთოდ არ ჩაერეოდა.

ახლა იმერელთა და მეგრელთა იმედი უნდა ჰქონოდა „სასურველი იმერეთის“ ტახტზე ეგზომ ჩაციებულ არჩილს.

1678 წლის სექტემბერში მეორედ შემოვიდა იმერეთში არჩილი ვახტანგის ძე. შემოვიდა და „მაშინვე მიერთნენ ყოველნი იმერნი და დადიანი ლევან“.

ბაგრატ IV-მ „მშვენიერი თამარი“ ამჯერად სკანდის ციხეში ჩაკეტა და თვითონ გურიაში გაიქცა, „საყვარელ სიძესთან“ — გიორგი გურიელთან.

იმერლებმა და მეგრელებმა არჩილი ზეიმით შეიყვანეს ქუთათისის სატახტოში.

ეს არჩილის „მეორე მეფობა“ იყო იმერეთს, 1678—1679 წწ.

არჩილმა ლევან დადიანს აღუსრულა მისი „უმაღლესი სურვილი“: სკანდის ციხიდან გამოიყვანა „მშვენიერი თამარი“ და დაუბრუნა ცოლად „თავდაპირველ ქმარს“ (ეს თამარის მესამე ქორწინება იყო).

სამაგიეროდ არჩილმა წამოიყვანა ლევან დადიანის ვაჟი მანუჩარი, მისი „ადრინდელი სასიძო“, დააქორწინა თავის

ქალზე — დარეჯანზე და ორივე — სიძე და ქალიშვილი დაიტოვა თავისთან, ქუთათისში.

უბედურება არ ივიწყებდა უსინათლო ბაგრატ მეფეს. უეცრად მოუკვდა ძე, გიორგი, ნაშობი „მშვენიერი თამარისაგან". მერე ესეც შეატყობინეს: მეორე ძე, ალექსანდრე, რომელიც ისევ ახალციხის ფაშას კარზე ყოფილა, ქართლის მეფე გიორგი XI-ს მოუტაცნია.

ძლივს დასწიწკნა ხელიდან სასოწარკვეთას გიორგი გურიელმა ბაგრატ მეფე. ასლან ფაშას კვლავ დიდძალი ქრთამი მიართვეს და „შეევედრნენ": შემწეობა აღმოგვიჩინე არჩილის გასაძევებლად, იმერეთის ტახტზე ბაგრატის აღსადგენად და ალექსანდრე უფლისწულის გადასარჩენადო.

ასლან ფაშამ ხონთქარს შეუთვალა ყოველივე. განრისხდა ხონთქარი — როგორ თუ არ იშლიან სპარსეთის ქვეშევრდომი ქართლელები „ჩემი იმერეთის" საქმეებში ხელის ფათურსო! და მაშინვე არზრუმის ფაშა გამოგზავნა იმერეთში დიდის მხედრობით.

მიეგებნენ ბაგრატ მეფე და გიორგი გურიელი ფერსათზე გადმოსულ თურქთა ლაშქარს.

არჩილ მეფემაც „შემოიკრიბნა სრულიად იმერნი, შეიფიცნა და ლამოდა ბრძოლასა".

1679 წლის აგვისტოს შეხვდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგენი.

მაგრამ ბრძოლა არ მომხდარა, რადგან იარაღის დაძვრამდე იმერთა ჯარმა არჩილი მიატოვა და ბაგრატს ეახლა.

მარტო დარჩენილმა არჩილმა ცხენი შემოაბრუნა და რაჭისკენ გაქუსლა. „მიჰყვნენ ოსმალნი არჩილს". რაჭველებიც დაუხვდნენ მტერს. ხრეითის მთაზე ატყდა „ცემა თოფთა", ბრძოლაში დაიღუპა საზვერელი ჩიჯავაძე. სამაგიეროდ რაჭველებმა ჩაქლიტეს მრავალი ოსმალო მეომარი.

მაგრამ სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა. „სიმრავლითა სძლეს ოსმალთა, გარდვიდნენ რაჭას, მოსწვნეს და მოსტყვევნეს".

ასე დაარბიეს თურქებმა რაჭა, რომელიც „მისდღეში არვისგან დარბეულიყო".

ერთხანს კვაცხუთში დადგა არზრუმის ფაშა.

აქ არჩილის წერილი მოუვიდა: რაც მოხდა, სულ ასლან ფაშასგან მოხდაო; დიდძალი საგანძური გამომართვა, ხონთქარს უნდა გავუგზავნოო, იმერეთი შენთვის გვიბოძებიაო, და „აწ რაი არს შეცოდება ჩემი?!“ — იწერებოდა რაჭიდან დვალეთს გადასული არჩილი.

არზრუმის ფაშამ მაშინვე ხონთქარს მისწერა ყოველივე. რისხვით ატანილმა ხონთქარმა ასლან ფაშას თავის დაგდებინება ბრძანა.

კვაცხუთს გამოიძახა არზრუმელმა ფაშამ ახალციხელი ფაშა. თავი მოჰკვეთა და ხონთქარს გაუგზავნა სტამბოლს.

მამის თავს სტამბოლში გაჰყვა შვილი — უსუფ ჯაყელი, რომელმაც ფადიშაჰს სწორედ მამისგან ნაგროვები საგანძურები ჩაუტანა და სამაგიეროდ ახალციხის ფაშობა „გაირტყა“.

ასე დაიწყო „მოღვაწეობა“ უ ს უ ფ ფ ა შ ა ს ი, ისეთივე ანტიქართულობით, როგორც მისი ახლო წინაპრები — „გათათრებულნი ქართველნი“.

ხოლო არჩილს გამოდევნებული თურქები რაჭიდან მობრუნდნენ. ერთხანს კვახჭირს დადგნენ. აქედან არზრუმის ფაშამ „მოსტყვევნა და მოსრნა ურჩნი იმერნი“, ბაგრატ IV ისევ დასვა ქუთათისის ტახტზე და ამის შემდეგ გაბრუნდა საქართველოდან.

ეს ბაგრატ IV-ის მეოთხე გამეფება იყო.

ახალი გამეფებისთანავე ბაგრატმა „მოიმტკიცა იმერნი, შემოიკრიბნა და წარვიდა ოდიშს“. ლევან დადიანიც შემოეგება ჯარით.

სასტიკი ბრძოლა.

გაიმარჯვა ბაგრატ მეფემ.

მაშინვე წაართვა დადიანს ცოლი — „მშვენიერი თამარი“, დაიბრუნა თავისივე ცოლად „და მოვიდა ქუთათისს გამარჯვებული“.

ეს „მშვენიერი თამარის“ მეოთხე ქორწინება იყო.

(დიდებულად კი გამოვიდა: ბაგრატი — მეოთხედ გამეფებული, თამარი — მეოთხედ გათხოვილი!).

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდა არჩილი მძიმე ფიქრებით დატვირთული და დარეგვილი.

ჩრდილოეთისკენ მიდიოდა.

რამეთუ მას და მის სამშობლოს ყოველი სხვა გზა დახშობოდა სამარადისოდ (სამარადისოდ?!) — აღმოსავლეთიც, დასავლეთიც და სამხრეთიც.

მხოლოდ ჩრდილოეთი დარჩენილიყო საქართველოს „დახსნის უნარით" — რუსეთი, დიდი თეთრი ქვეყანა, „თეთრი ქრისტიანებით" დასახლებული სამყარო.

მაინც უცხო ქვეყანაში მიდიოდა არჩილი.

მაგრამ რაღა მაინცადამაინც არჩილს უნდა აშინებდეს „უცხო", „უცხოური" და „უცხოეთი"?

აკი ყოველი ქართველისთვის „უცხო" უეჭველად „კარგს" ნიშნავს, „უცხოური" — „უკეთესს", „საუცხოო", — „საუკეთესოს", „უცხოეთი" — „უკეთესთა ქუეყანას"?!

ისედაც — უცხოეთში უფრო ძლიერად გამოსჩანან ხოლმე ქართველობა, ვიდრე საქართველოში!

ხოლო — რუსებმა ძალიან „შეყვარება" და „გაშინაურება" იციან თურმე ქართველებისა...

თავდავიწყებით მიელტვოდა მეფე-პოეტი ჩრდილოეთისკენ.

. . . . . .

ლევან დადიანი ახალი შურისგებისთვის ემზადებოდა. იგი „ეზრახა" გიორგი გურიელს და მძევლად თავისი ვაჟი, მანუჩარი მისცა, გურია-სამეგრელოს „მუდმივი ზავის" პირობად.

დღეს-ხვალ, ალბათ, კიდევაც უნდა გამოსულიყო დადიანი ბაგრატ მეფესთან საომრად, მაგრამ სამეგრელოს მთავარი მოულოდნელად გარდაიცვალა (1680 წ.).

ლევან დადიანი რომ მიწას მიაბარეს, სამეგრელოს მესვეურებმა გიორგი გურიელს მასთან მძევლად მყოფი მანუჩარ ლევანის ძე გამოსთხოვეს „საყოფლად დადიანად".

გიორგი გურიელმა პირდაპირ გამოუცხადა ოდიშარებს: მე ამიყვანეთ დადიანის ტახტზეო.

მთელმა სამეგრელომ იარაღი აისხა გურიელის ესოდენ კადნიერი სურვილის გამჟღავნების გამო. ციხესიმაგრეებში ჩასაფრდნენ, გზები შეკრეს და გურიელს შეუთვალეს: „ვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემდის მანუჩარ ბატონიშვილი ცოცხალია, ოდიშს და მის ციხეებს არავის დავანებებთო!“

გიორგი გურიელმა ოდიშართა ამნაირი განცხადება „თავისებურად გაიგო“: რაკი ჩემს დადიანობას მანუჩარის სიცოცხლე აბრკოლებსო... და მოჰკლა მანუჩარ ლევანის ძე. მოჰკლა და წავიდა გურულთა ჯარით ოდიშის ტახტის დასაჭერად. მაგრამ მეგრელებმა უკუაქციეს იგი, დამარცხებული და სისხლდადენილი.

1681 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატ IV.

გელათს დაკრძალეს კიდევ ერთი „მიკრო-მონარქი“, რომელსაც დაბადებიდან სამარის კარამდე ჭაპანწყვეტით მიეთრია თავისი ქონდრისკაცური წუთისოფელი.

უცნაური რამ არის გულგრილობა არსთა მშობელი და მასაზრდოებელი „დედა-მიწისა“. იგი ხომ ერთნაირი „განუსხვავებლობით“ ღებულობს. ათბობს და ამიწებს ყველას — „დიდსა“ და „მცირეს“.

გულგრილი იყო „გელათის დედა-მიწაც“, რამეთუ აქაური მიწის წიაღში ერთმანეთის გვერდით (იქნებ ერთმანეთშიც არეულნი?!), ერთმანეთისგან განუსხვავებლად ეყარა ძვლები იმერელ მეფუკა გვირგვინოსნებისა ბუმბერაზი დავით აღმაშენებლისა და ღვთაებრივი თამარ შვიდმნათობიერისა!

რა გაეწყობა! ნებითა და ბუნებითა „დედა-მიწისათა“ არც ძვლები წითლდებიან სირცხვილისაგან.

. . . . . .

უმეფოდ დარჩენილმა იმერეთის მესვეურებმა ქუთათისის ტახტზე მოიწვიეს ეს გიორგი გურიელი.

აღესრულა გურიის მთავრის ნიადაგეული ნაოცნებარი. იგი ახლა იმერეთის მეფე იყო. ხოლო მეფეს აქვს „ყველაფრის უფლება“ — ნივთიერიც, ზნეობრივიც, სულიერიც, სჯულიერიც, თუნდაც — ის, რაიც ჩვეულებრივი ადამიანებისათვის „უზნეოა“, მეფისთვის (თუკი იგი ამ „საყოველთაო უზნეოს“ აიჩემებს) — უცებ „ზნეობრივი“ გახდება, მორჩა და გათავდა!

ასე, — სავსებით „ზნეობრივი“ ყოფილა გიორგი გურიელისათვის ის, რომ მან ცოლად შეირთო ბაგრატ IV-ის ქვრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი — „მშვენიერი თამარი“. (ეს ამ ქალის მეხუთე ქორწინება იყო). არ დაგვავიწყდეს, რომ თამარი გიორგი გურიელის სიდედრი გახლდათ; აკი ბაგრატისა და თამარის ასული — დარეჯანი ცოლად ჰყავს გურიელს!

ჰოდა, გიორგი გურიელმა ცოლად შეირთო სიდედრი, ანუ — გაუშვა კანონიერი ცოლი და მის ნაცვლად შეირთო დედამისი! (ძალიან დიდი მანძილი აღარც კი დარჩენილა ყბადაღებული „ოიდიპოსის კომპლექსამდე!“).

რუსეთის ცის ქვეშ

რაჭიდან წასულმა არჩილმა ცოლ-შვილი დვალეთს „დაასადგურნა“, თვითონ ჩხერის ციხეს მივიდა და იქიდან კიდევ რვა თვე ამაოდ „ეზრახებოდა“ იმერეთის მესვეურებს ბაგრატ მეფის ჩამოსაგდებად და ქუთათისის ტახტის დასაბრუნებლად.

კიდევ ერთი წელიწადი არჩილმა ფაიქომს გაატარა და აქვე, „ვითაც მოწყენილმა კაცმა“, დაწერა ექვსას სამოცდაშვიდი სტროფი თავისი პოემისა — „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“.

1682 წელს იგი რუსეთს გაემგზავრა „დედა-წულითა თვისითა“ — ცოლი ქეთევანი, შვილები — ჩვიდმეტი წლის დარეჯანი, რვა წლის ალექსანდრე, ექვსი წლის მამუკა (მათე) და ერთი წლის დავითი.

გაიარეს თერგი და გავიდნენ „აშტრახანს“. აქ მათ თევდორე რუსთა მეფის სიკვდილი შეატყობინეს და სამი წელიწადი აყურყუტეს „აშტრახანს“.

აქვე, 1683 წლის საახალწლო დღესასწაულზე არჩილისა და მისი სახლეულის სადგომს ხანძარი გაუჩნდა. ხის სახლი მთლიანად დაიწვა. ყველაფერი დაეღუპათ, ოღონდ ცოცხლები დარჩნენ თვითონ და „სასწაულებრივად“ გადარჩა ნივთები, რომელთაც „ქრისტეს წმიდა ნაწილებს“ ეძახდნენ („სამსჭვალნი, სუდარა, საბელი“).

„ამტრახანს“ არჩილმა დაწერა კიდევ ოთხას ოცი სტროფი და ამით დაასრულა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“.

ამასობაში არჩილის ელჩი — თავადი დიმიტრი ქვარიანი ამაოდ „აწუხებდა“ რუსეთის სამეფოს კარს — მიეცათ მოსკოვს გამგზავრების უფლება „მუსულმანთაგან შეკიწროებული ივერიელი მეფისთვის“.

რუსეთის მაშინდელი სასახლის კარი, სადაც იმჟამად ყმაწვილი ძმანი — პეტრე და ივანე მბრძანებლობდნენ, არჩილს ბოლოდ თერგში ცხოვრების უფლებას „სთავაზობდა“.

ამის თაობაზე მოსკოვიდან ასტრახანს საგანგებოდ გამოემგზავრნენ თედორე ვოლკონსკი და ვასილ მიხაილოვი. ჩამოვიდნენ და არჩილს მიართვეს სიგელი რუსეთის ქვეშევრდომობაში მისი მიღებისა და უკაზი თერგში, საგანგებოდ „მოწყობილ სასახლეში“, „გაუჭირვებლად“ ცხოვრებისა.

არჩილი მიხვდა, რატომ გაურბოდა რუსეთის სამეფო კარი მოსკოვში მის „დაშვებას“. რუსეთის ხელისუფლება „ივერიის ტახტის მეუფეობას“, არჩილსა და გიორგიზე მეტად, ისევ უფლისწულ ნიკოლოზს (ერეკლეს) ანიჭებდა.

მაშინ არჩილმა მოსკოვში ჩასვლის „პირველ ნაბიჯად“ თავისი ვაჟიშვილების გაგზავნა გადაწყვიტა და რუსეთის მეფეებს წერილი გაუგზავნა:

„...დიდო ხელმწიფენო, მოგეხსენებათ, მე დიდსა და კურთხეულს თქვენს ძმას — ხელმწიფე ალექსის შვილს ამისთვის დავუკარ თავი, რომ მის წინაშე თავის დაკვრა მღირსებოდა და დიდმა ხელმწიფემა თედორე ალექსის შვილმაც მაგისი წყალობა მიყო და ეს ეწერა წიგნსა და ბრძანებასა მისსა: „შენ შენი თქმული გაათავე და წამოდიო და ჩემის დიდი ხელმწიფობისაგან დიდი წყალობის იმედი გქონდესო“. მე ჩემი მოხსენება გავათავე და დიდის ხელმწიფის მეფის თედორე ალექსის შვილის ბრძანება და წამოველ და იქნა ბრძანება მღთის და ამ საწუთროს სოფლისაგან საუკუნეს და წარუალს ცხოვრებას მიიცვალა, აწ, თქვენ სხედხართ მას ტახტზე, დიდნო ხელმწიფენო, მეფენო ივანე ალექსის შვილო და პეტრე ალექსის შვილო, ყოველის დიდისა და ცოტას, თეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის რუსეთის მქირავნელნო და თქვენც დიდს მეფობასა და ხელმწიფობასაც ამას ვეხვეწებით, დაგიკრავ თავსა, რომ თქვენს წინ თავის დაკვრა მაღირსოთ.

თუ არა და, ჩემს თქვენ ტახტს წინ მოსვლას არ ბრძანებთ, სამი პატარა შვილი მამირჩენია, თქვენის ძალით, ურჯულოთ ხელთაგან და მღთის გულისათვის დაიმდაბლეთ მაღალი თავი და წმიდასა ღვთისმშობელსა დაამადლეთ, ამ ჩემს შვილებს თქვენ საფარველ ქვეშ მისვლა აღირსეთ, რომ ამითი ურჯულოთ ხელთ ჩაცვივნის ეჭვიდამ გამოვიდე...".

1684 წლის იანვარში მოსკოვიდან ასტრახანს პასუხი მოვიდა. სამეფო სიგელში შეწყნარებული იყო არჩილის თხოვნა: მოსკოვს უნდა გამგზავრებულიყო მისი ორი ვაჟი — ათი წლის ალექსანდრე და რვა წლის მათე (მამუკა), ხოლო დავითი მცირეწლოვანების გამო დედ-მამასთან უნდა დარჩენილიყო.

არჩილმა თავისი ამალიდან სამოცდაცხრა კაცი გამოჰყო და ააბლა მოსკოვს მიმავალ შვილებს.

იალქნიანი გემი გამართეს, სურსათ-სანოვაგით დატვირთეს და, თედორე ვოლკონსკის მეთაურობით, 1684 წლის 28 აპრილს ჩრდილოეთისკენ შეუყვნენ ვოლგას.

4 ივნისს, სიმბირსკში მეფეთა პირადი კარეტა შემოაგებეს ქართველ მეფეწულთ. აგვისტოში უკვე მოსკოვში იყვნენ.

ბასმანის სლაბოდაზე, რუსეთის ხელმწიფეთა საგანგებო ბრძანებით, ქართველებს დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. მერე პოკროვკაზე „დავიდოვის სასახლეში" დააბინავეს. ქართველ უფლისწულებზე ზრუნვასა და მეურვეობის მეთაურობა დაეკისრა „მეფის დიდი ბეჭდის და დიდ სახელმწიფო საქმეთა მცველს, ნოვგოროდის მთავარს ვასილ ვასილის ძე გ ო ლ ი ც ი ნ ს".

არჩილი შვილების საშუალებით უფრო საიმედოდ „ჩაეჭიდა" დიდი საქრისტიანო ქვეყნის სამეუფო კარს. იგი ზედიზედ აგზავნიდა ერთგულ თანამგზავრებს მოსკოვში, წერილებს უგზავნიდა შვილებს, მათ მზრუნველ გოლიცინს და თვითონ ხელმწიფეებს. ასე რომ, ასტრახანში არჩილი ყო-

ველთვის დაწვრილებით ტყობილობდა რუსეთის სატახტოში მომხდარ ამბებს.

მან იცოდა, როგორ შეხვედრიან მის შვილებს რუსეთის ხელმწიფენი. გამორჩევით, პეტრეს მოსწონებია არჩილის უფროსი ძე — ალექსანდრე: ახოვანი, წყობილნაკუთოვანი, ჭკვიანი, არწივული გამოხედვით, ენერგიული ლოყა-ნიკაპით; მუქი წაბლისფერი გრძელი თმებით და ფიცხელი ხასიათით. ძმასავით ახლობელ და განუყოფელ მეგობრად აუყვანია პეტრეს ალექსანდრე. განუტევებლად თან დაჰყავს თურმე პრეობრაჟენსკოეში და ახლა მასთან ერთად მართავს საომარ წრთვნასა და თამაშ-ვარჯიშობებს. უერთმანეთოდ წყალს არ გადააქცევენ თურმე რუსი და ქართველი ძმანი.

არჩილმა ისიც შეიტყო, რომ მოსკოვში „რაღაც ისეთიც“ მოხდა, რამაც რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება მოულოდნელად ყმაწვილ ხელმწიფეთა უფროს დას — სოფიოს არგუნა. არავინ იცოდა, რამდენად მდგრადი იქნებოდა „სოფიოს მმართველობა“, მაგრამ არჩილს ესეც სცოდნია, რომ მისი შვილების მეურვე ვასილ ვასილის ძე გოლიცინი სწორედ სოფიოს „საყვარელი თავადი“ ყოფილა. დრო დაიცა არჩილმა და ისევ გაუგზავნა წერილი გოლიცინს, ერთგულ კაცთა — ბეჟან „შიოს შვილისა“ და ნოდარ „იასეს შვილის“ ხელით.

არჩილი ახლა, „გოლიცინის გზით“, დედოფალ სოფიოს სთხოვდა მოსკოვში წვევის ნებართვას.

თანხმობა მართლაც მოვიდა.

1685 წლის 14 დეკემბერს არჩილ მეფე, დედოფალი ელენე და მათი შვილები — დარეჯანი და დავითი უკვე მოსკოვში იყვნენ.

ისევ გამორჩეული პატივით მიიღეს რუსებმა ქართველები.

სამი წელიწადი იცხოვრა, იშრომა და იბრძოლა არჩილმა მოსკოვში.

ბედნიერი იყო (თუ შეიძლება ბედნიერი ერქვას სამშობლოდან გადაკარგულ კაცს), რამეთუ იყო რუსთაგან დიდი ყურადღების ქვეშ. ცხოვრობდა საკუთარ ოჯახურ ბუდეში (თუმცა მისი მშობლიური მიწა-საყრდენიდან „გადაბუდებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში“), ჰქონდა დაუმადლებელი ლუკმა (თუმცა მაინც სხვისი ხელით „მოშავებული“).

რუსული ენა მალე შეითვისა. კითხულობდა ყველაფერს, რასაც ხელი მოუხვდებოდა, თარგმნიდა ყველაფერს, რისი თარგმნაც მისი აზრით ქართველ მკითხველს „შეერგებოდა“. გატაცებით წერდა ლექსებს, პოემებს, შეგონებებს — ყველაფერს, რასაც მერე „არჩილიანი“ უნდა დარქმეოდა.

ნიკოლსკის ქუჩაზე დადიოდა ხშირად, სტამბას ეწვეოდა, უკირკიტებდა, ოსტატებს ესაუბრებოდა, სწავლობდა, ყველაფერს ითვისებდა და ითავისებდა, რაიც მესტამბეობასა და წიგნის ბეჭდურ ხორცსხმას ესაჭიროებოდა. ოცნებობდა იმ ბედნიერ დღეზე, როცა საქართველოშიც ახმაურდებოდა სასტამბო დაზგები და ლიტერები, როცა მისი თანამემამულენი თრთოლვით აიღებდნენ ხელში ქართული ასო-ნიშნებით თვალახელილ „ვეფხისტყაოსანს“, „დაბადებას“, „სახარებას“ და იქნებ... „არჩილიანსაც“.

შეიტყო, რომ ჰოლანდიაში, ამსტერდამში — მსოფლიო სასტამბო ხელოვნების შუაგულში — ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კიშ ტოტფალუში, მთელს ქვეყანაზე უპირველესი მესტამბე, ასოთმოქანდაკე, შრიფტის ჩამომსხმელი. ფიქრით და ოცნებით ტანში იჭმებოდა არჩილი — როგორ დაკავშირებოდა ტოტფალუშს და შეეკვეთა მისთვის ქართული შრიფტი.

იმჟამად მოსკოვში შვედი მეცნიერი — შპარვენფელდი გამოჩნდა. არჩილი შეხვდა მას, მოხიბლა, დაიახლოვა, დაასაჩუქრა და მოციქულობა სთხოვა ტოტფალუშთან. შვედმა სიამოვნებით იკისრა ქართველი მეფისა და მწერლის შუამავლობა. თვითონ წერდა შემდგომ შპარვენფელდი:

„ჩემს დროს ბაგრატიონთა გვარეულობა მეფობდა იმერეთში, გურჯისტანის ნაწილში, და არჩილ მეფეს, რომელიც გამოძევებული იყო და იდევნებოდა ოსმალთაგანაც და სპარსელთაგანაც, ვიცნობდი მე მოსკოვში. წასვლისას მან მაჩუქა ხალათი... და მისი თხოვნით მე შევუკვეთე ქართული სასტამბო შრიფტი ამსტერდამში კიშ ტოტფალუშს“.

ამ შუამდგომლობის შემდგომ არჩილმა ამსტერდამს გაგზავნა ქართული ანბანის ნიმუშები ხელნაწერად. ამასთან არ-

ჩილმა წერილი მისწერა ამსტერდამის ქალაქის თავს — ნ ი კ ო ლ ო ზ ვ ი ტ ს ე ნ ს, რომელიც ქართველი მეფის საპატიოდ „ძალიან გაისარჯა“.

ტოტფალუშმა ჩამოასხა ქართული ასო-ნიშნები და გაგზავნა მოსკოვს. არჩილმა და მოსკოველმა „კოლონისტმა ქართველებმა“ შრიფტი დაიწუნეს. ტოტფალუშმა ბოდიში იხადა, — ასეთი „უცხო ანბანი“ კი არა, ხელნაწერიდან „უბრალო ლათინურის“ უნაკლოდ ჩამოსხმაც არ მოხერხდებაო. ამიტომ ჩემი ნამუშევარი „ჩაასწორეთ“, გამომიგზავნეთ და ვეცდები უფრო ზუსტად ჩამოვასხაო.

მოსკოველმა ქართველებმა შრიფტი „გაასწორეს“ და გაგზავნეს. მეორედ ჩამოასხა ტოტფალუშმა ქართული ანბანი. ამჯერად ყოველი ასო-ნიშანი „სრულიად უშეცდომოდ“ იყო შესრულებული.

მაგრამ ქართულმა სასტამბო ანბანმა, მიზეზთა სხვათა და სხვათა (მოგვიანებით ვისაუბრებთ ამ მიზეზებზე), მოსკოვისა და საქართველოს მაგივრად, თავი ამოჰყო შვეციაში.

. . . . . .

უხაროდა არჩილს, რომ მისი შვილები უგანათლებულესი მეურვის ხელში მოხვდნენ. ვასილ გოლიცინის ბრწყინვალე სასახლე ოხოტნი რიადზე მაღალი გემოვნებითა და სინატიფით გაწყობილი, ევროპული ავეჯი, ხელოვნების ძეგლები, ფერწერული ნამუშევრები, საწიგნობელნი — რუსული, ბერძნული, ლათინური, ჰოლანდიური და გერმანული წიგნებით, გეოგრაფიული რუკებით; სწავლულთა, მწერალთა, ხელოვანთა და პოლიტიკოსთა შეხვედრები; საუბრები მეცნიერებაზე, მწერლობაზე, ხელოვნებაზე...

უხაროდა, რომ მისი ძე ალექსანდრე ისე დაეახლოვებინა და დაუძმობილებია მეფე პეტრეს. არჩილმაც იცოდა, რომ პეტრე იმ ორი პოლკის — პრეობრაჟენსკისა და სემიონოვის პოლკთა საომარი წრთვნით იყო გართული და ჭაბუკი მეფის „მარჯვენა ხელად“ იქცა მისი საყვარელი „იმერეტინსკი პრინც ალექსანდრ არჩილოვიჩი“ ჰყავდა.

საოცარი მხოლოდ ის იყო, რომ არჩილი და მისი ჯალაბი ერთნაირი, „თანაბარი სიყვარულით“ იყვნენ მიღებულნი რუსეთის სახელმწიფოს ორივე მმართველ წრეში — დანასისხ-

ლად გადამტერებულ მილოსლავსკებისა და ნარიშკინების ოჯახებში.

არჩილმა იცოდა, რომ რუსეთის სამეფო კარისგან საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენის საქმეში დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო რუსული ეკლესიის საჭეთმპყრობელს — პატრიარქ ი ო ა კ ი მ ს. ამიტომ არჩილმა ამისდა კვალად შემოუთვალა საქართველოს კათალიკოსს — ნიკოლოზს — გაემართა მიმოწერა იოაკიმთან.

მართლაც, 1687 წლის 15 ივლისს საქართველოდან მოსკოვს ჩამოვიდა არქიმანდრიტი ლ ა ვ რ ე ნ ტ ი, რომელმაც არჩილს აახლა ნიკოლოზ კათალიკოსის წერილი პატრიარქ იოაკიმისადმი.

ქართველი მღვდელმთავარი რუს მღვდელმთავარს სწერდა:

„დიდო მღვდელ-მთავარო იოაკიმ!

ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ქრისტიანენი და საყდარნი და მონასტერნი დიად ძალდამართებული შეიქმნა უსჯულოთა აგარიანთა ხელისაგან და მრავალი უწესური და ავი საქმე მოინდომეს საქნელად. ამდონი ავი საქმე ჩვენის რჯულისა ვერ დაითმინა და ამათ უსჯულოს ბრძანებას დაემონა და მომართა დიდს მეფესა, დიდს კნიაზსა თედორე ალექსის შვილსა და მისის დიდის იმედითა და ზურგით წამოვიდა ბატონი მეფე არჩილ, ვახტანგის შვილი, იმერეთისა და კახეთისა.

აწ მოვიდა და მობრძანდა თქვენგან კურთხეულისა და თქვენის მადლით კეთილად დამწყსულს, თქვენის მაღალთ ხელმწიფეთ ტახტსა და საბატონოზე და რომელიც თქვენს პატიოსნებასა და ღირსებასა ეკადრების პატივით შეწყნარება და ნუგეშინის ცემა გიქნიათ. მაგაზე ჯერ ღმერთი დაგიმადლებსთ, რომე უსჯულოთაგან ძალდამართებული ხელმწიფე არის იმერეთისა და კახეთისა. მართლმადიდებელი მეფე ბატონი არჩილ, ვახტანგის შვილი, შემწე ეყავ, ვითარცა ეყო უფალი იაკობს უცხოებასა შინა, შემწე ეყავ, ვითარცა დამბადებელი დავითს გოლიათზედა.

სოლომონ ბრძანებს, ბრძენთან ერთი სიტყვა კმა არსო აწ, ჩვენ მრავალ სიტყვით ამას გეველრებით და გეხვეწებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც სჯობდეს და ქრისტიანობას მოუხდებოდეს, იმისთანა მამულიშვილური საქმე მოუხდინეთ რომ, ეს ჩვენი ქვეყანა და ქრისტიანობა, მონასტერი და საყდარი, ხატი, ჯვარი უსჯულოთ აგარიანთაგან დასატაცები და წასახდენი არ შეიქნას...".

ეს წერილი არჩილმა და ლავრენტიმ ერთად განიხილეს, ყველაფერი აწონ-დაწონეს და ბოლოს ლავრენტი ეახლა კიდეც პატრიარქ იოაკიმს მისი მეუფის წერილით ხელში.

იოაკიმმა გულდასმით მოისმინა წერილიც და თვითონ ლავრენტის პირადად მონახსენები. საკითხი ახლაც ისე იდგა: ვის უნდა მინიჭებოდა რუსეთის მესვეურთა თვალში უპირატესობა — ნიკოლოზ (ერეკლე) ბატონიშვილს, თუ არჩილსა და გიორგის. ლავრენტიმ ფრთხილად „გადაჭკრა": ნიკოლოზ ბატონიშვილმა სპარსეთში მუსლიმანობა უკვე მიიღო და თათრული სახელი — „ნაზარ-ალი-ხანი" დაირქვაო. იოაკიმმა მაშინვე ჩაუჭრა: ეგ დიახაც დიდი ცოდვაა, მაგრამ არჩილ მეფემაც ხომ მიიღო სპარსეთში „ურჯულო სახელი" — „შაჰ-ნაზარ-ხანიო".

მაშ, არც ისე „უვიცი" ყოფილა რუსეთის მღვდელმთავარი „საქართველოს საქმეებში" და არც ისე იოლი ყოფილა მისი მოტყუება!

მაგრამ ბოლოს მაინც არჩილისა და მისი ძმის სასარგებლოდ გადასწონა სასწორი იოაკიმმა: რაკი ნიკოლოზ ბატონიშვილი ისე გათათრდა, რომ არავითარი გულისტკივილი ქრისტიანობისადმი არ გამოუჩენია, ხოლო არჩილი და გიორგი მუდამ ქრისტეს სჯულის განმტკიცებისათვის იბრძვიან, ამიტომ ჩვენც ხელი უნდა შევუწყოთ, რამეთუ სწორედ ესენი დაემკვიდრონ საქართველოს მეფეებადო.

. . . . . .

1687 წლის ნოემბერში არჩილ მეფემ თავის ძეს — ალექსანდრეს ცოლად შერთო თ ე ო დ ო ს ი ა ივანეს ასული მილოსლავსკაია, დედოფალი სოფიოს ახლო ნათესავი. ეს ქალი ქართველი უფლისწულის საცოლედ შეარჩია თვითონ დედოფალმა სოფიომ და მისმა „წრემ", გინა „გოლიცინის წრემ". ქორწინებასაც ესწრებოდა სოფიო, ვითარცა ახლო ნათესავი პატარძლისა. ხელმწიფე-დედოფალმა სიძეს საქორ-

წინო საჩუქრები მიართვა: ათგირვანწქიანი ოქროს თასი, ათადლიანი ოქროსფერი ატლასი, ათადლიანი წითელი ატლასი, ათადლიანი ორპირი ქამხა, ხუთადლიანი სილისფერი ფარჩა, სამასი მანეთის სიასამური.

პეტრეს მოძულე მილოსლავსკებთან ალექსანდრეს დამოყვრებას ოდწავადაც არ შეუსუსტებია ჭაბუკი ხელმწიფისა და „იმერელი პრინცის“ მეგობრობა და „განუყრელობა“...

იმჟამად რუსეთი, ავსტრია, პოლონეთი და ვენეცია თურქეთთან ომისათვის ემზადებოდნენ. არჩილმა იფიქრა, რომ ახლა „დაუდგა დრო“ საქართველოს — შეერთებოდა „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ მარად მოსისხლე ოსმალეთის დასამხობად.

ეს ოსმალეთი, მაგრამ სპარსეთი?!

სპარსეთზე სამტრო სიტყვას მოსკოვის კარზე ჯერჯერობით არავინ ისმენდა. ჯერჯერობით რუსეთის „დიდი ხელმწიფენი შაჰთან ურთიერთობასა და მეგობრობაში არიანო“, ეუბნებოდნენ არჩილს.

რა გაეწყობოდა, — დაე, ჯერ „ოსმალო-თათრებისთვის“ გაესწორებიათ ქართველებს ანგარიში და მერე, ალბათ, „ყიზილბაშ-თათართა“ განკითხვის ჟამიც დარეკავდა!

არჩილმა თავის ორ შვილთან — ალექსანდრესთან და მათე-მამუკასთან ერთად საქართველოში გამოშვება ითხოვა.

რუსხელმწიფენი დათანხმდნენ: დაე, გაემგზავროს არჩილი და დაეუფლოს „თავის სამეფოს“ — იმერეთს, ეომოს თურქებს, ხოლო, რაც შეეხება ქართლს — „ქართლის საქმეები“ მოსკოვს არ ეხება!

მაშ, რუსეთის უზენაესი ხელისუფლება არჩილს ისევ მხოლოდ „იმერეთის მეფედ“ აღიარებს, მის ვაჟებსაც „იმერეთის პრინცებს“ ეძახის, ხოლო ქართლი და კახეთი ისევ ერანის „შინაურ საქმეებად“ მიაჩნდა.

ეს „პირობები“ უნდა იკმაროს არჩილმა — უნდა იკმაროს ჯერჯერობით მაინც.

. . . . . .

1688 წლის 30 მაისს პეტრეს დღეობა იყო — იგი თექვსმეტი წლისა შესრულდა (მისი „ძმობილი“ ალექსანდრე არჩილის ძე ორი წლით უმცროსი იყო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრეს დღეობა ქართველებთან გამომშვიდობების დღედ გადაიქცა.

სუფრასთან პეტრე საკუთარი ხელით უმასპინძლდებოდა ალექსანდრეს, მის მამას და ძმებს.

ითქვა „გულითადი“ და „გულმხურვალე“ სადღეგრძელონი.

ერთხელ კიდევ „დაიდო პირობა“, — რომ ქართველები მხოლოდ „დროებით“ მიდიოდნენ საქართველოში და ისევ დაბრუნდებოდნენ მოსკოვში.

დარიგდა საჩუქრები — ძვირფასი დიბა-ატლასი, ფარჩა-აბრეშუმი, ოქრო-ნემსული ტანსაცმელნი, სიასამური, ოქროვერცხლის თასები და ფული.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

ქართველები ხომალდებში მოეწყვნენ და გამოემართნენ.

მოდიოდა საქართველოში არჩილ მეფე და არ იცოდა, რომ არც თურქეთის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ომი“ მოხდებოდა და არც მის „კუთვნილ იმერეთში“ დახვდებოდა გაწყობილი „სამეფო სუფრა“.

ოცი წლის შემდგომ

გიორგი გურიელს იმერეთის მპყრობელობა და „მშვენიერი თამარის“ მფლობელობა აღარ ესაკმარისებოდა. მას დადიანობის ჯავრიც აწუხებდა და „მცდელობდა ოდიშსაცა დაპყრობად“.

მაგრამ მაგრად იყო კაცია ჩიქოვანი, სალიპარტიანოს გამგებელი და „უდადიანოდ“ დარჩენილი ოდიშის „პატრონი“. ბევრი წარჩინებული მეტოქე გამოასალმეს წუთისოფელს ძმებმა ჩიქოვანებმა — ჭყონდიდელმა და კაციამ. წაქეზება არ სჭირდებოდა კაციას, მაგრამ მაინც შეაგონებდა ხოლმე ჭყონდიდელი: „იმ კაცს, ჩვენ რომ თვალში გვეჩხირება, მხოლოდ ერთი თოფი ეყოფის!“ კაციამაც კარგად იცოდა, რომ ადამიანს ნახევარი ნეკის ტოლა ჰყოფნის სასიკვდილოდ. და

ასე — „ერთი თოფის“ სროლით „მოსრნა მრავალნი შემძლებელნი და წარჩინებულნი ოდიშისანი“. ბევრი მეგრული ოჯახი ააწიოკა მედროვემ, ბევრი თურქ ვაჭარს მიჰყიდა და სამუდამოდ დაუკარგა ამოწყვეტილ და გაჩანაგებულ მშობელ ქვეყანას.

კაცია რომ მოკვდა, სალიპარტიანო მემკვიდრეობად მისმა შვილმა გ ი ო რ გ ი მ მიიღო. გიორგი ლიპარტიანმა მამამისი სულ დაჩრდილა სიავკაცით, სიბოროტით, სიხარბით. იყო იგი „უღვთო, ცრუფიც, უპირო, ტყვის-მყიდველ“. ხალხში ხმა დავარდნილიყო: იმ სულძაღლ კაციას შვილისთვის დაუბარებია — ჩექმიანი და კოხუნჯიანი (ქალამნიანი) არავინ დატოვო ცოცხალი და მაშინ შეიძლებ ბატონობასო. და გიორგი ჩიქოვან-ლიპარტიანიც „უმეტეს მამისა თვისისა სრვიდა უწყალოდ და ჰყიდდა ტყვედ ოდიშართა“.

ისარგებლეს აფხაზეთის მთავრებმა სამეგრელოს შინა სისხლთათხევით და გაახშირეს თავდასხმები, ძარცვა-რბევა და მოსახლეობის გატაცება-გაყიდვა ოდიშის მიწებზე, კოდორიდან ენგურამდე. შარვაშიძენი მოუძღოდნენ აფხაზთა მაოხარ ლაშქრობებს, ჯერ ს უ ს ტ ა რ შ ა რ ვ ა შ ი ძ ე, მერე მისი ძ ე ს ო რ ე ხ და სახლიკაცი ყ ვ ა პ უ. საქრისტიანო სამწყსოები — საეპისკოპოსონი მოიშალა მოქვსა და დრანდას.

სამეგრელოში მაშინ იმყოფებოდა იტალიელი კათოლიკე მისიონერი — ძ ა მ პ ი, რომელიც წერდა: „სამეგრელო აღარ არის სამეგრელო, რადგან გაუთავებელმა ომებმა იგი ჩააგდო სიღატაკეში, დააქცია და გაატიალა. აღარავის ჰყავს საქონელი და სარჩო ყველას აკლია... ახლა აქ კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, გამუდმებული შიში სუფევს აფხაზების დაცემისა“.

გიორგი ლიპარტიანი სამეგრელოს „განუყოფელი“ გამგებელი იყო. მაგრამ ლეჩხუმიდან მოსულ „მდაბიო აზნაურს“ მაინც არ შეეძლო დადიანის ტახტზე დამჯდარიყო. ხოლო „სათნოებისათვის მეგრელთა და წინააღმდეგად გურიელისად“ საჭირო იყო „ნამდვილი დადიანი“. ამიტომ მედროვე თვითონ შეუდგა „მისთვის სასარგებლო“ სადადიანო კაცის გამოძებნას. გამოძებნა კიდეც. ეს იყო აწ გარდაცვლილი ლევან III დადიანის უკანონო (მხევალთან გაჩენილი) შვილი,

ესეც სახელად ლევანი. და მას ჩააბარა ოდიშის მთავრის ტახტი. ასე, — წყალობითა და ნებითა გიორგი ჩიქოვან-ლიპარტიანისა — მოექცა სამეგრელოს სათავეში ლ ე ვ ა ნ IV დ ა დ ი ა ნ ი (1683—1691 წწ.).

გიორგი გურიელს „დადიანობის" ხელში ჩაგდების იმედი დაუპატარავდა და დაუკნინდა. ქუთათისის ტახტზეც სუსტად და „უხერხულად" იჯდა, რადგან „იმერეთის თავადებს გურიელის მეფობა ეთაკილებოდათ". ჩვენ თვითონ მაგის ტოლნი და „ამხანაგნი" ვართ და მაგნაირი „თანატოლი" მეფედ რატომ უნდა დავისვათ კისერზეო, გაიძახოდნენ იმერელი თავადები.

ქართლის მეფეც, გიორგი მეთერთმეტე, აღშფოთებული იყო, რომ იმერლებმა სამეფო ტახტი „უღირს გურიელს" დაანებეს და არა მის „მირონცხებულ ძმას" — არჩილს.

თან ყველამ იცოდა, რომ იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე — ალექსანდრე ბაგრატის ძე, სწორედ ქართლის მეფეს ჰყავდა წაყვანილი.

ბოლოს და ბოლოს, იმერეთის თავადობამ ცალკე და გიორგი მეთერთმეტემ ცალკე, ახალციხეში უსუფ ფაშას შეუთვალეს: ქუთათისის ტახტს უკანონო და უღირსი გიორგი გურიელი მოაშორეთ და კანონიერი ხელმწიფე — ალექსანდრე ბაგრატის ძე დანიშნეთო.

უსუფ ფაშამ ხონთქარს შეატყობინა ქართველთა სათხოვარი. ხონთქარი დათანხმდა. გიორგი მეფემ ალექსანდრე ახალციხეში გამოგზავნა. აქ ხონთქრისგან მოძღვნილი ხალათი და ხმალი დაახვედრეს სამეფოდ გამზადებულ უფლისწულს.

შემოიყარა ჯარი უსუფ ფაშამ და წამოიყვანა იმერეთში ალექსანდრე ბაგრატის ძე.

გიორგი გურიელი ქუთათისიდან გურიაში გაიქცა.

იმერეთის ტახტზე ახალი მეფე დაბრძანდა — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე IV (1683—1695 წწ.).

გიორგი გურიელს იმერთა და ოდიშართა გაერთიანების შიში ჰქონია. ამიტომ ქუთათისიდან გაქცევისთანავე თავისი „მშვენიერი ცოლისიდედრი" დადიანთან გაუშვა მოციქულად, „რათა არა მიერთვნენ ოდიშარნი ალექსანდრეს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ „მოციქულობაში“ მოულოდნელად მოკვდა „თამარ მშვენიერი“.

მაშინვე აიშვეს ჭორებმა და ლეგენდებმა ამ „საოცარი ქალის“ შესახებ. ისიც კი ითქვა — სამეგრელოში ფეხმძიმედ მოსულს მუცელი ასტკივდაო, ბავშვის ნაცვლად ცეცხლმოკიდებული მუგუზალი დაჰბადაო (ვითომ ჰეკუბა ყოფილიყოს — ტროას ლეგენდარული დედოფალი!) და ასე გადაჰყვა „ცეცხლოვან მუცელსო“.

მაშ, მომკვდარიყო თამარ ქალი, კონსტანტინე მუხრან-ბატონის ასული, შვილიშვილი მარაბდის გმირის თეიმურაზ მუხრან-ბატონისა და გიორგი სააკაძის ასულისა, ძმისწული მეფე ვახტანგ V შაჰ-ნავაზისა.

ქალი, — მხოლოდ რომლის გულისთვისაც „უღირდათ სიცოცხლე“ დასავლეთ საქართველოს უილაჯო და უძარღვო მესვეურებს.

ქალი, — რომლის მხურვალე საბნის ქვეშ სრული ოცი წლის სიგრძეზე ირჩეოდა და წყდებოდა დასავლეთ საქართველოს სამომავლო ბედი და იღბალი.

ხელმწიფობა ალექსანდრე მეოთხისა

თამარის სიკვდილის გამოისობით გიორგი გურიელს სიკვდილი არ უფიქრია. მან იმ თვეშივე ცოლად შეირთო კაცია ჩიქოვანის მეორე ნაცოლარი, ანუ გიორგი ჩიქოვან-ლიპარტიანის დედინაცვალი, დისწული შოშიტა რაჭის ერისთავისა.

„პოლიტიკური გაანგარიშება“ ჰქონდა გიორგი გურიელის ახალ ქორწინებას. მას ისევ იმერეთის ტახტი ამოეღო მიზანში და ახალი მოყვრები — ლევან IV დადიანი, გიორგი ლიპარტიანი და შოშიტა რაჭის ერისთავი — მისი საიმედო მოკავშირენი და თანამდგომნი უნდა ყოფილიყვნენ ალექსანდრეს დამხობისათვის მომავალ ბრძოლაში.

თავის მხრივ ალექსანდრესაც უცდია ქუთათისის დიდად მორყეული ტახტის გამაგრება. მან თავიდანვე მიაპყრო თვა-

ლი იმჟამად იმერეთის ყველაზე ძლიერ თავადს — პ ა ა ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე ს, რომელსაც „მორჩილებდნენ სრულიად მარგველნი“. მეფემ აბაშიძეს ცოლად შერთო თავისი დაი — დარეჯანი, გიორგი გურიელის წაცოლარი. მეორე დიდი თავადი — გ ი ო რ გ ი მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ალექსანდრეს ბიძად ერგებოდა. ამ ორი თავადის გავლენით მეფემ მოიმტკიცა უმეტესი საიმერეთო.

მომტერენი ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ რ ო კ ი თ ს, 1684 წელს.

მეფის ბანაკში იდგნენ „აბაშიძენი და ზემოურნი და მიქელაძე გიორგი და მარგველნი“. ხოლო გიორგი გურიელის გვერდით გურულთა გარდა დარაზმულიყვნენ: „საჩინოელი ჩიჯავაძენი, გიორგი ლიპარტიანი ოდიშარებით, რაჭის ერისთავი რაჭველებით, ლორთქიფანიძენი და ლეჩხუმელნი“.

სასტიკი იყო როკითის ბრძოლა. უმრავლესობა დაიხოცა, ან მძიმედ დაიჭრა ორივე მხრისა. ამ ცოდვიანი ხოცვა-ჟლეტის მთავარ გმირს — გიორგი გურიელს რომელიღაცამ ლაჯებში შუბი შესცა და უსულოდ დააგორა მიწაზე. ბრძოლაში დაეცნენ შოშიტა რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე. მძიმედ დაიკოდა პაატა აბაშიძე. გიორგი ლიპარტიანს სიკვდილს ყოველთვის სირცხვილი ურჩევნოდა და „დროზე“ გაიქცა ბრძოლიდან ოდიშართა და ლეჩხუმელთა ჯარებით. გურულებმაც მათი მთავრის სიკვდილისთანავე გაქუსლეს გურიისკენ.

გამარჯვებული მობრუნდა სასახლეში ალექსანდრე მეფე.

მისი ბრძანებით, ტყვედ წამოყვანილი მეომრები „დაჰყიდნენ ვეცხლსა ზედა“ (ეს, „როგორც წესი“ — ქართველები ჰყიდიან ქართველებს!).

ალექსანდრე მეფის ბრძანებით, გურიის მთავრად დაჯდა აწ მოკლული გიორგის უმცროსი ძმა — მ ა ლ ა ქ ი ა გ უ რ ი ე ლ ი.

გიორგის ვაჟებმა — ქაიხოსრომ და მამიამ — ახალციხეში გადაასწრეს და უსუფ ფაშას შეაფარეს თავი.

ალექსანდრემ „სამომავლო სიმძლავრისათვის“ გადაწყვიტა დამოყვრებოდა და დაახლოებოდა ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტეს, და ასეთი წერილი მისწერა მას: რაც აქამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკეთე მჭირს, სულ თქვენგან მჭირს; მინდა ვიყო „მონად და ძედ შენდა და მომეც ასული შენი ცოლადო“.

გიორგის იმერეთის მეფის შემოთავაზება დიახაც „განეხარა“, მაგრამ მისი ასული დავით ერისთავზე იყო დაწინდული და ამიტომ უარი შემოუთვალა „სინანულით“. მაშინ ალექსანდრემ ძმისწული სთხოვა გიორგის — ლუარსაბის ასული ელენე.

აქ რაჭის ერისთავი პ ა პ უ ნ ა შოშიტას ძე ჩაერია საქმეში. როკითის სისხლი ჯერ კიდევ არ გამშრალიყო და რაჭის ერისთავისა და იმერეთის მეფის მტრობაც ჯერჯერობით „ხელუხლებელ მტრობად“ დარჩენილიყო.

ერთი სიტყვით, პაპუნა ერისთავმა გიორგი მეფეს ალექსანდრესთან დამოყვრება არ დაანება (ქართლის მეფე და რაჭის ერისთავი ხომ მოყვრები იყვნენ — გიორგის მეორე ქორწინებით ცოლად ჰყავდა პაპუნას მამიდაშვილი ხვარაშანი).

ალექსანდრემ იფიქრა, არ იშლიან მტრობას რაჭის ერისთავებიო, — შეჰყარა იმერთა ჯარი და დაიძრა რაჭისაკენ.

წევისა და ველიეთის მთები გადაიარეს და ნინიას-ციხეს დაეცნენ იმერნი. მაგრამ რაჭველთა ნიჯადი (დამხმარე) ჯარი გამოჩნდა, ქართლიდან მომავალი. გიორგი მეფეს გამოეგზავნა პ ა პ უ ნ ა ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ი ს სარდლობით.

პაატა აბაშიძემ ურჩია მეფეს: არ გამოგვადგება ქართლელებთან შერკინებაო. ალექსანდრემაც დაიჯერა, ნინიას-ციხეს თავი მიანება და იმერეთს დაბრუნდა.

მალე პაატა აბაშიძე გარდაიცვალა როკითის ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან. მეფის დაი — დარეჯანი ისევ დაქვრივდა.

ალექსანდრე მეფემ აგრძნობინა რაჭის ერისთავს — ახლა შეიძლება ჩვენი „შერიგება და დამოყვრებაო. ისიც აცნობა, რანაირად უნდა მომხდარიყო ეს „სასურველი დაახლოება“: შენ რომ ბეჟან ლორთქიფანიძის ქალი ცოლად გიზის, ის განუტევე და ჩემი დაი დარეჯანი დაისვი მეუღლედო.

პაპუნა ერისთავი დათანხმდა. გარიგება შედგა და ამნაირად „ჩააწყნარა“ ალექსანდრე მეფემ „გაფიცხებული რაჭველობა“.

ხოლო, პაატა აბაშიძის მემკვიდრეობა დაიჭირა მისმა

ძმამ გ ი ო რ გ ი მ, რომელიც მანამდე ბერად იდგა მალაქიას სახელით. „ნაბერალმა“ მეორე ცოლად შეირთო „ყველაზე მდიდარი“ ქალი — კაცია ჩიქოვანისა და გიორგი გურიელის ნაცოლარი ქალბატონი.

პირველი ცოლისაგან (გიორგი მიქელაძის დაი) გიორგი აბაშიძეს ჰყავდა ასული ე ლ ე ნ ე, რომელსაც გამოუჩნდა საქმრო ფრიად „მომავლიანი“.

როგორც ითქვა, გიორგი გურიელი რომ მოკლეს, მისი შვილები — ქაიხოსრო და მამია, ახალციხეში გაიქცნენ და უსუფ ფაშას შეეფარნენ. სწორედ ქაიხოსრო იყო მთხოვნელი ელენე გიორგი აბაშიძის ასულისა. ქაიხოსრომ ქალი დანიშნა, ახალციხეს გაბრუნდა, მის მწყალობელ უსუფ ფაშას ჯარი გამოართვა და გურიას შემოიჭრა.

გურიას მაშინ ხომ გიორგი გურიელის ძმა მალაქია განაგებდა. ქაიხოსრომ ბიძა შეიპყრო, „თვალები აღმოხადნა“ და გურიელის ტახტი თვითონ დაიჭირა.

თვალებდათხრილმა მალაქიამ ახალციხის ფაშას აუწყა მისგან წარმოგზავნილი ქაიხოსროს სისასტიკე.

უსუფ ფაშა დაფრთხა, — ვაითუ რა მოხდა, ხონთქარმა შეიტყოსო და გამირისხდესო და შავშეთის ბეგს დაავალა ქაიხოსროს იდუმალ მოკვლა. შავშეთელმაც „პირნათლად“ აღასრულა ეს „საპატიო დავალება“. ქაიხოსროს გაუშინაურდა, ეწვია, მიიწვია და... თავი გააგდებინა. ოსმალებმა „წარიღეს თავი მისი და წარვიდნენ და გურიელად დაუტოვეს მალაქია უთვალო“.

ახლა გიორგი გურიელის მეორე ვაჟი, ქაიხოსროს ძმა — მამია ამოიმართა საასპარეზოდ. გურულებმა თვითონ მოითხოვეს იგი გურიის მთავრად, უსინათლო მალაქიას მაგივრად. სთხოვეს „და აღუთქვეს ქრთამი დიდი“ გურიის მესვეურებმა უსუფ ფაშას. დაქრთამულმა ფაშამ მაშინვე გამოგზავნა „ბედის ნებიერი“ ჭაბუკი. „უცნაური“ იყო, რომ ასე „უსისხლოდ“ ავიდა მთავრის ტახტზე იგი — მ ა მ ი ა III გ უ რ ი ე ლ ი. მან ტახტიდან გადაგდებული, თვალდამდგარი ბიძა — მალაქია „გულკლებულად“ არ დატოვა, ბერად აღკვეცა და შემოქმედის მთავარეპისკოპოსობა („შემოქმედელობა“) ჩააბარა.

„მეორე ლონისძიებად“ ახალმა მთავარმა ცოლად შეირთო თავისი ძმის, ქაიხოსროს დაწინდული ელენე, ასული „ნაბერალი“ გიორგი აბაშიძისა.

. . . . . .

გიორგი ლიპარტიანი გახარებული იყო და ლევან დადიანსაც „ახარებდა“, რომ როკითის ბრძოლაში იმერეთმა ბევრი ძლიერი პიროვნება დაჰკარგა. მაგრამ თვითონ ომის გარეშეც აუარებელი ხალხი დაუკარგა სამეგრელოს ბოროტმა მედროვე-ვიგინდარამ. ლიპარტიანის საავკაცო წებით კვლავ გრძელდებოდა „ღალატით სრვა და კლვა წარჩინებულთა ოდიშისათა, ყიდვა უწყალოდ ტყვეთა მაჰმადიანთა ზედა“. ყოველწლიურად თორმეტი ათასი ადამიანი იყიდებოდა სამეგრელოდან.

ლევან IV დადიანს დადიანობა მხოლოდ სახელად და „სახელოდ“ შემორჩენოდა, თორემ ყოველი დიდი თუ მცირე საქმის წამომწყებიც და გადამწყვეტიც მხოლოდ ლიპარტიანი იყო („სახელით ოდენ იყო დადიანი ლევან, გარნა მოქმედი ყოველისავე იყო ლიპარტიანი“). ასე იდგა „ოდიშს ჭირი გიორგი ლიპარტიანისაგან კლვითა და ტყვითა ყიდვისათა“.

ისევ სარგებლობდნენ შარვაშიძენი სამეგრელოს შინაარეულობით, შინაგაჩანაგებით, შინაგაყიდვით და „მოვიდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანათა ავაზაკობით და ცხადად“.

მოსალოდნელი იყო, რომ იმერეთის მეფეც შეეცდებოდა ოდიშის მიწა-წყლის ხელყოფას და იქნებ დაპყრობასაც. ამიტომ „მოყვრობით“ დაასწრო გიორგი ლიპარტიანმა. სწორედ ლიპარტიანის ჩაგონებითა და ნებით (ლამის, ბრძანებით) შეირთო ცოლად ლევან IV დადიანმა ალექსანდრე მეფის დაი — თინათინი, ნაშობი „თამარ მშვენიერისა“ ნაცოლარი გიორგი გურიელისა.

თვითონ მეფე ალექსანდრე IV იმჟამად ისევ ქართლის მეფეებთან ურთიერთობის საფიქრალით იყო დაკავებული. იგი ვერ შერიგებოდა იმას, რომ გიორგი მეთერთმეტემ „ყოველი ვარიანტით“ უარი უთხრა დამოყვრებაზე. ბოლოს

ალექსანდრემ, გიორგისგან შეურაცხყოფილმა, „განაცხადა მტერობა მისი და მოყვრობა ერეკლე მეფისა“.

ეს განზრახვა ალექსანდრემ გაანდო პაპუნა რაჭის ერისთავს და თან გააფრთხილა, — საჭირო რომ გახდეს, გიორგი მეფეს რაჭაში სახიზარი არ მისცეო.

პაპუნა ერისთავმა ასეთი ბრძანების შესრულებაზე უარი თქვა და კიდევაც შეიხიზნა ქართლიდან ლტოლვილი გიორგი მეფე.

გაგულისებულმა ალექსანდრემ იმავე 1688 წელს შემოიყარა იმერთა ჯარი და რიონის ხეობას აუყვა ჭენებით. ლეჩხუმელები და ქვემო რაჭველები გზაზედ შეუერთდნენ მეფეს.

პაპუნა ერისთავმა ხიდიკარის ვიწრობები გაამაგრა, თაგისი ქართლელი ხიზნებით ბარაკონიდან აიყარა და ონს მიაშურა.

ალექსანდრემ ჯეჯორამდე დაუბრკოლებლივ ილაშქრა, აქ კი შემოეგებნენ საომრად პაპუნა ერისთავი და გიორგი მეფე. შემოეგებნენ, მაგრამ „ვერ წინააღუდგნენ“ და მთების სიღრმეში — სოფელ გლოლას გადაინაცვლეს.

გამოედევნა ალექსანდრე იმერთა ჯარით. უწერამდე მივიდნენ, „მოსწვეს უწერა“ და უკან გამობრუნდნენ ძარცვითა და რბევით.

1688 წელი იყო.

არჩილმაც მოძოატანა რუსეთიდან. თავისი ვაჟებიც ჩამოიყვანა — ალექსანდრე და მამუკა, შვილები დვალეთს გაგზავნა, თვითონ კი რაჭას ჩავიდა ლტოლვილ ძმასთან და მოყვარე მასპინძელთან.

მტკიცედ გადაწყვიტეს: არჩილი ისევ გაემეფებინათ იმერეთში. შეუდგნენ მხარდამჭერ ძალთა შეკრებას. მოლაპარაკება გააბეს იმერეთის თავადებთან და სამეგრელოს მესვეურებთან. დავით თურქისტანიშვილი დიდი ძღვენით, არმაღანითა და დახმარების თხოვნით გაგზავნეს ყირიმის ხანთან.

მომხრეთა შესაყარ ადგილად დათქვეს გველისთავი — რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე. აქ, არჩილს, გიორგის და პაპუნას ეახლნენ გიორგი ლიპარტიანი სამეგრელოდან, ჭილაძეები, მიქელაძეები და ბეჟან ლორთქიფანიძე იმერეთიდან.

ალექსანდრეს ერთგულ შემწეებად დაურჩნენ გიორგი აბაშიძე და სვიმონ ქუთათელი. ეს სვიმონ ქუთათელი იყო შვილი სეხნია ჩხეიძისა, — იმ სეხნიასი, ქუთათისის ციხე რომ „მოიპარა“ და შიგ ოსმალთა ჯარი „შეაპარა“. საოცარი ის არის, რომ სვიმონ ქუთათელს უმაღლესი მღვდელმთავრობაც არ უშლიდა ხელს, ყოფილიყო „ტყვის მყიდველი, მეძავ-მემრუშე, კაცის მკვლელი, ცრუ-ფიც და უწირავ-ულოცავი“. ერთი სიტყვით, თოკიდან აწყვეტილი ავაზაკი, მკვლელი და ადამიანებით მოვაჭრე ქურდი — უზენაესი, ღვთაებრივი ზნეობის მქადაგებლის ანაფორაში!..

ერთბაშად, მოულოდნელად მიადგა ალექსანდრე მეფე იმერთა ჯარით გველისთავს.

დამხვდურები მოუმზადებელნი დაუხვდნენ, ჯარი ჯერაც არ შემოეყარათ. ლეჩხუმელებიც უკვე ალექსანდრესთან შერიგების გუნებაზე დამდგარიყვნენ. რაჭაშიც ბევრი შინაგამცემი ეგულებოდა პაპუნა ერისთავს.

ამიტომ გიორგი და არჩილი ბრძოლას განერიდნენ და გიორგი ლიპარტიანს წაჰყვნენ ოდიშში.

აქ არჩილმა შეიტყო, რომ დავით თურქისტანიშვილი უკვე ყირიმს მისულიყო. ყირიმის ხანსაც უკვე გაუგზავნია შუამდგომლობა ოსმალეთის სულთანთან, იმერეთის ტახტზე არჩილის აღდგენის თხოვნით.

არჩილმა საჭიროდ ჩათვალა თვითონაც წასულიყო ყირიმს. გაუდგა კიდეც გზას, მაგრამ აფხაზეთს იქით ვეღარ გააღწია, — გზები შეკრული იყო. ხოლო აფხაზეთის მთავარი სორეხ შარვაშიძე ბრწყინვალე მასპინძლობით შეხვდა არჩილს, თავის სატახტო ზუფეში. ისე ექცეოდა, „ვითარცა მეფეს“.

აქვე არჩილმა შეიტყო, რომ მისი შვილები — ალექსანდრე და მამუკა — დვალეთიდან ისევ ასტრახან-მოსკოვის გზას შესდგომოდნენ.

აფხაზეთიდან ისევ ოდიშს მობრუნდა და შეიტყო, რომ გიორგი ლიპარტიანს უკვე ეღალატნა ქართლელი სტუმრებისათვის. იგი იმერეთის მეფის ბანაკს მიჰკედლებია და სამაგიეროდ ალექსანდრეს მისთვის ლეჩხუმი უჩუქნია!

სამეგრელოში დარჩენა უკვე საშიში იყო და არჩილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სასწრაფოდ საჭილაო-სამიქელაძეოში გადავიდნენ. აქედან ალექსანდრეს შეუთვალეს, გაგვიშვი, გზა მოგვეცი და უკან დაბრუნებით აღარ შეგაწუხებთო. იმერეთის მეფემაც ეს მოსთხოვა არჩილს: „უკეთუ მომცემ ფიცს, რომ იმერეთს აღარ შემეცილები, გაგიშვებ და წადი რუსეთში, ხოლო თუ არ შემომფიცავ, არც გზას არ მოგცემო“.

რაკი „არღარა იყო სხვა რაიმე ღონე“, არჩილმა შეჰფიცა, ალექსანდრეს გზა „გამოართვა“ და რაჭისაკენ გაუტია. რაჭიდან გადავიდა დიგორს და თან წაიყვანა ძმისწულნი, ძენი ლევანისა — ქაიხოსრო, ვახტანგი (შემდგომში ვახტანგ VI) და დომენტი.

ხოლო გიორგი მეფე საჭილაოდან წავიდა გურიაში, სადაც მამია გურიელმა იგი „ისტუმრა პატივითა დიდითა“. გიორგიმ თავის მხრივ უხვად დაასაჩუქრა აქაური წარჩინებულნი. ამის გამო, ვიღაც „ჩვეულებრივმა მოენეებმა“, მამია გურიელს შეაგონეს: გიორგი მეფე ჩვენებურ თავადებს იმიტომ ასაჩუქრებს, მათი გულის მოგებით და დახმარებით სურს გურია წაგართვასო. ჭაბუკმა მთავარმა ეს ბოროტი შესმენა ადვილად დაიჯერა და სტუმრისგან დასაჩუქრებული წარჩინებულნი ზოგი ციხეში ჩაჰყარა, ზოგიც „უპატიო ჰყენა“. გიორგიმ იფიქრა, — აქაც თურმე ნაფიქრი უკუღმა ესმითო, და გურიიდანაც აიკვეთა ფეხი.

იგი, ამჯერად, მივიდა გონიას, ა ჰ მ ე დ-ბ ე გ თ ა ვ ღ გ ი რ ი ძ ე ს თ ა ნ, რომელიც სიხარულით „მოეგება და დიდითა პატივითა დაასადგურა და წარსაგებელითა თვისითა უმასპინძლებდა რაოდენსამე ჟამს“.

გონიაში გიორგის ეახლა დავით თურქისტანიშვილი, რომელსაც მოევლო ყირიმიც და სტამბოლიც; ქართველ ელჩს ჩამოჰყვა თურქი ყაფუჩი (კარის მცველი), რომელმაც თან ჩამოიტანა ხონთქარის ბრძანება: „დაეკითხეთ იმერლებს, რომელი ნებავთ მეფედ — არჩილი თუ ალექსანდრე — და, რომელსაც აირჩევენ, ის დასვით ქუთათისის ტახტზეო. მაშინვე ახალციხეში გადავიდნენ და მაშინდელ ფაშას — ს ა ლ ი მ ს (გარდაცვლილი უსუფ ფაშას ძმა) გააცნეს ხონთქარის ბრძანება. სალიმ ფაშამ ყაფუჩი ქუთათისში გამოგზავნა და ხონთქრის ბრძანება ალექსანდრეს შეატყობინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხვით გონდაკარგულმა ალექსანდრემ „ინება მოკვლა ყაფუჩისა“. თურქმა კარისკაცმა ძლივს გაასწრო ახალციხეში.

იქ გიორგის ასეთი რჩევა მისცა ყაფუჩმა: ყოველმა წარჩინებულმა იმერელმა „სვინტატიკოსის წიგნზე“ თავისი ბეჭედი დასვას, არჩილის გამეფების სურვილით, და მერე მე მოვუვლი მაგ საქმესო.

გიორგი მეფემ მართლაც შეძლო ამის გაკეთება. ყაფუჩმა იმერელ თავადთა ბეჭდები და ხელრთვანი სტამბოლს წაიღო. მალე უკანვე დაბრუნდა და თან ჩამოიტანა ხონთქარის ბრძანება: იმერეთი არჩილისთვის მიბოძებია და მისი ტახტზე აყვანა არზრუმის ფაშას დაეკისროსო. თან ხმალი და ხალათი გამოეგზავნა ოსმალეთის ფადიშაჰს იმერეთის ახალი მეფისთვის.

ფერსათის მთაზე ამოვიდნენ გიორგი მეფე და არზრუმის ფაშასგან წარმოგზავნილი თურქი სარდალი („ქეჰა“), „თვისი სპითა დიდითა“. მალემსრბოლიც გაეგზავნათ დიგორს, სადაც მაშინ იდგა არჩილი.

წამოვიდა არჩილი, რაჭა ჩამოიარა, მიეგება პაპუნა ერისთავი და „სრულიად რაჭველნი“ და გამოეშურნენ იმერეთს.

შეატყობინეს ალექსანდრეს: ფერსათიდან თურქთა მხედრობა მოეშურება, რაჭიდან არჩილი და პაპუნა ერისთავიო. იმერეთის ყველა თავადიც, გიორგი აბაშიძის გარდა, არჩილის საყმოდ გამზადებულიყო.

არ შეეძლო ალექსანდრეს „წინააღმდეგობა“, მაშინვე ქუთათისიდან აიყარა და ქართლს გადავიდა, ერეკლე მეფესთან.

არჩილი შემოვიდა თურქთა და რაჭველთა ჯარებით ქუთათისში.

ოსმალეთის ფადიშაჰის ხმლით და ხალათით მოიკაზმა და ჯერ კიდევ თბილ ტახტზე დაბრძანდა.

ეს არჩილის „მესამე იმერული მეფობა“ გახლდათ — 1690—1691 წწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეფემ თავისი ძმისწული — ელენე ლუარსაბის ასული (რომლის შერთვა ამაოდ დააპირა ალექსანდრე IV-მ), ქალი, „ფრიად კეკლუცი“, ცოლად მისცა რაჭველ წარჩინებულს, ქ ა ი ხ ო ს რ ო ი ა შ ვ ი ლ ს. ქორწილი რომ ჩათავდა, გიორგი რაჭიდან ახალციხეში გადავიდა დედაწულიანად.

ხოლო არჩილი უკვე გულსრულად შესდგომოდა იმერეთის შერთვა-გამგეობას. ერთადერთი, რაც მის სიმშვიდეს ასე თუ ისე „აწვალებდა“, ეს იყო ისევ „ნაბერალი“ გიორგი აბაშიძე, რომელიც გაძევებული ალექსანდრე IV-ის ერთგულებას არ ღალატობდა და ახალ, „ნაძალადევ მეფეს“ არ ურიგდებოდა.

1690 წლის მიწურულს დიდი ზამთარი დადგა. გიორგი აბაშიძემ იფიქრა, ამოდენა თოვლსა და ყინვა-ბაბანებაში თურქები ზეკარს ვერ გადმოივლიან და არჩილს ვერ მოეშველებიანო; სასწრაფოდ გიორგი ლიპარტიანს „ეზრახა“ და გადმოიყვანეს ქართლიდან ალექსანდრე IV.

არჩილმაც იხმო თავისიანები: პაპუნა რაჭის ერისთავი, სვიმონ ქუთათელი, გიორგი მიქელაძე და ბეჟან ლორთქიფანიძე.

ბრძოლა მოხდა სოფელ გ ო დ ო გ ა ნ თ ა ნ, 1691 წლის დამდეგს.

„ბრძოლა ძლიერი“ არჩილის გამარჯვებით გათავდა. ალექსანდრე ისევ ქართლს გაიქცა.

გიორგი ლიპარტიანი ისევ სამეგრელოში ჩაიკეტა.

არჩილმა „მოიმტკიცა იმერეთი და მეფობდა მცდელობითურთ უკეთურებისა მოფხვრისა“. მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, რადგან მაინც „ძლიერ იყვნენ მთავარნი“.

ყველაზე დიდი სიკეთე, რაც არჩილ მეფეს განუზრახავს, ეს ქუთათისის ციხიდან თურქთა ჯარის განდევნა უნდა ყოფილიყო.

შემოიყარა იმერთა და რაჭველთა ჯარი არჩილმა. „ახლად შემორიგებული“ გიორგი ლიპარტიანიც მოვიდა ოდიშართა ლაშქრით.

გარშემოადგნენ ქართველები ქუთათისის ციხეს. თურქთა ციხიონში შიმშილი დადგა, — ისეთი შიმშილი, რომ დაოსებული ოსმალონი, რაც რამე ტყავისა გააჩნდათ, იმას ხარშავდნენ და ჭამდნენ („ჯღანთა ხარშვიდიან და ნჭამდნენ“). ციხე წუთ-წუთზე უნდა დაცემულიყო.

და უცებ, გიორგი ლიპარტიანი ეახლა მეფეს და ეაჯა ცბიერი ღრეჯვით: მომეცით ლეჩხუმი საბატონოდ და სამუდამოდ თქვენი მონა ვიქნებიო.

რა დროს ეს იყო?!

მაგრამ მაინც აღუთქვა თხოვნის აღსრულება არჩილმა.

ვირეშმაკას რაღა გამოეპარებოდა. ლიპარტიანმა შეატყო, რომ უსიამოდ სახეაშლილმა მეფემ რაღაც ცალყბად თქვა თავისი დასტური ლეჩხუმის გაჩუქებაზე.

„არ მომცემსო“, დარწმუნებით გაიფიქრა ლიპარტიანმა და სხვა რამ საფიქრალს ჩაუღრმავდა განმარტოებით.

იმ ღამით ოსმალებს მიეყიდა გიორგი ლიპარტიანი; თუ რამე საჭმელ-სასმელი ოდიშართა ბანაკში ჰქონდა, სულ ერთიანად შეუგზავნა ციხეში შიმშილით ძალაწართმეულ მტერს.

ეს უმაგალითო ღალატი რომ მოითავა და ქართული ციხე მტრისთვის „განამაგრა“, ლიპარტიანმა მაშინვე თავისი ჯარი აჰყარა და ოდიშისაკენ გაქუსლა.

მეორე დღეს ქართველებმა იხილეს მტრის ციხიონი მკვდრეთით აღმდგარი, გამძღარი, გამხნევებული და გამძლავრებული.

არჩილ მეფემ „შემოიფიცნა იმერნი“, მაგრამ არაფერმა აღარ გაჭრა, — თავადებმა ზედიზედ დატოვეს საომარი ბანაკი.

მეფე იძულებული გახდა ალყა მოეხსნა.

ალყა მოგვეხსნაო? დრო დაიცეს თურქებმა, ციხიდან გამოიჭრნენ და ბაგრატის ტაძარს მიესივნენ.

მათთვის ჩვეული, ველური სიბოროტით გაძარცვეს, გაოხრეს, შემუსრეს და შებილწეს „დიდ-შვენიერად გებული“ ძეგლი, — სიამაყე და სიქადული ქართული კულტურისა.

ასე „იქმნა საქმე საგლოველი“ ქართულ მიწაზე, ქართველი კაცის ღალატის წყალობით.

. . . . . .

სწორედ ამ წელს, გიორგი მეფემ რუისში ხელთ იგდო ალექსანდრე იმერთა მეფის ცოლ-შვილი, ხოლო თვითონ ალექსანდრემ ახალციხეში გადაასწრო.

ახალციხეში ქრთამს ხომ ძალიან „დიდი ბრუნვა“ ჰქონდა. ამჯერად ისევ ალექსანდრეს ქრთამს უჯობნია... და სალიმ ფაშა ჯარით გამოჰყვა ალექსანდრეს იმერეთისკენ.

არჩილმა ისევ მოუხმო „ფიცით შემომტკიცებულ“ იმერელ თავადებს. მაგრამ არავინაც არ მოუვიდა. ახლა ისევ ალექსანდრეს „შემტკიცებოდნენ ფიცით“ არჩილ მეფის გუშინდელი მაფიცარნი „კუბოს კარამდი ერთგულებისა“.

მარტოდ დარჩენილმა არჩილმა რაჭა გადაიარა, ნაგვიანევად შემოყრილი ბარძიმ ერისთავიც უკანვე შემოაბრუნა და ქართლში ჩამოვიდა.

. . . . . .

არჩილმა იმერეთის ტახტის დაბრუნებაზე ფიქრს თავი დაანება, კახეთის შემოთავაზებულ მეფობაზეც უარი თქვა და ისევ რუსეთს წასვლა დაასკვნა.

დვალეთი უნდა გაეარა და გაიარა მშვიდობით.

ჩერქეზეთი უნდა გაეარა და ველარ გაიარა მშვიდობით.

დაღესტნიდან შამხალის ბატონმა შეუთვალა ჩერქეზთა ბატონს — ყ ი ლ ჩ ი ყ ო ს: ქართველი გიაური არჩილ მეფე მიდის გიაურ რუსეთში; გზად და სტუმრად შენთან უნდა გამოიაროს; სპარსეთის შაჰმა მისი შეპყრობა შემოგვასახე-

ლა; დიდ სასყიდელსაც გვპირდება შაჰი; მიდი, შეიპყარ არ-
ჩილ მეფე და გავუგზავნოთ სპარსეთის ხელმწიფესო...

ყილჩიყო ჩერქეზთ ბატონმა პატივით და თავაზით მიი-
ღო ქართველი სტუმრები — არჩილ მეფე, ორი ბერ-მონაზო-
ნი — ნიკოლოზ აბაშიძე და შალიკაშვილი, და კიდევ მცირე
ამალა ქართველებისა. დიდებულად უმასპინძლა, როგორც
„ნამდვილ ჩერქეზს“ დაშვენდებოდა.

ბოლოს ქართველები წასასვლელად აიყარნენ. მასპინძელ-
მა მეგზურად და მცველად ჩერქეზთა ჯარი აახლა მეფეს.
არჩილმა პირდაპირ უთხრა ყილჩიყოს: მე მინდა შენ იყო
ჩემი მეგზური და თანამგზავრი, სანამ შენს საბატონო მიწა-
წყალს გავივლიდეთო.

ყილჩიყომ დაარწმუნა მეფე, რომ რაღაც „მძიმე საქმის“
გამო არ შეეძლო პირადად ხლებოდა ეგზომ „საპატიო სტუმ-
რებს“. დააჯერა, რომ უამისოდაც ერთგულად და ღირსეუ-
ლად მოემსახურებოდა ჩერქეზთა ამალა ქართველ სტუმრებს.

გაუდგნენ გზას ჩერქეზები და ქართველები.

გზა დროს ჰგავს, და თუ რამ საეჭვო ჰქონდათ გულში
ქართველებს, სწორედ მასპინძლებთან მთელი დღე-ღამის
თანამგზავრობაში გაუქარდათ და გაუქრათ.

სტუმარმასპინძლობის მადლით მოხიბლული ქართველები
ველარ ამჩნევდნენ, როგორ ჭამდნენ თვალებით ჩერქეზები
ქართველი მეფის ახოვან ტანსა და მძლავრად გაშლილ მხარ-
მკლავებს.

ორი გოლიათი ჩერქეზი დაწინაურდა ნაბიჯ-ნაბიჯად.

არც ამისთვის მიუქცევიათ ყურადღება ქართველებს.

უეცრად, ის ორი რჩეული არჩილს ზურგიდან დაეძგერა
და მკლავებში ჩააფრინდნენ „იმიერ და ამიერ“.

დანარჩენი ჩერქეზები ქართველთა მცირე გუნდს დაე-
ტაკნენ ყოველის მხრიდან.

ბერ-მონაზონი არავის გახსენებია, ვითარცა ბრძოლისთვის უძლურნი და უმაქნისნი.

არავის გახსენებია და... აწაფორის შიგნიდან იშიშვლეს ხმლები აბაშიძემ და შალიკაშვილმა. იშიშვლეს და წამად შემოჰკრეს „იმიერ და ამიერ“ არჩილის შემპყრობელთ.

მაშინ „იხადა მშვილდ-კაპარჭი მეფემან“ და დაუშინა უგრძესი „არჩილისეული“ ისრები მომხდურთ, დაუშინა და „მოსრნა მრავალნი“.

ისრები შემოიხარჯა და ხმალი გაიძრო მეფემ.

მაინც მიატანა ახლოს ერთმა ჩერქეზმა და ჰოროლი მძლავრად აძგერა მკერდში. „რგოლმან იკისამან“ აისხლიტა ის წაძგერალი და სამაგიეროდ ხმალი უჭირა თავში მტერს არჩილმა. ჩერქეზი დაეცა თავგაპობილი.

იბრძოდა მეფე.

იბრძოდნენ ბერნი.

იბრძოდნენ მსახურნი.

მაინც გააფთრებით მოიწევდნენ წინ ჩერქეზები.

შემოერტყნენ და შეკრეს წრე ყოველის მხრიდან.

უკვე შეეპყროთ დაჭრილ-დაკოდილნი — აბაშიძე და შალიკაშვილი.

კიდევ თითო-ოროლა ქართული ხმალი ელავდა ასეულ ჩერქეზულ ხმალთა შორის.

გამხეცდა არჩილ მეფე. საშინელი ყიჟინითა და ჩეხვით შეუტია საბედისწერო წრეს. შეუტია და „განვლო ბრძოლითა მეფემან რაზმი მათი და წარვიდა ლტოლვით“.

გამოედევნენ ჩერქეზები ლაგამაწყვეტილი ჭენებით.

მიჰქროდა არჩილი. მაგრამ „ქროლვა“ ჩაუწყდა ცხენს. ფეხები დასიებოდა პირუტყს. აღარ შეეძლო აღარც ჭენება, აღარც ტვირთვა გოლიათი მხედრისა.

ტანზედაც „განსივდა ცხენი მეფისა“ და დაეცა.

გადმოხტომა მოასწრო არჩილმა და ისევ შემოესივნენ გა-

ხელებული ყივილითა და ყარყაშით ზედმოვარდნილი ჩერქეზნი.

ისევ „ბრძოდა ძლიერად“ არჩილ მეფე.

უცებ ვილაცამ მეფის გარშემო შეკრული წრე გაარღვია, შიგ შევარდა და რაღაც იყვირა სასტიკი ხმით.

ჩერქეზებმა უმალვე შეაყენეს ხმლები.

მივიდა ის კაცი არჩილთან, კეთილად გაუღიმა და უთხრა:

„მე ლეკი ვარ და გთხოვ, მისმინო, საოცარო გმირო! ნუღარ მოიკლავ თავსა უებროსა; რაც ჩაიდინე, ისიც გეყოფა სიმხნედ და სივაჟკაცედ: აწ დაიმდაბლე თავი და წამოდი ჩემთან; ვფუცავ, განგარიდო ყოველგვარ განსაცდელსა!“

მაშინვე იწამა მეფე-პოეტმა ამ კეთილი თვალებისა (როგორ არ ჰგავდა ეს ლეკი იმათ, ხმალდახმალ რომ შემოჰყრიან არჩილ მეფეს, ქურდის თვალებით, ყადორისა და ჭარბელაქანის ხევხუვებში).

„კარგი! არა მივენდო ამიერიდან ჩერქეზთა, გარნა წამოვალ შენდა!“ — თქვა არჩილმა და წაჰყვა იმ ლეკს, თავისი გადარჩენილი ყმებით.

მიიყვანა ლეკმა სახლში არჩილ მეფე. უმასპინძლა, ვითარცა ჭეშმარიტმა კავკასიელმა მასპინძელმა კავკასიელ სტუმარს. ბოლოს უთხრა: რაკი შემოგფიცე და მენდე, ბოლომდე უნდა მენდოო.

და ისევ ყილჩიყო ჩერქეზთან მიიყვანა არჩილი ლეკმა.

გვიან ღამე იყო.

დიდხანს ჩურჩულებდნენ ლეკი და ჩერქეზი განმარტოებით.

მცირე სერობის შემდეგ არჩილ მეფეს „განსვენება“ სოჭოვეს.

შუალამემდე იწვა არჩილი, ფხიზლად, უძილრად.

არ იცოდა, რა მოხდებოდა.

მხოლოდ იმ ლეკს ენდობოდა. ეს იყო და ეს.

შუალამისას ქალი შემოვიდა არჩილ მეფესთან.

ეს ქალი ყილჩიყოს ცოლი იყო.

„აბრძანდითო“ — უთხრა არჩილს. არჩილი ადგა. ქალმა გარეთ გამოიყვანა. გარეთ ცხენები იდგნენ, შეკაზმულნი და დარახტულნი.

შეჯდნენ და წავიდნენ.

მივიდნენ ბასიანს. ერთ სახლს მიადგნენ. ქალმა დააკაკუნა. ქალმა გამოჰხედა. სახლში კიდევ, ეტყობოდა, ქალები იყვნენ.

არჩილი იმ სახლში შეიყვანეს ქალებმა...

მეორე დღეს შამხალის ბატონი მიადგა ჩერქეზთა ბატონის სახლს და ქართველი ტყვე მოიკითხა.

„ქართველი ტყვე ქალებმა მომპარეს და ბასიანს წაიყვანესო!“ — უთხრა ყილჩიყომ.

„აბა, წავიდეთო!“ — შესძახა სახეაშლილმა შამხალმა.

შეჯდნენ ცხენებზე და გაჭენდნენ ბასიანისკენ.

იმ სახლთან ჩამოხდნენ, სადაც არჩილ მეფე „ჩაემწყვდიათ“ ქალებს.

ეზოში შემოეგებნენ ბატონებს ქალები.

ახლა მათი ქმრებიც იქ იდგნენ.

ქალებთან რა მესაქმებაო და, მამაკაცებს შეუღრინა შამხალმა: ახლავე გამოიყვანეთ ქართველი მეფეო!

უცებ აიშალნენ ქალები, ლეჩაქები ჩამოიხსნეს, ქმრებს მივარდნენ და შეჰკივლეს:

„ან ეს ლეჩაქნი თავს დაიბურეთ და თქვენი ქუდები ჩვენ დაგვახურეთ, ანდა ქართველ მეფეს — ტყვეს კი არა, ჩვენს დიდ სტუმარს — ხელი არ ახლოთო!“

სიჩუმე წამოწვა.

ყილჩიყო მკრთალად იღიმებოდა.

შამხალი იღრინებოდა, მაგრამ იმ „საოცარი ქალების“

ქმრებს უკვე სანახევროდ ამოზიდულ სატევრებზე დაედოთ ხელი.

ჩერქეზ-ბატონმა და შამხალ-ბატონმა ცხენები გაატრიალეს.

. . . . . .

არჩილი უკან ბრუნდებოდა, ფიქრებით დამძიმებული და დარეგვილი.

უკან მისი მხლებლები მოსდევდნენ (ვინც კი იმდღევანდელ ხოცვას გადაურჩა).

ქართლში მოდიოდნენ.

არჩილიდან არჩილამდე

ისევ იდგა 1691 წელი.

ისევ იჯდა ქუთაისის ტახტზე ალექსანდრე IV.

გამეფების წელსვე სამეგრელოს ამბებმა მიიპყრო იმერეთის მეფის ყურადღება. ძალიან გამძლავრებულიყო გიორგი ლიპარტიანი, ადამიანთა „კლვითა და ტყვის ყიდვითა". სულ აღარ ისმოდა ლევან IV დადიანის სახელი. ბოლოს და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ დროისგან აღზევებულმა ვიგინდარამ თავისი „მოჩვენებითი" (გინა — „ფორმალური") მეუფე აიძულა სულ გაქცეულიყო ოდიშიდან. ლევან დადიანი ჯერ გადავიდა ქართლს — არჩილ მეფესთან, მერე წავიდა სტამბოლს და იქვე, უცხოობაში დაასრულა თავისი უფერული და უწადნიერო წუთისოფელი.

ოდიშ-სამეგრელოს მთავარი შეიქნა გიორგი ლიპარტიანი. იგი მხოლოდ ამას ვერ ბედავდა — „დადიანი" ეწოდებინა „უგვარო თავისათვის". მაგრამ მაინც თავისი „აღზევებული მდგომარეობით" მოახერხა აღზევება ორივე „სისხლიერი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარისა — ლიპარტიანისა და ჩიქვანისა (დიახ, ამიერიდან „ჩიქვანი“ განსხვავებით ლეჩხუმური „მდაბიო ჩიქოვანისაგან“). ლიპარტიანი მარტო სამეგრელოს კი არა, „თავობდა ლეჩხუმსაც კნინღა დაპყრობად“.

ალექსანდრე მეფის მდგომარეობაც არ ყოფილა ლევან IV დადიანზე უფრო სახარბიელო. „ალექსანდრე თუმცა მეფობდა“, მაგრამ „არა ეგდენ ნებასა შინა მისსა იყვნენ“ მთავარნი და თავადნი მისი სამეფოისა. „რამეთუ ფრიად განდიდნენ მთავარნი“, მოსალოდნელი იყო ალექსანდრე მეფეც ამ „განდიდებულ“ მთავრებსა და თავადებს ისევე გაეძევებინათ, როგორც ლიპარტიანმა გააძევა და „გადააშენა“ მისი მეუფე დადიანი...

ეს განწყობილებანი მეფესა და მის ქვეშევრდომთა შორის სულ მალე გამჟღავნდა ალექსანდრეს ახალ „წამოწყებებთან“ დაკავშირებით.

როგორც წინასწრობილად ითქვა, იმერეთის მეფის ცოლშვილი გიორგი მეთერთმეტემ შეიპყრო რუსეთში. ამათგან ალექსანდრეს ვაჟები — სვიმონი და გიორგი — დათუნა ქსნის ერისთავს მიაბარა გიორგი მეფემ.

ახლა, ხელახალი გამეფების შემდეგ, ალექსანდრემ მეორედ იქორწინა. ამჯერად ცოლად შეირთო გიორგი აბაშიძის ასული თ ა მ ა რ ი, ათი წლის გოგონა (გიორგი აბაშიძის მესამე ასული — ანუკასა და ელენეს შემდეგ).

ქალმა თავიდანვე „ვერ შეიყვარა“ თავისი „მირონცხებული“ ქმარი, თუმცა, ალექსანდრე იყო „მხნე, ახოვანი, ჰაეროვანი და უხვი“, მაგრამ ამავე დროს გახლდათ „ხელადმქცევი, ცუნდრუკი, ულთო და ტყვის-მყიდველი“. ასეთი უამური და გაუსაძლისი თვისებების გამო, ალექსანდრეს „სძულობდა ცოლი თვისი თამარ და მიზეზს უდგა განტევებად“.

ალექსანდრეს ოჯახური და სახელმწიფური მდგომარეობა

კიდევ უფრო შეარყია ქართლის მეფეებისადმი მისმა დამოკიდებულებამ. მან ხომ „კვალად იწყო მტრობა გიორგი მეფისა და მოყვრობა ერეკლე მეფისა“. ხოლო, არც ოჯახში და არც სამეფო დარბაზში ალექსანდრეს გიორგისთან მტრობას არ უწონებდნენ. მან ქართლში გალაშქრებაც მოისურვა, მაგრამ იმერეთის წარჩინებულთა წრემ ცივი უარი უთხრა ასეთი განაზრახის მხარდაჭერაზე.

მაინც არ დაიშალა თავისი მეფემ და „უცნობელად წარჩინებულთა“, თავისი „მორჩილითა სპითა“ ქართლში გადავიდა, ალი აიღო, გაძარცვა, მოსტყვევნა და გამობრუნდა.

არჩილი მაშინ ტაშისკარს ყოფილიყო და გამოედევნა მაოხარს, მაგრამ გადმოასწრო ალექსანდრემ იმერეთში.

იმერეთის თავადობა აღშფოთებული იყო, — არა იმდენად ქართლის დარბევის გამო, არამედ უფრო იმისთვის, რომ მეფემ სწორედ თავადთა ნების წინააღმდეგ გადაწყვიტა და განასრულა ესოდენ საჭოჭმანო და სათაკილო საქმე.

ასეთი განწყობილება კარგად გამოიყენეს გიორგიმ და არჩილმა. მათ მოლაპარაკება გამართეს იმერეთის თავადებთან და ადვილად დაარწმუნეს ისინი, რომ „აღარ შეიძლება ესე ვითარებისა“ გაგრძელება და აუცილებელია „შეანანონ ალექსანდრე მეფესა“.

ერთხანს ჯიუტობდა მეფის სიმამრი გიორგი აბაშიძე, მაგრამ, როცა შვილმა, თამარმა, დაარწმუნა მამა — მე ალექსანდრეს აღარ გავუჩერდები და ცოლად გიორგი მეფეს უნდა წავყვეო (!) — აბაშიძეც მაშინვე შეუერთდა შეთქმულებს.

უკანასკნელად შეიკრიბნენ იმერეთის თავადები, კათალიკოსი, ეპისკოპოსი, პაპუნა რაჭის ერისთავი.

და უეცრად დაეცნენ სკანდას, სადაც მაშინ იდგა მეფე.

შეიპყრეს ალექსანდრე, — „შეიპყრეს და წარგზავნეს მღვიმეს, მერმე სვერს“. სვერიდან ქართლში გადაიყვანეს და რუსეთში მიჰგვარეს გიორგი მეფეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგის ბრძანებით, იმერთა მეფე, ალექსანდრე IV, დაახრჩვეს და დაფლეს იქვე, რუისის ეკლესიაში.

ეს მოხდა 1695 წელს.

არჩილი მეოთხედ... არჩილი მეხუთედ

მეფედ ვიწოდე, ვერ გავიწოდე ფეხი ჩემისა გუნებისადა.

ა რ ჩ ი ლ ი

არჩილი მეოთხედ ავიდა იმერეთის ტახტზე.

ქართლიდან გიორგი მეფე გადმოვიდა ძმასთან სტუმრად.

შეუჩნდა თამარი — ალექსანდრე მეფის ნაცოლარი — გიორგი მეფეს: ცოლად შემირთე, მამაჩემი დაიხმარე და იმერეთის ტახტი შენ დაიჭირეო.

შორს დაიჭირა გიორგიმ: ასეთ რაიმეს ჩემს ძმას, არჩილს, არ ვკადრებო.

მერმე გიორგი აბაშიძე მიეძალა არჩილს: ცოლად შეირთე ჩემი ქალი, თამარი და უფრო მკვიდრად დაიმკვიდრებ იმერეთსო.

არჩილმაც შორს დაიჭირა: მე ერთი ცოლი უკვე მყავს და უსჯულო არ გახლავართ, რომ მეორეც შევირთოო. მაგას ისა სჯობია, ჩემს ძეს ალექსანდრეს შევრთოთ შენი ასულიო.

(ალექსანდრე ბატონიშვილს მოსკოვში დაბრუნებისას მისი ცოლი — თეოდოსია ივანეს ასული მიღოსლავსკაია მკვდარი დახვდა).

ცივად და უმძრახად დაშორდა გიორგის და არჩილს აბაშიძე.

გიორგი მეფე ისფაჰანს წავიდა.

გიორგი აბაშიძე გიორგი ლიპარტიანს დაუკავშირდა და

ორივე გიორგიმ თამარს საქმროდ გამოუნახეს კიდევ ერთი გ ი ო რ გ ი, ვითომცდა „ბაგრატიონთა ნათესავი“.

გაქნილი ლიპარტიანისაგან გამოქექილი და ახლად გამომცხვარი „გიორგი ბაგრატიონი“ დააქორწინეს თამარზე და ორივე გამოაცხადეს იმერეთის მეფე-დედოფლად.

ეს მოხდა 1696 წელს.

იმერეთი სრული დუმილით შეხვდა ამ „ახალ ამბავს“.

თითქოს უკვე სულ ერთი იყო, ვინც დაჯდებოდა ქუთათისის „სათამაშო ტახტზე“.

არჩილმაც მიატოვა იმერეთი, „წარვიდა დვალეთს და იყოფოდა მუნ“.

. . . . . .

ახალი მეფე იმერეთისა — გიორგი — იყო „უმსგავსო ყოვლითურთ და შეუგვანი მეფობისა“.

იყო უვიცი (არა რა გაეგებოდა, „თვინიერ გლეხთა მუშაკობისა“). იყო ართვალი, ხეიბარი, ცრიმოლა, კვახში ჩასასმელი.

„მცირე ტანის“ კაცს სახელიც დამამცირებელი მოჰყვა — გ ო ჩ ი ა.

გიორგი გოჩიას „აღმოჩენით“ პირდაპირ დასცინა იმერეთის ტახტს გველაძუა ლიპარტიანმა.

გოჩიას ვინ რას ჰკითხავდა და, იმერეთის საქმეებს სინამდვილეში გიორგი აბაშიძე განაგებდა. ძლიერად კი განაგებდა რამეთუ იგი „თაობდა ყოველთა იმერთა ზედა და მორჩილებდნენ დადიანი, გურიელი, და წარჩინებულნი“.

ერთი წელი როგორც იყო გაუძლო თამარმა გოჩიასთან თანამეცხედრეობას და მერე „ინება განტევება მისი“.

ისევ გაუგზავნა კაცი გიორგი აბაშიძემ არჩილს და შეუთვალა: შეირთე ცოლად ჩემი თამარი და მარადის იქნები იმერეთის მეფეო.

ისევ უარი შემოთვალა არჩილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც „შეითქვნეს აბაშიძესთანა ყოველნი იმერნი და რაჭის ერისთავი შოშიტა (პაპუნა გარდაცვლილიყო და რაჭის ერისთავად მისი ძე შოშიტა დამჯდარიყო). შეითქვნენ და სასახლიდან ძალლივით გაისროლეს გოჩია.

მაშინვე კაცი გაუგზავნეს არჩილს: იმერეთის სამეფო ტახტი მაინც შენ გიცდის, მობრძანდი და დაბრძანდიო!

მაინც უარი შემოთვალა არჩილმა, „მცირე-ჟამობის მეფობად“ ჰქონდა დაცდილი იმერეთის ტახტი; აღარც ჰლირსო, რამეთუ იმერთა შორის აღარ არის „პირ-მტკიცობა, არამედ არიან განრყვნილნი, ფიცის-მტეხელნი, ტყვის-მყიდველნი, მხდომნი, მკრეხელნი, უკეთურნი, არა-თუ წარჩინებულნი, არამედ მდაბიურნიცა, მოქმედი ამის ყოველთა!“

ისედაც გაემწარებია წუთისოფელს არჩილი. სამი ვაჟიშვილიდან ორი უკვე აღარ ჰყავდა ცოცხალი — დავითი და მამუკა. ორივე ნოვოდევიჩის მონასტერში დაესაფლავებინათ, მამისგან ცრემლულირსებელნი.

მაინც აღარ დაეხსნენ იმერნი და რაჭველნი და ბოლოს დათანხმდა არჩილი.

დვალეთიდან წამოსულს „მიეგებნენ სრულიად რაჭველნი“, ქუთათისამდე ჩამოაცილეს და იმერეთის სამეფო სასახლეში შეიყვანეს ზარზეიმით.

იდგა 1698 წელი.

არჩილი მეხუთედ ავიდა იმერეთის ტახტზე.

ავიდა და მაშინვე მოსკოვის სახელმწიფო კარს წერილი გაუგზავნა — ალექსანდრე ბატონიშვილი გამომიგზავნეთ იმერეთშიო. მაგრამ არჩილის თხოვნის „სიგელმა“ ვეღარ ჩაუსწრო ალექსანდრეს მოსკოვში: მეფე პეტრეს საზღვარგარეთ წაეყვანა თავისი „უახლოესი ძმობილი“.

. . . . . .

არჩილის მეხუთე „იმერულმა მეფობამ“ ნახევარი წელიწადი ძლივს გაათრია.

ხონთქარმა, მუსტაფა II-მ, სალიმ ფაშა ახალციხელს უბრძანა, არჩილი ქუთათისიდან გააძევეო.

სალიმ ფაშამ ერეკლე მეფეს მისწერა: ქართლში რომ ალექსანდრე IV-ის ვაჟები იზრდებიან, იმათგან უფროსი — სვიმონი, იმერეთის მეფედ გამოგზავნეო.

ერეკლემ სვიმონ ალექსანდრეს ძე ახალციხეს გაგზავნა. სალიმ ფაშა გამოუძღვა ოსმალთა ჯარით. ზეკარი გადმოიარეს და კაკას ხიდთან „მიერთვნენ იმერნი ფაშასა და სვიმონს".

ისევ მარტოდ დარჩენილი არჩილი ქუთათისიდან აიყარა და ისევ რაჭისკენ გაქუსლა.

სამუდამოდ მიდიოდა იგი ეგზომ „საყვარელი და სასურველი იმერეთიდან".

მიდიოდა ქვეყნიდან, სადაც იგი ხუთჯერ გამეფდა და მეფედ ხუთი წელი ძლივს მოათია...

ამ უკანასკნელი იმერულ-რაჭული მგზავრობისას მის ოჯახთან ერთად თან ახლდა ძმისწული — ვახტანგ ლევანის ძე.

იმ წელსვე რუსეთში წასვლა ეწადა არჩილს, მაგრამ გვიანი შემოდგომა იყო და უკვე „კავკასი თოვლით კრულ-იყო და დედა-წულით ვერღარა ვიდოდა".

ვახტანგი რაჭას დატოვა, შოშიტა ერისთავთან, ხოლო თვითონ არჩილმა „შევლო ლიახვი, გარდავიდა თაგაურს, დაჰყო ზამთარი იგი მუნ და გაზაფხულს წარვიდა რუსეთს სპითა რუსთხელმწიფისათა".

როგორ ხვდებიან ახალ საუკუნეს

მაშ, 1698 წლის შემოდგომაზე იმერეთის ტახტზე ავიდა კიდევ ერთი ჯუჯა მეფუკა — სვიმონ ალექსანდრეს ძე.

ისევ პირველობდა იმერეთს გიორგი აბაშიძე (ბერობა-

ში — მალაქია). მას ერთი ქალიშვილი, სახელად ანიკა, სა-ცოლედ დაუწინდავს ნასყიდაიაშვილზე, მაგრამ, როცა იმერეთის ტახტზე უცოლო ჭაბუკი აღმოჩნდა, აბაშიძემ სიძედ ისევ მეფე „ამჯობინა“ და ანიკა სვიმონს შერთო ცოლად.

„ნაბერალ“ გიორგი აბაშიძეს ხომ ორი ცოლი ჰყავდა. პირველ ცოლად გიორგი მიქელაძის ქალი ჰყავდა და ამისგან შეეძინა სამივე ასული: ანიკა, ელენე (მამია III გურიელის ცოლი) და თამარი. ანიკა რომ გათხოვდა და გადედოფლდა, მალე ამის შემდგომ დედამისი გარდაიცვალა. პირველი ცოლით დაქვრივებულმა გიორგი აბაშიძემ მეორე ცოლი (გიორგი გურიელისა და კაცია ჩიქოვანის ნაცოლარი დარეჯანი) თვითონ განუტევა და მის ნაცვლად მესამე ცოლად შეირთო ქვრივი პაპუნა რაჭის ერისთავისა, დედა შოშიტა ერისთავისა, ასული ბეჟან ლორთქიფანიძისა. რაჭველებთან დამოყვრებით გიორგი აბაშიძემ „მოიმტკიცა იმერეთი უმეტესად“.

სვიმონ მეფეს ოჯახში „გაუთვალისწინებელი ჭინჭყლი“ აუტყდა. მეფის ცოლისდა, გიორგი აბაშიძის მესამე ასული — თამარი, მტრულად შეხვედრია თავისი დის, ანიკას გადედოფლებას.

თამარს ორი ქმრობა უკვე მოთავებული ჰქონდა — ერთი ალექსანდრე IV-თან და მეორე გიორგი გოჩიასთან. ძლიერი ნების ქალი იყო, თანაც ლამაზი და მომხიბლავი. იმერეთის წარჩინებულნი სწორედ თამარში ხედავდნენ ნამდვილ „დედოფლურ ხასიათს“. მას ეთაყვანებოდნენ, თვალებში შესციცინებდნენ და მის ნება-სურვილთა შესასრულებლად თავს არ იზოგავდნენ.

ერთი სიტყვით, თამარი „აეშურა“ დასა და სიძეს, ხოლო იმერეთის თავადობამ მეფის სასახლიდან თამარ აბაშიძის სანთიობოში გადაინაცვლა.

სვიმონ მეფემაც ისეთ „ღონეს“ მიმართა, როგორიც მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეფობას“ ეკადრებოდა: დაიბნა, დაფრთხა, „შეშინდა და (არც მეტი, არც ნაკლები) ივლტოდა ქართლსა“.

იმერეთი ხელში ჩაუვარდა დისა და სიძის „დამამხობელ“ თამარს და მამამისს გიორგი აბაშიძეს.

მაშინ მოკვდა კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე და მის ნაცვლად დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლად, „შეწევნითა აბაშიძისათა“ გამოცხადდა გ რ ი გ ო ლ ი, ძე ბეჟან ლორთქიფანიძისა, ცოლის ძმისშვილი გიორგი აბაშიძისა.

ამ დროს ლეჩხუმი განუდგა გიორგი ლიპარტიანს. ლიპარტიანმა დახმარება სთხოვა გიორგი აბაშიძეს, რამეთუ, ისინი „იყვნენ მეგობარნი მტკიცენი“. მიეშველა აბაშიძე იმერთა ჯარებით, „განთხარეს მთა რაჭა-ლეჩხუმისა თოვლიანნი და შევიდნენ ლეჩხუმს, ურჩი მოსწვეს, მოსტყვევნნეს“, და ისევ დაუმორჩილა ლეჩხუმი აბაშიძემ ლიპარტიანს.

მაშინ დაიბადა კიდევ ერთი „სახელმწიფოებრივი განაზრახი“, იმერეთისა და ოდიშის კარზე. გიორგი აბაშიძის ასულს, „თითქმის გადედოფლებულ“ თამარს, გადუწყვეტია ქმრად შეერთო „თითქმის მეფის ტოლი“ გიორგი ლიპარტიანი. ოდიშის მთავრის „სახელოში შემძვრალ“ ვიგინდარასაც მოსწონებია „განაზრახი ესე“, რომელიც მას საშუალებას მისცემდა „ხელი ეფათურებია“ იმერეთის სამეფო ტახტზე და სადედოფლო სარეცელზე.

იყვნენ „ზოგ-ზოგები“, წინააღმდეგნი ამ „უზნეო განაზრახისა“. მაგალითად, დიდი თავადი, გიორგი მიქელაძე, „უჯიშო ჩიქოანს“ სიკვდილით დამუქრებია მისი დისწულის (თამარი გიორგის დისწული იყო) შერთვის განზრახვისათვის. მაგრამ არაფერი გამოვიდა. გიორგი ლიპარტიანმა განუტევა ცოლი, რომლისგანაც ჰყავდა „ძენი შვიდნი მოწიფულნი“, და ნაცვლად შეირთო თამარი, გიორგი აბაშიძის ასული.

ამიერიდან ლიპარტიანი თავს არწმუნებდა, რომ მისი ხელი იმერეთის მეფის „სახელოშიც“ იყო „შემძვრალი“. ხოლო

თამარს ხალხში უფრო ბეჯითად „უხმობდნენ ოდიშისა და იმერეთის დედოფლად“.

აბაშიძისა და ლიპარტიანის კავშირი და დამოყვრება არ მოეწონა პაპუნა რაჭის ერისთავს, „და განდგნენ რაჭველნი აბაშიძისაგან“. მაშინ შემოიყარა „სპანი იმერეთისა აბაშიძემ, შეუხდა რაჭას, მოსწვა, მოსტყვევნა, დაიმორჩილნა და მოვიდა იმერეთს“.

არც გურიის მთავარს, მამია III გურიელს, ეჭაშნიკა იმერეთისა და ოდიშის „შეხმატკბილება“ და ახალციხის ფაშას სთხოვა: ისევ სვიმონ ალექსანდრეს ძე დაგვიბრუნე იმერეთის ხელმწიფედო. სალიმ ფაშამ ერეკლე მეფეს გამოართვა სვიმონი და გურიელს გამოუგზავნა გურიაში: შენ გენდობი და შენ მოგანდობ სვიმონის აყვანას იმერეთის ტახტზეო.

დაუტრიალდა „თავისთვის“ და „თავისებურად“ მამია გურიელი. სვიმონ „ტიკინას“ (გინა — „თოჯინას“), ცოლი გაჰყარა — ანიკა, გიორგი აბაშიძის ასული, და სამაგიეროდ შერთო თავისი დაი. ქორწილიც იქვე გადაუხადა ახალ „მეფედედოფალს“.

ამით მამია გურიელმა „ერთი ნაბიჯი“ უკვე გადადგა იმერეთის ტახტისაკენ (რატომაც არა, — მამამისი გიორგი გურიელი ხომ იჯდა და მაგრადაც იჯდა — ქუთათისის ტახტზე?!).

ფეხზე დადგა გიორგი აბაშიძე. მაშინვე იხმო გიორგი ლიპარტიანი — სიძე, მეგობარი და მოკავშირე. ჯარები შეჰყარეს და საჭილაოს დაიბანაკეს. მამია გურიელსაც დიდი ნიჭიერება და შორსმჭვრეტელობა არ დასჭირდებოდა, რომ აბაშიძე-ლიპარტიანის საომარი გამოსვლა გაეანგარიშებინა. და თვითონაც დაიძრა ჯარით მეტოქეებთან შესახვედრად.

ალბათ, შეშინდნენ აბაშიძე და ლიპარტიანი, რამეთუ „ეზრახნენ გურიელსა“: რაც იყო — იყო, შევრიგდეთ და გავრიგდეთო, რად გვინდა მეფედ უმწეო და უხიაგი სვიმონი; ჩვენ გვსურს იმერეთის ტახტზე აგიყვანოთ შენ — მამია გუ-

�elი, ძე მეფე გიორგი გურიელისა; ოღონდ უნდა მოჰკლა სვიმონი, რომელიც შენს სასახლეში განისვენებს და ეერეთის სამეფო გვირგვინსაც შენგან ელოდებაო.

აილეწა გურიელი.

როგორ მოქცეულიყო?

რომელი სჯობდა — კარგი, პატიოსანი და სინდისიერი კაცის სახელი, თუ სამეფო გვირგვინი, რომელიც თავზე უნდა დადგა სიძის, მეფის, სტუმრისა და საერთოდ „მინდობილი კაცის“ სისხლში ამოსვრილი ხელით?!

კარგა ხანს იფიქრა გურიელმა და ბოლოს მოიფიქრა „საუკეთესო გამოსავალი“:

„კარგი, თანახმა ვარ მოკვდეს სვიმონი, მაგრამ მე ვერ ვავისვრი ხელს მის სისხლში. ამიტომ თქვენ თვითონ მოჰკალით, უჩემოდ, თქვენის მოფიქრებით და მოხერხებით...“.

ორი კაცი აარჩიეს აბაშიძემ და ლიპარტიანმა — ხელთუცთომელი მეთოფენი, გულუძვრელნი და ადამიანის სისხლზე დაგერშილნი.

. . . . . .

მიდიოდნენ და ჩურჩულებდნენ მკვლელები:

„რომ არ გამოვიდეს?“

„როგორ დავიჯერო, რომ ამ წლისოდენა ღამეს კაცი-შვილს, — სულ ერთია, მეფესა თუ ყმას — ერთხელ მაინც არ დასჭირდეს გარეთ გამოსვლა... გარეთ... ფეხისადგილში...“.

მინაწერი მეჩვიდმეტე საუკუნისა

მეჩვიდმეტე საუკუნემ უზღვავი სისხლი გაართვა საქართველოს.

მარტო ქართლ-კახეთმა მხოლოდ შაჰ აბასის ველური შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევების წყალობით, ნახევარი მილიონი ადამიანი დაჰკარგა.

საუკუნის მანძილზე უმძიმესი სისხლთა თხევანი მაინც ქართველთა „აქტიური ბალანსით“ განესრულა: გარეშე მტრებთან გამართული 28 ბრძოლიდან მათ მოიგეს 21, წააგეს 7.

მარტო ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის, ქსანისა და ბახტრიონის ბრძოლები კმარა ქართველთა საარაკო გმირობისა, უზემოესი მამულიშვილობისა და მარადიული უკვდავების დასამოწმებლად.

მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნის სიგრძეზე ქართველებმა არანაკლები სისხლი ადინეს ერთიმეორეს. მარტო ბაზალეთის ცოდვიანი, ძმათაშემმუსვრელი ომის გახსენებაც იკმარებს უამური ჟრჟოლის აღსაძვრელად.

გამორჩევით — დასავლეთ საქართველოს მესვეურებმა „ისახელეს თავი“ უთავჟამო შინამტრობით და შინაომებით. აქ, მთელი საუკუნის გასწვრივ მძვინვარებდა ქართველთა ხელით ქართველთა სისხლის ღვრა. — მძვინვარებდა, რამეთუ „გადაწყვეტილიყო“: ვინ ვის „ტახტზე“ დამჯდარიყო, ვინ ვის „სახელოში“ გამძვრალიყო, ვინ ვის სარეცელში ჩაწოლილიყო.

ისევ იღველფებოდა ქართული მიწა „ტყვეთა სყიდვისგან“ აშლილი უმძიმესი მდუღარე ცრემლით.

. . . . . .

მაინც ამშვენებდნენ მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს მატიანეს:

სამშობლოსათვის „წმიდა მოწამენი“ — თევდორე მღვდელი, ქეთევან დედოფალი, ალექსანდრე და ლევან თეიმურაზის ძენი, მეფე ლუარსაბ II, ბაატა სააკაძე, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი;

მარტყოფისა და მარაბდის გმირნი — გიორგი სააკაძე, ავთანდილ სააკაძე, ზურაბ ერისთავი, მეფე თეიმურაზ I, ელია

დიასამიძე, პაპუნა ვაშაყაშვილი, დავით ერისთავი, ბაადურ ციციშვილი, დავით ჯანდიერი, ბარათა ბარათაშვილი, იასე ქსნის ერისთავი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, მანუჩარ III ათაბაგი, ლომი ჩრდილელი, დომენტი მროველი, ალავერდელი, რუსთველი, ხარჭაშნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი;

ბახტრიონის სახალხო გმირნი — ზეზვა გაფრინდაული, ნადირა ხოშარეული, გურგენ ჭინჭარაული, გოგოლაური, გულუხიძენი, ფუნჩაიშვილი, შველაიძე, საღირიშვილი;

კიდევ — ალექსანდრე II კახთა მეფე, ბატონიშვილები ერეკლე და გიორგი ალექსანდრეს ძენი. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილ-ომანიშვილი, შერმაზან ჩოლოყაშვილი, ქართლის მეფე გიორგი X, აბელ ანდრონიკაშვილი, პაპუნა ამილახორი, ზაქარია და იარალი ბარათაშვილნი, ზაზა ციციშვილი, თამაზ მაჩაბელი, როსიტა გედევანიძე, პაპუნა ჩივაძე, თამაზ ქარციძე, მათარსი შიხაიდრიძე, ქვლივიძე, ინაშვილი, გარასპი ფავლენიშვილი, ადამ ანდრონიკაშვილ-აბელიშვილი, ნოდარ ჯორჯაძე, თამაზ ვაჩნაძე, ბაინდურ ერისთავი, გიორგი ხუცესი, იორამ სააკაძე, ზურაბ სააკაძე, ივანე სააკაძე, გერმანოზ ბარათაშვილი, გიორგი ქავთარიშვილ-ბარათაშვილი, დემეტრე საგინაშვილი, თანუნა დიასამიძე, დავით გოგორიშვილი, როსტომ შალიკაშვილი, ელიზბარ თაქთირიძე, ბეჟან თაქთირიძე, ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილ-ირუბაქიძე (ირბახი), მამია II გურიელი, ყაფლან ბარათაშვილი, პაპუნა მაღალაძე, ბატონიშვილი დათუნა თეიმურაზის ძე, რევაზ ჩოლოყაშვილი, ქაიხოსრო მაყაშვილი, ბიძინა დიასამიძე, მერაბ ვაჩნაძე, მეფე ვახტანგ V, მარიამ დედოფალი, მეფე გიორგი XI, არჩილ მეფე, გივი ამილახორი, დავით თურქისტანიშვილი, ნიკოლოზ აბაშიძე, ბერი შალიკაშვილი, ლევან მუხრან-ბატონი, ვახტანგ და ქაიხოსრო ლევანის ძენი, მამა-შვილი ზაალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზურაბ არაგვის ერისთავნი, ხოხონა ხერხეულიძე, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, ბეჟან ლორთქიფანიძე, პაპუნა რაჭის ერისთავი, ევდემონ ჩხეტიძე.

ქართველნი — „უცხო თესლთა ისტორიის მჭედელნი“.

სპარსეთში — ალავერდი-ხან უნდილაძე, იმამ-ყული-ხან უნდილაძე, დავით უნდილაძე, კონსტანტინე-მირზა თეიმურაზის ძე, იესე (ისა-ხან) ლევანის ძე, თამაზ-ყული-ხანი, მანუჩარ-ბეგი (შაჰ აბასის ელჩი ინდოეთში), გიორგი სააკაძე, ბაგრატ-მირზა (მეფე ბაგრატ VII), სვიმონ-ხანი (მეფე სვიმონ II), ხოსრო-მირზა (როსტომ მეფე), ყარა-ბეჟან-ბეგ საკაძე, როსტომ-ხან სააკაძე, ფარსადან გორგიჯანიძე, პაატა-ბეგი, ალექსანდრე მუხრან-ბატონი, ხოჯასთე-ბეგი, რამაზ-ბეგი, იოთამ-სულთან გურჯი, ფეროხ-სულთანი, დაუდ-ბეგ გურჯი, ალი-ყული-ბეგ სააკაძე, მუსლიმბეგი, ადამ სულთან ანდრონიკაშვილი, სიაოშ-ხანი, მერაბ-ხანი, ოთარ-ხანი, მანსურ-ხან ბარათაშვილი, პოეტები — მირზა მოჰამედ თაჰერ ნასრაბადი, ქაიხოსრო-ხანი (როსტომ-ხან სააკაძის დისწული), ზეინალ-ბეგი, ზურაბ-ბეგი, ფაზალ-ალი-ბეგი, შერმაზან-ბეგი, ალი ხან-ბეგი;

თურქეთში — გიორგი-ბეგი, მეჰმედ ფაშა, გულჩარა, მეფე გიორგი მეათის ასული, ფერად ფაშა, ქენან ფაშა „კოჯა“ („ზორბა“), გურჯი მეჰმედი, საფარ ფაშა, მურთაზა ფაშა.

. . . . . .

მაინც ბრწყინავდნენ ქართული საზროვნო, თეოლოგიურ-თეოსოფიური, სამეცნიერო და სახელოვნებო კერები: ტფილისი, ქუთათისი, მცხეთა, გელათი, ალავერდი, ნიკორწმინდა, დავით გარეჯა, წილკანი, სამთავისი, თელავი, გრემი, ლარგვისი, ჯრუჭი, იკორთა, კაბენი, ქვათახევი, მუხრანი, მძოვრეთი, ტანძია, ცაიში, ბედია, მარტვილი, ხობი, შემოქმედი, უშგული.

მარიამ დედოფალი ამზადებინებს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს.

სულხან-საბა ორბელიანი ადგენს ქართულ განმარტებით ლექსიკონს.

ძმებმა სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილებმა გალექსეს „ამირან-დარეჯანიანი“.

ბარძიმ ვაჩნაძემ „შაჰ-ნამეს“ მოტივებზე დაწერა პოემა „უთრუთიან-საამიანი“.

მამუკა თავაქალაშვილმა — „ზააქიანი“.

მეფე თეიმურაზ პირველმა — „ვარდ-ბულბულიანი“, „შამი-ფარვანიანი“, „ლეილ-მაჯნუნიანი, „იოსებ-ზილიხანიანი“, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, „მაჯამა“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „სოფლის სამდურავი“, „გრემის სასახლეზე“, „თამარის სახედავით გარეჯას“, „ანბანთქებანი“, „შვიდთა კრებათათვის“.

მეფე არჩილმა — „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, „საქართველოს ზნეობანი“, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, „სამიჯნურონი“, „ლექსნი ასეულნი“, „გალექსილი ვისრამიანი“, „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“, „ანბანთქებანი“.

იოსებ ტფილელმა — პოემა „დიდმოურავიანი“.

ფარსადან გორგიჯანიძემ — „საქართველოს ისტორია“.

. . . . . .

მაინც მძიმე წყვდიადი წევს საქართველოს ცისგვამში.

ქართული სისხლით გალეშილი XVII საუკუნე საქართველოს ყოფნა-არაყოფნის სასწორს ულოცავს ახალ ასწლეულს.

. . . . . .

მძიმედ, უძვრელად დგას წყვდიადი.

სიბნელეში მიცურავენ მკვლელები — ხელუცთომელი მეთოფენი, გულუძვრელნი და ადამიანის სისხლზე დაგერშილნი.

მიუახლოვდნენ სასახლეს.

. . . . . .

„თაფლის თვე“ წევს ახალგაზრდა მეფე-დედოფლის სარეცელზე.

ღამე განზოგადდა.

სანთიობოდან გამოდის კაცი.

კიბეზე ეშვება. ვიწრო ბილიკს მიჰყვება ზმორებით.

. . . . . .

საუკუნე იწურება, — XVII საუკუნე.

და ახალი, XVIII ასწლეულის შემობრძანებას მათი „ღირსების“ შესაფერისად ეგებებიან დასავლეთ საქართველოს ცოდვიანი მესვეურები:

ფეხისადგილთან თოფი გაგარდა...

პერანგა კაცი თავდამხე დაენარცხა ცვარმოსილ დედამიწას.

მესამე წიგნის დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

კარი მერვე

ყოფნა-არყოფნა

ნაწილი პირველი — მორღვეული კარიბჭეები 5
ნაჯვარი სისხლი 5
„მთავარი ძარღვი“ 10
კახეთის კარზე 17
ისევ — „წესადცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“ . . 25
მორღვეული კარიბჭეები 28
ძაგემი, 12 მარტი 1605 წლისა 34
შურისმგებლური 42
ყმაწვილ მეფეთათვის 54
გულჩარა 63
„გაზრდილი“ ეურჩება „გამზრდელს“ 64
„დიდებული მანდილოსანი“ 68
შაჰ აბასის გოჭები 69
ნაწილი მეორე — წიგნი „უძღები შვილისა“ 73
„ახალ-კაცი“ 73
მოსვლა „მგლის-ტყაოსანთა“ 77
თევდორე 79
სხერტა, ტაშისკარი 84
„ისევ ქართველს უჯობნია“ 90
წელიწადი ქორწინებათა 98
„საიდუმლო სერობა“ 107
მოთხრილი საკაძე 109
გაქცეული საკაძე 113

გათათრებული საკაძე 118
„დაილეწა გონების სარკე“ 125
„საქართველო ინადირეთო“ 133
ქალეთი 136
„ჯოჯოხეთი ორმოცდაათი დღით“ 140
„მოდიოდა და სატანა მოუძღოდა 144
„უკან დაბრუნება აღარ მიწერია 153
შვილის მკვლელი 161
სისხლიანი ალავერდობა 164
არაგვი და წიწამური 168
„ბაბილონის ტყვეობა“ 172
„უტყვისა და მეტყველის მოსასპობად“ 181
ისევ — „ტყვეობა ბაბილონისა“ 185
დედოფლის სიზმარი 190
...ვინც ქართველობას უკეთ „მოიხმარდა“ 194
ისფაჰანის ახალი ტარუღა 199
„საქართველოს ქართველთა“ და „სპარსეთის ქართველთა“ . 201
უფლისწულნი — სიკვდილისწულნი 206
ტახტთან და არა ტახტზე 208
„დავსდევ თავი ჩემი ქუეყანისათვის“ 212
მჭედელნი „სხვათა ისტორიისა“ 215
აპოთეოზი მესამე ქალი — მნათობისა 222
მამა-შვილი 237
კვლავ გაქართველებული საკაძე 242
მარტყოფი — აპოთეოზი „ხარებისა“ 246
მარტყოფის შემდგომ 253
აპოთეოზი პაატა საკაძისა 258
მარაბდის წინარე წუთისოფელი 262
მარაბდა — აპოთეოზი უიღბლო გმირობისა 266
„მოისობას“ — არაგვი, „მოისობას“ — ქსანი 283
ფიქრები მესხურ გზაჯვარედინზე 290
ზავი და ფიც-ვერცხლი 296
ბაზალეთის წინარე წუთისოფელი 300
გლოვის სამანი 311
კვლავ გათათრებული საკაძე 320
„მაინც ვერ მოვერიე“ 327
ხმალი და ანდერძი 331
აღსრულებული საკაძე 334
ზმა მესამე — დიდი ხეების საგოდებელი 342
კათოლიკური ეპისტოლენი 342
სიკვდილი ზურაბ ერისთავისაგან 352
სიკვდილი ზურაბ ერისთავისა 358
უმეტოქეოდ 363

ფიქრები გრემში, ფიქრები ისფაჰანში 367
ძმადნაფიცები ფორზე ნადირობენ 372
ჭინჭრით ცხვირდასუსხული ლომი 376
უნდილაძეთა საწუთროს დასასრული 383
როსტომი და როსტომი 389
ა ზ მ ა მ ე ო თ ხ ე — სატკივარნი „ბაში-აჩუკისა“ 398
ქართველები, კაზაკები, თურქები 399
კოჭორაულის ბრძოლა 403
„რქანაყარი პოლიტიკოსები“ 405
თვალდამწვართა და თვალდამდგართა 407
არქანჯელო ლამბერტი ხასიათებს ლევან დადიანს . . . 410
ა ზ მ ა მ ე ხ უ თ ე — თეიმურაზი და როსტომი 418
მეფე — „ხერხიანი და ილათიანი“ 418
პოლიტიკური სარეცლისათვის 422
ისევ საარაგვოში 427
ისევ „რჯულშეუცვლელი“ თეიმურაზი 430
ქართული შეთქმულება და „თათრული ხუმრობა“ . . . 434
აღსასრული როსტომ საკაძისა 437
ქალისა და დედის პატივით 439
ისევ ქალი... 443
„შვენება შეშლილი“ დედოფალი 446
ქართულობის ღალატის ფასი 448
ისევ აიშალნენ 452
ავბედითად ნასროლი ტყვიები 454
ხორეშან დედოფლის შუამავლობით 457
დატირება უკანასკნელი ძისა და ძირისა 464
როსტომ მეფე კახეთს მოგზაურობს 466
მესხური საგოდებელი 468
ისევ ფესვების იმედით 472
რუსული სიასამური სპარსული ხალათის წინააღმდეგ . . 476
როსტომ მეფის საწუთროს დასასრული 487
ა ზ მ ა მ ე ე ქ ვ ს ე — ბახტრიონული 493
ტახტზე ადის ვახტანგ მეხუთე 493
„დიდი ბუდე“ 496
ისევ კახეთის საგოდებელი 499
„გაწყვეტილა“ 502
როცა ხალხს ვერ უბედავენ... 506
ა ზ მ ა მ ე შ ვ ი დ ე — მეფე-მთავართა საომარ სასწორზე . . 512
„მძლავრებდა დიდად დადიანი“ 517
წამწარებული დღესასწაულები 520
მამუკა ბატონიშვილი 520
„ამაოება ამაოებათა“ 523
ბანძის „გმირები“ 525

სათამაშო ტახტის გარშემო 529
„ეამნი მეფენი არიან“ 534
თეიმურაზის საწუთროს დასასრული 536
ა ზ მ ა მ ე რ ვ ე — „დედა-ტახტის“ გარშემო 544
იმერეთიდან — კახეთში... სპარსეთის „გავლით“ . . . 544
მამა-შვილის „სიმფონია“ 549
შინააშლილობათა ბუდე 553
იმერეთი „საშოვნელად“ ახალციხეში მიდიან 557
ისევ „მოსკოველი ქართველი უფლისწული“ 560
ვახტანგ მეხუთის საწუთროს დასასრული 564
ა ზ მ ა მ ე ც ხ რ ე — ახალი მეტოქენი 567
ვინ იქნება ახალი „მეფე“, „ვალი“ თუ „ხანი“? 567
ხელმწიფობა გიორგი მეთერთმეტისა 571
ხელმწიფობა ერეკლე პირველისა 578
„ორხელმწიფობა“ 582
ა ზ მ ა მ ე ა თ ე — თვითმკვლელობის საუკუნე იმერეთისა . . 590
„მოიპარა ციხე“ და „შეეტყუა ციხესა“ 590
პოლიტიკოსები და რაყიფები 593
რუსეთის ცის ქვეშ 606
ოცი წლის შემდგომ 615
ხელმწიფობა ალექსანდრე მეოთხისა 618
ისევ არჩილი 627
არჩილიდან არჩილამდე 633
არჩილი მეოთხედ... არჩილი მეხუთედ 636
როგორ ხვდებიან ახალ საუკუნეს 639
ბინაწერი XVII საუკუნისა 642

მხატვარი **სპ. ცინცაძე**
მხატვრული რედაქტორი **ჯ. ზენაიშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **დ. რაზმაძე**
კორექტორები: **თ. ფირცხალავა, ნ. ლომაძე**
გამომშვები **ნ. ხავთასი**

ს. გ. 4950

ჩაბარდა წარმოებას **5.10.89. ხელმოწერილია** დასაბეჭდად **17.02.90.** ფორმატი 84×108 1/32. საბეჭდი ქაღალდი საწიგნე-საჟურნალე. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი **34,44.** სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი **30,09.** პირობითი **საღებავგატარება 34,44.** ტირაჟი 40.000. შეკვ. № 1976.

ფასი 10 მან.

გამომცემლობა „მერანი", **რუსთაველის** გამზ. **№ 42.**
თბილისი 1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

САНИКИДЗЕ ЛЕВАН ДАВИДОВИЧ

САБЛИ БЕЗ НОЖЕН

Книга III

Документальная проза

(На грузинском языке)
Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси
1991

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გრ. რობაქიძის გამზირი № 7.



K——